

საერთაშორისო
კონფერენცია
2019
INTERNATIONAL
CONFERENCE

თბილისი 2020 TBILISI

ISBN 978-9941-8-2946-8

საერთაშორისო
კონფერენცია

„არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები
და გამოწვევები“

2019

**International Scientific
Conference
"Archival Studies, Source Studies – Trends and
Challenges"**

თბილისი 2020
Tbilisi

სარედაქციო

ჯგუფი: თეონა

იაშვილი ქეთევან

ასათიანი ნინო

ბადაშვილი

თამთა შონვაძე

დიმიტრი

სილაქაძე

კორექტორი: მარიამ ჯანიკაშვილი

კრებულში წარმოდგენილი მასალის გამოყენება და გავრცელება დასაშვებია მხოლოდ წყაროს მითითებით.

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნით ავტორებს და შესაძლებელია არ ასახავდეს სარედაქციო ჯგუფის შეხედულებებს.

© ყველა უფლება დაცულია All rights reserved

**დეკანოზი გიორგი ბერიშვილი,
თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია**

**წმ. სოფრონ იერუსალიმელის სიტყვების – „უფალი მონა იქმნების“ –
საღმრთისმეტყველო ანალიზი¹**

წმ. სოფრონ იერუსალიმელი VI-VII საუკუნეებში მოღვაწე ერთ-ერთი სახელგანთქმული ღმრთისმეტყველია. მას იმ დროს მოუწია მოღვაწეობა, როდესაც ეკლესიაში გაჩნდა მონოენერგიზმისა და მონოთელიტიზმის ცრუსწავლებები. წმ. სოფრონის უმთავრესი დამსახურება ამ ერესების ცდომილებათა გამოაშკარავება და მათ წინააღმდეგ დაუღალავი ბრძოლაა. სწორედ ამიტომ იერუსალიმელი პირველიერარქის შემოქმედებაში უმთავრესი საღმრთისმეტყველო საკითხი ძე ღმერთის განკაცების სწავლებაა. ბრძენი მღვდელმთავარი ეკლესიის წმინდა მამათა სწავლებების კვალობაზე, ერთი მხრივ, წარმოაჩენს, რომ მონოენერგიზმი და მონოთელიტიზმი ფაქტობრივად მონოფიზიტობის აღმსარებლობაა, ხოლო, მეორე მხრივ, გვაწვდის მწყობრ არგუმენტირებულ მოძღვრებას, რომ ქრისტეში ორი მოქმედების აღიარება არანაირად არ გულისხმობს ბუნებათა ნესტორისეულ განყოფას. ამ მხრივ გამონაკლისი არც მისი „ხარების“ ჰომილიაა. ამ თხზულებაში, რომელიც უდავოდ უდიდესი დოგმატური მნიშვნელობისაა, საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრება ძე ღმერთის განკაცებისა და ქრისტეში ბუნებათა შეერთების შესახებ. აღნიშნულ ჰომილიაში წმ. სოფრონი გვასწავლის: „უფალი მონა იქმნების, რადთა მონაჲ მადლით უფალ გამოაჩინოს“. როგორც ვხედავთ, იერუსალიმელი პირველიერარქი პირდაპირ ამბობს, რომ უფალი მონა ხდება.

ამავე დროს, წმ. იოანე დამასკელის „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნით გადმოცემაში“ ვკითხულობთ: „უნდა ვიცოდეთ, რომ არც მისი (ქრისტეს – დეკ. გ. ბ.) მონად თქმა ძალგვიძს“ (დამასკელი, 2000, გვ. 414); „ვინც მონად ამბობს ქრისტეს, იგი ნესტორის მსგავსად ორად ყოფს ერთ ქრისტეს“ (დამასკელი, 2000, გვ. 415).

ერთი შეხედვით, ეკლესიის ამ ორი უდიდესი მოძღვრის გამონათქვამები თითქოს ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. საქმის არსში გასარკვევად განვიხილოთ საკითხი თანმიმდევრულად.

უპირველესად დავიწყოთ იქიდან, რომ უფალს მონა ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში წინასწარმეტყველებით უწოდა დიდმა წინასწარმეტყველმა ესაიამ: „და მრქუა მე: მონაჲ ჩემი ხარი შენ, ისრაჲლ, და შენდა მომართ ვიდიდო (ეს. 49:3); „და აწ ესრე იტყვს უფალი, რომელმან დამბადა მე საშობთვე მონად თვსა, შეკრებად იაკობი მისა და ისრაჲლი მოახლებად მისა; და ვიდიდო მე წინაშე უფლისა და ღმერთი ჩემი იყოს ჩემდა ძალ. და მრქუა მე დიდ არს შენდა ესე წოდებაჲ შენი მონად ჩემდა, დამტკიცებად ტომნი იაკობისნი და განბნეულნი ისრაჲლისანი შეკრებად“ (ეს. 49: 5-6); „უფალსა ჰნებავს მოსპოლვად მისგან საღმობაჲ სულისა მისისაჲ, ჩუენებად მისა ნათელი, დაბადებად გულისხმისყოფითა, განმართლებად მართლისა მის, დამონებად მრავალთა. და ცოდვანი მათნი მან თავადმან აღიხუნეს“ (ეს. 53:11).

ესაია წინასწარმეტყველის მითითებული მუხლები რომ ნამდვილად ქრისტეს მიემართება, არა მხოლოდ ეკლესიის წმინდა მამები, არამედ მწვალებლებიც აღიარებდნენ. თუმცა ეს უკანასკნელნი „მონას“ მოიხმობდნენ იმის არგუმენტად, თითქოს ქრისტე ბუნებით ღმერთი არ იყო. ეკლესიის მოძღვრები კი მათ მიუგებდნენ, რომ ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები მიემართებოდა ქრისტეს ადამიანურ ბუნებას. ამ მხრივ ძალიან მკაფიო განმარტებას გვთავაზობს წმ. გრიგოლ ნაზიანზელი. ეკლესიის ეს უდიდესი ღმრთისმეტყველი, რომლის მოძღვრებანიც ფაქტობრივად სახელმძღვანელო იყო ეკლესიის შემდგომი მამებისთვის,

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში №FR-18 -1209.

განგვიმარტავს – წინასწარმეტყველი იმიტომ უწოდებს უფალს მონას, რომ ის დაემონა ადამიანურ უყვედრელ ვნებებს და ემსახურა კაცობრიობის გამოხსნას. მოვიყვანო წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის სიტყვების წმ. ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანს: „მონად უწოდს კეთილად, მონებად მრავალთა და ვითარმედ დიდ არსო მისდა წოდებად შვილ ღმრთისა. რამეთუ ჭეშმარიტად ჰმონა ხორცითა და კაცობრივითა შობითა და ვნებათა ჩუენთა თავს-დებითა, აზნაურებისათჳს ჩუენისა და ყოვლისა მისთჳს, რომლითა იხსნა პყრობილნი იგი ცოდვისაგან“ (A-1, 379 v).

როგორც ვხედავთ, წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის მიხედვით, მაცხოვარს მონა იმიტომ ეწოდება, რომ ადამიანური ხორცი (თავისი კაცებით) ჭეშმარიტად დაემონა ვნებებს და ემსახურა კაცობრიობის ცოდვისგან გამოხსნას.

ნაზიანზელი ღმრთისმეტყველის ეგზეგეზასთან ერთად მოვიხმობთ წმ. კირილე ალექსანდრიელის განმარტებებსაც უფლის მონად წოდების შესახებ. „მამათა ბეჭედად“ (წმ. ანასტასი სინელი, 2015, გვ.144.) წოდებული ამ მოძღვრის კომენტარები იმიტომ არის უმნიშვნელოვანესი, რომ სწორედ წმ. კირილემ ამხილა უპირველესად და გამოაშკარავა ნესტორის ცრუმოდვრებანი.

წმ. კირილე ალექსანდრიელი ესაია წინასწარმეტყველის ზემომოხმობილი სიტყვების განმარტებისას განადიდებს უფლის სიბრძნის სიმდიდრესა და სიღრმეს და ამბობს, რომ ძე აბსოლუტურად თავისუფალი იყო და არის, როგორც მეუფე ღმერთი, მაგრამ იგი ხორციელი განგებულების, განკაცების გამო ხდება მონა (Свт. Кирилл Александрийский, 1890, стр. 74.). წმ. კირილე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ უფალი, წინასწარმეტყველის სიტყვების მიხედვით, მონად იქმნება საშოდანვე („დამბადა მე საშოდთვე მონად თჳსა“ (ეს. 49:5)). ეს კი, მისი განმარტებით, ნიშნავს, რომ სიტყვა განკაცებამდე კი არ იყო მონის მდგომარეობაში, არამედ საშოდან, ანუ ქალისგან ხორცის მიღებიდან. ალექსანდრიელი იერარქის მიხედვით, ბუნებით თავისუფალი ღმერთი იღებს მონის ხატს, ქმნილობას, მონის მდგომარეობას. მისივე თქმით, უფალმა, მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი იყო, დიდრაქმის გადახდისას ნებაყოფლობით მონად გაგვიცხადა თავი. საბოლოოდ, ამ მუხლების განმარტებისას წმ. კირილე ავითარებს იმავე აზრს, რომელსაც წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი ამბობს და განმარტავს, რომ მაცხოვარმა გამოსცადა მონური მდგომარეობა, რადგან დამდაბლდა, ჯვარი დაითმინა და თავისი სული დადო სხვათა გამოსახსნელად (Свт. Кирилл Александрийский, 1890, стр. 79-80).

იგივე წმ. კირილე, იოანეს სახარების (ინ.1:32-33; ინ. 4:6; ინ. 4:22) განმარტებისას მონის თვისებების მქონედ წარმოაჩენს მაცხოვარს. მისი განმარტებით, თუ წმ. წერილი მონის თვისებებს არ განუკუთვნებს ქრისტეს, მაშინ „მონის ხატი“¹ (ფილიპ. 2:7) არ ყოფილა მასში შენარჩუნებული (Свт. Кирилл Александрийский, 2011, стр. 188). იგი ასევე ამბობს, რომ თუ მაცხოვარი არ გახდებოდა ადამიანი, არ გამოჩნდებოდა მონის ხატით (= ბუნებით – დეკ. გ.ბ.), მაშინ ნამდვილად უნდა განგვკრძალულიყავით მისთვის მონის თვისებათა მიკუთვნებას და მიგვეწერა მისთვის მხოლოდ ისეთი თვისებები, რომლებიც საღმრთო ბუნებას შეშვენის (Свт. Кирилл александрийский, 2011, стр. 273). წმ. კირილე აცხადებს – ძე ღმერთი არ განშორებია ღმერთად, უფლად და თაყვანსაცემლად მყოფობას იმის გამო, რომ გახდა ადამიანი და შეიმოსა „მონის ხატი“, რომლითაც აღასრულებდა კიდევ მონისთვის შესაფერის მსახურებას (Свт. Кирилл Александрийский, 2011, стр. 286-287).

უფლის მონად წოდებას მრავალგზის ვხვდებით ისეთი უდიდესი დოგმატური ღირსების მქონე წიგნში, როგორც წმ. ანასტასი სინელის „წინამძღუარია“. აღსანიშნავია, რომ ეს თხზულება წმ. არსენ იყალთოელმა თარგმნა და ის კრებულ „დოგმატიკონში“ განაწესა. მოვიყვანო რამდენიმე ციტატას: „გინებანი უკუე მონისანი არიან, რომლისა შორის არს მეუფე,

¹ „მონის ხატი“ იგივე მონის ბუნებას ნიშნავს. ამის შესახებ უფრო ვრცლად ქვევით ვისაუბრებთ.

ხოლო პატივი – მეუფისად, რომლისა გარემოდს არს მონად. ამათსა მეტყუელსა მოძღუარსა და მონად სახელისმდებელსა ჯორცთასა, ესე იგი არს, ხატად მონისა, ვითარ ძალ-ედვა თქუმად უჩინო-ყოფისა და შერევნისა“ (წმ. ანასტასი სინელი, 2015, გვ. 246).

წმ. ანასტასი სინელი აქ მოძღვარში გულისხმობს წმ. გრიგოლ ნოსელს, რომელიც ევნომიოსის წინააღმდეგ თხზულებაში ამბობს მოყვანილ სიტყვებს. „წინამძღუარის“ ავტორი განმარტავს, რომ უფლის ხორცის (=კაცების) მონად მწოდებელ მოძღვარს როგორ შეეძლო განქარვების ან შერევნის (ცხადია, იგულისხმება მონოფიზიტური გაგება ადამიანური ბუნების განქარვების ან შერევნის შესახებ) თქმა. მაშასადამე, ჯერ წმ. გრიგოლ ნოსელი უწოდებს უფლის კაცებას მონას, შემდეგ კი წმ. ანასტასი სინელი ნოსელი მღვდელმთავრის მონად სახელდებას მოიხმობს იმის არგუმენტად, რომ უფლის ადამიანური ბუნება არ აღრეულა საღმრთო ბუნებასთან.

იგივე სინელი მოძღვარი ამბობს, რომ თუ ქრისტეს არ ექნება კაცობრივი, გონიერი სულის ნება, მაშინ იგი ღმრთეებრივად იქნება მონობისა და მამის ნების აღმასრულებელი. მოვიყვანთ შესაბამის ციტატას: „უკუეთუ მოეღოს ნებად წმიდისა და საცნაურისა სულისა მისისა, იპოვოს ღმრთეებრივ მიმთუალველ მონებრივობისა და სრულმყოფელ მამულისა ნებისა“ (წმ. ანასტასი სინელი, 2015, გვ. 77); როგორც უცხადესადაა უწყებული, თუ მაცხოვრის კაცებას არ აქვს ადამიანური სულის ნებელობა, მაშინ თავისი ღმრთეებით აღუსრულებია მონურობა და მამის ნება. როგორც ვხედავთ წმ. ანასტასი სინელი პირდაპირ ამბობს, რომ მონურობა მაცხოვრის კაცებას უნდა მივაკუთვნოთ და არა – ღმრთეებას.

იგივე „წინამძღუარი“ გვეუბნება, რომ ქრისტეს კაცება იყო დამორჩილებული და მეუფებული მისადმი შეერთებული ღმრთის სიტყვის მიერ, რომ ღმრთის ხორცი და სული საღმრთო ნებას ყველა ქმნილებაზე მეტად მყისიერად ემორჩილებოდა: „ხატი მონისა იყო აღვრთ-ყვანებული და მეუფებული გუამოვნებით მისდა შეერთებულისა ღმრთისა და სიტყვსა მიერ ... რამეთუ ზესთა საზღვართა და შჯულთა ჩუენისა ბუნებისათა უთესლოდ შემტკიცებული, ვითარცა ღმრთისა ჯორცნი და სული სამეუფოსა წამისყოფასა მოსწრაფედ დაემორჩილებოდა, ვითარცა თანაღმერთქმნილი“ (წმ. ანასტასი სინელი, 2015, გვ. 108); „არამედ დამორჩილებულადცა და აღვრთყვანებულად სიტყვსა ღმრთისა მიერ გუამოვნებით შეერთებულთა მისდა სულსა და ჯორცთა აღვიარებთ და ყოველთავე თვთებათა მათთა უფროდს ყოვლისა დამორჩილებისა დაბადებულთადას“ (წმ. ანასტასი სინელი, 2015, გვ. 318).

წმ. ანასტასი სინელი ასევე ამბობს, რომ შეიმოსა რა მაცხოვარმა მონის ხატი, მან მიიღო მონის სხვა თვისებებიც: მონის ხორცი (სხეული), მონის შესახედაობა, მონის სხეულბრივი განხშობა, მონის ხორცისმიერი ხრწნილება, მონის მოკვდავობა, მონისმიერი გამოწადენი თვალების, პირისა და ცხვირისგან, ასევე ოფლისა და ა. შ.: „ხატი მონისა ემოსა მეუფესა, ცხად არს, ვითარმედ, ჯორცნიცა მონისანი და სიზრქე მონისა და ჯორცთგანხრწნადობა მონისა და მოკუდავობა მონისა განჯუმეველობა მონისა თულთა და პირისა და ცხვრთა, და შეოფლისამიერი“ (წმ. ანასტასი სინელი, 2015, გვ. 252).

ამავე თხზულებაში ნათქვამია, რომ წმ. პავლე მოციქულმა ქრისტეს კაცებას მონის ხატი უწოდა, ხატი კი ბუნებას ნიშნავს. ანუ სინელი მამა გვეუბნება, რომ ძე ღმერთმა მიიღო მონის ბუნება (ბუნება კი, ამავე თხზულების მიხედვით, ჭეშმარიტად მყოფს ნიშნავს და არა მოჩვენებითს, ფანტაზიაში წარმოსახულს: „ბუნებად იტყვს ეკლესია მყოფთა საქმეთა ჭეშმარიტებასა, ესე იგი არს, არსებითობასა მათსა“ (წმ. ანასტასი სინელი, 2015, გვ. 90); „ბუნება უკუე არს, გულისწამისყოფისაებრ ეკლესიისა, ჭეშმარიტი ყოფად საქმისა, ... ბუნება არს საღმრთოდსაებრ მოციქულისა ყოველი ჭეშმარიტებით მყოფი და არა საოცრებით თქუმული, ...“ (წმ. ანასტასი სინელი, 2015, გვ. 89).

ვნახოთ შესაბამისი ციტატებიც: „ნეტარმან პავლე მოციქულმან და მნათობმან სოფლისამან, რამეთუ მონისა ხატებად სახელ-სდვა საუფლოსა მას კაცსა. ხოლო ხატებად ბუნებად არს, ვითარცა იტყვს წმიდათა მოძღუართა მწყობრი“ (წმ. ანასტასი სინელი, 2015, გვ.

202). „რომელი ხატი ღმრთისად იყო, ხატი მონისად მიიღო ჩუენთვს. ხოლო ხატი ღმრთისად არსებასა ცხად-ჰყოფს ღმრთისასა, ვითარ-იგი ხატი კაცისად ბუნებასა ცხად-ჰყოფს კაცისასა (წმ. ანასტასი სინელი, 2015, გვ. 212).

სინელი მონაზონი ასევე გვასწავლის, რომ მაცხოვარი, მონის ხატის დამმონებელი, მრავალჯერ დაემორჩილა თავის მშობლებს: „ბერვეულგზის დაშურა, ნებსით დამორჩილებული დამმონებელი მონისა ხატითა თვსთა მშობელთა“ (წმ. ანასტასი სინელი, 2015, გვ. 265).

ქრისტე მეუფე რომ მონა გახდა, ამას ამბობს აგრეთვე ეკლესიის უდიდესი ავტორიტეტი, ღირსი მაქსიმე აღმსარებელი. ის გვასწავლის, რომ ქრისტე დაემორჩილა ხორცის კანონებს: იღლებოდა, შიოდა, სწყუროდა, ტიროდა. ეს ყველაფერი კი, მისივე თქმით, დადასტურებაა თანამონებისა და მონის მდგომარეობამდე რეალური დამდაბლებისა. წმ. მაქსიმე ასევე დასძენს, რომ, ვინც ბუნებით მეუფედ მყოფობდა, ჩემთვის, ბუნებით მონისთვის, მონა გახდა (წმ. მაქსიმე, (Преп. Максим Исповедник, 2006, стр. 23).

მივუბრუნდეთ წმ. იოანე დამასკელის „გარდამოცემას“, რომელშიც, როგორც ვნახეთ, წმ. იოანე დამასკელი გვასწავლის, რომ უფლის მონად თქმა არ ძალგვიძს (დამასკელი, 2000, გვ. 212; 414). ის გვიხსნის, თუ რატომ არ შეიძლება ქრისტეს მონად თქმა: „რადგან მონობისა და მეუფეობის სახელი ნიშნეულობაა არა ბუნებისა, არამედ – მიმართებითობათა, როგორც, აგრეთვე – მამობისა და ძეობის სახელი, რამეთუ ესენი გვიცხადებს არა არსებას, არამედ მოთვისეობას“ (დამასკელი, 2000, გვ. 414).

მაგრამ რა არის მოთვისეობა, იგივე მიმართებითობა?

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, საგნებს „ვახასიათებთ თვისებებისა და მიმართებების მეშვეობით“ (მჭედლიშვილი და ივანიძე, 2003, გვ. 72). თვისება ისეთი ატრიბუტია, რომლითაც შეგვიძლია დავახასიათოთ ცალკეული საგანი თავისთავად, სხვისგან დამოუკიდებლად. ჩვეულებრივ, თვისებას ვუწოდებთ ისეთ ატრიბუტს, რომელიც საგნისთვის განუყოფელი ან მეტ-ნაკლებად მდგრადი ნიშნეულობაა. მიმართება კი ისეთი ატრიბუტია, რომლითაც ხასიათდება არა ერთი საგანი სხვისგან დამოუკიდებლად, არამედ – მხოლოდ რამდენიმე საგანი ერთად აღებული. მიმართებითი ატრიბუტით ცხადდება ჩვენთვის სხვადასხვა საგანს შორის კავშირი, ურთიერთობა, დამოკიდებულება და ა.შ. არსებობს ორადგილიანი, სამადგილიანი და უფრო მეტადგილიანი მიმართებები, როდესაც წარმოჩენილია, შესაბამისად, ორ, სამ და მეტ საგანს შორის მიმართება (მჭედლიშვილი და ივანიძე, 2003, გვ. 72-73). აქედან გამომდინარე, „თვისებებს ვუწოდებთ ერთადგილიან, ხოლო მიმართებებს – მრავალადგილიან (ორ, სამ და ა. შ. ადგილიან) ატრიბუტებს“ (მჭედლიშვილი და ივანიძე, 2003, გვ. 73).

თვისებათა და მიმართებათა ამგვარივე დიფერენცირებაა წარმოდგენილი წმ. იოანე დამასკელის „დიალექტიკაშიც“ (დამასკელი, 1976, გვ. 112-114; 137-141). აღსანიშნავია, რომ „დიალექტიკა“ („ცოდნის წყაროს“ პირველი ნაწილი), იგივე „ფილოსოფიური თავები“, წინ უძღვის „გარდამოცემას“ („ცოდნის წყაროს“ მესამე ნაწილი) სწორედ იმიტომ, რომ მართებულად გავიგოთ „გარდამოცემაში“ წარმოდგენილი დოგმატური სწავლებანი „დიალექტიკაში“ განმარტებული ტერმინების მეშვეობით.

მაშასადამე, დამასკელის მიხედვით, რადგან მონობა არის არა ბუნებითი თვისება, არამედ ერთის მეორისადმი მიმართების წარმომჩენი, ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ ქრისტეს მონად თქმა არ შეგვიძლია. მართლაც, მართლმადიდებლური მოძღვრების მიხედვით, ქრისტე ერთი პირია, ერთი ჰიპოსტასია. მონობა კი, როგორც ითქვა, არ არის ისეთი ატრიბუტი, „რომლითაც შეგვიძლია დავახასიათოთ ცალკე აღებული საგანი სხვა საგნებისგან დამოუკიდებლად“ (მჭედლიშვილი და ივანიძე, 2003, გვ. 72). სწორედ ამიტომ, თუ ვიტყვით, რომ ქრისტე მონაა, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, გამოდის, რომ ის მონობის მიმართებაშია ვიღაც სხვასთან, მის მეუფესთან, რაც ნიშნავს იმას, რომ ქრისტე არ ყოფილა

ერთი. ეს კი სწორედ ნესტორიანული მომღვრებაა. ეს ყველაფერი უფრო ნათელი ხდება, თუ გავიხსენებთ იმავე წმ. იოანე დამასკელის სიტყვებს: „ესენი (იგულისხმება მონობა, მამობა, ძეობა და ა. შ. ანუ მიმართებითი ატრიბუტები – დეკ. გ. ბ.) არა მარტივად სათქუმელთაგანნი არიან, არამედ სხვსა მიმართად“¹ (დამასკელი, 2000, გვ. 213). როგორც ეს ციტატა განგვიმარტავს, მიმართებითი ატრიბუტები (ამ შემთხვევაში მონობა) მარტივის, ერთის, დამოუკიდებელი სუბიექტის მიმართ კი არ ითქმის, არამედ სხვის მიმართ. ქრისტე კი, მართალია, სხვადასხვაგვარი არის, მაგრამ არა სხვა და სხვა², როგორც ამას გვასწავლის წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი: „ქრისტეს ზედა არა სხუად და სხუად, არამედ სხუა და სხუა“ (წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი, ციტირებული წმ. ანასტასი სინელიდან, 2015, გვ. 294). ამიტომ ქრისტეს მონად თქმით, თუ ამ სიტყვას პირდაპირი მნიშვნელობით გამოვიყენებთ, ორად, სხვად და სხვად განიყოფა მაცხოვარი, როგორც ამას ასწავლიდა ნესტორი.

„გარდამოცემის“ ავტორის მიხედვით კი, ქრისტე პირდაპირი გაგებით არ არის მონა, არამედ ნართაულად ითქმის მასზე ეს: „ნართაულად ითქუმის მისთვის მონებად, ხოლო საკუთრებით იგი არა მონა არს“ (დამასკელი, 2000, გვ. 213).

მოყვანილი ციტატის აზრი უფრო მკაფიო რომ გახდეს, საჭიროა გავეცნოთ ისევ „დიალექტიკას“, რომლის ერთ-ერთ თავში, „სახელ-ნართაულთათვის“, ნათქვამია – არის სიტყვები, რომლებიც როგორც ფორმით, ასევე მნიშვნელობით მსგავსნიც არიან და განსხვავებულნიც და ისინი სინონიმებსა და ანტონიმებს შორისაა. ამ თავში ნართაული სახელების რაობის წარმოსაჩენად მოყვანილია სიტყვები: გრამატიკოსობა და გრამატიკოსი. შემდეგ განმარტებულია, რომ ეს სიტყვები ფორმით ზიარნიც არიან და განსხვავებულნიც, რადგან მხოლოდ დაბოლოებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ეს სიტყვები ფორმის მსგავსად, მნიშვნელობის მიხედვით ზიარნიც არიან და განსხვავებულებიც, რადგან, როგორც აღნიშნულია, გრამატიკოსობა მეცნიერებაა, ხოლო გრამატიკოსი ის, ვინც ფლობს ამ მეცნიერებას. უწყებულია ისიც, რომ თავად გრამატიკოსობა ან სიმართლე კი არ არის ნართაული სახელი, არამედ – გრამატიკოსი და მართალი. აგრეთვე ნათქვამია, რომ ნართაული სახელი წარმოაჩენს არსს, თუ რისგან არის მიღებული ეს (ნართაული) სახელი (დამასკელი, 1976, გვ. 103-104).

მაშასადამე, ქრისტეს კაცების შემთხვევაში ნართაული სახელი „მონა“ მომდინარეობს მონობიდან. მართლაც, თავად წმ. იოანე დამასკელი ამბობს, რომ ქრისტე, „უვნებოდ მყოფი, ჩვენს გამო ვნებულებებს დაემონა (ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ამ სიტყვას „დაემონა“ თავად დამასკელი იყენებს!) და გახდა მსახური ჩვენი ხსნისა“ (დამასკელი, 2000, გვ. 415). ვფიქრობთ, სრულიად ნათელია, რომ ამ სიტყვებში („ვნებულებებს დაემონა“) ქრისტეს რეალური ადამიანური ბუნების უყვედრელი ვნებებისადმი რეალურ დამონებაზეა (ცხადია, ვგულისხმობთ ნებაყოფლობით დამონებას) საუბარი და ეს დამატებით განმარტებას არ საჭიროებს.

როდესაც ვსაუბრობთ ქრისტეს კაცების მონობაზე, უნდა ითქვას ისიც, რომ, საეკლესიო სწავლების მიხედვით, ქრისტეს ადამიანური ბუნებით ღმრთისადმი მორჩილებაც (ანუ ნებაყოფლობითი მონობა) განეკუთვნება: „ხდება იგი მორჩილი მამისა, განკურნებს რა ჩვენს ურჩობას ჩვენგან ჩვენებრის მიღებით და მორჩილების ნიმუშად იქცევა ჩვენთვის“ (დამასკელი, 2000, გვ. 381); „მორჩილ იქმნა უფალი მამისა ვიდრე სიკუდილადმდე, და სიკუდილითა ჯუარისადათა. აწ უკუე მორჩილებად საქმე არს ნებისად. ხოლო მორჩილ იქმნა

¹ ამ შემთხვევაში შეგნებულად არ მოგვაქვს ახალქართული თარგმანი, რადგან ის მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც ჩვენთვის ცნობილი ბერძნული დედანისგან, ასევე წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელის თარგმანებისგან.

² აქ ჩვენ შეგნებულად ვყოფთ ერთმანეთისგან „და“ კავშირით სხვას და სხვას, რომ ნაგულისხმევი აზრი უფრო მკაფიო იყოს.

უფალი მამისა ვიდრე სიკუდილადმდე. ამას არა ღმრთეებისათვის იტყვს, არამედ კაცებისა. რამეთუ ღმრთეებით არცა მორჩილ არს, არცა ურჩ, ვითარცა წმიდად გრიგოლ ღმრთისმეტყველი იტყვს. რამეთუ მორჩილება ჯელმწიფებასა შინა მყოფთათვის ითქუმის, ხოლო ღმრთეებით ყოვლითურთ თანასწორ არს ძე მამისა. არამედ კაცობრივისა ბუნებისათვის ითქუმის, თუ მორჩილ იქმნა ვიდრე სიკუდილადმდე“ (წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი, 2007, გვ. 218-219); „ნეტარი პავლე მოციქული ამბობს: „გახდა მორჩილი ვიდრე სიკუდილადმდე, ჯვარზე სიკვდილადმდე“ (ფილიპ. 2:8). მორჩილება – ესაა არსებული ნების დათრგუნვა, არათუ არარსებულისა, რადგან პირუტყვზე, მაგალითად, მორჩილს ან ურჩს არ ვიტყვით. მაგრამ უფალი მორჩილი გახდა მამისა არა როგორც ღმერთი, არამედ როგორც ადამიანი, „რადგან იგი როგორც ღმერთი, არც მორჩილია და არც ურჩი, ქვეშევრდომთა თვისებაა რა ეს“, როგორც უთქვამს ღვთისმესიტყვე გრიგოლს (30-ე სიტყვა)“ (დამასკელი, 2000, გვ. 399).

მართალია, მონობასა და მორჩილებას შორის დიდია სხვაობა, რადგან შეიძლება ვინმე საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ იყოს ვიღაცის მონა, მორჩილი კი აუცილებლად ნებაყოფლობითი მონაა, მაგრამ ქრისტეს კაცების შემთხვევაში ჩვენ, ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ ვგულისხმობთ ნებაყოფლობით მონობას, იგივე მორჩილებას. ხოლო მორჩილი რომ მონადაც იწოდება, ამის უამრავი მაგალითი გვაქვს და ამ მხრივ საკითხის განვრცობის საჭიროება, რა თქმა უნდა, არ არის. შემოვიფარგლებით მხოლოდ ერთი, ყოვლადწმიდა მარიამის, მაგალითით. მართლაც, ღმრთისმოყვარე წმინდანებსა და ანგელოზებზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით ყველა ქმნილებაზე აღმატებული დედა ღმრთისა, წმინდა წერილის მიხედვით, მონაა უფლისა. ლუკას სახარებაში ნათქვამია, რომ ღმრთისმშობელი მთავარანგელოზ გაბრიელს უპასუხებს: „აჰა, მხევალი უფლისა, მეყავნ მე სიტყვსაებრ შენისა“ (ლკ. 1:38). სიტყვას „მხევალი“ სახარების ბერძნულ დედანში შეესაბამება η(η) δούλη (ეს სიტყვა მამრ. სქესში არის – ο(ο) δούλος) და ნიშნავს მდებარეობითი სქესის მონას. მაშასადამე, კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვიტყვით: როდესაც ვსაუბრობთ ქრისტეს მონობაზე, ცხადია, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობით მონობას, იგივე მორჩილებას, ვგულისხმობთ. იძულებით მონობას არც ნესტორი არ ამბობდა. იგი ხომ „მონის ხატში“ არა ძე ღმრთის კუთვნილ კაცებას მოიაზრებდა, არამედ ცალკე მყოფ მონას, რომელიც, ცხადია, ნებაყოფლობით მონად მიიჩნევდა მას.

აღსანიშნავია, რომ ეკლესიის წმინდა მამები მონის სხვა სინონიმს „მსახურსაც“ იყენებდნენ ქრისტეს კაცებასთან მიმართებაში. წმ. იოანე დამასკელი თავის დოგმატურ თხზულებათა შორის უთუოდ გამორჩეულ ნაშრომში „ერთ ქრისტეში ორი ბუნების თვისებათა შესახებ“ საუბრობს, რომ მაცხოვრის ბუნებათაგან თითოეული მეორესთან თანაზიარებით ნებელობდა და მოქმედებდა მას, რაც თითოეულისთვის ბუნებითი იყო. ამავე დროს, ქრისტეს ადამიანური ნება და მოქმედება ემსახურებოდა მისსავე საღმრთო ნებასა და მოქმედებას. იქვე ნაუწყებია, რომ ქრისტე ავლენდა ახალ და უჩვეულო ღმერთმამაკაცურ მოქმედებას – საღმრთოს, მაგრამ ადამიანურის მიერ მოქმედს და ადამიანურს, ღმრთისადმი მსახურებულსა და მისი თანაჰიპოსტასოვანი ღმრთეების განმაცხადებელს (Дамаскин, 1997, стр. 116).

თუ გავიხსენებთ „გარდამოცემაში“ ნათქვამს, რომ ქრისტეს მონად თქმა არ შეგვიძლია, რადგან მონობა მიმართებითობის წარმომჩენია და არა – ბუნებისა, ზუსტად იგივე შეგვიძლია ვთქვათ, მორჩილებასა და მსახურობაზეც. მართლაც, მორჩილებაც და მსახურობაც ნამდვილად მიმართებითი კატეგორიებია, რადგან არც მორჩილი და არც მსახური არ არის ისეთი გამონათქვამები, რომლებიც ცალკე აღებულ ერთ სუბიექტს დაახასიათებს. მორჩილი ხომ არ არსებობს ვიღაცის მიმართ დამორჩილების გარეშე და არც მსახური არ მოიაზრება სხვისადმი მომსახურების გარეშე. ამიტომაც, ცხადია, ქრისტეზე არ შეგვიძლია მორჩილისა და მსახურის პირდაპირი მნიშვნელობით თქმა, რადგან ქრისტე ერთია, ერთი ჰიპოსტასია. ერთი კი შეუძლებელია საკუთარი თავის მორჩილი ან უფალი, მსახური ან ბატონი იყოს. ამ აზრით მორჩილებასა და მსახურებას ისევ და ისევ ნესტორისეულ განყოფამდე მივყავართ.

უფლის მონობის შესახებ წმ. იოანე დამასკელი „გარდამოცემაში“ ასევე ამბობს: „თუ წარმოდგენაში გავმიჯნავთ ჭეშმარიტად განუყრელთ, ე. ი. [თუ გავმიჯნავთ] ხორცს სიტყვისგან, მაშინ ითქმება იგი „მონადაც“ და „უმეცრადაც“, რადგან მონური და უმეცრებითი ბუნებისა იყო და რომ არ შეერთებოდა ღმერთ-სიტყვას ხორცი, მონური იქნებოდა ის და უმეცარი, მაგრამ ღმერთ-სიტყვასთან ჰიპოსტასური შეერთების გამო აღარც მონა იყო და აღარც უმეცრებდა“ (დამასკელი, გვ. 450); „როგორც უმეცრებასთან დაკავშირებით გვითქვამს, თუკი დაწვრილმანებული განჩხრეკით, ანუ გონების ფაქიზი წარმოსახვებით განვყოფთ ქმნილს უქმნილისგან და თუ ხორცი არ იქნება შეერთებული ღმერთ-სიტყვასთან, მაშინ მონა იქნება იგი, მაგრამ ერთგვის ჰიპოსტასურად შეერთებული როგორღა იქნება მონა?“ (დამასკელი, გვ. 414-415).

მაგრამ რას ნიშნავს ქრისტეს ბუნებათა გონებით გამიჯვნა (წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელის მიხედვით: „წულილადი გულისცმის-ყოფა“, „უწულილადესი გონებისა ოცნება“, „წულილადი გონებისა განყოფა“, „წულილადი მოგონება“, „წულილნი ოცნებანი გონებისანი“, „წულილმომგონებლობითი განყოფილება“ და ა. შ.)?

ჩვენ ამჯერად წინამდებარე სტატიის ფარგლებში არ გადავალთ გონებისეული გამიჯვნის შესახებ ვრცელ მსჯელობაზე, რადგან საკითხი მრავალმხრივ განხილვას საჭიროებს. აქ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ, როდესაც წმ. იოანე დამასკელი და ეკლესიის სხვა წმინდა მამები საუბრობენ ქრისტეს ბუნებათა გონებით გამიჯვნაზე, ისინი მოიაზრებენ სუბსტანციურ, რეალურ, მყოფ, ჰიპოსტასოვან ანუ ქრისტესეულ ადამიანურ და საღმრთო ბუნებებს (დამასკელი, 1976, გვ. 170-171; Дамаскин, 1997, стр. 164; Леотий Иерусалимский, 2011, стр. 31-33). ეს კი, ცხადია, საპირისპიროა ბუნებათა საქმითი განყოფის წარმოსახვისა („ანტინესტორიანული ტრაქტატები“, 1997, გვ. 92; 143-144; Дамаскин, 1997, стр. 164), რადგან ეს უკანასკნელი, ფაქტობრივად, ბუნებათა ნესტორისეული განყოფილი მდგომარეობის ცრუწარმოსახვაა (ანუ არარსებული განყოფის ფანტაზიური წარმოსახვა). გონებითი გამიჯვნის შემთხვევაში კი ქრისტეს ბუნებები განუყოფლად განიყოფა (ე. ი. მხოლოდ გონებით განიყოფა და არა საქმით), რაც იმას ნიშნავს, რომ გონება განყოფს, მიჯნავს, განასხვავებს ერთმანეთისგან ბუნებებს, რათა გონებით შევიმეცნოთ ის თვისებები, რომლებიც ქრისტეში თითოეულ ბუნებას თავისთავად აქვს.

გონებით განყოფა აბსოლუტურად განსხვავდება საქმით განყოფილ ბუნებათა გონებით წარმოსახვისგან, რადგან სულ სხვაა ცოცხალ ადამიანში სულისა და ხორცის გონებით გამიჯვნა ერთმანეთისგან („ანტინესტორიანული ტრაქტატები“, 1997, გვ. 92; Свт. Кирилл Александрийский, 2010, стр. 29-30) და სულ სხვა – უკვე ერთმანეთისგან განყოფილი სულისა და ხორცის წარმოსახვა, ვინაიდან პირველი ცოცხალ ადამიანს გულისხმობს, მეორე კი – გარდაცვლილს.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას ისიც, რომ ყოვლადწმიდა სამების ყოვლადგანუყოფელი ჰიპოსტასებიც მხოლოდ გონებით განიყოფა ერთმანეთისგან (დამასკელი, 2000, გვ. 333; ეფთვიმე მთაწმიდელი, 2007, გვ. 180), მაგრამ ამაში არანაირად არ მოიაზრება სამების ჰიპოსტასთა საქმითი განყოფის ცრუწარმოსახვა.

მაშასადამე, როდესაც ვსაუბრობთ ქრისტეს მარადიულად განუყოფელ ბუნებათა გონებით გამიჯვნაზე, განვიხილავთ ქრისტეს კაცებას და ქრისტეს ღმრთეებას და არა ძე ღმერთისგან საქმით განშორებულ, ცრუ, არაჰიპოსტასოვან, ფანტაზიაში წარმოსახულ არარსებულ კაცებას.

საბოლოოდ რომ შევაჯამოთ ყოველივე ზემოთქმული, ჩვენ, მართლმადიდებელი ქრისტიანები, არ უნდა დავემსგავსოთ – როგორც წმ. ანასტასი სინელი იტყვის – ცალთვალა ადამიანების მსგავს მწვალელებს, რომლებიც წმინდა მამათა გამონათქვამების ერთ ნაწილს ეთანხმებიან, ხოლო მეორეს უგულვებელყოფენ (წმ. ანასტასი სინელი, 2015, გვ. 247), არამედ თანასწორად უნდა მივიღოთ „მართლმადიდებელი სარწმუნოების ზედმიწევნითი

გადმოცემის“ ზემომოხმობილი სწავლებები: ერთი მხრივ, ის, რომ „არც მისი (ქრისტეს – დეკ. გ. ბ.) მონად თქმა ძალგვიძს“ (დამასკელი, 2000, გვ. 414); „ვინც მონად ამბობს ქრისტეს, იგი, ნესტორის მსგავსად, ორად ყოფს ერთ ქრისტეს“ (დამასკელი, 2000, გვ. 415) და, მეორე მხრივ, ის, რომ ქრისტე „ჩვენს გამო ვნებულებებს დაემონა და გახდა მსახური ჩვენი ხსნისა“ (დამასკელი, 2000, გვ. 415). ამ სწავლებებიდან რომელიმე ნაწილის უარყოფა, რა თქმა უნდა, მართლმადიდებლური მოძღვრების უარყოფაა. შესაბამისად, დასკვნა ერთია, რომ წმ. სოფრონ იერუსალიმელისა და წმ. იოანე დამასკელის სწავლებები არათუ ეწინააღმდეგება, არამედ ერთი მართლმადიდებლური მოძღვრების ორ სხვადასხვა, ერთმანეთის შემავსებელ ასპექტს წარმოაჩენს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

ლიტერატურა:

1. ანტინესტორიანული ტრაქტატები არსენი ვაჩეს ძის „დოგმატიკონში“. (1997). თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. ახალი აღთქუმა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი. (2011). თბილისი. ალილო.
3. ბიბლია. (2015). თბილისი. ალილო. ქრონიკონი.
4. მჭედლიშვილი, ლ. და ივანიძე, ნ. (2003). ლოგიკა. თბილისი. ჯისიაი.
5. წმ. ანასტასი სინელი (2015). წინამძღუარი, დოგმატიკონი I. თბილისი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
6. წმ. იოანე დამასკელი (1976). დიალექტიკა. თბილისი. მეცნიერება.
7. წმ. იოანე დამასკელი (2000). მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა. თბილისი. თბილისის სასულიერო აკადემია.
8. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი (2007). წინამძღუარი (სარწმუნოებისათვის). თბილისი. არტანუჯი.
9. The Greek New Testament (1994). Printed in Germany by Biblia-Druck. D-Stuttgart.
10. Леонтий Иерусалимский (2011). Патристика. Краснодар. Текст.
11. Преп. Иоанн Дамаскин (1997). Христологические и полемические трактаты, слова на Богородичные праздники. Православный свято-тихоновский богословский институт. Мартис.
12. Преп. Максим Исповедник (2006). О различных недоумениях у святых Григория и Дионисия (амбигвы). Москва. Институт философии, теологии и истории св. Фомы.
13. Свт. Кирилл Александрийский (1890). Толкование на пророка Исаию. Москва. МДА.
14. Свт. Кирилл Александрийский (2010). Два послания к Суккенсу, епископу Диокесарийскому. *Богословский вестник*. № 10. Сергиев Посад. Московская Духовная Академия и Семинария.
15. Свт. Кирилл Александрийский (2011). Толкование на Евангелии от Иоанна. Том 1. Москва. Сибирская благовонница.

წყაროები:

1. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრი, ხელნაწერი A-1.

Archpriest Giorgi Berishvili, Tbilisi Theological Academy and Seminary

The Theological Analyses of the Words of Saint Sophron of Jerusalem – God Becomes a Servant

Summary

Saint Sophron of Jerusalem in his homily ‘annunciation’ says about Christ that God becomes a servant. Savior was called as a servant still in the Old Testament by Prophet Isaiah. Apostle Paul in his epistle says that the Son of God assumed the form of a servant. Both, Prophet Isaiah’s and Apostle Paul’s words about slavery are intended to the Savior’s manliness by Saint Fathers. Corresponding to them Saint Sophron mentions that God becomes a servant.

Saint John of Damascus in his ‘Exact Expositions of the Orthodox Faith’ teaches us that we can’t call Christ the servant, but who does it, he divides one Christ into two parts as Nestor did. On the first sight we’ll probably think that there is the resistance between these two Saint Fathers’ words, but it is not true. When John of Damascus says that we can’t call Christ the servant and he also explains that slavery isn’t natural property, but it shows relativity. It is known as attribute which can’t characterize one independent subject. It shows relativity of two or more different subjects. For these Christ is one and He can’t be His own servant.

The word ‘servant’ called to Christ is used indirectly to His human nature. As saint Johan Damascus says, He became the minister of human salvation and He was obedient to His Father.

გიორგი კალანდაძე, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წმიდა გაბრიელ მცირის ნაშრომი „ჯუარშემოსილი“ (ინგლისის ბოდლეს ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერის მიხედვით)

წინამდებარე ნაშრომით შევეცადეთ გაგვეღრმავებინა ცოდნა XVIII საუკუნეში მოღვაწე ქართველი წმიდა ბერის გაბრიელ მცირის და მისი შემოქმედების, კერძოდ კი ორიგინალური თხზულების - „ჯუარშემოსილის“ - შესახებ.

წმიდა გაბრიელ მცირის შემოქმედების და კონკრეტულად მისი ორიგინალური ნაშრომის „ჯუარშემოსილის“ კვლევის დაწყებამდე საჭიროდ მივიჩნიეთ მოგვეძიებინა ინფორმაცია ამ დიდი მოღვაწის ცხოვრებისა და საქართველოს იმჟამინდელი ვითარების შესახებ.

ქართულმა სასულიერო მწერლობამ არსებულ ტრადიციებზე დაყრდნობით XVIII საუკუნეშიც განავრცო მუშაობა. იმ დროს ერთ-ერთი სამოღვაწეო კერა იყო გარეჯის მრავალმთის კომპლექსი, სახელდობრ, დავით გარეჯისა და იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრები. მათში აქტიურად მიმდინარეობდა ლიტერატურულ-

საგანმანათლებლო საქმიანობა. ამ მონასტრებში მრავალმა სასულიერო თუ საერო მოღვაწემ მიიღო განათლება. შემდგომში ისინი აქტიურად ჩაერთვნენ საქვეყნო საქმიანობაში. XIX საუკუნის დასაწყისში, „10-იან წლებში, გარეჯში იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრის ძმათა კრებული იმდენად გაძლიერდა, რომ თავისი შესაძლებლობებით დავითის ლავრასაც კი გაუსწრო“ (ლოლაშვილი, 1982, გვ. 45).

სწორედ გარეჯის მრავალმთის ლიტერატურული სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში მოღვაწე ბერი, წმიდა გაბრიელ მცირე. მის შესახებ არცთუ მრავალი ცნობა მოიპოვება. ერთი მათგანი არის „გვრგვნის“ 1815 წლის 3 აპრილით დათარიღებულ ხელნაწერზე მეფე გიორგის მის, ბაგრატიის, მინაწერი, რომელიც გვამცნობს: „ესე წმიდაა სულისა გვრგვინი აღწერილი არს გაბრიელის მიერ მღვდელ-მონაზონისა, რომელიცა იყო მოწესე წმიდისა იოვანე ნათლისმცემლის მრავალმთის მონასტრისა, რომელმანცა გამოკრიბნა მრავალთაგან საღმთოთა მამათა წერილებთაგან წმიდანი ესე სწავლანი და შეაწყო ერთად სარგებლად ცოდვილთა სინანულისათვის, ხოლო ესე ნეტარი გაბრიელ იყო მცხოვრები თფილისით მოქალაქეთაგანი და კელოვნებითა მკერვალი, რომელმანცა დაუტევა ღვთისა სიყუარულისათვის სახლი, დედა და ძმანი და მეგობარნი თვისნი და ყოველი მონაგები და წარვიდა მონასტერსა ზემოხსენებულსა. და აღიკვეცა და იქმნა მონაზონ და ისწავლნა სამღთონი წერილნი შეწევნითა და ნიჭითა სულისა წმიდისათა და ფრიად ღვაწლსა და მარხვასა შინა, რომლისაგა სათნოებანი არცა თუ რიცხვითა შესაძლებელ არს აღწერად. ხოლო კეთილისა მოძულემან ეშმაკმან, იხილა რა სათნოება ამა წმიდისა მამისა მაღალნი, ვერა დამთმენი, ისწრაფდა ფრიად ვნებასა და დაბრკოლებასა მისსა ესევითართა კეთილთაგან, გარნა უქმ იქმნა სივერაგე მისი. და ამისა ძლითა აღძრა გული მთავარდიაკონისა იოვანე ჩუბინისძისა, რომელიცა მას ჟამსა შთასრულ იყო ტფილისით მონასტერსა მას შინა, რათა განატაროს მოღვაწეებითა დღენი წმიდათა დიდთა მარხვათანი. გარნა აღძრა იგი დიაკონი ყოვლადბოროტმან ეშმაკმან და მარადის აგონებდის ცოლსა და შვილთა და მიქცევად სახიდ [თვისად], რომელმანცა ვერღარა უძლო მონასტერსა მას შინა ყოფა და აიძულა წმიდასა ამას ღმრთისასა გაბრიელს რეცა მოგზაურობად მისთანა ტფილისამდის და ამისთვის დასდვა სული თვისი მეგობრისათვის, მსგავსად მორჩილმან წმიდისა სახარებისამან. ხოლო წარმოსრულთა მუნით, მივიდნენ მრავალ-წყაროსა ხევსა შინა და მუნ დახვდენ ლეკთა მხედრობანი. ხოლო ესე წმიდა მამა გაბრიელ მათ მიერ მოიკლა და შეირაცხა იგი რიცხვსა წმიდა მღვდელმოწამეთასა“ (სეა, საისტორიო ც/ა 1446/121, გვ.478).

საყურადღებოა ასევე „ჯუარშემოსილში“ არსებული ცნობა: „აღმწერელი წიგნისა ამის მღვდელ-მონაზონი გაბრიელი, გვირგვინითა მოწამეთათა შემკობილი, აღჯდა წინაშე ქრისტესა და იოანე დიაკონიცა მისთანავე. აღესრულნეს ესრეთ: რამეთუ სნეულება რამდე შეემთხვა მონასტერსა შინა მყოფსა გაბრიელს და გამოვიდა სოფლად, რათა განთავისუფლდეს სნეულებისაგან. და ვითარ განთავისუფლდა, თანა წარიყვანა დიაკონი იოანეცა. და ვითარ მოილოცეს ორივე მონასტერი და მხსურპლი შესწირეს ერთად. და მესამესა დღესა თვთ შეიწირნეს ღმრთისა გამოსრულნი მონასტრით უსჯულოთა ლეკთაგან, გაბრიელ – თავმოკვეთით და იოანე – თოფით. აღსრულდეს თთუჭსა მარტსა, ია (11), სამშაბათსა“ (ხეც Rt, XVIII, 2, გვ. 240).

წმიდა გაბრიელ მცირის მონასტერში მისვლისა და ბერად აღკვეცის შესახებ აღსანიშნავია მის მიერვე მოცემული ცნობა: „იყო ამას მონასტერსა შინა დიდცქემოსანი ყოვლადღირსი და ყოვლადპატიოსანი სერაპიონ, რომელი მცირედ წინათ ჩემისა აქა მოსლვისა აღესრულა“ (ხეც Rt, XVIII, 2, გვ. 137). მამა სერაპიონი გარდაიცვალა 1773 წელს. ამდენად, ცხადი ხდება, რომ: გაბრიელ მცირე 1773 წლის ახლო ხანებში მისულა მონასტერში.

ივანე ლოლაშვილის მიხედვით, იგი იმ დროს 20-25 წლის ყოფილა, მაგრამ ამ ცნობის დოკუმენტური წყარო არ არის მითითებული.

წმიდა გაბრიელს ლიტერატურული საქმიანობა 1780 წლიდან დაუწყო (კეკელიძე, 1951, გვ. 372.) მას ჯერ არსებული ხელნაწერები გადაუწერია; მაგალითად: ანტონ I კათოლიკოსის „კატელორია. სიმეტნი“ (ხეც A-233, 1781 წ.), „სამადლობელი პარაკლისი“ (ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი K-385, 1785), პარაკლისთა კრებული (ხეც H-2406, 1785 წ.), მიქაელ სვიმონწმიდელის, იოანე დამასკელისა და მიხაილ სვინკელის თხზულებები (ხეც A-240, 1791 წ.), „მცირე სჯულისკანონი“ (ხეც A-229, 1791 წ.), გრიგოლ ჰრომთა პაპის „დიალოღონი“ (ხეც A-238, 1793 წ.), პარაკლისთა კრებული (ხეც A-1418; 1800 წ.) და სხვა. როგორც ჩანს, მას გამოჩენილ საეკლესიო მამათა მიერ ადრევე შექმნილი ნაფიქრალ-ნააზრევი იტაცებდა. სწორედ ამგვარი ტექსტების საფუძველზე, როგორც რედაქტორ-შემოქმედმა, შეადგინა XVIII-XIX საუკუნეებში ერთობ ცნობილი წიგნები: „გვირგვინი“ (ხეც A-228, 1795 წ.), „სამოთხის ყუავილი“ (ხეც S-128, 1796 წ.), „ოქროს წყარო“ (ხეც S 3650, 1795 წ.), „სუფევა“ (ხეც H-906, 1798 წ.), „კლიტე“ (ხეც S-127, 1794 წ.), „სამასეული“ (ხეც A-224, 1797 წ.) და „მანანა“ (ხეც H-1748, XVIII ს.). ამ კრებულთა სტრუქტურა გაბრიელ მცირეს მათზე მუშაობის დაწყებამდე ჰქონდა გააზრებული. კრებულები იმგვარადაა შედგენილი, რომ დედააზრი კარგად აღწევს მკითხველის გონებამდე და გულამდე და მეხსიერებაში წარუშლელად რჩება. კრებულების აგებულება იმდენად მტკიცეა, რომ რაიმეს დამატება ან გამოკლება არღვევს წიგნის სტრუქტურულ ერთიანობას. ხელნაწერებს უმეტესწილად ერთვის „ბეჭედი“, რომელშიც განმარტებულია კრებულის შედგენის თავისებურებები და მისი სიმბოლური მნიშვნელობა.

წმიდა გაბრიელ მცირე ასევე ორიგინალურ სასულიერო თხზულებებსაც ქმნიდა. მათ შორისაა: „მღუდელმთავრისა ლიტურდიისა განმარტებაჲ სახისმეტყველებითი“ (ხეც A-884, 1792 წ.), „სულიერნი თხრობანი სულთა ღმრთისმოყვარეთანი“, „ცხოვრება და მოღვაწეობა ღირსისა მამისა ჩვენისა სქემოსან ონისიფორესი“ (ხეც H-436) და სხვა. ხსენებული ნაწარმოებები მოგვიანებით მან ერთ მთლიანობად შეკრა და ამ კრებულს „ჯუარშემოსილი“ უწოდა. ეს ნაშრომი წმიდა გაბრიელმა თავისი მოწამებრივი აღსასრულიდან (1802 წ.) მცირე ხნით ადრე დაასრულა. მასში შემავალ ტექსტებს ქვემოთ სათითაოდ განვიხილავთ.

„ჯუარშემოსილი“ შედგება ოთხი ძირითადი განყოფილებისგან: 1. განმარტება ლიტურდიისა; 2. განმარტება მამაო ჩვენოსა; 3. განმარტება მაზარის კურთხევისა და 4. თხრობა სულიერ მამათა. ხელნაწერს დასაწყისში ერთვის წინასიტყვა (ხეც Rt, XVIII, 2). იგივე ტექსტი ფრაგმენტულად, მხოლოდ ორაზნაგ-ნახევარი, საქართველოს ეროვნულ არქივშია დაცული (N 226).

„ჯვარშემოსილის“ პირველი განყოფილება მოიცავს ტექსტს სახელწოდებით: „ღმრთივშვენიერებით მღუდელმთავრის ლიტურდიისა განმარტებაჲ სახისმეტყველებითი, ვითარმედ ყოველსა მღუდელ-შვენიერებით მოქმედებასა მისსა საიდუმლობითი ძალი უპყრიეს“. ტექსტი 1990 წელს დაიბეჭდა ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის „სამეცნიერო შრომების კრებულში“; 1992 წელს ფრაგმენტულად - ჟურნალ „ჯვარი ვაზისას“ მეოთხე ნომერში; 1996 წელს - ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაში“; 1999 წელს - წიგნში: „წყაროები გარეჯის მრავალწყაროდან“, 2017 წელს კი ტექსტი გამოსცა გამომცემლობა „მთაწმინდამ“. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ამ ნაშრომის არაერთი ხელნაწერია დაცული:

A 228 - ავტოგრაფია. გადაწერა დასრულებულა 26.4.1795. ტექსტი განთავსებულია გაბრიელ მცირის მიერ აღწერილ წიგნ „გვირგვინის“ 198-221 ფურცლებზე. ის წმიდა გაბრიელ მცირეს სტეფანე ნინოწმიდელ-რუსთველი ეპისკოპოსისთვის მიუძღვნია.

A 802 - გადაწერა დასრულებულა 1815 წლის 12 ივლისს; თავნაკლულია. ანდერძი: „აღვწერე ესე ლიტურდიის განმარტება ცოდვილმა დეკანოზმა იოსებმა, რომელი ყოველთა მხილველთა მიერ შენდობასა ვითხოვ. დაიწერა ივლისისა იბ, ქრისტეს აქეთ ჩყიე“. „ამ

სოფელს არა დამრჩა რა ჩემსა მოსაგონებლად, ვინც ამას წაიკითხემდეთ, შენდობას მიბძანებდეთ“ (30r).

A 884 - ავტოგრაფია. გადაწერა დასრულებულა 10.7.1792.

A 1568 - ავტოგრაფია. გადაწერა დასრულებულა 15.7.1792. ის წმიდა გაბრიელ მცირეს მეუფე იოანესთვის მიუძღვნია.

H 423 - კრებულია. გადაწერა დასრულებულა 1842 წლის 9 აპრილს. არის მხედრულად დაწერილი, სათაურები - სინგურით. პირველ ნაწილში შედის „ლიტურგიის განმარტება“.

H 483 - XIX საუკუნე. ლურჯი ქაღალდზე, მხედრულად. დაუწერელია 1v, 13r-14v. 2r-12v უკავია ტექსტს „ლიტურგიის განმარტებისა“.

H 1433 - ეს ხელნაწერი არის გაბრიელ მცირის სულიერი შვილის - პორფირის - გადაწერილი პირი. ანდერძი: „აღვსწერე მცირე ესე პარაკლისი და ლიტურდიის განმარტებაჲ მორჩილებითა მამისა ჩემისა გაბრიელისათა, ცოდვლმან იეროდიაკონმან პორჭირი“. გადაწერა დასრულებულა 29.12.1795.

Q 330 - გადამწერია დიაკონი ალექსი ბაქრაძე, დაუსრულებია 1861 წლის 18 სექტემბერს. გადაუწერია მწყემსმთავარ იოანეს ბრძანებით.

Q 654 - გადამწერია ხუცესი სვიმონ. გადაწერა დასრულებულა 1797 წელს. გადაუწერია მღვიმის წინამძღვრის, არხიმანდრიტ იოანესთვის (ხეც 238 r), მღვიმის მაცხოვრის წიგნი. გვ. 114-238, ერთვის ლექსიკონი ხუცურად.

Q 718 - უთარილოა, სავარაუდოდ, XVIII საუკუნის დასასრულისა.

Q 828 - გადაწერა დასრულებულა 1837 წლის 11 თებერვალს (58 r). ტექსტი განთავსებულია 47v-48r გვერდებზე.

Q 1061 - 29.[..].1995. ლიტურგიის განმარტება განთავსებულია 31r-45v.

Q 1617 - უთარილო. სავარაუდოდ, დაწერილი უნდა იყოს XVIII საუკუნის მიწურულს. კრებული სხვადასხვა ხელწერითაა შესრულებული. ლიტურგიის განმარტება არაავტოგრაფულია, ხოლო 25-32 გვერდები გაბრიელ მცირის ხელით არის შესრულებული და მათზე მისი ხელმოწერაა.

S 2582 - ასლი, ჭვირნიშანი, 1786. XIX საუკუნის დასაწყისი. აქვს მინაწერები სომხურად.

S 2801 - XIX საუკუნის დასაწყისი, ბოლონაკლული, არ აქვს თარიღი და ანდერძი.

S 2432 - XIX საუკუნის ხელნაწერია, სახელწოდებით „გუბე“. 221r-229v გვერდებზე მოცემულია „ლიტურგიის განმარტება“.

S 5182 - ანდერძი: „ყოვლადპატიოსანო და ღირსნო მღუდელნო და შემომწირველნო უსისხლოსა ამის მსხუერპლისანო და მსახურნო. მე თქუენ მიერ მონიჭებულისა ამის სულისა წმიდისა მინდობითა მღუდელთმთავრისა ქრისტესი და მაგალითი მისი აღსრულებული სახისმეტყველებითი აღვსწერე ეკლესიის ალავერდის დედანსა ზედა და მოგიძღვნით, შეიწირეთ სახსენებელად სიგლახაკისა ჩემისა, რათა რაჟამს აღესრულოს და აღასრულებდეთ ღმერთსმყოფელისა ამის საიდუმლოსა, მომიხსენებდეთ მეცა ღირსებისა თქვენისა მსასოებელი, უღირსი მღუდელი იაკობ ლომისძე. შეწევნითა ღმრთისათა აღიწერა ხელითა მღუდლის იაკობ ლომისძისათა, ქალაქსა შინა ვლავდის კავკაზს, მაისის 5 დღესა, 1823 წელსა“. ჭვირნიშანი - 1818.

ასევე ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია XIX საუკუნის ორი ნუსხა - ნომრებით K 309 და K 478. არც ერთი არ არის ავტოგრაფი. K-478-ში ტექსტი ბოლონაკლულია და განთავსებულია 2r-5v-ზე.

ამ ხელნაწერებიდან სამს - A-884, A-1568, A-228 - ბოლოში ერთვის ტექსტი (მიძღვნა):

A-884 - „ყოვლად უსამღვდელოესო და ყოვლად ბრწყინვალეო მეუჭეო, სახიერო და მაგალითო ქეშმარიტისა მის მწყემსისაო. ვითარცა მან, მამისაგან გამომავალი სული წმიდა მოუვლინა მოციქულთა, ეგრეთვე მოციქულებრთა ჰელთა თქვენთა დასხმითა ჩემდა

მონიჭებულისა სულისა წმიდისა მინდობითა მღუდელმთავრობისა თქვენისა შესაბამი ესე შესხმადა სახისმეტყველებითი აღვსწერე, ვითარცა თქვენ შორის დამკვიდრებულმან სულმან მამცნო. და თქვენდავე მოგიძღვნი, შეიწირე, მეუფეო წმიდაო, სახსენებელად სიგლახაკისა ჩემისა. რათა რაჟამს აღასრულებდე ღმერთ-მყოფელსა ამას საიდუმლოსა, მომიხსენო მეცა მსასოებელი სიწმიდისა თქვენისა ყოვლად უღირსი იერომონახი გაბრიელი“ 10.7.1792.

A-1568 - „ყოვლად უსამღვდელოესო და ყოვლად ბრწყინვალეო, ყოვლადვე სავსეო სულითა წმიდითა მეუფეო წმიდაო იოანე, სამღთოდ ტრფიალ ვიყავ, რათამცა მეხილვა დღე ეგე შენისა კურთხევისა და განმეხარა სულითა. ვინაფთაჲ ცოდვათა ჩემთათვის ვგდივარ უდაბნოსა შინა დილეგსა და ვერ ვეწიფე, რამეთუ შორს ვიყავ ჯორცითა, არამედ მახლობელ სულითა და გონებითა. და გონებისა ჩემისა თუალნი ფრთოვან ვჰყვენი და გხედვედი წინაშე ჩემსა დიდებულისა ამის საიდუმლომსა აღმასრულებელად. და ესე მცირე რამე მღუდელმთავრობისა თქვენისა შესაბამი სახის-მეტყველებად აღვსწერე, ვითარცა შენ შორის დამკვიდრებულმან სულმან მამცნო. და შენდავე მოგიძღვნი, მომლოცველი მეუფეო წმიდაო, სახსენებელად სიგლახაკისა ჩემისა. რათა რაჟამს აღასრულებდე ღმერთ-მყოფელსა ამას საიდუმლოსა, მომიხსენო მეცა მსასოებელი სიწმიდისა თქვენისა ყოვლად უღირსი იერომონახი გაბრიელი“ 15.7.1792.

A-228 - „ყოვლად უსამღვდელოესო და ყოვლად ბრწყინვალეო მეუფებისა გვირგვინო, ნამდვილვე სავსეო სულითა წმიდითა სტეჰანე! სამღთოსა ტრფიალებითა სურვიელ ვიყავ, რათამცა მეხილვა დღე ეგე შენი და განმეხარა. ჰე, თუმცა მეხილვა პირი შენი, ვითარცა პირი ანგელოსისა. ვინაფთაჲ ცოდვათა ჩემთათვის ვგდივარ უდაბნოსა შინა დილეგსა და ვერ ვეწიფე, რამეთუ შორს ვიყავ ჯორცითა, არამედ მახლობელ სულითა და გონებითა. და გონებისა ჩემისა თუალნი ფრთოვან ვჰყვენი და გხედვედი მარჯულ ჩემსა დიდებულისა ამის საიდუმლომსა აღმასრულებელად. და ესე მცირე რამე მღუდელმთავრობისა თქვენისა შესაბამი სახის-მეტყველებად აღვსწერე, ვითარცა შენ შორის დამკვიდრებულმან სულმან მამცნო. და [შე]ნდავე მოგიძღვნი, მეუფეო წმიდაო, სახსენებელად სიგლახაკისა ჩემისა, რათა რაჟამს აღასრულებდე ღმერთ-მყოფელსა ამას საიდუმლოსა, მომიხსენო მეცა მსასოებელი სიწმიდისა თქვენისა ყოვლად უღირსი იერომონახი გაბრიელი“ 26.4.1795.

გაბრიელ მცირის ნაშრომის „ლიტურდიისა განმარტებაჲ სახისმეტყველებითი“ ყველაზე ადრეული ხელნაწერი, რომელიც სიძველეთსაცავებში იძებნება 1792 წლის 10 ივლისითა დათარიღებული (ხეც A-884). ეს თხზულება წმიდა გაბრიელს „ჯუარშემოსილის“ შედგენამდე, სულ მცირე, ცხრა წლით ადრე ჰქონდა დაწერილი. რაც შეეხება მის შინაარსობრივ მხარეს, კორნელი კეკელიძე ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ავტორს გამოუყენებია მის დრომდე ქართულად ნათარგმნი თხზულებები გერმანე კონსტანტინეპოლისისა (ხეც A-432, A-450, A-691) და სვიმეონ სოლუნელის ან თესალონიკელისა“ (ხეც A-642; კეკელიძე, 1951, გვ. 372.) ამ თხზულებებთან გარკვეულ სიახლოვეს გაბრიელ მცირის ნაწარმოები ამჟღავნებს, თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ლიტურდიისა განმარტებაჲ სახისმეტყველებითი“ სრულიად ორიგინალური ნაშრომია.

მეორე განყოფილება „ჯუარშემოსილისა“ მოიცავს ტექსტს სახელწოდებით: „განმარტება მამაო ჩვენოსა, თუ ვითარ ვართ შვილნი ღმრთისანი“. გაბრიელ მცირის ეს ნაშრომი სხვა ხელნაწერებში არ გვხვდება. იგი მხოლოდ „ჯუარშემოსილშია“ წარმოდგენილი.

შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით წმიდა გაბრიელი აღნიშნავს: „მრავალთა წმიდათაგან არს განმარტებულ საუფლო იგი ლოცვაჲ. და არღარა არს საჭირო ჩემისა სიმდაბლისაგან მისისა სიმაღლისათვის მეტყველებად, რამეთუ ჰსთარგმნა იგი გრიგორი ნოსელმან მალად და შვენიერად და იოანე ოქროპირმან ვრცელად და პატიოსნად. და მაქსიმე აღმსარებელმან კეთილ დიდებულად და კვალად წერილ არს სამ ნაწილედსა და კათეხიზმოსა შინა. და კვალად ორი არს ლოცვისა მსგავსად თქმული. და არიან სხუანიცა

ესევე იტარნი“. შემდეგ გაბრიელ მცირეს მისი სულიერი შვილი პორფირი ეუბნება: „ეგე ყოველი მიხილავან შეწევნითა ღმრთისათა, რომელნიცა არიან ვრცელნი“ (ხეც Rt, XVIII, 2, გვ. 44-45) და სთხოვს წმიდა გაბრიელს, რომ განუმარტოს მამაო ჩვენო მოკლედ. გაბრიელ მცირემ „განმარტება მამაო ჩვენოსა“ შექმნისას, სავარაუდოდ, ისარგებლა მის მიერვე ნახსენები თხზულებებით.

მესამე განყოფილებაში „ჯუარშემოსილისა“ შედის ნაშრომი სახელწოდებით: „განმარტება მაზარის კურთხევისა თუ ვითარ შეესწორების გვირგვინის კურთხევისა“. ეს ნაშრომი სხვა ხელნაწერებში არ არის.

მეოთხე განყოფილება „ჯუარშემოსილისა“ მოიცავს ნაშრომს სახელწოდებით: „ღმრთივსულიერნი თხრობანი სულთა ღმრთისმოყვარეთა ფრიად სარგებელნი“ (ფრაგმენტულად გამოსცეს გრიგოლ ფერაძემ (ფერაძე (1934), *ჯვარი ვაზისა*. N4 გვ. 7-30) და ივანე ლოლაშვილმა (ლოლაშვილი, 1965, გვ. 119-141; ლოლაშვილი, 1982, გვ. 121-142). 2002 წელს უკვე სრული სახით გამოაქვეყნა ზაზა სხირტლადემ (სხირტლადე, 2002). თუ ეს თქვენთვის მისაღებია, გთხოვთ ამის მიხედვით გავასწოროთ იგივე ლიტერატურაც ამ თემაზე.

ხელნაწერს არშიაზე მიჰყვება დანომვრა ასომთავრულად და არაბული რიცხვებით. ასომთავრულით დანომრილია 25 თხრობა სხვადასხვა წმიდა მამაზე. ხელნაწერს ბოლოში ერთვის ზანდუკი, რომელშიც წარმოდგენილია ასომთავრული ნუმერაცია და მითითებულია ის წმიდა მამა, ვისზედაცაა იმ ადგილას თხრობა. არაბული ციფრებით კი დანომრილია თხრობებში გადმოცემული სასწაულები, რომელთა ოდენობა ჯამში ორმოცია.

ამავე განყოფილებაშია: „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ცქემოსან ონისიფორესი“ (ლოლაშვილი, 1965, გვ. 141-149; ლოლაშვილი, 1982, გვ. 142-150). შემდეგ გამოსცეს მიხეილ ქავთარიამ და ენრიკო გაბიძაშვილმა (ქავთარია და გაბიძაშვილი 1989, გვ. 109-122). შემდეგ გამოიცა: „მწიგნობრობა ქართულში“ (ქავთარია, 2007, გვ. 492-504).

ამ თხრობასთან დაკავშირებით გაბრიელ მცირე გვამცნობს: „ვეწიფე და ვიხილე თუალთა ჩემითა ყოვლადპატიოსანი მამა ცქემოსანი ონისიფორე, რომლისა ცხოვრება და მოქალაქობა უვრცელესად აღვსწერე სხვათა მიერ ბრძანებითა, იეროდიაკონებასა ჩემსა, ოდეს იგი ნეტარი აღესრულა“ (ხეც Rt, XVIII, 2, 137). ესე იგი წმიდა გაბრიელს ონისიფორეს ცხოვრება სხვათა ბრძანებით დაუწერია იეროდიაკონობის დროს.

წმიდა ონისიფორე გარდაიცვალა 1786 წლის 6 იანვარს (ძვ. სტ.), როგორც თვით წმიდა გაბრიელი აღნიშნავს. მამა ონისიფორეს გარდაცვალების თარიღის შესახებ არსებობს სხვა წყაროც. იგი ხელნაწერის „შიოდსა და ხუთთა მონაზონთა ცხოვრება“ (ხეც A 1367) გარეკანზეა მიწერილი და ზუსტად ემთხვევა გაბრიელ მცირის ცნობას.

„ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ცქემოსან ონისიფორესი“, სავარაუდოდ, 1786-1787 წლებში უნდა იყოს დაწერილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ხელნაწერი სიძველეთსაცავებში არ იძებნება. ხსენებული თხზულება გვხვდება H-436 (ხეც) ნომრით დაცულ ხელნაწერში. H-436 ნომრით დაცული ხელნაწერი შეიცავს 91 ფურცელს. აქედან საწყის ოცდათექვსმეტ გვერდზე მოთავსებულია თხზულება: „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ცქემოსან ონისიფორესი“. ეს ტექსტი არ არის ავტოგრაფი. აქვს ჭვირნიშანი - 1788 (36r). ასევე - მინაწერი: „სარწმუნოთა კაცთა მიერ სმენილი და უმრავლესი თვალთა ჩემთა ხილული აღვწერე ყოვლადუღირსმან იეროდიაკონმან გაბრიელ, ყოველთავე გვედრები ლოცვით მომიხსენეთ, მხილველნი“.

განყოფილებაში „ღმრთივსულიერნი თხრობანი“ ასევე შედის: „ლოცვა ჯვარშემოსილ სტავროფორესი“. „მოკლე მოთხრობა თვით პორფირისათვის“ გამოსცა ივანე ლოლაშვილმა (ლოლაშვილი, 1965, გვ. 149-150; ლოლაშვილი, 1982, გვ. 150-151). შემდეგ გამოსცეს მიხეილ ქავთარიამ და ენრიკო გაბიძაშვილმა (ქავთარია და გაბიძაშვილი, 1989, გვ. 122-125). შემდეგ გამოიცა „მწიგნობრობა ქართულში“ (ქავთარია მ. (2007). „მწიგნობრობა ქართული“ ტომი 3. გვ.

505-508) და „ეპიტაფია სტავროპორესი საფლავსა ზედა პორფირისა“. პორფირის თხრობასთან და ეპიტაფიასთან დაკავშირებით მამა გაბრიელი გვამცნობს: „შიე, საყვარელნო, ოდესღა მოიწია ღმრთივსულიერი ესე წიგნი აქამომდე, მაშინ აღფრინდა, ვითარცა ტრედი უმანკო სასურველი შვილი ჩემი პორფირი“. ეს ორი ნაწარმოები პორფირის გარდაცვალებიდან (1801 წელი) მალევე დაწერა გაბრიელ მცირემ, ხოლო იმ დროისთვის წიგნის დანარჩენი ნაწილის შედგენა დასრულებული ჰქონია.

ხელნაწერებში გაბრიელ მცირე წიგნთა სათაურებს ასომთავრულად წერს და ძველი ქართულის ორთოგრაფიულ ნორმებს იყენებს. მაგალითად: „გვრგვნი“, „სამოთხის ყვავილი“, „ჯუარშემოსილი“. ტექსტში კი იგივე სიტყვები უკვე თანამედროვე ორთოგრაფიის ნორმებით გვხვდება: „გვირგვინი“, „სამოთხის ყვავილი“, „ჯვარშემოსილი“. ფსალმუნთა მუხლების მითითებები „ჯუარშემოსილში“ თითქმის ყველგან ერთი მუხლით სხვაობს თანამედროვე გამოცემებისგან. მაგალითად, „ჯუარშემოსილში“ არის ფსალმუნი 23,6, ხოლო თანამედროვე გამოცემებში (ჭელიძე, 2012, გვ. 47) - ფსალმუნი 23,7.

საჭიროდ მივიჩნიეთ „ჯუარშემოსილის“ ავტორის ვინაობის დადგენა. თუმცა „ჯუარშემოსილის“ ხელნაწერს არ ახლავს ანდერძი, საიდანაც უდავოდ დადგინდებოდა გაბრიელ მცირის ავტორობა, ამისდა მიუხედავად, გაერთიანებული თხრობების ტექსტიდან ჩანს, რომ წიგნის ავტორი სწორედ წმიდა გაბრიელ მცირეა. ასევე ყურადსაღებია შემდეგი გარემოება: „ჯუარშემოსილის“ ერთ-ერთ თხრობაში მამა ანტონი სთხოვს თავის მოძღვარს, არქიმანდრიტ ევთიმეს, რომ მოხუცებულობის გამო მის მოძღვრად მამა გაბრიელი გამოირჩიოს. ევთიმე კი გაბრიელ მცირეს ეუბნება: „მამასა ანტონის ექმენ მოძღვარ და მოურნე სულისა“. შემდეგ გაბრიელი განაგრძობს თხრობას: „ხოლო მე დადაცათუ უღირს ვიყავ ცოდვათა ჩემთა ძლით, გარნა მორჩილებისათვის მამისა ჩემისა თავს ვიდე“ (ხეც Rt, XVIII, 2, გვ. 174). მოყვანილ ტექსტში წმიდა გაბრიელი საკუთარ თავზე წერს და იყენებს პირველი პირის ნიშანს. აი, ასეთი შემთხვევის კიდევ ერთი მაგალითი: „დავშითთ მისთანა სამნი ოდენ, მე და იეროდიაკონი იგი ჩემთანა მყოფი და შვილი მისი“ (ხეც Rt, XVIII, 2, გვ. 176). ამგვარი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება ხელნაწერიდან.

იმას, რომ „ჯუარშემოსილის“ ავტორი ნამდვილად გაბრიელ მცირეა, უეჭველად ამტკიცებს „ღმრთივშვენიერებით მღუდელმთავრის ლიტურდიისა განმარტებაჲ სახისმეტყველებითის“ ავტოგრაფების ანდერძ-მინაწერები (იხილე ზემოთ მოყვანილი მაგალითები ხელნაწერებიდან: ხეც A 228, A 884, A 1568). ამ მხრივ მნიშვნელოვანია ისიც, რომ გაბრიელ მცირის გარდაცვალების შემდგომ დაწერილ დოკუმენტებში „ჯუარშემოსილის“ ავტორად ყველგან წმიდა გაბრიელ მცირეა მოხსენიებული.

„ჯუარშემოსილი“ დაწერილია მოძღვარსა და მოსწავლეს შორის კითხვა-მიგების ფორმით, ისე, როგორც გრიგოლ ჰრომთა პაპის „დიალოღონი“. აღსანიშნავია, რომ გაბრიელ მცირეს გადაწერილი აქვს ხსენებული წიგნი (ხეც A 238) და „ჯუარშემოსილში“ მაგალითად მოჰყავს ერთ-ერთი თხრობა „დიალოღონიდან“ ონორატესა და ლივერტინოსზე. შესაძლოა, წმიდა გაბრიელის მიერ „ჯუარშემოსილისთვის“ შერჩეული სტრუქტურა (კითხვა-მიგების ფორმა) სწორედ „დიალოღონით“ იყოს შთაგონებული.

„ჯუარშემოსილში“ მოპასუხე არის სტავროფორე (ბერძნულიდან თარგმანებით ნიშნავს ჯვარშემოსილს) - იგივე გაბრიელ მცირე, ხოლო კითხვების დამსმელია პორფირი - წმიდა გაბრიელის სულიერი შვილი.

გაბრიელ მცირეს „ჯუარშემოსილის“ შედგენა 1801-1802 წლებში დაუსრულებია. ხელნაწერის დასრულების თარიღი დგინდება შემდეგი გარემოებით: ამ ნაშრომში გაბრიელ მცირე wers თავისი სულიერი შვილის, პორფირის, გარდაცვალების Sesaxeb და დასძენს: იმ დროს იგი ოცდაშვიდი წლის იყო. H 211 (ხეც) ნომრით დაცული ხელნაწერი პორფირის ავტოგრაფია, რომელიც თარიღდება: 13.5.1796. ამ ხელნაწერის ბოლოშია „ეპისტოლე მშობელთა მიმართ“, რომელშიც წერია: „და წელსა ოცდაორისა ჟამთა შინა შესრული აღვედ

გონებასა ჩემსა და განვიზრახე პატივის პყრობაჲ თქუენი“. ეს ნიშნავს, რომ: როდესაც პორფირიმ ეს ეპისტოლე დაწერა, ოცდაორი წლის იყო. აქედან გამომდინარე, 1801 წელს იგი ოცდაშვიდი წლის იქნებოდა, ამიტომ „ჯუარშემოსილის“ შედგენა 1801 წელზე ადრე არ იქნებოდა დასრულებული. ასევე თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ 1802 წლის 11 მარტს წმიდა გაბრიელს თავი მოჰკვეთეს, ხსენებული თხზულება, ცხადია, ვერ შეიქმნებოდა ამ თარიღის შემდგომ. წიგნის ძირითადი ნაწილი 1801 წლამდე წმიდა გაბრიელს დასრულებული ჰქონია, ხოლო ბოლო ნაწილი, რომელიც პორფირის ეხება, 1801 წელს - პორფირის გარდაცვალებიდან მალევე - არის დაწერილი.

1802 წელს გარდაიცვალა ბერტუბანში მწირად მყოფი მესვეტე იოანიკე ჭოტორელი. ამის შესახებ პლ. იოსელიანი წერს: „ბოდბელმა იოანემ, დროსა ამას ნათლისმცემლის მონასტერსა მყოფმან, დაასაფლავა მისსავე სასვეტოსა. გაბრიელ მონაზონმა ნათლისმცემელისა, აღმწერელმან „ჯვარ-შემოსილისა“, ცრემლით წართქვა ქებითი სიტყვა, რომელიცა მინახავს იოანე რუსთავისა არქიეპისკოპოსთან. ვისა აქვს იგი დღეს, არა უწყი“ (იოსელიანი, 1895, გვ. 268). მოყვანილი ტექსტიდან ცხადია, რომ აღწერილი მოვლენების დროისთვის წიგნი „ჯვარშემოსილი“ გაბრიელ მცირეს უკვე დასრულებული ჰქონდა. ნახსენები ქებითი სიტყვა უნდა იყოს გაბრიელ მცირის ბოლო ნაწარმოები, რომელიც დღეს სიძველეთსაცავებში არ იძებნება.

„ჯუარშემოსილის“ შექმნისას წმიდა გაბრიელს არაერთი წყარო გამოუყენებია, მათ შორის: პატერიკების კრებული „სამოთხე“, იოანე სინელის „კიბე“, დიონისე არეოპაგელის თხზულებები, სახარების იოანე ოქროპირისეული განმარტებები, გრიგორი ნოსელისა და მაქსიმე აღმსარებლის წიგნები და სხვა. ხელნაწერი მდიდარია წმიდა წერილიდან მოყვანილი ციტატებით, ლიტურგიკული საკითხავებიდან ამონარიდებითა და წმიდა მამათა ნააზრევით. სასულიერო ლიტერატურის მრავალმხრივი და სიღრმისეული ცოდნა გაბრიელ მცირის ღრმად განსწავლულობაზე მიუთითებს.

საინტერესოა „ჯუარშემოსილის“ გაბრიელ მცირისეული ხელნაწერის თავგადასავალი; თუ როგორ დაიკარგა იგი გარეჯის იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრიდან და როგორ აღმოჩნდა შემდგომ ინგლისში. ამის შესახებ 1989 წელს დაიბეჭდა ნ. პაპუაშვილის სტატია (პაპუაშვილი, 1989, გვ. 271-295). მასში გამოქვეყნებულია მიხეილ საბინინის წერილი, რომელიც მას იოანე ბერძენოვის (ბერძენიშვილს) პასუხად დაუწერია. გათავაზობთ ამონარიდს: „...მამ ისიცი ისე უნდა დაკარგულიყო [წმიდა დოდო გარეჯელის საფლავი], როგორც დაიკარგნენ საფლავნი წმიდათა გარეჰსჯისათა - ლუკიანესი, პავლესი, თეოდოსესი, არსენისა, იოანესი, შიო ახლისა და სხვათა მრავალთა, რომელთა მოთხრობანი შეგროვილ იყვნენ ერთ წიგნში, რომელს ეწოდების „ჯვარშემოსილი“, რომელიც ერთ ეგზემპლარად იყო ნათლისმცემლის მონასტერში და რომელიც, ვითარცა მპარავი, წარმოიღეთ სხვათა წიგნთა თანა უდაბნოდგან, როდესაც გამოგაძია მაკარიმ, და მიკიტანხანებში და იარმურკებში ჰყიდდით ხოლმე. ამის გამო არამც თუ საუკუნოდ დაკარგეთ წმიდა გარეჰსჯელთა საფლავნი, არამედ მათი ხსენებაცა... ნეტავ ინებოს ღმერთმან, ვიშოვნო სადამე გადაწერილი „ჯვარშემოსილი“, რომ იმით სხვანი საუკუნოდ დაკარგულნი მოვიძიოთ და მეოხად ვიხადოდ ისინი“ (საბინინი, 1881, გვ. 124-125).

საბინინის ბრალდება ბერძენოვის მიმართ მყარდება შემდეგით: აღმოჩნდა წიგნები, რომელნიც მრავალმთის წიგნთსაცავის კუთვნილება იყო და ბერძენოვმა გააჩუქა. კერძოდ: 1) საქართველოს ცენტრალურ არქივში #259-ით დაცული სასულიერო შინაარსის კრებული, გადაწერილი მრავალმთის ნათლისმცემლის მონასტერში იოანე გაბაონელის მიერ 1789 წელს. ეს ხელნაწერი ბერძენოვს 1864 წელს მიურთმევია მოძღვრისა და პატიოსანი მგალობელი გრიგორისთვის, სავარაუდოდ, კარბელაშვილისთვის (კაკაბაძე და სხვა. 1949, გვ. 225). შემდეგ კი ეს ხელნაწერი, 1925 წელს, სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილს შეუწირავს საქართველოს ცენტრალური არქივისთვის; 2) საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდი, #3, ანტონ I-ის

„კატელორია“, გადაწერილი 1794 წელს. ეს ხელნაწერი კი მიუცია სფირიდონისთვის (ლორთქიფანიძე, 1964, გვ. 9). 3) ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში A 770 ნომრით დაცული ანტონ I-ის „შესხმა და მოთხოვნა ღუაწლთა და ვნებათა წმიდათა ღირსთა მოწაფეთა გარესჯელთა“, XVIII საუკუნე. აქვს მინაწერი: „ესე წიგნი იოანე ბერძენოვისაგან ვიყიდე სფირიდონმა პრიჩედნიკმა“. ასევე ნაპოვნია ბერძენოვის წარწერები შემდეგ ხელნაწერებზე: A-107, 84v; A-120, 117r; 126, 198v; A-161 204v; 176, ქვედა ყდის r; A-265, 29v; A-269, 24v; A-1348, 135v. ამ ხელნაწერთაგან ზოგი დავით გარეჯის მონასტერს ეკუთვნოდა, ზოგიც - იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერს. A-165 ნომრით დაცულ ხელნაწერს აქვს თარიღი, რომელიც ადასტურებს, რომ ბერძენოვი 1863 წლის ოქტომბერში დავით გარეჯის სავანეში იყო. შემდგომ იგი მრავალმთის ნათლისმცემლის მონასტერში გადასულა.

ქართული კანონმდებლობით, საეკლესიო ქონების გასხვისება აკრძალული ყოფილა. ამასვე მოწმობს მეფე ერეკლე II-ის ბრძანება: „საეკლესიო ქონების გაყიდვა აკრძალულია... თუ რაიმე ქონების გაყიდვის აუცილებლობაა, ამის შესახებ უნდა ეცნობოს მონასტრის წინამძღვარს, ხოლო წინამძღვარმა უნდა აიღოს ნებართვა მეფისგან. თუ ნებართვის გარეშე ვინმე გაყიდის საეკლესიო ქონებას, მყიდველს ჩამოერთმევა ნაყიდი, ხოლო გამყიდველი მიეცემა ხიზნობას“ (Пурцеладзе, 1881, გვ. 76. თარგმანი რუსულიდან - გ. კ.).

ცნობილია, რომ მონასტრებში მკაცრად აღნუსხავდნენ წიგნის ვინმესთვის თხოვებასაც კი. წამლებს ართმევდნენ ხელწერილს, რომელიც მონასტერში რჩებოდა. მხოლოდ ამ პროცედურის და ნებართვის შემდგომ შეეძლო მსურველს წიგნის მონასტრიდან წაღება, გატანა. ამას ადასტურებს ხეც A-135 ნუსხით დაცული ხელნაწერის მინაწერი.

აქვე ისმება კითხვა: მაშინ ვინ და როდის წაიღო „ჯუარშემოსილის“ ხელნაწერი იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრის წიგნთსაცავიდან?

ამის გასარკვევად მნიშვნელოვანია პლატონ იოსელიანის ცნობა. 1864 წელს (მართალია, წიგნი 1866 წელს დაიბეჭდა, მაგრამ ცენზურის მიერ 1864 წლის 1 დეკემბერსაა ბეჭდვაზე ნებართვა გაცემული, რაც ნიშნავს, რომ წიგნი იმ დროისთვის მზად იყო) იგი იოანე მანგლელის შესახებ წერდა: „სასწაულები მისი გარდაცვალების შემდგომ დამოწმებულია მრავალთა მიერ საქართველოში; აღწერილია იოანე ნათლის-მცემლის სახელობის მონასტერში, გარეჯის უდაბნოში მოღვაწე გაბრიელის მიერ, მის მიერ ქართულ ენაზე შექმნილ მშვენიერ წიგნში: „სტავროფორეში“ იგივე „ჯუარშემოსილში“ (თარგმანი რუსულიდან - გ. კ.). იქვე სქოლიოში მითითებულია: „ჩემი ქართული ხელნაწერი. სულიერი, IV, საუბარი ეპისკოპოს იოანე მანგლელზე“ (Иосселиани, 1866, გვ. 161). მართლაც, „ჯუარშემოსილში“ თხოვდა იოანე მანგლელზე მეოთხე თავშია მოთავსებული. ასევე არსებობს დავით გარეჯ(ელ)ის მონასტერთან დაკავშირებით კალისტრატე ცინცაძის წერილი, რომელშიც იგი წერს: „ზემო მოხსენებულნი მაგალითნი, როგორც გადმოცემით ვიცით, დაწერილ არიან ჯვარ-შემოსილის წიგნში, რომელიც გაუტანია განსვენებულს პლატონ ეგ. იოსელიანს და დღეს ვისა აქვს, არ ვიცით“ (ცინცაძე, 2017, გვ. 33). ეს ფაქტები დამაჯერებელს ხდის, რომ 1864 წელს პლ. იოსელიანი „ჯუარშემოსილის“ ხელნაწერს მართლაც ფლობდა.

თუ როგორ მოხვდა ხსენებული ხელნაწერი მასთან, ამის შესახებ დოკუმენტური მასალა არ იძებნება. 1865 წელს პლ. იოსელიანმა თავისი ხელნაწერების ძირითადი ფონდი (180 ერთეული) იოანე გრიგოლის ძე გრუზინსკის მიჰყიდა საგვარეულო წიგნთსაცავში შესანახად. მათ შორის არ იყო „ჯუარშემოსილი“. სავარაუდოდ, იგი პლატონ იოსელიანმა დაიტოვა. 1875 წლის 15 ნოემბერს იგი გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემდგომ შეგროვილი ხელნაწერები (40 ფუთამდე - 655 კგ.) ქაღალდის ფასად მეწვრილმანეებისთვის მიუყიდათ, მათგან ნაწილი ზაქარია ჭიჭინაძესაც შეუძენია (ჭიჭინაძე, 1893, გვ. 22-23). 1875 წლიდან „ჯუარშემოსილის“ ადგილსამყოფელი უცნობია უორდროპის მიერ მის შეძენამდე. სავარაუდოდ, მისი ახალი მფლობელი ზ. ჭიჭინაძე გახდა.

მთავარდიაკონ სპირიდონ გრძელიშვილის თხზულებაში „ცხოვრება და მოღვაწეობა სანატრელისა მამისა ქრისტესია მონაზონისა...“ მოხსენიებულია „ჯვარშემოსილი“ და აღნიშნულია შემდეგი: „რამეთუ სწავლანი მისნი [იოანე მანგლელის] წერილ არიან წიგნსა შინა „ჯვარშემოსილ“ წოდებულსა“ (ხეც H-40, გვ. 217). ზემონახსენები ნაწარმოები მთავარდიაკონ სპირიდონს 1880 წელს დაუწერია. იგი დავით გარეჯის მონასტერში ცხოვრობდა: „ესე ყოველი რაღცა აღწერე, რომელიმე მიხილავს თვალითა და რომელიმე მისგან მსმენიეს. ოდეს იყვის [ქრისტესია] უდაბნოსა ღირსის მამა დავითისას, ჩემთანა დაჰყვის ღამე და დღე და არარას დამიფარვიდა მე უღირსსა, ცოდვილსა“ (ხეც H-40, გვ.224). მამა ქრისტეფორე (ქრისტესია) გარდაიცვალა 1871 წელს. იგი მოსაგრეობდა მრავალმთის უდაბნოში, იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში.

ცხადია, სპირიდონ გრძელიშვილი გაბრიელ მცირის „ჯუარშემოსილს“ იცნობდა, რადგან ეს კრებული ნახსენები აქვს, მაგრამ მის მიერ მოთხრობილი ამბები, რომლებიც მომდინარეობს „ჯუარშემოსილიდან“, სხვაობს გაბრიელ მცირის თხრობებისგან. მაგალითად, ერთ-ერთ თხრობაში აღწერილია, თუ ორბმა როგორ გადმოუგდო მონასტრის ძმებს თევზი. სპირიდონს დავით გარეჯის წინამძღვრად დასახელებული ჰყავს პავლე, ხოლო გაბრიელ მცირეს - მარკოზი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 1880 წელს „ჯუარშემოსილი“ მას ხელთ აღარ ჰქონდა. ამ ვარაუდს გვიმყარებს პლ. იოსელიანის ცნობა, რომ 1864 წელს „ჯუარშემოსილი“ მისი საკუთრება იყო.

1886 წლის იოანე ნათლისმცემლის წიგნთსაცავის აღწერილობებში „ჯუარშემოსილი“ აღარ მოიხსენიება, რაც ნიშნავს, რომ იმ დროისთვის ის უკვე მითვისებული ჰქონდათ (ხელ[აშვილი], 1886, გვ. 3-4).

ოლივერ უორდროპი პირველად 1887 წელს ჩამოვიდა საქართველოში. მოგვიანებით, 1894 წელს მისი და - მარჯორი - სწვევია საქართველოს. ისინი რეგულარულად სტუმრობდნენ ჩვენს ქვეყანას. სწორედ ერთ-ერთი ასეთი სტუმრობის დროს შეიძინა ერთმა მათგანმა გაბრიელ მცირის „ჯუარშემოსილი“. ხელნაწერების შესამენად ისინი შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან და შვიდასამდე ქართული წიგნიც ჰქონიათ ინგლისში შეგროვებული (თაქთაქიშვილი და ურუშაძე, 1965, გვ. 57-143).

წმიდა გრიგოლ ფერაძის ცნობით, 1894 წლის 25 სექტემბერს ოლივერ უორდროპს ზაქარია ჭიჭინაძისგან ლუკა ისრაელოვის მიერ 1835 წელს შედგენილი კრებული შეუძენია (MS. Wardr. c.5, Catalogue of the Wardrop, p. 310; გაბაშვილი, 1931, გვ. 19-20). უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ დროს შეიძინა ოლივერმა ან მისმა დამ მარჯორიმ ზაქარია ჭიჭინაძისგან „ჯუარშემოსილი“, რადგან სწორედ პლ. იოსელიანის გარდაცვალების შემდგომ გასხვისებული (ქალაღდის ფასად) ხელნაწერების ნაწილი ზ. ჭიჭინაძემ შეიძინა.

მარჯორი უორდროპი 1909 წელს გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგ ოლივერ უორდროპმა ინგლისში, ოქსფორდის უნივერსიტეტში, ბოდლის სახელობის ბიბლიოთეკის წიგნთსაცავს გადასცა თავიანთი პირადი კოლექციიდან ქართული ხელნაწერები და ნაბეჭდი წიგნები; მათ შორის იყო „ჯუარშემოსილიც“, რომელიც დაცულია MS. Wardr. f 6.

1932 წელს გრიგოლ ფერაძემ ოქსფორდში წაიკითხა ოთხი ლექცია ქართული სასულიერო მწერლობის შესახებ (ლენგი (1957), ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში. ცისკარი. # 4, გვ. 149). მას 1933 წელსაც მოუწია ოქსფორდში ყოფნა და მაშინ გაეცნო ხელნაწერების ქართულ კოლექციას; ნახა „ჯუარშემოსილის“ ხელნაწერი და მოგვიანებით ფრაგმენტულად გამოსცა წიგნის მეოთხე განყოფილება. იგი გარეჯში მოღვაწე ბერებზე წერს: „ვინ გაჰბედავდა და წავიდოდა იქ ბერად, სადაც მას ყოველ წამს ლექების თავდასხმა და გვირგვინი მოწამეობრივი ელოდა; სადაც იყო უდაბნო ნამდვილი, უწყლო, უგზო და უკვლო, საცხე გველებით და ქვეწარმავალებით - დაშორებული ძლიერ ადამიანთა ბინებიდან... ატაცებულ ხალხთ, ასკეტებს, რომელნიც თავის ცხოვრებას მართლაც ღვთის

მადლზედ, კურთხევაზედ, ნებაზედ და განგებაზედ ამყარებდნენ, მათი გონება და გულისყური მიმართულია ზეცისადმი და ამ ქვეყნიდან ძლიერ დაშორებულია“ (ფერაძე, 1934, გვ. 28).

მოკლედ მოგახსენებთ საქართველოში „ჯუარშემოსილის“ მიკროფილმის შემოტანის ამბავსაც: 1957 წელს ჟურ. „ცისკარში“ (ლენგი (1957), ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში. *ცისკარი*. 4, გვ. 151) ა. გამყრელიძემ თარგმნა და გამოაქვეყნა დ. ლენგის ნარკვევი, რომელშიც ცნობები იყო გაბრიელ მცირის „ჯუარშემოსილის“ შესახებ. ივანე ლოლაშვილი დაინტერესებულა ამ ხელნაწერით და 1957 წლის ნოემბერში განცხადებით მიუმართავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის დირექტორ ვ. უზნაძისთვის თხოვნით: ინგლისიდან გამოეთხოვათ ამ ნაშრომის მიკროფილმი, რაც მალევე დაუკმაყოფილებიათ. ასე გახდა „ჯუარშემოსილის“ მიკროფილმი და მისი ფოტოფირი 1958 წელს ხელმისაწვდომი ქართველ მკვლევართათვის (დაცულია მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკასა - #B-3 და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში - Rt XVIII,2).

აქ მოყვანილი ცნობები „ჯუარშემოსილის“ დაკარგვისა და მისი ინგლისში აღმოჩენის შესახებ, რა თქმა უნდა, არ უკავშირდება ამ ხელნაწერის ტექსტოლოგიურ კვლევას და მეცნიერულ ანალიზს, მაგრამ მიუთითებს გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში ერთ კონკრეტულ მაგალითზე ხელნაწერების სავარაუდო მოძრაობას. ამდენად, საჭიროდ მიგვაჩნია ქართული ხელნაწერების გამოწვლილვითი, სტრუქტურული შესწავლა ამა თუ იმ ქვეყნის საცავებსა და კერძო კოლექციებში, მათ შორის გაბრიელ მცირის ნაშრომებისა.

„ჯუარშემოსილში“ შემავალი სასულიერო თხრობების კითხვისას იკვეთება წმიდა გაბრიელის მსოფლმხედველობა და განწყობილებები; ჩანს ღმრთის ურყევი სიყვარული, მოყვასისადმი სათუთი დამოკიდებულება და თანადგომა, ადამიანთა ღვაწლის შეფასებისა და სათანადოდ დაფასების სურვილი. ის სიბრძნე და შთაგონების ძალა, რომლითაც გაჯერებულია გაბრიელ მცირის მიერ დაწერილი ტექსტები, არის ხანგრძლივი განმარტოების, ლოცვისა და წმიდა ცხოვრების ნაყოფი. გაბრიელ მცირე, როგორც ღრმად მოაზროვნე წმიდა მოღვაწე, სიღრმისეულად განჭვრეტს ადამიანთა განწყობილებებს და წარმოაჩენს მათ ბრძოლებსა და გამარჯვებებს. ყოველივე ეს ტექსტის მკითხველს მაგალითად ექმნება, აღუძრავს ღმრთისადმი თავგანწირვის, განწმენდის, მოყვასის სიყვარულისა და წმიდა მამების მიმსგავსების სურვილს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბაშვილი, ბ. (1931). გამოუქვეყნებელი ლექსი. „*ჯვარი ვაზისა*“, N1.
2. თაქთაქიშვილი-ურუშაძე, ლ. (1965). მარჯორი უორდროპი. თბილისი.
3. იოსელიანი, პლ. (1995). ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა. თბილისი.
4. კაკაბაძე, ს., გაგომიძე, პ. და კეკელიძე, კ. (1949). ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა. ტომი I. თბილისი.
5. კეკელიძე, კ. (1951). ძველი ქართული მწერლობის ისტორია. ტომი I. თბილისი.
6. ლენგი, დ. (1957). ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში. *ცისკარი*. N 4.
7. ლოლაშვილი, ი. (1965). „XVIII საუკუნის ქართული მწერლობის საკითხები“.
8. ლოლაშვილი, ი. (1982). მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის (XVI-XIX სს.). თბილისი.
9. ლორთქიფანიძე, ნ. (1964). საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერებისა და საარქივო მასალების კატალოგი. თბილისი.
10. პაპუაშვილი, ნ. (1989). გულანი. თბილისი.

11. საბინინი, მ. (1881). ჩემი პასუხი. *დროება*. N133.
12. სხირტლაძე, ზ. (2002). ღვთივსულიერნი თხოვნიანი.
13. ფერაძე, გ. (1934). ქრონიკა იოანე ნათლისმცემლის მონასტრისა. ჯვარი ვაზისა.
N4.
14. ქავთარია მ. და გაბიძაშვილი ე. (1989). ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი V. თბილისი.
15. ქავთარია მ. (2007). „მწიგნობრობა ქართული“ ტომი 3. ციციანთელა. თბილისი.
16. ცინცაძე, კ. (2017). წმიდა დავით გარესჯელის უდაბნო. *ლაკლაკეთი*. N6.
თბილისი.
17. ჭელიძე, ე. (2012). ფსალმუნნი. გალობანი. თბილისი.
18. ჭიჭინაძე, ზ. (1893). პლატონ იოსელიანი. თბილისი.
19. ხელაშვილი, მ. (1886). ნათლისმცემლის უდაბნო კახეთში. *ივერია*. N 207.
20. Barrett, D. (1973). Catalogue of the Wardrop collection and of other Georgian books and manuscripts in the Bodleian library Oxford.
21. Иоселиани, П. (1866). Описание древностей города Тифлиса. Тифлис.
22. Пурцеладзе, Д. (1881). Грузинские церковные гуджари (грамоты). Тифлис.

წყაროები:

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ც/ა 1446/121.

Georgi Kalandadze, Iakob Gogebashvili Telavi State University

Gabriel Mtsire's 'Jvarshemosili' – 'Cross-bearer' or 'Stavrophore' (According to the manuscript kept in the Bodleian Library)

Summary

St. Gabriel Mtsire is one of the prominent representatives of the Gareji Monastery School. He began his literary activity in the 80s of the 18th century. Initially, he copied the existing manuscripts, but not as an ordinary copyist. He organized the manuscripts from structural and linguistic viewpoints. Saint Gabriel, as an editor and compiler, based on the reflections of the Fathers of Christian Church of that time, compiled the collections well known by that time: *Gvirgvini* (The Crown), *Samotkhis Quavili* (The Flower of Paradise), *Okhros Tsqaro* (The Gold Brook), *Klite* (The Key), *Supeva* (The Reign), *Manana* (Manna), *Samaseuli* (The Three Hundred). Along with editorial and compiling activities, Gabriel Mtsire also had original writings, which include *An Explanation of the Hierarchical Liturgy*, *The Life and Labors of Venerable Schemamonk Onisphore*, *Spiritual Stories of the Pious*, *An Explanation of the Our Father*, *An Explanation of the Mazar* and *A Short Story of Porfiry*. In 1801-1802, St. Gabriel united all these works in the collection entitled the *Jvarshemosili* (*Stavrophore*). The fact that these texts actually belong to Gabriel Mtsire is evidenced by this research. The manuscript of *Jvarshemosili* is preserved at the Bodleian Library of the University of Oxford. In this study, we examined important facts about *Jvarshemosili* and the story how this manuscript appeared in the Bodleian Library.

თეა ვადაშარია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართების არეოპაგიტული კონცეფცია - „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობრივი საფუძველი

ქართული ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სიკეთის შესახებ განაზრებებს. სიკეთის მონიზმის პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული შუა საუკუნეების ქართული აზროვნების საუკეთესო ინტელექტუალურ ტრადიციებთან. ამ პერიოდის მდიდარმა ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო მწერლობამ კი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ქრისტიანული კულტურის განვითარებაში.

აღსანიშნავია, რომ ანტიკური ფილოსოფიის დიდი ბერძენი მოაზროვნის - პლატონის ფილოსოფიიდან მომდინარე და შემდგომ ნეოპლატონიკოსებთან დამუშავებული სიკეთის უნივერსალური იდეა, სიკეთის არსებობის სუბსტანციური საფუძვლების დასაბუთება ეკლესიის მამების ფილოსოფიაში ცენტრალურ ადგილს იკავებს და ქრისტიანული ფილოსოფიის ერთ-ერთი საკვანძო თემა ხდება.

ქრისტიანული აზროვნების ისტორიაში კარგად ცნობილი მაგისტრალური პრინციპი - სიკეთის მონიზმისა და ბოროტების არასუბსტანციურობის იდეა - პროდუქტიულად აითვისა შუა საუკუნეების ქართულმა ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო აზროვნებამ. მეტიც, ეს პრინციპი შუა საუკუნეების ქართული ქრისტიანული აზროვნების მაკონსტრუირებელ პრინციპად იქცა. კითხვაზე, თუ რა გვაძლევს ამის თქმის საფუძველს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ პასუხი შუა საუკუნეების ქართული კულტურული აღმავლობის სააზროვნო, ინტელექტუალურ გარემოში უნდა ვეძიოთ. ამ ინტელექტუალურ წრეს კრავს ათონის მწიგნობრული სკოლის წარმომადგენელთა, ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწის შემოქმედება. ქართული ქრისტიანული კულტურის ეს ინტელექტუალური გზა კი ძველ ქართულ მწერლობაში რენესანსულ ჰუმანიზმამდე მივიდა და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შექმნით დაგვირგვინდა.

შუა საუკუნეების აზროვნების ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა ეფრემ მცირემ ბერძნულიდან ქართულ ენაზე თარგმნა არეოპაგიტული ტრაქტატები და ქართულ სააზროვნო სივრცეში დიონისე არეოპაგელის იდეები შემოიტანა, როგორც გურამ თევზაძე აღნიშნავს; ამ ტექსტების თანმიმდევრულად გააზრების შედეგად, კაბადოკიელთა რენესანსის გვერდით, შეგვიძლია ვისაუბროთ შუა საუკუნეების საქართველოში არეოპაგიტული რენესანსის შესახებ, ხოლო მოგვიანებით – პროკლეს რენესანსის თაობაზე (თევზაძე, 1996, გვ.183).

დიონისე არეოპაგელის მოძღვრებაში გატარებული ნეოპლატონური პრინციპების – თავდაპირველი ერთიდან ანუ ღმერთიდან არსებათა გამომდინარეობამ, ადამიანის ღმერთთან მიმსგავსებისა და მისი უფალთან უშუალოდ შეერთების დაშვების შესაძლებლობამ, სიკეთის აბსოლუტურობისა და ბოროტების არასუბსტანციურობის აღიარებამ საფუძველი მოამზადა ქართული რენესანსისა და ჰუმანიზმის მსოფლმხედველობის ჩამოსაყალიბებლად.

არეოპაგიტულმა მოძღვრებამ ქრისტიანულ აზროვნებაში ნეოპლატონიზმიდან შემოიტანა სიკეთის მონიზმის პრინციპი, რომლის მიხედვითაც სიკეთე ნამდვილად არსებულია, ხოლო ბოროტება – უარსებო და არასუბსტანციური. ფსევდო-დიონისეს მოძღვრება მონისტურია და მისი ერთ-ერთი თავისებურება სიკეთის მონიზმია, მასში მონიზმი თანმიმდევრობით და აზროვნების სიმკაცრითაა გატარებული (ხიდაშელი, 1988, 160).

ნეოპლატონიზმსა და არეოპაგიტულ მოძღვრებაში სიკეთე არის თავად ღმერთის იდეა. არეოპაგიტიკიდან მომდინარე ამგვარი განაზრებები გადმოვიდა რუსთაველთან და მისი

მსოფლმხედველობის საფუძველი გახდა. სწორედ, დიონისე არეოპაგელის მოძღვრების მიხედვით არის ჩამოყალიბებული „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი თეზისი სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს, როგორც პოემის სიუჟეტის განვითარებას, ისე პოეტის მიზანს - აჩვენოს, რომ ბოროტებას არსი არ აქვს და მისი დამარცხება შესაძლებელია.

მრავალსაუკუნოვანმა ქართულმა კულტურამ შუა საუკუნეებში განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. მდიდარმა ლიტერატურულმა ტრადიციებმა, თეოლოგიურ-ფილოსოფიური აზროვნების განვითარებამ და ქართული საერო მწერლობის აღმასვლამ ხელი შეუწყო ამ ხანგრძლივი პროცესის ჰუმანიზმში გადაზრდას. ეს ფაქტი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის წინაპირობა გახდა. რუსთაველმა აქტიურად გამოიყენა ეს მიმართულება და ჰუმანიზმის საკუთარ კონცეფციას ჩაუყარა საფუძველი.

ჰუმანიზმი რუსთაველის მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებას წარმოადგენს. მისთვის დამახასიათებელია ადამიანის ამქვეყნიური არსებობის ღირებულებათა აღიარება და ახლებური გაგება, ანტიკურობით გატაცება და მისი აღორძინება.

„ვეფხისტყაოსნის“ გაცნობის შემდეგ ვრწმუნდებით, რომ მისი ავტორი არაჩვეულებრივად იყო გათვითცნობიერებული ქართულ საერო და ქრისტიანულ მწერლობაში, იცნობდა, როგორც ქრისტიანულ ფილოსოფიასა და თეოლოგიას, ისე ნეოპლატონური მოძღვრების საფუძველზე შექმნილ ქრისტიანული ნეოპლატონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის - ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ტრაქტატებს. არეოპაგიტული ნაკადის მძლავრი გავლენა ქართულ კულტურაში ყველაზე ნათლად და ღრმად, სწორედ, შოთა რუსთაველის გენიალურ ქმნილებაში აისახა.

„ვეფხისტყაოსნის“ ნეოპლატონური იდეებს ფსევდო-დიონისე არეოპაგელის გავლენად ხსნიან, რის შეასახებაც ბევრი თქმულა და დაწერილა. რუსთაველის შემოქმედება განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა, რაც „ვეფხისტყაოსნის“ ფილოსოფიურ შეხედულებათა შესახებ დისკუსიის საფუძველს ქმნის (ზაქარაძე, 2016, 47).

რუსთაველოლოგიაში პირველად ვახტანგ VI-მ აღნიშნა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ნახსენები „დივნოსი“ დიონისე არეოპაგელი იყო: „ამ საქმესა დაფარულსა, ბრძენი დივნოს გააცხადებს:“ აქ დიონისე არეოპაგელს მოწმობს, დიონისე იტყვის ღმერთს ყველა კეთილად დაუბადებიაო. მაგრამ თუ კაცი ავს იქმს იმის ბრალიაო. შესავაკათაყა უთქვამს და თავისი სიბრძნე გამოუჩენია ეს წიგნი წამიკითხავსო“ („ვეფხისტყაოსანი“, 1712, გვ. ტნა).¹

„ვეფხისტყაოსნის“ ფილოსოფიური იდეების შესახებ მსჯელობისას ქართველ მკვლევართა დიდი ნაწილი: პლატონ იოსელიანი, ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი და სხვები, რუსთაველის ნათელი ჰუმანური მრწამსის წყაროდ ნეოპლატონიზმს მიიჩნევს. თუმცა, ყველა როდი იზიარებდა ამ აზრს. მაგალითად, კორნელი კეკელიძე წერდა: „ზოგი მას თვლის პლატონიკად, ზოგი არისტოტელიკად, ზოგი ნეოპლატონიკად, ზოგი სტოეად, ზოგი კიდეც ინდური რიგვედის ადეპტად. ასეთი სხვადასხვაობა შეხედულებისა აიხსნება იმით, რომ პოემაში ავტორს არ მოუცია მტკიცე დასაყრდენი იმისა, რომ ის ჩავთვალოთ ამა თუ იმ კონკრეტული ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლად“ (კეკელიძე, 1981, გვ. 180).

მოსე გოგიბერიძე აღიარებდა რუსთაველს, როგორც „პირველ ჰუმანისტს“, მაგრამ მან კატეგორიულად უარყო მასზე ნეოპლატონიზმის ყველანაირი კვალი. იგი თვლიდა, რომ „[...] არც წარმართული და არც ქრისტიანული ნეოპლატონიზმი არ შეიძლება ყოფილიყო რუსთაველის მსოფლმხედველობის დასაყრდენი“ (გოგიბერიძე, 1961, გვ. 33). მიუხედავად ამისა, იმდენად დიდია არეოპაგიტული მოძღვრების გავლენა „ვეფხისტყაოსანზე“, რომ

¹ ციტირება ე. ხინთიბიძის ნაშრომ „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყაროს მიხედვით.

ღმერთის გაგების რუსთველისეული კონცეფციის განხილვისას მეცნიერი საბოლოოდ იძულებული გახდა ეღიარებინა პოემაზე ნეოპლატონიზმის გავლენა. ამის საილუსტრაციოდ მან შემდეგი სტრიქონი დაასახელა: „ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს,“ მაგრამ მან უგულებელყო პოემაში ნახსენები „ბრძენი დივნოსი“ და რუსთველისეული ღმერთის, როგორც სიკეთის სათავის, ეს გაგება, პეტრიწიდან მომდინარე შეხედულებად ჩათვალა (გოგიბერიძე, 1961, გვ. 55).

ნეოპლატონური ფილოსოფია რუსთაველთან მხოლოდ არეოპაგელის გზით არ მიდის. მისთვის ახლობელი იყო პროკლეს ფილოსოფიის ქრისტიანულად დამუშავების ქართული ცდაც იოანე პეტრიწის კომენტარების სახით. სიკეთის მონიზმი, რომელიც რუსთაველის ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი თემაა, ორიგინალური ნააზრევით საბუთდებოდა პეტრიწთან. არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ რუსთაველს შეეძლო თავად მისულიყო ნეოპლატონიზმის დიდ ბერძენ წარმომადგენლებთან (ხინთიბიძე, 2009, გვ. 727).

მიიჩნევა, რომ რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში პეტრიწმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ სიკეთის მარადიულობის და ბოროტების არასუბსტანციურობის შესახებ მსჯელობისას, უმჯობესია, თუ ფსევდო-დიონისეს დავეყრდნობით (ხიდაშელი, 1988, გვ. 264-265).

რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“, როგორც ფილოსოფიური პოემის შესწავლა თავდაპირველად შალვა ნუცუბიძემ დაიწყო და მისი მსოფლმხედველობრივი წყაროების გარკვევისას მთავარი აქცენტი ნეოპლატონიზმზე, კერძოდ, მისი გავლენით ჩამოყალიბებულ „არეოპაგიტულ“ მოძღვრებაზე გააკეთა. ამ კავშირის საილუსტრაციოდ მან „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგი სტროფი მოიხმო:

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს:
ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს,
ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს,
თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს.“¹

შალვა ნუცუბიძის აზრით, ამ სტრიქონებში შეგვიძლია ამოვიკითხოთ ყველაფერი ის, რაც ქართულმა რენესანსმა აითვისა არეოპაგიტული მოძღვრებიდან (ნუცუბიძე, 1976, გვ. 367).

შალვა ნუცუბიძემ „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგინა, როგორც ფილოსოფიური პოემა. მის ამ მოსაზრებას განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდა შალვა ხიდაშელი და აღნიშნა, რომ „ვეფხისტყაოსანზე“, როგორც ფილოსოფიურ პოემაზე მსჯელობისას, მოგვიწევს რუსთაველზე ვილაპარაკოთ, როგორც ფილოსოფოსზე, რაც არ არის მართებული, რადგან რუსთაველის და მისი შემოქმედების მთავარი ხიბლი მაღალმხატვრობაშია. ამიტომ, მეცნიერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსთაველის მიზანს სულაც არ შეადგენს ფილოსოფიური თეორიის პოეტური განსახიერება და მის შემოქმედებაში ფილოსოფიური დებულებები წინ არ უსწრებს მხატვრულ ასახვას: „რუსთაველი პირველყოვლისა პოეტია და არა მგონია, რომ ეს უტყუარი ფაქტი ვინმეს სადავოდ მიაჩნდეს. მის მთავარ მიზანს სინამდვილის მხატვრული ასახვა, მხატვრული განზოგადება შეადგენს და თავის მსოფლმხედველობას ის, პირველყოვლისა, მხატვრული აზროვნების საშუალებებით გამოხატავს. შემოქმედების ამ სფეროშია რუსთაველის ადგილი და მისი გენიალობისა და ორიგინალობის ფარგლებიც უმთავრესად მხატვრული აზროვნებით არის განსაზღვრული“ (ხიდაშელი, 1988, გვ. 247). ამრიგად, „ვეფხისტყაოსანი“ არის მხატვრული ნაწარმოები, რომელიც ფილოსოფიური განაზრებების უხვ ნაკადს შეიცავს.

¹ აქ და ყველა სხვა შემთხვევაში ციტირება არის შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წლის საიუბილეო გამოცემის მიხედვით.

„არეოპაგიტული“ მოძღვრების მიხედვით სიკეთე მარადიულად იბადება ღვთისგან, და უმდაბლესიდან უმაღლესამდე სრულყოფილად მოიცავს ყველაფერს, მაშინ როცა, ბოროტება არსის სფეროშიც კი არ არსებობს: „ვინაეცა სახიერება არს უპირატეს და მტკიცებულ ყოვლად არსისაცა და არა არსისა ყოვლისა. ხოლო ბოროტი არცა არსთა შორის არს, არცა არა არსთა, არამედ თვთ მის არა არსისაცა ფრიად რადმე უცხო არს იგი და განვრდომილ სახიერებისაგან და ფრიად უფროდს მისსა უარსებო“.¹ სიკეთე ღვთისგანაა, იგი „არსთა შორის არს და არს [...]“, ბოროტება სიკეთის საპირისპიროა: „[...] წინააღმდეგომ და მბრძოლ კეთილისა არს ბოროტი“, ის სიკეთის მაღლისგან დაცლილი უსრულობაა: „რამეთუ არარა არს ყოვლად არა არს, რომელი არა სახიერებისა შორის ითქუმის ყოფად ზემთარსებისა“. ბოროტება არსისაგან გაქცევაა, მისი უარყოფაა. მხოლოდ არსი შეიძლება იყოს მარადიული. ბოროტება, როგორც არარსი დროში შეზღუდულია, ამიტომ მუდმივად არსებულ სიკეთესთან შერკინებაში იგი აუცილებლად დაიღუპება. სწორედ ამ აზრს ეფუძნება რუსთაველი, როდესაც საგანგებოდ იმოწმებს ფსევდო-დიონისეს:

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს:
 ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს,
 ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს,
 თავსა მისსა უკეთესსა, უზადო-ჰყოფს, არ აზადებს“

„ვეფხისტყაოსნის“ ამ სტროფში ასახული თვალსაზრისი, დაკავშირებულია სიკეთის მონიჭების იდეასთან (ხიდაშელი, 1988, გვ. 247). პოემაში ხშირად მეორდება კეთილის დასაბამობა და სახიერება, ბოროტების წარმავლობა და დაძლევის შესაძლებლობა:

„თქვეს: „ბოროტსა უმყოფოო, კეთილნია შენთვის მზანი!“

რუსთაველმა სანიმუშოდ განახორციელა სიკეთის მარადიული გამარჯვების იდეა მაღალმატერულად ჩაფიქრებული პოემის სიუჟეტში, რომელიც ცნობილი აფორიზმით ამგვარად ჟღერს:

„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“

რუსთაველის ეს სტრიქონი ლაკონიურად გადმოსცემს ფსევდო-დიონისეს ტრაქტატის დედააზრს კეთილის მარადიულობისა და საყოველთაობის შესახებ: „[...] ყოველნი არსნი კეთილისაგან არიან სახიერებისა და ყოველნი არა არსნი ზემთარსების კეთილსა შინა არიან და სახიერებისა და იგი არს ყოველთა დასაბამ და დასასრულ ზემთადასაბამისა და ზემთადასასრულისა“.

სიკეთე ღვთაების უპირველესი და უარსებითესი გამოხატულებაა, ბუნებრივია, რომ სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე ღვთაებრივი ნებითაც და ბედისწერითაც გარდუვალია. მართალია, მტერთან ბრძოლაში არსებობს უამრავი წინააღმდეგობა, რომელთა გადალახვა არ არის ადვილი, მაგრამ წინააღმდეგობების დაძლევითა და დაბრკოლებების გადალახვით მიზნის მიღწევა აუცილებელია.

„ვინ დამზადა შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად“.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირები აქტიურად მოქმედებენ, გვერდში უდგანან და დაულაღვად ზრუნავენ ერთმანეთზე, ისინი შეყვარებულნი არიან, იტანჯებიან, ზოგჯერ სასოწარკვეთილებაში ვარდებიან, მაგრამ არ ნებდებიან, მუდმივად ისწრაფვიან სიცოცხლისაკენ და ბრწყინვალედ იმარჯვებენ ამქვეყნიურ ბოროტებასთან თავგანწირულ შერკინებაში. ისინი ცოცხლობენ, რადგან სიცოცხლე არის ბედნიერება, რომელიც ბრძოლით და ტანჯვით მოიპოვება. მათ სწამთ, რომ ბოროტება შემთხვევითი და დროებითი მოვლენაა,

¹ აქ და ყველა სხვა შემთხვევაში, ციტირება არის 1961 წელს გამოცემული პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, „საღმრთოთა სახელთათჳს“) შრომებიდან, ეფრემ მცირის თარგმანის მიხედვით.

ხოლო სიკეთე მიიღწევა, მისთვის ბრძოლა – რეალურია. ქაჯეთის ციხიდან განთავისუფლებულ ნესტანთან შეხვედრისას ფატმანი შემდეგ სიტყვებს ამბობს:

„იტყვის: „ღმერთო რა გამახურო, განმინათლდა რადგან ბნელი!

ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია შენი გრძელი“.

სამყაროში ადამიანის უპირველესი ამოცანა სიკეთისკენ სწრაფვაა და ამ სწრაფვით არის განსაზღვრული მისი მოქმედება ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს არის საყოველთაო კანონზომიერება. ყველაზე სრულყოფილი არსების – ადამიანის – სიკეთის განხორციელებისკენ სწრაფვა მთელი არსის კონკრეტული გამოხატულებაა (ხიდაშელი, 1988, გვ. 247).

შოთა რუსთაველმა სრულიად განსხვავებულად, რენესანსული ინტერპრეტაციით წარმოგვიდგინა შუა საუკუნეების საჭირბოროტო პრობლემა სამყაროში ადამიანის ხვედრის შესახებ. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისთვის ადამიანი უმაღლესი ქმნილებაა, რომელსაც უფლება აქვს დატკბეს ამქვეყნიური სიკეთით. მისთვის მნიშვნელოვანია ადამიანის ამქვეყნიური ბედნიერება, ადამიანისა, რომელიც დაბადებულია იმისთვის, რომ უყვარდეს და იცოდეს სიყვარულის ფასი. სიყვარული არის ისეთი მადლი, რომელიც აკეთილშობილებს ადამიანს და კეთილი საქმეების კეთებისკენ წარმართავს მის ქმედებას. მას შემწედ ჰყავს უფალი, რომელიც „ბოროტს არ დაბადებს“ და კეთილის გამარჯვებას შეუწყობს ხელს.

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.“

სიყვარული ისეთივე დაუშრეტელია, როგორც სამყარო და ადამიანი. სიკეთე და სიყვარული არის ღვთაებრივი და ადამიანური შემოქმედების საფუძველი. სახარებაში ვკითხულობთ: „ღმერთი სიყვარული არს“ საკუთარ არსებაში დაუტევნელი სიყვარულის გამო შექმნა უფალმა სამყარო.

რუსთაველის საღვთო სიყვარული მიწიერისა და ხორციელისაგან სრულ განდგომას გულისხმობს და მისი დატევნა ყველას არ ძალუძს:

„ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა,
ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;
ვინცა ეცდების, თმობამცა, ჰქონდა მრავალთა წყენათა“.

ეს არის მიჯნურობის ძნელად სავალი გზა, რომელიც რთულად საწვდომ საღვთო სიყვარულს გულისხმობს:

„მართ მასვე ჰბადვენ, თუ ოდენ არ სიძვენ, შორით ბნდებიან“.

ღვთაებრივი სიყვარული ერთი განუყოფელი ძალაა, რომელიც არსებებში სხვადასხვა სიძლიერით ვლინდება და არსისკენ აღმასვლაში ეხმარება მათ. ამ სიყვარულიდან გადახვევა არარსისკენ სწრაფვაა, რაც სიძვას და ბოროტებას იწვევს. „ვეფხისტყაოსნის“ გმირების ხორციელ სწრაფვაში გამოვლენილი სულიერი ლტოლვა სიძვა კი არა, ამაღლებული სიყვარულის ბაძვაა; მაგრამ ამაღლებული, წმინდა სიყვარული, ამავე დროს, ადამიანური გრძნობაცაა, რომელიც ხორციელ სწრაფვასაც ნიშნავს. ეს არის საღმრთო სიყვარულის ძალა, რომელიც ჩვეულებრივი ადამიანური გონებისთვის რთულად აღსაქმელია.

სიყვარულს ანუ ტრფიალებას, როგორც მას დიონისე-არეოპაგელი უწოდებს, არსებითი ადგილი უჭირავს არეოპაგიტულ მოძღვრებაშიც. „რამეთუ თვთ იგი კეთილის მოქმედი არსთა ტრფიალებად სახიერებისა შორის ზემთააღმატებით წინააღმდეგ იყო, რომელი - იგი არა უტევა მან უშობელად თავსა შორის თვსსა ყოფად, არამედ აღძრა იგი მოქმედების ყოფად ყოველთავე მოქმედებისა აღმატებულებითა“. ამქვეყნიური სიყვარული ღვთაებრივია. ის ადამიანის პირველსაწყისთან ანუ ღმერთთან მიახლოებული გრძნობაა. ფსევდო-დიონისე სიყვარულზე საუბრისას გულისხმობს ერთ საწყისს, რომელსაც ესწრაფვიან და ეზიარებიან სულიერი არსებები: „ტრფიალები გინა საღმრთოდ ანუ ანგელოზებრი, გინა საცნაურებრი, გინა

მშენებელი, ანუ ბუნებითი და ნერგობითი რაჟამს ვთქუთ, ერთობისა რასმე შეზავებითსა ძალსა გულისწმა-ვჰყოფთ. რამეთუ რომელიმე უზეშთაესთა აღძრავს განმგებელ-ყოფად უდარესთა, ხოლო კუალად თანა-მონივთეთა ზიარებითად ურთიერთ არსობად და უკუანადსკნელთა და უდარესთა უზეშთაესთა მათ და უმეტესთა მიმართ მიქცევისა ყოფად“. როცა სიყვარულზე ვსაუბრობთ, ყოველთვის ვგულისხმობთ ღმერთს, რომელმაც ადამიანთა მიმართ დაუტეველი სიყვარულით და სიკეთით სასიყვარულოდ შექმნა სამყარო.

„არეოპაგიტიკა“ და მასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ, მოძღვრება პირველ ერთზე, რომელიც არის უმაღლესი სიკეთე და მთელი არსებულის სინამდვილე, სიკეთისა და ბოროტების მარადიული დაპირისპირების საკითხი, ღმერთისა და სამყაროს ერთიანობის პრინციპი, მოგვიანებით, შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ერთ-ერთ ასპექტად იქცა.

„არეოპაგიტიკაში“ ღმერთი, იგივე სიკეთე, ყველგან და ამავე დროს არსად მყოფია, ის ყველგან და ყველაფერშია, მაგრამ მისი შეცნობა მხოლოდ მისტიკური ჭვრეტითაა შესაძლებელი. სიკეთისგან განსხვავებით ბოროტება უსაწყისია, მას არსი არ აქვს. ბოროტება ადამიანთა უკეთური ცხოვრების გამო სიკეთის კლების შედეგია. ის სიკეთესთან ყოველთვის მარცხდება, რადგან დროებითი, შემთხვევითი მოვლენაა: „ბოროტსა ყოფად შემთხვევითად განიწესებოდინ“. „არეოპაგიტულ“ მოძღვრებაში სიკეთესთან მიმართებით ბოროტების ყოველგვარი მნიშვნელობა გაუქმებულია.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ბოლომდე ითვალისწინებს სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართების ფსევდო-დიონისესეულ თვალსაზრისს: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია.“ „ვეფხისტყაოსნის“ ეს თეზისი წარმართავს პერსონაჟთა მოქმედების განვითარებას და განსაზღვრავს პოემის ფინალს.

ფსევდო-დიონისეს მოძღვრებამ შუა საუკუნეების აზროვნებას პროგრესული მიმართულება მისცა. „არეოპაგიტიკაში“ წარმოდგენილმა ღმერთისა და სამყაროს ერთიანობის თვალსაზრისმა საფუძველი მოუმზადა რენესანსის იდეების ღირებულებად გამოცხადებას და რუსთველისეული ჰუმანისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. სწორედ, რუსთაველი იყო ის მოაზროვნე, რომელმაც არეოპაგიტული იდეების საფუძველზე, პირველად შუა საუკუნეების აზროვნებაში, კულტურის „გამქვეყნიურება“, ზეციურისა და მიწიერის ერთმანეთთან დაკავშირება შეძლო. ეს გარემოება ნათელი დასტურია იმისა, რომ არეოპაგიტული მოძღვრება მართლაც რუსთაველის მსოფლმხედველობის ძირითადი წყაროა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაგრატიონი, თ. (1960). განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“. თბილისი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.
2. გაწერელია, ა. (1977). რუსთაველი და ფსევდო-დიონისე არეოპაგელი. ტ. I, თბილისი. მერანი.
3. გოგიბერიძე, მ. (1940). იოანე პეტრიწი და მისი მსოფლმხედველობა. იოანე პეტრიწი, განმარტება პროკლესათუს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათუს, ტ. I. თბილისი. სტალინის სახელობის თსუ გამომცემლობა.
4. გოგიბერიძე, მ. (1961). რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები. თბილისი. საბჭოთა მწერალი.

5. ზაქარაძე, ლ. (2007). „ეროსის ადგილი „არეოპაგიტიკაში“, საიუბილეო კრებულში: ფილოსოფია-ღვთისმეტყველება-კულტურა: პრობლემები და პერსპექტივები. თბილისი. ნეკერი, არხე.
6. ზაქარაძე, ლ. (2016). დიონისე არეოპაგელის მისტიკური ღვთისმეტყველება და შუა საუკუნეების ქართული აზროვნება. ფილოსოფია და თეოლოგია შუა საუკუნეების საქართველოში. თბილისი. ფავორიტი სტილი
7. თევზაძე, გ. (1996). შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
8. თვარაძე, რ. (1996). თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა. თბილისი. საბჭოთა საქართველო.
9. ირემაძე, თ. (2016). ფილოსოფია და თეოლოგია შუა საუკუნეების ქართულ აზროვნებაში (ანონიმი ავტორი, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი). თბილისი. ფავორიტი სტილი.
10. კეკელიძე, კ. (1981). „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“. ტ. II. თბილისი. მეცნიერება.
11. მახარაძე, მ. (2011). „არეოპაგიტიკა“. თბილისი. ინტელექტი.
12. მურღულია, გ. (1992). შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. საუბრები ქართულ ლიტერატურაზე. თბილისი. განათლება.
13. ნუცუბიძე, შ. (1976). რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი. შრომები. ტ. IV. თბილისი. მეცნიერება.
14. ნუცუბიძე, შ. (1988). ქართული ფილოსოფიის ისტორია. თბილისი. მეცნიერება.
15. პეტრე იბერიელი, ფსევდო-დიონისე არეოპაგელი (1961). შრომები. თბილისი. სტალინის სახელობის თსუ გამომცემლობა.
16. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“. (1986). თბილისი. მერანი.
17. ხინთიბიძე, ე. (2009). „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო. თბილისი. თსუ ქართველოლოგიური სკოლის ფონდი.
18. Нугубидзе, Ш. (1958). Творчество Руставели. Тбилиси. ЗаряВостока.

Tea Vadakaria, Sakrebulo of Khobi Municipality

Areopagitic conception of interrelation of Good and Evil - Worldview principle of „Vepkhistkaosani“ (The Knight in Tiger’s Skin)

Summary

In our present reference is analyzed the established principle internalized in philosophical-theological thinking of medieval Georgia – Idea of monism of Good and absence of evil, which became fundamental principle for development of Renaissance worldview, in both Western as well as in Georgian thinking.

Our purpose is to represent essential idea of Good in the greatest Christian philosophical writing – „Areopagite“ and its influence on the most important Georgian writing – „Vepkhistkaosani.“

Per analysis methodology by comparing of both writings we want demonstrate that Rustaveli’s worldview originates from Areopagitic doctrine. „Vepkhistkaosani.“ Is undoubtedly based on Pseudo-Dionysius understanding of eternity of Good and absence of Evil.

On the basis of research presented in writing is demonstrated the particular designation of idea of Good in Medieval Georgian thinking, as being constructive idea of intellectual Christian tradition of Georgia.

The main doctrine of monism of Good was emphasized after reasoning of problem connected with interrelation of Good and Evil: Good never creates Evil. This idea embraced Rustaveli's creation through the „Areopagite“ and Petrissi and rested in whole Georgian consciousness: „Why creator of Good should create the Evil.“

ქეთევან მამასახლისი, თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

წმინდა მამათა სწავლანი ძველ ქართულ ნათარგმნ ძეგლებში¹

მონასტრული ცხოვრების წიაღში შექმნილი ანტონი დიდისა და ამონ ნიტრიელის ზნეობრივი დარიგებები მეუღაბნოე მამათა სულიერ სამწყსოსთან ურთიერთობაზე მოგვითხრობს.

ამ წერილთა ავტორები საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ სულიერ შვილებს და, ამასთან, უჩვენებენ მოღვაწეობის უმაღლეს საფეხურზე თანდათანობით ასვლის გზას. მათი შეგონებანი გადმოცემულია მარტივად, ორივე მათგანის შექმნის დრო და არეალი ერთმანეთს ემთხვევა, ისინი ძირითადად ეძღვნება მათივე დაარსებულ სკიტისა და ნიტრიის კრებულებს.

დანიშნულებით მსგავსი ხასიათის შეგონებანი ერთმანეთს შინაარსითაც ჰგავს. ასეთი მსგავსება სავსებით ბუნებრივია, რადგან, წყაროების თანახმად, ამონი ანტონი დიდის უპირველესი მოწაფე იყო (მამათა ცხოვრებანი, 1975, გვ.14). ზოგიერთი მკვლევრის ვარაუდით, ანტონი დიდის მიერ ზეპირად წარმოთქმულ ქადაგებებს სწორედ ის იწერდა. ამიტომაცაა, რომ მათი საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური ხასიათის შეგონებანი ერთმანეთს ავსებს, თუმც მსგავსებასთან ერთად ერთმანეთისგან სხვაობს კიდევ. აქედან გამომდინარე, ისინი ადრეული ეგვიპტური მონასტრული ღვთისმეტყველების შესასწავლად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან.

ანტონი დიდისა და ამონის სულიერ სიახლოვეზე მიგვითითებს ათანასე ალექსანდრიელის „ანტონი დიდის ცხოვრება“, პალადი ჰელენოპოლელის „ლავსაიკონი“, რუფინუსის „ბერმონაზუნული ცხოვრების ისტორია“, აპოფთეგმათა კრებულები და სხვ.

წმ. ანტონი დიდის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან ქართულ ენაზე შემოგვრჩა 7 ეპისტოლე, ხოლო ამონ ნიტრიელის შემოქმედებიდან - 2 ეპისტოლე და 16 სიტყვა.

ანტონი დიდის 7 ეპისტოლე რომ ნამდვილად მას ეკუთვნის, ამის შესახებ გვაუწყებს ნეტარი იერონიმე თავის ნაშრომში „ბრწყინვალე კაცთა შესახებ“ (თავი 88, http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=622%3A---

¹ ნაშრომი მომზადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით #FR - 18-1209

[356&catid=54%3A2016-03-23-07-24-06&Itemid=73&lang=ka](#)) ასევე - ამ დიდი მამის ბიოგრაფი - ათანასე ალექსანდრიელი.

წმ. ათანასეს უწყებით, ანტონი დიდს უგზავნიდნენ წერილებს და თავადაც პასუხობდა ამ წერილების ავტორებს. ამავე აზრს იმეორებს პახუმი დიდის ბერძნული ცხოვრება, რომლის თანახმადაც ღირსმა მამამ მასთან სტუმრად მყოფ პახუმის მონაზვნებს წერილი გაატანა ათანასესთან. და ბოლოს, ნეტარი იერონიმეს ცნობით, მან 7 ეპისტოლე გაუგზავნა სხვადასხვა მონასტერს ეგვიპტურ, კერძოდ, კოპტურ ენაზე შექმნილი. ეს ეპისტოლეები ითარგმნა ბერძნულად. ისინი ანტონის ეპისტოლეების მოკლე რედაქციაა. ამ ეპისტოლეების ქართული თარგმანი შედარებით ძველია. აღნიშნული ეპისტოლეები მეცნიერთა ყურადღებას იპყრობს როგორც ქრისტოლოგიური, ასევე ანთროპოლოგიური თვალსაზრისით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი სწავლება ადამიანის პიროვნული მიმართების შესახებ ძე ღმერთთან - იესო ქრისტესთან.

პირველ ეპისტოლეში ანტონი საუბრობს სამი სახის სულზე: პირველი ღვთის რჩეულ ადამიანს დაბადებიდან ეძლევა. ასეთი ემსგავსებიან ძველი აღთქმის მამამთავარ აბრაამს, რომელიც უფალმა გამოარჩია, მეორე დაწერილ რჯულს ემსახურებიან, მესამე კი არიან ცოდვილები, რომლებიც განსაცდელთა დათმენის გზით უფალს უახლოვდებიან.

ამავე ეპისტოლეში ანტონი დიდი საუბრობს სამი სახის მოძრაობაზე, რომლებიც ადამიანის სხეულში წარმოიშობა. პირველია ბუნებით მოცემული მოძრაობა, მეორე – მომეტებული საზრდელის მიღებით წარმოშობილი ხორციელი ბრძოლა, რომელიც სულიწმიდის შეწევნით მსუბუქდება. მესამე სახის მოძრაობას ადამიანში ბოროტი სულები აღძრავენ, იგი მხოლოდ ჭეშმარიტი სინანულის გზით იკურნება. განწმედის შემდეგ ის იღებს იმ სულიერი სხეულის ნაწილს, რომელიც აღდგომის შემდგომ ებოძება.

მეორე ეპისტოლე ეხება საღმრთო განგებულების საიდუმლოს, რომლის თანახმადაც ადამიანში ღმერთი გამუდმებით იმყოფება. რადგან ადამიანი დაშორდა უფალს და დაემონა ქმნილებებს, ღმერთმა მოსეს ხელით ჭეშმარიტი სახლი – ეკლესია - დააარსა, რათა ამ გზით დაგვაბრუნოს თავის წიაღში. ეკლესიის მშენებლობა განაგრძეს წინასწარმეტველებმა. და ბოლოს, განკაცებულმა უფალმა დაიმდაბლა თავი, მონის ხატი მიიღო, ჯვარზე გაეკრა, გამოგვიხსნა და გვასწავლა, რომ ერთმანეთის ასოები ვართ. ისაა თავად მაგალითი ცხოვრებისა. ის, ვინც მას შეუდგება, შეძლებს კეთილისა და ბოროტის გარჩევას, მიუახლოვდება ძეობილობას. ვინც ამ გზას არ შეუდგება, ღვთის მოსვლა სასჯელად ექცევა.

მეორე ეპისტოლეს აგრძელებს მეხუთე ეპისტოლე, რომელიც საღვთო განგებულების თემას და შეცნობას ეხება. ამ ეპისტოლეს მიხედვით, ის, ვინც საკუთარ თავს შეიცნობს, შეიცნობს ღმერთსაც. ადამიანის შემზადება ღვთის სათნო მსხვერლად გადასაქცევად შესაძლებელია ასკეზით, გულისა და გონების წვრთნით.

უშუალოდ პისპირის მონასტრის ბერებს მიემართება მეოთხე ეპისტოლე, მოძღვარი მათ ეკლესიის წევრებს უწოდებს და აფრთხილებს, მოერიდონ არიოზის ცრუსწავლებას, რომელიც დაუსაბამოს დასაბამის მქონედ მოიაზრებს. ანტონი სულიერ შვილებს უწოდებს გონიერ ადამიანებს, რომელთაც შეიცნეს თავიანთი თავი და ამ გზით შეიცნეს ღმერთი.

რიგით მეხუთე ეპისტოლეში ანტონი ბერებს წმინდა ისრაიტელებს უწოდებს. მისი თქმით, წმინდანთა დასი წუხს ჩვენი უძლურების გამო და ხარობს ჩვენი სულიერი წარმატების ჟამს. მოძღვარი მოუწოდებს ბერებს, მოიძულონ მიწიერი სიკეთენი და გულის ხელები

გაუწოდონ მამას. ასეთებს უფალი მოუვლენს უხილავ ცეცხლს, რომელიც მათში დაწვავს ყოველგვარ არაწმიდებას. ამ გზით განვიწმიდებით და ჩვენში დამკვიდრდება იესო.

ანტონი დიდის ეპისტოლეთაგან განსაკუთრებით გამოარჩევენ მე-6 ეპისტოლეს- „არსენოტადმი“. იგი არსინოეს მოღვაწეებს ეძღვნება. ნეტარი იერონიმე მას განსაკუთრებულს უწოდებს. ეს ეპისტოლე განსხვავდება დანარჩენი ეპისტოლეებისგან როგორც მოცულობით, ასევე შინაარსით. იგი ორ უმთავრეს საკითხს ეხება: ესაა სიყვარულის თემა და სულიერი ბრძოლა. ამასთანავე, იგი გვაუწყებს გამოხსნის განგებულების მნიშვნელობასაც.

ამ ეპისტოლის ავტორის თანახმად, ადამიანების გონიერი იგივე სულიერი არსი, რომელშიც არ არსებობს მამაკაცება და დედაკაცება, უკვდავია. მას გააჩნია დასაბამი, მაგრამ არ აქვს დასასრული. მიუხედავად ცოდვით დაცემისა, ის უკვდავია და სხეულთან ერთად არ ირღვევა. ეს უკვდავი არსი ყველა ჩვენგანშია და საფუძველია ღვთისა და ადამიანთა შორის სიყვარულისა. ის, ვინც შეიცნო საკუთარი თავი, შეიმეცნა საღვთო განგებულებაც.

იესო ქრისტე, გონი მამისა, თავი შესაქმისა, გახდა თავი ეკლესიისა, რომლის ასობიც ჩვენ ვართ. თუკი ასო განემორება სხეულს და ვნებებს დაემონება, შეეწინააღმდეგება ერთიან სულიერ არსს, რაც საერთოა ყველა ადამიანისთვის. ასეთი ივიწყებს მთავარ მცნებას, რომლის თანახმად, ვინც მოყვასის მიმართ სცოდავს, საკუთარი თავის მიმართაც სცოდავს. ეშმაკი, რომელიც უსხეულოა, ცდილობს, იმოქმედოს მოკვდავ სხეულებზე და გადააქციოს ის ბოროტ საიდუმლოთა ჭურჭლად. მას სურს დაარღვიოს მამათა შორის სიყვარული, ამიტომ თესავს მათში შურსა და ამპარტავნებას. ჭეშმარიტი მოღვაწე მოვალეა თავისი სიმდაბლით გახდეს სასუფევლის მემკვიდრე.

ანტონი დიდის მე-7 ეპისტოლე გამოკვეთს ავტორის მსოფლმხედველობას, მის „ქრისტოცენტრიზმს“. ეპისტოლის თანახმად, უფლის მონობამ გაგვათავისუფლა, იგია ჭეშმარიტი გონი და მამის შეუცვლელი ხატი, მთელი სამყაროს შემოქმედი და უფალი, სიცოცხლე ყველა გონიერი არსებისა, რომლებიც მამის ამ ხატის თანახმად არიან შექმნილნი, თუმცა შემოქმედსა და ქმნილებას შორის კარდინალური განსხვავებაა. თუკი ღმერთი შეუცვლელ საღვთო არსებას ფლობს, მოაზროვნე ქმნილებათა „გონიერი არსი“ ცვალებადია, რის შედეგადაც წარმოიშვა ბოროტება. ვნებებმა მათში სულის გრძნობები ჩაახშო და ვეღარ ძალუძთ გონიერი არსის დიდებულების აღქმა. მამა ღმერთმა მათ გამოსახსნელად გამოგზავნა თავისი მხოლოდშობილი ძე, რომელმაც ხატი მონისა მიიღო და გამოგვიხსნა. თუ იოანე ნათლისმცემელი ხალხს ცოდვათა მისატევებლად ნათლავდა, ქრისტემ სულით განგვანათლა. ამიტომ გამუდმებით გონების განწმედას უნდა ვცდილობდეთ, განწმენდა კი შეუძლებელია გნოზისის გარეშე. მოაზროვნე ადამიანის ვალია საკუთარი თავის შეცნობა, შემდეგ კი - ღმერთისა. ამ გზით იგი შეიმეცნებს, რომ ცოდვა უცხოა მისი „გონიერი არსისთვის“, იგი წარმოშვა თავისუფალი ნების არასწორმა არჩევანმა, რაც ჩვენი სიკვდილის მიზეზი გახდა. ამიტომ საჭიროა გონებისა და გრძნობების მუდმივი წვრთნა – ასკეზი, რომლის საშუალებითაც ადამიანი შეიცნობს საღვთო განგებულებას.

ანტონი დიდის გარდაცვალების შემდეგ (356 წ.) ამონი გახდა პისპირის მთის გარშემო შემოკრებილი განდეგილი ძმების სულიერი წინამძღვარი. ეს მოვალეობა, ბუნებრივია, გულისხმობდა იმ ეპისტოლურ მემკვიდრეობასაც, რომლითაც ანტონი დიდი მოძღვრავდა სულიერ შვილებს. ამონის შემოქმედებიდან ბერძნულ ენაზე მოაღწია თხუთმეტმა თხრობამ (აპოფთეგმა), შვიდმა გარდამოცემამ, ორმა უცნობმა წარმომავლობის ფრაგმენტმა და სხვ. იქიდან გამომდინარე, რომ ეს წმინდა მამაც იყო კოპტი, ცხადია, მისი ეპისტოლეებიც

თავდაპირველად კოპტურ ენაზე შეიქმნებოდა, შემდგომ ისინი ითარგმნა ბერძნულად. სირიულ ენაზე კი მოღწეულია მისი 15 ეპისტოლე. მკვლევართა ვარაუდით, სირიულენოვანი ეპისტოლეები უფრო სარწმუნო უნდა იყოს, ვიდრე ბერძნული (Сидоров, 2014, ст. 84-93.).

აღსანიშნავია, რომ ორივე წმინდანის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები შემოგვრჩა სინური კოლექციიდან sin. 25 და sin.35 (X-XI სს. ხელნაწერები). ამათგან ანტონი დიდის შვიდივე ეპისტოლე გამოავლინა და სხვა ქართულ ხელნაწერებთან ერთად აღწერა ჟერარ გარიტმა 1950 წელს. ეს ეპისტოლეები მან 1955 წელს ცალკე წიგნად გამოსცა (წმ. ანტონი დიდის ეპისტოლეთა ძველი ქართული ვერსია, 1955 წ.). ჟ. გარიტის ცნობით, არსებობდა ამ ეპისტოლეების ბერძნული თარგმანიც, რომელიც მე-16 საუკუნეში ხელმისაწვდომი იყო. დღეს მათი მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი. ჩვენამდე მოაღწია ამ ეპისტოლეების ორმა ლათინურმა თარგმანმა: პირველი თარგმანა ვალერიუს დესარასიუსმა 1555 წელს, მას ცნობილი პატროლოგი კვასტენი უარყოფითად აფასებს. მეორე, ლათინური თარგმანი, მომდინარეობს არაბულიდან, ეკუთვნის მარონიტ აბრაამ ექელენსიას. მიუხედავად პირველი ლათინური თარგმანის უარყოფითი შეფასებისა, ის არ კარგავს თავის მნიშვნელობას ქართული თარგმანის ზოგიერთი ბუნდოვანი ადგილის ასახსნელად. ანტონი დიდის ეპისტოლეების ფრაგმენტები (ორიოდე ფურცელი) შემორჩენილია კოპტურ ენაზეც. მისი სრული არაბული ვერსია დღემდე გამოუცემელია.

ამონ მონაზონის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები დღემდე შეუსწავლელია. მეცნიერულად შესწავლილი და გამოცემულია მხოლოდ ერთი - „ამონაძის სიტყვა“ Ath. 9 (979 წ.); HH 1662 (1040 წ.), Sin. 36 (925 წ.), რომელიც გამოსაცემად მოამზადა ილია ბულაძემ. ღირსი მამის დანარჩენი თექვსმეტი სწავლა, რომელთაც ჩვენ შევისწავლით, დაცულია X ს-ის უძველეს სინურ ხელნაწერებში: sin. 25 და sin.35. აღნიშნულ ნუსხათაგან sin.35 თარიღიანია (907 წ.). ამონის ეპისტოლეები კი დაცულია ხელნაწერში: sin.Geo 13. იგი ეტრატია და შეიცავს ასკეტურ და ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს. ეს თხზულებებია ანტონი დიდის ცხოვრება, მისი სწავლებები, ამონის სწავლანი და სხვ. ნიშანდობლივია, რომ მისი შედგენილობა მთლიანად უახლოვდება sin.Geo 35 ხელნაწერს, რომელიც, შესაძლოა, მისი ერთ-ერთი წყარო იყოს. ის პალიმფსესტია და არაპროფესიონალი გადამწერის ხელითაა შესრულებული, რასაც მისი ხელწერა მიანიშნებს.

დასაფიქრებელია ის გარემოება, რომ sin.35 ხელნაწერში წმ. ანტონისა და წმ. ამონის სწავლებების ძვ. ქართულ თარგმანს ერთი ხელწერა აქვს, ერთი და იგივე სტილი, ერთნაირი ორთოგრაფიული შეცდომები და სხვ. მაგალითად, ე-ს გვერდით ორივე ტექსტში ხშირად ზ-ა წარმოდგენილი, უ გრაფემის ნაცვლად მხოლოდ ო ხმოვანი და სხვ. ეს ხმოვანი თითქმის არსადაა გამოყენებული. მაგ, ანტონის ეპისტოლეებში წერია სოლი ნაცვლად სულისა, ბონებად ნაცვლად ბუნებად და სხვ.; ასევე ამონის სწავლებებში ვკითხულობთ: შეორაცხებად ნაცვლად შეურაცხებად ფორმისა, მიოდლოეს ნაცვლად მიუძლუეს, მოიდოლოს, სიხაროლმან და მისთ. გარდა ამისა, ე და ემერვე გვერდიგვერდაა ხშირად წარმოდგენილი მაგ., საქმეჴ, დღეჴ, ომჯობეჴი და მისთ.

ორივე ხელნაწერს - sin. 25-სა და sin. 35-ს - აკლია დასაწყისი და დასასრული ფურცლები, შესაბამისად, უცნობია მათი გადამწერის ვინაობა, ხოლო sin. 13-ის გადამწერის ვინაობა ცნობილია: მიქაელი.

წმინდა ამონის სწავლანს წინ უძღვის სათაურები: „თქუმული ნეტარისა მამისა ჩუენისა ამონაძისი“ ა, „წმიდისა ამონაძისი“ ბ და სხვ. ამ სწავლათაგან 13 ანბანურ რიგზეა გაწყობილი, ხოლო ორი - მე-4 და მე-15 - რიცხობრივად.

რიგით მე-16 სწავლას ორივე ნუსხაში - sin.25 და sin.35 - ერთი და იგივე სათაური აქვს: „თქუმილი დაწყნარებისათვის, რომელნი ახლად მოსრულნი იყვნენ მონაზონებად“.

ორივე მამა თავიანთ სწავლებებს იწყებს სულიერი შვილების მოკითხვით, რომლებშიც იკვეთება ამ ორი მოძღვრის მზრუნველი დამოკიდებულება მათდამი. მაგ., ანტონი დიდის მეორე ეპისტოლე იწყება შემდეგი სიტყვებით: „საყვარელთა და პატიოსანთა ძმათა ანტონი უფლისა მიერ გიკითხავ“. ანალოგიური შინაარსისაა ამონ ნიტრიელის სწავლებანიც. მაგ., „საყვარელთა მაგათ უფლისა მიმართ სიყუარული“ (I სწ.).

წმ. ამონას მსგავსება ანტონ(ი) დიდთან იმითაც იკვეთება, რომ იგი სულიერ შვილებს არა მარტო წერილობით მოძღვრავს, არამედ ზეპირადაც, დიალოგის ფორმით. ამას მოწმობს მისი მე-7 სწავლა. მასში ავტორი ადრესატს აღუთქვამს, რომ, რაც ქარტაში წერილობით სრულად ვერ გადმოსცა, პირისპირ შეხვედრისას ზედმიწევნითა უწყებს.

ამონის შეგონებებიდან პირველი და მეორე სწავლა საუფლო გზაზე მოგვითხრობს. ეს გზა სხვადასხვა სულიერი საფეხურისგან შედგება. ეს საფეხურებია: უფლის შიში, ცრემლი და სიხარული. ამ საფეხურებზე ასვლისას მოღვაწეს წინ უფლისგან დადგენილი ანგელოზი მიუძღვება, „რადთა არა ეუფლოს მას ეშმაკი“. მეორე სწავლაში ამონი ღვთის გზაზე მავალ ამპარტავან მოწაფეებს ვნებისგან თავშეკავებას ურჩევს, რაშიც მათ ლოცვა შეეწევა: „ხოლო თქუენ, საყუარელნო ჩემნო, წინა-აღუდექით სულსა მას ცუდად მზუაობრობისასა და მარადის ილოცვდით, რადთა სძლოთ მას ყოველსა შინა, რადთა მადლი იგი ღმრთისაჲ მარადის თქუენ თანა იყოს“.

ამავე გზაზე საუბრობს წმინდანი მე-8 წერილშიც. იქ იგი მკითხველის ყურადღებას ამახვილებს ცათა საფეხურებზე, რომელთაც წმინდანის სული აივლის. სათქმელის საილუსტრაციოდ მას ელია წინასწარმეტყველის მაგალითი მოჰყავს: „ოდეს ამაღლდებოდა ელია წინასწარმეტყუელი, ვითარცა აღიწია იგი პირველსა მას ცასა, უკვირდა მისი იგი სინათლედ და ახდა მეორესა მას, უფროსად უკვირდა და თქუა: ვგონებ, ვითარმედ ბნელ არს ნათელი იგი პირველისა მის ცისაჲ“.

ღვთის მადლის მოპოვებაზე საუბრობს წმ. მამა მე-4 სწავლაში, რომელიც დაყუდებით და საკუთარ თავში ჩაღრმავებით მიიღწევა: „ვნებათა მათ სძლეთ დაყუდებითა და თავისა თვისისაგან კითხვითა და ყოვლისაგან ბოროტისა სივლტოლვითა და ესრეთ ძალი ღმრთისა თვით მოვიდეს“.

ანტონი დიდისა და ამონ ნიტრიელის სულიერი სწავლებების შედარებისას დავინახავთ, რომ ისინი ერთმანეთს ავსებს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ამონი მისი სულიერი მემკვიდრეა და შესაძლებელია მისი ეპისტოლეების ჩამწერიც. ნიშანდობლივია, რომ ამონის ღვთისმეტყველება იმსოფლიურ მყოფობაზე მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს და მის შემოქმედებაში წინა პლანზეა წამოწეული. ეს ასპექტი ანტონი დიდის ეპიტოლეებში არ გვხვდება. თუმცა, შესაძლოა, ამ საკითხს დიდი მეუდაბნოე მამა შეეხო სხვა რომელიმე ზეპირ ქადაგებაში, რომელიც ჩვენთვის უცნობია. ამონ ნიტრიელის მისტიციზმი საიქიო ცხოვრებაზე წმ. მამის სულიერი გამოცდილების შედეგია და თავისუფალია ყოველგვარი თეორიის გავლენისგან. მასში განჭვრეტილია, თუ რა საფეხურებს გაივლის ადამიანის სული გარდაცვალების შემდეგ და როგორ ხდება ზეასვლა სინათლიდან სინათლეში, ერთ ციდან მეორე ცაში. როგორ უპირისპირდება ამ გზაზე სვლისას ჰაერის მცველთ და როგორ იმარჯვებს მათზე საღვთო ძალმოსილებით. ეს სწავლება, ამავე დროს, გულისხმობს ადამიანის სულიერ ზეადსვლას, საღმრთო მოღვაწეობის გზით რომ მიიღწევა. ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ ელიას ამაღლებაზე, რომელსაც ამონ ნიტრიელი მოიხმობს თავის

ერთ-ერთ სწავლებაში, როდესაც ადამიანის სულის ზეაღსვლაზეა საუბარი. ნიშანდობლივია, რომ ზოგიერთი მკვლევარი აშკარა მსგავსებას პოულობს აღნიშნულ აპოკრიფსა და ამონას მისტიკურ სწავლებას შორის სულის იმქვეყნიური მდგომარეობის შესახებ. ამდენად ამონ ნიტრიელი ეგვიპტური მისტიციზმის ერთ-ერთი უადრესი წარმომადგენელია, რასაც საკუთარი სულიერი მჭვრეტელობითი გზით აღწევს.

განდეგილობა ახალი ცხოვრების დაწყებას ნიშნავს. ათანასე ალექსანდრიელის „ანტონი დიდის ცხოვრებაში“ „უკვე გვხვდება აზრი იმის შესახებ, რომ განდეგილობაში წასული საერო საქმეთა გამო აღარ განისჯება. ამიტომაც იყო, რომ წუთისოფლისაგან განდგომა თითქოს მეორე ნათლობად მიიჩნეოდა“ (კაზანსკი, 2015). ეგვიპტელ მონაზონთა ცხოვრება. რელიგია. 1, გვ. 54). წმ. ამონ ნიტრიელის თანახმად კი, მონაზონობა აღთქმისა და სასუფეველის შვილობაა, მხოლოდ სასუფეველის ძენი ფლობენ ბოროტისა და კეთილის გარჩევის უნარს, ამიტომაც განეკუთვნათ მათ ეს პატივი.

ამ აზრს ეხმიანება ღირსი მამის მე-5 სწავლება, რომლის თანახმადაც მოყვასის სიყვარული ღვთის სიყვარულის ხილული სახეა, ხოლო „მოყვასი იგი არს, რომელი შერაცხილ არს ზეცისასა მას ჩინებასა“.

ამონას ასკეტური ხასიათის ნაშრომებში რამდენიმე წამყვანი თემა იკვეთება. ესაა, უპირველესად, სულიწმიდის და, საზოგადოდ, ღვთის მადლის მოხვეჭის თემა, რომლის აღსანიშნავადაც ასკეტი მამა იყენებს ტერმინს – ძალა. ძალაში ავტორი გულისხმობს როგორც ღვთის მადლის ძალას, ასევე ანგელოზსაც, რომელიც ადამიანს იცავს. ამონა სულიწმიდასაც სხვადასხვა ტერმინით მოიხსენიებს: სული ღვთისა, სული თვინიერებისა, სული ჭეშმარიტებისა და მისთ. ყოველივე ამით იგი ერთ მთავარ სათქმელს გამოკვეთს: ამ ძალების, ანუ სულიწმიდისა და ღვთის მადლის გარეშე ყოველგვარი სულიერი ღვაწლი ამაოა. მათი დახმარებით სძლევს მოსაგრე სხვა ძალებს, ყოველგვარ განსაცდელს და ღირსი ხდება საღვთო სითბოს მოპოვებისა. ასეთი მადლი არ ეძლევათ სიზარმაცის ვნებით შეპყრობილ მონაზვნებს, არამედ მხოლოდ ღვთის ნების აღმსრულებლებს. ღვთის ნების აღსრულება კი გულისხმობს საკუთარი ეგოისტური სურვილების მოკვეთას, ძლევას ვნებებისა. ესაა იწრო გზა, რომელზეც სვლისკენ მოგვიწოდდა უფალმა. ამ გზით ადამიანი ხდება ღვთის მონა და მოიპოვებს უვნებობას. ტირილი საკუთარი ცოდვის გამო, საშინელი სამსჯავროს მარადიული ხსოვნა ადამიანს სახარებისეული მეზურის მსგავსად თავმდაბალს ხდის. სიმდაბლის უდიდესი მაგალითი კი თავად უფალია, რომელიც ჩვენი გამოხსნისთვის განკაცდა.

წმ. ამონის ასკეტური ღვთისმეტყველების სიღრმისეული გაცნობა გვიჩვენებს, რომ იგი ანტონი დიდის სულიერი მემკვიდრეა როგორც თავისი ცხოვრების წესით, ისე შემოქმედებითაც. ამონის ასკეტურ ღვთისმეტყველებას განსაკუთრებით ახასიათებს სულიწმიდის, ზოგადად, ღვთის მადლის მოხვეჭის თემა. მისი მოხვეჭა კი ხდება საკუთარი ნების უარყოფით. ამ გზით მოღვაწე თავისუფლდება ცოდვათა ტყვეობისგან და მოიპოვებს შინაგან მდუმარებას, ჭეშმარიტ „გნოზისს“. ასეთი მდგომარეობა მოსაგრის სულს ანიჭებს ჭეშმარიტ თავისუფლებას. უზენაესი მიზნისკენ სწრაფვა, სულის ხსნისა და ცათა სასუფეველის დამკვიდრების მუდმივი სურვილი ამომრავებს როგორც ანტონი დიდის, ისე ღირსი ამონას ცხოვრებასა და შემოქმედებას. ორივე მამის სწავლების თანახმად, ადამიანის უზენაესი მიზანი განღმრთობაა.

ანტონი დიდისა და ამონ ნიტრიელის სწავლებათა ურთიერთშედარებისას დავინახავთ, რომ ისინი გარკვეულწილად ავსებს ერთმანეთს. ეს მისტიკურ-ასკეტური

ხასიათის წერილები საინტერესო სურათს გვაძლევს სკიტისა და ნიტრიის უდაბნოების ასკეტური ღვთისმეტყველების შესასწავლად.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

ლიტერატურა:

1. გარბი, ჟ. (1955).წმ. ანტონი დიდის ეპისტოლეთა ძველი ქართული ვერსია, უძველესი (Xს.) სინური ხელნაწერების მიხედვით.
2. კაზანსკი, პ. (2015). ეგვიპტელ მონაზონთა ცხოვრება. *რელიგია* #1, თბილისი.
3. მამათაცხოვრებანი (1975). ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა. თბილისი.
4. ნეტარი იერონიმე. ბრწყინვალე კაცთა შესახებ. საეკლესიო ბიბლიოთეკა. http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=622%3A---356&catid=54%3A2016-03-23-07-24-06&Itemid=73&lang=ka
5. Сидоров,А. (2014). Святоотеческое наследие и церковные древности. т. 4. Москва. Сибирская Благовонница.

წყაროები:

6. Sin 25, გაციფრებული ფოტოპირები, ელ. ვერსია, აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკა.
7. Sin 35, გაციფრებული ფოტოპირები, ელ. ვერსია, აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკა.

Ketevan Mamasakhlisi, Tbilisi Theological Academy and Seminary

Teaching of Holy Father in old Georgian translated monuments

Summary

The moral teachings of Anthony the Great and his spiritual successor Amun of Nitria are the most important part of patristic literature.

The emergence of collections by the Desert Fathers is connected to the spiritual labors of these holy fathers, with the Scetis and Nitria Collections being the most notable.

Seven epistles from St. Anthony the Great's literary work have been preserved in Georgian, whereas there are 2 epistles and 16 essays by Amun of Nitria preserved in Georgian.

Regarding their content and purpose, the literary works of both holy Fathers bear a distinct similarity to each other.

Their spiritual exhortations are directed towards their spiritual children. These are letters of a pastoral nature, which at the same time, are quite extensive in length.

These are theological teachings and exhortations of a philosophical nature, which stemming from their essence, are not only intended for monastics, but for every Christian believer.

It must be noted that the Old Georgian translations of the literary works of both saints Both Fathers begin their teachings by inquiring after their spiritual children, thus demonstrating the caring, fatherly approach these two pastors had towards them.

After the death of Anthony the Great (356), Amun of Nitria took on the task of spiritually guiding the desert Fathers gathered around Mt. Nitria. This obligation naturally implied a continuation of the epistolary work through which Anthony the Great shepherded his spiritual children.

Through an in-depth study of Amun of Nitria's ascetic theology, it is shown that this saint is an indubitable successor of Anthony the Great not only in the way he lived but also through his literary activities. The theme of acquiring the Holy Spirit, or God's grace in general, is especially characteristic of his ascetic theology.

In accordance with the teachings of both Fathers, a person's utmost aims are their aspiration towards God, the constant search for spiritual deliverance, and finding the kingdom of heaven.

ლელა შათირიშვილი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

გვიანი შუა საუკუნეების სამედიცინო ხელნაწერები საქართველოში

საყოველთაოდ ცნობილია, რომ უძველეს კულტურულ ერებს აქვთ სამედიცინო აზროვნება, რომელიც შეიძლება იყოს ორიგინალური თუ ნასესხები. მედიცინა განვითარებული დარგი იყო ადრეულ ცივილიზაციებში. ძველ საბერძნეთში მკურნალობის ხელოვნებას და სამედიცინო ცოდნას თავისი დამახასიათებელი ნიშნები ჰქონდა. ანტიკური საბერძნეთის მედიცინაში დიდი ადგილი უჭირავს ჰუმორალურ თეორიას, რომლის მიხედვითაც, ადამიანის ორგანიზმში დაპირისპირებული ოთხი ელემენტი წარმოდგენილია წვენების (ხილთების) სახით. მათი შეზავება არის პირობა ჯანმრთელობისათვის. ნორმალური შეზავების მოშლა ამა თუ იმ ელემენტისგაძლიერებით ან შემცირებით იწვევს ავადმყოფობას. ანტიკური მედიცინის აყვავების ხანა დაკავშირებულია ჰიპოკრატეს სახელთან, რომელიც ისტორიაში შევიდა მედიცინის მამის სახელით. დიაგნოსტიკასა და თერაპიაში ეყრდნობოდა ჰიპოკრატეს რომაული მედიცინის უდიდესი წარმომადგენელი კლავდიუს გალენუსი, რომელიც მიიჩნევდა, რომ ავადმყოფობათა მიზეზი ყოველთვის არის სულისა და სხეულის შეთანხმებულობის დარღვევა.

თავისი ხასიათით ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი აღმოჩნდა ქრისტიანული სარწმუნოების წარმოშობისა და დამკვიდრების პირველი საუკუნეები. დაიწყო ანტიკური საზოგადოების სულიერი გარდაქმნის პროცესი. ქრისტიანობა არ ვითარდებოდა განყენებულად, ითვისებდა ყოველივე მისაღებს ანტიკური კულტურისგან. ადრეული ქრისტიანობის საწყის ეტაპზე გაჩნდა წარმართული ფილოსოფიის ქრისტიანობისკენ წარმართვის ტენდენცია. IV საუკუნე იყო გარდამავალი ეპოქა – უკვე გავლილი ისტორიის

დასასრული დაახალი ქრისტიანული პერიოდისდასაწყისი. ბიზანტიური ფილოსოფიის განვითარებისა და სწრაფი აღმავლობის საფუძველი მომზადდა აღმოსავლეთის ხალხთა კულტურის, ბერძნული ფილოსოფიისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ურთიერთგადაჯაჭვით(ჭელიძე, 1998, გვ. 128).

ძველ საქართველოში ფილოსოფიური მწერლობა, რომელიც მედიცინასაც მოიცავდა, ინტენსიურად და მძლავრად ვითარდებოდა. მწერლობის პირველი პერიოდიდან ტაო-კლარჯეთის ერთ-ერთი სამწიგნობრო კერიდან, შატბერდიდან, ჩვენამდე მოაღწია სასწავლო ტიპის შერეულმა კრებულმა, რომელიც სხვადასხვა ხასიათის შრომებთან ერთად შეიცავს გრიგოლ ნოსელის სამედიცინო-ფილოსოფიური ხასიათის თხზულებას „კაცისა შესაქმეს“ და ბასილი კესარიელის „მკვეცთათჳს“ (გიგინეიშვილი და გიუნაშვილი, 1979, გვ. 67-127; გვ. 175-190).

სამედიცინო ცოდნით სასულიერო პირების დაინტერესებამ განსაკუთრებით თავი იჩინა ათონის სამწიგნობრო-მთარგმნელობით სკოლაში. იქ მოღვაწე ქართველები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ეთარგმნათ და მიეწოდებინათ თანამემამულეთათვის მოწინავე სულის სარგო მწერლობის ნიმუშები, თარგმნიან ასკეტიკური ჟანრის თხზულებებს, რომლებიც შეიცავდა ფიზიოლოგიური ტრაქტატებისთვის დამახასიათებელ ნიუანსებს, მაგრამ მათი შემქმნელები სამედიცინო ცოდნას ისე იყენებდნენ თავიანთ შემოქმედებაში, რომ მკითხველს, მორწმუნეს, შთააგონებდნენ ფიზიკური შეგრძნებების მავნე გავლენას სულზე. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ორი ტრაქტატი, რომლებიც XI საუკუნის 20-იან და 50-იან წლებში თარგმნეს ათონელებმა მამებმა. ერთია ექვთიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი გრიგოლ ნოსელის „ქალწულებისათვის“ (ზვიადაძე, 2011, გვ. 1-376), მეორე კი — გიორგი მთაწმიდელის თარგმანით მოღწეული ბასილი ანკვრიელის თხზულება „ქალწულებასა შინა ჭემმარიტისა უხრწნელებისათჳს“. ავტორი, ყოფილი ექიმი და სასულიერო პირი, ცდილობს თეოლოგიურ-გნოსეოლოგიურ, ფიზიოლოგიურ, დიეტეტიკურ-ჰიგიენურ ცნებებზე დაყრდნობით გააშუქოს თავისი თხზულების თემატიკა. ცენტრში დგას სხეული სულთან ერთად. თხზულების მიხედვით აშკარაა, რომ ასკეტიკური ცხოვრების წესი არ ვითარდებოდა განყენებულად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სულისა და სხეულის ურთიერთკავშირს, უხრწნელების მსურველის ცხოვრების რეჟიმსა და კვების საკითხებს (შათირიშვილი, 2016, გვ. 34-53).

მოგვიანებით საზოგადოებაში საექიმო ძეგლების მემშვეობითა და ხალხური მედიცინის შედეგად დაგროვილმა ცოდნამ თავი იჩინა ისეთ ლიტურგიკულ თხზულებაში, როგორცაა: „კურთხევანი“, რომელშიც შევიდა თავის ტკივილის, კბილის ტკივილის და ა.შ. ლოცვები. ხალხმა, სავარაუდოდ, დაბალი ფენების წარმომადგენლებმა, ავადმყოფობისგან თავდაცვის ამგვარი გზა გამოიხატა.

საქართველოში XI საუკუნეში უნდა შექმნილიყო სამედიცინო კრებული საკუთარი არქიტექტონიკითა და ტერმინოლოგიით. სამედიცინო კრებულები ძალიან პოპულარული იყო, ხშირად იწერებოდა, მაგრამ ინტენსიური გამოყენების გამო მალე ზიანდებოდა, იფურცლებოდა და იხეოდა. ესაა მიზეზი, რომ ჩვენამდე არცთუ ბევრმა სამედიცინო კრებულმა მოაღწია.

კრებულთა ხშირი გამოყენების გამო ჩვენამდე მოღწეული კარაბადინები მოხატულობისა და საგანგებო მორთულობის გარეშეა დატოვებული. მათ დეკორს წარმოადგენს სინგურით გამოყოფილი საზედაო ასოები. სამედიცინო კრებულებში არც სამედიცინო ხელსაწყოების ნიმუშებია მოცემული, რომ არაფერი ვთქვათ, ადამიანის ანატომიის საილუსტრაციო მასალის შესახებ. სამაგიეროდ, ევროპული გავლენით შექმნილი ვეტერინარული კარაბადინებია გაფორმებული სამედიცინო ხელსაწყოებითა და ცხოველთა ჩონჩხის გამოსახულებებით.

მველი საქართველოს მედიცინის ისტორიის ერთ-ერთი ადრეული კრებულია „უსწორო კარაბადინი“, რომელიც, სავარაუდოდ, X საუკუნის მიწურულში ან XI ს-ის დასაწყისში შეიქმნა. იგი შეიცავს სხვადასხვა ქვეყნის მედიცინის პლასტებს: შუმერულს, ინდურს, ჩინურს, მაგრამ შემდგენელი თავის აზრებსა და დაკვირვებებს უფრო ავითარებს იმ ცოდნის საფუძველზე, რომელიც აქვს. ამ თვალსაზრისით ქანანელი არის თავისუფლად მოაზროვნე ექიმი (კუხიანიძე, 1997, გვ. 15-53). ეს სამედიცინო კრებული, როგორც ჩანს, დიდ ინტერესს იწვევდა ნებისმიერ ეპოქაში და ამიტომაც გასაკვირიარაა, რომ „უსწორო კარაბადინის“ გვიანდელი ვერსიაც არსებობს. მისი კიდევ ერთი ხელნაწერი XIX ს-ის პირველი მეოთხედით თარიღდება. შეიცავს 498 ფ-ს; ნაწერია ქალაღზე; ფურცლის ზომაა: 29,8x20,2 სმ.; ტექსტი ადრეული ნუსხისგან განსხვავებით მხედრულითაა ნაწერი, მელანი შავია, სათაურები და ცალკეული სიტყვები — წითელი. ჩასმულია ხის ტვიფრულ ტყავადაკრულ ყდაში; ამ ხელნაწერს პეტერბურგში მიაკვლია ლ. კოტეტიშვილმა. მან იგი გამოიყენა Q-26-ის შესავსებად და მათ საფუძველზე გამოსცა „უსწორო კარაბადინის“ ტექსტი (კოტეტიშვილი, 1940, XXVIII-XXXII; კუხიანიძე, 1997, გვ. 16-33).

ხელნაწერს ერთვის არაერთი მინაწერი, რომელებიც აზრთა სხვადასხვაობას დღემდე იწვევს. ერთ-ერთ მინაწერში დაცულია ცნობა: „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილიდან ბუბიყოვლად წმინდა მძლავრისი სატოსი, ნუ მკითხავ ჩემ ცოდვისას. ვინც ესე წაიკითხოთ, ცოდვილსა ქანანელსა შენდობას უბრძანებდეთ“. ლ. კოტეტიშვილის აზრით, ქანანელი ამ წიგნის ავტორად უნდა გამოცხადდეს (კუხიანიძე, 1997, გვ. 42).

ტექსტი ვრცელია, შედგება სამი ნაწილისგან: 1. მოცემულია ზოგადი საექიმო პრინციპები, ანატომიური, ფიზიოლოგიური, ბიოლოგიური ფარმაკოლოგიური ცნებები. 2. კერძო პათოლოგია და თერაპიაა მოცემული, შესულია თითქმის ყველა შინაგანი ორგანოს დაავადებები. 3. კანის დაავადებები, მოტეხილობა, დამწვრობა, დამდურულის მკურნალობა, ასევე საკვების შესახებ ინფორმაცია: „ხასიათი თევზისა და ხორცთა“; რძის ხასიათი, ბოსტნეულის ხასიათი. მაგ., ხასიათი თევზთა. „ყოველიფერი ახალი თევზი ნედლი და გრილია და ბალღამი მატოს... თევზი წურილი სჯობს სხვილსა მდინარისა დიდისა. და შემწუარ სჯობს. თუ გინდოდეს, რომე შეკრას, ძრმითა ჭამე“ (კუხიანიძე, 1997, გვ. 549-585).

ქანანელი არის კაცი, რომელიც თავისი დაკვირვებით მიღებულ დასკვნებსაც გვაცნობს და ამის არ ერიდება, მაგ.: „და ჩუენ ბრძენთა აქიმთაგან არა გვასმია დაწერილი, მაგრამ ჩუენითა უმეცრებითა ვიტყვი ამას, რომე კარგი ისია, რომე წითელ-წითელი ნიშნები ჰქონდეს... ლერწამსა და... ავსა ტბაშიგა იყოს, არ ვარგადა ლურჯი თევზი კარგია, ძრმითა სჯობს ჭამოს, რომე პიტნა და კულიავი ერიოს და თევზი საჭმელად თბილის სჯობს ცივსა...“ (კუხიანიძე, 1997, გვ. 555-556).

ზემომოყვანილი მაგალითიც ცხადყოფს, რომ ის ცდილობს მრავალმხრივ ცოდნაზე დაყრდნობით გადმოსცეს თავისი დაკვირვებები და თვალსაზრისი, რაც მის განსწავლულობაზე მეტყველებს და შემდგენელს წარმოაჩენს თავის უფალ მოაზროვნედ.

საექიმო წიგნები მეტად მნიშვნელოვანი თხზულებები უნდა ყოფილიყო შუასაუკუნეების ქართველთათვის. სამკურნალო წიგნების მნიშვნელობაზე უნდა მიუთითებდეს ერთი მინაწერი, რომელიც ერთვის „წიგნი სააქიმოს“. „ესე წიგნი სააქიმოს ოდეს რუქანდან სულთანის კარნუ ქალაქისა კართა ზედა გააქციეს მუნით ალაფად მოიღეს ქრისტეს მიერ პატრონი ჭყონდიდელმან მისმან მწიგნობართ უხუეცესობამან პროტომუპერტიმოსმან და ვაზირთა ყოველთა უპირაველესმან კაცმან, გონებად მოზავნმან და საღმრთოთა მსჯავრთა მართლმსაჯულმან და ხელისა მკობელმან უღონოთა და ქურივთამან ქართულად მათარგმნინა მე, მიწასა მათთა ხოჯაყოფილსა“. ხოჯა, როგორც ვარაუდობს მკვლევარი, სულხან-საბას მიხედვით ნიშნავდა მოძღვარს, მასწავლებელს, დიდვაჭარს. ხელნაწერი 1206 წელს წამოუღიათ ქართველებს კარნუ ქალაქიდან.

ჩვენ ხელთ არსებული პირი კი გადაწერილია მე-14-15 სს-ში (კოტეტიშვილი, 1936, XIX-XX) **(ფოტო 1)**.

წიგნი იმდროინდელი სამედიცინო ენციკლოპედიაა; შესულია 22 ავტორის ნაშრომი; ამდენად, მისი შემოტანა საქართველოშიარის მნიშვნელოვანი მოვლენა. კრებულსდიდი გავლენა მოუხდენია სამედიცინო წერილობით ძეგლებზე.

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი იყო XV საუკუნის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი, ეროვნული დამოუკიდებლობისა და ერთიანობისთვის მებრძოლი, ფანასკერტელთა სახლის უფროსი, ციციშვილთა ფეოდალური საგვარეულოსა და საციციანოს ერთ-ერთი ფუძემდებელი. XV საუკუნის 60-იან წლებში იგი ტაოდან, კონკრეტულად ფანასკერტიდან, შიდა ქართლში გადასახლდა. ავტორია ორიგინალური სამედიცინო ძეგლისა „სამკურნალო წიგნი—კარაბადინი“. „სამკურნალო წიგნის“ ხელნაწერი 864 ფურცლისგან შედგება, ნაწერია ქალაქდზე; დამკვეთი და ავტორ-შემდგენელია ფანასკერტელი ზაზა, მკურნალი; სხვა სამედიცინო ტექსტებისგან განსხვავებით ხელნაწერს აქვს შემკულობანი და მინაწერები. როგორც ვახტანგ VI-ის შესრულებულიერთ-ერთი ჩანაწერი გვამცნობს,განადგურების პირას მისული ეს სამედიცინო ძეგლი დაღუპვას მეფის ძალისხმევით შედეგად გადაარჩინეს (აღწერილობა (Q II), 1958, გვ. 281-286).

წიგნში განხილულია თეორიული და პრაქტიკული მედიცინის საკითხები. მისი აზრით, ავადმყოფის განსაკურნავად საჭიროა ზუსტ ცოდნაზე აგებული მკურნალობის რაციონალური მეთოდების გამოყენება. იგი უარყოფს ფსიქიკურ დაავადებათა მისტიკურ ბუნებას და მათ ტვინში მიმდინარე პათოლოგიური პროცესების გამოვლენად მიიჩნევს (შენგელია, 1978, გვ. 3-64) **(ფოტო 2)**.

„იადიგარ დაუდი“ XVI-XVII საუკუნეებში შედგენილი ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომია, რომელიც მაშინდელი მედიცინის თითქმის ყველა ძირითად საკითხს ეხება.დავით XI-მ, დაუთ-ხანმა, ლუარსაბ I-ის ძემ ოსმალეთში ყოფნის დროს ორი ოსმალური კარაბადინისგან ერთი ქართული საექიმო კრებული შეადგინა და საქართველოში გამოგზავნა.კრებულის ყველაზე ადრეულსა და სრულ ვერსიას ერთვის შემდგენლისანდერძი.შემდგენელი წერს, რომ საქართველოში „მრავალი ისეთი კაცი ვნახეთ, რომე უხელობითა და უცოდნელობითა მოკვდა და დაზიანდნეს, რომე რაცა მათ კაცზე და სენი და ჭირი ვნახეთან მისი სენისაგან ისი კაცნი დაზიანდნეს, მის სენისა და ჭირის წამალი ყუელა ადვილისა საქმითა მათ წიგნებში გაეწერა. ვნახეთ და წავიკითხეთ ამ რიგისა სენი სამკურნალი წამალიცა ბევრი ვნახეთ“ (აღწერილობა (QI). ყველაზე მეტი სწორედ ეს ხელნაწერი შემონახულა და გავრცელებულიც ყოფილა (კოტეტიშვილი, 1985, გვ. 1-87).

სამედიცინოწიგნი შედგება რამდენიმე ნაწილისგან, ესენია: ზოგადი ნაწილი, რომელშიც წარმოდგენილია მოკლე ანატომიურ-ფიზიოლოგიური მონაცემების მიმოხილვა; ჰიგიენისა და დიეტეტიკის საკითხები, დიაგნოსტიკური საშუალებები. დაწვრილებით არის აღწერილი დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის წესები; საკვები პროდუქტებისა და სამკურნალო საშუალებების თვისებები.

„იადიგარ დაუდში“ თანმიმდევრულადაა განხილული იმ დროს არსებული მედიცინის თითქმის ყველა დარგი — ნერვული და ფსიქოლოგიური დაავადებები, თვალის, ყურის, შარდ-სასქესო და სხვა შინაგანი ორგანოების, ამასთან თითქმის ყველა დაავადება ცალ-ცალკეა დახასიათებული **(ფოტო 3)**.

„აბრაამის კარაბადინი“ XVIIსაუკუნის ხელნაწერადაა მიჩნეული. ტექსტი თავბოლონაკლულია, ნუსხურით ნაწერი, გაფორმებულია სინგურითა და თავკაზმულობებით. გადამწერად მიჩნეულია აბრაამი; ხელნაწერი შეწირულია პლატონ იოსელიანის ქვრივის, ანა ნიკოლოზ მუხრან-ბატონის ასულის მიერ.

ტექსტი სამი თავისგან შედგება: აქედან უმთავრესიაამე-2 ნაწილი, რომელსაც ეწოდება „კარაბადინი მართალი და ჭეშმარიტი“; მას წინ უძღვის „სამთვარიო“ და ერთვის ბოლო

ნაწილი, ლოცვები. „კარაბადინის“ მეორე ნაწილში არის სამედიცინო ხასიათის ტექსტი. ამ ნაწილში მოყვანილია 108 დაავადების დასახელება; არ არის მითითებული გამომწვევი მიზეზები, მოკლედ გვაწვდის მკურნალობის მეთოდებს. „სამთვარიოში“ მოყვანილია ცნობები, როგორი ამინდი იქნება მთელი წლის განმავლობაში; როდის იქნება მზისა და მთვარის დაბნელება, ხოლო „ლოცვებში“ წარმოდგენილია წმინდა მამების საკითხავები, მაგალითად: „ლოცვაა წმიდისა ბასილისი მოტებლად ეშმაკთა“, „ლოცვაა წმიდისა იოანე ოქროპირისა კაცისა ჭირვეულისა“, ასევე ლოცვები სხვადასხვა დაავადების საწინააღმდეგოდ, ესენია: „ლოცვაა ბედნიერისა“, „ლოცვაა მტერდაცემულისა“, „ლოცვაა სნეულებისა“ და ა.შ. (აღწერილობა (HII), 1951, გვ. 288-289).

ლადო კოტეტიშვილის აზრით, ზემოხსენებული ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს XIV საუკუნეში. მისი პირვანდელი შედგენილობა შეცვლილია, რადგან შეტანილია გამოკრებილი ცნობები სხვადასხვა სამედიცინო წიგნიდან და ამასთან ერთად ხალხური მკურნალობა; შეიცავს წარმართული მედიცინის ნაშთებს, ასევე სხვა ინფორმაციას, რომელიც „გატარებულია რელიგიურსა და „მაგიურ რწმენათა პრიზმაში“ (კოტეტიშვილი, 1936, XXXI-XXXII; ხელაია, 2009, გვ. 14-17) **(ფოტო 4)**.

გვიანი შუასაუკუნეებიდან, მას შემდეგ, რაც საქართველოში შემოდიან კათოლიკე ბერები, ებმებიან საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, მათი ძალისხმევით გაიხსნა აფთიაქები და სამედიცინო სასწავლებელი თბილისში. ისინი ამყარებდნენ მჭიდრო კონტაქტს მოსახლეობასთან, ჰქონდათ თავიანთი სამკურნალო საშუალებები, რომლებითაც მკურნალობდნენ მოსახლეობას. ქართულ სამედიცინო კრებულებში გვხვდება კიდევ ფრაზები: „... ფრანგთა ასრე იციან“ „... ფრანგნი შარბათსა ასრე გააკეთებენ“ (ხელაია, 2009, გვ. 155).

XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში საგრძნობლად გაღვივდა რუსეთთან ურთიერთობა. 1699 წელს საბოლოოდ გადასახლდა რუსეთში არჩილ II; XVIII ს-ის პირველ მეოთხედში ვახტანგ VI-ც გაემგზავრა რუსეთს, ბოლოს, 1801 წლის მანიფესტის გამოცემის შემდეგ, რუსეთში იძულებით გადასახლებულმა ქართველმა მოღვაწეებმა, სამეფო ოჯახის წევრებმა, მაღალი არისტოკრატის წარმომადგენლებმა რუსეთში ხელი მიჰყვეს ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას: ითარგმნებოდა, იწერებოდა, მრავლდებოდა წიგნები და საქართველოში იგზავნებოდა.

XIX საუკუნეში საექიმო წიგნებისთვის დამახასიათებელია ის, რომ მზადდება არა ენციკლოპედიური ხასიათის უზარმაზარი კრებულები, არამედ ერთი კონკრეტული დაავადების შესახებ ხელნაწერები. ასეთებია, მაგალითად, სკორბუტისა (სუროვანდის) და ყვავილის მკურნალობის შესახებ ტექსტები და სხვ.

დღესდღეობით ყველაზე მეტი სამედიცინო დანიშნულების ჩანაწერი მე-19 საუკუნიდან გვაქვს. ეს ის პერიოდია, როდესაც სოციალურ უფრო და უფრო მეტს შეუძლია წერა-კითხვა, ამიტომ, გარდა ფუნდამენტური სქელტანიანი სამედიცინო კრებულებისა, იქმნება საოჯახო დანიშნულების ჩანაწერებიც.

ადრეული შუასაუკუნეებიდან ვითარდებოდა და იხვეწებოდა სამეცნიერო სამედიცინო ცოდნა, რომელიც გულისხმობდა არა მარტო ადამიანის ფიზიოლოგიისა და ანატომიის შესწავლას, მის მკურნალობას, არამედ ცხოველებისა და ფრინველებისთვისაც სამედიცინო კრებულების შექმნას. ესეც პრაქტიკული მიზნებით იყო ნაკარნახევი და ემსახურებოდა შინაური ფრინველისა და ცხოველის მოშენება-მოვლას, გამრავლებასა და ყოფითი პირობების გაუმჯობესებას. ძველი ქართული სამედიცინო და ვეტერინარული წერილობითი ძეგლების (კარაბადინების) მეტად მდიდრული შინაარსი, მათში მოყვანილი სამკურნალო საშუალებათა შედარებით სრულყოფილი ტერმინები, აგრეთვე ფაქტი, რომ საქართველოში სამკურნალო საქმიანობისა და წამალთმომზადების შესახებ ცნობები ანტიკური ხანის თითქმის ყველა უცხოელ მწერალს, ისტორიკოსსა და გეოგრაფს აქვს

მოწოდებული, იმაზე მეტყველებს, რომ ძველ საქართველოში წამალთმცოდნეობა, მათი მომზადების ტექნიკა და საერთოდ სამკურნალო საქმე მაღალ დონეზე ყოფილა. მიუხედავად ამისა, ცხოველთა და ფრინველთავეტერინარული სამკურნალო კარაბადინები მხოლოდ გვიანი შუასაუკუნეებიდან გვაქვს.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ოთხ (A, S, Q, H) კოლექციაში 30 ერთეული ქართული ვეტერინარული ხელნაწერია დაცული, ამათგან ვეტერინარულ ხელნაწერთა საერთო რიცხვიდან ექვსი „ფრინველთა კარაბადინის“ ტექსტს შეიცავს; 21 ხელნაწერი ცხენთა სამკურნალოდ განკუთვნილი ხუთი სხვადასხვა შრომის ნუსხებია. ხელნაწერები, რომლებიც ცხენის სამკურნალოა, დამოუკიდებელ წიგნად ან კრებულში საკითხავის სახითაა მოღწეული. ზოგჯერ ერთ ხელნაწერ წიგნშია აღწერილი როგორც ცხენის, ისე ფრინველთა დაავადებები და მკურნალობა ან სამედიცინო, მხატვრული, რელიგიური, ტექნიკური და სხვა ხასიათის ლიტერატურა.

„ცხენის კარაბადინის“ ყველაზე ადრეული ხელნაწერი H-414-ია, გადაწერილია XVI-XVII სს-ში, დაწერილია ხელნაწერი კრებულის 91r-94v-ზე; ქალაქდზე; სათაურები სინგურითაა; H-414 ერთადერთი ნუსხურით დაწერილი ცალია. ხელნაწერში მითითებულია, ცხენის ამა თუ იმ დაავადების შემთხვევაში სად და რა ფორმის დალი უნდა დაესვას პირუტყვს. აღწერილია ცხენის ზოგიერთი დაავადების - კატარაქტის, შარდის შეკავების, ყაზობის და სხვ.- მკურნალობის ხერხები და მეთოდები (აღწერილობა (H), 1946, გვ. 309-310; ხელაია, 2009, გვ. 9-14).

განსაკუთრებით მრავლადაა ვახტანგ VI-ისეული „ცხენის კარაბადინები“; ამასთანავე მოგვეპოვება როგორც ბაგრატ ბატონიშვილის მიერ რუსულ ენაზე არსებულ სხვადასხვა ვეტერინარულ წყაროთა თარგმნა-შეკრების შედეგად დაწერილი შრომის „სამკურნალო ცხენთას“ ნუსხები, ასევე იოანე ოსესძის თარგმნილ-შედგენილი კომპილაციური შრომის „ცხენის კარაბადინის“ ტექსტის შემცველი ხელნაწერები (*ფოტო 5*).

ამრიგად, საქართველოს წარსულის ავბედიტობას გადარჩენილი და დღესდღეობით შემორჩენილი ძველი ქართული სამედიცინო და ვეტერინარული ხელნაწერები უტყუარ წარმოდგენას ქმნის როგორც ადამიანის ფიზიოლოგიისა და ანატომიის შესახებ ძველ საქართველოში, ასევე ცხოველებისა და ფრინველებისთაობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიგინეიშვილი, ბ., გიუნაშვილი ელ. (1979). შატბერდის კრებული, X საუკუნისა. თბილისი. მეცნიერება.
2. ზვიადაძე, გ. (2011). წმიდა გრიგოლ ნოსელი. ქალწულებისათვის და საღმრთოისა მოქალაქობისა. თბილისი. მერიდიანი.
3. კოტეტიშვილი, ლ. (1936). წიგნი სააქიმოი. მედიცინა ძველ საქართველოში. XIII ს. ტფილისი. სახელმწიფო გამომცემლობა სამეცნიერო სექტორი.
4. კოტეტიშვილი, ლ. (1940). ქანანელი. უსწორო კარაბადინი. თბილისი. საქმედგამი.
5. კოტეტიშვილი, ლ. (1985). დავით ბაგრატიონი. იადიგარ დაუდი. თბილისი. საბჭოთა საქართველო.
6. კუხიანიძე, დ. (1996). უსწორო კარაბადინი. თბილისი. ენგადი
7. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა.(1946).საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები /H კოლექცია/. ტ.I. თბილისი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

8. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა.(1951). საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები /H კოლექცია/. ტ. II.თბილისი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.
9. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა.(1957)./Q კოლექცია/. ტ. I. თბილისი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
10. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. /Q კოლექცია/. ტ. II. (1958).თბილისი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.
11. შათირიშვილი, ლ. (2016). ბასილი ანკვრიელი და მისი თხზულების „ქალწულებასა შინა ჭემმარიტისა უხრწნელებისათჳს“ ქართული თარგმანი. თბილისი.
12. შენგელია, მ. (1978). ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი. სამკურნალო წიგნი, კარაბადინი.თბილისი. საბჭოთა საქართველო.
13. ხელაია, ნ. (2009). ოთხი ქართული სამედიცინო ხელნაწერი.XVI-XVIII სს. თბილისი.
14. ჭელიძე, მ. (1998). ელინიზმის ფილოსოფია ადრეული ქრისტიანობის ეპოქაში. თბილისი. თსუ.

Lela Shatirishvili,

Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts

Late Medieval Medical Manuscripts in Georgia

Summary

Scientific medical knowledge involving the study of human physiology and anatomy and treatment, has been refined and filled for centuries. Medical books should have been very important to the medieval Georgians.

Such is "Ustoro Karabadini" by Qananeli or Tsigni Saaqimoi" by Khojakofili taken by Georgians in 1206 and translated. His translation came up to us as a 15th-century manuscript.

Zaza Panaskertely-Tsitsishvili is the compiler of the original medical book "Healing Book - Karabadine". The book discusses issues theoretical and practical medicine.

According to Lado Kotetishvili, "Abraham's Karabadin" contains astrological information about the weather throughout the year. The other part is a medical text. This section lists 108 diseases. "Yadigar Daud" by David Batonishvili, or David XI-Daud Khan is referred to as the Georgian medical encyclopedia of the 16th century . The book covers almost all medical issues of its time.

Since the late medieval times, when Catholic monks came to Georgia. By their efforts were opened pharmacies and a medical school in Tbilisi.




At the same time, new material obtained in Russia was being translated and brought into Georgia by the wish of the Batonishvilebis.

Today, we have the most medical records from the 19th century.

In Georgia have been found veterinary manuscript books since the 17th century. There is a "Horse Karbadin", a "Chicken Karbadin". These manuscripts compilations provide a rich material on the diseases of domestic animals and birds known in ancient Georgia.

Thus, in the late Middle Ages, medical books were diverse and multy-faceted.

ილუსტრაციები:




(ფოტო 1) S-1274 წიგნი სააქიმო


(ფოტო 2) Q-877 სამკურნალო

(ფოტო 3) Q- 270 იადიგარ დაუდი

წიგნი ფანასკერთელი



(ფოტო 4) H-916 აბრამის კარაბადინი



(ფოტო 5) Q-311 ცხენის კარაბადინი

თამარ გომოლაძე გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის

„მატიანე ტროადის ბრძოლისა“ - ქართული თარგმანის ხელნაწერის ისტორიისათვის

ტროას ომის პერიპეტიებს თუ უშუალოდ ჰომეროსის „ილიადას“ ჯერ კიდევ ძველი ქართული მწერლობა იცნობდა. მას, უეჭველია, ორიგინალში, ე.ი. ბერძნულ ენაზე სხვადასხვა ხელნაწერში კითხულობდნენ, გადმოჰქონდათ მშობლიურ ენაზე მათი გადმოკეთებული ვერსიები, ხოლო გმირ პერსონაჟებს ახსენებდნენ შესადარებლად შავთელი, ჩახრუხადე, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი და სხვ. ჰომეროსის ერთ-ერთ პირველ მთარგმნელად სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებულია მამია გურიელი, რომლის თარგმანის ნაწილიც დაბეჭდილია კრებულში „ცდა“, II, 1890, მაგრამ უშუალოდ „ილიადას“ თარგმანი უფრო ადრე უნდა ვეძებოთ, რასაც ადასტურებს ლეილა აბუაშვილი ჟურნალ „ლიახვის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში „ქართველი მწიგნობარი იესე გარსევანიშვილი“: „...საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ი. გარსევანიშვილის მიერ 1837წ. თარგმნილი „ილიადა“ ტყავგადაკრული ხის ყდით, რომლისთვისაც მთარგმნელს ასეთი ანდერძი დაურთავს: „ფრიადითა ღუაწლისა დადებითა ვსთარგმნე კმაც მოწყინებისა შინა მე იესე გარსევანოვმა, ჩყვლ-სა წელსა, ახმარენ ღმერთმან ბედკეთილობასა შინა და (ვით) დადიანსა“ (ლ. აბუაშვილი, 1963: 145)

სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში 1987 წლის 10 ოქტომბრიდან ინახება „მატიანე ტროადის ბრძოლისა“ (ხ.გსიემ 123), იგი ალექსანდრე გარსევანიშვილის ხელნაწერთა ფონდშია დაცული (რომელიც 3000 ერთეულს შეიცავს); 133 ფურცლისგან შედგება, აქვს შავი ფერის ტვიფრული ტყავგადაკრულ მუყაოს ყდა, ნაწერია მწვანე ფერის ქაღალდზე, ახლავს ფერადი ილუსტრაციები, სათაურიც და დასასრულიც გაფორმებულია „მატიანე ტროადის ბრძოლისას“ გრაფემებით, ხოლო სიტყვა მატიანე კი ზის მცენარეულ ორნამენტზე ზანდუკისებური გამოსახულების შიგნით ჩაწერილია: „აღიწერა განხორციელებიდან სიტყვისა ღმისა¹ 1817 წელსა: აპრილის 17-დღესა ხელითა უ ცადინარის მწერლისა“ (გვ. 130). ბოლოს წინა სიტყვაში უ-სა და ცადინარის შორის თითქოს ამოშლილია ადგილი და მერე ფანქრით ჩამატებული მოჩანს („მე“, არ განხორციელებულა ამიტომ ორნაირად შეიძლება წავიკითხოთ: 1. უმეცადინარის მწერლისა; 2. უცოდინარის მწერლისა. მისი წაკითხვა კალიგრაფიულ ექსპერტიზას მოითხოვს, რაც მოცემულ ეტაპზე არ განხორციელებულა. ჩვენ კი მართებულად მივიჩნიეთ წაკითხვის I ვარიანტი, რომ ეს ხელნაწერი გადაწერაში გაწაფულ მწერალს (გადამწერს) უნდა შეესრულებინა და არა უცოდინარს; მით უმეტეს, რომ იგი გამართული კალიგრაფიითაა შესრულებული და არ ტოვებს თავის შესაძლებლობებში დაურწმუნებელ გადამწერს (ამგვარ მინაწერებს ხშირად თავდაბლობის გამოხატვის მიზნით წერდნენ). ეს ხელნაწერი იყო რესტავრირებული და ორ აღწერილობაში აღინუსხა: 1. საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერების კატალოგში (თბილისი, 2015) და 2. გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში („მეცნიერება“, თბილისი, 2002). ეს უკანასკნელი მიიჩნევს გადამწერის მინაწერში „უცოდინარის მწერლის“ ვარიანტულ წაკითხვას.

¹ ღმისა - ღმერთისა.

აღწერილობაში მინიშნებულია ხელნაწერის აღნაგობაზე, მინაწერებზე, შენიშვნებსა და ილუსტრაციებზე.

იბადება კითხვა: რა არის „მატიანე ტროადის ბრძოლისა“?

ამაზე თავად მატიანეშიც არის ჩანაწერი: „ბრძოლა ტროადს ზედა ბერძენთა იწყეს ქრისტეს შობამდე 1195 წელსა; ბრძოლა გაგრძელდა ათსა წელიწადსა და შემდგომად ბერძენთა აღიღეს ტროა ანუ ტროადი ქალაქი, წელსა - 1185 წ. (?-თ.გ.) აზნაური ალექსანდრე გარსევანოვი“ (გვ. 130).

V-VI საუკუნეებში დით შერმანმა აღწერა „ტროას ქალაქის დანგრევა“, რომელიც, სავარაუდოდ, რუსულ ენაზეც უნდა ყოფილიყო თარგმნილი. გაიოზ რექტორს (1746-1821) იგი უნდა ეთარგმნა ქართულ ენაზე. ამის შემდეგ ჩვენთვის უცნობია, ვინ გადაწერა ეს თარგმანი. კვლევის აღნიშნულ ეტაპზე იგი არ შეგვიმოწმებია დავით რექტორის მიერ შედგენილ ხელნაწერთა „კატალოგში“ (1810 წ.).

ჩვენს ხელთ არსებული ხელნაწერის შესავალში სწორედ დით შერმანია ნახსენები: „რომელსა იმა წერილ არს, დარღუპვა ქალაქის ტროადისა ფრილიის სახელმწიფოსი და აღშენება? მისნი და დიდნი ამხედრებულნი... დაწერეს ესე. პირველად მემატიანეთა დით შერმენმან და ფრილიად პრიამ, ჭეშმარიტთა მოწამეთა ტროიანთა ბრძოლისა, ამად რომ, დამწერნი იგი თვით იყვნეს ბრძოლათა შიგან, და თვითმხილველი არიან. ყოფილისა მის დაწეებითაგან საქმეთა თვისთა. ამისთვისცა მართლიადცა აღწერეს იგი“ (გვ.1).

მოყვანილი ციტირება ალაგ-ალაგ წინააღმდეგობრივია, თუმცა როგორც შინაარსიდან ვიგებთ, რომ ნასარგებლები უნდა იყოს დით შერმანის ნაშრომიდან.

ვინაა „მატიანის“ გადამწერი, ამის გარკვევა ჩვენს მიზნებში არ შედის, იგი რთული მეცნიერული კვლევის საგანია ჩვენ კი ასეთ დასკვნებამდე მივვლით: 1. რამდენადაც დავით თუმანიშვილის კალიგრაფია ნაკლებადაა შესწავლილი და აუცილებელია მის მიერ გადაწერილი ხელნაწერების შედარება-შესწავლა. ეს მოცემულ ეტაპზე შეუძლებელი აღმოჩნდა; 2. „მატიანეს გადამწერის ხელწერისაგან განსხვავებული ხელითაა წარწერები ილუსტრაციები, რაც ასევე ცალკე შესწავლის საგანია; 3. ვიზუალურად, ერთი შეხედვით, მატიანეს კალიგრაფია განსხვავდება ჩვენს ხელთ არსებული დავით თუმანიშვილის ხელნაწერის კალიგრაფისაგან, რომელიც უფრო სრულყოფილია, ჰგავს ნაბეჭდს და ახასიათებს სპეციფიკური ხელწერა (განსაკუთრებით გრაფემებისა რ, უ, ლ, ე, ა, ი) წინამდებარე სტატიაში კი ჩვენი ყურადღება ძირითადად მახვილდება ჩართულ ილუსტრაციებზე, რომლებმაც თავიდანვე მიიპყრო ყურადღება, რამდენადაც 1817 წლისთვის ხელნაწერთა დასურათება მეტ-ნაკლებად უკავშირდება მწერალსა და კალიგრაფ-გადამწერ დავით თუმანიშვილს (1780-?); მის შესახებ ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის მკვლევარი გივი მიქაძე. დავით თუმანიშვილს თავის დროზე კარგი განათლება მიუღია, სცოდნია ქართული კალიგრაფიის ტრადიციები და იყო ცნობილი გადამწერის, ეგნატე თუმანიშვილის (1746-1820) ვაჟი, „გორის ისტორიის“ ავტორ ავთანდილ თუმანიშვილის ძმა და დავით რექტორის მეგობარი. 1810-12 წლებში დავით თუმანიშვილი გუბერნსკი სეკრეტარი, თბილისის პოლიცემისტერია და თბილისში გავრცელებული შავი ჭირის ეპიდემიის დროს, 1814-1816 წლებში, ყოფილა „კარანტინის ინსპექტორის ამხანაგის“ თანამდებობაზე. მოგვიანებით მოხსენიებულია, როგორც „საქართველოს კარანტინების ვიცე-ინსპექტორი“ (ხეც H384, ფ. 4V). გ. მიქაძისავე ცნობით, კარანტინში ყოფნისას იგი ხელნაწერების გადაწერას აწარმოებდა. ერთი ასეთი ხელნაწერი - ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ ქართულად თარგმნილი ვოლტერის დრამა „ალზირა“- მას გადაუწერია სწორედ თბილისში კარანტინში ყოფნის დროს, 1814 წელს, რასაც ჩვენ სპეციალური ნაშრომიც მივუძღვენით (ალ. ჭავჭავაძის „ვოლტერის „ალზირას“ საიდუმლო მისია“).

აღნიშნული ხელნაწერი შედის კრებულში, რომელიც დაცულია ხეც (H384) ფონდებში და დართული აქვს დავით თუმანიშვილის 2 ილუსტრაცია. დავით თუმანიშვილს ეკუთვნის

კიდევ ერთი მომცრო ხავერდისყდიანი წიგნი, რომელშიც შესულია ძველი ქართული მხატვრული გაფორმების ნიმუშები.

„მატიანის“ ილუსტრაციების ხილვამ დაგვარწმუნა, რომ ისინიც დავით თუმანიშვილს უნდა ეკუთვნოდეს, რამდენადაც შესრულების მანერა თითქმის ერთნაირია. თუმცა ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა. აღსანიშნავია, რომ დავით თუმანიშვილს ჰქონდა გადაწერის თავისებური მანერა: დავითისთვის დამახასიათებელია გადაწერისას სიზუსტე, თან ერთვის ანდერძი ან მინაწერები, რომლებშიც დაზუსტებულია ხელნაწერთან დაკავშირებული საკითხები. იქვე გ. მიქაძე მიანიშნებს ხელნაწერის მხატვრულ გაფორმებაზე, თავსამკაულებსა და ბოლოსამკაულებზე. რაც შეეხება ილუსტრაციებს, ეს ორი აზრით აქვს გაკეთებული: 1. „მკითხველისათვის სასიამოვნოდ“ და „შექცევისათვის“ მეორე, „კითხუელთა წარმოდგენს ჰაზრსა და მოქმედებათა მათთა“. თუმანიშვილი ხშირად აკეთებდა თავის გადაწერილ ხელნაწერთა სიებსაც, მაგრამ გ. მიქაძის მიერ წარმოდგენილ 23 ხელნაწერის სიაში არაა დასახელებული „მატიანე ტროადის ბრძოლისა“. თუმცა ეს არ გამოირიცხავს იმ ფაქტს, რომ იგი სხვა სიაში იყოს დასახელებული. ეს არაა დასაბუთება იმისა თითქოს „მატიანე“ დ. თუმანიშვილის გადაწერილია, მაგრამ ილუსტრაციები მისია. ამის დასამტკიცებლად, ვფიქრობთ, გამოდგება რამდენიმე დაკვირვება: დ. თუმანიშვილი თავის ილუსტრაციას ჩარჩოში სვამს, ზოგჯერ სერიოზულ, მდიდრულ, ზოგჯერ უბრალო ჩარჩოში. მისი პერსონაჟები ნახატზე მოქმედებენ, მაგრამ მხოლოდ ერთ სიბრტყეში. მეომარს ფეხზე აცვია ჩექმისებური ფეხსამოსი, რაც როგორც „ალზირას“ ილუსტრაციაშია, ისე „მატიანეში“ და სხვ.

მსგავსი მანერითაა შესრულებული თავსამკაული „მატიანისაც“ და „ალზირასიც“.

როგორ და რატომ უნდა აღმოჩენილიყო „მატიანე“ იესე გარსევანიშვილის (1792-1864) მასალებში, რომლებიც ალექსანდრე გარსევანიშვილის ფონდის ნაწილია.

გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში წლების განმავლობაში მუშაობდა განსწავლული ქალბატონი ლეილა აბუაშვილი, რომელიც ფონდების მთავარი შემნახველი იყო და მის ხელში გადიოდა მთელი ხელნაწერი ფონდი. ლ. აბუაშვილი სისტემატურად აქვეყნებდა სამეცნიერო წერილებს პრესაში. ერთი ასეთი მან მიუძღვნა ქართველ მწიგნობარ იესე გარსევანიშვილს. ოქონის ხატის მცველთა ღირსეული შთამომავალი, სასულიერო პირი იესე გარსევანიშვილი, იყო შესანიშნავი გადამწერიც, მისი გადაწერილი ჰომეროსის „ილიადა“ [დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში. გარდა ამისა, დავით დადიანის თხოვნით იგი თარგმნიდა და ხელნაწერის სახით ამზადებდა ტროადის ომთან დაკავშირებულ მასალებს, რასაც მოწმობს მისი მიმოწერაც დავით დადიანთან. „ილიადა“ იესეს უნდა ეთარგმნოს რუსულიდან დავით დადიანის თხოვნა-დავალებით 1837 წელს, ხოლო უფრო ადრე, 1815 წელს, „ოდისეა“ სვეტუშკინის „მატიანის“ რუსული თარგმანიდან.

ვფიქრობთ, „მატიანეს“ ხელნაწერი შესაძლოა თავად იესეს გადაწერილიც იყოს, თუმცა ამის დასაბუთება კვლევის მოცემულ ეტაპზე ვერ მოხერხდა.

წარმოდგენილი სტატია მხოლოდ ხელნაწერის ისტორიის შესწავლის პირველ მცდელობასა და ჩვეულ ჰიპოთეზებს აშუქებს, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, რომ იგი შეიძლება განმტკიცდეს შემდგომი მეცნიერულად სიღრმისეული კვლევის შედეგად.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბუაშვილი, ლ. (1963). ქართველი მწიგნობარი იესე გარსევანიშვილი, ჟ. „ლიახვი“, გორი;

გოგოლაძე, თ. (2013). ვოლტერის „ალზირას“ (ანუ ამერიკელის) ალექსანდრე ჭავჭავაძისეული ქართული თარგმანის „საიდუმლო მისია“, თბილისი, „უნივერსალი“;

- გოგოლაძე, თ. (2011). დავით თუმანიშვილისეული ნუსხის ისტორია, „წელიწადეული“, წ. III, ქუთაისი;
- მიქაძე, გ. (1962). „დავით თუმანიშვილი“, კრებ. „ლიტერატურული მატრიანე“, ტ. XIV
გსიემ - ს. მაკალათიას სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი
ფ.123;
- გსიემ - ს. მაკალათიას სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი
ფ.752;

Tamar Gogoladze, Gori State Teaching University

For the History of the Georgian Translation Manuscript of “The Chronicles of the Troy Battle”



Resume

An interesting manuscript “The Chronicles of the Troy Battle” (GSIEM 43/123), preserved in the archives of the Garsevanishvili and kept in Gori State Historical-Ethnographic Museum appeared in the center of our attention. Its description is involved in "Catalog of Georgian Manuscripts Protected in Georgian Regions" (Tbilisi, 2015) (p. 340) and "Description of Georgian Manuscripts of Gori State Historical-Ethnographic Museum (Tbilisi, "Science", 2002) (p. 79-80);

As it seems from the introduction it might be translated from the Russian language by Gaioz Rector (according to Tripon Rukhadze's research). It begins with the extraction of gold-plated rams by Iason from Colchis. Then the history of the Trojan War follows;

The manuscript does not contain the name of the scribe, only in the last page inside a footlocker-like image is inscribed that it was copied by God's will on April 17, 1817.

Based on his study of drawing manners and calligraphy, we suppose it must have belonged to the famous scribe and illustrator David Tumanishvili (1780-?), which, together with a variety of manuscripts, had inscribed and illustrated a tragedy “Alzira” translated by a poet Alexandre Chavchedravadze.




„მატიანე ტროას ბრძოლისა“, ტექსტის დასაწყისი და დასასრული




პრიამოსის თათბირი შვილებთან ფარიზის საბერძნეთში წარგზავნის შესახებ




ფარისი მისვლა „სიტარის ჭალაკსა შინა“ და მშვენიერი ელენეს წამოყვანა ტროაში



აქილევსის მეორე ჰექტორის მოკვლა




აქილევსის მეირ ჰექტორის მოკვლა



აქილევსის ქორწინება მშენიერ პოლესენასთან, პარიზის მიერ აქილევსის სასიკვდილოდ დაჭრა



პარიზის მიერ აქილევსისა და არტილოლის მოკვლა



პარიზისა და მეფე აიაქსისი შებმა და სიკვდილი



ბრძოლა პირუსისა და დედოფალ პანტაბალისა



პირრუსის მიერ პრამ მეფის მოკვლა აპოლონის ტაძარში / ეკუყუბა დედოფლის ჩაქვავება / პირრუსის მიერ პრამ მეფის ასულის პოლექსენას დაკვლა



იასონის მიერ ოქროსმატყლიანი ვერძის „აღება“ / იაზონის მიერ ვეზაპის მოკვლა /
იაზონის მიერ „კურთა დამორჩილება“ და მინდვრის მოხვნა

ციცინო მუხლაძე, ეკა ყელაურაძე, ნინო კუხიანიძე, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

ქუთაისის მუზეუმში დაცული სოლომონ I-ის სიგელები (აღწერილობა-კატალოგი)

იმერეთის მეფე სოლომონ I-ის სიგელები არაერთხელ მოქცეულა ქართველ მეცნიერთა კვლევის არეალში და ეს ბუნებრივიცაა, რადგან საქართველოს ისტორიის ნებისმიერი პერიოდის კვლევისას ყველაზე სანდო წყარო ამა თუ იმ საკითხის შესასწავლად საკვლევ პერიოდში შექმნილი ისტორიული დოკუმენტებია: მეფეთა და მაღალი იერარქიის საერო თუ სასულიერო პირთა მიერ გაცემული წყალობის, სასისხლო, გარიგების, გაბჭობისა და სხვა სახის ისტორიული დოკუმენტები, რომლებშიც ნათლადაა გაცხადებული ყველა ის საჭირობო საკითხი, დოკუმენტების შექმნის პერიოდში რომ იდგა ქვეყნის წინაშე.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში 65 000-მდე ისტორიული დოკუმენტია დაცული, მათგან 3000 სიგელ-გუჯარია, რომელთაგან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დასავლეთ საქართველოს მეფეთა სიგელები. ამ სიგელთა ქრონოლოგიური ჩარჩო XV-XIX სს.-ებს მოიცავს. მათი მნიშვნელობა განუზომელია არა მარტო დასავლეთ საქართველოს, არამედ ზოგადად საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. სხვა წყაროებთან ერთად სწორედ მათზე დაყრდნობით ქმნის მკვლევარი ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიკურ და კულტურული განვითარების საერთო სურათს. ასეთივე ვითარება გვაქვს სოლომონ I-ის სიგელებთან მიმართებაშიც: მათში მთელი სირთულით ნათლად წარმოჩნდება სოლომონ I-ის მეფობის პერიოდი, კერძოდ მისი ბრძოლა ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ, ამ ბრძოლის შედეგები, მისი დამოკიდებულება მომხრე, ერთგული თუ მოღალატე დიდებულებისადმი, ეკლესიისადმი, ბრძოლა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ და ამ მიმართებით გატარებული ღონისძიებები.

ცნობილია, რომ სოლომონ I-ის სიგელები საქართველოს თითქმის ყველა სიძველეთსაცავებშია დაცული. იმერეთის სამეფოს და ზოგადად საქართველოს ისტორიის კვლევისას არაერთ მკვლევარს მოხმობილი აქვს ციტატები სოლომონ I-ის სიგელებიდან. ამ ნაშრომების ნუსხა საკმაოდ ვრცელია.

სოლომონ I-ის სიგელები სხვა დოკუმენტებთან ერთად გამოქვეყნებული აქვს სარგის კაკაბაძეს წიგნში „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები“. როგორც ს. კაკაბაძე აღნიშნავს, მან ეს მასალები ნახა ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოში და პეტერბურგის აზიურ მუზეუმში. წიგნში სოლომონ I-ის ამჟამად ქუთაისის მუზეუმში დაცული არც ერთი სიგელი არ არის გამოქვეყნებული. აღსანიშნავია, რომ დღემდე არ არსებობს ნაშრომი, რომელშიც ქუთაისის მუზეუმში დაცული სოლომონ I-ის სიგელების სრული კოდიკოლოგიური აღწერილობა იქნებოდა წარმოდგენილი. ჩვენ მიზნად დავისახეთ ამ ხარვეზის აღმოფხვრა.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერ და ძველნაბეჭდ წიგნთა კოლექცი(ებ)ის განყოფილების ფონდში მრავლადაა დაცული ისტორიული დოკუმენტები, რომლებშიც სოლომონ I-ია მოხსენიებული, მაგრამ უშუალოდ მის მიერ გამოცემული სიგელების რაოდენობა 41 ერთეულია. მათი უმრავლესობა იმერეთის სამეფოს და კერძოდ, სოლომონ I-ის მეფობის პერიოდთან დაკავშირებული საკითხების კვლევისას სხვადასხვა

კონტექსტში თავიანთ ნაშრომებში დამოწმებული აქვთ ქართველ მეცნიერებს. ამ ნაშრომებში ამა თუ იმ ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებით სოლომონ I-ის სიგელები ან უბრალოდ დამოწმებულია, ან მისი მცირე ამონარიდი და ზოგადი ხასიათის აღწერილობაა წარმოდგენილი.

ჩვენ გადავწყვიტეთ შეგვედგინა ქუთაისის მუზეუმში დაცული სოლომონ I-ის სიგელების კოდიკოლოგიური აღწერილობა, რაც თავის მხრივ გულისხმობს ისტორიული დოკუმენტის წარმომავლობის, რაობის, მასალის, ზომის, ჭვირნიშნის, დაცულობის, შრიფტის, შემდგენლის, დათარიღების, მტკიცებულებების, ბეჭდის და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაციის მოპოვება-დაფიქსირებას. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართებით ქუთაისის მუზეუმში დაცულ სოლომონ I-ის სიგელებზე ამ ტიპის აღწერილობა პირველად მომზადდა. აღწერილობის შედგენის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყველა იმ ატრიბუტიკის წარმოჩენას, რომლებითაც ესა თუ ის დოკუმენტი იყო გამორჩეული. ზოგადად, განსაკუთრებით რთულია ბეჭდების წარმომავლობის დადგენა, რაც უშუალოდ მასზე არსებული ლეგენდის ამოკითხვასთან, გაშიფვრასთან არის დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით სირთულე არ შეგვექმნია, რადგან ვრცლად გამოვიყენეთ ანა ბაქრაძის შესანიშნავი ნაშრომი - „მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორისათვის“ (ბაქრაძე, 1978, გვ. 46-50; 114-118) და მისი დახმარებით განვსაზღვრეთ რამდენიმე დაუთარიღებელი სიგელის შექმნის სავარაუდო პერიოდი.

აღწერილობაზე მუშაობის დროს გაირკვა, რომ სიგელს შიფრით ქიმ E – 13/2 დღემდე მკვლევრის ხელი არ შეხებია. იგი აღწერილობაში რიგით 41-ეა. ეს არის სამეცნიერო წრეებისთვის დღემდე უცნობი ისტორიული დოკუმენტი - მეფე სოლომონისა და დედოფალ გულქანის ბოძების სიგელი მგალობელ ოქროპირ ცქიტვილისა და მისი ძმის სიმონისადმი - კითხიჯს ზაალ მხეიძისეული სასახლისა და მამულის მათთვის ბოძების თაობაზე; სიგელი დაიწერა ქრისტეს აქეთ ჩ ლ პ გ მაისის კ გ [1783წ. 23 მაისი].

დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არავინ დავობს, რომ სოლომონ I შესანიშნავი მეფე, სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე იყო. ხალხმა მას სოლომონ დიდი უწოდა. მათ ამგვარ დამოკიდებულებას გრძნობდა სოლომონ მეფე, ამიტომაც თავისი ძლიერება სახელმწიფო ბეჭედზე ასახა, როცა ადრინდელი დამამცირებელი წარწერა „მონა ღვთისა, ყმა ხონთქრისა“, ახალი წარწერით ჩაანაცვლა: „ლომებრ მეფე, მტერთ სისხლ მჩქეფე, იმერთ მეფე“! (რეხვიაშვილი, 1989, გვ. 280). შემთხვევითი არც ის ყოფილა, სოლომონ II-მ ასეთი მინაწერი რომ დატოვა სოლომონ I-ის მიერ წულუკიძეებისთვის გაცემულ წყალობის სიგელზე: „ივერთა მეორისა აღმაშენებელისა, აგარიანთა სისხლთა მრღვნელისა, ტომებით დავითიანისა, უმაღლესისა მეფისა და მამებრ საწყურისა ჩემისა ბიძისა და ბატონისა სოლომონ ივერთა მპყრობელისა“ (ქიმ, N706 r).

სოლომონ I-ის სიგელების აღწერილობაზე მუშაობისას მოვახდინეთ როგორც 41 დოკუმენტის ტექნიკური აღწერილობის შედგენა, ასევე მასზე არსებული მინაწერებისა და სამეფო თუ საეკლესიო ბეჭდების ლეგენდების გაშიფვრა. იმედი გვაქვს, წინამდებარე ნაშრომი გაუადვილებს მკვლევართ ჩვენ მიერ აღწერილ დოკუმენტებზე მუშაობას.

ქუთაისის მუზეუმში დაცული სოლომონ I-ის სიგელების **აღწერილობა:**

1. ის №100 - შეწირულების წიგნი მეფე სოლომონ I-ისა და დედოფალ მარიამისა კაცხის მონასტრისადმი მონასტრისთვის მორბევით მცხოვრები 5 კომლის შეწირვის თაობაზე: 4 კომლი კაპანაძე და 1 დავით ღვალაძე. დაიწერა ქორონიკონს ჩ ღ ნ თ თვესა ივლისს კ ვ [1759წ. 26 ივლისი].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 45 x 29,5სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა: r-34.5x23 სმ; v-32.5x23 სმ; სტრიქონების რაოდენობა: r-21v - 15; მხედრული; შემდგენელი - დავით მდივანი; დამტკიცებულია ორი ბეჭდით: 1. სოლომონ მეფის ოთხკუთხა მურის ბეჭედი წარწერით: „მონა ღვთისა, ყმა ხონთქრისა, მეფე სოლომონ“; მხედრულით; 2. დედოფალ მარიამის რვაკუთხა მურის ბეჭედი წარწერით: „დედოფალი მარიამ“; ასომთავრულით.

2. ის № 118 - შეწირულების წიგნი მეფე სოლომონ I-ისა და დედოფალ მარიამისა კაცხის მონასტრისადმი საზანოს დაბლა მცხოვრები შვიდი კომლი ნებიერიძეების, პავლე ხუცესის, დავით ხვედელიძე ხუცესის, ერთი სასახლის (მისი შესავალ-გასავლით), გოგიტი სამხარაძის და მისი ძმისწულების ადგილ-მამულით მონასტრისთვის შეწირვის თაობაზე. 1775 წ. 4 დეკემბერი.

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 44x32.5 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა: r-37x20 სმ; v-18x22 სმ; სტრიქონების რაოდენობა: r - 21; v - 9; მხედრული; დამტკიცებულია 2 ბეჭდით: 1. სოლომონ მეფის დიდი ზომის ოთხკუთხა მურის ბეჭედი. ბეჭედის გარშემო წარწერა: „კეთილ ძირთაგან რტოანი მეფე ვარ ზაგრატოანი“ - მხედრულით; ცენტრში ჩაწერილია „სოლომონ“ - ასომთავრულით; 2. დედოფალ მარიამის რვაკუთხა მურის ბეჭედი. ბეჭედის გარშემო წარწერა: „ქ. ხმალ შენთვის ვიკმობ ტახტთ ამით ვიპყრობ“ - მხედრულით; ცენტრში ჩაწერილია: „დედოფალი მარიამ“ - ასომთავრულით; აქვს ხელრთვა: „მეფის ძე ალექსანდრე“; სიგელს აქვს ორი მინაწერი: 1. „ქ. მეფე იმერეთისა და ძე არჩილისა მეორე სოლომონ დავითიანი ნებითა ღვთისათა ვამტკიცებ ბიძისა ჩემისა აღწერილს შეწირულობისა ამის სიგელსა“; დამტკიცებულია სოლომონ II-ის მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე: „მეფე იმერეთისა სოლომონ“ - ასომთავრულით; 2. „ქ. ს~დ იმერთა დედოფალი დადიანის ასული მარიამ ნებითა ღ~ისათა ვამტკიცებ სიგელსა ამას“. დამტკიცებულია დედოფალ მარიამის მცირე ზომის ოთხკუთხა მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე: „დედოფალი მარიამ“ - მხედრულით.

3. ის №126 - წყალობის წიგნი სოლომონ I-ისა მღვდელ დავით წერეთლისადმი

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; რესტავრირებული; ზომა: 60 x 32სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r-45x24 სმ; v - 15x24 სმ; სტრიქონების რაოდენობა r-31; v-11; განკვეთილობის ნიშანი: წერტილი, მძიმე, ორწერტილი; მხედრული; შემდგენელი სახლთუხუცესი იოსებ გაბაონი; თარიღი: ჩ ღ ო ზ - 1777 წელი; დამტკიცებულია ორი ბეჭდით: 1. სოლომონ მეფის ზედა ნაწილში ამოზნექილი ოთხკუთხა მურის ბეჭდით. ბეჭედის გარშემო წარწერა: „დავითის ნორჩი ჯვრით მტერს მოვრჩი“ - მხედრულით. ცენტრში „მეფე სოლომონ“ - ასომთავრულით; 2. კათალიკოს მაქსიმე აბაშიძის რვაკუთხა მურის ბეჭედი. ბეჭედის გარშემო წარწერა: „ჩრდილო აფხაზ იმერთა კათალიკოსი“ - მხედრულით; ცენტრში „მაქსიმე“ - ასომთავრულით; ხელრთვა: „მეფის ძე ალექსანდრე ვამტკიცებ“.

4. ის №128 - წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I-ისა მღვდელ დავით წერეთლისადმი - მღვდლის თხოვნით, მისი ყმების „საურისა“ და „საუდიერო“ გადასახადებისგან განთავისუფლების თაობაზე. დაიწერა ქორნიკონს ქრისტეს აქეთ ჩ ღ დ დ [1764წ.].

შედგება 2 კეფისგან; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 66 x 31 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r- 59x24 სმ; v – 33x24 სმ; სტრიქონების რაოდენობა r- 31, v - 19; განკვეთილობის ნიშანი: წერტილი, ორწერტილი; მხედრული; შემდგენელი მეფის კარის მწირველი და მოძღვარი წერეთელი სვიმონი; დამტკიცებულია 2 ბეჭდით: 1. სოლომონ მეფის დიდი ზომის ზემოთ ამოხნეპილი მურის ბეჭედი. ბეჭედის გარშემო წარწერა: „დავითის ნორჩი ჯვართ მტერს მოვრჩი“ - მხედრულით. ცენტრში „მეფე სოლომონ“ - ასომთავრულით. 2. სოლომონ მეფის მცირე ზომის მურის ბეჭედი - „მეფე იმერეთისა სოლომონ“ - ასომთავრულით; აქვს ხელრთვა: v – „მეფის ძე ალექსანდრე ვამტკიცებ“; აქვს მინაწერი: v: „ქ. ჩუჴნ აფხაზ იმერთა კათოლიკოსი მაქსიმე ვამტკიცებთ ესრეთ, ვითარმედ: მომშლელი წყეულ, კრულ და შეჩვენებულიმცა არს სულით და ჳორცით საუკუნოდ, ამინ!“ დამტკიცებულია კათალიკოსის რვაკუთხა მურის ბეჭდით. ბეჭედის გარშემო წარწერა: „აფხაზ იმერთა კათოლიკოს“ - მხედრულით. ცენტრში ჩაწერილია „მაქსიმე“ ასომთავრულით.

5. ის № 130 - განჩინების წიგნი სოლომონ I-ისა დავით წერეთლისა და ბეჟიკი ცქიტვილის დავის თაობაზე.

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 46x24 სმ. დაწერილია r – v; ტექსტის ზომა: r-35x17,5 სმ; v-13,5x18 სმ; სტრიქონების რაოდენობა r-26; v-11; განკვეთილობის ნიშანი: წერტილი; მხედრული; შემდგენელი მღვდელი ონოფრე ჯაფარიძე; თარიღი: 1766წ.

დამტკიცებულია ორი ბეჭდით: 1. სოლომონ მეფის ოთხკუთხა მურის ბეჭედი. ბეჭედის გარშემო წარწერა: „კეთილ ძირთაგან რტოანი მეფე ვარ ბაგრატოანი“ - მხედრულით; ცენტრში „სოლომონ“ ასომთავრულით; 2. კათალიკოს მაქსიმე აბაშიძის რვაკუთხა მურის ბეჭედი. ბეჭედის გარშემო წარწერა: „ჩრდილო აფხაზ იმერთა კათალიკოსი“ - მხედრულით, ცენტრში „მაქსიმე“ ასომთავრულით; მინაწერი: „ჩვენ აფხაზ იმერთა კათოლიკოსი მაქსიმე ვამტკიცებთ. დამამტკიცებელი ამისი კურთხეულ იყოს, ხ[ოლო] შემშლელი ამისი წყეულ, კრულ და შეჩვენებულიმცა არს უკ[უნისამდ]ე“.

6. ის №131 - შეწირულების სიგელი მეფე სოლომონ I-ისა ეკლესია-მონასტრებისადმი. სიგელი მოგვითხრობს: 1. ყველა ეკლესია-მონასტერზე ომიანობის გამო საეკლესიო ყმანი და მამულნი საერო შეიქნა და ოდეს დამშვიდდა ქვეყანა, ჩვენ გამოვიკვლიეთ, გამოვიძიეთ და ეკლესია-მონასტრებს დავუბრუნეთ და ხელახლა შევწირეთ ადგილ-მამული და ყმებო; 2. მღვიმის მონასტრის ადგილ-მამულები და გლეხები, რომელნიც მეფეს დაუბრუნებია მონასტრისთვის და ხელახლა შეუწირავს, სიგელში ყველა ადგილი ჩამოთვლილია. ასევე მითითებულია გლეხები სოფლების ჩვენებით, სახელწოდებითა და ბეგართ; ამ წყალობის გამო მეფე ავალებს წინამძღვარს და კრებულს უწირონ მას სიცოცხლეში აღდგომას, შობას და ნათლისღებას, გარდაცვალების შემდგომ „სულთა ჩვენთათვის სწირონო აწ მყოფ კრებულმა

და მომავალმა ორ დღეს, როცა საზოგადოდ მიცვალებულთა მოხსენების დღე არისო“. დაიწერა 1777 წლის 1 აპრილს.

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ფურცლის ზომა: 60x44 სმ; დაწერილია r; ტექსტის ზომა: 46x36,5 სმ; სტრიქონების რაოდენობა 44; მხედრული; შემდგენელი - სახლთუხუცესი იოსებ გაბაონი; საბუთი შედგენილია „პალატა შინა სამეუფოსა ქუთაისის“; დამტკიცებულია ორი ბეჭდით: 1. მეფე სოლომონის ოთხკუთხა მურის ბეჭედი. ბეჭედის გარშემო წარწერა: „ვეთილ ძირთაგან რტოანი, მეფედ ვარ ბაგრატიანი“ - მხედრულით; ცენტრში ჩაწერილია „სოლომონ“ ასომთავრულით; 2. დედოფალ მარიამის რვაკუთხა მურის ბეჭედი. ბეჭედის გარშემო წარწერა: „ქ. ხმალთ შენთვის ვიწმობ ტახტთ ამით ვიპყრობ“ - მხედრულით; ცენტრში ჩაწერილია „დედოფალი მარიამ“ ასომთავრულით; მინაწერი: 1. „მეფე იმერთა მეორე, სოლომონ დავითიანი, მისის უმაღლესობის ბატონის ბიძის ჩემის მეფის სოლომონის აღწერილის შეწირულობის სიგელს ნებითა ღვთისათა ვამტკიცებ და მომშლელსა ამისსა ზეგარდამოთა რისხვითა მრჩობლით ცხოვრებათა შინა განკვეთილ ვყოფ. ივლისს გ, წელთა უფლისათა ჩ ღ ჟ ზ“ [3 ივლისი, 1797წ.]. მინაწერი დამტკიცებულია ორი ბეჭდით: ა. სოლომონ II-ის რვაკუთხა მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე: „მეფე იმერეთისა სოლომონ“ ასომთავრულით; ბ. დედოფალ მარიამის ოთხკუთხა მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე: „იმერთა დედოფალი მარიამ“ - ასომთავრულით; მინაწერი 2. „ქ. ჩვენ ყოვლისა საიმერეთოსა უფლისწული მეფის ძე კოსტანტინე ვამტკიცებ სიგელსა ამას შეწირულობისასა ნებითა მღთისათა და მეფის სძალი აბაშიძის ასული ანასტასია“; დამტკიცებულია 3 ბეჭდით: მეფის ძე კოსტანტინეს ორი რვაკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე: „მეფის ძე კოსტანტინე“ ასომთავრულით; მესამე ბეჭედის წარწერის წაკითხვა გაძნელებულია.

7. ის № 181 - წყალობის წიგნი სოლომონ I-ისა ეკლესია-მონასტრებისთვის კუთვნილი მამულის დაბრუნების თაობაზე - ასლი (იხილეთ დედნის აღწერა, ქიმ, N131).

ორი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; რესტავრირებული; ზომა: 35x22 სმ; დაწერილია - r-v; ტექსტის ზომა 1r – 32,5x21 სმ; 1v – 33x20 სმ; 2r – 33,7x21 სმ; 2v – 18,8x20 სმ; სტრიქონების რაოდენობა 1r-30; 1v-29; 2r-31; 2v-14; პირობითად წრეების სახით მონიშნულია მეფე სოლომონის, დედოფალ მარიამის, სოლომონ მეორის და დედოფალ მარიამის, იმერეთის უფლისწულ კონსტანტინეს და მეფის რძალ ანასტასიას ბეჭედები.

მინაწერი - 2v: „ამ წიგნის ნამდვილი საზოგადო ბრძანებით ბეჭედების განსახილველად პოლკოვნიკის, თავადის გრიგოლ წერეთლის ხელით წარმოსდგა ქუთაისის კამისიასა შინა თებერვლის თვის ჩ ყ ლ ბ [1832] წელსა და ახლაც იქ არის, ანუ ქალაქს ტფილისს, რომელიცა იყო უწინარეს ამისსა თავადის წერეთლების საქმეზედ წარდგენილი სენატში და ტფილისის კანტორასა შინა ჩ ყ კ [1820] წელსა“; ხელს აწერს, სავარაუდოდ, მდივანი ჩარკვიანი (ხელისმოწერა რუსულია).

8. ის № 295 - წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I-ისა სიმონა ჟღერასა და მისი შვილებისადმი - ბუჭუას და მისი სახლის კაცის ჯავნასაშვილების პარტახის მისთვის ბოძების თაობაზე. 1783 წლის 2 ოქტომბერი.

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; დალაქავებული; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 31x13,5 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 23x9,5 სმ; v - 24,5x9,5სმ;

სტრიქონების რაოდენობა: r - 18; v - 18; მხედრული; შემდგენელი - მღვდელი იესე; დამტკიცებულია სოლომონ მეფის ზედა ნაწილში გვირგვინიანი რვაკუთხა მურის ბეჭდით; ბეჭედის გარშემო წარწერა: „დავითის ნორჩი ჯვართ მტერს მოვრჩი“ - მხედრულით; ცენტრში ჩაწერილია: „მეფე სოლომონ“ ასომთავრულით.

9. ის №334 - წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I-ისა ნასყიდა ფადავას და მისი შვილის პეპუსადმი - ფარცხანაყანევს გლეხ ფხაკაძეების თავის მამულ-დედულით და ყოველივე ქონებით ბოძების თაობაზე. დაიწერა ქორონიკონს ჩ ღ ო ა [1771წ.].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 34x16,5 სმ; დაწერილა r-v; ტექსტის ზომა r - 27x12 სმ; v - 22x12 სმ; სტრიქონების რაოდენობა: r-18; v-17; მხედრული; შემდგენელი - მღვდელი ავალიანი თომა; დამტკიცებულია სოლომონ I-ის მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე: „მეფე იმერეთისა სოლომონ“ - ასომთავრულით; აქვს მინაწერი r - „ეს მეფის წყალობის წერილიც შენ თავადს წულუკიძეს დავითს მე მამაშენმა ნიჟარაძემ მერაბმა მოგართვი და რომელსაც გლეხებს ეს ნიშნავს, ესენი თავის საცხოვრებელით გყავდეს მკვიდრად საშვილიშვილოდ, გაქუნდეს მტკიცედ დაეგოს წინა აღუდგომელად, რომელსაც ვამტკიცებ ჩემის ბეჭდით, რაითა სადაცა იპოვოს წერილი წინააღმდგომი წერილმან ამან განაცრუოს“. დამტკიცებულია მერაბ ნიჟარაძის ოთხკუთხა მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე: „მერაბ ნიჟარაძე“ მხედრულით.

10. ის № 359 - მიწა-წყლის აღდგინების წიგნი სოლომონ I-ისა ჯრუჭის მონასტრისადმი. რაჭის ერისთავი და ზემო მხარის წერეთელი აშლილიყვნენ. წერეთელს მეფის ნაწყალობევი მიწა-წყალი, ტყე და თვით დაპირისპირების დროს აოხრებული ჯრუჭის წმინდა გიორგის მონასტერიც სიმაგრედ (ციხედ) გადაუქცევია. შემდეგ ერისთავს წაურთმევია წერეთლისთვის და ჯრუჭი ისევ სიმაგრედ დაუტოვებია. კრებული შევედრებია სოლომონ მეფეს და მასაც აღუდგენია მონასტერი თავისი მიწა-წყლით და ყმებით...

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი, ჭვირნიშნიანი, დაზიანებული - ჩამოხეული აქვს მარჯვენა ქვედა კიდე (13,5x6სმ.); რესტავრირებული; დაწერილია r-v; ზომა: 43x33სმ; ტექსტის ზომა: r-39,5x20 სმ, v-9,5x18,5 სმ; სტრიქონების რაოდენობა: r-42, v-8; განკვეთილობის ნიშანი წერტილი; მხედრული. ტექსტის შინაარსისა და ბესარიონ კათალიკოსის იმერეთში მოღვაწეობის გათვალისწინებით, სიგელი დაწერილი უნდა იყოს 1759-1769 წლებში.

დამტკიცებულია 8 ბეჭდით. აქედან ერთი ბეჭედი ნახევრად მოხეულია სიგელზე და არ იკითხება, სავარაუდოდ, ის სოლომონ მეფის ბეჭედი უნდა იყოს. მეორე რვაკუთხა მურის ბეჭდის წარწერა გაფერმკრთალებულია, თუმცა წაკითხვა მაინც ხერხდება: ბეჭდის გარშემო: „ბატონისშვილი“ - მხედრულით, ცენტრში „ალექსანდრე“ - ასომთავრულით; მესამე - რვაკუთხა მურის ბეჭდის წარწერა 5-სტრიქონიანი ლეგენდაა: „მიხმობენ მეფის ძეობით, უფლისწული ვარ ლიხტ იმერეთის მამუკა“ - მხედრულით; მეოთხე - მურის რვაკუთხა, ცენტრში ამოხეილი, ბეჭდის სამსტრიქონიანი ზედწერილია: „ქ. ღთის მხევალი დარეჯან ვარ დადიანის ასული“ - მხედრულით; მეხუთე - რვაკუთხა მურის ბეჭდის ორსტრიქონიანი ლეგენდაა „ერისთავი როსტომი“ - ასომთავრულით (როსტომ ერისთავის ბეჭედს ასომთავრული წარწერით, სავარაუდოდ, პირველად ვაქვეყნებთ). მეექვსე - რვაკუთხა მცირე

ზომის მურის ბეჭედი სამსტრიქონიანი ლეგენდით: „სარდარ წერეთელი ქაიხოსრო“ - მხედრულით; მეშვიდე - რვაკუთხა მურის ბეჭედი წარწერით „ლევან“ - ასომთავრულით; მერვე - მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭედი გარშემო მხედრული წარწერით, ცენტრში „გიორგი“ - ასომთავრულით.

ხელრთვა v – 1. „მეფე სოლომონ ვამტკიცებ“; 2. „ბატონისშვილი მამუკა ვამტკიცებ“; 3. „დადიანის ასული დარეჯან“.

11. ის № 438² - გაცვლილობის წიგნი მეფე სოლომონ I-ისა გიორგი აბდუშელიშვილისადმი კუთვნილი ყმების გაცვლის თაობაზე

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; რესტავრირებული; ჭვირნიშნიანი; ზომა: 28,6 x 8; ტექსტის ზომა: 28 x 6; სტრიქონების რაოდენობა r - 21, v - 4; განკვეთილობის ნიშანი: წერტილი, ორწერტილი; მხედრული; თარიღი ბეჭდის მიხედვით - 1766-1781 წწ.

დამტკიცებულია: სოლომონ მეფის რვაკუთხა მურის ბეჭდით. ბეჭდის გარშემო წარწერა: „დავითის ნორჩი ჯვარით მტერს მოვრჩი“ - მხედრულით. ცენტრში „მეფე სოლომონ“ - ასომთავრულით.

12. ის № 438³ - წყალობის წიგნი სოლომონ I-ისა გიორგი აბდუშელიშვილისადმი, მისთვის მეფის მიერ ნაწყალობევი მიწა-წყლისა და სხვა სიკეთის არ მოშლის თაობაზე

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზოგან დაფარულია ღია ყავისფერი ლაქებით; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 44 x 15,5; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა: r – 36x11,5, v-21x11,5; სტრიქონების რაოდენობა r-22, v-13; განკვეთილობის ნიშანი: წერტილი, ორწერტილი; მხედრული; შემდგენელი მღვდელი დავით წერეთელი; თარიღი: ქრონიკონი ქრისტეს აქეთ ათას შვიდას სამოცდაექვსი.

დამტკიცებულია ორი ბეჭდით: 1. სოლომონ მეფის ოთხკუთხა მურის ბეჭედი. ბეჭდის გარშემო წარწერა: „კეთილ ძირთაგან რტოანი მეფედ ვარ ბაგრატოანი“ - მხედრულით, ცენტრში „სოლომონ“ - ასომთავრულით; 2. ბატონისშვილ ალექსანდრეს მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭედი. ბეჭდის გარშემო წარწერა: „ბატონისშვილი“ - მხედრულით; ცენტრში „ალექსანდრე“ - ასომთავრულით.

13. ის № 438⁴ - წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I-ისა გიორგი აბდუშელიშვილისადმი ერთგული სამსახურისთვის გლეხების ბოძების თაობაზე

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 27X 19,3; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა: r – 26,5x15, v – 16,5 x 15,5; სტრიქონების რაოდენობა r - 14, v - 10; განკვეთილობის ნიშანი: წერტილი, ორწერტილი; მხედრული; თარიღი: ქრონიკონს ქრისტეს აქეთ ათას შვიდას სამოცდასამი წელი.

დამტკიცებულია სოლომონ მეფის დიდი ზომის ზემოთ ამოზნექილი მურის ბეჭდით. ბეჭდის გარშემო წარწერა: „დავითის ნორჩი ჯვარით მტერს მოვრჩი“ - მხედრულით. ცენტრში „მეფე სოლომონ“ - ასომთავრულით.

14. ის № 438⁵ - წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I გიორგი აბდუშელიშვილისადმი, ერთგული სამსახურისთვის მის კუთვნილ მამულში საურისა და საუდიეროს აღკვეთის შესახებ

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 38 X 22,7; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა: r – 36x16, v – 5x15,5; სტრიქონების რაოდენობა r – 30, v-4; განკვეთილობის ნიშანი: წერტილი; მხედრული; შემდგენელი - მაგალობელი გიორგი; თარიღი: ქრისტეს აქეთ ჩ ღ ე ბ [1762წ.].

დამტკიცებულია სამი ბეჭდით: 1. სოლომონ მეფის დიდი ზომის ოთხკუთხა მურის ბეჭედი. წარწერა ბეჭდის გარშემო: „კეთილ ძირთაგან რტოანი მეფე ვარ ბაგრატოანი“ - მხედრულით. ცენტრში „მეფე სოლომონ“ - ასომთავრულით. 2. დედოფალ მარიამის დიდი ზომის რვაკუთხა მურის ბეჭედი. წარწერა ბეჭდის გარშემო: „ხმალ შენთვის ვივმოვ, ტახტთ ამით ვიპყროვ“ - მხედრულით, ცენტრში: „დედოფალი მარიამ“ - ასომთავრულით. 3. ბატონიშვილ ალექსანდრეს მცირე ზომის მურის ბეჭედი. წარწერა ბეჭდის გარშემო: „ბატონისშვილი“- მხედრულით, ცენტრში „ალექსანდრე“ - ასომთავრულით.

მინაწერი r: 1. „მეფის ძე გენათელ მიტროპოლიტი | იოსებ მეცა ვამტკიცებ წიგნსა | ამას ნებითა ღვთისათა“. დამტკიცებულია მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით, წარწერა ბეჭედზე: „მეფის ძე იოსებ“ - ასომთავრულით;

2. „ბატონისშვილი გიორგი ვამ | ტკიცებ მეცა წიგნსა ამას | ნებითა ღვთისათა“. დამტკიცებულია მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე არ იკითხება.

15. ის №438⁶ - წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I-ისა გიორგი აბდუშელიშვილისადმი. სიგელი გვიამბობს, რომ გიორგი აბდუშელიშვილი უსჯულო მტერს დატყვევებული ჰყოლია, გაუთათრებიათ. მეფეს დაუხსნია ტყვეობიდან, მოუნათლავს და მიწა-წყალიც უბოძებია.

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; დაზიანებული: კიდეებშემოცრეცილი, რესტავრირებული; ზომა: 42 X 30; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა: r – 36x25,5, v – 39 x 25; სტრიქონების რაოდენობა r – 23, v – 26; განკვეთილობის ნიშანი: წერტილი, ორწერტილი, სამი წერტილი; მხედრული; შემდგენელი მეფის კარის მწირველი და მოძღვარი მღვდელი სვიმონი [წერეთელი]; თარიღი: იოსებ გელათელი მიტროპოლიტის მინაწერისა და მისივე ბეჭდის მიხედვით 1752-1769 წლებს შორის უნდა ვივარაუდოთ.

მინაწერი r: „ბატონი მეფის სოლომონის მრწემი ძმა ბატონის შვილი გაენათელ მიტროპოლიტი | იოსებ და მოწამეცა ვარ საფიცარისა ამის და გამრიგეც“. დამტკიცებულია მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე: „მეფის ძე იოსებ“ - ასომთავრულით.

მინაწერი v: „ქ. ამ ჩვენის ხელმწიფის ბატონის მეფე სოლომონის ბრძანებულის თანამოწამე ვართ ერისთ[ა] ვის ძე [ელიზბარ] | და მათი ასული ბატონიშვილი მარიამ“. დამოწმებულია მცირე ზომის რვაკუთხა ორი მურის ბეჭდით. ერისთავის მის ბეჭედზე წარწერა ხვეულად „ელიზბარ“ - მხედრულით (ბეჭდის მიხედვით, სავარაუდოდ, ქსნის ერისთავის ძე, სახლთუხუცესი); მეორე ბეჭედზე კი წარწერა „მარიამ“ - მხედრულით.

16. ის №706 - წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I-ისა პატა, ბერ და გიორგი წულუკიძეებისადმი - მათთვის სრულიად საწულუკიძეოს ბოძების თაობაზე, რომელიც ძველად მათი მამა-პაპის ყოფილა, მაგრამ რაჭის ერისთავი როსტომი დაუფლებია და

დაუსაკუთრებია. მეფეს გაულაშქრებია, წაურთმეგია როსტომ ერისთავისთვის და ერთგულების გამო ისევ წულუკიძეებისთვის დაუბრუნებია. დაიწერა ქრისტეს აქეთ ჩ ლ ბ, ქორონიკონს უ ე თვესა აგვისტოსა რიცხვსა გ [1772წ. 3 აგვისტო].

ერთი ფურცელი; შედგება 2 ერთმანეთზე გადაწებებული ფურცლისგან; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 113x36 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა: r-92x24 სმ; v-37x24 სმ; სტრიქონების რაოდენობა r-55; v-23; მხედრული; შავი მელანი; საბუთი იწყება ფერად წრეში ჩასმული ასომთავრული წარწერით „მეფე სოლომონ“; ტექსტის დასაწყისი ორი სტრიქონი დაწერილია ასომთავრულით, შესრულებულია სინგურითა და მწვანე მელნით, გაფორმებულია მცენარეული ორნამენტებით; დასაწყისები სინგურით შესრულებული ასომთავრულით; შემდგენელი - მდივან-მწიგნობარი დავით კვინიხიძე; დამტკიცებულია მეფე სოლომონის ოთხკუთხა მურის ბეჭდით, წარწერა ბეჭედზე გარშემო: „კეთილ ძირთაგან რტოანი მეფე ვარ ბაგრატოანი“ - მხედრულით. ცენტრში ჩაწერილია: „სოლომონ“ - ასომთავრულით; ტექსტს ერთვის მხატვრულად მცენარეული ორნამენტებით გაფორმებული მეფე სოლომონის ხელრთვა: „მეფე სოლომონ დავითიანი“ - მხედრული ხვეული კალიგრაფიით. ხელრთვაში სიტყვებს შორის ჩახატულია წყვილი თვალი; საბუთს ერთვის ბატონიშვილ ალექსანდრეს ხელრთვა „მეფის ძე ალექსანდრე“ - მხედრული ხვეული კალიგრაფიით და ალექსანდრეს მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭედი. წარწერა ბეჭდის გარშემო: „ბატონიშვილი“ - მხედრულით, ცენტრში ჩაწერილია „ალექსანდრე“ - ასომთავრულით.

მინაწერი სოლომონ II-ისა r: ივერთა მეორისა აღმაშენებელისა, აგარიანთა სისხლთა მრღვნელისა, ტომებით დავითიანისა, უმაღლესისა მეფისა და მამებრ საწყურისა ჩემისა ბიძისა და ბატონისა სოლომონ ივერთა მპყრობელისა აღწერილსა სიგელსა ამას, ძე არჩილისა მეორე სოლომონ დავითიანი, ოჯახის ჩვენისათვის მრავალგზის ვიდრე სისხლთამდე ღვაწლ დადებულს და ყოვლითა გონებითა ერთგულთა ოჯახისა ჩემისათა მეცა უმტკიცებ. თუმცა ვინმე შლად და დარღვევად იკადროს აღწერილთა სიგელთა ამას შინა, წყევათა და შეჩვენებათა ყოველთა სამღვდელოთა ჩემთა თანხმობითა იყოს შეკრულ სულით და ხორცით უკუნისამდე. ქრისტეს აქეთ ჩ ლ ჟ ბ აპრილსა კ ე [1792წ. 25 აპრილი]. დამტკიცებულია სოლომონ II-ის რვაკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე „მეფე იმერეთისა სოლომონ“ - ასომთავრულით.

17. ის № 746 - წყალობის სიგელი მეფე სოლომონ I-ისა დედოფალ მარიამისა და მათი შვილის ალექსანდრესი ნინია გამყრელიძისა და მისი ძმის ქველისადმი - ქორეთს ცქიტიშვილისეული სასახლის, გლეხებისა და ადგილ-მამულის მათთვის ბოძების თაობაზე. დაიწერა ქორონიკონს ჩ ლ ბ [1762წ.].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 45x 16სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r - 37,5x11 სმ; v - 17,5x14 სმ; სტრიქონების რაოდენობა r - 20; v - 12; მხედრული; შემდგენელი - დავით მდივანი; დამტკიცებულია სოლომონ მეფის ზედა ნაწილში ამოხნეკილი რვაკუთხა მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭდის გარშემო: „დავითის ნორჩი ჯვარით მტერს მოვრჩი“ - მხედრულით; ცენტრში ჩაწერილია: „მეფე სოლომონ“ - ასომთავრულით.

18. ის №763 (ასლი) - ფიცის წიგნი მეფე სოლომონ I-ისა და დედოფალ მარიამისა ქაიხოსრო აგიაშვილისადმი - ქეშიკთუხუცესისთვის ერთგულების გამო „საციხისთაოს“ ბოძების თაობაზე. „საციხისთაო“ მტერს წაურთმევია აგიაშვილისთვის. მტერი ვძლიეო, წერს მეფე და „საციხისთაო“ ისევ შენ დაგიბრუნეო. ამ ჩვენ ქვეყანაში ვინც და სადაც გყოლია აზნაურნი, მსახურნი, გლეხნი ან მიწა-წყალი ყველა შენ გიბოძეთო. დაწერილია ქორონიკონს უ მ ბ - [უ მ ბ - 442, ესეიგი 1754წ.].

ორი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 35x21,5 სმ; დაწერილია: r-v; ტექსტის ზომა: r – 30x15 სმ; v – 32,5x20,5 სმ; სტრიქონების რაოდენობა r-23; v-26; მხედრული; შემდგენელი - დავით მდივანი; დამტკიცებული ყოფილა სოლომონ მეფის ბეჭდით; ამჟამად მითითებულია ბეჭდის ადგილი; მინაწერი r – „ბატონიშვილი მამუკა ძმითურთ, ჩემითა გიორგით, ვამტკიცებ სიგელსა ამას“; მითითებულია ორი ბეჭდის ადგილი.

19. ის №812 - წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I-ისა იოვანე პატარიძის შვილებისადმი - პარტახისა და ყმების ბოძების თაობაზე. დაიწერა ქორონიკონს ჩ ღ ნ ე [1755წ.].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 40x20 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 37x16 სმ; v – 15x16 სმ; სტრიქონების რაოდენობა: r-21; v-10; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი - მდივანი დათუნა; დამტკიცებულია სოლომონ მეფის დიდი ზომის ოთხკუთხა მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე: „მონა მღთისა ყმა ხონთქრისა მეფე სოლომონ“ - მხედრულით.

20. ის №815 - წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I-ისა მღვდელ დავით იაშვილისა და მისი შვილებისადმი - მათი კაცების საურავისგან განთავისუფლების თაობაზე. დაიწერა 1772წ. 15 იანვარს.

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 35x30,5 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 29x22,5 სმ; v - 22,5x26,5 სმ; სტრიქონის რაოდენობა: r-19; v-15; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი - სვიმონ ავალიანი; დამტკიცებულია სოლომონ მეფის მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე „მეფე იმერეთისა სოლომონ“ - ასომთავრულით; აქვს მინაწერი r – „ქ. მე, ყოვლად სამღვდელო დადიანის კაცისა ძე, ცაგერელი მიტროპოლიტი იოანე ვამტკიცებ წიგნსა ამას ნებითა ღვთისათა“; მინაწერი დამტკიცებულია მიტროპოლიტის დიდი ზომის ოთხკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე: „ცაგერელი მიტროპოლიტი იოანე“ - შესრულებულია მხედრული ხვეული კალიგრაფით.

21. ის №822 - წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I-ისა აზნაურ ბუჭუ უფლისაშვილისა და მისი შვილებისადმი - მათთვის ხრეთში ერთი გლეხი ბახტურიძის ბოძების თაობაზე. დაიწერა ქორონიკონს ჩ ღ ა ვ [1766წ.].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 35x20 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 27x18 სმ; v – 31x19 სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 14; v – 19; მხედრული; მელანი შავი; შემდგენელი - მდივანი დათუნა; დამტკიცებულია ზედა ნაწილში ამოხნეკილი რვაკუთხა მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭდის

გარშემო: „დავითის ნორჩი ჯვართ მტერს მოვრჩი“ - მხედრულით. ცენტრში ჩაწერილია „მეფე სოლომონ“ - ასომთავრულით.

22. ის №842 - მზითვის წიგნი მიცემული მეფე სოლომონ I-ისა და დედოფალ თინათი შარვაშიძისგან აბაშიძის ქალის თინათისადმი - მისთვის მზითვად ფარცხანაყანევი მცხოვრები ოთხი გლეხის, ხოლო მესხეთში ერთი მოსახლის ბოძების თაობაზე. დაიწერა ქორონიკონს ჩ ღ ნ გ [1753წ.].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 34,5 x 16,5 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 31x13 სმ; v – 24 x 11,5 სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 21; v – 18; მხედრული; მელანი შავი; დამტკიცებულია სოლომონ მეფის დიდი ზომის ოთხკუთხა მურის ბეჭდით, წარწერა ბეჭედზე: „მონა მღთისა ყმა ხონთქრისა მეფე სოლომონ“ - მხედრულით.

23. ის №873 - წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I-ისა მისი ერთგული ყმის პაპუჩა აბულაძისადმი - მისთვის ბაღდათელი კოპაძის გლეხების ბოძების თაობაზე. როცა აგარიანებმა ბაღდათის ციხე დაიკავეს, იმ ქვეყნის მოსახლე ერთი კოპაძე ქაიხოსრო თავისი ცოლ-შვილით გაათათრდა. მტრების განდევნის შემდეგ ის კოპაძე კვლავ მოინათლა, მაგრამ ისევ უარყო სჯული. კოპაძე ქუთაისის ღვთისმშობლის ეკლესიის ყმა იყო. რადგანაც შენც ქუთაისის ღვთისმშობლის ეკლესიის ყმა ხარ, კოპაძისეული გლეხები შენთვის მიბოძებიაო, წერს სოლომონი. დაიწერა ჩ ღ პ ა აპრილის - ვ [1781წ. 20 აპრილი].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 60,5x30,5 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 41x21 სმ; v – 30,2x21,2 სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 21; v – 24; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი - ნიკოლოს ჭიჭინაძე; დამტკიცებულია სოლომონ მეფის ოთხკუთხა დიდი მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭდის გარშემო: „კეთილ ძირთაგან რტოანი, მეფე ვარ ბაგრატოანი“ - მხედრულით, ცენტრში ჩაწერილია „სოლომონ“ - ასომთავრულით; აქვს მინაწერი r – „ქ. მეფე იმერთა მეორე სოლომონ და მე არჩილისა, ნებითა ღვთისათა ვამტკიცებ ბატონის ბიძის ჩემის მეფის სოლომონის წყალობის სიგელს ამას“ - მხედრული; დამოწმებულია სოლომონ II-ის მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე: „მეფე იმერეთისა სოლომონ“ - ასომთავრულით; აქვს მინაწერები: 1. v – „ყოვლად სამღვდელო ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოს ვამტკიცებ წიგნსა ა[მას]“ - ნუსხური; დამტკიცებულია ქუთათელ მიტროპოლიტის დოსითეოსის რვაკუთხა მურის ბეჭდით, რომლის ნახევარი დაკარგულია; მინაწერი 2. v – „ქ. ჩვენ ყ~დ სამღვდელო გაენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმი ვამტკიცებ ნებითა ღ~ისათა სიგელსა ამას და ვინცა შლად ჳელყოს შეჩვენებული იყოს“. დამტკიცებულია გაენათელი მიტროპოლიტის ეფთვიმეს რვაკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭდის გარშემო: „გაენათელი მიტროპოლიტი“ - მხედრულით, ცენტრში „ეფთვიმე“ - ასომთავრულით; მინაწერი 3. v – „ქ. ყოვლად სამღვდელო მთავარეპისკოპოსი ანტონი ვამტკიცებ სიგელსა ამას. ვინც შეცვალოს შეჩვენებული იყოს“ - მხედრული. დამტკიცებულია მთავარეპისკოპოს ანტონის ოთხკუთხა მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე: „მთავარეპისკოპოსი ანტონი“ - ასომთავრულით.

24. ის №913 - იმედის გაახლების წიგნი მეფე სოლომონ I-ისა და დედოფალ მარიამისა აზნაური და გლეხი იაშვილების, ერთობით გეგუთის აზნაურებისადმი - წინეთ იმედის წიგნი გქონდათ, შემოგვეხვეწეთ და გაგიახლეთ, ისევ იმედის წიგნი გიბოძეთ, რომ თქვენ არ გაიყიდებითო. დაწერილია ჩ დ ნ ვ [1756წ.].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; დალაქავებული; მოხეული აქვს ტექსტის შესავალი ნაწილი; ზომა: 36x31 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 36x24,5 სმ; v – 23x24,5 სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 26; v – 16; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი - მდივანი დათუნა; დამტკიცებულია სოლომონ მეფის დიდი ოთხკუთხა მურის ბეჭდით: წარწერა ბეჭედზე „მონა მლთისა, ყმა ხონთქრისა მეფე სოლომონ“ - მხედრულით; აქვს მინაწერი r – „ჩვენ ბატონი უფლისწული მამუკა ვამტკიცებთ სიგელსა ამას“. დამტკიცებულია რვაკუთხა მურის ბეჭდით; 5-სტრიქონიანი წარწერა ბეჭედზე, სავარაუდოდ: „მიხმობენ მეფის ძეობით, უფლისწული ვარ ლიხტ იმერეთისა მამუკა“ - მხედრულით.

25. ის № 935 - კერძო წერილი მეფე სოლომონისა კორძიას ქალისადმი, პირადი ხასიათის.

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 17,3x8,3 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა: r-14x7,7 სმ; v-11,5x6,5 სმ; განკვეთილობის ნიშანი წერტილი; მხედრული; დაწერილია, სავარაუდოდ, 1779 წელს: სოლომონ I-ის ბეჭდისა და ისტორიული საბუთის N940 მიხედვით.

დამტკიცებულია სოლომონ I-ის რვაკუთხა მურის ბეჭდით; სამსტრიქონიანი წარწერა ბეჭედზე: „მეფე იმერეთისა სოლომონ“ - ასომთავრულით.

26. ის №940 - წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I-ისა ზაალ კორძიასადმი - ილორს გიორგელა თელიასა და მისი ქონების ბოძების თაობაზე. დაიწერა ქორონიკონს უ დ ზ ღვინობისთვე ი ე [უ დ ზ - 467 აქედან 1312+467=1779წ. 15 ოქტომბერი].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 32,5x20 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 27,5x17 სმ; v – 7x18 სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 16; v – 5; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი - მდივანბეგი დავითი; დამოწმებულია სოლომონ მეფის მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე: „მეფე იმერეთისა სოლომონ“ - ასომთავრულით.

27. ის №945 - წყალობის წიგნი სოლომონ I-ისა მიქაბერიძეებისადმი - თქვენ გედავებოდნენ გლეხებს (ხაჭაპურიძეებს), ის გლეხები ჩვენ გიბოძეთ და თქვენ დაგრჩათო. დაიწერა ქორონიკონს ჩ დ ი ზ -აპრილს კ ჭ [1777წ. 28 აპრილი].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; ზომა: 32,5x17,5 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა: r – 27x12,5 სმ; v – 9x14,5 სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 14; v -5; მხედრული; ყავისფერი მელანი; შემდგენელი - მდივანბეგი დავითი; დამტკიცებულია სოლომონ მეფის მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე: „მეფე იმერეთისა სოლომონ“ - ასომთავრული; აქვს მინაწერი r - „ქ. ბატონიშვილი ვამტკიცებ“, იქვე ხელრთვა მხედრული ხვეული კალიგრაფიით „ალექსანდრე“ .

28. ის №946 - წყალობის წიგნი სოლომონ I-ისა, დედოფალ მარიამისა და ბატონიშვილ ალექსანდრესი ნიკოლოზ იაშვილისა და მისი შვილებისადმი - სამმოს ბოდების თაობაზე. თუ ჩვენი ერთგული, სიტყვისა და ბრძანების მორჩილი იყო, ჩვენგან ეს წყალობა არ მოგეშალოსო. დაიწერა ქორონიკონს ჩ ღ ო გ თებერვლის ი - [1773წ. 10 თებერვალი].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; დალაქავებული; ზომა: 37,5x17,5 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 34,5x13 სმ; r - 17x16,5 სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 18; v – 11; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი - მდივანი დავითი; დამტკიცებულია სოლომონ მეფის მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე: „მეფე იმერეთისა სოლომონ“ - ასომთავრულით.

29. ის № 964 - წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I-ისა ქაიხოსრო აგიაშვილისადმი ოკრიბას გლეხების ბოდების თაობაზე.

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 38,5 x 27 სმ ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა: r – 36x19; v – 15x19; სტრიქონების რაოდენობა r - 12, v - 7; განკვეთილობის ნიშანი: წერტილი, ორწერტილი; მხედრული; თარიღი: ქორონიკონს ჩ ღ მ თ [1759 წ.] დამტკიცებულია სოლომონ მეფის დიდი ოთხკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე: „მონა მლთისა ყმა ხონთქრისა, მეფე სოლომონ“ - მხედრულით. მინაწერი v: რიჟამადის წყალობის წიგნი არის.

30. ის №965 - წყალობის წიგნი სოლომონ I-ისა ქეშიკთ უხუცესს ქაიხოსრო აგიაშვილისადმი პატრიკეთს გლეხების ბოდების თაობაზე.

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 45x17 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r-36,5x11,5 სმ; v-19,5x11,5 სმ; სტრიქონების რაოდენობა r-18, v-11; განკვეთილობის ნიშანი - წერტილი; მხედრული; შემდგენელი - დავით მდივანი; თარიღი სოლომონ I-ის ბეჭდის მიხედვით, სავარაუდოდ, 1753-1758 წწ. დამტკიცებულია სოლომონ I-ის დიდი ზომის ოთხკუთხა მურის ბეჭდით; სამსტრიქონიანი წარწერა ბეჭედზე: „მონა მლთისა. ყმა ხონთქრისა მეფე სოლომონ“ - მხედრულით.

31. ის №970 - წყალობის წიგნი სოლომონ I-ისა ქეშიკთუხუცესს ქაიხოსრო აგიაშვილისადმი - წყალობა გიყავით და გიბოდეთ გლეხებო. დაიწერა ქორონიკონს ჩ ღ ო , ივლისის ი ვ [1770წ. 16 ივლისი].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; დაზიანებული; კიდებშემოცვეთილი; დალაქავებული; ზომა: 43x26 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 36x18,5 სმ; v – 25x23,5 სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 17; v – 12; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი - მდივანბეგი დავითი; დამტკიცებულია სოლომონ მეფის დიდი ზომის ოთხკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭდის გარშემო: „კეთილ ძირთაგან რტოანი, მეფე ვარ ბაგრატოანი“ - მხედრულით. ცენტრში ჩაწერილია „სოლომონ“ - ასომთავრულით; აქვს მინაწერი v – „დიდი მეფე სოლომონის წყალობის წიგნი არის ჯვარისასა და გლეხებისა“, მიწერილი აქვს ი - ინიციალი.

32. ის №971 - კერძო წერეთელი სოლომონ I-ისა ქეშიკთუხუცეს ქაიხოსრო აგიაშვილისადმი. წერილი გვიამბობს, რომ აგიაშვილის ყმებს ინაკავაძე იესიკასა და გაბრიელას ქუთაისის ციხეში ღომი გაუყიდათ, მეფე სთხოვს აგიაშვილს, დაატყვეოს ისინი და მიჰგვაროს.

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; დაფარულია ღია მოყავისფრო ფერის ლაქებით; რესტავრირებული; ზომა: 20x12,5 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r-13,5x9 სმ; v-9,5x8 სმ; სტრიქონების რაოდენობა r-10; v-6; მხედრული; თარიღი, სავარაუდოდ, სოლომონ I-ის მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდის მიხედვით, 1761-1784 წწ.; წარწერა ბეჭედზე: „მეფე იმერეთისა სოლომონ“ - ასომთავრულით.

33. ის №980 - წყალობის წიგნი სოლომონ I-ისა ციხისთავ ქაიხოსრო აგიაშვილისადმი - შემოგვებვეწეთ, ვისმინეთ თქვენი ხვეწნა და გიბოძეთ გლეხებო. დაიწერა ჩ ღ ო ზ [1777წ.].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; დალაქავებული; ზომა: 34x26,5 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r-23,5x19,5 სმ; v-8,5x19,5სმ; სტრიქონების რაოდენობა r-17; v-7; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი - მღვდელი დავითი; დამტკიცებულია მეფე სოლომონის მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით, წარწერა ბეჭედზე „მეფე იმერეთისა სოლომონ“ - ასომთავრულით; მინაწერი v- „მეფის სოლომონის წყალობის წიგნი ყიფიანების“ - მხედრულით.

34. ის №989 - წყალობის წიგნი სოლომონ I-ისა ქაიხოსრო აგიაშვილისადმი - დაგვეაჯენით, ვისმინეთ თქვენი და გიბოძეთ მამიშენის ნაქონი ადგილ-მამულიო. დაწერილია ქორნიკონს ჩ ღ ნ გ [1753წ.].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 43,5x32,5 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r-36x22,5 სმ; v-43x22 სმ; სტრიქონების რაოდენობა r-16; v-26; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი - ჯაფარიძე როსტომ; ტექსტის ნაწილი გადმოტანილია r-ზე. დამტკიცებულია სოლომონ მეფის დიდი ოთხკუთხა მურის ბეჭდით, მასზე წარწერა: „მონა მლთისა ყმა ხონქორისა მეფე სოლომონ“ - მხედრულით; მინაწერი: „ვამტკიცებთ, ჩვენ ბატონისშვილი გიორგი, სიგელსა ამას. ჩვენით დამამტკიცებელი ამისი ღმერთმან დაამტკიცოს, ხოლო შეურაცხსმყოფელი ღმერთმან შეურაცხოს“. დამტკიცებულია მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე არ იკითხება.

35. ის №994 - შეწირულების სიგელი მეფე სოლომონ I-ისა გელათის მონასტრისადმი - ჟამთა ვითარების გამო გელათის მონასტერს ყმები და ადგილები ჩამოშორდა, მაგრამ მე ისინი ისევ შევწირე მასო. დაიწერა ჩ ღ ჰ ბ მაისსა ათოთხმეტსა [1782წ. 14 მაისი].

შედგება ერთმანეთზე დაწებებული ორი ფურცლისგან; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 116x21 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა: r-108x18სმ; v-66,5x18,5 სმ; სტრიქონების რაოდენობა r-74; v-51; მხედრული; შავი მელანი; დასაწყისები გაფორმებულია ასომთავრულით, სინგურით; იწყება სტილიზებული დიდი ზომის ასომთავრული ე-თი; შემდგენელი - ნიკოლაოზ გაბაონელი; დამტკიცებულია სოლომონ მეფის დიდი ოთხკუთხა მურის ბეჭდით, წარწერა ბეჭდის გარშემო: „კეთილ ძირთაგან რტოანი მეფე ვარ ბაგრატიანი“ - მხედრულით. ცენტრში ჩაწერილია „სოლომონ“ -

ასომთავრულით; ტექსტი დამტკიცებულია ასევე დედოფალ გულქანის მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭდის გარშემო: „წულუკიდის ასული დედოფალი“- მხედრულით, ცენტრში ჩაწერილია „გულქან“ - მხედრულით.

36. ის №1471 - წყალობის წიგნი სოლომონ I-ისა ერთგული ყმის დავით მესხისადმი - „ჩვენ თათრებთან ომი გვქონდა, შენც ჩვენთან იყავი, ჩვენ გავიმარჯვეთ და შენ წყალობა გიყავით და გიბოძეთ გლეხებიო“. დაუთარიღებელი [სოლომონის ბეჭდისა და საბუთში აღწერილი ვითარების მიხედვით სიგელი გაცემული უნდა იყოს 1757-1758 წლებში].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; დაზიანებული; ზომა: 42,5x16 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა: r – 36,5x12 სმ; v – 42,5x12სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 26; v – 33; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი - მღვდელი სვიმონ წერეთელი; დამტკიცებულია სოლომონ მეფის ოთხკუთხა მურის დიდი ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე: „მონა მლთისა ყმა ხონთქრისა, მეფე სოლომონ“ - მხედრულით.

37. ის № 1680 - წყალობის წიგნი სოლომონ I ცნობილადეებისადმი, მათთვის საურისა და საუდიეროს ამოკვეთის შესახებ.

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზოგან დაფარულია ღია ყავისფერი ლაქებით; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 32x16,5სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r-23x11,5სმ; v-11x11,5 სმ; სტრიქონების რაოდენობა r-19, v-7; განკვეთილობის ნიშანი: წერტილი; მხედრული; შემდგენელი - მღვდელი წერეთელი დავით; დაიწერა: ჩ ღ ო ბ -1772 წელი;

დამტკიცებულია სოლომონ I-ის მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით; სამსტრიქონიანი წარწერა ბეჭედზე: „მეფე იმერეთისა სოლომონ“ - ასომთავრულით.

38. ის №1764 - წყალობის წიგნი სოლომონ I-ისა ქაიხოსრო აგიაშვილისადმი - ივანა ბოჭორიშვილის ცოლ-შვილით, ადგილ-მამულით, ჭურ-მარნით და ყოვლის ქონებით მისთვის ბოძების თაობაზე

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; დალაქავებული; ზომა: 44x15 სმ; დაწერილია r - v; ტექსტის ზომა r – 37x12 სმ; v – 38,5x12 სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 18; v - 25; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი - მდივანი დათუნა; ადგილი, სადაც შესაძლოა თარიღი ყოფილიყო მითითებული, მოხეულია; დამტკიცებულია სოლომონ მეფის ოთხკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე გადაშლილია და არ იკითხება.

39. ის №1834 - ვალდებულების სიგელი სოლომონ I-ისა მიცემული დავით, გიორგი და თამაზია იმანჯეიშვილებისადმი - ალექსანდრე მეფის სულის საოხად საეკლესიო სამსახურის ვალდებულების შესახებ. დაწერილია ქორონიკონს ჩ ღ მ ი ც [1758წ.].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 33x31სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 28x25,5 სმ; v – 26x25,5 სმ; სტრიქონების რაოდენობა r -13; v-17; მხედრული; ყავისფერი მელანი; შემდგენელი მდივანი დათუნა; დამტკიცებულია სოლომონ მეფის ოთხკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე: „მონა მლთისა ყმა ხონთქრისა მეფე სოლომონ“ - მხედრულით; მინაწერი r-ზე: „ჩვენ, ქუთათელი

მიტროპოლიტი მაქსიმე, ბატონის ჩვენის ბრძანებას ვამტკიცებ“; ხელრთვა „მაქსიმე“ - მხედრული ხვეული კალიგრაფიით.

40. ის №2177 - შეწირულების წიგნი სოლომონ I-ისა გოგნის ეკლესიისადმი - ეკლესიისთვის ზატიკის შეწირვის თაობაზე. დაწერილია ოქტომბრის ი დ, წელთა უფლისათა ჩ დ პ [14 ოქტომბერი 1780წ.].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; წარმოადგენს მეფე სოლომონის მიერ გოგნის ეკლესიისთვის შეწირულ ზატიკის ფორზაცს; ზომა: 19,5x15 სმ; v-ზე დატანილია გოგნის ეკლესიისთვის მეფე სოლომონის შეწირულობის ტექსტი; ტექსტის ზომა: 14x11,5სმ; სტრიქონების რაოდენობა 15, მხედრული; შავი მელანი; დამტკიცებულია სოლომონ მეფის მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე: „მეფე იმერეთისა სოლომონ“ - ასომთავრულით;

r-ზე წარმოდგენილია მინაწერები: 1. „ეს წიგნი გოგნის უდაბნოსი არის, ვინც გამოწიროს შეჩვენებული იყოს. ამინ და კირიალეისონ“. 2. „უფალო იესო ქრისტე, სწავ[ლ]ა კეთილათ მოუხდინე მონასა შე[ნ]სა აბულაძეს სვიმო[ნ]სა მღდელ მონ[ა]ზონსა ამინ და კირიალეისონ“. r-ზე დატანილია ასევე ქართული ანბანის ასოები.

41. E – 13/2 - ბოძების სიგელი მეფე სოლომონ I-ისა და დედოფალ გულქანისა ოქროპირ ცქიტვილისა და მისი ძმა სიმონისადმი - კითხიჯს ზაალ მხეიძისოული სასახლისა და მამულის მათთვის ბოძების თაობაზე; დაიწერა ქრისტეს აქეთ ჩ დ პ მათის კ გ [1783წ. 23 მაისი].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; დაუზიანებელი; ზომა: 62x27,5სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 47x20 სმ; v – 13x20 სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 31 სტრიქონი, v – 9 სტრიქონი; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი - მღვდელი სიმონ ავალიანი; დამტკიცებულია სოლომონ მეფის ზედა ნაწილში ამოხნეკილი რვაკუთხა მურის ბეჭდით ორჯერ; წარწერა ბეჭდის გარშემო: „დავითის ნორჩი ჯვართ მტერს მოვრჩი“ - მხედრულით; ცენტრში ჩაწერილია: „მეფე სოლომონ“ - ასომთავრულით; სიგელს ამტკიცებს დედოფალი გულქანი მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით; მხედრული წარწერა ბეჭდის გარშემო: „წულუკიძის ასული დედოფალი“ და ცენტრში - „გულქან“; სიგელს ამტკიცებს ბატონიშვილი გიორგი ხელრთვით „ქ. ალექსანდრეს ძე გიორგი ვამტკიცებ წიგნსა ამას“ და მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე: „ბატონიშვილი გიორგი“ - მხედრულით; მინაწერები r - ზე: 1. „ქ. ამ ბატონის წყალობა - დავთარში რაც სწერია, კაცის სულს გარდა, მოგვირთმევა და მოგახმაროს ღმერთმან ყოვლის კაცის უცილებლათ ჩვენ ცქიტვილის ივანეს, იესეს და მერაბს“ - ერთვის ხელრთვა, რომლის წაკითხვა გაძნელებულია, სავარაუდოდ, ერთ-ერთი ძმის, ივანეს ხელრთვა უნდა იყოს, იესესა და მერაბს ჯვრები აქვთ დასმული; 2. „ქ. მეფე სრულიად იმერთა სოლომონ ვამტკიცებ წიგნსა ამას ნებითა მღვითისათა“- დამტკიცებულია მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე: „მეფე იმერეთისა სოლომონ“ - ასომთავრულით; 3. „ქ. სრულიად იმერთა დედოფალი მარიამ ვამტკიცებ სიგელსა ამას ნებითა მღვითისათა“ - დამტკიცებულია მცირე ზომის ოთხკუთხა მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე: „დედოფალი მარიამ“ - მხედრულით;

მინაწერები v - ზე: 1. „ქ. ჩვენ, ყოვლად სამღვდელო, ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს ვამტკიცებ“ - დამტკიცებულია რვაკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭდის გარშემო: „ყოვლად სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი“ - მხედრულით; ცენტრში ჩაწერილია „დოსითეოს“ - ასომთავრულით; 2. „ქ. ჩვენ, გაენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი, ვამტკიცებ ნებითა ღვთისათა სიგელსა ამას და ვინც გასტეხოს შეჩვენებული იყოს!“ - დამტკიცებულია რვაკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭდის გარშემო „გაენათელი მიტროპოლიტი“ - მხედრულით; ცენტრში ჩაწერილია „ეფთვიმე“ - ასომთავრულით.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

ლიტერატურა:

1. ბაქრაძე ა., მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 1978წ.
2. რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო (1462-1810წწ.), 1989წ.

წყაროები:

3. ქუთაისის ისტორიული მუზეუმი: ქიმ № 100, 118, 126, 128, 130, 131, 181, 295, 334, 359, 438², 438³, 438⁴, 438⁵, 438⁶, 706, 746, 763, 812, 815, 822, 842; 873; 913; 935; 940; 945; 946; 964; 965; 970; 971; 980; 989; 994; 1471; 1680; 1764; 1834; 2177; E – 13/2 .

Tsitsino Mumladze, Eka Kelauradze, Nino Kukhianidze
Kutaisi State Historical Museum

Solomon I's Deeds Preserved in Kutaisi Museum
(Description-Catalogue)

Summary

The Imereti King Solomon I diplomas have been many times in the field of research of Georgian scientists and it is natural, because the most reliable source of research in any period of Georgian history is the historical documents created during the study period: the documents of blood-money deeds, charters of grant and donation and other historical documents issued by the kings and high hierarchy, which clearly states all important matters standing before the country in relevant period. According to these deeds and other sources, the researcher creates a general picture of political, social, economic and cultural development of the country. We have the same situation with Solomon I deeds: in all its difficulties, Solomon's reign, in particular his struggle against the Ottoman Empire, the results of this

struggle, his attitude to the faithful, the betrayer, the church, the struggle against the sale of the captives and the measures taken in this respect .

The Manuscript's and the Printed Books' fund of Kutaisi State Historical Museum possess the large collection of historical documents in which Solomon I is mentioned, but the number of deeds issued by him is - 41.

There is no work is issued where a complete kodikological description of Solomon I's deeds, kept in the Kutaisi Museum is issued, including an information on any document's origin, character, size, defense, fonts, compiler, drafts, evidence, stamp and other information of historical document. It can be said that this type of description of the Solomon I deeds was prepared for the first time in Kutaisi Museum.

**საბა მებრეველი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი**

**გრიგოლ ორბელიანი და სასცენო ხელოვნება
საარქივო მასალების მიხედვით**

რომანტიკული თეატრი ჩვენს სინამდვილეში მრავალი მიზეზის გამო ვერ შეიქმნა, თუმცა იმ ეპოქაში თავისუფლებადაკარგულ კოლონიურ საქართველოში კარგად ესმოდათ თეატრის მისია და დანიშნულება. გრიგოლ ორბელიანი წერდა: „პირველი სალხინო ადგილი არს თეატრი, რომელიცა გამოაჩენს ხარისხსა ერის განათლებისასა და აქვს დიდი ძლიერება ზნეობასა ზედა, რამეთუ თეატრი არს ცხოვრებისა ჩვენისა წარმოდგენა... თეატრი არის პირველი განმწმენდელი ზნეობისა ჩვენისა ყოველთა სიბილწეთაგან. მუნ ვხედავთ ყოველთა ჩვენთა ნაკლულოვანებათა“. როგორც პროფესორი იუზა ევგენიძე წერდა: „გრ. ორბელიანის მსჯელობაში ბრწყინვალედ არის გაცხადებული თეატრის როგორც ესთეტიკური, ასევე ეთიკურ-სოციალური და ეროვნული მიზანდასახულობა, რაც, რასაკვირველია, დიდი ქართველი რომანტიკოსის აზრს ქმედით ძალას ანიჭებს ჩვენი ხალხის კულტურული ცხოვრებისათვის“ (ევგენიძე, 1995, გვ. 79-80).

რადგან რომანტიზმი სუბიექტის შინაგან აქტივობაზეა დამყარებული, ქართულ რეალობაში თეატრალური ცხოვრება სალონურმა ყოფამ ჩაანაცვლა. მან შეითავსა ის, რაც პიროვნების შინაგანი მოთხოვნილება იყო - ხმამაღლა გაენდო თავისი სათქმელი სხვისთვის. ერთი შეხედვით, თითქოსდა მთვლემარე მდგომარეობაში მყოფი სული და სტატიკა იკითხება ქართული რომანტიზმის წიაღში, თუმცა ის შინაგანი დინამიკით იყო დალდასმული და მაინც

ავლენდა ეპოქის სულისკვეთებას თითქმის ყველა ასპექტით. სალონში არ ისხდნენ მხოლოდ პასიური მსმენელები. იქ წაკითხულ თხზულებათაგან ხოტბა გამონაკლისებს ხვდებოდათ(ო). თითქოს სამწერლო ასპარეზზე ლეგიტიმაციას ანიჭებდნენ ღირსეულთ. ი. ბალახაშვილს თუ დავესებებით, სარეცენზიოდ სწორედ სალონებში იგზავნებოდა მწერალთა ნაშრომები. მანანა ორბელიანის სალონში კამათობდნენ, დავობდნენ, იწონებდნენ და იწუნებდნენ... სალონი იძენდა კრიტიკული აზრის სტატუსს. თუ კრებული წაკითხულს მოიწონებდა, ავტორს უკვე ჰქონდა შესაძლებლობა, მწერალთა შორის პატივდებულიყო. როგორც ამბობენ, სალონის დიასახლისი უშედავათო კრიტიკოსი ყოფილა. მკაცრად გააკრიტიკა მანანა ორბელიანმა 1835 წელს გრიგოლ ორბელიანის მიერ სალონში წასაკითხად გამოგზავნილი მუხამბაზი „სულით ერთო, მოლხინენო, აწ შეკრებით“ და ავტორს შეულამაზებლად მისწერა: „ვერაფერი გახლდათ შენი ლექსი „დიპლოპიტო“ (ლექსის ყოველი მეხუთე ტაეპი ბოლოვდებოდა სიტყვებით: დიპლოპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ!“ - ს. მ.). შენ დღეში ამისთანა უგემური ლექსი არ გითქვამს“. ასევე არსებობს მანანა ორბელიანის წერილი, რომელშიც დაბეჯითებით სთხოვს გრიგოლს „რუსლან და ლიუდმილას“ ქართულად თარგმანს. მერე გრიგოლმა მისწერა წინო ჭავჭავაძეს: „გიჟი მანანა უფრო გაგიგიჟებიათ, გადამკიდებია, მითარგმნეო“.

გრიგოლ ორბელიანის არტისტული კარიერის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. 1844 წ. ალ. ჭავჭავაძემ თარგმნა კორნელის ტრაგედია „სინნა“, რომელიც უნდა წარმოედგინათ მისსავე სახლში. ამ სპექტაკლში მონაწილეობდნენ: თვით ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, გრ. დადიანი (კოლხიდელი) და სხვ. თუმცა ალ. ჭავჭავაძის ეს წამოწყება არ განხორციელებულა.

გრიგოლ ორბელიანის პირად წერილებზე მუშაობისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ, მიუხედავად პოეტის რუტინული სამხედრო კარიერისა, რომელიც თრგუნავდა ყოველგვარ რომანტიკულს, მაინც იგრძნობოდა სათეატრო ხელოვნების მიმართ მისი დაუოკებელი ინტერესი და სიყვარული. ეს არ იყო მხოლოდ დრამატული თეატრით გატაცება. წერილებში აშკარად ჩანს, რომ არც ერთი შემთხვევა პოეტის პირადი ცხოვრებიდან, როცა ის რაღაც ფორმით იყო დაკავშირებული თეატრთან, არ დარჩენილა ემოციურად შეუფასებელი. აღსანიშნავია, რომ პოეტს განზრახული ჰქონია თავისი შეხედულებების სისტემური ჩამოყალიბება თეატრის შესახებ, თუმცა ჩვენამდე მხოლოდ სათაურებმა მოაღწია, მათ შორის: „Влияние театра на нравственность“, „აღწერა თეატრისა, სადაც არ არის, მუნ არც არს განათლება ხალხისა“.

გრიგოლ ორბელიანს ყოველთვის ჰქონდა რეფლექსია თეატრალურ მოვლენაზე. საილუსტრაციოდ რამდენიმე პასაჟს მოვიხმობთ:

1831 წლის ოქტომბრიდან 1832 წლის თებერვლამდე იმყოფება პეტერბურგში და თეატრებში ესწრება წარმოდგენებს:

კარლა მარია ვებერის მიერ როსინის, სპონტანისა და რომანის მუსიკაზე შექმნილ ბალეტს „ლადი მსროლელი“;

ანტუან ტიტუსის მიერ დადგმულ პანტომიმურ ბალეტ „კია-კინგს“;

ბალეტმაისტერ ბლაშის მიერ დადგმულ ბალეტს „დონ-ჟუანი, ანუ დამარცხებული უღმერთო“;

გრიბოდეოვის მიხედვით დადგმულ სპექტაკლს „ვაი ჭკუისაგან“;

ბომარშეს პიესის მიხედვით შექმნილ ჯოაკინო როსინის ოპერას „სევილიელი დალაქი“.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის 30-იან წლებში გენერალ ნიკიტა პეტრეს ძე პანკრატიევის დავალებით მოსკოვსა და პეტერბურგში მყოფი პოეტი თავის დღიურებში ვრცლად გვესაუბრება სათეატრო ნაგებობების შესახებ. 1832 წლის აპრილში სანიმუშო ქვეით პოლკთან ერთად დგას ნოვგოროდის მისადგომებთან და თავის შორეულ ნათესავს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, გიორგი ავალიშვილს, სწერს წერილს, რომელშიც დაწვრილებით მოუთხრობს პეტერბურგში ყოფნისა და იქიდან ნოვგოროდამდე მისვლის ამბებს. მათ შორის

საგანგებოდ გამოყოფს: „მრავალჯერ ვიყავ თეატრშიც, მარამა მოსკოვის თეატრი არს უმჯობეს ძვირფასის შენობითა და სიდიდითა“.

1835 წლის მარტში იმყოფება რიგაში. ესწრება თეატრალურ წარმოდგენას, მაგრამ ისე აღფრთოვანებული არ არის, როგორც მოსკოვისა და პეტერბურგის თეატრებით.

1850 წლის იანვარში, როცა ქართული თეატრი აღადგინა გიორგი ერისთავმა და კომედია „გაყრა“ წარმოადგინა, გრიგოლ ორბელიანი თემირხანშურში (საოლქო ქალაქი დაღესტანში, ამჟამად ბუინაკსი) იმყოფებოდა და სამხედრო მოვალეობას ასრულებდა. როგორც კი შეიტყო თბილისში სათეატრო ცხოვრების გამოცოცხლების შესახებ, სასწრაფოდ წერილი გაუგზავნა ძმას და სთხოვა: „ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო! შენი წერილი ამ მინუტში მომიტანეს, რომელშიაც მწერ თეატრში თამაშობასა. სწორედ გითხრა, ძალიან ვნანობ, რომ ეგ პირველი ქართული კამედია ვერა ვნახე. ჩემო ილიკო, გთხოვ გამომიგზავნო ეგ კ[ამედი]ა, რომელიც არ წამიკითხავს“.

ამავე წლის 25 იანვარს თემირხანშურიდან წერილს სწერს მიხეილ ვორონცოვს, მადლობას უხდის, იმისთვის რომ მისი მზრუნველობით თბილისში დაიდგა გიორგი ერისთავის „გაყრა“ ((1889). *ივერია*. N211).

1853 წლის 2 იანვარს პოეტი თემირხანშურშია და წერილს სწერს ილია ორბელიანს, რომელსაც სიხარულით ატყობინებს: „შურაში გავმართეთ თეატრი ასე კარგად, რომ ძალიან მოგეწონება; ქალებიც თამაშობენ, და მეტადრე მადამ პალარ-ჟელსკაია დიდად გამოჩენით; კაცებში კნიაზ ბაგრატიონი და სემენოვი საუცხოვოდ ჰსთამაშობენ“. თამაშის ხელოვნებით გატაცებულ რომანტიკოს პოეტს სჯერა, რომ „ტყუილის თვალების ტრიალებით და მიმოკანკლედობით თავს ვერავინ მოაწონებს, თუ არ ჭეშმარიტის მშვენიერებით, ანუ ჭკუითა“ (1847 წლის 13 იანვარს რძლისთვის მიწერილი წერილი).

1865 წლიდან პოეტის ბარათებში უკვე თბილისური თეატრალური ყოფის დეტალები გამოჩნდება, მაგალითად, ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ზამთარი გადის ძალზედ მხიარულად; რომ აღარაფერი ვთქვა იტალიურს თეატრსა და ერთობ სასიამოვნო საღამოებზედ დიდს კნიაზთან, ძალზედ ხშირად ეწყობა ხოლმე კეთილშობილი სპეკტაკლები საქველმოქმედო მიზნითა. ერთ-ერთ მათგანში, პიესაში „დილა“ ხელმძღვანელთან ბრწყინვალედ აჩვენა თავი ნინა ოპოჩინინამ და მასთან ერთად მეინდორ მაპოზენმა, ფილოსოფოვმა, ზინოვიევმა, ბებუთოვმა; კონცერტებზედ გამოირჩევიან ყორღანოვი, კარმალინა და განსაკუთრებით ახალგაზრდა ოგარევა - ახალი ფრეილინა. ხმა მისი სწორედ რომ ფლეიტაა“.

ამავე წლის მარტში ისევ ბარბარე ორბელიანს პოეტი მისწერს: „გავიდა ზამთარი, არ გვინახავს არცა ყინვა, არცა თოვლი... თბილი, ნათელი დღეები უხმობდნენ ბინადართ სხუადასხუა გართობებისთვის: საღამოები, ბალები, თეატრები, სპეკტაკლები“

გრიგოლ ორბელიანისთვის თეატრალური ცხოვრება ასოცირდება პროგრესთან: „თბილისი მხიარულობს მთელის ძალითა: მუშთეიდს რუსული თეატრია, მონპლეზირში სეირნობანი, სანსუსში აგრეთვე რუსული თეატრი. ხომ მართლაც საოცარი პროგრესია?“ - ეკითხება ბარბარე ორბელიანს.

პოეტისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია რუსული დრამატული თეატრიცა და იტალიური ოპერაც. 1863 წელს ნიკო ჭავჭავაძეს სწერს: „რუსის თეატრი არის დიდად გაჩაღებული და მრავალი ხალხიც დაიარება, თუმცა იტალიანსკის ოპერაც ისევ ისე მიჩნეულია და შეყვარებული“.

1872 წელს პოეტი გახარებულია, რომ: „ამ ზამთარს არის დიდად გაჩაღებული არტისტიჩესკის კრუჟოკი, სადაცა ყოველს კვირას ერთხელ, ორჯელ, ხან აქვს ბალი, ხან მასკარადი, ხან თეატრი. თითქმის მთელი ქალაქი არის ჩაწერილი ჩლენად ამ კრუჟოკში და არის დიდი გაკვრა-გამოკვრა, მხიარულება, ტანციობა დიდს ხანსა“.

თეატრალურ ხელოვნებაზე ასე შეყვარებულ გრიგოლ ორბელიანს ძნელია დასწამო უყურადღებობა და უსულგულო დამოკიდებულება ქართული პროფესიული თეატრალური დასის აღდგენის მიმართ. ილიას თაობის ამ ინიციატივას ის ნაადრევად მიიჩნევდა, სამისო ნიადაგს ვერ ხედავდა და თავის თვალსაზრისს ასე ასაბუთებდა: „გავჰბედავ კი და გულწრფელობით მოგახსენებ, რომ არა ვარ თანამგრძობი ქართულის თეატრის ამ ჟამად დაწესებისა, რომელზედაც დახარჯული ფული მგონია დაკარგულად. მე არ მესმის, როგორ უნდა დაემყაროს თეატრი, რომელსა არა აქუს თავისი შენობა, რომელსა არა ჰყავს გასწავლული აქტიორები, რომელსა არ შეუძლიან შენახვა თავისა თვისისა? და თუ ქართულის ენის მოყუარენი წარმოადგენენ რასმე წელიწადში ორჯერ, სამჯერ, ხომ ეხლაც არის ამგუარი თეატრი... ვინ იტყვის, რომ შვილების აღზრდა, სახალხო შკოლები, თეატრი, არ იყოს საჭირო ჩუენთვის? ვინ არ იცის, რომ სამივე ესე საგანი არის ხალხისა სულითა ამადლება, გონების გახსნა და თვით ეკონომიური შემატება. მაგრამ არა მგონია, რომ ჩუენსა ბანკსა ჰქონდეს ისეთი შეძლება, რომ ეს სამივე მეტად დიდი და ძნელი საქმე, ერთსავე დროისა, დაამკვიდროს საფუძვლიანად, შეურყევლად“ - წერს პოეტი და მიიჩნევს, რომ „ქართველები ვართ ბუნებით გულმსწრაფნი; გვინდა ხვალვე იყოს მზად ყოველი, რაცა გვსურს. „ჰსჯობს ნელ-ნელა წავიდეთ წინა, ვიდრე სიჩქარით დავრჩეთ შუაგზაზე დაღალულნი“ (მეუნერგია, 1957, გვ. 265-266).

სათეატრო ხელოვნების მიმართ გრიგოლ ორბელიანის განსაკუთრებულმა ინტერესმა და სიყვარულმა განაპირობა ისიც, რომ ამდენმა ნანახმა და განცდილმა მასში კრიტიკოსის უნარი განავითარა. ის მხატვრული მოვლენის გულუბრყვილო შემფასებელი არ ყოფილა. საილუსტრაციოდ პოეტის ეს რეპლიკაც გამოდგება: „იმჟამად თეატრები (იგულისხმება 1834 წელი და პეტერბურგი - ს.მ.) ბრწყინავდნენ ბალეტებით „კიაკინგი“, „დამარცხებული უღმერთო“, „ვაი ჭკუისაგან“, „სევილიელი დალაქი“ და ყველას ვერც გაიხსენებ კაცი. და მე უკვე თავად გავხდი მკაცრი შემფასებელი მსახიობის ტალანტისა“. რაოდენ სამწუხაროა, რომ სათეატრო კრიტიკის მისეული ჩანაწერები არ მოიპოვება, თუმცა ადვილი წარმოსადგენია, რამდენად ბასრი იქნებოდა მის მიერ გამოთქმული შენიშვნები.

დასასრულ, კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც ერთდროულად წარმოაჩენს გრიგოლ ორბელიანის როგორც დიდი თეატრალის ანტურაჟს, ისე - მის ესთეტიკასაც. 1867 15 სექტემბერს ალექსანდრე ოლდენბურგელისთვის გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „რუსული თეატრი ძალზედ კარგია; იტალიური ოპერა გამოირჩევა ახალის პრიმადონით, რომელიც შესანიშნავადა მღერის, მაგრამ ძალზედ, ძალზედ შეუხედავია და ამის გამო მე მას ვუსტვენ. აბა, შენ რას იზამდი?“

რაოდენ უცნაური და მრავლისმთქმელია ის, რომ 63 წლის პოეტს შეუძლია (თანამედროვე ტერმინით თუ ვიტყვით) ტინეიჯერივით მოიქცეს - იჯდეს ოპერის თეატრში, უსმენდეს გამართულ ვოკალს, მაგრამ არ მოსწონდეს მომღერლის ვიზუალი და თავგამოდებით უსტვენდეს პარტერიდან. ასეთი გრიგოლ ორბელიანის წარმოდგენა, მართლაც, რომ ზუსტად გამოკვეთს მის არტისტულ პროფილს!

ქრონოლოგიის დაცვით წარმომადგენთ თეატრალურ ხელოვნებასთან დაკავშირებულ მასალებს (არასრულად) გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებიდან:

1831

8 ოქტომბერი

ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის მოსკოვში. ეძებს საქართველოდან ჩასულ ვინმეს, ვინც მიასწავლის ბატონიშვილების სასახლეს. ნაცნობ ოფიცერს მიჰყავს სომეხ ვაჭრებთან, მაგრამ შინ არ ხვდებიან. საღამოს მიდის დიდ თეატრში, სადაც იმართება სამი წარმოდგენა: მოცეკვავე დარია ლაპუხინა-რიშარის

ბენეფისი ჟან-ანრი-ფერდინან ლამარტელიერის ისტორიულ ბალეტში „თავისუფალნი მსაჯულნი, ანუ ბარბაროსობის დრონი“, ექენ სკრიბის ვოდევილი „პირველი სიყვარული“ და ლუი მილონის ბალეტი პანტომიმა „ნინა, ანუ სიყვარულით გაგიჟებული“. თეატრში ხვდება ოქროპირ ბატონიშვილს, რომელიც თავისთან იწვევს. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ (სეა, სცა, ფ.2, ა.1, ს.2015).

1831

11 ოქტომბერი

მიდის დონის მონასტერში ნათლიის - არქიმანდრიტ ათანასე პეტრიაშვილის - სანახავად, მაგრამ ის იმ დღეს წირვას ატარებს და ვერ ხვდება; სადილად მიდის გიორგი ავალიშვილთან და ერთად სტუმრობენ ოქროპირ ბატონიშვილს; შემდეგ მიდიან ქართლ-კახეთის უკანასკნელ დედოფალთან, მარიამ ციციშვილ-ბაგრატიონთან, რომელიც ავადმყოფობდა. იქ გაიცნობს ირაკლი ბატონიშვილს; საღამოს ესტატე თარხნიშვილთან და ვახტანგ ციციშვილთან ერთად დიდ თეატრში ესწრება ვიქტორ დიუკანჟისა და დინოს დრამას „ქაღალდის მოთამაშის ცხოვრება“ პავლე მოჩალოვის მონაწილეობით. დღიურში წერს იმ დღის მოვლენების შესახებ (სეა, სცა, ფ.2, ა.1, ს. 2015).

1831

13 ნოემბრის შემდეგ

წერილს სწერს პეტერბურგიდან თბილისში სიძეს, მელიტონ ბარათაშვილს. უზიარებს ქალაქის სანახაობებითა და თეატრით გამოწვეულ შთაბეჭდილებებს. სთხოვს გაუგზავნოს რეაზი მანეთი (სეა, სცა, ფ.2, ა.1, ს. 2015).

1832

1831 15 ნოემბრიდან - 1832 6 იანვრამდე

დღიურის ჩანაწერებში დაწვრილებით აღწერს პეტერბურგს: ალექსანდრე ნეველისა და სმოლნის მონასტრებს, პეტრე-პავლეს ციხეს, იმპერატორის აკადემიას, კადეტთა კორპუსებს, ობოლთა თავშესაფარს, ხელოვნების აკადემიას, ეკატერინესა და მარიას ინსტიტუტებს, სამშობიარო ინსტიტუტს, ღარიბთა საავადმყოფოს, მარმარილოს, თავრიდისა და ზამთრის სასახლეებს, პეტრე პირველის ძეგლს, თეატრებსა და პარკებს (სეა, სცა, ფ.2, ა.1, ს. 2015; ფ.1457, ა.1, ს.21).

1832

20 იანვარი

გამოსამშვიდობებლად მიდის ფარნაოზ ბატონიშვილთან, შემდეგ თეატრში ესწრება ალექსანდრ გრიბოედოვის პიესის „ვაი ჭკუისაგან“ წარმოდგენას (სეა, სცა, ფ.2, ა.1, ს. 2015).

1832

აპრილი

სანიმუშო ქვეით პოლკთან ერთად დგას ნოვგოროდის მისადგომებთან და თავის შორეულ ნათესავს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს - გიორგი ავალიშვილს - სწერს წერილს, რომელშიც დაწვრილებით მოუთხრობს პეტერბურგში ყოფნისა და იქიდან ნოვგოროდამდე მისვლის ამბებს.

„მრავალჯერ ვიყავ თეატრშიც, მარამა მოსკოვის თეატრი არს უმჯობეს ძვირფასის შენობითა და სიდიდითა“ (სეა, სცა, ფ.2, ა.1, ს.2115 (ძველი 171); XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, 2012, ტ. 2, გრიგოლ ორბელიანი).

1831 ოქტომბრიდან - 1832 თებერვლამდე

პეტერბურგის თეატრებში ესწრება წარმოდგენებს: კარლ ვებერის ბალეტს „ლადი მსროლელი“, ანტუან ტიტიუსის მიერ დადგმულ პანტომიმურ ბალეტ „კია-კინგს“, ბალეტმეისტერ ბლაშის მიერ დადგულ ბალეტს „დონ-ჟუანი, ანუ დამარცხებული უღმერთო“ და ზომარშეს პიესის მიხედვით შექმნილ ჯოაკინო როსინის ოპერას „სევილიელი დალაქი“ (სეა, სცა, ფ.2, ა.1, ს.2115 (ძველი 171) XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, 2012, ტ. 2, გრიგოლ ორბელიანი).

1834

სექტემბრის შემდეგ

იმყოფება პატარა პოლონურ დასახლება კვეტკიში და წერილს სწერს თეოდორ გელშერტს. უყვება სამი წლის განშორების შემდეგ საკუთარ თავგადასავალს, კარიერულ პერსპექტივებს, მოულოდნელ დაპატიმრებას, ავლაბრის „ყაზარმაში“ გატარებულ სამ თვესა და დედის დასაფლავებაზე.

„იმჟამად თეატრები (პეტერბურგში - ს.მ.) ბრწყინავდნენ ბალეტებით „კიაკინგი“, „დამარცხებული უღმერთო“, „ვაი ჭკუისაგან“, „სევილიელი დალაქი“ და ყველას ვერც გაიხსენებ კაცი. და მე უკვე თავად გავხდი მკაცრი შემფასებელი მსახიობის ტალანტისა“ (ხეც, გრიგოლ ორბელიანის არქივი, 112/16; XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. (2012). ტ. 2, გრიგოლ ორბელიანი).

1835

20 მარტამდე

იმყოფება რიგაში. ესწრება თეატრალურ წარმოდგენას, მაგრამ ისეთი აღფრთოვანებული არ არის, როგორც მოსკოვისა და პეტერბურგის თეატრებით (ხეც, გრიგოლ ორბელიანის არქივი, 636); XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. (2012). ტ. 2, გრიგოლ ორბელიანი).

1835

11 აპრილი

იმყოფება ვილნოს (დღევანდელი ვილნიუსი) გუბერნიაში და საპასუხო წერილს სწერს ნინო ანდრონიკაშვილ-ერისთავს: „დროცა მიდის მხიარულად ქორტოპიანოს დაკვრაში, ტანციობაში, სიმღერაში, სეირნობაში და მრავალგვარ შექცევაში. ამას წინათ ვი[ყავ] რილის ქალაქში, სადაცა არის თეატრი, მაგრამ პეტერბურდის და მოსკოვის თეატრებსა] ვერ შეედრება“ (სეა, სცა, ფ.5, ა.1, ს.7516 (ძველი 173); XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. (2012). ტ. 2, გრიგოლ ორბელიანი).

1847

13 იანვარი

იმყოფება სახანო სოფელ ჯუნგუთში (დაღესტანი, ამჟამინდელი ბუინაკსის რაიონი) და მოკითხვის წერილს სწერს ძმის, ზაქარიას, მეუღლეს - ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანს, რომელსაც აცნობს თეიმხანშურის საამო ცხოვრებას: „ირწმუნე, ძალუავ, თემირხანშურაში დიდი შექცევაები არის: სობრანიე, კლუბი, თეატრი, კავალკადები... აქ ტყუილის თვალეების ტრიალებით და მიმოკანკლედო[ბით] თავს ვერავინ მოაწონებს, თუ არ ჭემმარიტის მშვენიერებით, ანუ ჭკუითა“ (ხეც, გრიგოლ ორბელიანის არქივი, 269); XIX-XX

საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. (2012). ტ. 3, გრიგოლ ორბელიანი).

1847

28 აპრილი

ჯუნგუთაიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს - ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანს; ატყობინებს, რომ გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად დასრულდა მეჯლისები და თეატრები თემირხანშურაში და ახლა საზოგადოება ბაღში სეირნობით ირთობს თავს (ხეც, გრიგოლ ორბელიანის არქივი, 272); XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. (2012). ტ. 3, გრიგოლ ორბელიანი).

1850

25 იანვარი

იმყოფება თემირხანშურში (საოლქო ქალაქი დადესტანში, ამჟამად ბუინაკსი), იღებს ძმის, ილია ორბელიანის, წერილს და პასუხად სწერს, რომ გაუგზავნოს პირველი ქართული კომედია „გაყრა“, რომელშიც თავად ილიკოც თამაშობდა: „ჩემო საყვარელო ძმარ ილიკო! შენი წერილი ამ მიწუტში მომიტანეს, რომელშიაც მწერ თეატრში თამაშობასა. სწორედ გითხრა, ძალიან ვნანობ, რომ ეგ პირველი ქართული კამედია ვერა ვნახე. ჩემო ილიკო, გთხოვ გამომიგზავნო ეგ კ[ამედი]ა, რომელიც არ წამიკითხავს... აქიშკა ჩემთვის გამოეგზავნა მთავარმართებელსა, რომლისათვისცა ამასთანავე ვწერ მადლობასა“ (ხეც, გრიგოლ ორბელიანის არქივი, 230; XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. (2012). ტ. 3, გრიგოლ ორბელიანი).

1853

2 იანვარი

იმყოფება თემირხანშურში და წერილს სწერს ძმას, ილია ორბელიანს, რომელსაც ულოცავს ახალ წელს, მოიკითხავს ახლობლებს. შენიშნავს, რომ: „შურაში გავმართეთ თეატრი ასე კარგად, რომ ძალიან მოგეწონება; ქალებიც თამაშობენ, და მეტადრე მაღამ პალარ-ჟელსკაია დიდად გამოჩენით; კაცებში კნიაზ ბაგრატიონი და სემენოვი საუცხოვოდ ჰსთამაშობენ“ (ხეც, გრიგოლ ორბელიანის არქივი, 254; XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. (2014). ტ. 5, გრიგოლ ორბელიანი).

1865

11 იანვარი

წერილს სწერს თბილისიდან ლონდონში რძალს - ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანს. ატყობინებს, რომ მას და მის ვაჟს - გიორგი ორბელიანს - გაუგზავნა სამი თვის საპენსიო თანხა. აცნობებს იტალიური თეატრის, მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვთან გამართული სადამოების, საქველმოქმედო სპექტაკლებისა და ლორდ ჰამილტონთან ერთად ჯეირნებზე ნადირობის შესახებ, რომლის დროსაც განსაკუთრებით მისი ძაღლები გამოირჩეოდნენ (ხეც, გრიგოლ ორბელიანის არქივი, 153; XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. (2018). ტ. 8, გრიგოლ ორბელიანი).

1866

12 იანვრამდე

ქართულ თეატრში ხვდება ნინო ჭილაშვილ-ყიფიანს და მოიკითხავს პეტერბურგში მყოფ დიმიტრი ყიფიანს (ნინო ჭილაშვილის წერილი დიმიტრი ყიფიანს (ქლმ, 15068).

1867

30 იანვარი

წერილს სწერს თბილისიდან დაღესტანში ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძეს. უბოდიშებს, რომ დროს ვერ პოულობს წერილის მისაწერად ოპერის, რუსული თეატრის, სადამოების, ახალი კლუბის გახსნისა და სხვა გასართობების გამო (ხეც, გრიგოლ ორბელიანის არქივი, 501; XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. (2018). ტ. 8, გრიგოლ ორბელიანი).

1879

18 მაისამდე

ილია ჭავჭავაძისგან იღებს მოსაწვევს, რომლითაც ეპატიუება 18 მაისს ქართული თეატრალური საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზე მონაწილეობის მისაღებად (სეა, სცა, ფ.5, ა.1, ს.7515 ა).

1879

18 მაისი

წერილს უგზავნის ილია ჭავჭავაძეს და ატყობინებს, რომ თეატრთან დაკავშირებით გამართულ კრებაზე ვერ მივა, რადგან უნდა დაესწროს ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სხდომას. წერს, რომ ქართული თეატრის აღდგენა ნაადრევად ეჩვენება, რადგან არ არსებობს შენობა და არ გვყავს პროფესიონალი მსახიობები (ხეც, გრიგოლ ორბელიანის არქივი, 639; სეა, სცა, ფ.5, ა.1, ს.7515 ა).

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი N FR17_229 პროექტი „ახალი ტექსტოლოგიური კვლევები და გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანე“ (ორენოვანი გამოცემა).

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

ლიტერატურა:

1. XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. (2012-2018). ტ. 2-3-5-8, გრიგოლ ორბელიანი. თბილისი. უნივერსალი.
2. ევგენიძე, ი. (1995). გრიგოლ ორბელიანი (ცხოვრება და მოღვაწეობა). თბილისი. მერიდიანი.
3. მეუნარგია, ი. (1957). ქართველი მწერლები. თბილისი. განათლების სამინისტრო.

წყაროები:

1. სეა, საისტრიო ცენტრალური არქივი, ფ.2, ა.1, ს. 2015.
2. სეა, საისტრიო ცენტრალური არქივი, ფ. 2, ა. 1, ს. 2115 (ძველი 171).
3. სეა, საისტრიო ცენტრალური არქივი, ფ.5, ა.1, ს. 7515.
4. სეა, საისტრიო ცენტრალური არქივი, ფ. 5, ა. 1, ს. 7516

5. ქლმ, 15068.
6. ხეც, გრიგოლ ორბელიანის არქივი, 112/16.
7. ხეც, გრიგოლ ორბელიანის არქივი, 153.
8. ხეც, გრიგოლ ორბელიანის არქივი, 230.
9. ხეც, გრიგოლ ორბელიანის არქივი, 254.
10. ხეც, გრიგოლ ორბელიანის არქივი, 269.
11. ხეც, გრიგოლ ორბელიანის არქივი, 272.
12. ხეც, გრიგოლ ორბელიანის არქივი, 501.
13. ხეც, გრიგოლ ორბელიანის არქივი, 636.
14. ხეც, გრიგოლ ორბელიანის არქივი, 639.

**Saba Metreveli, Ivane Javakhishvili Tbilisi State
University Shota Rustaveli Institute of Georgian Literature**

Grigol Orbeliani and stage art according to the archival materials

Summary

Not many things are known about Grigol Orbeliani's connection to the stage art. "Cinna", a tragedy by Corneille was translated by Aleksandre Chavchavadze in 1844 and it must have been performed in his own house. Aleksandre Chavchavadze, Nikoloz Baratashvili, Grigol Orbeliani, Grigol Dadiani and others played in the play. However, this idea was not realized. Grigol Orbeliani understood the mission and prescript of the theatre: "theatre is the number one purifier of our morals".

While working on Grigol Orbeliani's private letters, our attention was drawn to his unrestrained interest and love towards stage art in spite of his military carrier which suppressed everything romantic in him: he attended opera and ballet performances, plays at drama theaters. The poet took all the cases everything that was connected to the theatre to his heart emotionally. He always had reflection to the events of the theatre.

თეა თვალავაძე, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი

გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი წერილების მნიშვნელობა ინფორმაციის მოსაპოვებლად¹

პირადი წერილები ისეთი სახის დოკუმენტური წყაროებია, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს ავტორის შინაგან სამყაროს, მის დამოკიდებულებას როგორც ახლობლების, ნაცნობებისა და კოლეგებისადმი, ისე სხვადასხვა თემის, ისტორიული პირისა და მოვლენისადმი. წერილები გვაწვდის ყველაზე სარწმუნო ინფორმაციას ავტორის ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად, ბიოგრაფიისა და ბიობიბლიოგრაფიის შესადგენად, ცხოვრებისა და შემოქმედების საკვლევად; ბარათებში ასევე იკვეთება არა მხოლოდ ავტორის, არამედ ეპოქის სახეც. ამიტომ მათით ინტერესდებიან როგორც კონკრეტული ავტორის მოღვაწეობის მკვლევრები, ისე წყაროთმცოდნეები და ისტორიკოსები.

გრიგოლ ორბელიანის მრავალმხრივი მოღვაწეობა მჭიდრო კავშირშია XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. მის წერილებში ირეკლება ქართული ყოფის არაერთი ისტორიულ-კულტურული ასპექტი. XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის ტომეულში გრიგოლ ორბელიანის წერილების 8 ტომია გამოცემული და ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი წერილები, სავარაუდოდ, 3 ტომს შეადგენს. იონა მეუნარგია გრიგოლ ორბელიანის შესახებ წერდა: „წერილები, რომელთაც უფრო საზოგადო ხასიათი ჰქონდა, ვიდრე კერძო, ნამდვილ მოთხოვნილებად შეექმნა იმას მოხუცებულებში. ყოველს ღირს შესანიშნავ შემთხვევის შემდეგ სიტყვიერის სჯისა იგი სჯიდა კალმით. სხვა კაცი, სხვა პირობაში მყოფი, ან მემუარებს დაუწყებდა წერას მის ადგილზე, ან გაზეთების სტატიებს. ეს კი ცოცხალ კაცს სწერდა ცოცხალ საგანზე. არც ერთი მაღალ ხარისხზე მდგომი პირი არ დარჩენილა, არც კავკასიაში და არც პეტერბურგში, რომელთანაც იმას არ ჰქონოდა პირ-ახსნილი მიწერ-მოწერა... მისნი ახლო ნათესავნი და მეგობარნი, იმის წერილებით განებივრებულნი, ავგაროზივით ატარებდნენ მის ბარათებს“ (მეუნარგია, 2010, გვ. 208-209).

მწერალი ახლობლებისგანაც ითხოვდა ვრცელ წერილებს და წუხდა, რომ პასუხს უგვიანებდნენ ან მოკლე შეტყობინებებს უგზავნიდნენ. „ილიას წიგნი მომივიდა“, - სწერდა ძმას, ზაქარიას, უმცროსი ძმის შესახებ, - „რომელიც ისევ უკან გაუგზავნე, ამიტომ რომ ერთი თაბახი დაბღარჯული სულ ცარიელი ხობოროს და ბოხოროს იყო... თითქოს არც სახლი გვქონდეს, არც საქმეები, რომლისაც შეტყობა ჩემთვის საჭირო არ იყოს“. ძმას სთხოვდა: „ნუ დამიგვიანებ ხოლმე შენს წერილსა“. მწერალი ხშირად გამოხატავდა მადლიერებას მათადმი, ვინც ბარათებს უგზავნიდა: „რა სიხარულს მანიჭებს თქვენის წერილების კითხვა“, - სწერს ივანე ჟილიხოვკის (გიგაშვილი, ნინიძე, 2012, გვ. 171).

არა მხოლოდ შესასწავლი ავტორის წერილების, არამედ სხვათა მიერ მისთვის გაგზავნილი ბარათების, მოგონებებისა და ჩანაწერების კვლევის შედეგად მუდავნდება მრავალი უცნობი ფაქტი, რომელიც აზუსტებს მწერლის ბიოგრაფიასა თუ შემოქმედებით მემკვიდრეობას.

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი N FR17_229 პროექტი „ახალი ტექსტოლოგიური კვლევები და გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანე (ორენოვანი გამოცემა)“).

მწერლის პირველმა ბიოგრაფმა, იონა მეუნარგიამ, თავისი ცნობილი ლექციები და მოგონებები გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, უმთავრესად, სწორედ მისი პირადი მიმოწერიდან მოპოვებულ ინფორმაციაზე ააგო. გაზეთის „ივერია“ სტატიაში, რომელიც ამ ლექციების ციკლს ეხებოდა, ვკითხულობთ: „...ბ-ნმა მეუნარგიამ ვრცლად ილაპარაკა და ცხოვლად დაგვიხატა სურათი გრ. ორბელიანისა, როგორც მამულიშვილისა და საზოგადო მოღვაწისა. ამ მხრივ გრ. ორბელიანის მიწერ-მოწერამ, რომელიც ლექტორმა წარმოგვიდგინა, უხვი საბუთი მოგვცა, შეგვეტყო ზედმიწევნით პოეტის აზრი და გრძნობანი ყოველი საყურადღებო საგნისა და საქმის შესახებ ჩვენში. წესი ქვეყნის მართვისა და გამგეობისა, წინანდელი და აწინდელი მდგომარეობა ჩვენი თავადაზნაურობისა, სასულიერო სემინარიისა და ეკლესიისა, შემოერთება აჭარ-ქობულეთისა, აღზრდა ახალ თაობისა, ჩვენებური სასამართლოები, გამიჯვნის საქმე...“ ((1888). ახალი ამბავი. ივერია. 75, გვ. 1-2).

კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გრიგოლ ორბელიანის პირად ფონდში ინახება ნიკოლოზ ბარათაშვილის, დიმიტრი ყიფიანის, გიორგი მუხრანსკის, მანანა ორბელიანის, ეკატერინე და ნინო ჭავჭავაძეების, ივანე ანდრონიკაშვილის, ლევან მელიქიშვილის, მიხეილ და კონსტანტინე რომანოვების წერილები გრიგოლ ორბელიანთან. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია ნიკოლოზ ბარათაშვილის, ხორეშან ანდრონიკაშვილ-ორბელიანის, ილია და ზაქარია ორბელიანების, მელიტონ ბარათაშვილის, ეფემია ორბელიან-ბარათაშვილის, გიორგი ავალიშვილის, დავით და ელენე ორბელიანების წერილები გრიგოლ ორბელიანისადმი. ლიტერატურის მუზეუმში ინახება ზაქარია და ილია ორბელიანების, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ეკატერინე წერეთლის, მიხეილ ზაბოლოცკის წერილები, ასევე პლატონ იოსელიანის, მოსე არღუთინსკისა და დიმიტრი მილიუტინის წერილების ასლები.

ამ ბარათების უმეტესობა დღემდე გამოუქვეყნებელია, თუმცა, პოეტისთვის გაგზავნილი წერილების ბეჭდვა მის სიცოცხლეშივე დაიწყო. ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილები ბიძისადმი 1872 წელს ჯერ „კრებულში“ დაიბეჭდა, შემდეგ კი - „დროებასა“ და „ივერიაში“. განჯიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის გადმოსვენებასთან დაკავშირებით 1893 წელს პეტრე უმიკაშვილმა გაზეთში „კვალი“ დაბეჭდა ლევან მელიქიშვილის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი. ეს ბარათი მეტად მნიშვნელოვანია, რამდენადაც ეხება ნიკოლოზ ბარათაშვილის სიკვდილსა და მისი ნაწერების გამოცემას, რაც წერილის დაწერის დროს, 1846 წელს, განუზრახავთ პოეტის მეგობრებს და თანხის შეგროვებაც დაუწყიათ. ადრესანტი გრიგოლ ორბელიანს სთხოვს, გაუგზავნოს დისწულის ლექსები და დაწეროს წიგნისთვის წინათქმა ლექსად. როგორც ვიცით, ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს და ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებების გამოცემა მხოლოდ 1876 წელს გახდა შესაძლებელი (უმიკაშვილი (1893). „ბარათაშვილის გვამის გადმოტანა და თ. ლევან მელიქიშვილის წერილი პოეტზე“. კვალი., 3, გვ. 7-10).

ილია ორბელიანის, მელიტონ და ეფემია ბარათაშვილების წერილები გრიგოლ ორბელიანისადმი, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიისთვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები, 1938 წელს გამოაქვეყნა იაკობ ბალახაშვილმა ჟურნალში „მნათობი“ (ბალახაშვილი (1938). ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიის ახალი მასალები. მნათობი, 12, გვ. 161-170).

გრიგოლ ორბელიანი 1858 წლამდე ხშირად არ იყო საქართველოში, ამიტომ ახლობლების წერილებში აისახება თბილისში მიმდინარე კულტურულ-საზოგადოებრივი მოვლენები. მაგალითად, ილია ორბელიანის ერთ-ერთი ბარათიდან ჩანს, რომ ქართული წარმოდგენის გამართვას ჯერ კიდევ 1832 წელს აპირებდნენ გიორგი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი და სხვები, მათ შორის ილიაც; 1850 წლის წერილით კი ძმას დაღესტანში აცნობებს, რომ ქართულ თეატრში ითამაშეს გიორგი ერისთავის „გაყრა“. ბილეთებისთვის თავ-პირის

მტვრევა იყო და სპექტაკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა. ილიამ ითამაშა უფროსი ძმის, ანდრეაფარის როლი.

ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება მიხეილ ვორონცოვის 45 წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი, რომლებიც სრულად გამოქვეყნდა ცილა ქირიასა და შოთა სარიას წიგნში „XIX ს. I ნახევარი, მასალები საქართველოს ისტორიისათვის“ (ქირია და სარია, 1967, გვ. 119-186). ეს ბარათები აზუსტებს მწერლის სამხედრო მოღვაწეობის დეტალებს, მის როლს დადესტნის ბრძოლებში და შესაბამისად, ავსებს მის ბიოგრაფიას. დოკუმენტები ამჟღავნებს მეფის მთავრობის ახალ კურსს კავკასიისა და საქართველოს მმართველობაში, მეფისნაცვლის პოზიციასა და გრიგოლ ორბელიანის დამოკიდებულებას ამ საკითხების მიმართ.

ეს წერილები ძალზე მნიშვნელოვანია იმის გამოც, რომ მათში მოხსენიებული პირები და მათი თანამდებობები პირთა იდენტიფიცირების ან ვინაობის დაზუსტების შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის V ტომში მიხეილ ვორონცოვისადმი გამოქვეყნებულ წერილში წოდებითა და გვარით ნახსენები პირი, სავარაუდოდ, იდენტიფიცირებულია, როგორც პავლე ევსტათის ძე ბოგდანოვიჩი. მიხეილ ვორონცოვის მიერ 1851 წელს გაგზავნილი წერილიდან კი ვიგებთ, რომ მთიელთა წინააღმდეგ საომარი მოქმედებების შესახებ გრიგოლ ორბელიანს მოხსენება გაუგზავნია მაიორ პავლე ევსტათის ძე ბოგდანოვიჩისთვის. ამ წერილის მიხედვით ვარაუდი დაზუსტდა.

აღნიშნული დოკუმენტები საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, რომ გვაწვდის ინფორმაციას გრიგოლ ორბელიანის ვერმოდწეული ბარათების შესახებ. ჩვენთვის ცნობილი წერილებიდან უადრესია 1832 წლის წერილი მარიამ დედოფლისადმი. დავით ორბელიანის 1829 წლის ბარათიდან კი ჩანს, რომ მას გრიგოლის წერილი მიუღია.

მელიტონ ბარათაშვილის ბარათში ვკითხულობთ, რომ გრიგოლს სიძისთვის 1831 წლის 8 აგვისტომდე წერილი გაუგზავნია სტავროპოლიდან. სხვა წერილში მელიტონი აღნიშნავს, რომ მიიღო პეტერბურგიდან გრიგოლის ბარათი, რომელშიც ის თეატრის შესახებ საუბრობს და ფულის გაგზავნას სთხოვს სიძეს. ერთ-ერთ წერილზე გრიგოლის მინაწერიდან „Ответ. 17-го Марта“ ვიგებთ, რომ პოეტმა მელიტონის წერილს ამ რიცხვში უპასუხა (სეა, სცა, ფ.2, ა.1, ს.2115).

ეგემია ორბელიან-ბარათაშვილის ბარათები გვაწვდის ინფორმაციას არა მხოლოდ ძმისგან მიღებული წერილების, არამედ მათი შინაარსის შესახებაც. 1837 წლის იანვრის წერილი გვაუწყებს, რომ პოეტი დას სთხოვს, გაუგზავნოს წინდები და ხანჯალი, რომ გრიგოლის განცხადება სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ არ დააკმაყოფილეს და უკან დაუბრუნეს (სეა, სცა, ფ.1446, ა.1, ს.736).

ცნობილია ნიკოლოზ ბარათაშვილის 8 წერილი ბიძისადმი, მაგრამ ჩვენამდე არ მოღწეულა გრიგოლის ბარათები დისწულთან. ეგემია ორბელიან-ბარათაშვილის 1842 წლის წერილში ვკითხულობთ, რომ 20 აპრილს გრიგოლს ნიკოლოზისთვის წერილი გაუგზავნია ქუთაისიდან თბილისში. პოეტი ძალიან წუხდა შამილის მეომრების მიერ ძმის, ილიკოს, დატყვევების გამო და დისშვილს სთხოვდა, დაწვრილებით ეცნობებინა საქმის ვითარება (სეა, სცა, ფ.481, ა.2, ს.364). სწორედ ამ წერილის პასუხად მიიღო ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ გაგზავნილი წერილი, რომელშიც ადრესანტი ბიძას თანაუგრძნობდა შამილის მიერ ილია ორბელიანის დატყვევების გამო და აცნობებდა, როგორ მოხიბლა ილიამ შამილი უშიშრობით. წერილში მოყვანილია ბიძის დატყვევების განცდით დაწერილი ლექსი „მერანი“.

1832 წლის 22 მაისს მოსკოვიდან ნოვგოროდში მწერლისა და ნათესავისგან, გიორგი ავალიშვილისგან მიღებულ წერილში ადრესანტი ემადლიერება 30 აპრილს გრიგოლის მიერ მასთან გაგზავნილი წერილის გამო (სეა, სცა, ფ.2, ა.1, ს.2115). ამ წერილით დადგინდა 1832 წლის აპრილით დათარიღებული გრიგოლ ორბელიანის გიორგი ავალიშვილისადმი

მიწერილი ბარათის ზუსტი თარიღი. მეორე წერილზე გრიგოლის მინაწერით „პასუხი 5 ივლისს, პეტერბურგი“ ვიგებთ, რომ კიდევ ერთი წერილი გაუზავნია გიორგი ავალიშვილისთვის, რომელიც ჩვენამდე არ მოღწეულა (სეა, სცა, ფ.2, ა.1, ს.2115).

მწერლის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მისი წერილების ადრესატების ვინაობის გარკვევა, არამედ მისთვის გაგზავნილი წერილების ავტორებისაც. ერევნის კარაბინერთა პოლკის უფროსის მიერ 1831 წლის 20 აპრილს გაგზავნილი წერილის ბოლოს დართული ხელრთვა გაურკვეველი იყო, მაგრამ შინაარსიდან ჩანდა, რომ იგი დაწერა პოლკის უფროსმა, რომელიც იყო ფლიგელადიუტანტი და პოლკოვნიკი (კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის პირადი არქივი, №5). ქართველ გრენადერთა პოლკის მეთაური 1823-1835 წლებში იყო ივანე იოსების ძე სიმონიჩი, მაგრამ მან 1830 წელს მიიღო გენერალ-მაიორის წოდება. შესაბამისად, წერილის ავტორი უნდა იყოს არა ქართველ გრენადერთა პოლკის, არამედ ერევნის მე-13 კარაბინერთა პოლკის იმჟამინდელი მეთაური - ალექსანდრე ლევანის ძე დადიანი, რომელიც იყო როგორც პოლკოვნიკი, ისე ფლიგელადიუტანტი. ამ ვარაუდს ისიც ამყარებს, რომ წერილი გაგზავნილია მანგლისიდან, სადაც მდებარეობდა ერევნის პოლკის შტაბი.

1849 წელს გრიგოლ ორბელიანმა მიიღო მინისტრ ალექსანდრ ჩერნიშოვის ორი წერილი. პირველ წერილში ის პოეტს მადლობას უხდის მისი მხატვრული ნაწარმოების გამოსაცემად ხელმოწერების შეგროვებისთვის და სთხოვს თანხის გაგზავნას დედოფლისწყაროში, სადაც იმჟამად ისვენებს (კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის პირადი არქივი, №699). მეორე წერილთან ერთად ადრესანტი უგზავნის მის მიერ დაწერილი პიესის პირველ ნაწილს და სთხოვს, გამონახოს დრო მის წასაკითხად. უცნობია გრიგოლ ორბელიანის პასუხი მინისტრისადმი, მაგრამ მისი გულწრფელი რეაქცია ჩანს ბარათზე გაკეთებული ვრცელი მინაწერიდან. ტექსტში ნათქვამია - ზემოხსენებული წერილის ავტორი და თავადი სერგეი კუდაშოვი ეშმაკს უცდუნებია და შთაუგონებია, რომ შეძლებენ შექსპირის, შილერის, გოეთესა და ბაირონის გვერდით ადგილის დამკვიდრებას, მაგრამ სინამდვილეში ისინი ამ მწვერვალთან ახლოსაც ვერ მივლენ და ტყუილად იმეტებენ თავიანთ სახელებს მკითხველების დასაცინად (კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის პირადი არქივი, №700).

ჩერნიშოვის გვარი ხელრთვაში არც ერთ წერილზე ბოლომდე გარკვევით არ იკითხება და სახელისაც მხოლოდ ინიციალია, მაგრამ თავისი მხატვრული ნაშრომის გამოსაქვეყნებლად ხელმოწერების შეგროვებას გენერალ გრიგოლ ორბელიანს მასზე დაბალი წოდებისა და თანამდებობის პირი, სავარაუდოდ, ვერ სთხოვდა. გენერალ ალექსანდრ ჩერნიშევთან მას საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა და, როგორც გედეონ ბუჭყიაშვილისთვის 1849 წლის 11 ოქტომბერს გაგზავნილი წერილიდან ჩანს, სწორედ სამხედრო მინისტრ ალექსანდრ ჩერნიშოვზე იყო დამოკიდებული გრიგოლის ძმის ილიასთვის პოლკოვნიკის წოდების მინიჭება. ამიტომ, სავარაუდოდ, ბარათი ალექსანდრ ჩერნიშოვის მიერ უნდა იყოს დაწერილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვათა წერილები მნიშვნელოვანია, არა მარტო მოვლენების საკომენტაროდ, არამედ მათში მოხსენიებული პირები და მათი თანამდებობები შესაძლებელს ხდის პირთა იდენტიფიცირებას ან ვინაობის დაზუსტებას, ასევე საკვლევი პიროვნებისადმი ურთიერთმიმართების დადგენას. მათი საშუალებით თარიღდება მოვლენები და დოკუმენტები, რაც კიდევ ერთხელ ცხადყო გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი წერილების შესწავლამ სხვადასხვა არქივში.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები: ლიტერატურა:

1. ახალი ამბავი (1888), *ივერია*, №75.
2. ბალახაშვილი, ი. (1936). ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიის ახალი მასალები. *მნათობი*. №12.
3. გიგაშვილი, ქ. და ნინიძე, მ. (რედ.) (2012). XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. 2. გრიგოლ ორბელიანი. ნაწილი 1. თბილისი. უნივერსალი.
4. მეუნარგია, ი. (2010). თხზულებები. ტ. 1. თბილისი. არტანუჯი.
5. უმიკაშვილი, პ. (1893). ბარათაშვილის გვამის გადმოტანა და თ. ლევან მელიქიშვილის წერილი პოეტზე. *კვალი*, №3.
6. ქირია, ც. და სარია, შ. (1967). მასალები საქართველოს ისტორიისათვის (XIX ს. I ნახევარი). თბილისი. მეცნიერება.

წყაროები:

7. კვსხეც. გრიგოლ ორბელიანის პირადი არქივი, №5.
8. კვსხეც. გრიგოლ ორბელიანის პირადი არქივი, №699.
9. კვსხეც. გრიგოლ ორბელიანის ფონდი, №700.
10. სეა, სცა, ფ. 481, ა. 2, ს. 364, გვ. 158.
11. სეა, სცა, ფ. 1446, ა. 1, ს. 736, გვ. 23.
12. სეა, სცა, ფ. 2, ა. 1, ს. 2115, გვ. 90.
13. სეა, სცა, ფ. 2, ა. 1, ს. 2115, გვ. 92.
14. სეა, სცა, ფ. 2, ა. 1, ს. 2115, გვ. 111.
15. სეა, სცა, ფ. 2, ა. 1, ს. 2115, გვ. 113.

Tea Tvalavadze

Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature

The importance of letters sent to Grigol Orbeliani to retrieve information

Summary

When commenting on personal letters, it is necessary to search for comprehensive information about the writer's creative work and his life. Numerous unknown facts that specify the writer's biography and creative heritage can be established by studying the author's letters sent to various individuals, as well as cards, memories and records sent by others.

Letters to Grigol Orbeliani are preserved in the National Centre of Manuscripts, in the National Archives of Georgia, in the Museum of Literature and in the Zugdidi State Museum of History and Ethnography. Letters of Nikoloz Baratashvili, Ilia and Zakaria Orbeliani, Levan Melikishvili have been

published in various magazines, newspapers and publications. Nevertheless, the overwhelming majority of letters sent by other individuals to Grigol Orbeliani are still unknown.

These letters specify the facts of the writer's military career, his role in the battles in Dagestan, and therefore complement his biography. The documents reveal the new course of the Tsar's government in the governance of the Caucasus and Georgia, the position of the Viceroy of the King and Grigol Orbeliani's approach to these issues. They are significant not only for commenting on events, but because the persons mentioned in them and their posts enable the identification of persons and the relationships between the persons being studied. This helps to date the events and documents and the studies of the letters and memories (from various repositories) sent to Grigol Orbeliani have proved this once again.

**ელისაბედ ბარდიაშვილი, მაია არველაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი**

აკაკი წერეთლის შემოქმედებისა და ბიოგრაფიის უცნობი შტრიხები

ამოუწურავია კლასიკოსის შემოქმედება. წლები და საუკუნეები გადის და ის ისევ და ისევ ივსება ახლად მოძიებული მასალებით. მკვლევრები ახლებურ ჭრილში განიხილავენ თხზულებებს და ახალ აღმოჩენებს აკეთებენ მწერლის პირად ცხოვრებაზე.

არც ერთ მხატვრულ თუ პუბლიცისტურ თხზულებას არ შესწევს უნარი, გადასცეს მკითხველს მწერლის ცხოვრების შესახებ იმდენი ინფორმაცია, რამდენიც უბის წიგნაკს. მასში თავმოყრილი მასალა კარგად ასახავს შემოქმედის სხვადასხვაგვარ განწყობას, გატაცებას, თხზულებათა პირველ მონახაზებს, საქმიანობის გეგმებს, ამა თუ იმ მოვლენიდან მიღებულ შთაბეჭდილებებს და ა. შ. ეს ჩანაწერები არა მარტო ხელს უწყობს მწერლის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესწავლას, არამედ ინტერესის სფეროს წარმოადგენს ფართო მკითხველისთვისაც. საბედნიეროდ, შთამომავლობას შემორჩა აკაკი წერეთლის სამი უბის წიგნაკი, რომლებიც მისი მფლობელის ცხოვრებისა და შემოქმედების ბევრ საიდუმლო დეტალს ინახავს.

აკაკის უბის წიგნაკებში თავმოყრილი მასალა მრავალფეროვანია, თუმცა დღემდე გამოუქვეყნებელია და ამდენად სრულიად უცნობია მკითხველისთვის.

პოეტის ერთი უბის წიგნაკი, რომელიც დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აკაკის ფონდში (ავტოგრაფი № 8ა), განსხვავდება არა მარტო იმ პერიოდის შემოქმედთა უბის წიგნაკებისგან, არამედ პოეტის დანარჩენი ორი წიგნაკისგანაც. როგორც წესი, მსგავსი ტიპის დოკუმენტში ასახულია ლიტერატურული პროცესები, ნაწარმოებთა დაწერის ან დახვეწის მანიშნებელი ფრაზები, მოსაზრებები, მომავალი გეგმები და ა. შ. ამ უბის წიგნაკში მხოლოდ დასაწყისშია რამდენიმე ლექსის ავტოგრაფი („ახირებული დასტური“, „ჩემ თანამეკალმეს“, ნაწყვეტი „მატიანე ქართლისადან“)

და მისამართები. დანარჩენი, საკმაოდ დიდი სივრცე, უჭირავს ანგარიშებს, მათ შორის, კვერეთის მამულის შემოსავალ-გასავლის ასახვას.

აღნიშნულ წიგნაკში ცალ-ცალკე ჩამოწერილი და შემდეგ დაჯამებული გლეხებისგან, მაგალითად, ბეჟანა ფრუალიძის, მიხეილა ივანაშვილის, ბესო დევიძის, ივანა გაბაძის, პავლია ასანიძისა და სხვათაგან შემოსული სამოსახლოს, ტყის, სიმინდის ღალის, პურის, ჩალა-ბზის, „ლობისა“ და „კვახის“ თანხები.

წიგნაკის 92-ე გვერდზე პოეტს ჩაუნიშნავს, რომ „მუხა რვა ძირია მოჭრილი, ცაცხვი ერთი ძირი, წიფელა სამი ძირი“, ხოლო იმავე გვერდზე აკაკი ითვლის, ეს ყველაფერი როგორ უნდა გადანაწილდეს და იწერს უბის წიგნაკში, რომ „5 (ან 8, რიცხვი გაურკვეველია - ე.წ., მ.ა.) საჟენი – ცეცხლისთვის, ათი ურემი მეტია სარათ და მარგილად, რომ გამოდგებოდა“.

აკაკის არც იმის ჩანიშვნა დავიწყებია, ვინ გადაუხადა ფული, ან თვითონ ვისი ვალი გაისტუმრა. ამის დასტურია უბის წიგნაკის 130-ე გვერდზე ჩამოთვლილი გვარები, რომლებსაც თავზე აწერია: „მმართვეს“. ის სახელები, რომელთა ვალიც აკაკის გაუსტუმრებია, გადახაზულია. 131-ე გვერდზე კი გვარ-სახელების გრძელ სიას ზემოდან აწერია: „მართვეთ“. აქედან ორ სახელს ხაზი აქვს გადასმული: „ლოლუა 8“ და „ტასოს 100“, ე.ი. მათ აკაკისთვის ვალი დაუბრუნებიათ.

უბის წიგნაკის ეს ანგარიშები უამრავ მასალას იძლევა პოეტის ფსიქოტიპის შესასწავლად, კერძოდ, თითოეული მოსახლის გვართან საგულდაგულოდ და სუფთად ჩამოწერილი მოსავლის სხვადასხვა სახეობა გვერდზე მიწერილ ფასთან ერთად აკაკის მოწესრიგებულობასა და აკურატულობაზე მეტყველებს. ამ ცხრილების მეშვეობით ვერც თვითონ პოეტი შეედავებოდა ვინმეს, არ მოგიცია ვალიო და ვერც - სხვა უკვე გადავიხადეო. უბის წიგნაკის საბუღალტრო ანგარიშები ნათლად აჩვენებს აკაკის მამულში მიმდინარე მთლიან პროცესს. მიუხედავად ამისა, ანგარიშების შესწავლამ დაგვანახა, რომ პოეტს რიცხვების შეკრებისას ზოგან შეცდომა დაუშვია. დაანგარიშებული ჯამი არ ემთხვევა შესაკრებთა რაოდენობას, მაგალითად, მიხეილა ივანაშვილთან:

სამოსახლო	16 მ.
ტყის ფასი	10 მ.
სიმინდი	15 მ. თხუთმეტი კოდი
პური	12 მ. ექვსი კოდი
ჩალა-ბზე	5 მ.
ლობიე	8 მ.

60 მ.

დაანგარიშების შედეგად მიღებულია სულ 60 მანეთი 66-ის ნაცვლად. ეს რომ იყოს ერთი შემთხვევა, უნებურ შეცდომად ჩაითვლებოდა, მაგრამ ასეთი არის რამდენიმე: ბესო დევიძესთან 42 მანეთია 49-ის ნაცვლად, ასევე ივანე გაბაძესთან, პავლია ასანიძესთან და ა.შ.

რა ინფორმაციას გვაძლევს ეს არითმეტიკული შეცდომები აკაკის ხასიათის შესახებ?

შეცდომების რაოდენობა გვაფიქრებინებს, რომ ისინი არ შეიძლებოდა პოეტს უნებურად გაჰპაროდა. სავარაუდოდ, იგი გადასახადს სრულად არ ართმევდა გლეხებს და გარკვეულ თანხას მათ პატიობდა, ანუ 66 მანეთის ნაცვლად ართმევდა 60-ს, 49-ის ნაცვლად 42 მანეთს და ა. შ. გარდა ამისა, უბის წიგნაკის ანგარიშები გვაწვდის ინფორმაციას, რომ პოეტი იძულებული იყო ცხოვრებისთვის ფეხი აეწყო, ყოველდღიურობაში ჩაბმულიყო და საარსებო საშუალებაზე ეზრუნა. აკაკის თხზულებების გარეშე იმ პერიოდის არც ერთი ბეჭდური ორგანო არ გამოდიოდა, მაგრამ რა ჰონორარი შეიძლებოდა ჰქონოდა უმუშევარ პოეტს, მარტო მისი ლექსის – „არაბი ფაშას“ - კომენტარულ ადასტურებს, მასში ვკითხულობთ: „ერთ დღეს რედაქციაში გვესტუმრა აკაკი და წაგვიკითხა „არაბი ფაშა“, საუცხოო ლექსი აჯანყებულ

აბაშელების სარდალზე დაწერილი. აღტაცებით მოვისმინეთ. პეტრე უმიკაშვილმა სთქვა: – ყმაწვილებო, ქართული მწერლობის მომავალმა მემატინანემ, დეე, გულისტკივილით მოიხსენიოს ის ფაქტი, რომ საქართველოს უწარჩინებულეს მგოსანს – აკაკის ერთადერთი ქართული გაზეთის რედაქციამ ერთი მანეთი მისცა ისეთ ლექსში, როგორც არაბი ფაშააო“ (მესხი, 1940, გვ. 84-85).

სწორედაც რომ დღეს დადგა პეტრე უმიკაშვილის ანდერძით დანატოვარის ასრულების დრო და გულისტკივილით ვფურცლავთ და „ვიხსენებთ“ აკაკის გაჭირვებას. უბის წიგნაკის ეს ანგარიშები გვიჩვენებს, რომ პოეტი მხოლოდ „ცაში არ დაფრინავდა“, ან, პირიქით, სწორედ ეს შეცდომები ანგარიშში ადასტურებს, რომ ის სწორედაც „ცაში დაფრინავდა“, არ იყო მთელი არსებით ჩართული იმ მატერიალურ საქმეში, რომლის კეთებასაც ცხოვრება აიძულებდა, არ შეეძლო დასულიყო იმ წვრილმანებამდე, როგორებიც იყო მისი მამულიდან შემოსული კაპიკების მიმატება-გამოკლება. „განთიადის“, „სულიკოს“, „გამზრდელის“, „თორნიკე ერისთავის“ და სხვა უამრავი შედეგის ავტორი იძულებული იყო, „სიმინდი, პური, ლობიე...“ და სხვა ათასი წვრილმანი ეთვალა იმ ძვირფას დროში, რომელიც შედეგების შექმნას უნდა მოხმარებოდა.

და აკაკი არ იყო გამონაკლისი. უამრავი მსგავსი ფაქტია შენიშნული ილია ჭავჭავაძისა და სხვა მოღვაწეების ბიოგრაფიებშიც.

ფულის ანგარიშში დაშვებულმა შეცდომებმა ახალი შტრიხები შემატა პოეტის ისედაც არაჩვეულებრივ პორტრეტს და სულ სხვა წახნაგიდან დაანახა იგი როგორც მკვლევრებს, ისე მისი ცხოვრებითა და შემოქმედებით დაინტერესებულ მკითხველებს.

გარდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა, აკაკი წერეთლის ორი უბის წიგნაკი დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში. ისინი მკითხველის ყურადღებას სწორედ იმით იპყრობენ, რომ მასალის დიდი ნაწილი სხვადასხვა ენაზეა შევსებული.

ერთი მათგანი (ავტოგრაფი №17799) შავყდიანია, რომელზეც მომწვანო-მოოქროსფერო ნაჭერია გადაკრული. უბის წიგნაკის მრავალფეროვანი ტექსტები ჩაწერილია ქართულ, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. მაგალითად, უბის წიგნაკის მე-10 გვერდზე დაფიქსირებულია პარიზული მისამართი ფრანგულ ენაზე, ხოლო მე-12 გვერდზე ჩამოწერილია რუსული სიტყვები ფრანგული შესატყვისებით: Франция – France... და ა.შ. მე-12 გვერდიდან 25-ე გვერდამდე (ზოგიერთი ფურცლის გამოტოვებით) გვხვდება საკმაოდ გაურკვეველი ხელით გაკეთებული რუსული ჩანაწერები. უბის წიგნაკის მე-7 გვერდზე მისამართია ქართულ ენაზე: „კონსტანტინე [საბასონის] ძეს ჭუბურიძე, ადრესი: გიორგი ჭუმბურიძეს ჭიათურაში“.

იმავე გვერდის v-ზე (ვერსოზე) ფანქრით უკუღმაა ჩაწერილი ორი გამოცანა, რომლებიც პოეტს ფანქრითვე გადაუხაზავს, მაგრამ შემდეგ აღუდგენია:

1
პირველი პირადი ზმნაა,
მეორე მხოლოდ ფერია;
ორივე ერთად ქალაქი!
კალენდარებშიდ სწერია.

2
პირველი ყვავილი არის,
მეორე ცხენის გვარია,
ერთად კი აღმოსავლეთში
შესანიშნავი მხარეა.

უბის წიგნაკის მხოლოდ მე-11 გვერდის v-ზე გვხვდება საქმიანი ჩანაწერი, რომელიც ასე გამოიყურება:

ვ. თავართქილაძის 400 მ.

მივეცი:

130

16

40

50 ნიკომ წაიღო

35

100

27 აბრამიშვილის ქირა

ლიტერატურის მუზეუმში დაცულ მეორე პატარა შავი ფერის უბის წიგნაკში (ავტოგრაფი №17794) გვხვდება, როგორც ჩანს, ავტორისთვის გასაგები, მაგრამ მკითხველისთვის გაუგებარი წაღმა-უკუღმა, ზოგან წაშლილი ჩანაწერები რუსულ, ქართულ და ფრანგულ ენებზე.

ამ წიგნაკის საკმაოდ დიდი სივრცე ლიტერატურულ ტექსტებს უჭირავს.

მე-6 გვერდზე პოემა „მედიას“ მონახაზია: „იაზონ – მე მეფისა უსალიელისა, ეზონისა.

პელეი – მამა იასონისა“ და ა. შ.

უბის წიგნაკის მე-18 გვერდის ფანქრით შესრულებული ჩანაწერი –

„ისუფაქიძე-ჩოლოყაშვილები

და მაყაშვილები

სალიმ ხანი მართებელი კახეთისა 1657. ბიძინას შეხვდა,

ზაალ ერისთავს და [ცოლს]“, – ჩვენი აზრით, „ბაში-აჩუკზე“

მუშაობის პროცესს უნდა ასახავდეს.

ეს ჩანაწერები ადასტურებს, რომ აკაკი კარგად სწავლობდა ყველა საკითხს მხატვრული თხზულებისა თუ პუბლიცისტური წერილისთვის შერჩეული თემის ირგვლივ. შემდეგ ამ მოპოვებულ ცნობებს, ფაქტებს, საკუთარ აზრებსა და შთაბეჭდილებებს იწერდა როგორც უბის წიგნაკში, ისე ნებისმიერ ფურცელზე.

ასევე, პოეტი რომ ბევრს მუშაობდა მხატვრული თხზულებების ენის დახვეწაზე, ლექსიკური ერთეულების შერჩევაზე, მიუთითებს უბის წიგნაკის მე-19 გვერდზე გაკეთებული მცირე განმარტებითი ლექსიკონი:

„ბუნიაობა – დღე და ღამის გასწორება მარტში

დუშმანი – მტერი

თარიღი – რიცხვი

საბაბი – მიზეზი

ბალყუმი – ???

უნარი – შნო

ბაცაცა – პატარა

ანცი – ცელქი

მითლელი – უსაქმო

ყამი და ფლანი [ფანი] – უცხო“.

მუზის მსახურებასთან ერთად აკაკი მაინც ვერ გაურბოდა ცხოვრების ყოველდღიურ საჭიროებებს. ვერც ეს უბის წიგნაკი ასცდა საქმიან ჩანაწერებს. მე-3 გვერდის v-ზე პოეტს ფანქრით გაუკეთებია ჩანაწერი:

„ვოლსკი სულ.

ბეჟანიშვილი – 25

ჯაყელი – 20“.

ძნელი ასახსნელია, რას უნდა ნიშნავდეს ეს რიცხვები, მაგრამ, ფაქტია, აკაკი ყოველდღიურობისგან მოწყვეტას ვერ ახერხებდა. ამას ადასტურებს წიგნაკის სხვა ჩანაწერიც.

27-ე გვერდზე პოეტს ფანქრით ჩაუნიშნავს: „თედო გასტუმრებულია სრულად და უკანასკნელი ნომერი რომ გამოვა მის ხელში, ივნისის [...], ჩამაბარებს ანგარიშს, მაშინ უნდა მიეცეს კიდევ ხუთი თუმანი. და სახლის ქირა“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლიტერატურის მუზეუმში დაცული უბის წიგნაკის – № 17794-ის ლიტერატურული ჩანაწერები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აკაკის ფონდის ერთ საინტერესო ავტოგრაფს (K-№ 343) ეხმიანება. ავტოგრაფში აკაკი წერეთლის სხვადასხვა ჩანაწერია თავმოყრილი. ყურადღებას იპყრობს ორი ტექსტი. პირველი, რომელიც მე-4 გვერდზეა მოთავსებული, დრამატულ პოემა „მედიას“ ეხება და გვიჩვენებს, თუ როგორ მუშაობდა აკაკი თხზულებაზე. პოეტს თავი მოუყრია თემასთან დაკავშირებული ფაქტებისთვის და ბევრი სიტყვა თუ ფრაზა განუმარტავს, მაგალითად:

„აეტეს – იათას მეფე

საკვარცხული რაჭული – ქართული სავარძელია.

მეგრული: კველა – სკამ-ლოგინი.

თეჯირი – შირმა. თეჯიბი იმერეთში სერსერიო (სერსეროთი) – სკამ-ლოგინი.

მახუტა გოგონავა დღესაც კიდევ იჩოქება სიმღერის დროს ფერხულში.

კაბდე – ოქროს ჭურჭელი, სახატესავით, სადაც ემბლემა ესვენა ყოველთა ცნობის ღმერთის „შარავანდედის“. ამას ქურუმნი უწოდებენ კაბდეველად, მათი გალობა, ზარის მსგავსი, ზორვის, ე. ი. კმევის დროს იწოდებოდა „კაბდევ“. ეს სიტყვა და სიმღერა დღესაც არის სამეგრელოში. – აქედან ქალდეველი – ჭანები – ასტროლოგები იყვნენ ჩვენი ქალდეველები და არა ებრაელი ხალდეველნი“.

ყველა განმარტება, რომელიც პოეტს ჩანიშნული აქვს უბის წიგნაკებში, გამოყენებულია „მედიასში“. მაგალითად, ლიტერატურის მუზეუმში დაცულ უბის წიგნაკში (ავტოგრაფი № 17794) ახსნილი სიტყვა „ბუნიაობა“ პოემის დასაწყისშივე გვხვდება:

„დღეს გაზაფხულის ბუნიაობა

დადგა და ღამე დღეს უსწორდება...“

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ავტოგრაფში (№ 343) განმარტებული „კაბდე“, რომლისგანაც, აკაკის აზრით, მიღებულია სიტყვა „კაბდეველი“, გატანილია მოქმედ პირებში: „მთავარ კაბდელი“ და „ხალხი და კაბდელები“ და ა. შ.

მეორე ჩანაწერი, რომელიც აღნიშნული ავტოგრაფის (№ 343) მე-11 გვერდზე გაუკეთებია აკაკის, მისი რომელიმე ისტორიული მოთხრობისთვის ჩანიშნული განმარტება უნდა იყოს („კორინთელი“, „გრიგოლ წერეთლის ირემი“, „სოფელ ალის აოხრება“). ამ მოთხრობების თემები და პერსონაჟები თითქმის ერთი და იგივეა; მაგალითად, ჩანაწერში დასახელებული სვიმონი, გიორგი, კონსტანტინე დავითის ძე, წერეთლები და სხვა მის ყველა ისტორიულ მოთხრობაში გვხვდება, ამიტომ კონკრეტულად ამ ჩანაწერზე დაყრდნობით შექმნილი თხზულების დასახელება ძნელია, თუმცა კონსტანტინე დავითის ძისა და წერეთლების ერთად ხსენებას მოთხრობა „სოფელ ალის აოხრებასთან“ მივყავართ.

უბის წიგნაკების ლიტერატურული ჩანაწერები გვეხმარება გავაანალიზოთ, როგორ მუშაობდა აკაკი ამა თუ იმ ნაწარმოებზე, შევქმნათ სრული სურათი თხზულებათა შემოქმედებითი ისტორიისა და ა. შ.

უბის წიგნაკებიც და ავტოგრაფი № 343, ასევე არქივში ბოლო დროს მიკვლეული წერილები საქართველო-რუსეთისა და ქართულ-სომხურ ურთიერთობებზე ნათლად აჩვენებს, როგორ საგულდაგულოდ აგროვებდა პოეტი ნაწარმოებებისთვის როგორც ისტორიულ ფაქტებს, ისე ეთნოგრაფიულ მასალებს. სწორედ ამიტომ, რომ აკაკი ნებისმიერ თხზულებაში უზადლო წყაროთმცოდნედ წარმოჩინდება და მის მიერ დაფიქსირებული ყველა დასკვნა სანდოობის მაღალი ხარისხით სარგებლობს. ეს კი ნიშნავს, რომ პოეტი არასოდეს

ეკიდებოდა ზერელედ არც მხატვრული ტექსტების და არც პუბლიცისტური წერილების შინაარსს.

(აკაკი წერეთლის უბის წიგნაკების ჩანაწერები ხელს უწყობს როგორც პოეტის შემოქმედების, ისე მისი პირადი ცხოვრების ბევრი დეტალის ახლებურად გაშუქებასა და აღქმას. საინტერესოა, აგრეთვე, აკაკის ფსიქოტიპის წარმოსაჩენად და შესასწავლად. - ეს მეორდება)

უბის წიგნაკების გარდა, სხვადასხვა არქივში აკაკის ფონდების დამუშავებისას პოეტის უამრავმა ქალაქმა თუ დოკუმენტმა მოიყარა თავი. ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, რადგან აკაკი ხანდაზმული იყო, როდესაც გარდაიცვალა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე აქტიური ცხოვრება არ შეუწყვეტია. როგორც ცნობილია, ის გარდაცვალების წინ ცოლ-შვილისთვის გასაგზავნი ფულის საშოვნელად დადიოდა, თან პარალელურად გამალებული წერდა ქუთაისის სასტუმროს ერთ ცივ ნომერში პოემა „ომს“.

აკაკის ბიოგრაფიის უცნობი საქმიანი ქალაქები თუ დოკუმენტები ნათლად ასახავს, რომ პოეტი, მხატვრული შემოქმედების გარდა, უამრავი საზოგადოებრივი საქმით იყო დაკავებული და მართლაც, წმინდა სანთელივით ჩაიფერფლა საქართველოს ეროვნული თუ ეკლესიური დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში.

აკაკი წერეთლის პერიოდში არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო საზოგადოებრივი მოვლენა, რომელსაც იგი არ გამოხმაურებოდა. ამის დასტურია პოეტის სადარბაზო და მოსაწვევი ბარათები, რომლებიც ძალიან მრავალფეროვანია, საპატიო ბილეთები, განცხადებები, ნებართვები (მაგალითად, ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის ნებართვა – დაჭრილ მხედართა სასარგებლოდ აკაკი წერეთლის მიერ ლექციების წაკითხვის შესახებ, 1914 წელი), აკაკის არაერთი თხოვნა, ქვითრები, ე.წ. „კვიტანციები“, რუსეთის იმპერიის მიერ გაცემული სიგელი თავადობის შესახებ, დეპეშები; ასევე მიწერილობები პოეტის შესახებ ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის, მაგალითად, ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს 1874 წლის საიდუმლო მიწერილობა №167 თბილისის სასამართლოს პალატის პროკურატურაში საზღვარგარეთიდან დაბრუნებული აკაკის შესახებ. ეს მიწერილობა კიდევ ერთხელ ადასტურებს (უხვამს ხაზს) აკაკის არასანდოობას ცარიზმის თვალში და მრავალი სხვა.

ეს უცნობი დოკუმენტები, რომლებიც პოეტის ბიოგრაფიას ბევრ საინტერესო შტრიხს მატებს, მრავალფეროვანია. მათ შორის, ყურადღებას იქცევს საპატიო და მოსაწვევი ბარათები. ისინი ორ ნაწილად იყოფა. ერთი ნაწილი საზოგადოებრივ ღონისძიებებზე დასასაწრებია, ხოლო მეორე – სამთავრობო შეკრებებზე.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აკაკის ფონდში (ავტოგრაფი №38), რომელსაც აწერია: „Князь Акакій Ростомович Церетели“; იმავე არქივში ინახება აკაკის საპატიო ბილეთი (ავტოგრაფი №22) მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების მიერ ქართულ ტრადიციულ სტუდენტურ საღამოზე დასასწრებად. ბილეთის თარიღია 1914 წლის 12 იანვარი, საღამო იწყება 9 საათზე. გრძელ რუსულ ტექსტს, რომელშიც აკაკისადმი უდიდესი პატივისცემა და სიყვარულია გამოხატული, მოსდევს მითითება, რომ ქუთაისში გამართულ ამ საღამოს უხელმძღვანელებს „хозяйка вечера“ - საზოგადოების თავმჯდომარე ე. ნ. ხეჩინოვა.

ჩვენი ყურადღება მიიქცია 1914 წელს XI ქართულ საღამოზე დასასწრებმა საპატიო ბილეთმა და აგრეთვე გრძელ ორად მოკეცილ ფურცელზე ფრანგულად შევსებულმა 1909 წლის საბუთმა, რომელიც აღმოჩნდა აკაკის სახელობე გაცემული კათოლიკური სკოლის საქველმოქმედო საზოგადოების საპატიო ბილეთი. აქ უკვე კომენტარის გარეშეც ნათელია, რაოდენ სასურველი სტუმარი იყო აკაკი ნებისმიერი წრისა და საზოგადოებისთვის.

კიდევ ერთი საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული 378-ე ნომრით, არის თბილისის სათავადაზნაურო ქალთა სკოლის ლიტერატურულ დილაზე დასასწრები მოსაწვევი ბარათი პროგრამითურთ.

საბუთში ვკითხულობთ: „მოწყალეო ბატონო! ტფილისის სათავადაზნაური ქალთა სკოლის პედაგოგიური საბჭო, გიცხადებთ რა თავის პატივის ცემას, უმორჩილესად გთხოვთ, მოზრძანდეთ სალიტერატურო დილაზედ კვირას, მაისის 11-ს, დილის 11 ½ საათზედ ქართული გიმნაზიის შენობაში“. საინტერესო აღმოჩნდა პროგრამაც. პირველ ნაწილში იდგმებოდა ორმოქმედებიანი პიესა „ამერიკელნი“, ხოლო ღონისძიებების მეორე ნაწილი ეთმობოდა სიმღერებსა და ლექსებს. აკაკის შემოქმედებიდან ამორჩეული იყო ლექსი „ღამურა“, რომელსაც კითხულობდა მე-2 კლასის მოსწავლე ვაჩნაძე.

აკაკის, თუ ავადმყოფობა ხელს არ შეუშლიდა, ყველა ასეთ ღონისძიებას ესწრებოდა. გარდა იმისა, რომ პოეტს ძალიან უყვარდა მოსწავლე-ახალგაზრდობა, მას სხვა მიზანდასახულობაც ჰქონდა. ვინაიდან აკაკის შემოქმედების ყველაზე საინტერესო და ეროვნულ-პოლიტიკურად მწვავე ნაწილს ცენზურა ებრძოდა და კრძალავდა, ნებისმიერი თავყრილობა მისთვის მნიშვნელოვანი იყო, რადგან პოეტი ცდილობდა, ეს შეკრებები ტრიბუნად გამოეყენებინა და თავისი გამოსვლით ხალხში გაედვივებინა მინავლებული ეროვნული გრძნობები. აბა, როგორ ავხსნათ მისი დასწრება ყველა ღონისძიებაზე, როდესაც ჯანმრთელობა ხელს არ უწყობდა? ცხადია, მწერალი იქ დადიოდა საზოგადოების წინაშე საკუთარი აზრის გამოსათქმელად. ეს გამოსვლები ზოგი იბეჭდებოდა, ზოგი დღემდე გამოუქვეყნებელი დარჩა, ზოგიერთიც საერთოდ დაეკარგა შთამომავლობას, მაგალითად, 1884 წელს წარმოთქმული სიტყვა თეატრის შესახებ, რომელზეც გაზეთ „დროების“ რედაქცია იუწყებოდა: „უსიამოვნო არ იქნებაო, გვწერს ერთი ჩვენი მკითხველთაგანი, რომ სხვა სიტყვებთან ერთად დაგებეჭდათ „დროებაში“ აკაკის სიტყვაც, რომელიც ამ დღეებში გამართული ქართული წარმოდგენის შემდეგ ითქვაო. არც ჩვენთვის იქნებოდა ეს „უსიამოვნო“, მაგრამ „სხვადასხვა მიზეზები“ გვიშლიან“ (მაჩაბელი, 1884, გვ. 2). როგორც აღვნიშნეთ, გარდა საზოგადოებრივი ღონისძიებებისა, სადაც აკაკი ყოველთვის სასურველი სტუმარი იყო, მას სახელისუფლებო შეკრებებზეც იწვევდნენ. ამის დასტურად რამდენიმე დოკუმენტი აღმოჩნდა საარქივო მასალებში.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აკაკის ფონდში 35-ე ნომრით ინახება თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოსაწვევი ბარათი, რომელშიც აკაკის სთხოვენ დაესწროს იმპერატორის ჩამოსვლასთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო მიღებას. იქვე 36-ე ნომრით კი დაცულია თბილისის ქალაქისთავის მოსაწვევი ბარათი აკაკი წერეთლისადმი, დაესწროს ზეიმს „არტისტულ საზოგადოებაში“ იმავე ნომრით(?) (იმპერატორის ჩამოსვლის გამო):

„Его сіятельству Акакію Ростомовичу Князю

ЦЕРЕТЕЛИ

отъ Тифлисскаго Городскаго Головы“.

მოსაწვევი ბარათით აკაკის სთხოვენ შაბათს, 29 ნოემბერს, 4 საათზე დაესწროს ზეიმს. ის მიწვეულია აგრეთვე ჩაიხე (на „чашку чая“). თუ საზოგადოებრივ ღონისძიებებზე დასწრება შეიძლება თავისუფლად – მაგალითად, პიროვნებისთვის სასურველ ნებისმიერ ტანსაცმელში, სამთავრობო შეკრებებზე ყველაფერი განსაზღვრულია მოსაწვევში. ზემოაღნიშნულ შეკრებაზე ქალები უნდა ყოფილიყვნენ ფერად ტანსაცმელსა და შლაპებში, ხოლო „для мужчинъ обязательны фраки, мундиры или національные костюмы“.

სამწუხაროდ, არქივებში არსად შეგვხვდებოდა საბუთი, რომელიც დაადასტურებდა აკაკის დასწრებას ამგვარ ან ერთ, ან მეორე შეხვედრაზე.

ამ მრავალფეროვანი მასალებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საქართველოს ეროვნული არქივის „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ოქმებში დაცული ქვითრები ე. წ. „კვიტანციები“. ამ ოქმებიდან ირკვევა, რომ აკაკი თავის კუთვნილ პენსიას ხშირად წინასწარ ითხოვდა სამკურნალოდ. მაგალითად, აღნიშნულ არქივში ინახება ქვითრები №№ 415, 418 (გვ. 481, 1, საქმე 1241), №№ 116, 146, 172 (გვ. 441, 1, საქმე 1241) და ა. შ.

ისინი აკაკის მიერ ქშწკგ საზოგადოებისგან პენსიის ანგარიშზე მიღებული თანხების დამადასტურებელი საბუთებია. მაგ.: 1910 წლის 3 დეკემბერს ტფილისში წინასწარ მიიღო „შვიდმეტი თუმანი“, ანუ 170 მანეთი და სხვ. ეს საბუთები კიდევ ერთხელ წარმოაჩენს იმ სამწუხარო ფაქტს, რომ აკაკის, ამ დიდ შემოქმედს, საკუთარი ჯანმრთელობის მიხედვაც არ შეეძლო შემოქმედებითი შრომის ფასად. ეს ქვითრები რამდენიმე კუთხით არის საინტერესო: ჯერ ერთი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ოფიციალური სტანდარტული ფორმის საბუთებია, შევსებულია პოეტის ხელით და აქვს მგოსნის ხელმოწერა; მეორე, ქვითრები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მატერიალურ სიდუხჭირეს, რომელსაც აკაკი მთელი ცხოვრების განმავლობაში განიცდიდა და მესამე, ქშწკგ საზოგადოება ხშირად უმართავდა ხელს ქართველ მოღვაწეებს, რითაც ამართლებდა საკუთარ არსებობასა და დანიშნულებას.

აკაკის ბიოგრაფია კიდევ უფრო სიღრმისეულად რომ შევისწავლოთ, მარტო უბის წიგნაკები, „კვიტანციები“, პირადი საბუთები და მის სახელზე შედგენილი დოკუმენტები არ კმარა. საინტერესოა ის არაპირდაპირი მასალაც, რომელიც უშუალოდ აკაკის სახელს არ უკავშირდება, მაგრამ გვაფიქრებინებს, რომ ის სწორედ მგოსნისთვის შეიქმნა. ერთი ასეთი დოკუმენტი ინახება კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აკაკის ფონდში (№ 763), ის აკაკის დის ანას დაწერილი წამლის - „კუზმიჩის ბალახის“ - რეცეპტია. რეცეპტზე არ არის მითითებული, კერძოდ რომელი დაავადებისთვის არის განკუთვნილი, მაგრამ მე-19 საუკუნის ბოლოს ამ სახელწოდებით არსებული ბალახი - „Кузьмичевская Трава“ - საკმაოდ ცნობილი გახლდათ და ის რევმატიზმის, კუჭის მონელების ქრონიკული დაავადებისა და სასუნთქი გზების სამკურნალოდ გამოიყენებოდა.

რუსული წამლის რეცეპტის ისტორია ასეთია: რუსეთში სამარის გუბერნიის სოფ. ვილოვატოვის მკვიდრი, გაუნათლებელი ექიმბაში გლეხის, ფიოდორ კუზმას ძე მუხოვნიკოვის, მიერ გამოყენებული ხალხური წამალი ე. წ. „კუზმიჩის ბალახი“ მე-19 საუკუნის 70-80-იან წლებში გახდა ცნობილი და პოპულარული არა მარტო რუსეთში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ეს წამალი იმდენად ეფექტური აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთმა მადლიერმა ინგლისელმა ფიოდორს ყოველთვიური პენსია - 300 მანეთი - დაუნიშნა, რადგან თვითონ ექიმბაში პაციენტებისგან ფულს არ იღებდა (მაკაროვი, 1890, <http://kraeved.opk.org>). 90-იან წლებში რუსეთის პრესის ფურცლებზე წამლის რეკლამები გამოქვეყნდა, მაგ.: „Рекламная листовка «Эфедра трава Кузьмича». (Оренбург, 1896. Оттиснуто из №99 «Тургайская Газета», 20 ноября 1896 года“ (<https://ru.bidspirit.com>). უდავოა, რომ ამ ინფორმაციამ საქართველომდეც მოაღწია. თვით მცენარე *Efedra vulgakis*, რომლისგანაც წამალი „კუზმიჩის ბალახი“ მზადდებოდა, საქართველოში „ჯორის ძუაღ“ წოდებული კენკროვანი ბუჩქია და სამაჩაბლოში, ქართლში, კახეთში, მთიულეთსა და მესხეთში ხარობს (<http://agrokvkaz.ge>).

ცნობილია, რომ აკაკი წერეთლის უფროსი და ანა საჩხერის მხარეში შინაურული ექიმბაშობით იყო განთქმული (ქოლოშვილი, 1915, გვ. 4; ელიაშვილი ივანე, „აკაკი“, ციტირებული გაფრინდაშვილთან და ქავთარაძესთან, 2015, გვ. 39). ანა წერეთელმა ეს ხელობა მემკვიდრეობით დედისგან მიიღო. ანა გაუთხოვარი იყო და აკაკის მიმართ დიდი მზრუნველობით გამოირჩეოდა. გამორიცხული არ არის, რომ ჩვენ მიერ ზემოაღნიშნული რეცეპტი სწორედ აკაკისთვის ყოფილიყო განკუთვნილი. პოეტი ხომ ახალგაზრდობიდანვე უჩიოდა ფილტვებს, გულსა და კუჭს. ჯერ კიდევ 1861 წელს პოეტს ფილტვების ქრონიკული კატარი, თანამედროვე სამედიცინო ენით, ფილტვების ანთეზა დაუდგინდა (არველაძე და ზარდიაშვილი, 2017, გვ. 111). წლების განმავლობაში მის პირად წერილებში ხშირად ვაწყდებით წუწუნს შერყეული ჯანმრთელობის შესახებ. ინფორმაცია გულის პრობლემების შესახებ ჩნდება 1891 წლიდან. მაისში ივანე მაჩაბლისადმი პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილში აკაკი იუწყება, რომ, ექიმების დასკვნით, „გადიდებული გულის“ გამო მგოსანს საზღვარგარეთ ესაჭიროებოდა მკურნალობა (წერეთელი, 1963, გვ. 135). იმავე წლის 22 სექტემბრის გაზეთი „ივერია“ (N 202, გვ. 2) იუწყებოდა აკაკის „ავადმყოფი გულის“ შესახებ.

1898 წლის აპრილში კი აკაკიმ ერთ თვეზე მეტი დაჰყო ქუთაისში ექიმ სამსონ თოფურას კლინიკაში გულის სამკურნალოდ. 1902 წლის ივნისში ისევ ჩნდება ცნობები აკაკის „გულის ავადმყოფობის“ შესახებ, რასაც გაზეთები „ივერია“ (N 116, გვ. 2) და „ცნობის ფურცელი“ (N 1828, გვ. 2) იუწყებოდნენ. გულის პრობლემებზე საუბარს არ ერიდებოდა აკაკი ბევრ პირად წერილში. ცნობილია, რომ აკაკის 1904 წლის 22 ოქტომბერს „სიდამბლე მოუვიდა“ (გაზ. „ივერია“, 1904, N 243, გვ. 1; N 245, გვ. 1; N 248, გვ. 1). სხვიტორის ა. წერეთლის სახლ-მუზეუმში ინახება ექიმ ფიბერის მიერ აკაკის სახელზე გამოწერილი 1904 წლის 28 ოქტომბრით დათარიღებული რეცეპტი (N 7081), რომელშიც ექიმი პოეტს ბენზონაფტოლს უნიშნავს. ეს პრეპარატი კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადების დროს გამოიყენება, რაც ნიშნავს, რომ გულის ქრონიკულ დაავადებას დაემატა კუჭის სერიოზული პრობლემაც. 1904 წელს ნიკო მაჩაბელს (ი. მაჩაბლის შვილი - ე.ზ., მ.ა) პოეტი სწერს: „ამ კვირაში მე ორჯერ შემომიტია კუჭის ტკივილმა“ (წერეთელი, 1963, გვ. 180). თედო კიკვიძისადმი განკუთვნილ დაუთარიღებელ წერილშიც მგოსანი ისევ „კუჭის ყოველდღიურ ტკივილებზე“ საუბრობს (წერეთელი, 1963, გვ. 263). ვფიქრობთ, წერილი უნდა დათარიღდეს ფართოდ - 1904 წლის შემდგომი პერიოდით. არსებობს ა. წერეთლის კიდევ 2 დაუთარიღებელი წერილი დავით ბაგრატიონისა და ელისაბედ თარხნიშვილისადმი. პირველ წერილში ვკითხულობთ: „ავადმყოფობამ დამრია ხელი და მიტომ ვერ ჩამოვედი შენთან და პირდაპირ წავედი ცემში ღამბაშიძესთან. სისხლისგან ვიწრიტები და ექიმები მირჩევენ ოპერაციას. უნდა თევზივით გამფატრონ და მეშინია“ (წერეთელი, 1963, გვ. 182); მეორეში კი წერია: „მძიმედ ავადმყოფი ვარ ცემში, ღამბაშიძესთან. თუ სისხლდენა ვერ შემიწყდა, უნდა გამფატრონ თევზივით“ (წერეთელი, 1963, გვ. 258). მიუხედავად იმისა, რომ ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე თავის მოგონებებში „ჩემი თავგადასავალი“ იხსენებს აკაკის ცემში ორჯერ სტუმრობას 1904 წელს - ივნისსა და აგვისტოში და 1910 წლის 15-23 აგვისტოს, იგი არსად ახსენებს მკურნალობის კურსს, რომელიც მგოსანს ცემში ჩაუტარდა (ღამბაშიძე, 2018, გვ. 159-172). ეს პაციენტთა ჯანმრთელობაზე გაუთქმელობის ექიმისეულ ეთიკას უნდა მივაწეროთ. ფაქტია, რომ ზემოთ მოტანილ პირად წერილებსაც შეგვიძლია, ფართო თარიღი - 1904-1914წწ. - მივანიჭოთ. აღსანიშნავი კი ის არის, რომ არც ერთ ბიოგრაფიულ ცნობაში არ ჩანს, რომ აკაკის კუჭის ოპერაცია გაუკეთდა. სავარაუდოდ, ექიმების დანიშნულებასთან ერთად ანას ხალხური მეთოდით „წამლობამაც“ გამოიღო შედეგი და მგოსანი ქირურგიულ დანას გადაარჩინა. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ მოვიპოვეთ „კუზმიჩის ბალახის“ რუსული რეცეპტი «Рецепт настойки Кузьмичёвой травы» (<http://tradicari.ru>), რომელიც უშუალოდ კუჭ-ნაწლავის ქრონიკული დაავადებებისთვის იყო განკუთვნილი და შევადარეთ ანა წერეთლის რეცეპტს. უმნიშვნელო განსხვავებების გარდა, რაც მხოლოდ ინგრედიენტების რაოდენობებში გამოიხატება, ანას რეცეპტს ემატება პიტნის წვეთები, რომელიც ცნობილია თავისი „ანტიმიკრობული თვისებებით და რეკომენდებულია კუჭისა და მსხვილი ნაწლავის მკურნალობის დროს“ (<http://thlifestyles.wordpress.com>).

ის ფაქტი, რომ „კუზმიჩის ბალახის“ შესახებ ცნობა რუსეთიდან საქართველოში XIX საუკუნის 90-იან წლებში შემოვიდოდა და მას სხვებთან ერთად ხალხურ მედიცინაში განსწავლული ანა წერეთელი გაეცნობოდა, გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ ანა თავის გამოცდილებასა და შემოქმედებით უნარს არ დაიშურებდა და უკვე არსებულ ექიმბაშურ წამლებს ახალი საჭირო დანამატებით გაამდიდრებდა. უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ დის რჩევას აკაკი გაითვალისწინებდა, თან მგოსანი მკურნალობდა მისი დროის ცნობილ ექიმებთან და ამ ყოველივემ განაპირობა ის, რომ გადაურჩა კუჭის ურთულეს ოპერაციას. (რამაც განაპირობა ის, რომ მგოსანი მედიცინაში თანამედროვე წამყვანი სპეციალისტებისა და აღნიშნული წამლობის დახმარებით გადაურჩა კუჭის ურთულეს ოპერაციას.

უბის წიგნაკები, ფულის მიღების დამადასტურებელი ქვითრები, ოჯახის წევრების რეცეპტები თუ სხვა მსგავსი დოკუმენტები და საქმიანი ქაღალდები არა მხოლოდ ემატება

კლასიკოსის თხზულებათა გამოცემას, როგორც ცალკე აღებული ტომი, არამედ ასეთი დოკუმენტები უფრო და უფრო ავსებს მწერლის შესახებ უკვე არსებულ ინფორმაციას, ამდიდრებს წარმოდგენას პოეტის პირად ცხოვრებაზე, ამდიდრებს (ავსებენ) კლასიკოსის ბიოგრაფიას საინტერესო დეტალებით და გვიხატავს მის ფსიქოტიკურ პორტრეტს ახლებურ განსხვავებულ ჭრილში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არველაძე, მ., ზარდიაშვილი, ე. (2017). *აკაკი წერეთლის უცნობი დოკუმენტები და საქმიანი ქაღალდები*. ჟურნალი: ლიტერატურული ძიებანი. XXXVIII. თბილისი.
2. გაფრინდაშვილი, ქ., ქავთარაძე, ე. (2015). *უკვდავი მეგობრობა*. თბილისი. თსუ.
3. მაჩაბელი, ი. (1884). *განცხადებები*. გაზეთი: დროება. № 264. თბილისი.
4. მესხი, დ. (1940). *მოგონებანი*. თბილისი. ფედერაცია.
5. ღამბაშიძე, ვ. (2018). *ჩემი თავგადასავალი*. თბილისი. საქართველოს ეროვნული არქივი.
6. წერეთელი, ა. (1963). *თხზულებათა სრული კრებული*. ტ. XV. თბილისი. საბჭოთა საქართველო.
7. ჭოლოშვილი, ს. (1915). *აკაკის უკანასკნელი ავადმყოფობა*. გაზეთი: თემი. № 211. თბილისი.
8. Макаров, Н. *Целители или шарлатаны*. <http://kraeved.opk.org> (12. 12. 2019).
9. <http://agrokavkaz.ge> (12. 12. 2019).
10. <http://thlifestyles.wordpress.com> (12. 12. 2019).
11. <http://tradiciari.ru> (12. 12. 2019).
12. <https://ru.bidspirit.com> (12. 12. 2019).

Elisabeth Zardiashvili, Maia Arveladze,
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Some Hitherto Unknown Facts about Akaki Tsereteli's Creativity and Biography

Summary

During contemporary studies of Akaki Tsereteli's creative works and biography in the archives many new materials have been revealed. They include works of fiction and publicist writing, as well as business papers and documents. Their study evidences that besides writing Akaki was busy with numerous public affairs and really, had immersed himself in the struggle for national or ecclesiastic independence of his country.

The records of Akaki's pocketbooks represent an interesting material for studying the poet's life. Three pocketbooks have come down to us. Business records done in them (income and expense accounts, etc.) indicate the poet's hard life. Literary notes in a notebook clearly show the writer's serious attitude to the creation of works.

Of no less interest appeared the receipts, which reflect the chronological history of the allowance given to Akaki by the Society for Spreading Literacy among Georgians.

In addition to literary and publicist research into the classic's creativity and biography, of great importance are the documents and business papers which render the writer's creative mood, his aspirations and even his psychological and health status. One of the documents reflecting the latter is a prescription of folk remedy written by the poet's sister, with which we can get some additional information on the state of the poet's health.

Newly discovered materials in archives and various repositories enrich Akaki Tsereteli's creativity and biography with many interesting details.

ციცინო მუშლაძე, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

მოგონებები აკაკიზე (აკაკი წერეთლის გამოუცემელი კრებულიდან)

2012 წელს ქუთაისის მუზეუმს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ქალბატონმა ნინო ჯაფარიძემ გადასცა თავისი ბაბუის - ცნობილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის - ტრიფონ ჯაფარიძის პირადი არქივი.

უდავოდ, საინტერესო ფაქტია, რომ ტრიფონ ჯაფარიძის არქივში წარმოდგენილია გამოსაცემად გამზადებული წიგნი, ხელნაწერი, რომლის სატიტულო გვერდზე წერია „აკაკი წერეთელი“ (გამოუქვეყნებელი ლექსები, პოემები, სურათები, პირადი წერილები და მოგონებები. ვ. კაკაბაძის, მ. დუდუჩავას, ტრ. ჯაფარიძის რედაქციითა და შენიშვნებით, 1937 წელი /ქიმ E-274/). წიგნში უნდა შესულიყო აკაკი წერეთლის უცნობი მასალები, რომელთა დაბეჭდვაც, როგორც ტრიფონ ჯაფარიძე წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „მეტად ძნელი იყო... ჩვენში მთელი საუკუნე არსებობდა სასტიკი ცენზურა და ამიტომ ჩვენი მწერლების ნაწერები ან სულ არ იბეჭდებოდა, ან იბეჭდებოდა, მაგრამ დროისა და გარემოების მიხედვით ათასნაირად შეკვეცილი და შესწორებული, ამიტომაც ჩვენ საშუალება არ გვქონდა მწერლის შემოქმედება ნამდვილი (სრული) სახითა და შინაარსით დაგვენახა; ...მის ნაწერებს ყველგან ვეძებდით, სადაც კი მას მსვლელობა ჰქონდა და ვისთანაც კი მიწერ-მოწერაში იყო. ... ჩვენ მოვაროვეთ და გავეცანით ისეთ მასალებს და საარქივო ნაშთებს, რომელთაც ქართული ლიტერატურის მიმომხილველი ჯერ ან სულ არ გაცნობია, ან კერძო, კონკრეტული საკითხით დაინტერესებულს ზერელედ გადაუხედავს. ჩვენ სურვილი გვაქვს მკითხველთ გააცნოთ ჩვენი მუშაობის შედეგი და გამოვაქვეყნოთ“ /ქიმ E- 274/.

1937 წელს „ხალხის მტრად“ შერაცხული ტრიფონ ჯაფარიძე დააპატიმრეს და მან ეს სურვილი ვერ აიხდინა. დასაბეჭდად გამზადებული წიგნი კი მის პირად არქივში დარჩა და დღემდე მკვლევრის ხელი არ შეხებია. უდავოა, რომ წიგნს /ხელნაწერს/ დიდი მნიშვნელობა აქვს აკაკის ნაწარმოებთა გამოცემის ისტორიის შესასწავლად და სრულიად ახალი მასალაა აკაკის შემოქმედების გამოცემის საკითხით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

ცნობილია, რომ აკაკი წერეთლის თხზულებები პირველად სრულად გამოიცა ოთხ ტომად 1925-1928 წლებში სერგი გორგაძისა და ალექსანდრე აბაშელის რედაქტორობით. იმ პერიოდიდან 1940 წლამდე, აკაკის საიუბილეო გამოცემამდე, მისი თხზულებები აღარ გამოცემულა. ამდენად ტრიფონ ჯაფარიძის არქივში დაცულ წიგნს იმ ნაწარმოებებითა და აკაკის პირადი წერილებით, რომლებიც ვერ მოხვდა, ან შეკვეცილი სახით დაიბეჭდა 1925-1928 წლების გამოცემაში, ცენზურის ან გამომცემელთა მოსაზრებების გამო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ ხარვეზის შესავსებად.

წიგნის გამოცემა რომ ვერ მოხერხდა, ეს უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს 1937 წელს ტრიფონ ჯაფარიძის დაპატიმრების ფაქტს. „ხალხის მტრის“ რედაქტორობით მომზადებული წიგნის გამოცემას, ბუნებრივია, ვერავინ იტვირთავდა. წიგნში ძირითადად შეტანილია მასალები ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული კ. ლორთქიფანიძის ლიტერატურული არქივიდან, ქართული პერიოდული გამოცემებიდან და საქართველოს ცენტრალური არქივისა და მუზეუმების საცავებიდან.

აღსანიშნავია, რომ წიგნში არა მარტო აკაკის შემოქმედების ნიმუშები და პირადი წერილებია, რომლებიც ცენზურის გამო ვერ მოხვდა ზემოაღნიშნულ გამოცემაში, არამედ თვით ტრიფონ ჯაფარიძის მოგონებები აკაკიზე.

შეიძლება ითქვას, რომ ქართველი მკითხველი განებივრებულია აკაკის თანამედროვეთაგან მისი ცხოვრებისა თუ მოღვაწეობის ამა თუ იმ პერიოდის ამსახველი მოგონებებით და ამდენად ტრიფონ ჯაფარიძის მოგონებებში ბევრი რამ მათთვის შესაძლოა უკვე ნაცნობი იყოს, თუმცა მასში ისეთ ნიუანსებსაც წააწყდება, რომელთა შესახებ დღემდე არაფერი სმენია.

„მოგონებები აკაკიზე“ გამოსაცემი წიგნის სარჩევში მეხუთე პუნქტად არის მითითებული. იგი ტრიფონ ჯაფარიძის ავტოგრაფია. მოგონებები მცირე ზომის ნოველის ტიპის ამზავთა ერთობლიობაა, იმ ამბების, რომელთა თანამონაწილე თვით ტრიფონ ჯაფარიძე ყოფილა, ან სხვებისგან გაუგონია და მის მეხსიერებას შემოუნახავს. თხრობის სტილი საკმაოდ სხარტი და გამართულია; ავტორი ახერხებს თითოეული მონათხრობი ისე მიიტანოს მკითხველთან, რომ მას მისი ბოლომდე წაკითხვის სურვილი არ გაუნელდეს. მოგონებებში წარმოდგენილი ამბები ავსებს ჩვენს წარმოდგენას აკაკიზე და უფრო მეტიც, მისი ხასიათის ზოგიერთ შტრიხს ჩვენ პირველად ვეცნობით. ქვემოთ წარმოვადგენთ ტრიფონ ჯაფარიძის ავტოგრაფის - „მოგონებები აკაკიზე“ - სრულ ტექსტს.

მოგონებები აკაკიზე

ჩვენი ახალი ლიტერატურის დედაბოძი, ხელოვნების უდიდესი ქურუმი და ლირიკის გიგანტი აკაკი თავისი ბუმბერაზი სახით ღრმად აღბეჭდილია ქართველი ერის შეგნებაში. მის შემოქმედებას ჩვენი ერის გათვითცნობიერებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. აკაკის

პიროვნება სავსებით განსახებულია მის შემოქმედებაში. რაც უფრო ღრმად შევისწავლით აკაკის პიროვნებას, მით უფრო ნათლად ავითვისებთ მის შემოქმედებას. აკაკი მეტად ორიგინალური პიროვნება იყო. მისი დახასიათება მეტად ძნელია, რადგან მისი სახე მრავალფეროვანია. ზოგიერთი მისი თვისება ცხადი და აშკარაა, მაგრამ ზოგიერთი ისე მიმაღულია მისი ბუნების სიღრმეში, რომ დაკვირვების ობიექტად ვერ გადააქცევთ. აკაკი ხან ზეცისაა, ხან მიწის, ხან არც ისაა, არც ისა. – და აი, სწორედ ამ მრავალფეროვნებაშია მისი პიროვნების საიდუმლოება. ამიტომ რაც მეტი მასალა გვექნება მის შესასწავლად, მით უკეთესია. მე ჩემ მოგონებას გავუზიარებ მკითხველს და სხვის მოგონებასაც სიამოვნებით გავიზიარებ.

* * *

აკაკი დამოუკიდებელი აზროვნების ადამიანი იყო, ის არ ემორჩილებოდა სხვის გავლენას და ანგარიშს არ უწევდა საზოგადოების შეხედულებას, თუ კი ეს მას არ აკმაყოფილებდა. აკაკის არ ეპიტნაებოდა „დიდი“ კაცები, „ბობოლები“, ქონებით იყო ეს, ჩამომავლობით თუ სამსახურით. პირიქით, ასეთ პირებს აკაკი მოურიდებლად ეცინოდა, ამხილებდა და კიცხავდა. აი რამდენიმე მაგალითი. ქუთაისში ცხოვრობდა პრინცი ოლდენბურგსკი, რომელსაც მეფის ადგილი ეკავა და უხვი პურმარლით და ათასნაირი პროტექციებით საზოგადოება მოხიბლული ჰყავდა. პრინცს ტარიელ დადიანის ცოლი მოეწონა და ისე მოაწყო საქმე, რომ ის ცოლად შეირთო. ეს ძლიერ ულამაზო საქმე იყო და იმ დროში თითქმის შეუძლებელი, მაგრამ ძალა აღმართს ხნავსო, ნათქვამია და პრინცმა კანონიც გადალახა, ეთიკაც გააქარწყლა და თავისი ჟინი გაიტანა. გაბრიელ ეპისკოპოსმა არ მისცა ჯვარისწერის ნება, მაგრამ ნებაც სინოდისგან მიიღო და ქუთაისში გადმოსახლებული რუსის კერძო ეკლესიაში დაიწერა ჯვარი. საზოგადოება სიხარულით შეხვდა ამ ფაქტს, მაგრამ აკაკიმ კი აშკარად დაგმო პრინცის უმსგავსო მოქმედება და გაკიცხვის ლექსი გამოსთქვა:

აგრაფინა კვისკვისაო,
დადიანმა პრინცს მიგცაო...

.....

ბოლო ლექსის ასეთი იყო:
ბერი დარჩა გაბუტული,
პრინცი გახარებულიო.
ეს ბერი გაბრიელი იყო.

* * *

ერთხელ ნესტორ წერეთელს თავადაზნაურობის მარშლად ირჩევდენ. საზოგადოების აზრი უნდოდათ გაეგოთ და წინასწარი კრება მოაწყვეს, რომელსაც აკაკიც დაესწრო. კრებაზე აკაკი ჩუმად იყო და არაფერს ამბობდა. ნესტორის უახლოესმა პირმა აკაკის სთხოვა, თქვენს სიტყვას საზოგადოებაში გავლენა აქვსო, სთქვით რამეო. აკაკიმ სთქვა:

არ ვარგა, არ გამოდგება
ანწლის ძირი სტვირათაო,
დამიჯერეთ, არ ივარგებს,
არც ნესტორი მარშლადაო.

* * *

1914 წელს, დეკემბერში, აკაკი ჩამოვიდა ქუთაისში და ვკითხეთ, მეფე ნიკოლოზ მეორემ თუ ისურვა თქვენი ნახვა თბილისში ყოფნის დროს, რატომ არ ნახეთ-თქო. აკაკიმ გაკვირვებით შემოგვხედა და გვიპასუხა – რისთვის უნდა მენახა, მამას არ ვყვარებივარ მისას და ბაბუას და იმას შევუყვარდიო, რომ მენახა, რა უნდა მეთქვას? მართალს თუ ვეტყვოდი, გაჯავრდებოდა, სასიამოვნოს თუ ვეტყვოდი, სიცრუე იქნებოდაო. დიდი პირები თავიდან მძულდნენ და ახლა გაგონებაც კი მეზარებაო, ეგენი ერთი ხის ნაყოფია ყველაო, ენით გვეფერებიან და საქმით – სულით გვწამლავენო. 1888-ში მამა მაგისი საქართველოში რომ მოდიოდა, მე 3 თვით წინ გამგზავნეს აქედან და სანამ ის არ გაბრუნდა, სამშობლოში არ შემომიშვესო. ბოლოს საყვედურიც გვითხრა, არც მეგონა, თუ მაგას მკითხავდითო...

* * *

აკაკი თვითმპყრობელობის დაუძინებელი მტერი იყო. მეფის მთავრობა და მისი ჩინოვნიკები მას ძლიერ სძულდა. ეს მე ბავშვობაშივე მესმოდა ოჯახში და შემდეგ ჩემი თვალთ ვხედავდი. მთავრობის რეჟიმი აკაკის სულს უხუთავდა, ამიტომაც აკაკი მას ებრძოდა, მისი ბრძოლის იარაღი მახვილი ენა იყო, რომელიც, მისივე სიტყვებით რომ ვსთქვათ, „ხმალზე უფრო ძლიერად სჭრიდა“. აკაკის პატრიოტული ლექსები ახალგაზრდობის გულში რევოლუციონური სულისკვეთების ჩანასახს აჩენდა. სემინარიაში რომ ვსწავლობდით, აკაკის ლექსი:

დღეს მერცხალი შემოფრინდა,
ჭიკჭიკითა შემომძახა:
გაზაფხული, გაზაფხული
გულს იმედი ჩამესახა...

რევოლუციონურ მრწამსათ გვქონდა გამოყენებული და უფროსი მოწაფეები უმცროსებს უთითებდნენ, რომ ეს 1881 წლის 2 მარტს არის დაწერილიო...

1893 წლის აპრილში განჯიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი გადმოასვენეს. ნეშტის შესახვედრად ქართული საზოგადოება სათანადოდ მოემზადა. სემინარიის მოსწავლეთა მთელმა შემადგენლობამ დემონსტრაციულად მივატოვეთ სასწავლებელი და წავედით სადგურზე, გამოგვყვენ რუსი ამხანაგებიც. ეს ფაქტი ძლიერ მოგვიწონა აკაკიმ...

იმავე წლის დეკემბერში მიხ. ცხაკაიას ხელმძღვანელობით სემინარიაში მოხდა ამბოხება, რომელმაც 87 მოსწავლე იმსხვერპლა, ამასთან დაკავშირებით მთავრობამ ილ. ჭავჭავაძეს შეუჩერა გაზეთი „ივერია“, იაკობ გოგებაშვილი პასუხისგებაში მისცა და მეტი შეწუხება აკაკის მიაყენეს, თუმცა გადარჩა. იმ რიცხვებში აკაკი ხარკოვში იყო და მართლაც ია ეკალაძის (მაშინ დაითხოვეს) წიგნაკი: „რას იცინი?“, სადაც „თხათ“ აშკარად ეგზარხოსი ვლადიმერი იყო გამოყვანილი, აკაკის ზეგავლენით იყო დაწერილი.

* * *

როცა შემთხვევა ეძლეოდა, აკაკი მთავრობის პირებს თავის შეხედულებას აშკარად ეუბნებოდა. 1912 წელს ქუთაისში ქალაქის საავადმყოფო ზეიმით გავხსენით. აკაკი გუბერნატორის ახლო იჯდა; როცა აკაკიმ სიტყვა წარმოსთქვა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღეს დაჩაგრული საქართველო თავის ბრწყინვალე სახეს კიდევ გამოაჩენსო... გუბერნატორს ეწყინა ეს სიტყვები და მალე ზეიმი მიატოვა. ჩვენ გვეგონა აკაკი უხერხულად იგრძნობს თავსთქო და მდგომარეობის შემსუბუქება მოვიწყობით. აკაკი მიხვდა და გვითხრა: „მე რასაც ვგრძნობ, იმას ვამბობ, მისი სასიამოვნო რამე რომ მეთქვას, ის ჩემი არ იქნებოდაო“.

* * *

აკაკიმ მეტად ორიგინალური ხუმრობა იცოდა. მისი მოსწრებული სიტყვები და ნაკვესები, მიუხედავად იმისა სად, როდის და ვისი მისამართით იყო ნათქვამი, ყოველთვის სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა – და აი სწორედ ამითი აიხსნებოდა ის გარემოება, რომ აკაკის ხუმრობა, ზოგჯერ მწარე და გესლიანი, არავის არ სწყენდა. ქუთაისში გრიგოლ რობაქიძე ლექციებს კითხულობდა. სხვათა შორის, წაიკითხა ლექცია აკაკის შემოქმედებაზე. ლექციას აკაკიც დაესწრო, ლექციის თემა იყო: „შეუცნობელი შემოქმედება“. ლექტორი ამტკიცებდა, რომ პოეტი უმაღლესი შემოქმედების პროცესში ისეთ მომენტს განიცდის, რომ არც იცის, რას ქმნისო. ამ სიტყვებმა მითქმა-მოთქმა გამოიწვია. აკაკის ვკითხეთ, თქვენ თვითონ გვითხარით, მართალია, ლექტორის აზრი თუ არათქო. აკაკიმ ჩვეულებრივ გვერდზე გაიხედა და გვიპასუხა, – „მე რასაც ვქმნიდი, კიდეც ვიცოდი და ლექტორი ალბათ თავისთავზე ლაპარაკობსო“.

ერთ ლიტერატურულ სადამოზე, რომელსაც აკაკი დაესწრო, ახალგაზრდა მწერლებმა ლექსები წაიკითხეს. სხვათა შორის, კარგათ წაიკითხა ლექსიძემ. აკაკის ჰკითხეს, როგორ მოგეწონათ ეს ლექსიო, – „ვუგდე ყური და ბოლოს ჯიბეზე მოვიკიდე ხელი, შემეშინდა იქედანაც არაფერი წაიღოს, რადგან ყველაფერი ჩემი წაუღიაო“.

* * *

ქუთაისის საავადმყოფოს გახსნაზე მე, როგორც საისტორიო, საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარემ, სიტყვა წარმოვთქვი და სხვათა შორის, საავადმყოფოს აყვავება ვუსურვე. აკაკიმ სთქვა, ძალიან სცდება ორატორი, რომ საავადმყოფოს აყვავებას ნატრობს, პირიქით, საავადმყოფო უნდა ჩაქრეს და დაცარიელდეს, რომ მუშტარს ვერ ეღირსოსო. ამ სიტყვებმა საერთო სიცილი გამოიწვია და სხვათა შორის, ექიმებიც იცინოდნენ. აკაკიმ იმათაც გადაკრა და სთქვა: „მესმის სხვების სიცილი, მაგრამ ექიმების სიცილი კი სიმწრის სიცილია, მართლა რომ ავადმყოფობა მოისპოს, მაგათ რა ეშველებათო“. ამაზე კიდეც უფრო სიცილი შეიქნა და ეს უცებ გამგე ექიმს როდზევიჩს გადაუთარგმნეს. როდზევიჩმა ღიმილით უპასუხა, მართალია, ჩვენ ექიმებს გვინდა ბევრი ავადმყოფი მოვიდეს, მაგრამ ისიც გვინდა, ყველა იმ კარებიდან გაბრუნდეს, საიდანაც შემოდიან და არა იქედანო, მიუთითა ეზოში პატარა შენობაზე, რომელიც მკვდართა დასასვენებლად არის დანიშნული. აკაკის ეს პასუხი მოეწონა და სთქვა, – „ეტყობა პოლონელია, მაგათ კაცი სიტყვაში ვერ დაიჭერსო“. წამოსვლისას ეტლში რომ ჩაჯდა, კიდეც იხუმრა, „ღმერთმა მოგახმაროთ თქვენი საავადმყოფო, ისევ თქვენთვის იყოს და მე ნურც დამაჭირვოსო“.

* * *

ქუთაისის საადგილმამულო ბანკში არჩევნებზე კიტა აბაშიძემ ერთი საკითხის შესახებ, სადაც აკაკის პოზიცია მას არ მოსწონდა, აკაკის მიაძახა: „აკაკი! მე თქვენ მაგისტრის მიწასთან გაგასწორებთო“. „მე ზეცაში ვარ, მიწაზე არა ვარ და მიწასთან რანაირათ გამასწორებო“, უპასუხა აკაკიმ.

* * *

სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების არჩევის დროს შორაპნის მაზრაში აკაკის კანდიდატურა იყო წამოყენებული. არჩევნებზე აკაკი გააშავეს და ახალგაზრდა მასწავლებელი აირჩიეს. ამის გამო ქუთაისში აკაკის კითხეს: ვინ არის ნეტავ ის ახალგაზრდა, რომელიც

აირჩიესო. – არ ვიცი, მე ვიკითხე და მითხრეს, აკაკის ლექსებს კითხულობს საუცხოვოთო და მეტი რა ღირსება უნდაო... ასეა ახლანდელი სამართალი, წამკითხველს აწინაურებენ და დამწერს ივიწყებენო.

* * *

აკაკის მოხუცებულობაში გამყოლად და მომვლელად კოტე აბდუშელიშვილი მიუჩინეს. კოტე თავის მოვალეობას ასრულებდა, მაგრამ აკაკი სულ ეცინოდა პირშიდაც და ზურგს უკანაც. ერთხელ აკაკი გვემუსაიფებოდა მთავრიშვილის გამომცემლობის ახლოს; აკაკიმ დაინახა, რომ კოტე აბდუშელიშვილი მოდიოდა ჩვენსკენ და გვითხრა: „მოდის ჩემი მეფისტოფელიო“. ჩვენ სიცილი დავიწყეთ; კოტე მოვიდა, მიხვდა, აკაკი იტყოდა ჩემზე რამესო და ეჭვის თვალთ ცქერა დაუწყო. აკაკიმ უთხრა: „შეიწუხე თავი, ეტლი მოიყვანე და წავიდეთო“. კოტე ეტლზე წავიდა და აკაკიმ გვითხრა, „შეხედეთ თუ მართლა მეფისტოფელს არა ჰგავსო, გვარი თათრისა აქვს და სახე ლეკისო, რა ხეირი უნდა დამაყაროს მაგის მოვლამო“.

* * *

აკაკის არ უყვარდა „პროტექცია“, მაგრამ როცა ზოგიერთი ჭირვეული ნაცნობი არ მოეშვებოდა, იძულებული შეიქნებოდა თხოვნა შეესრულებია ხოლმე. ასეთ შემთხვევაში აკაკი ძლიერ ორიგინალურად იქცეოდა და რომ იტყვიან: „არც მწვადი დასწვა და არც შამფურიო“, ისე გამოდიოდა. აკაკი კი პროტექციას გაუწევდა შემაწუხებელ ნაცნობს, მაგრამ უხერხულ მდგომარეობაში არც იმას ჩააყენებდა, ვისთანაც სათხოვრად მივიდოდა. ერთხელ აკაკი ქართულ გიმნაზიაში მივიდა და დირექტორს ი. ოცხელს უთხრა: „უნდა შეგაწუხოთ, მაგრამ რა გაეწყო, მეც შემაწუხეს, თორემ არ მოვიდოდიო, ჩემი პირით გთხოვენ მოსწავლე N, რომელიც წინათ დაგითხოვიათ, ისევე უნდა მიიღოთო“. – რა ვქნათ, ბატონო აკაკი, ის მოსწავლე სწავლაში ზარმაცია და ყოფაქცევით უდიერო, უპასუხა ოცხელმა. „გლახა რომ არის, კიდევ მიტომ მაწუხებენ, თორემ კარგი რომ იყოს, რაღა სათხოვარი იქნებო“ - უპასუხა აკაკიმ და განაგრძო, მე არ მიყვარს ასეთი საქმე, მაგრამ ხომ იცით, იმერეთი ასეთია და გაჭირვებამო ... დაიწყო ხუმრობა. კარგი, ბ-ნო, მოვილაპარაკებთ საბჭოშიო, უთხრა ოცხელმა. „ჰო, მოილაპარაკეთ და თუ ძალიან ძნელია, ნურც შეიწუხებთ თავს, მე რადგან მოვედი, ჩემზე გული აღარ დაწყდებათ და სხვას რას დავეძებ, ის თვითონ წყეული კაცია, მისი შვილი სახეირო როგორ იქნება, მაგრამ ხომ იცით, ნათქვამია... „ავი კაცი აქე და ერიდეო“, და მეც ვერიდები, რაც გამეწყობაო.

აკაკის იუბილე რომ მოაწყვეს ქუთაისში, ზეიმის შემდეგ ქვრივ ქალს აკაკისთვის თხოვნა მიეცა, იშუამდგომლეთ, რომ ჩემი ქალიშვილი, რომელიც კერძო სასწავლებელში იყო, საეპარქიო ქალთა სასწავლებელში თქვენ სახელზე აღიზარდოსო. აკაკიმ მთხოვა ამ საქმის შესრულება და დაუმატა: – ქალიშვილი ჩუმი არსებაა, მაგრამ დედა კი ისეთი ენის ყოფილა, რომ თვითონაც მოსულიყო თქვენთან ისე მოგინადირებდა, რომ უარს არ გათქმევინებდაო და ამიტომ მეტი გზა არა მაქვს, საქმე უნდა მოაწყო... შემდეგ აკაკიმ გვითხრა: – ცუდი საქმეა პროტექცია, მაგრამ იმერეთში ძალიან ემარჯვებათო. იმერელი ყოველთვის ცდილობს შემთხვევით ისარგებლოსო, და ჩემი იუბილევ ზოგიერთმა გამოიყენაო, ასე იყო წინათაც და მოიყვანა მაგალითი. ალექსანდრე მეორე რომ მოდიოდა საქართველოში, ერთი აზნაური ჩამაცივდა, თხოვნა დამიწერე მეფესთანო. მე ვკითხე, რასა სთხოვთქო და მიპასუხა, რასაც მირჩევ, იმას ვსთხოვო. მე სიცილით ვუთხარი, სათხოვარი თუ არა გაქვს, ან შენ თავს რაზე იწუხებ ან იმას რად აწუხებთქო. აზნაური გაკვირდა და მიპასუხა: „შე კაცო, მეფე მოდის და

როგორ არაფერი ვსთხოვოთ, ვთხოვ, რა მენაღვლება, თუ არ მომცემს, ხომ არაფერს წამართმევსო“. მე ეს აზნაური უარით გამოვისტუმრე, რადგან ასეთ თხოვნებს მე არასოდეს არა ვსწერდი, მაგრამ იმან, როგორც გავიგე, თხოვნა სხვას დააწერია და ისიც ვიცით, რომ ბევრი ასეთი თხოვნა მისცეს მაშინ მეფესო.

* * *

აკაკის მეცნიერული მომზადება არ ჰქონდა, მაგრამ მსჯელობის დროს, ბუნებრივი ნიჭის საშუალებით, საფუძვლიანად აზროვნებდა ხოლმე და მოხერხებული სხარტი სიტყვებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ზოგიერთი ასეთი შემთხვევა პირდაპირ საისტორიოა. როცა „დროების“ თანამშრომლებს დიდი კამათი ჰქონდათ ქართული ანბანის ზოგიერთი ასოს ხმარების შესახებ, გიორგი წერეთელი აკაკის უმტკიცებდა ასო „ჰ“-ს ხმარება საჭირო არ არისო. აკაკიმ მეცნიერული საბუთებით ვერ დაუმტკიცა ამ ასოს ხმარების საჭიროება და გაჩუმდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თავის ქანჩალით ჩაილაპარაკა: „გავიგე, რომ გიორგის ჭკუა ქონიაო“. ფილოლოგებთან კამათში აკაკი არ იყო ძლიერი, მაგრამ ფილოლოგიის მერყეობას და არა მტკიცე ნიადაგს ხშირად აღნიშნავდა ხოლმე და ამ ნიადაგზე იხუმრა, რომ ფრინველი ძალაღური რომ გაიძახის და ჰგონიან „შვილო გოგია, შვილო გოგია“-ო, ეს ტყუილია, მოლაღური იძახის „ფილოლოღია, ფილოლოღია-ო“, და ამით საბრალო ფილოლოგებსა სწუხსო.

აკაკი დიდი ყურადღებით ეპყრობოდა ხალხურ შემოქმედებას: ანდაზებს, არაკებს, ზეპირგადმოცემებს და ხშირად მისი ახსნა-განმარტება ზოგიერთ მოვლენას ნათლად არკვევდა. საგულისხმოა აკაკის ცნობები ზოგიერთი ქართული გვარების წარმოშობის შესახებ. მაგ. წერეთლები სოფ. წარეთიდან გადმოსახლებული წინაპარის ჩამომავლობის არიანო. აბაშიძის გვარის შესახებ ამბობდა: ოსეთში შვილს მოეკლა მამა აბაჟა. მკვლელი და უმცროსი ძმა, უფროსი ძმებისაგან დევნილნი, შიშით გამოქცეულიყვნენ და სოფ. ჭალაში (საჩხერის მახლობლად) დასახლებულიყვნენ. ეს აბაჟისძეები – ბოლოს აბაშიძეებათ იწოდებოდნენ. აგიაშვილი – აგიას შვილიო; მამაცაშვილი – მამაცას შვილიო, დადიშკელიანი – დადამ გელიანიო და სხვა.

* * *

პუბლიცისტიკაში აკაკი ძალიან მოისუსტებდა. ამ დარგში მას მომზადება არ ჰქონდა, მაგრამ აქაც ბუნებრივი ნიჭის საშუალებით ზოგიერთ საკითხს კარგად არკვევდა. აკაკის აზრი ხალხური შემოქმედების მნიშვნელობაზე, ქალთა განათლების შესახებ, ეროვნული აღზრდის საფუძვლებზე და სხვა საკითხებით საღი და ჭეშმარიტი იყო. ზოგიერთ საკითხებში კი აკაკი აშკარად სცდებოდა და რაც უფრო სამწუხარო იყო, სამართლიან შენიშვნებსაც არ ღებულობდა, პირიქით კიდევ სწყინდა. ასეთი იყო აკაკის პოზიცია ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებში. მაგალითად, საადგილმამულო ბანკის მუშაობა ჩვენში მას დიდმნიშვნელოვან საქმედ არ მიაჩნდა. ბანკის გარშემო მუშაობას დასავლეთ საქართველოში აკაკიმ „ბანკობია“ უწოდა და ათეული წლებით ეს მოძრაობა მას კინკლაობათ გამოჰქონდა. როცა ბანკის საკითხების გარშემო ტფილისში ილია ჭავჭავაძესა და ოპოზიციის მეთაურის ივ. მაჩაბელს შორის შინაარსიანი ბრძოლა სწარმოებდა ქართული თეატრის დარბაზში, აკაკი ლოჟაში იჯდა დაახლოებულ პირებთან და დაინტერესებული მონაწილის შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა. მოღვაწეები კი არა, მოსწავლეებიც ვატყობდით, რომ მას ასეთი გარეშე მაყურებლის როლში ყოფნა არ შვენოდა. ქუთაისში ბანკის კრებაზე რამდენჯერმე უსაყვედურეს აკაკის ყალბი

პოზიციის დაჭერა და ზოგჯერ მოწინავე ინტელიგენტები გაკვირვებით შენიშნავდნენ, რომ ის სცდებოდა ბანკის ინტერესების დაცვაში, მაგრამ აკაკის ეს არ სჯეროდა და ჩვეულებრივი მახვილი ნაკვესებით პასუხობდა.

* * *

აკაკის ძლიერ უყვარდა კლუბი, ხშირად მთელ ღამეებს იქ ატარებდა და მეტად დაღლილიც ბრუნდებოდა ხოლმე. როცა აკაკის ურჩევდნენ, კლუბში სიარულს თავი დაანებო, აკაკის სწყინდა, თუმცა მრჩევლებს პირდაპირ პასუხს კი არ აძლევდა, დაიწყებდა ხუმრობას და პასუხიც ამაში იხატებოდა. 1904 წელს აკაკიმ დიდი ავადმყოფობა გაიარა და ამის შემდეგ ექიმებმა მას გადაჭრით აუკრძალეს კლუბში სიარული, მაგრამ იმან ყურადღება არ მიაქცია, უწინდებურად განაგრძობდა კლუბში სიარულს. აკაკი კლუბზე სულ სხვა შეხედულების იყო, ვინემ საზოგადოება და თავის კლუბისადმი მისწრაფებას ის ყოველთვის ამართლებდა; თუ შემთხვევა მიეცემოდა, კლუბის აუცილებლობასაც კი ამტკიცებდა.

1903 წლის გაზაფხულზე დავით ხელთუფლიშვილი ძლიერ ავით იყო. ექიმებს, თოფურიას მეთაურობით, გადაეწყვიტა 24 დღე ხმას ნუ ამოიღებსო. ეს ამბავი გვითხრეს ერთ ოჯახში, სადაც აკაკი სტუმრად იყო. აკაკიმ თავი გააქნია და სთქვა: „უცნაურები არიან ეს ექიმებიო, 24 დღე რომ კაცი არ დაალაპარაკო, შემდეგ ის თვითონ ვეღარ ამოიღებს ხმას და გინდ მკვდარი უწოდეთ, გინდ ცოცხალიო. მეც ასე მითხრეს ექიმებმა, თუ სიცოცხლე გინდა, კლუბში ფეხი არ შეადგაო, მე კი მგონია, იქ რომ დავდივარ, ცოცხალიც ვარ და თუ მოვკვდები, კლუბს ნურავინ დააბრალებსო“. მასპინძელმა უთხრა აკაკის – ნეტავ თქვენ კლუბში სულ არ დადიოდეთო, დაწყევლილია ეს კარტის თამაში, იმაში ფულის მოგებაც უბედურებაა და წაგებაცო. აკაკის ეწყინა ეს სიტყვები და უპასუხა: „ბევრი სცდება ჩემში, მაგრამ თქვენ არ უნდა სცდებოდეთო. მე კარტის თამაში ოჯახებშიც შემოდლია და კლუბში მაგისტვის არ დავიარებო. კლუბი ჩემთვის ნამდვილი ცხოვრების სურათია, იქ ყველაფერს ცხადად ვხედავ, ყოველი წრის კაცი იქ ტრიალობს და მათი სახეც სავსებით იქა სჩანს. კლუბის საშუალებით მე საუკეთესოდ ვეცნობი საზოგადოებასო“.

1912 წელს, „სამშობლოს“ რედაქციიდან კრების შემდეგ, გამოვდიოდით და კარებში სერგი ბახტაძის მსახური მოვიდა, უთხრა სერგის – ეს წუთია ეტლით აკაკი მოიყვანეს ავადმყოფი და მობრუნდიო. სერგიმ ექიმი ვასილ წერეთელი წამოიყვანა. ჩქარი ნაბიჯით წავედით. მივედით და აკაკიმ ღიმილით გვითხრა: „კლუბში ვიყავი, გულზე მომიარა, რაღაც შეეშინდათ და წამომიყვანესო“. ვასილმა მაჯის სინჯვა დაუწყო და სერგიმ გაფითრებული ხმით უთხრა: – ნუღარ შედგამ ფეხს იმ დასაქცევ შენობაშიო. აკაკიმ ჩაიცინა და უპასუხა: „სერგია, თევზი რომ წყლიდან ამოიყვანო და ხმელ მიწაზე დასვა, ის იქნება, მე რომ კლუბს მომაშოროთო“.

* * *

აკაკის ქალები უყვარდა, თუმცა ეს თვისება სხვა თვალსაჩინო მწერალსა და საზოგადო მოღვაწესაც ახასიათებდა, მაგრამ აკაკი აქაც განსხვავებული იყო. აკაკი თავის ნაკლს ყოველთვის მალავდა, მახვილი ენითა და მოქმედებით თავისი თავი ყოველთვის უცოდველად გამოჰყავდა და სხვას უკიჟინებდა იმას, რაშიც თვითონ უარესი იყო.

აი ერთი უცნაური შეკამათება ამის შესახებ:

ერთხელ მთავრიშვილის წიგნის გამომცემლობაში შესაფერ საგნებზე მსჯელობის დროს, სამსონ ყიფიანმა სთქვა, რომ ბევრი ჭკუიანი და განათლებული კაცი რჩება ცხოვრებაში

უცოლშვილოთო, დაასახელა ნიკო ლოღობერიძე, კირილე ლორთქიფანიძე და კიდევ აპირებდა, მაგრამ აკაკიმ აღარ აცალა და უთხრა: – ჰო! ვისაც შენსავით ქალები არ უყვარს, ყველა ჭკუიანი და განათლებული იქნებაო. სამსონმა უცებ მიაძახა: „ისეთმა ფურმა დამწიხლოს“... აკაკიმ არ აცალა და დაასწრო, „შენ ვერავინ დაგწიხლავს მაგ დარგში, დიდი დამსახურება გაქვსო“... სამსონმა მიაძახა: „ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო“. აკაკიმ არ აცალა და მიაძახა: „შენიც რომ სთქვა და სხვისიც, მაინც არაფერი გეშველება, ცოდვილი ხარ, გულიც ყველას მოუკალი და სულიცო...“ ამ შეკამათებამ დიდი სიცილი გამოიწვია, რომელიც მთავრიშვილმა ჩვეულებრივი სათნო კილოთი დაასრულა: „ფერი ფერს და მადლი ღმერთსო“...

* * *

სულ სხვანაირი იყო აკაკი პრაქტიკულ ცხოვრებაში. პრაქტიკული ცხოვრება აკაკიმ არ იცოდა და გადაჭრით უნდა ვსთქვათ, ეს მას არც აინტერესებდა. ამ შემთხვევაში აკაკი, მართლაც, „ცისა“ იყო და არა „მიწისა“. ყოფა-ცხოვრების საკითხები, ნივთიერი მდგომარეობა მას რაღაც სხვათა შორის მიაჩნდა. სერიოზულად ის ამაზე არ ფიქრობდა და ცხადია უნარიც არა ჰქონდა. მისი მოწოდება „აღმაფრენა“ იყო და არა ლუკმაპურზე „დაღმა ცქერა“. ის, როგორც უკვდავი, თავისი შემოქმედებით მშვიდრიც მადლარი იყო, ისე, როგორც სხვა მომავლადავი, მადლარიც მშვიდრია. აი მისი სიტყვებიც:

„ხან მაქვს ყველი და პური
ხან მშვიერი დავდივარ,
მაგრამ რაც უნდა იყოს,
მაინც ბედნიერი ვარ“.

აკაკის ოჯახი უყვარდა, მაგრამ შექმნა, მოწყობა და პატრონობა არ შეეძლო. აკაკის ერთი მუდმივი ბინაც არ ჰქონია. ის ყველგან სცხოვრობდა: სხვიტორში, ტფილისში, ქუთაისში, ხარკოვში და ერთხელ პარიზში დაბინავდა. აკაკის შემოქმედებამ ადგილი და გარემოება არ იცოდა. ის სადაც და როდისაც არ უნდა ყოფილიყო, მაინც მუშაობდა. აკაკიზე სამართლიანად ამბობდნენ: „დედალივით, სადაც დაჯდება, კვერცხს იქ დასდებსო“ და მართლაც მისი ლექსები სად და რა დროს არაა დაწერილი... ეს ყველაფერი ვიცით, მაგრამ სიტყვა გაგვიგრძელებდა.

* * *

ძლიერ ორიგინალური იყო აკაკი ფულის საკითხში. აკაკის ბევრი ამღევდა ფულს, სულერთია რა სახითაც იყო, მაგრამ მას ფული არასოდეს არ ჰქონდა. ფულის ხარჯვაში აკაკიმ ანგარიში არ იცოდა. სულ ხშირად აკაკი ხელცარიელი იყო და ეტლის ფულიც კი არ ჰქონდა.

ერთხელ კოტე აბდუშელიშვილმა უთხრა – აკაკი, გიცდიან გაღმა და რატომ არ გამობრძანდითო (ბეჟ. წერეთლისას ელოდნენ თურმე), – კაცო! ფეხით ვერ წამოვედი და ეტლის ფული არ მქონდაო. კოტემ უთხრა: „ფული ჭირივით გძულს და ჯიბეში როგორ გააჩერებო“. „მე კი არ მძულს, იმას ვძულვარ, არ ჩერდება ჩემთან და რა ვუყო“, სიცილით უპასუხა აკაკიმ.

ფულის სესხებაც უყვარდა აკაკის, თუმცა გასტუმრებაზე თავს არ იწუხებდა. მას მისთანა პირების ემართა, რომლებიც თვითონ არასოდეს არ სთხოვდნენ და ის კი არ მიუტანდა. მიმართვაც ორიგინალური იცოდა, ეტყოდა: „რა ვქნა ფული მჭირდებაო“, ან, „გაწუხებთ, მაგრამ ფული უნდა მათხოვოთ“.

ფულის სესხება ხშირად სიცილით თავდებოდა. აი ერთი მაგალითიც: ერთხელ გრიგოლ გველესიანთან კაბინეტში ვმუშაობდი. კაბინეტში გრიგოლის ვაჟი შემოვიდა და მამას უთხრა, აკაკი მოვიდა, ზალაშია და გამოდიო. გრიგოლი გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ კაბინეტში

შემოვიდნენ. აკაკი დიდხანს სასიამოვნოთ გვესაუბრა, შემდეგ წამოდგა და დაგვემშვიდობა. ჩვენ გამოვეყვით, კიბის თავზე გაგვაჩერა, ძირს ნუ ჩამოხვალთო და თვითონ კიბეზე რომ ჩადიოდა, გრიგოლს მიაძახა: „გრიგოლ! მამ მშვიდობითო“, „მშვიდობით, მშვიდობითო“, გრიგოლმა უპასუხა. აკაკიმ ჰკითხა: „მე მემშვიდობები თუ იმასაცო?“ გრიგოლს სიცილი აუტყდა, მე კი ვერაფერი გავიგე. აკაკი პასუხს უცდიდა. ბოლოს გრიგოლმა უპასუხა: „როგორც გნებავსო“. აკაკიმ უთხრა: „რაკი ორჯერ სთქვი მშვიდობითო, შენ ალბათ იმასაც გამოეთხოვეო“. კარგი ბატონოო, გრიგოლმა უპასუხა და სიცილით კაბინეტში შევიდა. მე ჩავაცივდი გრიგოლს, ეთქვა რა იყო. გრიგოლმა მითხრა: „ზალაში რომ გავედი, აკაკიმ 200 მანეთი მთხოვა სესხად, მივეცი და მერე შენთან გამოვედით ორივეო. ახლა რომ შემეკითხა: „იმასაც ემშვიდობები თუ არაო?“ ეს იმას ნიშნავდა, რომ „გაქვს იმედი მიღების თუ აღარ ელიო?“ მე პასუხი მიტომ გამიჭირდა, რომ თუ მეთქვას: „თქვენ გემშვიდობებით“, იფიქრებდა ფულის დაბრუნებას მთხოვსო, და თუ ვეტყვი „იმასაცო“, ის მეტყვოდა, ალბათ იმედი აღარა გაქვს ჩემგან ფულის მიღებისაო და ეს შეურაცხყოფა იქნებოდა. ახლა ხუმრობაში ისე მოეწყო, რომ ის ფული არ უნდა დააბრუნოსო“.

* * *

აკაკი თავისი მახვილი ენით და მცინარე სახით ყოველთვის მხიარულ შთაბეჭდილებას ახდენდა. მართლაც, აკაკი ოჯახში ტკბილი მოსაუბრე იყო – სტუმრობაში მუდამ გამამხიარულებელი და ნაზი ალერსით ბავშვების მიმზიდველი. საერთოდ აკაკი ყველას მხიარული ბუნების ადამიანი ეგონა. ეს დიდი შეცდომა იყო. მხიარულობა და ხალისი არ იყო აკაკის დამახასიათებელი თვისება. პირიქით, აკაკი მწუხარე ბუნების ადამიანი იყო. აკაკის სევდა ახასიათებდა. აკაკის შემოქმედება მთელი მისი ბუნების ამსახველია. აკაკის უკმაყოფილება, ნაღვლიანობა, ღრმა მწუხარება და ხან გლოვა-გოდება ნათლად სჩანს მის ნაწერებში. მთავარი კილო აკაკის შემოქმედებაში სევდა და მწუხარებაა და თუ ეს კილო პესიმიზმის ელფერს არ ატარებს, ეს იმიტომ, რომ აკაკი ბრწყინვალე იმედის განსახიერებაა. აკაკის ღრმად აწუხებს, რომ ნესტან-დარეჯანი ტყვეობაშია, ტარიელი და ფრიდონი არსადაა, მაგრამ რა გინდ მწარე და გულსაკლავი იყოს აწმყო, აკაკი მაინც ასე მღერის:

უნდა აყვავდეს იმედი,
გულს ვერ გამიტეხს ჭალარა,
გმირებს ეძებს და უყივის,
ჩემი დაფი და ნალარა.

* * *

აკაკი სწუხდა, რომ მასზე არ ჰქონდათ სწორი წარმოდგენა. აი, ერთი მაგალითი: ერთხელ აკაკი მოწყენილი კილოთი თავისი ამორჩეული სასაფლაოს შესახებ ლაპარაკობდა. მასპინძელმა უთხრა: „ბატონო აკაკი! მე ბედნიერი ვარ თქვენი სტუმრობით, მაგრამ მენანება, რომ თქვენ ასეთი მხიარული ადამიანი ბრძანდებით და ასეთ სამწუხარო საგანზე ლაპარაკობთ“. აკაკიმ უპასუხა: „მე ყველას მხიარული ვგონივარ და მწუხარებას ვერავინ მამჩნევს, თუმცა გული ღრმა მწუხარებით სავსე მაქვს, რადგან ჩემ კერძო მწუხარებას საერთო - საქვეყნოც ზედ ერთვისო“. ნაღვლიანი კილო ძალიან შეეფერებოდა აკაკის და ასეთი შინაარსის ლექსები, თვით მისგან წაკითხული, ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა... ერთხელ ქუთაისში, თეატრში, საღამო იყო. აკაკიმ წაიკითხა ლექსი – „სანამ ვიყავ ყმაწვილი...“ და ამით დამთავრებას აპირებდა. საზოგადოებამ თითქმის ერთხმად დაიძახა: „განთიადი“, „მთაწმინდა“

ჩაფიქრებულა“. „აკაკი მოგვიბრუნდა სცენაზე და გვითხრა: „აი, უნდათ რომ ამატირონო“. მართლაც, წაიკითხა აკაკიმ ეს ლექსი. ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომლის აღწერა ძნელია. ძვალსა და რბილში გაიარა მისმა კილომ. არ ვფიქრობ, რომ თეატრში ვისმეს თვალი მშრალი ჰქონოდა. მოხუცებულობაში მაინც, ამ ლექსის წაკითხვა, აკაკის მართლა ტირილი იყო. სასახელო წარსულს აკაკი გლოვობდა, მწარე აწმყოს დასტიროდა, მაგრამ ბრწყინვალე მომავალს, რევოლუციის სახით, აღტაცებით ელოდა: „აჩრდილიდა ვარ წარსულის და ლანდი მომავალისა“.

* * *

აკაკის მარტოობა უფრო შეფერის, ჯგუფში მოქმედება, წრეში მონაწილეობა არ იყო მისი მოწოდება. იგი ბევრს უყვარდა, მას ყველა დიდ პატივს სცემდა და აფასებდა, მაგრამ თვითონ აკაკის ცოტა ვინმე უყვარდა, გამონაკლის პირებს სცემდა პატივს და იშვიათად ვისმე აფასებდა. ძალიან დაახლოვებული აკაკი არავისთან არ იყო. ის უმეტეს ნაწილად განცალკევებული იყო. ასე იყო ოჯახში, სტუდენტობის დროის ამხანაგებში, რედაქციის თანამშრომლებთან და თანამოკალმეებთან. გრიგოლ დიასამიძე და სერგი ბახტაძე სხვებზე უფრო დაახლოვებულნი იყვნენ აკაკისთან და მოსალოდნელი იყო მათ უკეთ უნდა სცოდნოდათ მისი ინტიმური ცხოვრება და თუ თვითონ არ იყვნენ მისი მესაიდუმლე, ის მაინც უნდა სცოდნოდათ ვინ იყო, ან ყოფილა ასეთი აკაკისთვის, მაგრამ იმათივე სიტყვებით ვიცით, რომ აკაკი ძაან გულჩახვეული იყო და სავსებით გულგახსნილი ის არავისთან არ ყოფილა.

P.S. ნათქვამი მცირე ნაწილია მისი, რაც ვიცით და დაგროვილი გვაქვს აკაკის პიროვნებისა და მისი შემოქმედების შესახებ. ბევრი რამ ისეთიც გვაქვს, რასაც კერძო, ინტიმური ხასიათი აქვს და ალაგ პორნოგრაფიულიცაა, მაგრამ ყველაფერი გენიალური ნიჭის ბეჭედი. მისი ორი, ზემოთ მოხსენიებული უახლოესი ამხანაგების თხოვნით, რაც უკვე ანდერძად გადაიქცა, სრული მასალა საჭირო იქნება მისთვის, ვინც აკაკის სრული ბიოგრაფიისა და დახასიათების დაწერას დაივალეზს.

ტრიფონ ჯაფარიძე
[1937 წელი]

Tsitsino Mumladze Kutaisi State Historical Museum

Memories of Akaki Tsereteli (From an unpublished book by Akaki Tsereteli)

Summary

Kutaisi museum was presented by Mrs. Nino Jafaridze, MD, with personal archive of her granddad, notable Georgian scholar and public figure, Triphon Jafaridze. One of the materials secured in archive, “Memories of Triphon Japaridze about Akaki Tsereteli”, a public figure and poet of paramount importance in Georgian history. It could be said, that contemporary Georgian reader is used

to various memories about the life of this one of the most famous Georgian poets, but we assure our readers that though they might find some familiar motifs, there are enough unique details in Japaridze's memories that have not been published to this day and therefore remain unknown for most but the staunchest scholars and experts of Akaki's life. Additional value is that the memories were to be the part of Japaridze's own unpublished book, titled, much intriguingly, "Akaki Tsereteli – unpublished poems, pictures, personal correspondence and memories" (Edition and remarks by V. Kakabadze, M. Duduchava and T. Japaridze himself). The Memories is composed with stories witnessed by Japaridze himself or those he has heard of and found them trustworthy. The style of narrative is well-composed and compelling, the author manages to make the reader engaged in every short story on personal level. Many of these stories remained largely unknown for ordinary readers until now.

**ჯულიეტა გაბოძე,
თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის
სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი**

ვახტანგ ღამბაშიძის ალბომი

„ოქროს წიგნი“ უწოდებია ამ უნიკალური ხელნაწერი ალბომისთვის ვახტანგ ღამბაშიძეს, ცნობილ ქართველ ექიმს, საზოგადო მოღვაწეს, კურორტოლოგიის ფუძემდებელს საქართველოში, სანატორიუმ „პატარა ცემის“ დამაარსებელს, ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელს. სწორედ მან დააარსა საქართველოში პირველი საზაფხულო გამაჯანსაღებელი სანატორიუმები და მისი თაოსნობით შეიქმნა ეს ხელნაწერი წიგნიც. ტყავისყდიან 140-გვერდიან ალბომში თავმოყრილია ვახტანგ ღამბაშიძის დაარსებული სანატორიუმ „პატარა ცემის“ დამსვენებელთა შთაბეჭდილებები, რომლებიც 1904-1920 წლებში ჩაუწერიათ და ჩაუხატავთ სანატორიუმის სტუმრებს, ცნობილ ქართველ და უცხოელ მწერლებს, ექიმებს, საზოგადო მოღვაწეებს, მხატვრებს. ალბომი იხსნება აკაკი წერეთლის ლექსით „პატარა ცემი“ (და დაცულია სანატორიუმ „პატარა ცემის“ დამსვენებელთა, XX საუკუნის ქართველ და უცხოელ მოღვაწეთა ჩანაწერები.) შემდეგ კი სამშობლოდან იძულებით წასულ პატრონს ძვირფასი რელიკვიაც თან წაუღია და საფრანგეთში მყოფი ქართველი ემიგრანტებისა თუ უცხოელი მეგობრების ჩანაწერებით „გაუგრძელებია“ სამშობლოს მონატრება. ალბომში შემონახულია ემიგრაციაში მოღვაწე ცნობილი ქართველი პოეტების, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეების, (ქართველი ემიგრანტების,) ცნობილი ქართველოლოგების, უცხოელი ექიმებისა და ვახტანგ ღამბაშიძის ოჯახის წევრთა მიერ ქართულ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ, ოსმალურ, ესპანურ ენებზე 1924-1946 წლებში შესრულებული სხვადასხვა ტიპის ჩანაწერი: ლექსები, ესეები, შთაბეჭდილებები, მილოცვები ან მხოლოდ ხელმოწერები.

ალბომში დაცულია ქართველი პოეტების - აკაკი წერეთლის, გრიგოლ რობაქიძის, ალექსანდრე აბაშელის, ილია ნაკაშიძის, დუტუ მეგრელის, დონ-ვალთანის, იოსებ მჭედლიშვილის, სიმონიკა ბერეჟიანისა და სხვათა მიერ ჩაწერილი ლექსები და

შთაბეჭდილებები; ასევე - ქართველი ემიგრანტებისა და ცნობილი მეცნიერების, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეების - ექვთიმე თაყაიშვილის, ვიკტორ ნოზაძის, ალექსანდრე ხახანაშვილის, კიტა აბაშიძის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, ნოე ჟორდანიას, მიხაკო წერეთლის, ევგენი გეგეჭკორის, შალვა ამირეჯიბის, სპირიდონ ჭავჭავაძის, ელიზბარ ვაჩნაძის, სიმონ წერეთლის, გიორგი გვაზავას, რევაზ გაბაშვილის, გრიგოლ დიასამიძის, აკაკი ჩხენკელის, ილია ჯაბადარის, ალექსანდრა და იური ფალავების, ავთანდილ მერაბაშვილის, ცნობილი ლოტბარის დათა კავსაძისა და სხვათა - ავტოგრაფები; დამოუკიდებელ საქართველოში დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისრის, ქართველოლოგის ოლივერ უორდროპისა და ასევე ცნობილი ქართველოლოგის რობერტ სტივენსონის და სხვათა ხელმოწერები, კავკასიაში ფრანგული სანიტარიული მისიის მთავარი ექიმის ლუი დარტიგისა თუ ქართველი, ესპანელი, რუსი და აზერბაიჯანელი ექიმების ჩანაწერები.

ხელნაწერ ალბომს შემოუნახავს ცნობილი პოლონელი მხატვრის ზიგმუნდ (ზიგა) ვალიშევსკის აკვარელით შესრულებული დღემდე უცნობი ნამუშევარი - პატარა ცემის პეიზაჟი, რუსი მხატვრის ვ. პოიარკოვის მიერ ფანქრით დახატული ვახტანგ დამბაშიძის პორტრეტი, უცნობი მხატვრის აკვარელი (სავარაუდოდ, პატარა ცემი) და დაუდგენელი ქანდაკების ფოტო.

ვახტანგ დამბაშიძის მთელი არქივი, მათ შორის მის მიერ გადაღებული ისტორიული მნიშვნელობის ფოტოები, ოჯახმა საქართველოს ეროვნულ არქივს გადასცა, თუმცა ამ ალბომს ვერ შეელივნენ და რელიკვიად დაიტოვესო, - გვითხრა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა დესპანმა საფრანგეთის რესპუბლიკაში, ბატონმა გოჩა ჯავახიშვილმა. სწორედ მისი ხელშეწყობით მოხერხდა ამ უნიკალური ხელნაწერი წიგნის დაბრუნება. 2017 წლის გაზაფხულზე ვახტანგ დამბაშიძის შვილიშვილმა, ქალბატონმა ნათელა ნიკოლაძე-ვილკურმა საქართველოში ჩამოიტანა „ოქროს წიგნი“ და თსუ-ის საიუბილეოდ მისი გამოცემის ნებართვა მოგვცა, საბოლოოდ კი კეთილშობილური გადაწყვეტილება მიიღო და სამშობლოს გადასცა ეს საგანძური. იმავე წლის სექტემბერში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ალბომს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსი მიანიჭა. ქალბატონი ნათელას თანხმობით დამბაშიძის ალბომმა საბოლოოდ მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის მუზეუმში დაიდო ბინა.

სიმბოლურია და გასახარი, რომ პირველი ქართული უნივერსიტეტისა და საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაარსების 100 წლის იუბილეს მიემდგნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომზადებული ვახტანგ დამბაშიძის წიგნი-ალბომის ფოტოტიპური გამოცემა, რომელსაც თან ერთვის ჩანაწერების ბეჭდური ვარიანტები, მოხსენიებულ პირთა მოკლე ანოტირებული საძიებლები და კომენტარები, ასევე სამენოვანი ნარკვევი ვახტანგ დამბაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

სიმბოლურია, რადგან „პატარა ცემის“ შთაბეჭდილებების წიგნის ავტორთა ერთი ნაწილი საქართველოს პირველი რესპუბლიკის უშუალო შემოქმედია, ხოლო ვახტანგ დამბაშიძის ოჯახი, გარდა ამისა, დაკავშირებულია პირველ ქართულ უნივერსიტეტთან. სწორედ მან ურჩია რუსეთში მყოფ პეტრე მელიქიშვილს სამშობლოში დაბრუნება. ვახტანგის ქალიშვილი, მედეა დამბაშიძე, უნივერსიტეტის პირველი სტუდბილეთის მფლობელი იყო, ვახტანგის მეუღლე კი, წარმომობით ამერიკელი ვანდა ჰოპე, ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის ინგლისური ენის ლექტორად მიიწვია. თავად ვახტანგი ემიგრაციაში წასვლამდე უსასყიდლოდ კითხულობდა ლექციებს უნივერსიტეტის ჰიგიენის ფაკულტეტზე.

გასახარია, რადგან ეს ვახტანგ დამბაშიძის ოცნება იყო. იგი თავის მოგონებებში წერდა: „ეს ერთადერთი რამ არის, რაც დამრჩა ჩემი სანატორიუმიდან ... სანატორიუმის

დღიურში ბევრმა იქ მყოფმა მოათავსა ლექსები და შენიშვნები, რომელთა გამოქვეყნებას ადვილად მოახერხებდა ადამიანი, რომ ძალიან არ იყოს გამვირებული ქართული ბეჭდვითი საქმე საფრანგეთში. ეხლანდელ პირობებში ეს მხოლოდ ოცნებით წარმოსადგენია და მეტი არაფერი“.

საბედნიეროდ, ვახტანგ ღამბაშიძის საოცნებო წიგნი გამოიცა, მისი შვილიშვილის, ქალბატონ ნათელა ნიკოლაძე-ვილკურის, დახმარებით „ოქროს წიგნის“ ოდისეაც დასრულდა და თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ ეს უნიკალური ჩანაწერები, ჩანახატები და მათი ავტორები „დაუბრუნდნენ“ სამშობლოს. სამწუხაროდ, წიგნის გამოცემას ვერც ქალბატონი ნათელა მოესწრო, წიგნის სრული ამონაბეჭდი საავადმყოფოში მიუტანა გოჩა ჯავახიშვილმა მძიმე ავადმყოფს, შესავლისა და ნარკვევის წაკითხვაც მოასწრო და მადლიერების ჟესტითა და სიყვარულით გამოგვემშვიდობა. ალბათ როგორ ხარობენ ვახტანგ ღამბაშიძისა და ქალბატონი ნათელას სულები. „ხარობენ“ ამ ტყავის წიგნაკის „ბინადარნიც“. აქ წარმოდგენილ ქართველთაგან ცოტას თუ ღირსებია სამშობლოს მიწა. ჩვენთვის ზოგი უცხოელი მოღვაწის ბედიც უცნობია, რადგან შეუძლებელი გახდა მათი ხელმოწერის ამოკითხვა, შესაბამისად, მათი – იდენტიფიცირება. არადა, ვინ იცის, როგორი ძვირფასია ეს სახელები მათი ქვეყნისთვის.

ადამიანების მსგავსად ხელნაწერებსაც უჩვეულო ბედი დაჰყვება ხოლმე. ვინ იცის, საიდან სად მოგზაურობენ, რა ისტორიებს აგროვებენ, მერე კი ქართველებს გადარჩენილნი დგანან და ელიან თავიანთ დროს! დიახ, ალბომის უცნობი ხელნაწერებიც ისევ დგანან და ელიან ...

ვახტანგ ღამბაშიძე (1872-1951) – ცნობილი ქართველი ექიმი-პედიატრი, პუბლიცისტი, თბილისის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დაარსების მონაწილე და მისი ერთ-ერთი პირველი ლექტორთაგანი, პირველი ქართული სამედიცინო ჟურნალ „ქართული სამკურნალო ფურცლის“ (1908) რედაქტორ-გამომცემელი, კურორტოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში, კავკასიის საკურორტო ზონის გამგებელი, საქართველოს დელეგაციის წევრი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე (1919-1920), კონსტანტინოპოლში „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო საზოგადოებისა და ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტის, ასევე კონსტანტინოპოლში ქართული კოლონიის კომიტეტის წევრი (1923), ემიგრანტი 1922 წლიდან, პარიზში ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე სამჯერ (1928-1948), „საფრანგეთში ქართული ეროვნული კომიტეტის“ ხელმძღვანელი მეორე მსოფლიო ომის წლებში, ემიგრანტულ ჟურნალ „მერნის“ ერთ-ერთი გამომცემელი, საფრანგეთში „ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრის“ (1950) საპატიო წევრი, საფრანგეთში ქართველთა პლურალისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომლის თაოსნობითაც ყოველი წლის 26 მაისს იკრიბებოდა ქართული ემიგრაცია. ვახტანგ ღამბაშიძე იყო აკაკი წერეთლისა და საქართველოს ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, პირადი ექიმი, ცნობილი საზოგადო მოღვაწეების - ექვთიმე თაყაიშვილის, გრიგოლ რობაქიძის, მიხაკო წერეთლის, კიტა აბაშიძის, ივანე ჯავახიშვილისა და მრავალი გულანთებული ქართველის - მეგობარი...

ერთ პატარა ნარკვევში შეუძლებელია სრულყოფილად წარმოვაჩინოთ ვახტანგ ღამბაშიძის მრავალმხრივი მოღვაწეობის სრული სურათი, თუმცა მის შესახებ ყველაზე უკეთ გვამცნობენ მისი საქმენი და მოგონებანი, რომელნიც, იმავდროულად, საქართველოს ისტორიაცაა, პირუთვნელი მემკვიდრის მიერ მოთხრობილი (ვახტანგ ღამბაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვრცელი წერილები აქვთ გამოქვეყნებული პროფ. გურამ შარაძეს, ნინო ღამბაშიძესა და პაატა ნაცვლიშვილს. 2019 წელს წიგნად გამოიცა „ვახტანგ ღამბაშიძე - ჩემი თავგადასავალი“ სერია-მოგონებები, დღიურები, ჩანაწერები IV- საქართველოს ეროვნული არქივი, თბილისი, 2018).

„დიდ დეკანოზად“ წოდებული დავით ღამბაშიძის, პირველი სასულიერო-საგანმანათლებლო ჟურნალ „მწყემსის“ (1882-1912) რედაქტორ-დამაარსებლისა და ოლღა ჩოფიკაშვილის (ალექსანდრე ყაზბეგის ბიძაშვილის) შვილმა შესანიშნავი აღზრდა-განათლება მიიღო ქუთაისისა და თბილისის გიმნაზიებში, მოსკოვის სამედიცინო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ კი პარიზში სრულყო სამედიცინო განათლება. ვახტანგი პატარაობიდანვე იჩენდა განსაკუთრებულ სიყვარულს ყოველივე ეროვნულისადმი. კინაღამ გარიცხეს გიმნაზიიდან ანტირუსული განწყობისა და ეროვნულ-საყმაწვილო ხელნაწერი ჟურნალი „განთიადის“ გამოცემისთვის, თუმცა არც სტუდენტობაში შეუცვლია ორიენტაცია და მოსკოვის უნივერსიტეტში „ინტერნაციონალური წრის“ წევრებს შორის ქართული კულტურის აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა. იგი მშობლიურ ენაზე წიგნების კითხვას „ამალებდა“ ქართველ მეგობრებს და საკითხავითაც ამარაგებდა. „შენზე ამბობენ ყველას ქართულად ელაპარაკებაო“, – უთქვამს ვახტანგისთვის არჩილ ჯორჯაძეს, რომელსაც არცთუ ისე ეხერხებოდა ქართულად საუბარი.

ვახტანგ ღამბაშიძემ ჯერ კიდევ სტუდენტობამდე დაიწყო ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ლექსიკონის შედგენა, რისთვისაც ძველი ქართული ხელნაწერები და ნაბეჭდი წიგნები გამოიყენა იმ იშვიათ ხელნაწერთა ჩათვლით, რომელთა პირველი მკითხველიც თავად იყო პეტერბურგის წიგნთსაცავებში. 1892 წელს კი ჟურნალ „მწყემსში“ გამოაქვეყნა საგანგებო მიმართვა, რომლითაც მოუწოდებდა ქართველებს, მონაწილეობა მიეღოთ ამ საშვილიშვილო საქმეში. ჩვენთვის უცნობია, რა ბედი ეწია ამ მასალას, შეძლო თუ არა ვახტანგმა მისი გამოცემა.

საინტერესოდ გადაეჯაჭვა ვახტანგ ღამბაშიძის ბედი საფრანგეთის დედაქალაქს. მოსკოვის სამედიცინო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მამის რჩევით პარიზს გაემგზავრა ცოდნის გასაღრმავებლად. იქ ეზიარა იმდროინდელი მედიცინის სიახლეებს და გაიცნო გამოჩენილი პროფესორები, მათ შორის, ალფონს ლავერანი და ალბერტ ბინე, რომლებთანაც აქტიურად თანამშრომლობდა შემდეგში.

პარიზს უკავშირდება ვახტანგის პირადი ცხოვრებაც. სწორედ იქ, ლუქსემბურგის ბაღში, გაიცნო მომავალი მეუღლე, ვანდა ჰოპე, ამერიკელი გოგონა, რომელიც 19 წლისა ჩასულა პარიზში და ფრანგული ენის მასწავლებელიც გამხდარა, მერე კი პირველ ქართულ უნივერსიტეტში ინგლისური ენის ლექტორად მიუწვევია ივანე ჯავახიშვილს. საქართველოში დაბრუნებულ წყვილს ოთხი შვილი შეეძინა: მედია, სუნანა (თამარი), ჟორჟეტა და გივი. ვანდას მალევე დაუწყო ქართულის შესწავლა. როგორც ვ. ღამბაშიძის ნეკროლოგის ავტორი წერდა: „მან ისე შეითვისა და შეიყვარა საქართველო, ქართველობა და ქართული ენა, რომ ბევრი ქართველი ქალისთვისაც სამაგალითო იყო ამ მხრივ ... არ ყოფილა ქართული საქმე, რომელშიც მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოთ ვახტანგს და მის მეუღლეს“. რამდენიმე წელი მუშაობდა ვახტანგი ზესტაფონის მაზრაში და მის გამოჩენას მადლიერი ხალხი ზეციურ მანანას ადარებდა.

შემდგომ ვახტანგ ღამბაშიძემ სამედიცინო პრაქტიკა თბილისში გააგრძელა, გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა განცხადება: „ექიმი ვ. დ. ღამბაშიძე შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობებისა იღებს პაციენტებს ვარდის უბნის № 9-ში“. მას უმკურნალია ალექსი მესხიშვილისთვის. ცნობილია, რომ ის იყო აკაკი წერეთლის პირადი ექიმი. სხვიტორში, აკაკი წერეთლის მუზეუმში, დაცულია ვახტანგ ღამბაშიძის ხელით გამოწერილი რეცეპტები. — პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად იგი დიდ სამედიცინო-საგანმანათლებლო მოღვაწეობასაც ეწეოდა მამამისის, ცნობილი სასულიერო და საზოგადო მოღვაწის, დეკანოზ დავით ღამბაშიძის დარად. 1900-1903 წლების პერიოდულ პრესაში ინტენსიურად იბეჭდებოდა მისი წერილების ციკლი – „რა ასუსტებს სხეულს“, „ბუნება და ცხოვრება“ (წერილი ფრანგულით. იგი ცდილობდა ზოგადი სამედიცინო განათლების

გავრცელებას ხალხში. იცოდა, რომ ეს ცოდნა ხელს შეუწყობდა ცალკეული დაავადებების პრევენციას. საყურადღებოა, რომ უკვე იმ დროს საუბრობდა ნაადრევი ქორწინების მიმდევრებზე; ერთ-ერთ წერილს კი ორსულობისა და ჩვილთა ძუძუთი თუ ხელოვნური კვების საკითხებს უთმობს. მან პირველმა გააცნო ქართველ საზოგადოებას უსაფრთხო ჰიგიენური ხელოვნური კვების დუფონის სახლი და მოუწოდებდა თანამემამულეებს, საქართველოშიც გაეხსნათ ასეთი სახლები. ხალხში სამედიცინო განათლების გავრცელების მიზნით გამოქვეყნებული სტატიები ვახტანგ ღამბაშიძემ ჯანმრთელობის რაობასა და ავადმყოფობის ნაირგვარობის განმარტებას დაუთმო. ის დიფერენცირებულად განიხილავდა დაავადებებს, რომელთა გაჩენას ხელს უწყობდა სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის – გარემო პირობები (ჰავა, კლიმატი და სხვა); დაავადებები, რომლებიც დროის ცვლილებით (სიცხე, სიცივე და სხვა) იყო გამოწვეული და ავადობები, რომლებსაც დაუდევრობა და გაუფრთხილებლობა იწვევდა. ვახტანგ ღამბაშიძე საგანგებოდ მიუთითებდა ფიზიკური ვარჯიშისა და ჰაერის როლზე ადამიანის ჯანმრთელობისთვის. მან რამდენიმე წერილი მიუძღვნა ტუბერკულოზის გამომწვევი მიზეზების ახსნას. მისი აზრით, ამ დაავადების არიდება, გენეტიკური განწყობის გარდა, სწორი კვებითა და ჰიგიენის დაცვით იყო შესაძლებელი. იგი, ამავდროულად, ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელია საგანგებო გამოწრთობა, მომზადება (იმუნიტეტის გამომუშავება), რათა შეძლოს თავი დაიზღვიოს სხვადასხვა დაავადებისგან ან ადვილად გაუმკლავდეს მათ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი საგანმანათლებლო წერილები იმ დროს, როდესაც ასე მძვინვარებდა ჭლექი და მუსრს ავლებდა მოსახლეობას და რომლის რადიკალური მკურნალობის გზა ჯერაც არ იცოდა მედიცინამ.

1904 წლიდან კავკასიის საიმპერატორო სამედიცინო საზოგადოებამ (რომელიც 1864 დაარსდა) ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლა გაააქტიურა და ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად სანატორიუმების, ტუბსაწინააღმდეგო ამბულატორიების, საზოგადოების განყოფილებების ორგანიზება დაისახა. სახსრების მოძიების მიზნით ყოველწლიურად იმართებოდა „თეთრი ყვავილის“ ე.წ. გვირილობის დღესასწაული, შემდგომში კი – „ტუბერკულოზის სამდღიური“. საგულისხმოა, რომ ვახტანგ ღამბაშიძის არქივში მრავლად ინახება მის მიერ გადაღებული ფოტოები, რომლებშიც სწორედ ამ დღეების ქრონიკაა ასახული.

ვახტანგ ღამბაშიძემ საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ბრძოლა ტუბერკულოზის ეპიდემიისა და სხვა დაავადებების თავიდან ასარიდებლად განათლება და ევროპული კავშირები დიდად ეხმარებოდა, რომ გასცნობოდა თანამედროვე მიღწევებს და ისინი საქართველოში გაეცვრცელებინა. ჟურნალ „მწყემსში“ იგი წერდა: „უცხოეთში სხვადასხვა საშუალებაა დანერგილი ახალგაზრდების ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად, მათ შორის არის საზაფხულო ახალშენების, საზაფხულო სამყოფების გამართვა მოზარდ ქალ-ვაჟთათვის“.

ვახტანგ ღამბაშიძისთვის ცნობილი იყო ციურიხელი მღვდლის ვალტერ ბიონის იდეის მიხედვით მთელ ევროპაში გავრცელებული საზაფხულო გამაჯანსაღებელი სახლების (კოლონიების) ამბავი. იგი იზიარებდა ევროპული მედიცინის გამოცდილებას ჰაერისა და მზის ენერჯის მეშვეობით დასუსტებული სხეულის გაძლიერებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების შესახებ, თავადაც ოცნებობდა საქართველოში ამ ტიპის დასასვენებელი და სამკურნალო დაწესებულების შექმნაზე. 1898 წლიდან იგი მამასთან ერთად ეძებდა შესაფერის ადგილს და იპოვა კიდეც ბორჯომის ხეობაში, ზღვის დონიდან 1400 მ-ზე, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, ხშირი წიწვიანი ტყეებით დაფარულ პლატოზე, ბორჯომიდან 27-ე კილომეტრზე. იქ მან სანატორიუმი „პატარა ცემი“ ააშენა, რისთვისაც ლეისონის შვეიცარიულ სანატორიუმთან მოდელი შეურჩევია. მისი

ქალიშვილის, ჟორჟეტას, მოგონების თანახმად, ამისთვის ვახტანგს ლეიონში მთელი წელი უმუშავია. ცხადია, იგი სანატორიუმის შინაგანაწესსა და მკურნალობის მეთოდებსაც გაეცნობოდა. 1901 წელს ვახტანგს წიგნაკადაც დაუბეჭდავს „სანატორიუმის დაარსების გეგმა“. პატარა ცემი ერთგვარი ჯადოსნური მთა იყო ქართველთათვის.

ვ. ღამბაშიძე აქტიურად თანამშრომლობდა სორბონის უნივერსიტეტის ორ პროფესორთან: ალფრედ ბინესთან და ალფონს ლავერანთან. ეს უკანასკნელი ჭაობის ციების გამომწვევ მიზეზებს იკვლევდა, ტროპიკული დაავადებების საუკეთესო მცოდნე და მსოფლიოში განთქმული მეცნიერი იყო. ალფრედ ბინეს კი, ცნობილ ფსიქოლოგს, სურდა გაერკვია, რა ცვლილებებს იწვევდა სისხლში მთის ჰავა, რა განსაკუთრებულ გავლენას ახდენდა მთის მზე სასუნთქ სისტემაზე, ფილტვებში მიმდინარე პროცესებზე. ის ლაბორატორიაში აწარმოებდა კვლევებს, ბუნებრივ პირობებში ჩატარებული დაკვირვება კი, ცხადია, სათანადო დასკვნებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. ვ. ღამბაშიძე საქართველოში პირველი ექიმი-მკვლევარი იყო, რომელმაც ასეთ ბუნებრივ გარემოში ააშენა სანატორიუმი. მისი მკურნალობის მეთოდები მეცნიერულად დასაბუთებულ კვლევებსა და იმ დროის კურორტოლოგიის საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს ეფუძნებოდა. ამიტომ სთავაზობდნენ მსოფლიო დონის მეცნიერები თანამშრომლობას და შედეგების გამოქვეყნებასაც აღუთქვამდნენ სამეცნიერო კრებულში. ჩვენთვის უცნობია, როგორ გაგრძელდა ფრანგ მეცნიერებთან მისი თანამშრომლობა და გახდა თუ არა ცნობილი უცხოური სამედიცინო საზოგადოებისთვის ერთობლივი კვლევის შედეგები.

ვახტანგ ღამბაშიძის მიერ რამდენიმე ათეულ პაციენტზე დაკვირვების შედეგის მიხედვით 1912 წლის 4 დეკემბერს შ. მიქელამეს კავკასიის საიმპერატორო სამედიცინო საზოგადოებისთვის საგანგებო მოხსენება წარუდგენია: „საზაფხულო კოლონიების (სახლების) გავლენა ბავშვთა ფიზიკურ მდგომარეობაზე“. ე. ფეოდოროვმა კი პატარა ცემის განსაკუთრებულ ბუნებას და ღამბაშიძის სანატორიუმს მიუძღვნა წიგნი, რომელშიც წერდა, რომ „1904 წ. ექიმმა ღამბაშიძემ პატარა ცემში გახსნა კერძო სანატორიუმი, „საზაფხულო ბავშვთა კოლონიით“ და საკუთარი პლატფორმით, რომლის სახელი შორს გასცდა კავკასიის ფარგლებს“ (Е. Г. Федоров, Горная климатическая станция Цеми, издание Комиссии Императорского Кавказского Медич. Общества, Тифлис, 1908). გვ.53).

ღამბაშიძის სანატორიუმის შედეგები იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ხელისუფლება დარწმუნდა პატარა ცემის ჰავის სიკეთეში და გადაწყვიტა ცემში ტუბერკულოზით დაავადებული მუშებისთვის სანატორიუმის გახსნა.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ვახტანგ ღამბაშიძემ პრაქტიკულად საფუძველი ჩაუყარა ქართულ კურორტოლოგიას. მან დააარსა იმ დროისთვის ესოდენ საჭირო და ყოველად გამართული პირველი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი სანატორიუმი სათანადო ლაბორატორიითა და მეტეოროლოგიური ცენტრით. სამედიცინო დაკვირვების შედეგები ბევრითად აღინუსხებოდა და წარმოდგენილი იყო ყოველწლიურ ანაგარიშებთან საგანგებოდ თანდართული ცხრილების სახით. იქ დეტალურად იყო აღწერილი, რამდენმა მოზარდმა გაიარა მკურნალობა სანატორიუმში, ვინ რა მდგომარეობით შევიდა და რა შედეგებით გაეწერა; რა გავლენას ახდენდა მზისა და ჰაერის აბაზანები მოზარდთა ზრდა-განვითარებაზე, სიმაღლის, მკერდისა და კუნთების ზრდაზე, სისხლის შემადგენლობაში წითელი ნაწილაკების (ერითროციტების) რაოდენობაზე, ჰემოგლობინის მაჩვენებელზე და ა. შ. ეს სამედიცინო დაკვირვებები დღესაც არ კარგავს თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას.

როგორც ჩანს, საზოგადოება იმდენად კმაყოფილი იყო სანატორიუმში არსებული პირობებითა და შედეგებით, რომ მოთხოვნა საგრძნობლად იზრდებოდა. ყოველწლიურად 150 მოზარდი იკაჟებდა სხეულსა და სულს. ვ. ღამბაშიძე იგონებს, რომ ერთ წელს უადგილობის გამო სამასი ბავშვისთვის მოუხდათ უარის თქმა. სულ კი 1500 მოზარდს

უმკურნალია. თავად ვახტანგიც მუდმივად თავს დასტრიალებდა და ყურადღებას არ აკლებდა დამსვენებლებს. იგი პატარა ცემის სანატორიუმს მეხუთე შვილს უწოდებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ვახტანგს, როგორც მოყვარულ ფოტოხელოვანს, მოწყობილი ჰქონია საგანგებო ოთახიც, რომელშიც მოზარდები ფოტოხელოვნებას ეუფლებოდნენ. საქართველოს ეროვნულ არქივში ინახება ვახტანგ ღამბაშიძისა და მისი სიძის, გიორგი ნიკოლაძის, მიერ გადაღებული რამდენიმე ათეული ფოტო. მინის ნეგატივებზე სანატორიუმის შესანიშნავი ხედები და მოზარდთა ვარჯიშისა და დასვენების კადრებია ასახული. მინის ფირფიტებს შემოუნახავთ ვახტანგის გადაღებული ათობით იშვიათი კადრი, რომლებიც შეიცავს იმდროინდელი საქართველოს მეტად მნიშვნელოვან საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოვლენებს. სხვათა შორის, ვ. ღამბაშიძის გადაღებულია სურათები, რომლებზეც ასახულია გრამაფონში აკაკის ხმის ჩაწერის ეპიზოდი, ასევე - მისი დაკრძალვის პროცესია.

რასაკვირველია, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისთანავე ვ. ღამბაშიძეს სანატორიუმი ჩამოართვეს. ის გულმოკლული წერდა ამის შესახებ მოგონებებში: „დიდი ლახვარი დამეცა გულს, როდესაც ეს დიდი შრომითა და წვალებით აგებული ტაძარი გაველურებულმა და ბოროტი აზროვნების ბრმა მიმდევრებმა ჩვენ მეზობლებსვე გაანადგურებინეს და გაპარტახებულ ქარვასლას დაამსგავსეს. ამით ტლანქად შეაგინეს სუსტი მოზარდი თაობის გასაჯანსაღებლად პირველი ტაძარი. იმ დროის ჭირისუფლებმა თითიც არ გაანძრიეს მის გადასარჩენად... შემდეგ ახალმა ბატონებმა სულ მითვისეს ტაძარი და სხვა დანიშნულება მისცეს მის გამოყენებას, თუმცა მთელი საქმიანობა, ამ დარგის ხელმძღვანელობა მევე მქონდა ჩაბარებული (იგულისხმება კავკასიის საკურორტო ზონის ხელმძღვანელობა – ჯ. გ.). მეორე ლახვარი იყო ჩემთვის მისი იძულებით ჩამოშორება და საერთოდ მასთან ერთად სამშობლოს დაშორებაც.

საქართველოს ძალადობრივი გასაბჭოების შემდეგ სანატორიუმი დაარბიეს, ყველაფერი გაანადგურეს, მათ შორის – დოკუმენტებიც. ვერც ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და ვერც საქართველოს ეროვნულ არქივში ვერ ვნახეთ დოკუმენტური მასალა სანატორიუმის შესახებ. და რომ არა ძველი ქართული პრესა, თავად ვახტანგ ღამბაშიძის მოგონებები და ეს პატარა ალბომი ალბათ ამ სანატორიუმის სახელიც არავის ემახსოვრებოდა.

ეს უნიკალური ხელნაწერი ალბომი სანატორიუმის ერთგვარი მატთანაა. როგორ შეიქმნა და როგორ გადარჩა იგი?

სანატორიუმ „პატარა ცემის“ გახსნა 1904 წლის 15 თებერვს (ივნისს) ყოფილა დაგეგმილი. მრავლად იყვნენ მოწვეული სტუმრები, მაგრამ ამ ზეიმს ვერ დასწრებია აკაკი წერეთელი, დავით ღამბაშიძის მეგობარი და სულიერი შვილი, ვახტანგის პაციენტი და მისი უფროსი ქალიშვილის, მედიას, ნათლია. პოეტი ექიმ სამსონ თოფურიას დაკრძალვაზე იყო, იმ თოფურიასი, რომელიც ამ საქმეში სხვებთან ერთად ვახტანგის ერთ-ერთი ხელშემწყობი ყოფილა. მოგვიანებით აკაკი ცოტა ხნით სწვევია სანატორიუმს და ეზოში სკამზე პატარა ლექსიც წაუწერია:

„კარგი სანატორია ეს პატარა ცემია –
დასუსტებულისათვის ჯან-ღონის მომცემია“.

როგორც ვახტანგ ღამბაშიძე იხსენებს, სკამის საზურგე მას დიდხანს ჰქონია შენახული. იმავე წლის აგვისტოში (მარიამობისთვის) კი აკაკი დასასვენებლად ასულა პატარა ცემში და ვახტანგისთვის შეპირებული ლექსი ჩაუწერია სანატორიუმის წიგნში.

„ვსთხოვე თავის ხელით ჩაეწერა ჩემს საგანგებო დავთარში, რომელსაც შემდეგ ყველა მომსვლელი პატარა-ცემში სიამოვნებით ეცნობოდა“, – იგონებდა ვ. ღამბაშიძე.

ასე გაჩნდა პირველი ჩანაწერი ალბომში, აკაკის ლექსის „პატარა ცემი“ დღემდე უცნობი ერთადერთი ავტოგრაფი. ასე დაიწყო ისტორია „ოქროს წიგნისა“, რომელიც სავესა

არაერთი ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის ხელნაწერებითა და მეტად საინტერესო უცნობი ჩანაწერებით თუ ჩანახატებით. პატარა ცემის დიდებული ბუნებისთვის აკაკის შემდეგი სტუმრობის დროსაც მიუძღვნია ლექსი („პასუხად ერისთავის ასულს“).

1910 წლის ზაფხულში, აკაკის, როგორც მისი პირადი წერილებიდანაც ირკვევა, ცოლ-შვილთან ერთად დაუსვენია და სარკასტულ-იუმორისტული ჩანაწერიც დაუტოვებია:

„15-ს მამათრიეს და 23-ს წამათრიეს, ჯერ მოსვლა არ მინდოდა და ახლა წასვლა. აკაკი წერეთელი“.

იმავე გვერდზე მამის ხელმოწერის ქვეშ ალექსი წერეთელსაც გაუკეთებია პატარა თვითირონიული ჩანაწერი:

Я въ этомъ не виновать

Не знаменитый сын знаменитого отца

Кн. Алексей Церетели

მარტო მოზარდები კი არა, ზრდასრულებიც, ხანდაზმულებიც და მთელი ქართველი ინტელიგენცია იკაჟებდა ჯანმრთელობას ამ დალოცვილ ადგილას.

ვახტანგ ღამბაშიძე იგონებდა: „**ბევრნი არიან ისეთი პირები და ამათგან ბევრმა იჩინა თავი საზოგადო ასპარეზზე ნაყოფიერი მუშაობით, მაგ: ვუკოლ ბერიძემ, ინგოროყვამ, აბაშელმა, გიორგი ნიკოლაძემ, არჩილ ხარაძემ, კომპოზიტორმა არაყიშვილმა, იაკობ ნიკოლაძემ, შალვა ღამბაშიძემ და სხვადასხვა**“.

სანატორიუმს სხვადასხვა დროს სტუმრობდნენ აგრეთვე უცხოელი ექიმები, მხატვრები, საზოგადო მოღვაწეები, ამიტომაც მრავლად შეხვდებით ალბომში ჩანაწერებს. „ოქროს წიგნი“ პატრონს თან წაუღია ემიგრაციაში, სადაც ტრადიციისთვის არ უღალატიათ და უკვე საოჯახო ალბომად ქცეულ წიგნში გაუგრძელებიათ ჩანაწერები ემიგრაციაში მოღვაწე უსამშობლოდ დარჩენილ ცნობილ ქართველ მამულიშვილებსა და მათ უცხოელ მეგობრებს.

1921 წლის გაზაფხულზე, როცა წითელი არმია თბილისის საზღვრებს მოადგა, ვახტანგი იძულებული გახდა, თურქეთში გაეგზავნა ცოლ-შვილი. თუმცა არც ისე მარტივი იყო დაქსაქსული ოჯახის წევრების თავმოყრა: მისი 18 წლის ვაჟი, გივი, სკოლის მოსწავლე, მოხალისეთა ჯარში იდგა და თბილისის შემოსასვლელს იცავდა, მეუღლე ბათუმში წითელი ჯვრის საზოგადოებაში მუშაობდა; უფროსი ქალიშვილი, მედია, ლონდონში იყო. ამიტომაც სუნანა და ჟორჟეტა მატარებლით მარტო გაემგზავრნენ დედასთან შესახვედრად. ხაშურსა და ზესტაფონში იპოვეს დედამ და შვილებმა ერთმანეთი. ვახტანგი კი მოვალეობების გამო, უფრო კი ხელისუფლების შეცვლის იმედიით საქართველოში დარჩა. სამწუხაროდ, რამდენიმე თვეში ეს იმედიც გაქრა და ვახტანგი იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო. 1921 წლის ნოემბერში მან დატოვა თბილისი, ხოლო 1922 წლის 2 თებერვალს ბათუმიდან გაემგზავრა თურქეთში, სადაც მეუღლესთან ერთად მოღვაწეობდა წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციაში და ეხმარებოდა ქართველ ლტოლვილებს. 1924 წელს კი იგი ოჯახთან ერთად საფრანგეთში წავიდა და სამუდამოდ დამკვიდრდა თავისი ბედისწერის ქალაქში, პარიზში, თეოფილე გოტიეს ქუჩაზე.

„**სამშობლოს განშორებით, მეორე მეოთხედი საუკუნე – 1922-1947**“ – ეს სიტყვები ვახტანგ ღამბაშიძის მოგონებების სარჩევიდანაა ამოღებული. მისი მემუარები ცალკე მატანეა, მეტად ძვირფასი და ჯერაც შესასწავლი. ამაზე ცოტა ქვემოთ. ახლა კი ვახტანგის ემიგრანტობის პირველ წლებს მივუბრუნდეთ. როგორც მოგონებებიდან და იმდროინდელი ემიგრანტული პრესიდან ვიგებთ, მას საფრანგეთშიც არ შეუწყვეტია ოცნება – დაეარსებინა ზღვაზე მცურავი სანატორიუმი. როგორც ჩანს, სერიოზული სამედიცინო პროექტიც აუხდენელ „ოცნებათა რიგს“ შეემატა.

ეპისკოპოს ჰაროლდ ბაქსტონის ფინანსური დახმარებით ვახტანგს პარიზში გაუხსნია საკუთარი კლინიკა, რომელშიც უმეტესად უფასოდ მკურნალობდა გაჭირვებულ ქართველ ემიგრანტებს. პარიზის კლინიკიდან თეთრებში შემოსილი ვახტანგის ერთი სურათის გარდა, მისი სამედიცინო ნივთებიც გადაჩენილა. ამ „ოქროს წიგნთან“ ერთად ისინიც ქართული მედიცინის მუზეუმს გადასცა მისმა შვილიშვილმა ნათელა ნიკოლაძემ. მათ შორისაა ის ცნობილი ხურჯინიც, რომლითაც პაციენტებთან უფასო წამალი და დიდი იმედი მიჰქონდა „ქართველ ესკულაპეს“.

ვახტანგ ღამბაშიძეს ემიგრაციაშიც არ შეუწყვეტია ზრუნვა ქართული კულტურის განვითარებაზე. ამიტომაც დააარსა ქართული ბიბლიოთეკა და ჟურნალი „მერანი“, აქვეყნებდა სამეცნიერო-პოპულარულ და საგანმანათლებლო ხასიათის წერილებს ჯანმრთელობის საკითხებზე. მეტად საყურადღებოა მისი წერილები და მოგონებები, რომლებიც ინტენსიურად იბეჭდებოდა ქართულ ემიგრანტულ პრესაში: „ბედი ქართლისა“, „კავკასიონი“, „მერანი“.

ვახტანგ ღამბაშიძეს არასოდეს განელებია საქართველოს ერთიანობის სურვილი და მთელი თავისი შეგნებითა და მოღვაწეობით ამ იდეას ემსახურებოდა. ექვთიმე თაყაიშვილი „ოქროს წიგნში“ წერდა: „გულითად მადლობას ვუძღვნი ბ-ნ ვახტანგს და მის ოჯახს. აქ ადგილი არ არის და არას ვამბობ ბ-ნ ვახტანგის მრავალ მხრივ მოღვაწეობაზე იქ საქართველოში და აქ ემიგრაციაში, სადაც იგი ყველა ავად[მ]ყოფ ქართველს თავს დასტრიალებს უანგაროდ. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის და ბევრი საქებარი თვისებები აქვს, მას აზრათ ჰქონებია [...] გაეერთიანებია მრავალ პარტიებად და ფრაქციებად დაქსა[ქ]სული ემიგრაცია“.

ვახტანგ ღამბაშიძემ სამშობლოს თაყვანისცემა, ქართული ენისა და კულტურის სიყვარული ჩაუნერგა თავის შთამომავლობას – მედეას (მეუღლე – შოთა ნიკოლაძე), სუნანას (მეუღლე – კუკური თოხაძე), ჟორჟეტას (მეუღლე – გიორგი ნიკოლაძე, რომლის გარდაცვალების შემდეგ ცოლად გაჰყვა შოტლანდიელ პრინცს ნილ სტიუარტს) და გივის, რომელმაც ოჯახის შექმნა ვერ მოასწრო, სამშობლოს მოწყვეტილმა ახალგაზრდა ჭაბუკმა 1930 წელს 28 წლის ასაკში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ვახტანგს ბედმა ესეც არ აკმარა და 1945 წელს მეუღლეს გარდაეცვალა. ვახტანგ ღამბაშიძე 1951 წელს გარდაიცვალა შოტლანდიაში, ჟორჟეტასა და მისი მეუღლის ნილ სტიუარტის სასახლეში. დაკრძალულია იქვე, კინლოხმოიდარტში.

ღირსეული შვილები და შვილიშვილები რუდუნებით და სიყვარულით უვლიდნენ მის მემკვიდრეობას. ბევრი რამ შემოუნახა შთამომავლობას მედეას და ჟორჟეტას მოგონებებმა ვახტანგის შესახებ. არც შვილიშვილებმა და შვილთაშვილებმა უღალატეს პაპის ანდერძს და მისი ოცნებებიც აახდინეს. საქართველოში რამდენჯერმე იმოგზაურეს მედეას და ჟორჟეტას შვილებმა: რევაზ და ნათელა ნიკოლაძეებმა, ნინო სტიუარტმა და მათმა შთამომავლებმა. როგორც თანამედროვენი წერენ, სუნანას ვაჟი, სამხედრო ექიმი გიორგი თოხაძე, „არასოდეს შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ თავისი ქართველობა გამოემჟღავნებინა“. მედეას შვილებმა არც ქართული ენა დაივიწყეს და ვახტანგის მემკვიდრეობაც შემოუნახეს ქვეყანას. რამდენიმე წლის წინ რევაზ (რეზიკო) ნიკოლაძემ საქართველოს ცენტრალურ არქივს საჩუქრად გადასცა ვახტანგ ღამბაშიძის ხელნაწერები და ფოტოები, მხოლოდ რამდენიმე სამედიცინო ნივთი და ეს „ოქროს წიგნი“ დაიტოვა ოჯახმა რელიკვიად. თუმცა, როგორც ჩანს, მათი ადგილიც სამშობლოში იყო. „ოქროს წიგნში“ დავანებული ასზე მეტი მამულიშვილის ხელნაწერი და მათი სულები მოუთმენლად „ელოდნენ“ საქართველოში დაბრუნებას. საბედნიეროდ, ნათელა ნიკოლაძე-ვილკური დიდი წინაპრის ამ უკანასკნელ სახსოვარსაც შეელია და „ოქროს წიგნის“ ოდისეაც ასე დასრულდა, ვახტანგ ღამბაშიძის ოცნებაც ახდა და წიგნი გამოიცა!

ამბობენ, დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიანო, ვახტანგ ღამბაშიძეც ერთ-ერთი მათგანია, თუმცა მისი დაარსებული სანატორიუმი პატარა ცემი ნიშანსვეტად შეიძლება იქცეს ევროპისკენ მიმავალი საქართველოსთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ჟურნ. „ბედი ქართლისა“, პარიზი, N10, გვ. 1.
- ღამბაშიძე ვ. კობახიძე რ. (2016). ხელნაწერთა ოქროს ფონდი. ვახტანგ ღამბაშიძის სანატორიუმ „პატარა ცემის“ შთაბეჭდილებათა წიგნი - *კრებული ქართული ემიგრაცია, # 4(7)*, 213.
- ნაცვლიშვილი პ. (2016). ჟორჟეტას „საქართველო“ და გიორგის „გულის პარიზი“. გიორგი ნიკოლაძისა და ჟორჟეტა ღამბაშიძის მიმოწერა (1926-1930 წწ.) / დასაბეჭდად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პაატა ნაცვლიშვილმა - *კრებული ქართული ემიგრაცია 4(7)*, 57.
- ნიკოლაძეები რევაზ და ფრანსუაზ (2009) „ქართველები საფრანგეთისათვის ბრძოლებში“ 1939-1945 წლები, *გამომცემლობა „ინტელექტი,“ თბილისი.*
- სალია ნინო „ობლად მიტოვებულნი“, ჟურნ. „ბედი ქართლისა“, N16, პარიზი, 1954.
- ღამბაშიძე ვახტანგ (2018) „ჩემი თავგადასავალი“ სერია: მოგონებები, დღიურები, ჩანაწერები IV მასალები მოიძია, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო ნინო მანძავამ, საქართველოს ეროვნული არქივი, თბილისი.
- ღამბაშიძე ვახტანგ (1948) ადამიანის ჯანმრთელობის საკითხი, ჟ. „ბედი ქართლისა“, ივნისი # 1.
- ღამბაშიძე მედეა (1968), მოგონებები, „კავკასიონი“ პარიზი, XIII
- ღამბაშიძე ნინო (2010), „ვახტანგ ღამბაშიძე ცხოვრება და მოღვაწეობა“ - *კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“ #1(7)*, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი.
- ღამბაშიძე ჟორჟეტა (2009), „მცირე მონათხრობი ჩემს ცხოვრებაზე,“ თარგმნა ნანა ღამბაშიძემ. ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“ #3(81)
- შარაძე გ. (1993), „უცხოეთის ცის ქვეშ“, ტ. III, გვ. 86. თბილისი.

Julieta Gabodze, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Vakhtang Gambashidze's Album

Summary

A famous Georgian doctor, public figure, founder of Georgian health resort study, establisher of the sanatorium “Patara Tsemi”, outstanding representative of Georgian emigration Vakhtang Gambashidze called this unique handwritten album “Golden Book”. It opens with Akaki poem “Patara Tsemi” which is followed by the records of XX century Georgian and foreign celebrities. In the album are collected different types of records – poems, essays, impressions, congratulations or only signatures – written in 1904-1920 in Georgian, Russian, French, English, Ottoman Turkish, Spanish languages by vacationers of the sanatorium “Patara Tsemi”.

The album comprises poems and impressions written by the Georgian poets – Akaki Tsereteli, Grigol Robakidze, Aleksandre Abasheli, Ilia Nakashidze, Dutu Megreli, Don-Valiani, Ioseb

Mchedlishvili, Simonika Berezhiani and many others; the autographs of famous scientists, public and political figures, Georgian emigrants: Ekvtime Takaishvili, Victor Nozadze, Aleksandre Khakhanashvili, Kita Abashidze, Kakutsa Cholokashvili, Noe Zhordania, Mikhako Tsereteli, Evgeni Gegechkori, Shalva Amirejibi, Spiridon Chavchavadze, Elizbar Vachnadze, Simon Tsereteli, Giorgi Gvazava, Revaz Gabashvili, Grigol Diasamidze, Akaki Chkhenkeli, Ilia Jabadari, Alexandra and Yuri Pagavas, Avtandil Merabashvili, famous choirmaster Data Kavsadze and many others; signatures of the Great Britain Commissioner in Independent Georgia, Kartvelologist Oliver Wardrop, the well-known Kartvelologist Robert Stevenson and others; records of the Chief Doctor of French Sanitary Mission in the Caucasus Louis Dartige and many famous Georgian, Spanish, Russian and Azerbaijan doctors.

The handwritten album has kept the hitherto-unknown work performed in watercolor by the Polish artist Zygmunt (Zyga) Waliszewski – landscape of Patara Tsemi, Vakhtang Gambashidze's pencil painted portrait by V. Poyarkov, the watercolor of an unknown artist (supposedly, Patara Tsemi) and the photo of an unknown sculpture.

Vakhtang Gambashidze's family handed over his whole archive to the Central Archive of Georgia. In spring of 2017, Vakhtang Gambashidze's granddaughter Mrs. Nikoladze-Villecourt brought the "Golden Book" to Georgia and gave us permission to publish it. Finally, she made a noble decision and handed this treasure to Mikhail Shengelia Museum of Georgian Medicine History.

ია ლაღუა, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი

დავით ერისთავის უცნობი არქივი

დავით ერისთავს ქართველი საზოგადოება იცნობს, როგორც გიორგი ერისთავის ვაჟიშვილსა და ცნობილი პიესის, „სამშობლოს“, ავტორს. თუმცა დავით ერისთავი ბევრად უფრო მრავალპლანიანი შემოქმედი და საზოგადო მოღვაწეა, რასაც ადასტურებს ის უაღრესად საინტერესო, საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანი არქივი, რომელიც დაცულია ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში. არქივი შეიცავს ლექსებს, მოთხრობებს, თარგმანებს, პიესებს, პუბლიცისტურ და პირად წერილებს, ჩანაწერებს, რომელთა მეშვეობით ჩვენ თვალწინ ცოცხლდება მე-19 საუკუნის საქართველოს სოციალური, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი და საინტერესო ასპექტები.

დავით ერისთავი გორის რაიონის სოფელ ხიდისთავში დაიბადა 1847 წელს, გარდაიცვალა 1890 წელს. 1871 წლიდან თანამშრომლობდა გაზეთებში - "დროება",

"ტიფლისსკი ვესტნიკი" და "ვალანგა". 1882 წლიდან დავით ერისთავი გაზეთ "კავკაზს" რედაქტორობდა. ლიტერატურული მოღვაწეობა მან ლექსებითა და ფელეტონებით დაიწყო, თუმცა ის ყველამ თავისი ისტორიული პიესით, „სამშობლო“, დაიმახსოვრა, რომელმაც ეროვნული დატვირთვა შეიძინა და სწორედ ამ კუთხით გახდა ცნობილი და მისაღები ერისთვის.

1910 წელს იონა მეუნარგიას წინასიტყვაობითა და მწერლის ბიოგრაფიით გამოიცა დავით ერისთავის თხზულებების წიგნი, რომელშიც შევიდა ავტორის 9 პიესა; ხოლო 1947 წელს – პიესა „სამშობლო“.

დავით ერისთავის არქივი, ფაქტობრივად, გამოუცემელია და ამდენად, საზოგადოებისთვის უცნობია. განსაკუთრებით საინტერესოა მისი ასობით პირადი წერილი, რომლებშიც ასახულია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პოლიტიკური, სოციალური, კულტურული ცხოვრება და ურთიერთობა; ის დეტალები, ამბები, პიროვნებები, რომლებსაც დავით ერისთავის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში ვხვდებით, ვფიქრობთ, სხვა კვლევისთვისაც იქნება ბიძგის მიმცემი იმდენად, რამდენადაც ისინი წარმოადგენს სხვადასხვა პროცესის თვითმხილველისგან მოწოდებულ წყაროს.

დავით ერისთავი გახლდათ გაზეთ „Кавказ“-ის რედაქტორი და მის არქივში ბლომადაა ჩანაწერები გაზეთის გამოცემისა და გაზეთიდან ამოწერილი მნიშვნელოვანი ინფორმაციების შესახებ. საყურადღებოა როგორც მისი ჩანაწერები სხვადასხვა ღონისძიების დეტალების შესახებ, ისე მისი შეფასებები – მაგალითისთვის შეგვიძლია წარმოვადგინოთ დავით ერისთავის წერილი ლერმონტოვის „დემონის“ ზიჩისეული ილუსტრაციების შესახებ, რომელშიც ის ასაბუთებს, რატომ არ იზიარებს საყოველთაო აღტაცებას და ამავდროულად, გვაწვდის ყურადსაღებ ფაქტებსაც, რომლებიც, შესაძლოა, არც იყოს სხვა წყაროდან ცნობილი.

ამიტომაც მივიჩნით საჭიროდ, სამუშაოზე გამოგვეტანა და საზოგადოების ყურადღება მიგვეპყრო ისეთი მნიშვნელოვანი საზოგადო მოღვაწისა და შემოქმედის უცნობი არქივისთვის, როგორცაა დავით ერისთავი და მისი უნიკალური მემკვიდრეობა.

ლიტერატურის მუზეუმში დაცული ხელნაწერები (საინვენტარო ნომრებით: 18588; 18594, 18590) შეიცავს დავით ერისთავის **ლექსებს**. საინტერესოა კრებული (სსლმ-18588), რომელიც დაწერილია 1868 წლამდე დავით ერისთავის მიერ. ყოველ ლექსს ახლავს თარიღი, დაწერის ადგილი და ხელმოწერა: *თ. და. ერ.*

კრებულიდან აღსანიშნავია ორიოდე პამფლეტი, მიძღვნილი ივანე კერესელიძისადმი. პამფლეტი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ეს არის იმდროინდელი, ყველასთვის ცნობილი, თაობათა ბრძოლის გამოხატულება. დავით ერისთავის ეს პამფლეტები, ფაქტობრივად, უცნობია ქართველი საზოგადოებისთვის.

„ეპიგრამა კერესელიძეზე
ძმაო მკითხველო! ძმობას გაფიცებ
როს ნახო ლექსი შენ, „ცისკარშია“
თუ რათ დაბეჭდა კერესელიძემ
ამას ნუ მკითხავ თავის დღეშია.
შენი ვალია ყველა იკითხო!
იკითხო! მაგრამ ესეც უნდა სცნა
რომ ისა ბეჭდავს ორგვარ ლექსებსა.
პირველი არის ამა გვარისა
ლექსები პოეტ-წერეთლისა
მეორე თითონ რედაქტორისა
ჩვენი ივანე ივანიჩისა.
პირველ თუ შეხვდე, შრომა უკუროთხე

და ყურადღებით გარდაიკითხე;
 მეორეს კი ზედ დააფურთხე
 მუჭაში სჭმუჭნე, სიწმინდე.
1864 წელსა 8 დეკემბერს. ქ. ოდესსა“

როგორც აღვნიშნე, მხოლოდ ამ კრებულით არ შემოიფარგლება დავით ერისთავის ლექსები. მაგალითად, ხელნაწერი საინვენტარო ნომრით სსლმ-18594 შეიცავს ორ ლექსს.

„***-ს“, რომელიც ილია ჭავჭავაძისადმია მიძღვნილი:

დასაწყისი: „ძმაო პოეტო! როს ვკითხულობ შენსა ლექსებსა / და ვიზეპირებ შენგან ნაწერ წმინდა სიტყვებსა...“, დასასრული: „... არც კაცი ვარგა თუ ცოცხალი მკვდარსა ემზავასოს / იყოს სოფელში და სოფელს კი არარა არგოს! 1 იანვარს 1896 წ.“¹.

მეორე კი უსათაურო ლექსია, დასაწყისი: „აღლავერდს გეტყვით ჩვენო მგოსანო! / თქვენ მოგვაგონებთ ძველ დროებასა...“, დასასრული: „... თქვენ ალავერდი ისე გახარა / ეხლა ჩვენ ვეტყვით იახშიოლსა“ (*მეორე ლექსის სამუშაო ვარიანტს შეიცავს ხელნაწერი სსლმ 18597-b*).

მუზეუმში დაცულია დავით ერისთავის **თარგმანებიც**: ხელნაწერი სსლმ-18624 შეიცავს ილია ჭავჭავაძის ლექსების - „პოეტი“, „ელეგია“ - თარგმანს რუსულ ენაზე. თარგმანი შესრულებულია 1868 წელს სანკტ-პეტერბურგში. ხოლო ხელნაწერი სსლმ-18625 შეიცავს ილია ჭავჭავაძის ლექსის „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით, ანუ საქართველოს ისტორია XIX საუკუნისა“ დავით ერისთავისეულ თარგმანს. თარგმანი რუსულ ენაზეა შესრულებული. ტექსტს ბოლოს ახლავს ხელმოწერა და მითითებულია თარიღი: 13 სექტემბერი, 1871 წელი, ტფილისი (რუსულად). ილიას ეს ლექსი დავითს თავისივე ხელით გადმოუწერია, რასაც ადასტურებს ხელნაწერი სსლმ-18708, არ უზის თარიღი და არც ხელმოწერა, თუმცა ხელნაწერი შეისწავლა გიორგი ლეონიძემ, რომელმაც მიაწერა ხელნაწერს შემდეგი: „დავით ერისთავის ხელია. გ. ლეონიძე. 18 ივლისი, 1945 წ.“. დავით ერისთავს უთარგმნია აკაკის „თორნივე ერისთავი“, რომელსაც შეიცავს ხელნაწერი სსლმ-18604; ილიას „კაცია-ადამიანი?!“ (სსლმ-18605), ნიკოლოზ ბარათაშვილის „სულლო ბოროტო“...

დავით ერისთავის არქივში მისი **ფელეტონებიცაა**. მნიშვნელოვანია ხელნაწერი, რომლის ტექსტი ფელეტონია „შთამომავლობითი პოეტის დღიურიდან“, რომელიც დაბეჭდა მან „დროებაში“ 1871 წელს. ეს ხელნაწერი საინტერესოა იმით, რომ არის ჩასწორებული წითელი და ცისფერი ფანქრით საცენზურო კომიტეტის მიერ. მე-4 რექტოზე, დასასრულ, მინაწერია წითელი ფანქრით: „Дозволено Цензурой 28 авг.1871“. ეს ფელეტონიც გამოაქილია თაობათა ბრძოლის მეორე ტალღისა და მასში გაშარჟებულია მამების არჩევანი სამხედრო სასწავლებლის არჩევისა.

უაღრესად საინტერესო ინფორმაციებს შეიცავს პირადი წერილები, რომელთა მეშვეობით ჩვენ აბსოლუტურად სხვა კუთხით ვეცნობით როგორც წერილის ავტორს, ისე იმდროინდელ სოციოკულტურულ გარემოს. მართალია, პირადი წერილები და მოგონებები სუბიექტურია, მაგრამ ფაქტებს, რომლებსაც ისინი შეიცავს, შეიძლება სხვაგან ვერსად წავაწყდეთ და უმეტეს შემთხვევაში ბევრად უფრო ობიექტური მოცემულობაა, ვიდრე თუნდაც ცენზურაგავლილი ნაბეჭდი მასალა.

რაც შეეხება დავით ერისთავის **პირად წერილებს**, ისინი საკმაოდ მრავლადაა მის არქივში. მოკლედ აღვნიშნავთ, რომ გვხვდება წერილები როგორც ოჯახის წევრებისადმი,

¹ მართალია, ლექსს ავტოგრაფ-კრებულში თარიღად უზის 1896 წელი, მაგრამ ეს, სავარაუდოდ, არის მექანიკური შეცდომა. ლექსი ვერ დაიწერებოდა იმ დროს, რადგან დავით ერისთავი გარდაიცვალა 1890 წელს. ჩვენი ვარაუდით, ლექსი დაწერილია 1869 წელს, რადგან გამოქვეყნებულია ამავე წლის „დროებაში“.

მეგობრებისადმი, ისე ოფიციალური სახის მიმოწერაც. მეგობრებთან ყველაზე მეტი წერილია იოსებ შალიკაშვილისადმი, რომელსაც დავითი მოიხსენიებს როგორც სოსიკოს. ის გახლდათ სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი. სწორედ სოსიკოსადმი მიწერილი წერილებით ვეცნობით დავითის მოგზაურობას, შთაბეჭდილებებს, ემოციებს. მაგალითისთვის მოვიყვანთ ორ წერილს;

წერილი - ხელნაწერი სსლმ-18750 ნომრით: დათარიღებულია 1869 წლის 2 აგვისტოთი. პარიზში მყოფი დავით ერისთავი სწერს მეგობრებს – სოსიკოს, ვანოს (ივანე ელიზბარის ძე ერისთავს, „პოსრედნიკს“) და მიშას (მიშა ალხაზიშვილს), რომ იყო საიმპერატორო სტამბაში, სადაც ნახა ქართული შრიფტით ნაბეჭდი ბაყბაყდევის არაკი. მიშას სწერს, რომ „პერჩატკების“ იმედი ნუ ექნება. ატყობინებს, რომ იკერავს ლურჯი ფერის ფრაკს. წერილის ზედა არშიაზე დავით ერისთავის მინაწერია: „სოსიკო! რა ამბავია შენგან წიგნი არ მამივიდა, შანფანცკიმ ხომ არ გაწყინა?“.

რაც შეეხება მეორე წერილს (სსლმ-18747), რომელიც საკმაოდ ემოციურია, გამოგზავნილია ვენიდან და დათარიღებულია 1871 წლის 13-15 მაისით. დაწერილია ყვითელ ჭკირნიშიან ქალაღზე და აქვს დავით ერისთავის ოქროსფერი მონოგრამა „დე“ გვირგვინით. ერთვის დავით ერისთავის ხელმოწერა: „Ваш Д. Эристов“. წერილის ადრესანტი უცნობია. წერილი ემოციურია იმით, რომ მასში აღწერილია, თუ როგორ იმგზავრა პირველად დავითმა ლიფტით. დავითი სწერს, რომ წინა დღით ჩამოვიდა ვარშავიდან, იმგზავრა ბორდოელ ფრანგთან ერთად, რომელიც აღმოჩნდა ბანკირის შვილი და დამეგობრდნენ. ვენა ძალიან მოსაწყენი ქალაქი აღმოჩნდა, მხოლოდ დიდი შენობებით. მეორედ ჩამოსვლისთვის აუცილებლად რამე უნდა მოიფიქროს, თორემ ასე 2 დღეც კი ვერ გაძლებს. ვენის ვაგზალი არაჩვეულებრივია, მართალია, არ არის ისეთი დიდი, როგორც პარიზის ვაგზალი, მაგრამ დახვეწილი გემოვნებითაა აგებული. დაბინავდა „გრანდ ოტელში“. მართალია, მანდ ყველაფერი ძვირია, მაგრამ დავითი არ ნანობს, რომ აქ გაჩერდა. თავად შენობის დიდებულებას ვერ აღწერს კაცი, ეს საკუთარი თვალთ უნდა ნახო. **მესამე სართულზე ადის მოწყობილობით, რომელშიც ჯდება და ის თავისით მოძრაობს.** ძალიან მოსწონს ქუჩებში ხეტიალი. სასტუმროსთან ახლოს ოპერის შენობაა. დავითის მეგობარი ფრანგი შვეიცარს მოელაპარაკა და გაიგო, რომ 10 გულდენზე ნაკლებად ბილეთს ვერ იშოვიან. ამ თანხამ თვით ბანკირი ფრანგიც შეაშინა და გადაწყვიტეს, რომ არ წავიდნენ ოპერაში. საღამოს, როდესაც დავითი ქუჩაში სეირნობდა, ოპერის ახლოს რამდენიმე ადამიანი მიუახლოვდა და 6 გულდენად შესთავაზა ბილეთი. დავითმა თავდაპირველად იფიქრა, რომ ესენი თაღლითები იყვნენ და ყალბ ბილეთს შესთავაზებდნენ, ამიტომ უარი უთხრა და გზა გააგრძელა. ძალიან მალე სხვა შეხვდა, რომელმაც 5 გულდენად შესთავაზა. საბოლოოდ, დავითმა იყიდა ოპერის ბილეთი. ოპერის შენობა მართლაც დიდებული აღმოჩნდა, წარმოუდგენელია ამ სიმდიდრისა და გემოვნების სიტყვებით აღწერა. ეს არის იდეალის შეგრძნება. თუმცა, დავითი დარბაზით იმედგაცრუებული დარჩა. ძალიან პატარა აღმოჩნდა, შედარებაც არაა არათუ მარინის თეატრის, არამედ მოსკოვის თეატრის დარბაზთან. სპექტაკლი საღამოს 10 საათზე დასრულდა. დიდი განსხვავებაა პარიზისა და ვენის საღამოებს შორის. 10 საათზე ვენაში ყველაფერი დაკეტილი იყო, მაშინ, როდესაც პარიზში ამ დროს ყველა კაფე ღიაა. დავითი სწერს, რომ იმ დღეს სისულელე ჩაიდინა, რადგან გადაწყვიტა დილითანსით დაეთვალიერებინა ქალაქი, თუმცა სხვა მიმართულებით გაემართნენ. როდესაც დავითმა ავსტრიელ ჰუსარს ჰკითხა, თუ რა ხდებოდა, მან უთხრა, რომ აქვე იმართებოდა დოღი და ურჩია, წასულიყო, რადგან იქ თავს იყრიდა მაღალი კლასის წარმომადგენლობა. დილითანსი ხეივანთან გაჩერდა და დავითმა ფეხით გააგრძელა გზა. ხეივანი გრძელი აღმოჩნდა. შედეგად მას ფეხი სტკივა. დოღზე მართლაც მაღალი კლასის საზოგადოება იყო წარმოდგენილი, მდიდრული ეკიპაჟებითა და კარგად ჩაცმული მეეტლეებით, ზოგი ლუდოვიკო XV-ის მარკიზებივით პარიკით იყო, მაგრამ ლამაზ ქალს აქ ნამდვილად ვერ ნახავ. საღამოს დავითი

კარლთეატრში დაესწრო ოფენბახის „ტრაპეზუნელ პრინცესას“. დავითი წუხს, რომ ვერ იშოვა კარგი ხელთათმანები. მთელი დღე იარა, რათა 4 გულდენად კარგი შლაპა ეყიდა. თანაც აქ გამოდის ფრანგული გაზეთები, ამიტომ დავითმა მკერავისგან შეიტყო, რომ ლამის მთელი პარიზი დაიწვა. დავითი უკმაყოფილოა საკვებით, სასტუმრო „ვეროპაში“ ისადილა, მაგრამ არც იქ მოეწონა საჭმელი. რთულია, რომ ენა არ იცის, რადგან ვენაში ძალიან ცოტა თუ საუბრობს ფრანგულად. წიგნის მაღაზიაში იყიდა პუშკინის თხზულებები. სურვილის შემთხვევაში შეუძლია გაუგზავნოს გერცენისა და ჩერნიშევის თხზულებები.

ბუნებრივია, როცა ვსაუბრობთ დავით ერისთავზე, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ მისი **დრამატული ნაწარმოებები**. არქივში დაცულია ხელნაწერი სსლმ-18629 დაწერილი დავით ერისთავის მიერ. 1r-ზე მინაწერია: „სადავო მფლობელობა. კომედია სამს მოქმედებად რუსულიდგან გადაკეთებული თა. დავით ერისთავისაგან 1879 წელსა“; ზედა მარჯვენა კუთხეში დავით ერისთავის ხელმოწერა. შუაში გვიანდელი მინაწერი ფანქრით: „ა. გობაშვილი. Гобашвили“. 28v-ზე, ქვედა მარცხენა კიდეზე, მინაწერი: „Текстографировал Кн. Д. Эристов“, მარჯვენა მხარეს თარიღი: „1879 Августа 21 Сел. Одзиси“.

ასევე ხელნაწერი სსლმ-18686 შეიცავს კომედიას: „დავიდარაბა ანუ ორდანო და ლეკვი“; სსლმ-18628 – „კეთილი და უმანკო ანგელოზი“, სსლმ-18602 – „სამშობლო“.

მოგეხსენებათ, დავითი გახლდათ „კავკაზის“ რედაქტორი და მის არქივში საკმაოდ გვხვდება **სტატიები, ამონაწერები** გაზეთებიდან. მაგალითად, ხელნაწერი სსლმ-18701, რომელიც დაწერილია რუსულ ენაზე დავით ერისთავის მიერ. ხელნაწერს აკლია შუა ნაწილი. ჩასწორებულია შავი მელნით, რამდენიმე სტრიქონი გახაზულია შავი ფანქრით. ხელნაწერის ტექსტი გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებული ინფორმაციაა კავკასიის სამედიცინო საზოგადოების მიერ აბასთუმნის მინერალური წყლების შესახებ, რომელიც გარნიზონის აბაზანებში მიედინება. მათ აკლიათ ის სამკურნალო თვისებები, რომლებიც ჰქონდა წყაროებს, მიუხედავად იმისა, რომ წყალი ალუმინის მილებით მიედინება. ექიმებისა და ფარმაცევტებისგან შემდგარი კომისია იკვლევს გარემოებას. სამედიცინო საზოგადოების ლიდერის, მროჩკოვსკის, განცხადებით, წყალში ქიმიური ნივთიერები არ არის, მაგრამ ვერ ხსნის ამ ფაქტს, თუ რატომ კარგავს წყალი მინერალურ თვისებებს მილებში. ამ მიზნით დაინიშნა მეორე კომისია აბასთუმნის სამხედრო გარნიზონში.

სსლმ-18652 ხელნაწერის ტექსტი წარმოადგენს გაზეთ „კავკაზის“ გამოცემის შესახებ ახალი ხელშეკრულების პროექტს. ხელშეკრულების ეს პროექტი განსხვავდება ადრე არსებულისგან, რომელიც ბატონ ვორონოვის მიერ იყო შედგენილი. უპირველესად, კონტრაქტის მე-2 პუნქტის თანახმად, უნდა გამოიცეს წელიწადში 360 (ან 330) ნომერი ნაცვლად 280-სა; ნომრის ღირებულება თავისი ქალაქით, ბეჭდვით, ჰონორარით შესაძლებელია განისაზღვროს 147 მანეთით. შესაბამისად, დამატებითი 50 ნომერი უკვე შეადგენს 7350 მანეთს. მეორეც, მე-4 პუნქტის თანახმად, გაზეთ „კავკაზს“ ერთმევა პირველ გვერდზე განცხადებების ბეჭდვის უფლება. გაზეთის გამომცემლის აზრით, ეს შეზღუდვა გაზეთს დააზარალებს დაახლოებით 1000 მანეთით. ახალი ხელშეკრულების თანახმად, გაზეთი აუცილებლად მთავარი სამმართველოს სტამბაში უნდა დაიბეჭდოს, იქ კი 3 მანეთით მაღალია ბეჭდვის ფასი, ვიდრე კერძო სტამბებში. ასე რომ, ყოველდღიური გამოცემა დაჯდება 990 მანეთი. საერთო ჯამში კი ახალი კონტრაქტით შეცვლილი ხარჯები შეადგენს 9240 ლარს. ავტორი წერს, რომ მიუხედავად ახალი კონტრაქტის შედეგად გაზრდილი ხარჯისა და მძიმე მატერიალური მდგომარეობისა, მან მაინც გადაწყვიტა გაზეთის გამოცემა ლიტერატურული ნაწილის გაუმჯობესების ხარჯზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ხაზინიდან მიიღებს იმავე

სუბსიდირებას, როგორც ჰქონდა ბატონ ვორონოვს¹. აქვე უნდა გაითვალისწინონ ის ფაქტიც, რომ თუკი ნომრების რაოდენობა შემცირდება, შესაბამისად, შემცირდება ხარჯებიც.

საინტერესოა **ოფიციალური ღონისძიებების** აღწერა დავით ერისთავის თვალთ. მაგალითად, ხელნაწერ სსლმ-18675-ში, რომელიც ალექსანდრე გრიბოედოვის გარდაცვალებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების აღწერაა, ავტორი აღნიშნავს, რომ 30 იანვარს 50 წელი სრულდება გრიბოედოვის გარდაცვალებიდან. ცნობილ მწერალს ბევრი რამ აკავშირებდა საქართველოსთან. ის წლების განმავლობაში ცხოვრობდა აქ და დაკრძალულია თბილისში. ბუნებრივია, ამ დღის აღნიშვნა თბილისისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ადგილისთვისო. გრიბოედოვის თაყვანისმცემლებს სურთ სათანადო პატივი მიაგონ დიდ მწერალს. შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა იუბილეს ორგანიზება. კომიტეტმა დააწესა გრიბოედოვის პრემია. საზოგადოებაც აქტიურად ჩაერთო ამ საქმეში. სადღესასწაულო ღონისძიებები დაიწყო 28 იანვარს, როცა მოეწყო გრიბოედოვის ნაწარმოებ(ებ)ის კითხვა. დარბაზი ვერ იტევდა მსურველებს. ფასიც მისაღები იყო და ვარაუდობდნენ, რომ 180 მანეთი შეგროვდებოდა. მაგრამ გაცილებით მეტი ადამიანი მოვიდა, რომლებიც დერეფანსა და გვერდით ოთახში ფეხზე მდგომი უსმენდნენ. თანხამ 325 მანეთი შეადგინა. სადამო გახსნა დავით ერისთავმა, რომელმაც წაიკითხა გრიბოედოვის ბიოგრაფია. ცნობილმა ორიენტალისტმა ა. პ. ბერჟემ წაიკითხა სამგლოვიარო დეპეშა თეირანიდან. გრიბოედოვის შემოქმედებაზე ისაუბრა ა. ი. პალშმა, რომელმაც განიხილა ყველა გამოხმაურება კომედიაზე „ვაი ჭკუისაგან“. ასე დასრულდა პირველი დღე. სამშაბათს, 30 იანვარს, ხალხი დილიდანვე დაიძრა წმინდა დავითის მონასტრისკენ. 11 საათზე საზეიმო ღონისძიება გაიხსნა კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეთა მისალმებით. მათ მოიტანეს გრიბოედოვის ბიუსტი და ყვავილწნულები. ბრძანების მიუხედავად, მრავალი სამხედრო პირი ესწრებოდა ღონისძიებას. მაყურებელთა უმრავლესობას ახალგაზრდები და ქალები შეადგენდნენ. 12 საათზე ეგზარქოსმა გრიბოედოვის საფლავზე პანაშვიდი გადაიხადა. სადამოს თეატრშიც და თეატრალურ წრეშიც დანიშნული იყო სპექტაკლი „ვაი ჭკუისაგან“. გაფორმება და სპექტაკლის კოსტიუმები იყო სპეციალურად მომზადებული და შეკერილი ამ სადამოსთვის. მიუხედავად იმისა, რომ პალშმა სტატიაც კი დაბეჭდა მოწოდებით, რომ გაეღოთ შემოწირულობა „გრიბოედოვის დრამატული სკოლისთვის“, მისი ვაჟი, ანტერპრენერი პალში, ნამდვილად არ იზიარებს მამის განწყობას. მეტიც, მან არ დართო ნება ნემიროვა-რალფს, რომ მოყვარულებთან ერთად მიეღო მონაწილეობა ამ სპექტაკლში. წერილის ბოლოს ავტორი აღნიშნავს, რომ ახლახან შეიტყო მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც კავკასიის პრესას ეხება. სასამართლომ გაამართლა „ობზორის“ რედაქტორი ბატონი ნიკოლაძე ცენზურის ნებართვის გარეშე დაბეჭდილი სტატიის გამო. გაჩნდა საშიშროება, რომ რედაქტორებმა არ გამოიყენონ ეს პრეცედენტი და ცენზურის გარეშე დაბეჭდონ თავიანთი გაზეთები, ამიტომ ადმინისტრაციამ მიიღო ზომები. გუშინ ამასთან დაკავშირებით გაიმართა სხდომა.

თუმცა გვხვდება **კრიტიკული წერილებიც**, მაგალითად, სტატია ანტონ რუბენშტეინის „დემონის“ შესახებ, რომელსაც შეიცავს ხელნაწერი სსლმ-18642. ხელნაწერი არის თავნაკლული, დაზიანებული. გამოყენებულია შავი მელანი და დაწერილია რუსულ ენაზე. ჩასწორებული და გადახაზულია შავი მელნით. სტატიის ავტორი ხელნაწერში მითითებული არ არის, მაგრამ, სავარაუდოდ, დავით ერისთავია. ავტორი აღნიშნავს, რომ თანამედროვე ოპერასა და მუსიკას არა აქვს ჰარმონია. აღმოსავლურ მუსიკას არ შეუძლია ოპერის სტილზე გაწყობა. რუბენშტეინმა რომ ვერდისგან ისწავლოს კეთილსინდისიერება, არაფერი დაშავდება. ვერდიმ „აიდას“ შექმნამდე 2 წელი ეგვიპტეში გაატარა. აქ კი რა ხდება - ბატონი

¹ ნიკოლაი ვორონოვი (1832-1888) - ჟურნალისტი, გაზ. „კავკაზის“ რედაქტორი 1877-1881 წლებში, ანუ დავით ერისთავის წინამორბედი გახლდათ ამ პოსტზე.

კიუნერი¹ კავკასიაში ქმნის „ტარას ბულბას“, ხოლო რუბენშტეინი პეტერბურგში წერს „დემონს“. ამას დაამატეთ ისიც, რომ, როგორც გაზეთები იტყობინება, ფორტიფიკაციის პროფესორი ცეზარ კიუი² მუშაობს „კავკასიელ ტყვეებზე“. აი, ეგ იქნება მუსიკა!

კრიტიკული წერილებიდან აღსანიშნავია დავითის წერილი ზიჩის მხატვრობასთან დაკავშირებით. ეს გახლავთ ხელნაწერი სსლმ-18683, რომელიც შეიცავს საინტერესო ფაქტებს. წერილი ჩასწორებული შავი მელნით, წითელი და ცისფერი ფანქრით. მართალია, ავტორი მითითებული არაა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ვვარაუდობთ, რომ ეს არის დავით ერისთავის წერილი. ის აღნიშნავს, დედაქალაქის გაზეთებში დაიწერა, რომ პუშკინს ნაკლებად გაუმართლა, ვიდრე ლერმონტოვს, რადგან ლერმონტოვის თხზულების ილუსტრაციები შეასრულა ზიჩიმ. განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას ორ ილუსტრაციაზე: „თამარის ცეკვა“ და „თამარი კუბოში“. როდესაც კავკასიელები ამ ილუსტრაციების შესახებ ასეთ აღტაცებულ შემახილს ვისმენტ, ძალიან გაკვირვებული ვართ და ვიმედოვნებთ, რომ გამოჩნდება პუშკინის თხზულებათა სხვა ილუსტრატორი, რომელიც თავის საქმეს ბევრად უფრო კეთილსინდისიერად მოეპყრობა, ვიდრე პროფესორი ზიჩი. ბატონი ზიჩი იღებს სიუჟეტებს კავკასიური ყოფიდან, მაგრამ მათში კავკასიური არაფერია. მაგალითისთვის ავიღოთ „თამარის ცეკვა“. თამარი ცეკვავს სახლის სახურავზე. საქართველოში ასეთი სახურავები არასოდესაა გაფორმებული ლუი XIV-ის სტილში, როგორც ეს ზიჩის ილუსტრაციიდან ჩანს. მიწის იატაკი დაფარულია გობელენით მოხატული ხალიჩით. სხვათა შორის, პროფესორი ზიჩი რომ შესულიყო ხალატოვის აღმოსავლური საქონლის მაღაზიაში, სხვანაირ მოხატულობას ნახავდა. თამარს აცვია უცნაური კაბა, რომლის მსგავსიც გვხვდება იმ ფრანგი მოგზაურების ნახატებში, რომლებსაც ფეხიც არ გაუდგამთ პარიზიდან. კაბა მოკლეა, ზემოდან მოსხმული ტუნიკით, რომელიც შეკრული აქვს რაღაც ლენტით; ქართული თავსაფრის ნაცვლად ქუდი ახურავს; ვუალი დაუდევრად აქვს მოგდებული, თმები ჩამოშლილი. ცეკვისას თამარს მოუჩანს ფეხები, რაც სირცხვილად ითვლება საქართველოში. ლეკურის მთელი ხიბლი იმით გამოიხატება, რომ მოცეკვავს არ უნდა უჩანდეს ფეხები. ნაცვლად ულამაზესი დაირისა, თამარს ცეკვისას უჭირავს ჯარისკაცის დაირა. ზიჩი რომ კეთილსინდისიერად მოპყრობოდა თავის საქმეს, პეტერბურგშივე შეეძლო გასცნობოდა ქართულ დაირას. თავად თამარი არის უშნო გრძელწარბება ქალი, მაგრამ არაქართველი. რაც შეეხება მამაკაცებს, ისინი მართლაც შესანიშნავი ტიპაჟები არიან, იმერული კოსტიუმებით. ნეტავ რატომ გამოსდის ზიჩის მამაკაცების პორტრეტი უფრო კარგი, ვიდრე ქალების? ძალიან მარტივი პასუხი აქვს ამ კითხვას - მამაკაცები ამ ნახატზე ნატურიდანაა შესრულებული. ადვილად ვიცნობთ ჩვენი ნაცნობების სახეებს: თავადი წერეთელი, გურიელი და სხვები, რომლებიც პეტერბურგში იმპერატორის კორონაციისთვის ჩაბრძანდნენ თავიანთი ბრწყინვალე კოსტიუმებით. ეს დეპუტატები მართლაც შეუდარებლად(აა) არიან გამოსახული ჟურნალში «Художественные Листок» და ზიჩიმაც იქიდან გადმოხატა. რაც შეეხება მეორე ნახატს, „თამარი კუბოში“, უპირველესად, თვალშისაცემია კუბოზე დაყრილი უამრავი ყვავილი. საქართველოში არ არის კუბოზე ყვავილებისა და ყვავილწუნულების დაყრის ტრადიცია. ამასთანავე, თამარს ხელები წინ აქვს გაშვერილი, საქართველოში კი მიცვალებულს ხელები გულზე აქვს დაკრეფილი ჯვრის ფორმით. მიცვალებულის სახეც შესანიშნავადაა შესრულებული, მაგრამ რაც თვალშისაცემია, მიცვალებული თამარი ქართული სამოსითაა შემოსილი და თან ფოტოგრაფიული სიზუსტით. საინტერესოა, თუკი პროფესორი ზიჩი ასე კარგად იცნობდა ქართულ ტანსაცმელს, რატომ არ ჩააცვა ის ცოცხალ თამარს? თამარის მამა შესანიშნავია. ვერ მოვწყდით სურათს. ეს იმიტომ, რომ მას პროტოტიპი ჰყავდა პეტერბურგში მყოფი ერთ-ერთი ქართველი თავადის სახით. მამის ტანისამისი არ ჩანს, მაგრამ ეს მცირედი

¹ ვასილი კიუნერი (1840-1911) - რუსი კომპოზიტორი, პიანისტი, მევიოლინე.

² ცეზარ კიუი (1835-1918) - რუსი კომპოზიტორი, კრიტიკოსი, ინჟინერი.

„ცოდვა“ შეიძლება ვაპატიოთ სახის ექსპრესიულობის ფონზე. სხვა სახეებიც კარგია. რას ვხედავთ საბოლოო ჯამში? როდესაც ფერმწერი ხატავს ცოცხალი ნატურის მიხედვით, ნახატები შესანიშნავია; სადაც ფანტაზირობს, მისი ნახატები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. არა მხოლოდ ამ ორ პატარა ნახატს, ერმიტაჟში გამოფენილ ზიჩის დიდ ნახატებსაც ეს ნაკლი აქვს. როდესაც ერთ-ერთი უდიდესი პოეტის შემოქმედების ილუსტრაციებს ამზადებ, მხატვარი მეტი კეთილსინდისიერებით უნდა მოეკიდო საქმეს და (უნდა) გაეცნო მაინც კავკასიის იმ ყოფას, რომელსაც მოდელად იყენებ.

დავით ერისთავს მხედველობიდან არც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობა გამორჩენია, რადგან მისი წევრი თავად გახლდათ და საკმაოდ კარგი ჩანაწერიც დატოვა. ეს ჩანაწერი ხელნაწერ სსლმ-18610-შია. იგი მნიშვნელოვანია არა იმიტომ, რომ ფაქტს ასახავს, არამედ იმიტაც, რომ დაწერილია საოცარი იუმორით. ავტორი აღნიშნავს, რომ სასიამოვნო აზრი, ადადგინონ პოემის ტექსტი, მოუვიდა ბატონ მეუნარგიას. შემდეგ კი ამ საქმეში ჩაერთვნენ ბატონები: მესხი, ჟორდანი, გულამე, დ. ერისთავი, აბდუშელი, პეტრე უმიკაშვილი; ამასთანავე, ამ საქმეში მონაწილეობენ ქართული დასის ორივე სქესის წარმომადგენლები. ეს აზრი იმდენად გენიალურია, რომ ავტორებს შეიძლება სიცოცხლეშივე ძეგლი დავუდგათ. ეს ბატონები წარმოაჩენენ რუსთაველს და ზოგჯერ მას „ამავებენ“ კიდევ. დიდო რუსთაველო, აპატიე მათ ეს ცოდვები, ვინაიდან პოემის რესტავრატორებმა არ იციან, რას სჩადიან. ქართლის წარმომადგენლები სასიამოვნოდ დამარცხდნენ ცეცხლოვან კოლხეთთან! ბედნიერ გამონაკლისად შეგვიძლია მივუთითოთ თავადი ნიკოლოზ დადიანი, რომელიც გვაოცებს ფენომენური მეხსიერებითა და ქართული ენის ცოდნით. მან ზეპირად იცის მთელი „ვეფხისტყაოსანი“. როცა ის კითხულობდა, სხვები ამოწმებდნენ წიგნით ხელში. მას არ გამოეპარება არც ერთი უზუსტობა. მეტიც, შეუძლია ძველი სასულიერო წიგნებიდან არათუ თავის, არამედ გვერდის მითითებაც კი. ის გამოირჩევა თავმდაბლობით. მაგალითად, როდესაც რაიმე უცნობი სიტყვა გაჩნდება, ეგრევე იწყება ისეთი ქაოსური დებატები, რომ დამაკმაყოფილებელ აზრს ვერ გამოიტან. კამათობენ, კამათობენ და ბოლოს ახსენდებათ თავადი დადიანი. ის კი თავმდაბლურად იტყვის სიტყვას და ყველაფერი ცხადი ხდება. მაგალითად, ასეთი კამათი იყო სიტყვების - „თავი“ და „თივა“ - გარშემო...

დავით ერისთავის მემკვიდრეობის შესახებ ბევრად მეტის საუბარი შეიძლება და ამის საშუალებას ლიტერატურის მუზეუმში დაცული მისი არქივი ნამდვილად იძლევა.

ღირსეული მამულიშვილი ახალგაზრდა, 43 წლის ასაკში, გარდაიცვალა. მისი ძეგლის კვარცხლბეკზე ამოკვეთეს აკაკი წერეთლის გამოსათხოვარი ლექსი: „ღირსმა ერის ძემ, თვით ერისთავმა, სამშობლოსათვის დასდგა „სამშობლო“.

ვფიქრობ, დროა, ჩვენც შესაფერისი პატივი მივაგოთ მამულიშვილს, რომელმაც მხოლოდ „სამშობლო“ არ დაგვიტოვა, არამედ ბევრად მეტი მემკვიდრეობით გაგვანებივრა და ჩვენგანაც მეტ ყურადღებასა და პატივისცემას იმსახურებს.

გამოყენებული წყაროები:

ლიტერატურის მუზეუმში დაცული ხელნაწერები:

სსლმ-18588,

სსლმ-18594

სსლმ 18597

სსლმ-18624

სსლმ-18625

სსლმ-18708

სსლმ-18604

სსლმ-18605
 სსლმ-18750
 სსლმ-18747
 სსლმ-18629
 სსლმ-18686
 სსლმ-18628
 სსლმ-18602
 სსლმ-18701
 სსლმ-18652
 სსლმ-18675
 სსლმ-18642
 სსლმ-18683
 სსლმ-18610

Ia Ghadua,
Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature

Davit Eristavi's Unknown Archive

Summary

The Georgian society knows Davit Eristavi as the son of Giorgi Eristavi and the author of the famous play “The Homeland”. Nevertheless, David Eristavi is a much more versatile creator and public figure, as evidenced by the extremely interesting, rather extensive and varied archive preserved in the Department of Manuscripts of the Museum of Literature, which is in fact, unpublished and thus unknown to the public.

Davit Eristavi's archive contains poems, short stories, translations, plays, publicistic and personal letters, as well as records that bring to life important and interesting aspects of the public, cultural and social life of Georgia of the 19th century. Hundreds of his personal letters bear special interest. We think that the details, stories, personalities that we find in Davit Eristavi's epistolary legacy, will trigger other researches as long as they represent the source of various processes from the eyewitness himself.

Several autographed collections preserved in the archive include poems, many of which have not been published so far. Especially interesting are Davit Eristavi's dramatic works, translations, feuilletons, official correspondence and letters, such as those linked to the “Kavkaz” newspaper (The Caucasus), for which he was an editor himself; critical letters, for example, about Zichys's paintings; also a detailed description of official events, such as the event dedicated to the 50th anniversary of Alexander Griboyedov's death. Of particular note are the recordings in which Davit Eristavi describes the work of the Commission of the Study of the text “The Knight in the Panther's Skin”, whose member

he was. These recordings feature amazing humor and show details that no other source can actually provide.

Thus, it is time for the descendants to pay homage to the patriot, who made it possible for us to indulge a truly amazing legacy.

**პოტე ლოშიძე,
წმინდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი**

გალაკტიონის ერთი ლექსის საიდუმლო

გალაკტიონ ტაბიძის ლირიკული და ეპიკური ნაწარმოებები შოთა რუსთაველთან მრავალი ასპექტითაა დაკავშირებული. პოეტის „ვეფხისტყაოსნისადმი“ დამოკიდებულება შემოქმედების სხვადასხვა ეტაპზე მკვეთრად იცვლებოდა. სწორედ პოემის რეცეფციის არაერთგვაროვნებამ განაპირობა ის, რომ გალაკტიონის შოთა რუსთაველთან მიმართების სპეციფიკას თითქმის მთელი საუკუნეა იკვლევენ. დღესდღეობით სხვა საკითხებთან ერთად გალაკტიონოლოგთა ინტერესის საგანია გალაკტიონისეული „ახალი რუსთაველის“ იდეა, პოემა „მშვიდობის წიგნი“ — ავტორი „ახალ ვეფხისტყაოსნად“ რომ მოიაზრებდა და 1944 წელს გამოცემული კრებული, რომლის თითოეულ ლექსს ეპიგრაფად რუსთაველის სტრიქონები უძღვის.

გალაკტიონის რუსთაველთან მიმართების კვლევის ხანგრძლივი ისტორიის მიუხედავად, ტექსტი, რომელზეც ვისაუბრებ, დღემდე გაანალიზებული არ ყოფილა.

ვგულისხმობ ლექსს „მეგლის გახსნა“, რომელიც პოეტის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ — 1950 წელს გამოქვეყნდა. გალაკტიონის აკადემიური თორმეტტომეულის მეხუთე ტომში, ამ ლექსის კომენტარში ნათქვამია: „...შინაარსის მიხედვით იგი 1942 წლით თარიღდება, რადგან მასში ლაპარაკია მოქანდაკე მერაბიშვილის მიერ შესრულებულ შოთა რუსთაველის მეგლის გახსნაზე, რომელიც აღნიშნულ წელს დაიდგა თბილისში“ (ტაბიძე, 1967, გვ.401).

რეალური ფაქტის — შოთა რუსთაველის მეგლის გახსნისადმი მიძღვნილმა ნაწარმოებმა ყურადღება უცნაური დასაწყისის გამო მიიქცია. ნაწარმოების პირველ სამ სტროფში ჩვენთვის უცნობი „მგოსნის“ სტრიქონებია ციტირებული:

„წერდა მგოსანი: „თაყვანს ვერ ვცემ,
ვით წმიდათ წმიდას,
ჯირკს, ოქრო-ვერცხლის ბრჭყვიალებით
თვალთა მწამებელს.

არ ჩამოვართმევ ხელს არასდროს
ცილისმწამებელს,

თავს არ დაფუკრავ პირმოთნესა
და ვიგინდარას.

მაგრამ მარადის სათაყვანო
დღეთ უსივრცოთა,
როგორც ყველასთვის, ისე ჩემთვის -
ძეგლია: შოთა!..“
(ტაბიძე, 1967, გვ. 132).

ამის შემდეგ ლექსი ძეგლის გახსნის თემით გრძელდება. პოეტი ცდილობს ამოხსნას ძეგლის „აზრი“, უფრო ზუსტად ის, თუ რას უნდა ნიშნავდეს, რომ რუსთაველს ხელი გულზე უდევს:

„მას ნიშნავს მარად წმინდა გულზე
ხელის დადება,
როგორც საქვეყნო აღსარება
და განცხადება:
რომ გზა გენიის უმართლესის,
ეს არის მისი —
მხოლოდ და მხოლოდ, ისევ მხოლოდ
სუფთა სინდისი!“
(ტაბიძე, 1967, გვ. 132).

ლექსის ფინალი, რომელშიც „სუფთა სინდისია“ ნახსენები, ერთი მხრივ, ეხმაურება ნაწარმოების დასაწყისს — „მგოსნის“ სიტყვებს, რომელიც გამორიცხავს უსინდისობთან ურთიერთობას, მეორე მხრივ კი, უკავშირდება გალაკტიონის ლირიკაში ამ პერიოდში არსებულ „ლიტერატურული სინდისის“ თემას, რომელსაც მისი არაერთი ნაწარმოები ეძღვნება.

ტექსტის პათოსი არის ლიტერატურული სინდისის აუცილებლობა. პერიოდი, როდესაც ლექსი იწერება, მკვეთრად იდეოლოგიზებული, არცთუ დიდი ხნის გავლილია 1937 წელი და მივიწყებულია ლიტერატურული სინდისი. ეს ის პერიოდია, როცა ახალმა „უნდობარმა ხანმა“ სისხლსა და ცხედრებთან ერთად მოიტანა შიში და სინდისის ხმის შესუსტება. სწორედ იმ დროს წერს გალაკტიონი ლექსს „ძეგლის გახსნა“ და ხელოვანებს შეახსენებს შემოქმედისთვის უპირველესს — სინდისს.

როგორც აღვნიშნე, გალაკტიონი ლექსში მოხმობილ ციტატას „მგოსანს“ მიაწერს. ვის უნდა გულისხმობდეს პოეტი: რეალურად არსებულ ავტორზე მიგვანიშნებს, თუ ეს მხოლოდ ფორმალური საკუთარი აზრების, შეხედულებების გამოსათქმელად? ამ კითხვაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა მოგვცა გალაკტიონის საარქივო გამოცემაში დაბეჭდილმა ტექსტმა, რომელიც მცირე ცვლილებებით მეორდება საანალიზო ლექსში. ეს ტექსტი გალაკტიონის თარგმანია, იქვეა მითითებული ორიგინალის ავტორიც — ჰაინრიხ ჰაინე:

„სალამს არ მივცემ პირმოთნესა და ვიგინდარას,
თაყვანსაცემად ვარდს არ ვუძღვნი მე რაგინდა-რას,
თაყვანს ვერა ვსცემ, როგორც რამე წმინდათა წმინდას,
ჯირკს, ოქრო-ვერცხლში ბრჭყვიალებით თვალთა მწამებელს.“
(ტაბიძე, 2005, გვ. 671).

მართალია, გალაკტიონთან გერმანელი ავტორის ნაწარმოების სათაური არ იყო დაზუსტებული, მაგრამ ჰაინეს თხზულებათა გადათვალისწინების შემდეგ პირველწყაროს დადგენა არ გაგვიჭირდება. დამოწმებული სტროფი გერმანელი რომანტიკოსის ერთ-ერთი სონეტის დასაწყისის თარგმანი აღმოჩნდა¹. ჰაინეს ტექსტი, რომლითაც გალაკტიონი დაინტერესებულა, თავის მხრივ, 9 სონეტისგან შემდგარი ლირიკული ციკლის პირველი ლექსია. ავტორს ეს ციკლი 1819 წელს მიუძღვნია ახლო მეგობრისთვის — ქრისტიან ზეტესთვის - სათაურით „ფრესკო-სონეტები ქრისტიან ზ.-ს“. აღსანიშნავია, რომ გალაკტიონის ავტოგრაფშიც არის გადახაზული მიძღვნა: „მეგობარ პოეტს“. ეს შეიძლება დედნისეული სათაურის გამოძახილი იყოს².

გაგაცნობთ ჰაინეს ნაწარმოების ქართულ თარგმანს:

ფრესკო-სონეტები ქრისტიან ზ.-ს³

ქვიშით გატენილ ოქროს კერპთა ვარ მე მძრახველი,
გუნდრუკს არ ვუკმევ, მათთან ცეკვა მე არ მახარებს;
ხელს არ გავეუწვდი ორპირსა და ქლესა მასხარებს,
ნაფლეთებად რომ სურთ მიქციონ სათნო სახელი.

ფუქსავატ ქალებს, ვინც სირცხვილის რკალში ტრიალებს,
არ შემიძლია მოვუხარო მონურად ქედი:

ბრბოს არ გავეყვები, ზვიად კერპებს რომ ანდო ბედი,
ჩაგვრის ეტლის წინ რომ ადიდებს თავის ტირანებს.

ვიცი, რომ ტანი დაიმსხვრევა ძალუმი მუხის,
ლერწმის ღეროს კი, წყაროსთან რომ ქარსაც ქედს უხრის,
თვითონ გრიგალი ჩაუვლის და როდი დალეწავს.

მაგრამ მითხარი, რა სიამე ელის ამ ლერწამს? —

ჯოხად დაიჭერს ვინმე დენდი და უსაქმური,
ან მტვრის საბერტყად დაიკავებს ხელში მსახური.
(ჰაინე, 1978, გვ. 100).

¹ გალაკტიონის გერმანულ ლიტერატურასთან და კერძოდ, ჰაინესთან მიმართების საკითხი ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში შესწავლილია. ვგულისხმობ ვენერა კავთიაშვილის ნაშრომს „გერმანული ლიტერატურულ-ესთეტიკური რეცეფციები გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“ (2006 წ.), თუმცა, ამის მიუხედავად, დასახელებული ლექსის გერმანულ პოეტთან კავშირი არ ყოფილა შენიშნული.

² ასევე არაა გამორიცხული, გალაკტიონი „მეგობარ პოეტში“ გულისხმობდეს საკუთარ თავს. მის შემოქმედებაში (უფრო ხშირად ნაწარმოებთა ვარიანტებში) გვხვდება ამგვარად დასათაურებული ტექსტები, რომლებშიც არაა რთული ადრესატად გალაკტიონის ამოცნობა. ლექსის სავარაუდო ადრესატის დასადგენად ერთ-ერთი ხელნაწერის ზუსტი თარიღი — 1948.28.IV — შეიძლება გამოვიყენოთ. პოეტს იმავე 1948 წლის 28 აპრილს დღიურში ჩაუნიშნავს: „1903 - დაიბადა ა. მაშაშვილი (ა. მირცხულავა) - პოეტი, ორდენოსანი. უი, უი!“ ეს ჩანაწერი აჩენს თვალსაზრისს, რომ შესაძლოა სწორედ ალიო მირცხულავას ეძღვნებოდეს ნაწარმოები; კერძოდ, გალაკტიონი საკუთარ შემოქმედებით მრწამსს გამოხატავდეს მასთან, როგორც მედროვე და ლიტერატურულ სინდისთან მწყრალად მყოფ პოეტთან, მიმართებით.

³ გერმანულიდან თარგმნა აკაკი გელოვანმა.

როგორც ვხედავთ, ჰაინეს ლექსის იდეა არის უსამართლობასთან შეურიგებლობა, ტირანიის წინ აღდგომა, თუნდაც დაღუპვის ფასად. ლირიკული გმირს არ სურს რაიმე საერთო ჰქონდეს მონურ მორჩილებაში მყოფ, თვითმპყრობელობის წინაშე თავდახრილ ადამიანებთან, მისალმებაც კი მათ ფასეულობებთან თანაზიარებას ნიშნავს.

გერმანელი ავტორის ლექსის თემა ტოტალიტარულ სახელმწიფოში მცხოვრები გალაკტიონისთვის ახლობელი რომ იქნებოდა, ვფიქრობ, სრულიად გასაგებია. ჰაინეს განწყობილება ქართველი პოეტის სულისკვეთებასაც გამოხატავდა და ალბათ სწორედ ამგვარი დამთხვევის გამო გადაწყვიტა პოეტმა ამ სონეტის თარგმნა.

რადგან გალაკტიონი გერმანულ ენას არ ფლობდა, ვფიქრობ, იგი ჰაინეს ლექსის რუსულ თარგმანს უნდა გასცნობოდა. სავარაუდოდ, ეს იქნებოდა 1900-იანი წლების დასაწყისში ჰაინეს ექვსტომეულის მეხუთე ტომში გამოქვეყნებული ტექსტი. საფიქრებელია, რომ გალაკტიონმა სწორედ ამ თარგმანით ისარგებლა:

ФРЕСКО-СОНЕТЫ ХРИСТИАНУ С.

Пред истуканами в мишурной позолоте
Не стану я плясать, курить им фимиамъ,
И ни за что своей руки я не подамъ Тем,
кто грязнить меня готов в своем болоте.

И к идолам толпы, подемя льстивый взоръ,
Не побегу предъ их победной колесницей,
Какъ не склонюся я пред наглою блудницей,
Чтб на показ несет золбченный позоръ.

Я знаю, подъ грозой могучий дубъ валится,
Тростник же гибкий бурь нимало не боится,
И мимо пронеслась опасность въ тотъ же мигъ;

Зато потом на трость, онъ к фату попадаетъ,
Да Пыль из платья имъ служитель выбиваетъ—
Чтб-жь, много выиграл въ конце концовъ тростникъ?
(ჰაინე, 1904, გვ. 45-46).

როგორც ჩანს, გალაკტიონმა დაიწყო ჰაინეს სონეტის მისთვის საინტერესო მონაკვეთის თარგმნა, შემდეგ როდესაც საკუთარ ლექსზე მუშაობდა, ნათარგმნი ტექსტი თავის ორიგინალურ ნაწარმოებში შეიტანა.

როგორც ითქვა, ჰაინეს ლექსი სონეტია, გრაფიკული თვალსაზრისით გალაკტიონის ნაწარმოები არ ტოვებს სონეტის შთაბეჭდილებას და არც არის კლასიკური სახის სონეტი, თუმცა ლექსი 14 ტაეპისგან შედგება, რაც სონეტის ერთ-ერთი მახასიათებელი ნიშანია; ასევე საინტერესოა ისიც, რომ გალაკტიონს თავიდან უცდია კიდევ სონეტის გარითმვის სისტემის დაცვა, მაგრამ ეს პრინციპი მხოლოდ პირველ კატრენშია გატარებული, ხოლო დანარჩენი ლექსი მოსაზღვრე რითმითაა გამართული. გარითმვის სისტემის ამგვარი ცვლილებით ჰაინეს სიტყვები, გარდა ბრჭყალებისა, ფორმის მხრივაც განცალკევებით დგას მთელ ლექსში.

საყურადღებოა ერთი ასეთი დეტალიც: ჰაინეს ბრჭყალებში ჩასმულ სიტყვებს უშუალოდ აგრძელებს იმავე ბრჭყალებში მოქცეული სტროფი¹, რომელიც გერმანელ ავტორთან, რა თქმა უნდა, არ გვხვდება:

მაგრამ მარადის სათაყვანო
დღეთ უსივრცოთა,
როგორც ყველასთვის, ისე ჩემთვის -
ძეგლია: შოთა!..

როგორ უნდა აიხსნას ეს ფაქტი? აშკარაა, პოეტი ცდილობს, მის მიერ ციტირებული ტექსტის ავტორად რომელიმე ქართველი „მგოსანი“ მივიჩნიოთ, ან კიდევ — მარტივად ვერ ამოვიცნოთ ნაწარმოები, რომელზეც იგი ლექსის დასაწყისში მიგვანიშნებს. შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონი მიმართავს გაუცხოების ხერხს, თან ამგვარად ჰაინეს ციტატიდან თავისი ლექსის უშუალო თემაზე — რუსთაველის ძეგლის გახსნაზე — ბუნებრივად გადადის.

რაც შეეხება ლექსის შექმნის თარიღს, ვფიქრობ, ნავარაუდები 1942 წელი არ უნდა შეესაბამებოდეს რეალობას, თუმცაღა ნაწარმოები იმ პერიოდში გახნილ ძეგლს ეძღვნება. პოეტის ერთ-ერთ ავტოგრაფში, როგორც ითქვა, ლექსი დათარიღებულია 1948 წლის 24 აპრილით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძეგლის გახსნის პირველი შთაბეჭდილებით გამოწვეული სტრიქონები პოეტმა მართლაც 1942 წელს დაწერა, მაგრამ ჰაინესაგან ნათარგმნ ტექსტთან მხოლოდ 1948 წელს დააკავშირა, საბოლოოდ კი 1950 წელს გამოაქვეყნა.

როგორც ჩანს, პოეტი იმ პერიოდში სინდისის საკითხზე ბევრს ფიქრობდა, 50-იან წლებში მას დაუწერია ლექსი სათაურით „სუფთა სინდისი“, რომელშიც ასევე ლიტერატურულ სინდისიერებაზეა საუბარი. ჩანაწერებში გვხვდება კომენტარიც ამ ტექსტზე: „მე მინდა, გესაუბროთ იმ ძალზე დავიწყებულ საგანზე, რომელსაც სახელად ჰქვია ლიტერატურული სინდისი. ამ თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, თქვენ კარგად იცით, რომ ჩემ მიერ დაწერილია არა ასი, არა ორასი, არა ათასი, არამედ შვიდი ათასი ლექსი და პოემა. ჩემ მიერ სიყრმითვე არჩეული გზა თავიდანვე მხარდაჭერას პოულობდა ისეთი ტიტანების მხრით, როგორიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი... მე მამხნევებდა და მამხნევებს [ტრადიციული] ლიტერატურული სინდისის ასეთი მკაფიო გამოვლინება“.

როგორც ჩანს, მისთვის აქტუალურ თემაზე - ლიტერატურულ სინდისზე - ფიქრისას გალაკტიონს ჰაინრიხ ჰაინეს სონეტი გაახსენდა, თარგმნა ამ სონეტის ყველაზე უფრო მძაფრი სტრიქონები, შემდეგ კი ორიგინალური ნაწარმოების შექმნისას გერმანელი მწერლის სიტყვები, მის პოზიციასაც ზუსტად რომ გამოხატავდა, შოთა რუსთაველს, უფრო ზუსტად, რუსთაველის ძეგლის გახსნას დაუკავშირა. თუმცა არც ეს დაკავშირება ყოფილა შემთხვევითი, რადგან „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი გალაკტიონისთვის მუდამ პირუთვნელობის სიმბოლო იყო. გავიხსენოთ თუნდაც ფრაგმენტი სათაურით „შოთა რუსთაველი“, რომლის სიახლოვე ჩვენთვის საინტერესო ლექსთან ეჭვს არ იწვევს:

„[ყოველ მასხარას, ყოველ გამვლელს და ვიგინდარას, -
დღეს რომ ბატონობს ასე ურცხვად საქართველოში...]

¹ ლექსის სამივე ავტოგრაფი ასახავს ნაწარმოებზე მუშაობის პროცესის სხვადასხვა ეტაპს. ხელნაწერებზე დაკვირვებისას ვეცნობით, როგორ ცდილობს პოეტი დააკავშიროს ჰაინესგან ნათარგმნი ტექსტი და რუსთაველის ძეგლის გახსნის გამო დაწერილი სტრიქონები. ამ დამაკავშირებელ ფრაზად სწორედ მესამე სტროფი უნდა მივიჩნიოთ. აღსანიშნავია, რომ ეს სტროფი ჰაინესგან ნათარგმნ სტრიქონებთან (პირველ-მეორე სტროფებთან) ერთად ბრჭყალებშია ჩასმული ლექსის პირველნაბეჭდშივე (თხზულებანი რვა ტომად, ტომი VII, 1950).

[ჩვენი ამ სისხლის წვიმების დროში
დაე, განათდეს შენი სახელი,
როს თავზე გვადგას მკაცრი ჯალათი...]"

სხვა ლექსში „გამბედავო და მაგარო ხელო“ გალაკტიონი ლიტერატურული სინდისის საკითხზე კვლავ რუსთაველთან მიმართებით გვესაუბრება, ხოლო პოემაში „მშვიდობის წიგნი“ იგი „ვეფხისტყაოსანს“ სინდისის მეტაფორად აქცევს („წიგნი — სიცოცხლე, წიგნი — სინდისი“).

ასე დაუკავშირა გალაკტიონმა ტოტალიტარულ ეპოქაში საკუთარი შემოქმედებითი მრწამსის გამოსატქმელად ერთმანეთს გერმანელი კლასიკოსი — ჰაინრიხ ჰაინე და შოთა რუსთაველი — მისთვის უცვლელი ორიენტირი შემოქმედებით გზაზე. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ამ კონტექსტში მოხმობა სრულიად ბუნებრივია, რადგან მეოცე საუკუნის უპირველეს ლირიკოსს თავი - „ახალ რუსთაველად“, ახალი ეპოქა — გალაკტიონის ეპოქად, საკუთარი შემოქმედება კი რუსთაველის პოემის კვლად წმინდა სინდისით შექმნილად მიაჩნდა.

დამონშებული ლიტერატურა:

1. ტაბიძე, გ. (1967). თხზულებანი: 12 ტომად. ტ. 5. ლექსები. თბილისი. საბჭოთა საქართველო.
2. ტაბიძე, გ. (2005). საარქივო გამოცემა 25 წიგნად. წიგნი 8. თბილისი. ლიტერატურის მატეიანი.
3. ჰაინე, ჰ. (1978). თბილისი. საბჭოთა საქართველო.
4. Гейне, Г. (1904). Полное собрание сочинений. Том 5.

**Kote Lomidze,
St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate
of Georgia**

The secret of one verse of the Galaktion

Summary

In the totalitarian era, Galaktion expressed his position and attitude to the current situation in various ways. A significant part of his 1921-1959 work is still studied in this respect. While working on "Galaktion and Rustaveli" my attention was drawn to the poem "Opening a Monument" dedicated to Shota Rustaveli and to be written on the 750th anniversary of "The Knight in the Panther's Skin".

Of particular interest was the extensive verse quotation included in Galaktion's poetic text. The search revealed that the lines quoted in the work belong to the German romanticist Heinrich Heine. Although the issue - the German literary-aesthetic recipes in Galaktion's work - has been studied, this

fact has not been noted to date. It is also noteworthy that in the Galactic Archive there was a text by Heinz translated by the poet, with minor modifications to the section of analysis that is of interest to us.

After studying and comparing the poetic text and Heine's lines, it became clear that the "opening of the monument" - a poem written by a seemingly ordinary fact - is actually a critical reference to Galaktion's reality. The poet says his word in a word, but if we take into account the historical-literary context, then the content of the work is perceived more precisely and strongly.

The period when Galaktion's poem was created was dramatically ideologized, 1937 year's repression and repression, the literary conscience forgotten, as the new "distrustful age", along with blood and corpses, brought fear and weakened conscience. In this context, the poem "Opening a Monument" Galaktion reminds creators of the Creator first - the conscience.

The poet thinks a lot about the issue of literary conscience during this period. In the 50's he wrote a poem entitled "Pure Conscience" which also speaks of conscience. There is also a comment by Galaktion on this text. Similarly interesting is the fragment entitled "Shota Rustaveli", which approaches thematically, in content as well as lexically, to the analytical poem - "Opening the monument".

ეათევან ხითარისვილი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

გურამ რჩეულიშვილის მიმოწერა – მწერლის შემოქმედებითი პროცესისა და ლიტერატურული ხედვის ამსახველი წყარო

გურამ რჩეულიშვილის მიმოწერა 1942-1960 წლებით თარიღდება. საერთოდ, საზოგადო მოღვაწისა თუ მწერლის ეპისტოლური მემკვიდრეობა ის ნარატივია, რომელიც ეპოქას აცოცხლებს, უტყუარი და სანდო წყაროა და ადრესანტის ხასიათის ძირითად შტრიხებს გვიჩვენებს. წერილები წარმოდგენას გვიქმნის მწერლის საურთიერთობო წრის შესახებაც. მისი ადრესანტები და ადრესატები არიან: ერლომ ახვლედიანი, გურამ გეგეშიძე, ვახტანგ ჭელიძე („ცისკრის“ რედაქტორი), ნუგზარ წერეთელი, ნათელა ჯავახიშვილი, მარინე რჩეულიშვილი, მიხეილ გრობმანი და სხვები. მწერლის ეპისტოლური მემკვიდრეობა მკითხველის წინაშე წარმოაჩენს მისი ხანმოკლე, თუმცა ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის პროცესს, მოთხრობების გამოცემის ისტორიას და გამოკვეთს მის ლიტერატურულ გემოვნებას.

მწერლის პირად არქივში შემონახულ მიმოწერაში ასახულია მისი მოთხრობების პუბლიკაციის და მათი გამოქვეყნების შემდგომ პერიოდთან დაკავშირებული ისტორიები. გურამ რჩეულიშვილი რეალურ ამბავს გადმოგვცემს მოთხრობაში „სიკვდილი მთებში“. მწერლის შემოქმედებიდან მისივე სიცოცხლეში დაიბეჭდა მხოლოდ 7 მოთხრობა და მათ შორის ეს ნაწარმოებიც, რომელიც დღემდე მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ შედეგად რჩება. „სიკვდილი მთებში“ ცნობილი გერმანელი მწერლისა და მოგზაურის, ალფრედ კურელასა და მისი მეუღლის მოგზაურობის ნამდვილ ამბავს მოგვითხრობს

ხევსურეთში. 1928 წლიდან გერმანელ მწერალს საქართველოსთან დიდი მეგობრობა აკავშირებდა. კურელა 3 წელი ცხოვრობდა აფხაზეთში. მან თარგმნა ვაჟა ფშაველას პოემები, ს. ჩიქოვანის, ი. აბაშიძის, ი. ნონევილის ლექსები. ასევე დაწერა კ. გამსახურდიას რომანის „დიდოსტატის მარჯვენას“ გერმანული გამოცემის ბოლოსიტყვაობა. 1956 წელს გამოსცა დასურათებული ალბომი „მშვენიერი კავკასია“.

წყვილი არაერთ ადგილას იყო ნამყოფი, მათ შორის სვანეთშიც. მოთხრობის მსვლელობისას ისინი ხევსურეთში არიან, უსაბულო ცხენებიან დოღზე საუბრობენ და კურელას ცოლს ცხენზე შეჯდომა და გაჭენება მოუხდებოდა... გურამ რჩეულიშვილი, რომელიც იმ დროს ნოდარ ჩხეიძესთან, ვაჟა გიგაშვილთან და გიორგი შენგელიასთან ერთად იყო ექსპედიციაში, როგორც მოწმე, საინტერესო მანერით აღწერს მათ თავს დატრიალებულ ტრაგედიას. აქ აღწერილია სხვადასხვა კულტურის შეხება, კულტურათა კონფლიქტი და ადამიანის ბუნება; ჩვენი ქვეყნის თვალთ დანახული უცხოელი და უცხოელის თვალთ დანახული საქართველო. განსაკუთრებით საინტერესოაა გადმოცემული სიკვდილის აღქმისა და განცდის ფსიქოლოგიური ასპექტები.

გურამ რჩეულიშვილის მიმოწერაში ინახება რუსულენოვანი წერილი, რომლის ადრესატია სწორედ გერმანელი მწერალი ალფრედ კურელა. წერილი თარიღდება 1957 წლით. მასში აღნიშნულია, რომ ქართველმა მწერალმა დაწერა მოთხრობა „სიკვდილი მთებში“, რომელიც ასახავს კურელას მეუღლის ტრაგიკულ აღსასრულს ხევსურეთში. ადრესანტი წერს, რომ ელპიდე ასხენებს ბებიას – ალექსანდრა ჯავახიშვილს, რომელსაც განსაკუთრებულად დიდ პატივს სცემდა. ამ წერილით გ. რჩეულიშვილი სთხოვს ადრესატს თანხმობას ამ მოთხრობის ჟურნალ „ცისკარში“ დაბეჭდვის თაობაზე; ასევე აცნობებს, რომ ნაწარმოებში უცვლელად დატოვებს ალფრედ კურელასა და მისი მეუღლის – ელპიდეს – სახელებს, თუ ადრესატი წინააღმდეგი არ იქნება (რჩეულიშვილი, 2007, გვ. 28). მწერლის არქივში არ ინახება ალფრედ კურელას საპასუხო წერილი, თუმცა, სავარაუდოდ, მან ნებართვა მიიღო, რადგან ჟურნალ „ცისკარის“ 1958 წლის მე-2 ნომერში დაიბეჭდა გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა „სიკვდილი მთებში“, რომელშიც უცვლელადაა დატოვებული ალფრედ კურელასა და მისი მეუღლის სახელები. მწერლის პირად არქივში შემონახული წერილებით აგრეთვე ირკვევა, რომ ახალგაზრდა მწერლის ეს მოთხრობა დადებითად შეაფასეს მისმა მეგობრებმა და ქართველმა მწერლებმა. 1958 წლით 22 მაისით დათარიღებულ წერილში გურამ რჩეულიშვილის დედა – მარიამ ნიჟარაძე – წერს, რომ 19-20 მაისს იყო მწერალთა კავშირში და განიხილეს ჟურნალ „ცისკარის“ ახალი ნომერი:

„გრიგოლ აბაშიძეს უქიხარ მეტისმეტად, როგორც ძალიან დიდი მომავლის მქონე მწერალი, მშრომელი ახალგაზრდა... ალიო მირცხულავა, რომელსაც აღუნიშნავს ყველა შენი ნოველა, განსაკუთრებით სიცოცხლით და გრძნობით დაწერილიაო და ბევრი კარგი მხარე... მეორე დღისით გამოსულა სიმონ ჩიქოვანი, რომელსაც კარგად გაურჩევია ნაწერები და დაუსაბუთებია, რა, რატომ არის კარგად დაწერილი, მთელი ხალხი აღტაცებით შეხვედრია... ჩიქოვანს მოსწონებია „სიკვდილი მთებში“, უთქვამს, ეს ფილოსოფიური ნაწარმოებიაო, ძალიან გამიკვირდა, როცა გავიგე ამის დამწერი 23 წლის ყოფილაო... აქ ისეთი გრძნობაა, ისეთი მხატვრული გაფორმებით, რომ უკვე შეიძლება ითქვას ამის დამწერი ნამდვილი მწერალია, რომელზეც შეიძლება დიდი იმედები დავამყაროთო და მაღლობა გადაუხდია „ცისკარის“ რედაქციისათვის, რომ ამჟღავნეთ ასეთი ახალგაზრდა და წარადგინეთ საზოგადოების წინაშე...“ (რჩეულიშვილი, 2007, გვ. 139-140).

უნდა აღნიშნოს, რომ გ. რჩეულიშვილის ეპისტოლეები ძირითადად უფრო მის ბიოგრაფიას აცოცხლებს, წერს საყოფაცხოვრებო პრობლემებზე, ასევე ჩანს გატაცება ალპინიზმითა და არქეოლოგიურ ექსპედიციებში მონაწილეობა. ფაქტობრივად მის პირად არქივში დიდი რაოდენობით არ მოიძებნება ის წერილები, რომლებიც მის შემოქმედებას

ეხება. 1958 წელს ახალგაზრდა მწერალი მოსკოვში წერს პიესა „მარინას“. მოსკოვიდან გამოგზავნილ წერილებში ჩანს ამ პიესაზე მუშაობის კვალი, აგრეთვე, რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ოჯახის წევრებისა და მეგობრების აზრს თავის ნაწარმოებთან დაკავშირებით. მიხეილ რჩელიშვილი, მწერლის მამა, იწონებს პიესა „მარინას“ იდეას, თუმცა აძლევს რამდენიმე შენიშვნას სიუჟეტთან და ნაწარმოების ენასთან დაკავშირებით. მაგალითად, ქოფაკი თათრულია, იყოს ძალდი ან მეცხვარული ძალდი, სკრიპკა - ვიოლინო, „ბუნებაში იყო შეზრდილი“ უნდა იყოს „ბუნებასთან იყო შეზრდილი, მუხური წმინდა ავლაბრული სომხურია და ქართულად აყალ-მაყალს, კინკლაობას ნიშნავს, არ არის კარგი, როდესაც ყველა შენი და შენი ამხანაგების სახელებია. საჭიროა შეიცვალოს სხვა სახელებით და ასე შემდეგ...“ (რჩელიშვილი, 2007, გვ. 145-146). მარინე რჩელიშვილი წერს დედის აზრს ამ პიესის შესახებ: „გურამ, შენი პიესა მივიღეთ დღეს. ჯერ არ წამიკითხავს. წავიკითხე ბოლოსიტყვაობა... დედამ შენი პიესა უკვე წაიკითხა. ეტყობა ძალიან მოეწონა, მაგრამ აზრი თავშეკავებულად გამოთქვა. ეს კი მითხრა - იმედი მომეცაო, ისე წავიკითხე როგორც სხვისი დაწერილი წიგნიო“ (რჩელიშვილი, 2007, გვ. 156).

ვფიქრობთ, ოჯახის წევრებისა და მეგობრების ჩართულობა მისი შემოქმედების განხილვაში მწერლისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნებოდა და, ამასთანავე, ახალი ნაწარმოების დასაწერადაც ერთგვარი მუხტი და მოტივაცია. მარინე რჩელიშვილი იხსენებს, რომ ერთხელ, როდესაც მან გურამის ახლად დაწერილი მოთხრობა კარგად ვერ გაიგო, ამის პასუხად განაწყენებულმა მწერალმა უთხრა: „მე შენთვის ვწერდი, ალბათ, ახლა სხვა მკითხველი უნდა ვეძებო“ (რჩელიშვილი, 2004, გვ. 400).

გურამ რჩელიშვილის მიმოწერის მიხედვით, მისი ლიტერატურული ინტერესების დიაპაზონი საკმაოდ ფართოა. ის ორიგინალში კითხულობდა ქართულ, რუსულ და ნაწილობრივ გერმანულ მწერლობას. წერილებში ვხვდებით მის დამოკიდებულებას ხელოვნებისადმი, ლიტერატურისადმი, განცდებს ამა თუ იმ ნაწარმოების წაკითხვისას და სხვადასხვა პერსონაჟის მისეულ შეფასებას. ერთ-ერთ წერილში მწერალი ხელოვნების კრიზისზე გვესაუბრება. განსაკუთრებით საინტერესოა გურამ რჩელიშვილის მიერ იმ თვისებების წარმოჩენა, რომლებიც უნდა ახასიათებდეს ჭეშმარიტ შემოქმედს. ხელოვანი უნდა იყო გულწრფელი, რა თქმა უნდა, ინტელექტუალიც, თუმცა ინტელექტთან ერთად უპირველესად განვითარებული უნდა ჰქონდეს ინტუიციაც, მხოლოდ ინტელექტუალიზმი მისთვის მნიშვნელოვანი არ არის და ხელოვნების დაკნინების ერთ-ერთ ნიშნად მიიჩნევა: „... ჩვენ ყველანი ვხედავთ რა დაცემის წინა დგას ხელოვნება საერთოდ მსოფლიოში - თუნდაც პიკასო, სიცოცხლეშივე გენიოსის გვირგვინით შემკული, ან ავიღოთ რომელიმე დიდი წარმომადგენელი აბსტრაქციონიზმისა, მიუხედავად ერთი შეხედვით მხოლოდ ემოციების, შინაგანი განწყობის, მხოლოდ განწყობის გადმოცემისა (ყველაზე დიდი პრეტენზია მათ ამაზე აქვთ)... თუ ჩავუღრმავდებით, უცნაური კედელი დგება ჩვენს წინ, თუნდაც დროის მცირე მონაკვეთში, თვითეული ხაზი გონებაში იმდენად მუშავდება... რომ მისი გონებრივი მუშაობის პროცესის ტექნიკური გადაღებაც კი გახდა შესაძლებელი სულ იოლი გზით“ (რჩელიშვილი, 2007, გვ. 94).

მისი აზრით, ტექნიკურმა განვითარებამ და რაციონალიზმმა ჩაკლა სილამაზის აღქმის უნარი, რაც ყველაზე საშური და მნიშვნელოვანია ხელოვანისთვის. გურამ რჩელიშვილისთვის ძნელია ნაკადულის მშვენიერების აღწერა, როცა „საშინლად დაღეჭილად“ იცნობს მის ქიმიურ შედგენილობას, ასევე შეუძლებელია იფიქროს იმაზე, თუ „რას დუდუნებს მტკვარი“, როცა ის „ყველაზე საჭიროა ჰიდროელექტროსადგურისთვის“. მიუხედავად ეპოქის პრაგმატული აზროვნებისა, გამოთქვამს ოპტიმიზმს, რომ სილამაზისა და მშვენიერების ხელოვნებისეული აღქმა ისევ იარსებებს: „უპოეზიოდ ჩიტი და ყვავილიც არ გაუჩენია მაღალ შემოქმედს“ (რჩელიშვილი, 2007, გვ. 95).

გურამ რჩეულიშვილისთვის რუსთაველი გამორჩეულია. პოემა განსაკუთრებულია როგორც სიუჟეტით, ფაბულით, ისე ლიტერატურული გმირების შინაგანი სამყაროთი, ხასიათით. მისთვის რუსთაველთან ჩანს „ქართველის სულიერი სილალე“. მწერლის აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ ცუდი და კარგი, სიკეთე და ბოროტება კანონზომიერადაა მოცემული, სწორედ ცუდი, ანუ ბოროტება არის ის მოტივაცია, რის გამოც ერთად შეყრილან სხვადასხვა ერის შვილები: „ცუდიც კარგია, ცუდმა შეყარა არაბი, სპარსი და ინდოელი უკვდავ მეგობრებად“. ასე რომ, სიკეთე ერთიანდება ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

1960 წლის 23 იანვრით დათარიღებული წერილი, რომლის ადრესატია ვახტანგ ჭელიძე („ცისკრის“ რედაქტორი), ეხება გურამ რჩეულიშვილის მოთხრობათა ციკლის „ჩემი ლიტერატურული შეხედულებების“ („ირინა და მე“, „ალავერდობა“, „დღიური“) დაბეჭდვის საკითხს. ძირითად მიზეზად, რის გამოც არ იბეჭდებოდა „ჩემი ლიტერატურული შეხედულებები“, რეცენზენტთა მიერ დასახელებული იყო მწერლის იდეოლოგია. ადრესანტი ვახტანგ ჭელიძესთან, როგორც ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორთან, გულწრფელად საუბრობს თავისი იდეოლოგიისა და დამოკიდებულების შესახებ მიმდინარე ლიტერატურული პროცესებისა და საკუთარი შემოქმედების მიმართ. წერილში გ. რჩეულიშვილი ხაზს უსვამს მოთხრობათა ციკლის სრულად დაბეჭდვის აუცილებლობას, რათა მკითხველი უკეთ გაეცნოს მწერალსა და მის მრწამს. აღსანიშნავია, რომ ის განსაკუთრებულად იბრძოდა ამ ნაწარმოების დასაბეჭდად, რაც გარკვეულწილად მარცხით დასრულდა. საბოლოოდ გადაწყდა მოთხრობათა ციკლის დაბეჭდვა, თუმცა მწერალთან შეუთანხმებლად მას უხეშად შეეხო ცენზურის ხელი. ახალგაზრდა მწერლის და, მარინე რჩეულიშვილი, ამ საკითხის შესახებ წერს: „საბჭოთა სისტემა ზოგადად და კონკრეტულადაც, ცენზურის სახით, იყო ის ცხოვრებისეული ჩარჩო, „ბაკანი“, აუღებელ კედლად რომ აღიმართა ჩემის ძმის ხანმოკლე შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე. ამ კედლს ის მთელი სიმძაფრით შეეჯახა „ჩემი ლიტერატურული შეხედულებების“ პუბლიკაციის პერიოდში. მწერლისთვის იმ დროს გაირკვა, რომ მის მიერ დაწერილი ვერცერთი „არაყალბი“ სიტყვა მის სიცოცხლეში დღის სინათლეს ვერ ნახავდა“ (რჩეულიშვილი, 2004, გვ. 410).

ვახტანგ ჭელიძისადმი მიწერილ წერილშივე იკითხება გურამ რჩეულიშვილის მოთხრობის „ნელი ტანგოს“ ძირითადი იდეა. ავტორი ამ ნაწარმოებთან დაკავშირებით თავისი დროის მკითხველის აღქმას გვაწვდის; თითქოსდა სიკვდილი არ არის ტრაგედია და კანონზომიერია ისიც, რომ მის მერე ცხოვრება ჩვეულებრივად გრძელდება. გურამ რჩეულიშვილისთვის მოთხრობის ასეთი გაგება მხოლოდ ნაწილობრივია მისაღები, მისთვის ტრაგიკულია თავად სიკვდილიც და მით უფრო ისიც, რომ ცხოვრება ამ ტრაგიკული ფაქტის შემდეგ ჩვეულ კალაპოტში დგება: „... ნაწარმოებში ეს ამბავი იმიტომ კი არ არის მოცემული, რომ სიკვდილი არაფერია, არამედ იმიტომ, რომ ავტორისთვის უზარმაზარი ტრაგედიაა თავისთავად სიკვდილი და ის გარდაუვალი ფაქტი, რომ მაშინვე, ახლო წამშიც კი, ცხოვრება თავისი გზით გრძელდება. ეს ჩემი განწყობა, როგორც ეტყობა, ნაწარმოების სუსტი მხატვრობის გამო, შიგ არა ჩანს“... ვფიქრობთ, მწერლის ეს აზრი განსაკუთრებულად ფასეულია და დაეხმარება მკითხველს ნაწარმოების სწორად გაგებაში.

წაკითხულის გააზრებისას მწერალი ხშირად პოულობს თხზულების პერსონაჟთა მსგავსებას თავის ნაცნობ-მეგობრებთან, წიგნის სიუჟეტური გარემოს მსგავსებას კი – ქართულ რეალობასთან.

1959 წელს თბილისიდან ხოსტაში დედასთან – მარიამ ნიჟარაძესთან – გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ წყალტუბოში ყოფნისას გ. რჩეულიშვილს ორი მოთხრობა დაუწერია, მისივე თქმით, „ფოლკნერის სტილში“. მისი დის, მარინე რჩეულიშვილის აზრით, ეს მოთხრობები უნდა იყოს „თეთრი მონები“ და „ნათელა“ ან „გოგან გაგანია“ (რჩეულიშვილი, 2007, გვ. 122). მკვლევრები, მაია ნინიძე და მაია ჯანგიძე, ამ მოთხრობების შესწავლის საფუძველზე აღნიშნავენ, რომ მწერალს ფოლკნერის გავლენით უნდა დაეწერა მხოლოდ

„თეთრი მონები“ და „გოგან გაგანია“ (ნინიძე, ჯანგიძე (2019) ინტერტექსტუალობა გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში. *სჯანი*. 20/2. გვ. 137).

გურამ რჩეულიშვილის ეპისტოლეებში გარკვეულწილად იკითხება მისი შემოქმედებითი მუშაობის პროცესი, ლიტერატურული საქმიანობა, მისი თანამედროვეების დამოკიდებულება და შეფასებები. წერილების შესწავლა წარმოაჩენს მის ლიტერატურულ გემოვნებასა და შეხედულებებს.

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი N FR-18-5776, პროექტი – „ახალი ტექსტოლოგიური კვლევები და გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანე“ (ორენოვანი გამოცემა).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნინიძე, მ., ჯანგიძე მ. (2019). *სჯანი*. 20/2. თბილისი.
2. რჩეულიშვილი, გ. (2004). თხზულებათა სრული კრებული 6 ტომად (III ტ.). თბილისი. საარი.
3. რჩეულიშვილი, გ. (2007). თხზულებათა სრული კრებული 6 ტომად (IV ტ.). თბილისი. საარი.

KeTevan Khitarishvili

Korneli KeKelidze Georgian National Centre of Manuscripts

Correspondence of Guram Rcheulishvili – source depicting the Creative process and literary view of the writer

Summary

Guram Rcheulishvili's letters are dated by 1942-1960. His epistolary heritage revives for the readers though short but productive creative work process of the writer, the history of publication of his stories and underlines his literary taste. Particular attention should be paid Guram Rcheulishvili's letter in Russian language sent to Alfred Kurella, German writer. The letter says that the writer has written a story "Death in the Mountains", describing tragic death of Kurella's spouse in Khevsureti. According to the writer's correspondence, the range of his literary interests is quite wide. In the letters we can see his attitude towards the literature, his feelings when reading one or another piece of literature and his assessment of different characters. His notes about creation of one or another work

is very interesting and valuable as well, in particular, that he wrote some works under the influence of William Faulkner or other writers.

Guram Rcheulishvili's epistolary heritage provides full picture of his literary activities and his personality.

**ქეთევან შარივაძე,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

განმეორებით მიღწეული ექსპრესია ოტია ოსელიანის ნოველებში

ქართულ ენას ექსპრესიული ფუნქციის რეალიზების ძალიან მდიდარი არსენალი აქვს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული შესაძლებლობები მოეპოვება ლექსიკას.

მიმართება მხატვრულ აზროვნებასა და მხატვრულ ენას შორის არ არის უბრალო და მარტივი. სიტყვის ოსტატი იმიტომაც ჰქვია მოაზროვნე მწერალს, რომ ის უფრო მგრძნობიარეა ენის გამომსახველობითი საშუალებების მიმართ და უფრო მძაფრად აღიქვამს კონკრეტულ შემთხვევაში მათ უკმარისობას თავისი მხატვრულ-სტილისტური მიზნებისთვის.

აქედან იღებს სათავეს ინდივიდუალური სიტყვათშემოქმედება, რაც ყოველი ნიჭიერი მწერლისთვის არის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი.

ამ მხრივ განმეორებას, როგორც ერთ-ერთ გავრცელებულ მხატვრულ საშუალებას, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლის შემოქმედებითი პროცესისთვის. იგი მოვლენის ან რაიმე ნიშნის ემოციურ-ლოგიკური ხაზგასმის საშუალებაა.

„ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები წარმოუდგენელია გმირთა ინდივიდუალიზების გარეშე, მათი გარეგნული თუ შინაგანი თვისებების გამოკვეთის გარეშე. ხასიათების გამოკვეთისა და ინდივიდუალიზების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას კი წარმოადგენს მათივე მეტყველება. ამიტომაც, რომ სიტყვის გამოჩენილი ოსტატები ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ პერსონაჟთა მეტყველებას, ბევრს მუშაობდნენ მისი დახვეწისა და სრულყოფისათვის“ (ჭუმბურიძე, 1956, გვ.73).

გამეორება დამახასიათებელია ზეპირმეტყველებისთვის. „გაბმულ ტექსტში (მეტყველებაში) გარკვეული დროის შემდეგ ხდება მოცემულის განმეორება, რადგან მეტყველი ფიქრობს, რომ მსმენელმა უკვე დაივიწყა ადრე ნათქვამი და ცდილობს, აღადგინოს იგი მსმენლის მეხსიერებაში“ (ენუქიძე, 1987, გვ.121).

გამეორების სხვადასხვაგვარი შემთხვევა არსებობს: ბგერითი, მორფოლოგიური, ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური თუ სინტაქსური. ოტია ოსელიანის ნოველებში ვხვდებით ყველა ზემოქანოთვლილ შემთხვევას, რომელთა მეშვეობით მწერალი უფრო ნათლად გადმოსცემს საკუთარ აზრს, სიღრმისეულად გვიჩვენებს პერსონაჟთა ხასიათს, შინაგან ბუნებას.

1. მეორდება მსგავსი ბგერები თუ მორფემები, რომელთა ერთობლიობა ქმნის მუსიკალურობას, რიტმს, განსაკუთრებით ხშირია ზმნისწინთა განმეორების შემთხვევები:

უნდა იცოდეს, როგორ ჩაიყოლოს, ჩაითვაგონოს, ჩაისხეულოს (III, 268).

მერე გამოვბარავდით, გამოვთოხნიდით, გამოვჩიქნიდით, გამოვბდღვნიდით სარეველას (I, 170).

უნდა მიდგე-მოდგე, მიხვიდ-მოხვიდე, მიიარ-მოიარო, იმგზავრო, იმოგზაურო (I, 35).

დამარიგა, დამიყვავა, დამითაფლა, დახლიდან გამოგორდა (I, 162).

ჩამოვიდა თუ ჩამოლოლოლიადა(?), ჩამოფორთხიადა (III, 43).

მატარებელი მიხრგინებს, მირახრახებს, მიჰქრის (IV, 131).

რომ შემოვა, შემოგვეცავს, შემოგფუთნის, შემოგიგორდება (III, 384).

გამოივანდნენ, გამოკოინდრდნენ, გამოეზოჭიშკარდნენ (I, 108).

ჩამოწვეს, ჩამოინგრეს, ჩამოშვადეს (VI, 13).

რა მექნა, რომ დავბერდი, დავუძღურდი, დავჩაჩანაკდი (IV, 173).

თუ მაგრად გავაძლებთ, გავსესავთ და გავლემავთ, მოეწონებით (IV, 79).

ამისთანა ჩამწიფებულ-ჩაქარვებული, ჩამტკბარ-ჩათაფლული ჯერ არაფერი მინახავს (III, 435).

გადავწყდი, გავსავათდი, გავსკდი ნაღველზე (I, 72).

მერე ის მისაშველებს, მიშეღავათებს, გამამაგრებს (I, 84).

2. გამეორებული ელემენტები უმთავრესად მორფოლოგიური ელემენტებია - პრეფიქსები, სუფიქსები ან პრეფიქს-სუფიქსები:

თუ ესენი არა: შემპარავი, დამცინავი, გამქირდავი, თუ ესენიც არა: სანდომიანი, ნდომიანი, ვნებიანი (I, 205).

გადმოდიოდა უქარიშხლოდ, უნიავეპაროდ, თითქოს აუძღვრევლადაც კი, აუზავთებლად, გაუმძვინვარებლად, აუტალახებლად... (I, 615).

ჰყვება ამ მთისას და ბარისას, სავსე მთვარისას, მეწყერისას, ჩანჩქერისას, ნაძრახისას, გრძნეულებისას და ალქაჯისას (II, 188).

უსიყვარულოდ მიუდის წუთისოფელი, უყველაფროდ, უთავბოლოდ, უმიზნოდ, უმომაველოდ... (III, 215).

ასე ნახევარწყალწყალა დარჩენილიყო, გაუმთლიანებელი, უტოლფერო, შეუუღლებელი, შეუწყვილებელი (IV, 17).

ჩანს მოცისფერო, მოთეთრო, მოღრუბლისფერო (IV, 143).

ვუკრავთ უმაღავათოთ, უკომპრომისოდ, უსაშველოდ (I, 108).

ისეა მთელი ზეცა მოკასკასებული და გაფარანებული, მზით გავსებული (IV, 50).

შევატყვე, დამრტყმელი და დამარბეველი ვინმე იყო (IV, 65).

3. განსაკუთრებით ხშირია ზმნის განმეორების შემთხვევები. მწერალი ზმნას იმეორებს სხვადასხვა მიზნით: მოქმედების გასაძლიერებლად, რაიმე ფაქტის გამორჩეულობის აღსანიშნავად, პერსონაჟის მეტყველებისა და მისი ხასიათის წარმოსაჩენად. აქ განირჩევა ორი შემთხვევა, ორი ძირითადი ნაკადი:

ა) როცა ზმნები უშუალოდ ემეზობლება ერთმანეთს (ასეთი შემთხვევები უფრო ხშირია):

წისქვილი ფქვავს, ფქვავს და ფქვავს (II, 88).

რომ წავიდა, წავიდა და წავიდა (II, 430).

გავრბოდი და გავრბოდი, სანამ ქანცი არ გამიწყდებოდა (IV, 240).

ჩამცხო და ჩაცხო, ჩამცხო და ჩამცხო მაყრის კობივით, რომ წამოუშინა და წამოუშინა, იმან მოგვაგებინა (VI, 198).

ურემი მიდის, მიდის და მიდის (I, 190).

რაკი წავიდა, წავიდა და წავიდა (III, 43).

მივდივარ, მივდივარ, მაგრამ ჯერჯერობით არ ვიცი, საით **მივდივარ** (IV, 7).

მუხლჩაუხრელად ვივლი და ვივლი, ვივლი და ვივლი (IV, 9).

ბ) შემთხვევები, როცა ზმნები დამორებულია ერთმანეთს:

მოწვიმს, _ ხვიხვიხებდა ლუკაია, _ **მოწვიმს**, არ **მოწვიმს** (II, 43).

ირწევა, უბერავს ქარი და **ირწევა...ირწევა** და ანათებს (II,42).

იგოცხლეთ, კეთილებო, **იგოცხლეთ!** _ შაქარივით დადნა სერაფიონი (III, 86).

გავცეცხლდი, მაგრამ რა **გავცეცხლდი** (IV,86).

4. ექსპრესია ძლიერდება მაშინ, როცა შერწყმულ წინადადებაში ზმნის სინონიმური წყვილებია მოცემული, რაც საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა მწერლის შემოქმედებაში:

დევისვენე, მოვეშვი, მოვდუნდი, გავფუფუნდი, გავსუქდი, გავზულუქდი, აღდგომის კვერცხივითა ვარ (IV, 99).

რა მექნა, რომ დავბერდი, დავუძლურდი, დავჩაჩანაკდი (IV,173).

შეიძლება მართლა ბევრი იჯახიროს, იწვალოს, იშიმშილოს, დაოსდეს (IV,183).

დედამიწავ, სამშობლო, საყრდენო, ფუძე, მარჩენალო, მაცოცხლებელო, ვტირი, ვქვითინებ, ვიცინი, ვხითხითებ (IV,201).

მოშივდეს, მოწყურდეს, იშრომოს, იჯახიროს (III,172).

ცრუობენ, ატყუებენ, აცუცურაკებენ ერთმანეთს, თაღლითობენ, მამამაღლობენ (VI,86).

აქ წერია: აგაშენებთ, აგაყვავებთ, დაგასახლებთ, გაგაკეთებთ, ქერის ორმოში ჩაგსვამთო (IV, 211).

თითქოს მე გამეშიშვლებინოს, გამეფცქვანას, გამეძარცვოს, გამედატაკებინოს (IV,185).

უცადე, უცადე, დაიღლები, დაოსდები, დაიქანცები (III,17).

5. მეორდება ნებისმიერი მეტყველების ნაწილი:

ბიჭს თვალი არ გაუსწორო, არ შეხედო, არ დაელაპარაკო, არ დაემგზავრო (III,16).

ვინმე იმღერებს ან ილაყებებს, ან გამოიდარებს, ან ხასიათზე მოხვალ, ან რაღაც იქნება (II, 109).

მიდის, მიდის, ჩქარა, ჩქარა (II, 13).

თეთრი სახლები, თეთრი ხიდები, თეთრი მთები, თეთრი ფერდობი (II,13).

უიმედო და **უსასოო**, ვინც ხელში მოჰყვა, იმას ეცა (I, 33).

არავითარი **საშველი** და **სახსნელი** არ გააჩნდა (I, 33).

მივდივართ **ხან** აღმა, **ხან** დაღმა, **ხან** რომელ სადგურში დავასობთ ფეხს და **ხან** რომელ მოსახვევში დავაფრთხობთ თეთრხალებიან ხბოს (II, 9).

ვუცქერ ქალაქს **დღისითაც** და **ღამითაც**, **დღისითაც** და **ღამითაც** (II, 97).

ვივლი **შარა-შარა**, **ბილიკ-ბილიკ**, **გზასა** და **ნაგზურში** (IV, 3).

ცრუ და **ფლიდი** ატყუებს **პატიოსანსა** და **ალალ-მართალს** (IV, 86).

რატო, რატო და **ვინ, ვინ, ვინ?** (V, 91)

რაღაც გავიწყდება, **რაღაც** ზედმეტი გვაქვს, **რაღასაც** ვერ ვშოულობთ (IV,112).

6. მწერალი იმეორებს მთელ ფრაზას პერსონაჟის ხასიათის უკეთ გადმოსაცემად და საკუთარი აზრის ნათელსაყოფად:

რა ვუყოთ, რომ ღამეა, **რა ვუყოთ**, რომ მთვარე დავახშმებუღია (II, 46).

ვერ დავიჯერებ, **ვერა** და **ვერ დავიჯერებ** (III,181).

დილაამდე აგონიით ვარ გათანგული, **ვიწვი** და **ვიფერფლები**, **ვიწვი** და **ვიფერფლები** (V,64).

ჯორივით ჯიუტია, ჯორივით კი არა, ჯორია (III,110).

ვიჯმნი ეშმაკისაგან, ვიჯმნი ეშმაკისაგან, ვიჯმნი ეშმაკისაგან (I,402).

7. საანალიზო მასალაში უხვადაა წარმოდგენილი იდიომები, რომელთა სინონიმური ვარიანტების გამოყენებით მწერალი ახერხებს პერსონაჟთა ინდივიდუალიზებას, მათი ხასიათის უკეთ წარმოჩენას:

რა ჭაპანი არ ვწიე, რა რკინის უღელში არ შევბმულვარ (IV, 172).

უარესს დაგმართებენ და ცეცხლზე ნავთს გისხამენ, დამწვარზე ლადას გაყრიან (IV, 216).

ჩამეიქცა ქვეყანა, გამოვარდა ცას სვეტი (IV,43).

ქალს მალლა არ აუხედია, ცის ფერი დაავიწყდა (II, 39).

ლოგინში ლადას შემოგიყრის, ქვას გასროლინებს და თავს შეგაშვერინებს (II, 101).

რატომ ფეხები არ დაგტყდა, რატომ ურემი არ გადაგიბრუნდა, რატომ ხიდი არ ჩაგენგრა (II, 43).

არც ხელს და ენას არ აჩერებდა, ხელიდანაც და ენიდანაც ცეცხლი ცვიოდა (I, 28).

ვითომ ქვეყანა დეექციოს კი არა, ბუზიც არ აეფრინოს (I, 129).

დანა კბილს არ გვიხსნის, ცეცხლი და არმური გვეჭამა, არ გვერჩია? (I, 204)

ცას სვეტი რომ გამოვაცალეთ, გვეგონა და ქვეყანა თავზე ჩამოგვემხო (I, 322).

რა ჯარხანა გქვია შენ, რომ გამტანჯე, ჯვარს მაცვი და მიწასთან გამასწორე? (III, 20)

სისხლგაყინულს ცეცხლი წაგიკიდა, აღმოდებული გულიც საგულეს დაგიბრუნა და გულშიც ღველფი ჩაგინთო (V, 390).

ამდენად, ოტია იოსელიანის შემოქმედება პოეტური ფრაზით გამთბარი სამყაროა, რომელშიც სიტყვათა წყობა წინადადებაში მხატვრული მიზნებითაა განპირობებული. ყოველი ფიგურის მიზანია გათვალისწინოება, ემოციის გაძლიერება (ბიბლიეიშვილი, 2008, გვ. 98). მწერალი ხშირად მიმართავს გამეორებას, როგორც მხატვრულ ხერხს, რითიც აღწევს ექსპრესიას, ხატოვნად გადმოგვცემს ნაწარმოების ძირითად შინაარსს, სიღრმისეულად გვიჩვენებს მოქმედ პირთა შინაგან სამყაროს და ამავე დროს, მეტ სიცხადეს ანიჭებს თითოეულ ფრაზას, მკითხველზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბიბლიეიშვილი, გ. (2001). ოტია იოსელიანის მხატვრული სამყარო. ბათუმი.

ენუქიძე, ლ. (1987). ძირითადი სინტაქსური თეორიები. თბილისი. მეცნიერება.

ზვიადაძე, თ.(2009). მწერლის ენისა და სტილის საკითხები. თბილისი.

იოსელიანი, ო. (2006). თხზულებანი, ტ. I, II, IV, V, თბილისი.

ჭუმბურიძე, ზ.(1956). ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები.

თბილისი.

Ketevan Sharikadze, Sokhumi State University

Expression achieved by repeating

Summary

Speech characteristic to Kvemoimeruli was clearly reflected in Otia Ioseliani's works. By using various means of poetic speech and morphological - spelling or syntactic - stylistic features, the writer manages the individualization of characters' speech, deeply and perfectly demonstrates the nature of the speakers. From creator's works, this time we will focus on one of the expressions of poetic speech - repetition, which is a common fact in literature and has been widely spread out over the years. As it is known, repetition is a means of emotional-logical emphasis on the event or any sign.

Almost all cases of repeat occur in writer's writings: sound, morphological, lexical, phraseological or syntactic.

Similar sounds or morphemes are repeated, the combination of which creates a musical rhythm: მატარებელი მიხრიგინებს, მირახრახებს, მიჰქრის (IV, 131)

Repetition of preverbs creates rhythm: დამარიგა, დამიყვავა, დამითაფლა (II, 1620)

Repeated syllables are often morphological elements, prefixes, suffixes or prefix-suffixes:

გადმოდიოდა უქარიშხლოდ, უნიავექაროდ, აუმღვრევლადაც კი, აუტალახებლად (I, 619)

Verb repeating cases occur frequently:

წისქვილი ფქვავს, ფქვავს, ფქვავს...(II, 88)

Any part of speech can also be repeated: რაღაცა გავიწყდება, რაღაცას ვერ შოულობ (IV, 11)

თეთრი სახლები, თეთრი ხიდები, თეთრი მთები, თეთრი ფერდობი (II, 13)

To better understand the spiritual condition of the character, the whole phrase is repeated:

დილამდე აგონით გათანგული ვიწვი და ვიფერფლები, ვიწვი და ვიფერფლები (IV, 64)

As the examples show, by repeating the writer shows more deeply the inner world of characters, he gives more clarity to each phrase and makes a strong impression on the reader.

შორენა შავრეშიანი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინსპირირებულ პერსონაჟთა პორტრეტები პოსტმოდერნისტულ ტექსტში - გრიგოლ ყორღანოვი, გრაფი სეგედი და მუშნი ზარანდია (აკა მორჩილაძის „მადათოვის ტრილოგიის“ I ციკლი „გადაფრენა მადათოვზე და უკან“)

აკა მორჩილაძე (ნამდვილი სახელი და გვარი გიორგი ახვლედიანი) ქართველი პოსტმოდერნისტი პროზაიკოსი და ისტორიკოსია. მწერლის შემოქმედებიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია „მადათოვის ტრილოგია“. ჩვენი განხილვის საგანია ტრილოგიის პირველი ციკლი „გადაფრენა მადათოვზე და უკან“, რომელიც 1998 წელს გამოვიდა. ნაწარმოები პოსტმოდერნისტული ისტორიოგრაფიული მეტარომანის საუკეთესო ნიმუშია: ავტორს ახასიათებს ისტორიული და ლიტერატურული ფაქტებისადმი განსხვავებული დამოკიდებულება; ცნობილი მოვლენისა თუ პიროვნების სხვადასხვა რაკურსში განხილვა; ერთი მეტანარატივის ნაცვლად სხვადასხვა ვერსიის წარმოჩენა; მოვლენების ახლებური ინტერპრეტაცია; წარმოუდგენლის წარმოდგენა; ირონია; სარკაზმი; მზა ტექსტების გამოყენება და სხვ. ნაწარმოებში მოქმედება XIX საუკუნის საქართველოში ხდება. იგი მოგვითხრობს მამათმავალი მხატვრის, მევახშის, გაურკვეველი ეროვნებისა და რჯულის მქონე ხაფოს (ჰაფეზის) ცხოვრებას. ხაფოს მოკლავენ და მის გვამს კუნძულ მადათოვზე იპოვიან. მისი მკვლელობის გახსნის დეტექტიურ სიუჟეტში გამოძიებას აწარმოებენ გრიგოლ ყორღანოვი, გრაფი სეგედი და მუშნი ზარანდია. თავად ავტორისავე კომენტარიდან ვკითხულობთ, რომ მან ყორღანოვს: „მიანიჭა ილიას ფიზიკური იერი, დავით კლდიაშვილის, როგორც აფიცრის და ქართველის მისწრაფებანი, და მისი სულიერი გარდატეხა დაუკავშირა დიმიტრი ყიფიანის ვერაგულ მკვლელობას. თანაც ავტორმა გმირს მისცა ეროვნული მოლაღატის გვარი და ამგვარი დომხალით წარუდგინა მკითხველს“ (მორჩილაძე, 2011, გვ. 202).

გრაფი სეგედი და მუშნი ზარანდია ჭაბუა ამირეჯიბის ნაწარმოების „დათა თუთაშხიას“ გმირებით - გრაფი სეგედი და მუშნი ზარანდიათი - არიან შთაგონებული და ინსპირირებული. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ იმ ფიზიკურ და თვისობრივ მახასიათებლებზე, რომლებიც შესძინა, დაუმატა თუ დააკლო აკა მორჩილაძემ ამ ადამიანებს თავის ნაწარმოებში.

ნაწარმოების პირველი ნაწილი ხაფოს ბიოგრაფიულ ცნობებსა და მკვლელობის ისტორიას ეხება; მეორე ნაწილი მისი მკვლელობის გამოძიებაა. მასში ჩართულნი არიან გრაფი სეგედი, გრიგოლ ყორღანოვი, ფილიართა უფროსი ბაიარდი და მუშნი ზარანდია; მესამე ნაწილი კი ქრონიკებს მოიცავს და ასპარეზზე შემოდინა ახალი პერსონაჟები, რომლებიც ამ ამოუხსნელი და საიდუმლოებით მოცული მკვლელობის გარშემო ტრიალებენ.

ნაწარმოები ისტორიოგრაფიული ჟანრის მეტატექსტია. ავტორი იმეორებს ძველს, ახდენს არსებული მოვლენების განახლებასა და პაროდიაზაციას; აკა მორჩილაძის „მადათოვის ტრილოგიიდან“ დათო ტურაშვილი პირველ ნაწილს „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ ყველაზე შთამბეჭდავად მიიჩნევს. ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ, საბჭოთა კავშირში ყოფნისას, ევროპული კულტურისგან იზოლირებამ ახალი და გემოვნებიანი ლიტერატურული შემოქმედების მოთხოვნილება გააჩინა. ეს მოთხოვნილება კი აკა მორჩილაძემ ღირსეულად დააკმაყოფილა. ეს ნიშნავდა ისევ მშობლიურთან დაბრუნებას და დათო ტურაშვილი მადლიერებასაც კი გამოთქვამს „რკინის ფარდის“ გამო, რომლის

არარსებობის შემთხვევაში ამ ნაწარმოებით მოგვრილი ადრინდელი შეგონებები არ დაუბრუნდებოდა (ტურაშვილი, 2010, <https://www.radiotavisupleba.ge/a/25670425.html>).

ნაწარმოების მთავარი გმირი მხატვრული ლიტერატურისთვის ოდნავ მიუღებელი, უცხო და ამორალური ცხოვრების წესით მცხოვრები მხატვარი ხაფია. თუკი კლასიკური ლიტერატურა მოქმედ და მთავარ გმირად ზნეობრივად სუფთა ადამიანს გვთავაზობდა, აკა მორჩილად ამ ნაწარმოებში მოქმედების ეპიცენტრში ზნეობრივად დაცემულ, არც მეტი და არც ნაკლები, მამათმავალს აყენებს და ყველას, ვინც კი ამ ნაწარმოებშია, უბრალო ადამიანიდან დაწყებული ხელისუფლების მაღალი ეშელონის წარმომადგენლით დამთავრებული, მასთან აკავშირებს, ამეგობრებს, მტრად კიდებს. ზოგი მისი ადვოკატია, ზოგი - მტერი, ზოგი - უბრალო ნაცნობი, ზოგისთვის ხაფია მხოლოდ სიტყვის მასალაა, მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, ტრაგიკული და ამავდროულად პაროდის უმაღლესი გამოვლინებაა. (თითქმის ყველა და ყველაფერი მის გარშემო ტრიალებს.)

რაც შეეხება დეტექტივებს, დავიწყეთ ერთ დროს პოლკოვნიკი და აწ უკვე კავკასიის ჟანდარმერიის არქივარიუსის მეთვალყურე გრიგოლ ყორღანოვის ბიოგრაფიულ-პორტრეტული სურათის აღწერით:

გრიგოლ ყორღანოვი არ იყო წარმოსადეგი კაცი. მას „იერსახეს მატებდა წამოზრდილი მუცელი, ბრტყელი ბეჭები და კოხტად დაყენებული უღვაშ-ქილვაში, რომელშიაც ოდნავ თუ ჩანდა თეთრი ძაფები“ (მორჩილად, 2011, გვ. 63-64).

ყორღანოვის გარეგნობა ილია ჭავჭავაძის გარეგნობას ემთხვევა. თავად აკა ილიას „ქართულის რვეულებში“ შემდეგნაირად ახასიათებს: „საშუალოზე დაბალი, ჩამრგვალებული, სანდომიანი სახით, დინჯად მოარული - როგორც მისი თანამედროვენი ამბობენ, ასეთი იყო ილია ჭავჭავაძე...“ (მორჩილად, 2014, გვ. 58). როდესაც აკა მორჩილად ამ ორ გარეგნულად მსგავს, მაგრამ მსოფლმხედველობრივად განსხვავებულ ადამიანს ადარებს, არ უნდა დაგვავიწყდეს თავად ავტორისავე გულწრფელი დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძისადმი, რომლის გარეგნობასა და პიროვნულ ღირსებასაც განსაზღვრავდა არა სიმრგვალე და ფიზიკური სიდაბლე, არამედ სიტყვა და გამჭრიახი თვალები - ჭკუის, სიბრძნის დასტური და არა კომიკური და კარიკატურული გამოხატულება.

საყოველთაოდ ცნობილია გრიგოლ ორბელიანისეული ხაზგასმაც ილიას გარეგნობაზე, ბურთივით მრგვალს რომ უწოდებდა: „ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალი“ (ყურაშვილი, 2017, <https://www.renomecenter.com/ka/stories/63/>).

გარეგნობის გარდა, მათი საერთო თვისებაა აგრეთვე უშიშრობა.

შესაძლოა ამ ორი ადამიანის გარეგნობა ერთმანეთს ემთხვეოდეს, მაგრამ ქარიზმითა და ადამიანზე შთაბეჭდილების მოხდენის თვალსაზრისით ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან. ილიას თუ საზოგადოების ყურადღების მიქცევა ადვილად შეეძლო, პოლკოვნიკი „მივიწყებული კაცი იყო. მისი იოლად დასამახსოვრებელი იერი სრულიადაც არ მოქმედებდა ადამიანებზე“ (მორჩილად, 2011, გვ. 65). მისი დალაგებული არქივით ჯანდარმერიის ყველა უწყება სარგებლობდა, მაგრამ თვითონ ეს „წესიერი და ალალი მეთვალყურე უზარმაზარი საცავისა, არავის ახსოვდა“ (მორჩილად, 2011, გვ. 66).

ის არც დიდი საქმეებისთვის ყოფილა მოწოდებული. მისი სამხედრო კარიერაც შემთხვევითობისა და შინაგანი წინააღმდეგობის შედეგი იყო. იცოდა, რომ სინამდვილეში მისგან არტილერიისტიკ კი ვერ გამოვიდოდა. მოსვენებული აუღელვებელი ცხოვრებით უნდა ეცხოვრა, მაგრამ მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, ისე, რომ არც უკითხავთ, ცხრა წლის ასაკში ეტლში ჩასვეს და გააგზავნეს ძალიან შორს. ამდენად, როგორც კი შესაძლებლობა მიეცა, მაშინვე გამოიქცა ჟანდარმერიიდან და თავისი სულიერი მისწრაფების შესაბამის ცხოვრებას მოერგო: კითხულობდა ბევრს, არა რამე სარგებლობის მოსატანად, არამედ უბრალოდ, თავისთვის, გასართობად და დადიოდა ოპერაში მეუღლესთან ერთად.

ყორღანოვის სამხედრო კარიერას მწერალი დავით კლდიაშვილის სამხედრო მოღვაწეობასთან უძებნის პარალელს: „1872 წელს 9 წლის დავითი სახელმწიფო ხარჯით გაიგზავნა კიევის სამხედრო გიმნაზიაში... (ვერულავა, 2010, <https://burusi.wordpress.com/2010/01/30/david-kldiashvili-2/>).

კიევის შემდეგ მოსკოვში გადაინაცვლა და სამხედრო სასწავლებლების წარჩინებით დასრულების მერე ბათუმში თოფ-იარაღის სახელოსნოს უფროსად დაინიშნა. 1905-1907 წლის რევოლუციის შემდეგ, როგორც არასასურველი პოლკოვნიკი, იძულებული გახადეს წამოსულიყო სამხედრო სამსახურიდან.

მშობლიურ სოფელში დაბრუნებულმა კი აქტიურად გააგრძელა ლიტერატურული საქმიანობა და ქართულ მწერლობას არაერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები შესძინა.

ყორღანოვის სამხედრო მიღწევებიც დაახლოებით იგივეა: წარმატებით მოიარა მოსკოვის, კიევის, ვოლოგდის ჟანდარმერია და რვა წელიწადში პოლკოვნიკიც გახდა.

ყორღანოვი, რომელიც ილია ჭავჭავაძის გარეგნობის ერთგვარი პაროდიაა და დავით კლდიაშვილის პოლიტიკური საქმიანობის განსახიერება, სულაც არ არის ამ ორი ენერგიული, ჰუმანისტურ-პატრიოტული იდეებით გამსჭვალული და ქვეყნის საგანმანათლებლო საქმეებში აქტიურად ჩაბმული პიროვნება.

რაც შეეხება დიმიტრი ყიფიანთან გავლებულ პარალელს, როდესაც ყორღანოვი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობისას ვოლოგდაში ჟანდარმერიის უფროსის მოადგილე იყო, დიმიტრი ყიფიანიც ვოლოგდაში გადმოსახლეს. ყორღანოვს მასთან სიახლოვე ევალეზოდა. მას შეუყვარდა ეს კეთილი და პატიოსანი ადამიანი. ცოტა ხნის შემდეგ ყიფიანის მოკვლა გადაწყდა. ყორღანოვმა კი მისი შველა ვერ მოახერხა და ამას ძალიან განიცდიდა. ყიფიანის ლიკვიდაცა ყორღანოვისთვის ბოლო წვეთი აღმოჩნდა, რომ პატაკი დაეწერა სამსახურიდან წამოსვლის შესახებ. მიზეზად ჰავასთან შეუფუებლობა დაასახელა და ასე აღმოჩნდა კავკასიის ჯანდარმერიის საცავში „მტერის მჭამელად“.

აღსანიშნავია ასევე, რომ ყორღანოვის ყველასა და ყოვლისმომცველ არსებასა და ბაიარდში არტურ კონან დოილის გმირებიც - უოტსონი და შერლოკ ჰოლმსი - ამოიცნობა. მათ საკმაოდ თანმიმდევრულად მიჰყვნენ ყველა საექვო თუ სავარაუდო კვალს და სრულიად გაერკვნენ ყველაფერში.

კიდევ ერთი შტრიხი, რაც აკამ ყორღანოვს დაუმატა და მისი არსება გახუთმაგებულად წარმოგვიდგინა, მისი გვარია, რომელიც ქართველ მოღალატე და ანტიგმირ კახაბერ ყორღანაშვილს უკავშირდება. ისტორიული წყაროს მიხედვით: 1569 წელს ქართველებსა და ყიზილბაშებს შორის გამართული ბრძოლისას ქართველი „აზნაური კახაბერ ყორღანაშვილი მიეგება მტერს გზაზე და მეგზურად წაუძღვა“... (ნარსია, 1986, გვ. 236). ამ ბრძოლის დროს ქართლის მეფე სიმონ I ტყვედ ჩავარდა და ქართველებმა ბრძოლა წააგეს.

მწერალმა რამდენიც უნდა დასცინოს ამ პერსონაჟს, ყორღანოვის სულიერი გარდატეხა მისი ჰუმანისტური ბუნებით შეიძლება აიხსნას. დიმიტრი ყიფიანის მკვლელობის გათქმა-გაუთქმელობა მისთვის დიდ ტვირთად იქცა, სინდისის ქენჯნამ კი დაკისრებული მოვალეობის ძველებურად შესრულება აღარ აცალა და ამიტომაც გადმოზარდა არქივარიუსში. მისი კაცთმოყვარული ბუნების დამადასტურებელია ისიც, რომ ხაფოს შვილობილი იშვილა და სახლში წაიყვანა. გრაფი სეგედი თანაგრძნობით საუბრობს მასზე. მან ბავშვი „წაიყვანა, ბედის ანაბარა არ მიატოვა. მოკლულს ლამის მონად ჰყოლია. ყორღანოვი კი ფაქიზი გულის კაცია, სულაც არ ჰგავს თავის წინაპრებს“ (მორჩილაძე, 2011, გვ. 136).

„დათა თუთაშხიაში“ კავკასიის ჟანდარმერიის უფროსი, „უნგრელი გრაფის ჩამომავალი“ გრაფი სეგედი განათლებული, ინტელექტუალური, სამართლიანი ადამიანი იყო. მას ადამიანთა ფსიქოლოგიის წვდომისა და ანალიზის საოცარი უნარი ჰქონდა. მიუხედავად მუშნი ზარანდიას ინტელექტისა, მოხერხებულობისა და გამოძიების ორიგინალური მეთოდებისა, გრაფი სეგედი მის ყველა ფარულ მიზანს ხვდებოდა, აღტაცებული იყო მისი

უბრალოებით და ყველა საკითხში ენდობოდა. თავის მხრივ, გრაფი სეგედი თავისი პიროვნებით ადამიანებში პატივისცემას იმსახურებდა. მიუხედავად იმისა, რომ გრაფი სეგედი და დათა თუთაშხია ორ დაპირისპირებულ კლასს წარმოადგენდა, მისი პატიოსნებითა და ვაჟკაცობით აღფრთოვანებულმა დათა თუთაშხიამ გულწრფელად იკითხა: „რატომ დგებიან ასეთი კაცები მთავრობის სამსახურში, ნეტავი?“ (ამირეჯიბი, 2011, გვ. 263). იმავეს კითხულობდნენ დათაზეც: „რატომ ხდება, რომ ასეთი კაცები ყაჩაღად გადიან“ (ამირეჯიბი, 2011, გვ. 263).

მუშნი ზარანდიას ფსიქოლოგიურ პორტრეტს სწორედ გრაფი სეგედი გვიხატავს. ზარანდიასთვის გასამრჯელოსა და თანამდებობას მნიშვნელობა არ ჰქონდა. მისთვის მთავარი საქმისადმი სერიოზული მიდგომა იყო. მისი არაკარიერისტული სული თავდაპირველად გრაფის დაეჭვებას იწვევდა: „საინტერესოა, ეს ზარანდია მართლაც ასეთი კაცია, თუ ასეთ კაცს თამაშობს?“ (ამირეჯიბი, 2011, გვ. 15). ზარანდია იყო იმპერიის უკომპრომისოდ უერთგულესი თანამშრომელი.

„დათა თუთაშხიაში“ მოცემული რეალობისგან ნაწილობრივ განსხვავებული ვითარებაა რომანში „გადაფრენა მადათოვზე და უკან“. მთელ ნაწარმოებს გასდევს ირონიულ-პაროდიული ხაზი. აკა მორჩილაძესთან მუშნი ზარანდიას ნამდვილად აკლია ის საჭირო განათლება, ინტუიცია და ინტელექტი, რომელიც ასე უხვად აქვს მომადლებული დათა თუთაშხიას მამიდაშვილს და რაც ასე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მისი პროფესიისთვის. თუმცა იმის თქმაც არ შეიძლება გადაჭრით, რომ ის სრულიად უიღბლო ან არაპროფესიონალი იყო. ამას გვაფიქრებინებს თვით გრაფი, როდესაც ყორღანოვს მისი საქმეში ჩართვის მოტივები განუმარტა: „მე, რა თქმა უნდა, წამსვე ზარანდიაზე ვიფიქრე. თქვენთვის ცნობილია მისი ბოლოდროინდელი წარმატებები, მაგრამ ზარანდია ლოგინში წევს ფილტვების ანთებით“ (მორჩილაძე, 2011, გვ. 69). ზარანდიას შეეძლო ამ საქმის გამოძიება, მაგრამ გრაფს არ უნდოდა ეს. ამიტომაც ჩამოაშორა ზარანდია გამოძიებას და გადააბარა ამ პოსტისთვის შეუფერებელ ყორღანოვს.

ზარანდიას გამოჯანმრთელების შემდეგ გრაფსა და ზარანდიას შორის დიალოგი გაიმართა. ამ დიალოგისას გრაფმა ხაფოს მკვლელობის გამოძიების დეტალები და საქმეში ჩართული ადამიანები გააცნო. ავტორმა მუშნი ზარანდია არცთუ ისე განათლებულ ადამიანად გამოიყვანა. გრაფმა სეგედმა გულწრფელი გაოცება გამოხატა, როდესაც ზარანდიამ ყორღანოვში ქართველთა მოღალატე ყორღანაშვილების იდენტიფიკაცია ვერ მოახდინა: „თქვენ მე მაოცებთ, არაფერი იცით თქვენი ქვეყნისა. ქუთაისის გუბერნიაც ხომ საქართველოა... ჰოდა, ყორღანოვები მოღალატეთა გვარია. ერთხელ ისინი - მამა, დედა, შვილები და ბებიაც კი - კლდიდან გადმოყარეს და ასე დასაჯეს ღალატისთვის“ (მორჩილაძე, 2011, გვ. 137).

გრაფი სეგედი მორჩილაძესთანაც ისეთივე ძლიერი ფიზიკური და თვისობრივი მახასიათებლებით წარმოგვიდგება, როგორც ჭაბუა ამირეჯიბთან. „დათა თუთაშხიაში“ სეგედი, მიუხედავად ეპოქის სისასტიკისა, მაინც ახერხებს დარჩეს პატიოსან და ღირსეულ ადამიანად. ნაწარმოებში „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ სეგედი დანაშაულებრივი რგოლის დამცველად გვევლინება. საქმის ობიექტური გამოძიების ნაცვლად მკვლელობის გახსნას შეგნებულად ავალებს არაკომპეტენტურ ყორღანოვსა და ფილიორთა მეთაურ ბაიარდს იმ იმედით, რომ ისინი თავს ვერ გაართმევენ დაკისრებულ მოვალეობას და გაუხსნელი საქმით თვითონ პირნათელი დარჩება როგორც სახელმწიფოს, ისე კრიმინალ-მევახშეთა წინაშეც. „სეგედი იმისთვის კი არ ზის, რომ ქვეყანა შეაზანზაროს, სიჩუმე უნდა“... (მორჩილაძე, 2011, გვ. 171).

როგორც აღვნიშნეთ, ნაწარმოები ისტორიოგრაფიული მეტარომანის ნიმუშია. ავტორი თავისი ყურადღების ობიექტივში აქცევს რომელიმე ისტორიულ პიროვნებას თუ მოვლენას - როგორც რეალურ, ისე მხატვრულ ფიქციას არა იმ სიზუსტით, რა სიზუსტითაც ის არსებობს,

არამედ თავისი ინტერპრეტაციით, ახლებური ხედვით. ასე შეიქმნა ყორღანოვი, რომელშიც მწერალმა გააერთიანა ილია, დავით კლდიაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ყორღანაშვილი და უოტსონი.

დროის თვალსაზრისით ილია, დავით კლდიაშვილი, დიმიტრი ყიფიანი XIX საუკუნეში მოღვაწეობდნენ, ნაწარმოებშიც „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ მოქმედება ასევე XIX საუკუნეში ხდება. მწერალმა გრიგოლ ყორღანოვი მის თანამედროვეთა ფიზიკური მახასიათებლებით შემოსა, დიმიტრი ყიფიანს პირადად შეახვედრა და მასთან ხანმოკლე ურთიერთობის ბედნიერებაც არგუნა. წინაპრად კი სამი საუკუნით დამორებული ყორღანაშვილები დაუსახა, თუმცა მისი სახით დადღასმული წინაპრებისგან განსხვავებული, გაუმჯობესებული ვარიანტი შემოგვთავაზა.

„დათა თუთაშხიაში“ მოქმედება XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ხდება. გრიგოლ ყორღანოვს მხატვრული ნაწარმოების მთავარ გმირებთან, ჟანდარმერიის სახელგანთქმულ უფროსებთანაც, გრაფ სეგედთან და მუშნი ზარანდასთანაც უწევს ურთიერთობა, თუმცა ამჯერად პირვანდელი პროტოტიპებისგან სახეცვლილ ხელისუფლების წარმადგენლებთან. თუ ჭაბუა ამირეჯიბის გრაფი სეგედი შეუწყნარებელი იყო ყოველგვარი მანკიერების მიმართ, აკა მორჩილაძესთან ის კანონგარეშე მოქმედებს და შეგნებულად უწყობს ხელს კრიმინალის, მექრთამეობის, მევახშეობისა და სხვა ბოროტების გავრცელებას. კომიკურია მუშნი ზარანდიას პიროვნებაც. ავტორი არ დაეძებს მხატვრული თუ ისტორიული ჭეშმარიტების გადმოცემას. ის სრული თავისუფლებით სარგებლობს, პერსონაჟებს ნებისმიერ დროში, სივრცესა და ადგილას ამოგზაურებს; ახვედრებს წარსულიდან, მხატვრული ნაწარმოებიდან, თანამედროვეობიდან მისთვის სასურველ გმირებს ახალი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური საბურველით. მოვლენათა, ფაქტთა სიუჟეტთა და პიროვნებათა ასეთი აღრევა კი იწვევს მრავალგვარ ასოციაციას და ამრავალფეროვნებს მკითხველის წარმოდგენა-ფანტაზიას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ამირეჯიბი, ჭ. (2008). დათა თუთაშხია. თბილისი.
2. ვერულავა, თ. (2010). დავით კლდიაშვილი - ბიოგრაფია, <https://burusi.wordpress.com/2010/01/30/david-kldiashvili-2/>
3. მორჩილაძე, ა. (2011). გადაფრენა მადათოვზე და უკან. თბილისი.
4. მორჩილაძე, ა. (2014). ქართულის რვეულები. თბილისი.
5. ნარსია, გ. (1986). ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
6. ტურაშვილი, დ. (2010). მადათოვის ტრილოგია ერთ წიგნად. <https://www.radiotavisupleba.ge/a/25670425.html>
7. ყურაშვილი, თ. (2017). გრიგოლ ორბელიანი, <https://www.renomecenter.com/ka/stories/63/>

Shorena Shavreshiani, Sokhumi State University

Inspired Characters Portraits in Postmodern Text - Grigol Korghanov,
Graph Seged and Mushni Zarandia (Aka Morchiladze's "Madatov Trilogy" - 1st cycle -
"Flight Over Madatov Island and Back")

Summary

Aka Morchiladze (real name Gio Akhvlediani) is the best representative of the postmodernist movement. His novel "flight over Madatov island and back" deserves special attention, which was published in 1998. In his works we find the features that characterize postmodernism: double coding, collage, author's mask, deconstruction, irony, parody, and other. The author has a different attitude to historical and literary facts. He represents different versions instead of one metanarrative; a new interpretation of events; irony; sarcasm and etc.

The action takes place in the 19th century Georgia. The main character khapo is craftsman and everyone knows him. One day dead Khapo is found on the mysterious island of Madatov. Grigol Korghanov, Graph Seged and Mushni Zarandia are trying to open this murder. From the author's own comment, we read that he had given Korghanov Ilia Chavchavadze's physical appearance, David Kldiashvili's aspirations to be army officer, and his spiritual breaking linked to the murder of Dimitri Kipiani. At the same time, the author gave him a surname of a national traitor and presented it to the reader in such a way.

Graph Seged and Mushni Zarandia are inspired by of Chabua Amirejibi's work "Data Tutashkhia". We will focus on the physical and qualitative characteristics that Aka Morchiladze made, added or lost to these people in his work.

ეკატერინე ფანგანი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგნები და დეტალები ახალ განზომილებაში
(ოთარ ჭილაძის რომანებიდან)

ოთარ ჭილაძის რომანები დეტალების ღრმა წვდომით ხასიათდება, ცალკეული საგნები კი უმნიშვნელობით და უფუნქციობით ხდებიან სწორედ მნიშვნელოვანი და იმდენად ფუნქციურნი, რომ მათ გარეშე მკითხველს რომანის ძირითადი სათქმელის გააზრება გაუჭირდება. მწერალი საგანთა არსს არა მხოლოდ მათი პირველადი დანიშნულებით საზღვრავს, არამედ აფართოებს, ახალ მნიშვნელობას და დანიშნულებას უძებნის, ხშირად არარეალურსაც, მაგრამ დამაჯერებელს, აუცილებელსაც კი, რადგან ეს ჭილაძეა და მკითხველის მუდმივად გაცემა მრავალჯერადი მოვლენა ხდება.

დეტალებზე ფოტოგრაფიული მანერით აქცენტირება მწერლობაში სარისკო საქმედ მიგვაჩნია, რადგან მარტივად შეიძლება ავტორი იმ ბილიკიდან გადავიდეს, რომელზეც ფრთხილი ნაბიჯით მიიწევს და ხან წინ უსწრებს, ხან უკან რჩება შეცბუნებულ მკითხველს. დიახ, ასეთი წერის მანერა აქვს ოთარ ჭილაძეს, შემაცბუნებელი, გამაოცებელი ამბების კორიანტელში ჯიუტად მიიწევს წინ, გზად ყველა წვრილმანს გაგაჩხრეკინებს და მაინც არ გიტოვებს შიშის საფუძველს, გზა არ აგებნეს მწერლის კვალს ადევნებულს. დეტალები და წვრილმანები, უსულო მაგრამ ყველაზე მეტყველი საგნები, იმ ჯადოსნური კალეიდოსკოპის სივრცეში გიტყუებს, მწერლის გონში რომ გადახარშულა.

ოთარ ჭილაძე ფიქრების მწერალია, ფიქრის ძირითადი დანიშნულება კი სწორედ მცირედის განზოგადება, ანალიზი, სინთეზი და შეფასებაა ერთდროულად, ხან საკუთარი არსებობის არსის გააზრების, ხანაც მთელი სამყაროს აღქმის კონტექსტში. წვრილმანის მნიშვნელოვან მოვლენად ქცევის პროცესს მწერლის ექვსივე რომანში ვხვდებით, ამ მოსაზრების გასამყარებლად რამდენიმე მაგალითს მოვიხმობთ ტექსტებიდან.

რომანში „გოდორი“ სწორედ გოდორი იქცევა იმ მნიშვნელოვან ნივთად, რომელიც პირველადი მნიშვნელობის მიღმა არამატერიალურ განსხეულებას პოულობს. ჩვეულებრივი ნივთის არაჩვეულებრივი მნიშვნელობით დატვირთვა განსაზღვრავს რომანის სათქმელს, ძირითად არსს. გოდორიდან გამოსული ადამიანი, მისი შთამომავლებიც, მიუხედავად მიღწეული თუ მითვისებული წარმატებებისა, მაინც ვერ გასცდნენ თავიანთ წყევლასავით ჩარჩენილ მცირეკაცობას, სილაჩრესა და აგრესიას, რომელსაც მთელ სამყაროში თესავენ. ამგვარივე განზოგადების საშუალებას იძლევა მუმილი ზემონახსენებ რომანში, ხოლო მუმილის ყველაზე სრულ გააზრებას მკვლევარი მ. ხარბედია იძლევა წერილში „მუმილის ბურუსი“ და აქ არ შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას.

„აველუმში“ წერილი იძენს უმნიშვნელოვანესის ფუნქციას, თავად ავტორი რომანის დასაწყისშივე ამბობს: „თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ კაცობრიობამ მთელი თავისი სიცოცხლე დასაწერის შესანიღბი და დაწერილის ამოსაკითხი საშუალებების ძებნასა და გამოგონებას შეაღწია... ეპისტოლური ჟანრის საუკეთესო ნიმუშები, მოურჯულებელ მეოცნებეთა და თავისუფლების დაუოკებელ მოტრფიალეთა მსგავსად, ძირითადად კოცონზე ამთავრებდნენ სიცოცხლეს - კვალი კი არ რჩებოდა მათგან, არამედ ფერფლი“ (ჭილაძე, „აველუმი“, 2018, გვ.5.). წერილის, როგორც კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალების, მნიშვნელობას კიდევ უფრო ამძაფრებს მისი მისია - ერთმანეთთან დააკავშიროს ორ სხვადასხვა სამყაროში მცხოვრები ინდივიდი, რკინის ფარდის მიღმა არსებული დაანახოს საბჭოთა ადამიანს, თუნდაც იმ პირობებში, როცა „მიღმა“ სამყაროდან გამოგზავნილ ყველა წერილს, ყველა სიტყვას ვიღაცა სადღაც ბნელ და პირქუშ კაბინეტში ჩაჰკირკიტებს და ქვეტექსტის ამოცნობის შემდეგ საგულდაგულოდ გადაწებებულს ხელახლა უგზავნის ადრესატს.

თავისუფლებაწართმეული ადამიანის სახეს განაზოგადებს მწერალი არყიან ქილაში ჩადებული კიტრის ჩვენებით რომანიდან „რკინის თეატრი“. ასეთივე მრავალაზროვანი გააზრება სჭირდება უგზობის ქოხსა და „რკინის თეატრის“ სცენის პირდაღებულ ორმოს.

უდიდეს მნიშვნელობას იძენს ლიმონის მარად მსხმოიარე ხე რომანში „მარტის მამალი“. ეს უცნაური ხე, ბუნებრივია, პარალელს დარიაჩანგის ბაღთან გვაველეინებს ო.ჭილაძის პირველი რომანიდან „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. ლიმონის ხე დარიაჩანგის ბაღის ხეხილს არა მხოლოდ იმით ჰგავს, რომ ერთ ხეზე ერთდროულად ყვავილიც გამოსხმულა, კვირტიც და ზოგი მწიფე, ზოგი უმწიფარი ნაყოფიც, არამედ კონკრეტულ სივრცეში კონკრეტული ადამიანის სულიერ სისუფთავესა და სიყვარულის უნარის უსაზღვრობაზე მიგვანიშნებს, იმ ადამიანისას, ვინც ყველაზე დიდ დროს ატარებს ამ განსაკუთრებულ საგანთან თუ საგნებთან ჰარმონიაში. დარიაჩანგის ბაღი იქამდე არსებობს, სანამ ბოროტებაზე ფიქრის უნარი ჩნდება ვანში, ხოლო ოდესღაც უფრანთ სახლის ბინადარი

ხე კი თავისი შეუცნობელი არსით აგრძელებს მარადიულ ყოფას ნიკოსთან ახლოს, ნიკოს საარსებო სივრცეში, ბოროტებისგან შეურყენელ სულთან ჰარმონიაში.

რომანში „მარტის მამალი“ მწერალი სახლის, სამყოფლის მითოლოგიის განსხვავებულ ვარიანტებს გვიხატავს, პაპის სახლს, როგორც თავშესაფარს და უფრანთ სახლს, ორ განზომილებად გაყოფილს, სამყაროს მოდელს, ქვესკნელს და ზესკნელს. პირველ სართულზე - ქვესკნელში ჯოჯოხეთისებური ყოფაა ასახული, იქ ცოდვილი ადამიანები ცხოვრებისგან მოვლენილ სასჯელს იმკიან გვამის სუნსა და ნამოქმედარის გააზრების უღმობლობაში, ზედა სართულზე კი ყველაზე სუფთა სულის ადამიანი ბინადრობს მარად მსხმოიარე ლიმონის ხესთან ერთად და მიუხედავად იმისა, რომ ქვედა სართულის ბინადარი ხშირად ითბობს ხელს მონაპარი ლიმონის გაყიდვით მიღებული ფულით, ლიმონი მაინც ყვავის, არ კვდება ცოდვილის ხელშენავლები და დაუსრულებლად ისხამს ნაყოფს, ისეთივე ცოცხალი, როგორც ვანო მასწავლებლის გოგონას ხსოვნა, მისი მაგიერი. ურწმუნობისა და უღმერთობის ხაზგასმაა ამავე რომანში ნასაყდრალი, ფუნქციადაკარგული სალოცავი, რომელიც უდანაშაულო ადამიანის თავშესაფრადაც ვერ გაიმეტეს. ორაზროვანი და მტკივნეულია ამ პასაჟის მწერლისეული აღწერაც: „ნახევრად საყდარი, ნახევრად ფეხსადგილი, ისიც და ისიც ერთდროულად, გააჩნია, ვინ რისთვის შემოვა, კედლის ძირში ვიღაცას უქნია, კედელზე კი სანთლის დაკრუნჩხული ნამწვებია მიგლესილი“ (ჭილაძე, 2018, გვ. 50). ვფიქრობთ, მოცემული დეტალით - ურწმუნობისა და უღმერთობის ასპარეზად ქცეული სალოცავის ნანგრევით - შესაძლებელი ხდება ეპოქის მახასიათებლების ამოცნობა და განზოგადება, მწერალი ზოგადად ქვეყნის სულიერების მთავარ პოლუსებს ხატავს. უფლის სახლის ნაკედლარები საკუთარი თავის შეცნობისკენ მსწრაფი ბიჭისა და თავმოებურებული „ყაჩაღის“ შეხვედრის ადგილად შემთხვევით არაა შერჩეული, იქ წარმავალმა მომავალს უსიტყვოდ უნდა გადაულოცოს ასპარეზი, თანაც იმგვარად, რომ სიცოცხლის აუცილებლობაში დარწმუნებულმა ნიკომ ბავშვური, მაგრამ შეუმცდარი დასკვნა გამოიტანოს ძილ-ღვიძილის ერთთვისანი კათარზისიდან. ამგვარივე ქვეტექსტის გაცოცხლება მკლავმოგლეჯილი ჩონჩხი, რომელსაც ო. ჭილაძის რომანებში ორჯერ ვაწყდებით, თავდაპირველად რომანში „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, მეორედ კი „მარტის მამალში“. ეს არის ერთგვარი მოგზაური მხატვრული სახე, რომელიც ორივეგან რიტუალის მსგავს ქმედებას აცოცხლებს, ალექსანდრეს და ნიკოს ფიქრებში კი ბავშვობასთან, მიამიტობასთან ასოცირდება. რომანში „მარტის მამალი“ ძირითადი სათქმელის გასაგებად უნიშვნელოვანესი პასაჟი ხდება მამისგან შვილისთვის გადაცემული ცივი ქონიანი კატლეტი, რომელიც, როგორც საუკუნო საგზალი, ისე უნდა გაჰყვეს შვილს, სულიერ საზრდოდ ექცეს, რათა მუდმივად შეახსენოს მამის და შვილის, ზოგადად ადამიანის მოვალეობები და შეგონებაც, რომ დაკარგულად არ ითვლება ის, რასაც საკუთარი ნებით არ დათმობ. განსაკუთრებული დატვირთვის მქონე დეტალების სიმრავლით გამოირჩევა მწერლის ადრეული რომანები: „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ და „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“. ისინი, არაერთი გამოჩენილი მკვლევრის ფიქრის საგნად ქცეულნი, ქართულ სამეცნიერო კრიტიკას კარგად შეუსწავლია.

ქვეტექსტების ამოუკითხავად, სათქმელის მრავალშრიანობის გამოაშკარავების გარეშე დეტალები მხოლოდ სამკაულად გვევლინება მხატვრული ტექსტის ქარგაში, ო. ჭილაძის რომანებში კი დეტალი, საგანი, მოვლენა თავისი უმნიშვნელობით ხდება თვალშისაცემი. მწერლის მთავარ მიგნებად სწორედ ეს ფაქტი მიგვაჩნია: ისე მოგვითხროს, იმდენჯერ შეგაჩეხოს, იმდენ სიტუაციაში გაგაგონოს „უმნიშვნელო მნიშვნელოვანი“, რომ საგნის თუ მოვლენის არსის გააზრებისას უნებურად აგიყოლიოს მკითხველი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭილაძე, ო. (2018). აველუმი. თბილისი. არეტე.
2. ჭილაძე, ო. (2018). მარტის მამალი. თბილისი. არეტე.
3. ჭილაძე, ო. (2018). ყოველმან ჩემმან მკოვნილმან. თბილისი. არეტე.

Ekaterine Fangani, Sokhumi State University

Items and Details in a New Dimension

Summary

O. Chiladze's novels are characterized by the opportunity of a profound insight into the details when the certain subjects with their unimportance and functionlessness become so important and functional that without them the reader would have difficulty understanding the basic meaning of the novel. The writer not only defines the essence of the subjects by the original purposes of their use, but also expands the area of the usage (often unrealistic but convincing), finding new importance and purposes for them. The process of transforming the small things into an important event is found in all six novels of the writer.

In the Novel "Godori" (*a big harvest basket in Georgian*), Godori, alongside its original purpose, acquires a more precise and comprehensive definition loaded with the meaning placed within the strange layers and imprints the reader's memory. In the Novel "Avellumi", a letter acquires the function of the most important thing, remaining the only alternative for connecting the people living on the different sides of the iron curtain and the letter is entirely devoid of its original importance of being personal and acquires a new function.

Quite new conceptions of a lemon tree, an abandoned shrine, a greasy cutlet are found in the Novel "The March Tottenham". In a strangely constructed story in which the writer imposes a vitally important functions to them just to make us sure - once again, that without reading the subtexts, without exposing the multilayer aspects of the said story, the details simply become jewels in the plot of the fiction, while in the novels of Chiladze a detail, a subject, an event becomes noticeable owing to its "unimportance".

მედეა სალიანი, ნატო შავრეშიანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ნასესხებ ტოპონიმთა სოციოლინგვისტური ასპექტები სვანურში

სვანური ენა, მიუხედავად იმისა, რომ უმწერლობო ენაა, საკმაოდ მდიდარია სხვადასხვა დარგის ლექსიკური ერთეულებით, განსაკუთრებით კი ტოპონიმებით, რომელთა ძირითადი მარაგი საერთოქართველური ფუძეებიდან მომდინარეობს. ამ მასალის გვერდით სვანურში დიდი რაოდენობით მოიპოვება როგორც ქართულ-ზანური ენებიდან უშუალოდ მომდინარე მასალა (მაგ.: აკვლდამ, ბაქან, ბუნაგ, გჭირგჭინ, ბულონ, ბულონსუკიშ დუდი, თჭაზონ...), ისე ქართულის გზით შემოსული ბერძნული, თურქული, სპარსული, არაბული, ოსური, რუსული (მაგ.: ჰინგრილ, ლეჭბუგ, მაადან, კორდან, პერეუჭლ) და სხვა ენათა მონაცემები.

ვინაიდან უცხოენოვან ლექსემათა ფუძეები სვანურში დასტურდება როგორც ფონეტიკურ-სემანტიკურად უცვლელი სახით, ასევე სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტებითა თუ სემანტიკური ნიუანსებით (სახეცვლილი მონაცემებით), აქედან გამომდინარე ჩვენი ნაშრომის ძირითად მიზანს ნასესხებ ტოპონიმთა სესხების მიმართულებისა და სესხებისას მიმდინარე ფონეტიკური ადაპტაციის წესების გარკვევა წარმოადგენს.

მრავალფეროვანი სვანური ტოპონიმიკური მასალა დაჯგუფდა რამდენიმე ნაწილად:

1. ქართულ-ზანური ენებიდან უშუალოდ მომდინარე ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მატოპონიმებლად ქცეულა სვანურში:

ა) ქართულიდან შეთვისებული: აზან (ლნტ., ჩოლ.) „ყანა (ზედმიწ. – აზანო)“ < ქართ. აზანო; ამირან (ლნტ.) „მწვერვალი (ზედმიწ. – ამირან-ი)“ < ქართ. ამირან-ი¹; ასტმგლდ (ზზ.)

¹ როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ამ სახელს ქართულში მნიშვნელობის დამაჯერებელი ახსნა არ მოეპოვება. მეცნიერთა ვარაუდით, შესაძლოა მას კავშირი ჰქონდეს არაბულ ამირ „წინამძღვარი“, ალი „მაღალი“ და ამირალი საკუთარ სახელებთან. ამირ ასევე შედის რამდენიმე სხვა სახელის შემადგენლობაში, რომლებიც ამჟამად ქართულში პიროვნულ სახელებად აღარ გვხვდება, თუმცა დაცულია შემდეგ გვარებში: ამირბეგიშვილი, ამირგულაშვილი, ამირჯანაშვილი, ამირხანაშვილი, ამირიძე, ამირანაშვილი, ამირანიძე (ჭუმბურიძე, 1992, გვ. 94-95). შევადაროთ ასევე ქართული ამირანის სვანური შესატყვისი – ამირმ რომელიც მხოლოდ ზღაპრებში დასტურდება და ქართულის გზით უნდა იყოს შეთვისებული სვანურში სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა გავლით (ქართ. ამირან-ი > სვან. ამირან > ამირან > *ამირან > ამირმ). შესაძლოა, სვანურში, კერძოდ ბალსქვემოურში, დაფიქსირებული ლი-მირ-ალ „ქედმაღლობა; ამპარტავნობა; უფროსობა...“ ფორმაც სწორედ არაბული ამირ „წინამძღვარი“ ფორმისგან მომდინარეობდეს, რომელსაც ზმნის პირიანი ფორმებიც ეწარმოება, თუმცა დეფექტური ზმნაა, რომელიც სიტყვის სესხებას ხელშესახებს ხდის.

„ბუჩქნარი; სამოვარი (ზედმიწ. _ ასტამ-უკა)“ < ქართ. ასტამ-ი; ახალდაბ (ლშხ.) „ყანა (ზედმიწ. _ ახალდაბა) < ქართ. ახალდაბა; ახალშენ (ბქ.) „უბანი (ზედმიწ. _ ახალშენ-ი)“ < ქართ. ახალშენ-ი; ბწნ (ლნტ.) „უბანი (ზედმიწ. _ უბან-ი)“ < ქართ. უბან-ი; ბარქშოლწ (ბზ.) „წყარო (ზედმიწ. _ ბარქაშ-უკ-ებ-ი)“ < ქართ. ბარქაშ-ი „მოღრმო თეფში|პატარა გობი“; ბაქან (ბქ.) „სამოვარი (ზედმიწ. _ ბაქან-ი)“ < ქართ. ბაქან-ი; გჭირგჭინ (ლნტ.) „ბორცვი, სამოვარი (ზედმიწ. _ გვირგვინ-ი)“ < ქართ. გვირგვინ-ი; გინდჭერ (ბზ.) „სათიბი (ზედმიწ. _ მინდორ-ი)“ < მინდორ-ი; დუმა (ლშხ., ჩოლ.) „სამოვარი (ზედმიწ. _ დუმა)“ < ქართ. დუმა; ისპენდიკ (ბქ.) „ვაკობი (ზედმიწ. _ სპონდიო)“ < ქართ. სპონდიო „ფაშარი და მჩატე ქვა“; კუთხულ (ლნტ.) „სამოვრები (ზედმიწ. _ კუთხ-უკ-ა)“ < ქართ. კუთხე; ლაკვლმწხი (ბქ.) „სოფელი, დეღე (ზედმიწ. _ საკალმახ-ო)“ < ქართ. კალმახ-ი; ლეფურ (ბქ.) „სამოვარი, იალადი (ზედმიწ. _ საფურ-ე)“ < ქართ. ძვ. ქართ. ფურ-ი; ნამენწყურ (ლნტ.) „სამოვარი (ზედმიწ. _ ნა-მენწყ-ალ-ი)“ < ქართ. მენწყ-ი; ნწემვლ (ბქ.) „საკულტო ადგილი (ზედმიწ. _ ნა-თ-ლ-ის-მ-ც-ემ-ელ-უკა)“ < ქართ. ნათლისმცემელ-ი; ორლობ (ლშხ.) „სამოვარი (ზედმიწ. _ ორ-ლობე)“ < ქართ. ორლობე; საყდარ (ჩოლ.) „სოფელი (ზედმიწ. _ საყდარ-ი)“ < ქართ. საყდარ-ი; ტეურ (ლნტ.) „ვენახი (ზედმიწ. _ ტევრ-ი)“ < ქართ. ტევრ-ი „ხშირი, დაბურული ტყე“; ტყტწმ (ბზ.) „სამოვარი (ზედმიწ. _ ტყ-ის-ა)“ < ქართ. ტყვე; უფალ (ბზ.) „საყდარი (ზედმიწ. _ უფალ-ი)“ < ქართ. უფალ-ი; ქარბაქ (ლშხ.) „საქონლის სადგომი (ზედმიწ. _ ქარაბაკ-ი) < ქართ. ქარაბაკ-ი „ნაკაფით მოწნული ბაკი“ (საბა); ღწრ (ბქ., ლნტ.) „ყანა; სათიბი (ზედმიწ. _ ღარ-ი)“ < ქართ. ღარ-ი; ყჭითელწა (ბზ.) „ყანა (ზედმიწ. _ ყვითელ-ი)“ < ქართ. ყვითელ-ი; ცალმწგ (ზს.) „კლდე, სამოვარი; მწვერვალი (ზედმიწ. _ ცალმაგ-ი)“ < ქართ. ცალმაგ-ი „სამკედლიანი ხის ნაგებობა“; წყწრწმ (ბზ.) „ტყე, სამოვრები (ზედმიწ. _ წყარო-ის-ა)“ < ქართ. წყარო; ჭიშგარ (ჩოლ.) „გადასასვლელი (ზედმიწ. _ ჭ-ის-კარ-ი)“ < ქართ. ჭიშკარ-ი; ჯწწრ (ბზ.) „საკულტო ადგილი (ზედმიწ. _ ჯვარ-ი)“ < ქართ. ჯვარ-ი და მრავ. სხვ.

ბ) ზანურიდან შეთვისებული: ბულონ (ლნტ., ლხმ.) „მთა, მეგრელების საზაფხულო სამოვარი (ზედმიწ. _ ბალ-ნ-არ-ი)“ < მეგრ. ბულონ-ი „ადგილი, სადაც ბევრი ბალი (ხე) დგას“; მარგალი (ლხმ.) „მთა (ზედმიწ. _ მეგრელ-ი)“ < მეგრ. მარგალ-ი; ნაკაკა (ლხმ.) „სამოვარი (ზედმიწ. _ ნა-კაფ-ი)“ < მეგრ. ნაკაკა „ნაკაფი, ახო; ნაკაფი ტყე საყანედ“; ტყაბედნიერ (ლხმ.) „ყანა (ზედმიწ. _ ტყე-ბედ-ნ-იერ-ი)“ < მეგრ. ტყაბედნიერ-ი; წყურგინ (ლხმ.) „გზა (ზედმიწ. _ წყარო გრილი)“ < მეგრ. წყურგინი „წყარო“; ჭყონა (ლხმ.) „სამოვარი მთა (ზედმიწ. _ მუხნარი)“ < მეგრ. ჭყონ „მუხა“; ჭუბერ (ბქ.) „სოფელი (ზედმიწ. _ წაბლნარი)“ < მეგრ. ჭუბურ-ი „წაბლი“; ჭუბურულა (ბქ.) „მდინარე სოფელ ჭუბერში (ზედმიწ. _ წაბლნარი)“ < მეგრ. ჭუბურ-ი „წაბლი“; ჭუჭელონი (ლხმ.) „სამოვარი (ზედმიწ. _ ჭინჭრ-იან-ი)“ < მეგრ. ჭუჭელონ-ი „ადგილი, სადაც ბევრი ჭინჭარი ხარობს“ და ა. შ.

2. ქართულის გზით შემოსული ბერძნული, თურქული, სპარსული, არაბული, ოსური, რუსული, სომხური... ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მატოპონიმებლად ქცეულა სვანურში:

ა) ქართულის გზით შემოსული ბერძნული ლექსიკური ერთეულები: **ბარიტ** (ლზმ.) „კარიერი; ბარიტის საწარმო“ < ქართ. ბარიტ-ი „მინერალი, ბარიუმის ბუნებრივი სულფატი“ < ბერძნ. **barks** „მძიმე“; **კანოლ** (ბქ.) „სათიბი; საკანონმდებლო ადგილი (ზედმიწ. _ **კანონ-ი**)“ < ქართ. კანონ-ი < ბერძნ. **kanōn**; **ლეკვისარ** (ბზ.) „ყანა (ზედმიწ. _ სა-**კეისარ-ო**)“ < ძვ. ქართ. კეისარ-ი < ბერძნ. **keisar**; **ქრისტე** (ბზ.) „სათიბი (ზედმიწ. _ **ქრისტე**)“ < ქართ. ქრისტე < ბერძნ. **χριστός**; **ჰაერ** (ბქ.) „სათიბი (ზედმიწ. _ **ჰაერ-ი**)“ < ქართ. ჰაერ-ი < ბერძნ. **aēr** და სხვ.

ბ) ქართულის გზით შემოსული თურქული ლექსიკური ერთეულები: **კორღან** (ლზმ.) „ტყე (ზედმიწ. _ **ყორღან-ი**)“ < ქართ. ყორღან-ი 1. „მეზობელთა სასაზღვრო ნიშანი _ მიწაში ქვების გროვა...; სამანი; 2. „ძველი დროის საფლავზე გაკეთებული მაღალი ბორცვი“ < თურქ. **kurgan** „ციხე-სიმაგრე“; **ლათთუნტარ** (ლზტ.) „საძოვარი (ზედმიწ. _ სა-**თუთუნ-ე**)“ < ქართ. თუთუნ-ი < თურქ. **tutun** თამბაქო“...

გ) ქართულის გზით შემოსული ძველი და ახალი სპარსული ლექსიკური ერთეულები: **ნაკემბემ** (ბქ.) „ნაძვნარი (ზედმიწ. _ ნა-**კამეჩ-ევ-ი**)“ < ძვ. ქართ. კამბემ/ჩ-ი, ახ. ქართ. კამეჩ-ი < სპარს. **gavmeS**; **უნაგირა** (ლზტ.) „სათიბი (ზედმიწ. _ **უნაგირა**)“ < ქართ. უნაგირა „ორად ამოწვერილი მთა, ქედი, რომელიც უნაგირს მოგვაგონებს“ < სპარს. **hunagir**; **ლეჭბუგ** (ბზ.) „ტყე (ზედმიწ. _ სა-**ჭაბუკ-ე**)“ < ქართ. ჭაბუკ-ი < სპარს. **čāpūk**; **ჭაბუჭანი** (ბქ.) „სახნავი (ზედმიწ. _ სა-**ჭაბუკ-ე**)“ < ქართ. ჭაბუკ-ი < სპარს. **čāpūk**; **მეჯალაბშერ** (ლზტ.) „უბანი (ზედმიწ. _ მო-**ჯალაბ-ის-ან-ი**)“ < ქართ. ჯალაბ-ი < სპარს. **čalab**... ; **ნაქლაქტ ნაქლექტ** (ბქ.) „სათიბი (ზედმიწ. _ ნა-**ქალაქ-ევ-ი**)“ < ქართ. ქალაქ-ი < ახ. სპარს. **kalak**...

დ) ქართულის გზით შემოსული არაბული ლექსიკური ერთეულები: **ლაკუმაშარ** (ლზტ.) „სათიბები (ზედმიწ. _ სა-**კუმაშ-ე-ებ-ი**)“ < ძვ. ქართ. კუმაშ-ი < არაბ. **kumaS** „საქონელი“; **ლამერბათილ** (ბზ.) „წყარო (ზედმიწ. _ სა-**შარბათ-ო-უკ-ა**)“ < ქართ. შარბათ-ი < არაბ. **Sarbat**; **მაიდან** (ლზმ.), „საძოვარი (ზედმიწ. _ **მოედან-ი**)“ < ქართ. მოედან-ი < სპარს. **maydān**; **სუფრემ** (ლზმ.) „სათიბი (ზედმიწ. _ **სუფრ-ის-{ა}**)“ < ქართ. სუფრა < არაბ. **sufre**, თუმცა, ზოგიერთი მეცნიერის თვალსაზრისით, აღნიშნული ლექსემა თურქულიდან უნდა მომდინარეობდეს.

ე) ქართულის გზით შემოსული ოსური ლექსიკური ერთეულები: **ლერანგ** (ბქ.) „სათიბი (ზედმიწ. _ სა-**რანგ-ე**)“ < ქართ. (რაჭ.), მეგრ. რანგ-ი „თაფლისგან დამზადებული სასმელი, თაფლის ღვინო“ < ოს. **Rong**, თუმცა გ. კლიმოვის თვალსაზრისით (გ. კლიმოვი და მ. ხალილოვი), ქართულ-მეგრულში „გამაბრუებელი სასმლის“ აღსანიშნავი სიტყვა სვანურიდან უნდა იყოს შესული, რომლის საფუძველია ოსური **Rong** („სათრობი სასმელი“). თუ ეს თვალსაზრისი სწორია, მაშინ რანგ-ი უნდა განვიხილოთ იმ მცირერიცხოვანი მასალის (მაჩვიბი, კუბდარი, ჭიშდვარი...) გვერდით, რომელიც ქართულ ენაში სვანურიდან შევიდა (საღლიანი, 2005, გვ. 58.).

ვ) ქართულის გზით შემოსული რუსული ლექსიკური ერთეულები: **აკოპარ აკოფარ** (ბქ.) „საძოვარი (ზედმიწ. _ **სანგრები**)“ < ქართ. **აკოფ-ი** < რუს. **окоп** „სანგარი; **ლჭირ** (ბზ.) „სათიბ-საძოვარი (ზედმიწ. _ **ბანაკი**)“ < ქართ. ლაგერ-ი < რუს. **Лагерь** „ბანაკი“; **ლაგარდტიშილ** (ბქ.) „საძოვარი (ზედმიწ. _ სა-**კარტოფილ-ის-უკ-ა**)“ < ქართ. კარტოფილ-ი < **Картофель** < გერმ. **Kartoffel**; **კანტორა** (ლზმ.) „საცხოვრისი (ზედმიწ. _ **კანტორა**)“ < ქართ. კანტორა < რუს. **Кантора**;

ნაკანტორ (ლზბ.) „ტყე, სამოვარი, უბანი (ზედმიწ. _ ნა-კანტორ-ებ-ი)“ < ქართ. კანტორა < რუს. **Кантора**; კანათ (ბქ.) „სამოვარი (ზედმიწ. _ ბაგირი)“ < ქართ. კანატა < რუს. **Канат** „ბაგირი“; ნაკაზარმაჟ (ლზბ.) „სამოვარი მთა (ზედმიწ. _ ნა-ყაზარმ-ევ-ი)“ < ქართ. ყაზარმა < რუს. **Казарма**; სტანცია (ლზბ.) „ვაკობი (ზედმიწ. _ სადგური)“ < ქართ. სტანცია < რუს. **Станция** „სადგური“... თუმცა ადვილი შესაძლებელია, რომ რუსული ლექსიკა დამოუკიდებლად იყოს შემოსული სვანურში.

ზ) ქართულის გზით შემოსული ფალაური ლექსიკური ერთეულები: ლდეუა (ბქ.) „სათიბი (ზედმიწ. _ სა-დევ-ო)“ < ქართ. დევ-ი < ფალ. **dēv** „დემონი, ბოროტი სული“; ჟამილჴმ (ბქ.) „სათიბი (ზედმიწ. _ ჟამ-უკ-ის-{ა})“ < ქართ. ჟამ-ი „შავი ჭირი“ < ფალ. **zamān** „დრო“; ჟამჴმ (ზზ.) „სოფელი (ზედმიწ. _ ჟამ-ის-{ა})“ < ქართ. ჟამ-ი „შავი ჭირი“ < ფალ. **zamān** „დრო“...

თ) ქართულის გზით შემოსული ლათინური ლექსიკური ერთეულები: აპრილ (ბქ.) „სათიბი (ზედმიწ. _ აპრილ-ი)“ < ქართ. აპრილ-ი < ლათ. **aprilis**; ცენტრ (ბქ.) „ცენტრი (ზედმიწ. _ ცენტრ-ი)“ < ქართ. ცენტრ-ი < ლათ. **centrum**...

ი) ქართულის გზით შემოსული ინგლისური ლექსიკური ერთეულები: ტუნელჴრ (ბქ.) „კლდე, გზა, გვირაბები (ზედმიწ. _ ტუნელ-ებ-ი)“ < ქართ. ტუნელ-ი < ინგ. **tunnel**...

კ) ქართულის გზით შემოსული ძვ. ებრაული ლექსიკური ერთეულები: აკლდამ (ბქ.) „სასაფლაო (ზედმიწ. _ აკლდამა)“ < ქართ. აკლდამა < ძვ. ებრ. **aqeldam** „სისხლის ველი“; ერისალემ (ზზ.) „სამოვარი (ზედმიწ. _ იერუსალიმ-ი)“ < ქართ. იერუსალიმ-ი < ძვ. ებრ. **ierusalaim**; ინჴმ (ბქ.) „ნაეკლესიარი; სამოვარი; სერი (ზედმიწ. _ იონა-ის-{ა})“ < ქართ. იონა {წინასწარმეტყველი} < ძვ. ებრ. **jona** „მტრედი“; იან/იჴნ (ბქ.) „საყდარი; უბანი; სასაფლაო (ზედმიწ. _ იონა)“ < ქართ. იონა/იონა-ა {წინასწარმეტყველი} < ძვ. ებრ. **jona** „მტრედი“; იელ (ზს., ლზბ.) „სოფელი; ნაეკლესიარი; საყდარი; სათიბი; უბანი (ზედმიწ. _ ელია)“ < ქართ. {წმინდა} ელია < ძვ. ებრ. **elia** „ღმერთი _ სიმაგრე ჩემი“...

იმვითად, მაგრამ მაინც გვხვდება რომაულიდან, იტალიურიდან, სომხურიდან და ა. შ. ქართულის გზით შემოსული ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მატოპონიმებლად ქცეულა სვანურში. ჩვენი აზრით, შესაძლოა, რუსული ლექსიკა დამოუკიდებლად იყოს შემოსული სვანურში, ისევე, როგორც ჩრდილოკავკასიური (ყაზარდოული, ჩერქეზული, აფხაზური, ოსური...) ლექსიკური ერთეულები. დიდძალ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ქართულ-ზანურის გზით შემოსული ჩრდილოკავკასიური ლექსიკა ტოპონიმებად თითქმის არ გვხვდება.

3) სხვა ენებიდან (ბერძნულიდან, ადიღურიდან...) პირდაპირ შემოსული ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მატოპონიმებლად ქცეულა სვანურში:

ა) ბერძნულიდან შეთვისებული ლექსიკური ერთეულები: სტარმუნჴმ/სტარმენჴმ/-სტარნჴმ/სტარჴნჴმ/სტარინ/სტარჴნიჴმ (ზს., ჟს.) „სათიბი, სამოვარი; ტყე; ნაეკლესიარი (ზედმიწ. _ ჯვარ-ის-{ა})“ < ბერძნ. **σταυρός** ფორმისგან, რომელიც აკუზატივის ფორმით არის

შემოსული სვანურში და გამოიყენება არა ნივთიერი ჯვრის აღსანიშნავად, არამედ მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში, კერძოდ, როდესაც პირჯვრის გადაწერაზე/გამოსახვაზეა საუბარი (მაგ., ბზ. **სტარუნს ორენი**, ლნტ. **უსტარუნს იორნი**, ლშხ. **უსტარუნს ორენი** „პირჯვარს ისახავს/იწერს“). ბალსქვემოურ დიალექტში ამ სიტყვას დალოცვის ფორმულებში ხმარობენ (მაგ., **სტარინ ხერა** „ჯვარი სწერია“) (შანიძე, 1957, გვ. 320-321.).

ბ) ადილეურიდან შეთვისებული ლექსიკური ერთეულები: **ნაზუნთხ/ნაზუნთხ** (ბქ.) „ყანა, სამოვარი (ზედმიწ. _ ნაშვრიალი)“ < ადილ. **ზღთხ** „შვრია“; **ნაკუტეცან/ნაკუტეცან** (ბქ., ლნტ.) „ყანა (ზედმიწ. _ ნახორბალი)“ < ადილ. **ჰტეგ; ქტანდარ** (ბქ.) „ღელე, ადგილის სახელწოდება (ზედმიწ. _ ბუჩქნარი)“ < ადილ. **ჰნდ/ჰნდ** „ბუჩქი“; **ჰაგრზ** (ბზ.) „მოედანი (ზედმიწ. _ ფეხშიშველა)“ < ადილ. **ლჰფეხი**“ და სვან. **გპრ** „მხოლოდ, მარტო“...

4) ჰიბრიდული ტოპონიმები, რომელთა რომელიმე ნაწილი სვანურია (ანუ სვანურში პოვნირია), ნაწილი კი შემოსულია ან სხვა ქართველური ენებიდან, ან რომელიმე უცხო ენიდან (მაგ., რუსულიდან, თურქულიდან, ოსურიდან...) ქართულის ან ადილეურის გზით:

ა) სინტაგმის ერთ ერთი კომპონენტი საკუთრივ სვანურია მეორე კი ნასესხები **ბულონიშ ლიც** ლხმ „ღელე ზედმიწ **ბალ** ნ არ ი ს წყალი “ მეგრ ბულონ ი „ადგილი სადაც ბევრი ბალი ხე დგას“ და სვან **ლიც** „წყალი“ **ბუშრე ლაშთხუიარ** ზს „სამარხი ზედმიწ **ბოშ** ებ ის სამარხი ქართ ბოშა და სვან **ლაშთხუიარ** „სასაფლაო“ **გუბი ლიც** ბზ „ღელე ზედმიწ **გუბ** ი ს წყალი “ ქართ გუბე და სვან **ლიც** „წყალი“ **დედუფალი დაბ** ქს „ყანა ზედმიწ **დედოფლ** ი ს ყანა “ ქართ დედოფალი და სვან **დაბ** „ყანა“ **ზაგარი პერეუპლ** ბზ „გადასასვლელი უღელტეხილი ზედმიწ **ზეგან** ი ს უღელტეხილი “ სვან **ზაგარ** „ზეგანი გორაკი“ და ქართ პერევალი რუს **перевал** **თეთნულდი ჩიხ** ბზ „თეთნულდის ჩიხი ზედმიწ **თეთნულდი** ი ს **ჩიხ** ი “ სვან **თეთნულდი** „მწვერვალის სახელწოდება“ და ქართ ჩიხ ი **კუედი ლიც** ლნტ „წყარო ზედმიწ **კოდი** ი ს წყალი “ ქართ კოდი და სვან **ლიც** „წყალი“ **ლგაპუ სუეტ** ბზ „კლდე ზედმიწ წაქცეული **სვეტი** ი “ სვან **ლგაპუ** „წაქცეული“ და ქართ სვეტი ი „ბოძი“ **ჟიბე წყურგინ** ლხმ „სამოვრები ზედმიწ ზედა წყარო “ სვან **ჟიბე** „ზემო ზედა“ და მეგრ **წყურგინ** „წყარო“ **ქარაფი ნეზ** ლნტ „სამარხილო გზა ზედმიწ **ქარაფ** ი ს სოჭი “ ქართ ქარაფი და სვან **ნეზ** „სოჭი“ **ცარცკოჯ** ბზ „კლდე მთა ზედმიწ **ცარც** ი ს კლდე “ ქართ ცარცი და სვან **კოჯ** „კლდე“ **ჰნდიში ყინუპრ** ბზ „მყინვარები ზედმიწ **ადიში** ი ს **მყინვარი** ი “ სვან **ჰნდიში** „სოფლის სახელწოდება“ და ქართ მყინვარი ი

ბ) ზოგჯერ სინტაგმის ორივე კომპონენტი ნასესხებია:

თეფიშ ნაფას ბქ „ყანა ზედმიწ **თოფ** ი ს **ნა ფას** ი “ ქართ თოფი და ქართ ფასი ძველან **fæs (fas)** „ცხვარი“ **ტყუემი ნაფას ტყოჭი ნაფას ტყუმი ნაფას** ბზ „სათიბი ზედმიწ **ტყვი** ი ს **ნა ფას** ი “ ქართ ტყვე და ქართ ფასი ძველან **fæs (fas)** „ცხვარი“ **საყდარი ბოგ** ჩოლ „ხიდი ზედმიწ **საყდარი** ი ს **ბოგა** “

ქართ საყდარ ი და ქართ ბოგა ყორნალი ღწლა ლნტ „ღელე ზედმიწ ყორნ ებ ი ს ღელე “ ქართ ყორან ი სალდათრე ნაყარტწლ ბზ „ტყე ზედმიწ ჯარისკაცები ს ნა ყარაულ ებ ი “ ქართ სალდათ ი რუს Солдат იტალ saldo „ჯამაგირი“ ჭალიშ რიყწრ ბქ „რიყე მდ ენგურის მარცხენა ნაპირი სოფლის ბოლო ზედმიწ ჭალ ის რიყე ებ ი “ ქართ ჭალა და რიყე ჭორხა საყდრწლ ლნტ „ნასაყდრალი ზედმიწ ჭოროხ ი ს საყდრ ებ ი “ ქართ ჭოროხ ი და საყდარ ი ჯოჯოხეთი ღელა ლნტ „ღელე ზედმიწ ჯოჯოხ ეთ ი ს ღელე “ ქართ ჯოჯოხეთ ი და ღელე

გ) სინტაგმის ერთ-ერთი კომპონენტი ნასესხები საკუთარი სახელია, მეორე კი – საკუთრივ სვანური ან საერთოქართველური საზოგადო არსებითი სახელი:

ასლანბეგი მოლრდწრ ბზ „სათიბი ტყე ზედმიწ ასლან ბეგ ი ს ახოები “ ქართ ასლანბეგ ი ძვ თურქ arslan „ლომი გმირი გოლიათი დიდი“ beg (/bej) „ბატონი“ და სვან მოლ „ახო საყანედ გაკაფული ტყე“ ასლანბეგიშ ახსანბეგიშ ნაკ ბქ „სამოვარი ზედმიწ ასლან ბეგ ი ს ვაკე “ ქართ ასლანბეგ ი ძვ თურქ arslan „ლომი გმირი გოლიათი დიდი“ j „ბატონი“ და სვან ნაკ „ვაკე შდრ ს ქართვ ტაკ ე “ ასლანრე მურყტამ ბქ „ნაკომკარი ზედმიწ ასლან ებ ი ს კომკი “ ძვ თურქ arslan „ლომი გმირი გოლიათი დიდი“ და სვან მურყტამ „კომკი“ ბექმერზამ ნადგარ ბქ „სამოვარი ზედმიწ ბეგ მირზა ს მო ნაკლავი “ ძვ თურქ beg (/bej) „ბატონი“ არაბ სპარს amirzade „ამირის შვილი“ და სვან ნადგარ „ მო ნაკლავი“ თემერბეგიშ ქტანწრ ბქ „კლდე ზედმიწ თემურ ბეგ ის ქვ იან ებ ი “ ქართ თემურბეგ ი თურქ მონღ temur „რკინა“ თურქ beg (/bej) „ბატონი“ და სვან ქტანწრ „ქვიანი ადგილი“ რომელიც შესაძლოა ქართ ქვა თათარყანიშ ლარა ბქ „სათიბი ზედმიწ თათარყან ის სათიბი “ ქართ თათარხან ი თურქ tatar უძველესი თურქული ტიტული xan და სვან ლარე „სათიბი“ მურზაყანშა მურყტამ ბზ „კომკი ზედმიწ მურზაყან იან თ კომკი “ ქართ მირზა არაბ სპარს amirzade „ამირის შვილი“ სპარსული სუფიქსი xan მირზახანი და სვან მურყტამ „კომკი“ რწდიმხანიშ ღწრ ბქ „სამოვარი ზედმიწ რადიმხან ი ს ღარ ი “ თურქ radim უძველესი თურქული ტიტული xan და სვან ღწრ ქართ ღარ ი

როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, წარმოების მხრივ სიტყვათშეერთებით ნაწარმოებ ტოპონიმებში ძირითადად მართულმსაზღვრელიანი სახელები გამოიყოფა და ამგვარ შეხამებაში ძირითადი მოდელები ასეთია: აპელატივი (ანუ საზოგადო სახელი) + აპელატივი, ზმნიზედა + საზოგადო სახელი, საზოგადო სახელი + მიმღეობა, ანთროპონიმი + საზოგადო სახელი და ა. შ., თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ატრიბუტულმსაზღვრელიანი ტოპონიმებიც გვხვდება.

სიტყვათშეერთებითი ანუ ტოპონიმ-კომპოზიტების გარდა, სვანურში ხშირია სხვადასხვა ენიდან ნასესხები ცალკეული საკუთარი სახელებისგან ნაწარმოები ტოპონიმებიც, მაგ.: გაბრწნი ესპლწნი ოღლწნი ქრისტწნი ყარბეგშწნი ჭაბგტწნი ჯაფრწნი და მრავ. სხვ., რომელთა აქ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ცნობილია, რომ ეროვნული სახელების გვერდით თითქმის ყველა ენაში გვხვდება უცხოური ანთროპონიმები, ცხადია, ამ მხრივ გამონაკლისი არც სვანურია, რომელშიც საკუთრივ სვანური მასალის გვერდით ხშირად უცხოენოვანი ანთროპონიმებიც დასტურდება. როგორც მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, საანალიზო მასალაში დიდი რაოდენობით გამოვლინდა თურქულიდან ნასესხები ანთროპონიმები, რომელთა უმეტესობა სვანურში ყარაჩაულ-ბალყარულიდან შეთვისებულად მიიჩნევა (ჯიქია, 1973, გვ. 213.). სწორედ ეს ანთროპონიმები გამოიყენა ენამ მატოპონიმებად, თუმცა თურქული ანთროპონიმების პარალელურად ხშირად ვხვდებით ბერძნულიდან, ებრაულიდან, ოსურიდან, ადიღურიდან და ა. შ. ნასესხებ ანთროპონიმებსაც, რომელთა უმეტესობა ამჟამად მხოლოდ ტოპონიმებში დასტურდება. მათი შემოსვლის ზუსტი დროის განსაზღვრა კი შეუძლებელია წერილობითი ძეგლების უქონლობის გამო. ხშირად ასევე შეუძლებელია სესხების მიმართულეობაზე ხაზგასმით საუბარიც.

ამრიგად, როგორც დიდძალი საილუსტრაციო მასალის განხილვამ აჩვენა, სვანურ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ვხვდებით ჩრდილოკავკასიურ (ყაზარდოულ, ჩერქეზულ, ოსურ...), დასავლეთევროპულ (ბერძნულ, ლათინურ), რუსულ და აღმოსავლურ (თურქულ, სპარსულ, არაბულ, სომხურ) ენათა ლექსიკის არაერთ ნიმუშს, რაც განპირობებულია გარკვეული კონტაქტებით დროსა და სივრცეში. რასაკვირველია, მათ გვერდით დიდი ოდენობით დასტურდება მონათესავე ქართველურ ენათა (ქართული, მეგრული) ნასესხობანი, რომელთა საერთოქართველურ მონაცემთაგან გამიჯვნა რიგ შემთხვევაში საკმაოდ რთულია. ნასესხებ სიტყვათა ქრონოლოგიური საზღვრის დადგენა განსაკუთრებით მაშინ რთულდება, როდესაც საქმე გვაქვს უძველეს ნასესხობებთან, რომლებიც შესაძლოა ბგერათშესატყვისობებითაც იყვნენ წარმოდგენილნი ქართველურ ენებში (საღლიანი, 2005, გვ. 218.).

ირკვევა, რომ უცხოენოვან ლექსემათა ფუძეები სვანურში დასტურდება როგორც ფონეტიკურ-სემანტიკურად უცვლელი სახით, ასევე სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტებითა თუ სემანტიკური ნიუანსებით (სახეცვლილი მონაცემებით). ზოგიერთი ნასესხები ფუძე „გასვანურებულია“, ანუ შეიცავს სვანური ენისთვის დამახასიათებელ მორფონოლოგიურ ინვენტარს: პალატალურ, ველარულ თუ ლაბიალურ უმლაუტს მაგ **ბან ღარ უფალ ყუთელამ ნესკამ ლაშამბ დუმამ ჭალამ ჭალა გინდუერ გუირგუინ** გრძელ ხმოვანს მაგ **წყარამ ტყუმ ნაქრაჟა** ანაპტიქსურ ელემენტს მაგ **ნაკმბემ ლაშერბთილ აკლდამ** ორფუძიანი ბრუნების სისტემას მაგ **ლადეჟალ ში ი შ ტუბ ინ ში შ ლასფლაჟარ სუფრეშიმ მურყამ** და ა. შ., რაც ერთგვარ მეგზურობას გვიწევს სესხების გეოგრაფიული მიმართულების გარკვევაში.

ნასესხებ ტოპონიმთა ერთ ნაწილში მკაფიოდ გამოიკვეთა სვანურ სახელთა აუსლაუტის ბუნების _ დიამარცვლიან სტრუქტურათა დახურულმარცვლიანებად გარდაქმნის _ ერთი ფრიად გამოკვეთილი ტენდენცია (მაგ.: **აბან** < აბანო, **ორლობ** < ორლობე, **მიდამ** < მიდამო...), რაც ფორმათა გამარტივებას გულისხმობს. გარდა ამისა, საკმაოდ ხელშესახები აღმოჩნდა თანხმოვანთა დაკარგვისა თუ ხმოვანთა შერწყმის შედეგად მიღებული კომპენსატორული ან კომბინატორული სიგრძე, დეზაფრიკატიზაცია-სპირანტიზაცია,

თანხმოვანთა გამჟღერება, სონორთა მონაცვლეობა, რედუქციის პროცესები მსუბუქ და მძიმე ბირთვებში, ბგერათა ჩართვა-დაკარგვა, მეტათეზისი და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სალიანი, მ. (2005). ნასესხობანი სვანურ ენაში. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი. ენა და კულტურა.
2. შანიძე, ა. (1957). ბერძნული სიტყვა აკუზატივის ფორმით სვანურში. ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები. I. თბილისი. ქართული ენა.
3. ჭუმბურიძე, ზ. (1992). რა გქვია შენ? თბილისი. თეატრონი.
4. ჯიქია, მ. (1973). თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები ქართულში. აღმოსავლური ფილოლოგია. ტ. III. თბილისი. მეცნიერება.

Medea Saghiani, Nato Shavreshiani

Tbilisi State University Arnold Chikobava Institute of Linguistics

Sociolinguistic Aspects of Loan Anthroponyms in the Svan Language

Summary

The Svan language is rich in lexical units of various fields, especially anthroponyms. Most of them come from common Georgian roots. Alongside this material, there are lexical units incoming directly as from Georgian-Zan as from other foreign lexical units through Georgian.

During the research a variety of Svan toponymic materials were grouped into several sections: lexical units incoming directly from Georgian-Zan, which have turned into the lexical units denoting toponyms; lexical units of Greek, Turkish, Persian, Arabic, Ossetian, Russian, Armenian incoming through Georgian; lexical units denoting toponyms; hybrid toponyms, some of which are Svan (in other words, they can be found in the Svan language, some of them are from other Kartvelian languages or some foreign languages (Russian, Turkish, Persian...) incoming through Georgian or Adygh. The existence of lexical patterns of the languages listed in the Svan geographical nomenclature is conditioned by certain contacts over time and space.

As the discussion of the great illustrative material shows, the lexeme of foreign languages is evidenced by both phonetically-semantically unchanged forms and various phonetic variants (modified data) or semantic nuances in the Svan language.

ეტივან მარგიანი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„კოდორული ქრონიკების“ ჰიდრონიმია (სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი)

ჰიდრონიმია არის ტოპონიმის ძველთაძველი და საინტერესო ნაწილი. წყალს, ზოგადად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანისთვის. კაცობრიობის ცივილიზაციის კერები, პირველი დასახლებები სწორედ მდინარეებთანაა დაკავშირებული. ერთ-ერთი ზოგადტოპონიმური კანონზომიერების თანახმად, დიდ ობიექტთა, განსაკუთრებით მდინარეთა სახელები საუკუნეობით ცოცხლობენ და მოსახლეობის ეთნიკურ ცვლასაც კი უძლებენ (ცხადაია, 2004, გვ. 89).

დალის ხეობა ისტორიული მხარეა დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში. ამ მხარეს ანტიკურ ეპოქაში მივსიანეთი ანუ მისიმიანეთი ეწოდებოდა, შუა საუკუნეებში - დალის ხეობა, XIX საუკუნეში - წებელდა-დალის საბოქაულო, საბჭოთა ეპოქაში - აფხაზეთის სვანეთი, XXI საუკუნეში - ზემო აფხაზეთი. სახელწოდებათა ასეთი მრავალფეროვნებაც კი, ვფიქრობთ, თავისთავად მიანიშნებს საქართველოს ისტორიაში ამ ხეობის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობაზე. გასულ საუკუნეში პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე თითქმის ათეული წლების განმავლობაში ვერ ხერხდებოდა ტოპონიმის ლაბორატორიის სამეცნიერო მივლინება მასალის ჩასაწერად და შესაკრებად ისტორიულ კოდორის ხეობაში. 1986–2008 წლებში მშობლიურ დალის ხეობაში ჩვენ (როგორც მკვიდრმა და არა თბილისიდან მივლინებულმა) აღვსუსხეთ და ჩავიწერეთ მრავალფეროვანი დიალექტოლოგიური და ეთნოლინგვისტური მასალები, ტოპონიმები, ჰიდრონიმები, ზოონიმები... 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების შედეგად, სამწუხაროდ, დალის ხეობის დედასამშობლოსგან დროებით მოკვეთის შემდგომ ამ მასალის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, უდავოდ გაიზარდა. თუმცა ადგილზე მასალის გადამოწმება ამჟამად რთულია ოკუპაციის გამო, ამიტომაც ჩვენ დავინტერესდით საკითხით – როგორ და რამდენად აისახა აისახა „კოდორულ ქრონიკებში“ დალის ხეობის ონიმასტიკონი ზოგადად და ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი – ჰიდრონიმია. აქვე შევნიშნავთ, რომ მონუმენტური ენათმეცნიერული ძეგლის – კოდორული ქრონიკების – შესახებ სამეცნიერო წრეებში არსებობს შემდეგი შეფასებები: „კოდორული ქრონიკები“ - დალისხეობელთა ოდისეა, მათიანე, იმედის წიგნი, ისტორია და ყოველდღიურობა, წარსული და მერმისი! „კოდორული ქრონიკები“ იგივე კოდორის ცხოვრებაა! ეს არა მხოლოდ მეხსიერების წიგნია, არამედ იმედისაც. იმედის, რომ კოდორელები არასოდეს დაივიწყებენ თავიანთ საცხოვრისს (კაშია, 2019, გვ. 245).

„თანამედროვე თვალთახედვით რომ ვთქვათ, მართლაც მრავალწახნაგოვანი წიგნი გამოვიდა და ყოველ წახნაგში მას ძალიან დიდი საზოგადოებრივი, მეცნიერული და ყველანაირი დატვირთვა აქვს. ხელოვნური არაფერია მასში. ეს უნდა ეამაყებოდეთ არა მარტო ამ ნაშრომის შემდგენლებს, არამედ, საერთოდ, ჩვენს ენათმეცნიერულ აზრსაც. აი, აქ, როგორც წვეთში, ჩანს მთელი ოკეანე, ისე ჩანს ჩვენი ხალხის მწარე ბედი, ისტორიული ხვედრი თუ გნებავთ, აი, ამ პატარა დალის ხეობის მაგალითზე, მის საამაყო წარსულზე, ძველ ამბებზე, თანამედროვეობაზე... ესაა უზარმაზარი ფოლიუმი...“ „ჩვენი ეროვნული იდენტურობისათვის ამისთანა წიგნებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ, თუ გადამჭრელი არა (ნოდარ ანდლულაძე).

საბედნიეროდ, „კოდორული ქრონიკები“ არ არის მხოლოდ კოდორის ხეობის მოსახლეობის ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის პირველი ნაბიჯები... ამ წიგნის მნიშვნელობას ალბათ გვიან გავაცნობიერებთ. გავაცნობიერებთ მაშინ, როდესაც კოდორს მოწყვეტილი კოდორელები თანდათან გადაასხვანაირებენ თავიანთ საუბარს და მხოლოდ ეს წიგნი შეინარჩუნებს იმ ხიბლს, რასაც პირველად თქმული სიტყვის უბრალოება ჰქვია და არა მხოლოდ ამას! როგორც ჩანს, ჩვენ ქართველთა იმ უიღბლო თაობებს ვეკუთვნით, რომლებსაც საკუთარი მიწა-წყლის მიტაცების მოწმობა არგუნა ბედმა. სულაც არ იყვნენ ცუდები ისინი, ვის თვალწინაც იკარგებოდა კლარჯეთი და ტაო, საათაბაგო და სამცხე, ჰერეთი და კავკასიის გადასასვლელები... სულაც არ იყვნენ ცუდი ქართველები, უბრალოდ ილბალი შეხვდათ ამნაირი. ჩვენც იმათგანი ვართ სავარაუდოდ. მრავალი წელი გაივლის ჩვენს ფუჭ ოცნებასთან ერთად და ერთადერთი რამ, რაც დავიწყებას გამოჰლეჯს ხეობას დალისას, „კოდორული ქრონიკები“ იქნება მხოლოდ (თევზაძე, 2019, გვ. 52–53).

ცნობილია, რომ უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით – კლუხორის, მარუხის, ნაჰარვის... უღელტეხილებით - ისტორიული დალის ხეობა არის დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რეგიონის ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზა, რაც ამ ხეობას ყოველ ისტორიულ ეპოქაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას და სტრატეგიულ ფუნქციას აკისრებდა, სძენდა. ამ კონტექსტში საინტერესოა ხაჯიმბას განცხადება, რომ აფხაზეთის პარალმენტი განიხილავს კანონპროექტს, რომელიც კოდორის ხეობის სტატუსს ეხება, შესაძლებელია ხეობა დაცულ ზონად გამოცხადდეს, რადგანაც კოდორის ხეობას განვითარების დიდი პოტენციალი აქვს და „ის პერსპექტივაში აფხაზეთის მარგალიტი უნდა გახდეს“. არმინბასთვის კი კოდორის ხეობა ყოველთვის იწოდებოდა აფხაზეთის „ოქროს გასაღებად“. 1874 წელს კავკასიაში ჩამოსული ინგლისელი მოგზაური გროვე რომელიც ყარაჩაიდან გადმოვიდა კოდორის ხეობაში, წერდა: „მნელია ნახო უფრო დიდებული და მშვენიერი ადგილი, ვიდრე მდელითი დაფარული სივრცე და ტყეები, რომელზეც კოდორი მიედინება“.

კოდორის ხეობის ტოპონიმის დაჯგუფება შეიძლება სხვადასხვა ასპექტით, კერძოდ, მარკირების, სემანტიკისა და არქაულობის კუთხით. წინამდებარე პუბლიკაციაში მხოლოდ ჰიდრონიმებით შემოვიფარგლებით. ჩვენი დაკვირვებით, კოდორულ ქრონიკებში დალის ხეობის ჰიდრონიმული ობიექტებისა და გეოგრაფიული სახელების საწარმოებლად გამოიყენება შემდეგი სახის ლექსიკა და ჰიდროგრაფიული ტერმინოლოგია: **ლიც/ნიც** „წყალი“, **ტრᲓმბ /ტრᲓბ** „ტბა“, **მეცᲓ** „ტბა“, **ლიტრᲓმზე** „დატბორვა, დაგუბება“, **ტუჯიბ** „ხევი“, **წეღ/წეღელდმბ** „მცირე დებეტის წყარო“, **მაზუჯაბ** „წყარო“ (წყარო – უშუალოდ მიწიდან მოჩუხჩუხე, მიწიდან ამომავალი), **სარაგ/სარბგ** „წყარო“ (მაზუჯაბბ–ისგან განსხვავებით **სარაგ** არის წყარო, რომელიც მოედინება, მოჩუხჩუხებს ან მოწანწკარებს ღარის საშუალებით), **სგიმ** „მჟავე წყალი“, **ჰალაბბო** „მდინარე“, **ლეღლჰენ** „ღელე, ნაკადული“, **ტაჯიბრა** „ღელე, ნაკადული“, **ლექაქტერ** „წისქვილი“, **ლეჭუჯაბრა/ჭუშბბ** „ჭაობი“, **მაჩხბბგ** „ჩანჩქერი“, **დეწრა** „მყინვარი“, **უჯაოლ** „მყინვარი“, **ხანსარ** „მარადიული მყინვარი“, **რივენ** „ადიდებული მდინარე“, **მაყუჯაქლა** „მდორე მდინარე“, **ძულუჯა** „ზღვა“, **ძულუჯაბ** **პილ** „სანაპირო“, **ჟბბ** „ზვავი“, **ნაჟაჰაჰ** „ნაზვავარი, ზვავის ჩამონაწოლი, ზვავგადავლილი ადგილი“, **ლატრმბა** „წყალსაცავი“, **ნალქაჰერლიდ** „ნაწისქვილარი“, **ლილცაქქერე** „რწყვა“, **ნალგწრაჰ** „ნარწყავი“, **ნაჰლაჰოი** „ნამდინარევი“, **ლალცუშაბბლ//ლალცუშაბბ** „სატივტივო, საცურაო“, **ლატყუჯაბბწელ** „მდინარეთშესართავი“...

დალის სვანეთი მოიცავს მდინარე კოდორის ხუთი შენაკადის აუზებს. ეს შენაკადებია: **გვანდრალა, საკნარა, ხეცქვარა, აბგარა, ყულუჩი**. ონომასტიკურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ხეობისა და ხევის შინაარსი თითქმის იდენტურია, „მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო მცირეა; ორივე კი წყალთან და საერთოდ ჰიდრონიმისათან არის დაკავშირებული“ (ოთინაშვილი, 2013, გვ. 211).

საინტერესოა, რომ გეოგრაფიულ სახელთაგან ქრონიკებში ყველაზე ხშირად იხმარება კოდორის ხეობის სვანური სახელი - **დალიან ტატიბ** „დალის ხეობა“. აქვე შევნიშნავთ, რომ ხეობისა და ხევის ფუნქციით სვანურში იხმარება ორი ლექსემა – **ტატიბ და ტყუაყეფ**. უფრო ხშირად **ტატიბ**, რაც სვანურში ასევე ჰიდროგრაფიასთანაა დაკავშირებული, არა მხოლოდ ფუნქციურად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეტიმოლოგიურადაც. **დალიან ტატიბ** – დალის ხეობა, **ხოშა ტატიბ** „დიდი ხევი“, **ლეჟან ტატიბ** „აღმოსავლეთის ხევი“, **ლექატიჟ ტატიბ** „დასავლეთის ხევი“. **ტყუაყეფს** კი უფრო მხარის, რეგიონის სემანტიკა აქვს. მართალია, **დალიან ტატიბ** და **დალიან ტყუაყეფ** ორივე ითქმის დალის (კოდორის) ხეობის მნიშვნელობით, მაგრამ თუკი შინაარსს ჩავუღრმავდებით, **ტყუაყეფ** აქვს სივრცითი განფენილობის შინაარსი, **ტატიბს /ტვიბს** კი სწორედ ჩაღრმავებული მდებარეობისა, ხევისა, ხეობისა. დალის ხეობის ჰიდრონიმებია აგრეთვე: **ჰულდმარ** <ჰულდუმ „ურდული“ მდინარის ციცაბოკალაპოტიანი ზოლისა და მისი შემოგარენის სახელია კლუხორის უღელტეხილისკენ მიმავალ გზაზე, სადაც კლდეები თითქოს ურდულივით კეტავს მთის ბობოქარ, ჩანჩქერებად მომავალ მდინარეს, **ჩიჩხულდარ-ჩიჩხულდ** „გაფსკვნილმაფებ-ბოლოებიანი ფოჩი“ - **ლდ** კნინობითის სუფიქსია. სახელია კლდის ფერდობისა, რომელზეც შხეფებად მოედინება ჩანჩქერი და მყინვარების ნადნობი წყალი... **სარგბლ** < **სარაგ** „წყარო“, **ელსაბედი სარგბლ** „ადგილის სახელია მთაში“, **ტობარ** < **ტობ/ტომბ** „ტბა“, **მეშხე ტატიბრა** „შავი ღელე“, **წგრნი ტატიბრა** „წითელი ღელე, წითელი ნაკადული“, **იალცუნესგა** < **ანარჟ-ლიც-ნქესგა** „ორ-წყალ-შუა“ იგივე „შუამდინარეთი“, **ტატიბრაშერ** „დასახლებული უბანი აჯარისა და გენწვიშის საზღვარზე“, **ტატიბრაღბარ** „ფერდობის, საზაფხულო იალალის, სამოვრის სახელია ღვალვაში“, **ტობოღბარ** „ადგილის სახელია აჭაფარაში“, **ჩუბე ლახტამ ხანსანღლ** „შუამთის მყინვარები“, **აჭაფარან ჯოღანარ** „აჭაფარის მარად უდნობი მყინვარები“, **ხოშა დეჩრა** „დიდი მყინვარი“, **ლალცუნუზალბარ** „მდინარისპირა ადგილის სახელია კლუხორის უღელტეხილისკენ მიმავალ გზაზე“, **აჭაფარბჟჟ კალბოი** „აჭაფარის მდინარე“, **ჟიბე ლახტან დეჩრანღლ** „ზემო მთის მყინვარები“... ჰიდრონიმები, ანუ წყლის ცნების შემცველი გეოგრაფიული ობიექტები, აგებულების მიხედვით მსგავსად ტოპონიმებისა შეიძლება იყოს – მარტივფუძიანი, კომპოზიტური, რთულფუძიანი, მარკირებული... მაწარმოებელთაგან ყველაზე ხშირად გამოიყენება კნინობითისა და მრავლობითის აფიქსები შესაბამისად ობიექტის სიდიდისა.

ონომასტიკა არის მეცნიერების ის უბანი, რომელშიც ერთიანდება ინტერესები ლინგვისტოთა, ისტორიკოსთა, ეთნოგრაფთა... გამომდინარე, ზოგადად, საკუთარ სახელთა სრულიად სხვადასხვა ასპექტით (ლინგვისტური, ეთნოლოგიური, ქრონოლოგიური, სოციალური, სტილისტიკურ-ესთეტიკური, ექსტრალინგვისტური...) კვლევა-ძიების შესაძლებლობებიდან. ტოპონიმის გარეშე შეუძლებელია ხალხთა ისტორიის, ეთნოლოგიის, ენის, წარსულის, კულტურის... სრულყოფილი კვლევა და შესწავლა. გეოგრაფიულ სახელში ხშირ შემთხვევაში მოცემულია ხოლმე ის დიდი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება ვერ მოგვეცემა ვერც ერთმა ისტორიულმა დოკუმენტმა, წყარომ, მეცნიერულმა შრომამ. ისტორიული გეოგრაფიის ენათმეცნიერული ანალიზის გარეშე, შეიძლება ითქვას, შეუძლებელიცაა დაიწეროს საქართველოს ისტორია. „ტოპონიმისა, როგორც ცნობილია, „დედამიწის ენას“ უწოდებენ, რადგან „ამეტყველების“ შემთხვევაში შეუძლია გვაზიაროს მრავალ საიდუმლოს, რომელიც მასშია დაუნჯებული. ყოველი ტოპონიმი ერთდროულად გარდასულ დღეთა ნაყოფიცაა და მემატანეც, რომელიც მოგვითხრობს ჩვენი შორეული თუ ახლო წინაპრების მატერიალურ თუ სულიერ ცხოვრებაზე (ცხადაია, 2007, გვ. 5). დალის ხეობისა და, ზოგადად, დასავლეთ საქართველოს ისტორიული ტოპონიმისა და ჰიდრონიმის კვლევის თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა თეოდოსე განგრელის (VII საუკუნის იერუსალიმელი მონაზვნის) თხზულება და მასში ასახული საქართველოში გადმოსახლებული ანასტასი აპოკრისიარის (VII ს.) წერილი, რომელშიც ძველი აფხაზეთის

რამდენიმე ტოპონიმია დაფიქსირებული, მათ შორის ბიზანტიიდან 662 წელს ეგრისში გადმოსახლებული მონოფიზიტების – მაქსიმე აღმსარებლის, ანასტასი აპოკრისიარისა და ანასტასი ბერის – საპატიმრო ციხეები და მოძრაობის ადგილები, ესენია: სკოტორი, მუკორისი, სვანიდის ციხე, ბუკოლუსი, თაკვირია, ფუსტა, ჯიხახორა, თუსუმე, სხემარი, სქიმარი (სქიომარი, ჰიმარი), მოქვი... (გასვიანი, 1998, გვ. 85).

გეოგრაფიული სახელების კვლევისას ისტორიული წყაროებიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ვახუშტი ბაგრატიონის შრომა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც ასევე „საქართველოს გეოგრაფიის“ სახელწოდებითაც არის ცნობილი. ონომასტიკურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ხეობების აღწერისას ვახუშტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს წყლებსა და მათ აღწერას. გეოგრაფიული თუ ისტორიული მასალის დალაგებასაც ხეობისა და სოფლების მიხედვით აწარმოებს, რითაც ჰიდროგრაფიული ობიექტებისადმი ყურადღება კიდევ უფრო მეტად ჩანს.

აღსანიშნავია, რომ ყოფილი მისიმიანეთისა და დღევანდელი სვანეთის მხარეთა მდინარეების სახელების გარკვეული ნაწილი ერთსა და იმავე -რა სუფიქსს შეიცავს: **გვანდ-რა, საკნა-რა, აბგა-რა, აჯა-რა, ხეც-ქვა-რა/ხე-წყვა-რა/ხე-ქვა-რა ...** სვანეთიდან მსგავს წარმოებას ვხედავთ მდინარეთა სახელებში: **დოლ-რა, ნაკ-რა, კალ-რა, მულხუ-რა...** (ქალდანი, 1999, გვ. 56). ზოგადად, საქართველოს ჰიდრონიმებზე თუმცა მწირი, მაგრამ მაინც მოიპოვება ცნობები შუა საუკუნეების არაერთი არაბი, ფრანგი, იტალიელი მოგზაურისა და ისტორიკოსის ნაწარმოებებსა თუ ჩანაწერებში. მაგ. მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც 16 წელი იცხოვრა სამეგრელოში, აღწერს მდინარეებს – ფაზისს, ჰიპოსს (ცხენისწყალს), გლაუკს (აბამას), ტაკურს (ტეხურას), კოხისს (ხობს), ენგურს, **კოდორისს (კოდორს)**, ასევე ჟ. შარდენმა 1672-73 წლებში საქართველოში მოგზაურობის დროს დაწერილ ნაშრომში აღწერა მდინარე ენგური, შეეხო მტკვარს, **კოდორს**, რიონსა და სხვა მდინარეებს.

მდინარე **კოდორი** და მისი შემოგარენი ვრცლად არის აღწერილი **ვახუშტის გეოგრაფიაშიც**: „ზის ეპისკოპოსი, მწყემსი **კოდორის** მდინარისა და **მოქვს** მდინარის შორისის ადგილისა... მოიგო სახელი დაბის კოდორისაგან, რომელ არს დრანდას ზეით, ამ წყალზედ მთაში. ხოლო ამ კოდორის დასავლეთად დის მდინარე ცხომისა“... (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973, გვ. 781).

ჰიდრონიმ კოდორის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით ონომასტიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება: თ. მიბჩუანი მას სვანურ კადარ-ს „მშრალ-ს“ უკავშირებს და მიიჩნევს მის ზანინებულ ვარიანტად; სხვა თვალსაზრისის თანახმად, მიუხედავად ძირისეული ხმოვნის სიგრძის პრობლემისა, კოდორი მიჩნეულია სვანურ **სკოდი** „ღრმა“ ლექსემიდან მომდინარედ თავკიდური თანხმოვნის დაკარგვითა და -**ორ** ტოპოფორმანტიტ წარმოქმნილად (ჭუმბურიძე 2007, გვ. 34; მარგვიანი, 1998, გვ. 138); ბ. ბლაჟბა კოდორის ანალიზისას საჭიროდ მიიჩნევს პარალელების გათვალისწინებას ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე: **კუდა-კო, კუდე-ფსტა** სოჩის რეგიონში, **კუდირ-თა** ბზიფის რაიონში... (ბლაჟბა, 1956, გვ. 127).

ამრიგად, დალის ხეობის მასალების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ, ზოგადად, წყლის ცნების შემცველი ტოპონიმებისა და წყალთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის გეოგრაფიული სახელების საწარმოებლად სვანურში გამოიყენება შემდეგი ჰიდროგრაფიული ლექსიკა და ტერმინოლოგია: **ლიც/ნიც** „წყალი“, **ტრიმბ /ტრობ** „ტბა“, **მეჭჰ** „ტბა“, **ლიტრომბე** „დატბორვა, დაგუბება“, **ტუჯიბ** „ხევი“, **წეგდ/ წეგდდლდბრ** „მცირე დებეტის წყარო“, **მაზუჯაბ** „წყარო“ (წყარო – უშუალოდ მიწიდან მოჩუხჩუხე, მიწიდან ამომავალი), **სარაგ/ სარბგ** „წყარო“ (**მაზუჯაბ**–ისგან განსხვავებით **სარაგ** არის წყარო, რომელიც მოედინება ღარის საშუალებით), **სგიმ** „მჟავე წყალი“, **ქალაბბო** „მდინარე“, **ლეგლჰენ** „ღელე, ნაკადული“, **ტაჰტიბრა** „ღელე, ნაკადული“, **ლექაჰეჰერ** „წისქვილი“, **ლეჰუჯბარა/ ჰუშბბრ** „ქაობი“, **მაჩხაბგ** „ჩანჩქერი“, **დეჰრა** „მყინვარი“, **ჟაოლ** „მყინვარი“,

ხანსარ „მარადიული მყინვარი“, **რივენ** „ადიდებული მდინარე“, **მაყუჯქელა** „მდორე მდინარე“, **ძულტუკა** „ზღვა“, **ძულტუჯი პილ** „სანაპირო“, **ჟბჰჰ** „ზვავი“, **ნაჟაჰჰ** „ნაზვავარი, ზვავის ჩამონაწოლი, ზვავგადავლილი ადგილი“, **ლატრმბა** „წყალსაცავი“, **ნალქაჰერლიდ** „ნაწისქვილარი“, **ლილცაჰქერე** „რწყვა“, **ნალცაჰრაჰ** „ნარწყავი“, **ნაჰლაჰოი** „ნამდინარევი“, **ლალცუჰზაჰლ//ლალცუჰზაჰლბჰ** „სატივტივო, საცურო“, **ლატყუჰბჰჰლ** „მდინარეთშესართავი“...

წყლის ცნების შემცველი ლექსიკა და ტერმინოლოგია, ასევე მათივე მეშვეობით ნაწარმოები ჰიდრონიმები სტრუქტურის მიხედვით შეიძლება იყოს მარტივფუძიანი, მარკირებული, კომპოზიტური, სინტაგმური (როგორც მართული, ასევე ატრიბუტულმსაზღვრელიანი), სემანტიკური ასპექტით ეს გეოგრაფიული სახელები უმეტეს შემთხვევაში გამჭვირვალეა, იშვიათად კი ბუნდოვანი შინაარსის მქონეც. უაღრესად საინტერესოა ასევე დალის ხეობის ჰიდრონიმების ეტიმოლოგიური კუთხით კვლევა, რაც მომავლის პერსპექტივაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასლანიშვილი, ს. (1933). აფხაზეთის სვანეთი. ტფილისი.
2. ბარდაველიძე, ვ. (1939). სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. თბილისი.
3. გასვიანი, გ. (1998). აფხაზეთი ძველი და ახალი აფხაზები. თბილისი.
4. ვახუშტი ბატონიშვილი (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. თბილისი.
5. ზარდალიშვილი, გ. (1949). ქლუხორის რაიონის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდების დადგენისათვის. *თსუ შრომები*. ტ. 36. თბილისი.
6. თევზაძე, დ. (2019), დავიწყებული კოდორი, კრებული: დვაწლი, პროფესორი ი. ჩანტლაძე – 80; თბილისი.
7. კაშია, ჯ. (2019). კრებული: დვაწლი, პროფესორი ი. ჩანტლაძე – 80. თბილისი.
8. მარგიანი, ქ. (1998). დალ-სვანეთის ტოპონიმია, ქართველური ონომასტიკა 1, თბილისი.
9. მარგიანი, შ. (2005). კოდორის ხეობის/დალის სვანეთის სოციალ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა. კრებული-დალეღთა იმედი. თბილისი.
10. მიბჩუანი, თ. (1989). დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თბილისი.
11. ქალდანი, მ. (1999). მივსიანეთისა და მივსიანთა ტომის ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის. *აფხაზეთის მოამბე*. #2, თბილისი.
12. ცხადაია, პ. (1986). სვანური სუბსტრატის საკითხისათვის სამეგრელოს ტოპონიმიაში. „*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*“ 122. #1. თბილისი.
13. ცხადაია, პ. (2004). სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია. თბილისი.
14. ცხადაია, პ. (2005). ონომასტიკის შესწავალი. თბილისი.
15. ჭუმბურიძე, ზ., ნიჟარაძე, ლ., ქურდაძე, რ. (2007). სვანური ტოპონიმია. სვანური ენა. თბილისი.
16. Бражба Х. (1956). Некоторые вопросы этнонимии топонимии Абхазий. Труды Абхазского института языка, литературы и истории, т. 27. Сухуми.

Ketevan Margiani, Sokhumi State University

Hydronymy of the "Kodori Chronicles" (According to the Kodori Gorge's materials, Structural-Semantic Analysis)

Summary

In the publication there are presented Kodori Gorge's materials. Explored and investigated Swans hydrographic vocabulary and terminology. Generally the formation of the Hydrographic vocabulary and terminology in Svan was caused by the development of the inner nature of the language, dialectical varieties, word-borrowings and phonetical modification. All above mentioned is proved with the help of the material got for analysis from the dictionaries. From the point of semantic aspect, several subgroups can be identified within Svanian toponymy, namely, the toponyms, metonyms and hydronyms related to hunting activities, geographical names conditioned by landscapes and those referring to the origin and meaning of the names of religion activities. The main characteristic of Dali/Kodori Gorge modern Toponymy is its lingual diversity: Names of several summer pastures, mountains, villages and rivers are of Abkhazian origin, whereas names of most villages and passes, the whole microtoponymy, most hydronyms, drimonyms (names of forests) and oikonyms are basically of Svanian origin. Megrelian, Russian and other names of uncertain etymology within Kodori Gorge Geographical nomenclature are met very rarely.

**ნარგიზ ახვლედიანი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბარძენიშვილის ინსტიტუტი**

მარინე ფუთურიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**მცენარის სახელდების მოტივაცია ერთ-ერთი უძველესი ტოპონიმის
ფორმირებაში და მისი არქეოლოგიური კონტექსტი**

ენა, როგორც ერის კულტურული კოდი და არა მხოლოდ კომუნიკაციისა და შემეცნების იარაღი, მრავალ საიდუმლოს ინახავს. ეს განსაკუთრებით ეხება ენათმეცნიერების ისეთ დარგს, როგორც ონომასტიკა. „საზოგადოების ცხოვრება უანთროპონიმებოდ და უტოპონიმებოდ გადაიქცეოდა ქაოსად და მივიღებდით ახალ ბაბილონის გოდოლს“ (ცხადაია, 2005, გვ. 3). ქვეყნისა და მისი მოსახლეობის წარსულის არაერთი საიდუმლო არა მხოლოდ არქეოლოგიურ, არქიტექტურულ, ეპიგრაფიკულ ძეგლებსა და საისტორიო წყაროებშია შემონახული, არამედ ტოპონიმებშიც უხვადაა განფენილი.

ნაშრომის მთავარი კონცეპტი არის ერთი საკვლევი ობიექტის წარმოჩენა და გაანალიზება ორი განსხვავებული თვალთახედვით: ლინგვისტიკისა და არქეოლოგიის. პრეისტორიული ხანის კოლხეთის ერთი ძეგლის ამგვარი ურთიერთმიმართებითი შესწავლა მოტივირებულია მისი ინტერდისციპლინური გაშუქების მცდელობით.

ჯერ კიდევ საქართველოს ისტორიის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბების წლებში ამ დარგის ძირითად სტრატეგიად აკად. ივ. ჯავახიშვილმა განსაზღვრა სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერთა კოორდინირებული კვლევის აუცილებლობა. სახელდობრ, ენათმეცნიერთა, ისტორიკოსთა, არქეოლოგთა, ეთნოგრაფთა, ბოტანიკოსთა, ზოოლოგთა, ანთროპოლოგთა, აგრონომთა მიერ ამა თუ იმ კონკრეტული პრობლემის სიღრმისეული შესწავლისთვის ყველა ამ დისციპლინათა (მათი რაოდენობა კი დღეისათვის გაცილებით გაფართოვდა) თვალთახედვითა და მათ სპეციფიკურ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით საკითხის გაშუქება (თოფურია, 1979, გვ. 214).

იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანთა არსებობის მანძილზე გარემომცველი მცენარეული სამყარო მისი განუყოფელი თანამგზავრი და მთავარი საარსებო საშუალებათაგანია (თოფურია, 1979, გვ. 241), ფლორის როლი საკმაოდ პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს და მრავალი კუთხით განაპირობებს მის ყოფას. ვგულისხმობთ სამშენებლო ტრადიციის, ხელოსნობის დარგების განვითარების, გასტრონომიის თავისებურების თუ ადამიანთა საქმიანობის სხვა მიმართულებებს. მაგალითისთვის იკმარებდა ისიც, რომ კავკასიაში, ეგეოსურ სამყაროში და არაერთ სხვა რეგიონში ხის გამოყენება სამშენებლო საქმეში საკმაოდ პრიორიტეტული იყო, მაშინ, როცა სამშენებლოდ გამოსადეგი ფლორის სრულმა დეფიციტმა უძველესი მესოპოტამიის ცენტრში - შუამდინარეთში - განაპირობა ალიზ-აგურის კონსტრუქციით ნაგები არქიტექტურის ჩამოყალიბება. შესაბამისად, ხისა და ზოგადად, მცენარეული რესურსების არსებობა უდიდეს როლს თამაშობს ლოკალური რეგიონის კულტურული თავისებურებების ფორმირებაში. ასეთივე როლი ჰქონდა მას შიდა კოლხეთისათვისაც, სადაც კონკრეტული ბიოგარემოს მნიშვნელობა არა თუ დიდი იყო აქ მოსახლეთა ცხოვრებაში, არამედ მას ტოპონიმთა ფორმირებაზეც უნდა მოეხდინა გავლენა. საინტერესოა საარსებო წყაროთა გაფართოებაში მცენარეულ კულტურათა ადგილისა და ფართოდ გამოყენების გათვალისწინება. ადამიანები უძველესი დროიდანვე ტროპიკულ და სუბტროპიკულ ტყეებში თავიანთ რაციონში გარკვეულწილად იყენებდნენ ნაყოფებს (მათ შორის კაკალს), ფესვებსა და ფოთლებსაც. ეს ხდებოდა მცენარეთა როგორც ველური სახეობების, ისე კულტურული ჯიშების შემთხვევაში, ხოლო ამ უკანასკნელის ფორმირების ხანგრძლივი პერიოდი ადამიანთა ერთ-ერთ მთავარი საქმიანობა იყო. ამის საგულისხმო მაგალითად მოვიყვანთ ვაჟა-ფშაველას მოთხრობას „ჟოლი“, რომელიც თავისი გაკულტურების შესახებ ასე წუხს და მოთქვამს: „ვითომ მე ბედნიერი ვარ? ჩემს პატრონს, ჩემს მთიდან მომთხრელს და აქ ბაღში დამრგველს ჰგონია, ბედნიერება მომანიჭა, რაკი უღრანს, უდაბურ ადგილს მომამორა და თავის ზვარში დამრგო. მილით მოყვანილი წყლით მრწყავს. ჩემს ბატონს ჰსურს ბევრი, ბევრი ნაყოფი მივცე, ერთგულად მივლის, მლალაობს. ზოგიც ჩემს გულშიც ჩამოიხედოს, მე რაღას ვამბობ! არამია მასზე ჩემი ამაგი, ჩემი ნაყოფი, რადგან გამაუბედურა და ჩემი უბედურებით თვითონ ხარობს“ (ვაჟა-ფშაველა, გვ.204). შესაბამისად, ანთროპოგენული ფაქტორის როლი უძველესი (და მით უფრო, ძვ.წ. მე-2 ათასწლეულის პერიოდის) პალეოგარემოს ფორმირების პროცესში, უდავოდ, მნიშვნელოვანი იყო.

განარჩევნ ენდემურ (ადგილობრივ) და ინტროდუქციულ (შემოტანილ) მცენარეებს. საერთოდ, ენდემურ მცენარეს ადგილობრივ ენაზე შერქმეული სახელი აქვს, მაშინ, როდესაც

შემოტანილს იმ ენის სახელი შემოჰყვება, საიდანაც ის მოდის და ეს სახელი ითარგმნება ადგილობრივ ენაზე (თოფურია, 1979, გვ. 245).

შეგვიძლია არაერთი მაგალითის მოყვანა, როცა მცენარეთა სახელწოდება ყოველგვარი მაწარმოებლის გარეშე ან გარკვეული მაწარმოებლებით საფუძვლად ედება ტოპონიმს. საკმარისია თვალი გადავაავლოთ გეოგრაფიულ სახელებს და მაშინვე თვალში საცემი ხდება ასეთი თანხვედრები: მუხა - მუხიანი - მუხრანი - ცხრამუხა - დიდმუხა; თელა - თელიანი - თელეთი - თელოვანი; ვაშლი - ვაშლოვანი - ვაშლევი - ვაშლიანი; თხილი - თხილვანა - თხილნარი - თხილოვანი; ნიგოზი - ნიგოზეთი - ნიგვზიანი - ნიგვზარა - ნიგოეთი - ნიგაზეული. ადგილის სახელდებასთან დაკავშირებით საინტერესოა შ. ფუტყარაძის მიერ დადასტურებული ტოპონიმი - ნიგაზეული. მაგ.: „ნიგაზეულიდამ წამოსულან, აქ მოდენილან...“ (ფუტყარაძე, 1993, გვ. 160).

ვ. თოფურია აღნიშნავდა: „საფიქრებელია, რომ ნიგოზი დასავლეთ საქართველოდან უნდა იყოს გადასული ევროპულ ენებში: ლათინურად - nux (nicus), ფრანგულად - noix, გერმანულად - nuss, იტალიურად - noce და სხვ.“. ამასთან, ის ხაზგასმით აღნიშნავდა დასავლეთ საქართველოს ნიადაგის პოხიარებასაც (თოფურია, 1979, გვ. 262), რაც ნიადაგთმცოდნეობის თვალთახედვით ხელსაყრელი პირობა იყო ამ მცენარის კულტივაციისთვის.

კვლევის საგნად შერჩეული ერთი უძველესი ტოპონიმი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ხე-მცენარე ნიგვზის სახელს, არსებით ფაქტორად იქცა დასავლეთ საქართველოს კონკრეტული ტოპონიმის ფორმირების პროცესში. საკვლევი ტერიტორია ზოგადად მდიდარია მცენარეული საფარით. მცენარეთა სახელებიდან მომდინარე ტოპონიმები გაფორმებულია სხვადასხვა აფიქსით. არის შემთხვევები, როცა მცენარის სახელი პირდაპირ (ყოველგვარი მაწარმოებლის გარეშე) ჰქვია გეოგრაფიულ ობიექტს. ამის ნიმუშად გამოდგება ერთი უძველესი ტოპონიმი - ნიგოზეთი და ნიგვზიანი, რომლებიც დაფიქსირებულია დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებით უხვად გამორჩეულ რამდენიმე პუნქტში.

ამ მცენარესთან დაკავშირებულ ფაქტობრივ არქეოლოგიურ მონაცემთა პირდაპირი მოხმობა, სამწუხაროდ, დღეისათვის არ ხერხდება, რადგან ნიგვზიანის სამაროვანზე დადასტურებული არაერთი, განსაკუთრებით კი შრომის, იარაღის (თოხი, წალდი) მხოლოდ ლითონის ნაწილია აღმოჩენილი, ხოლო მისი ტარის ნაწილი არ შემონახულა, რაც საშუალებას მოგვცემოდა გაგვერკვია, რა ჯიშის ხეს იყენებდა ლოკალური მოსახლეობა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ალბათ კოლხეთის დაბლობის ნესტიანი ნიადაგიცაა, რომელიც, ჩვეულებრივ, ცუდად ინახავს ხეს. მიუხედავად ამისა, ვარაუდის დონეზე არ გამოვრიცხავთ, რომ იარაღის არალითონური კომპონენტი, შესაძლებელია, ადგილობრივ გავრცელებული და ადვილად ხელმისაწვდომი კაკლის ხისგანაც ყოფილიყო დამზადებული (მით უმეტეს, რომ ნიგვზის მერქანი ძვირფასი მასალაა). ჩოხატაურის რაიონის სოფ. ზოტში მცხოვრები ნინო ირემაძის ზეპირი ინფორმაციით, ხე-მცენარე ნიგვზის შიდაგული საუკეთესო სამასალე პროდუქტია. მისგან ნაკეთები სამეურნეო დანიშნულების იარაღები არ იბზარება და მდგრადია; მას იყენებენ თოფის კონდახის დასამზადებლად, აგრეთვე მისგან ამზადებენ თოხის, ფიწლის, ბარის, წალდისა და სხვა სამიწათმოქმედო იარაღის ტარს. აქვეა გამოვლენილი საკულტო მოედანი, რომელიც გვარჯილით (ნიადაგის სასუქი) იყო მოფენილი. საინტერესოა, წვის დროს რა ხე-მცენარეს იყენებდნენ ადგილობრივები, ნიგოზს ხომ არა?

ხელვაჩაურის რაიონის სოფ. სახალვაშოში ფიქსირდება მიკროტოპონიმი - ნიგვზარა (იგი ნიგვზნარას შემოკლებული ფორმა ჩანს). შდრ.: ნიგვზნარი - საყანე მიწა, სოფ. კვატიაში (ხულოს მუნიციპალიტეტი) (ბსკიეა, ან.5, ს.64), შდრ.: ნიგოზეთი (სოფელი ჭიათურის მუნიციპალიტეტში), ნიგვზიანი (სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი). არქეოლოგიურ კონტექსტთან ერთად და მასთან უშუალო კავშირში ყურადღებას იქცევს ამ ტოპონიმთა და მსგავსი შინაარსის მქონე გეოგრაფიულ სახელწოდებათა განფენილობა მთელი საქართველოს ტერიტორიაზე და მისი ლინგვისტური ანალიზი.

გვინდა მოვიყვანოთ რამდენიმე მონაცემი მცენარე „ნიგოზეთან“ დაკავშირებით, რომლიდანაც წარმოქმნილი უნდა იყოს ტოპონიმები ნიგოზეთი და ნიგვზიანი. ამ ტერიტორიებზე მდიდარი არქეოლოგიური კომპლექსები აღმოაჩინეს მე-20 საუკუნის 70-იან წლებში.

ამ მხრივ საინტერესოა შემდეგი მონაცემების გათვალისწინება: ნიგოზი - ხე. ნიგვზის კვერთხი - უძილობის შემქმნელი არს (ორბელიანი, 1993, გვ. 239); ასევე ნახე: გორგომეჭილა, ქვეშნიძუზისა, იმ/გურ. - ქვეშნიგვზისა, აჭ. - მარამხელა (მარიამხელა) (მაყაშვილი, 1991, გვ. 35). გორგომიჭელა სულხან-საბას ლექსიკონში - უხეჭხო, მთელი ნიგვზის სახელითაა განმარტებული (ორბელიანი, 1991, გვ. 167). ნიგვზის მერქანი ძვირფას მასალას წარმოადგენს ხითხურობაში. ბოტანიკური ლექსიკონის მონაცემები ნიგვზის შესახებ ასეთია: ნიგოზი - ჩვეულებრივი კაკლის ხე (მაყაშვილი, 1991, გვ. 167), ნიგვზნარი - იმერული ხეჭრელი (რუს. - крушина иомкая, ლათ. - *Frangula alnus*, *Rhamnus frangula*), ქართ., ლჩხ., რჭ., აჭ. - თხიფსელა; გურ. - ლუკუმბა, ლუკუმბო, სვ. - დაშდვე ცინყა (მაყაშვილი, 1991, გვ. 98).

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ჩაქვში, დაფიქსირებულია ტოპონიმი „ხალა“. იგი მთიანი, მთა-ფერდოვანი ადგილია, რომელიც მცენარეული საფარითაა მდიდარი და იქ საკმაოდ გავრცელებულია ხე-მცენარე ნიგოზიც. ადგილობრივი რესპოდენტის (მანანა რევაზის ასული ცხადაძე) გადმოცემით, ხალა - ნიგვზის საბერტყე დიდ ჯოხს ჰქვია. ეს კი პირადაპირი მანიშნებელია ტოპონიმის ფორმირებაში მცენარის, ამ შემთხვევაში ნიგვზის ხის, მონაწილეობის დასადასტურებლად. კაკლის ამგვარ საბერტყე ჯოხს მაგარი ჯიშის ხისგან ამზადებდნენ, რათა იგი მოსავლის აღების (კაკლის ბერტყვის) დროს ეფექტიანად გამოეყენებინათ. აღსანიშნავია, რომ ეს ადგილები დღესაც გამორჩეულია ხე-მცენარე ნიგვზის სიმრავლით. შესაძლებელია, ამ ადგილს წარსულში ნიგვზნარა რქმეოდა, შდრ. ტოპონიმები: ნიგვზარა, ნიგვზიანი, ნიგოზეთი, მაგრამ ამ შემთხვევაში ტოპონიმის სახელდება გამოწვეული ყოფილიყო უფრო მეტი დაკონკრეტებით. კერძოდ, ნიგვზის მოპოვება-შეგროვების მიზნით - სახელდობრ, ნიგვზის საბერტყე ჯოხით - „ხალით“) იყო სახელდებული.

ამჯერად, მცენარის სახელიდან ფორმირებული ორი ტოპონიმი - ნიგვზიანი (ნიგვზიანის სამაროვანი-ლანჩხუთის რ-ნი) და ნიგოზეთი (ნიგოზეთის სამარხი-ჭიათურის მუნიციპალიტეტი) - გვინდა წარმოვაჩინოთ ინტერდისციპლინური კვლევის თვალთახედვით.

ნიგვზიანი - სოფლის სახელწოდებაა ლანჩხუთის რეგიონში და ის ინტენსიურად ჩანს ათვისებული პროტოკოლხური და კოლხური მოსახლეობის მიერ ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და I-ის დასაწყისში. ეს პერიოდი ქრონოლოგიურ სისტემაში განისაზღვრება როგორც გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანა, რომელიც ფართო კულტურული ცვლილებებითა და სოციალ-ეკონომიკური დაწინაურებით ხასიათდება. ამასთანავე, აღნიშნული ეპოქის ძველი სამყაროს ცენტრებთან კავშირმა და მათი მიღწევების გაზიარებამ გარკვეული როლი ითამაშა კოლხეთის გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის კულტურული ერთობის მოცემული სახით

ჩამოყალიბებაში. ხაზგასასმელია, რომ ის განსაკუთრებით გამორჩეულია მხატვრული ბრინჯაოსა და მეტალურგიის არნახული დაწინაურების თვალსაზრისით. ამის დამადასტურებელ არქეოლოგიურ მონაცემებს უხვად შეიცავს ეს კომპლექსი.

რაც შეეხება ამ ძეგლის არქეოლოგიურ კონტექსტს, ის საკმაოდ მრავალფეროვანია. ნიგვზიანის სამაროვანი მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანში, მდინარეების წყალწითელასა და სვიანას შორის. ძეგლი განეკუთვნება ძვ.წ. მე-2 ათასწლეულის ბოლოსა და 1-ლი ათასწლეულის პირველ ნახევარს. ის გათხარა კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ პროფ. თ. მიქელაძის ხელმძღვანელობით და მასვე ეკუთვნის ამ ძეგლის პუბლიკაცია (მიქელაძე, 1985, გვ. 70-92). ამ სამაროვანზე დადასტურებული ყველა სამარხი კოლექტიურია და შეიცავს მიცვალებულის დამწვარ ძვლებს (კოლხეთში ზოგადად ამ პერიოდში კრემაცია დაკრძალვის გაბატონებული წესია), სამარხეულ ინვენტარსა და რიყის ქვებს. რიყის ქვები ქვაყრილის ნარჩენები უნდა იყოს. სამაროვანი იყო მოვაკებულზედაპირიან ბორცვზე, 200მ² გათხრილ ფართობზე გამოვლინდა სამაროვნის პერიმეტრზე მდებარე 10 სამარხი, ხოლო შუა ადგილი სტერილური აღმოჩნდა. არქეოლოგებმა ყურადღება მიაქციეს სამაროვნის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ქვაყრილით მოფენილ ფართობს, რომელსაც პირობითად „საკულტო მოედანი“ ეწოდა და იგი ინვენტარის მრავალრიცხოვნებითა და სამი ტიპის სამიწათმოქმედო იარაღის სიჭარბით გამოირჩეოდა (მიქელაძე, 1985, ტაბ. 2). ყველაზე ადრეული აღმოჩნდა # 1 ორმოსამარხი, რომელიც კერამიკის, ბრინჯაოსა და რკინის იარაღის მიხედვით ძვ.წ. მე-7 ს მიწურულით დათარიღდა (მიქელაძე, 1985, ტაბ. 3). #12 ორმოსამარხი კი ძვ.წ. მე-7-6 საუკუნეების მიჯნით განისაზღვრა, რადგან იქ ერთად იყო წარმოდგენილი კერამიკა, რომელიც ძვ.წ. მე-7 საუკუნის შემდეგ აღარ გვხვდება და თიხის ჭურჭელი, ძვ.წ. მე-6 საუკუნიდან რომ იწყებს გავრცელებას (მიქელაძე, 1985, ტაბ. 4). სამარხებში აღმოჩენილი რკინის იარაღი რამდენიმე ათეულს აღწევდა. ნიგვზიანის სამაროვანზე ყველაზე გვიანდელი პერიოდით - ძვ.წ. მე-6 ს. შუახნით - დათარიღდა # 7 სამარხი, რომლის მასალაც რიონისპირა ნამოსახლარების არტეფაქტების ანალოგიური აღმოჩნდა. ზოგადად, სამაროვანი კი ძვ.წ. მე-7-6 სს-ით დათარიღდა.

რაც შეეხება იმავე ხე-მცენარე ნიგოზთან დაკავშირებულ სხვა ტოპონიმ „ნიგოზეთს“, მის არქეოლოგიურ მონაცემებთან დაკავშირებით შემდეგი ინფორმაცია არსებობს და ის არქეოლოგმა მინდია ჯალაბაძემ მოგვარწოდა. ნიგოზეთის სამარხი მდებარეობს ჭიათურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნიგოზეთიდან სამხრეთ-დასავლეთით 1,5 კმ-ის დაშორებით. სამარხი დაინგრა ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ აგრარული სამუშაოების დროს და როგორც მოპოვებული ინფორმაციითა ცნობილი, 3 მ. სიღრმეზე გაუთხრიათ გვიანი პერიოდის 7 ქვევრი, რომელთა ქვემოთაც მდებარეობდა გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის ჩვენთვის საყურადღებო სამარხი. სამარხი არ გაუთხრიათ სპეციალისტებს, ამიტომ დაკრძალვის წესთან დაკავშირებული მონაცემების (მიცვალებულის პოზა და მასთან ინვენტარის მდებარეობა) აღდგენა ვერ მოხერხდა. 20 ს-ის 50-იან წლებში სამარხეული მასალა საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა შეიძინა ამავე სოფლის სკოლის დირექტორისგან, რომელიც ინახავდა მასალას. ამ საყურადღებო კომპლექსში აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთები: ცხენის აღკაზმულობის ნაწილი (საშუბლე), სატევარი, სატევრის პირის ფრაგმენტი, ცხენის ლაგმის ნაწილი, უმბონი (სავარაუდოდ, ცხენის საშუბლის დეტალი), ფიბულა, სხვადასხვაგვარი რგოლი. ძეგლი სპეციალისტთა მიერ ძვ.წ. 8-7 საუკუნეებით დათარიღდა.

ჩვენ მიერ შერჩეულმა ორივე არქეოლოგიურმა კომპლექსმა, ვფიქრობთ, ერთი მხრივ, შესანიშნავად ასახა ძვ.წ. მე-2 ათასწლეულის ბოლოსა და 1-ლის პირველი ნახევრის გეოკულტურული ვითარების ფონი შიდა კოლხეთის კონკრეტულ არეალებში (ლანჩხუთი. ჭიათურა), ხოლო, მეორე მხრივ, ტოპონიმისა და პალეოგარემოს ურთიერთდამოკიდებულება.

საბოლოოდ, მიგვაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში უძველესმა ვეგეტაციამ განაპირობა ის ტოპონიმი, რომელიც დღემდე შემორჩა როგორც არქეოლოგიური ძეგლის ადგილმდებარეობის დასახელება და თავის თავში შემოინახა ის დაფარული შრე, პალეოგარემოს, არქეოლოგიური კომპლექსისა და ადგილის სახელდების ურთიერთმიმართების პროცესი რომ ასახა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

ლიტერატურა:

1. თოფურია, ვ. (1979). ივ. ჯავახიშვილი და ქართველური ენები. *შრომები*. 3, გვ. 214
2. მაცაშვილი, ალ. (1991). ბოტანიკური ლექსიკონი. თბილისი.
3. მიქელაძე, თ. (1985). კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. *კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები*. 2, გვ. 70-92
4. ორბელიანი ს. ს. (1991). ლექსიკონი ქართული. ტ. 1. თბილისი.
5. ორბელიანი ს. ს. (1993). ლექსიკონი ქართული. ტ. 2. თბილისი.
6. ფუტყარაძე, შ. (1993). ჩვენებურების ქართული. ტ. 1. ბათუმი.
7. ვაჟა-ფშაველა, (2011), პროზა, მოთხრობები, ტომი 1, თბილისი, გვ.302-305.
8. ცხადაია, პ. (2005). ონომასტიკის შესავალი. თბილისი.

წყაროები:

1. ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიული არქივი (ბსკიეა), ან.5. ს.64

Nargiz Akhvlediani,
Niko Berdzenishvili Institute of the Batumi State University

Marina Puturidze, Tbilisi State University

Motivation of Plant Naming in Formation of One Ancient Toponym and Its Archaeological Context

Summary

The main concept of the article is to present one certain object of research and to analyze it from two different points: toponymy and archaeology. Such an interconnected study of prehistoric period Colchis site motivated with an attempt of its evaluation from the interdisciplinary point of view. Role of vegetation have priorities and also, from many point determine the life of population. We imply

engineering tradition, development of the craft, specifics of gastronomy and other directions of human activities. As an example can be mentioned following case. The use of timber in engineering activity was an essential in Caucasus and various another regions when the deficit of it stipulate presence of mud-brick architecture in Mesopotamia. Consequently, vegetation sources always has a predominant role in formation of peculiarities of local regional cultures. The same importance it had for the inner Colchis, where bio environment was not only essential in the life of local population of II-I millenniums BC but it influenced on formation of local toponyms. It is symptomatic that exactly this territory was very rich with walnut plant. Toponyms Nigozeti and Nigvziani are directly relating with the name of walnut plant and are produced without using any affix. We can assume that the above mentioned ancient vegetation define the formation of mentioned toponyms. This toponyms itself remains hidden layers, which reflects the process of interaction of paleo environment, archaeological assemblage and naming of certain location.

ნიკა ხოფერია,
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)

ლაზური ჯარი გვიანანტიკურ ხანაში (V-VI სს.)

„ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობენ“.
აგათია სქოლასტიკოსი

ლაზიკის სამეფო, რომელიც გვიანანტიკურ ხანაში წარმოიშვა თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და ბიზანტიელ ისტორიკოსთა გადმოცემით, თავს მიიჩნევდა ძველი კოლხების მემკვიდრედ, V-VI საუკუნეებში რთულ გეოპოლიტიკურ გარემოში იყო მოქცეული. მის ტერიტორიაზე ხშირად იყო განლაგებული დაინტერესებულ მხარეთა - ბიზანტიელთა და ირანელთა - სამხედრო ნაწილები. ლაზი მეფეები კი იმის მიხედვით, თუ რომელი მხარე უფრო ძლიერი იყო მოცემულ პერიოდში, იცვლიდნენ პოლიტიკურ ორიენტაციას.

ბუნებრივია, ლაზებს არც სათანადო ადამიანური და ეკონომიკური რესურსი ჰქონდათ, რათა დამოუკიდებლად ხანგრძლივად ებრძოლათ იმპერიებთან, მაგრამ მათთან კავშირის გარეშე ვერც იმპერიები ახერხებდნენ ადვილად თავიანთი გავლენის დამყარებას ისეთ რთულად მისასვლელ და რთული რელიეფისა და მწირი რესურსების მხარეში, როგორც იყო გვიანანტიკურ ხანაში სამხრეთ-დასავლეთ კავკასია. ლაზთა ჯარი მონაწილეობდა არაერთ მნიშვნელოვან სამხედრო მოქმედებაში ძირითადად ბიზანტიელების მხარდამხარ ირანელების წინააღმდეგ. ადგილმდებარეობის კარგი ცოდნითა და ამ პირობებში ბრძოლის გამოცდილებით ისინი ლაზიკაში მკვირვასი მოკავშირეები იყვნენ ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს გამოგზავნილი მხედართმთავრებისთვის ირანელებთან საბრძოლველად. სტატიაში გვიანანტიკურ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით განხილული იქნება ლაზური

ჯარის ისტორია V-VI საუკუნეებში - რიცხოვნობა, რესურსები, ორგანიზება, შეიარაღება, ტაქტიკა და მეთაურობა. ამ საკითხთა შესწავლა მნიშვნელოვანია მთლიანობაში ისეთი მასშტაბური გვიანანტიკური კონფლიქტის შესასწავლად, როგორც იყო ლაზიკის ომი.

ლაზიკის სამეფო

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში (V-VI სს.) ლაზიკის სამეფოს ტერიტორია, ძირითადად, თანამედროვე დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. სამეფოს საზღვრები მიახლოებით ასე გამოიყურებოდა: იწყებოდა დღევანდელი ჩრდილოეთ აფხაზეთიდან და მთავრდებოდა თანამედროვე აჭარის უკიდურეს სამხრეთ წერტილში. მისი საზღვრები თითქმის ემთხვევა ისტორიული კოლხეთისას, რომელსაც, პროკოპი კესარიელის მიხედვით, ლაზები თავიანთ წინაპრად მიიჩნევდნენ და ამაცობდნენ კოლხთა სახელით. „კოლხეთი, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე, მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავს. მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული საზღვრებია: ჩრდილოეთით კავკასიონის მაღალი მთები; სამხრეთით „მცირე კავკასიონი“ (ანუ ანტიკავკასიონი), აჭარა-ლაზეთის მთიანეთი; აღმოსავლეთით სურამის, ანუ ლიხის ქედი, ხოლო დასავლეთით შავი ზღვა“ (გამყრელიძე, 1993, გვ. 24). ლაზიკის სამეფოს საზღვრებზე, კონკრეტულად კი სამხრეთ საზღვარზე, სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, რომელთა შორის განსხვავება მცირეა და დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება ომის არეალის განსაზღვრვას.

V საუკუნისთვის ლაზები დომინანტ ხალხად წარმოჩნდნენ დასავლეთ ამიერკავკასიაში, სადაც რეგიონის სხვა ხალხები ლაზიკის იმპერიას ქმნიდნენ. მართალია, ლაზიკის იმპერიის ჩამოყალიბება ჩვენს წყაროებში ასახული არ არის, მაგრამ საკმაოდ ნათლად ჩანს, რომ მისი წარმოქმნა იმპერატორის, მეტი რომ არ ვთქვათ, თანხმობით მოხდა. ამისი ძირითადი შედეგი კი ის იყო, რომ კოლხეთს ლაზიკა შეენაცვლა (ბრაუნდი, 2014, გვ. 398). ლაზიკაში, ლაზების სამეფოს გარდა, მასზე დამოკიდებული ორი სამთავროც იყო - აბაზგებისა და სვანებისა. ისინი ლაზიკას ჩრდილო-დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდნენ. აბაზგები დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე იყვნენ განსახლებული, სვანები კი როგორც თანამედროვე სვანეთის, ასევე მიმდებარე მხარეების მიწებზეც. ისინი მრავალრიცხოვანნი იყვნენ და როგორც ჩანს, მათი მორჩილებაც ლაზიკის მეფის მიმართ საკმაოდ მყიფე იყო, ისევე როგორც აბაზგებისა¹. მათი მონაწილეობა ლაზიკის სამეფოს ლაშქართან ერთად ბიზანტიელების ან ირანელების წინააღმდეგ ბრძოლაში ისტორიულ წყაროებში არსად გვხვდება. სამხრეთ-დასავლეთ ზღვისპირა ზოლში, სადაც ლაზების სახელწოდება პირველად იყო დამოწმებული, ბიზანტიის უშუალო მმართველობის ქვეშ პონტუს პოლემონიაკუსი მდებარეობდა (ბრაუნდი, 2014, გვ. 405). პონტუს პოლემონიაკუსიდან აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ დასავლეთქართული ტომები, ლაზების მონათესავე ჭანები, რომლებიც ხშირად მსახურობდნენ ბიზანტიის ჯარში და გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული ბრძოლისუნარიანობით². ჩრდილოეთიდან ლაზიკის ვასალ სვანებსა და აბაზგებს სტეპის

¹ როგორც ირან-ბიზანტიის 422 წლის შეთანხმებიდან ჩანს, ამ დროიდან სვანეთში ლაზების მიერ დანიშნულ მთავრებს რომაელები ამტკიცებდნენ (ბრაუნდი, 2014, გვ. 389). ლაზიკის იმპერიაში სვანებთან ერთად მათი მთიელი მეზობელი სკვიმნებიც შედიოდნენ, ასევე აბაზგების დასავლეთით მოსახლე აფსილები და აფსილების ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მოსახლე მისიმელებიც (ბრაუნდი, 2014, გვ. 404).

² „ჭანების ტომი, თავიდანვე ბარბაროსები, რომელნიც არავის ქვეშევრდომები არ არიან, წინა ხანებში სანებად წოდებულნი, ირგვლივ მოსახლე რომაელების მძარცველნი...[სიტყამ] ბრძოლაში

მომთაბარე ხალხები - ჰუნები და ალანები - ემეზობლებოდნენ. აღმოსავლეთით იბერიის სამეფოს გაუქმების შემდეგ სასანური ირანი ლაზიკის უშუალო მეზობელი გახდა, რამაც შაჰ ხოსრო ანუშირვანს საშუალება მისცა ძლიერი პოზიცია დაეკავებინა ლაზიკაზე დომინანტობის მოსაპოვებლად ბიზანტიასთან ომისთვის. ამავე დროს, ირანმა პოზიციები განიმტკიცა სომხეთის ირანულ ნაწილში, პერსარმენიაში, სადაც იბერიისგან განსხვავებით უფრო დიდი ძალების შეყვანა და მომარაგება იყო შესაძლებელი¹.

V საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ლაზიკაში გუბაზ I მეფობდა, ბიზანტიაში კი - მარკიანე, ბიზანტიასა და ლაზიკას შორის სამხედრო დაპირისპირებაც მოხდა. ბიზანტიასთან დაპირისპირებული ლაზიკა ირანის გავლენის ქვეშ მოექცა. მისი მეფეები ქტესიფონში მიდიოდნენ ინვესტიტიურის მისაღებად, ზოროასტრიზმს კვაზიოფიციალური სტატუსი ჰქონდა ქვეყანაში, თუმცა ქრისტიანული მისიებიც აქტიურობდნენ (Evans, 2000, გვ. 92). 522 წლის შემდეგ ამ მხრივ მდგომარეობა გამოსწორდა, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა წათე I-ის კონსტანტინოპოლში, იუსტინე I-ის კარზე, სტუმრობამ და ქრისტიანულმა ნათლობამ. ჩვეულებრივ, ბიზანტიის იმპერატორი თავის ფორმალურ ვასალს, ლაზიკის მეფეს, სამეფო ნიშნებს უგზავნიდა. წათეს ძე გუბაზ II-ის თითქმის მთელი მეფობა ლაზიკის ომზე მოდის, რა დროსაც ის ძირითადად ბიზანტიური გავლენის ქვეშ იყო, თუმცა ჰქონდა ირანთან კავშირის პერიოდიც. როგორც ისტორიკოსი დევიდ ბრაუნდი აღნიშნავს, იბერიაში ირანის ხანგრძლივი ბატონობიდან გამომდინარე და იმის გამო, რომ ლაზიკაში ირანი სამხედრო ჩარევას სულ უფრო დიდი მონდომებით ცდილობდა, ბიზანტიასთან კავშირის ალტერნატივა ლაზიკის მეფეებისთვის ამჯერად ადრინდელზე უფრო რეალისტურ არჩევანს წარმოადგენდა (ბრაუნდი, 2014, გვ. 389).

ლაზიკის სამხედრო-სტრატეგიული უპირატესობები

ლაზიკის საზღვრების გადალახვის სიმძნელები მნიშვნელოვანი პრობლემა იყო მეომარი მხარეებისთვის. V საუკუნის ბიზანტიელი ავტორი, პრისკუსი, აღნიშნავს, რამდენად მიუდგომელი იყო ლაზიკა ზღვიდან, ვინაიდან ნავსადგურები არ ჰქონდა. ეს მომენტი გამოიკვეთა V საუკუნის შუახანებში, ლაზურ-ბიზანტიური ომისას (გუბაზ I-ს ომი იმპერატორ მარკიანესთან)². იგივე მოხდა ლაზიკის ომშიც, როდესაც VI საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში ლაზიკა სასანური ირანის მხარეს გადავიდა და ირანელებს გზა გაუხსნა პეტრას

დაამარცხა ისინი...და იმით, რომ მომხიზვლელად ელაპარაკებოდა და ეპყრობოდა მათ, სრულიად შესძლო მათი გადმოხიზვა: მკაცრი ცხოვრება უფრო ჩვილზე შესცვალეს და ეწერებოდნენ რომაულ რაზმებში და ამიერიდან რომაელთა ჯართან ერთად მტრების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. სარწმუნოებაც უფრო სანდომიერზე გამოიცვალეს, ყველანი ქრისტიანები გახდნენ. ასეთი იყო საქმის ვითარება ჭანებში“ (Prokopios, 2014, გვ. 38-40; პროკოპი კესარიელი (1965), *გეორგია*, II, გვ. 54).

¹ პროკოპის გადმოცემით, იქ იყო სიმაგრეები ბოლონი და ფარანგიონი, რომლებშიც ირანელები „ოქროს თხრიან და მეფესთან მიაქვთ“ (პროკოპი კესარიელი (1965), *გეორგია*, II, გვ. 52), ასე რომ, პერსარმენია ირანელებისთვის ამ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი იყო.

² „ისინი იმის ბჭობაში იყვნენ, თუ რა გზით ელაშქრათ: იმავე გზით, თუ სპარსეთის მეზობელი ქვეყნის, არმენიის, გზით დაეწყით ომი და წინდაწინ პართელების მეფე მიემხროთ. ზღვით, მათი აზრით, შეუძლებელი იყო ცურვა მნელსავალი ადგილების გასწვრივ, რადგან კოლხიდა უნავსადგურო იყო“ (პრისკე პანიონელი, (1961). *გეორგია*, I, გვ. 254).

ასაღებად და ლაზიკაში გასაბატონებლად; ბიზანტიელებმა მანამდე ვეღარ მოიკიდეს იქ ფეხი, სანამ ლაზიკის მეფე გუბაზი კვლავ მათ არ მიემხრო. ადგილობრივთაგან მიღებულ დახმარებას ბიზანტიელები სათანადოდ აფასებდნენ: „ჩვენ, რასაკვირველია, გვჭირდებოდა კოლხთა ჯარიც არა მარტო, იმიტომ რომ კოლხები, როგორც იმ ადგილების მცოდნენი უფრო მეტად, ვიდრე ამ ადგილთა არმცოდნენი, სასარგებლო რჩევა-დარიგებას მოგვცემდნენ, არამედ იმიტომაც რომ, რადგან ბრძოლა მოგვიხდებოდა გამაგრებულ ადგილას ჩამჯდარ და კარგად შეიარაღებულ მეზრძოლებთან და აგრეთვე იმათთანაც, რომლებიც ალბათ მუხირისიდან მოვიდოდნენ მათ საშველად, კოლხებსაც გაეწიათ ჩვენთვის დახმარება, ჩვენთან ერთად ებრძოლათ“ (აგათია სქოლასტიკოსი (1936). *გეორგია*, III, გვ. 149) - აღნიშნავდა ბიზანტიელი რუსტიკე სასამართლოზე, რომელზეც ბიზანტიელ სარდლებს მეფე გუბაზის მკვლელობისთვის ასამართლებდნენ. ეს სიტყვა აგათია სქოლასტიკოსმა შემოგვინახა. ამ მონაკვეთში მშვენივრად ჩანს ლაზებთან მოკავშირეობის მთავარი უპირატესობა - მათ მიერ ადგილმდებარეობის კარგი ცოდნა და საკუთარ ტერიტორიაზე მოქმედების გამოცდილება.

ლაზიკას მიუდგომელი საზღვრების გარდა, ძლიერი სიმაგრეებიც იცავდა. ლაზებისა და მათი ვასალების მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქები იყო - პეტრა, არქეოპოლისი, სარაპანისი, სკანდა, ფასისი, როდოპოლისი, უქიმერიონი, კოტაიონი, ონოგურისი, ტრაქეა, სებასტოპოლისი და პიტიუსი¹. ამ ციხეთაგან უმეტესობა ყოფილი ბერძნული კოლონია ან რომაული ციხესიმაგრე იყო და ხშირად ბიზანტიური გარნიზონები ჰყავდა. ყველა ამ პუნქტს სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა და ქვეყნის საკვანძო წერტილებში იყო აშენებული.

პროკოპის მიხედვით, ლაზების მეშვეობით ბიზანტიელები კავკასიონის უღელტეხილებს აკონტროლებდნენ: „ზედმიწევნით იცავდა თავის ქვეშევრდომებთან ერთად ამ ქვეყნის (ბიზანტიის იმპერიის) საზღვრებს, რათა მტრულად განწყობილი ჰუნები მათი (ლაზების) მოსაზღვრე კავკასიის მთიდან ლაზიკეზე გამოვლით რომაელთა მიწა-წყალში არ შემოჭრილიყვნენ“ (პროკოპი კესარიელი (1965), *გეორგია*, II, გვ. 72-73). აქ აღსანიშნავია ერთი მომენტი, რომელსაც დევიდ ბრაუნდიც შენიშნავს: კავკასიონი ისეთი გადაულახავი არ ყოფილა, როგორც ხშირად წარმოუდგენიათ. უღელტეხილების ამიერკავკასიელთა ხელში ყოფნა მხოლოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი შეიძლება ყოფილიყო მომთაბარეებთან დიპლომატიურ ურთიერთობაში. მაგრამ ეს უფრო დიპლომატია იყო, ვიდრე კოტროლი. დიპლომატიის ჩაშლის შემთხვევაში ამიერკავკასიელებს იმის გარანტია არ ჰქონდათ, რომ ჩრდილოეთიდან თავდასხმის მოგერიებას და უკუგდებას შეძლებდნენ (ბრაუნდი, 2014, გვ. 93).

მოცემული საკითხის განხილვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლაზურ ჯარს საკუთარ ტერიტორიაზე მიუდგომელი საზღვრების, ადგილობრივი რესურსებისა და სტრატეგიული პოზიციების გამოყენებით ეფექტიანად შეეძლო ხანმოკლე წინააღმდეგობის გაწევა ძლიერი იმპერიებისთვისაც, თუმცა ბიზანტიასა და ირანთან ხანგრძლივი ომი არ ძალუძდა.

¹ უფრო აღმოსავლეთით ბიზანტიას ორი ციხესიმაგრე ჰქონდა, ორივე იუსტინიანეს მიერ აღდგენილი: პიტიუსი (თან. ბიჭვინთა) და სებასტოპოლისი (დღევანდელი სოხუმის სიახლოვეს), რომელიც აზაზგიის საზღვაო სანაპიროზეა მიკრული (Evans, 2000, გვ. 92). ასევე აღსანიშნავია ნავსადგური Bathys Limen (Portus Altus), რომელიც ახლანდელი ბათუმის ადგილზე უნდა ყოფილიყო.

ლაზური ჯარი V-VI სს.

ისტორიული წყაროები მეტად მწირ მასალას გვაწვდის ისეთი დეტალების განსასაზღვრად, როგორებიცაა: ჯარის სახეობები, აღჭურვილობა და საბრძოლო ტაქტიკა ლაზიკის სამეფოში. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს თანადროული ადგილობრივი წყაროები, ამიტომ ამ შემთხვევაშიც უნდა დავყვარდნოთ ბიზანტიელ ავტორებს, პროკოპი კესარიელსა და აგათია სქოლასტიკოსს.

ლაზური ჯარის სახეობები ჩანს მდინარე ცხენისწყალთან ბრძოლის პროკოპისეულ აღწერაში. ჯარი იყოფოდა ცხენოსან და ქვეით ნაწილებად. „პირველ რიგში ლაზთა ცხენოსნები დაირაზმნენ მტრის პირისპირ“ (პროკოპი კესარიელი (1965), *გეორგიკა*, II, გვ. 149), აღნიშნავს ბიზანტიელი ავტორი. როგორც ჩანს, ისინი არც მრავალრიცხოვანი იყვნენ და არც მძიმედ აღჭურვილნი, რადგან ვერ შებედეს მძიმედ შეიარაღებულ ირანულ კატაფრაქტებს - „როდესაც ისინი უცებ მტრის წინა რაზმებს შეხვდნენ, ვერ შესძლეს მათ პირისპირ ყოფნა, მაშინვე მოაბრუნეს ცხენები, უმწყობროდ გამობრუნდნენ უკან და მიაშურეს რომაელებთან(ს) შესაერთებლად“ (პროკოპი კესარიელი (1965), *გეორგიკა*, II, გვ. 150). მეორე მონაკვეთში ჩანს ლაზური ქვეითი ჯარიც - „ბოლოს მიყვებოდნენ ლაზთა მეფე გუბაზი და რომაელთა სარდალი დაგისტე თავ-თავისი ქვეითთა ჯარით, იმ ანგარიშით, რომ თუ ვინიციობაა ცხენოსნები უკუიქცეოდნენ, ისინი ადვილად გადარჩენილიყვნენ მათ საშუალებით“ (პროკოპი კესარიელი (1965), *გეორგიკა*, II, გვ. 149-150).

ლაზურ-ბიზანტიურ ქვეით ჯართან შეერთებულმა ბიზანტიელმა და ლაზმა ჩამოქვეითებულმა ცხენოსნებმა ირანელების წინააღმდეგ ქვეითთა მჭიდრო და ღრმა წყობა - ფალანგა - მოაწყვეს: „ღრმა ფალანგით დარაზმული ქვეითი ჯარები მტრის პირისპირ დადგნენ და დაუმიზნეს მათ ჰოროლები“ (პროკოპი კესარიელი (1965), *გეორგიკა*, II, გვ. 152). სამხედრო ისტორიკოსი ჰანს დელბრიუკი მართებულად აღნიშნავდა რომ როდესაც ქვეითები მოწესრიგებულ მჭიდრო რიგებად მოძრაობდნენ, ცხენოსნებს არ შეეძლოთ მათი განადგურება, ხოლო თუ დაიფანტებოდნენ, მათ სუსტი კავალერიაც ამარცხებდა (Делбрюк, 1996, გვ. 294-296). ფალანგა ძირითადად 8-რიგად ეწყობოდა, რაც ბალანსს ქმნიდა ფრონტის სიგრძესა და ჯარისკაცების რაოდენობას შორის. გვიანდელი რომის იმპერიის პერიოდში 16-რიგიან ფალანგას ამჯობინებდნენ. შესაძლოა, საბრძოლო სულისკვეთების დაცემის გამო ფალანგის სიღრმის გაზრდა საჭიროდ მიიჩნიეს, რათა მას სიმტკიცე შეენარჩუნებინა. ყველა რიგს თავისი დავალება ეძლეოდა – პირველი ოთხი რიგი ხელჩართულ ბრძოლაში მონაწილეობდა, ამიტომ უფრო მძიმედ იყო აღჭურვილი, შუა რიგები ინარჩუნებდა მწყობრს და მტერს ხელშეშებს ესროდნენ, უკან კი მშვილდოსნები იდგნენ. გარდა ამისა, ხშირად მშვილდ-ისრით წინა რიგებიც იყო შეიარაღებული და როდესაც მტერი შორიდან ისროდა ისრებს, შუბებს მიწაზე აწყობდნენ და თავადაც საპასუხოდ ისრებს ესროდნენ. თუ მოწინააღმდეგე მოახლოვდებოდა, შუბებს აიღებდნენ და კვლავ თავდაცვით მწყრივს შექმნიდნენ. ეს მომენტი კარგად ჩანს ცხენისწყალთან ბრძოლაშიც: „[ირანელებიდან] ყველამ მიხედა მშვილდს და აღინთო იმედით, რომ ისრების სიმრავლით მალე აოტებდნენ მტერს. რომაელებიცა და ლაზებიც ასევე მოიქცნენ. ორივე მხრიდან ხშირ-ხშირად მოდიოდა (პროკოპი კესარიელი (1965). *გეორგიკა*, II, გვ. 152).

ცხენისწყლის ბრძოლის ფრაგმენტიდან ჩვენ ლაზური ჯარის ზოგად მონახაზს ვიღებთ - მსუბუქი ცხენოსანი, ხელჩართული ბრძოლის იარაღით აღჭურვილი ქვეითი და

მშვილდოსანი რაზმები. ასევე ვხედავთ, რომ ლაზებს გარკვეული ტაქტიკური ცოდნაც¹ ჰქონდათ, რის წყალობითაც ბიზანტიელებთან ერთად ფალანგა მოაწყვეს და წარმატებით იბრძოლეს ირანელების წინააღმდეგ.

მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის აგათია სქოლასტიკოსი ლაზურ სამეფო გვარდიაზე: „ყველაფრის მართვა-გამგებლობა ჩააბარეს [ლაზებმა და ბიზანტიელებმა], სანამ ჯერ კიდევ ქვეშევრდომთა ქვეყანაზე მოდიოდნენ, ვარაზ არმენიელსა და ფარსანტ კოლხს, რომელნიც დანარჩენ თანამოლაშქრეთ არც ბრძოლაში სივაჟაკითა და არც სხვა ღირსებით აღემატებოდნენ, პირიქით ზოგიერთზე დაბლაც კი იდგნენ. ერთი, ვარაზი, ლოხაგოსად ითვლებოდა, მეორე კი ლაზთა მეფის კარის რაზმებს უფროსობდა: მაგისტროსი იყო თანამდებობით; ამ ბარბაროსებშიც ასე ეწოდება ამ თანამდებობას; მაგრამ მას გონების იმდენი გამჭრიახობა არ მოეპოვებოდა, რომ რომაული ჯარისათვის გაბედულად გაეწია ხელმძღვანელობა“ (აგათია სქოლასტიკოსი (1936). *გეორგიკა*, III გვ. 156-157). სამეფო გვარდიის არსებობა და ის, რომ მის სარდალს შეეძლო ლაზურ-ბიზანტიური ჯარისთვის ეხელმძღვანელა, მიუთითებს სამეფო გვარდიის სათანადო ძალასა და გავლენაზე. ეს სამხედრო ნაწილი არ უნდა ყოფილიყო განსაკუთრებულად მრავალრიცხოვანი, მაგრამ გვარდია ყოველთვის ელიტურ, კარგად აღჭურვილ და პოლიტიკური მნიშვნელობით გამორჩეულ ნაწილად ითვლებოდა გვიანანტიკურ თუ ადრეულ შუასაუკუნოვან საზოგადოებაში.

ისტორიულ წყაროებში ნაკლებად ვხვდებით, მაგრამ, სავარაუდოდ, ლაზიკის მეფეებს საშუალება ჰქონდათ საჭიროებისას დაექირავებინათ გვიანანტიკური ხანის ბიზანტიელ ავტორთაგან (პროკოპი, აგათია, ზაქარია რეტორი, პრისკუსი და სხვ.) ხშირად მოხსენებული ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე მომთაბარე ხალხები, ჰუნები და ალანები და გამოეყენებინათ ბრძოლაში.

ლაზური ლაშქრის დიდი ნაწილი სახალხო უნდა ყოფილიყო, თავისუფალი მოსახლეობისგან შეკრებილი, ისევე, როგორც იბერიაში; მცირერიცხოვანი დიდებულები კი მის ყველაზე უკეთ შეიარაღებულ ნაწილს შეადგენდნენ. მოსახლეობა იბერიასთან შედარებით ლაზიკას გაცილებით მცირერიცხოვანი უნდა ჰყოლოდა. ეს კარგად ჩანს ისტორიული წყაროების ფონზე. შესაბამისად, ლაზების სამხედრო ძალები მეტად მცირერიცხოვანი იყო და ორი იმპერიის ომის შედეგზე დიდი ზეგავლენის მოხდენა არ შეეძლო, მაგრამ ადგილობრივ პირობებში ბრძოლის გამოცდილება, გარემოს კარგი ცოდნა მათ საკმაო უპირატესობას

¹ გვაქვს კიდევ ერთი ცნობა, რომელიც ლაზთა სამხედრო ემშაკობას ეხება. ის X საუკუნის ბიზანტიურმა ლექსიკონმა, „სვიდამ“, შემოგვინახა: „ლაზებმა გათხარეს ორმოები, შიგნით შუბები დაარქეს და მყიფე დაწნული ჩელტებით დაფარეს. ზემოდან მიწა დააყარეს, მოასწორეს და ხორბალი დათესეს. ამით უკუაქციეს რომაელები“ (Rance, 2015, გვ. 852). როგორც ჩანს, ბიზანტიელებმა გადაიარეს იმ ადგილზე სადაც ლაზებმა ეს მახე დაუგეს და დიდად დაზარალდნენ. ისტორიკოსმა ფილიპ რანსმა გულდასმით განიხილა ეს დეტალი თავის სტატიაში „A Roman-Lazi War in the Suda: a fragment of Priscus?“, შეადარა გვიანანტიკური ავტორების თხზულებათა სტილი „სვიდას“ ამ კონკრეტულ ფრაგმენტს. რანსის დასკვნით, ენობრივად, სტილისტურად და დათარიღების მიხედვით, ლაზური სტრატაგემა V საუკუნის ავტორის, პრისკუს პანიონელის, თხზულების ნაწყვეტი უნდა იყოს. ამ ფრაგმენტის ორიგინალი დაიკარგა, მაგრამ შემორჩა „სვიდას“ წყალობით. ასევე ფილიპ რანსი მიიჩნევს, რომ ამ ფრაგმენტში ბიზანტიაში იმპერატორ მარკიანეს მმართველობისას (450-457 წწ.) ლაზებთან ომის პირველი წარუმატებელი პერიოდია აღწერილი (Rance, 2015, გვ. 852-867).

ამლევდა, თანაც ერთგული ლაზი მეგზურებისა და მეომრების ყოლა ჯარში ბიზანტიელებისთვისაც მომგებიანი იყო და ირანელებისთვისაც. ისეთი ფაქტი, როგორც იყო ცხენისწყლის ბრძოლა, საშუალებას გვაძლევს მიახლოებით წარმოვიდგინოთ ლაზების ძირითადი ძალების საშუალო რიცხოვნობა ბრძოლის ველზე. რეალური რიცხვების მიება ისტორიულ წყაროებში რთულია. ლაზებისა და ბიზანტიელების გაერთიანებული ჯარის რაოდენობა 550-551 წლებში 14 ათასს აღწევდა. მათ დიდი დანაკარგი არ უნდა ჰქონოდათ ირანელი სარდლის, ფაბრიზის, 5 ათასი კაცის განადგურებისას (ცხენისწყლის ბრძოლამდე), რადგან ეს დამე მოულოდნელი თავდასხმით მოახერხეს. პროკოპი აღნიშნავს, რომ გუბაზმა და დაგისტემ ჩაკეტეს იბერია-ლაზიკის გადასასვლელები და ბევრი ლაზი მეომარი დატოვეს დასაცავად, რათა იქიდან კვლავ არ შემოეზიდათ სპარსელებს სურსათი ან თავდასხმა არ მოეწყობოდა. რადგან ეს გადასასვლელები უმთავრესად ვიწრო და რთულად გასასვლელი იყო, მის დასაცავად დიდი ჯარი არ იქნებოდა საჭირო და დროებით მათი ნაწილების გამოძახება და ძირითად ძალებთან შეერთება ხორიანეს ლაშქრობის შესახებ ცნობების მიღებისთანავე შეიძლებოდა. დასასრულ, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ბიზანტიელთა და ლაზთა სამხედრო ძალები დაახლოებით იმავე რაოდენობის უნდა ყოფილიყო ცხენისწყალთან, როგორც ხორიანესთან დაპირისპირებისას - ანუ 13-14 ათას მეომრამდე. აქედან დიდი ნაწილი, პროკოპის მოწოდებულ მასალაზე დაყრდნობით, დაგისტეს მეომრები იყვნენ. ლაზური ჯარი კი, სავარაუდოდ, 4-5 ათას კაცს არ აღემატებოდა. ვფიქრობ, ლაზიკის სამეფოს მთლიანი სამხედრო პოტენციალის განსაზღვრა საშუალოდ 8-10 ათასი მეომრით შეიძლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბრაუნდი, დ. (2014). საქართველო ანტიკურ ხანაში. ბათუმი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2. გამყრელიძე, გ. (1993). ისტორიულ-ტოპოარქეოლოგიური მიებანი. თბილისი. მეცნიერება.
3. პრისკე პანიონელი (1961). *გეორგია*, I. ტექსტი ქართ. თარგმ. გამოსცეს და განმარტებები დაურთვეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი: საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემია.
4. პროკოპი კესარიელი (1965). *გეორგია*, II. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი: საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემია.
5. აგათია სქოლასტიკოსი (1936). *გეორგია*, III. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი. საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემია.
6. Evans, J. (2000). *The age of Justinian: the circumstances of imperial power*. London; New York. Routledge.
7. Prokopios (2014). *The Wars of Justinian*. Indianapolis, Ind. Hackett.
8. Rance, P. (2015). A Roman-Lazi War in the Suda: a fragment of Priscus?. *The Classical Quarterly*. Vol. 65. Issue 2.
9. Дельбрюк, Г. (1996). *История Военного Искусства в Рамках Политической Истории*. т. II. Санкт-Петербург. Наука Ювента.

Nika Khoperia, Georgian Institute of Public Affairs (GIPA)

Lazic army in late antiquity (V-VI c. CE)

Summary

This paper examines the Lazic army in late antiquity, before and during the Lazic war (541-562 CE) based on the Byzantine sources. First part of the article is about the geography, landscape, historical borders, resources, administration, allies, enemies and the Strategic strongholds of the Lazic kingdom. These details are especially worthy when we are studying the military history of this period and when we want to calculate the military might of the state. Second part of the article is about Lazic army in the VI century, during the Lazic war between the Byzantine and the Iranian empires on the territory of lazica, modern western Georgia. We know very little about the Lazic tactics, armament and the army organization, but according to some details from the contemporary sources, we can restore the general image of the Lazic army. The army consisted of militia, nobles and the king's guard. They were divided into infantry and cavalry. Lazian soldiers had enough military experience and knowledge to form the infantry phalanx with the Byzantines against the Iranians in the battle of the Hippis river during the Lazic war. Highest commander of the Lazic army was the king and after him the master of his guards. In conclusion, if we analyse all of the historical data about the Lazic history in late antiquity, we can get full military potential of Lazica between 8-10 thousand soldier.

ეთეფან ქიქერიძე, საქართველოს უნივერსიტეტი

ქართლის ეპისკოპოსთა ზეობის თარიღისათვის იოანედან პეტრე კათოლიკოსამდე

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასა და ქართლის ეკლესიის მესვეურთა ზეობის შესახებ ქართულ ნარატიულ წყაროებში განსხვავებული ინფორმაციები არსებობს, რაც ხშირ შემთხვევაში ართულებს ამ მოვლენათა მაქსიმალურად დაზუსტებული ქრონოლოგიური ჩარჩოს შექმნას, თუმცა არსებობს გარკვეული საყრდენები, რომელთა გათვალისწინებაც რიგი საკითხების ახლებურ გადააზრებას მოითხოვს.

ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მჭიდროდ არის დაკავშირებული წმინდა ნინოს სახელთან, თუმცა, როგორც სარგის კაკაბაძე აღნიშნავს, IX-X საუკუნემდე საქართველოში ქვეყნის განმანათლებლად წმინდა გრიგოლი იყო მიჩნეული და წმინდა ნინოს კულტი მხოლოდ ამ პერიოდიდან იკიდებს ფეხს (კაკაბაძე, 1912). ქართლის მოქცევის შესახებ ინფორმაციები შემონახულია როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებშიც,

თუმცა, ხშირ შემთხვევაში ისინი, ერთი მხრივ, ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს და, მეორე მხრივ, ცნობათა ლეგენდებთან სიახლოვე ბუნებრივად იწვევს მკვლევართა მიერ ქართლის გაქრისტიანების განსხვავებულ დათარიღებას, თვალსაზრისები კი უდავოდ მრავალფეროვანია (ვ. ბაგრატიონი, დ. ბაქრაძე, ს. ბარათაშვილი - ქართლის მოქცევის თარიღად 317 წელს მიიჩნევენ; პ. იოსელიანი, მ. საბინინი, ვ. გოილაძე - 318; დიბუა დე მონპერე - 276; ე. ნატროშვილი - 326 ა. ხახანაშვილი - 332; თეიმურაზ ბაგრატიონი - 331; ივ. ჯავახიშვილი - 337; ე. თაყაიშვილი - 332-333; კ. კეკელიძე - 335). თითოეული მკვლევარი, საკუთარი დათარიღების შემოთავაზებისას, ბუნებრივია, განსხვავებულ არგუმენტაციას ეყრდნობა, რაც ავტომატურად გულისხმობს ზოგიერთი ცნობის უგულვებელყოფას, რადგან შეუძლებელია ისეთი ვერსიის შემოთავაზება, რომელიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ ყველა ცნობას ერთმანეთს შეუხამებდა. უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ ცნობათა მნიშვნელოვნების გამო ისინი არაერთხელ გადაკეთდა და შეივსო. წმ. ნინოს შესახებ მონათხრობის ყველაზე ადრეული ვერსია რომელიც ისტორიკოსების ნაწარმოებებმა შემოგვინახეს. ამ ცნობებში ნინო ტყვე ქალად გვევლინება, რომელმაც იბერიელები მოაქცია. აქ საუბარი არ არის არც ნინოს მაღალი სოციალური ფენიდან წარმოშობაზე, არც მის რიფსიმეანებთან კავშირზე და არც მისი ქართლში შემოსვლაა აღწერილი (გელასი კესარიელი, რუფინუსი, თეოდორიტი კვირელი.. გეორგიკა I, 1961). ამავეს თქმა შეიძლება სომხური წყაროების შესახებაც, იმ განსხვავებით, რომ წმ. გრიგოლის როლი, გარკვეულწილად, აქ მაინც შენარჩუნებულია. მოვსეს ხორენაცი, იბერთა მოქცევის შესახებ თხრობისას განმანათლებლად ნუნეს ასახელებს, თუმცა იქვე ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც მირიანმა ქრისტე იწამა, წმ. ნინო მოციქულებს უგზავნის არა კონსტანტინოპოლის პატრიარქს, როგორც ეს რომაულ წყაროებში გვაქვს, არამედ წმ. გრიგოლს, რომლისგანაც მომდევნო ნაბიჯთან დაკავშირებით მითითებას ელოდება (ხორენაცი, 1984.) რაც შეეხება მოქცევა ქართლისად, აქ მოკლე ვერსიაში რიფსიმეანელთა ამბავი ჩამატებულია თუმცა წმინდა ნინოს წარმოშობაზე კვლავ არაფერია ნათქვამი. ამავე ძეგლში წმინდა ნინოს გარდაცვალების თარიღად გვხვდება 338 წელი, რომელიც შატბერდულსა და ჭელიშურ ვერსიაში ერთმანეთს ემთხვევა თუმცა განსხვავებულია ნინოს ქართლში შემოსვლის თარიღი. ჭელიშურ ვერსიაში 338 არის ნინოს ქართლში მოსვლიდან 35-ე, შატბერდული ვერსიის თანახმად კი - მე-15 წელი. შესაბამისად, ნინო ქართლში შემოსულა 303 ან 323 წელს. ამავე ძეგლში ნათქვამია, რომ ნინომ ქართლში შემოსვლიდან მეოთხე წელს დაიწყო ქადაგება, მეექვსე წელს არწმუნა ნანა, ხოლო მეშვიდე წელს - მირიანი, თუმცა, ეს წლები უფრო სიმბოლური უნდა იყოს, ვიდრე ზუსტი ინტერვალები.

ქართლის მოქცევის შესახებ არსებული ინფორმაციებიდან ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პასაჟი, რომელიც ყველა წყაროში გვხვდება, მირიანის ნადირობისა და მზის დაბნელების ამბავია. წყაროების ასეთი ერთსულოვნება იმის მანიშნებელია, რომ ტექსტში ის თავიდანვე იყო და რეალურ ფაქტებს უნდა ემყარებოდეს. საინტერესოა, რომ NASA-ს მონაცემების თანახმად საქართველოს ტერიტორიაზე მეოთხე საუკუნეში მზის სრული დაბნელება ორჯერ: 319 და 357 წლებში ფიქსირდება შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართლის მოქცევის შესახებ თხრობაში 319 წლის მოვლენაა ასახული. რაც შეეხება ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას, ეს ფაქტი, ბუნებრივია, დაკავშირებული იქნებოდა რომის საეკლესიო პოლიტიკასთან, რადგან ნისიბინის ზავის შემდეგ, როგორც ცნობილია, ქართლიც და სომხეთიც რომის გავლენის სფეროდ გამოცხადდნენ, ამიტომ კონსტანტინეს მიერ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიის რანგში აყვანის შემდეგ ეს მრწამსი, მალევე, საქართველოშიც ოფიციალურად უნდა ელიარებინათ. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ პირველი ეპისკოპოსი იოანე, რომელსაც ქართული წყაროებით ერთხმად ასახელებენ პირველ ეპისკოპოსად, 327 წლისთვის უნდა დანიშნულიყო.

იოანეს გარდაცვალებისა და საეპისკოპოსო ტახტზე იაკობის ასვლის თარიღად ქართლის ცხოვრებასა და მოქცევაი ქართლისაში ბაკურის გამეფება სახელდება. ქართლის ცხოვრების თანახმად მირიანი უფროსი ვაჟის, რევის გარდაცვალების შემდეგ იმავე წელს, ქრისტიანობის მიღებიდან 25 წლის შემდეგ, გარდაიცვალა, მოქცევის რედაქციები კი განსხვავებულ ვერსიებს გვთავაზობენ. შატბერდის რედაქციის თანახმად, ნინოს გარდაცვალებიდან მეოთხე, ხოლო ჭელიშურის მიხედვით, ზემო ეკლესიის დასრულებიდან 21-ე წელს გარდაიცვალა. დაზუსტებით ვერ ვიტყვით, ზემო ეკლესიის მშენებლობა რომელ წელს დასრულდა, მაგრამ წმინდა ნინოს მიცვალებიდან მეოთხე წლად 342 უნდა ჩავთვალოთ. შესაბამისად ამ წელსვე ავიდოდა სამეფო ტახტზე ბაკური და ეპისკოპოსად იაკობს დანიშნავდა.

იაკობის მომდევნო ეპისკოპოსად მოქცევად ჭელიშური ვერსია ნერსეს, შატბერდული კი ნერსე სომეხთა კათოლიკოსის დიაკონს, იობს ასახელებს (მოქცევა ქართლისა, 1963, გვ. 91) შატბერდული ვერსიის მსგავსი ინფორმაცია გვაქვს ქართლის ცხოვრებაშიც (ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 132). საინტერესოა, რომ მოქცევა ქართლისას მიხედვით იობი თრდატის მეფობაში ხდება ეპისკოპოსი ქართლის ცხოვრებაში კი მის თანამედროვე მეფედ მირდატია დასახელებული. ამ შემთხვევაში საინტერესოა რომაული წყარო. ამიანე მარცელინე იბერიის მეფედ 361/62 წლებში მირიბანს, ანუ მირდატს ასახელებს. აქედან გამომდინარე, მოქცევა ქართლისას თრდატი იგივე მირიბანი, ანუ მირდატია, რომლის ქართლის ტახტზე ასვლის თარიღი 355 წელი უნდა იყოს (სანაძე, 2019, გვ. 411). ვინაიდან ქართლის ცხოვრება გვიყვება, რომ იობ სომეხი მირდატის მეფობის დასაწყისშივე არ ასულა საეპისკოპოსო ტახტზე, მისი მოღვაწეობის დასაწყისად 360 წლის ახლო ხანები უნდა ვიგულისხმოთ. იობის მთავარეპისკოპოსობის პერიოდად რ. მეტრეველის რედაქციით დაბეჭდილ "საქართველოს კათოლიკოს პატრიარქებში" IV საუკუნის 370-90-იანი წლებია მითითებული რაც, ზემოაღნიშნულს თუ გათვალისწინებით, რეალობას არ უნდა შეესაბამებოდეს (მეტრეველი, 2000, გვ. 12)

იობის შემდეგ ქართლის ცხოვრების თანახმად ქართლის ეპისკოპოსი ხდება ელია. წყარო გვიყვება, რომ ვარაზ-ბაკურის შემდეგ, რომელიც სპარსელების შიშით "ხიდრად უკუჯდა", ტახტზე ადის რევის ძე თრდატი, რომელსაც წყარო მოხუცებულად მოიხსენიებს, თრდატის მეფობას უკავშირებს ელიას გამთავარეპისკოპოსებას, მოქცევა ქართლისას მიხედვით კი ელია ბაკურ თრდატის ძის მეფობაში გახდა ქართლის ეკლესიის მესვეური. საქმე ის არის, რომ მოქცევა ქართლისას ტექსტში შეცდომით ვარაზ-ბაკურის შემდეგ მეფედ ისევ ბაკურია დასახელებული, რომელსაც ფარსმანი ცვლის, თრდატის მეფობა კი საერთოდ გამოტოვებულია. ვარაზ-ბაკური ქართლის ტახტზე 385-405 წლებს შორის შუალედში უნდა ყოფილიყო. მისი მეფობის შესახებ ქართული წყაროები წერენ, რომ ეკლესიისთვის მეფეს არაფერი გაუკეთებია, რადგან ურწმუნო იყო. სწორედ ამიტომ მისი პერიოდის ეპისკოპოსი არც ქართლიც ცხოვრებაში და არც მოქცევა ქართლისაში საერთოდ არ არის დასახელებული, თუმცა კორიუნის მამტოცის ცხოვრებიდან ვიცით, რომ ბაკურის მეფობაში დაახლოებით ვრამშაპუკის ზეობის მეექვსე წელს, ანუ 405 წლისთვის, როდესაც მამტოცი ქართლში შემოდის, მეფედ ბაკური, მთავარეპისკოპოსად კი მოსეა დასახლებული (Корюн. житие Маштоца). მოსეს შესახებ ქართულ წყაროებში არაფერია ნათქვამი.

იობის შემდეგ, რომელიც საეპისკოპოსო ტახტზე 360-385 წლებს შორის უნდა მჯდარიყო, ელიაა მოხსენიებული, თუმცა, რეალურად, იობისა და ელიას შორის მოსე ეპისკოპოსი მართავდა ქართლის ეკლესიას. ელია თრდატის მეფობაში დაახლოებით 406 წლისთვის ხდება ეპისკოპოსი რადგან თრდატი 405-412 წლებში მართავდა ქართლს (სანაძე, 2019, გვ. 411).

ელიას შემდეგ, ფარსმანის მეფობაში, რომელზეც ქართლის ცხოვრება გვეუბნება, რომ "მცირედ ჟამ მეფობდა და მოკუდა" (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 138) ეპისკოპოსად დასახელებულია სვმეონი, დაახლოებით 412 წელს. იგივე სვმეონია მითითებული მირდატის სპარსეთში ტყვედ წაყვანის პერიოდშიც, დაახლოებით 428 წლისთვის. ქართლის ცხოვრების ინფორმაციით, მირდატის დატყვევების და სამწლიანი უმეფობის შემდეგ ტახტზე არჩილი ადის, რომლის მეფობაში სამი ეპისკოპოსი გამოიცვალა: იონა, გრიგოლი, ბასილი და მეოთხე მობიდან დაჯდა საეპისკოპოსო ტახტზე. როგორც მოქცევა ქართლისა გვაუწყებს, იონას მთავარეპისკოპოსობისას "დაეცა ქუემოდ ეკლესიად და იონა მიიცვალა გარეუბნისა ეკლესიასა (მოქცევა ქართლისა, 1963, გვ. 92). ვინაიდან ამ ეპისკოპოსების ზეობა არჩილის მეფობას ემთხვევა და სხვა ცნობა, რომელიც უფრო დააკონკრეტებდა მათი ეპისკოპოსობის წლებს, არ მოგვეპოვება, ამიტომ არჩილის ზეობის წლები მათზე პირობითად უნდა გადავანაწილოთ: იონა 430-440; გრიგოლი 440-450; ბასილი 450-460; მობიდანი 460-469. აქ დასახელებული არჩილის ზეობის ქრონოლოგია, ისევე, როგორც მირდატისა და ვახტანგის მეფობის წლები, ქართულ ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდ აღიარებული თვალსაზრისისაგან მკვეთრად განსხვავდება და ეფუძნება მ. სანაძის ბოლოდროინდელ კვლევას, რომელშიც არაერთი არგუმენტის მოხმობით გადათარიღებულია აღნიშნული მეფეების მმართველობის წლები. კვლევის თანახმად არჩილი 428-465 წლებში მმართველობს, 465-478 წლებში ქართლის ტახტზე მირდატ არჩილის ძე ზის, ვახტანგ მირდატის ძე კი მეფობას 471 წლიდან იწყებს და 531 წელს ხოსრო ანუშირვანთან ბრძოლაში იღუპება (სანაძე, 2016; 2019). მოვლენათა ლოგიკური განვითარება ამ ქრონოლოგიის აღიარების შემთხვევაში იმდენად ზუსტად ესადაგება ამ პერიოდის შესახებ არსებულ ყველა ცნობას, რომ მათი უგულებელყოფა შეუძლებელია.

ქართლის ცხოვრების მიერ არჩილის მეფობაში დასახელებული მობიდანი მოქცევა ქართლისას ტექსტში ნახსენები არ არის, ქართლის ცხოვრება კი გვეუბნება, რომ მობიდანი იყო "ვინმე მოგვ უსჯულო და შემშლელი წესთა, და ვერ უგრძნა არჩილ მეფემან და ძემან მისმან უსჯულოება მობიდანისი (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ.142). უნდა ითქვას, რომ "მობიდანი" პიროვნების სახელი არ არის და ის ბერძნული "ეპისკოპოსის" სპარსული შესატყვისია. ქართლის ცხოვრების ქართული ვერსიისგან განსხვავებით, ძეგლის სომხურ თარგმანში მუშიდი (რაც იგივე მუშიდია), მხოლოდ ტომით სპარსელად იხსენიება. მობიდანის მრწამსის შესახებ არაერთი თვალსაზრისია გამოთქმული ქართულ ისტორიოგრაფიაში და მას მკვლევრები ხშირად მაზდეან კულტმსახურად წარმოგვიდგენენ (მამულია, 1992, გვ. 15) თუმცა ეს ეწინააღმდეგება თვით ქართლის ცხოვრების ცნობას, სადაც პირდაპირ წერია, რომ არჩილს და მირდატს მობიდანის "ჭემმარიტ მღვდლობაში" ეჭვი არ შეუტანიათ, ეს კი, ბუნებრივია, შეუძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მობიდანი ქრისტიანობისგან რადიკალურად განსხვავებული მრწამსს ქადაგებდა. როგორც მ. სანაძე აღნიშნავს, საეპისკოპოსო ტახტზე ორი მობიდანი უნდა მჯდარიყო და მათი სახელები ქართველთა ცხოვრებამ არ შემოინახა. მართლაც, ერთი მათგანი, სამოელი, შუშანიკის წამებაშია დასახელებული, როგორც "ეპისკოპოსთა თავი", რაც სწორედ "მობიდანის" ქართული შესატყვისი უნდა იყოს. სამოელის სახელი არ გვხვდება არც მოქცევა ქართლისას და ქართლის ცხოვრების ეპისკოპოსთა ჩამონათვალში და რომ არა შუშანიკის წამების ტექსტი, მისი არსებობა არ გვეცოდინებოდა. მობიდანი სამოელი ქართლის ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო 460-480 წლებში. რაც შეეხება მეორე ეპისკოპოსს, იოველს, ის მოქცევა ქართლისაში დასახელებულია ვახტანგის მმართველობის დასაწყისში. იოველი საეპისკოპოსო ტახტზე სამოელს ანაცვლებს და 489 წლამდე ასრულებს ეკლესიის საჭეთმპყრობლის ფუნქციას, თუმცა მას შემდეგ, რაც ქართლისა და სომხეთის აჯანყება წარუმატებულად სრულდება, სპარსეთი გავლენას კიდევ უფრო ზრდის. თუ იქამდე ეს მობიდანები მხოლოდ საეკლესიო პირები იყვნენ 489 წლისთვის როდესაც ზემოაღნიშნული აჯანყება სრულდება და ვახტანგის დედა საგდუხტი მამამისთან,

რანის პიტიახშთან, თხოვნით მიდის, რომ ვახტანგი არ დასაჯოს და მეფობა შეუნარჩუნოს. ბარზაბოდი ქართლში ბინქარანს აგზავნის, რომელსაც საეკლესიოსთან ერთად საერო წოდებაც აქვს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართლის ცხოვრებაში მოხსენიებული ბინქარანი იგივე მოქცევადა ქართლისას გლონოქორია. მასზე მოქცევადა ქართლისაში წერია: " ესე მთავარეპისკოპოსი ერისთავადცა იყო ბარზაბოდ პიტიახშისგან ქართლს და ჰერეთს" (მოქცევადა ქართლისა, 1963, გვ. 92; სანაძე, 2019, გვ. 424). მოქცევადას ქრონიკაში გლონოქორი მეფე მირდატის ზეობაშია ჩასმული, თუმცა ამ შემთხვევაში ქართლის ცხოვრების ინფორმაციები უფრო ზუსტი უნდა იყოს. გლონოქორი, როგორც მ. სანაძე შენიშნავს, გაბრიელ დინქარის დაქარაგმებული ფორმაა და "ეპისტოლეთა წიგნი" დასახელებული გაბრიელია (სანაძე, 2019, გვ. 424). ეპისტოლეთა წიგნი დასახელებული ეს პიროვნება 506 წლის დვინის კრებაში მონაწილეობს და აქამდე იგი ქართლის კათოლიკოსად ითვლებოდა, თუმცა მიმოწერაში მისი ეპისკოპოსად მოხსენიება კიდევ ერთი დასტურია იმისა რომ ვახტანგ გორგასლის მეფობის წლების ტრადიციულად, საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისი რეალობას არ ასახავს. გაბრიელი აღნიშნული კრების შემდეგ მალევე უნდა გადაეყენებინა ვახტანგს, და მის ნაცვლად მიქაელი დაედგინა ეპისკოპოსად მიქაელი, ქართული წყაროების მიხედვით, ბოლო ეპისკოპოსია. ვახტანგი ბიზანტიისგან კათოლიკოსის დადგინების ნებართვის მიღების შემდეგ მიქაელს პეტრეთი ანაცვლებს, რომელიც ქართლის პირველი კათოლიკოსი ხდება. ქართლის ბოლო ეპისკოპოსის, მიქაელის მრწამსის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული. ქართული წყაროები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მიქაელმა, მას შემდეგ, რაც ვახტანგის გადაწყვეტილების შესახებ გაიგო, რომ მეფე მის ჩანაცვლებას აპირებდა, მის ფეხთან ამბორისთვის დახრილ ვახტანგს ფეხი "მიამთხვია". ამ კადნიერ საქციელზე ვახტანგმა კონსტანტინოპოლის პატრიარქს აცნობა, რის გამოც პეტრე მღვიმარეთა მონასტერში გადაასახლეს. სწორედ ამ გადასახლების გამო, რადგან მღვიმარეთა მონასტერი დიოფიზიტიური მრწამსის მკაცრ დამცველად და ნესტორიანთა უმთავრეს მტრად მიიჩნეოდა, მკვლევართა ნაწილმა ჩათვალა, რომ მიქაელი დიოფიზიტი იყო და ვახტანგთან კონფლიქტი სწორედ კონფესიურ ნიადაგზე მოუვიდა (ჯავახიშვილი, 1979, გვ. 315-348), თუმცა არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც, თითქოს მიქაელი იყო მონოფიზიტი და ვახტანგი დიოფიზიტი (ჯანაშია, 1949, გვ. 288-296). აღნიშნულ თვალსაზრისს, შესაძლოა, ის გარემოებაც ედო საფუძვლად, რომ მიქაელის ეპისკოპოსობის თარიღი მკვლევრებს V ს-ის მეორე ნახევარში გადაჰქონდათ, როდესაც ბიზანტიაში მონოფიზიტებისადმი შემწყნარებლური პოლიტიკა და ზენონის ჰენოტიკონი მოქმედებდა, შესაბამისად, ამ პერიოდის ქართული ეკლესიის საჭეთმყრობელიც, გასაკვირი არ არის და მოსალოდნელიცაა, თავადაც ამ პოლიტიკის გამზიარებელი ყოფილიყო. მიქაელის მთავარეპისკოპოსობის წლები გაბრიელის გაძევებით, ანუ 506 წლით იწყება და საბოლოოდ, 518 წელს უნდა სრულდებოდეს, რადგან ამ პერიოდში ბიზანტიის რელიგიური კურსი მკვეთრად იცვლება და იუსტინეს გაიმპერატოროების შემდეგ მონოფიზიტებისთვის დათმობის პოლიტიკა წარსულს ბარდება. სწორედ ეს წელი უნდა იყოს პეტრეს კათოლიკოსად დადგინების თარიღიც, საიდანაც ქართული ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალიის ათვლა იწყება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ეპისტოლეთა წიგნი (1968). სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბილისი.

თორაძე, ვ. და თორაძე, ნ. (2006). საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია. თბილისი. ელფი.

კაკაბაძე, ს. (1914). წმინდა ნინო და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში. თბილისი. თსუ

მამულია, გ. (1992) ქართლის ეკლესია IV-V საუკუნეში. თბილისი.

მეტრეველი, რ. (2000). საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. თბილისი. ნეკერი.

მოქცევაძე ქართლისაჲ. (1963). ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, ი. აბულაძის რედაქციით. თბილისი. მეცნ. აკად.

სანაძე, მ. (2016). ქართველთა ცხოვრება, წიგნი III. თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტი

სანაძე, მ. (2019). ქართველთა ცხოვრება, წიგნი I. თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტი

ქართლის ცხოვრება, ტ. I (1955). ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილი. თბილისი.

ხორენაცი, მ. (1984). სომხეთის ისტორია. თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ. თბილისი

ჯავახიშვილი, ივ. (1979). თხზულებანი 12 ტომად, ტ. I. თბილისი

ჯანაშია. (1949). შრომები, ტ. I. თბილისი

Корюн. житие Маштоца. <http://www.vehi.net/istoriya/armenia/korun/koriun7-15.html>

Ketevan Kimeridze, University of Georgia

For the date of the accention of the bishops of Kartli from John to Peter the Catholicos

For the date of the ascension of the bishops of Kartli from John to Catholicos Peter There are different information in Georgian narrative sources about the declaration of Christianity as the state religion in Georgia and about the ascension of the leaders of the Kartli Church. It often complicates to create maximal correct chronological frame for these historical facts. However, there are some principles that require a new understanding of a number of issues. In this article the opinion is shared that Vakhtang Gorgasali's date of death is 531. This represents a new finding in historiography. Accepting this date several unspecified historical facts become obvious. Among them are the identification and ascension of the bishops - Binkarani and Mobidans (Samuel and Joel).

**ნინო კობახური,
კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**

**მეფეთა რეზიდენციების განლაგების სტრატეგიები თბილისიდან
დარიალამდე**

სამეფო ხელისუფლების მიერ რეზიდენციის დაარსება დაკავშირებული იყო სახელმწიფოს სტრატეგიებთან. სასახლეთა სეზონური, თავდაცვითი და პოლიტიკურად სტრატეგიული ფუნქციები საუკუნეების განმავლობაში ვითარებისამებრ იცვლებოდა. თბილისიდან დარიალამდე, ანუ დედაქალაქიდან ჩრდილოეთის მიმართულებით არსებული მეფეთა რეზიდენციები გზის ამ მონაკვეთის საინტერესო ისტორიას ქმნიდა.

მთიულეთში მეფეთა ყოფნის ფაქტები ფიქსირდება ქართული სამეფო ხელისუფლების მიერ პოლიტიკური, სამართლებრივი, რელიგიური და თავდაცვითი საკითხების მოგვარებისას. არც ერთი წერილობითი წყარო არ მიგვითითებს, რომ მეფე სეზონურად - დასასვენებლად ან სანადიროდ ასულიყო ამ რეგიონში. ჟამთააღმწერელი დავით VIII-ის შესახებ ამბობს: „და ვინაითგან არ მიენდო თათართა ზაფხულ მთიულეთს იყვის და ზამთარ ქართლს“ (ჟამთააღმწერელი, 1959, გვ. 316). აქ, მართალია, საუბარია სეზონებზე, თუმცა მიზეზი პოლიტიკურია.

საქართველოში მტრის შემოსევების დროს მოსახლეობის საფარად ხშირად მთიანი რეგიონები გამოიყენებოდა. ხელსაყრელ ბუნებრივ და გეოგრაფიულ გარემოს თავდაცვისთვის სამეფო ხელისუფლებაც იყენებდა. ლეონტი მროველის თხზულებაში მირი ეუბნება არჩილს: „კლარჯეთი და შუა მთიულეთი მიეც ასულთა ჩემთა, რამეთუ მუნ შინა იყვნენ ჟამთა ამათ ბოროტთა“ (ჯუანშერი, 1955, გვ. 241).

სად ჩერდებოდნენ მეფეები მთის მკაცრ გარემო პირობებში?

დემეტრე II-ის პოზიციას ურდოში წასვლასთან დაკავშირებით ჟამთააღმწერელი შემდეგი სიტყვებით გადმოგვცემს: „ვგონებ ბოროტისყოფასა, თუ არა წარვიდე ურდოსა, და წარვიდე მთიულეთს, სიმაგრეთა შინა, და დავიცვა თავი ჩემი. და აჰა, ყოველი სამეფო ჩემი წინაშე მათსა მეს“ (ჟამთააღმწერელი, 1959, გვ. 287). მეფე ამბობს, რომ მთიულეთში თავშესაფარი სიმაგრე ანუ ციხეა და არ ჩანს, რომ იქ სასახლეც შეიძლება იყოს; ასევე ჟამთააღმწერლის მიხედვით, თბილისის სასახლიდან მეფე დემეტრე II-ის და, თამარი, მიდის მთიულეთში: „და ვითარ ცნა შვილმან არღუნისმან, წარმოვიდა სახლად დიდად მეფისა და ცოლი მისი დაუტევა ტფილისს. ხოლო იჴმია დამან მეფისამან, თამარ, სივლტოლა მთიულეთს, რამეთუ სმაგდა ვითარ უსჯულო და წარმართი“ (ჟამთააღმწერელი, 1959, გვ. 278). ურდოში წასვლის წინ დემეტრე II-მ: „განუჩინა შვილთა საყოფელი... და წარგზავნა რომელნიმე მთიულეთს და რომელნიმე კახეთს, ხოლო ყრმა მცირე გიორგი წარგზავნა ტაოს“ (ჟამთააღმწერელი, 1959, გვ. 288). დემეტრეს დაკრძალვის შემდეგ მთიულეთში მისი ძე ვახტანგი ჩანს. თუმცა წყარო არსად აფიქსირებს მეფე და სამეფო ოჯახი კონკრეტულად რომელ ციხესა თუ სასახლეს მიაშურებდა ხოლმე.

არც ერთი წერილობითი წყარო არ გვაწვდის ინფორმაციას მეფისა თუ სამეფო ოჯახის მთაში რომელიმე რეზიდენციაში ყოფნის შესახებ. საქართველოს მეფეების სასახლეთა არსებობის შესახებ პირდაპირი მითითება წყაროებში იშვიათად გვხვდება. აღნიშნულია, რომ მეფე დადგა, იყო, მივიდა და ასე შემდეგ კონკრეტულ ადგილას, სადაც შემდგომი კვლევის გზით დასტურდება ხოლმე რეზიდენციის არსებობა.

„წარვედით ტახტით ჩვენით ქალაქით და შევედით სასახლესა ჩვენსა ჟინვანს და მუნით მივედით ჯადა ცხაოტს და მოვასხენით ყოველნი მუნებურნი ჯევის ბერნი და ჰეროვანნი და გავიგონეთ მათნი საქმენი. დავსხედით მათსა სასაქმოსა და მივედით დარიელამდის... დარეალით მობრუნებულთა ვილოცეთ ლომისის მთავარ მოწამის წინაშე და ჩამოვიარეთ ცხრაზმის ჯევი და მოვიკლივეთ მუნებური საქმე, მოვედით მუხრანს საზამთროსა ჩვენსა და დავდექით და შემოვედით ქალაქსა“ (დოლიძე, 1957, გვ. 103).

გიორგი ბრწყინვალის დროს შედგენილ „ძეგლისდების“ ზემომოყვანილ ტექსტში, რომელშიც წარმოდგენილია მოძრაობის მიმართულება - თბილისიდან დარიალამდე - ჩანს სამი სასახლე და სასახლის სამი ტიპი: დედაქალაქის სასახლე, სამეფო ქალაქის სასახლე, სეზონური სასახლე.

1. „წარვედით ტახტით ჩვენით ქალაქით“ - ქალაქი, სადაც სამეფო ტახტი დგას, სატახტო ქალაქი - დედაქალაქი თბილისი თავისი სასახლით;

2. „შევედით სასახლესა ჩვენსა ჟინვანს“ - ჟინვალის სასახლე, რომელიც სამეფო ქალაქში საჭიროებისამებრ გამოიყენებოდა.

3. „მოვედით მუხრანს საზამთროსა ჩვენსა“ - მუხრანის სეზონური ზამთრის სასახლე.

გზის იმ მონაკვეთზე, რომელიც „ძეგლისდების“ მიხედვით XIV საუკუნეში სამეფო წარმომადგენლობამ განვლო, ანუ თბილისიდან დარიალამდე, ვახუშტი ბატონიშვილის მთიულეთის აღწერაში სხვა რეზიდენციებიც გვხვდება:

1. „მთიულთ-კარი, სიმაგრე მტკიცე; მას ზევით ნასასახლევი მეფეთა“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1974, გვ. 354).

2. „ნალურევი, მეფეთა ნასასახლევი, შენებულეა დიდი“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1974, გვ. 355).

3. „ციკარის აღმოსავლეთით არს ნასახლევი მეფეთა, ნაშენი დიდი“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1974, გვ. 355).

4. (დარიალი) „ამას ქუეით ნასასახლევი მეფეთა ოდეს გაილამქრიან ოვსეთად, მუნ დადგიან“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1974, გვ. 358).

ვახუშტის ატლასსა და აღწერილობას თუ შევადარებთ, ვნახავთ, რომ ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმების შესახებ ცდომილებები გვხვდება: ვახუშტის ატლასში მთიულთკარს ზევით აღნიშნულია „ბერის სასახლე“, თუმცა არაა დაფიქსირებული „ნასასახლევი მეფეთა“, ნაღვარევი თამარ მეფის ნასასახლევიად მოიხსენიება, ციკარა ატლასში არ არის, ტოპონიმი სასახლე და სასახლის სოფელი ხადის აღმოსავლეთითაა აღნიშნული, დარიალთან არის სიმბოლო და წარწერა სასახლე. ატლასში ნასასახლევიად მხოლოდ ერთი სასახლე მოიხსენიება (ხეც H 2079).

ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით 1923 წელს შედგენილ საქართველოს ისტორიულ რუკაზე (საქართველოს ისტორიული რუკა, 1923) „ძეგლისდების“ მიხედვით გიორგი ბრწყინვალის განვლილ გზას და ვახუშტის მიერ მოხსენიებულ ნასასახლეებს თუ მივადევნებთ თვალს და მასზე ტოპონიმებს მოვნიშნავთ, შემდეგ სურათს მივიღებთ:

„წარვედით ტახტით ჩვენით ქალაქით“ - **თბილისი** - „შევედით სასახლესა ჩვენსა ჟინვანს“ - **ჟინვალი**, „მუნით მივედით ხადა ცხაოტს“, ვახუშტის მიხედვით, ხადა-ციკარეს მიდამოებში **სასახლე, სასახლის სოფელი**, „მოვედით დარიალამდის“ - **დარიალის სასახლე**, „დარიალით მობრუნებულთა ვილოცეთ ლომისის მთავარმოწამის წინაშე და ჩამოვიარეთ ცხრაზმისხევი“ - ცხრაზმისხევთან ახლოს **ნაღვარევის სასახლე**, „მოვედით მუხრანს საზამთროსა ჩვენსა დავდექით“ - **მუხრანის სასახლე**. სიმბოლოები განლაგდა თბილისიდან ჩრდილოეთით საზღვრისკენ მიმავალი გზის გაყოლებაზე.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობების გარდა, წერილობით წყაროებში მთიულეთის სასახლეებზე სხვა კონკრეტული ცნობები არ მოიძიება. XVIII საუკუნის ავტორი ვახუშტი ყოველ მათგანს ნასასახლევადა და ნასახლევადა მოიხსენიებს, არ აფიქსირებს მათ ქრონოლოგიურ ჩარჩოებსა და სხვა დეტალებს. ფაქტოლოგიური ცნობებისა და არქეოლოგიური მასალის გარეშე, ცხადია, რთულია დათარიღება, იდენტიფიკაცია, მათი ფუნქციური მნიშვნელობის განსაზღვრა.

დარიალის ციხის მშენებლობა ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირდება, ამჯერად არ შევაჩერებ ყურადღებას მის მნიშვნელობაზე. რაც დავით აღმაშენებელმა დარიალი ოსთაგან გაანთავისუფლა, მას შემდეგ ძირითადად ქართველი მეფეები აკონტოლებდნენ, სახელმწიფოსთვის ასეთ მნიშვნელოვან ციხეში და მისკენ მიმავალ გზაზე არსებული ციხეები სასახლეთა ფუნქციით თუ უშუალოდ მეფეთა სამყოფელი - სასახლე, ვფიქრობთ, აუცილებელი იყო. ერთ რეგიონში ასე ახლო მანძილზე რამდენიმე სასახლე კომპლექსურად და ერთდროულად არ აშენდებოდა, ისინი შესაძლოა არც თანაარსებობდა. დედაქალაქიდან ჩრდილოეთის საზღვრისკენ მიმავალი გზის მიდამოებში მეფეთა რეზიდენციების განლაგება სახელმწიფო სტრატეგია იყო „ოდესს გაილაშქრიან ოვსეთად მუნ დადგიან“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1974, გვ. 358). დარიალთან დაკავშირებით ნახსენები ვახუშტის ეს ციტატაც ამის ერთ-ერთი არგუმენტია. არსებობს მოსაზრებები, ჩრდილო კავკასიის ქვეყნებში საქართველოს სახელმწიფო გავლენის გავრცელების სტრატეგიის შესახებ, თუკი ეს იდეა არსებობდა შესაძლოა ამ რეზიდენციების წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველიც კი ყოფილიყო. სკვითების მიგრაციიდან დაწყებული დღევანდელი დღით გაგრძელებული საქართველოს ჩრდილოეთის საზღვრის გზა მუდამ სტრატეგიული მოქმედი მონაკვეთი იყო. თემურ-ლენგის ლაშქრობების (XIV—XV საუკუნეების მიჯნა) შემდეგ გზის მნიშვნელობა დაეცა და იგი ნაგზაურად იქცა. ალბათ ამ პერიოდში უნდა ქცეულიყო სასახლეები ნასასახლევებად. დარიალისკენ მიმავალი გზა კვლავ აქტუალური ხდება საქართველო-რუსეთთან ურთიერთობის გაღრმავების შემდეგ, რადგან ის აკავშირებდა ამ ორ ქვეყანას, თუმცა XVIII საუკუნის დასაწყისში, როდესაც კიდევ უფრო მჭიდროა კავშირი რუსეთთან იქაური სასახლეები, როგორც ვახუშტი აღწერს, ნასასახლეებია. ქვეყნის შიდა თუ საზღვრისკენ მიმავალი გზები კი არ განსაზღვრავდა მის მიდამოებში სასახლეთა არსებობას, არამედ გზის სტრატეგია მოცემულ მომენტში. XV საუკუნის შემდეგ სასახლეები იქ თუ ისევ არსებობდა, მათ სტრატეგიული დანიშნულება ჩრდილო კავკასიის ქვეყნებთან მიმართებაში დაშლილი საქართველოს, ქართლის სამეფოს პირობებში, უკვე დაკარგული ექნებოდა. ის ფაქტი, რომ XVIII საუკუნის ავტორი ვახუშტი რუკაზე სასახლეთა სიმბოლოებს ისევ აფიქსირებს, ჩვენი აზრით, მიგვითითებს იმაზე, რომ ვახუშტიმ ატლასის შედგენისას იხელმძღვანელა იმ წყაროთი, რომელშიც სასახლეები იყო მოხსენიებული, ან საკუთარი თვალთა და ნანახი ნაშთები და, როგორც სამეფო ოჯახის წარმომადგენელმა, საჭიროდ მიიჩნია ატლასზე ისევ აღენიშნა სასახლეთა სიმბოლოები, ხოლო აღწერილობაში კი თავისი დროის შესაბამისად ისინი ნასასახლევებად აღწერა.

მთის სასახლეები თავდაცვისთვის გამოდგებოდა, თუმცა შეიძლება მათი გამოყენება სეზონურადაც, იყო სტრატეგიულად აქტიური, თუმცა ვერ შეინარჩუნა ფუნქცია და მოქმედი მეფეების პერიოდში გადაიქცა ნასასახლევებად. თუ ეს სასახლეები ქართული სამეფო ხელისუფლების მიერ ჩრდილო კავკასიის ქვეყნებში პოლიტიკური გავლენის გავრცელების სტრატეგიული თვალსაზრისით მოიაზრებოდა, მაშინ მონღოლთა ბატონობის დროს მათი ფუნქციის დაკარგვა სრულიად ლოგიკური იქნებოდა. არაერთხელ დაზიანებულა დედაქალაქების რეზიდენციებიც, მაგრამ მათი საჭიროებიდან გამომდინარე ისინი ყოველთვის აღდგენილა, იმ სასახლეებს კი, როგორც ჩანს, დანიშნულება აღარ ჰქონდა და შესაბამისად - აღდგენის საჭიროებაც; თუმცა, მათი სტრატეგიული მიზანი არ შეიძლება

მხოლოდ საგარეო ფაქტორებში ვეძებოთ, რადგან სამეფო ხელისუფლებას საუკუნეების განმავლობაში მუდმივად სჭირდებოდა გარკვეული ძალისხმევით საკუთარი გავლენისა თუ ძალის დემონსტრირება სახელმწიფოს შიგნით მთიან რეგიონებში, გავიხსენოთ მირიანის, თამარის, გიორგი ბრწყინვალის, ერეკლეს დროს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები. სულხან-საბა ორბელიანი სიტყვა „ტახტს“ შემდეგნაირად განმარტავს: „ტახტი ეწოდების სამეფოთა ქალაქთა, სადა მარადის მყოფობენ“ (ორბელიანი, 1993, გვ. 135), ანუ სამეფო რეზიდენცია მეფის მარადიული გავლენის სიმბოლოდ მოიაზრებოდა. მათი სიმრავლე ჩვენთვის საინტერესო რეგიონში სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიების განსაკუთრებულ მნიშვნელობას უსვამს ხაზს, რომელიც ერთმნიშვნელოვნად და მხოლოდ ერთი რომელიმე კონკრეტული ფაქტორით ვერ აიხსნება.

ძალიან ზოგადად და მოკრძალებული ვარაუდით, სასახლეები განეკუთვნება XII-XIII საუკუნეებს. პერიოდს, როდესაც სამეფო ხელისუფლება ძლიერდება და ახერხებს აკონტროლოს საზღვრის გზები, დაიმორჩილოს მთა და გაუჩნდეს პრეტენზია ჩრდილოეთის მიმართულებით გავლენის გაძლიერებასა თუ საზღვრების გაფართოებაზე, თავშესაფრად მთის შეუვალი ციხეებიც საკმარისი იქნებოდა, სეზონურ სადგომებად კი ქვეყანაში სხვა რეგიონები უფრო ხელსაყრელი იყო. პოლიტიკურად და ეკონომიკურად სუსტი სახელმწიფო გეოგრაფიულად რთულ რეგიონში სასახლეთა მშენებლობას ვერ უზრუნველყოფდა ვერც ფინანსურად.

წყაროებში არ გვხვდება მეფეთა მთის სასახლეში ცხოვრების შემთხვევები, მაგრამ გვხვდება მთის ციხეებში ყოფნის ფაქტები. წყაროების კვლევისა და დღეს ამ ტოპონიმთა ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ გველეთსა და ციკარაში ნამდვილად არსებობდა კარგად დაცული და შეუვალი ციხეები. ჟამთააღმწერელი დავით VIII-ის შესახებ მოგვითხრობს: „შედგა ციკარეს, რამეთუ ციკარე მტერთაგან შეუვალ იყო. ჩავლო ხუტლუშამან და განვიდეს ჯადას და გარდვიდეს ჳევსა, და მიმართეს გუელეთს, მუნ შინა ჰგონებდეს მეფესა დავითს“ (ჟამთააღმწერელი, 1959, გვ. 305). გველეთში სასახლის მატერიალური კვალი არ ჩანს. ამ ციხეებში მეფეთა ხშირი გაჩერების მიზეზიც ყოველთვის საომარ პერიოდს ემთხვევა. მთიულეთის სასახლეთა ფუნქციონის თარიღები უცნობია, შესაბამისად, რთული სათქმელია, როდესაც გველეთი და ციკარა მეფეთა ხშირ სამყოფელს წარმოადგენდა (XIII-XIVსს), იყო თუ არა მთიულეთის ტერიტორიაზე მოქმედი სამეფო სასახლეები. დემეტრე II-ც მთიულეთში „სიმაგრათა შინა“ მიდის. მთაში თუ სასახლე არ იარსებებდა, ასეთ შემთხვევაში რეგიონში კარგად გამაგრებული ციხესიმაგრეები, რომლებშიც მეფეები თუნდაც ომიანობის დროს სისტემატურად ჩერდებოდნენ, სავარაუდოდ, სასახლის ფუნქციას შეითავსებდა.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები რომ არა, გამოვთქვამდით ვარაუდს, რომ მთაში არსებობდა ციხეები, რომლებიც საჭიროების დროს მეფეთა სასახლის ფუნქციითაც გამოიყენებოდა, რადგან მეფეთა მთაში ყოფნა, რაც უკავშირდებოდა თავდაცვითი, სტრატეგიული, საგარეო თუ შიდაპოლიტიკური საკითხების გადაწყვეტას, საჭიროებდა მის საცხოვრებელ გარემოს, სამეფო სასახლეები კი თვით დედაქალაქ თბილისში XVII საუკუნემდე ციხეების ტერიტორიაზე არსებობდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი, ნ. (1966). გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში. თბილისი.
2. გვასალია, ჯ. (1971). მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან. თბილისი.
3. გვასალია, ჯ. (1975). არაგვის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხები, მთიულეთი. *ისტორიულ-გეოგრაფიული კრებული*. V. თბილისი.
4. დოლიძე, ი. (1957). გიორგი ბრწყინვალის სამართალი. თბილისი.
5. ვახუშტი ბატონიშვილი. (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. IV ტექსტი. თბილისი.
6. ლეონტი მროველი. (1955). მეფეთა ცხოვრება. ტ. 1. ქართლის ცხოვრება. თბილისი. სახელგამი.
7. ორბელიანი ს. ს. (1993). ლექსიკონი ქართული. ტ II. თბილისი. მერანი.
8. ჟამთააღმწერელი. (1959). ასწლოვანი მატიანე. ქართლის ცხოვრება. ტ. 2. თბილისი.
9. საქართველოს ისტორიული რუკა. (1923). შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემა.
10. ხელნაწერთა აღწერილობა. (1949). ტ. V. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია H). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი

Nino Kobauri,
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

Trends in Dislocation of Royal Residences from Tbilisi to Dariali

Summary

There were recorded the facts of presence of the kings in Mtiuleti at a time of resolution of the political, legal, religious and defense issues by the royal government. No written sources mention that any king has visited this area seasonally, to have rest or to hunt. Where did the kings live in the severe mountain conditions? Data about Mtiuleti palaces can be found only in “Geography” and “Atlas” by Vakhushti Batonishvili, 18th century author. Bakhushti mentioned the ruins of palaces in Niaghvrevi, above Mtiult Kari, in the areas adjacent to Khada Tsikare and below Dariali Fortress, located in the area surrounding the road leading to the northern border. Bakhushti mentions each of them as palace ruins, without specifying the chronological frames of their functioning or any other details. This road has been vitally significant for the country from ancient time and the palaces there were the points for strategic purposes.

We can propose that the palaces belong to the period of 12th – 13th centuries, when Georgian royal power became stronger and is able to control the ways to the border, subdue the mountain regions and have ambition to strengthen its influence and expand its borders to the north. Otherwise impervious mountain fortresses would be sufficient for stay and the other regions would be more favorable for seasonal residences. Politically and economically weak state would not be able to construct the palaces in geographically inaccessible region, among them, in financial respect.

**თეა გომთლიშვილი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

უილიამ ტვიროსელი - ჯვაროსანთა ისტორიკოსი

უილიამ ტვიროსელის ცხოვრების შესახებ ისტორიკოსებს ბევრი ცნობა არ მოეპოვებათ. ის კი, რაც მისი მოღვაწეობაზე ვიცით, ძირითადად ავტორის ნაშრომის ავტობიოგრაფიული თავებიდანაა ცნობილი.

უილიამი იერუსალიმის სამეფოში დაიბადა. მისი დაბადების ზუსტი წელი უცნობია. ფიქრობენ, რომ ის 1130 წელს მოველინა ქვეყნიერებას (Kery, 1941, გვ. 13, History of A Deeds Done Beyond The Sea, 1949, vo. I. p. 6). ტვიროსელი იერუსალიმის სამეფოში დაფუძნებული ფრანკების მესამე თაობის წარმომადგენელი იყო და თავის სამშობლოდ არა საფრანგეთს, არამედ იერუსალიმის სამეფოს მიიჩნევდა.

ბრიტანელი მეცნიერები, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორები, პიტერ ედბერი და ჯონ როუვი, გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ უილიამმა დაწყებითი განათლება იერუსალიმში, აღდგომის ტაძრის ახლობლად მდებარე სკოლაში, მიიღო. ასევე ვიცით, რომ მან თითქმის 20 წელი დაჰყო ევროპაში განათლების მისაღებად. 1146 წელს ის წავიდა ბოლონიაში, შემდგომ პარიზსა და ორლეანში. ევროპის დასახელებულ განათლების ცენტრებში უილიამი 10 წელი ეუფლებოდა თავისუფალ ხელოვნებას, ხოლო 6 წელი პარიზსა და ორლეანში - თეოლოგიას.

ტვიროსის მომავალმა არქივისკოპოსმა კანონიკური და საერო სამართალი შეისწავლა ბოლონიაში, სადაც 4 წელი ცხოვრობდა (A History of Deeds Done Beyond The Sea, 1949, Vol. II p. 301) ლათინი ისტორიკოსი სამშობლოში 1165 წელს დაბრუნდა. ასე რომ, უილიამის ბავშვობისა და ადრეული წლების შესახებ მხოლოდ მწირი ცნობები გვაქვს. თვით მისი წარმომავლობაც კი დაუზუსტებელია. ჩნდება კითხვა: სადაური იყო ის - ფრანგი (ფრანკი) თუ იტალიელი? არც ამ კითხვაზე არსებობს საბოლოო პასუხი. თუმცა ის გარემოება, რომ ტვიროსელმა თავისი ნაშრომი იერუსალიმის სამეფოს, ჯვაროსნებისა და ლათინი მეფეების აღწერას მიუძღვნა, შეიძლება იმის მაჩვენებელი იყოს, რომ მას თავი ფრანგად მიაჩნდა. ამის დამადასტურებელია ისიც, რომ უილიამის ნაშრომის მოქმედი პირები არიან არა იტალიელები, არამედ ფრანგები. მიუხედავად ამისა, მისი ეთნიკური კუთვნილების შესახებ რაიმეს კატეგორიული მტკიცება შეუძლებელია.

უილიამი კარგად ფლობდა ფრანგულ, ლათინურ, არაბულ და ბერძნულ ენებს, ასევე სავარაუდოა, რომ მან სხვა აღმოსავლური ენებიც იცოდა. ამაზე მეტყველებს არა მარტო წყაროები, რომლებსაც ის იყენებდა თავისი წიგნის წერის დროს, არამედ ისიც, რომ ტვიროსელი პოლიტიკურ საქმიანობაში იყო ჩართული და დიპლომატიური მისიით ბიზანიაშიც კი იყო გაგზავნილი.

1165 წელს უილიამი სამშობლოში დაბრუნდა. მალევე ის იერუსალიმის მეფე ამალრიკ I-ს დაუახლოვდა. 1167 წელს ამალრიკ I (1163-1174) ეგვიპტის ლაშქრობიდან გამარჯვებული

დაბრუნდა და მოისურვა თავისი წარმატებული სამხედრო კამპანიის ისტორია აღწერათ. ამისთვის კი უილიამი იდეალური კანდიდატი აღმოჩნდა.

ეს სამხედრო კამპანია ამ რეგიონში ლათინთა მიერ ერთ-ერთი ყველაზე უფრო წარმატებული აღმოჩნდა. პირველი ექსპედიცია ეგვიპტეში 1163 წელს მოეწყო, მიზეზი იყო ის, რომ ფატიმიანები გადასახადს არ უხდიდნენ იერუსალიმის მეფეებს (ამ შეთანხმებას მიაღწია ბალდუინ III-მ). ექსპედიცია წარმატებით მიმდინარეობდა, თუმცა ამ დროს სირიაში შეიქმნა პრობლემები. ლათინთა დაუძინებელი მტერი, ნურ ად-დინი, აქტიურობდა და მეფეს უკან დაბრუნება მოუწია. ამალრიკი ცდილობდა თავისი მოწინააღმდეგე ძალის დაბალანსებას, ამიტომ გადაწყვიტა გაყროდა ედესის გრაფის ქალიშვილს, აგნესს დე კურტენეს და ცოლად ეთხოვა ბიზანტიის იმპერატორ მანუელ I კომნენოსის ქალიშვილი, მარია კომნენოსი. ამით ის ბიზანტიის მხარდაჭერას მოიპოვებდა (რათა კავშირი შეეკრა) სელჩუკთა წინააღმდეგ. სწორედ ამ დროს შეხვდა იგი უილიამს და გადაწყდა იერუსალიმის ისტორიის დაწერაც. მაშინ ორივე, უილიამიც და ამალრიკიც, ახალგაზრდა იყო (Kery, 1941, vol. XVI, p.152.); ორივე ამბიციური და ნიჭიერი, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მეფე უილიამით დაინტერესდა. ცოტაოდენი დაკვირვებისა და ურთიერთობის შემდეგ ამალრიკი მიხვდა, რომ უილიამი მის დახმარებას შეძლებდა. ამის შემდეგ ამალრიკმა რამდენიმე წლით დიპლომატიური მისიით გააგზავნა უილიამი ბიზანტიაში. იქიდან უილიამს რომში მოუხდა წასვლა¹. როგორც ჩანს, მას წასვლა არ უნდოდა, მაგრამ მეფეს წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ფედერიკი², რომელიც იმ დროს ტვიროსის არქიეპისკოპოსი იყო, უილიამის წინააღმდეგ იყო განწყობილი და რომში დაასმინა. შედეგად ტვიროსის მომავალ არქიეპისკოსს მოუწია რომში წასვლა, რათა ბრალდებები გაებათილებინა და თავი ემართლებინა. 1170 წელს უილიამი შინ დაბრუნდა. ამალრიკ I მას მეტად მნიშვნელოვან მისიას აკისრებს - საკუთარი შვილის, ბალდუინის, შემდგომში ბალდუინ IV-ის - აღზრდას³. უილიამი, როგორც ვახსენეთ, ამბიციური ადამიანი იყო და უფლისწულის აღზრდა და მასწავლებლობა არ სურდა, თუმცა მომავალში სავარაუდო დაწინაურებაზე ფიქრმა განზრახვა შეაცვლევინა (მომავალმა სავარაუდო დაწინაურებამ მისი გული მოიგო) და 1170 წლიდან 1174 წლამდე ის ახალგაზრდა უფლისწულის განათლებაზე ზრუნავდა (Kery, 1941, vol. XVI, p.153).

იმ ოთხი წლის განმავლობაში, როდესაც უილიამი ბალდუინს ასწავლიდა, ძირითადად ტვიროსში იყო. მეფე მასთან ხშირად მიდიოდა და საათობით უყვებოდა ეგვიპტის ლაშქრობის ისტორიას. ეს ხსნის იმ ფაქტს, რომ სხვა წიგნებისგან განსხვავებით ეს წიგნი, რომელშიც ამალრიკ I-ის ეგვიპტურ ლაშრობებზეა მოთხრობილი, ბევრად უფრო სრულყოფილია და დეტალურადაა აღწერილი მოვლენები; ასევე შესაძლებელია უილიამი იმ ლაშქრობის დროს მეფესთან ერთად იყო და თავისი თვალთვლით ნანახი აღწერა. ამალრიკი ხშირად კითხულობდა უილიამის დაწერილს, რაზეც მეტყველებს ის მიმართვა, რომელსაც პირველ წიგნში ვკითხულობთ. ავტორი წერდა (W.T. 1:5 Unum tamen de tot millibus, exempli gratia, producamus in medium, ut per haec deprehendat vestra dilectio, quam ex frivolis causis ad ultima supplicia rapiabantur.): „მე მოგიყვანთ ბევრთაგან ერთ მაგალითს, თქვენო უდიდებულესობავ, რათა გაიგოთ, თუ როგორ უჭირდათ ქრისტიანებს“ (A History of Deeds Done Beyond The Sea, 1949, Vol. I, p. 68).

უილიამი ამ ადგილას უშუალოდ ამალრიკს მიმართავდა. აქედან შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ისტორიის დამკვეთი მეფე იყო. როდესაც უილიამზე, როგორც ისტორიკოსზე, ვსაუბრობთ, მისი მოღვაწეობა უნდა დავყოთ ორ ნაწილად: 1170 წლიდან 1174 წლამდე და 1174 წლიდან 1184 წლამდე (Kery, 1941, vol. XVI, p.154).

¹ W.T- XX წიგნის მე-17 თავი.

² ფრედერიკ დე ლა როშე 1164-1174 წლებში ტვიროსის არქიეპისკოპოსი იყო.

³ უილიამი XXI წიგნში გვიყვება ბალდუინ IV-ის შესახებ.

სავარაუდოდ, უილიამმა ჯერ ის თავები დაწერა, რომლებიც ამალრიკ I-ს, ბალდუინ III-სა და ბალდუინ IV-ს ეხებოდა, შემდეგ კი - წინა წიგნები. აქ იგულისხმება, რომ ქრონოლოგია წერის დროს დაცული არ იყო. უილიამი ჯერ იმ ნაწილს წერდა, რომლის უშუალო მოწმეც იყო და შემდეგ უბრუნდებოდა პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდს. ვინაიდან ლათინ ისტორიკოსს უშუალოდ მეფე მფარველობდა, ცხადია, მას ხელი მიუწვდებოდა სამეფო ბიბლიოთეკაზე. ამის შედეგად ტვიროსელი უამრავ წყაროს იყენებდა იმ პერიოდის ისტორიის დასაწერად, რომელსაც თვითონ არ მოსწრებია. ბიბლიოთეკაში მის განკარგულებაში იყო ფულხერიუსი, ალბერტ აახენელი, ანონიმური ავტორის *Gesta Francorum*-ი, ანტიკური და ქრისტიანული ლიტერატურის ძეგლები და არაბული ლიტერატურაც კი. მის წინაშე საკმაოდ რთული ამოცანა იდგა: მას უნდა დაეწერა ისტორია, რომელიც მეფეს მოეწონებოდა, მისაღები იქნებოდა სასულიერო დასისტვის, ყველანაირ სტანდარტსა და ჩარჩოში ჩაჯდებოდა (მოერგებოდა) და ასევე ისტორიულ რეალობას გადმოგვეცემდა. საფუძვლიანი ცოდნისა და გამოცდილების წყალობით ავტორმა ოსტატურად განახორციელა ეს ამოცანა. მუშაობის პროცესს მან დიდი ენერჯია შეაღია და საბოლოოდ თავისი საქმე წარმატებით დააგვირგვინა. იმავე პერიოდში უნდა დაეწერა *Gesta orientaliū principum*. ეს ნაწარმოებიც ამალრიკის დავალებით იყო დაწერილი. მეფე ინტერესით განიმსჯავდა, როდესაც იერუსალიმის ისტორია წაიკითხა და სურვილი გაუჩნდა მუსლიმების ისტორიაც ჰქონოდა ხელთ (Kery, 1941, vol. XVI, p.155). 1178 წელს უილიამი ლატერანის მესამე კრებაზე გაემგზავრა დიდი დელეგაციით. თავის *ისტორიაში* ის მიუთითებს, რომ ამ კრების შესახებ დაწერილი აქვს ნაშრომი, რომელსაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია. კრების დასრულების შემდეგ უილიამი პაპმა ალექსანდრემ¹ გაგზავნა კონსტანტინოპოლში, რათა მისი დავალება შეესრულებინა და მხოლოდ ორი წლის შემდეგ დაბრუნდა ლათინი ისტორიკოსის სახლში.

ალექსი I კომნენოსის შემდეგ ბიზანტია-ლათინების ურთიერთობა ნელ-ნელა დალაგდა. ეს ორივე ქვეყნის პოლიტიკურმა კურსმა განაპირობა. განსაკუთრებით მშვიდობიანი იყო მათი ურთიერთობა 1158 წლის შემდგომ პერიოდში. 1180 წელს მანუელ I კომნენოსი გარდაიცვალა და ტახტზე მისი მცირეწლოვანი ვაჟი ალექსი II ავიდა. მას რეგენტად დაენიშნა მარია ანტიოქიელი, რომელიც ახლოს იყო იერუსალიმის სამეფო სახლთან. მიუხედავად ამისა, ბიზანტიაში ანტილათინურმა განწყობამ გაიმარჯვა ანდრონიკე კომნენოსის სახით, რომელმაც 1182-1183 და 1183-1185 წლებში ძალაუფლება ჩაიგდო ხელში, 1182 წელს კი ლათინთა ხოცვა-ჟლეტა მოაწყო კონსტანტინოპოლში. მშვიდობას, რომელიც ალექსი I კომნენოსის შემდეგ დამყარდა, ანდრონიკე კომნენოსმა ბოლო მოუღო და უილიამმა თავის „წყაროში“ არ დააყოვნა ამ ამბების მოყოლა².

1174 წელს, ამალრიკ I-ის გარდაცვალების შემდეგ, ტახტზე მისი მცირეწლოვანი (13 წლის) ვაჟი ბალდუინ IV ავიდა. იმ დროს იერუსალიმის სამეფოს ბევრი საზრუნავი (გარკვეული სახის პრობლემები) ჰქონდა. ქვეყანაში დაიწყო შიდა არეულობა და ფეოდალთა თარეში. მცირეწლოვან მეფეს სიტუაციის გაკონტროლება უჭირდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ ის კეთრით იყო დაავადებული³. ცალკე აიუბიანები გამლიერდნენ და სალაჰ ად-დინის

¹ ალექსანდრე III, ერისკაცობაში როლანდო ბანდინელი. პაპი იყო 1159-1181 წლებში. ის გახლდათ სწავლული თეოლოგი და მასწავლებელი. ალექსანდრე ბოლონიის უნივერსიტეტში ასწავლიდა საეკლესიო სამართალს. პაპების თეოკრატიის განმტკიცების მიზნით მხარს უჭერდა ლომბარდის ლიგას, ებრძოდა იმპერატორ ფრიდრიხ I ბარბადოსას, რომელმაც მას დაუპირისპირა ანტიპაპები. ინტერდიქტის მუქარით აიძულა ინგლისის მეფე ჰენრი II პლანტაგენეტი დათმობაზე წასულიყო და თომას ბეკეტის დახმარებით შეძლო ინგლისის მეფის რელიგიური პოლიტიკა ჩაეშალა.

² უილიამი ბერძნების მიერ ლათინთა ხოცვა-ჟლეტაზე თავისი *ისტორიის* XXII წიგნში მოგვითხრობს.

³ უილიამი XXI წიგნში ამბობს, რომ პირველად მან შეამჩნია მეფის ეს დაავადება.

მეთაურობით ტერიტორიებს ართმევდნენ ჯვაროსნებს. ასე, მაგალითად, 1174 წელს, მეფის გარდაცვალების წელს, მათ დამასკო დაიკავეს. ქვეყნის შიგნით მდგომარეობა დაძაბული იყო. ამალრიკს ორი ცოლი ჰყავდა. პირველი იყო აგნესი, ედესის გრაფის ჟოსელინ II-ის ქალიშვილი და მეორე, ბიზანტიის იმპერატორის ქალიშვილი - მარია კომნენოსი. კომნენოსისგან მეფეს ერთი ქალიშვილი იზაბელა ჰყავდა, ხოლო აგნესისგან ორი შვილი, ბალდუინ IV და სიბილა. შესაბამისად, სამეფოში ძალებიც დანაწილებული იყო. ზოგი აგნესს უჭერდა მხარს, ზოგი კი - მარიას. აგნესის ლიგაში გაწევრიანებული იყვნენ მისი ძმა, ედესის გრაფი ჟოსელინ III, რაიმუნდ შატილიონი, გი (გაი) დე ლუზინიანი, რომელმაც სიბილა მოიყვანა ცოლად¹, კეისარიის არქიეპისკოპოსი ჰერაკლე² და ტამპლიერთა ორდენის მაგისტრი ჯერარდ რიდეფორდი. რაც შეეხება მარია კომნენოსს, მის მხარეზე იყვნენ ტრიპოლის გრაფი რაიმუნდ III, მარიას მეორე ქმარი ბალდუინ იბელინი და მისი ძმა ბალდუინი. ასეთი რთული სიტუაცია ხელს მხოლოდ სალაღინს აძლევდა. იმის მიუხედავად, რომ უილიამი ბალდუინის მასწავლებელი იყო და შესაბამისად, მის სამეფო უფლებებს იცავდა, ის მაინც მარია კომნენოსის მხარეს იჭერდა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ის ყველაზე კარგად ხედავდა, თუ რა საფრთხე ელოდა მის ქვეყანას და როგორ სჭირდებოდა მათ ბიზანტიელთა დახმარება.

მას შემდეგ, რაც უილიამი ტვიროსის არქიეპისკოპოსი გახდა, ძირითადად საეკლესიო საქმეებზე გადაერთო, რამაც ასახვა პოვა მის ნაშრომში. XXIII წიგნში ნათლად ვხედავთ, რომ 1184 წელს ის ჯერ კიდევ ტვიროსის არქიეპისკოპოსი იყო, თუმცა 1185 წელს ის ჟოსიუსმა³, აკრის ეპისკოპოსმა, შეცვალა. ამ ცნობას უილიამი თავის პროლოგში გვაწვდის, გამოდის, ეს ნაწილი მან მას შემდეგ დაწერა, რაც მთლიანად დაამთავრა თავისი *ისტორიის* წერა.

1182 წლიდან 1186 წლამდე, უილიამის გარდაცვალებამდე, ძალზე ცოტა რამ ვიცით მისი საქმიანობის შესახებ. ზუსტად ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე მან დაამთავრა თავისი „ისტორიის“ წერა⁴.

ისტორიული მეცნიერება და ისტორიული ფაქტი აუცილებლად უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან. მაშინ, როდესაც ისტორიული ფაქტი ობიექტურია, ისტორიული მეცნიერება სუბიექტურია. აქ გამონაკლისი არც უილიამ ტვიროსელია. როდესაც მასზე, როგორც ისტორიკოსზე, ვსაუბრობთ, ეს მნიშვნელოვანი ფაქტი უნდა გავითვალისწინოთ. უილიამი იერუსალიმის სამეფოში დაიბადა, სასულიერო ფენის წარმომადგენელი იყო და წერდა ისტორიას, რომელიც მეფემ დაუკვეთა. მისი აზროვნების და მსოფლმხედველობის ეს ასპექტი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რათა სწორად შევძლოთ ჩვენთვის საჭირო ინფორმაციის ამოღება წყაროდან. მოვლენების პროვიდენციული აღქმა უილიამ ტვიროსელის „წყაროში“ ყველაზე გვხვდება. ეს ბუნებრივიცაა XII საუკუნის მღვდლისთვის. მისთვის წერის ეს სტილი როგორც სავალდებულო, ასევე ბუნებრივი იყო. მსგავსი სახის დამოკიდებულება გვხვდება იმ პერიოდის მუსლიმ მწერლებთანაც. თუმცა „წყაროს“ შესწავლამ ცხადყო, რომ უილიამს პროვიდენციალიზმის თავისებური ხედვა ჰქონდა.

ავტორმა ოსტატურად მოახერხა თავისი *ისტორია* დაეწერა იმგვარად, რომ არც სასულიერო ფენა ყოფილიყო უკმაყოფილო, არც მეფე დარჩენილიყო გაწბილებული და ისტორიული რეალობაც ზუსტად გადმოეცა. ეს კი დიდ ინტელექტსა და შრომას მოითხოვს. როგორც, სამაგისტრო ნაშრომის, შემდეგ თავებში ვნახავთ, *ისტორიაში* კარგად გამოხატული ანტიბერძნული და ანტიმუსლიმური განწყობა შეინიშნება. ამის მიუხედავად, აუცილებლად მივიჩნევთ ვთქვათ, რომ უილიამ ტვიროსელი სანდო ისტორიკოსია. ამ აზრის

¹ ქორწილი 1180 წელს შედგა.

² კეისარიის არქიეპისკოპოსი 1180 წელს იერუსალიმის ეპისკოპოსი ხდება.

³ ლათინურად - Ioscius archiepiscopus Tyrensis.

⁴ ეს იმ შემთხვევაში, თუ მისი გარდაცვალების წლად მივიჩნევთ 1186 წელს. თუმცა არის მოსაზრება, რომ ის 1184, 1185 ან 1186 წელს გარდაიცვალა.

განსამტკიცებლად გვსურს ორი არგუმენტი მოვიყვანოთ: პირველი, პროვიდენციალიზმის უილიამისეული ხედვა და მეორე, უილიამის დამოკიდებულება ბერძნების მიმართ.

როგორც ვახსენეთ, პროვიდენციალიზმი შუა საუკუნეების მწერლობაში დამახასიათებელი მოვლენა იყო და არც ლათინი ისტორიკოსი ყოფილა გამონაკლისი. აქ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, თუ როგორ ხედავდა თვითონ ავტორი პროვიდენციალიზმს. ნაშრომში ყველგან, სადაც ბრძოლის შესახებ გვაქვს თხრობა, ავტორი ღმერთს უხდოდა მადლობას და ამბობდა, „ღვთის წყალობით“ გავიმარჯვეთო, ან დამარცხების შემთხვევაში მიზეზად თვით ლათინების ცოდვებს მიუთითებდა. თუმცა მოვლენების ამგვარი ახსნის გვერდით, ის ყოველთვის გვაძლევს იმავე მოვლენების რაციონალურ ახსნას. ასე მაგალითად, მისი აზრით, სალადინის პერიოდში მუსლიმების გაძლიერება და ქრისტიანთა დასუსტება სამმა მიზეზმა განაპირობა: ახალგაზრდა ლათინებში ღვთისმოსაობის ნაკლებობამ, მუსლიმთა კონსოლიდაციამ და ლათინთა ბრძოლისუნარიანობის დაქვეითებამ. აქ ჩვენ საინტერესო ტენდენციას ვხედავთ, უილიამი არ იყო ქრისტიანული მწერლობის ჩარჩოებში მოქცეული და მარტო „ღვთის ხელით“ და „ღვთის ნებით“ არ ხსნიდა მოვლენებს. ის აზროვნებდა და რაციონალურ მიზეზებს ასახელებდა. ეს მეტად მნიშვნელოვანი და მრავლისმეტყველი დეტალია მის შემოქმედებაში და მასზე, როგორც ისტორიკოსზე, დადებითად მეტყველებს. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ვენდოთ უილიამს, რადგან მას რეალობის აღქმის უნარი შესწევდა. ამ მონაკვეთიდან ჩანს, რომ ის კარგად იყო გათვითცნობიერებული თავისი დროის პოლიტიკასა და სამხედრო ხელოვნებაში. იმის მიუხედავად, რომ უილიამს კარგად გააზრებული ქრისტიანული მსოფლმხედველობა ჰქონდა¹, მოვლენებს ობიექტურად აღიქვამდა.

როგორც ვთქვით, უილიამის პერიოდში ანტიბერძნული განწყობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო და თვით ავტორიც ხელს უწყობდა ამ აზრის განმტკიცებას თავის ნაშრომში. თუმცა იოანე II და მანუელ I მისთვის პატივცემული იმპერატორები იყვნენ. იოანე II-ს ავტორი ისეთი სიტყვებით ახასიათებდა, რომლებითაც იერუსალიმის მეფეებსაც კი არ მოიხსენიებდა. მანუელი კი უკეთილშობილეს და მეგობრულ ადამიანად ჰყავს დახასიათებული. ჩვენ ვხედავთ, რომ ავტორი ყველა ბერძენს ერთნაირად არ უყურებდა და მათ განასხვავებდა ერთმანეთისგან. ბერძნებს იმის მიხედვით აფასებდა, რა დამოკიდებულებაც ჰქონდათ ამ უკანასკნელთ ლათინებისადმი. ეს ორი პრინციპულად მნიშვნელოვანი არგუმენტია, რადგან გვაფიქრებინებს, რომ ავტორი, „სამეცნიერო სუბიექტურობის“ მიუხედავად, ობიექტურად აფასებდა მოვლენებს.

უილიამ ტვიროსელის შემოქმედებიდან ჩვენ მხოლოდ ერთადერთი ნაწარმოები, *Historia Rerum in Partibus Transmarinis Gestarum*-ი შემოგვრჩა. წყარო ქართულად ითარგმნება, როგორც *ზღვის მიღმა მომხდარი საქმეების ისტორია*².

როგორც მისი *ისტორია* გვიდასტურებს, ნაშრომი უილიამმა ამალირიკ I-ს მიუძღვნა (*A History of Deeds Done Beyond The Sea*, 1949, Vol. I, p.68). როგორც წინა თავიდან ვიცით, ამალირიკი ისტორიისადმი მხურვალე სიყვარულით გამოირჩეოდა და დიდად იყო მოწადინებული ტვიროსელს მისი ისტორია დაეწერა.

საინტერესოა, რომ მოცემული ნაშრომის თავდაპირველი სახელწოდება ჩვენ არ ვიცით. წყაროში არსად არ არის მითითებული, თუ რა დაარქვა ავტორმა ნაშრომს. როგორც სათაურიდან ჩანს - *ზღვის მიღმა ჩადენილი საქმეების ისტორია* - ეს სახელი წყაროს დასავლელმა ევროპელებმა დაარქვეს, რადგან იერუსალიმის სამეფოსგან ხმელთაშუა ზღვით იყვნენ გამოყოფილნი. შესაბამისად, ნაშრომის სახელწოდებაც საკუთარი გადმოსახედიდან

¹ იგულისხმება ქრისტიანული, ანტიმუსლიმური და ანტიბერძნული.

² ასევე *ზღვის მიღმა ჩადენილი საქმეების ისტორია*.

შეურჩიეს. თუმცა ჩვენ ნაშრომში უილიამის ისტორიას იმ სახელით მოვიხსენიებთ, რომელიც დასავლურ ისტორიოგრაფიაშია მიღებული, მოკლედ, როგორც *ისტორიას*¹.

ლათინი ისტორიკოსი, როგორც ვიცით, „ისტორიაზე“ 1170 წლიდან 1184 წლამდე მუშაობდა. პროლოგი კი ყველაზე გვიან დაწერა. „წყარო“ შედგება 23 წიგნისგან, ხოლო თითოეული წიგნი თავებისგან. ნაშრომში მოთხრობილია პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის წინარე პერიოდიდან მოყოლებული ბალდუინ IV-ის ჩათვლით. არქიტექტონიკური თვალსაზრისით ნაშრომი ორ ნაწილად იყოფა: პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის (I-VIII წიგნი) და მის შემდგომ პერიოდებად (IX-XXIII წიგნი). მეორე ნაწილში მოთხრობილია იერუსალიმის პირველი რვა მეფის შესახებ². ყველა მეფისადმი მიძღვნილი აქვს ორი წიგნი, გარდა გოდფრიდისა (მიუძღვნა ერთი, IX წიგნი), ბალდუინ III-ისა (მიუძღვნა სამი, XVI, XVII და XVIII წიგნი) და ბალდუინ IV-ისა (მიუძღვნა სამი XXI, XXII და XXIII წიგნი). როგორც ვიცით, ტვიროსის არქიეპისკოპოსი ჩართული იყო თავისი ქვეყნის პოლიტიკურ საქმიანობაში, ეს კი დიდ დროს მოითხოვდა. ამით შეიძლება აიხსნას *ისტორიის* ზოგი წიგნის დეტალების სიღარიბე, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ უილიამის ქალაქებისა და ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობის კარგი ცოდნა. მან დეტალურად აღვნიშნა ის გზას, რომელსაც პირველი ჯვაროსნები გადიან კლერმონიდან იერუსალიმამდე. აქვე დავძენთ, რომ პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ხუთივე ლიდერი სხვადასხვა გზით მიდიოდა წმინდა მიწაზე. მათი მარშრუტი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ სად ცხოვრობდნენ და საიდან გამოემართნენ იერუსალიმისკენ. ასე მაგალითად, პირველი ვინც გაემართა იერუსალიმისკენ გოდფრიდ ბულონელი (*A History of Deeds Done Beyond The Sea, 1949, Vol. I, p.165-177*) იყო. მას მიჰყვა ბოჰემუნდ ტარანტოელი. მესამე ვინც ჯვაროსანთა ლაშქარს შეუერთდა კონსტანტინოპოლში, იყო რობერტ ფლანდრიელი (*A History of Deeds Done Beyond The Sea, 1949, Vol. I, p.181-182.*). მას მიჰყვა ტულუზის გრაფი რაიმუნდი თავისი პროვანსული არმიით (*A History of Deeds Done Beyond The Sea, Vol. I 1949, p. 182-191*). და ბოლოს, არმიას შეუერთდა რობერტ ნორმანდიელი (*A History of Deeds Done Beyond The Sea, 1949, Vol. I, p.193-194*). უილიამის კარგ გეოგრაფიულ ცოდნაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ დეტალურად აქვს აღწერილი ქალაქები და მათი მდებარეობა, რა ესაზღვრებოდა მათ და რამდენი მილით იყო დაშორებული სხვადასხვა ქალაქი ერთმანეთისგან. მაგალითად კონსტანტინეპოლის დახასიათება (*A History of Deeds Done Beyond The Sea, 1949, Vol. I, p.125-127*) ისეთი ზუსტი და დეტალურია, რომ ადვილად შეგვიძლია მივხვდეთ - ავტორი ამ ქვეყანაში ნამყოფი იყო. ასევე ზუსტად იცოდა ლათინმა ისტორიკოსმა ნიკეა (*A History of Deeds Done Beyond The Sea, 1949, Vol. I, p.153*), ბოსფორი (*A History of Deeds Done Beyond The Sea, 1949, Vol. I, p.125*), იერუსალიმი, ამ ქალაქების გზები და სხვადასხვა ადგილის სახელწოდება.

ნაშრომში ისტორიული ფაქტები საკმაოდ ზუსტად და დეტალურად არის გადმოცემული. იშვიათ შემთხვევაში ვხვდებით ქრონოლოგიური ხასიათის ცდომილებას, წლები არასწორად არის მითითებული, თუმცა ეს უზუსტობა 1-2 წლის ფარგლებში ხდება. ეს შეცდომა აიხსნება იმ ფაქტით, რომ უილიამ ტვიროსელს რამდენჯერმე მოუხდა ქვეყნიდან წასვლა³, აქედან ორჯერ ბიზანტიაში იმყოფებოდა დიპლომატიური მისიით ამაღრიკ I-ის ბრძანებით. ამის გამო მისი არყოფნის დროს მომხდარი ამბები ზუსტად არ იცოდა. ასე

¹ ეს მიდგომა ედბერიმ და როუვიმ გამოიყენეს თავიანთ ნაშრომში *უილიამ ტვიროსელი - ლათინი ისტორიკოსი* და ჩვენც ამ სტანდარტს მივყევით.

² გოდფრიდ ბულონელი (1099-1100), ბალდუინ I (1100-1118), ბალდუინ II (1118-1131), მელისანდა (1131-1153), ფოლკ V (1131-1143), ბალდუინ III (1143-1180), ამაღრიკ I (1163-1174) და ბალდუინ IV (1174-1185).

³ ლატერანის მესამე კრება 1179 წელს ჩატარდა. ამ დროს უილიამი ქვეყანაში არ იმყოფებოდა, ამის შემდეგ ბიზანტიაში მიდის პაპის დავალებით და მხოლოდ 1180 წელს ბრუნდება შინ.

მაგალითად, XIX წიგნში მოთხრობილია ამაღრიკ I-ისა და აგნეს დე კურტენეს განქორწინებისა და მარია კომნენოსთან დაქორწინების ამბავი. ავტორმა ამ წიგნში ბოდიში მოიხადა და თქვა, რომ დეტალები არ იცოდა, რადგან ქვეყნიდან იყო იმ დროს გასული. რაც შეეხება თვითონ ისტორიულ ფაქტებს და მათ გადმოცემას, აქ რაიმე პრინციპული შეცდომა არ არის. უილიამმა ზუსტად და შეძლებისდაგვარად ობიექტურად გადმოგვცა თავისი „ისტორია“. ტვიროსის არქივისკოპოსის დამკვეთი, როგორც ვიცით, ამაღრიკ I იყო. შესაბამისად, მას მონარქის მფარველობა და სამეფო ბიბლიოთეკაზე წვდომა ჰქონდა, რაც ზემოთ აღვნიშნეთ. ეს კი ბევრად უადვილებდა უილიამს ის პერიოდი აღეწერა, რომელსაც უშუალოდ არ მოსწრებია. ამისთვის ის იყენებს პირველი ჯვროსნული ლაშქრობის ისტორიკოსთა შრომებს. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ალბერტ აახენელი, ფულხერიუსი, ანონიმი მწერალი *Gesta Francorum*-ი. ნაშრომში ასევე გვხვდება ამონარიდები სახარებებიდან, ნახსენებია ანტიკური პერიოდის როგორც ბერძენი, ისე რომაელი მწერლების შემოქმედება.

ისტორიაში ყველა მეფის ცხოვრება თანაბრად არ არის აღბეჭდილი. უილიამი თვითონ სამ მეფეს მოესწრო. ესენი იყვნენ: ბალდუინ III, ამაღრიკ I და ბალდუინ IV. ბუნებრივია, ამ სამი მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ უფრო მეტი იცოდა ავტორმა. თუმცა მას ამ სამშიც ჰყავდა რჩეული - ეს იყო ამაღრიკი. ისტორიით დაინტერესებულ მეფეს სურვილი ჰქონდა მისი საქმეების ისტორია ჩაწერილიყო. უილიამმა კი დეტალურად აღგვიწერა ამაღრიკის პირველი ეგვიპტური ექსპედიცია. დეტალები იმდენად ზუსტია, რომ, სავარაუდოდ, ისტორიკოსი ან თან ახლდა მეფეს ეგვიპტეში, ან ამაღრიკი უშუალოდ უყვებოდა თავის ისტორიას, რათა ამ უკანასკნელს ჩაეწერა მეფის ლაშქრობის ამბავი. უილიამმა განაგრძო რა *ისტორიის* წერა, თავის მოწაფეს, ბალდუინ IV-ს, სამი წიგნი მიუძღვნა. თუმცა XXIII წიგნში უცბად შეწყვიტა თხრობა. რამ აიძულა ავტორი, თხრობა ასე მალე დაემთავრებინა? კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორებს - ჯონ გორდონ როუჯისა და პიტერ ედბერის - საინტერესო მოსაზრება აქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით. მათი აზრით, უილიამის ხელნაწერი, რომელიც XXIII წიგნისგან შედგებოდა¹, ნაკლულად უნდა იყოს მოღწეული ჩვენამდე. და მართლაც, მთლიან წყაროში, თავების რაოდენობა 25-დან 30-მდეა, მაშინ, როდესაც ბოლო XXIII წიგნი ძალიან პატარაა, მასში მხოლოდ 2 თავია. ნაშრომის არქიტექტონიკაში თავების ასეთი მცირე რაოდენობა არ ჯდება; ასევე სიმართლესთან ახლოსაა ის აზრიც, რომ ავტორმა წერა ბუნებრივი მიზეზით შეწყვიტა. მან იერუსალიმის ისტორია მიიყვანა თავისი პერიოდის „აწმყომდე“ და დასაწერი უბრალოდ აღარაფერი დარჩა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მენტემაშვილი, ა. (2000). საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია-უძველესი დროიდან 1799 წლამდე. ტომი I. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. ჯოხაძე, გ. (2009). ადამიანისსახე ისტორია. თბილისი. უნივერსალი.
3. Abulafia D. (editor). (2008). *The New Cambridge Medieval History*. Vol. 5. Cambridge University Press.
4. Devis Ralph, H. C. (1973). William of tyre. In *Relations between East and West in the Middle ages*. Edinburgh. Edinburgh University press.
5. Edbury and J. G. Rowe. (1978). William of Tyre and Patriarchal Elections of 1180. Vol. 93, No. 366. Oxford. *The English historical Review*.
6. Edbury, P. W. and Rowe J. G. (1988). *William of Tyre: Historian of the Latin East*. Cambridge, New York. Cambridge University Press.
7. Knight, J. (2001). *Middle Ages: Primary sources*. UXL.

¹ ამის შესახებ თვითონ ავტორი წერს პროლოგში.

8. Krey, A.C. (1941). William of Tyre The making of an historian in the middle ages. Vol. 16. *Sepculum. A Journal of medieval studies*.
9. *Historia Rerum in Partibus Transmarinis Gestarum*. (2010) Libri I - XII. CreateSpace Independent Publishing Platform.
10. *Historia Rerum in Partibus Transmarinis Gestarum*. (2010). Libri XIII – XXIII. CreateSpace Independent Publishing Platform.
11. *The New Cambridge Medieval History*. (2015). Vol. 4. Part 1. Cambridge University Press. Reprint edition.
12. Vessey, D. W. T. C. (1973). William of Tyre and the Art of Historiography. *Mediaeval Studies*. Vol. 35.
13. William of Tyre. (1943). *A history of deeds done beyond the sea*. Vol. 1. Columbia University Press.
14. William of Tyre. (1943). *A history of deeds done beyond the sea*. Vol. 2. Columbia University Press.
15. Špoljarić, L. (2008). William of Tyre and the Byzantine Empire: The Construction and Deconstruction of an Image. Master thesis. CEU.
16. Груссе, Р. (2007). Эпопея крестовых походов. Батуми.
17. Заборов, М. А. (1980). Крестоносцы на Востоке. М. Наука.
18. История крестовых походов в документах и материалах. (1977). М. Высшая школа.

Tea Gogolisvili,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

William of Tyre - Historian of the Crusades

Summary

William of Tyre (1130-1186) was one of the most important and prominent figures in the twelfth-century kingdom of Jerusalem. From his works we have left only one work in full, *Historia rerum in partibus transmarinis gestarum*, which translates as *A History of Deeds Done Beyond the Sea*. The work tells the story of the Kingdom of Jerusalem and is written with a providentialist outlook typical of the Middle Ages. Typologically, it belongs to the genre of Chronicles. A specific source is important to us because the author was a direct contributor to the story he was writing about and hence the value of the source was increasing.

In the end, the issue is very interesting, as it is still relevant to East-West relations today, and it is important to study one of the stages of this relationship and its source. The article is also very notisable for Georgian historiography due to its subject matter, because we have no research on this topic, which in itself means qualitative news. Comparative and complex research methods were used when working on the article. Directly was used William of Tyre's source.

**მაია შატრუაძე,
კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**

**მიტროპოლიტ პაისიოს გარსევანიშვილის მოღვაწეობა სამთავისა და
ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრებზე
და მისი ქრონოლოგიის საკითხი**

მიტროპოლიტი პაისიოს გარსევანიშვილი XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის დასაწყისის მნიშვნელოვანი საეკლესიო მოღვაწე და ქართლ-კახეთის სამეფო კართან დაახლოებული პირი იყო.

პაისიოსი მღვდელმთავრად კურთხევამდე ჯერ გორის ოქონის ეკლესიის მღვდელი პეტრე იყო. შემდეგ კირილე მთავარეპისკოპოსმა გარსევანიშვილების ძველი სიგელების საფუძველზე პეტრე მღვდელს დაუმტკიცა გორის დეკანოზობა.

ისტორიკოსი ე. მამისთვალშიშვილი სტატიაში „დიპლომატი გარსევან ჭავჭავაძე და მიტროპოლიტი პაისიოსი“, პაისიოსის მოღვაწეობის შესახებ აღნიშნავდა: „არ ვიცი, როდის ხელდასხეს პაისიოსი მთავარეპისკოპოსად. პირველი დოკუმენტი, რომელიც პაისიოსს სამთავროს მთავარეპისკოპოსად წარმოგვიდგენს, არის მეფე ერეკლე II-ის მიერ მისდამი გაგზავნილი 1782 წლის წერილი (გსიემ, №7601/55). შემდგომი პერიოდის დოკუმენტებში პაისიოსი გორისა და სამთავროს მთავარეპისკოპოსად მოიხსენიება. ამავე წოდებით ვხედავთ მას და იგივე კათედრა ეკავა 1801 წელსაც, მაგრამ არაა ცნობილი როდემდის“ (მამისთვალშიშვილი (2016), დიპლომატი გარსევან ჭავჭავაძე და მიტროპოლიტი პაისიოსი, *მაცნე*, №2, გვ. 36-46).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, ვიდრე პაისიოსი ქართლის მთავარეპისკოპოსი გახდებოდა, პირველი კათედრა, რომელსაც იგი 1776-1787 წლებში განაგებდა, იყო სამთავისი.

XVIII საუკუნის 70-იანი წლების ერთ-ერთ საბუთში ჩამოთვლილნი არიან ქართლ-კახეთის იმდროინდელი მღვდელმთავარნი და აღნიშნულია, რომ „ეპისკოპოსი სამთავნელი ჯერეთ განუწყესებელია“ (დოლიძე, 1970, გვ. 929). როგორც ჩანს, იმ დროს სამთავისის კათედრის არსებობას კვლავ პრობლემები შექმნია, ან შესაძლოა, მას დროებით მეზობელი ეპარქიის მღვდელმთავარი განაგებდა. ყოველ შემთხვევაში, 70-იან წლებში სამთავნელ ეპისკოპოსად უკვე პაისიოსი (გარსევანიშვილი) ჩანს.

1776 წლის მზითვის წიგნი, რომელიც მიუცია ამირინდო ამილახორს თავის ასულ თამარისთვის, დაუწერია პაისიოს სამთავნელ ეპისკოპოსს (ხეც, ფ. Sd-1901). იმავე 1776 წელს მდივანბეგი იესე ამილახვარი წერს სამთავნელ პაისიოსს: „შენის ეკლესიის ყმა მტრისაგან და ჩვენის სახლისკაცისაგან შეწუხებული იყო... გვეაჯე, რომ შენის ყმისთვის ამირახორის შვილებს არა წაერთვათ რა“ (ქორდანია, 1896, გვ. 83).

1779 წლის მარტშია გაცემული „სამთავნელი ეპისკოპოსის განწესება სამთავისის ეკლესიის დეკანოზ დემეტრესა და მღვდლებისადმი“, რომელსაც ახლავს ხელრთვა, სავარაუდოდ, პაისიოს სამთავნელისა (სეა, სცა, ფ.1448, ს.2028). 1779 წლის 20 მაისსაა გაცემული „სამთავნელ ეპისკოპოს პაისიოსის მიერ აზნაურ თამაზ ქავთარაძისათვის ბოდებული მამულის წყალობის წიგნი“, რომელზეც პაისიოს სამთავნელის ხელრთვის გარდა, გერვასი სამთავნელის შემდეგდროინდელი ხელრთვაცაა (ხეც, ფ. Hd-2227).

1780 წ. 6 აპრილით არის დათარიღებული „არზა პაისიოს სამთავნელისა გამოსაღების თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით“ (დოლიძე, 1981, გვ. 470-471).

1783 წელს ამილახვრები პირობას აძლევენ იმავე პაისიოს სამთავნელს, „თქვენს მამულებზე არ შეგაწუხებთ“ (ქორდანია, 1896, გვ. 83).

1787 წელს პაისიოს სამთავნელის ჩვილის საფუძველზე მდივანბეგი ამილახვარი იესე ამილახვართაგან მიტაცებულ კასპის ზვარს შიო მღვიმის მონასტერს უბრუნებს (ქორდანია, 1896, გვ. 83-84).

პაისიოსი ნამდვილად სამთავნელია 1786 და 1787 წლებშიც, რის შესახებაც იუწყება იმავე წლებში გაცემული ორი არზა მეფე ერეკლე II-ის ოქმით (დოლიძე, 1981, გვ. 696-697; 723-724).

1787 წლის 12 მაისის „არზა სამთავნელ პაისიოსისა ყმის თაობაზე მეფე ერეკლე II-ის ოქმით“, 1786 წლის 5 ოქტომბრის საბუთის ერთგვარი გაგრძელებაა. ამ არზით მეფე ერეკლემ დააკმაყოფილა სამთავნელი პაისიოსის სარჩელი და ქვახვრელელი ეკლესიის ყმა, რომელიც ზურაბ ხითარაშვილს უსამართლოდ ჰყავდა, მორდალ იესეს ააყრევინა და სამთავნელს მიაბარა, თუმცა სასამართლოში ორივე მხარეს კიდევ უნდა ელაპარაკა. მეფე ერეკლემ დაადგინა: „ეკლესიის ყმა არავისგან არ გაიყიდება და არც დაგირავდება“ (დოლიძე, 1981, გვ. 696-697).

სამთავნელი კვლავაც ჩიოდა, რომ ხითარაშვილმა იგი მოატყუა, ორჯერ მიიყვანა სასამართლოში და თვითონ კი არ მივიდა. პაისიოს სამთავნელი აცხადებდა: „ერთი სნეული კაცი გახლავარ, აქ დგომა არ შემიძლიაო“. მეფე ერეკლე ბატონიშვილ გიორგის ავალებს, სამთავნელი რომ ამ არზით ჩივის, ესენი შენთან ალაპარაკე და სამართლიანად განსაჯეო (დოლიძე, 1981, გვ. 723-724).

მაგრამ იმავე 1787 წლის 20 ოქტომბრით დათარიღებულ პაისიოს მთავარეპისკოპოსის მიერ ოთარ ამილახვრისადმი გაგზავნილ წერილში, ის უკვე ქართლის მთავარეპისკოპოსად მოიხსენიება. როგორც ჩანს, იმავე წლის შემოდგომიდან პაისიოსი სამთავნელი უკვე აღარ არის. აქ იგი ოთარს მეფისგან მდივანბეგად დანიშნვას ულოცავს: შენი ამილახვრობა „სასუფეველში რომ შევსულვიყავ, ისრე მიამა“, - აღნიშნავს იგი (სეა, სცა, ფ. 1448, ს. 3342).

გარდა ამისა, 1787 წლის 29 დეკემბრის საბუთით („განჩინება კუტის მარიამის შვილის პაპუნას საქმეზე“) ირკვევა, რომ იმ დროს პაისიოს სამთავნელი უკვე ქართლის მთავარეპისკოპოსია. საბუთში იგი იხსენებს მისი სამთავნელობის პერიოდს (დოლიძე, 1974, გვ. 393-397).

წმ. პ. კარბელაშვილი პაისიოსის სამთავნელობის პერიოდად მიიჩნევდა 1772-1784 წლებს, რაც დასაზუსტებელია (სეა, სცა, ფ.1461, ს.17). სამთავნელ ეპისკოპოსად ის ჩანს 1776-1787 წლებში, შემდეგ იგი ქართლის მთავარეპისკოპოსია.

1787 წლის 24 ნოემბერს პაისიოს მთავარეპისკოპოსი ქვახვრელელთადმი მიცემულ საბუთში გიორგი მეფის შვილს სწერს: „მე რომ სამთავნელი და მღვიმის წინამძღვარი გახლდი...“ (სეა, სცა, ფ.1449, ს.2145).

თ. ჟორდანიას ფიქრობდა, რომ პაისიოსი ჩაანაცვლა გერვასი მაჭავარიანმა: „ამის მაგიერად სამთავნელად და მღვიმის წინამძღვრად ამ წელს დაუნიშნავთ გერვასი (მაჭავარიანი)“ (ჟორდანიას, 1896, გვ. 84). ეს მოსაზრება სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან საისტორიო დოკუმენტებში ნათლად ჩანს, რომ პაისიოს სამთავნელი ჩაანაცვლა იულიოს სამთავნელმა (1787-1789 წწ.), ხოლო ეს უკანასკნელი 1790 წელს - მიხაილ სამთავნელმა. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება გერვასი მაჭავარიანი სამთავნელი და მღვიმის წინამძღვარი.

1788 წლის 8 ნოემბრის „დრამოტა ახლად კელდასხმულის მღვდელმთავრის მისაცემელი“ და 1789 წლის 29 მაისის „წყალობის წიგნი კათოლიკოს ანტონ II-ისა იოანე ქარუმიძისადმი“ კვლავ ქართლის მთავარეპისკოპოს პაისიოსს მოიხსენიებს. თავის სამთავნელობაში მას იოანე ქარუმიძე დეკანოზად დაედგინა და პროტოპრესვიტერადაც დაესხა ხელი. ქართლის მთავარეპისკოპოსია იგი 1791, 1797, 1799 და 1801 წლების საბუთებშიც, აგრეთვე მოიხსენიება, როგორც სამთავროსა და გორის მიტროპოლიტი.

ეს დოკუმენტებია: „განჩინება დათუნა ესიტაშვილის მამულის საქმეზე“ (1791 წ. 8 ივნისი) (დოლიძე, 1974, გვ. 535-537).

„განჩინება კათოლიკოს ანტონ II-ისა სოფელ ყანდიაურის თაობაზე“ (1797 წ. 23 თებერვალი) (დოლიძე, 1977, გვ. 13-15).

„არზა მთავარეპისკოპოს პაისიოსისა ღალის თაობაზე ანტონ II-ის ოქმით“ (1797 წ. 12 თებერვალი) (დოლიძე, 1985, გვ. 406-407).

„არზა მთავარეპისკოპოს პაისიოსისა მამულის თაობაზე იოანე ბატონიშვილის ოქმით“ (1799 წ. 22 იანვარი) (დოლიძე, 1985, გვ. 514-515).

ერთ-ერთ დოკუმენტში პაისიოს მთავარეპისკოპოსს თავის ეპარქიაში მომხდარი შემდეგი საინტერესო ამბავი აქვს მოთხრობილი:

1799 წლის 2 ნოემბრით დათარიღებულ არზაში მთავარეპისკოპოსი პაისიოსი მეფე გიორგი XII-ს მოახსენებს, რომ ორი იმერელი სამთავროში ყარაულად „ჯამაგირით“ დაეყენებინა. დიდი ხანი ყოფილან მასთან, მაგრამ მცხეთას რომ ჭირი მოსდებია, სამთავროს შესულან, თუმცა იქაც ჭირი გასჩენიათ. ზოგი გამოსულა სამთავროდან, ორი კომლი „ჭირნახადნი“ კი იქ დარჩენილან. ამ ერთ იმერელს ჭირი შეჰყრია და მომკვდარა. მეორე კი მორჩენილა და გაქცეულა. მათი ნასახლარი ორ კომლ მცხეთელ კაცს დარჩენია: ათი კოკა ღვინო სამთავროს იდგა, ოცი - მცხეთას. ფქვილი, ქერი, სამარხო, ნიგოზი, ჭურჭელი, ქვაბები, ავეჯი, თოფ-იარაღი - ესენი სულ ამ მცხეთელებს დარჩენიათ. „ჭირითაც სახლი ამივსეს, კიდევ ამიკლეს“, - წუხდა მთავარეპისკოპოსი. მისი კუთვნილი იმერელი კაცი რომ მომკვდარა, ოთხი თუმანი წელზე ჰქონია და სამი თუმნის თოფ-იარაღი დარჩენია. მკვდარი საკირეში ჩაუგდიათ და რაც თან ჰქონია, ამ ორ კომლს წაუღია შვიდი თუმნის ღირებულებისა.

მთავარეპისკოპოსი პაისიოსი მეფეს სთხოვს, მცხეთის მოურავ ბეციას უბრძანოს, რომ ეს ამბავი გამოიკითხოს, ვინც იმ იმერელი კაცის, როგორც ჭირიანის, დამარხვით ზედმეტი საზღაური მიიღო, უკან გამოართვას, რადგან იმ მიცვალებულს ხომ ანდერძის (წესის) აგება და წირვა უნდოდა?!

მეფე გიორგიმ მცხეთის მოურავ ბეცია გედევანიშვილს დაავალა მთავარეპისკოპოსის საჩივარი დაეკმაყოფილებინა და საქმე მოეგვარებინა (ხეც, ფ. Hd-2691; დოლიძე, 1985, გვ. 581-582; დოკ. საქ. სოც. ისტ. II, გვ. 200-201).

იმდროინდელი ვითარების გასაცნობად საინტერესო მასალას შეიცავს აგრეთვე გორის დეკანოზის სფირიდონ ანანიაშვილის არზა. იგი მიმართავს ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-ს: „თქვენის უმაღლესობისგანაც ბრძანებაა... რომ ჩვენი სამკვიდრო სარჩო და ბინა სამთავროში დგომა არის, მამულიც გვაქვს და ცხოვრებაც იქიდანაა გვქონია. თქვენის მოწყალების იმედით ახლავ გორიდან სამთავროში ჩამოვალ და იქ დავდგები. თქვენის მოწყალებისაგან ამას ვითხოვ, რომ ყარაულით შეწვენა მებომოს. მთავარეფისკოპოზის ნებაც ასრეა, რომ იმ ეკლესიაში განუწყვეტელი წირვითა და ლოცვით თქვენი მეფობა იდიდოს... მკათათვე, 1800 წელს“. არზას ახლავს გიორგი XII-ის განჩინება: „ჩვენი ბრძანება არის: მერე ეს პატიოსანი მღვდელი დეკანოზი სფირიდონ ყოვლად სამღვდელს მთავარეფისკოპოზის პაისიოსის ნებით სამთავროში უნდა დადგეს, რადგან ესე მოუნდომებია და ჩვენც რაც შეგვეძლება, თვალყურს მოუგდებთ და კიდევაც გავაძლებინებთ“ (ხეც, ფ. Qd-2201).

დეკანოზი სფირიდონ ანანიაშვილი სამთავროს და გორის დეკანოზია 1813 წელსაც (ანანიაშვილები სამთავროს კუთვნილი აზნაურები ყოფილან). აქ საგულისხმოა, რომ სფირიდონი სამთავროში გორიდან აპირებს ჩამოსვლას მთავარეპისკოპოს პაისიოსის ნებართვით, პაისიოსი კი გორიდან მართავს ეპარქიას, სამთავროს სამთავარეპისკოპოსოს გორის რეზიდენციიდან.

ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ქართლის მთავარეპისკოპოსთა ცენტრი - სამთავრო - უკიდურეს ეკონომიკურ გაჭირვებაში იმყოფებოდა. სამონასტრო ცხოვრება შეფერხებული იყო. აღარ მიმდინარეობდა მუდმივი წირვა-ლოცვა. სამთავროს მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა 1797 წლის შავი ჭირის ეპიდემიამ, რომელიც თბილისიდან მცხეთასაც მოედო. ამ განსაცდელის ჟამს მთავარეპისკოპოსი პაისიოსი სამთავროში აგზავნის დეკანოზ სფირიდონ ანანიაშვილს, რათა მან „განუწყვეტელი წირვითა და ლოცვით“ მღვდელმსახურება აღადგინოს და სამონასტრო ცხოვრება გამოაცოცხლოს. სამთავროს სამღვდელთა შემწეობას გიორგი XII-ისგან ითხოვს (ჭანიშვილი, 2008, გვ. 43).

გორის ს. მაკალათიას სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია გარსევანიშვილების საგვარეულო ნუსხა, რომელშიც აღნიშნულია, რომ მთავარეპისკოპოს პაისიოსს, თავისი დროის განსწავლულ მოღვაწეს, ერეკლე II-ის ბრძანებით შეუთხოვავს 1783 წლის ტრაქტატის პროექტი, რომელიც შემდეგ რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-ს გაუგზავნეს. ნუსხაში ვკითხულობთ: „პაისიოს გორისა და სამთავროს მთავარეპისკოპოზი. ამან, ვითარცა თავის დროსა მეცნიერმან, ბრძანებითა მეფისა ირაკლისათა, აღწერა (შესთხვა) ტრაქტატი, დადებული ჩღპგ-სა წელსა (в 1783 г.), საქართველოს მეფის ირაკლი მეორისა თეიმურაზ მეორის ძისაგან, რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინა მეორესათანა, ნებაყოფლობით მიცემასა ზედა საქართველოსასა“ (გსიემ, №162).

ისტორიკოსი ე. მამისთვალიშვილი, რომელიც ამ ნუსხის შესახებ თავის სტატიაში მსჯელობს, წერს, რომ ამგვარი ფაქტის დამადასტურებელ დოკუმენტურ მასალას არ იცნობს და ვერც სპეციალურ ლიტერატურაში მოიძია მსგავსი ინფორმაცია.

მამისთვალიშვილის აზრით, ის, რაც გარსევანიშვილების საგვარეულო ნუსხაშია პაისიოსის მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის პროექტის შედგენის შესახებ, უნდა მომდინარეობდეს ერთ-ერთი დოკუმენტის ერთი სიტყვის არასწორი გაგებიდან.

იესე გარსევანიშვილმა სპეციალურ კომისიას წარუდგინა 1825 წლის აპრილში გაცემული მოწმობა, რომლიდანაც ჩანდა, რომ როსტომ მეფის დროიდან მის გვარს უკვე ჰქონდა აზნაურის წოდება. მოწმობაში არ იყო აღნიშნული, ვინ შეადგინა იგი. მოწმობა ადასტურებს, რომ იესეს, მის ძმასა და ბიძაშვილებს დიდი ხნის წინათ ქართველმა მეფეებმა უბოძეს აზნაურობა. იქვე აღნიშნულია იმ მეფეების სახელები და მათ მიერ ბოძებული სიგელები, რომლებიდანაც ჩანს, რომ ისინი იყვნენ აზნაურები და ყმა-მამულის მფლობელები (მამისტვალიშვილი (2016), დიპლომატი გარსევან ჭავჭავაძე და მიტროპოლიტი პაისიოსი. *მაცნე*. №2 გვ. 36-46).

1802 წლის 29 აპრილს ქართველმა მღვდელმთავრებმა მოხსენებითი ბარათი გაუგზავნეს იმპერატორ ალექსანდრე I-ს. პეტიციაში ერთ-ერთი მოთხოვნა იყო - არ დაებრუნებინათ კათოლიკებისთვის თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მიერ ჩამორთმეული ეკლესიები თბილისსა და გორში. დოკუმენტს ხელს აწერდა 13 მღვდელმთავარი, მაგრამ მათ შორის არ არის არც კათალიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის ხელმოწერა და არც - პაისიოს მიტროპოლიტისა. პაისიოსის ნაცვლად პეტიციას პირველი ადასტურებს „მდაბალი მიტროპოლიტი სამთავროსა და გორისა და წილკანისა იოანე“ (სეა, სცა, ფ.1448, ს. 9200; ფ. 1448, ს. 9199). ეს საბუთი ჩვენ მიერ პირველად გამოქვეყნდა თსუ-ის „შრომების“ V ტომში, 2012 წელს (შაორშაძე, 2012, გვ. 208-220).

ე. მამისტვალიშვილის ვარაუდით, „ერთი რამ ცხადია, პაისიოსი ცოცხალია. მაშ, რა მოხდა, რატომ ჩამოაცილეს იგი თავის ეპარქიას? მგონია, პაისიოსის ბრალი მდგომარეობდა იმაში, რომ გარსევან ჭავჭავაძის თანამოაზრედ მიაჩნდათ და ალბათ, ეს ასეც იყო. პაისიოსის მცდელობას, შეერიგებინა ბატონიშვილები, რაც საწინდარი იქნებოდა აღმოსავლეთ საქართველოს დამშვიდებისა, რა თქმა უნდა, არ შედიოდა იმპერიის ინტერესებში (ამ საკითხის ირგვლივ საინტერესოა მოსკოვის კარზე ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის ელჩის, გარსევან ჭავჭავაძის, პეტერბურგიდან საქართველოში პაისიოსისათვის გამოგზავნილი წერილი 1801 წლის 29 იანვარს (გსიემ, №7602/1004). სავარაუდოა, მიტროპოლიტი პაისიოსი გარდაიცვალა XIX საუკუნის 20-იან წლებში. ამ ვარაუდს აჩენს ის გარემოება, რომ ის, ვინც მიცვალებულ პაისიოსს უპატრონა, იყო იესე გარსევანიშვილი, ამ დროისათვის უკვე მღვდელი“ (მამისტვალიშვილი (2016), დიპლომატი გარსევან ჭავჭავაძე და მიტროპოლიტი პაისიოსი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის *მაცნე*. №2 გვ. 36-46).

პაისიოსი „...დასაფლავებულ იქნა ოქონის ეკლესიის დერეფანსა შინა (სტოვასა შინა), მუნ, სადაცა აწ არს ფანჯარა ხისა, რომლიდამაცა მსყიდველნი მიიღებენ შინა ეკლესიიდან, მნათისაგან სანთელსა...“ (გორის ს. მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, გსიემ, №162).

უნდა აღინიშნოს, რომ პლ. იოსელიანი პაისიოსს სრულიად სხვაგვარად აფასებს და წერს: „პაისიოს გარსევანაშვილი, ნამღვდელავი, რომელსაცა სწამებდენ ფრანგობასა; მეფე გიორგი არ მიენდებოდა მას ფრანგობისათვის“ (იოსელიანი, 1936, გვ. 140). ამ შეფასების მიხედვით, როგორც ჩანს, მისი ეპარქიიდან ჩამოშორების მთავარი მიზეზი გახდა ის, რომ პაისიოსს კათოლიკობისკენ „მიდრეკაში“ ადანაშაულებდნენ და არა სხვა პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე. მას აღარ ენდობოდა სამეფო კარიც.

ამასთან ერთად, არც ისაა გამორიცხული, რომ ასაკში მყოფ მიტროპოლიტს ჯანმრთელობაც შეერყა და საეპისკოპოსოს მართვა აღარ შეეძლო. აკი, ჯერ კიდევ 1787 წელს, ერთ-ერთ საბუთში პაისიოსი მეფეს მიმართავს კიდევ: „ერთი სნეული კაცი გახლავარ, აქ დგომა არ შემიძლიაო“ (დოლიძე, 1981, გვ. 723-724).

ამდენად, პაისიოს გარსევანიშვილი სამთავნელი ეპისკოპოსი იყო 1776-1787 წლებში, ხოლო ქართლის მთავარეპისკოპოსი, სამთავროსა და გორის მიტროპოლიტი - 1787-1801 წლებში.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი, ნ. (1953). დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ტ. II. ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIX სს.). თბილისი. სსრკ. მეცნ. აკად. საქ. ფილიალი.
2. დოლიძე, ი. (1970). ქართული სამართლის ძეგლები, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX). ტ. III. თბილისი. მეცნიერება.
3. დოლიძე, ი. (1974). ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.). ტ. V. თბილისი. მეცნიერება.
4. დოლიძე, ი. (1977). ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი (XVIII- XIX სს.). ტ. VI. თბილისი. მეცნიერება.
5. დოლიძე, ი. (1981). ქართული სამართლის ძეგლები (სასამართლო არზა-ოქმები). ტ. VII. თბილისი. მეცნიერება.
6. დოლიძე, ი. (1985). ქართული სამართლის ძეგლები (სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები). ტ. VIII. თბილისი. მეცნიერება.
7. იოსელიანი, პლ. (1936). ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. ტფილისი. ფედერაცია.
8. მამისთვალიშვილი, ელ. (2016). დიპლომატი გარსევან ჭავჭავაძე და მიტროპოლიტი პაისიოსი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის *მაცნე*. №2. თბილისი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.
9. ჟორდანიას, თ. (1896). ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და “ძეგლი“ ვაჰხანის ქვაბთა. თბილისი.
10. შაორშაძე, მ. (2012). XIX საუკუნის დასაწყისის ქართველი სასულიერო მოღვაწეები მართლმადიდებელი ეკლესიის დასაცავად. *საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის “შრომები“*. V. თბილისი. მერიდიანი.
11. ჭანიშვილი, გ. (2008). სამთავრო, წმინდა ნინოს დედათა მონასტერი. თბილისი.

წყაროები:

1. გორის ს. მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ). №162.
2. გორის ს. მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ). №7601/55.
3. გორის ს. მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ). №7602/1004.
4. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც), ფ. Hd-2227.

5. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც), ფ. Hd-2691.
6. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც), ფ. Sd-1901.
7. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც), ფ. Qd-2201.
8. სეა, საისტორიო ცენტრალური არქივის ფონდი 1448, ს. 3342.
9. სეა, საისტორიო ცენტრალური არქივის ფონდი 1448, ს. 2028.
10. სეა, საისტორიო ცენტრალური არქივის ფონდი 1449, ს. 2145.
11. სეა, საისტორიო ცენტრალური არქივის ფონდი 1461, ს. 17.

**Maia Shaorshadze,
Korneli Kekelidze National Center of Manuscripts of Georgia**

Activities of Metropolitan Paisios Garsevanishvili at Cathedral of Samtavisi and Kartli Archdioceses and the Issue of his Chronology

Summary

Metropolitan Paisios Garsevanishvili was significant religious figure of the second half of 18th and early 19th century, a person close to the royal court.

Historian E. Mamistvalishvili, in his article “Diplomat Garsevan Chavchavadze and Metropolitan Paisios” considered certain issues of Paisios’s activities; he wrote: “I don’t know when Paisios was blessed as archbishop. First document presenting Paisios as archbishop of the province is the letter sent by King Erekle II to him in 1782”.

The notable fact is that before Paisios became the Archbishop of Kartli, the first cathedra ruled by him in 1776-1787 was the one of Samtavisi. Paisios was still Samtavneli in 1786 and 1787, as evidenced by two documents with the resolution of Erekle II. Though, in the letter of 20 October of the same 1787, he was mentioned as Archbishop of Kartli. It is evident that from autumn of the same year Paisios is not Samtavneli anymore.

In addition, one more document of 1787 states that at that time Paisios is already Archbishop of Kartli. In this document he recalls the period when he was Samtavneli.

E. Mamistvalishvili proposed that Paisios was alive in 1802 and he was deprived of his eparchy due to political situation.

P. Ioseliani had different opinion about Paisios and he wrote: “Paisios Garsevanishvili, former priest, falsely accused for being a Catholic, King Georg would never trust him, if he was a Catholic”.

Thus, Paisios was Bishop of Samtavisi in 1776-1787 and Archbishop of Kartli and Metropolitan of Samtavro and Gori - in 1787-1801.

ბენიკ ჯაჭვლიანი, საქართველოს ეროვნული არქივი

თბილისის სასულიერო სემინარია და სასწავლებლები 1820-1825 წლებში

შესავალი

XIX საუკუნის მეორე ათწლეულის მიწურულს სასულიერო სემინარიისა და სასწავლებლების სტრუქტურამ პირველი ეტაპისთვის სრულიად საკმარისი, ჩამოყალიბებული სახე მიიღო. სემინარიის ხელმძღვანელობამ მეტნაკლებად შეძლო პირველ ეტაპზე არსებული სირთულეების გადალახვა. საეგზარქოსომ შეძლო საჭირო რესურსების თავმოყრა და მათი ერთი მიმართულებით მიმართვა.

საეგზარქოსომ განსხვავებით რუსეთის იმპერიის სხვა რეგიონებისაგან, სადაც სასულიერო სემინარიის მმართველობა მთლიანად სასულიერო აკადემიების საბჭოების ხელში იმყოფებოდა, შეძლო ძალაუფლების საკუთარ თავზე ცენტრალიზება, რაც მას დიდად უწყობდა ხელს სიტუაციის მართვასა და სასწავლებლების ყველა რგოლის კონტროლში. საეგზარქოსოს კონტროლის ქვეშ მოექცნენ არა მხოლოდ პედაგოგები და სასწავლებლების პერსონალი, არამედ მოსწავლეებიც, რომელთა მიღება-გაშვების წესებს თავად ეგზარქოსი ადგენდა.

იმისთვისაც კი, რომ ახალგაზრდას შეძლებოდა სასწავლებელში განათლების მიღება, საჭირო იყო ეგზარქოსის პირადი ბრძანება. თუმცა სასწავლებელში ჩარიცხვაზე არანაკლებ რთული, სასწავლებლიდან წასვლა იყო. მოსწავლის პირადი, თუ მისი მშობლის გადაწყვეტილება სწავლის შეწყვეტის შესახებ, არაერთ წინაღობას ეჩეხებოდა. საქართველოს ეროვნული არქივის, საისტორიო ცენტრალური არქივის 440-ე ფონდში დაცულ მასალებში, არაერთი საქმის პოვნაა შესაძლებელი, სადაც სასწავლებლების, კერძოდ კი საეგზარქოსოს წარმომადგენლები, კატეგორიული ტონით ითხოვენ მშობლებისგან მოსწავლეთა სასწავლებლებში დაბრუნებას, მაშინაც კი, როცა ეს გადაწყვეტილება მოსწავლის პირად სურვილებს არ ეწინააღმდეგებოდა.

რთული მისახვედრი არ არის, თუ რა მიზანს ემსახურებოდა ასეთი ტოტალური კონტროლი. საჭირო იყო იდეოლოგიური ბერკეტების მაქსიმალურად გამოყენება და ახალი თაობების გამოზრდა, მათი ახალ რეალობაზე მორგება. ახალ საზოგადოებას სჭირდებოდა ახალი მოქალაქეები, განათლებული, მაგრამ „საჭირო“ მიმართულებით. ერთი შეხედვით თავისუფალი, მაგრამ იდეოლოგიურ მარწუხებში მოქცეული. მორჩილი, მამლარი და მოწყალე იმპერატორის მოყვარული.

ქართლ-კახეთში რუსეთის იმპერიის გაბატონებას საზოგადოების არც ერთი ფენა არ შეხვდა გულგრილად. პერიოდულ აჯანყებებსა, თუ გამოსვლებში იგრძნობოდა საერთო უკმაყოფილების მუხტი, ამ აჯანყებებს კი როგორც წესია ის ხალხი აწყობდა, ვისაც თავისუფალ სამეფოში ჰქონდა ახალგაზრდობა გატარებული. მიუხედავად ყველა სირთულისა, რაც ქართლ-კახეთმა ამ თავისუფლების პერიოდში გადაიტანა, თავისუფლების წყურვილი და საკუთარი ბედის, საკუთარ ხელშივე მოქცევის სურვილი განუზომელი იყო.

საჭირო გახდა თაობათა ცვლის პარალელურად, ამ თაობების ინტერესების ერთმანეთისგან რადიკალურად გამოჯვანა. თუ ძველი თაობა მუდამ იარაღისკენ იყურებოდა, ახალ თაობას იარაღზე მეტი ყურადღება წიგნებისთვის და ლოცვისთვის უნდა დაეთმო. წიგნები კი სასწავლებელში, როგორც წესი, რუსულ ენაზე შედიოდა, ლოცვა კი რუსულად წარმოითქმებოდა.

როგორც უკვე ვახსენეთ, სასულიერო სასწავლებლების ხელმძღვანელობამ მეტნაკლებად შეძლო დაარსების პირველ წლებში არსებული პრობლემების მეტნაკლებად გადალახვა. სასწავლებლებისა და სემინარიისთვის საჭირო ინვენტარი შეგროვდა, საჭიროებისამებრ გადანაწილდა და საკლასო ოთახები მოსწავლეებით შეივსო.

სემინარიისა და სასწავლებლების ბიბლიოთეკა ნელ-ნელა გამდიდრდა არა მხოლოდ რუსული, არამედ ლათინური, ბერძნული, ფრანგული და გერმანული წიგნებით. წიგნებისა და სახელმძღვანელოების მრავალფეროვნება 1827 წელს ხუთმა ქართულმა სახელმძღვანელომაც შეავსო.

მიუხედავად ამისა გადაულახავი აღმოჩნდა პედაგოგების პრობლემა. როგორც სცა 440-ე ფონდის 1-10 საქმეებში ჩანს, გორის, თელავისა, თუ სიღნაღის სასულიერო სასწავლებლებში იმდენად ჭირდა საჭირო კადრების მოძიება, რომ პედაგოგების ფუნქციებს სასულიერო სემინარიის დამამთავრებელი კურსის მოსწავლეებიც კი ასრულებდნენ.

ნაშრომში განხილულია სასულიერო სემინარიისა და სასწავლებლების მიერ განხორციელებული პედაგოგთა როტაცია, ამ როტაციის მიზეზები და მიზნები, ასევე სასწავლებლებისა და სემინარიის ხარჯთაღრიცხვა, რაც წარმოდგენას შეგვიქმნის იმაზე, თუ რა ფინანსები ჩადო იმპერიამ საკუთარი მიზნების განხორციელებაში და რამდენად გონივრულად. ნაშრომი ასევე შეეხება იმ პრობლემებსაც, რომელთა წინაშე იდგნენ ეს საგანმანათლებლო დაწესებულებები XIX საუკუნის 20-25 წლებში.

პედაგოგები

სცა 440-ე ფონდის 11-20 საქმეებში დაცულ დოკუმენტებში ვხვდებით პედაგოგების ფორმულარულ სიებს, რომლებშიც დეტალურადაა გაწერილი, თუ რომელ სასწავლებელში რა

საგანს ასწავლიდა ესა თუ ის პედაგოგი, მისი ეთნიკური და სოციალური წარმომავლობა და მიღებული განათლება.

თბილისის სასულიერო სემინარიაში რექტორისა და ფილოსოფიის მასწავლებლის ფუნქციებს არქიმანდრიტი ირინეოსი ასრულებდა, რომელიც წარმომავლობით რუსული სასულიერო ფენიდან იყო. ამავე სიის მიხედვით ირკვევა, რომ ირინეოსმა განათლება მიიღო არხანგელსკის სასულიერო სემინარიაში, სადაც სწავლა 1808 წელს დაასრულა. ირინეოსის კომპეტენციის სფეროს მიღებული განათლებიდან გამომდინარე წარმოადგენდა ფილოსოფია, ისტორია, ღვთისმეტყველება, ფრანგული, ბერძნული და ლათინური ენები. რაც ყველაზე საინტერესოა, ფორმულარული სიის მიხედვით, ირინეოსს არ გააჩნდა რექტორობისთვის საჭირო საგანმანათლებლო ხარისხი, რადგან მას სწავლა არხანგელსკის სემინარიის დასრულების შემდეგ არ გაუგრძელებია, ხოლო მიხეილ სპერანსკი რეფორმის შესაბამისად, სემინარიის რექტორის თანამდებობაზე მხოლოდ იმ პირის დანიშვნა იყო შესაძლებელი, ვისაც სასულიერო აკადემიაში ჰქონდა განათლება მიღებული. უცნაურია, თუ რატომ, მაგრამ საეგზარქოსომ თვალები დახუჭა ირინეოსის „არაკომპეტენტურობაზე“. სავარაუდოა, რომ საგანმანათლებლო ხარისხის მიუხედავად ის პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, უფრო ზუსტად კი ეგზარქოსის დავალებებს. 1824 წელს ირინეოსი თანამდებობიდან გაათავისუფლეს და მისი ადგილი არქიმანდრიტმა ევგენიმ დაიკავა. (სეა, სცა, ფ.440, ა.1, ს.12)

ირინეოსზე კომპეტენტური, თუ ფორმულარულ სიებს ვენდობით, ამ თანამდებობისთვის სემინარიისა და სასწავლებლების ინსპექტორი, არქიმანტრიტი ევგენი იყო, რომელიც პარალელურად ასრულებდა რიტორიკისა და გეოგრაფიის მასწავლებლის მოვალეობებს თბილისის სასულიერო სემინარიაში. რექტორი ირინეოსის მსგავსად, არქიმანდრიტი ევგენიც რუსული სასულიერო ფენიდან იყო წარმომავლობით, ევგენიმ სემინარიაში სწავლა 1807 წელს დაასრულა და მოსკოვის სასულიერო აკადემიაში ჩაირიცხა. აქედან გამომდინარე, ევგენი სრულად აკმაყოფილებდა იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რაც სემინარის რექტორობისთვის იყო საჭირო, შესაბამისად ირინეოსის გათავისუფლების შემდეგ, ამ თანამდებობაზე დანიშვნის ერთადერთ კანდიდატად სწორედ ევგენი ჩანდა. 1824 წელს, ევგენის რექტორად დანიშვნის შემდეგ, მის ადგილას დაინიშნა სემინარიის ყოფილი მდივანი და ისტორიის მასწავლებელი, მიკიტა ვლადიმირსკი. (სეა, სცა, ფ.440, ა.1, ს.13)

თბილისის სასულიერო სემინარიის მდივნად მუშაობდა მიკიტა ვლადიმირსკი, რომელიც ამავდროულად ითავსებდა ისტორიის მასწავლებლის ფუნქციებსაც. წარმოშობით ნიკიტა ვლადიმირსკი, ზემოხსენებული პედაგოგების მსგავსად, რუსული სასულიერო ფენიდან იყო. მან განათლება იაროსლავის სემინარიაში მიიღო, სადაც ფორმულარული სიის მიხედვით, ყველაზე უკეთ ღვთისმეტყველება, ფილოსოფია, ებრაული, ბერძნული და ლათინური ენები შეისწავლა. სემინარიის დასრულების შემდეგ, ის სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში ჩაირიცხა, სადაც კიდევ უფრო გაიღრმავა ცოდნა ზემოხსენებულ მიმართულებებში.

ირინეოსის თანამდებობიდან გათავისუფლებამ არაერთი საკადრო ცვლილება გამოიწვია. სემინარიის მდივნის, გეოგრაფიისა და რიტორიკის მასწავლებლის პოზიციაზე, ავქსენტო სტეცენკოვი დანიშნეს, რომელიც წარმოშობით მალაოროსიის სასულიერო ფენიდან იყო. მან განათლება თავდაპირველად ხარკოვის სამოქალაქო კოლეჯში მიიღო. ხარკოვის კოლეჯის დასრულების შემდეგ, ის კიევის სასულიერო აკადემიაში ჩაირიცხა, სადაც შეისწავლა ღვთისმეტყველება, ფილოსოფია, ისტორია, ბერძნული, ლათინური და გერმანული

ენები. მან სწავლა 1823 წლის 18 ოქტომბერს დაასრულა, ხოლო 30 ოქტომბერს, სასულიერო აკადემიის კომისიის გადაწყვეტილებით, ის თბილისის სასულიერო სემინარიაში გაგზავნეს.

თბილისის სასულიერო სემინარიისგან განსხვავებით, განსხვავებული სიტუაცია იყო თბილისის სამაზრო სასწავლებელში. აქ რუსული და ქართული ენების, ასევე რუსული ენის გრამატიკას ასწავლიდა დიაკონი ლავრენტი ჩუბინოვი (ჩუბინაშვილი), რომელიც სემინარიის პედაგოგებისაგან განსხვავებით ქართველი იყო. მან განათლება თბილისის სასულიერო სემინარიაში მიიღო და 1817 წლიდან, ჯერ სწავლის პარალელურად პედაგოგიურ საქმიანობას მოჰკიდა ხელი.

სამაზრო სასწავლებელში კატეხიზმოს, არითმეტიკისა და საღვთო ისტორიის პედაგოგის მოვალეობებს 1822 წლიდან ბესარიონ გოგობერიძე (ლოლობერიძე) ასრულებდა. თბილისის სასწავლებლებში დასაქმებული სხვა პედაგოგებისაგან განსხვავებით, მას არ ჰქონდა სასულიერო წოდება. როგორც ფორმულარული სიებიდან ირკვევა, მანაც იგივე გზა გამოიარა, რაც ლავრენტი ჩუბინოვი. ის თბილისის სემინარიაში სწავლის პარალელურად შეუდგა პედაგოგიურ საქმიანობას. ბესარიონ ლოლობერიძემ სემინარიიდან ირინეოსთან ერთად გათავისუფლდა და მისი ადგილი გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის მოვალეობის ყოფილი შემსრულებელი, იოსებ ბორისოვი დაინიშნა.

სამაზრო სასწავლებლის მსგავსი მდგომარეობა იყო სამრევლო სასწავლებელშიც. აქაც ორი პედაგოგი ინაწილებდაა ფუნქციებს.

რუსული ენის, ისტორიისა და წერა-კითხვის მასწავლებლის მოვალეობებს ასრულებდა 19 წლის ზაქარია ისაკოვი (ისაკაძე?) რომელსაც ბესარიონ ლოლობერიძის მსგავსად, არ გააჩნდა სასულიერო წოდება. მან განათლება თბილისის სემინარიაში მიიღო და მასწავლებლად ოფიციალურად 1922 წლის 3 ნოემბერს დაინიშნა.

ქართულ ენას დაწყებით კლასებში 16 წლის ალექსანდრე სულხანოვი (სულხანიშვილი) ასწავლიდა, რომელიც წარმომავლობით ქართული სასულიერო ფენიდან იყო. ალექსანდრე თბილისის სასწავლებლებში ყველაზე მცირეწლოვანი პედაგოგი იყო, მას სრულად სემინარიის კურსიც კი არ ჰქონდა გავლილი, ჯერ კიდევ სწავლობდა, თუმცა კადრების არარსებობის გამო, 1823 წლის 18 ოქტომბერს ის ოფიციალურად დაინიშნეს მასწავლებლად.

თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველისა და სამაზრო სასწავლებლის პედაგოგის მოვალეობას 21 წლის ვასილი მატედელოვი (მატედელაშვილი) ასრულებდა, რომელმაც 1823 წლის 4 მაისს ჩაანაცვლა დიმიტრი ნიკიფოროვი. წინა ზედამხედველისგან განსხვავებით, ვასილი მატედელოვი წარმოშობით ქართველი იყო. მან განათლება თბილისის სასულიერო სემინარიაში მიიღო.

თელავის სასწავლებელში, სამრევლო სკოლის მეორე კლასის მასწავლებლად დავით ისაკოვი მუშაობდა, რომელიც წარმოშობით თბილისის სასულიერო ფენიდან იყო. მან სხვა პედაგოგებისგან განსხვავებით განათლება კეთილშობილთა სასწავლებელში მიიღო. ის მასწავლებლად ოფიციალურად 1822 წლის 4 აპრილს დაინიშნა.

სამრევლო სკოლის პირველ კლასს 18 წლის მიხეილ კანდელაკოვი (კანდელაკი) ხელმძღვანელობდა, რომელმაც განათლება სასულიერო სემინარიაში მიიღო. კარგად ფლობდა რუსულ ენას, გრამატიკას, საღვთო ისტორიასა და გეოგრაფიას. ის თანამდებობაზე ოფიციალურად 1823 წლის 18 ოქტომბერს დაინიშნა.

გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანამდებობიდან ხუთწლიანი მუშაობის შემდეგ, 1823 წელს ვასილი ნეშუმოვი გაათავისუფლეს და მის ადგილას, დროებით მოვალეობის შემსრულებლად იოსებ ბორისოვი დაინიშნა, რომელიც 1820-1823 წლებში ქართული ენის მასწავლებლად მუშაობდა. 21 წლის ბორისოვს განათლება თბილისის სემინარიაში ჰქონდა მიღებული და ქართული ენის მასწავლებლად, სემინარიაში სწავლის დროს იყო დანიშნული. როგორც უკვე ვახსენეთ, იოსებ ბორისოვი ამ თანამდებობაზე დროებით იყო დანიშნული და 1824 წელს ის სემინარიაში გადაბარგდა. გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად დაინიშნა გრიგოლ ხიპნიკოვი, რომელსაც ლეონტი პროტოპოპოვის მსგავსად კურსკის სასულიერო სემინარიაში ჰქონდა განათლება მიღებული. (სეა, სცა, ფ. 440, ა.1, ს.12)

რუსული ენის პედაგოგად გრიგოლ პაპიტოვი (პაპიტაშვილი) მუშაობდა, რომელმაც 1823 წლის 9 იანვარს ჩაანაცვლა ამბაკუმ ჩუბინაშვილი. ჩუბინაშვილი ამ პოზიციაზე გორის სასულიერო სასწავლებლის დაარსების დღიდან მუშაობდა.

ქართული ენის მასწავლებლის მოვალეობები, იოსებ ბორისოვის ზედამხედველად დანიშვნის შემდეგ ალექსი დადიანიძეზე (დადიანიძე) გადავიდამ, რომელმაც სასულიერო სემინარიაში სწავლა ორი წლით ადრე დაასრულა. ალექსი დადიანიძე პედაგოგად ოფიციალურად 1823 წლის 9 მაისს დაინიშნა, ბორისოვის ზედამხედველად დანიშნიდან ორ დღეში. (სეა, სცა, ფ.440, ა.1, ს.12)

სიღნაღის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად 1822 წლის 3 ნოემბერს დანიელ გოლუბევი ჩაანაცვლა ილარიონ დობრომისლოვი, რომელიც ამ თანამდებობაზე 1817 წლიდან მუშაობდა. დანიელ გოლუბევი 1822 წლამდე თბილისის სასულიერო სემინარიაში, სამაზრო სკოლის ხელმძღვანელად მუშაობდა. ის წარმოშობით რუსული სასულიერო ფენიდან იყო, თუმცა მისი განათლების შესახებ ცნობები ფორმულაურ სიებში არ იხანება. 1824 წლის ცვლილებები სიღნაღის სასწავლებელსაც შეეხო. თანამდებობიდან გაუშვეს დანიელ გოლუბევი და მის ნაცვლად დაინიშნა ლეონტი პროტოპოპოვი. ლეონტი წარმოშობით რუსული სასულიერო ფენიდან იყო. მან განათლება ჯერ კურსკის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ კი კიევის სასულიერო აკადემიაში მიიღო.

სიღნაღის სამრევლო სკოლის მეორე კლასის ხელმძღვანელად 1823 წლის 7 სექტემბერს, იოსებ ფოცხვერაშვილი 17 წლის ნიკოლოზ კოლუბანსკიმ ჩაანაცვლა, რომელმაც სწავლა ერთი წლით ადრე დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარიაში. (სეა, სცა, ფ.440, ა.1, ს.11)

სამრევლო სკოლის პირველი კლასის მასწავლებლად კი იოსებ ფოცხვერაშვილი დაინიშნა სოლომონ დოდაშვილის ნაცვლად, რომელიც საკუთარი განცხადების საფუძველზე გაათავისუფლეს. იოსებ ფოცხვერაშვილს ამ პოზიციაზე დიდხანს არ უმუშავია, დანიშნიდან ერთი წლის თავზე მისი ადგილი ბერმონაზონმა ინოკენტიმ დაიკავა, რომელიც ყველა ასაკოვანი იყო სხვა სასწავლებლების პედაგოგებს შორისაც კი. ის მასწავლებლად დანიშნისას 35 წლის იყო.

როგორც ზემოთ მოყვანილი ინფორმაციიდან ჩანს, 1824 წელს სასულიერო სემინარასა და სასწავლებლებში დიდ გადაადგილებებს ჰქონდა ადგილი, რისი მიზეზიც არა მხოლოდ კადრების არაკომპეტენტურობაში, არამედ საეგზარქოსოსთვის საჭირო ხალხის ნაკლებობაშიც უნდა ვეძებოთ. პედაგოგების სრულ უმრავლესობას ქართველები წარმოადგენდნენ, ეს სწავლის იდეოლოგიური მიმართულების შესუსტებით კი არა, ქართველი მოსწავლეების რუსულის არცოდნითა და რუსი პედაგოგების ქართულის არცოდნით იყო გამოწვეული. 1824 წელს უკვე საკმარისად იყო ნიადაგი მომზადებული იმისთვის, რომ ქართველი პედაგოგები

ნელ-ნელა ჩაენაცვლებინათ, რადგან სასწავლებლების დაარსების 7 წლის თავზე თაობა გამოიზარდა, რომელმაც უცხო ენა შეისწავლა, ამ თაობამ კი წინა და მომავალ თაობებში შეუწყო დამპყრობლის ენის გავრცელებას ხელი. სწორედ 1824 წელს დაიწყო აკადემიის საბჭომ საეგზარქოსოს მოთხოვნით ახალი კადრების საქართველოში გამოგზავნა კიევის აკადემიიდან და კურსკის სემინარიიდან.

ახალმა კადრებმა მიუხედავად გამოცდილების არქონისა, ხელმძღვანელი თანამდებობები დაიკავეს, რითიც საეგზარქოსომ ყველასთვის ნათელი გახადა, თუ რა მიმართულებით განაგრძობდნენ სასწავლებლები მუშაობას. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, მომავალში საკადრო ცვლილებელი არა მხოლოდ ხელმძღვანელ თანამდებობებს, არამედ უბრალო პედაგოგებსაც შეეხებათ.

სემინარიის ხარჯები

სცა 440-ე ფონდის 1 ანაწერის 12 და 15 საქმეებში ინახება მოხსენება სემინარიის მიერ გაწეული ხარჯების შესახებ. სიის მიხედვით ირკვევა, რომ სემინარიისა და სასწავლებლების შენახვა წლიდან წლამდე 2981 რუბლი ჯდება.

მიუხედავად ასეთი დიდი ბიუჯეტისა, სემინარიას მუდამ უჭირდა ფინანსურად და პედაგოგების ანაზღაურებაც არ იყო მაღალი. ამის მიზეზი შეიძლება ვეძებოთ ჯამაგირის არათანაბრად გადანაწილებაში.

რექტორის ჯამაგირი წელიწადში 450 რუბლით განისაზღვრებოდა, მასზე ორჯერ ნაკლები ჰქონდა რექტორზე არანაკლები ფუნქციებისა და მოვალეობის მქონე სემინარიის ინსპექტორ, რომელიც ამავდროულად სემინარიის ფინანსებსაც განაგებდა და ორ საგანში ატარებდა გაკვეთილებს. ინსპექტორის ჯამაგირი 208 რუბლითა და 60 კაპიკით შემოიფარგლებოდა. ორივეზე ნაკლები ხელფასი ჰქონდა სემინარიის მდივანსა და ამავდროულად ისტორიის მასწავლებელს - 126 რუბლი. სამაზრო და სამრევლო სკოლების ოთხ პედაგოგზე თანაბრად იყო გადანაწილებული 434 რუბლი და 22 კაპიკი, ესე იგი ერთ პედაგოგზე 108 რუბლი და 55 კაპიკი. ცალკე იყო დანიშნული ხელფასი სამგალობლო კლასის პედაგოგისთვისაც, რომელიც სემინარიის მუდმივ თანამშრომლად არ ითვლებოდა. მას წელიწადში 60 რუბლს უხდიდნენ. (სეა, სცა, ფ.440, ა.1, ს.15)

მარტივი შესამჩნევია, თუ როგორ უსამართლოდ იყო გადანაწილებული ჯამაგირი სასულიერო სემინარიისა და სასწავლებლების პედაგოგებზე. კიდევ უფრო საინტერესოა, თუ რამდენი იხარჯებოდა სემინარიის შენობის შენახვასა და მის ინვენტარზე. ეს თანხა წელიწადში 166 რუბლით შემოიფარგლებოდა, რაც მიზეზურად ჩანს რექტორის ჯამაგირთან შედარებით.

საინტერესოა ასევე ხარჯებში გაწერილი სამი ოსი მოსწავლის წლიური ჯამაგირიც, საქმე იმაშია, რომ არცერთ საქმეში არ ფიქსირდება, თუ რა ხარჯებთან იყო დაკავშირებული ერთი მოსწავლის ცხოვრება, კვება და შენახვა სასწავლებლის საცხოვრებელში. როგორც ხარჯთაღრიცხვაშია მითითებული, სამი ოსი მოსწავლის შენახვა სემინარიის საბჭოს წელიწადში 17 რუბლი უჯდება, შესაბამისად ერთ მოსწავლეზე წელიწადში უნდა დახარჯულიყო დაახლოებით 5,6 რუბლი, რაც რა თქმა უნდა არ არის კოლოსალური თანხა, მაგრამ ამავდროულად უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს კონკრეტული ინფორმაცია ზუსტად არ ასახავს იმას, თუ რა უჯდება ჩვეულებრივ ქართველ თავად-აზნაურობას შვილისთვის

განათლების მიცემა, რადგან ბუნებრივია სემინარია საკუთარ ხარჯებს, რომელიც სამი ოსი მოსწავლისთვის გაიღო, მინიმუმამდე დაიყვანდა და ამას დამატებული, თავდაზნაურობისთვის მომსახურების საფასურსაც გაზრდიდა. ვიმედოვნებთ, რომ მომავალში რომელიმე საქმეში ზუსტად იქნება გაწერილი მოსწავლეთა შენახვის ხარჯები, ამ ეტაპზე კი სამწუხაროდ მხოლოდ ზედაპირულ ინფორმაციას ვფლობთ. (სეა, სცა, ფ.440, ა.1, ს.15)

სასწავლებლების პოლიტიკა

სასულიერო სემინარიასა და სასწავლებლებში პრობლემების რაოდენობა დაარსებიდან 3 წლის შემდეგაც უცვლელი დარჩა, საქმე ისაა, რომ დღის წესრიგიდან არ გასულა დისციპლინარული პრობლემა, მოსწავლეები სასწავლებლებში თვითნებურად არ ცხადდებოდნენ, რასაც შემდეგ სემინარიის საბჭოსგან მოჰყვებოდა სანქციები გარიცხვის სახით. ხშირ შემთხვევაში პრობლემა ოჯახებიდანაც მომდინარეობდა, რადგან მაგალითად როგორც ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს „მოსწავლე ტატარინცევის გათავისუფლების შესახებ ბრძანება“ (სეა, სცა, ფ.440, ა.1, ს.12) , სემინარიას მშობლებიც კი მიმართავდნენ მსგავსი მოთხოვნით, მსგავსი მოთხოვნები სხვა საქმეებშიც არის გაბნეული და როგორც მათი ანალიზით ირკვევა, ასეთი მოთხოვნის მთავარ მიზეზი შემდეგში მდგომარეობდა: ბავშვის სასწავლებელში მიბარებით, ოჯახს მუშახელი აკლდებოდა და სოციალურ სიდუხჭირეში მყოფი ოჯახებს არ ჰქონდათ გრძელვადიან პერსპექტივაზე დამოკიდებულების ფუფუნება.

საინტერესოა სასწავლებლების დამოკიდებულება პედაგოგთა მიმართ. როგორც საქმეებიდან ჩანს, სასწავლებლებში ხშირი იყო შიდა კონფლიქტებით, მაგალითად პედაგოგებსა და ზედამხედველებს შორის, ამის მთავარ მიზეზს კი ხშირ შემთხვევაში ზედამხედველების მხრიდან აგდებული დამოკიდებულება, მიყენებული შეურაცხყოფა ხდებოდა. სასწავლებლები ასეთ შემთხვევაში სასჯელის ფორმად მხოლოდ საყვედურს იყენებდნენ. მიუხედავად კონფლიქტების ასე მშვიდობიანად და მხოლოდ საყვედურით „გადაწყვეტისა“, სემინარიის საბჭოს ძალიან დიდი ძალაუფლება გააჩნდა. მათ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შეეძლოთ პედაგოგის გათავისუფლება, რაც არაერთხელ დადასტურდა კიდევ, ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი კი კიევის სასულიერო აკადემიიდან სამი პედაგოგის მოწვევის შემდეგ მომხდარი გათავისუფლებებია.

სემინარიისა და სასწავლებლების პრობლემები არა მხოლოდ პედაგოგებსა და მოსწავლეებს, არამედ სასწავლებლების ქონებასაც უკავშირდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ სასწავლებლების შენახვის ხარჯები სრულად ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებებს. მაგალითად ხშირი იყო სასწავლებლების ქონებისთვის მიყენებული მცირე ზარალი, რაც აუცილებლად დიდ პრობლემად იქცეოდა და საპასუხოდ იწვევდა რამდენიმეთვიან მიმოწერებსა და ბრძანება-ანგარიშებს. 1823 წელს სემინარიამ წიგნების გაცემაზე უარი უთხრა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელს, მომდევნო 1824 წელს კი შემდეგი ბრძანება გამოსცა, (სეა, სცა, ფ.440, ა.1, ს.13) ამიერიდან წიგნის აღების მსურველს, სასწავლებლისთვის უნდა გადაეცა ამ წიგნის ღირებულების სრული საფასური, ხოლო წიგნის დაბრუნების შემთხვევაში ეს საფასური წიგნის ამღებს სრულად დაუბრუნდებოდა. ასეთ ერთი შეხედვით წვრილმანებზე მსგავსი ყურადღების დათმობა და ბრძანებების გამოცემა გვაფიქრებინებს, რომ წიგნების არდაბრუნება საკმაოდ გავრცელებულ პრობლემას წარმოადგენდა და სემინარიას სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს უქმნიდა.

დასკვნა

როგორც საქართველოს ეროვნული არქივის, ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული 440-ე ფონდის, პირველი ანაწერის 11-20 საქმეების დამუშავების შემდეგ ირკვევა, სასულიერო სემინარიასა და სასწავლებლებში კვლავ არსებობდა მწვავე პრობლემები, კერძოდ კი დისციპლინის ნაკლებობა, ფინანსური პრობლემები და საჭირო კადრების არარსებობა.

როგორც ამ ფონდების დამუშავების შემდეგ ირკვევა, სემინარიის საბჭო მართლაც მთელი მონდომებით ცდილობდა ამ პრობლემების გადაჭრას, დისციპლინის ნაკლებობას - სანქციებით, საჭირო კადრების არარსებობას - პედაგოგების მოწვევით, ხოლო ფინანსურ პრობლემებს კი მკაცრი რეგულაციებით.

საინტერესოა, რომ სემინარიას არცერთი პრობლემის მოგვარება არ უცდია მეტნაკლებად გონიერი ქმედებებით, მათ შეეძლოთ დისციპლინის ნაკლებობა უკეთესი პირობების შეთავაზებით გამოესწორებინათ, საჭირო კადრების არარსებობა - არსებულის გადამზადებით, ფინანსური პრობლემების გადაჭრა კი მეტი ფინანსების ჩადებით. ამ ყველაფერს იმ აზრამდე მივყავართ, რომ იმპერიულ საეგზარქოსო საბჭოს მხოლოდ და მხოლოდ საბოლოო რეზულტატი აინტერესებდა და დიდად არ იტკივებდა თავს პრობლემების სათავის გამოსწორებაზე. მხოლოდ რექტორის ჯამაგირის ადეკვატურ თანხამდე ჩამოყვანითა და გამოთავისუფლებული თანხის სასწავლებელში ჩაბრუნებით, უამრავი პრობლემის გადაჭრა იქნებოდა შესაძლებელი, მათ შორის კადრების გადამზადებისაც და მოსწავლეებისთვის უკეთესი პირობების შექმნისაც. თუმცა ეს ასე არ მოხდა.

ვიმედოვნებთ, რომ მომდევნო საქმეების დამუშავება სემინარიისა და სასწავლებლების სხვა პრობლემებზეც შეგვიქმნის უფრო ნათელ წარმოდგენას, რაც თავის მხრივ დაგვეხმარება იმის გარკვევაში, თუ რა როლი ითამაშეს ამ სასწავლებლებმა და ამ სასწავლებლებში აღზრდილმა თაობებმა XIX საუკუნის ანექსირებულ საქართველოში.

გამოყენებული წყაროები:

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი - ფონდი 440, ანაწერი 1, საქმეები 11-20.

Summary

At the beginning of the 19th century, the Russian empire faces serious problems in the annexed kingdom of Karti-Kakheti. The inhabitants did not want to be deprived of their liberty, and the empire, despite having sufficient resources, did not consider it expedient to suppress new riots by violent means every year. It should also be noted, that in the new annexed territory, the empire needed local cadres, who would be the implementers of its policies.

Newly established spiritual seminary and schools can boldly be considered as one of the directions of annexation, in particular as a cultural annexation. Schools were instructed to raise loyal cadres of the empire and its ideology.

In the article “Spiritual seminary and schools” we have already talked about the problems and challenges faced by the first years of the establishment of exarchate schools. This time we will try to discuss the policies of these schools towards teachers and the problems, that could not be overcome in the first years, this article will also discuss the costs of maintaining seminaries and schools, and most importantly, seminary policies on the example of specific orders and decisions.

მაია ნინიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ადრესატთა წერილებსა და დოკუმენტებში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაციის მნიშვნელობა ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანის შესადგენად¹

მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანის შესადგენად მნიშვნელოვანი წყაროა არა მხოლოდ მისი წერილები, არამედ მასთან გაგზავნილებიც. ისინი ნათელს ჰფენს საქმიან თუ პირად ურთიერთობებს და ხშირ შემთხვევაში გვაწვდის სხვადასხვა დამატებით ცნობას, მაგალითად, სად იმყოფებოდა ან რას აკეთებდა დროის კონკრეტულ მონაკვეთში. ასევე საყურადღებოა შემოქმედის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ტიპის დოკუმენტებიც: ნამსახურობათა სია, დაჯილდოების უწყება, ბრძანება, ხელშეკრულება, ხელწერილი და სხვ.

შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ გრიგოლ ორბელიანის ბიობიბლიოგრაფიაზე მუშაობისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გრიგოლ ორბელიანის პირად არქივში 15-29 და 32 ნომრებით დაცულმა წერილებმა, ხელწერილებმა, ბრძანებამ და ცნობამ, რომლებშიც მოხსენიებულია პოდპორუჩიკი ორბელიანი. საარქივო აღწერილობაში ნათქვამია, რომ თითოეული ეს დოკუმენტი გრიგოლ ორბელიანისთვის არის

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი N DP2016_18 პროექტი “ტექსტოლოგია და გამოცემათმცოდნეობა”).

გაგზავნილი. იქ წარმოდგენილია 1834 წლის 15 დოკუმენტი: კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის შტაბს-კაპიტან სტანკევიჩის 8 აგვისტოს და 2 სექტემბრის (სამი), კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის უფროს ვლადიმერ ცებრიკოვის 25 აგვისტოს, 5 და 14 სექტემბრის, კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის მეორე ბატარეის მეთაურ ედუარდ ბრიმერის 25 სექტემბრის (სამი), 4 და 5 ოქტომბრის წერილები, სიდორ ხილკოს მიერ 1 ოქტომბერს და უნტეროფიცერ მიხაილოვის მიერ 5 ოქტომბერს გაფორმებული ხელწერილები, 8 სექტემბრის ბრძანება სამხედრო აღჭურვილობის მისაღებად თბილისში მივლინებასთან დაკავშირებით და 1835 წლის 28 იანვრის ცნობა ასეულის სურსათით მოსამარაგებლად თანხის (მიღების) თაობაზე.

თითქმის ყველა დოკუმენტიდან ჩანს, რომ მათში მოხსენიებული ორბელიანი ქართველ გრენადერთა ბრიგადაში ასრულებდა ხაზინადრის მოვალეობას. რამდენადაც გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიის ეს პერიოდი დაწვრილებით არ არის შესწავლილი, მაგრამ ვიცით, რომ პეტერბურგში გამგზავრებამდე სწორედ ქართველ გრენადერთა პოლკში მსახურობდა, ვერ გამოვრიცხავდით, რომ ხაზინადრის მოვალეობაც შეესრულებინა. მეორე მხრივ, გაგვიჩნდა ეჭვი ერთი დეტალის გამო: 1834-1835 წლების ამ დოკუმენტებში ორბელიანი ყველგან პოდპორუჩიკად იხსენიება, სხვადასხვა დოკუმენტიდან კი დასტურდება, რომ იგი 1831 წელს უკვე ატარებდა პორუჩიკის წოდებას (Богуславский, 1892, გვ. 204). 1831 წლის 10 აგვისტოს პოდპოლკოვნიკი პავლე ტიმერმანი მას უგზავნის პორუჩიკის წოდების დამადასტურებელ დოკუმენტებს (კვხეც, გრიგოლ ორბელიანის №4). პორუჩიკად არის იგი მოხსენიებული 1831 წლის 14 აპრილის წერილში ალექსანდრე დადიანისადმი და ამ უკანასკნელის მიერ 20 აპრილს გაგზავნილ პასუხშიც (კვხეც, გრიგოლ ორბელიანის №1, 5), ასევე - 1833 წლის 24 თებერვლის დაკითხვის ოქმში (სეა, სცა, ფ.1457, ს. XVIII) და სხვ.

ერთადერთი, რასაც შეიძლება უფრო გვიანდელ დოკუმენტებში მისი პოდპორუჩიკად ხსენება გამოეწვია, იქნებოდა მისი ჩამოქვეითება. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო პატიმრობის შემდეგ იმპერიულმა ხელისუფლებამ მისდამი კეთილგანწყობა რისხვით შეცვალა, მაგრამ საგამომიებო კომისიის დასკვნაში არაფერია ნათქვამი წოდებრივი ჩამოქვეითების შესახებ. ამიტომ ფაქტების გადასამოწმებლად ისევ ჩვენ მიერ მოძიებულ დოკუმენტებს მივმართეთ. 1834 წლის სექტემბრის შემდეგ დიმიტრი ემელიანოვისთვის გაგზავნილ წერილში გრიგოლ ორბელიანი წუხილს გამოთქვამს, რომ 28 წლის არის და ისევ „პორუჩიკის“ ჩინითაა (გიგაშვილი და ნინიძე, 2012, გვ. 43-44). აქედან ირკვევა, რომ შეთქმულებაში მონაწილეობის გამო ის არ ჩამოუქვეითებიათ, უბრალოდ კარიერული წინსვლა შეუფერხეს.

შესაბამისად, ეჭვი, რომ ზემოხსენებულ დოკუმენტებში მოხსენიებული პოდპორუჩიკი ორბელიანი გრიგოლი არ უნდა იყოს, კიდევ უფრო გაგვიძლიერდა. ამას დაემატა ერთი საყურადღებო ინფორმაცია: 1834 წლის 18 მაისს ზაქარია ორბელიანის მიერ თავისი ძმის გრიგოლისთვის გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ ბარონ როზენს ზაქარია დაუნიშნავს კავკასიის გრენადერთა ბრიგადის პირველი ბატარეის ხაზინადრად. რამდენადაც ზემოხსენებულ ყველა დოკუმენტში ორბელიანის მხოლოდ გვარია მითითებული, ამ დეტალებმა გვაფიქრებინა, რომ ზემოჩამოთვლილ საბუთებში ნახსენები ორბელიანი გრიგოლის ძმა, ზაქარია უნდა ყოფილიყო.

იმის გამო, რომ მათიანე საცნობარო-დოკუმენტური ტიპის გამოცემა და მაქსიმალური სიზუსტე მოეთხოვება, გადავწყვიტეთ გადაგვემოწმებინა, სად იმყოფებოდა და რას აკეთებდა დროის ამ ინტერვალში გრიგოლ ორბელიანი და შეიძლება თუ არა, მას იმ დროს შეესრულებინა გრენადერთა ბრიგადის ხაზინადრის მოვალეობა. ამის საშუალებას ჩვენ მიერ შედგენილი მათიანის სამუშაო ვერსიაც კი იძლევა. მწერალმა 1834 წლის 18 მარტს მიიღო ბრძანება საქართველოს დატოვების და ვენდენში გამგზავრების შესახებ (კვხეც, გრიგოლ ორბელიანის №13), 19 მარტს კი გაემგზავრა. დროზე მინიშნებულია ზაქარია

ორბელიანისთვის 2 აპრილს გაგზავნილ წერილში (სეა, სცა, ფ.5, ა.1, ს.N7516). 22 აპრილს ის ჩავიდა ქალაქ რიგაში. დროზე მინიშნებულია ანტონ ორბელიანისთვის გაგზავნილ წერილში (სეა, სცა, ფ.5, ა.1, ს.N7516), 22 მაისს ვალკიდან წერილი გაუგზავნა თავის ძმას, ზაქარიას (სეა, სცა, ფ.5, ა.1, ს. N7516), 19 ივლისს ჩავიდა ქალაქ ვილნოში (სეა, სცა, ფ.5, ა.1, ს.N7516).

მართალია, იმ კონკრეტული პერიოდის ბიოგრაფიული დეტალები, რომლებსაც მიეკუთვნება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ჩვენთვის საინტერესო დოკუმენტები, დაწვრილებით არ არის ცნობილი, მაგრამ სწორედ ამ ინტერვალთან (1834 წ. 8 აგვისტო - 1835წ. 28 იანვარი) მოვიხმობთ ორ უტყუარ ფაქტს, რომლებიც აშკარად გამორიცხავს იმ პერიოდში გრიგოლ ორბელიანის საქართველოში ყოფნას: 1834 წლის 22 ოქტომბერს იგი ნევის საზღვაო პოლკის პორუჩიკი და მუშვეტერთა ასეულის მეთაურია. ეს ჩანს ადიუტანტ მაკალინსკის წერილიდან (კვხეც, გრიგოლ ორბელიანის №30), ხოლო 1835 წლის 12 იანვარს იმყოფება რიგაში და მოკითხვის წერილს სწერს თავისი ბიძის - იმერეთის უკანასკნელი მეფის - სოლომონ II-ის ქვრივს - მარიამ დედოფალს (ხეც, გრიგოლ ორბელიანის არქივი N112, 5v). შესაბამისად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ზემოჩამოთვლილ ყველა დოკუმენტში საუბარია ზაქარია ორბელიანზე და არა გრიგოლზე.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა კიდევ ერთი დოკუმენტი. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია 1835 წლის 3 იანვარს კავკასიის გენერალ-ლეიტენანტის ბრიგადის პოდპორუჩიკ ორბელიანის მიერ გომბორიდან გაგზავნილი ოფიციალური წერილი ნევის საზღვაო პოლკის პორუჩიკ ორბელიანისთვის (კვხეც, გრიგოლ ორბელიანის №31). შინაარსიდან ჩანს, რომ წერილთან ერთად უგზავნის კავკასიის კორპუსიდან გამოთხოვილ საბუთებს, წმინდა ანას და წმინდა ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ორდენებით დაჯილდოვების შესახებ. როგორც ვხედავთ, ეს წერილიც დროის იმ ინტერვალშია მოქცეული, როდესაც მწერლის არქივში დაცულ დოკუმენტებში პოდპორუჩიკი ორბელიანი გენერალ-ლეიტენანტის ბრიგადის ხაზინადრად იხსენიება. შესაბამისად, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ 1834 წელს და 1835 წლის დასაწყისში კავკასიის გენერალ-ლეიტენანტის ბრიგადაში ხაზინადრად მომსახურე პოდპორუჩიკი ორბელიანი არის ზაქარია, იმავე პერიოდში ნევის საზღვაო პოლკში მომსახურე პორუჩიკი ორბელიანი კი - მისი ძმა გრიგოლი. საგულისხმოა ამ თვალსაზრისით ლეონიდ ბოგუსლავსკის წიგნში „აფშერონის პოლკის ისტორია“ შეტანილი ზაქარია ორბელიანის მოკლე ბიოგრაფია, რომლის მიხედვითაც მან პორუჩიკის წოდება მხოლოდ 1835 წელს მიიღო (Богуславский, 1892, გვ. 174).

კვლევის შედეგად მიღებული ამ დასკვნის შემდეგ მთელი ის ინფორმაცია, რომელიც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კატალოგებზე დაყრდნობით გრიგოლ ორბელიანისეულად გვექონდა მიჩნეული და ვაპირებდით მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეში შეტანას, წიგნიდან ამოვიღეთ.

ბუნებრივია, ხელნაწერთა საცავების თანამშრომლები არქივის აღწერისას თითოეული დოკუმენტის ირგვლივ ფართო კვლევას ვერ ჩაატარებენ, მაგრამ სასურველი იქნებოდა, მეცნიერთა მიერ უკვე ჩატარებულ კვლევათა შედეგებზე დაყრდნობით მაინც სწორდებოდეს საარქივო დოკუმენტების აღწერილობის არასწორი მონაცემები. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეზე მუშაობისას უტყუარი ფაქტებისა და ანალიზის საფუძველზე ჩვენ დავათარიღეთ მისი 166 უთარილო წერილი და რამდენიმე ლექსი (ნინიძე, 2016, გვ. 168-284), რომლებიც ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მაგრამ კატალოგში ეს თარიღები „სავარაუდოს“ სტატუსითაც კი არ არის მითითებული. იგივე უნდა ითქვას გრიგოლ ორბელიანის 150 წერილზეც, რომლებიც ეროვნულ არქივში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და ზუგდიდის მუზეუმშია დაცული. გარდა ამისა, მატრიანეებზე მუშაობისას დავადგინეთ წერილთა ადრესატებიც, რომელთა მითითებაც ასევე მნიშვნელოვანი იქნებოდა კატალოგებში. ვფიქრობ, ამ მხრივ უფრო მჭიდრო თანამშრომლობაა საჭირო ხელნაწერთა საცავების თანამშრომლებსა და მეცნიერებს შორის.

ახლა ორიოდ სიტყვით იმის შესახებ, თუ რა სახის კვლევები და არგუმენტები ედება საფუძვლად პირთა იდენტიფიკაციას. ერთ-ერთ წერილში საქართველოს გრენადერთა პოლკის პორუჩიკი - გრიგოლ ორბელიანი - მიმართავს გრენადერთა პოლკის უფროსს. პასუხი წერილზევეა მიწერილი (კვხეც, გრიგოლ ორბელიანის №1, 5). გვარი გარკვევით არ იკითხება, მაგრამ იკითხება, რომ იგი დაწერილია პოლკის უფროსის მიერ, რომელიც ფლიგელადიუტანტი და პოლკოვნიკია. საქართველოს გრენადერთა პოლკის მეთაური 1823-1835 წლებში იყო ივან იოსების ძე სიმონიჩი, მაგრამ მან უკვე 1830 წელს მიიღო გენერალ-მაიორის წოდება. შესაბამისად, წერილის ავტორი იქნებოდა არა საქართველოს, არამედ ერევნის მე-13 გრენადერთა პოლკის იმჟამინდელი მეთაური - ალექსანდრე ლევანის ძე დადიანი, რომელიც იყო როგორც პოლკოვნიკი, ისე ფლიგელადიუტანტი. ამ ვარაუდს ისიც ადასტურებს, რომ წერილი გაგზავნილია მანგლისიდან, სადაც მდებარეობდა ერევნის პოლკის შტაბი და ბოლო ფურცელსაც, რომელზეც აღჭურვილობაა ჩამოთვლილი, აწერია ერევნის გრენადერთა პოლკი.

მატიანეების მომზადებისას წარმოებული მსგავსი კომპლექსური კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ პეტერბურგში გამგზავრების წინ ილია ჭავჭავაძის მიერ დაწერილი წერილის ადრესატია არა მისი უფროსი და ნინო ჭავჭავაძე-აფხაზი, არამედ უმცროსი და - ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისა. 1906 წლის 1 ივლისს პეტერბურგიდან გამოგზავნილი დეპეშის ადრესატი იყო პოლიევეტოს კარბელაშვილი და არა მისი ძმა - ვასილ კარბელაშვილი. ადრესატი საქმიანი წერილისა, რომელიც იწყება სიტყვებით „მოწყალეო ხელმწიფევ, ბეჟან დავითის ძევ“, არის ბეჟან დავითის ძე წერეთელი. გავარკვევით, რომ ადრესატი ილია ჭავჭავაძის მიერ 1896 წლის 31 ოქტომბერს დაწერილი წერილისა, რომელიც იწყება სიტყვებით „ბატონო ალექსანდრე“, არის არა ალექსანდრე ნანეიშვილი, როგორც მიჩნეული იყო, არამედ ალექსანდრე სარაჯიშვილი (ნინიძე, 2016, გვ. 142, 145-147).

ასევე დავადგინეთ, რომ 1832 წელს გრიგოლ ორბელიანის მიერ დაწერილი წერილი, რომელიც იწყება სიტყვებით „უგანათლებულესო მეფის ასულო“, განკუთვნილი იყო ერეკლე მეფის ასულ ანასტასიასთვის, რომელიც გრიგოლს დედის დეიდად ეკუთვნოდა; 1850 წლის 7 დეკემბრის წერილის ადრესატი კი გენერალი ალექსანდრე ბრუსილოვია. 1858 წლის ივლისის დასაწყისში გაგზავნილ წერილს აწერია, რომ განკუთვნილია ივანე ჯამბაკურ-ორბელიანისთვის, მაგრამ დავადგინეთ: ეს არის ივანე კონსტანტინეს ძე და არა გრიგოლ ორბელიანის წერილებში უფრო ხშირად ნახსენები ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანი; ასევე დავადგინეთ, რომ გრიგოლ ორბელიანის იმ წერილის ადრესატები, რომელიც იწყება მიმართვით ვინმე დემეტრესა და ვასილი გრიგოლის ძისადმი, უნდა იყვნენ დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძე და ვასილ გრიგოლის ძე ზოლოტარიოვი.

მატიანეში ინფორმაციის შესატანად არანაკლები მნიშვნელობა აქვს წერილებში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაციასაც. ჩვენ უკვე შემუშავებული გვაქვს გარკვეული პრინციპი, რომლის მეშვეობითაც ვაღწევთ მიზანს. ყველაზე ეფექტიანია კორპუსული კვლევა. ამ ხერხს ენათმეცნიერებაში დიდი ხანია ვიყენებთ, მაგრამ ტექსტოლოგიაში იგი დავნერგეთ სწორედ მატიანეების მომზადებისას. საერთოდ, დიდი პროექტების განსახორციელებლად ძალზე მნიშვნელოვანია სწორად შემუშავებული სტრატეგია. კონკრეტული მწერლის მატიანეზე ან აკადემიურ გამოცემაზე მუშაობის დაწყებამდე აუცილებლად სკრუპულოზურად ვსწავლობთ მის ხელწერას და ვადგენთ მისი კალიგრაფიისთვის დამახასიათებელ ტიპურ და ატიპურ ცხრილებს, რათა ხელნაწერების ამოკითხვა გაგვიადვილდეს. დასათარიღებლად და პირთა საიდენტიფიკაციოდ კი ასევე მნიშვნელოვანია საკვლევი კორპუსის ბაზის შექმნა კომპლექსური კვლევისთვის. ეს ტექნოლოგია და უახლესი ტექსტოლოგიური მეთოდები იმდენად ეფექტიანია, რომ თითოეული მატიანის შექმნას თან სდევს მწერალთან დაკავშირებით უამრავი ახალი ინფორმაციის გამოვლენა.

მატიანის შექმნისას საგანგებო კვლევა გვიწევს მწერლის ნათესაური კავშირების, საქმიანი გარემოცვისა და ნაცნობ-მეგობრების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად. მაგალითად, გავარკვიეთ, რომ გრიგოლ ორბელიანის დედას - ხორეშანს - ჰყავდა ნახევარდა - მათა (მარიამ) არჩილის ასული ბაგრატიონი-ანდრონიკაშვილისა და იასე იოსების ძე ანდრონიკაშვილი იყო მისი მამულიშვილი. დავინტერესდით, რომელი შერვაშიძე შეიძლებოდა ყოფილიყო ნაგულისხმევი 1831 წლის 30 აგვისტოს დღიურში, რომელიც საქართველოსკენ მომავალი გზად შეხვდა გრიგოლ ორბელიანს. 1832 წლის შეთქმულების მონაწილეს, 1813 წელს დაბადებულ კონსტანტინე გიორგის ძე შარვაშიძეს, დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის პაჟთა კორპუსი, შემდეგ ირიცხებოდა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში და მონაწილეობდა ჩეჩნეთის წინააღმდეგ გამართულ ექსპედიციაში. როგორც ვიცით, იგი თბილისში 1832 წელს ჩამოვიდა, ამდენად ლოგიკურია, რომ გრიგოლ ორბელიანს სტავროპოლში 1831 წლის 30 აგვისტოს სწორედ ის შეხვედროდა. გრიგოლ ორბელიანის დღიურში 1831 წლის 11 ოქტომბრის რიცხვით შეცდომით არის მოხსენიებული დონის მონასტრის არქიმანდრიტი. ტექსტში წერია „ათანამე“. გავარკვიეთ, რომ ეს მექანიკური შეცდომაა. საუბარი უნდა იყოს დონის მონასტრის ქართველ არქიმანდრიტ ათანასე (ალექსი) პეტრიაშვილზე. 1832 წლის 22 თებერვლის რიცხვით დათარიღებულ დღიურში გრიგოლ ორბელიანი ახსენებს „ნასლედნიკ პრინც პრუსკის“ და კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ საუბარია ფრიდრიხ ვილჰელმ IV-ზე. 1832 წლის 31 აგვისტოს ახსენებს დიდ მთავარს და რადგან ჩანს, რომ იგი გვარდიის კორპუსის მეთაურია, გავარკვიეთ - აქ ნაგულისხმევი უნდა ყოფილიყო მიხეილ პავლეს ძე რომანოვი. 1841 წლის 26 მაისის რიცხვით დღიურში ნახსენებია დიმიტრიევსკის ლექსები. დავადგინეთ, რომ საუბარი უნდა იყოს იმხანად თბილისში პოპულარულ პოეტ მიხეილ დიმიტრიევსკიზე. 1842 წლის 17 ოქტომბერს იმპერიის საიდუმლო მრჩეველისა და ცენზორის ალექსანდრე კრასოვსკისთვის გაგზავნილ წერილში ნახსენებია გენერალი ენგელგარდტი, მაგრამ სახელი მითითებული არ არის. გავარკვიეთ, რომ სწორედ 1842 წლიდან გენერლის წოდებას ატარებდა ვალერიან თევდორეს ძე ენგელგარდტი, რომელიც კავკასიის კორპუსის სარდალ ნეიდგარდტთან საგანგებო დავალებებს ასრულებდა.

1843 წლის წერილებში საუბარია შამილის შვილზე, მაგრამ მისი სახელი ნახსენები არ არის. წერილში მოხმობილი ფაქტების მიხედვით იგულისხმება შამილის ვაჟი ჯამალედინი, რომელიც რუსებმა მძევლად აიყვანეს და რუსეთში იზრდებოდა. 1846 წლის 1 ივნისის წერილში არასწორად არის მითითებული ექიმის გვარი, სახელი კი საერთოდ არ წერია. გავარკვიეთ, რომ საუბარია ექიმ ედუარდ გოლემბლატზე. 1853 წლის 14 აპრილის წერილში გენერალ ვოლფის სახელი მითითებული არ არის, მაგრამ უნდა იგულისხმებოდეს იმ დროისთვის კავკასიის კორპუსის შტაბის ობერკვარტირმეისტერი ნიკოლოზ ივანეს ძე ვოლფი. 1855 წლის 29 დეკემბრამდე გაგზავნილ წერილში გრიგოლ (გიორგი) შანშეს (პავლეს) ძე ერისთავი და ალექსანდრ ივანეს ძე კლუგენი მხოლოდ გვარებით არიან მოხსენიებული და მათი ვინაობა „კავკასიის კალენდრის“ შესაბამისი წლის ნომრის მეშვეობით გავარკვიეთ. 1876 წლის 25 იანვრის შემდეგ გრიგოლ ორბელიანისთვის გაგზავნილი დეპეშის ადრესანტის დასადგენად, რომელიც ასევე ორბელიანი უნდა ყოფილიყო, გავითვალისწინეთ, რომ 1870-იანი წლების მეორე ნახევარში გრიგოლ ორბელიანის მოგვარეებიდან და მისი ახლობლებიდან პეტერბურგში მსახურობდა ივანე დავითის ძე ორბელიანი. მას, როგორც მისადმი მიწერილი ერთი ბარათიდან ჩანს, ვასო მაჩაბელთან ჰქონდა კავშირი და, სავარაუდოდ, თავადაც იურიდიული საქმიანობით იყო დაკავებული. ამის საფუძველზე დავადგინეთ, რომ დეპეშა მისი გაგზავნილი უნდა ყოფილიყო.

ასეთი სახით ხდება მატიანეში შესატანი თითოეული ინფორმაციის - იქნება ეს პირის ვინაობა თუ ტოპონიმის ადგილმდებარეობა - გარკვევა. ტექსტოლოგიურ კვლევებთან ინტეგრირებით ხორციელდება მესამე ქართველი მწერლის - გურამ რჩეულიშვილის - ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანეზე მუშაობაც და ეს ორი სრული და აკადემიური

პრინციპებით მომზადებული ბიობიბლიოგრაფია კიდევ უფრო გაამდიდრებს ჩვენს ელექტრონულ ბიბლიოთეკას.

გამოყენებული ლიტერატურა:

ლიტერატურა:

1. გიგაშვილი, ქ. და ნინიძე, მ. (2012). XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. 2. გრიგოლ ორბელიანი. ნაწილი 1. თბილისი. უნივერსალი.
2. ნინიძე, მ. (2016). ტექსტოლოგიური კვლევები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატანისათვის. თბილისი. გამომცემლობა სამშობლო.
3. Богуславский, Л. (1892). История Апшеронского полка (1700-1892). т. 2. СПб.

წყაროები:

- კვხეც, გრიგოლ ორბელიანის პირადი არქივი, №4.
 კვხეც, გრიგოლ ორბელიანის პირადი არქივი, №30.
 კვხეც, გრიგოლ ორბელიანის პირადი არქივი, №31.
 კვხეც, გრიგოლ ორბელიანის პირადი არქივი, №112, 5v.
 სეა, სცა, ფ. 5, ა. 1, ს. N7516, გვ. 60.
 სეა, სცა, ფ. 5, ა. 1, ს. N7516, გვ.172.
 სეა, სცა, ფ. 5, ა. 1, ს. N7516, გვ.175.
 სეა, სცა, ფ. 5, ა. 1, ს. N7516, გვ.176.
 სეა, სცა, ფ. 1457, ს. XVIII, გვ. 3492.

**Maia Ninidze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
 Shota Rustaveli Institute of Georgian Literature**

Importance of Identification of Letter Addressees and the People Mentioned in the documents for the Creation of the Life and Work Chronologies

Summary

Personal correspondence of writers contains very important information for the creation of the chronology of their life and works. The information introduced into bio-bibliographies should be thoroughly investigated and checked. While working on the bio-bibliography of the Georgian poet Grigol Orbeliani we revealed that in 16 documents kept in the Georgian National Centre of Manuscripts in the words “sub-lieutenant Orbeliani” is meant Grigol Orbeliani’s brother Zakaria and not himself. A number of documents kept in different archives prove that Grigol Orbeliani was a lieutenant by that time and was far from The Caucasus. Working on scholarly editions and bio-bibliographies scientists carry out important researches. In the last few years we dated more than 300 personal letters by Georgian writers and identified hundreds of people mentioned in them. We consider that there should be closer cooperation between archives and scientists and such results should be considered in the descriptions of the archival documents.

იპა ჯყოიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

როტშილდების ფინანსური ინტერესები კავკასიაში მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში

1878 წელს, აჭარის შემოერთების შემდეგ, ცვლილებები, რომლებიც ზოგადად რეგიონმა და განსაკუთრებით ბათუმმა განიცადა, არ იყო მხოლოდ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ-კულტურული. სულ რამდენიმე წელიწადში ბათუმი მთელი კავკასიის რეგიონში სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ქალაქად იქცა. ამის ძირითადი მიზეზი ორი იყო: მისი ნავსადგური ბუნებრივი სიღრმით გამოირჩეოდა, რაც განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ნაოსნობის განვითარებისთვის და ამ მხრივ ის შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე უკონკურენტო იყო. მეორე ფაქტორი, რომელმაც ბათუმის მრეწველობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, იყო ბაქო-ბათუმის სარკინიგზო მაგისტრალი, რომელმაც რეგიონში კომუნიკაცია გააუმჯობესა და შესაძლებელი გახადა ბაქოს ნავთობპროდუქტების მსოფლიოს ყველა მიმართულებით ექსპორტი. ბათუმის პორტისა და კავკასიის სარკინიგზო მაგისტრალის განვითარება მალევე დადებითად აისახა ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებაზე. აქ უამრავი დიდი და პატარა საწარმო გაიხსნა. მათ შორის მნიშვნელობის თვალსაზრისით სრულიად გამორჩეული იყო ბარონ როტშილდის ქარხანა, რომელიც რუსეთის ნავთობწარმოებელთა შორის მუდმივად ინარჩუნებდა მოწინავე პოზიციას. რეალურად ბაქო-ბათუმის ნავთობბიზნესმა სამი დიდი გიგანტი მეწარმე „წარმოშვა“: ალფონსო როტშილდი, ძმები ნობელები და ალექსანდრე მანთაშევი. „ნავთის მეფენი როტშილდი, ნობელები და მანთაშევი“ - ასე მოიხსენიებს მათ გაზეთ „ივერიის“ ანონიმი ავტორი პუბლიკაციისა „კავკასია“ (გაზეთი „ივერია“, #16, 22 იანვარი 1904, გვ. 2). რადგან ნობელებმა თავიანთი საქმიანობა ბაქოში დაიწყეს და შემდგომ განავითარეს ბათუმშიც, აზერბაიჯანული მხარისთვის მათი სამეწარმეო მოღვაწეობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ბევრი თანამედროვე კვლევა არსებობს ნობელების ბაქოში მოღვაწეობასთან დაკავშირებით. არცთუ იშვიათად ორენოვანი გამოცემები, ინგლისურად და აზერბაიჯანულად, ონლაინაც არის ხელმისაწვდომი¹. ამას ემატება მეწარმე რობერტ და ლუდვიგ ნობელების სახელოვანი ძმის, ალფრედის, განსაკუთრებული პოპულარობა და დამსახურება კაცობრიობის წინაშე (ვგულისხმობთ ფონდს და მის მიერ გაცემულ პრემიას და არა მხოლოდ საკუთრივ მის დამსახურებას მეცნიერების წინაშე). შესაბამისად, ძმები ნობელების კაპიტალი, ინტერესები და მოღვაწეობა კავკასიის რეგიონში მეტ-ნაკლებად ცნობილია და შესწავლილი. იმავეს ვერ ვიტყვით ალფონსო როტშილდზე. ცხადია, არ ვგულისხმობთ ზოგადად ოჯახს, რომელიც მსოფლიო

¹ მაგალითისთვის იხ. Huseynova, Abbasova, Melikova, 2009.

ბანკირების 5 შტოსგან შედგება¹ და მათზე უამრავი კვლევა არსებობს. თავად ალფონსო როტშილდის ფინანსურ ინტერესებზე ბაქოს ნავთობთან მიმართებაში და შესაბამისად, ამ ნავთობის იმპორტისთვის ბათუმში დაფუძნებაზე - ამ კვლევებში ძალიან მწირი ინფორმაციაა მოცემული. საილუსტრაციოდ მოვიხმობთ 2003 წელს გამოსულ მონოგრაფიას „როტშილდების სახლის აღზევება“, რომელშიც ალფონსოზე ერთი წინადადებაც კი არაა ნათქვამი.

როტშილდების ოჯახის, როგორც საბანკო დინასტიის, გენეალოგიური ცხრილი მე-18 საუკუნიდან იწყება. მისი ფუძემდებელი Mayer Amschel (1744-1812) ალფონსოს ბაბუაა; ამშელის მე-10 შვილია ჯეიმსი/ James (1792-1868)². ალფონსო ჯეიმსის მეორე შვილია 5-დან. თავად ალფონსოს ჰყავდა 4 შვილი, უმცროსი ედუარდი გარდაიცვალა 1949-ში და მხოლოდ მან დატოვა მემკვიდრეები: 4 შვილი (ედუარდის სამი და-ძმა ან ახალგაზრდები გარდაიცვალნენ, ან მემკვიდრე არ შესძენიათ). ედუარდის 4 შვილიდან ერთ-ერთი, ანუ ბარონ ალფონსო როტშილდის შვილიშვილი Jacqueline Rebecca Louise გარდაიცვალა რამდენიმე წლის წინ, 2012-ში (დაბადებული 1911 წელს, მან საუკუნეზე მეტხანს იცოცხლა).

ალფონსოს მამა ჯეიმსი, რომელსაც იაკობსაც ეძახდნენ, როგორც აღვნიშნეთ, ამშელის ბოლო, მეათე შვილი იყო და მე-5 ვაჟი (Corti, 2003, გვ. 17). ამშელი ფრანკფურტში იყო დაბადებული და დამკვიდრებული. მისი ვაჟებიდან ერთ-ერთმა, ნათანმა, გადაწყვიტა ფრანკფურტიდან პარიზში გადასულიყო, რომ ოჯახის ბიზნესი გაეფართოებინა და ალფონსოს მამა ჯეიმსმაც თავისი ძმის ეს ინიციატივა განაგრძო (Corti, 2003, გვ. 92-93). შესაბამისად, ალფონსო როტშილდების გვარის ფრანგული (პარიზული) შტოს დამფუძნებლად იქცა. ცხადია, არ ვაპირებთ ალფონსოსა და მისი ოჯახის ბიოგრაფიული დეტალებით დავკავდეთ, მაგრამ უდავოდ აღსანიშნავია, რომ თავად ჯეიმსისა და მისი ძმების დიდი მცდელობის შემდეგ ჯეიმსი ავსტრიის გენერალურ ელჩად დანიშნა 1821 წელს პარიზში თავად ავსტრიის იმპერატორმა ფრანცმა (1804-1835). ავსტრიის საპატიო კონსულის თანამდებობაზე ჯეიმსი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა (Corti, 2003, გვ. 259). ეს მაგალითი ცხადყოფს, რომ როტშილდები მე-19 საუკუნეში მარტო ეკონომიკური ბერკეტების ხელში ჩასაგდებად არ იღწვოდნენ. მათ დიპლომატიური და პოლიტიკური ასპარეზიც, როგორც ჩანს, თანაბრად იზიდავდა.

ბათუმში ინდუსტრიის განვითარების თვალსაზრისით ალფონსო როტშილდის მთავარი დამსახურება ის არის, რომ სწორედ მის სახელს უკავშირდება ნავთობპროდუქტების საექსპორტო მანუფაქტურული შეფუთვიდან საფაბრიკო-საქარხნო სტადიაზე გადასვლის მძლავრი პროცესი (ბენდიანიშვილი, 2008, გვ. 102); ასევე სწორედ მისი ქარხანა იყო პირველი, რომელმაც დაიწყო ნავთობის ტრანსპორტირება სპეციალური გემ-ციტერნებით, ანუ ნავთობტანკერებით (ბენდიანიშვილი, 2008, 102-103). ცნობილია, რომ როტშილდის ქარხანას ჰქონდა ბათუმში საკუთარი ნავმისადგომი, სადაც იტვირთებოდა სპეციალურ ყუთებში ჩასხმული ნავთობი (კაკვასიის კალენდარი, 1893, 1, გვ. 4). ეს ყუთები მზადდებოდა ხისგან, ცინკისგან, ტყვიისგან. მათ დასამზადებლად საჭირო ნედლეული³ შემოჰქონდათ

¹ ოჯახის 5 შტო შემდეგ ქვეყნებს მოიცავდა: გერმანია, ინგლისი, ავსტრია, საფრანგეთი და იტალია. დეტალები Cowles 1973; Muhlstein, 1983.

² როტშილდების ოჯახის ყველა შტოსა და წევრზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია სპეციალურ ვებგვერდზე <https://www.rothschildarchive.org/genealogy/>

³ უშუალოდ მასალის გარდა, ნედლეულში ვგულისხმობთ ლურსმნებსა და შეფუთვისთვის საჭირო სხვა მასალას.

ესპანეთიდან, ავსტრიიდან და საკუთრივ რუსეთის იმპერიის ქალაქებიდან, მაგ. სანკტ-პეტერბურგიდან, რიგიდან, ყირიმის ქერსონიდან (კავკასიის კალენდარი, 1893, 1, გვ. 34).

როტშილდის ბათუმში ჩასვლამდე იქ მხოლოდ კასპია-შავი ზღვის ნავთობმწარმოებელი და სავაჭრო საზოგადოება («Батумского нефтепромышленного и торгового общества» (БНИТО) ამზადებდა რკინისა და ცინკის ფილებისგან სპეციალურ ჭურჭელს. ალფონსო როტშლდმა „ბნიტო“ 1886 წელს იყიდა და მის ბაზაზე დააარსა («Каспийско-Черноморское нефтепромышленное общество») კასპიისა და შავი ზღვის ნავთობპროდუქტების საზოგადოება. თუმცა მისი კომპანია ძველი სახელით, ანუ „ბნიტოთი“ იხსენიებოდა ხოლმე. 1905 წელს ალფონსო გარდაიცვალა და ამან კავკასიის ნავთობის ბიზნესის შემდგომ განვითარებაზე ზეგავლენა იქონია. ნავთობპროდუქტების საზოგადოების ახალი ხელმძღვანელი მისი ერთ-ერთი ვაჟი ედმონდი გახდა. მან თავისი მთავარი საწარმოები (ანუ ყოფილი „ბნიტო“ და ე.წ. მაზუტი/MAZOUT) იმავე წელს ნობელებს შესთავაზა და შემდეგ წელს კი - დოიჩე ბანკს¹. ორივე ფიქრობდა ამ შემოთავაზების მიღებაზე, მაგრამ თავად ედმონდმა აღარ დაიცადა მათთან საქმის გაფორმებამდე, რადგან უკეთესი მყიდველი გამოჩნდა და ჰენრი დეტერდინგს (Henri Deterding 1866-1939) ჰოლანდიური კომპანია „როიალ დაჩ შელის“ (Royal Dutch Shell) დირექტორს მიჰყიდა 1911 წელს გროზნოს აქტივები, ხოლო 1912 წელს - ბაქოსი; ამ ცნობილ ჰოლანდიურ კომპანიას იმ პერიოდში ჰქონდა გაფართოების სურვილიც და პერსპექტივებიც, რასაც განსაკუთრებული უნარიტა და მონდომებით ახორციელებდა (Jaloustre, 2007, გვ. 2).

როტშილდების კავკასიის ეკონომიკურ სცენაზე გამოჩენით ნობელებს დიდი თავსატეხი გაუჩნდათ, რადგან ისინი იცნენ მათ ყველაზე საშიშ და ანგარიშგასაწევ კონკურენტებად; მათნაირი მოწინააღმდეგეები ბიზნესში ნობელებს არც არასდროს ჰყოლიათ (Осбринк, 2003, გვ.76). ნავთობმწარმოებაში სწორედ როტშილდებმა მისცეს შემდგომი იმპულსი ბათუმის ეკონომიკურ განვითარებას, რომელიც მანამდე უმნიშვნელო პორტი იყო. იქიდან ბაქოს ნავთის ტრანსპორტირება შესაძლებელი გახდა უკვე ევროპაშიც (ძირითადად მარსელისა და ფიუმეს² პორტებში (□□□□□□□□) 2003, გვ. 61).

ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესასწავლად მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის იმდროინდელ ქართულ პრესაში გამოქვეყნებული რამდენიმე საგულისხმო პუბლიკაცია, ისინი ალფონსო როტშილდის საქართველოში მოღვაწეობის ისეთ ასპექტებს წარმოგვიჩენს, რომლებიც არც ცნობილია და, შესაბამისად, არც შესწავლილი. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ დავით კლდიაშვილის სტატია გაზეთ „ივერიაში“ (# 65, 25 მარტი (შაბათი) 1889, გვ 3), რუბრიკაში „დაბა და სოფელი“ (ხელს აწერს „დათიკოთი“ ტრადიციისამებრ). პუბლიკაციის მიხედვით, როტშილდის ფირმის ხელმძღვანელობამ ბათუმის საბჭოს მიმართა ნება დაერთო მიღები გაეყვანა ნავთისთვის და ასე გადაეტანა ნავთი გემებში გადასასხმელად. ამაზე ქალაქის საბჭომ უარი განაცხადა და ფირმამ საჩივარი წარუდგინა ქუთაისის გუბერნატორს, რის შედეგადაც ბათუმის საბჭოს დაევალა საკითხის ხელახლა განხილვა. საბჭომ გადაწყვიტა სპეციალური დეპუტაცია გაეგზავნა პეტერბურგში. როტშილდის თხოვნაში თითქოსდა არაფერი იყო უჩვეულო, მაგრამ ხმოსნებს მისი ზედმეტად მოძლიერების ემინოდათ, ამიტომ არ აკმაყოფილებდნენ მის მოთხოვნას. შიშის საფუძველი კი ის იყო, რომ ამ გზით ნავთის გატანის მთელი მოგება რუსეთის მაგივრად უცხოელთა ხელში არ მოხვედრილიყო. ავტორი

¹ უნდა აღინიშნოს, რომ ნობელების კომპანიამ და დოიჩე ბანკმა 1907 წელს ერთობლივად დაარსეს „ნავთობის ევროპული კავშირი“ (Europäische Petroleum Union) (Jaloustre, 2007, გვ. 1).

² ფიუმეს ცნობილი პორტი დღევანდელი ხორვატიის უმნიშვნელოვანესი საპორტო ქალაქი რიეკაა (Rijeka).

იქვე ასახელებს ხმოსნების შიშის მეორე მიზეზს: ნავთის მიღებით პირდაპირ გემზე დატვირთვით არ მოსპობილიყო ყუთებით მისი გადატანა და შესაბამისად, ყუთების წარმოებით დაკავებულ მეწარმეთა საქმიანობა და დასაქმებულ მუშათა სამუშაო ადგილები.

დავით კლდიაშვილი აღწერს ბათუმის ქალაქის საბჭოში გამართულ სჯა-ბაასს ამ საკითხზე. ხმოსნებს შორის ყოფილა ზროდლოვსკი, როტმილდის ფირმის წარმომადგენელი, რომელმაც როტმილდის მოთხოვნის გასასამართლებლად შემდეგი არგუმენტი მოიყვანა: აღმოსავლეთის ბაზრები უპირატესობას ყუთებით მიწოდებულ ნავთს აძლევენ. მათ საშუალოდ 15 მილიონი ყუთი ესაჭიროებათ წელიწადში. ბათუმი კი იმ პერიოდისთვის 7-10 მილიონზე მეტს არ ამზადებდა. ამიტომ ყუთების წარმოება არათუ მოისპობოდა, კიდევაც უნდა გაძლიერებულიყო. ევროპაში ასეთი ყუთებით მიწოდებულ ნავთზე არ იყო მოთხოვნა და, ზროდლოვსკის თქმით, თუ როტმილდის მოთხოვნას არ დააკმაყოფილებდნენ, რუსეთი ვერ გაუწევდა კონკურენციას ამერიკას ევროპის ბაზრებზე. ეს არგუმენტები ხმოსნებისთვის უსაფუძვლო არ იყო, მაგრამ როტმილდის მაინც ემინოდათ. მისი წარმომადგენლები ადგილობრივები იყვნენ და მათი სიტყვა ხმოსნებისთვის საბუთად ვერ გამოდგებოდა, ანუ რადგან თავად როტმილდისგან არავითარი გარანტია არ ჰქონდათ, ქალაქის ხელმძღვანელობა თავს იკავებდა მისი მოთხოვნების დაკმაყოფილებისგან. „ხმოსნების აზრით, - განაგრძობს კლდიაშვილი - საბჭომ რომ როტმილდის თხოვნა შეიწყნაროს, როტმილდი გადაჰყლაპავს წვრილმან მეწარმეებს“. ბათუმის ხმოსნებს ემინოდათ როტმილდის სხვადასხვა ქმედებამ თავისი ბიზნესის გასაძლიერებლად „ლუკმა-პური არ გამოაცალოს რამდენსამე ასი ათას კაცს. ამის ემინიანთ ჩვენ ხმოსნებს. ამიტომ როტმილდსაც ახლოსაც არ გაიკარებენ“. ასე მთავრდება დ. კლდიაშვილის პუბლიკაცია „ივერიაში“. ამ სტატიაში რამდენიმე ფაქტორია საგულისხმო: ის, რომ ბათუმში ამ დროს ასი ათასი ადამიანი დასაქმებული, ცხადია, გადაჭარბებული ციფრია. ბათუმი უდავოდ იყო მთელი კავკასიის მასშტაბით უმსხვილესი ინდუსტრიული ცენტრი, მაგრამ არც იმხელა, ასი ათასი ადამიანი დაესაქმებინა. ამ სტატიიდან აშკარად იკვეთება, რომ თავად როტმილდი ბათუმში ფიზიკურად არ იმყოფებოდა. მის ფირმას ხელმძღვანელობდა მისი ნდობით აღჭურვილი პირი ზროდლოვსკი, რომელიც, ამ პუბლიკაციის მიხედვით, ხმოსანიცაა.

1888 წელს ბათუმში პირველად ჩატარდა ხმოსანთა არჩევნები. ზროდლოვსკი სწორედ 36 ხმოსნიდან ერთ-ერთი იყო. ის ხმოსანი გახდა მეორე არჩევნებზეც, რომელიც 1895 წელს ჩატარდა. ამ წელს ის სათათბიროს თავმჯდომარედაც აირჩიეს (თურმანიძე, 2008, 60; იხ. ასევე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალური ვებგვერდი <http://www.batumicc.ge>, გრაფა „ჩვენი ქალაქი“).

ამ ზროდლოვსკის დავით კლდიაშვილი თავის მემუარებშიც ახსენებს: „მტრული თვალთ უყურებდა ქართველობას მედიდური გამგე როტმილდის სანავთო ქარხნისა ინჟინერი ზრდილოვსკი¹, ტომით პოლონელი. ამაყი, მიუკარებელი... იყო ჭკუიანი, კარგი მოლაპარაკე, მას დიდი გავლენა ჰქონდა საზოგადოებაში და ქალაქის გამგეობაში, სადაც ის ხმოსნად იყო. მედიდურს ვერავინ წინააღმდეგობას ვერ უწევდა და ისიც დიქტატორობდა“

¹ მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ მოხსენიებულ პუბლიკაციაში დავით კლდიაშვილი მის გვარს სწორად წერს, მემუარებში სათაურით „ჩემი ცხოვრების გზაზე“ აშკარად შეცდომაა დაშვებული: უნდა იყოს ზროდლოვსკი [Zrodowski/Zrodlovsky] და არა, ზრდილოვსკი. ეს აღრევა შეიძლება იმით ავხსნათ, რომ, როცა ავტორმა ეს მემუარები დაწერა (1925 წ.) 17 წელზე მეტი იყო გასული რაც ის ბათუმში აღარ ცხოვრობდა და შესაძლოა, ამ პერიოდში მას ყველა იმ პირის გვარი კარგად აღარ ახსოვდა, რომლებზეც თავის მემუარებში წერს. მასში მოხსენიებული ადამიანების რაოდენობა ცოტა ნამდვილად არ არის.

(კლდიაშვილი, 1961, გვ. 74). კლდიაშვილი ერთ საინტერესო ეპიზოდსაც იხსენებს ქალაქის გამგეობის ერთ-ერთი კრებიდან. რომელიღაც დადგენილებაზე ზროდლოვსკის რუსულად უთქვამს, ეს დადგენილება რომ მახსენდება, გული სისხლით მევსებაო („მოიო სერდცე კროვიუ ობლივაეტსია“¹). ბათუმის სათათბიროს წევრს, გრიგოლ ვოლსკის (1860-1909), ერთობ მოხდენილი პასუხი გაუცია: „მე არ ვიცი თქვენი გული ივსება თუ არა სისხლით, მაგრამ როტშილდის ნავთობით რომ არის გაჟღენთილი, ეს კარგად ვიციო (ობლივაეტსია როდშილდოვსკოიუ ნეფტიუ)... „ეს დიდი გაბედულობა იყო. ზროდლოვსკის (ზრდილოვსკის) ვინ შეჰკადრებდა ამისთანა სიტყვით მიმართვას!.. ვოლსკიმ ჩამოათრია იგი ამ სიმაღლიდან და ყველას დაანახვა, რომ ამ ამაყი მედიდური კაცის შესახებაც შეიძლებოდა გაბედულად თქმა და რომ იგი არც ისეთი საშიშარია, როგორც წარმოდგენილი და მიჩნეული ჰყავდათ“ (კლდიაშვილი, 1961, გვ. 73). ვოლსკის ამ სიტყვებს ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია, მეორე დღეს თურმე მთელი ბათუმი ამას ჰყვებოდა.

საყურადღებოა, რომ როტშილდების ოჯახითა და მათი სავაჭრო ინტერესებით საქართველოში მალევე დაინტერესებულან. 1896 წლის 10 ნოემბრის „ცნობის ფურცლის“ #22-ში დაიბეჭდა სტატიის „როტშილდები და მათი ვაჭრობა“² გაგრძელება მინიშნებით „ვაჭრების საყურადღებოდ“. სტატიას ხელს აწერს კ. მესხი. ამ პერიოდში მოღვაწე ცნობილი მსახიობი და რეჟისორი კოტე მესხი ვერ ჩაითვლება მის ავტორად სტატიის სპეციფიკიდან გამომდინარე. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში ფიქსირდებიან ვინმე კალისტრატე მესხი და კონსტანტინე მესხი დაუდგენელი ვინაობით. ჩვენი სტატიის ავტორი შესაძლოა რომელიმე მათგანი იყოს. აშკარაა, რომ ამ ეტაპზე მისი ვინაობის განსაზღვრა ჭირს. სტატიის ეს კონკრეტული მონაკვეთი ეხება ნაპოლეონ მესამის საფრანგეთის მეორე პრეზიდენტად ყოფნის დროს (1848-1852) განხორციელებულ იმ საფინანსო ცვლილებებს, რომელთაც ბანკებისა და ბანკირების შემდგომი გამდიდრება-გამდიდრება უნდა შეეფერხებინა (ფასიანი ქაღალდების პირდაპირ სახელმწიფოსგან და არა ბანკებისგან ყიდვა და ა.შ.), მაგრამ ამან ალფონსოს მამის, ჯეიმსის, მდგომარეობა სრულებითაც ვერ შეასუსტა: „ის ისეთი ძლიერი თანხის პატრონი იყო, რომ სხვა საქმესაც გამოსძებნიდა და აღარ დარდობდა იმაზედ, რომ სახელმწიფო მისგან ფულს აღარ სესხულობდა“ („ცნობის ფურცელი“, 1896, # 22, გვ. 2). რკინიგზის შენება აღმოჩნდა მისთვის საქმე, რომელიც დიდ შემოსავალს მოუტანდა. ნაპოლეონ მესამის მმართველობამ გამოაცხადა პარიზი-მარსელის სარკინიგზო მაგისტრალისთვის ე.წ. ტენდერი³. სტატიის ავტორის თანახმად, ჯეიმსმა სხვადასხვა მანქანებით ჩამოიცილა კონკურენტები⁴ და გადაწყვეტილების მიღების დღეს მარტო გამოცხადდა შესაბამის უწყებაში, მოიპოვა ამ სარკინიგზო მაგისტრალის გაყვანის უფლება, რასაც დიდი მონდომებით შეუდგა. პარალელურად მან შეიმუშავა სპეციალური გეგმა (სტატიაში ესეც დაწვრილებით არის მოთხრობილი) რკინიგზის აქციებით როგორ ჰქონოდა მოგება. სხვადასხვა საფინანსო მაქინაციებით მან რკინიგზისგან არც მეტი, არც ნაკლები 75 მილიონი სუფთა მოგება იშოვა.

¹ დ. კლდიაშვილს დიალოგები რუსულად ქართული ასოებით მოჰყავს. მისი მემუარებიდან ჩვენც ზუსტად ასე ვახდენთ ციტირებას.

² „ცნობის ფურცლის“ ამ ნომერში ქვეყნდება აღნიშნული სტატიის მე-4 და მე-5 ნაწილი ერთად. სტატიის 1-3 ნაწილი გამოქვეყნდა წინა, 21-ე ნომერში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში „ცნობის ფურცელი“ გამოდის ყოველდღე.

³ თანამედროვეობაში დამკვიდრებული და კარგად ნაცნობი ამ სიტყვის აღმნიშვნელად სტატიაში მოხსენიებულია სიტყვა „კონცესია“.

⁴ სტატიაში მის მიერ კონკურენტების ოსტატურად ჩამოშორების მთელი, თუ შეიძლება ითქვას, თაღლითური სქემაა დაწვრილებით აღწერილი. თუმცა მან ეს ისე მოახერხა, რომ გარეგნულად კანონი არ დაურღვევია.

პუბლიკაციის თანახმად, ჯეიმს როტშილდმა გარდაცვალების შემდეგ თავის შვილებს დაუტოვა ათასი მილიონი ფრანკი, ანუ 400 მილიონი მანეთი ოქროთი.

სტატია „როტშილდები და მათი ვაჭრობის“ მე-5 ნაწილში ავტორი საუბრობს ჯეიმს როტშილდის პიროვნულ თვისებებზე და დასაწყისიდანვე გამოჰყოფს მის სიძუნწეს და რამდენიმე სახალისო ისტორია/ანეკდოტი აქვს მოთხრობილი („ცნობის ფურცელი“, 1896, # 22, გვ. 3). მეორე თვისებად გამოყოფს მის შრომისმოყვარეობას („დაულალავი მუშაკი იყო“) და ამ ნაწილში ეს თვისება სხვადასხვა ისტორიით არის გამყარებული. სტატია სრულდება „ცნობის ფურცლის“ #25-ში („ცნობის ფურცელი“, ოთხშაბათი, 13 ნოემბერი, 1896). ამ ნომერში ოჯახის ისტორია ჯეიმსის ძმის, ნათანის, ამბით გრძელდება (ნათანი ჯეიმსთან ყველაზე ახლოსაა დანარჩენ 8 და-ძმასთან შედარებით). შემდგომ საუბარი გადადის ალფონსოზე (ფ რუსული ჭ-თი არის დაწერილი ყველგან). ის იხსენიება მამამისის, ჯეიმსის, მოადგილედ პარიზში, „ბაქოს ნავთისა და ურიცხვი მილიონების პატრონი. საქმის კაცი არის. დიდი ფილანტროპი, ანუ მოწყალეების გამცემი“ (მთელი სტატია განთავსებულია მე-2 გვერდზე). სტატიაში ალფონსოს საქართველოში მოღვაწეობაზე კრინტი არ არის დაძრული. ბოლო 2 სვეტი მთლიანად ამ გვარის და ამ ოჯახის ქება-დიდებას ეძღვნება: „მთელი როტშილდების გვარის ცხოვრების აღწერა გვიჩვენებს, თუ რა შეუძლიან შრომას, მეცადინეობას და მუყაითობას... და როდესაც ამ თვისებებს მივუმატებთ იმ უცნაურ ნიჭს, რომლის პატრონებიც იყვნენ ზოგიერთი როტშილდები - მაშინ ხომ ადვილად გაიგებთ იმათ ახლანდელ ძლიერებას“... „ვერავის ძალუძს მათი ახლანდელი ქონების დათვლა. თვითონ როტშილდებს არ უყვართ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა და სინამდვილეს არავის უმხელენ“. სტატია მთავრდება ასე: „იმათი (როტშილდების) დევიზი ანუ რწმენა არის: ყველამ თავისი საქმე აკეთოს. და მართლაც აკეთებენ ხოლმე თავიანთ საქმეს, ანუ „მილიონებს“. ამ მონაკვეთში ალფონსოს ქველმოქმედებაზე ხაზგასმა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. როტშილდის სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული მასალებში ეს მოხსენიებული არ არის. მაგ. კავკასიის ნავთობის ბიზნესის სამი წარმომადგენლიდან მანთაშევის ქველმოქმედებაზე ბევრი რამ არის ცნობილი; ნობელებსა და განსაკუთრებით, როტშილდზე ნაკლებად.

ასევე საინტერესოა გაზეთი „ივერიის“ (# 180, 23 აგვისტო 1895) მე-4 გვერდზე რუბრიკა „უცხოეთში“ დაბეჭდილი ინფორმაცია (პუბლიკაციას ხელს არავინ აწერს). სტატია იწყება საფრანგეთის ვალებზე საუბრით და შემდეგ მოგვითხრობს ალფონსო როტშილდის წინააღმდეგ განხორციელებულ ტერაქტზე. პარიზში მისთვის რაღაც წერილი გაუგზავნიათ. რადგან აგარაკზე იყო წასული, ის მისმა მოურავმა იოდკოვიჩმა გახსნა და ამ დროს გზავნილში რაღაც ნივთიერება აფეთქდა. მოურავი კი გადარჩა, მაგრამ მნიშვნელოვნად დაუზიანდა სხეულის სხვადასხვა ნაწილები (თითები, ლოყები, თვალი). „ალფონს როტშილდი შარშან ნადირობის დროს გამოესალმა ერთ თვალს, ეხლა შემთხვევით გადარჩა, თორემ მეორე თვალსაც გამოესალმებოდა“. პუბლიკაციის თანახმად, ზოგის ვარაუდით, ეს ანარქისტების ნამოქმედარი იყო, „მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ წერილი გაგზავნა ვინმე სამსახურიდან დათხოვნილმა იმ მრავალ დაწესებულებიდან, რომელნიც ეკუთვნიან ალფონს როტშილდს. ამბობენ, რომ ეს ერთი ჩრდილოეთის რკინის გზაზედ მოსამსახურეთაგანიაო“. პუბლიკაციის თანახმად ამგვარი ა.ვ. „ასაფეთქებელი წერილის“ გაგზავნა მაშინ იშვიათობა არ ყოფილა და მოჰყავს რამდენიმე მაგალითი.

მეწარმეობის განვითარების უპრეცედენტო ტემპმა ბათუმში ავტომატურად გაზარდა მოსახლეობა; მას განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიიდან მოაწყდა ნავსადგურსა და ქარხნებში სამუშაოს შოვნის მსურველთა დიდი რაოდენობა. ბუნებრივია, მუშათა რიცხვის ზრდამ, მეორე მხრივ, გამოიწვია სამუშაო პირობების გაუარესება (როცა მსურველი ბევრია, დამსაქმებელს უფრო მეტი გასაქანი აქვს, რაც შეიძლება იაფი მუშახელი იშოვოს). ამას მუშების

აქტიური პროტესტი მოჰყვა. XX საუკუნის დასაწყისში ბათუმი საპროტესტო აქციების კერად იქცა. 1902 წლის არეულობა, რომელიც მსხვერპლით დასრულდა, სწორედ როტმილდის საწარმოში დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ის რევოლუციური განწყობა და საპროტესტო აქციების ტალღა, რომელმაც, ოფიციალური მონაცემებით, 15 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ბევრი თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. უწინარესად უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთი პირველი ორგანიზებული და ფართომასშტაბიანი მუშათა პროტესტი იყო; ასევე უნდა დავძინოთ, რომ პრაქტიკულად ბათუმში და ამ ამბებთან დაკავშირებით დაიწყო იოსებ სტალინის პოლიტიკური კარიერა.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ბათუმის მრეწველობის მზარდი განვითარებისა და მუშათა საპროტესტო ტალღის აგორებასთან დაკავშირებით ბევრი მასალა მოგვეპოვება: მემუარები, საგაზეთო პუბლიკაციები, სტატისტიკური მონაცემები, მოგზაურთა ჩანაწერები. განსაკუთრებით საინტერესოა იმ პერიოდში ბათუმში მცხოვრები და ყველა მოვლენის თვითმხილველის, დავით კლდიაშვილის, ცნობები. „ბათუმი, საოცარი სისწრაფით გაზრდილი, დულდა და გადმოდულდა, რომ იტყვიან. მის მცხოვრებთა თითქმის ნახევარს შეადგენდნენ ქარხნის მუშები. აუარებელი მუშა იყო როტმილდის ქარხანაში“ (კლდიაშვილი, 1961, გვ. 133). მათი უმეტესობა ცხოვრობდა როტმილდის ქარხნის გადაღმა, ბარცხანაში. ავტორის ცნობით, მუშები ნელ-ნელა იწყებდნენ ორგანიზებულ საქმიანობას და ამის სახელმძღვანელოდ მესამედასელები არაფერს იშურებდნენ. ქალაქში ხშირად ჩადიოდნენ საშა წულუკიძე და ფილიპე მახარაძეც (კლდიაშვილი, 1961, გვ. 134).

ამ მოვლენებს კლდიაშვილი დაწვრილებით აღწერს და არაერთხელ უსვამს ხაზს, რომ გაფიცვა როტმილდის ქარხნიდან დაიწყო, რაც სხვა მასალებითაც დასტურდება. საკუთრივ ამ საპროტესტო ტალღის აგორებასთან დაკავშირებით უამრავი კვლევა არსებობს და ბათუმში მუშათა მოძრაობისა და პოლიტიკური პარტიების ისტორიაც კარგად არის შესწავლილი¹. ჩვენი შემდგომი კვლევის მიზანია ამ პროცესებში როტმილდისა და მისი ქარხნის (ხელმძღვანელობის) როლისა და ადგილის განსაზღვრა; ასევე დასადგენია თავად როტმილდი, რამდენად ხშირად იყო ბათუმში. პუბლიკაციებსა და სხვა მასალებში ყოველთვის მის წარმომადგენლებს ასახელებენ და თავად ის როგორ ხელმძღვანელობდა თავის ქარხნებს პარიზიდან - ეს არ იკვეთება. გარდა ამისა, არსებობს რამდენიმე საერთაშორისო კვლევა, რომლებშიც წყაროს დასახელების გარეშე აღნიშნულია, რომ ბათუმში 1883 წელს რკინიგზის გაყვანის ხარჯები როტმილდების ოჯახმა გაიღო², რაც ოფიციალურ დოკუმენტაციაში არ ჩანს. როტმილდის მამას ჰქონდა გამოცდილება რკინიგზის ბიზნესში - ეს უდავოა და ალფონსოც რომ დაინტერესებულიყო რუსეთის იმპერიაში ამ გრანდიოზული პროექტით, ლოგიკურია, მაგრამ აუცილებელია შესაბამისი დოკუმენტების მოძიება, რაც ამჟამად არსებულ და დამუშავებულ ლიტერატურაში არ ჩანს.

დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ როტმილდების ფრანგული (პარიზული) შტოს წარმომადგენლის, ალფონსოს, როლი კავკასიის ნავთობის მსოფლიო ბაზრებისთვის მიწოდებაში უზარმაზარია, ასევე დიდია მისი ფინანსური მოგებაც ამ საქმიდან. ნავთობის ტრანსპორტირებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სარკინიგზო მაგისტრალის განვითარებას. ამ პროექტში როტმილდისა და ნობელების უშუალო მონაწილეობა და მათი წილი საჭიროებს შემდგომ კვლევას და შესაბამისი დოკუმენტების მოპოვებას, ასევე -

¹ ამის საილუსტრაციოდ იხ. *სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, აჭარა, ტ. 3 (ბათუმის ოლქი 1877-1920), ბათუმი 2008, რომელშიც მთელი მე-6 თავი („სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა“) ეძღვნება ამ საკითხს (გვ. 293-356; იხ. ასევე გოგოლიშვილი, 2012).

² მთლიანად თუ არა, ამ ხარჯების ნაწილი მაინც. მაგალითისთვის იხ. P. Jaloustre, 2007, გვ. 1.

როტმილდ(ებ)ის ქველმოქმედების შესახებ ინფორმაციის კონკრეტული ფაქტებით გამყარებას.

სტატიაში განხილული მასალებიდან იკვეთება შემდეგი: 1. ალფონსო როტმილდი ძმებ ნობელებთან ერთად აქტიური და წარმატებული ნავთობმეწარმეა რუსეთის იმპერიაში და ის ნობელების ყველაზე სერიოზულ კონკურენტად გვევლინება; 2. მისი წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი ის ინოვაციური მეთოდები იყო, რომლებიც ნავთობის საექსპორტო შეფუთვასა და გადაზიდვაში დანერგა; 3. სტატიაში წარმოდგენილი მასალიდან არ ჩანს, რომ როტმილდი ბათუმში ან ბაქოში მუდმივად არის დამკვიდრებული (ნობელებისგან განსხვავებით); 4. მის ინტერესებს ბათუმში მისი ნდობით აღჭურვილი პირი, პოლონელი ზროდლოვსკი იცავს; 5. ეს ზროდლოვსკი არა მარტო მის ქარხანას ხელმძღვანელობს, არამედ ქალაქის ხმოსანი ხდება ორჯერ და ერთხელ სათათბიროს თავმჯდომარეც, რაც იმას ნიშნავს, რომ როტმილდის ბიზნესინტერესების დასაცავად ის ცდილობდა სამართლებრივი მექანიზმის კონტროლიც ჰქონოდა; 6. ზროდლოვსკის შესახებ ინფორმაცია ქართულ და უცხოენოვან პუბლიკაციებში ძალიან მწირია და მისი ბიოგრაფიის საკვანძო საკითხების (მაგ. როდის და სად დაიბადა; როდის და რა პირობებში ჩავიდა ბათუმში; სად და როგორ გაიცნო ალფონსო როტმილდი) დადგენა ჭირს; 7. ბათუმის ხელმძღვანელობა გამოირჩევა წარმოუდგენელი სიფრთხილით და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით: მიუხედავად იმისა, რომ როტმილდის შეთავაზება ქალაქის ეკონომიკაზე უდავოდ დადებითად აისახებოდა, ხმოსნები ამ ინიციატივას ფრთხილად და თავშეკავებით ეპყრობიან, რადგან მათ არ სურთ ერთმა გავლენიანმა მეწარმემ სხვა წვრილი მეწარმეები ჩაყლაპოს და უამრავი ადამიანი სამუშაოს გარეშე დატოვოს. 8. იმ პერიოდის ევროპაში სამსახურიდან დათხოვნა ისეთი მძიმე ფაქტია, რომ შურისძიების მიზნით მუშების მხრიდან მეწარმეებზე განხორციელებული ტერაქტებიც არ ყოფილა ცოტა.

თანამედროვე ბიბლიოგრაფიაში ალფონსო როტმილდის მოღვაწეობის მცირედი გაშუქების სავარაუდო მიზეზად შეიძლება ერთი რამ დავასახელოთ (სანამ თავად საკითხს უფრო ღრმად და დეტალურად შევისწავლიდეთ): რადგან ალფონსოს მოღვაწეობა ძირითადად კავკასიას დაუკავშირდა და მასზე არათუ ინგლისურად, რეგიონის ენებზეც კი არ არსებობს საფუძვლიანი კვლევა; შესაბამისად, ინფორმაციის არქონის გამო მკვლევრები ირჩევენ ის საერთოდ არ ახსენონ. ალბათობა, რომ როტმილდი მხოლოდ რეგიონისთვის იყო მსხვილი მეწარმე და საერთაშორისო ასპარეზზე ის დიდად აღარ „ჩანდა“, სავსებით უნდა გამოვრიცხოთ, რადგან მისი გრანდიოზული მასშტაბები ნამდვილად სცილდება ერთი რეგიონის საზღვრებს; როგორც დავინახეთ, ბაქოს ნავთობის წყალობით რუსეთი მსოფლიო ეკონომიკურ ბაზარზე ერთ-ერთ მთავარ მოთამაშედ იქცა. იმპერიის ამ ფინანსურ აღმავლობაში კი როტმილდის როლი ნამდვილად განუზომელი იყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბენდიანიშვილი, ა. (2008). კაპიტალისტური მრეწველობის აღმოცენება და განვითარება XIX საუკუნის 80-90-იან წლებში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. 3. ბათუმი. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2. გოგოლიშვილი, ო. (2012). საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1902-1904 წლებში. თბილისი.
3. თურმანიძე, ო. (2008). რუსული მმართველობის სისტემა და მხარის კოლონიზაცია. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. 3.

4. კავკასიის კალენდარი 1893 (Кавказский календарь на 1893) (1892). Тифлис.
5. კლდიაშვილი, დ. (1961). ჩემი ცხოვრების გზაზე/მოთხრობები. თბილისი. „საბჭოთა საქართველო“.
6. Asbrink, B. (Осбринк Б.). 2003. Империя Нобелей: История о знаменитых шведах, бакинской нефти и революции в России. მოსკოვი. გამომცემლობა «ТЕКСТ».
7. Corti, E.-C. (2003). The Rise of the House of Rothschild (1770-1830). Kessinger Publishing.
8. Cowles, V. (1973). The Rothschilds: a Family of Fortune. New York. Alfred A. Knopf.
9. Huseynova et al, 2009, A. Huseynova-N. Abbasova-A. Melikova, The Nobels and Baku Oil (Dedicated to 130th anniversary of Nobel Brothers' activity in Azerbaijan), Baku 2009 (in both Azerbaijan and English), http://www.branobelhistory.com/Global/Documents/BRANOBEL_130_Anniversary_Book.pdf
10. Jaloustre, P. (2007), The Oil Interests of the Rothschild of Paris. Between world competition and the Russian Government (1883-1912), paper presented at the European Business History Association (EBHA) 11th Annual Conference (Geneva, 13-15 Sept. 2007), ხელმისაწვდომია <http://www.ebha.org/ebha2007/pdf/Jaloustre.pdf>
11. Muhlstein, A. (1983). Baron James: The Rise of the French Rothschilds. Rizzoli International Publications.

საგანეთო პუბლიკაციები:

- | | | | | | |
|---|----|----------|-------|-------|----------------|
| ივერია, | 25 | მარტი | 1889, | #65, | ხელმისაწვდომია |
| http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/49537/1/Iveria_1889_N65.pdf | | | | | |
| ივერია, | 23 | აგვისტო | 1895, | #180, | ხელმისაწვდომია |
| http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/64642/1/Iveria_1895_N180.pdf | | | | | |
| ცნობის ფურცელი, | 10 | ნოემბერი | 1896, | #22, | ხელმისაწვდომია |
| http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/22492/1/CnobisFurceli_1896_N22.pdf | | | | | |
| ცნობის ფურცელი, | 13 | ნოემბერი | 1896, | #25, | ხელმისაწვდომია |
| http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/22495/1/CnobisFurceli_1896_N25.pdf | | | | | |
| ივერია | 22 | იანვარი | 1904, | #16, | ხელმისაწვდომია |
| http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/82517/1/Iveria_1904_N16.pdf | | | | | |

ინტერნეტრესურსები:

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალური ვებგვერდი <http://www.batumicc.ge>, გრაფა „ჩვენი ქალაქი“ .

როტშლდების ოჯახის გენეალოგია <https://www.rothschildarchive.org/genealogy/>

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები 1879-1926

საძიებო ბაზა <http://www.nplg.gov.ge/ilia/ka>

Eka Tchkoidze, Ilia State University

Rothschilds' financial interests in the Caucasus region at the end of the 19th c. and the beginning of the 20th century

Summary

After 1878, when the Adjara region was reunified with Georgia, the changes happened especially in Batumi were not only administrative-political and cultural. In a few years this small town became economically and commercially one of the most developed cities in the whole Russian empire. It happened due to two factors: its harbor had a naturally ideal depth; thus it was unrivalled on eastern shores of the Black sea. In addition, the railway network Baku-Batumi improved communication in the whole Caucasus and enabled to transfer Baku oil to global markets. Those two factors helped industrial development of Batumi. Many big and small manufactural factories were established. In the following decades three major oil entrepreneurs were connected to Batumi's oil manufactural factories: Nobel brothers, Alphonso Rothschild and Alexander Mantashev.

Alphonso Rothschild (1827-1905) was a representative of family's French branch and a little is known about his activity and economic interests in the Caucasus region. The article aims at filling this gap by providing information from different Georgian periodical editions and monographs published at that period.

**მარიამ მარტანიშვილი,
ეუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი**

უცნობი შტრიხები მათე კერესელიძის ეპისტოლეებიდან

ამ ბოლო დროს პირად არქივებში დაცული მრავალი ეპისტოლე გამოიხეურდა, რომლებიც ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტთა ცხოვრებიდან მრავალ საინტერესო შტრიხზე მოგვითხრობს. მათ შორისაა ლეგენდარული ძმების ლეო და გიორგი კერესელიძეების შვილების მარიამ, მათე და ლულუ კერესელიძეების წერილები, რომელიც თბილისში მცხოვრები მამიდის ელენე გლურჯიძის პირად არქივებშია დაცული.

ამჟამად გიორგი კერესელიძის უფროსი ვაჟიშვილის მათე კერესელიძის ცხოვრება-მოღვაწეობიდან დღემდე უცნობ ეპიზოდებს გვინდა შევხვით.

დუშეთის ამბის გამო ევროპაში გადახვეწილი ლეო და გიორგი კერესელიძეები, ასევე მათი დეიდაშვილი ნესტორ მაღალაშვილი რუსეთის მოთხოვნით შვეიცარიაში დააკავეს. ჟენევის სასამართლომ ისინი უდანაშაულოდ ცნო იმ მოტივით, რომ 1783 წლის ხელშეკრულების დარღვევით საქართველოში რუსეთის ბატონობა უკანონო და წინააღმდეგობი იყო საერთაშორისო სამართლით. აქედან გამომდინარე, ბრალდებულებიც მხოლოდ პატრიოტულ-რევოლუციონური აქტის ჩამდენად აღიარეს.

განთავისუფლებულები ჟენევაში დამკვიდრდნენ. მათგან მხოლოდ გიორგი კერესელიძე იყო უკვე ცოლშვილიანი.

„ორმოცდახუთმეტი წლის განუყრელი მეგობრობა და თანამშრომლობა მაკავშირებდა მე გიორგისთან. პირველად ვნახე იგი თბილისში 1905 წელს. შვეიცარიაში, ჟენევაში ვიცნობდი და ვმეგობრობდი მის უფროსს ძმას ლეო კერესელიძეს, რომელიც ჩემზედ უფრო ადრე დაბრუნდა საქართველოში, და მეც რომ დავბრუნდი 1905 წელს, მის სანახავად მივედი გიორგის ბინაზედ...“

ვიხილე მშვენიერი ახალგაზრდა ვაჟკაცი, უკვე დაქორწინებული. მისი მეუღლეც, თამარ ციციშვილის ასული, იქ იყო, და ორივე შეჰხაროდნენ პირველ შვილს მათეს, რომელიც გიორგის ეჭირა და ათამაშებდა...

დუშეთის საქმის გამო ლეო კერესელიძე, უმთავრესად მონაწილე ამ საქმისა, უცხოეთში გადმოიხვეწა 1906 წელს და დამკვიდრდა ჟენევაში. მალე გიორგიც იძულებული იყო ცოლ-შვილით გადმოსახლებულიყო აგრეთვე ჟენევაში“ (წერეთელი (1962). ნეკროლოგი - გიორგი კერესელიძე. *ბედი ქართლისა*. N39-40, გვ.11-13).

ბაბუის სეხნიამ მათე კერესელიძემ, მართალია, თვალები სამშობლოში აახილა, მაგრამ ემიგრაციის გზას ისეთი ჩვილი გაუყენეს, რომ თავისი ქვეყნის ბუნების მშვენიერების, ცისა და მიწის საიდუმლოების აღქმაც ვერ შეძლო. მის ბავშვურ გონებას იგი მხოლოდ დედის მონათხრობით მიეწოდებოდა.

მეოცნებე ბიჭს დედა ისე ნელა და ისე ტკბილად უყვებოდა სამშობლოზე, თითქოს ნაკადული ჩურჩულებდა მის ბაგეთაგან. თამარის ხმაში იმდენი გრძნობა და თილისმა იყო, რომ ბავშვი მთელი ღამე ვერ იძინებდა და ბორგავდა.

დედის ნაამბობის შემდეგ ყოველ საღამოს სიტყვას აძლევდა თავს, რომ ოდესმე უთუოდ წავიდოდა იმ საარაკო ქვეყანაში, რომელსაც საქართველო ერქვა სახელად.

მთელი ბავშვობა მათე კერესელიძე ხან ჟენევაში, ხან გერმანიაში ცხოვრობდა და სწავლობდა. ბოლოს მთელი ოჯახი საფრანგეთში დამკვიდრდა. მან მშობლიურ ენასავით შეისწავლა გერმანული და ფრანგული ენები. „მათეს აუარებელი სამუშაო აქვს, ინტელექტუალური ხასიათისა, რაც სავსებით შეეფერება მის ბუნებას. მართალია, ჯერ სარფიელი მაინც და მაინც არ არის, ხოლო რადგან მისი ნაწერები, მისი კრიტიკა, მისი აზრები დიდად მოსწონთ, იმედი დიდია, რომ მალე ჩამოყალიბდება მისი მდგომარეობა. არ უნდა უწყინო, თუ ვერა გწერს. დრო სულ არა აქვს და მეც ძალიან იშვიათად მწერს. ისიც იმიტომ რომ აუცილებელია მისთვის, ზოგ რამეში ჩემი აზრი მოისმინოს“ (კერესელიძე, ვეზინე, 1959, გვ.2).

მათეს მთარგმნელობით საქმიანობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ერთი ამონარიდიც: „საყურადღებოა, რომ ლეო კერესელიძეს ჟენევაში 1918 წელს გამოუცია 45-გვერდიანი წიგნაკი „Fantasies Orientales“, რომელიც შეიცავს რამდენიმე ფანტაზიას. ამათგან ერთი - „თამარ მეფე და მისი მგოსანი შოთა რუსთაველი“ - ავტორისეული თარგმანია, ხოლო მეორე - „ბაზალეთის ტბა“, რომელიც ფრანგულიდან უთარგმნია ფსევდონიმს ამოფარებულ ვინმე „მათე-ლულუს“, დაბეჭდილია „ქართულ გაზეთში“ (შარაძე, 2001, გვ.157).

„მათე-ლულუ“ - ლეო კერესელიძის ძმისშვილები არიან. ისინი ყმაწვილობიდან ეწეოდნენ მთარგმნელობით საქმიანობას. სავარაუდოდ, ბიძამისის ფრანგულ ენაზე დაწერილი „ბაზალეთის ტბა“ მათ მიერ იყო თარგმნილი.

დიდი ქართული საქმისათვის უცხოეთში გახიზნული მამულიშვილები, მათ შორის ლეგენდარული ძმები კერესელიძეები, ჯერ საქართველოს თავისუფლებისათვის, ხოლო შემდეგ კი ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტებთან ერთად დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ჩირაღდნებივით ენთნენ. ამ დიდ ნათებაში სანთლებივით იწვოდნენ მათი შვილებიც.

„ვენაში ჯარისკაცთა სახლში“ ვნახე უაღრესად სასიამოვნო, განათლებული ქართველი, ბატონი მათე კერესელიძე, პარიზელი ემიგრანტი.

... მათე კერესელიძეს ისევ შევხვდი 50-60-იან წლებში - ამჟამად დიუსელდორფში... ის, რაც მან და მისმა თანამებრძოლებმა ნამდვილი მეორე მსოფლიო ომის დროს მოიმოქმედეს, ქართველთა ეროვნული ინტერესების დასაცავად იყო გამიზნული, ისინი თავსაც წირავდნენ ამისათვის, თუმცა მათი ეს ღვაწლი შეუფასებელი დარჩა (გაბლიანი, 1998, გვ.129-131).

დიდი პირუთვნელობითა და ანალიტიკური სიღრმით დაწერილმა გივი გაბლიანის მოგონებამ ზემოაღნიშნული დეტალით იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ცნობილი ბიძისა და მამის ჩრდილქვეშ დიდხანს მდგომი მათე კერესელიძე უკვე პოლიტიკურად და ინტელექტუალურადაც გამორჩეული პიროვნება გამხდარიყო.

ცნობილია, რომ 1925 წლის 15 ივნისს პარიზში გამართულ დამფუძნებელ კრებაზე საქართველოს პატრიოტულმა ახალგაზრდობამ შექმნა „თეთრი გიორგის“ ორგანიზაცია. ხოლო, რაც შეეხება „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციის ბეჭდვით ორგანოს, გაზეთ „თეთრი გიორგის“, მისი პირველი ნომერი 1926 წლის 25 აგვისტოს გამოვიდა. მის ფურცლებზე მათე კერესელიძის თარგმანები სისტემატურად იბეჭდებოდა.

მათე კერესელიძეს ბავშვობიდანვე სულს უფორიაქებდა ემიგრაციაში ცხოვრება. იგი მოზღვავებულ კითხვებზე პასუხს მოითხოვდა: „რატომ არ ჰქონდა სამშობლო?... ვინა ვართ?... რატომ დაგვემართა ასე?... საქართველოს ბედი რისთვის ქანაობდა რაღაც უცნაურ საბედისწერო „საქანელაზე“?“

ცხოვრება დულდა, ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მეორეს ცვლიდა, ერები იბრძოდნენ, იკაფავდნენ გზას... ამ ორომტრიალში უცხოეთში გადახვეწილი ქართველობაც ქარველობაც ამხედრებულიყვნენ.

მათე კერესელიძე კარგად ხედავდა, რომ საქართველოში 20-იანი წლების დრამატული სპექტაკლები საბედისწეროდ იყო გათამამებული და არ სურდა მისი ქვეყანა კვლავაც დიდ თეატრად დარჩენილიყო.

და, აი, ხუთი წლის შემდეგ, 1930 წლის თებერვალში, „თეთრი გიორგის“ დამაარსებელი მამების შვილებმა ბერლინში მსგავსი პატრიოტული ორგანიზაცია იმავე წესდებითა და იდეოლოგიით დაამკვიდრეს. ამ ორგანიზაციის წევრები მათე კერესელიძე მმასთან, ლულუსთან (ლეო), ერთად გახდა. იქვე მოღვაწეობდა მიხაკო წერეთლის ერთადერთი ვაჟი ოთარ წერეთელიც. ახალგაზრდები უშვებდნენ გაზეთ „თეთრი გიორგის“, რომელშიც ძმები კერესელიძეები აქტიურად თანამშრომლობდნენ. მათ სწამდათ, რომ „თეთრი გიორგი“ ქართველ ერს „ერთ მებრძოლ არსად გააერთიანებდა... ქართველი ერი, მძლავრი თავისუფლების სურვილით, შეიარაღებული გაერთიანებით გაჰგმირავდა მონობას“.

საყურადღებოა ბერლინში დაარსებული გაზეთ „თეთრი გიორგის“ რედაქციისთვის გაგზავნილი მათე კერესელიძის წერილი: „ძვირფასო მეგობრებო, დიდი სიამოვნებით ვასრულებ თქვენს თხოვნას და თქვენს გაზეთს აღუთქვამ თანამშრომლობას. თუმცა ჯერ ფიცი არ დამიღია და „თეთრი გიორგის“ წევრი არა ვარ, მაგრამ სულით, გულით და მთელი ჩემი შეგნებით თანაგიგრძნობთ. გიგზავნით ჩემს პირველ წერილს: „25 თებერვალი“. თუ

მკითხველის ყურადღების ღირსია, გთხოვთ თქვენი გაზეთის თებერვლის ნომერში მოათავსოთ“.

ხსენებულ სტატიაში მათე კერესელიძე აღნიშნავდა: „ემიგრაციაში აღზრდილს, მე, საქართველოს დამოუკიდებლობის დროსაც უცხოეთში მომიხდა დარჩენა. ზედმეტია აღწერა იმ გრძნობებისა, რომელნიც საქართველოს განთავისუფლების ამბავმა ჩემში განაღვიძა: გრძნობა ამაყი, თავისუფალ მშვენიერ ქვეყნის - თავისუფალი შვილისა.

მსგავსი აღფრთოვანების გადმოცემა ხომ შეუძლებელია. ძილიდან, რომელსაც დასტიროდა ჩვენი ილია, გვეღირსა ჩვენ გამოღვიძება. საშინელ ღამის შემდეგ მზე ისევ ამოვიდა და გაანათა ახალი სიმშვენიერით ჩვენი მამული. წარსული შავ სიზმრადღა გვეჩვენებოდა...

რა უღრმესი პატივისცემა მქონდა ჟორდანიასი... საქართველოს განმათავისუფლებლისა... იმ ადამიანის, რომელიც კვლავ ხელთ იღებდა ერეკლეს, თამარის, დავითის დროშას - რათა თავისუფლად გაეფრიალებინა თავისუფალ მშვენიერ ქართველთ მამა-პაპეულში...

მახსოვს, რა სიამაყით უყურებდით საქართველოს რუკას მე და ჩემი მასწავლებელი, ალექსანდრე გოზალიშვილი. ჩვენს ოცნებაში იხატებოდა ის დრო, როდესაც ჟორდანია საქართველოს შემოუერთებს ჩვენი სახელმწიფოს ფარგალთა გარეშე დარჩენილ ჩვენი ძმების მიწა-წყალს...

მოკლე ხნის სიხარული გამოდგა. რუსები თბილისში შემოვიდნენო! - როგორ? რა მოხდა?... ყალბი ცნობები იქნებოდა, შეუძლებელი რამ არის... გულს არ სჯერა ამდენი უბედურება.

და ჩემს, ჯერ კიდევ ბავშვურ, წარმოდგენაში ასი ათასობით ვხედავდი შემოსეულ ბარბაროსების ბრბოებს...

ერთ საზიზღარ დღეს მოდის ამბავი: მთავრობამ დაჰკრა ფეხი და დედა-ბუდიანად პარიზში ამოყო თავი...

აი იშვიათი შემთხვევა მოგზაურობისათვის...

საქართველო პირველი მაგალითი არის სულის ასეთი სიდიადისა: თითქმის უმუშო ქვეყანამ თავი შესწირა მუშათა ინტერნაციონალის ყალბ იდეალებს და მთავრობის პაციფისტურ სულისკვეთებას...“

მათე კერესელიძე სტატიაში დეტალურად მიმოიხილავს საქართველოს ისტორიას, მისი ბედუკუდმართობის ხანას და საბოლოოდ ასეთ დასკვნას აკეთებს: „25 თებერვალი... რამდენი ტანჯვა და რამდენი წლების ისტორიაა ამ მოკლე სიტყვებში. 9 წელიწადია, რაც საქართველო თავის ეროვნულ გოლგოთას ადის და ვინ იცის, როდის აივლის მას... ვინ იცის, რამდენ მსხვერპლს მოითხოვს კიდევ უთანასწორო ბრძოლა თავისუფლებისათვის.

ჩვენმა თაობამ თავისუფლება მხოლოდ სამი წლის განმავლობაში იგემა. მაგრამ ეს ისეთი ტკივილი იყო, მას ისეთი გარდამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ერის მიძინებულ ნაწილებშიც კი, რომ მტერი თუნდ ათჯერაც უფრო გაძლიერდეს, ჩვენ მაინც ქართული სიამაყით შევძახებთ: ან სიკვდილი, ან გამარჯვება...“.

„თეთრი გიორგის“ შემდეგ ნომერში, რომელიც 26 მაისს გამოვიდა, დაბეჭდილია მათე კერესელიძის ანალიტიკური სტატია „მარქსისტული მეცნიერება“. ავტორს წარსულ საუკუნეში მომხდარი მოვლენებიდან ყურადღება გამახვილებული აქვს ორ ფაქტზე: „წარსულ საუკუნეში მედიცინამ აღმოაჩინა ისეთი წამალი, რომლითაც სიცხის დაცემა შეიძლებოდა: ეს იყო ანტიპირინი. ექიმებს სიცხე ავადმყოფობა ეგონათ. ვერ მიუხვდენ, რომ სწორედ სიცხე არჩენს ადამიანს ავადმყოფობისგან, რათგან მავნე მიკრობები ვერ იტანენ ამაღლებულ ტემპერატურას. გაეხარდათ ჩვენს ექიმებს და დაიწყეს ამ წამლის დარიგება. ავადმყოფებს უფრო ავად ჰხდინდენ და ასობით წუთისოფელსაც გამოასალმეს. საკვირველი იყო ექიმთა

სისულელე. ავადმყოფი კვდებოდა ხოლმე განკურნებული. მას ხომ სიცხე აღარ ჰქონდა! - ასე ჰფიქრობდნენ მეცნიერები“.

ამავე სტატიამი მათე კერესელიძე პარალელს ავლებს იმავე საუკუნეში შობილ მეორე სენზე, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ: „ეს იყო კარლ მარქსი. გადაავლო თვალი ასი წლის განმავლობაში მომხდარ მოვლენებს და შეჰქმნა თეორია ისეთს აქსიომებზედ აშენებული, რომელთაც არავითარი საფუძველი არ ჰქონდათ. ამ წუთიდან მან უკვე გადაწყვეტით იცის, რომ მოხდება კაპიტალის პროგრესული კონცენტრაცია, მშობელი მამა პროლეტარიზაციისა...“

მარქსისტთა მეცნიერება მაგონებს ალქიმიას. ეძებენ ისეთ რამეს, რაც არ არსებობს: ფილოსოფურ ქვას, რომელიც ოქროთ გადააქცევს ყოველ ლითონს და ადამიანს ყოველივე ბედნიერებას მიანიჭებს.

ხოლო ალქიმიისტი ამ ძებნაში სულ ბევრი თავის თავს დაღუპავდა ხოლმე, - მარქსისტები კი, - მილიონობით ადამიანებს და მთელ ერებსაც...

როდის დადგება ის დრო, როცა სოციალისტთა ალქიმიას ქიმია შესცვლის და ამ ორიოდე სასარგებლოს, რაც შეიძლება მათ ალქიმიასი იმალებოდეს, განსწმენდს აუარებელ სიყალბიდან და კაცობრიობას ცოტაოდენ კეთილს მაინც შესძენს?“

ბერლინის „თეთრი გიორგის“ თავმჯდომარე იყო გარდაცვალებამდე მიხაკო წერეთლის ვაჟი ოთარ წერეთელი.

„... გადალახა თუ არა გერმანიის ჯარებმა რუსეთის იმპერიის საზღვრები, უკვე აშკარად გამოიკვეთა გერმანია-საქართველოს ინტერესები. ემიგრანტების დიდმა ნაწილმა თავისი დაუოკებელი ჟინით ორი საქართველოს გასამთლიანებლად და საკაცობრიო ცხოვრებაში ქართული სახელმწიფოებრიობის ხელახლა დასამკვიდრებლად დიდ სახელმწიფოთა შორის რუსეთის იმპერიის დამშლელად გერმანია მიიჩნია და ამიტომაც მეორე მსოფლიო ომში მაშინვე გერმანიის მხარე დაიჭირა.“

გერმანელებსაც თავის მხრივ კავკასიაში გადასასროლად ემიგრანტებისა და ტყვედ ჩავარდნილთა ჯგუფი სჭირდებოდა.

ანტისაბჭოთა დაჯგუფებაში მყოფი ქართველი ემიგრანტები გერმანელთა მხარეს ფორმალურად - სხვისი ინტერესებისათვის, ხოლო გულში ყველა საქართველოს აღდგენისათვის ფიქრით იბრძოდა.

საერთოდ, ქართველი ემიგრანტები მეორე მსოფლიო ომის დროს უმთავრესად „იმ შეგნებით იკვებებოდა, რომ ჩვენი ქვეყნის ხსნა მხოლოდ რუსეთის დამარცხებას, ანუ გერმანიის გამარჯვებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა; ხოლო გერმანელებს გერმანიის გამარჯვებისათვის აუცილებლად მიაჩნდათ ჰიტლერის რეჟიმის შეცვლა და ისინი გულში იმედს ატარებდნენ, რომ ამ შეცვლის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ევროპა-ამერიკასთან შეთანხმება, რაც გერმანიას გამოუვალ მდგომარეობიდან გამოიყვანდა“ (ქავთარაძე, 2007, გვ.154).

გამოდის, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს არსებობდა ორად გათიშული გერმანია: ერთი, რომელიც ტევტონების მანიით - გერმანელი რასის უპირატესობით - იყო შეპყრობილი, ანუ ფაშისტური გერმანია და „მეორე - ევროპის გაერთიანების იდეით შეპყრობილი გერმანია, რომელსაც უნდოდა ევროპის გაერთიანება, რათა მისი ცალკეული სახელმწიფოები ამერიკის, რუსეთის და ჩინეთის სათამაშოდ არ გადაქცეულიყვნენ, ამიტომ არსებობდა ძლიერი წინააღმდეგობა გერმანიის მხედრობაში ჰიტლერის რეჟიმისადმი“ (ქავთარაძე, 2007, გვ.154).

ამის დასტური იყო ჰიტლერზე თავდასხმა, რასაც 5000 გერმანელი ოფიცრის ჩამოხრჩობა მოჰყვა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე გერმანიაში უკვე დაარსებული და ორგანიზებული იყო ე.წ. დამაკავშირებელი შტაბი. ამ შტაბის დანიშნულება იყო ქართველთა და გერმანელთა შორის არსებული პრობლემების საერთო შეთანხმებით გადაწყვეტა. იმხანად გერმანულ მუნდირს 40 000-მდე ქართველი ატარებდა. ნახევარი ამათგან საბრძოლო

ბატალიონებისა და სხვადასხვა გერმანულ შენაერთში მყოფი ქართველებისგან შედგებოდა. მეორე ნახევარი კი სამუშაო ბატალიონი იყო.

ანტიფაშისტურ დაჯგუფებაში პარიზელ ქართველ ემიგრანტთა დიდი ნაწილი ჩაეწერა, მათ შორის „თეთრი გიორგის“ წევრებიც, ამის საფუძველზე შეიქმნა „თამარ I“ და „თამარ II“.

„თამარ I“-ის შემადგენლობაში იყვნენ: ბახტაძე მიხეილ, ბეგიაშვილი იროდიონ, ბერძენიშვილი გიორგი, ბურძგლა მიხეილ, გოგორიშვილი მიხეილ, გრიგოლია მიხეილ, გაბუნია გიორგი, აბაშიძე ზურაბ, კაკულია ლეო, კანკავა ალექსანდრე, კერესელიძე მათე (თარჯიმანი), ივანიძე გიორგი, მალაქელიძე შალვა, მიროტაძე გრიშა, მონიავა ვიქტორ, ხარისჭირაშვილი დათიკო, რომელსაც ემატებოდა ათი კავკასიელიც.

წარსულში გერმანელების მიმართ ნდობამ განსაზღვრა ისიც, რომ ანტისაბჭოთა ორგანიზაციებში ჩაერთნენ არა მარტო მათე კერესელიძე, არამედ ბიძამისი „თეთრი გიორგის“ ხელმძღვანელი ლეო კერესელიძე და მისი ქალიშვილი მარიამ კერესელიძეც, რომელიც მამის დახმარებით პოლიტიკურ დავალებებს ასრულებდა; აგრეთვე მათეს უმცროსი ძმა, საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონის ოფიცერი - ლეო (ლულუ) კერესელიძე.

„თამარ I“-ის შენაერთში ქართველ ჯარისკაცებთან ერთად საქართველოში პარაშუტებით გადასხმისთვის ემზადებოდა მათე კერესელიძეც. ოპერაციას ჰერმანი ამზადებდა.

„მათე კერესელიძის ჯგუფი „თამარ I“-ის შენაერთიდან მართლაც გადასხდა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში 1942 წლის გაზაფხულის დამლევს თუ ზაფხულის დასაწყისში. ზოგი დაიღუპა, ზოგიც დაიჭრა საბჭოთა ძალებთან შეტაკებისას, დანარჩენები ტყვედ ჩაიგდეს. მათე იმ უმცირესობაში მოჰყვა, რომლებიც ყველას გასაოცრად, საბჭოთა ხელისუფლებამ გაათავისუფლა 14-15 წლიანი პატიმრობის შემდეგ და დასავლეთში დაბრუნების ნება დართო. მათე კერესელიძე, ჯერ ერთი, არასდროს ყოფილა საბჭოთა მოქალაქე, თანაც მას ან ხრუმჭოვის კანონმა უშველა, სტალინის გარდაცვალების შემდეგ რომ გამოვიდა, ან კანცლერ ადენაუერის მცდელობამ, რომელიც მოსკოვში ჩასვლისას გერმანელი ტყვეების თაობაზე მართავდა მოლაპარაკებას“ (გაბლიანი, 1998, გვ. 130).

მეორე ვერსიის თანახმად: „1942 წლის ზაფხულში, მთელი კავკასიის მასშტაბით დაიწყო „დივერსანტ პარაშუტისტთა“ გადაგზავნა ამ რეგიონში. პატარა ჯგუფები თვითმფრინავებით გადასროლილი იქნენ საქართველოშიც. ძირითადი ასაფრენი ბაზა ყირიმში მდებარეობდა. ჯგუფის წევრები კარგად ეკიპირებული იყვნენ. ზოგიერთ ჯგუფში ჩართეს გერმანელი ინსტრუქტორებიც. „ერთ უკუნეთ ღამეში ყველანი პლანერებით გადაგვისროლეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში“, - იგონებს მათე კერესელიძე. არადა, არც ერთი ქართველი ადრე პარაშუტით არ გადაფრენილა. მათ ამისათვის მხოლოდ თეორიული მომზადება ჰქონდათ გავლილი“ (სულაძე, 2012, გვ. 350).

ცნობილია, რომ საქართველოში გადასროლილ „დივერსანტ პარაშუტისტებს“ საქართველოს შინსახკომი სასტიკად უსწორდებოდა, რომელიც მაშინვე გახდა ცნობილი, როგორც გერმანიის სარდლობის, ისე ქართველი ემიგრანტებისთვისაც.

არსებული ჩავარდნების მიუხედავად, გერმანელები შეუფერხებლად აგზავნიდნენ კავკასიაში თავიანთ მომზადებულ დივერსანტებს. მათ მიმართ სასტიკ დასჯას ახორციელებდა საბჭოთა უშიშროება, რომელშიც იგულისხმებოდა ლიკვიდაცია და იმათ ვინც ნებაყოფლობით ბარდებოდნენ სამართალდამცავ ორგანოებს ასეთივე სისასტიკით პასუხობდნენ. მცირე გამონაკლის იჩენდნენ დივერსანტ-პარაშუტისტთა ჯგუფში მონაწილე ემიგრანტების მიმართ.

მათე კერესელიძის ნაამბობის თანახმად, ირკვევა, რომ საქართველოში მასთან ერთად გადასროლილი ყოფილან: „დათიკო ხარისჭირაშვილი (ტყვედ ბარდებოდა, მაგრამ გამანადგურებელი ბატალიონის წევრებს მაინც დაუხვრეტიათ ადგილზე), ბურძგლა, შალიკო მალაქელიძე, კუკური ქოჩაკიძე და ალექსანდრე კანკავა. მათთან ერთად ყოფილან

გერმანელი ინსტრუქტორები: უნტეროფიცერი ბლოლი და გერმან მიულერი (ეს უკანასკნელნი დახვრეტილები ხეებზე უპოვიათ)“.

მათე კერესელიძის ინფორმაციით, „ალექსანდრე კანკავას თურქეთის საზღვრებისაკენ მოუხერხებია გაქცევა (ალბათ საამისოდ ვინმემ შეუწყო ხელი). შ. მაღლაკელიძე კი თითქოს ჩაუქვავებიათ და ისე მოუკლავთ. დანარჩენები სხვადასხვა კუთხეში დაუბოციათ...“ კ. ქოჩაკიძისა და ბურძგლას ბედი, კერესელიძის გადმოცემით, საქართველოში მათი შეპყრობის შემდეგ უცნობია (სულაძე, 2012, გვ. 351).

1942 წლის გაზაფხულიდან წლის ბოლომდე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქართველ „დივერსანტ პარაშუტისტთა“ რამდენიმე ჯგუფი იქნა გადმოსროლილი. ადგილობრივ მოსახლეობასთან მათი კონტაქტის გამო ქართველ ჩეკისტებს განსაკუთრებული დადგენილება მიუღიათ, რომლის ძალითაც დივერსანტები და მათი ხელშემწყობი ადგილობრივი მოსახლეობა დახვრეტილად ისჯებოდა.

1942 წლიდან ტყვედ ჩავარდნილი მათე კერესელიძის ბედი ოჯახისთვის უცნობი იყო. 1956 წლის 16 თებერვს ვეზინეში ბარათი მოვიდა: „ეს მათეს პირველი წერილი იყო, რომელმაც დიდი სიხარული გამოიწვია, ვინაიდან, - 13 წლის საშინელი განცდების შემდეგ - გავიგე და დავრწმუნდი მათეს კარგად ყოფნაში... მათე მწერს თუ მამიდა ელენე და ლიზა თუ არა ამდებნანს სიცოცხლესაც ვერ შევინარჩუნებდით“ (კერესელიძე, ვეზინე, 1956).

საბჭოთა ჯურღმულიდან გამოგზავნილი წერილი ძლივს იკითხება. მათე კერესელიძეს ერთადერთი მამიდის, თბილისში მცხოვრებ ელენე გლურჯიძისა და ბიცოლა ლიზა კერესელიძის გაგზავნილი ამანათები, როგორც თვითონ ამბობდა, მას სიცოცხლეს უნარჩუნებდა.

თბილისელ ნათესავებს მათე კერესელიძემ უფრო ადრე მიაწვდინა ხმა, რასაც 1946 წლის 2 დეკემბრით დათარიღებული პირველი წერილი ცხადყოფს:

„Жена - Акра 2.XII.46

Дорогая тетя, дорогой дядя.

Не знаю получили ли все мои письма и мой телеграм, где я вам сообщил что уезжаю из Актюбинска. Теперь я приехал на новое место. От дороги немного устал и вообще чувствую слабость. Главным образом меня мучает зима и холод и потому обращаюсь к вам с просьбой. Пришлите мне если вам не трудно тёплое нижнее белье, чулки, рукавицы, кашне, побрянки, старые брюки, вообще все что старое, новых не надо. Можно это все послать багажем где больше чем 8 кг. принимают. Продукты тоже желательны, но конечно при условии, что это вас не стесняет.

От вас уже больше года писем не получил. Пишите чаще. Посылку от Вахтанга в Актюбинске получал, в Августе, но никаких писем.

Так же письмо пишу дяде Вахтангу, может быть оно дойдет.

Мой новый адрес: М.Е. Кереселидзе.

Карагандинская обл. н/от жена - Арка п/я 246-2

Всех много, много раз целую

Ваш Мате

Дорогая Елена

От Вахтанга получил письмо. Писал вам и ему по два письма.

Он мне пишет, что дядя Сандро скончался. Я не нахожу слов вам свое горе высказать. Сам я на себе испытал как страшно потеря дорогого человека. Страшно думать, как окружающий мир постепенно опустошается. Я как то хранил надежду всеми с вами увидится и вот еще одним

меньше. Папа мне часто о вас и о дяде Сандро рассказывал и я вас любил, хотя не знал вас. Лео тоже часто вспоминал вас, Гиви и его сестру (я пишу Гиви и вижу его даже точно его имя и имя его сестры не помню. Лео тоже (не знаю писал я вам или нет) погиб во времена бомбировки Берлина.

Я вас очень прошу пишите мне часто как поживаете, что мои племянники делают. Мне ваши письма очень дороги, ведь вы единственные родственники и ваши письма единственная связь с внешним миром.

Тваладзе мне пишет что он у вас был, я надеюсь он вам понравился.

О себе что писать не знаю. Жизнь скучно протекает и зима опять приближается страшная, суровая казахстанская зима. Но какнибудь....

Я вас крепко, крепко целую

Ваш Мате“ (კერესელიძე, ყარაგანდა, 2.12.46., 30.08.48, გვ.1).

რუსულად დაწერილ წერილში ადრესატი მიანიშნებდა, რომ რამდენიმე წელიწადი ცდილობდა მათთან დაკავშირებას. შემდეგი წერილი 1948 წლის 30 აგვისტოთი თარიღდება, რომელშიც აღნიშნულია, რომ მათი წერილი მიიღო. ეს წერილიც რუსულ ენაზეა დაწერილი და ზოგადად მის ავადმყოფობას ეხება.

გადასახლებიდან გამოგზავნილი მათეს წერილები დიდი ბელადის გარდაცვალებამდე რუსულად იყო დაწერილი, შემდეგ კი უკვე ქართულ ენაზე წერდა:

„ჩემო ძვირფასო ელენე!

მივიღე შენს მიერ და ლიზას მიერ გამოგზავნილი ფული. ხომ ვიცი, როგორ გიმნელდებათ და პირდაპირ გული მეწვის. რადგანაც ჩემი აქ ყოფნა გაგრძელდა და ვინ იცის კიდევ რამდენი ხანი მომიხდება ცდა, ყოველ ძალას ვადებ, როგორმე სამუშაო გამოვნახო. ფიზიკური შრომის მიღება რასაკვირველია უფრო ადვილია, არც მეშინიან. ამ 14 წელიწადში შევეჩვიე; ხოლო მოგება მეტად დაბალია და თანაც ვშიშობდი ავად არ გამხდარიყავ, ისიც მაფიქრებდა, რომ უკვე სხვა გზის გამონახვა გამიმნელდებოდა და თითქმის შეუძლებელი გახდებოდა.

ეხლა კი პერსპექტივები გაუმჯობესდა. ახალ აღმოჩენილ ნაცნობებში ჩემი თარგმნის ნიჭის ავტორიტეტი მკვიდრად დავამყარე. ბევრს მშველის ფრანგული ზრდილობა-დიპლომატიის უნარი, რომელიც, როგორც მეუბნებიან, თურმე მაღალ დონეზე მქონია შეთვისებული. ისიც დაუმატე, რომ ფრ. კონსულის ნაჩუქარი, პარიზში შეკერილი, კოხტა თუმცა ცოტა შეხუნებული კოსტიუმი მაცვია, და დროზე ვიცი ანანასით ძღვენის მოტანა (რის შემდეგ მართალია 3-4 დღის მარხვის შენახვა მჭირდება ხოლმე). ერთი სიტყვით, თუ ძალიან არ ვცდები, საქმე საიმედო გზაზეა დაყენებული.

შემიძლია ფრანგული, გერმანული და ინგლისური ენებიდან ვთარგმნო, აგრეთვე ფრანგულ და გერმანულ ენაზე წერა, რომელიც რასაკვირველია ბევრად უფრო ხელსაყრელია. ხელთ მაქვს ინგლისური რომანი, რომელიც ჩემის დარწმუნებით აქ მისაღებია და ერთნაირ ყურადღებას მოიმსახურებს, ამაზე მოლაპარაკება მაქვს „ვაკრუგ სვეტის“ თანამშრომელთან...“ (კერესელიძე, 1.07.57).

ცნობილია, რომ „მიხეილ კედიას შუამავლობით ემიგრანტებისაგან შექმნილ ნაწილებში მრავალი მოხალისე ჩაეწერა. საჰაერო-სადესანტო ნაწილს „თამარ პირველს“ მათე კერესელიძის მეთაურობით რუსეთთან ომის დაწყებამდე ახალ ორლეანთან წვრთნიდნენ, როგორც პარტიზანულ რაზმს. ასწავლიდნენ აფთიაქში ნაყიდი წამლებით ბომბების დამზადებას, კავშირგაბმულობას, რუკების კითხვას, ორიენტირებას და ა. შ.

ნაწილზე დაწვრილებით მოგვითხრობს ემიგრანტი, ეროვნულ-დემოკრატი მიხეილ ქავთარაძე. „იგი შეიქმნა სსრკ-სთან ომის გამოცხადების დღეს, 22 ივნისს ვენაში და მასში 17

კაცი გაერთიანდა: მიხეილ თარაშვილი, შოთა ბერეჟიანი, გოგი ჭაჭიაშვილი, კობა ხოჭოლავა, გოგი გაბუნია, გოგი ბერძენიშვილი და სხვები.

1942 წლის ზაფხულში საქართველოში დესანტის ჩასხმის შემდეგ მისი წევრების დიდი ნაწილი დაიღუპა, ნაწილი ტყვედ ჩაიგდეს გამანადგურებელმა ბატალიონებმა, ან საბჭოთა მოქალაქეებმა ჩააბარეს ხელისუფლებას.

მათე კერესელიძე 15 წელი იყო დატყვევებული ციმბირის გერმანელთა ბანაკში, სანამ მოსკოვში საფრანგეთის საელჩოს ძალისხმევით გაანთავისუფლებდნენ,“ - აღნიშნავს რუსუდან დაუშვილი (დაუშვილი (2012). გიორგი თუხარელი. *Prime Time*. გვ.52).

„ამ ერთი კვირის წინ დიდი იმედი მომეცა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ცოტად ავჩქარდი. საქმე ის არის, რომ ჩვენი ჯგუფიდან ამ მოკლე ხანში 6 კაცი უნდა წავიდეს, ერთი მათგანი ბელგიაში მიემართება, - ჩემ ოთახში ცხოვრობს. და მას ეჩვენა, რომ უცხოელთა განყოფილების უფროსმა სთქვა, რომ განყოფილებამ განკარგულება მიიღო ფესტივლის წინ ყველანი გავეშვით. როგორც გამოვარკვით, ეს განკარგულება ეხებოდა ამ 6 კაცს. მართლაც უნდა წავიდნენ 23-ში. მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი რიგიც მალე მოვა. იგივე დროს ჩავაბარე განცხადება გასვლის შესახებ. პარიზიდან დიდი ხლავორთის შემდეგ ჩემი დაბრუნების ფული საელჩოში გადმორიცხეს.

ჩემი ძმის ლულუს წერილმა შემაფიქრინა. თურმე მამა ავად ყოფილა. ლულუ იწერება არაფერი სერიოზული არ არისო... მინდა დავიჯერო, რომ სახიფათო არაფერია, მით უმეტეს, რომ მამა ყოველთვის რკინის ჯანმრთელობის იყო“ (კერესელიძე, კალინინი, 20.09.57).

კალინინიდან სულ მალე მოვიდა მათეს წერილი, რომელშიც იტყობინებოდა: „ამ ოთხ საათში გავფრინდები. მე ვაპირებდი მატარებლით გამგზავრებას, მაგრამ კონსულმა ოფიციალურად მოითხოვა ჩემი თვითმფრინავით წასვლა. ამის გამო ფული იქიდან გამოგზავნილი და დაცემული კურსით გადმოცემული არ მეყო, მით უმეტეს, რომ ვალებში ჩავარდნილი ვიყავი, ისე, რომ მიუხედავად მთელი ჩემი გულისტკივილისა, იძულებული გავხდი, შენი და ლიზას მიერ ტელეგრაფით გამოგზავნილი ფული გამომეტანა. თუმცა ჯერ ვაპირებდი უკან გამოგზავნას. ერთი რამ მანუგეშებს, მეტს აღარ გაწვალე, და თუ რამედ კიდევ ვივარგე და კაცობა ისევ დამრჩა, დაგიმტკიცებ, რომ შენი სიკეთე არ დამავიწყდება.

რომ გამახსენდება ვერ გნახე, ვერ შემოგეხვიე, შენ და შენს საყვარლებს და ვერ გაკოცეთ - გული მიკვდება. მაგრამ ვინ იცის, ბედი კიდევ რას მოგვითანს?

მამა უკანასკნელ წერილში გამომიტყდა, რომ დიდხანს ავად იყო, და როგორც გავიგე მძიმედ, ეხლა ბევრად უკეთ არის. ხვალ შემოვებხვიე. და თუ ჯანმრთელი ჩავედი, ეს შენი და ლიზას მადლია“ (კერესელიძე, კალინინი, 20.09.57).

დილის 3 საათზე დაწერილი ეს ბარათი იმედებითა და რწმენით იყო აღსავსე. მათე კერესელიძე 15 წლის შემდეგ უბრუნდებოდა ოჯახს.

მთელი ამ წლების განმავლობაში, უკანასკნელი წლების კავშირს თუ არ ჩავთვლით, იგი არა მხოლოდ ამანათებს, არამედ წერილებსაც კი ვერ იღებდა ახლობლებისაგან. გიორგი კერესელიძესაც ეგონა, რომ მათე დახვრეტილი იყო, მაგრამ (მშობლის გული) მაინც ელოდა.

მათე კალინინიდან გაგზავნილ უკანასკნელ წერილში მამიდას - ელენე გლურჯიძეს - სთხოვდა: „სვიმონ ყაუხჩიშვილი თუ ნახო გადაეცი მოკითხვა. გამსახურდიას თუ ხვდები გადაეცი ჩემი პატივისცემა, მგონი არ დაავიწყდა თავისი მოწაფე“ (კერესელიძე, კალინინი, 3.08.57).

მათე კერესელიძის სურვილი იყო პატიმრობის შემდეგ თავის სამშობლოში ჩასულიყო, რათა ბავშვობის ოცნება და ნატვრა აესრულებინა, მაგრამ იგი მკაცრად გააფრთხილეს: თუ უკან შებრუნება არ უნდოდა, მაშინ ამ განზრახვაზე ხელი უნდა აეღო.

„ჩემო ძვირფასო ელენე!

დიდი ბოდიში, რომ აქამდის არ მოგწერე. თუმცა ათ დღეზე მეტია, რომ აქ ვარ. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ შეხვედრის სიხარულმა, მეგობრებთან შეხვედრამ, სტუმრების

განუწყვეტელმა მისვლა-მოსვლამ, ჩემებთან მთელი ღამეებით ბაასმა არ მომცა დრო წერილის დაწერისა. არამედ ისიც ემატება, რომ აქ თურმე ჩემზე არესტის ბრძანება არსებობდა და ჩამოსვლის მეორე დღეს ციხეში ამომყოფინეს თავი! თურმე აქაც მქონია 20 წლის კატორღის განაჩენი, რადგანაც შაბათი იყო, საქმეს გამონახვის თავი არავის ქონდა და დიდი ბოდიშით ამიხსნეს, რომ ორი-სამიოდე დღით მომიხდება სახელმწიფო ხარჯზე დასვენება.

მართლაც, მესამე დღეს გამიშვეს და გამომიცხადეს, რომ ამ მოკლე ხანში ჩემი საქმე წარედგინება სასამართლოს. ამ მთელ ამბავში ის არის სამწუხარო, რომ ადვოკატის აყვანა საქირო გახდა. და 40 ათასი ფრანკია გადასახდელი. ისე რომ, აქაც არამართო ოჯახის ხარჯზე ვცხოვრობ, არამედ კიდევ ამისთანა ტვირთით დავაწევი...

ზედმეტია აგიწერო ჩვენი ბედნიერება, სიხარული და მეგობრების გულთბილი შეხვედრა, შენც კარგად წარმოიდგენ. მამა ისე ღელავდა, რომ ლულუმ აეროპორტზე არ წამოიყვანა, რათა ავად არ გახდესო. შემხვდნენ ლულუ, ნინო და გიორგი. ნინო მარტო იმით ვიცანი, რომ ლულუს გვერდში იდგა და ხელებით შორიდან მესალმებოდა. პირველ წუთს ვერც მოვისაზრე, რომ მაღალი ტანმოყვანილი ახალგაზრდა მისი შვილი უკან იყო. ციხიდან გამოსვლის შემდეგ სამი დღის განმავლობაში კარგად გამოვიძინე. სტუმრების გასტუმრების შემდეგ მამას გათენებამდე ვებასებოდი.

ნინოს ნელ-ნელა ვეცნობოდი და მგონი დავიმეგობრე. ეს შეხვედრა მართალი გითხრა, ცოტა მაფიქრებდა, მაგრამ მთელი მისი ნდობა და სიყვარული დავიპყარი.

გიორგიც დავიმეგობრე და ახლა მთლად მენდობა“ (კერესელიძე, ვეზინე, 7.10.57).

მათე კერესელიძეს 15 წელი არ ჰყავდა ნანახი შვილი და მთელი ამ წლების განმავლობაში ატარებდა 2 წლის გოგონას ხატებას, რომელიც დედასთან ერთად დატოვა. მათეს მეუღლე მაია (მარია) დრუჟინინა რუსი ემიგრანტის ქალიშვილი გახლდათ და მთელი ოჯახის ბურჯი იყო. პარადოქსია, მაგრამ, ფაქტია, კერესელიძეები უფროსი ძმიდან, იასონიდან, დაწყებული ლეო, გიორგითა და მათეთი გათავებული რუსეთს ებრძოდნენ, თუმცა ამ უკანასკნელმა მეუღლედ რუსი ეროვნების ქალი მოიყვანა, რაც იმას ადასტურებს, რომ ქართველ ხალხს იმპერიალისტური რუსეთი და მისი ბოროტების მანქანა სძულდათ და არა რუსი ერი.

მათე კერესელიძემ საცხოვრებლად გერმანია აირჩია. იგი მამიდას ატყობინებდა: „50 წელს გადასული, 15 წელზე მეტი უპრაქტიკო, არავითარი ნამდვილი სპეციალური ცოდნის კაცისთვის, რომლის პასპორტის საკითხიც კი, ჯერ კიდევ გარჩევაშია, საიდანღაც ჩამოსული უცხოელისთვის რასაკვირველია ძნელია მისთვის მოწყობა. მაგრამ ბოლოს მგონი ეხლა შემიძლიან დავმშვიდდე და ჩემი ჯიუტობით ბედმაც ძალიან გამიღიმა - მგონი. ფეხი მყარ ნიადაგზე დავდგი. ჰამბურგში ერთ ქვიშის და ცემენტის ქარხანაში მოვეწყე, ვიმუშავე კონტორაში. თანაც თარგმანებზე კერძოდ ვიმუშავე, ისე რომ ოჯახს მოვუვლი.“

ის მეტად მაწუხებს, რომ ოჯახი ორად დაირღვა. მაიას კი წავიყვან ჰამბურგში, როცა ბინას მივიღებ. თან მამასაც ჩამოვიყვან, თუმცა მეშინიან, აქ მოიწყენს, რადგან ქართველობა სულ არ არის... ნინოს ამბავი კი უფრო რთულია. გერმანული არ იცის. მთელი ნაცნობობა და მეგობრები იქ ჰყავს, თანაც, სინამდვილე, რომ ვთქვათ მეტ-ნაკლებად გაფრანგებულია - თუმცა ლეკურს მშვენიერად ცეკვავს და თავი ქართველად მოჰყავს“ (კერესელიძე, ჰამბურგი, 31.10.59).

საბჭოთა ბანაკებში გატარებულმა მძიმე ცხოვრებამ უკვალოდ როდი ჩაიარა. მათე კერესელიძე მამიდასადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „მე ავად ვიყავი: გულის ინფარქტი შემემთხვა. ეხლა მთლად გამოვკეთდი თუმცა სიფრთხილეს მიკარნახებენ ექიმები: პაპიროსის მოწევა ამიკრძალებს, ტრამეაის სირბილით გამოვიდება აღარ შეიძლება, ნერვიულობას და ღელვას უნდა გავექცე და სხვა.“

ორი თვე ვიწევი საავადმყოფოში, მერე ორი თვით პარიზში გამოკეთებისათვის წავედი. საქმეში, მძიმე მუშაობაში რასაკვირველია წამაფერხა და ზოგიერთ რამეში ჩამოვრჩი. ეხლა ნინო ჯვარს იწერს. ცოტა უკმაყოფილო ვიყავი ბევრის მოსაზრებით, თუმცა ვიცი ძალიან

კარგი, განათლებული, ჭკვიანი და ზრდილი ბიჭია. იგი არქიტექტურის ფაკულტეტზე სწავლობს. არის 24 წლის. მამა ქალაქის მშენებლობის დირექტორია, ერთი ძმა ექიმია. მოკლედ კარგი განათლებული და სასიამოვნო ოჯახია“ (კერესელიძე, ვეზინე, 22.04.60).

1960 წლის 16 ივნისს დიუსელდორფიდან თბილისში წერილი მოვიდა, რომელმაც სულის სიღრმემდე შეძრა დედ-მამიშვილებიდან ერთადერთი ძმის ამარა დარჩენილი ელენე გლურჯიძე: „ჩემს განცდაზე ვერას მოგწერ, რადგან სიტყვები ვერ გამოსთქვამენ. საყვარელი ძამის დაკარგვის გამო სასოწარკვეთილებას ობლად დარჩენის გრძნობაც ემატება... ისიც გულს მიკლავს, რომ იმ უკანასკნელ წუთებში მის გვერდზე არ ვიყავი: ადმინისტრაციულ ბიუროკრატის სიტლანქის ბრალით ვერაფრით ვერ მოვახერხე დროზე ჩასვლის ვიზა მიმეღო. თუმცა ავამოძრავე მთელი ნაცნობობა, მაგრამ საკმარისად ვერ ავაჩქარე ეს საქმე და მარტო დასაფლავებაზე მოვახერხე ჩასვლა...“

გულს მიკლავს, რომ უკანასკნელად ვედარ მნახა, როგორც დაკარგული და ისევ მონახული შვილი. ვიცი, რომ ძალიან ვუყვარდი და ძალიან დარდობდა ჩემს ახლანდელ ბედზე. და აწუხებდა რომ ოჯახი, რომელშიც მთელი ცხოვრება გაატარა, იფანტებოდა. ის ნუგეში კი ჰქონდა, რომ 16 წლის შემდეგ მაინც მნახა ჯანზეც კარგად. დარწმუნდა, რომ ფეხის მოკიდვა მოვახერხე... ერთი დიდი ბედია, რომ არ იწვალა და მშვიდად ძილში გარდაიცვალა.

დასაფლავებაზე ძალიან ბევრი ხალხი დაესწრო. კიდევ მეტი დაესწრებოდა, რომ იმის თავი გვექონოდა და ყველასთვის შეგვეტყობინებია.

დედის გვერდით ჩავასვენეთ, შორეულ ქვეყანაში, უცხო მიწაში, სამშობლოდან შორს, რომელიც ასე უყვარდა და რომელსაც ყველაფერი შესწირა.

ალბად, ჩვენც უცხო მიწაში უნდა გადავიკარგოთ. ჩვენი შვილები კი და შვილიშვილები ნელ-ნელა გადაგვარდებიან და უცხოეთი მათთვის უცხოეთი აღარ იქნება“ (კერესელიძე, ვეზინე, 16.06.60).

მათე კერესელიძისთვის ძამის დაკარგვა ძალიან დიდი დარტყმა იყო. მას იმედად ისღა დარჩენოდა, როგორც თვითონ წერდა: „მარიამს ლეოს ქაღალდები აქვს, მამასაც ბევრი ნაწერი დაუტოვებია, ძალიან მსურს ოდესმე გადავსინჯო და მოგონების ღირსი არ დაიკარგოს“ (კერესელიძე, ვეზინე, 13.08.60).

მათე კერესელიძეც უცხო მიწაში იმ რწმენით ჩაესვენა, რომ საქართველოს საბოლოოდ ღმერთი არ გასწირავდა - ნანატრ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას კვლავ აღუდგენდა. თუმცა ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა თავგანწირვამ, ბარათაშვილის თქმისა არ იყოს: „და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“, საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად დიდი როლი ითამაშა.

ასე რომ, პირად არქივებში დაცული ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა წერილების საშუალებით მათი დიდი ნაწილი არა მარტო სამშობლოს უბრუნდება, არამედ ემიგრანტთა პორტრეტები ახალი შტრიხებითაც ივსება.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

ლიტერატურა:

1. გაბლიანი, გ. (1998). ჩემი მოგონებანი. ტ I. ქუთაისი.
2. დაუშვილი, რ. (2012). გიორგი თუხარელი. გაზეთი *Prime Time*. თბილისი.
3. სულაძე, გ. (2012). ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები. თბილისი.
4. ქავთარაძე, მ. (2007). ცხოვრების 100 წელი. თბილისი.
5. შარაძე, გ. (2001). ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ.I. თბილისი.
6. წერეთელი, მ. (1962). ნეკროლოგი -გიორგი კერესელიძე. ჟურნ. *ბედი ქართლისა*.

N39-40. პარიზი.

წყაროები:

7. კერესელიძე, მ. (1946; 1948). პირადი წერილები. ყარაგანდა. დაცულია კერესელიძე-გლურჯიძე, ე. პირად არქივში.
8. კერესელიძე, გ. (1956, 57, 59, 60). პირადი წერილი. ვეზინე. დაცულია კერესელიძე-გლურჯიძე, ე. პირად არქივში.
9. კერესელიძე, მ. (1959). პირადი წერილი. ჰამბურგი. დაცულია კერესელიძე-გლურჯიძე, ე. პირად არქივში.

**Mariam Marjanishvili,
Kutaisi State Historical Museum**

Unknown shots from Mate Kereselidze's epistles

Summary

During the World War II a large number of young Parisian emigrants joined anti-soviet organisations. They hoped that Germany would defeat Russia, which will give the Georgian emigrants the opportunity to restore Georgia's independence.

Giorgi Kereselidze's eldest son, Mate was the first to join the anti-soviet organisation "Tamar I" as an interpreter.

The Georgians from this group were trained as saboteurs-parachutists who were to land in Caucasus.

"Indeed, in late spring or early summer of 1942, Mate Kereselidze's group from Tamar I landed in north-west part of Georgia. Some were killed and some were wounded during the fight against soviet forces, others were taken hostage. Mate was among the minority who, surprisingly, were released after 14-15 years of imprisonment and were let to return to the West".

In 1946 Mate Kereselidze sent his first letter from the camp to his aunt who lived in Tbilisi, in which he asked his relatives and friends for help.

In a small town near Paris, Mate's father, his wife and children, his brother and nephews were looking forward to his return and this day finally came on September 20, 1957.

Russian imprisonment didn't seem to be enough so the French government sentenced him to 20 more years of hard labour. The court acquitted Mate and he moved to Germany where he made his living by translating.

Mate Kereselidze's dream to return to Georgia remained unfulfilled: "Perhaps, we will be lost in strange lands. And our children and grandchildren will gradually change and strange lands will no longer be strange for.

ფრიდონ ქარდავა, აჭარის საარქივო სამმართველო

ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულო ბათუმში

ბათუმში საკონსულოების საქმიანობას, დიპლომატიების საქმიან მიმოწერას, კონსულების შესახებ დაცულ ცნობებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბათუმის დედამამშობლოსთან დაბრუნებასა და შემდგომი პერიოდის ისტორიის შესწავლაში, ისევე როგორც მთლიანად საქართველოს ისტორიის ამ პერიოდის შესწავლაში. ოსმალური ოკუპაციის პერიოდში ბათუმის ისტორიის შესასწავლად დიდებულ ინფორმაციას შეიცავს ბათუმში ინგლისის კონსულის მიმოწერა თავისი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. ინგლისის საკონსულოს, რომელიც, სულ მცირე, XVIII საუკუნის 30-იანი¹ (აჭარის საარქივო სამმართველო, შემდგომში: ასს., ფ. 83, ა. 1, ს. 1), წლებიდან ფუნქციონირებდა ბათუმში, წარმომადგენლების - ბრანდის, გიფორდის, გუარანჩინის, სტივენსისა და სხვათა - კორესპოდენციები შეუფასებელი მასალაა ისტორიკოსებისთვის.

აჭარის ოსმალური ოკუპაციის დასრულებამდე ბათუმში, გარდა ინგლისისა, ცნობილი იყო რუსეთის კონსული და საზღვაო კომპანიის წარმომადგენელი ჯუდიჩი, სწორედ მის ორსართულიან ქვის სახლში განთავსდა შემდეგ ბათუმის გუბერნატორი და მისი კანცელარია. აჭარის დედამამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ, 1981 წელს, ბათუმში უკვე ფუნქციონირებდა თურქეთის, ინგლისისა და საფრანგეთის საკონსულოები; 1884 წელს მათ მიემატნენ იტალიის, ავსტრია-უნგრეთის, ჩრდილოეთ ამერიკის, ხოლო 1886 წელს ირანის, ბელგიისა და გერმანიის ვიცე-კონსულები. საბოლოოდ, 1917 წლის ჩათვლით, ბათუმში, მათ გარდა, საქმიანობდნენ ნიდერლანდების, საბერძნეთის, იაპონიის, დანიის, ესპანეთის, პორტუგალიისა და შვედეთ-ნორვეგიის ვიცე-კონსულები.

იმდენად თვალსაჩინო იყო ბათუმში საკონსულოების რაოდენობა, რომ „საპორტო ქალაქ ბათუმის ქუჩების, გზაჯვარედინების, მოედნების სახელის მინიჭების პროექტში“ (ასს, ფ.5, ა.1, ს.57) მეოთხე ნომრად აღნიშნულია საკონსულოს ქუჩა, რომელიც მდებარეობდა ზღვის სანაპიროდან საფრანგეთის კონსულის ბინის მიმდებარედ.

საარქივო დოკუმენტებში ამერიკული საკონსულო პირველად იხსენიება 18(9)88 წელს (ასს, ფ.6, ა.1, ს.9), როდესაც ბათუმში ემზადებოდნენ იმპერატორ ალექსანდრე III-სთან შესახვედრად და ადგენდნენ იმ სტუმრების სიას, რომლებიც უნდა დახვედროდნენ მას ნავმისადგომთან (სურ. 1). ამ სიაში სხვა დიპლომატებთან ერთად 180-ე ნომრად (სურ. 2)

¹ აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული ბრიტანეთის საარქივო მასალების მიხედვით ბათუმში ბრიტანული საკონსულო საქმიანობა იწყება 1830 წელს და ბათუმში ბრიტანეთის ვიცე-კონსული გახლავთ ბრანდი.

იხსენიება ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულოს აგენტი გ. შამბერსი (შეცდომაა, უნდა იყოს ჩემბერსი). აღსანიშნავია, რომ სხვა ქვეყნებს უკვე ჰყავთ აქ კონსული და ვიცე-კონსულები, აშშ-ს კი - საკონსულოს აგენტი. როგორც ჩანს, ჯერაც არ იყო საბოლოოდ ჩამოყალიბებული საკონსულო თავის შტატებით. იმავე საქმეში ფრანგულ ენაზე ამერიკის წარმომადგენლის გვარი უკვე სწორადაა ნახსენები. თვითონ ის ფაქტი, რომ ამერიკის საკონსულოს აგენტი ფიგურირებს იმპერატორთან დამხვედრთა სიაში, მიუთითებს მის საკმაოდ მაღალ ადგილს მაშინდელ დიპლომატიურ სოციალურ სფეროში.

1882 წლიდან კავკასიური კალენდრის გადათვალისწინებისას ამერიკის კონსული პირველად ვნახეთ 1885 წლის გამოცემაში (Кавказский календарь, 1885, стр. 126). აღსანიშნავია, რომ ეს ნომერი მომზადებულია დასასტამბად 1884 წელს და გამოცემულია თბილისში. გამოდის, რომ მონაცემები ეკუთვნის 1884 წელს. ამ წიგნის მიხედვით ბათუმში, თბილისსა და ფოთში ჩრდილოეთ ამერიკისა და შეერთებული შტატების კონსულ-აგენტი იყო ფრედერიკ ედისონ ჯიბინსი. გასარკვევია, ჯიბინსის რეზიდენცია იყო თუ არა თბილისში და ის ბათუმში აშშ-ის კონსული მხოლოდ მოვალეობით იყო, ისევე, როგორც ფოთში, თუ ბათუმშივე ცხოვრობდა ძირითადად. თუმცა, ეს რომ ფორმალურადაა არ იყო, ისიც მიუთითებს, რომ მის მოვალეობაში აღარ შედიოდა სოხუმი, სადაც იმ პერიოდში უკვე იჯდა თურქეთის კონსული, ფეიზი ეფენდი.

1886 წლის კალენდარში უკვე არაა ნახსენები შტატების კონსული ბათუმში (სურ, 3). 1888 წლის კალენდარში მითითებულია 1887 წლის მონაცემები და იქ უკვე კვლავ დამატების სახით წერია, რომ შტატებს ბათუმში, ფოთსა და თბილისში ჰყავდა აგენტი ოლონდ უკვე ახალი, ზემონახსენები ჯეიმს ქ. შამბერსი (chambers). 1890 წლის კალენდრის მიხედვით, 1889 წელს ჩამბერსი უკვე გახლავთ ვიცე-კონსული ბათუმში და საცხოვრებელ ადგილად ბათუმში მითითებულია მარინის გამზირი, კონსტანტინოვის სახლი. იგივე მონაცემებია მომდევნო წლის კალენდარშიც. 1891 წლის მონაცემებით კი ჩემბერსი უკვე არის კონსული და არა ვიცე-კონსული. მონაცემები არ იცვლება არც 1892 და 1893 წელს; 1894 წელს კი ჩნდება ახალი კონსული - ჰარი რ. ბრიგსი, იგივეა 1895 წელსაც. 1896 წლის მონაცემებში ის რატომღაც ვიცე-კონსულების სიაშია, ასევეა 1897 წელს. რატომღაც 1898 წელს არ იხსენიება შტატების კონსული კავკასიურ კალენდარში, მაგრამ 1900 წლის გამოცემაში 1897 წლის მონაცემები მეორდება და უნდა ვიფიქროთ, რომ უბრალო დაუდევრობით არაა ნახსენები წინა წლებში. ასეთივე მონაცემები გვაქვს 1901-1905 წწ. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ ბათუმში გამოცემული სრულიად ბათუმის საცნობარო კალენდრის მიხედვით 1902 წელს ვიცე-კონსული კვლავ ჯონ ჩემბერსი იყო (всеобщая, 1902, стр. 57).

1906 წლიდან კი შტატების ვიცე-კონსული ბათუმში უილიამ სტიუარტია. 1907 წლის მონაცემებით, 1908 წელს დაბეჭდილ კალენდარში ბათუმის ვიცე-კონსულად იხსენიება ემერია მატევიჩი, მომდევნო წელს ვიცე-კონსული გახლავთ ალექსანდრე 1 ჰეინგარტნერი და ასე გრძელდება 1911 წლამდე, ხოლო 1911 წელს ვიცე-კონსული არის ფრედერიკ კოდველი, 1912, 1913 წელს - ლესლი-დევისი. საინტერესოა 1914 წლის მონაცემები (1915 წლის გამოცემაში), იმ დროს ბათუმში შეერთებული შტატის კონსული იყო ფელიქს ვიკლობეი-სმიტი, ხოლო ზემონახსენები ფრედერიკ კოდველი - ვიცე-კონსული. 1916 წელს ისევ სმიტია კონსული, აი ვიცე-კონსულის ადგილი კი თავისუფალია (ვაკანსია - არის აღნიშნული). მკვლევარი ბექა კომახიძე შენიშნავს თავის ნაშრომში „დიდი ომი და კავკასია“, რომ 1916 წელს საშიშროების

¹ წიგნის „ბათუმი და მისი შემოგარენი“, (ბათუმი, 1906) მონაცემებით, ალექსანდრე გეინგარტნერი.

გამო ბრიტანეთისა და აშშ-ის საკონსულოები ბათუმიდან თბილისში გადავიდნენო (კობახიძე, 20186

გვ-

117

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/313508/1/Saqartvelos_Demokratiuli_Respublikis_Gaxseneba_Asi_Wlis_Shemdeg.pdf.

წარმოგიდგენთ ბათუმში ამერიკის კონსულისა და ვიცე-კონსულების ქრონოლოგიურ სიას, ბუნებრივია, ეს ვერ იქნება საბოლოო და ექვემდებარება შესწორებას:

1	ფრედერიკ ედისონ ჯიბინსი	1884-
2	ჯეიმს ქ. ჩემბერსი	1887-
3	ჰარი რ. ბრიგსი	1894-
4	ჯეიმს ქ. ჩემბერსი	1902-
5	უილიამ სტიუარტი	1906-
6	ემერია მატევიჩი	1909-
7	ალექსანდრე ჰეინგარტნერი	1908-
8	ფრედერიკ კოდველი	1911-
9	ლესლი-დევისი	1912-
10	ფელიქს ვიკლობეი-სმიტი	1914-1917

როგორც ზემოთ ვახსენეთ შტატების საკონსულო ბათუმში პირველად მდებარეობდა მარინის (დღევანდელი მემედ აბაშიძის) გამზირზე, კონსტანტინოვის სახლში (სურ. 4). 1902 წლის სრულიად ბათუმის საცნობარო კალენდრის მიხედვით (всёищая, 1902, стр. 57) ჩემბერსი ცხოვრობდა მარინის გამზირზე, ფოსტის გვერდით. ამრიგად, გარკვეულია, რომ ამერიკის საკონსულო 1889 წელს მდებარეობდა მარინის გამზირზე, ფოსტის გვერდით, კონსტანტინოვის სახლში. როგორც ვიცით, ბათუმში ყოფილი ფოსტის შენობას, რომლის ფასადი ახლაც შემორჩენილია, აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ბარათაშვილის ქუჩა (იმ დროს მას თბილისის ქუჩა ერქვა). ასე რომ, საუბარია ყოფილი ფოსტის შენობის გვერდით, დასავლეთ მხარეს, დღევანდელ მემედ აბაშიძის ქუჩაზე მდებარე პატარა ისტორიულ სახლზე. აქვე წარმოგიდგენთ დამატებით საარქივო დოკუმენტს (სურ. 5), რომელშიც აღწერილია ფოსტის მდებარეობა და მითითებულია, რომ მას ესაზღვრებოდა: აღმოსავლეთით თბილისის ქუჩა, ჩრდილოეთით მარინის გამზირი, სამხრეთით გაბუნას მამული და დასავლეთით კონსტანტინოვის სახლი. ამდენად იმ პერიოდში ამერიკის საკონსულოს მდებარეობის საკითხი შეიძლება ამოწურულად ჩაითვალოს. ამჯერად გასარკვევია, თუ როდის გამოიცვალა მან ბინა.

ვიცე-კონსული სტიუარტი, საარქივო მასალების მიხედვით (ასს, ფ.6, ა.1, ს.559), 1906 წელს ცხოვრობდა ოგანეს ჯინგეზიანის სახლში. ჯინგეზიანის სახლი კი მდებარეობდა კომაროვის (ახლანდელი დიმიტრი თავდადებულის) ნომერ 35-ში (ასს, ფ.6, ა.1, ს.256). ამრიგად, ეს მეორე ლოკაციაც შეიძლება გარკვეულად ჩავთვალოთ.

1910 წლის ბათუმის გზამკვლევაში (Путеводитель по батуму, 1910, стр. 9) მითითებულია, რომ ჩრდილოეთ ამერიკის საკონსულო (კონსული ალექსანდრე გეინგარტნერი) მდებარეობდა სმეკალოვის (ახლანდელი რუსთაველის) ქუჩაზე, ვარძელის

სახლში (სტეფანე ივანეს ძე ვარძიელი), სამწუხაროდ, ზუსტად ვერ ვამბობთ, თუ როდის გადმოინაცვლა საკონსულომ ამ სახლში. თვითონ სახლი, სავარაუდოდ, აშენდა 1904 წელს (ბათუმის არქიტექტურული ძეგლები, 2012, გვ. 160) (სურ. 6). ამრიგად, საკონსულო იქ განთავსდა 1906-1910 წწ-ების შუალედში და, როგორც ჩანს, არსებობის ბოლომდე იქვე მდებარეობდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ გეინგარტნერი ვიცე-კონსული იყო 1908 წლიდან, შეიძლება ეს უკავშირდებოდეს ადგილმდებარეობის გამოცვლასაც. ვარძიელის სახლის ნაციონალიზაცია მოხდა 1922 წელს და იქ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი განთავსდა. რაც შეეხება თვითონ ამ სახლს, აჭარის არქივში დაცული შეფასებით უწყისში (ასს, ფ.6, ა.1, ს.284) ჩანს 1904 წელს. დოკუმენტის მიხედვით, ის იყო ორსართულიანი ქვის სახლი და მდებარეობდა სმეკალოვისა და თბილისის ქუჩების კვეთაზე (დღევანდელი რუსთაველისა და ბარათაშვილის). 1913 წელს სწორედ ამ სახლის ფასადზე განათავსეს მემორიალური დაფა ამერიკის საელჩოს ძალისხმევით (სურ. 7).

საარქივო დოკუმენტებით ირკვევა, რომ 1906 წელს ამერიკის ვიცე-კონსულმა უილიამ უილიამის ძე სტიუარტმა მონათლა ბათუმის ხმოსნის, ალექსანდრე ტიმოთეს ძე ტროფიმოვის, შვილი გიორგი. სამწუხაროდ, ძალიან ცოტა შემოგვრჩა საკონსულოს თანამშრომლების არათუ სოციალური თუ სამოქალაქო აქტივობების ამსახველი, არამედ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტებიც კი. ამიტომ მნიშვნელოვანია ყოველი ინფორმაცია იმდროინდელი ბათუმის ცხოვრებისა და ისტორიის უცნობი ეპიზოდების შესასწავლად. ეს მწირი ინფორმაციაც საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ როგორი ურთიერთობები იყო მაშინ ქალაქში, როცა დიპლომატები ასეთ ახლო ნათესაურ კავშირში შედიოდნენ ცნობილ მოღვაწეებთან.

ამრიგად, ჩვენ მიერ მოძიებული ეს მწირი მასალა, იმედია, გარკვეულწილად საინტერესო იქნება ბათუმისა და ზოგადად საქართველოს ისტორიის ამ მეტად საინტერესო ეპოქის შემსწავლელთათვის; ამასთან იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოთა ოკუპაციისა და ჩვენი ქვეყნის მიერ განსაკუთრებით ამ რეგიონში გადატანილი გაუთავებელი თავდაცვითი ომებისას საარქივო დოკუმენტების დიდი ნაწილი ან განადგურდა, ან კიდევ დაიტაცეს, თითოეული ცნობა თუ ინფორმაცია უმნიშვნელოვანესია.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

ლიტერატურა:

1. ბათუმი და მისი შემოგარენი (1906). ბათუმი.
2. ბათუმის არქიტექტურული ძეგლები (2012). ბათუმი.
3. კობახიძე, ბ. (2018). „ბრიტანული“ კავკასია – 1918-1920. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება ასი წლის შემდეგ - მოდელი ევროპისთვის? თბილისი.

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/313508/1/Saqartvelos_Demokratiuli_Respublikis_Gaxseneba_Asi_Wlis_Shemdeg.pdf.

4. Всеобщая адрес ежегодник города Батуми на 1902 г. (1902). Батум.

5. Кавкалзский календалр (1985). Тифлисъ.
6. Путеводитель по батуму (1910). Батум.

წყაროები:

1. აჭარის საარქივო სამმართველო (ასს), ფ.5, ა.1, ს.57.
2. აჭარის საარქივო სამმართველო (ასს), ფ.6, ა.1, ს.248;
3. ასს, ფ.6, ა.1, ს.559 .
4. ასს, ფ.6, ა.1, ს.256.
5. ასს, ფ.6, ა.1, ს.284.
6. ასს, ფ.83, ა.1, ს.1

**Phridon Kardava,
Archives Administration of the Government of Autonomous Republic of Adjara**

US Consulate in Batumi

Summary


In this work will be discussed important activity of U.S. consulate in Batumi. Small number of documents kept in archive department, is enough to find it's location in Batumi. It appears from the documents, that consulate of U.S. in Batumi, changed at least 3 offices. Exactly about that issue and about finding out identity of vice-consuls is this work dedicated to

As we all know, consulates, their works and activity of consuls are very significant as for specifically Batumi as for entire Georgian history studies.


სურათი 1




სურათი 2



სურათი 3



სურათი 4



სურათი 5

14. Марта 1902 г.
 З. м. Городаковой Гололѣ Шланг

Члены Управы *Шланг*

Оцѣночная вѣдомость
 № 697

- Имя, отчество и фамилия владѣльца имущества. *(Василье Евсѣевъ и Деметрѣ Александровичи) Никитъ Шлангъ и Деметрѣ Александровичъ Шлангъ владѣльцы. Въ удостовѣреніе. Въ удостовѣреніе. Въ удостовѣреніе.*
- Въ какомъ полицейскомъ участкѣ? *III чр.*
- На какой улицѣ? *улицы Миоринской и Маринской пресек.*
- Подъ какимъ № по таблицѣ 1884 г.
 . . № полицейскимъ.
- По какимъ документамъ владѣть?
- Когда заложенъ фундаментъ?
- Сколько подъ имуществомъ квадратныхъ саженой земли? *289 кв. саж. в 25 р.*
- Сколько саженой имѣеть имущество по улицѣ? *17 кв. саж. по Миоринской ул.*
- Въ какихъ границахъ находится имущество?
*Юг. - Маринск. пресек.
 Юг. - 17 кв. саж. сѣверо-вост. ул.
 Юг. - 17 кв. саж. сѣверо-вост. ул.
 Юг. - 17 кв. саж. сѣверо-вост. ул.*
- Если имущество застраховано то въ какомъ обществѣ и въ какую сумму

სურათი 6



სურათი 7



**მაია ცერცვაძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

ბაბო შარვაშიძის მემუარები, როგორც საისტორიო წყარო

როგორც ცნობილია, საისტორიო წყაროდ მიიჩნევა პირის მიზანმიმართული (ადამიანური) საქმიანობის მატერიალურად რეალიზებული ყოველი პროდუქტი, რომელიც გამოიყენება მისი და მისი თანადროული საზოგადოების შესახებ მონაცემების მისაღებად.

ისტორიულ პროცესთან სიახლოვის მიხედვით, რაც საისტორიო წყაროთა ერთ-ერთ საკლასიფიკაციო ნიშანს წარმოადგენს, ისინი უმთავრესად ორ - პირველად და მეორად - წყაროდ იყოფა. პირველად წყაროებს მიეკუთვნება მასალები, რომლებიც ჩაწერილია თანამედროვეების მიერ ან როგორღაც სხვაგვარად უშუალოდ ასახავს ისტორიულ პროცესს, მეორადი წყაროები კი პირველადი წყაროების გამეორება, კომენტარი ან ზედნაშენია.

წერილობით პირველად წყაროებს მის სხვა სახეობებთან ერთად (დოკუმენტი, დღიური, ხელნაწერი, ქრონიკა, პირადი წერილი, ავტობიოგრაფია, ჩანაწერი...) განეკუთვნება მემუარებიც (ფრანგ. *memoire*, ლათ. *memoria* - მოგონება) - ეპიკური ჟანრის ნაწარმოებები, რომელთა ავტორები წარსულ ამბავთა მონაწილე თუ თვითმხილველნი არიან.

მემუარები განსაკუთრებით ღირებულია იმ შემთხვევაში, როცა მემუარისტი საკუთარ ავტობიოგრაფიასა და ცხოვრებისეულ ეპიზოდებთან ერთად აფიქსირებს და წამოსწევს თავისი ეპოქის მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებსა და ფაქტებს, აღწერს თანადროული საზოგადოების ყოფასა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების პროცესს, გვიმჟღავნებს მათდამი დამოკიდებულებას.

ერთი ასეთი თხზულებათაგანი ახლახან შემოვიდა სამეცნიერო ბრუნვაში. ესაა წიგნად გამოცემული ბაბო შარვაშიძის „მემუარები“ (ინგლისურიდან თარგმნა, კომენტარები, შენიშვნები, გენეალოგიური ტაბულები და სამიეზლები დაურთო ისტორიის დოქტორმა მაია ცერცვაძემ, გამომცემლობა „არტანუჯი“, 2019).

ამ მემუარების მნიშვნელობას უპირველესად განპირობებს თავად მემუარისტი - ბარბარე (ბაბო) შარვაშიძე. იგი აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ გიორგის ძე შარვაშიძისა (1806-1866) და მისი მესამე მეუღლის - ალექსანდრა (ცუცუ, კესარია) გიორგის ასულ დადიანის (1822-1864) უმცროსი ქალიშვილია (Думин, Гребельский, 1998, ст. 22). ამასთანავე ბაბო ცნობილი ქართველი პოეტის, დრამატურგის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს გულმხურვალე პატრიოტის, გიორგი შარვაშიძის (1846-1918) დაა.

ბაბო შარვაშიძე აფხაზეთში, ლიხნიში, დაიბადა. პირველ მეუღლესთან - თავად ნიკოლოზ წულუკიძესთან - განშორების შემდეგ იგი საცხოვრებლად გადავიდა პეტერბურგში, სადაც 1907 წელს ცოლად გაჰყვა ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს, იურისტს, რუსეთის სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილეს, გერმანული წარმომავლობის ესტონელ ბარონს - ალექსანდრ მეიენდორფს (1869-1964).

ბაბო შარვაშიძე იყო რუსეთის იმპერატრიცას ფრეილინა და საიმპერატორო კართან მეტად დაახლოებული პირი, გამოირჩეოდა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი აქტიურობითა და საქველმოქმედო ღონისძიებებში მონაწილეობით.

რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ის და მისი მეუღლე საზღვარგარეთ გაიხიზნენ და სიკვდილამდე იქ ცხოვრობდნენ. წყვილს უშუალო შთამომავალი არ დარჩენია. ბაბო ინგლისში გარდაიცვალა.

ბაბო შარვაშიძემ მეუღლეს დაუტოვა საბეჭდ მანქანაზე აკრეფილი ინგლისურენოვანი მემუარები - ფოტოებითა და ჩანახატებით გაფორმებული რვეული დღიურის ტიპის

ჩანაწერებით. ეს ჩანაწერები მემუარისტის დის შთამომავალთა საოჯახო კოლექციაში ინახებოდა და ამჟამად ჩვენი გამოკვლევის საგანია.

ბაბო შარვაშიძის მემუარები მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოსა და რუსეთის იმპერიის საყურადღებო საისტორიო წყაროა, რომელიც ავტორისა და მისი ოჯახის რთულ და საინტერესო ცხოვრებას ეპოქალური მოვლენების ფონზე გვიჩვენებს.

მემუარისტის მოგონებები, რომლებიც სულ 17 თავს შეადგენს, ქრონოლოგიურად მიჰყვება ისტორიული მოვლენების განვითარებას. მემუარების გეოგრაფია საკმაოდ ვრცელია. თხრობა იწყება საქართველოში, აფხაზეთში, ავტორის ბავშვობისა და მშობლიური მხარის მოგონებებით, შემდეგ კი საქართველოს ქალაქებსა და კუთხეებთან ერთად მოიცავს რუსეთის იმპერიის სხვა კოლონიებსა და ევროპის ქვეყნებს. მონათხრობი ინგლისში მთავრდება და მისი უკანასკნელი ჩანაწერი 1934 წლის ივნისით თარიღდება.

ერთობ შთამბეჭდავია მოგონებების პერსონაჟთა გალერეაც. მთავრის ოჯახის წევრებთან ერთად მის ფურცლებზე ვხვდებით ბაბო შარვაშიძის თანამედროვე საქართველოს, რუსეთის და ევროპის ქვეყნების თვალსაჩინო წარმომადგენლებს - აფხაზეთის უკანასკნელი მთავრისა და საიმპერატორო ოჯახის წევრებსა და ნათესავებს, მათთან დაახლოებულ პირებს, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებს, ცნობილ ჩინოვნიკებს, რევოლუციონერებს, რომლებიც აქტიურ როლს ასრულებდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მოგონებათა მრავალი პასაჟი, ბუნებრივია, აფხაზეთს უკავშირდება და აფხაზეთს თემატიკას ასახავს. როგორც ცნობილია, აფხაზეთის ისტორიისა და ყოფის აღწერას, აფხაზეთის სამთავროს გაუქმების საკითხებს სხვადასხვა თაობის მრავალი ქართველი თუ უცხოელი ისტორიკოსის, მწერლისა თუ მოგზაურის (ნ. ბერძენიშვილი, ს. კაკაბაძე, ჟ. გამბა, თ. სახოკია, ბ. ხორავა ...) კალამი შეეხო. ბაბო შარვაშიძის მემუარების ცალკეული ეპიზოდები ახალი საყურადღებო მასალაა აფხაზეთის ისტორიკოსებისთვის. კრიტიკული ანალიზისა და სხვა წყაროებთან შეჯერების შედეგად ისინი, ჩვენი აზრით, დიდად წაადგება საქართველოსა და მისი ძირძველი კუთხის - აფხაზეთის - ისტორიის შესწავლის საშურ საქმეს. ეს კი განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს დღევანდელი უმძიმესი მდგომარეობის - საქართველოს დე ფაქტო მოწყვეტილი აფხაზეთის - რეალობის გათვალისწინებით.

მემუარისტი აგვიღწერს მის მეხსიერებას შემორჩენილ ისეთ ამბებს, როგორებიცაა: აფხაზეთის სამთავროს ბოლო დღეები, მისი გაუქმება, მამის გასახლება აფხაზეთიდან რუსეთის იმპერიის მიერ, აფხაზეთ-ქართული ურთიერთობა და მთავრის ოჯახის წევრების ასავალ-დასავალი სამთავროს გაუქმების შემდეგ. ამ საკითხების გაშუქებას მიეძღვნა ჩვენი მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „ეთნოკულტურული მრავალფეროვნება და ინტერკულტურული კომუნიკაცია საქართველოში“, რომელიც შარშან ოქტომბერში ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და საქართველოს ანთროპოლოგთა ასოციაციის ეგიდით. მოხსენება უახლოეს ხანში დაიბეჭდება კონფერენციის კრებულში, რის გამოც ამ საკითხებზე აქ აღარ შევჩერდებით და ყურადღებას დავუთმობთ მემუარების სხვა, ასევე მნიშვნელოვან პასაჟებს.

ბაბო შარვაშიძის მოგონებები ჩვენს ყურადღებას იპყრობს უმთავრესად, როგორც საქართველოსა და ქართველი საზოგადოების საისტორიო წყარო. ამიტომ უპირველესად შევეხებით მემუარების იმ ამბებსა და პერსონაჟებს, რომლებიც საქართველოს უკავშირდებიან. თვალი მივადევნოთ მათ.

ერთი მათგანია ბაბოს, მისი ძმის გიორგისა და გიორგის მეუღლის ელო ანდრეევსკაიას სტუმრობა პოლონეთში, ვარშავასა და სკერნევიცეში, საქართველოს ყოფილ მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკისთან (1815-1879) და მის ქართველ მეუღლესთან, თეკლა

ბატონიშვილის შვილიშვილთან, ელისაბედ (ლიზა) დიმიტრის ასულ ორბელიანთან (1833-1899).

ამ წყვილის შეუღლება, როგორც ცნობილია, დიდ სკანდალს უკავშირდება. ლიზა ორბელიანი ბარიატინსკის ადიუტანტის ვლადიმერ დავიდოვის (1816-1866) (თბილისში მას იცნობდნენ მეტსახელით „გრამონი“) მეუღლე იყო, როცა მას მეფისნაცვალს გაუმიჯნურდა. ბარიატინსკი სახელგანთქმული იყო სასიყვარულო თავგადასავლებით, ამიტომ ვერავინ იფიქრა, რომ ამ ამბავს რაიმე სერიოზული მოჰყვებოდა. ერთ მშვენიერ დღეს კი მოხდა ის, რომ ბარიატინსკი კავკასიიდან წავიდა - ვითომდა სამკურნალოდ საზღვარგარეთ - და, შეიძლება ითქვას, ლიზა ორბელიანი გაიტაცა. იქ მას დუელიც ჰქონდა თავის ყოფილ ადიუტანტთან, რის შემდეგაც, ცხადია, აღარ შეეძლო არც კავკასიაში და არც რუსეთში დაბრუნება, რადგან იმპერატორ ალექსანდრე II-სთან ურთიერთობა გაუფუჭდა.

ბაბო შარვაშიძე ასე მოგვითხრობს: „აი, როგორ აღმოჩნდა ფელდმარშალი ბარიატინსკი სკერნევიცეში: მან თავისი მამულები ქარაფშუტულად ძმას დაუთმო და პენსიაზე გასვლის დროს, როცა ფელდმარშალს კავკასიის მეფისნაცვლად სამსახურის ვადა ამოეწურა, თავად აღარ დარჩა საცხოვრებელი ადგილი. ამიტომ ის და მისი ცოლი საზღვარგარეთ გაემგზავრნენ. საზღვარგარეთ ისინი შეხვდნენ იმპერატორ ალექსანდრე II-ს. იმპერატორმა ჰკითხა ბარიატინსკის, თავის ძველ მეგობარსა და ადიუტანტს, რატომ არ ცხოვრობდა რუსეთში. შეიტყო რა ამის მიზეზი, იმპერატორმა დაუყოვნებლად უბრძანა მას აერჩია პოლონეთის ორი ადგილიდან ერთ-ერთი: ვიშნევეცის სასახლე, რომელიც ადრე ეკუთვნოდა მარინა მნიშეკს ან სკერნევიცე, რომელიც იყო ლოვიჩის სამთავრო (ტიტული „ლოვიჩი“ ებოძა დიდი მთავრის, კონსტანტინე პავლეს ძის მორგანატულ მეუღლეს. თავადის ასული ლოვიჩი რომ გარდაიცვალა, ეს ქონება მისივე სურვილით გადაეცა რუსეთის სამეფო სახლის მეთაურს, როგორც პოლონეთის მეფეს)“ (შარვაშიძე, 20019, გვ. 38-39).

მოგონებათა ფურცლებიდან ვიგებთ, რომ პოლონეთში ბარიატინსკებთან ხშირი სტუმრობისას ბაბო ხვდებოდა იმდროინდელი მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებს, რომლებთანაც მას ნაცნობობა და მეგობრობა აკავშირებდა. ესენი იყვნენ: ლიზას მამა, თავადი დიმიტრი (პაჭონე) ვახტანგის ძე ორბელიანი (1806-1882); მისი ნაშვილვეი თებრონე (თებრო) პავლეს ასული არჯევანიძე (1954(55)-1930), დაღესტანში დაბადებული ობოლი ქართველი გოგონა, მღვდლის შვილი, რომლის ფეხმძიმე დედა და ბებია შამილის რაზმებმა კახეთიდან გაიტაცეს. ეს გოგონა დიმიტრი ორბელიანის ოჯახმა ტყვეობიდან გამოისყიდა, იშვილა, საკუთარ ქალიშვილთან ერთად გაზარდა და გვარი, ასევე თავადის ტიტული მისცა; თავადი ვიტგენშტეინი - ფერდინანდ კარლის ძე საინ-ვიტგენშტეინ-ბერლებურგელი (1834-1888), რუსეთში გადასახლებული გერმანელი, უგანათლებულესი თავადი, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-ლეიტენანტი, 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის მონაწილე, 1869 წლიდან ალ. ბარიატინსკის ადიუტანტი, რომელსაც ცოლად ჰყავდა ქართველი ქალი პელაგია (პრასკოვია, პარასკევა, პაშა) ალექსანდრეს ასული დადიანი (1847-1919) და სხვები.

ბაბო შარვაშიძე აღგვიწერს ბარიატინსკების ცხოვრებას პოლონეთში, მათ იქაურ სასახლეს:

„სკერნევიცეში ბარიატინსკები მართლაც მეფურად ცხოვრობდნენ. ფელდმარშალს ჰყავდა სამი ადიუტანტი და მცირე სამხედრო ესკორტი (კანვოი). მისი მცველები ყოველთვის ცხენებზე იყვნენ ამხედრებულნი და სამხედრო სიზუსტით იცვლებოდნენ. მას ჰყავდა აგრეთვე მრავალი ცხენი და ოთხცხენა ეტლი, რომელსაც თავადვე მართავდა. სამრეცხაოს ზედამხედველობდა ერთი ფრანგი. სამზარეულო, რომელიც საკუთარი სახლის გარეთ მდებარეობდა, მარაგდებოდა პატარა რკინიგზით.

სკერნევიცეს სასახლე სიდიდით არ გამოირჩეოდა. მიუხედავად ამისა, შესასვლელი ჰოლი ფართო ჰქონდა. მის მარჯვნივ იმპერატორის ლუქსი მდებარეობდა. ზედა სართულზე, სასტუმრო ოთახ-ბიბლიოთეკის მარცხნივ იყო ვრცელი „Salon de l'Imperatrice“, რომელსაც ასე

ალექსანდრე II-ის მეუღლის შემდეგ მოიხსენიებდნენ. იქ ეკიდა ვინტერჰალტერის მიერ შესრულებული მისი პორტრეტი. ავეჯს გადაკრული ჰქონდა მდიდრული ყვითელი ატლასი, ფარდები კი მუქი ღილილოსფერი იყო. კედელზე, სახით კიბისკენ ეკიდა შამილის პორტრეტი, მისი ფარი და სხვადასხვა ნადავლი 1856 წლის კამპანიიდან. ფარი ბარიატინსკის გამოუგზავნა შამილმა სიკვდილის წინ იმის ნიშნად, რომ წესის ძალით ის ფელდმარშალს ეკუთვნოდა. ამით მას სურდა ხაზი გაესვა ბარიატინსკის იმ დიდსულოვნებისათვის, რომ მან დაუბრუნა ფარი თავის მამაც მოწინააღმდეგეს მამინ, როცა იგი ოფიციალურად დაატყვევა“ (შარვაშიძე, 20019, გვ. 43-44).

მემუარებში გარდა ამისა, აღწერილია რუსეთის იმპერატორისა და მისი ოჯახის წევრების ვიზიტები ალ. ბარიატინსკისთან, იქ მათ პატივსაცემად გამართული სადილები, მეჯლისები, რომელთაგან ერთ-ერთზე იმპერატორმა საცეკვაოდ გაიწვია თავად ჩვიდმეტი წლის ბაბო და ასე გახსნა იმპროვიზებული ბალი, აგრეთვე ნადირობის, პიკნიკების და სხვა ღონისძიებათა სცენები, რაც აცოცხლებს და თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ეპოქის სახასიათო სურათებს.

ბაბო შარვაშიძე მწირ, თუმცა ღირებულ ცნობებს გვაწვდის ლიზა ბარიატინსკაიას ავადობისა და მისი მეუღლის სიცოცხლის ბოლო დღეების შესახებ: „ომი 1878 წელს დამთავრდა (იგულისხმება რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი - მ. ც.). თავადის ასულ ბარიატინსკაიას იმ დროისათვის ჯანმრთელობა შეერყა და ფელდმარშალმა გადაწყვიტა ის ჟენევაში წაეყვანა. მე და ჩემი რძალიც გავყვეით მათ. მალევე ჩვენი ძვირფასი ძველი მეგობარი, ფელდმარშალი გარდაიცვალა. ის მეტად დათრგუნული ტოვებდა სკერნევიცეს, ამბობდა, რომ კარგად იცოდა, იქ ვეღარასოდეს დაბრუნდებოდა. როცა ის თავის წიგნებს აწესრიგებდა, გავიგონე მისი ნათქვამი: „Sic transit gloria mundi“ (ასე გადის მსოფლიო დიდება). ჩემს ცდაზე, დამემშვიდებინა, მან მხოლოდ გაიმეორა: „არა, მე ვეღარ დავბრუნდები“. ჩვენ ორივემ გავაცილეთ რუსეთში მისი ცხედარი, რომელმაც განსასვენებელი ძველ საგვარეულო მამულში ჰპოვა“ (შარვაშიძე, 2019, გვ. 55-56).

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს ცნობები - აქამდე ჩვენთვის უცნობი ეპიზოდები ლიზა ბარიატინსკაიას საზღვარგარეთული ცხოვრების შესახებ - ავსებს ამ ქალბატონის ბიოგრაფიას და მეტ წარმოდგენას გვიქმნის მის ცხოვრებაზე. ერთი შეხედვით, ის შეიძლება ბედნიერ ქალადაც მოეჩვენოს ადამიანს. სინამდვილეში, სხვა წყაროების მიხედვით, ლიზა არ იყო ბედნიერი ამ ქორწინებაში, მიუხედავად იმ ფუფუნებისა, რომელშიც მას მეუღლე აცხოვრებდა. მნელია ზუსტად ითქვას, რამ შეაწუხა ლიზა ორბელიანი და რა სწეულებათა საუბარი მოგონებების ციტირებულ პასაჟში. ცნობილია, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში იგი სულიერად დაავადდა. 1832 წლის შეთქმულების მეთაურის, ელიზბარ ერისთავის უმცროსი ქალიშვილი ელისაბედ ერისთავი (1864-1949) თავის ცნობილ მემუარებში ასე იხსენებს საქართველოში მის სტუმრობას და ავადმყოფობას: „[ლიზა] მე გავიცანი აქ[,] როდესაც მოიყვანეს სამღვარგარეთიდან ავადმყოფი[...] ლიზა ბარიატინსკისა დიდხანს არ იყო ბედნიერი[,] ძალიან ნაღ[ვ]ლობდა[,] რომ ცოცხალ ქმარს დაანება [თავი] და სხვას წაჰყ[ვ]ა და ჭკუაზე შეიშალა. ახერხის საავ[ა]თმყოფოში ჰყვანდათ. ცოტა ხნით მოიყვანეს თბილისში[,] გასტინიცაში მოათავსეს[,] იქ მე და მამა ორბელიანისამ ვნახეთ[,] ის იყო ეკიპაჟით ისეირნა და დაღალული იყო[,] ჩვენ არ გვინდოდა დიდხანს ყოფნა და მალე გამოვესალმეთ. ბარიატინსკისა მალე ისევ ახერხში გაისტუმრეს[,] რადგანაც აქ უფრო ცუდათ გახდა[,] ყველაფერს იგონებდა და ძალიან სწუხდებოდა (ცერცვაძე, 2014, გვ. 58-63).

ელისაბედ ორბელიანი საქართველოში ჩამოვიდა 1867 წელს გარდაცვლილი დედისთვის პატივის მისაგებლად და ხსოვნის ტრაპეზის გასამართავად. გრიგოლ ორბელიანის იმდროინდელ პირად წერილებში გვხვდება ცნობები და გამოძახილი მისი თბილისში სტუმრობისა და ავადმყოფობის შესახებ: „საყვარელი ძეგლმარშალმა იმყოფებოდა აქა, ყველა აღაფრთოვანა მომაჯადოებელი მეგობრული მოპყრობითა და კეთილი

გულითა და უწინდელზე მეტად შეიყვარეს იგი“, - სწერდა გრიგოლ ორბელიანი თავის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანს 1867 წლის 18 ოქტომბერს თბილისიდან ქენევაში. „საბრალო ლიზა! მის ავადობაზედ აქ ჯერ კიდევ მანამდეც გავრცელდა ხმები და ყოველგან გამოსთქუეს უწრფესი წუხილი მასზედა. აწ, მადლობა უფალს, შენი წიგნიდან სჩანს, საშიშროებამ განვლო და ის დადგა გამოსწორების გზაზედა“ - გრიგოლ ორბელიანის 1868 წლის 22 თებერვლის წერილი, გაგზავნილი ასევე თავის რძალთან ლოზანაში.

ბაბო შარვაშიძის პოლონეთში ყოფნას უკავშირდება აგრეთვე ცნობა ზემოდასახელებული დიმიტრი ორბელიანის ნაშვილები თებრო არჯევანიძისა და ცნობილი რუსი არისტოკრატისა და მილიონერის ვასილი ნარიშკინის (1841-1909) ქორწინების შესახებ, რომელზეც დასწრებაზე ბაბოს ოჯახისთვის ხელი შეუშლია მისი რძლის - ელო ანდრეევსკაიას - მოულოდნელ ავადობას: „1876 წელს, როცა ჩვენ ჯერ კიდევ ოდესაში ვიყავით, სკერნევიცედან შევიტყეთ თავადის ასულ ორბელიანის ვასილი ნარიშკინზე დანიშნის ამბავი, და ფელდმარშალმა და მისმა მეუღლემ კვლავ მიგვიპატიჟეს სკერნევიცეში საცხოვრებლად. ჩვენ ვაპირებდით ჩასვლას და ქორწილზე დასწრებას, მაგრამ ერთმა უსიამოვნო შემთხვევამ შეგვიშალა ხელი. რკინიგზის ვაგონი, რომლითაც ჩვენ დავიძარით, მეტად ჩახუთული იყო და გიორგი დერეფანში გავიდა სულის მოსათქმელად და ჰაერის ჩასასუნთქად. მას უკან გაჰყვა ცოლი. გიორგიმ მალევე დაკარგა გონება და ძირს დაეცა. მე მეძინა იმ დროს, მაგრამ ხმაურმა გამომადვიდა და გავვარდი დერეფანში, სადაც უცნაური სცენა დამხვდა. ელო იატაკზე სისხლის გუბეში იწვა და მასზე დახრილიყო გიორგი. ძლიერ სურდა რა, ქმრისთვის ცოტაოდენი სუფთა ჰაერი მაინც მიეწოდებინა, ელოს ვაგონის ფანჯარა მუშტით ჩაემტვრია და ამ დროს ვენა გადასჭროდა. ჩვენ შევუხვიეთ ჭრილობა, როგორც შეგვეძლო. მგზავრობის გაგრძელება კი ვეღარ ხერხდებოდა. მომდევნო სადგურზევე ჩამოვედით და მივბრუნდით ოდესაში რამდენიმე დღით, სანამ ელო ისე არ გამოკეთდებოდა, რომ კვლავ გავმგზავრებულიყავით სკერნევიცეში“ (შარვაშიძე, 2019, გვ. 46-47).

მოგონებების მეტად საყურადღებო მონაკვეთია 1876 წელს თბილისში მომხდარი ერთი ტრაგიკული ამბავი, რომელმაც ქალაქის საზოგადოებაში დიდი ხმაური გამოიწვია. ესაა გიორგი შარვაშიძის მეუღლის - ელო ანდრეევსკაიას - დის ნინო ანდრეევსკაიას დაღუპვისა და მასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესის - ე. წ. ჩხოტუას საქმის - ეპიზოდი (ბერძნიშვილი, 1980, გვ. 134-135). ბაბო შარვაშიძე იხსენებს:

„ოდესაში თავს ბედნიერად ვგრძნობდით და აზრად არ მოგვდიოდა, რა ტრაგიკული ბედი ელოდა ერთ ჩვენგანს ერთი წლის შემდეგ ტფილისში. იქ ელოს უფროსი და დაიღუპა მეტად უცნაურ ვითარებაში. ის და დედამისი მოვიდნენ და გაჩერდნენ ჩემი ძმისა და რძლის სახლში, რომელშიც ასევე ცხოვრობდა ერთი ახლობელი, ჩემი ძმის - მიხეილის - ძიძიშვილი თავისი ძალლით. ერთ საღამოს გოგო ჩავიდა მდინარეზე საბანაოდ, მაგრამ იქიდან აღარ დაბრუნებულა, მდინარის ნაპირზე მხოლოდ მისი ტანსაცმელი იპოვეს. გავრცელდა ხმა, რომ ამაში დამნაშავე იყო ის ახლობელი კაცი. ერთმა ადგილობრივმა ნიჰილისტმა, კლასთა შორის სისხლისღვრის მომხრემ, გამოაქვეყნა ინსინუაციები ჩემი ძმის მისამართით, თითქოსდა გიორგის ინტერესებში შედიოდა უფროსი დის მოშორება, რათა ამ გზით მის ცოლს მემკვიდრეობის დის წილიც მიეღო. ის ამტკიცებდა, რომ დანაშაულის თავი და თავი გიორგი იყო და რომ მან მხოლოდ აღასრულა გიორგის ნება. თქმა არ უნდა, ნიჰილისტის ცილისმწამებლური ინსინუაციებით ზეწოლა სასამართლომ არ გაითვალისწინა. საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ არსებული კანონის მიხედვით უმცროს დას წაერთმეოდა მემკვიდრეობა ამ დანაშაულის შედეგად და ამიტომ ასეთი მოტივის მიწერა მკვლელობისათვის უსარგებლო ჩანდა“ (შარვაშიძე, 2019, გვ. 45-46).

მეტად ღირებულია ცნობა ამ საქმეში უსამართლოდ ბრალდებულისა და დასჯილი პირის - ჟურნალისტ დავით ჩხოტუას - შესახებ. მისი ვექილი იყო თეკლა ბატონიშვილის შვილიშვილი, ნიკოლოზ (კოლა) ორბელიანი (1845-1925), რომელმაც ამ პროცესით მეტად

გაითქვა სახელი, თუმცა ჩხოტუა ვერ გაამართლა (ბერძნიშვილი, 1983, გვ. 146). ბაბო შარვაშიძე გადმოგვცემს: „სამწუხაროდ, უბედურმა ბრალდებულმა სასამართლოზე ვერ წარმოადგინა ვერანაირი ალიბი და ვერ გაიმართლა თავი, რის გამოც მის მიმართ გამოთქმული ეჭვი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, გამტკიცდა. ის დამნაშავედ სცნეს და მიუსაჯეს 20 წლიანი კატორღული შრომა ციმბირში. მრავალი წლის შემდეგ ნამდვილი დამნაშავე სიკვდილის წინ გამოტყდა და მართლმსაჯულების შეცდომის უდანაშაულო მსხვერპლი ციმბირიდან დაბრუნდა. მე მომიხდა მეზავრობა იმავე თბომავლით, რითიც ის ბრუნდებოდა და ჩემდა სასიხარულოდ შესაძლებლობა მომეცა მენახა ის საწყალი ჭაბუკი, ხელახლა ჩაწერილი პატიოსან კაცთა რიგებში. მე მივედი მასთან და ვაკოცე“ (შარვაშიძე, 2019, გვ. 46).

ბაბო შარვაშიძის მემუარებში, როგორც აღვნიშნეთ, ვეცნობით აგრეთვე რუსეთის საიმპერატორო კარისა და მასთან დაახლოებული არისტოკრატის ცხოვრების საგულისხმო ეპიზოდებსაც. ასეთია, უპირველესად, ბაბოს მეგობრობა ოლდენბურგელების ცნობილ ოჯახთან, რომელსაც წარმოადგენდნენ ევგენია მაქსიმილიანეს ასული რომანოვსკაია-ოლდენბურგელი (1845-1925), უგანათლებულესი მთავრინა, ლეიხტენბერგელი ჰერცოგინია, გათხოვების შემდეგ პრინცესა ოლდენბურგელი, რუსეთის საიმპერატორო სახლის წევრი, დიდი მთავრინა მარია ნიკოლოზის ასულის (1819-1876) და მაქსიმილიან ლეიხტენბერგელის (1817-1852) ქალიშვილი და მისი მეუღლე - ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგელი (1844-1932), ინჟანტერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, სენატორი, სახელმწიფო საბჭოს წევრი.

ეს მეგობრობა ჩვენთვის მეტწილად იმითაა საინტერესო, რომ ცოლ-ქმარი ოლდენბურგელები გამოირჩეოდნენ საქველმოქმედო და საზოგადოებრივი საქმიანობით, რომელშიც ბაბო შარვაშიძეც იყო ჩართული. ის დიდი სიყვარულითა და მოწიწებით აღწერს ოლდენბურგელთა სისხლსავსე და საზოგადოებრივად აქტიურ ცხოვრებას პეტერბურგსა თუ მათ სააგარაკო მამულებსა და ფერმებში, მათი კეთილშობილებისა და მოწყალების იშვიათ გამოვლინებებს: „ეს დიდებული წყვილი მეტისმეტი გულუხვობით გამოირჩეოდა, მათი სტუმართმოყვარეობა დიდ მასშტაბებს აღწევდა. ისინი ხარჯავდნენ თავიანთ სიმდიდრეს და თავს არ ზოგავდნენ მეგობრებისა და ქვეყნისთვის. პეტერბურგში, სასახლის სანაპიროზე მდებარე მათ სასახლეში მყოფთა საერთო რიცხვი ოჯახებიანად აღწევდა 300 კაცს. ამ რიცხვში, ცხადია, შედიოდნენ ბავშვებიც და მრავალი ნათესავი და მოსამსახურე, რომლებიც პრინცის ხარჯზე ცხოვრობდნენ. ისინი განსაკუთრებით ზრუნავდნენ ბავშვებზე და მათ უფასო განათლებას აძლევდნენ“ (შარვაშიძე, 2019, გვ. 72-73).

ოლდენბურგელ წყვილთა ცხოვრების წესი სამაგალითო და გადამდები აღმოჩნდა ბაბო შარვაშიძისთვის:

„მაღევე ვიგრძენი, რომ თავადაც დავავადდი საზოგადოებრივი და საქველმოქმედო საქმიანობის იმ სულით, რაც ასე ავსებდა ოლდენბურგელთა სასახლეს. მეც ვესწრებოდი შეკრებებსა და მიღებებს. პირველი უმთავრესად დილაობით იმართებოდა, ხოლო მეორე - შუადღისას. თავისთავად იგულისხმებოდა, რომ ყველა, ვინც კი პრინცთან და მის მეუღლესთან სასაუბროდ მოვიდოდა, მათთან სადილად უნდა დარჩენილიყო. არასოდეს მივსხდომივართ მაგიდას ოცი თუ მეტი სტუმრის გარეშე. ისინი იკრიბებოდნენ დიდ დარბაზში და როგორც კი სადილის გაწყობა მოთავდებოდა, მასპინძლებიც დატოვებდნენ საკუთარ აპარტამენტებს და ოთახის მეორე ბოლოში გამოჩნდებოდნენ ხოლმე. ოლდენბურგელებს ძალიან უყვარდათ და ყოველთვის მრავლად ჰყავდათ ძაღლები“ (შარვაშიძე, 2019, გვ. 73-74).

მემუარისტი ჩამოთვლის ყველაზე მნიშვნელოვან დაწესებულებებს, რომლებიც თავიანთ არსებობასა და შენახვას ოლდენბურგელთა ოჯახის გულმოწყალებასა და ენერგიას უმაღლოდნენ. თავად ბაბო გამხდარა პატრონესა პრინცესა ოლდენბურგელის მიერ ერთ-ერთი ასეთი მოწყალების სახლის ორი ქვეგანყოფილებისა.

აქვე აღსანიშნავია ალექსანდრე ოლდენბურგელის, როგორც კურორტ გაგრის დამაარსებლისა და აღმშენებლის ღვაწლი, რაც მოგონებებში დეტალურადაა აღწერილი. მას ვრცლად შევხებით წინარე გამოკვლევაში და აქ მასზე სიტყვას აღარ ვაგრძელებთ.

ოლდენბურგელთა ოჯახის გარდა, ბაბო შარვაშიძე მოგვითხრობს იმპერატორ ნიკოლოზ II-ის თანამეცხედრის, იმპერატრიცა ალექსანდრას ქველმოქმედებაზეც, რომელიც განსაკუთრებით რუსეთ-იაპონიის ომის დროს გაძლიერდა და გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ხშირად მისი გულმოწყალება ადამიანთა უკეთურების გამო ადრესატამდე ვერც აღწევდა.

„ომი გრძელდებოდა. იმპერატრიცა ბევრს აკეთებდა ავადმყოფთა და დაჭრილთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად. კარის ცერემონიებისტერმა, გრაფმა გენდრიკოვმა, მითხრა, როგორი გულმოწყალე და კეთილი იყო იმპერატრიცა დაზარალებულთა და გაჭირვებულთა მიმართ. თუმცა ხანდახან მისგან წამოსული სიკეთე რაღაც უპატიოსნო გზებით სადღაც იკარგებოდა. მაგალითად, გავიგეთ, როგორ ვერ მიაღწია გაჭირვებულთა ბავშვებამდე იმპერატრიცას ძალისხმევით შეგროვილმა მათთვის განკუთვნილმა საჩუქრებმა და როგორ აღმოჩნდა ისინი სასახლის მსახურთა ხელში“ (შარვაშიძე, 2019, გვ. 91).

რუსეთ-იაპონიის ამბების თხრობაში ყურადღებას იქცევს ცნობა, რომელიც შეეხება იმპერატორისთვის გაგზავნილ ერთ რაპორტ-გაფრთხილებას. იმპერატორმა ის არ გაითვალისწინა, რასაც ცუსიმას ცნობილი კატასტროფა და ამ ომში რუსეთის საბოლოო დამარცხება მოჰყვა:

„ომის დასრულებამდე - რუსულ სამხედრო-საზღვაო ფლოტთან დაკავშირებით ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი გამოაშკარავდა. აღმოჩნდა, რომ დიდმა მთავარმა ალექსანდრე მიხეილის ძემ (იმპერატორის დის, ქსენიას მეუღლემ) იმპერატორს გაუგზავნა რაპორტი ფლოტის საშინელი მდგომარეობის შესახებ და გააფრთხილა, რომ ის ვერ გაუძლებდა მტრის შემოტევას. იმ დროს საზღვაო სამინისტროს ხელმძღვანელობდა ბიძამისი, დიდი მთავარი ალექსი. ის და საიმპერატორო ოჯახის უფროსი წევრები აღშფოთდნენ მათი ოჯახის ახალგაზრდა წევრის კრიტიკული დამოკიდებულებით. ისინი ამშვიდებდნენ იმპერატორს და უქარწყლებდნენ შიშს, ურჩევდნენ, ყურადღება არ მიექცია მისი რაპორტისათვის. ამგვარად ყველამ შევიტყეთ, რომ ცუსიმას კატასტროფა ნაწინასწარმეტყველები და მოსალოდნელი იყო და რომ შეიძლებოდა მისი თავიდან აცილება, თუკი ალექსი მიხეილის ძის გაფრთხილებას ყურად იღებდნენ და იმოქმედებდნენ მანამ, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ იყო“ (შარვაშიძე, 2019, გვ. 93).

„სისხლიან კვირად“ წოდებულ მუშათა მარშს პეტერბურგში, იმპერატორის სასახლისკენ, ბაბო შარვაშიძე ოლდენბურგელთა სასახლის ფანჯრებიდან უცქერდა. ამ ეპიზოდს იგი ასე აღწერს:

„იაპონიის ომის კატასტროფამ დიდი სახალხო მღელვარება გამოიწვია მთელ რუსეთის იმპერიაში. 1905 წლის 9 იანვარს/22 თებერვალს უამრავმა მუშამ ხელში დროშებით მღვდელი გაპონის მეთაურობით გადაწყვიტა მარშით წასულიყო ზამთრის სასახლისაკენ, რათა თავიანთი უკმაყოფილება პირადად იმპერატორისთვის განეცხადებინათ. სამწუხაროდ, იმპერატორს ურჩიეს არ გამოჩენილიყო. მიუხედავად იმისა, რომ ხალხი გააფრთხილეს, შეეწყვიტათ სასახლისკენ სვლა, მან მაინც გააგრძელა გზა, რაც საშინელი შედეგით დამთავრდა - მარშის მონაწილეებს ცეცხლი გაუხსნეს სამხედროებმა და ამან ბევრი მსხვერპლი გამოიწვია. სულ რამდენიმე წუთის წინ ჩვენ გავხედეთ ხალხის ნაკადს ოლდენბურგელთა სასახლის ფანჯრებიდან და როგორღაც ვჭკვრეტდით იმ მოვლენის საბედისწერო დასასრულს. ეს შემთხვევა „სისხლიანი კვირის“ სახელით ავბედით თარიღად შევიდა რუსეთის ისტორიაში“ (შარვაშიძე, 2019, გვ. 94).

როგორც აღვნიშნეთ, 1907 წელს ბაბო შარვაშიძემ თავისი ბედი ალექსანდრე მეიენდორფს დაუკავშირა. ალექსანდრე ფელიქსის ძე მეიენდორფი (1869-1964) იყო ბარონი, ბალტიისპირულ-გერმანული წარმომავლობის რუსი იურისტი და პოლიტიკური მოღვაწე,

მიწათმფლობელი ლიფლანდიის გუბერნიაში, დიპლომატის, სახელმწიფო მრჩევლის, კამერგერ ფელიქს ფონ მეიენდორფისა (1834-1871) და თავად მიხეილ გორჩაკოვის ასულის ოლგა გორჩაკოვას ვაჟიშვილი. მან დაამთავრა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. იყო უნივერსიტეტის ბალტიისპირეთის სამართლის კათედრის პრივატ-დოცენტი, სამართალმცოდნეობის სასწავლებლის ინსპექტორი. არჩეულ იქნა III და IV სათათბიროების წევრად. 1907-1909 წლებში ეკავა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა. 1917 წლის ბოლოს აირჩიეს სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებაში ხერსონის საარჩევნო ოლქიდან. რევოლუციის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში ინგლისში. კითხულობდა ლექციებს ლონდონის უნივერსიტეტში. 1934-1939 წლებში ცხოვრობდა ფინეთში, შემდეგ კვლავ - ინგლისში.

ქორწინების შემდეგ, როგორც ბაბო შარვაშიძე აღნიშნავს, ის უფრო მეტად ჩაერთო საზოგადოებრივ ცხოვრებაში და პოლიტიკამ მათი სახლის ატმოსფეროში შეაღწია.

ბაბო შარვაშიძე მომსწრე იყო და იხსენებს გახმაურებულ ტერორისტულ აქტებს - პეტერბურგში მომხდარი პოლიტიკური მკვლელობების სერიას, რომელთა რიცხვშია შინაგან საქმეთა მინისტრის ვიაჩესლავ პლევეს (1846-1904), პრემიერ-მინისტრის პიოტრ სტოლიპინის (1862-1911), გენერალ გუსტავ სტაკელბერგის (1853-1917) და სხვა სახელმწიფო მოღვაწეთა თუ რევოლუციონერთა მკვლელობები.

ჩვენს ყურადღებას იქცევს დუმის სხდომის რამდენიმე ეპიზოდი, ასევე ოქტომბრის გადატრიალების წინა დღეს დუმის სხდომის მოგონება, ამ სხდომას თავად ესწრებოდა ბაბო შარვაშიძე:

„რევოლუციის წინაღუეს კერენსკიმ დუმაში წარმოთქვა სიტყვა, რომელიც საუკეთესოდ მიიჩნის. მიუხედავად ამისა, მან ჩემზე ვერ მოახდინა შთაბეჭდილება. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს უმწიფარ სკოლის მოსწავლეს ვუსმენდი და არა გამოზრდმედილ ორატორს. მას სიტყვა ჯერ არ დაემთავრებინა, რომ სხდომა შეჩერდა. ჩემმა ქმარმა მომიტანა ახალი საშვი მეორე დღეს ამ სიტყვის დასკვნითი ნაწილის მოსასმენად. მეორე დღეს კი დაბრუნდა სახლში იმის სათქმელად, რომ სიტყვა აღარ დასრულდებოდა, რადგან დუმა (დაითხოვეს) გადაიდო. მომდევნო დღეს გავიგეთ ახალი ამბები, რომ ზოგიერთი პოლკის ჯარისკაცებს მიეტოვებინათ თავიანთი ყაზარმები; ციხეებიდან გამოეშვათ პატიმრები, რომელთაც ხელში ჩაეგდოთ არტილერია და იარაღი და ხალხისთვის დაერიგებინათ. დუმის წევრები კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ არაოფიციალურად. ამ შეკრებას ჩემი ქმარიც დაესწრო. შემდეგ მან გაიგო, რომ შულგინი და გუჩკოვი უკვე წასულიყვნენ სასახლეში იმპერატორთან შესახვედრად, რომ მოეთხოვათ მისი გადადგომა“ (შარვაშიძე, 2019, გვ. 115).

ბოლშევიკურმა გადატრიალებამ ხელი შეუშალა დროებითი მთავრობის მიერ ალექსანდრ მეიენდორფის ინგლისში ელჩად გამწესებას და ის ვეღარ გაემგზავრა ლონდონში:

„თავმჯდომარისა და დროებითი მთავრობის მეთაურის თანამდებობებზე კერენსკის მცირეხნიანი ყოფნისას ინგლისში ელჩად დაინიშნა საზონოვი, მაგრამ გამგზავრებიდან მალევე ის რაღაც გაუგებარი მიზეზით იტალიაში გამოიძახეს. მის გამონთავისუფლებულ ადგილზე დანიშნეს ჩემი ქმარი. რაღაც დროის შემდეგ სერ ჯორჯ ბიუკენენმა (დიდი ბრიტანეთის ელჩი რუსეთში 1910-1918 წლებში - მ. ც.) დაიბარა ალექსანდრე იმის სათქმელად, რომ ის გახდებოდა პერსონა გრატა და რომ მეფე ჯორჯმა მოიწონა მისი დანიშვნა. სანამ ჩემი ქმარი ამ თანამდებობას დაიკავებდა, ბოლშევიკებმა მიიტაცეს ძალაუფლება და გააგდეს კერენსკი, რის გამოც დროებითი მთავრობის მიერ დანიშნულ პირებსაც შეუწყდათ უფლებამოსილება და ალექსანდრეც ვეღარ წავიდა ლონდონში“ (შარვაშიძე, 2019, გვ. 118).

ბაბო შარვაშიძე მოგვითხრობს გადატრიალების შემდგომ ამბებსაც, პეტერბურგში გამეფებულ ახალი ბოლშევიკური ხელისუფლების ცინიზმს, დაუნდობლობასა და სისასტიკეს, რასაც ის იჩენდა არისტოკრატის მიმართ, ასევე იმ გაუსაძლის ყოფასა და სიდუხჭირეს, რამაც მოსალოდნელ რეპრესიებთან ერთად მას და მის მეუღლეს გადარჩენის

ერთადერთ გზად საზღვარგარეთ გახიზვნა დაუტოვა. იქვე აღწერილია ის სირთულეებიც, რაც ცოლ-ქმარს ამ გამგზავრებისას შეემთხვა და ისიც, რაც გადაიტანეს მათ ემიგრაციის პირველ ხანებში, სანამ როგორღაც მოახერხებდნენ იქ დამკვიდრებასა და საარსებო სახსრის მოპოვებას.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ აღმოსავლეთ ბალტიისპირეთის ისტორიულ მხარეში, ლივონიაში, მეიენდორფების საგვარეულო მამულში - კლეინ როოპში - გატარებული დღეების აღწერას. ის მნიშვნელოვანია იმით, რომ ცოლ-ქმრის კერძო ცხოვრებასთან ერთად გვაცნობს (და ხელისგულზე გვიშლის) მათი ბალტიელი კეთილშობილი და ინტელიგენტური მეზობელი ოჯახების უმძიმეს ხვედრსა და იმ რეპრესიებს, რომლებიც განიცადეს თავიანთი პროგრესანულობისა და გერმანოფილიზმის გამო ჯერ მეფის რუსეთის, ხოლო შემდეგ ბოლშევიკური ხელისუფლებისგან პირველი მსოფლიო ომის, რუსეთის რევოლუციებისა და შემდგომ პერიოდებში. „მიმდინს იმაზე ფიქრი, რომ ყველა ამ სახლის მშვიდობიანი და კულტურული ატმოსფერო ასე გააქრო მათ ირგვლივ გამეფებულმა სისასტიკემ და სიძულვილმა“, - გულისტკივილით აღნიშნავს ბაბო შარვაშიძე ამ ოჯახების გახსენებისას (შარვაშიძე, 2019, გვ. 107). ამ ეპიზოდების წყალობით ბაბო შარვაშიძის მემუარები საისტორიო წყაროდ წარმოგვიდგება ასევე რუსეთის ბალტიისპირა კოლონიებისთვისაც.

ზემონახსენები ეპოქალური მოვლენების გარდა, მოგონებებში ვხვდებით ისეთ მონაკვეთებსაც, რომლებშიც მოცემულია რუსეთის სასახლის კარის ეტიკეტის, საიმპერატორო ოჯახის, მისი გარემოცვის ჩაცმულობისა და იქაური ყოფის სხვა რეალიები თუ ნიუანსები, რასაც ეპოქის სუნთქვა (და სურნელი) მოაქვს ჩვენამდე და ძნელად თუ შევხვდებით ოფიციალურ ქრონიკებსა და ისტორიულ დოკუმენტებში.

ბაბო შარვაშიძის მემუარების ამორჩეული მონაკვეთების, ჩვენი აზრით, მეტად საგულისხმო პასაჟებზე ყურადღების გამახვილებით ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა ის, როგორც XIX-XX საუკუნეების მიჯნის საქართველოსა და რუსეთის იმპერიის საყურადღებო საისტორიო წყარო, რომელიც მემუარისტისა და მისი ახლობლების რთულ და საინტერესო ცხოვრებას საინტერესო მოვლენების ფონზე გვიჩვენებს. ვფიქრობთ, მომავალში მას კიდევ ბევრჯერ მიმართავენ როგორც ისტორიკოსები, ისე აღწერილი ეპოქით დაინტერესებული სხვა დარგის მკვლევრებიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. (2018). ტ. VIII. გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი VII). თბილისი. უნივერსალი.
2. ბერძნიშვილი, მ. (1980). მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. წიგნი I. თბილისი. მეცნიერება.
3. ბერძნიშვილი, მ. (1983). მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. წიგნი II. თბილისი. მეცნიერება.
4. გამბა, ფ. (1987). მოგზაურობა ამიერკავკასიაში. ტ. 1. თბილისი. განათლება.
5. კაკაბაძე, ს. (2003). ქართველი ხალხის ისტორია (1783-1921). თბილისი. ნეკერი.
6. შარვაშიძე, ბ. (2019). მემუარები. თბილისი. „არტანუჯი“.
7. ცერცვაძე, მ. (2014). ელისაბედ ერისთავის მოგონება ძმებ ორბელიანებზე. *ჩვენი მწერლობა*. N2 (210). თბილისი.
8. ხორავა, ბ. (2011). აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და მიხეილ შარვაშიძე. თბილისი. უნივერსალი.
9. Джавахишвили, Н. (2019). Очерки Истории Грузино-Балтийских взаимоотношений. Тбилиси. Универсал.
10. Думин, С., Гребельский, П. (1998). Дворянские роды российской империи. т. IV: Думин, С., Чиковани, Ю. Князья царства грузинского. Москва. Ликоинвест.

Maia Tsertsvadze,
Georgian Technical University

"Memoirs" by Babo Sharvashidze as a historical source

Summary

Last year the Georgian publishing house "Artanuji" has published in Georgian memoirs of Barbara (Babo) Sharvashidze (1859 - 1946) (the youngest daughter of the last ruler of Abkhazia Mikheil Sharvashidze (1806-1866)), translated from English and equipped with the scientific apparatus by Doctor of History Maia Tsertsvadze.

Babo Sharvashidze was born in Likhny, Abkhazia. In 1907, in St. Petersburg she married a well-known political figure, lawyer, deputy chairman of the Russian Duma, Estonian Baron Aleksander Meiendorf (1869-1964). After the coup of Russia in October 1917, Babo and her spouse went abroad and lived there. She died in England.

In the memoirs, Babo Sharvashvadze tells us about the dramatic life and the adventures of her family against the background of historical events of the epoch directly witnessed by her. The memoirist retells the reader about the last days of the Abkhazian principality and the banishment of her father from Abkhazia by the Russian Empire, as well as about her own politically and socially active life – as the lady-in-waiting to the Russian Empress she was close to the Russian Imperial Court and participated in many charity events.

The paper is dedicated to the presentation of Babo Shavashvadze's memoirs as a distinguished historical source of Georgia and the Russian Empire of the 2nd half of the 19th century and the first twenty years of the 20th century.

**მიხეილ ბახტაძე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ერთი დოკუმენტი კავკასიის არმიის სამეთაურო შემადგენლობის შესახებ
(1918 წლის 13 მაისი)**

1914-1918 წლებში მიმდინარე პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთის იმპერიისათვის ყველაზე წარმატებული კავკასიის ფრონტი აღმოჩნდა. რუსეთმა არა მარტო მოიგერია მოწინააღმდეგის იერიშები, არამედ თავად გადავიდა შეტევაზე, სამხედრო მოქმედებები გადაიტანა ოსმალეთის ტერიტორიაზე და დაიკავა მნიშვნელოვანი პუნქტები: ტრაპიზონი, არზრუმი, ერზინჯანი და სხვ. 1917 წლის დასაწყისისთვის კავკასიის ფრონტზე რუსეთის იმპერიას სერიოზული უპირატესობა ქონდა და სამხედრო მოქმედებების გაგრძელების შემთხვევაში კიდევ უფრო განავითარებდა საკუთარ წარმატებას. თუმცა რუსეთის იმპერიაში განვითარებულმა მოვლენებმა გავლენა იქონია საიმპერატორო არმიაზეც. დაიწყო დისციპლინის მოშლა, საბრძოლო განწყობის დაცემა, დემორალიზაცია და არმიის ფაქტობრივად დაშლაც. ეს პროცესები მიმდინარეობდა კავკასიის ფრონტზეც. ამის პარალელურად გაჩნდა მოსაზრება, რომ დაწყებულიყო ეროვნული სამხედრო შენაერთების შექმნა. ეს სრულიად ბუნებრივი რეაქცია იყო. რუსეთის არმია კარგავდა ბრძოლისუნარიანობას და საჭირო იყო სხვა სამხედრო შენაერთებით მისი ჩანაცვლება.

ეროვნული სამხედრო შენაერთების ჩამოყალიბება რთული პროცესი იყო და უამრავი საკითხის გადაწყვეტას ითხოვდა. ამ ახალ შენაერთებს ჭირდებოდათ: იარაღი, ტანსაცმელი, ადგილები დისლოკაციისთვის და სხვ. ამიტომ ცხადი გახდა, ეროვნული (ნაციონალური) სამხედრო შენაერთების ფორმირების ნორმალურად წარმართვისათვის საჭირო იყო საგანგებო ორგანო, რომელიც ამ საქმეს უხელმძღვანელებდა. 14 დეკემბერს¹ ამიერკავკასიის კომისარიატმა დაამტკიცა ასეთი საგანგებო ორგანოს - ეროვნებათაშორისი სამხედრო საბჭოს შექმნა. საბჭოს უნდა განეხილა ეროვნული სამხედრო ნაწილების შექმნასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ნოე რამიშვილი. საბჭომ ორი თვე იმუშავა.

1918 წლის 10 თებერვალს მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის სეიმმა, რომელმაც 20 თებერვალს შექმნა სამხედრო კომისია ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით (სეა, სცა, ფ. 1819, ა. 3, ს. 148). იმავე დღეს ეროვნებათაშორისი სამხედრო საბჭოს თავმჯდომარემ წერილით მიმართა ამიერკავკასიის სამხედრო-საზღვაო კომისარს. წერილში ეწერა, რომ ამიერკავკასიის სეიმის არჩევისა და ამ უკანასკნელის მიერ თავდაცვის სახელმწიფო კომისიის შექმნის გამო 20 თებერვლიდან ეროვნებათაშორისი სამხედრო საბჭო დაშლილია. მთელი ქონება და ყველა საქმე გადაეცემა სამხედრო-საზღვაო კომისრის მიერ მითითებულ დაწესებულებებს (სეა, სცა, ფ. 1968, ა. 1, ს. 2).

ეროვნებათაშორისი სამხედრო საბჭოს უფლება-მოვალეობები ფაქტობრივად გადაეცა ამიერკავკასიის სეიმის მიერ შექმნილ სამხედრო კომისიას.

სეიმის სამხედრო კომისიას ბევრი პრობლემა ჰქონდა მოსაგვარებელ-გადასაწყვეტი და სამხედრო საქმესთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს განიხილავდა. მაგ. თბილისში ტყვია-წამლის წარმოებისთვის ქარხნის აშენება. მთავარი საკითხი კი რომელსაც ძალიან დიდი

¹ 1918 წლის 18 აპრილამდე კავკასიაში მოქმედებდა იულიანური კალენდარი, ე.წ. ძველი სტილი.

დრო ეთმობოდა იყო ახალი სამხედრო სტრუქტურის ანუ კავკასიის ახალი არმიის შექმნა და ძველი სტრუქტურების გაუქმება.

ამ დროისთვის სამხრეთ კავკასიაში ჯერ კიდევ მოქმედებდა რუსეთის იმპერიის დროინდელი სამი სამხედრო ინსტიტუცია: კავკასიის სამხედრო ოლქი, კავკასიის ფრონტი და კავკასიის არმია. თითოეულ მათგანს ქონდა თავისი სტრუქტურა, სამტატო განრიგი და სხვადასხვა დოზით მონაწილეობდა სამხრეთ კავკასიაში არსებული სამხედრო შენაერთების ხელმძღვანელობაში.

მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს იმის დასტურად, რომ ზემოთ დასახელებული სამივე სტრუქტურა მონაწილეობდა სამხედრო საკითხების განხილვაში და გარკვეული გადაწყვეტილებების მიღებაც შეეძლო.

კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გენერალ კალნიცკის 1918 წლის 3 იანვრის ბრძანებიდან ირკვევა, რომ უნდა მომხდარიყო მე-5 სასაზღვრო პოლკის პოლონიზაცია და მას უნდა გადასცემოდა 220-ე ქვეითთა პოლკის მთელი შეიარაღება. პოლკოვნიკ გოლცს უნდა ჩამოეყალიბებინა კავკასიის პოლონური სარეზერვო ბატალიონი და მას უნდა გადასცემოდა 279-ე ქვეითთა პოლკის შეიარაღება (სეა, სცა, ფ. 1968, ა. 1, ს. 5).

კავკასიის ფრონტის სარდლობამ 13 იანვარს წერილი გაუგზავნა სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარს. წერილს ხელს აწერდნენ: კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გენერალ-მაიორი ლებედინსკი, გენერალ-კვარტირმაისტერის მოვალეობის შემსრულებელი პოლკოვნიკი შატილოვი და პოლკოვნიკი გოტივეცივი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ახალი ეროვნული შენაერთების: ქართული, სომხური, მუსლიმური, რუსული, პოლონური, უკრაინული, ბერძნული, ასირიული და სხვ. ფორმირება სერიოზულ პრობლემებს წარმოსობს, რადგან შეუძლებელი იქნება მათი და ასევე ფრონტზე მყოფი ძველი შენაერთების მომარაგება ტყვია-წამლით, ამუნიციით, საკვებით და ა. შ. ამიტომ ფრონტის სამხედრო ხელმძღვანელები ითხოვენ ეროვნული შენაერთების ფორმირების შეწყვეტას (სეა, სცა, ფ. 1818, ა. 1, ს. 18).

კავკასიის არმიის სარდალი გენერალი ოდიშელიძე 31 იანვარს (13 თებერვალს) გამოსცემს ბრძანებას, რომლის თანახმადაც კავკასიის არმიის ნაწილებმა არ უნდა დატოვონ დაკავებული პოზიციები. რიცხვმრავალი მოწინააღმდეგის გამოჩენის შემთხვევაში კი ორგანიზებულად დაიხიონ უკან, რეზერვებისკენ (Документы и материалы по внешней политике закавказия и Грузии, 1919, გვ. 49-50).

გასათვალისწინებელი ისიც, რომ 1917 წლის ნოემბერ-დეკემბრიდან არსებობს ეროვნული სამხედრო შენაერთები თავის ხელმძღვანელობით და სტრუქტურებით. ეს უკანასკნელები დიდწილად საკუთარ ეროვნულ საბჭოებს ექვემდებარებოდნენ.

ყოველივე ეს იწვევდა გარკვეული სახის არეულობას და მოვალეობების დუბლირებასაც. ართულებდა საომარი მოქმედებების წარმართვასა და ზურგში არსებული პრობლემების დროულ გადაწყვეტას.

ამიერკავკასიის კომისარიატიც და სეიმიც ცდილობდნენ ვითარების გამოსწორებას. ამიტომ 3 მარტს სეიმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეროვნული სამხედრო შენაერთები გადადიან საერთო სამხარეო ხელისუფლების (Общекраевой власти) განკარგულებაში და ეროვნულ საბჭოებს ჩამოერთმევათ აღნიშნული ფუნქცია (სეა, სცა, ფ. 1819, ა. 3, ს. 170). თუმცა ეს საკმარისი არ იყო. უნდა ჩამოეყალიბებლიყო ერთი სამხედრო სტრუქტურა - კავკასიის არმია, რომელიც გაერთიანებდა სამხრეთ კავკასიაში არსებულ სხვადასხვა სახის სამხედრო შენაერთებს.

სწორედ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას მიემდგვნა სეიმის სამხედრო კომისიის არაერთი სხდომა. განიხილებოდა ძველი შტატების შემცირების, გაერთიანების და ახალის შექმნის საკითხები.

1918 წლის 13 მაისს სამხედრო კომისიამ განიხილა კავკასიის არმიის უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობის დანიშვნის საკითხი. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში, ამიერკავკასიის სეიმის სამხედრო კომისიის ფონდში ინახება ამ სხდომის ოქმი (სეა, სცა, ფ. 1819, ა. 1, ს. 139). ეს არის მანქანაზე რუსულად ნაბეჭდი რვა გვერდი.

სხდომის თავმჯდომარე იყო ნოე ჟორდანიას, მდივანი - დოლომანოვი. სხდომას ესწრებოდნენ: სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე, მისი მოადგილე გენერალი გიორგი კვინიტაძე, შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი. სეიმის წევრები: იოსებ გობეჩია, ტიგრან ბეკუაძიანი, პირუმოვი. ასევე: გენერალი მიშლავესკი, შტაბს-კაპიტანი მალხაზოვი, პრაპორშჩიკი მაკაროვსკი და სეიმის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მდივანი ვლადიმერ ვოიტინსკი.

სხდომა გაიხსნა 20 საათსა და 15 წუთზე და დასრულდა 23 საათზე.

ნოე ჟორდანიამ დამსწრეთ გააცნო სხდომის მიზანი და განუმარტა განსახილველი საკითხის დიდი მნიშვნელობა. უნდა შერჩეულიყვნენ კანდიდატები კავკასიის არმიის უმაღლესი სამეთაურო თანამდებობების დასაკავებლად: მთავარსარდლის, შტაბის უფროსის, მომარაგების უფროსის, ჯარის საყოფაცხოვრებო საკითხების სამმართველოს უფროსის. კანდიდატთა სია გადაეცემოდა მთავრობას განსახილველად და დასამტკიცებლად. ასევე უნდა შეერჩიათ სამხედრო საბჭოს კანდიდატებიც.

გენერალმა მიშლავესკიმ წამოაყენა წინადადება, რომ განეხილათ: გენერალ-კვარტირმაისტერის და მორიგე გენერლის კანდიდატების საკითხიც. მანვე გამოთქვა მოსაზრება, რომ თავის ადგილებზე დარჩენილიყვნენ და არ შეეცვალათ: საინჟინრო სამსახურის, არტილერიის მომარაგების სამსახურის, სანიტარული ნაწილის, საბინაო საკითხის სამსახურის უფროსები და ინტენდანტი, რადგან მათ მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმეები ახარიათ.

ბეკუაძიანი დაინტერესდა, კომისია განიხილავდა მხოლოდ უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობის საკითხს, თუ უფრო დაბალი რანგის სამხედრო მეთაურების კანდიდატებსაც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საჭირო იქნება საგანგებო კომისიის შექმნა, რომელიც გაარკვევს სათანადო თანამდებობის პირების საკითხს და ყოველივეს წარმადგენს სამხედრო საბჭოს სხდომაზე.

გობეჩიამ განცხადა, რომ არაა საჭირო საკითხის ის ფართოდ გახილვა როგორც ბეკუაძიანმა დააყენა, რადგან კომისიის გადაწყვეტილება არ არის საბოლოო. კანდიდატებს დაამტკიცებს მთავრობა და ამიტომ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ უმაღლესი ხელმძღვანელობით.

ჟორდანიამ დამსწრეებს შეახსენა, რომ მისი წინადადებაც ანალოგიური იყო.

ნოე რამიშვილმა განმარტა, რომ უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობის დანიშვნის საკითხი გარკვეულწილად განიხილეს თავდაცვის საბჭოს სხდომაზე¹. საბჭო დადგა იმ აუცილებლობის წინაშე, რომ შეეცვლა არსებული წესი - არმიის სარდლის დაქვემდებარება მთავრობის თავმჯდომარისადმი, ახალი წესით - არმიის სარდლის დაქვემდებარებით სამხედრო მინისტრისადმი. შინაგან საქმეთა მინისტრს მიზანშეწონილად მიაჩნდა განხილულიყო მხოლოდ უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელების კანდიდატურები.

¹ 1918 წლის 31 მარტს სეიმის გადაწყვეტილებით შეიქმნა ამიერკავკასიის დაცვის უმაღლესი საბჭო. საბჭოს წევრები იყვნენ: მთავრობის თავმჯდომარე გეგეჭკორი, ფინანსთა მინისტრი კარჩიკიანი, შინაგან საქმეთა მინისტრი რამიშვილი. კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი პირდაპირ ემორჩილება თავდაცვის უმაღლეს საბჭოს, თუმცა თავისუფალი რჩებოდა საოპერაციო განკარგულებების გაცემაში და საბჭოსგან მხოლოდ საერთო საოპერაციო მიზნების შესახებ იღებდა განკარგულებას. მინისტრები და ცალკეული დაწესებულებები პირდაპირ საბჭოს ექვემდებარებოდნენ. (გაზეთი „ერთობა“ (1918). №79.)

გენერალმა მიშლავესკიმ განაცხადა, რომ საგანგებო კომისიის შექმნა საჭირო იქნება თუ საკითხს უფრო ფართოდ განიხილავენ. ამ სხდომაზე კი უნდა გაიზიარონ ნოე ჟორდანიას აზრი. გენერალი თვლიდა, რომ მართებული გადაწყვეტილებაა არმიის მთავარსარდლის დამორჩილება სამხედრო მინისტრს. ეს გააადვილებდა კომუნიკაციას და გადაწყვეტილების მიღების ოპერატიულობას. თუ ეს წინადადება მიუღებელია, მაშინ შესაძლოა განხილული იყოს მთავარსარდლის სეიმისადმი დაქვემდებარების ვარიანტიც. რაც შეეხება სამეთაურო შემადგენლობის გაახალგაზრდავების საკითხს, მიშლავესკიმ აღნიშნა, რომ სამხედრო კომისია თავის საქმიანობაში ითვალისწინებს ამ საკითხსაც.

პირუშოვი გამოვიდა სამხედრო მინისტრისადმი მთავარსარდლის დაქვემდებარების წინააღმდეგ და მოიყვანა საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების მაგალითი. ხაზი გაუსვა ამ საკითხის სწორი გადაწყვეტის აუცილებლობას სამხედრო კომისიასა და სეიმში. დაამატა ისიც, რომ დებულებაში არმიის მთავარსარდლის შესახებ ზუსტად არის გაწერილია მთავარსარდლის სამხედრო მინისტრთან ერთობლივი მუშაობის საკითხები.

ჟორდანიამ დააყენა წინადადება, მოეხსნათ დღის წესრიგიდან მთავარსარდლის დაქვემდებარების საკითხი. კომისიის წევრები თავმჯდომარეს დაეთანხმნენ.

ამის შემდეგ დაიწყო კონკრეტულ თანამდებობებზე კანდიდატურების განხილვა. ყველაზე მეტი დრო დაეთმო და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მთავარსარდლის კანდიდატურების განხილვა.

გენერალმა მიშლავესკიმ წამოაყენა გენერალ-ლეიტენანტი ილია ოდიშელიძის¹ კანდიდატურა. ხაზი გაუსვა, რომ ოდიშელიძე ფაქტობრივად ასრულებს კიდეც ამ მოვალეობას და აქვს სათანადო გამოცდილება და ცოდნა. ის, რომ ამჟამად ოდიშელიძე არ იმყოფება ადგილზე, რადგან საზავო დელეგაციასთან² ერთად არის წასული, არ უნდა იყოს ხელისშემშლელი მისი კანდიდატურის დასამტკიცებლად.

ვოიტინსკიმ წამოაყენა წინადადება, რომ განეხილათ სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომთა კანდიდატურები. მოიყვანა გენერალ რადკო-დმიტრევის³ მაგალითი და

¹ ილია ოდიშელიძე (1865-1925) დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი სწავლა მოსკოვში ალექსანდრეს სახელობის მე-3 სამხედრო სასწავლებელში განაგრძო. პორუჩიკი (1891). 1891-1894 წლებში სწავლობდა გენერალური შტაბის ნიკოლოზის სახელობის აკადემიაში. შტაბს-კაპიტნი (1894). კაპიტნი (1896). პოდპოლკოვნიკი (1900). რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე. პოლკოვნიკი (1904). 1909 წლიდან თურქესტანის სამხედრო ოლქის სარდლის დავალებათა გენერლის მოვალეობის შემსრულებელი. გენერალ-მაიორი (1910). 1911 წლიდან სამარყანდის ოლქის სამხედრო გუბერნატორი. 1914 წლიდან თურქესტანის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი. გენერალ-ლეიტენანტი (1914). პირველი მსოფლიო ომის დროს ჯერ ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის მე-10 არმიის შტაბის უფროსი, შემდეგ კი 1917 წლის იანვრამდე 1-ლი არმიის შტაბის უფროსი. 1917 წელს გადაყვანილ იქნა ჯერ XV საარმიო კორპუსის მეთაურად, შემდეგ მე-3 არმიის სარდალი. 1917 წლის 2 ოქტომბერს კავკასიის არმიის სარდალად ინიშნება. 1918-1921 წლებში მსახურობდა საქართველოს შეირაღებულ ძალებში. სხვადასხვა დროს იყო: სამხედრო მინისტრის მოადგილე, სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე, სამხედრო კომისიის თავმჯდომარე, პარიზის კონფერენციაზე გაგზავნილი საქართველოს დელეგაციის სამხედრო ექსპერტი. 1919 წელს ივანე ჯავახიშვილთან ერთად წარადგინა დოკუმენტი სადაც დადგენილი იყო საქართველოს ისტორიული საზღვრები. 1920 წლის დეკემბერში დაინიშნა საქართველოს შეირაღებული ძალების მთავარსარდალად. ამ პოსტზე მოუსწრო მას 1921 წელს საბჭოთა რუსეთთან დაწყებულმა ომმა. დაუშვა რამდენიმე მძიმე შეცდომა და გადაყენებულ იქნა. დაინიშნა მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველად. 1921 წელს წავიდა ემიგრაციაში. ცხოვრობდა კონსტანტინოპოლში. სავარაუდოდ იქვე გარდაიცვალა 1925 წელს. (მ. ბახტაძე, გენერალ-ლეიტენანტი ილია ოდიშელიძე).

² იგულისხმება ბათუმში ოსმალეთის იმპერიასთან მოსალაპარაკებლად წასული სეიმის დელეგაცია,

³ რადკო რადკო-დმიტრევი (1859-1918). წარმოშობით ბულგარელი. 1877 წლიდან მსახურობდა რუსეთის არმიაში. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე. დაამთავრა გენერალური

ამოაყენა ინფანტერიის გენერლის პრჟევალსკისა ¹ და გენერალ-მაიორ ლებედინსკის ² კანდიდატურები.

პირუმივი არ დაეთანხმა ვოიტინსკის. მან განაცხადა, რომ მთავარსარდლად უნდა დაინიშნოს ამიერკავკასიის რესპუბლიკასთან დაკავშირებული პირი. უცხოელი (ლანდკნეხტი) არ უნდა იდგეს ამიერკავკასიის არმიის სათავეში. ასეთი იყო მისი პრინციპული პოზიცია. პრჟევალსკისა და ლებედინსკის კანდიდატურები, როგორც კავკასიასთან „არაჰარმონიზებული (Не гармонизирующие)“ დაიწუნა. დაიწუნა ოდიშელიძეც, რადგან მთელი ომის დროს იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე და ცუდად იცნობს კავკასიის ფრონტს. ისიც აღნიშნა, რომ ოდიშელიძე კავკასიაში ჩამოსვლისთანავე გახდა არმიის დაშლის მოწმე და მის სახელს უკავშირდება: არზრუმის, სარიყამიშის, ბათუმისა და ყარსის დაცემა. საინტერესოა, რომ პირუმივის საკუთარი კანდიდატურა არ წამოუყენებია.

შჩედრინსკი არ შეეხო პოლიტიკურ საკითხებს და წამოაყენა გენერალ-ლეიტენანტ ლიახოვის ³ კანდიდატურა, როგორც ენერგიული, გამოცდილი, განათლებული სამხედრო მეთაურის და ამავე დროს ჯარისკაცების მოყვარულის და უკანასკნელთა მიერაც პატივცემულის.

გენერალი მიშლავესკი დაეთანხმა პირუმივის, რომ ამიერკავკასიას უნდა ყავდეს თავის (свой) გენერალი, რადგან ისტორია უჩვენებს, რომ ასეთი თანამდებობა პრინციპულად არ უნდა ეკავოს უცხოელს. იქვე განმარტა, რომ არასწორია გენერალ რადკო-დმიტრევის

შტაბის ნიკოლოზის სახელობის აკადემია. 1898 წელს დაბრუნდა ბულგარეთში. ბულგარეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა. 1914 წლის ივლისში მიენიჭა რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტობა, სექტემბერში ინფანტერიის გენერლობა. 1916 წლიდან მე-12 არმიის სარდალი. 1917 წელს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გადააგა, წავიდა სამკურნალოდ ჩრდილოეთ კავკასიაში პიატიგორსკში, სადაც ბოლშევიკებმა შეიპყრეს და 1918 წლის ოქტომბერში მოკლეს. (Русская армия в Великой войне <http://www.grwar.ru>).

¹ მიხეილ პრჟევალსკი (1859-1934). დაამთავრა მიხეილის სახელობის სარტილერიო აკადემია და გენერალური შტაბის ნიკოლოზის სახელობის აკადემია. 1914 წლიდან მონაწილეობდა კავკასიის ფრონტზე მიმდინარე სამხედრო მოქმედებებში: სარიყამიშის ბრძოლაში, ერზერუმის, ერზინჯანისა და ბაიბურდის ადების ოპერაციებში. 1915 წლის იანვარში მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტობა, 1916 წლის ნოემბერში ინფანტერიის გენერლობა. 1917 წლის 3 აპრილს დაინიშნა კავკასიის არმიის, ხოლო 31 მაისს კავკასიის ფრონტის სარდალად. 5 დეკემბერს ხელი მოაწერა ერზინჯანის შეთანხმებას, კავკასიის ფრონტზე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. 28 დეკემბერს გადადგა კავკასიის ფრონტის სარდლის თანამდებობიდან და მეთაურობა გადასცა ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ ევგენი ლებედინსკის. 1918 წლის ბოლოს შეუერთდა ანტონ დენიკინს. შემდეგ მსახურობდა ბარონ ვრანგელის არმიაში. ემოგრაციაში წავდა იუგოსლავიაში. (Русская армия в Великой войне <http://www.grwar.ru>).

² ევგენი ლებედინსკი (1873- გარდაცვალების თარიღი უცნობია). თავდაპირველი სამხედრო განათლება მიიღო ტფილისის კადეტთა კორპუსში. 1909 წელს დაინიშნა კავკასიის კაზაკთა მე-2 დივიზიის შტაბის უფროსად. 1916 წლის ივლისში მიენიჭა გენერალ-მაიორობა. 1917 წლის 13 აგვისტოდან იყო კავკასიის ფრონტის შტაბის მორიგე გენერალი, 5 ოქტომბრიდან - ფრონტის შტაბის უფროსი. 28 დეკემბრიდან - კავკასიის ფრონტის სარდლის მოვალეობის შემსრულებელი. (Русская армия в Великой войне <http://www.grwar.ru>).

³ ვლადიმერ ლიახოვი (1869-1920). დაამთავრა გენერალური შტაბის ნიკოლოზის სახელობის აკადემია. 1921 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორობა, 1916 წლის აგვისტოში - გენერალ-ლეიტენანტობა. 1917 წლის მარტიდან კავკასიის არმიის პირველი კორპუსის მეთაურია. 1918 წელს შეუერთდა გენერალ ანტონ დენიკინს, რომელმაც ის დაინიშნა თერგ-დალესტნის მხარის სარდალად. 1920 წელს გენერალ დენიკინის დამარცხების შემდეგ, ოჯახთან ერთად დასახლდა ბათუმის შემოგარენში, სადაც უცნობმა პირებმა მოკლეს.

მაგალითის მოყვანა, როგორც უცხოელის. რადკო-დემიტრევი რუსეთში აღიზარდა და აქვე მეთაურობდა კარიერის დასაწყისში ასეულს. მან აღნიშნა, რომ საერთოდ არაა საჭირო საუბარი ადგილობრივსა და უცხოელზე, რადგან აქ მკაცრად არ არის გამიჯნული ვინ ითვლება უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომად. კიდევ ერთხელ დაუჭირა მხარი ოდიშელიძეს და უარყო გენერალი პრჟევალსკის კანდიდატურა, როგორც უკვე ასაკოვანის და გენერალ ლებედინსკისა, როგორც ადამიანის, რომელმაც თავადვე თქვა უარი მთავარსარდლის თანამდებობაზე და ასეთ რთულ დროს მიატოვა კავკასია. უარყო გენერალ ლიახოვის კანდიდატურაც.

სამხედრო მინისტრმა გრიგოლ გიორგაძემ განმარტა, რომ უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობის საკითხი განიხილა მთავრობამ და საჭიროდ ჩათვალა, უმაღლეს სამხედრო თანამდებობებზე, კორპუსის მეთაურის თანამდებობის ჩათვლით დაენიშნათ მხოლოდ ამიერკავკასიის რესპუბლიკის მოქალაქეები.

მაღზაზოვმა თქვა, რომ უკეთესია ამ თანამდებობაზე დაინიშნოს ინტერნაციონალური პირი ანუ რუსი. რადგან თუ ამ თანამდებობას რომელიმე სხვა ერის წარმომადგენელი დაიკავებს, შესაძლოა მოხდეს გარკვეული ეროვნებათაშორის დაპირისპირება.

ბეკზადიანმა განაცხადა, რომ მთავარსარდლის პოსტზე დანიშნისას გასათვალისწინებელია არა მხოლოდ პიროვნული თვისებები, არამედ გამოცდილება და საბრძოლო უნარები (боевыми его способностями). ასეთი თვისებების მქონე და კავკასიის რეგიონის კარგი მცოდნე პიროვნება თუ დაინიშნება, მას ექნება სხვადასხვა ეროვნების მხარდაჭერა. ყოველ შემთხვევაში თუკი უმაღლეს სამხედრო თანამდებობაზე დანიშნული პირები არ იქნებიან ამიერკავკასიის რესპუბლიკის ქვეშევრდომები, აუცილებლად უნდა იზიარებდნენ ამიერკავკასიის დემოკრატიის მიზნებს. ასევე აღნიშნა, რომ არ უნდა უგულვებელყოფონ რუსი ოფიცრები. თავად ამიერკავკასიას საკუთარი ოფიცრები ცოტა ყავს, რუსი ოფიცრები კი ეცდებიან აღასრულონ საკუთარი ვალი. თანამდებობების განაწილებისას შესაძლოა საპასუხისმგებლო პოსტი მიეცეს რუს ოფიცერსაც. ბეკზადიანმა უარყო დიშელიძის კანდიდატურა და წამოაყენა გენერალ ზაქარია მდივანის¹ კანდიდატურა, ხოლო შტაბის უფროსად კი გენერალი ყორღანოვი (Корганов)² დაასახელა.

მაღზაზოვი არ შეეწინააღმდეგა გენერალ მდივანის კანდიდატურას. თუმცა აღნიშნა, რომ არაბუნებრივია მისი დანიშვნა მთავარსარდლად იმ დროს, როდესაც გენერლის სახელს

¹ ზაქარია მდივანი (1867-1933). დაამთავრა ჯერ თბილისის კადეტთა კორპუსი, შემდეგ კონსტანტინეს სახელობის სამხედრო სასწავლებელი. პოდპორუჩიკი (1886). მსახურობდა ჯერ ვარშავის ციხე-სიმაგრის არტილერიაში, შემდეგ კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადაში. პორუჩიკი (1889). დაამთავრა გენერალური შტაბის აკადემია. კაპიტანი (1889). პოდპოლკოვნიკი (1902) პოლკოვნიკი (1906). 1910-1912 წლებში იყო სევსტოპოლის ციხესიმაგრის შტაბის უფროსი. 1912-1915 წლებში ლეიბ-გვარდიის მე-13 პოლკის უფროსია. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. გენერალ-მაიორი (1915). იყო იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ამალის წევრი. 1915 წელს კავკასიის მე-4 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსია. 1917-1918 წლებში ბათუმის ციხე-სიმაგრის და ქალაქ ბათუმის კომენდანტია. 1918 წლის დეკემბერში სომხეთთან ომის დროს იყო საქართველოს სამხედრო მინისტრის მოადგილე. შემდგომში აგრძელებდა სამსახურს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროში. 1921 წელს წავიდა ემიგრაციაში თურქეთში. 1924 წელს აპირებდა საქართველოში არალეგალურად შემოსვლას, რაც ვერ მოახერხა. წავიდა საფრანგეთში, ცხოვრობდა პარიზში. (Русская армия в Великой войне <http://www.grwar.ru/>; Гогитидзе, 2007; ჩაჩხიანი, 2007)

² გაბრიელ ყორღანოვი (1880-1954). დაწყებითი სამხედრო განათლება მიიღო ტფილისის კადეტთა კორპუსში. დაამთავრა გენერალური შტაბის ნიკოლოზის სახელობის აკადემია. 1914 წელს მიენიჭა პოლკოვნიკობა. მონაწილეობდა კავკასიის ფრონტზე მიმდინარე სამხედრო ოპერაციებში. 1917 წლის ოქტომბერში დაინიშნა კავკასიის ფრონტის შტაბის მორიგე გენერლად და ნოემბერში მიენიჭა გენერალ-მაიორობა. 1919 წელს იყო პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მყოფი სომხური დელეგაციის სამხედრო მრჩეველი. დარჩა ემიგრაციაში საფრანგეთში. გარდაიცვალა პარიზში. (Энциклопедия фонда „Хайзаг“ <http://www.ru.hayazg.info>)

უკავშირდება ბათუმის დაცემა. მიშლავესკიმ მხარი დაუჭირა ზაქარია მდივანს და უარყო გენერალი ლებედინსკის კანდიდატურა.

აზრთა ურთიერთგაზიარების შემდეგ გენერალ ლებედინსკის კანდიდატურა საბოლოოდ გამოირიცხა.

სამხედრო მინისტრმა გიორგაძემ განაცხადა, რომ არაა გენერალ მდივანის წინააღმდეგი, მაგრამ აღნიშნა, რომ ზაქარია მდივანი იყო ბათუმის დაცვის მეთაური. ბათუმი კი დაეცა და საჭიროა გამოძიების ჩატარება.

გენერალმა მიშლავესკიმ განაცხადა, რომ მიუხედავად სამხედრო მინისტრის მოსაზრებისა, ვერ ხედავს წინააღმდეგობას თუ რატომ არ უნდა შეიტანონ გენერალ მდივანის გვარი კანდიდატა სიაში.

შტაბს-კაპიტანმა ევეცმა დამსწრეებს გააცნო იმ გენერალთა გვარები, რომლებიც იმ დროისთვის რეზერვში იმყოფებოდნენ. სიის წაკითხვისას, გენერალმა მიშლავესკიმ დამსწრეთ სთხოვა, კანდიდატთა განხილვისას ყურადღება მიექციათ გენერლებისთვის: ბენდელევი (Бенделев), ხოხანდოკოვი (Хохандоков), კვიცინსკი (Квицинский) და ფელიცინი (Фелицин).

გობეჩიამ დაჟინებით ითხოვა შეჩერებულიყვნენ გენერლების: მდივანის, ოდიშლიძის და პრჟევალსკის კანდიდატურებზე.

ნოე ჟორდანიმ კომისიას შესთავაზა, კავკასიის არმიის მთავარსარდლის პოსტზე ისეთი პირის დანიშვნაც დაეშვათ, რომელიც არ იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკის ქვეშევრდომი. ოღონდ იმ აუცილებელი პირობით, რომ ეს პიროვნება ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის მომხრე იქნებოდა.

კომისიის წევრებმა ეს წინადადება გაიზიარეს.

განხილვის შემდეგ არმიის მთავარსარდლის პოსტზე დამტკიცდა სამი კანდიდატურა. გენერალ-ლეიტენანტი ილია ოდიშელიძე, გენერალ-მაიორი ზაქარია მდივანი და ინფანტერიის გენერალი მიხეილ პრჟევალსკი.

მეორე საკითხად განიხილეს კავკასიის არმიის შტაბის უფროსის კანდიდატების სია. დასახელდა სამი პიროვნება: ახვერდოვი¹, ბაგრატუნი და ყორღანოვი.

გენერალი მიშლავესკი შეწინააღმდეგა ბაგრატუნისა და ყორღანოვის კანდიდატურებს. ამ უკანასკნელზე კი განაცხადა, რომ კარგი იქნება მისი დანიშვნა მორიგე გენერლად, რადგან კარგი სული და გული აქვსო (человек хорошей души и сердца). ახვერდოვზე აღნიშნა, რომ კარგი კანდიდატურაა, მაგრამ პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე შტაბის უფროსად რუსის დანიშვნა მიაჩნია მართებულად და წამოაყენა ვიშინსკის კანდიდატურა.

შტაბს-კაპიტანმა ევეცმა შატილოვისა და დრაცენკოს (თუ კი შატილოვი უარს იტყოდა) კანდიდატურები შესთავაზა კომისიას.

ნოე ჟორდანიამ მხარი შატილოვს დაუჭირა და განაცხადა, რომ თავადაც ამ კანდიდატურაზე ფიქრობდა და მხოლოდ იმიტომ არ დაასახელა, რომ შატილოვმა რაპორტი წარმოადგინა სამსახურიდან გადადგომაზე.

პირუშოვმა მხარი შატილოვსა და ყორღანოვს დაუჭირა, მაგრამ განაცხადა, რომ რადგან შტაბის უფროსი ფაქტობრივად მთავარსარდლის უახლოესი (ближайшего заместителя командующего) მოადგილეა, ეს თანამდებობა სომეხმა უნდა დაიკავოსო. კერძოდ, ახვერდოვმა

¹ ივანე ახვერდოვი (1873-1931) დაამთავრა გენერალური შტაბის ნიკოლოზის სახელობის აკადემია. რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე. 1916 წლის იანვარში მიენიჭა გენერალ-მაიორობა. 1916 წლის ივლისიდან კავკასიის მე-2 საკავალერიო კორპუსის შტაბის უფროსია, 1917 წლის თებერვლიდან - კავკასიის არმიის მე-7 კორპუსის შტაბის უფროსი. 1918 წლიდან იყო ჯერ სომხეთის რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი, შემდეგ შტაბის უფროსი. შემდეგ მსახურობდა წითელ არმიაში. 1931 წელს დახვრიტეს. (Русская армия в Великой войне <http://www.grwar.ru>).

ან ყორღანოვმა. შატილოვი კი შეიძლება გენერალ-კვარტირმაისტერის თანამდებობაზე დარჩესო.

ვოიტინსკიმ მხარი ახვერდოვს დაუჭირა.

საბოლოოდ არმიის შტაბის უფროსის თანამდებობაზე შემდეგი კანდიდატები დაამტკიცეს: პოლკოვნიკი ახვერდოვი¹, გენერალი ყორღანოვი, პოლკოვნიკი შატილოვი, ვიშინსკი, კალნიცკი² და ბაგრატიანი.

მესამე საკითხი იყო გენერალ-კვარტირმაისტერის კანდიდატურების განხილვა.

ნოე ყორღანიამ მართებულად ჩათვალა, რომ ეს თანამდებობა მუსლიმთათვის დაეთმო.

მიშლაევსკიმ წამოაყენა ახვერდოვის კანდიდატურა. იმ მოსაზრებით, რომ თუ ახვერდოვი ვერ გახდებოდა შტაბის უფროსი გენერალ-კვარტირმაისტერის თანამდებობს მაინც დაიკავებდა. მუსლიმი კი, მიშლაევსკის აზრით, შეიძლება დაენიშნათ მომარაგების სამსახურის უფროსად და აქ შეუცვლელი იქნებოდა ხალილოვი.

პირუმიოვმა გამოთქვა მოსაზრება, რომ გენერალ-კვარტირმაისტერის პოსტზე განეხილათ იგივე კანდიდატურები რაც შტაბის უფროსის თანამდებობაზე. სხდომის მონაწილეებმა ეს წინადადება მიიღეს.

მორიგე გენერლის თანამდებობაზე წარადგინეს: ყორღანოვი და სალიმოვი;

მომარაგების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე დასახელდნენ: ხალილოვი, ხარიტონოვი და ასათიანი. პირუმიოვმა შენიშნა, რომ თუ ვერ მოხერხდებოდა ხალილოვის დადესტინიდა გამოხმობა, ეს თანამდებობა სალიმოვისთვის შეეთავაზებინათ. ეს წინადადება კომისიის წევრებმა გაიზიარეს.

არმიის ყოფა-ცხოვრების სამმართველოს უფროსის პოსტზე დამტკიცდნენ: ბენდეროვი, შედრინსკი, მოროზოვი, დრაცენკო, შატილოვი. ვოიტინსკიმ გააპროტესტა დრაცენკოს კანდიდატურა. აღნიშნა რა, რომ ეს თანამდებობა პოლიტიკური შეფერილობის ადამიანმა (человек с политической окраской) უნდა დაიკავოს. სამხედრო საბჭო წევრობის

¹ ოქმში წერია „П.“ ანუ პოლკოვნიკი, თუმცა როგორც ჩანს შეცდომაა. ახვერდოვი გენერალ-მაიორი იყო

² მიხეილ კალნიცკი (1870-1961) დაამთავრა ტფილისის კლასიკური გიმნაზია. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში. 1914 წლის დეკემბერში მიენიჭა გენერალ-მაიორის ჩინი. 1917 წლის სექტემბრიდან ასრულებდა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის მოვალეობას. 1918 წლის ნოემბრიდან მსახურობდა უკრაინაში, ჰეტმან სკოროპადსკის არმიაში. 1919 წელს შეუერთდა გენერალ ანტონ დენიკინს. 1920 წელს წავიდა ემიგრაციაში. გარდაიცვალა პარიზში. (Русская армия в Великой войне <http://www.grwar.ru>).

კანდიდატებად დასახელდნენ: მიშლავესკი, შჩედრინსკი, სოკოლცევი, ფელიცინი, ქუთათელაძე¹, ანდრონიკოვი², მეხმანდაროვი³, ბენდეროვი, კოლოსოვსკი, ბენაევი⁴.

ოქმის მიხედვით, კანდიდატურების განხილვა საკმაოდ საინტერესოდ მიმდინარეობდა, თუმცა შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა და 26 ამიერკავკასიის რესპუბლიკის დაშლამ და დამოუკიდებელი რესპუბლიკების შექმნან სამხედრო კომისიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებას აზრი დაუკარგა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

ლიტერატურა:

1. გაზეთი „ერთობა“. (1918). №79.
2. ჩაჩხიანი, ა. (2007). დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბილისი.
3. Гогитидзе М. (2007), Военная элита Кавказа т.1. Тбилисиу
4. Документы и материалы по внешней политике закавказия и Грузии. (1919). Тифлис.
5. Энциклопедия фонда „Хайзар“. <http://www.ru.hayazg.info>
6. Русская армия в Великой войне <http://www.grwar.ru/persons/list>.

¹ გენერალ-ლეიტენანტი კირილე ქუთათელაძე. 1916 წლიდან უმაღლესი მთავარსარდლის, არტილერიის საველე ინსპექტორის დავალებათა გენერალი. 1918-1921 წლებში მსახურობდა საქართველოს შეირადებულ ძალებში. იყო ქართული არმიის არტილერიის უფროსი. წავიდა ემიგრაციაში. მსახურობდა პოლონეთის არმიაში. 1926 წელს გახდა ბრიგადის გენერალი. დაიღუპა ავტოკატასტროფაში.

² გენერალ-მაიორი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი. 1916 წელს დაინიშნა 298-ე ქვეითთა პოლკის უფროსის მოადგილედ. 1917 წლის თებერვლიდან 177-ე ქვეითთა დივიზიის შტაბის უფროსია, ხოლო ივნისიდან XX საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი. 1918-1921 წლებში მსახურობდა საქართველოს შეირადებულ ძალებში. 1918 წლის შემოდგომიდან 1919 წლის ზაფხულამდე, მათ შორის სომხეთთან ომის დროს იყო გენერალური შტაბის უფროსი. 1920 წელს დაინიშნა სამხედრო სკოლის უფროსად. 1921 წელს თბილისი დაცვისა მიმდინარე ბრძოლების დროს 19-24 თებერვალს სარდლობდა კოჯორ-ტაბახმელას მიმართულებას. დედაქალაქიდან უკანდახვეის დროს დაინიშნა მთავარსარდლის მოადგილედ. ემიგრაციაში არ წასულა. სამხედრო სამსახური განაგრძო საბჭოთა საქართველოს წითელ ჯარში. იყო ანტისაბჭოთა აჯანყების მოსამზადებელი „სამხედრო ცენტრის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი. სამხედრო ცენტრის სხვა წევრებთან ერთად დახვრიტეს 1923 წლის 21 მაისს დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე.

³ მეხმანდაროვი სამედ ბეგ, არტილერიის გენერალი. 1914 წლის დეკემბერში დაინიშნა მე-11 კავკასიური საარმიო კორპუსის მეთაურად. 1917 წელს დაბრუნდა ბაქოში. იყო აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ამხედრო მინისტრი.

⁴ გენერალ-მაიორი ანდრეა ბენაშვილი. 1917 წელს 32-ე საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი. 1918-1921 წლებში მსახურობდა საქართველოს შეირადებულ ძალებში. 1918 წლის დეკემბერში სომხეთთან ომის დროს მეთაურობდა ქვეითთა მე-5 პოლკს. შემდგომში იყო საქართველოს შეირადებულ ძალების გენერალური შტაბის ტოპოგრაფიული განყოფილების უფროსი. კითხულობდა ლექციებს ქართულ სამხედრო სკოლაში.

წყაროები:

7. სეა, საისტორიო ცენტრალური არქივი, (სცა), სეა, სცა, ფ. 1818, ა. 1, ს. 18.
8. სეა, საისტორიო ცენტრალური არქივი, (სცა), სეა, სცა, ფ. 1819, ა. 1, ს. 139.
9. სეა, საისტორიო ცენტრალური არქივი, (სცა), სეა, სცა, ფ. 1819, ა. 3, ს. 148.
10. სეა, საისტორიო ცენტრალური არქივი, (სცა), სეა, სცა, ფ. 1819, ა. 3, ს. 170.
11. სეა, საისტორიო ცენტრალური არქივი, (სცა), სეა, სცა, ფ. 1968, ა. 1, ს. 2.
12. სეა, საისტორიო ცენტრალური არქივი, (სცა), სეა, სცა, ფ. 1968, ა. 1, ს. 5.

**Mikheil Bakhtadze,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

**One document on the command structure of the Caucasus Army
(May 13, 1918)**

Summary

On February 20, 1918, the Transcaucasian Sejm chaired by Noe Jordania established a military commission. The main issue, to which a lot of time was devoted was the creation of a new military structure or in other words, a new army in the Caucasus and the abolition of the old structures. On May 13, 1918, a military commission considered the appointment of a senior military leader for the Caucasus Army. There are kept protocols of this session in The Central Historical Archives of Georgia in the fund of the Military Commission of the Transcaucasian Seimas. The meeting was chaired by Noe Jordania, Secretary - Dolomanov. The sitting was attended by: Minister of War Grigol Giorgadze, his Deputy General Giorgi Kvinitadze, Minister of Internal Affairs Noe Ramishvili. Members of the Seimas: Ioseb Gobechia, Tigran Bekzadian, Pirumov. Also: General Mishlaevsky, Staff Captain Malkhazov, Ensign Makarovsky and Secretary of the Social-Democratic Faction of the Sejm Vladimir Voitinsky. After consideration, three candidates were approved for the post of Army Commander-in-Chief _ Lieutenant General Ilia Odishelidze, Major General Zakaria Secretary and Infantry General Mikheil Przewalski. The following candidates were approved for the post of Chief of Staff of the Army: Colonel Akhverdov, General Korghanov, Colonel Shatilov, Vishinsky, Kalnitsky and Bagratun. According to the protocol, the discussion of the candidates was quite interesting. However, subsequent developments and the disintegration of the Transcaucasian Republic on May 26 and the creation of independent republics made the decision of the Military Commission meaningless.

თამარ მუსხი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
გიორგი წაჩაბაძის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ქართველი იუნკრები საბერძნეთში - 1921 წელი

1991 წლის ზაფხულს ამიხდა ოცნება და ერთწლიანი სასწავლო-სამეცნიერო გრანტით საბერძნეთს გავემგზავრე. მეგობრის მეშვეობით ცნობილი ბერძენი მწერალი მარიანა კორომილა გავიცანი. ქალბატონმა მარიანამ როგორც კი გაიგო, ჩემს ძირითად საქმიანობასთან ერთად საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტში ბერძნულენოვან გადაცემებს ვუძღვებოდი საქართველოში მცხოვრები ბერძნებისთვის, მაშინვე შემომთავაზა მონაწილეობა მიმელო მის საავტორო გადაცემაში, რომელიც საბერძნეთის სახელმწიფო რადიოს პირველ არხზე მიჰყავდა. ცხადია, დავთანხმდი. იმ დღიდან კვირაში ერთხელ ქალბატონ მარიანასთან ერთად პირდაპირ ეთერში ვიყავი. გადაცემები მოიცავდა ქართულ-ბერძნულ ურთიერთობას არქაული პერიოდიდან იმდროინდელი რეალობის ჩათვლით. მითები და ლეგენდები, ძველი ბერძენი ისტორიკოსებისა და გეოგრაფების ცნობები, ნაწყვეტები ბიზანტიელი ქრონოგრაფებისა და ქართველი მემატრიანების თხზულებებიდან, მეცნიერული ჰიპოთეზები თუ ისტორიული რეალობა ერთმანეთს ენაცვლებოდა ქართული და ბერძნული ჰეროიკული მუსიკის ფონზე. გადაცემათა ციკლი მიემდგვნა ცნობილი ქართველი ელინისტის, სიმონ ყაუხჩიშვილის, ხსოვნას და ექვს თვეს გასტანა.

1992 წლის ივლისში საქართველოში დავბრუნდი. სულ მალე მივიღე ჩემი მეგობრის, ვასილიკი კონოფაუს, წერილი, რომლითაც მთხოვდა საბერძნეთში მალე დაბრუნებას, რადგან 91 წლის გენერალი, მიხეილ კალიდერისი, სულმოუთქმელად ელოდა ჩემთან შეხვედრას. თურმე გენერალს ქალბატონ მარიანასა და ჩემი რადიოგადაცემები მოუსმენია და ძალისხმევა არ დაუშურებია, როგორმე ჩემი კვალისთვის მიეგნო.

ათენში დავბრუნდი თუ არა, გენერალს სახლში ვეწვიე. კარი მოახლე ქალმა გამიღო და მისაღებ ოთახში შემიძღვა. ახოვანი, წარმოსადეგი, შავ შარვალ-კოსტიუმსა და თეთრ პერანგში გამოწყობილი სიმპათიური მამაკაცი სავარძლიდან წამოდგა, თავი მალა ასწია და ისე გასწორდა, თითქოს სამხედრო აღლუმზე პატაკს იბარებდა.

- მომიახლოვდით, - მითხრა, - მე თვალისჩინი დავკარგე, ვერაფერს ვხედავ.

მივუახლოვდი, მივესალმე.

- დაბრძანდით, - მითხრა და ხელით გვერდით მდგომი სავარძლისკენ მიმითითა, - ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ გავწვალდი თქვენს ძებნაში, მერე როგორ გელოდით, - განაგრძო გენერალმა, - მადლობა ღმერთს, ამ დღეს რომ მომასწრო.

გენერალმა მოკლედ მიაჩნა განვლილი ცხოვრების გზა: დაიბადა 1902 წელს, თურქეთში, ქალაქ იზმირში. ექიმობა უნდოდა, მაგრამ როდესაც 1920 წელს ბერძნულმა ჯარმა იზმირი გაანთავისუფლა, ენთუზიაზმით ანთებული ჭაბუკი ათენის ოფიცერთა სასწავლებელში ჩაეწერა. მცირე აზიის კატასტროფის (1922) შემდეგ მისი ოჯახი საბერძნეთში გადასახლდა. ყველაფერი ნულიდან დაიწყო. თავის გადარჩენას მუხლჩაუხრელი შრომით ცდილობდნენ. იმუშავა არტილერიის ოფიცრად; მონაწილეობდა ალბანეთთან ომში, მერე - მეორე მსოფლიო ომში. მუშაობდა ნატოში, გაეროში. ბოლოს ქართველი თანაკურსელები გაიხსენა:

- ათენის ოფიცერთა სასწავლებელში სწავლა ახალდაწყებული მქონდა, - მითხრა გენერალმა, - როდესაც სასწავლებელში საქართველოდან ლტოლვილი, თბილისის კადეტთა სასწავლებლის რამდენიმე ქართველი კურსანტი ჩაეწერა. მათ ფეხით გადმოიარეს მცირე აზია და ათენში ჩამოაღწიეს. სამწუხაროდ, მხოლოდ რამდენიმე მათგანის სახელი მახსოვს. ესენია:

სავლე ბალახუნელი, დავით ყიფიანი და კიდევ ერთი - ჯუღელი თუ ჯუღაშვილი¹, ზუსტად აღარ მახსოვს.

გენერლის თქმით, ქართველმა ახალგაზრდებმა უცებ აუღეს ალლო ათენის სამხედრო სასწავლებლის შინაგანაწესს და ბერძნულ ენასაც. გამოირჩეოდნენ ზნეკეთილობით, იყვნენ შესანიშნავი სპორტსმენები, საუცხოოდ მღეროდნენ და ცეკვავდნენ. ის სასწავლო წელი ახალგაზრდებმა წარმატებით ჩაათავეს, არდადეგებიც იქვე, სასწავლებელში, გაატარეს. ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე კი საფრანგეთს გაემგზავრნენ.

- რაღაც უცნაურად მოხდა მათი გამგზავრება, - განაგრძო გენერალმა, - რაღაც ცნობა მიუღიათ საელჩოდან და სასწრაფოდ გაემგზავრნენ. მოვიდნენ დილით სასწავლებელში და გვითხრეს, საფრანგეთში მივემგზავრებითო და ისე გაქრნენ, თითქოს არც არასოდეს ყოფილან.

მათი შემდგომი ბედის შესახებ ბატონმა კალიდერისმა აღარაფერი იცოდა.

- ერთი წერილიც კი არ მოიწერეს, - გულისტკივილით აღნიშნა გენერალმა, - საველიოსისგან (ასე მოიხსენიებდა გენერალი სავლე ბალახუნელს) ამას არ ველოდი. საველიოსი ჩემი ყველაზე ახლო მეგობარი იყო - ძალიან მორცხვი და ჩუმი...

უსინათლო თვალებიდან გადმოგორებული ცრემლი მოიწმინდა და განაგრძო:

- ეჰ, დრო მაინც თავისას შვრება. დავიწყებული მქონდა ეს ყველაფერი, მაგრამ, როდესაც თქვენ მოვისმინეთ რადიოთი, ყველაფერი გაცოცხლდა, ყველაფერმა გაიღვიძა. ახლა ძალიან მაინტერესებს მათი ბედი. მივედი ათენის ოფიცერთა სასწავლებელში. მინდოდა, ძველი საბუთების მეშვეობით სხვათა გვარებიც დამეგინა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სასწავლებლის მთელი არქივი გერმანელების მიერ ათენის ოკუპაციის დროს განადგურებულია. ახლა იმ წლების შესახებ არავინ არაფერი იცის. მე ამ სურათის ფოტოსასლი გადავადებინე და სათანადო განმარტებით ათენის ოფიცერთა სასწავლებლის მუზეუმს ვაჩუქე.

გენერალმა გადმომცა ფოტოსურათისა და იმ ორი ფურცლის ასლი, რომელიც საბერძნეთის სამხედრო სასწავლებელს გადასცა. ამიხსნა, რომ ფოტოსურათზე აღბეჭდილი იყო ოფიცერთა სასწავლებლის პირველკურსელები. თეთრი სამოსით შემოსილი და განსხვავებული ქუდებით თავდაბურული ახალგაზრდა მამაკაცები კი ქართველები არიანო. შემდეგ დასძინა:

- ჩვენი თანაკურსელებიდან ცოცხალი ოთხიღა დავრჩით. თქვენი რადიოგადაცემები რომ მოვისმინე, მათ შევხვდით. ერთმანეთს შევხვდით. გავიხსენეთ ქართველი მეგობრები. სამწუხაროდ, სხვა ქართველი კურსანტების გვარები ვერც იმ დანარჩენმა სამმა გაიხსენა. მე უკვე 91 წლის ვარ. დიდხანს ხომ ვეღარ ვიცოცხლებ. ამიტომ სულმოუთქმელად ველოდი საბერძნეთში თქვენს დაბრუნებას. ახლა, როდესაც ყველაფერი ისევ გაცოცხლდა, ძალიან აფორიაქებული ვარ. იქნებ რამე გაიგოთ მათ შესახებ. იქნებ რომელიმე მათგანი ცოცხალია? დრო არ ითმენს, იჩქარეთ, ნუ გამატანთ ამ დარდს საფლავში! ბედნიერი ვარ, რომ მეწვიეთ. თუ ვერ მომისწრებთ და მათ შესახებ ვერაფერს შემატყობინებთ, ერთი თხოვნა მაინც შემისრულეთ. ეს ფოტოსურათი თბილისის სამხედრო სასწავლებელში მიიტანეთ და გაუკეთეთ ასეთი წარწერა:

„ეს სურათი გადაღებულია 1921 წელს. მასზე აღბეჭდილია ათენის სამხედრო სასწავლებლის პირველი ასეული. მათ შორისაა საქართველოდან ლტოლვილი იუნკრები, რომლებიც ადრე ქართულ სამხედრო სასწავლებელში სწავლობდნენ. მათ არ სურდათ მონობა. გამოიქცნენ საქართველოდან, სწავლა საბერძნეთის ოფიცერთა სასწავლებელში განაგრძეს, შემდეგ კი საფრანგეთს გაემგზავრნენ. საქართველოდან იმ იმედით წამოვიდნენ, რომ საბერძნეთში სწავლას გააგრძელებდნენ, შემდეგ კი დაბრუნდებოდნენ და სამშობლოს გაანთავისუფლებდნენ. სამწუხაროდ, მიზანი ვერ განახორციელეს, რადგან კომუნისტებმა

¹ ამ გვარით საბერძნეთში წარგზავნილ ქართველ იუნკრებს შორის არავინ დასტურდება. როგორც ჩანს, ეს გვარი ჯუღაშვილი გენერალს სტალინის გვარმა გაახსენა.

სამოცდაათი წელი იბატონეს. ალბათ საბრალონი უცხოეთში დარჩნენ და იქვე გარდაიცვალნენ.

ქართველი კურსანტები გამოირჩეოდნენ ცოდნითა და ზნეკეთილობით, იყვნენ შესანიშნავი სპორტსმენები, საუცხოოდ მღეროდნენ და ცეკვავდნენ. 1921 წლის ზაფხულს პანათინაიკოსის სტადიონზე მოეწყო სპორტული შეჯიბრებები, რომლებშიც ათენის სამხედრო სასწავლებელიც მონაწილეობდა. ქართველი ახალგაზრდების წყალობით ათენის სამხედრო სასწავლებელმა არაერთი მედალი მოიპოვა. და კიდევ, მახსოვს, ყოველ საღამოს სამხედრო სასწავლებლის კლუბში დიდი ნოსტალგიით იგონებდნენ სამშობლოს, მღეროდნენ ნაღვლიან ქართულ სიმღერებს და ცეკვავდნენ ცეცხლოვან ქართულ ცეკვებს. მე წარმოშობით იზმირიდან ვარ. ჩემთვის ნაცნობია სამშობლოდაკარგული კაცის ცხოვრებაც და სატკივარიც. ასე რომ უყვარდათ და სტკიოდათ თავიანთი სამშობლო, გენერალი კალიდერისი მათ დიდად აფასებს.

გენერალი მიხაილ პ. კალიდერისი, 1993 წელი“.

მკარნახობს ამ სიტყვებს ბატონი კალიდერისი და თან ძალიან ღელავს. სადაცაა გული საგულიდან ამოუვარდება.

- ცოტა შეისვენეთ, - ვუბნები.

- არა, არა, - მპასუხობს, - არც კი იცით, დღეს რა ბედნიერი ვარ. ხომ კიდევ მოხვალთ? ნეტავ იცოდეთ, როგორ გავწვალდი თქვენს ძებნაში, მერე თქვენს ლოდინში... ქალბატონმა კონოფაუმ მითხრა, იანვარში ჩამოვაო. ახლა მაისია. ღმერთო, როგორ გელოდით. ახლა თქვენ რას აკეთებთ? წერთ ამას ყველაფერს?

- დიახ.

- დაწერეთ, ჰო, დაწერეთ! ყველაფერი ხომ არ დაგამახსოვრდებათ. მე კიდევ ბევრი რამ მაქვს სათქმელი! ხომ კიდევ მოხვალთ? თხუთმეტი ივნისიდან აგარაკზე, ლუტრაკიში, ვიქნები. ჩაიწერეთ მისამართი. იქ ჩამოდით. თუ გინდათ, საცურაო კოსტიუმიც წამოიღეთ. იქ მშვენიერი პლაჟია. ზღვაზე გადით. იბანავთ. მერე ერთად ვისადილოთ და ათენში დაბრუნებასაც მოასწრებთ. ახლა კი წადით. ძალიან დავიღალე. ავლელი და ძალია გამომეცალა, დასვენება მჭირდება. ნეტავ გხედავდეთ! ნეტავ როგორი ხართ? ხმის მიხედვით სათნო და ლამაზი უნდა იყოთ. აბა, მაჩვენეთ მხარი სად გაქვთ?

გენერალი ფეხზე წამოდგა. მეც წამოვდექი. ხელი მხარზე დამადო.

- პატარა ტანის ყოფილხართ! ეჰ, ნეტავ იცოდეთ, როგორ გამახარეთ! ჰო, კინალამ დამავიწყდა, რადიოგადაცემებიდან ისიც გავიგე, რომ პატრიარქის ოფიციალური თარჯიმანი ყოფილხართ. იქ, მაგიდაზე, შოკოლადის კოლოფია. აიღეთ და მიართვით ჩემგან პატრიარქს, ვითარცა ქვეყნის სულიერ მამას. ბევრი ვიფიქრე, მაგრამ სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, რომ საქართველოსადმი ჩემი სიყვარული და უღრმესი პატივისცემა გამომეხატა.

მადლობას ვუხდი და ვემშვიდობები მოხუც გენერალს. ხელისცეცებით მომყვება კარებისკენ. ვთხოვ, არ გამომაცილოს. ვუთხარი, კარს ჩემით გავიხურავ-მეთქი, მაგრამ არ იშლის. სანამ ლიფტის კარის დახურვის ხმა არ გაიგონა, ზღურბლზე იდგა. „ნეტავ როგორ მიაღწევს სავარძლამდე“, გავიფიქრე და გენერალზე არანაკლებ აღელვებული შინისკენ გავემშურე.

სახლში მივედი თუ არა, წერილი მივწერე საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტს - გიორგი წერეთელს, რომელიც იმ დროს საფრანგეთში გამოსცემდა ქართულენოვან ჟურნალს „გუშაგი“. ვთხოვე, მოხუცი გენერლის მეგობრების პოვნაში დამხმარებოდა. ბატონმა გიორგიმ მაშინვე მიპასუხა. მაცნობა, რომ საბერძნეთში მყოფმა იუნკრებმა საფრანგეთში ვერ ჩააღწიეს. პოლონეთში დაიღუპნენ. ეს ამბავი გენერლისთვის მაშინვე არ მითქვამს, იმედს ვიტოვებდი, რომ რომელიმე მათგანი მაინც გადარჩა.

საქართველოში დავბრუნდი თუ არა, უპირველეს ყოვლისა, მის უწმიდესობას, საქართველოს პატრიარქს, ილია II-ს ვეწვიე. გენერლის მონათხრობი ვუამბე და გამოტანებული შოკოლადის კოლოფი მივართვი. პატრიარქმა წმიდა ნიკოლოზის ფერწერული ხატი მომცა და მთხოვა, გენერლისთვის გადამეცა.

ამის შემდეგ, გაზეთ „სამშობლოს“ მეშვეობით, საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს მივმართე და ვთხოვე, ყურად ეღოთ მოხუცი გენერლის თხოვნა და, თუ რაიმე იცოდნენ ქართველი იუნკრების შესახებ, ჩემთვის შეეტყობინებინათ. სამწუხაროდ, არავინ გამომხმაურებია.

იმავდროულად მივმართე ქალბატონ მედეა გეგეშიძეს, რომელსაც საქართველოს მთავარ რადიოარხზე მიჰყავდა რადიოგადაცემათა ციკლი „თანაგრძნობა“. ქალბატონმა მედეამ ჩვეული გულისხმიერებით მომისმინა და გადაწყვიტა, ამ თემაზე რამდენიმე რადიოგადაცემა გაგვეკეთებინა. პირველი გადაცემა ერთად გავაკეთეთ. იუნკრების ნათესავებს მოვუწოდეთ, გამოგვხმაურებოდნენ.

რადიოგადაცემებმა მოლოდინი გაამართლა. პირველივე გადაცემას სავლე ბალახენელის ძმა გამოეხმაურა, მაგრამ იუნკერი ძმის ბედის შესახებ არაფერი იცოდა, რადგან 30-იან წლებში თავად ციმბირში გადაუსახლებიათ. უკეთესი ბედის არც სხვა იუნკერთა ნათესავები აღმოჩნდნენ... მოკლედ, იუნკერთა თემით დაწყებული რადიოგადაცემები 1937 წელს რეპრესირებულთა თემამ შეცვალა და კარგა ხანს გაგრძელდა.

საბერძნეთში რომ დავბრუნდი, ისევ ვეწვიე გენერალს. პატრიარქის მიერ გაგზავნილი წმიდა ნიკოლოზის ხატი გადავეცი. სიხარულისაგან სახე გაუნათდა; ხატს ჯერ ემთხვია, შემდეგ კი გულში ჩაიკრა; წუხდა, რომ ვერ ხედავდა. მერე კი მკითხა, რა ინფორმაცია მოვიპოვე მისი მეგობრების შესახებ.

ძალიან მიმძიმდა, მაგრამ სამწუხარო ამბავი მაინც გავუმხილე. გენერალმა ამოიოხრა და მითხრა:

- გულის სიღრმეში ასე ვფიქრობდი. საველიოსი ისეთი გულიანი ბიჭი იყო, ცოცხალი რომ დარჩენილიყო, უსათუოდ შემეხმებოდნენ.

შევეცადე მენუგეშები. შევპირდი, რომ ძებნას გავაგრძელებდი. ვარწმუნებდი, რომ სხვა წყაროების მეშვეობით შეიძლებოდა განსხვავებული ინფორმაცია მიგვეღო, მაგრამ ამაოდ, არაფერმა გაჭრა. გენერალს სახე მოეღუშა და ისე გაუქვავდა, მივხვდი, საუბრის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. ამიტომ მალევე გამოვემშვიდობე.

გენერალი მიხეილ კალიდერისი ბოლოს 1998 წელს ვინახულე. ისევ გაიხსენა ქართველი მეგობრები... 97 წლის ასაკშიც ისეთივე გამართული, წარმოსადეგი და სიმპათიური იყო. კიდევ რამდენ ხანს იცოცხლა, სამწუხაროდ, არ ვიცი.

P.S. გენერლის სურვილი, რომ ქართველ მეგობრებთან ერთად გადაღებული ფოტოსურათი, თანდართული განმარტებით, საქართველოს სამხედრო მუზეუმისთვის გადამეცა, ვერ შევასრულე, რადგან ასეთი მუზეუმი საქართველოში თურმე არ არსებობდა. ამიტომ დღეს (27. 09. 2019) ამ ფოტოსურათს საქართველოს ეროვნულ არქივს ვუტოვებ, იმ იმედით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ გამოფენებში ეს სურათიც სათანადო ადგილს დაიმკვიდრებს.

Tamar Meskhi,
Ilia State University, Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies

Georgian Cadets in Greece – 1921

Summary

In 1921, sixteen Cadets refugees from Georgia were registered at the Athens Officers' School in Greece. In 1993, I was honored to get acquainted with their fellow-91-year-old General Michael Caligeris in Athens – who remembered Georgian people with great love.

According to narration of the General, Georgian adolescents unexpectedly understood internal regulations of the Athens Military School and Greek language. They were distinguished with good behavior, were excellent athletes, sang and danced marvelously. That school year was finished successfully by adolescents and spent their holidays there at the school. As soon as the new school year began, they went to France. He was unaware how their life went on.

The General remembered the name and surname of several Georgian Cadets. He also gave to me an official picture of the freshmen of the Athens Officers' School, where Georgian Cadets are shown along with Greek students. He asked me to find out further information about the destiny of his Georgian friends.

I complied with a request of the General. The study found that Georgian Cadets didn't get France. They died in Poland.

ლელა სარალიძე, რეგიონალიზმის კვლევის ინსტიტუტი

პოლიტიკური სიტუაცია ზაქათალის ოლქში (1920 წ.)

ზაქათალის ოლქი, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, რუსეთის იმპერიაში 1860 წელს შეიქმნა. ოლქი სამხედრო ადმინისტრაციას ექვემდებარებოდა დაალიაბადის, ზაქათალის, ბელაქნისა და ჯორამუხის მონაკვეთებადიყოფოდა. ზაქათალა 1860-1917 წლებში თბილისის გუბერნიის ზაქათალის „ოკრუგის“ ცენტრიყო. 1917 წელს ზაქათალის ოლქი ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის ნაწილი გახდა; 1918-1921 წლებში კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა. 1918 წლის 26 მაისიდან 1920 წლის 29 აპრილამდე ზაქათალის ოლქი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის სადავო ტერიტორია იყო.

მართალია, საქმე სამხედრო დაპირისპირებამდე არ მისულა, თუმცასადავო ტერიტორიის კუთვნილების საკითხი ვერც დიპლომატიური მოლაპარაკების გზით გადაწყდა.

ზაქათალის ოლქის ისტორიული კუთვნილების საკითხთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი სამართლიანად აღნიშნავს: „ზაქათალის ოლქზე საქართველოს უცილობელი უფლება აქვს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს კუთხე უძველეს დროთაგან ქართველი ერის მკვიდრ მიწა-წყალს შეადგენდა და ჰერეთის სახელით ცნობილ ქართული კულტურისა და ხელოვნების ასპარეზად ითვლებოდა. მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედამდე ის მუდამ ქართველთა უდავო სამფლობელოსა და საკუთრებას შეადგენდა. თათრები ანუ თურქები აქ მხოლოდ შაჰ აბაზის, საქართველოს ამ დაუძინებელი მტრის წყალობით გაჩნდნენ: ჩვენი ქვეყნის აოხრების შემდეგ, მან აქ თავისი ერთგული მაჰმადიანი ტომი ჩაასახლა, რომ ამით სპარსეთს შემდეგში საქართველოში შესვლა გაადვილებოდა. ამ გარემოებას ქართველთათვის, რასაკვირველია, ახალი უფლებრივი მდგომარეობის შექმნა არ შეეძლო და შემდეგშიაც ჰერეთი, იგივე საინგილო¹, ანუ ზაქათალის ოლქი საქართველოს კუთვნილებად ითვლებოდა. თვით რუსული წყაროების მიხედვითაც, კერძოდ, 1743 წელს მოსკოვში რუსულად დაბეჭდილ მაშინდელ საქართველოს რუკაზე, ზაქათალა კახეთის სამეფოს განუყოფელ ნაწილად არის აღნიშნული. რუსეთის ელჩის ბურნაშევის² მიერ 1784 წელს შედგენილ საქართველოს რუკაზე ნათლად ჩანს, რომ ერეკლე მეორის მიერ რუსეთთან 1783 წელს ხელშეკრულების დადების პერიოდშიც ზაქათალის ოლქი საქართველოს კუთვნილებად ითვლებოდა“ (სეა, სცა, ფ.1864, ა.2, ს.274).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ზაქათალის ოლქს რეალურად ვერ აკონტროლებდა. 1918 წლის ივნისის დასაწყისიდან 1920 წლის აპრილის ბოლომდე იქ ჯერ მუსავატიური (აზერბაიჯანის წამყვანი პარტია „მუსავათი“, რომელიც 1911 წელს შეიქმნა - ლ. ს.) აზერბაიჯანის ჯარი, ხოლო 1920 წლის მაისიდან საბჭოთა რუსეთის სამხედრო ძალები იმყოფებოდნენ.

საქართველოსა და აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკების მთავრობებმარივე ქვეყნის სუვერენიტეტი დე ფაქტოდ ცნეს. საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენლად აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ნიკოლოზ ქარცივაძე დაინიშნა. ამ პოსტზე იგი ჯერ - გერასიმე მახარაძემ, შემდეგ კი გრიგოლ ალშიბაიამ შეცვალა. აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოში მამედ-იუსუფ ჯაფაროვი³ იყო. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობის მეთაური ფათალი ხან-ხოსივი⁴ თავისი ქვეყნის

¹ **საინგილო**—მხარე ფეოდალური ხანის საქართველოში, ისტორიული კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, მდებარეობს თანამედროვე აზერბაიჯანში. მოიცავს ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონების ტერიტორიას. ტერმინი „საინგილო“ XIX საუკუნეში დამკვიდრდა ინგილოებით დასახლებული მხარის აღსანიშნავად. გამაჰმადიანებულ ქართველს ინგილოს ეძახდნენ, რაც თურქულად „ახლად მორჯულებულს“ ნიშნავს. აქედან წარმოდგება სახელები „ინგილო“ და „საინგილო“.

² **სტეფანე დანიელის ძე ბურნაშევი (1743-1824 წ.წ.)**— რუსი გენერალ-მაიორი, სენატორი, მწერალი და კარტოგრაფი. 1783-1787 წლებში მეფის რუსეთის საგანგებო რწმუნებული იყო ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის და იმერეთის მეფის სოლომონ I-ის კარზე. 1783-1784 წლებში, ს. ბურნაშევა, როგორც კვალიფიციურმა კარტოგრაფმა, რუსეთის საიმპერატორო კარისთვის საქართველოს სხვადასხვა კუთხის და მისი სამეზობლოს არაერთი საინტერესო რუკა შექმნა.

³ **მამედ იუსუფ ჯაფაროვი (1885-1938 წწ.)** — აზერბაიჯანელი პოლიტიკოსი და დიპლომატი. აზერბაიჯანის ელჩი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ვაჭრობისა და საგარეო საქმეთა მინისტრი. პარტია მუსავათის წევრი. 1919 წლის დასაწყისში დატოვა საქართველოში ელჩის თანამდებობა, მის ნაცვლად ელჩად დაინიშნა აზერბაიჯანელი დიპლომატი მუსტაფა ვეჯილოვი (1896-1965 წწ.).

⁴ **ფათალი ხან ხოსივი (1875-1920 წ.წ.)** — აზერბაიჯანელი პოლიტიკური მოღვაწე, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრემიერ-მინისტრი 1918-1919 წლებში. პრემიერ-

უმალეს საკანონმდებლო ორგანოში სიტყვით გამოსვლისას ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან მათი ურთიერთობა მეგობრული იყო, სუვერენულ ქვეყნებს შორის სადავო საკითხები მშვიდობიანი გზით, ურთიერთნდობის საფუძველზე წყდებოდა, თუმცა საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობაზერუსეთის იმპერიის მძიმე კოლონიური მემკვიდრეობაუარყოფით გავლენას ახდენდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ყოველთვის დაბეჯითებით აცხადებდა, რომ ზაქათალის ოლქი, ანუ საინგილო: კახი, ბელაქანი და ზაქათალა, საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია იყო. მოუწესრიგებელი საზღვრები ორი სუვერენული ქვეყნის ურთიერთობაში სერიოზულ პრობლემასწარმოადგენდა. საზღვრების საკითხს აზერბაიჯანის მუსავატური ხელისუფლება რელიგიური პრინციპით განიხილავდა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ზაქათალის ოლქს ეცილებოდა. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება, ზაქათალის ოლქის გარდა, ბორჩალოსა და ახალციხის მაზრების იმ ნაწილსაც მოითხოვდა, რომლის მცხოვრებთა უმეტესობას მუსლიმები შეადგენდნენ. ისინი პრეტენზიას ბათუმის ოლქზეც აცხადებდნენ. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე აზერბაიჯანმა ზაქათალის ტერიტორიაზე საკუთარი ჯარის ნაწილები შეიყვანა და მთელ ოლქზე საკუთარი იურისდიქცია გაავრცელა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პროტესტს რეალური შედეგი არ მოჰყოლია, საინგილო ფაქტობრივად აზერბაიჯანის ხელში რჩებოდა. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1918 წლის აგვისტოში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ წამყვანი სახელმწიფოების მეთაურებს მიმართა ოფიციალური მემორანდუმით, რომელშიც აღნიშნული იყო: „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია შედგება: ამიერკავკასიის ყოფილი სამი გუბერნიისაგან: თბილისის, ქუთაისის და ბათუმის და ორი ოლქისგან: სოხუმის და ზაქათალის. ეს ტერიტორია შეიცავს დაახლოებით 80 000 კვადრატულ კილომეტრს და მასზე 3 1000 000 სული ცხოვრობს ...“ (ნოზაძე, 1989, გვ. 35).

1919 წლის 16 ივნისს თბილისში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის სამი წლის ვადით სამხედრო ხელშეკრულება დაიდო. საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელს აწერენ: ე. გეგეჭკორი — საგარეო საქმეთა მინისტრი, ნ. რამიშვილი — სამხედრო მინისტრი, გენერალ-მაიორი გედევანიშვილი — სამხედრო მინისტრის თანაშემწე, ასევე გენერალი ოდიშელიძე. აზერბაიჯანის მხრიდან: მ. ი. ჯაფაროვი — აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, მეხმანდაროვი — სამხედრო მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი სულკევიჩი — გენერალური შტაბის უფროსი (ბახტაძე, 2011, გვ. 215-216). ხელმოწერი მხარეები ვალდებულებას კისრულობდნენ, საგარეო საფრთხისა და აგრესიის შემთხვევაში თავიანთი შეიარაღებული ძალებით ერთად გამოსულიყვნენ ორივე რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ან ტერიტორიული ხელშეუხებლობის დასაცავად. საქართველოსა და აზერბაიჯანის სამხედრო ხელშეკრულებას მისი დადების მომენტში, პოლიტიკური მნიშვნელობის გარდა, პრაქტიკული დანიშნულებაც ჰქონდა: იგი რუსეთის თეთრგვარდიული

მინისტრის პოსტი 1919 წლის 14 აპრილამდე ეკავა. 1918-1920 წლებში აზერბაიჯანის სამხედრო მინისტრი, ასევე, საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ, 1920 წლის მაისიდან, მან აზერბაიჯანი დატოვა და საცხოვრებლად საქართველოში გადავიდა. 1920 წლის 19 ივნისს ერევნის მოედანზე სომეხმა დაშნაკებმა - არამ ერქანიანმა და მისაკ გრიგოიანმა მოკლეს. დაკრძალულია თბილისში, აზერბაიჯანელ მოღვაწეთა პანთეონში.

მოხალისეთა არმიისგან მომდინარე საფრთხის შემაკავებელ სერიოზულ ბარიერად იქცა. ხელშეკრულებამ სრული მხარდაჭერა პოვა ორივე ქვეყნის პოლიტიკურ სპექტრში. საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე დოკუმენტი ერთხმად იქნა რატიფიცირებული 1919 წლის 22 ივნისს, აზერბაიჯანის პარლამენტში კი - იმავე წლის 27 ივნისს. ხელშეკრულების დამტკიცების წინააღმდეგ მხოლოდ, ბოლშევიკები გამოვიდნენ.

1920 წლის 27 აპრილს XI წითელმა არმიამ აზერბაიჯანის საზღვარი გადალახა და 28 აპრილს ბაქოში შევიდა. საბჭოთა რუსეთის ინტერვენციის შედეგად, აზერბაიჯანის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მდგომარეობა განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, რაც 1920 წლის აპრილის ბოლოს ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების შექმნა გამოცხადდა და ქვეყანაში მთელ ძალაუფლებას ბოლშევიკები დაეპატრონენ. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე რუსეთის წითელი არმიის ინტერვენციისთვის რესპუბლიკის ხელისუფლებას დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია. ბაქოს გარნიზონი უბრძოლველად გადავიდა აზერბაიჯანის ბოლშევიკური რევკომის განკარგულებაში, ამასთან, სამხედრო მინისტრმა სამედ ბეი მეჰმანდაროვმა¹ ოფიცრებს ბრძანება მისცა დამორჩილებოდნენ ახალ ხელისუფლებას. ბოლშევიკური პარტიისთვის მმართველობის გადაცემას მხარი დაუჭირა აზერბაიჯანის პარლამენტის წევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (კენჭისყრისას წინააღმდეგი იყო ერთი დეპუტატი, სამმა თავი შეიკავა). ასეთ ვითარებაში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ აზერბაიჯანთან თავდაცვითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ვეღარ დაიცვა. ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსი კახა იმნაძე აზერბაიჯანის გასაბჭოებას ასე აფასებდა: „...აზერბაიჯანი ჩვენი — კომისარი თქვენია; მიწა ჩვენი — ქიშმიში თქვენია; ბაქო ჩვენი — ნავთი თქვენია. „ახლა წადით რა — გაანთავისუფლეთ სხვა ქვეყნებიც“, ასეთი პასუხი მისცა აზერბაიჯანელმა გლეხმა მიტინგზე კომუნისტ ორატორს, რომელიც ულოცავდა აზერბაიჯანის მშრომელ ხალხს „წითელი“ ჯარის მიერ ბეგების და მოლების ბატონობიდან განთავისუფლებას. ისეთი ტლანქი დარჩა ეს „განთავისუფლება“, რომ აზერბაიჯანის ჩამორჩენილ გლეხებსაც კი აუხილა თვალები...“ (სეა, სცა, ფ.2124, ა.1, ს. 21).

1920 წლის 7 მაისს, საქართველო-რუსეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე იურედ აღიარების მიუხედავად, საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის საქართველოს დაპყრობა კვლავ გეოსტრატეგიულ ამოცანად რჩებოდა. აზერბაიჯანში მიღწეული წარმატების შემდეგ ბოლშევიკებმა საქართველოს მყისიერი გასაბჭოება სცადეს. ისინი საქართველოში შემოჭრისთვის საბაზს ეძებდნენ. 1920 წლის 1-2 მაისს ქართველი ბოლშევიკების მიერ თბილისში იუნკერთა სამხედრო სკოლაზე შეიარაღებული თავდასხმა განხორციელდა. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო და XI წითელი არმიის სარდლობა თბილისის აღებას 12 მაისისთვის ვარაუდობდნენ (სარალიძე, 2016, გვ. 232).

1920 წლის მაისის დამდეგს საბჭოთა აზერბაიჯანის საზღვრებიდან საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის წითელი არმიის ნაწილებმა გამოილაშქრეს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ მოახერხა თავდაცვა და აგრესორი მოიგერია (ჩხეიძე, 2018, გვ. 27). ბოლშევიკებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ საქართველოშიც შემოვიდოდნენ და თბილისს 15 მაისისთვის დაიკავედნენ. გენერალ კვინიტაძის სარდლობით ქართულმა სამხედრო შენაერთებმა წითელ და ფოილოს ხიდთან მოწინააღმდეგე

¹სამედ ბეი მეჰმანდაროვი (1855-1931 წ.წ.) — რუსეთის იმპერიის არმიის არტილერიის გენერალი, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის დამოუკიდებელი ფრაქციის წევრი. აზერბაიჯანის დრ-ის სამხედრო მინისტრი, აზერბაიჯანის სსრ-ის სამხედრო მოღვაწე.

ძალების დამარცხება მოახერხეს. ზაქათაის ოლქში, რომელიც საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სადავო ტერიტორიას წარმოადგენდა, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მიერ, 1920 წლის 8 მაისს, თელავის სახალხო გვარდიის საოლქო შტაბის მეთაური ჭუმბურიძე გაიგზავნა. ეს ფაქტი დასტურდება სახალხო გვარდიის შტაბისადმი მის მიერ გაგზავნილ დეტალურ მოხსენებაში (სეა, სცა, ფ.1970, ა.3, ს. 31). როგორც მისი მოხსენებიდან ჩანს, ჭუმბურიძეს ვერ მოუხერხებია ოლქში შესვლა, მაგრამ იქ შეუგზავნია ოთხი ნდობით აღჭურვილი ლეკი. ორი მათგანი უკან აღარ დაბრუნებულა, ხოლო ორი მთელი მაისისგანმავლობაში, ოლქში არსებულ სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობისა და ადგილობრივი მოსახლეობის განწყობის შესახებ, მას დეტალურ ინფორმაციას აწვდიდა. მოხსენება დაწერილია ლაგოდებში 29 და 30 მაისს ორ ნაწილად და შეადგენს ხელით წვრილად ნაწერ სამ ფურცელს¹. მოხსენებაში ჭუმბურიძე წერს: „რუსების მოსვლამ ზაქათაის მცხოვრებლები პირველათ ძალიან გაახარა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მცხოვრებლებს აშკარა უკმაყოფილება დაეტყობო, როგორც კი მოვიდნენ რუსები, მაშინვე თავხედობა დაიწყეს. მთელი ცხენები სამოვრათ ბაღებში გაუშვეს. შეუდგენენ პურის, სიმინდის და ქერის რეკვიზიციას. მართლია, მცხოვრებლებს ფულს აძლევდნენ, მაგრამ ხალხი, ერთის მხრივ, ახალ ფულს იწუნებდა და მერეც, როცა ხედავდნენ, რომ მთელ სურსათს სადღაც გზავნიდნენ, ეს ხალხში დამშევის შიშს იწვევდა... ოლქში აღარაფერი აღარ იშოვება, ფარჩა და სხვა ნაწარმოები, რაც ბაქოდან ქონდათ მოტანილი წინათ ოლქში მოვაჭრე პირებს, რუსის ჯარისკაცებმა დაიტაცეს. მართალია, ფულს იხდიან, მაგრამ იმდენს, რაც თვითონ მოესურვებათ“ (სეა, სცა, ფ.1970, ა.3, ს.31).

იმის მიუხედავად, რომბოლშევიკური რუსეთის და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მეთაურები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, დაზავების შემდეგ აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო. ზავი 1920 წლის 12 ივნისს აღსტაფაში გაფორმდა (სეა, სცა, ფ.1864, ა.2, ს.76).

საბჭოთა აზერბაიჯანთან გაფორმებული ხელშეკრულების გამო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ეროვნულ-დემოკრატიულმა გააკრიტიკეს. დამფუძნებელი კრების წევრის - ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის - გრიგოლ ვეშაპელის კრიტიკას 1920 წლის 25 ივნისის სხდომაზე დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარემ აკაკი ჩხენკელმა ასე უპასუხა: „...ერთმა ორატორმა აქ თქვა, რომ ჩვენი მდგომარეობა საზღვრებზე ომის წინ უფრო უკეთესი იყო, ვიდრე ახლა. ეს შემცდარი აზრი არის. ომის წინ ჩვენ თითქმის არავითარი გარკვეული საზღვრები არ გვქონია. ყოველ შემთხვევაში, ადერბაიჯანის პრეტენზიები იმ ხაზის აქეთ იყო, რომელიც დღეს არის ჩვენსა და მათ შორის. რაც შეეხება ზაქათაის ოლქს, ის, მოგეხსენებათ, რომ თფილისის გუბერნიაში არ შემოდიოდა. რასაკვირველია, ეს იყო უსამართლო მოვლენა, ამაში ყველანი თანახმანი ვართ, მხოლოდ ფაქტი ფაქტად რჩება და ამისთვის ანგარიში უნდა გაგვეწია. დღეს კი ფორმალურად, იურიდიულად, რამდენად ნაწერების გაგება შეიძლება, იმედი გვაქვს, რომ ზაქათაის ოლქი შეიქმნა საქართველოს ტერიტორიად და თუ დავა არის, იგი ჩვენდა სასარგებლოდ

¹ეს დოკუმენტი სრულად დაიბეჭდა დიმიტრი სილაქაძის ნაშრომში: „მნიშვნელოვანი დოკუმენტი 1920 წლის მაისში ზაქათაის ოლქში არსებული სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ (თელავის საოლქო შტაბის მეთაურის, ბ. ჭუმბურიძის, მოხსენება მთავარი შტაბისადმი 1920 წლის მაისში ზაქათაის ოლქში არსებული სიტუაციის შესახებ. ტექსტი)“, ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი; საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი; მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი, თბილისი, 2013. - ISSN 2298-031X. - ტ. II, გვ. 52-60.

გადაწყდება. მართალია, ბოლშევიკებს თავისი პოლიტიკა, თავისი პროგრამა აქვთ, ჩვენ ჩვენი პოლიტიკა და ჩვენი პროგრამა გვაქვს. ეს ორი პოლიტიკა ერთმანეთს დაპირისპირებულია და მათი შერიგება ყოვლად შეუძლებელია. ჩვენი წინააღმდეგობა არის ძირითადი და საქართველოს რესპუბლიკა იარსებებს, როგორც არა ბოლშევიკური, ან სულ არ იარსებებს, ან იარსებებს, როგორც დემოკრატიული, ან სულ არ იარსებებს... ადერბაიჯანის რესპუბლიკაზე მოგახსენებთ, რომ ჩვენ გვაინტერესებს არა ის, რომ ადერბაიჯანი ჩვენ გვემხრობოდეს, ეს არ გვეჭირვება, თავი და თავი ისაა, რომ ლოიალური იყოს და შეიგნოს თავისი საკუთარი ინტერესები... ეს კი მდგომარეობს იმაში, რომ ადერბაიჯანი იყოს დამოუკიდებელი არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც“ (აკაკი ჩხენკელის სიტყვა წარმოთქმული დამფუძნებელი კრების სხდომაზე 1920 წლის 25 ივნისს საქართველო-ადერბაიჯანს შორის დადებულ საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის დროს (1920), *ერთობა*. #146, გვ.1-2). დამფუძნებელმა კრებამ, ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგობის მიუხედავად, 1920 წლის 25 ივნისის სხდომაზე კენჭისყრით დაამტკიცა აღსტაფის საზავო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი ცარიზმის დროინდელ თბილისისა და განჯის გუბერნიების გამყოფ საადმინისტრაციო ხაზზე გადიოდა, თუმცა მხარეები კვლავ ვერ შეთანხმდნენ ზაქათალის ოლქზე. საკითხის გადაწყვეტა საარბიტრაჟო კომისიას მიენდო.

1920 წლის 7 მაისს მოსკოვში საქართველო-რსფსრ-ს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, რუსეთმა ზაქათალის ოლქი საქართველოს შემადგენლობაში აღიარა, თუმცა ცოტა მოგვიანებით ბაქოელმა ბოლშევიკებმა მოსკოვში საპროტესტი წერილი გაგზავნეს და ზაქათალის ოლქის აზერბაიჯანის შემადგენლობაში დატოვება მოითხოვეს. ქართული მხარე აიძულეს, 1920 წლის 12 მაისს ხელი მოეწერა „დამატებით შეთანხმებაზე“, რომელიც 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად გამოცხადდა. დამატებითი შეთანხმების მიხედვით, ზაქათალის ოლქის ტერიტორიის საქართველოში დარჩენის საკითხი შერეულ კომისიას უნდა გაერკვია. კომისიაში შევიდოდნენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლები, კომისიის თავმჯდომარე კი რუსეთის მხარე იქნებოდა (ჭუმბურიძე და სარალიძე, 2016, გვ. 196).

აზერბაიჯანელი მკვლევარი, ქალბატონი სიტარა მუსტაფაევა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ზაქათალის ოლქის იძულებითი გზით ანექსიის მცდელობაში ადანაშაულებს, რაშიც ვერ დავეთანხმებით. ს. მუსტაფაევა წერს: „1920 წლის ივნისში საქართველოს მთავრობა, ოფიცრებისა და სამხედრო ნაწილების მეშვეობით, რომელთაც ადრე შეაღწიეს ზაქათალას ტერიტორიაზე, კვლავ შეეცადა აღნიშნული ტერიტორია საქართველოსთვის მიეერთებინა. ქართული სარდლობის სახელითქართველმა ოფიცრებმა პროკლამაციები გაავრცელეს, რომლითაც საბჭოთა აზერბაიჯანიდან ზაქათალის ოლქის მოწყვეტას და საქართველოსთან მის შეერთებას მოითხოვდნენ. აღსტაფას შეთანხმების დარღვევით ქართველებმა ჯარი შეიყვანეს ნეიტრალურ ზონაში (წითელ ხიდთან). ხელშეკრულების პირობების დარღვევით მისი დაცემის წინა დღეს, საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ, 1921 წლის 21 თებერვალს, მიიღო კონსტიტუცია, სადაც არისმუხლი აჭარის, აფხაზეთისა და ე.წ. „საინგილოს“, ანუ ზაქათალის ოლქებისთვის ავტონომიური სტატუსის მინიჭების შესახებ“ (□□□□□□□□□□2008, □□□□ 105).

სინამდვილეში თავად ზაქათალის ოლქის მოსახლეობა მიიჩნევდა, რომ ეს ტერიტორია საქართველოს ეკუთვნოდა. ჯერ კიდევ 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთან ზაქათალის მხარის მცხოვრებთა დელეგაცია მივიდა. მათ განაცხადეს, რომ ზაქათალის მხარის მოსახლეობას გადაწყვეტილი ჰქონდა ოლქში არ შეეშვა ბოლშევიკების ჯარი, რომელიც მაშინ კახში იმყოფებოდა. ადგილობრივი მოსახლეობა საქართველოს მთავრობის შეიარაღებულ ძალებს დახმარებას სთხოვდა. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მათ უარი უთხრა იმ მოტივით, რომ აზერბაიჯანის ბოლშევიკურ

მთავრობასთან სადავო ტერიტორიის საკითხის გარკვევამდე მათთვის იარაღის მიწოდება არ შეეძლო.

აზერბაიჯანის გასაბჭოებისა და იქ ბოლშევიკების შესვლის შემდეგ ზაქათალის ოლქში პოლიტიკური სიტუაცია მნიშვნელოვნად დაიძაბა. 1920 წლის 9 ივნისს, დილის 6 საათზე, ერთსა და იმავე დროს გადატრიალება მოხდა ზაქათალაში¹, ბელაქანსა² და სხვა ადგილებში. დაატუსაღეს ბოლშევიკების კომისართა ყველა რაზმი, რომლებიც თათარ-ლეკებისგან შედგებოდა. გადატრიალების შემდეგ აჯანყებულებმა იარაღი აჰყარეს ყველას, ვინც ოსმალეთის მომხრე იყო. ზაქათალის ოლქის მართვა-გამგეობა ძირითადად საქართველოს ორიენტაციის მომხრეების ხელში გადავიდა. 1920 წლის 10 ივნისს ზაქათალის მხარის მოსახლეობა უკვე მეორედ ქართული მხარის წარმომადგენელს ლაგოდებში შეხვდა და ოლქში ქართული შეიარაღებული ძალების შეყვანა კვლავ მოითხოვა. ოლქის საქართველოს კუთვნილების საკითხის გასარკვევად ბელაქანში მოიწვიეს ყრილობა, რომელსაც ზაქათალის მხარის 1500-მდე წარმომადგენელი დაესწრო. ზაქათალის ოლქის მოსახლეობამ ყრილობას წარუდგინა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო: „აზერბაიჯანმა გაგვიცადა, მთელი ჩვენი ქონება ბოლშევიკებს ჩაუგდო ხელში და ჩვენ ასეთ მთავრობას არ ვსცნობთ; ჩვენი მიწა-წყალი საქართველოს განუყოფელ ნაწილად მიგვაჩნია“ (გადატრიალება ზაქათალის მხარეში (1920). *ერთობა*, #132, გვ. 1-2). ზაქათალის ოლქში იმ დროს 23.000 ლეკი, 14 000 ინგილო და 11 000 თურქი ცხოვრობდა. მოსახლეობის განსაკუთრებული უკმაყოფილება რუსი ჯარისკაცების მიერ ადგილობრივი ლეკი ქალების გაუპატიურებამ გამოიწვია. გაზეთი „ერთობა“ წერდა: „საქართველოს წარმომადგენლებმა საკუთარი თვალთ იხილეს, თუ როგორ უშენდა ბოლშევიკების ჯარის 38-ე ცხენოსანთა დივიზია 6 ზარბაზნიდან სოფელ გიულიუკს, რომელიც ქალაქ ზაქათალიდან სულ რაღაც 15 ვერსის მანძილზე მდებარეობდა. ადგილობრივი მცხოვრებნი იძულებული იყვნენ საკუთარი სახლ-კარი მიეტოვებინათ“ (გადატრიალება ზაქათალის მხარეში (1920). *ერთობა*, #132, გვ. 1-2) აზერბაიჯანელი ხალხის ძარცვაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ გასაბჭოების შემდეგ, 1920 წლის 12 მაისამდე, ბოლშევიკებმა აზერბაიჯანიდან რუსეთში 4 მილიონ 540 ათასი ფუთი (მასის ერთეული. ერთ ფუთი 16,38 კგ.-ს უდრის - ლ. ს.) ნავთი გაიტანეს („წითელ ადერბეიჯანში“ (1920). *ერთობა*. #116. გვ. 2).

ზაქათალის ოლქის მოსახლეობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისადმი, როგორც ჩანს, ლოიალურად იყო განწყობილი და რომ არა რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების მზაკვრული პოლიტიკა, ზაქათალის ოლქი საქართველოს განუყოფელ ტერიტორიად იყო მიჩნეული, რაც დოკუმენტებით დასტურდება. ბაქოში ბოლშევიკურ გადატრიალებასთან დაკავშირებით გაზეთი „ერთობა“ წერდა: „...ადერბაიჯანთან ჩვენ კეთილმეზობლურ განწყობილებაში და მშვიდობიან ურთიერთობაში და თანამშრომლობაში ვიყავით; დღეს კი მის ადგილას ჩნდება ახალი მეზობელი, რომელთანაც ჩვენ ჯერ არ ვიცით, რა განწყობილება გვექნება, რომელიც, როგორც მის

¹ **კობახჩო** — სოფელი ბელაქნის რაიონში (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ლაგოდების მუნიციპალიტეტს (საქართველო).

² **ბელაქანი** — ქალაქი აზერბაიჯანში, ბელაქნის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი. შაქი-ზაქათალის რეგიონის ეკონომიკური ზონის ნაწილი. მოსახლეობის უმეტესობას აზერბაიჯანელები შეადგენენ, ცხოვრობენ, ასევე, ქართველები (ინგილოები). 1918-1921 წლებში ბელაქანი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა. 1921 წელს რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების მითითებით და კავკასიელი კომუნისტების ძალისხმევით ქალაქი ბელაქანი ზაქათალასა და კახთან ერთად საქართველოს უკანონოდ ჩამოაჭრეს და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას გადასცეს.

მეთაურთა მიერ საქართველოს მიმართ აღებულ ტონიდან სჩანს, უფრო სამტროდ მოდის, ვიდრე სამეგობროდ“ (ბიქტორ თეკლათელი (ბიქტორ თევზაია) (1920). „ბოლშევიკების გადატრიალება ბაქოში“. *ერთობა*. #95, გვ. 1)

1921 წლის თებერვალ-მარტის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, რასაც საქართველოს ანექსია-ოკუპაციის მოჰყვა, საქართველოს ტერიტორიული დანაწევრება აქტიურად ხორციელდებოდა. ზაქათალის ოლქის კუთვნილების საკითხი საბოლოოდ 1921 წლის 5 ივლისს გადაწყდა (თოიძე, 1999, გვ.27). საბჭოთა რუსეთის მთავრობის მითითებით, ზაქათალის ოლქი ბელაქნის, კახისა და ქვემო ყარაიაზის სექტორთან ერთად საბჭოთა საქართველოს უკანონოდ ჩამოაჭრეს და აზერბაიჯანს მიუერთეს. მთლიანობაში 1921 წელს აზერბაიჯანს გადაეცა 4768 კვ. კმ. ფართობი, აქედან ზაქათალის ოლქი მოიცავდა 3.564 კვ. კმ-ს, გარეჯის ველი და ყარაიას სექტორი - 658 კვ. კმ-ს, ელდარის ველი - 546 კვ. კმ-ს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ავაკი ჩხენკელის სიტყვა წარმოთქმული დამფუძნებელი კრების სხდომაზე 1920 წლის 25 ივნისს საქართველო-ადერბაიჯანს შორის დადებულ საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის დროს. (1920). გაზეთი *ერთობა*. #146. თბილისი.
2. ბიქტორ თეკლათელი (ბიქტორ თევზაია), ბოლშევიკური გადატრიალება ბაქოში (1920), გაზეთი, *ერთობა*. #95. თბილისი.
3. ბახტაძე, მ. (2011). საქართველო-აზერბაიჯანის 1919 წლის თავდაცვითი ხელშეკრულება, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები I. თბილისი.
4. გადატრიალება ზაქათალის მხარეში (1920). გაზეთი *ერთობა*. #132. თბილისი.
5. თოიძე, ლ. (1999). საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
6. სარალიძე, ლ. (2016). საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით). ავტორები: ჭუმბურიძე დ., კიკნაძე ვ., ქოქრაშვილი ხ., სარალიძე ლ., წიგნი II. თბილისი. მერიდიანი.
7. სილაქაძე, დ. (2013). მნიშვნელოვანი დოკუმენტი 1920 წლის მაისში ზაქათალის ოლქში არსებული სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ (თელავის საოლქო შტაბის მეთაურის, ბ. ჭუმბურიძის, მოხსენება მთავარი შტაბისადმი 1920 წლის მაისში ზაქათალის ოლქში არსებული სიტუაციის შესახებ. ტექსტი). ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი; მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი, ტ. II, თბილისი.
8. ჩხეიძე, ა. (2018). სამხედრო სკოლა. თავდაცვის სამინისტროს გამომცემლობა. თბილისი.
9. წითელ ადერბეიჯანში, (1920). გაზეთი *ერთობა*. #116. თბილისი.
10. ჭუმბურიძე დ., სარალიძე ლ. (2016). 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება და რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღირება, წიგნი:

საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით), ავტორები: ჭუმბურიძე დ., კიკნაძე ვ., ქოქრაშვილი ხ., სარალიძე ლ., წიგნი II. თბილისი. მერიდიანი.

11. Мустафаева Ситара Орудж Кызы (2008), Процесс установления азербайджано-грузинской границы (1920-1922гг.) История и ее проблемы (практический, научный, методический журнал), №3, с. 104-113, Баку.

გამოყენებული წყაროები:

1. ნოზაძე, ვ. (1989). საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბილისი. საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი.
2. სეა, საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ.1864, ა.2, ს. 75.
3. სეა, საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ.1864, ა.2, ს. 274.
4. სეა, საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ.1970, ა.3, ს. 31.
5. სეა, საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ.2124, ა.1, ს. 21.

Lela Saralidze,
Regionalism Research Institute

Political situation in Zakatala district (1920)

Summary

On the basis of the archival and a press materials, the issue of the territorial boundaries between the Democratic Republic of Georgia and Azerbaijan occupied by Russias, as well as, the issue of belonging to Zakatala district discussed in this article.

Part of old Georgian Historical Territory of Hereti (Zakatala District) is currently an administrative unit of the Republic of Azerbaijan. The district of Zakatala was a part of the Democratic Republic of Georgia from 1918 to 1921. The Constitution adopted by the Government of the Democratic Republic of Georgia on February 21, 1921, clearly states, that Zakatala is an integral part of Georgia and has the right to autonomous local government.

Ms. Sitara Mustafayeva an Azerbaijani researcher blames the Government of the Democratic Republic of Georgia for forcible annexation of the Zakatala district, which we cannot agree with him. She writes: „Georgian officers scattered proclamations on behalf of the Georgian command calling for the exclusion of the Zakatala district from Soviet Azerbaijan and wanted to connect it to Georgia“. In

fact, the population of the Zakatala district applied twice (May 7, 1920 and June 10, 1920) to the Government of the Democratic Republic of Georgia and asked him for help. The Georgian authorities refused to help them, because the Georgian Government could not supply them with weapons, until the issue of disputed territory with the Bolshevik Government of Azerbaijan was not be settled. On June 12, 1920, the Government of the Democratic Republic of Georgia signed an agreement with the Soviet Republic of Azerbaijan, according to which the district of Zakatala was declared a neutral zone.

The issue of belonging to the Zakatala district was finally settled on July 5, 1921. According to the Soviet Russian Government, the Zakatala district, along with the Belakani, Kakhi and Karaiyaz sectors, were illegally seized from the Soviet Georgia and joined to Azerbaijan.

ელდშერ ჯაფარიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ოთარ ზალდასტანიშვილი - „პალმა ჯუმეირას“ სათავეებთან

მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი, მათემატიკოსი, ინჟინერი, მეწარმე, მეცენატი, ბიზნესმენი, მსაჩუესტის ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, ამერიკის ქართველთა საზოგადოების პრეზიდენტი, საქართველო-ამერიკის მეგობრობის საზოგადოების დირექტორი, თანამედროვე მსოფლიოს მერვე საოცრების „ხელოვნური კუნძულის პალმა ჯუმეირას“ ავტორი და შემოქმედი ოთარ ზალდასტანიშვილი 1922 წლის 10 აგვისტოს ქალაქ თელავში დაიბადა.

ოთარ ზალდასტანიშვილის მამა - სოლომონ ზალდასტანიშვილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული არმიის პოლკოვნიკი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი (1917წ.) და 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო.

დედა - მარი ხირსელი ჭრა-კერვის დიდი ოსტატი და განთქმული დიზაინერი ყოფილა ამერიკაში.

1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ პოლკოვნიკმა და სამხედრო ცენტრის ხელმძღვანელმა სოლომონ ზალდასტანიშვილმა შალვა ამირეჯიბთან და ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად საქართველო დატოვა და საფრანგეთში წავიდა. მალე მათ მეუღლე და შვილები: 5 წლის გივი და 2 წლის ოთარ ზალდასტანიშვილები შეუერთდნენ. ემიგრაციაში დიდი ხნის ყოფნის (17 წელი) მიუხედავად, ბავშვებს არ დავიწყებიათ ქართული ენა და ტრადიციები. ოთარს ამაში განსაკუთრებით ეხმარებოდა ოჯახის მეგობარი და მისი ნათლული ქაქუცა ჩოლოყაშვილი. მეორე მსოფლიო ომის დროს სხვა ემიგრანტებთან ერთად სოლომონი აქტიურად ჩაება ტყვეთა განთავისუფლების კამპანიაში, რუმინეთში ჩასვლის

შემდეგ 500 ქართველი გაანთავისუფლა ტყვეთა ბანაკიდან, თუმცა დაავადდა და 1942 წლის დეკემბერში მენინგიტით ბუქარესტის კლინიკაში გარდაიცვალა.

სოლომონ ზალდასტანიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1947 წელს, მარი ხირსელი და მისი უფროსი შვილი იძულებული გახდნენ საცხოვრებლად ოთარისთან ამერიკაში გადასახლებულიყვნენ.

ოთარ ზალდასტანიშვილმა 1945 წელს დაამთავრა პარიზის გზებისა და ხიდების სამშენებლო ინსტიტუტი. პარიზის უმაღლესი ტექნიკური ინსტიტუტის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძო ჯერ სორბონის უნივერსიტეტში, მერე კი - ჰარვარდში. 1946 წლიდან მუშაობას იწყებს ჰარვარდის უნივერსიტეტში. 1947-1950 წლებში მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა. 1948 წელს საცხოვრებლად ბოსტონში გადავიდა. 1949 წელს Nichols and Norton ფირმაში კონსულტანტად დაიწყო მუშაობა. 1952 წლიდან იგი „Nichols, Norton and Zaldastani“-ის პარტნიორი ხდება, 1964-1989 წლებში ბოსტონში „Zaldastani Association“-ის პრეზიდენტი, ხოლო 1989-1997 წლებში - დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. 1971 წელს ფირმას სახელი შეეცვალა და ეწოდა „Zaldastani Associates incorporated“. 25 ინჟინერი მისი უშუალო ხელმძღვანელობით ახორციელებდა დიდ სამშენებლო პროექტებს. ის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 1000-ზე მეტი ცნობილი სამშენებლო ნაგებობისა და პროექტის ავტორია, მათ შორისაა: სასტუმრო „Copley Place“ და ბოსტონის საერთაშორისო აეროპორტი, ბოსტონის ერთ-ერთი მთავარი მოედანი და სტადიონი, ჰარვარდის უნივერსიტეტის სტადიონისა და ბრაუნის უნივერსიტეტ „მოიჰანის“ აუდიტორიის აღდგენის პროექტები, სასახლეები ვაშინგტონსა და ამერიკის სხვა ქალაქებში. მისი პროექტით აგებულია მრავალსართულიანი შენობები ერაყში, ალჟირში, საუდის არაბეთსა და საფრანგეთში, აშშ-ის მემორიალი ნორმანდიაში დესანტის გადასხმის ადგილას. მასვე ეკუთვნის 2002 წლიდან საუდის არაბეთის დედაქალაქ ელ-რიადის მახლობლად გენიალური გეგმა - დუბაიში „პალმა ჯუმეირას“ პროექტი, რომელიც პალმის ფორმის 200 ხელოვნურ კუნძულზე შექმნილ ნაგებობათა კომპლექსია. მის მშენებლობაში გამოყენებულია ოთარ ზალდასტანიშვილის ზღვაში ხელოვნური ნიადაგის შექმნის პრინციპი. ოთარ ზალდასტანიშვილი იყო მსოფლიოში პირველი მეცნიერი სამშენებლო კონსტრუქციის ტექნიკის განვითარებაში, რომლის მეშვეობითაც გაადვილდა ავტოსტრადის ზედა სივრცის ექსპლოატირება. ამერიკის მთავრობამ სწორედ ამიტომ გადასცა უამრავი ჯილდო და პრემია, როგორც ამერიკის ერთ-ერთი საუკეთესო ინჟინერს.

1958-1965 წლებში ოთარ ზალდასტანიშვილი იყო „ქართველთა საზოგადოების“ პრეზიდენტი, მოგვიანებით კი - საქართველო-ამერიკის მეგობრობის საზოგადოების დირექტორი.

1961 წლიდან კვლავ ხდება ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი და ლექციებს კითხულობს სამშენებლო მექანიკაში. იმავე წელს მიიწვიეს ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში წყალქვეშა გემის დინამიკის საკითხებთან დაკავშირებით კვლევით სამუშაოზე. მიწვევით მუშაობდა ასევე საბრძოლო თვითმფრინავების ავიაკონსტრუქტორ ალექსანდრე ქართველთან. იმავდროულად იყო იულოკის კოლეჯის, ბოსტონის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრისა და ბრუქსის სკოლის კურატორი, ჰარვარდის უნივერსიტეტის აეროდინამიკის მიმართულების წამყვანი პროფესორი, რომელსაც ეკუთვნოდა უამრავი თეორიული ნაშრომი და პატენტი აეროდინამიკაში, მათ შორის გამორჩეულია ფოლადის კონსტრუქციების დამუშავება. უნდა აღინიშნოს, რომ ოთარი გატაცებული იყო ქართველი სახელოვანი მეცნიერების - ნიკო

მუსხელიშვილისა და ილია ვეკუას - შრომებით, სწორედ მათ თეორიებზე დაყრდნობით მან 1952 წელს ამერიკაში ცნობილ ავიაკონსტრუქტორ ალექსანდრე ქართველიშვილთან ერთად დაიცვა სადოქტორო დისერტაცია აეროდინამიკასა და ნიადაგის მექანიკაში. ეს დისერტაცია იმდენად საინტერესო იყო, რომ ნაშრომი „პალმა ჯუმეირას“ პროექტის - ზღვაში ხელოვნური ნიადაგის შექმნის - საფუძველი გახდა. გარდა ამისა, იგი მუშაობდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროექტებზე კერძოდ, შავ ზღვაზე, სუფსაში, ახალი პორტის გეგმაზე. სამწუხაროდ, აღარ დასცალდა, 2005 წლის 11 აგვისტოს იგი 83 წლის ასაკში გარდაიცვალა, დაკრძალულია ბოსტონის მაუნთ ობურნის სასაფლაოზე. მისი სახელი (ასევე მოკლე ანოტაცია) შესულია ამერიკის საცნობარო წიგნში „ვინ ვინ არის“ (who is who), რომელშიც ამერიკის ყველაზე ცნობილი და დამსახურებული ადამიანები არიან აღწერული.

ოთარ ზალდასტანიშვილს არასოდეს შეუწყვეტია ფიქრი და ზრუნვა საქართველოზე, მისი ღვაწლის დამსახურებაა, რომ 1997 წელს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მძებ ოთარ და გივი ზალდასტანიშვილებს საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა, კერძოდ, საქართველოდან 1921 წელს გატანილი სახელმწიფო არქივის მოვლისა და დაცვისთვის, ასევე საქართველოში ეკონომიკის ბიზნესის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო საოცრებების რიცხვს ჩვენს ეპოქაში კიდევ ერთი ახალი საოცრება „პალმა ჯუმეირას“ სახით შეემატა. პალმის კუნძულების იდეა ეკუთვნოდა არაბეთის ერთ-ერთ უმდიდრეს შეიხს, რომელმაც საკუთარი ოცნებების განხორციელება ქართველ ინჟინერს პირადად ანდო. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, ვინაიდან არაბებს რელიგია უკრძალავს უცხოელებისთვის მიწის მიყიდვას, მათ შექმნეს ხელოვნური კუნძული, რომლის გაყიდვაც თავისუფლად იქნებოდა შესაძლებელი.

ხელოვნურმა კუნძულმა „პალმის“ სახელწოდება მისი ფორმის გამო მიიღო, ფაქტობრივად ეს არის პროექტი, რომელიც ჩინეთის დიდი კედლის შემდეგ კოსმოსიდან შესაძლებელია მისი დანახვა. „პალმ აილენდს“ უნიკალური სილამაზის გამო მსოფლიოს მერვე საოცრებასაც უწოდებენ. თავად სახელწოდება „პალმ აილენდ“ კი წარმოიშვა თავად კუნძულების ფორმიდან, დიდ ტერიტორიაზე გაშენებულ კუნძულებს პალმის ხის ფორმა აქვთ ნახევარმთვარის ფორმით თავში.

პალმის კუნძულები ხელოვნური კუნძულებია დუბაიში, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, რომლებზეც განლაგებულია უმთავრესი კომერციული და საცხოვრებელი ინფრასტრუქტურა. „პალმა ჯუმეირა“ შედგება „ხის ტანისგან“, „ვარჯისა“ და ნახევარმთვარისგან. „პალმის ტანზე“, რომლის სიგრძე ორი კილომეტრია, ხოლო სიგანე - 450 მეტრი, მაღალი კლასის სასტუმროები, მაღაზიები და საცხოვრებელი შენობებია განთავსებული. კუნძულზე სულ 60 სასტუმრო, 400 კერძო ვილა და კოტეჯია, 5000 აპარტამენტი, წყლის პარკები, რესტორნები, სავაჭრო ცენტრები, სპორტული კლუბები, კინოთეატრები და დაივინგის ცენტრები.

კუნძული „ვირჯი“ 17 გრაციოზული ტოტისგან შედგება, რომლებიც ზღვის სხვადასხვა მხარესაა მიმოფანტული, უმეტესობა ყვავილების ბაღებითაა დამშვენებული, დანარჩენზე კი კოტეჯები და ვილებია გაშენებული.

რაც შეეხება „ნახევარმთვარეს“, აქ წარმოდგენილია მაღალი კლასის სასტუმროები, იქვეა მსოფლიოში უდიდესი წყალქვეშა პარკი დაივინგის მოყვარულთათვის. წყალქვეშ მდებარეობს „დაკარგული ქალაქი“, ამ ქალაქში ჩამირული თვითმფრინავებისა და გემების,

ეგვიპტური პირამიდებისა და ძველი რომაული კოლონადების ნახვა შესაძლებელი, ე. ი. მათი ისტორიის წყალქვეშ გაცნობა.

პალმა „ჯებელ-ალი“ არის რიგით მეორე კუნძული „პალმა ჯუმეირაზე“, რომლის სიგრძე 2,4 კილომეტრია, სიგანე - 450 მეტრი. იგი ე.წ. ზღვის სოფელია, რომელშიც 8 სასტუმრო, სავაჭრო კომპლექსები, კინოთეატრები და დასასვენებელი დაწესებულებებია განლაგებული. „ზღვის სოფელმა“ დუბაის სახმელეთო ზოლი 120 კილომეტრით დააგრძელა, მის მშენებლობაზე 100 მილიონი კუბური მეტრი ქვიშა და ქვა დაიხარჯა.

უნიკალური კომპლექსი „მსოფლიო“, რომელიც 7 კონტინენტისა და 200 ხელოვნური კუნძულისგან შედგება, მსოფლიოს თითოეულ ქვეყანას წარმოადგენს და მისასვლელი მხოლოდ ზღვიდან აქვს. 200 კუნძული ამა თუ იმ ქვეყნისთვის დამახასიათებელი ლანდშაფტითა და დიზაინითაა წარმოდგენილი, რაც განაპირობებს ახალი დუბაის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას რეგიონში. ამაში დიდი წვლილი სწორედ ქართველ მეცნიერსა და ინჟინერს, ოთარ ზალდასტანიშვილს, მიუძღვის. მან დუბაის სრულიად ახალი სტატუსი და ახალი გრძელვადიანი შემოსავლების პერსპექტივა დაუსახა.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მსოფლიოს ახალი საოცრების „პალმა ჯუმეირას“ ავტორი და სულისჩამდგმელი ქართველი ემიგრანტი მეცნიერი და ინჟინერი ოთარ ზალდასტანიშვილია. თუმცა ძალზე დასანანია, რომ დღემდე ეს ფაქტი ოფიციალურად, დოკუმენტურად არსად არ გვხვდება და მის ვინაობას ასაიდუმლოებს დუბაი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზალდასტანიშვილი, ს. (1956). საქართველოს 1924 წლის ამბოხება. მიუნხენი.
2. ხაზარაძე ი. (2008). სოლომონ ზალდასტანიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა) *საპატრიარქოს უწყებანი*. N21. თბილისი.
3. შარაძე, გ. (1993). უცხოეთის ცის ქვეშ. ტ. 2. თბილისი. მერანი
4. დაუშვილი, რ. (2002). ქართველი მრეწველები და გამოგონებლები ამერიკაში. თბილისი. საქპატენტი.
5. დაუშვილი, რ. (2007). ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში. თბილისი "რაეო".
6. დაუშვილი, რ. (2014). ქართული ემიგრაცია ამერიკაში. თბილისი. რაეო.
7. დაუშვილი, რ. (2012) ქართველები უცხოეთში-Georgian Abroad. წ. I. თბილისი. I-ლი გამოცემა.
8. დაუშვილი, რ. (2012) ინტერვიუ კვირის პალიტრასთან. <https://www.kvirispalitra.ge/public/10833-othar-zaldastanishvili-xxi-saukunis-saocrebis-shemqmneli.html>
9. <http://www.nplg.gov.ge/emigrants/en/00000063/>
10. https://iheduge.blogspot.com/2019/02/blog-post_991.html#.YDdMmv0zaUI

**Edisher Japharidze,
Georgian Technical University**

Otar Zaldastanishvili – at the Outfalls of Palm Jumeirah

Summary

Today we can say that the new wonders in our era were added to the new wonders of "Palm Jumeira". Otar Zaldastanishvili is a Georgian immigrant scientist and engineer who is the author of the new wonders of "Palm Jumeira". Its construction was started in 2001. It is located in the Jumeirah coastal area in Dubai. Palm Jumeirah is the first island which is built in a crown with 17 fronds, and a surrounding crescent island that will form a water-breaker. It has already been acclaimed a marvel of marine construction and engineering vision. In early October 2007, the Palm Jumeirah had already become the world's largest artificial island. Creation of the islands started in 2001. As of November 2011, only Palm Jumeirah has been completed. This island takes the form of a palm tree, topped by a crescent. After completion, Palm Jebel Ali will take a similar shape.

**სოფიკო ჭაავა,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ივანე ჭავჭავაძის ენობრივი სტრატეგია ტფილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტში
(1918-1922 წლების საარქივო მასალების მიხედვით)**

საქართველოს ცენტრალური არქივის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფონდში დაცულია დოკუმენტები, რომლებშიც ასახულია ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა და მისი განვითარების ეტაპები, ენათა სწავლების საკითხები, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ეთნიკური და ენობრივი განაწილება, სასწავლო გეგმები, სამეცნიერო მუშაობის პრინციპები, ბიბლიოთეკა, საგამომცემლო საქმიანობა და ა. შ.

1918 წლის 26 იანვარს უნივერსიტეტის გახსნის დღეს უნივერსიტეტის პირველი რექტორის პეტრე მელიქიშვილის მიერ ქართულად წარმოთქმული მისასალმებელი სიტყვის ამონარიდი ასეთ შინაარსს შეიცავს:

"თქვენო უწმინდესობავ და ბატონებო, საზოგადო სამეცნიერო კვლევა-ძიების გარდა, ჩვენი უნივერსიტეტის მთავარს მიზანს ჩვენი ქვეყნის მეცნიერული შესწავლა შეადგენს. ვინ არ იცის, რა ძვირფასი განძია შენახული მეცნიერებისთვის კავკასიის მრავალგვარ ენებში და ქართულს მრავალ საუკუნოვან სამწერლობო ენასა და კილოებში, ამიტომაც არის, რომ უკვე კარგა ხანია, რაც ევროპიელ მეცნიერთა გულისყური ამ საგნისკენ იყო მიპყრობილი. მხოლოდ

ჩვენი ენების თავისებურებით აიხსნება, რომ მათ ენათმეცნიერების ამ დარგის სიძნელე ჯეროვნად ვერ სძლიეს. ვინ არ იცის, რამდენათ საგულისხმოა ჩვენი ქვეყნის წარსულიცა და ნივთიერი კულტურაც, რომელთა მრავალრიცხოვანი ძეგლები ჩვენს სამშობლოს ამკობენ და მსახველთა თვალს აკვირებენ. არც გასაკურველია, რომ ჩვენი უნივერსიტეტის არსებობას საფუძველი სწორეთ ჰუმანიურ მეცნიერებათა დარგის მოწყობით ედება" (სეა, უიცა, ფ. 471 ა. 1, ს. 8).

ერთ-ერთი საარქივო მასალის მიხედვით, ივანე ჯავახიშვილი ვრცლად პასუხობს ნიკო მარის ბრალდებებს და დეტალურად აღწერს უნივერსიტეტის დაარსების ისტორიას. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს:

"აზრი ქართული უნივერსიტეტის დაარსების შესახებ, მარის ფიქრით, იმ ნაციონალისტური მიმართულების ნაყოფია, თუმცა არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც ჰსურდა განახლებული რუსეთისთვის ანგარიშის მოთხოვნა, რომლითაც თურმე რუსეთში თავისუფლების სულის ჩაქრობა შეეძლო. რატომ? უნებურად იკითხავს ადამიანი. ნუთუ ქართული უნივერსიტეტის დაარსება რუსეთისთვის ასეთი საბედისწერო რამე უნდა ყოფილიყო? ქართული უნივერსიტეტის დაარსება მას ქართველთა ავადმყოფური ეროვნული გრძნობის წარმოშობად ეჩვენებოდა. იმ უკიდურეს ნაციონალისტთა საქმედ, რომელთაც სასწავლებელში უცხო ენის ბატონობა ერისათვის გადაგვარებულ გარემოებად მიაჩნდათ და სასურველად სთვლიდნენ უმაღლესი მეცნიერებაც დედაენაზე შეეთვისებინათ, რომელთაც ლექსიკონშიაც კი ქართული სიტყვების განსამარტავად რუსულის ხმარება ქართული აზროვნებისათვის მავნებლად მიაჩნდათ. სწორედ ამათი საქმე ყოფილა, რომ საშუალო სასწავლებლების გაეროვნულება ქართული უნივერსიტეტის დაარსებით უნდა დამთავრებულიყო" (სეა, უიცა, ფ. 471, ა. 1, ს. 25).

მძლავრი რუსიფიკატორული ენობრივი პოლიტიკის პირობებში, ცხადია, ქართული უმაღლესი სასწავლებლის დაარსება ადვილი საქმე არ იყო. ამასთანავე, რთული იყო იდეის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსების მოძიება. მიუხედავად არაერთი დაბრკოლებისა, ქართველმა სწავლულებმა შეძლეს ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა და დააარსეს პირველი ქართული უნივერსიტეტი. ეს ფაქტი იყო იმის დეკლარირება, რომ უმაღლეს სასწავლებელში შესაძლებელი იყო განათლებისა და მეცნიერების ენად ქართული გამოყენებინათ. ამით ერთგვარად მომზადდა ნიადაგი ქართული ენის სტატუსის ამაღლებისა და ფუნქციური გაფართოებისთვის, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს გამოსაცხადებლად.

წინამდებარე ნაშრომში წარმოვადგენთ რამდენიმე საინტერესო და მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომლებშიც განხილულია:

1. სტუდენტების სტატისტიკა ფაკულტეტების მიხედვით;
2. უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკა, პროფესორ-მასწავლებელთა ეთნიკური წარმომავლობა და მათი ენობრივი კომპეტენცია;
3. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სასწავლო გეგმა და ენათა სწავლების საკითხები.

ივანე ჯავახიშვილის ცნობით: "ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918 წლის 26 იანვარს დაარსდა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სახით, რომელიც გეგმით გამიზნულ სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამეანო საგნებსაც შეიცავდა. 1918 წლის შემდეგ სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო საგნები ცალკე ფაკულტეტად იქნა გამოყოფილი.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი ანუ ფილოსოფიური ფაკულტეტი შეიცავს ყველა იმ საგნებს, რომელიც რუსეთის უნივერსიტეტის ფაკულტეტზეა, - საისტორიო ფილოლოგიურზე, აღმოსავლეთის ენებისაზე და ნაწილობრივ მესამე, იურიდიულზეც.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე

დანაწილება მხოლოდ სამეცნიერო დარგების მიხედვით არის მიღებული და სტუდენტებისათვის სახელმძღვანელოდ შედგენილია მართო სანიმუშო სამეცნიერო-სასწავლო გეგმა. ეს გეგმა იმ საზოგადო დებულებაზეა დაფუძნებული, რომ ჰუმანურ ცოდნის შეძენა და მეცნიერების შესწავლა შეიძლება ან 1. ფილოსოფიური თვალსაზრისით, ან 2. ფსიქოლოგიურად, ან 3. ენათმეცნიერებისა, ან ხელოვნების თვალსაზრისით (სიტყვიერი ან ნივთიერი ხელოვნება), ან 5. ისტორიულად, ან 6. სოციალურ-ეკონომიურ თვალსაზრისით. ამ დარგების გარდა, სხვაც შეიძლება იყოს და სტუდენტს ან მსმენელს თითონაც უფლება აქვს ფაკულტეტის დასტურით თავის სამეცნიერო მისწრაფების და სურვილის მიხედვით სხვა, საკუთარი გეგმა შეადგინოს და ამ გეგმისდა თანახმად შეიძინოს უნივერსიტეტში სამეცნიერო ცოდნა.

ყველასთვის სავალდებულო საგნებია: ლოღიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფიის შესავალი, საქართველოს ისტორია (დროებით) და ერთ-ერთი თანამედროვე ევროპული ენათაგანი.

ენათმეცნიერმა თავის ცოდნის განსაკუთრებულ საგნად შეიძლება ან ქართულენოვანი აილოს, ან ინდოევროპული, ან სემური ენათმეცნიერება, ან არა და მხოლოდ ცალ-ცალკე ენა.

სწავლა ორ მთავარ ნაწილად იყოფა: პირველი ოთხი სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა შეისწავლოს მის სამეცნიერო დარგისა და მიზნისთვის საჭირო ენები და მოისმინოს იმ საგნების საზოგადო კურსები“ (სეა, უიცა, ფ. 471, ა. 1, ს. 81).

ივანე ჯავახიშვილის ცნობით, ქართულ უნივერსიტეტში პირველივე წელს ჩაირიცხა 369 სტუდენტი და 89 მსმენელი. 1920 წლისთვის კი მათმა საერთო რიცხვმა 2814 მიაღწია. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე სწავლობდა 990 სტუდენტი, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოზე - 779, ხოლო სამკურნალოზე - 960 (ჯამში, 969-ით მეტი მამაკაცი სწავლობდა). იქვე აღნიშნული იყო, რომ იმ პერიოდში გაუქმებული ამიერკავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის გაიხსნა რუსული პარალელური კურსები, რომლებზედაც 480 სტუდენტი ირიცხებოდა (ზემოაღნიშნული უნივერსიტეტის დახურვამ რუსი მეცნიერების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ერთ-ერთ სხდომაზე ისინი ქართული და ამიერკავკასიის უნივერსიტეტების გაერთიანებას ითხოვდნენ, რასაც სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ ქართველი პროფესორები და განათლების კომისარიატის მაღალი თანამდებობის პირები).

1923 წლის მონაცემებით, ქართული უნივერსიტეტის სტუდენტების ეროვნული შემადგენლობა ასეთი იყო: ქართველი - 4506, სომეხი - 106, რუსი - 26, ებრაელი - 21, ოსი - 2, თათარი - 1, სხვა - 11, ქალი - 1385, ვაჟი - 3288, სულ 4673. საპედაგოგო ფაკულტეტზე სწავლობდა 853 სტუდენტი, სამკურნალოზე - 123, სოციალ-ეკონომიურზე - 535, აგრონომიულზე - 279 და პოლიტექნიკურზე - 81 (სეა, უიცა, ფ. 471, ა. 1, ს.120).

დასახელებული დოკუმენტის მნიშვნელოვანი ნაწილია ცნობები პროფესორ-მასწავლებელთა შესახებ და ივ. ჯავახიშვილის ენობრივი სტრატეგია, რომლის უპირველესი მიზანი თბილისის უნივერსიტეტში ქართული ენის ფუნქციური ზრდა და მისი პრესტიჟის ამაღლება იყო. აღნიშნული მასალის ამ ნაწილს წარმოვადგენთ სრულად. ივანე ჯავახიშვილის ინფორმაციით:

"პროფესორ-დოცენტთა ლექტორების საერთო რიცხვი 66 შეადგენს, ასისტენტ-ლაბორანტ-ორდინატორებისა კი - 61. მაშასადამე, სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის რაოდენობა 127 უდრის. პროფესორ-დოცენტთაგან 38 ქართველია, ხოლო 10 რუსი: ანფიმოვი, ნავამინი, მანილოვი, მალენიუვი, მეზერნიცი, პოლიევქტოვი, სალიკოვი, მიროკონეოროვი და ლეიბენოვი და 1 დოცენტი (ფიგუროვსკი). ამგვარად, რუსები 1/4-ზე ნაკლები არიან. ყველა ეს პირი მხოლოდ დროებით არიან მოწვეულნი და 3 წლის განმავლობაში ან ქართული უნდა შეისწავლონ, ან მოადგილე მოამზადონ და თითონ უნივერსიტეტს თავი დაანებონ. ყველა რუს პროფესორ-დოცენტებს, რომელთაც ასისტენტები

ეკუთვნის, ასისტენტებად ქართველები ჰყავთ და პრაქტიკული ვარჯიში ქართულად სწარმოებს. პროფ. ანფიმოვის, მინილოვისა და სალიკოვის ლექციები ქართულად ითარგმნება და იბეჭდება კიდეც, ისე რომ რუსულად მოსმენილი ლექციების შესასწავლად სტუდენტებს ქართულად დაბეჭდილი კურსი ექნებათ ხელთა.

უნივერსიტეტისათვის გამოსადეგი უფლებამოსილი ქართველ მეცნიერთა რიცხვი თითქმის სრულებით გამორჩეულია და ხუთიოდე პირის გარდა, რომელნიც რუსეთში ჩარჩნენ და ჩვენი მრავალგზის ცდისდა მიუხედავად ბოლშევიკების სამფლობელოთაგან თავის დაღწევას ვერ ახერხებენ, დანარჩენები უკვე უნივერსიტეტში არიან და საქართველოს უმაღლეს სამეცნიერო ტაძარს ემსახურებიან. ამათგან გოგიტიძისა და ქუთათელაძის ჩამოყვანა ოდესითგან, ხოლო მ. დარახველიძის როსტოვიტგან ჩვენი უნივერსიტეტისთვის აუცილებლად საჭიროა და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი წარმომადგენლის დახმარებით ამასაც როგორმე მოვახერხებთ.

მაგრამ რაკი ქართველთა შორის ზოგიერთი მეცნიერების წარმომადგენელი არ გვყვანან, უმათოდ კი უნივერსიტეტი სისრულეს ვერ მიაღწევს და მისი აღმშენებლობაც ვერ დამთავრდება, ამიტომ თავისუფალ კათედრისათვის უცხოელ პროფესორების მოწვევა აუცილებელია, განსაკუთრებით აგრონომიული საგნებისათვის, კლინიკებისა და უმაღლეს სატექნიკო მეცნიერების დარგებისათვის. პროფესორთა საბჭოს დადგენილებით უნივერსიტეტის გამგეობამ ფრანგულად დაწერილი განცხადება თავისუფალ კათედრაზე კონკურსის შესახებ გერმანიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, იტალიაში და ინგლისში გააგზავნა. მაგრამ ამით ჯერჯერობით არა გაკეთდა რა. უნივერსიტეტის გამგეობამ შემდეგ საქართველოში მყოფ გერმანიის წარმომადგენელს გერმანიაში რადიო-ტელეგრამა გააგზავნინა, რომ სამი პროფესორი სასოფლო-სამეურნეო საგნებისთვის და ერთიც ზოოლოგი ჩამოსულიყვნენ, მაგრამ არც ამით გარიგდა საქმე. რათგან ჩრდილოელთა რიცხვის გამრავლება პოლიტიკური მოსაზრებით ჩვენთვის ამჟამად ხელსაყრელი არ არის და ორიოდეს გარდა თითქმის არავინ ქართულის შესწავლას არ ფიქრობს, მათ საქართველოში ყოფნა მხოლოდ რუსეთის თანამედროვე მდგომარეობით არის გამოწვეული და უეჭველია დროებითია. ჩვენთვის ყოველმხრივ უკეთესია დასავლეთ ევროპითგან მაგ. გერმანიითგან მოვიწვიოთ. ამით ჩვენსა და დასავლეთ ევროპას შორის უფრო მეტი კულტურული კავშირიც შეიკვრება და მათ შორის უფრო ადვილად ვიპოვით ისეთ მეცნიერებს, რომელნიც ქართულს შეისწავლიან და ჩვენი რესპუბლიკის სამსახურში დარჩებიან. მაინცდამაინც მათ შორის ჩვენი დამოუკიდებლობის მიზანიც გამოჩნდება, რისი თქმაც, როცა რუსეთის საქმე გაკეთდება, რუსი მეცნიერის შესახებ მომავალში ძალიან ძნელია. საფიქრელია, რომ გერმანელ მეცნიერებს განსაკუთრებით გზის ხარჯები და თვიური სარგოს რაოდენობა აზრკოლებთ. ამიტომ სასურველია, რომ უნივერსიტეტის მომავალ-აღრიცხვაში საამისოდ საჭირო თანხა იყოს შეტანილი და მთავრობამ ამ საქმეში ყოველგვარი დახმარება გაუწიოს.

ლექტორთა ეროვნული შემადგენლობა ამგვარია: 17 ლექტორებიდან თითქმის 2/3 - 10 ქართველები არიან, 4 სომეხია, რომელთაგან სამი (ლ. მელიქსბეგი, პარუნ სარქისოვი და მზარეულიშვილი) ქართულად კითხულობენ და მეოთხემაც იმდენად იცის ქართული, რომ ახლო მომავალში ქართულად შესძლებს ლექციების წაკითხვას, და 3 რუსია (ფილატოვი, ვორონინი და ალექსანდროვი).

44 ასისტენტთაგან რუსი 7-ია, მათ შორის ზოგმა ქართული იმდენად იცის, რომ ახლო მომავალში ქართულად შესძლებენ ვარჯიშის წარმოებას. ლაბორანტ-ორდინატორნი ყველა ქართველები არიან.

ამგვარად, სამეცნიერო-სასწავლო ნაწილში პირთა შემადგენლობის 127 რიცხვითგან 102 ქართველია, 21 რუსი და 4 სომეხი, რომელთაგან 3 ქართულად კითხულობს.

უნივერსიტეტთან დაკავებულია სამეცნიერო მოღვაწეობისა და პროფესორობისათვის მოსამზადებლად 11, რომელთაგან 5 გერმანიის უნივერსიტეტში არიან გაგზავნილი

სამეცნიერო ცოდნის გასაღრმავებლად და წარსამატებლად, 1 საბერძნეთში, ათინაში, შემდეგ გერმანიაშიც, 1 პარიზში და 4 ჯერ-ჯერობით აქ მუშაობენ. სასურველია უნივერსიტეტში დატოვებულთათვის და საზღვარგარეთ მყოფთ მთავრობის სტიპენდია უცხო ვალუტით მიეცეს მთავრობისაგან, რომ ისინი გაჭირვებაში არ იყვნენ და მთელი თავიანთი ენერჯით პირნათლად მოემზადონ საპროფესორო მოღვაწეობისთვის" (სეა, უიცა, ფ. 471, ა.1, ს. 27).

ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შესახებაც საუბრობს. მისი ინფორმაციით: "უნივერსიტეტი რომ გაიხსნა, მას ერთი წიგნაკი არ მოეპოვებოდა წიგნთსაცავისთვის. ბოლშევიკურ მოძრაობით გატაცებულ რუსულ სამხედრო დაწესებულებებში ტფილისში მყოფ ჯარისკაცებმა რომ ქონების დატაცებას მიჰყვეს ხელი და მილიონების ქონება ნიადაგებოდა, გაჰქონდათ და ყველაფერს ჩალის ფასად ჰყიდდნენ ბაზარში.

ბლომად და ძვირფასი წიგნები მიიღო უნივერსიტეტის წიგნთსაცავმა შემოწირულობის სახითაც. დიდი ფული დახარჯა უნივერსიტეტმა თავის წიგნთსაცავის აქ ადგილობრივ და დასავლეთ ევროპიდან წიგნების შესაძენად. უკვე 1920 წელს 57 974 სათაურისა და 88 660 ცალი წიგნი ითვლება, რომელთა ღირებულება 100 000 000 მანეთს უდრის. ამას გარდა, ამ დღეებში გერმანიითგან 12000 მარკის ჰუმანიური ახალი დარგების წიგნები მოსდის და ამგვარივე შინაარსის წიგნები საფრანგეთიდან და ინგლისითგანაც. სულ სამივე ქვეყნითგან საერთოდ 100 გირვანქა სტერლინგისა, რაც უკვე გადახდილი აქვს უნივერსიტეტს" (სეა, უიცა, ფ. 471, ა. 1, ს. 27).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფონდში დაცულ დოკუმენტში მოცემულია აგრეთვე 1922 წლის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სასწავლო გეგმა. იქვე დასახელებული არიან ის პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც უძღვებოდნენ ამა თუ იმ სალექციო კურსს:

1. ა. ჯვარიშვილი - ბერძნული ენა;
2. კ. კეკელიძე - ძველი ქართული მწერლობის ისტორია; ქრისტიანობის ისტორია;
3. ი. აბულაძე - სპარსული ენა; სპარსული მწერლობის ისტორია;
4. გ. ნათაძე - საშუალო საუკუნეების ისტორია, ფეოდალური სისტემის წარმოშობა და განვითარება; ლათინური ენა; ახალი ისტორია ყველა მსმენელთათვის;
5. ლ. მელიქსეთბეგი - ახალი სომხური ენა; ძველი სომხური ენა;
6. ელ. ორბელიანი - ფრანგული ენა, ინგლისური ენა;
7. ა. შანიძე - ვეფხისტყაოსანი; ქართული პალეოგრაფია; არაბული ენა; სვანური ენა;
8. ი. ყიფშიძე - გერმანული ენა;
9. გ. წერეთელი - ბერძნული ლიტერატურის ისტორია; რომაული ლიტერატურის ისტორია; არჩეული პოეტები ბერძენთა ლირიკოსებიდან;
10. გ. ახვლედიანი - სემინარიუმი ოსური ენისა; სანსკრიტი; საზოგადო ენათმეცნიერების შესავალი;
11. დ. უზნაძე - ზოგადი ფსიქოლოგია; პედაგოგიური სემინარი: ჰერბარტის პედაგოგიკა ინსტიტუტში; ვარჯიშობა ექსპერიმენტალურ ფსიქოლოგიაში; ზოგადი პედაგოგიკა; ზოგადი პედაგოგიურ-ფილოსოფიის სემინარიუმი; აზროვნების ფსიქოლოგია;
12. ივ. ჯავახიშვილი - ისტორიის მეთოდოლოგია; ქართველი ერის საზოგადო ისტორია; სპარსული და სომხური საისტორიო მწერლობა; ქართული სასამართლოს ისტორია;
13. მ. პოლიევქტოვი - ეკონომიური განვითარება ევროპისა /ახალი დრო/; ადმოსავლეთ ევროპის ისტორია;
14. ალ. ცაგარელი - ქართული ლიტერატურის ისტორია მე-16-19 საუკუნეებში; დიპლომატიური მიწერ-მოწერა უცხო ქვეყნებთან;
15. გ. ჩუბინაშვილი - პრაქტიკული ვარჯიშობა საქართველოს ხუროთმოძღვრობის ისტორიაში; ქართული ხელოვნების შესწავლის შესავალი;

16. შ. ნუცუბიძე - ფილოსოფიის ისტორია; გნოსეოლოგიის საკითხი ახალ ფილოსოფიაში; ახალი დროის ისტორია.

მე-2-რე სემესტრის ბოლოს ყველა დარგის სტუდენტები ვალდებულნი არიან ერთ-ერთ ახალ ენაში (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) გამოცდა ჩააბარონ. მე-4-ე სემესტრის ბოლოს სტუდენტები მოვალენი არიან ჩააბარონ გამოცდა კიდევ ერთ-ერთს ან ძველს, ან აღმოსავლეთის ენაში (სეა, უიგა, ფ. 471, ა. 1, ს. 81).

საყურადღებოა ასევე ამავე ფონდში დაცული კიდევ ერთი საარქივო მასალა, რომელიც ივანე ჯავახიშვილს მოხსენების სახით გაუგზავნია განათლების სახალხო კომისარიატისთვის (სეა, უიგა, ფ. 471, ა. 1, ს. 27).

დოკუმენტში წარმოდგენილი მონაცემებიდან ირკვევა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სასწავლო გეგმების შემუშავებაში "ზემოდან" ჩაერივნენ და ზოგი საკითხი თავიანთი პოლიტიკური შეხედულებებისა და მიზნების შესაბამისად შეცვალეს. 1922 წელს ივ. ჯავახიშვილი განათლების სახალხო კომისარიატში გაგზავნილ წერილში დეტალურად აღწერს, რა იყო მანამდე გათვალისწინებული სასწავლო გეგმებში და რა შეიცვალა ბოლო პერიოდში. როგორც მეცნიერი აღნიშნავს, სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიური სექციის წარმომადგენლებს მთლიანად შეუცვლიათ პედაგოგიური ფაკულტეტის სასწავლო გეგმა, კერძოდ, გაუუქმებიათ ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიისა და ისტორიის დარგები, ასევე ბერძნული, ლათინური, მახლობელი აღმოსავლეთის ენებისა და ქართული მწერლობის 13 საუკუნის ისტორია. დაუტოვებიათ მხოლოდ ახალი და უახლესი ქართული მწერლობის ისტორია. უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის მიერ შედგენილი 3 განყოფილების: ლიტერატურულ-ლინგვისტურის, ისტორიის, ხელოვნებისა და პედ-ფსიქოლოგიის ნაცვლად "ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება" და "საზოგადოებრივ-ეკონომიური განყოფილება" ჩაუსვამთ.

ამ დოკუმენტში ივანე ჯავახიშვილი ვრცლად მიმოიხილავს ქართული უნივერსიტეტის უმთავრეს ენობრივ პოლიტიკას, რომელიც სასწავლო გეგმებსა და სასწავლო დისციპლინებში უნდა ასახულიყო. მეცნიერი მკაცრად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის უნივერსიტეტებიდან ზედმიწევნით გადმოღებულ მეთოდებსა და მიმართულებებს. იგი კატეგორიულად მოითხოვდა მახლობელი, მეზობელი ქვეყნების ენის, ისტორიის, ლიტერატურისა და კულტურის სწავლება დანერგილიყო. აღნიშნული მასალის ამ ნაწილს წარმოვადგენთ სრულად:

"სასოფლო მეურნეობას, პოლიტიკურ ეკონომიას და სტატისტიკას იქ იმოდენა ადგილი აქვს მიკუთვნილი, რომ უფრო სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის გეგმას შეშვენის. შედარებითგან ირკვევა, რომ სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიური სექციის შემუშავებული გეგმა ნამდვილად მოსკოვის მე-2-ე სახელმწიფო უნივერსიტეტის გეგმის უბრალო თარგმანს წარმოადგენს, მხოლოდ იმ მცირედი განსხვავებით, რომ სადაც რუსულ ტექსტში რუსეთი და რუსული ენა სწერია, იქ ქართულად ამას გარდა საქართველო და ქართული ენაც არის დამატებული.

ამგვარად ცხადია, რომ პედაგოგიურ სექციის პროექტს რუსულ უნივერსიტეტის გეგმასთან არაფერი აქვს საერთო და მისი განხორცილება განსაცდელში ჩაადგებს ჩვენს უნივერსიტეტსა და მეცნიერებას. მაგრამ იქნება ამას ამითი ეშველოს, რომ ჩვენი უნივერსიტეტის ეხლანდელი ფაკულტეტთაგან გამოყოფილ იქმნეს ლინგვისტური საგნები და ცალკე აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტი ეწოდოს? არა - ეს საქმეს არსებითითაც ვერას უშველის და სწორედ იქნება. ჯერ ერთი, რომ ჩვენ თვითონ აღმოსავლეთში ვართ და ჩვენთვის ეს აღმოსავლეთის ენები არ არის, ასეთი ტერმინი დასავლეთშია შექმნილი, რომლისთვისაც კავკასია, საქართველო, სომხეთი, ოსმალეთი და სპარსეთი აღმოსავლეთს წარმოადგენს. შემდეგ ვერედ წოდებული აღმოსავლური ენებისა და მწერლობის გარდა პედაგოგიურ

ფაკულტეტზე ჩვენი კულტურის უმნიშვნელოვანესი მონაწილის ბერძნული და ლათინური ენებისა, მწერლობისა და კულტურის ისტორიისა, იმგვარადვე, როგორც დასავლეთი ევროპის ენებისა და მწერლობის შესწავლაც წარმოებს. ეს საგნებიც აღმოსავლურ ენების ფაკულტეტში მოვათავსოთ? ეს ხომ სასაცილო იქნებოდა და საოხუნჯოთ გაგვხდიდა. ესეც რომ არ იყოს, იქაც, როგორც მაგალითად ლენინგრადის უნივერსიტეტში, სადაც ამ გვარი აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტი სამოცდაათი წლის განმავლობაში არსებობდა და სახელიც მოხვეჭილი ჰქონდა, ცალკე ფაკულტეტათ მოსპეს, სახელიც გააუქმეს და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტს შეუერთეს. უცნაური არ იქნება, რომ ჩვენ ეხლა ამ გვარი ფაკულტეტი შევქმნათ, როდესაც ეს არსებითაც სწორი არ იქნებოდა და არც მიზანშეწონილია. თუ ლენინგრადის უნივერსიტეტში აღმოსავლეთის, საბერძნეთისა, რომისა და დასავლეთის ენების, მწერლობისა და ისტორიის შესწავლა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტში, რომელიც შინაარსით ჩვენი უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტს უდრის, ადვილად თავსდება და ეს რუს მასწავლებლების მომზადებას არ უშლის და პარტიული პროგრამის თვალსაზრისითაც შეუწყნარებელ შეთავსებულობათ არ არის მიჩნეული, რატომ უნდა იყოს შეუძლებელი ეს ჩვენ უნივერსიტეტში? რატომ უნდა დანგრეული იქმნეს პედაგოგიური ფაკულტეტი და განადგურებული ის დიდი მუშაობა და მიღწეულობა, რომელიც ამ შვიდი წლის განმავლობაში გაწეული იყო და დიდის ენერგიით მოპოვებულია?

პედაგოგიურ ფაკულტეტს პროგრამის გამარტივება კი არა, პირიქით, გაფართოვება სჭირდება. ჩვენ ეროვნებათა უმცირესობების სასწავლებლები გვაქვს: სომხური, თურქულ-თათრული, ოსური, ბერძნული, განა უკეთესი არ იქნება, რომ აქაც ამ ენების მცოდნე შესაფერისად განვითარებული ქართველი მასწავლებლები გვყავდნენ, რომელთაც ჩვენ უნივერსიტეტში ექნებათ სწავლა-განათლება მიღებული? ახალი პროგრამით ნაგულისხმევი ამ ენათა სწავლების გაუქმება კი ამგვარ შესაძლებლობასაც მოუხპობს. ამას გარდა, ქართველმა მოღვაწემ თავის მეზობლების სომხების, თურქების, სპარსელების ენა და ისტორია, მწერლობა და კულტურა უნდა იცოდეს. მათთან კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობა ქართველისათვის ბუნებრივი და აუცილებელიც არის. ერთა შორის სოლიდარობაც ამ ერთა გულის ნადების, მათი ენისა და მწერლობის ცოდნის გარეშე შეუძლებელია. ეს გარემოებაც საქართველოს მთავრობასა და განათლების მესვეურთ ავალეებს მახლობელ ქვეყნებისა და მეზობელ ერთა ენისა და მწერლობის და ისტორიის შესწავლას ჩვენს უნივერსიტეტში განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდეს მიპყრობილი.

მამასადამე, ამ თვალსაზრისითაც საქმის ინტერესი პედაგოგიური ფაკულტეტის პროგრამის გაღარიბებას კი არა, გამდიდრებას გვიკარნახებს. ცხადია, ამ პროექტის დაკანონება ჩვენ კულტურულ წარმატებას დიდ ზიანს მოუტანს და მის წინსვლასაც შეაფერხებს. რუსეთის ბევრი უნივერსიტეტები აქვს და იქ შესაძლებელია სხვა და სხვა პროგრამაც იყოს, საქართველოს - კი ერთად ერთი უნივერსიტეტი აბადია და იგი უნდა თავისი ქვეყნის მრავალგვარ მოთხოვნილებას ემსახურებოდეს. ამიტომ მას მეტი მზრუნველობა ესაჭიროება და მისი პროგრამაც არ შეიძლება მხოლოდ ერთი პედაგოგიური თვალსაზრისით იყოს განხილული და გადაკეთებული" (სეა, უიცა, ფ. 471, ა. 1, ს. 27).

როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილი 1922 წელს განათლების კომისრისადმი გაგზავნილი მოხსენებით ცდილობს განმარტოს, რატომ არის შეცდომა ენების სწავლების გაუქმება და რატომ არის მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის პედაგოგიური ფაკულტეტის სასწავლო გეგმის სწორად განსაზღვრა. სავარაუდოდ, სასწავლო გეგმის შეცვლა განათლების კომისარიატის მითითებით მოხდა, ამას ადასტურებს გეგმაში ჰუმანიტარული საგნების გაუქმება და მათ ნაცვლად სოფლის მეურნეობის, პოლიტიკური ეკონომიისა და სტატისტიკის სწავლება.

ამავე ფონდში ივ. ჯავახიშვილის მოხსენებასთან ერთად წარმოდგენილია პედაგოგიური ფაკულტეტის სასწავლო გეგმა. შესაძლოა ეს ნაწილიც ივ. ჯავახიშვილის მიერ

იყო წარმოდგენილი, იმისთვის რომ განათლების კომისარიატისთვის ეჩვენებინა უნივერსიტეტის მიერ შედგენილი და დამტკიცებული სასწავლო გეგმის უპირატესობა და მართებულობა:

"სახელმწიფო უნივერსიტეტის საპედაგოგო ფაკულტეტი მიზნად ისახავს შესაფერ მენიერთა კადრებისა და განათლების სარბიელზე მომუშავეთა თეორეტიულსა და პრაქტიკულ მომზადებას. ფაკულტეტი იყოფა სამ განყოფილებადა: ა/ ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური, ბ/ საისტორიო-სალიტერატურო, გ/ საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ განყოფილებადა. სწავლა ფაკულტეტზე გრძელდება 4 წელს და შეიცავს 8 სემესტრს.

საისტორიო-სალიტერატურო მენიერებათა განყოფილება - ხელოვნების, სიტყვიერებისა და საისტორიო დარგებზე ისწავლებოდა: ძველი ქართული ენა, ახალი ენა (ფრანგული, გერმანული ან ინგლისური), ერთ-ერთი კლასიკური ენა, ერთ-ერთი აღმოსავლური/სომხური, სპარსული, არაბული ან ასურული, ზოგადი ენათმეცნიერება და ზოგადი ფონეტიკა, ქართული პალეოგრაფია, ქართული ენის ისტორია და დიალექტოლოგია.

ქართული ენათმეცნიერების დარგი პირველი წლის განმავლობაში: ფსიქოლოგია, მეთოდები და აპარატები ფსიქოლოგიისა, ფილოსოფიის ისტორია, ქართული ენა: ა/ძველი ქართული, ბ/ საშუალო ქართული, გ/ახალი ქართული, ქართული ენის ისტორია, ახალი ენა /ფრანგ. გერმ. ინგლ/, ზოგადი ფონეტიკა: ა/თეორიული კურსი, ბ/ სემინარიუმი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი სომხური ენა, ახალი სპარსული ენა, პროსემინარი ქართულ ენაში, სემინარიუმი ქართულ ენაში.

მეორე წლის განმავლობაში: მეგრულ-ჭანური, სვანური ენა, აფხაზური ენა, ქართული ენის ფსიქოლოგია, ქართულ-მეგრ. სვან. შედარებითი ენათმეცნიერება, არაბული ენა, თურქული ენა, ბერძნული ენა, პალეოგრაფია, სპეციალური კურსი, ექსპერიმენტული ფონეტიკა.

ინდოევროპული ენათმეცნიერება პირველი წლის განმავლობაში: ფსიქოლოგია, მეთოდები და აპარატები ფსიქოლოგია, ფილოსოფიის ისტორია, ქართული ენა /ძველი/, ქართული ენის ისტორია, ახალი ენა /ფრანგ. გერმ. ინგლ./, ზოგადი ფონეტიკა: ა/ თეორიული კურსი, ბ/ სემინარიუმი, ზოგადი ენათმეცნიერება: ა/ თეორიული კურსი, ბ/ სემინარიუმი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი სომხური ენა, ახალი სპარსული ენა, ბერძნული ენა, ლათინური ენა;

ინდოევროპული ენათმეცნიერება მეორე წელს: არაბული ენა, თურქული ენა, ინდოევროპული შედარებითი ენათმეცნიერება: ა/თეორიული კურსი, ბ/ სემინარიუმი, ირანული ენათმეცნიერება: ა/თეორიული კურსი, ბ/ სემინარიუმი, ინდოევროპული ენათმეცნიერების ისტორია, ექსპერიმენტალური ფონეტიკა, სპეც. კურსი /ორი/, პედაგოგიკის ისტორია, პედაგოგიური ფსიქოლოგია/ პრაქტ. საცდ. სკოლაში/.

ფსიქოლოგიურ პედაგოგიურ განყოფილებაზე ისწავლება: ერთ-ერთი ახალი ენა. პოლიტეხნიკური ფაკულტეტის მექანიკურ განყოფილებაზე, საადმშენებლო განყოფილებაზე და სამთო-ქიმიანზე: 1 და მე-2 წელს ისწავლება გერმანული ენა - 4 - 4 საათი" (სეა, უიცა, ფ. 471, ა. 1, ს. 27).

1922 წლის სასწავლო გეგმებში ენების რამდენიმე კლასიფიკაცია იყო მოცემული: ძველი ენები, ახალი ენები, აღმოსავლური ენები და კლასიკური ენები.

ამრიგად, წარმოდგენილი მასალების მიხედვით პედაგოგიურ ფაკულტეტზე შემდეგი ენები ისწავლებოდა: ქართული ენა (მეგრულ-ჭანური, სვანური), ფრანგული, გერმანული, ინგლისური, ძველი სომხური ენა, ახალი სპარსული ენა, აფხაზური, ოსური, არაბული, თურქული, ლათინური, და ბერძნული - სულ 11 ენა.

როგორც ვხედავთ, ზემოჩამოთვლილ სასწავლო გეგმებში არც ერთ სამეცნიერო განყოფილებაში აღნუსხულ ენებს შორის არ არის დასახელებული რუსული ენა.

ჩვენ მიერ მოძიებული საარქივო მასალების შეჯამებით ირკვევა, რომ 1918-1922

წლებში:

1. ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი პროფ. ივ. ჯავახიშვილი თავის მოხსენებებსა და ანგარიშებში მაქსიმალურად ცდილობდა დაემტკიცებინა ქართული ენის, დასავლური ენებისა და მეზობელი სახელმწიფოების ენის, ისტორიისა და კულტურის სწავლების საჭიროება;

2. 1919-1922 წლების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო გეგმებში ძველი რუსული ენა, როგორც სასწავლო საგანი, 1919 წელს მხოლოდ საისტორიო განყოფილებაზე ისწავლებოდა;

3. ივ. ჯავახიშვილის მიზანი იყო, რაც შეიძლება ნაკლები რუსი ეროვნების პროფესორი ჰყოლოდათ ქართულ უნივერსიტეტში და მათ ნაცვლად ქართველი და ევროპელი მეცნიერები გასდლოდნენ სალექციო კურსებს;

4. ივ. ჯავახიშვილი ცდილობდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდი ევროპის ქვეყნებიდან გამოწერილი წიგნებით შეევსო;

5. საპროფესოროდ მოსამზადებელ კადრებსაც კვალიფიკაციის ასამაღლებლად ძირითადად ევროპის ქვეყნებში გზავნიდნენ.

მაშასადამე, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას შემდეგი: ზემოაღნიშნულ სასწავლო გეგმებში დასახელებული 15-მდე ენის თბილისის უნივერსიტეტში სწავლება მიუთითებს, რომ უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელებს, მათ შორის, განსაკუთრებით ივ. ჯავახიშვილს ჰქონდა სწორი სახელმწიფოებრივი სტრატეგია, რომლის მიხედვითაც ქართველ სტუდენტებს შეეძლოთ დაუფლებოდნენ მეზობელი თუ მონათესავე ერების ენებს (კულტურას, ისტორიას...) კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობების შესანარჩუნებლად და განსავითარებლად.

გამოყენებული წყაროები:

1. სეა, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 471 ა. 1, ს. 8.
2. სეა, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 471, ა. 1, ს. 25.
3. სეა, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 471, ა. 1, ს. 27.
4. სეა, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 471, ა. 1, ს. 81.
5. სეა, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 471, ა. 1, ს. 120.

Sopiko Tchaava, Sokhumi State University

IVANE JAVAKHISHVILI LANGUAGE STRATEGY IN TIFLISI STATE UNIVERSITY (According to the Archival Materials (1918-1922))

Summary

In the following article with the various archival materials will be shown two interesting and important documents, which are kept in Georgian National Archive in the fund of Tbilisi State University:

1. "Tiflisi State University materials in 1918-1920, made by Ivane Javakhishvili".

2. "To the officer of Georgia Public Education. By Ivane Javakhishvili – Tbilisi State University Rector" (1919-1922).

In the first document there is given 1918-1920 years account, made by Ivane Javakhishvili. According to it:

1. Most of the professors were Georgian;
2. The small part of the professors were Russian who had to study Georgian language in three years, otherwise they would lose the job. They had Georgian Assistants because the lessons were in Georgian Language;
3. Armenian professors read the lectures in Georgian Language;
4. The leaders of the university tried to invite professors from European countries (especially from Germany). Ivane Javakhishvili hoped that among them there would be more professors who would study Georgian Language;
5. Professors were sent to Europe to make their knowledge deeper;
6. According to the teaching plan about fifteen languages were taught. Old Russian Language was taught only on the history department;
7. The books needed for the university library were subscribed from the European Countries.

In the second document Iv. Javakhishvili completely discusses the main language politics of Georgian University, which must be shown in teaching plans and disciplines. The scientist was against of taking methods and directions from Russian University. He demanded to be taught the neighbor countries' language, history, literature and culture, which was really right state position for the welfare of our country.

თინათინ ჯაბადარი, ეროვნული არქივი

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ და მისი რედაქტორი

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული პრესა, ქართული გამომცემლობა უშუალო კავშირშია ალექსანდრე ჯაბადარის სახელთან. როგორც ზაქარია ჭიჭინაძე წერდა მოგონებებში, მას სამაგალითო და სხვადასხვა ღირსეული ცნობებით სავსე ბიოგრაფია აქვს.

ჩემი მიზანია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მისი ფონდის, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულ ფონდებისა და მის მოგონებებზე დაყრდნობით ნათელი მოგვინო ამ დიდი მამულიშვილის უამრავ სასიკეთო საქმეს.

საგარეჯოს ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მეტრიკული ჩანაწერი გვამცნობს, რომ 1862 წელს კეთილშობილი აზნაურების - გიორგი და ნინო ჯაბადარების - ოჯახში ვაჟი დაიბადა, სახელად ალექსანდრე (სეა, სცა, ფ. 489, ან.6. საქ. N1550, აქტი N 19). მის ბავშვობაზე არაფერია ცნობილი. 1871 წელს ჩაირიცხა თბილისის გიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო პეტროვსკოე-რაზუმოვსკის სამიწათმოქმედო და სატყეო აკადემიაში (დღევანდელი მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია). სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისთვის აკადემიიდან გარიცხეს. მისი ბიოგრაფიული მასალის შემცველი "მემუარებიც" XIX საუკუნის ბოლოდან, კერძოდ, 1881 წლიდან იწყება. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოში დაბრუნდა. როგორც მოგონებებიდან ირკვევა, 1881 წლამდე მისი ბიოგრაფიული ცნობები დაცული იყო დღიურში, რომელიც მის ირგვლივ შექმნილი საშიშროების გამო თვითონვე გაანადგურა. (ჯაბადარი, 1934, *მემუარები*, 1-2, გვ. 259).

საქართველოში დაბრუნებული დაუკავშირდა ლადო აღნიაშვილს, სამსონ ინასარიძეს, ალექსი მირიანაშვილს, ვასო რცხილაძეს და მათთან ერთად 1883 წელს საყმაწვილო ჟურნალი "ნობათი" დააარსა, რომელშიც "ანისა" და "განის" ფსევდონიმით წერდა. თუმცა გამომცემლობაში მცირე უთანხმოების შედეგად ჟურნალი ფინანსური დახმარების გარეშე დარჩა, რის გამოც მალე დაიხურა. ამ მცირეხნიანმა სამუშაომ საკმაო გამოცდილება შესძინა. მოგვიანებით "განის" ფსევდონიმით გაზეთ "ივერიაშიც" თანამშრომლობდა.

1890 წელს გიგო ჩარკვიანთან, ლადო აღნიაშვილთან, ვასო რცხილაძესთან, ზაქარია ჭიჭინაძესთან და ანდრო ღულაძესთან ერთად დააარსა "ქართველთა წიგნების გამოცემის ამხანაგობა", რომლის მიზანი წიგნების გამოცემა და გავრცელება იყო. "ამხანაგობის" წესდება თვითონ ალ. ჯაბადარმა შეიმუშავა. პირველი თორმეტი წევრის გაერთიანების შემდეგ (მათი პირველი შესატანი 10 მანეთს შეადგენდა) ამხანაგობა მუშაობას შეუდგა. "ამხანაგობა" სულ მალე გაფართოვდა და გარს შემოიკრიბა ქართველი ინტელიგენცია, იმ ახალგაზრდების დიდი ნაწილი, რომლებიც თბილისში, ლორის მელიქოვის ქუჩაზე, გრ. ჩარკვიანის პატარა წიგნების მაღაზიაში იკრიბებოდნენ. როგორც ალ. ჯაბადარი იხსენებს, ეს მაღაზია იყო "ქართული კლუბი", რომელსაც მაშინდელი ინტელიგენციისთვის დიდი სარგებლობა მოჰქონდა, თუმცა მაღაზია წიგნის ვაჭრობის სიმცირით გამოირჩეოდა. ალ. ჯაბადარის შეთავაზების შემდეგ გრ. ჩარკვიანის მაღაზია ქართულ ამხანაგობაში გაერთიანდა.

სამი წლის შემდეგ მათ შეუერთდა იაკობ მანსვეტაშვილი თავისი სტამბით. ამხანაგობის წევრთა შორის შეიქმნა აუცილებლობა, რომ ამხანაგობის საქმეები ერთ ადამიანს ემართა, ამიტომ მათ შორის ახალი ხელშეკრულება დაიდო. ამან გაამტკიცა მათი ურთიერთობა და ივანე მაჩაბელმა, დავით ავალიშვილმა, ალექსანდრე ჭყონიამ, სამსონ ინასარიძემ და ნიკო ზედგენიძემ ამხანაგობის თავად ალ. ჯაბადარი აირჩიეს. იურიდიულად გამაგრებულმა

ამხანაგობამ თამამად დაიწყო ქართველ მწერალთა საუკეთესო თხზულებების გამოცემა. პირველი გამოცემა იოსებ დავითაშვილის ცნობილი ლექსის - "იზარდე მწვანე ჯეჯილოს" - ავტორის ლექსების სრული კრებული იყო. მალევე დაიბეჭდა ა. ყაზბეგის ნაწარმოებების ოთხტომეული, მიუხედავად იმისა, რომ ა. ყაზბეგის შემოქმედებაზე გამომცემელს თავისი მოსაზრება ჰქონდა. ... ყაზბეგის ნაწარმოებთა პირველი ტომები უბიოგრაფიოდ გამოიცა. ყაზბეგის გარდაცვალების შემდეგ ამხანაგობამ მოახერხა მისი ნაწარმოების ერთ წიგნად გამოცემა და ჟურნალ "მომამის" და "ცნობის ფურცლის" ხელმომწერებს უფასოდ დაურიგა... მალე დაიბეჭდა რაფიელ ერისთავის პოეზია, აკაკი წერეთლის ორტომეული, ილია ჭავჭავაძის ოთხტომეული... ამხანაგობის სარედაქციო კომისიას ჩამოშორდა ლადო აღნიაშვილი, რომელმაც ჩამოაყალიბა ქართული "ხორო" - ქართველ მომღერალთა გუნდი, რომლის პირველი კონცერტი 1886 წელს გაიმართა.

ამხანაგობის მიზანი გაცილებით უფრო დიდი იყო, ვიდრე უბრალოდ წიგნების გამოცემა. თავიანთი მისწრაფებების გადმოსაცემად, საზოგადოებასთან უფრო მეტად დასაახლოებლად ცენზურის პირობებში საჭირო იყო პერიოდული გამოცემა, "ჩემი გეგმა უფრო ფართე იყო, ვიდრე წიგნების ბეჭვდა, საჭირო იყო პერიოდული გამოცემის დაარსება და ამის გარშემო ლიტერატურული ძალების შემოკრება. ... პერიოდული გამოცემა გვინდოდა ჩვენი მისწრაფებების გამოსახატავად" (ჯაბადარი (1934). მემუარები. მნათობი. 1-2, გვ.276). ახალი გაზეთის გამოცემას პეტერბურგში არ დასთახმდნენ. ჯაბადარმა მოლაპარაკებები აწარმოვა ილია ჭავჭავაძესთან გაზეთ "ივერიის" გადმოსაცემად. ცნობილი იყო, რომ ილია იმ ხანებში გაზეთისთვის ვეღარ იცლიდა, თუმცა გაზეთის ხარჯებს მაინც ფარავდა. 1893 წელს ამხანაგობამ ნებართვა მიიღო ჟურნალ "მომამის" გამოცემაზე და 1894 წლის იანვარში გამოსული ჟურნალის პირველი ნომერი, 800 ცალი, მკითხველს საჩუქრად დაურიგდა. ჟურნალზე მოთხოვნა იმდენად დიდი იყო, რომ თებერვალში იგივე ნომერი მეორედ დაიბეჭდა: "თითქმის რვა წელს იბეჭდებოდა და უნდა ითქვას, რომ ჟურნალი ისე კარგად და შინაარსიანად გამოდიოდა, რასაც ღირსებით სხვები სულ ვერ შეედრებიან, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალის გამოცემას ხელს უწყობდა საკუთარი სტამბის არსებობა" (ჭიჭინაძე, 1916, გვ. 232).

ა. ჯაბადარი გაზეთის გამოსაცემად და სტამბის გასაფართოებლად მუშაობას აქტიურად განაგრძობდა. 1895 წლიდან ამიერკავკასიის რკინიგზის გზათა სამმართველომ ვაჭრობა გამოაცხადა სასტამბო საქმეების გადასაცემად. ჯაბადარი წერდა, ვერც ერთმა სტამბამ ვერ გაბედა საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება. "ქართულმა ამხანაგობამ" მონაწილეობა მიიღო... დიდი და დაულალავი "ბრძოლის" შემდეგ სტამბა "ქართველთა ამხანაგობას" გადაეცა. 1901 წლის 2 იანვრიდან "ქართველთა ამხანაგობამ" სტამბაში 9-საათიანი სამუშაო დღე შემოიღო, რაც მალე მთელ ამიერკავკასიის სტამბებსა და ლითო(ნო)გრაფიაში დამკვიდრდა. სტამბა სამ ცვლად 24 საათი მუშაობდა: "ბევრი ბრძოლის შემდეგ... მივალწიე იმას, რაც განზრახული გეგმის განხორციელებისთვის აუცილებლად და საჭიროდ მიმაჩნდა... მიუხედავად იმისა, რომ დიდი სტამბის მოსაწყობად საჭირო იყო ნაღდი ფული ასი ათას მანეთზე მეტი, ჩვენს სალაროში კი არ მოიპოვებოდა ათას ხუთას მანეთზე მეტი, მაინც მოვახერხე, მთელს კავკასიაში სამაგალითო დიდი სტამბის მოწყობა ელექტროძალის გამოყენებით, რაც სიახლე იყო არამც თუ კავკასიაში, არამედ რუსეთის უმეტეს ნაწილშიც"... (ჯაბადარი (1934). მემუარები. მნათობი. 3, გვ.141). 1901 წელს, მუშაობის დაწყებისთანავე, ამიერკავკასიის რკინიგზის მმართველობამ განსაკუთრებული კომისია გააგზავნა სტამბის მუშაობის შესამოწმებლად, გადაწყვეტილი იყო, თუ სტამბა არ იქნებოდა სათანადოდ მოწყობილი, სამუშაო ისევ რკინიგზის სამმართველოს გადაეცემოდა... მაგრამ მათი მოლოდინი არ გამართლდა.

1900 წელს ახალგაზრდების ჯგუფმა, რომელთა შორის ალ. ჯაბადარიც იყო, ჩამოაყალიბა ახალი სოციალ-ფედერალისტთა პარტია. ახლად დაარსებული პარტიისთვის აუცილებელი იყო ახალი ლეგალური გაზეთი. 1900 წლამდე თბილისში გამოდიოდა გაზეთი "ცნობის ფურცელი", რომლის რედაქტორ-გამომცემელი ვალერიან გუნია იყო. გამოცემა დროებით იყო შეჩერებული. გაზეთში იბეჭდებოდა ძირითადად დეპეშები, ადგილობრივი ახალი ამბები და განცხადებები, რაც მოსახლეობისთვის ნაკლებად საინტერესო იყო. მოლაპარაკების საფუძველზე ალ. ჯაბადარმა მოახერხა ნოტარიული წესით 300 მანეთად გამომცემლობის შესყიდვა. გაზეთის რედაქტორად გარკვეული დროით ალ. ჭყონია დამტკიცდა. რამდენიმე თვის შემდეგ გიორგი ლასხიშვილის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა გაზეთის რედაქციის ახალი კოლეგია, რომელშიც მუშაობდნენ ნიკო მთვარელაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, იოსებ ბაქრაძე, სამსონ ინასარიძე და ივანე მაჭავარიანი. 1901 წლიდან გაზეთის რედაქციას და გამოცემას თვითონ ალ. ჯაბადარი ჩაუდგა სათავეში. მისი რედაქტორობის დროს, 1904-1905 წლებში, გაზეთის ტირაჟმა 13000-ს მიაღწია, ეს იყო რეკორდული მაჩვენებელი, რადგან საქართველოში პერიოდულ გამოცემათა რაოდენობა 1900-ს არ აღემატებოდა. გაზეთის წარმატება საზღვარგარეთის გაზეთებისა და სააგენტოების კავშირზე იყო დამოკიდებული. გაზეთი ინფორმაციას იღებდა "ბირჟევეია ვედომოსტიდან", ვენინგ ცაიტუნგიდან", "ბერლინ ცაგე ბლანტიდან", "დეილი ექსპრესიდან", "დეილი ქრონიკალიდან", "დეილი მეილიდან", "ტაიმსიდან", "მორნინგ პოსტიდან", "რუსკი ინვალდიდან", "ფორვერტიდან", "რუსკაია ვედომოსტიდან", "კელნიშე ცაიტუნგიდან", "ჰავასისა" და სხვა გაზეთებიდან (*"ცნობის ფურცელი"*, 1904, N 2433).

ალ. ჯაბადარსა და მის გაზეთს დიდ შეფასებას აძლევდნენ მისი თანამედროვენი. ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: "საქართველოში მან შემოიღო პირველი ცინკოგრაფია....და ისე გაამდიდრა სასტამბო იარაღებით, რაც აუცილებელად საჭიროა ყველა სტამბაში და რითაც ეს სტამბა ტფილისში გახდა პირველი ხარისხის სტამბათ... სტამბა კარგად ეხმარებოდა, როგორც "მოამბის" საქმეს, ისევე გაზეთ "ცნობის ფურცლის" გამოცემას, "ქართველთა წიგნის ამხანაგობის" გამოცემას ხომ ძიძათ და იარაღათ მოევლინა და ამ საქმის საშუალებით გაბრწყინდა კარგი ქართული წიგნების გამოცემა და მასთან ვრცელი წიგნების ტომებიც. ასეთის საქმეებით ალ. ჯაბადარმა ისეთი დავალება დასდო, ისეთი ამაგი გაუწია ქართველ ერს, რასაც ფასად არა აქვს, იგი ფასდაუდებელია... ამ ამხანაგობამ, მისმა სტამბამ და ალ. ჯაბადარმა შექმნა თითქმის ქართული ახალი ხორც-შესხმული წიგნების მწერლობა" (ჭიჭინაძე, გვ. 233-234).

გაზეთის ყოფილი რედაქტორი ვალერიან გუნია წლების შემდეგ იგონებდა: "რაც გაზეთ ცნობის ფურცელს" სათავეში ჩაუდგა ალექსანდრე ჯაბადარი, მისი ტირაჟი საგრძნობლად გაიზარდა და ეს იმისთვის, რომ როგორც რედაქტორი და გამომცემელი ძალიან კარგია. მე შეიძლება არტისტათაც არ ვარგავარ, მაგრამ, როგორც რედაქტორი, სულ არაფრად არ ვვარგოდი. ალექსანდრე ჯაბადარის სახით "ცნობის ფურცელმა" საუკეთესო რედაქტორი და გამომცემელი გამოჩაჩა"... (სეა, უიკა, ფ. 2417, ან.1, საქ. 275).

გაზეთი დიდი ფორმატის ქაღალდის ოთხ გვერდზე იბეჭდებოდა. პირველ გვერდზე ქვეყნდება ახალ ინფორმაცია გაზეთში ცვლილების შესახებ. ამავე გვერდზე თავსდება ინფორმაცია თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქებში მოღვაწე ექიმებისა და მოქმედი სამკურნალო დაწესებულებების შესახებ. გაზეთმა შემოგვინახა ინფორმაცია იმდროინდელი მაღალკვალიფიციური ექიმების შესახებ. ირკვევა, რომ ქალაქ თბილისში მოქმედებდა გედევანიშვილის მრავალპროფილიანი კერძო სამკურნალო დაწესებულება, რომელიც ავადმყოფებს ყოველდღე იღებდა. დილით: ექიმი გედევანიშვილი შინაგან სნეულებებს და ნერვების აშლილობას ელექტრონით კურნავდა; ექიმი ქამოევი - საშარდე, ქირურგიულ და ვენერიულ დაავადებებს; ექიმი მაღალაშვილი - ბავშვებსა და შინაგან სნეულებებს; ექიმი ვ.

დამბაშიძე - ბავშვებსა და შინაგან სნეულებებს; ექიმი მულინი - ყურისა და ყელის დაავადებებს; ექიმი სობოლევსკი ქირურგიასა და ორთოპედიას ემსახურებოდა; ექიმი მანსვეტოვი შინაგან სნეულებებს, ნერვებს და ბავშვების დაავადებებს; ექიმი იოსელიანი - ქალის და საბებიო საქმეს; ექიმი მონინი - ქალის, საბებიო საქმეს, ბავშვთა დაავადებებსა და მათი აღზრდის საქმეს; ექიმები - ჭიჭინაძე და ტყემელაშვილი - კბილის დაავადებებს. სამკურნალო განთავსებული იყო კუკიაზე, მისამართი დაკონკრეტებული იყო: ველიკო კნიაჟენსკის ქუჩაზე (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, N9 მიხეილის ქუჩიდან 34^ბ. ცალკე იყო განცხადებები ექიმთა კერძო მიღებაზე. გედევანიშვილის სამკურნალო ცნობილი იყო ასევე მასაჟის კურსებით, იქვე ასწავლიდნენ მასაჟსა და „გიმნასტიკას“, კურსს უძღვებოდა ექიმი მაღალაშვილი, ფიზიოლოგიას - ექიმი ფიოდოროვი. კურსების ფასი იყო 30 მანეთი იყო (*„ცნობის ფურცელი“*, 1903, N 2041).

1902 წლიდან გაზეთში გამოქვეყნდა განცხადება, რომელიც იტყობინებოდა, რომ ბავშვთა ცნობილი ექიმი ვახტანგ დამბაშიძე ავადმყოფებს სეზონურად ქ. ბორჯომში იღებდა, გოფმეისტერის ქუჩაზე, გინცენბერგის სახლში (*„ცნობის ფურცელი“*, 1902, N1807), ხოლო 1904 წლის ზაფხულის რამდენიმე ნომერში გაჩნდა განცხადება ექიმ ვახტანგ დამბაშიძის მიერ ცემში დაარსებული სამკურნალო დაწესებულების შესახებ: "პატარა ცემის საზაფხულო სამყოფი" - მოზარდ ქალ-ვაჟთათვის, მიიღებოდნენ: ორივე სქესის წარმომადგენლები: 8-16 წლამდე. სისხლნაკლულები, დასუსტებულები, მოქანცულები, მადადაკარგულები, ჭაობის ციებით შეპყრობილები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროებათ მოღონიერება, წამლობა - მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, ნოყიერი საზრდო, ვარჯიში, წყლით ექიმობა". განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნული იყო, რომ სამკურნალო დაწესებულებაში არ მიიღებოდნენ: მწოლიარე, გადამდები სენითა და ფილტვების ჭლექით დაავადებულები (*„ცნობის ფურცელი“*, 1904, N2527), თუმცა ვ. დამბაშიძის ზოგიერთი ბიოგრაფი ამ ფაქტზე აღნიშნავდა, რომ პატარა ცემის სამკურნალო დაწესებულებაში ექიმი დამბაშიძე მხოლოდ ჭლექით დაავადებულ ახალგაზრდებს კურნავდა.

1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომის დროს გაზეთმა თავისი მრავალფეროვანი ინფორმაციით საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია. რუსული და უცხოეთის სააგენტოებიდან მიღებული ცნობები ისე კარგად და ტენდენციურად(?) იყო ამოკრებილი, რომ ომის მიმდინარეობის ერთგვარ სურათს ხატავდა. ამ განყოფილებას სათავეში ედგა შაქრო ბილანიშვილი. უნდა აღინიშნოს, რომ „ცნობის ფურცლის“ განკარგულებაში იყო იმ დროს პეტერბურგში დაარსებული ჩრდილოეთის ტელეგრაფის სააგენტო, რომლის აგენტი თბილისში ლ. ლულაძე იყო. ასეთი საშუალებით რუსეთიდან ზოგიერთი ცნობა უფრო ადრე მოდიოდა, ვიდრე სამხედრო შტაბში. ოფიციალური ინფორმაციის პარალელურად საინტერესო სტატიები იბეჭდებოდა იაპონიასა და იაპონელებზე, მათი ყოფა-ცხოვრების, რელიგიისა და მათი წარსულის შესახებ. 1904 წლის გაზეთის (N2400) ექვსგვერდიანი ნომერი თითქმის მთლიანად ომის თემას შეეხო. ომში გაიწვიეს ქართველი ახალგაზრდებიც, მათ გაცილებას თურმე თბილისის ქალაქის საბჭომ სპეციალური კრება მიუძღვნა. ქალაქის მოურავმა ყველას ამცნო შეკრების მიზანი. ციმბირში მიმავალი ჯარი ქალაქის სახელით წმინდა გიორგის ხატით დაულოცავთ და სახსოვრად ოთხი აზარფეშა გადაუციათ. შეკრების დაწყებამდე გადაუხდიათ პარაკლისი, რომელსაც გამგეობაში მყოფი ყველა მოსამსახურე დასწრებია. პარაკლისის შემდეგ არქიელის გუნდს რუსეთის ჰიმნი შეუსრულებია. ქალაქის საბჭოს კი ომში დახოცილთა და დაჭრილთა დასახმარებლად 15000 მანეთი გამოუყვია, ხოლო მათი გზის დასალოცად - 1000 მანეთი. ქალაქის გამგეობის ნებართვით ომში დაზარალებულთათვის შეწევნაზე ხელმოწერებიც შეგროვებულა (*„ცნობის ფურცელი“*, 1904, N 2400).

გაზეთის პირველი გვერდზე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა სამგლოვიარო განცხადებებს, გაზეთი გამოეხმაურა ცნობილი ქართველი დრამატურგისა და მსახიობის, რედაქციის თანამშრომლის, ავქსენტი ცაგარელის, გარდაცვალებას. ამ ფაქტის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებას, ოჯახის ახლობლების გარდა, გაზეთმაც აუწყა. "ცნობის ფურცლმა" ამცნო საზოგადოებას ესტატე და ნიკოლოზ ზუბალაშვილების, ილია ხირსელის, პეტრე უმიკაშვილის, კონსტანტინე დადემქელიანისა და სხვათა გარდაცვალება. გაზეთის საშუალებით ხდებოდა გარდაცვლილთა წლისთავისა და მეორმოცე დღის აღნიშვნის უწყება.

გაზეთის პირველ გვერდზე ქვეყნდებოდა თბილისის თეატრების აფიშები, ასევე პერიოდულად - თეატრის საკონკურსო განცხადებები; ასე მაგალითად, 1905 წლის აგვისტოს ერთ-ერთ ნომერში საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო პიესისთვის, დაწესდა ორი პრემია 200 და 100 მანეთის ოდენობით. გამარჯვებული პიესის ავტორს 2 წლის განმავლობაში ჰონორარის სახით ეძლეოდა თითოეული წარმოდგენის შემოსავლის 5 პროცენტი (*"ცნობის ფურცელი"*, 1905, N2880).

მეორე გვერდზე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ფელეტონებს - საკმაოდ დიდი ზომის საინტერესო სტატიებს საქართველოსა და მსოფლიოს მნიშვნელოვან აქტუალურ თემებზე, მსოფლიოს სხვადასხვა ერის ცხოვრებაზე. ამ სტატიებში ხშირად მიმოიხილავდნენ ქართულ კულტურას, ასევე ქართველი ინტელიგენციის ცხოვრებას. ფელეტონების უმრავლესობა ფსევდონიმით ქვეყნდებოდა, ზოგიერთს კი ხელს აწერდნენ საზოგადო მოღვაწეები და მწერლები: ფ. გოგიჩაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, ე. კარბელაშვილი, შ. ჩიტძე ვ. წერეთელი, ალ. ლომთათიძე, გრ. რობაქიძე, ა. ჯორჯაძე და სხვანი.

სეზონურად გაზეთი ხელმომწერთა საყურადღებოდ აქვეყნებდა განცხადებას გაზეთისა და მისი სურათებიანი დამატების, ჟურნალ "მოამბის" და ქართველთა ამხანაგობის მიერ გამოცემული სიახლეების შესახებ.

მეორე გვერდზე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა ქალაქ ქუთაისისა და საქართველოს სხვა დიდი ქალაქების ახალ ამბებს, აგრეთვე საქართველოს რეგიონებიდან შემოსულ ინფორმაციას. თითქმის ყველა ნომერში ქვეყნდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის, სოფლის თუ ქალაქის მოკლე ისტორიები და ხალხში გავრცელებული ლეგენდები.

გაზეთის მესამე გვერდზე ქვეყნდებოდა "რუსული ქრონიკა" - რუსეთიდან შემოსული ამბები. ბოლო, მეოთხე, გვერდზე მოთავსებული იყო საინფორმაციო რუბრიკა "გამოსადეგი ცნობები", რომელიც საზოგადოებას აწვდიდა ინფორმაციას საქართველოს რკინიგზის მატარებლების მოძრაობაზე (განრიგზე). ამავე გვერდზე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა რუბრიკას, ღამით შემოსულ ინფორმაციას - ღამის დეპეშებს, ინფორმაციას "პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოდან", პეტერბურგის ბირჟის მონაცემების შესახებ, ასევე მთელი მსოფლიოს ცხელ - ცხელ ამბებს. იქვე ქვეყნდებოდა განცხადებები, რეკლამები, სხვადასხვა სასწავლო კურსების, ახალი სავაჭროების, ახლად გახსნილ სახალხო ბიბლიოთეკების, კერძო სასწავლებლების და სხვათა შესახებ.

ალ. ჯაბადარი წ.კ.გ. საზოგადოების წევრი იყო და სხვა მატერიალური დახმარების გარდა, გაზეთის საშუალებითაც მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა მას. გაზეთში ქვეყნდებოდა ინფორმაცია საზოგადოების შიგნით მომხდარ ცვლილებებზე, გაზეთის პირველ გვერდზე პერიოდულად ჩნდებოდა რუბრიკა: "საზოგადოებისათვის სასარგებლოდ", რომელიც ამცნობდა მოსახლეობას საქართველოს დიდ ქალაქებში: თბილისში, გორში, ქუთაისში მოსალოდნელი სეირნობებისა და ბაზრობების შესახებ, ამათგან მიღებული შემოსავალი კი ქმწკგ საზოგადოებას გადაეცემოდა. პერიოდულად ქვეყნდებოდა საზოგადოების წევრთა სიები მათ მიერ საზოგადოებისთვის გაწეული მატერიალური

დახმარების შესახებ. გაზეთის რედაქციამ საზოგადოების დაარსებიდან 25-ე წლისთავს ვრცელი ფელეტონი-სტატია მიუძღვნა, ხოლო სურათებიანი დამატებით საზოგადოებას გააცნო ქმწკგ საზოგადოების დამაარსებელთა ფოტოები.

"ცნობის ფურცლის" სტატიების უმრავლესობა ქვეყნდებოდა ფსევდონიმებით: "ცივის კალთელი", "ერთი დამსწრე", "მგზავრი", "გორელი", "კალამი", "ტელეფონი", "მიხაკო აქაური", "ქართველი ოსებში", "სიტყვა", "გორელი", "იქაური", "მამო", "ბაგე" და სხვა.

1901-1906 წლებში გაზეთ "ცნობის ფურცლის" პარალელურად გამოდიოდა მისი სურათებიანი დამატება. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გააძლიერა საზოგადოების ინტერესი: გაზეთი - ყოველდღიურად, მისი სურათებიანი დამატება კი კვირაში ორჯერ გამოდიოდა. საზოგადოებისთვის გაზეთის ფასი მისაღები იყო: მთელი წლის განმავლობაში ორივე გაზეთის ღირებულება საქართველოში, რუსეთსა და კავკასიაში შეადგენდა 6 მანეთს, საზღვარგარეთ ერთი წლით 9 მანეთს. რედაქცია შეღავათს უკეთებდა ჟურნალ "მოამბის" მთელი წლით გამომწერთ: გაზეთი "ცნობის ფურცელი" და მისი სურათებიანი დამატება ქალაქში უფასოდ ეგზავნებოდათ, ხოლო ფოსტის მოხმარების შემთხვევაში 1 მანეთი უნდა გადაეხადათ.

"ცნობის ფურცლის" სურათებიანი დამატება ცინკოგრაფიული წესით დაბეჭდილი პირველი ქართული გაზეთი იყო. მასში ასახული სურათები, ნახატები, კარიკატურები გამოხმაურება იყო ყველა იმ ფაქტსა და მოვლენაზე, რომელთა შესახებაც "ცნობის ფურცელი" ამცნობდა საზოგადოებას. სურათებიანი დამატების კარიკატურები და სურათები მრავალფეროვანი შინაარსის იყო. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომის დროს გაზეთში დაბეჭდილი სტატიების პარალელურად ქვეყნდებოდა ბრძოლის ამსახველი სურათები, დაღუპული და დაჭრილი მეომრების სურათები. გაზეთი, რა თქმა უნდა, ეხმაურებოდა საქართველოში მომხდარ მოვლენებს, ის ქართველ ხალხთან ერთად „ცხოვრობდა“: გაზეთში ქვეყნდებოდა ქრისტიანული დღესასწაულების, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების, ქართველი ხალხის ცხოვრების ამსახველი სურათები.

ცნობილი ფაქტია, რომ გაზეთის სურათებიანმა დამატებამ საფუძველი ჩაუყარა საგაზეთო გრაფიკის განვითარებას. სურათებიან დამატებაში გამოქვეყნებულმა კარიკატურებმა მალე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. 1901 წლიდან გაზეთში მოღვაწეობდა ცნობილი კარიკატურისტი ოსკარ შმერლინგი. მისი ნამუშევრები ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავდა. ამ ნახატებში აისახა ქართველი არისტოკრატისა და უბრალო ხალხის ცხოვრება, ქართული თეატრის მოღვაწეობა და სხვა საყოფაცხოვრებო ამბები. მისი ნახატები ალეგორიული ხასიათის იყო, თუმცა ადვილად გასაგები. მოგვიანებით გაზეთის სურათებიან დამატებაში ქვეყნდებოდა ცნობილი მხატვრების - ჰენრიხ ჰრინევსკის, იოზეფ როტტერის - საყოფაცხოვრებო ხასიათის ნახატები. გაზეთში ერთხანს მუშაობდა მხატვარი ალექსანდრე ბერიძე, რომელმაც პირველად სურათებიან დამატებაში გამოაქვეყნა შესანიშნავი პორტრეტები - სხვადასხვა კუთხის ქართველთა ტიპები. "ცნობის ფურცელში" მოღვაწეობდა ასევე ცნობილი ქართველი გრაფიკოსი ანტონ გოგიაშვილი. მის მიერ ფანქრით, ტუშითა და ნახშირით შესრულებული ნახატები, რომლებიც 1901 წლიდან იბეჭდებოდა, გამოქვეყნებისთანავე იპყრობდა საზოგადოების ყურადღებას. მისი პირველი შემფასებელი გაზეთ "ცნობის ფურცლის" მკითხველი იყო. ცნობილია, რომ გაზეთის რედაქტორის, ალ. ჯაბადარის, დავალებით ა. გოგიაშვილმა იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მან მოიარა გურია, სამეგრელო, აჭარა, ქართლ-კახეთი, შეისწავლა ადგილობრივ მკვიდრთა ყოფა-ცხოვრება და ყველაფერი თავის ნამუშევრებში ასახა. მხატვარი 1905-1906 წლებში ქართლსა და დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, გურიაში განვითარებული მოვლენების მომსწრეც იყო. ამ ნახატებში ნათლად იგრძნობა მომხდარი მოვლენების მიმართ მხატვრის დემოკრატიული განწყობა.

სურათებიან დამატებაში იბეჭდებოდა როგორც ქართველი მწერლებისა და პოეტების: ალ. ჭყონიას, დუტუ მეგრელის, შალვა დადიანის, ნინო ნაკაშიძის, ბაჩანას, შ. არაგვისპირელის, ი. ევდომვილის, ი. ხირსელის, ასევე უცხოელი ავტორების: ლ. ანდრეევის, მ. გორკის, ა. ჩეხოვის გი დე მოპასანის, ტერირის, ვერგასის მოთხრობები და ნოველები.

გაზეთის შემოქმედებითი ჯგუფი რედაქტორის ხელმძღვანელობით ყოველთვის გამოხატავდა თავის აზრს ქვეყანაში არსებული ცვლილებების შესახებ. თედო სახოკია იხსენბდა: "1905 წლის რევოლუციაში ალ. ჯაბადარი პირადად, გამოჩენით მონაწილეობას არ ღებულობდა, მაგრამ მთელი მისი სახლი, სტამბა, რედაქცია თვითმპყრობელობასთან მეზრძოლთა განკარგულებაში იყო" (სახოკია, 1969, გვ. 178). 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომმა, რუსეთის ჯარების დამარცხებამ და ამ ამბებით გამოწვეულმა კრიზისმა როგორც რუსეთში, ისე საქართველოში მოსახლეობის დიდი აღელვება გამოიწვია. ეს განსაკუთრებით შეინიშნებოდა დასავლეთ საქართველოში, რადგან სოციალ-დემოკრატიული პარტია იქ კარგად მუშაობდა. მასთან ბრძოლაში ადგილობრივი ადმინისტრაცია უძლური აღმოჩნდა. რევოლუციური მოძრაობა ქართლშიც დაიწყო, თუმცა იქ გამოსვლებს უფრო აგრარული ხასიათი ჰქონდა. დასავლეთ საქართველოში კი იმდენად საშიში მდგომარეობა შეიქნა, რომ რუსეთიდან ნოემბრის ბოლოს დამსჯელი ექსპედიცია გამოაგზავნეს.

ალ. ჯაბადარი იხსენებს, 1905 წლის დეკემბერში მთავრობამ გამოაცხადა, რომ არაფერი დაიზოგება, რევოლუცია გაისრისებაო. უკვე 1906 წლის დასაწყისში გურია და მთელი დასავლეთი საქართველო დამსჯელმა ექსპედიციამ ცეცხლის ალში გახვია, ადამიანებს ხოცავდნენ და აწიოკებდნენ, ქალებს აუპატიურებდნენ, არ ინდობდნენ არავის - არც დიდს და არც პატარას. 1906 წლის იანვარში დამსჯელმა რაზმმა აწიოკა სურამი, გადაწვეს სოციალ-დემოკრატიების კლუბი... ჯარი აშკარად თავნებობდა. დამსჯელი ექსპედიცია გაიგზავნა დასავლეთ საქართველოშიც, რომლის უფროსად დაინიშნა გენერალი ალიხანოვ-ავარსკი. ეს ამბავი გაზეთის რედაქციისთვის რამდენიმე დღით ადრე გახდა ცნობილი. ალ. ჯაბადარი თანამოაზრეებთან ერთად ფიქრობდა ხალხის მდგომარეობის მცირედით გამოსწორებაზე. ამ საქმის მოგვარება საკმაოდ რთული იყო... რედაქციის მეგობარი, ილია ნაკაშიძე, იცნობდა მეფის მოადგილეს, კრიმ გირეის. ილია ნაკაშიძისა და გენერალ მალამას დახმარებით ალ. ჯაბადარმა იმ ეტაპზე შეძლო სადამსჯელო ექსპედიციის შეჩერება, თუმცა ამ ფაქტის შემდეგ გაზეთის რედაქცია ჟანდარმერიის მუდმივი შემოწმების საგნად იქცა. გაზეთმა "ცნობის ფურცელმა" ერთგვარი გავლენა მოიპოვა ადმინისტრაციულ წრეებში. სამაგიეროდ მონარქისტები, "истиннорусские люди", რომლებიც იმ დროს თბილისში პარტიას წარმოადგენდნენ, მტრულად განეწყვენენ, რადგან მათში ხედავდნენ ერთგვარ საწინააღმდეგო ძალას. მათ განკარგულებაში იყვნენ ჟანდარმები, ჯარის რამდენიმე ოფიცერი შტაბის უფროსის გენერალ გრიაზნოვის ხელმძღვანელობით. გაზეთის წინააღმდეგ საიდუმლო ბრძოლა ძლიერდებოდა. 1906 წლის მარტის დასაწყისში გურიაში მყოფი ჯარების უფროსმა, პოლკოვნიკმა კრილოვმა, გენერალ-გუბერნატორის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რომ გაზეთ "ცნობის ფურცელში" შეწყვეტილიყო გურულების მხარდამჭერი (ამალეღვებელი) წერილების ბეჭდვა.

გენერალ-გუბერნატორმა გაზეთის დახურვა თავხედურად (ან: მოურიდებლად, ეფექტური სახით) მოინდომა, გაზეთ "კავკაზში" 1906 წლის 18 მარტს გამოქვეყნდა მისი ბრძანება: "ქართულ გაზეთ "ცნობის ფურცელში" არაერთხელ დაბეჭდილა ქუთაისის გუბერნიიდან ისეთი წერილები და კორესპონდეციები, რომლებიც სცდილობს იქ მოქმედი ჯარის უწყსო მოქმედება აღნიშნოს. თუმცა რედაქტორი უკვე გავაფრთხილე, რომ ყურადღებით მოპყრობოდა თანამშრომელთა მიერ მოწოდებულ მასალას. გაზეთის ერთ უკანასკნელ ნომერში მაინც მოთავსებულ იქნა კორესპონდეცია იმერეთიდან, რომელიც შემდეგ "ნოვოე ობოზრენიამაც" გადაბეჭდა. ამ კორესპონდეციაში გაზეთი ჯარს ათას რამეს აბრალებს: სახლების დაწვას, მკვლელობებს, ქალების გაუპატიურებას და სხვა. ყველა ამის

გამო ტფილისის გენერალ-გუბერნატორი, გენერალი ტიმოფეევი წინადადებას აძლევს "ცნობის ფურცლის" რედაქტორს ალექსანდრე ჯაბადარს შვიდი დღის განმავლობაში წარმომიდგინოს დამამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ ამ შენიშვნაში დაბეჭდილი ამბები ნამდვილად მოხდა და მოგონილი არ არის კორესპონდენტის მიერ. ამასთან გენერალ-გუბერნატორი აფრთხილებს რედაქტორს, რომ თუ ამ ვადაში არ წარმოადგინა დამამტკიცებელი საბუთები, "ცნობის ფურცელი" დაიკეტება იმ დრომდე, ვიდრე ტფილისსა და მის მაზრაში სამხედრო წესები არ მოიხსნება" (*მნათობი*, 1934, N4, გვ. 191). გენერალ-გუბერნატორს პასუხი 1906 წლის გაზეთ "ცნობის ფურცელში" (N 3035) დაბეჭდილი სტატიით - "დაურღვეველი საბუთებით" - ეცნობა. ეს იყო დასავლეთ საქართველოში მომხდარი ფაქტების შემსწავლელი კომისიის მიერ შეგროვილი საიდუმლო მასალის ნაწილი - ქუთაისის, ოზურგეთის, სენაკის, შორაპნის მაზრების უფროსების "რაპორტიდან" ამოდებული მასალა, რომელიც რედაქციამ მოიპოვა. პასუხი გაზეთის ორ გვერდზე დაიბეჭდა: "... უწინარეს ყოვლისა უნდა ავღნიშნოთ, რომ ჩვენი თავი დამნაშავედ არ მიგვაჩნია, ჩვენ ჩვენს მოვალეობას ვასრულებდით და ვასრულებთ ისე, როგორც გვესმის პრესის დანიშნულება: ჩვენ არ შეგვეძლო გავჩერებულიყავით, როცა ქვეყანა აიკვლეს და ააწიოკეს, როცა მთელი დასავლეთი საქართველო და აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი გაუგონელს ტანჯვა-ვაებაში ჩააგდეს. პირიქით, ჩვენ დავაშავეთ ხალხის წინაშე, რომ უფრო მედგრად და უფრო გაბედულად ვერ დავიცავით დატანჯული სამშობლო..."

ბ-ნი ტფილისის გენერალ-გუბერნატორი მოითხოვს ჩვენგან "დაურღვეველ საბუთებს" ამ საშინელებისას, რაღა საბუთებია საჭირო იქ, სადაც ქვანიც კი ღაღადებენ?! თუ თავის თავს შრომას მიაყენებს და დასავლეთ საქართველოში გაემგზავრება, ვაგონიდან გადმოსვლაც არ დასჭირდება - ისეც დაინახავს "დაურღვეველ" საბუთებს. ხაშურიდან დაწყებული შავ ზღვამდე, საშინელი ნანგრევები უტყუარად მოწმობენ იმ გმირობას, რომლის მეოხებით მუდამ აყვავებული მხარე მიწასთანაა გასწორებული, დედამიწა ხალხის ცრემლითაა გაჟღენთილი... ჩვენს ხალხს ეს საბუთები არ სჭირია: მან ყველაფერი გამოსცადა თვითონ, ყველაფერი თავის თვალთ ნახა, ყველა დამნაშავეს იცნობს და არასოდეს არ დაივიწყებს" (*მნათობი*, 1934, N4, გვ. 192). პასუხში მოყვანილი იყო დარბევის და აწიოკების უამრავი ფაქტი. გაზეთის ამ ნომერთან ერთად გენერალ-გუბერნატორს რედაქტორის განცხადებაც გაეგზავნა. ალ. ჯაბადარი "ცნობის ფურცელში" დაბეჭდილი ცნობების სინამდვილის დასამტკიცებლად დაახლოებით ორ თვეს ითხოვდა.

აღნიშნულის გამო გენერალ-გუბერნატორი არ დასჯერდა გაზეთის დახურვას. ამ ფაქტის საპასუხოდ 1906 წლის 28 მარტის გაზეთ "კავკაზის" ნომერში გამოქვეყნდა ბრძანება: "რადგან გაზეთ "ცნობის ფურცლის" რედაქტორი მოერიდა პირდაპირ პასუხს, რომელიც მე მოვთხოვე დასამტკიცებლად, იმ გაზეთში მოთავსებული ცნობისა, რომელიც შემდეგ გადაბეჭდილი იყო "НОВ. ОБОЗР."-ში და იმის მაგივრად იმავე გაზეთში მოეყვანა მთელი რიგი ფაქტებისა, რომლებიც იმ ცნობაში მოყვანილი არ იყო და რომლებიც, ყოველ შემთხვევაში, აგრეთვე დასამტკიცებელია და მივიღე რა მხედველობაში, რომ თვით წესი პასუხის მოცემისა, მის მიერ მოფიქრებულია მხოლოდ იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ დაებეჭდა ხალხის ამაღელვებელი და ჯარების შეურაცხმყოფელი და ამიტომ მეტად უადგილო სტატია, ე. ი. ჩაედინა დანაშაული, რომლისთვისაც უკვე მიიღო გაფრთხილება, - მე ქ. ტფილისის და ტფილისის და ბორჩალოს მაზრების დროებითმა გენერალ-გუბერნატორმა, გენერალ-მაიორმა ტიმოფეევმა ამა 26 მარტს დავადგინე: შეწყდეს გაზ. "ცნობის ფურცლის" გამოცემა იმ დრომდე, სანამ ქ. ტფილისში და ხსენებულ მაზრებში სამხედრო წესებია და აღეკრძალოს გაზეთის რედაქტორს ალექსანდრე გიორგის ძე ჯაბადარს ქ. ტფილისში და დასახლებულ მაზრებში ცხოვრება სამხედრო წესების მოხსნამდე. წასვლისთვის დაენიშნა სამი დღე. ამასთანავე, ვალად ვთვლი, გავაფრთხილო ეს პირი, რომ აღნიშნულ ვადაში წაუსვლელობა გამოიწვევს მის გადასახლებას რუსეთის შიდა გუბერნიებში" (*მნათობი*, 1934, N4, გვ.196).

გაზეთის დახურვამ, რა თქმა უნდა, საზოგადოებაზე უარყოფითად იმოქმედა, რადგან მისი ტირაჟი 13000 იყო და მის ერთ ნომერს დაახლოებით ხუთი ადამიანი კითხულობდა. საზოგადოებაში დიდი თანაგრძნობა გამოიწვია გაზეთის პასუხმაც და მისმა დახურვამაც. გაზეთის რედაქტორი ევროპაში შვილებთან გადავიდა საცხოვრებლად, თუმცა მალევე უკან დაბრუნდა. თბილისში დაბრუნებული უამრავ სასიკეთო და ქვეყნის წინსვლისთვის საჭირო საქმეს ჩაუდგა სათავეში: მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კახეთის რკინიგზის მოწყობაში, არჩეული იყო თფილისის გიმნაზიის შენობის მშენებლობის (უნივერსიტეტის) სასკოლო კომიტეტში. აშენების შემდეგ კი თავისი უნიკალური ბიბლიოთეკა თბილისის უნივერსიტეტს საჩუქრად გადასცა. 1912-1913 წლებში სათავეში ედგა ქართულ დრამატულ საზოგადოებას.

სიცოცხლის ბოლო წლებში ალ. ჯაბადარმა შექმნა მეტად საინტერესო ნაშრომები: „ჩაქვის, გეურარხის, ნაფარეულის, ვარციხის მამულების აღწერა და მათი განვითარების პერსპექტივა“; „საქართველოში წარმოებული რძისა და რძის ნაწარმის სწორი გამოყენება“; „მსუბუქი მრეწველობის განვითარება საქართველოში“; „ქართული მატყლის წარმოების და მეფუტკრეობის განვითარება“; „ქართულ-სომხური ურთიერთობის საკითხი“; „1913-1916 წლების ფასთა ცვალებადობა“. მის ნაღვაწში განსაკუთრებული ადგილი უკავია ნაშრომს ქართული ფლორის შესახებ. ნაშრომში საინტერესოდ არის წარმოდგენილი ქართული მიწის სიმდიდრე და მათი ეკონომიური გამოყენება. მისი ნაშრომებიდან მხოლოდ ერთი გამოქვეყნდა, 1894 წელს ჟურნალ „მოამბეში“ დაიბეჭდა მეტად საინტერესო კვლევა ინდოეთის პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრების შესახებ.

შეუძლებელია, რამდენიმე გვერდზე წარმოადგინო ამ დიდი მამულიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, მაგრამ ერთი რამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი სახელი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართული კულტურისა და მწიგნობრობის განვითარებასთან. "მთელი ცხოვრება ალ. ჯაბადარისა წარმოადგენდა განუწყვეტელ საქმიანობას, რომელსაც აწარმოებდა იშვიათი ცოდნით, ენერგიით და უნარობით. მას ახასიათებდა წმინდა გერმანული პუნქტუალურობა, ქართველი კაცისთვის ეს იშვიათი და სანატრელი თვისება, თუმცა კერძო ცხოვრებაში მეტად თავაზიანი, მორიდებული და უმფოთველი იყო ... ალ. ჯაბადარმა გაზეთს მკითხველი გაუჩინა და ამ მკითხველს კითხვა შეაყვარა, ხოლო წიგნს - ბაზარი. ამავე დროს, დააარსა საუკეთესოდ მოწყობილი სტამბა, თავისი ცინკოგრაფიით, ასოების ჩამოსასხმელი განყოფილებით, საამკინძაოთი, რაც ერთიორად აადვილებდა ქართული წიგნის გამოცემის საქმეს. ჩვენი ცხოვრების მემატიათი უჭველად უნდა აღნიშნოს, რომ იმ მშვენიერ შენობის ერთი კედელი, რომელსაც ჩვენი მწერლობის, ჩვენი მწიგნობრობის ზრდა-განვითარება ჰქვია, საძირკვლიდან ალ. ჯაბადარის ამოყვანილი იყო" (სახოკია, 1969, გვ.78).

ალ. ჯაბადარი 72 წლის ასაკში თბილისში გარდაიცვალა. დაკრძალულია ვერის სასაფლაოზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1901, ყველა ნომერი
2. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1902, ყველა ნომერი
3. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1903, ყველა ნომერი
4. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1904, ყველა ნომერი
5. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1905, ყველა ნომერი
6. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1906, ყველა ნომერი
7. გაზეთი „ცნობის ფურცლის“, *სურათებიანი დამატება*. 1901, ყველა ნომერი.
8. გაზეთი „ცნობის ფურცლის“, *სურათებიანი დამატება*. 1902, ყველა ნომერი.

9. გაზეთი "ცნობის ფურცლის", სურათებიანი დამატება. 1903 ყველა ნომერი.
10. გაზეთი "ცნობის ფურცლის", სურათებიანი დამატება. 1904, ყველა ნომერი.
11. გაზეთი "ცნობის ფურცლის", სურათებიანი დამატება. 1905, ყველა ნომერი.
12. გაზეთი "ცნობის ფურცლის", სურათებიანი დამატება. 1906. ყველა ნომერი.
13. ჭიჭინაძე, ზ. ქართული სტამბები 1627-1916 წ. ნიკოლოზ ლოლობერიძე და ზოგი ქართველთა მოღვაწენი სურათებით. ტფილისი.
14. ჟურნალი „ემზაკის მათრახი“. (1908). თბა.გოგიაშვილის ნეკროლოგი, № 14.
15. ჭიჭინაძე, ზ. (1909). ისტორია ქართული სტამბისა. ტფილისი.
16. ჭიჭინაძე, ზ. (1916). ქართული გაზეთის ასი წლის ისტორია. ტფილისი.
17. ჯაბადარი, ა. (1934). მემუარები. მნათობი. N1-2, თბილისი.
18. ჯაბადარი, ა. (1934). მემუარები. მნათობი. N3, თბილისი.
19. ჯაბადარი, ა. (1934). მემუარები. მნათობი. N4, თბილისი.
20. ჯაბადარი, ა. (1934). მემუარები. მნათობი. N5-6, თბილისი.

წყაროები:

1. სეა, სცა, ფ. 489, ა.6, ს. 1550.
2. სეა. უიცა, ფ. 723, ა.2, ს. 780.
3. სეა. უიცა, ფ. 2417, ა.1, ს. 275.
4. სეა, კვა, P F1_40594_E 120_BW_NEG_2018
აღ. ჯაბადარი
5. კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აღ. ჯაბადარის პირადი ფონდი, საბ. N 2.
6. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აღ. ჯაბადარის პირადი ფონდი, საბ. N 3.
7. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აღ. ჯაბადარის პირადი ფონდი, საბ. N 13.
8. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აღ. ჯაბადარის პირადი ფონდი, საბ. N 16.
9. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აღ. ჯაბადარის პირადი ფონდი, საბ. N 37.
10. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აღ. ჯაბადარის პირადი ფონდი, საბ. N 38.
11. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აღ. ჯაბადარის პირადი ფონდი, საბ. N 44.

Tinatin Jabadari,
National Archives of Georgia

News paper " „tsnobis purtseli“" and its editor

Summary

The topic concerns the activities of the Georgian publicist and publisher, Georgian public figure Alexandre Jabadari. At the end of the XIXth century and at the beginning of the XXth century, the Georgian press and the Georgian publishing house were directly connected with the name Alexandre Jabadari. He was born in Sagarejo, after graduating from high school, he continued education in Tbilisi, in the Agricultural and Forest Academy of Petrovsky - Razumovsky (the current Agricultural Academy named after Timiryazev).


Since 1881, having returned to Georgia, he contacted Lado Agniashvili, S. Inasaridze, Alexi Mirianashvili, Vaso Rtskhiladze and, together with them, founded the "Nobati" children's magazine in 1883, which soon closed. In 1890, together with G. Charkviani, L. Agnishvili, V. Rtskhidze, Z. Chichinadze founded the "Georgian Book Publishing Partnership", a legally strengthened partnership boldly began to publish the best stories of Georgian writers.

In 1893, the partnership received permission to publish the "Moambe" magazine. A. Jabadari acquired the magazine, which since 1894 has been published under his publishing house for 8 years. In 1900, together with a group of youth A. Jabadari formed a new social-federalist party. In 1900, after the repurchase of the "Tsnobis Furtseli" news paper, he became head of the editorial board of the newspaper. During his editing, the circulation of the newspaper grew to 13 thousand, while in Georgia the periodical publishing number did not exceed 1900. "Tsnobis Furceli" became more interesting since 1902, after the release of its supplement with photographs. A. Jabadari was the first in Georgia (at that time throughout Transcaucasia) to root iconography in a printing work.

The newspaper published articles on important and relevant topics in Georgia and the world. About the news of Georgian culture and a culture of world, about the life of different nationalities, information announcements and advertising. Well-known public figures and writers collaborated with the newspaper: F. Gogichaishvili, I. Javakhishvili, Vazha-Pshavela, F. Chitidze, V. Tsereteli, A. Lomtadze, G. Robakidze, Archil Jorjadze and others. In 1906, after covering the famous Russian army's raid on western Georgia, on the orders of the Governor General, the newspaper closed and the newspaper's editors were relocated from Georgia ... After returning to Georgia, he again entered public life. A. Jabadari died in 1933, at the age of 72 years.




ალექსანდრე ჯაბადარი





საკლესიო ჩანაწერი ალექსანდრე ჯაბადარის დაბადების შესახებ



გურია, ჯიხეთის დედათა მონასტერი, მხატვარი ა. გოგიაშვილი




სამეგრელო, მხატვარი ანტონ გოგიაშვილი




ქართველთა ტიპები, მხატვარი ალექსანდრე ბერიძე





გაზეთ "ცნობის ფურცლის" სურათებიან დამატებაში გამოქვეყნებული ქართული თეატრის დასი



გამოქვეყნებული ქართული თეატრის დასი გაზეთ "ცნობის ფურცლის" სურათებიან დამატებაში



ოსკარ შმერლინგის კარიკატურა



ოსკარ შმერლინგის კარიკატურები

**თენგიზ სიმაშვილი,
იაკობ მოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**1924 წლის საბჭოთა რეპრესიები თელავის მაზრაში
(ახლად მოძიებული საარქივო მასალის მიხედვით)**

თელავის მაზრაში 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შედეგები საკმაოდ ტრაგიკული აღმოჩნდა. საარქივო მასალებიდან დგინდება, რომ 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა საშინელი სისასტიკე გამოავლინეს (ჩაიძინეს) და აჯანყებაში უშუალო მონაწილეების გარდა, მათთვის მიუღებელი სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელი, საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანები, დახვრიტეს.

გამოქვეყნებული მასალებიდან ცნობილია, რომ იმ დროს საქართველოს სხვადასხვა ადგილას ე.წ. საგანგებო სამეულებს* მიერ სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა - მიესაჯა 832 ადამიანს, რომელთაგან 44 სასულიერო პირი იყო (კლდიაშვილი, გვ. 103-109).

აღსანიშნავია, რომ ეს სია არასრულყოფილია, რადგან იმ დროს ხვრეტდნენ ადამიანებს, აკრავდნენ დახვრეტილთა სიებს, მაგრამ „საგანგებო სამეულების“ მიერ ეს ოფიციალურად არ ფორმდებოდა. ანდა იყო შემთხვევები, როდესაც წინა დღეს გამოკრულ დახვრეტილთა სიაში არაერთი ადამიანი, როგორც შემდგომ გაირკვა, რომ დახვრეტილი არ იყო. ამის მაგალითია თელავსა და თელავის მაზრაში 1924 წლის 1-5 სექტემბერს განხორციელებული დახვრეტები.

თელავის მაზრაში 1920-1960-იან წლებში მოღვაწე ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენლის, გიორგი ჯაშიაშვილის, დღემდე გამოუქვეყნებელ მოგონებაში ვკითხულობთ: „1924 წელს თითქმის ყოველ ორ დღეში წყაროზე აკრავდნენ დაბეჭდილ სიას, სადაც ეწერა წუხელ მაზრის გადაწყვეტილებით დახვრეტილი პირები. ჩამოთვლილი იყო გვარები - საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იარაღით გამოსვლის, ქაქუცასთვის დახმარების გაწევისათვის. ეს უფრო მეტად იყო აგვისტოს ბოლოდან სექტემბრამდე“ (სეა, კახეთის რეგონული არქივი ფ.491, ა.1, ს.8).

ჩვენ მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში მოძიებულ ერთ-ერთ ასეთ სიაში, რომელიც 1924 წლის 1 სექტემბრითაა დათარიღებული, წერია შემდეგი:

**„კონტრრევოლუციასთან და ბანდიტიზმთან მებრძოლ თელავის
სამაზრო საგანგებო სამეულისგან**

ყოფილმა მემამულეებმა, ოფიცრებმა, გენერლებმა და სხვა ნაძირლები(მა) მენშევიკების, ფედერალისტების, ნაციონალ-დემოკრატების და სხვა გაიძვერებთან ერთად შეეცადნენ აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში მოეწყოთ საქართველოში შეიარაღებული აჯანყება. ამ მიზნით მოახდინეს ბანდიტური თავდასხმები ჭიათურაზე და საქართველოს სხვა ადგილებში, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მიერ სასწრაფოდ აღმოფხვრილ იქნა.

* საგანგებო სამეული (Тройки) იქმნება 1918 წლის დასაწყისში. „ჩეკამ“ მიიღო უფლება გასამართლების გარეშე ადგილზე დაეხვრიტა მტრად მიჩნეული პირები.

ასეთივე ბანდიტურ შეთქმულებას აწყობდნენ ნაძირლები თელავის მაზრაში, მაგრამ სამაზრო პოლიტიკურმა ბიურომ*, რომელიც დარაჯად უდგას მშრომელი ხალხის მონაპოვარს, თავის დროზე ალაგმა მუშების და გლეხების მტრები.

სამაზრო საგანგებო სამეულმა მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი დახვრეტა იმ ავანტიურისტ-დამნაშავეებს, რომელნიც ხელს უშლიდნენ მუშების და გლეხების მშვიდობიან აღმშენებლობას და ცხოვრებას.

ამნაირად ძირს ჩაკლულ იქნა ბანდიტური განზრახვანი და მომავალშიც მუშურ-გლეხური ხელისუფლება გახურებული შანთით აღმოფხვრის მემამულეების მომხრეების ყველა ბანდიტების მოქმედებას.

დახვრეტილ იქნენ:

1. მიხაილოვი სიმონ თადეოზის ძე - ყოფილი ოფიცერი და შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელი

2. სიდამონ-ერისთავი შალვა იოსების ძე - ყოფილი თავადი, ოფიცერი, იგივე დამნაშავე

3. ყარალაშვილი ლუკა ნიკოლოზის ძე - ყოფილი თავადი, ბოქაული

4. ხიზანაშვილი გიორგი ივანეს ძე - ნაციონალ-დემოკრატი

5. ბაბუნძე იოსები ლუარსაბის ძე - ყოფილი ოფიცერი

6. კოლეიშვილი იოსებ სიმონის ძე - ყოფილი აზნაური, ოფიცერი

სამაზრო საგანგებო სამეული

1 სექტემბერი 1924 წელი” (შსს არქივი, ფ. 12, ს. 10, გვ. 253) (სტილი დაცულია).

აღსანიშნავია, რომ რეალურად კახეთსა და ქალაქ თელავში ასეთი აჯანყება არ მომხდარა. ჩვენ მოგვეპოვება ქალაქ თელავში დახვრეტილთა სხვა სია, რომელიც დათარიღებულია 1924 წლის 5 სექტემბრით. მასში ჩამოთვლილ ადამიანებს ასევე მიწერილი აქვთ სხვადასხვა განმარტება, რომლებიც, საბჭოთა პოლიტიკური პოლიციის წარმომადგენლების აზრით, ალბათ იმ მიზეზს ასახავდა, თუ რატომ მიესაჯათ მათ სიკვდილი. სიაში 30 ადამიანია ჩამოთვლილი:

1. რაზმაძე ნიკოლოზ კირილეს ძე - ინტელიგენტი

2. ციციშვილი გიორგი მიხეილის ძე - ინტელიგენტი

3. პეტრიაშვილი ილია ივანეს ძე - აზნაური

4. აგურაშვილი ქრისტეფორე სიმონის ძე - დიაკვანი

5. ყარალაშვილი რეზიკო მიხეილის ძე - თავადი

6. ყარალაშვილი ილიკო კონსტანტინეს ძე - თავადი

7. ყარალაშვილი დიმიტრი გიორგის ძე - თავადი

8. ყარალაშვილი ივანე არჩილის ძე - თავადი

9. ჯავახიშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე - ვაჭარი

10. ხოსროშვილი ივანე გიორგის ძე - კულაკი

11. ჯორჯაძე ვლადიმერ ალექსის ძე - თავადი

12. ჯანდიერი ივანე დავითის ძე - თავადი

13. სულხანიშვილი დავით პაატას ძე - აზნაური, ყოფილი ოფიცერი

14. სულხანიშვილი დავით რევაზის ძე - აზნაური

15. სულხანიშვილი მიხეილ რევაზის ძე - აზნაური

16. მაცაშვილი ლუარსაბ გიორგის ძე - თავადი

17. მაცაშვილი არჩილ ზაქარიას ძე - თავადი

18. მაცაშვილი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე - თავადი

* პოლიტიკური ბიურო, იგივე „გპუ“, „ჩეკას“ მემკვიდრე საბჭოთა საიდუმლო პოლიტიკური პოლიცია. 1922 წელს მას ეს სახელი ეწოდა.

19. მაყაშვილი ათანასე კონსტანტინეს ძე - თავადი
20. მაჭავარიანი სოლომონ ზაალის ძე - აზნაური, ყოფილი ოფიცერი
21. გამყრელიძე ირაკლი არჩილის ძე - აზნაური, ყოფილი ოფიცერი
22. გამყრელიძე ვლადიმერ ვიქტორის ძე - აზნაური
23. ჩიჩუა ვლადიმერ გიორგის ძე - აზნაური, ყოფილი ბოქაული
24. ანდრონიკაშვილი გიორგი თომას ძე - თავადი
25. ჯაფარიძე ივანე საჩინოს ძე - აზნაური, ყოფილი ბოქაული
26. მაღალაშვილი იოსებ დავითის ძე - თავადი, ყოფილი ოფიცერი
27. ბიძინაშვილი მიხეილ ალექსის ძე
28. ჩარბაძე არჩილ გიორგის ძე
29. მარკოზაშვილი ლუკა ზაქარიას ძე
30. ბებოშვილი გიორგი ილარიონის ძე (შსს-ს არქივი, ფ. 12, ს. 10)

უნდა ითქვას, რომ სიაში მითითებული, სულ ცოტა, სამი ადამიანი ვერ დახვრიტეს იმ დღეებში და თუ რატომ, მასზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

დღეს, თითქმის 100 წლის შემდეგ, ძალიან ძნელია 1924 წლის სექტემბრის მოვლენების სრული სურათის აღდგენა, თუმცა არქივებში დაცული მასალები და თანამედროვეთა მოგონებები, ასევე ზეპირი ისტორიების სახით შემორჩენილი ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს, აღვადგინოთ არა მარტო თელავის მაზრის, არამედ სხვა მაზრებში მიმდინარე საბჭოთა რეპრესიების ქრონოლოგია.

1924 წლის 5 სექტემბერს დახვრეტილი ნიკოლოზ რაზმადის ვაჟის, ირაკლი რაზმადის სიტყვებით, იმ დროს საბჭოთა ხელისუფლებას წამოუსვრია ლოზუნგი: „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი წინააღმდეგია“ და ყველა მიუღებელ პირს „კონტრევოლუციონერს“ ეძახდნენ, სუფთად ჩაცმულებს „ბურჟუებს“, მღვდლებს ძალით კრეჭდნენ ყველას თვალწინ, ეკლესიებში შეწყვიტეს ღვთისმსახურება, ხატებს ესროდნენ - „ვინ უკეთესად მოარტყავს თვალში“, კედლებიდან აძრობდნენ და წვავდნენ“ (რაზმადე, „ლიტერატურული საქართველო“, 2 ივნისი, 1989 წელი).

ირაკლი რაზმადეს თავისი მოგონების ნაწილი გამოქვეყნებული აქვს 1989 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ და იმავე წელს გაუგზვნია საჩივარი-თხოვნა იმდროინდელი საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, 1924 წლის 5 სექტემბერს დახვრეტილი მისი მამის, ნიკოლოზ რაზმადის, რეაბილიტაციის შესახებ (შსს-ს არქივი, ფ. 6, ს. 24256).

შესაბამისად, ეს წერილი და მისთვის გაცემული საბჭოთა ხელისუფლების ძალისმიერი სტრუქტურების პასუხები დაცულია შსს-ს პოლიციის აკადემიის არქივში. ამ პასუხებში ასახული ინფორმაცია გამოყენებულია დღეს უკვე არარსებული საარქივო საქმეებიდან. საქმე ისაა, რომ 1992 წლის მოვლენების დროს ე.წ. უშიშროების არქივის დიდი ნაწილი დაიწვა და განადგურდა მასალების ნაწილიც, რომელშიც იმ პერიოდის დოკუმენტები იყო დაცული, ამიტომ ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია ამ სახის მასალებში დაცული ინფორმაცია.

ირაკლი რაზმადე წერს, რომ 1924 წლის აგვისტოში თელავის მაზრაში აჯანყება არ მომხდარა. ამის მიუხედავად, საბჭოთა ხელისუფლებამ ამ მაზრაში და მათ შორის ქალაქ თელავში დაიწყო სრულიად უდანაშაულო ხალხის დაპატიმრება და მათი დახვრეტა. დასახვრეტად გამზადებული ადამიანები მიჰყავდათ თელავის სამაზრო ციხეში, რომელიც ე.წ. ბატონის ციხის დასავლეთით, შიდა ტერიტორიაზე, მდებარეობდა. იმ დროს თელავში სამაზრო ციხე და საბჭოთა პოლიტიკური პოლიცია, „ჩეკას“ მემკვიდრე პოლიტიკური ბიურო (პოლიტბიურო), თელავის ცენტრში, ერთმანეთის მახლობლად, მდებარეობდა. პოლიტბიურო „ბატონის ციხის“ დასავლეთ კარიბჭის მოპირდაპირე მხარეს, ე.წ. ჯინუას ხევის აღმოსავლეთ

ფერდობზე, თავად ჯანდიერების ყოფილ სამსართულიან ჩაქვესკნელებულ და საკნებიან შენობაში იყო განლაგებული*.

ირაკლი რაზმაძის გარდა, 1924 წლის 5 სექტემბერს მომხდარი ტრაგიკული ამბების შემსწრე იყო იმ დროს მასავით ახალგაზრდა ელიზბარ მაცაშვილიც, რომელიც გადაურჩა ამ დახვრეტებს. იგი 1927 წელს წავიდა საფრანგეთში ემიგრაციაში და დაგვიტოვა მოგონება ზემოაღნიშნული ტრაგიკული დღეების შესახებ (მაცაშვილი, გვ. 15-18).

ამ ადამიანების მოგონებებისა და საარქივო მასალების შეჯერებით ირკვევა, რომ იმ დამით, როცა დახვრეტები დაწყებულა, მათივე თანატოლი თელაველი საშა (ალექსანდრე) ჯორჯაძე, როგორც კომკავშირელი, პოლიტიუროს შენობაში მორიგედ ყოფილა. ირაკლი რაზმაძე და საშა ჯორჯაძე თელავის ჰუმანიტარული ტექნიკუმის კურსდამთავრებულები იყვნენ.

ე.წ. პოლიტიუროს შენობის ზედა სართულზე სამორიგოდ მყოფ საშა ჯორჯაძეს გაუგია, რომ მისი მამა და ბიძა ხელშეკრული გამოუძახიათ დასახვრეტად ქვედა სართულიდან* (შსს-ს არქივი, ფ. 6, ს.2426).

ზემოდასახელებული პირთა მოგონების მიხედვით, საშა ჯორჯაძე შესულა კოლია ჯაფარიძის კაბინეტში და უთქვამს, რომ „მე კომკავშირელი ვარ, თქვენი ვარ და მე მაჩუქეთ მამაჩემის და ბიძაჩემის სიცოცხლეო“. ჯაფარიძეს ის კაბინეტიდან გაუგდია. ჯორჯაძე ხელმეორედ შესულა ჯაფარიძესთან იმავე თხოვნით, რის გამოც ჯაფარიძეს დაუყვირია - „დაიკარგე აქედან, ძაღლიშვილო, თორემ გაიძულე შენვე დახვრიტო მამაშენი და ბიძაშენი!“. სხვა მოგონების თანახმად უთქვამს, „თუ კომკავშირელი ხარ, შენვე უნდა დახვრიტო მამაშენიო“ (შსს-ს არქივი, ფ.6, ს.2426).

საშა ჯორჯაძეს, როგორც კომკავშირელისთვის, ნაჩუქარი ბრაუნინგი ამოუღია და ჯაფარიძესთვის ორი ტყვია დაუხლია, მაგრამ შემდეგ იარაღში ჰილზი გასჭედია. იგი ტყვიებით დაუცხრილავთ და ხმლებითაც აუკუწავთ თავისი მამისა და ბიძის თვალწინ.

ამ ამბის უშუალო შემსწრე ზემოდასახელებული პირების, რომლებიც იმ დამით თელავის პოლიტიუროს შენობაში იმყოფებოდნენ, მოგონებების მიხედვით, დაწყებულა უწესრიგო სროლა ჯაფარიძის კაბინეტში, ქუჩაში, ციხის კარებთან. ზედა სართულზე მყოფ დაპატიმრებულ ადამიანებს ჩეხდნენ ხმლებით და ხის იატაკიდან დახოცილი ადამიანების სისხლი იღვრებოდა ქვემოთ და ესხმებოდა ქვედა სართულზე მყოფ პატიმრებს, რომლებიც დასახვრეტად თავიანთ რიგს ელოდებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ამაზე წერს მიხეილ ჯავახიშვილი თავის უბის წიგნაკში. ჩანაწერი 1927 წლითაა დათარიღებული (ჯავახიშვილი, გვ. 121).

გათენებისას თელავის პოლიტიუროს დახვრეტები შეუწყვეტია, რადგან ქალაქის ცენტრში აუცილებელი იყო გვამების ალაგება, სისხლის მოწმენდა და ა.შ. მეორე დღეს თბილისიდან მოსულა ბრძანება, რომ დახვრეტა შეეჩერებინათ. თანამედროვეები მიიჩნევენ, რომ საშა ჯორჯაძემ თავისი საქციელით გადაარჩინა ის ადამიანები, რომლებიც პოლიტიუროს შენობაში ქვედა სართულებზე განლაგებულ საკნებში დასახვრეტად ჰყავდათ გამზადებული.

საარქივო მასალების მიხედვით, თელავის მაზრის პოლიტიუროს 1924 წლის სექტემბერში დახვრეტა მიუსჯია ასზე მეტი პირისთვის (შსს-ს არქივი, ფ. 6, ს. 24256).

აღსანიშნავია, რომ სიაში დასახელებული დახვრეტილი ადამიანების გარკვეული ნაწილი გადარჩა. მათ შორის, 1924 წლის 5 სექტემბრით დათარიღებულ თელავში გამოკრულ

* ამჟამად, მისი მისამართია აბანოს ქუჩა #1

* საბჭოთა ჯალათებს იმ დროს ქვედა სართულზე მყოფი პატიმრები, ვინც საკნებში იმყოფებოდა აწყავდათ ზედა სართულზე, ტანსაცმელს ხდიდნენ, საცვლებისამარას ტოვებდნენ და ხელებს უკრავდნენ.

დახვრეტილთა სიაში მყოფი სამი პირი: მაღალაშვილი იოსებ დავითის ძე, გამყრელიძე ვალერიან ვიქტორის ძე, სულხანიშვილი დავით რევაზის ძე. დოკუმენტებში იოსებ მაღალაშვილის შესახებ ერთგან მითითებულია, რომ „ადგილობრივი სამეულისგან“ მიესაჯა დახვრეტა, მაგრამ არეულობის გამო, რომელიც დაიწყო ჯაფარიძის დაჭრის გამო, ვერ მოესწრო მისი დახვრეტა“ (შსს-ს არქივი, ფ. 6, ს. 24256).

მეორე დოკუმენტში კი, რომელშიც თელავის ციხიდან მეტეხის ციხეში გადაგზავნილი პატიმრების ჩამონათვალია, ამ ადამიანის გვარის გასწვრივ წერია - „მაღალაშვილი იოსები არ დახვრიტეს იმის გამო, რომ დაპატიმრებულების გაყვანის დროს ვერ მოასწრეს მისთვის ხელების შეკვრა და ის არეულ-დარეულობის დროს საკანში დარჩა. რასაც თან მოჰყვა განკარგულება დახვრეტის შეწყვეტის შესახებ. ვითხოვთ განკარგულებას“ (შსს-ს არქივი, ფ. 12, ს.10).

ამრიგად, საშა ჯორჯაძის მიერ კოლია ჯაფარიძის მკვლელობამ დასახვრეტად გამზადებული და უკვე ოფიციალურად დაბეჭდილ სიებში მყოფი რამოდენიმე ადამიანი გადაარჩინა სიკვდილს. თუმცა ვერ გადაარჩინენ სხვა პირები, რომელთა რიცხვში ირაკლი რაზმაძის მამა, ნიკოლოზ რაზმაძე და სხვები იყვნენ.

ამ ადამიანთა ბიოგრაფია საკმაოდ საინტერესოა, მაგალითად, გიორგი ციციშვილის, რომელიც თელავის ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი და იმ დროს კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო. სწორედ მისი გავლენით თელავის ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეები ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რიგებში ერთიანდებოდნენ (მელითაური, მოგონებები, თელავის მუზეუმი, გვ. 20). უფროსკლასელი მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ არა მარტო თელავის, არამედ მთლიანად საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. ისინი დროებით წყვეტდნენ სწავლას, ერთიანდებოდნენ ქართული არმიის რიგებში და იბრძოდნენ სხვადასხვა ფრონტზე, მათ შორის 1921 წლის თებერვალში ლაგოდეხის მხრიდან შემოჭრილი წითელი არმიის წინააღმდეგ. (სეა, კახეთის რეგონული არქივი, ფ. 467, ა.1, ს.2)

ცხადია, ასეთი პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული ადამიანების არსებობაც კი საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლებისთვის მიუღებელი იყო, ამიტომ 1920-იან წლებში საქართველოში სწორედ ასეთი, ქვეყნისათვის თავდადებული, ადამიანების მიმართ ახორციელებდნენ რეპრესიებს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. კლდიაშვილი, გ. (2010). საქართველოს 1924 წლის აგვისტოს აჯანყება გარე კახეთში და სასულიერო პირები. *საარქივო მოამბე*, # 9. თბილისი შსს-ს გამომცემლობა.
2. მაყაშვილი, ე. (1965). სისხლიანი ფურცლები. *კავკასიონი*. # X. პარიზი
3. რაზმაძე, ი. (1989). შემოდიოდა სიკვდილი ცელით. *ლიტერატურული საქართველო*. 2 ივნისი. თბილისი. საქართველოს კპცკ-ის გამომცემლობის სტამბა.
4. ჯავახიშვილი, მ. (2012). ჩანაწერები უბის წიგნაკიდან. თბილისი. ინტელექტი.

წყაროები:

5. თელავის ისტორიული მუზეუმი. გიორგი მელითაურის ფონდი. (1960-1970). მოგონებები.
6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ.12, ს.10

7. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ.6, ს.24256
8. სეა, კახეთის რეგონული არქივი, ფ. 467, ა.1, ს.2.
9. სეა, კახეთის რეგონული არქივი, ფ.491, ა.1, ს.8.

Tengiz Simashvili, Iakob Gogebashvili Telavi State University

Soviet Repression in Telavi in September 1924

Summary

The results of the August 1924 uprising in Telavi Mazra were quite tragic. The archival material used in the article confirms the large scale of Soviet repression in Telavi.

The article provides various information on the repression. According to archival materials, in September 1924 the Telavi Mazra "Politburo"(the Soviet Political Police) executed more than one hundred people.

In addition to the archival materials, in the article we use the memoir of one of witness Irakli Razmadze. He had witnessed the tragic news of September 5, 1924. We also use the recollection of Elizbar Makashvili, who was imprisoned by the Soviet regime but escaped these shootings. It is concluded that the existence of educated and patriotic people was unacceptable to the Soviet authorities. In the 1920s, the Soviet authorities were repressing people dedicated.

დათა გუნჯა

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა ავღანეთში
1978 - 1979 წლებში სამხედრო ინტერვენციის წინ

ავღანეთი ყოველთვის საინტერესო ქვეყანა იყო სხვადასხვა ძლიერი გეოპოლიტიკური მოთამაშისთვის. მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან ავღანეთი ბრიტანეთის იმპერიის პროტექტორატის ქვეშ აღმოჩნდა, მაგრამ მეორე მსოფლიოს ომის შედეგად იმპერიამ რღვევა დაიწყო და ავღანეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. ავღანეთის მმართველმა ზაჰირ შახმა განაცხადა, რომ ის ჯავაჰარლალ ნერუს გამოცხადებულ მესამე გზას იზიარებდა და შეუერთდა იმ მიუმხრობელი ქვეყნების რიგს, რომლებიც ცივი ომის მონაწილე არც ერთი ბლოკის მხარეს არ იყვნენ. გარკვეული დროის განმავლობაში ეს პოლიტიკა გამართლებული იყო და ქვეყანაც სტაბილურად ვითარდებოდა. თავდაპირველად ცივ ომში მონაწილე ორივე ზესახელმწიფო - აშშ და საბჭოთა კავშირი, პატივს სცემდა ავღანეთის საგარეო პოლიტიკას და მხარს უჭერდა შაჰის პოლიტიკას მიუმხრობლობის და ნეიტრალიტეტის შესახებ, მაგრამ მერე ეს ყველაფერი შეიცვალა. დღევანდელ ვითარებაში ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა გავცნობოდით საბჭოთა კავშირის საიდუმლო არქივებს რომლებიც გასაჯაროვდა და მათი შესწავლის შედეგად ნათელი ხდება თუ რეალურად რა მოხდა ავღანეთში. ზემოთხსენებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება რომ საბჭოთა კავშირის, პოლიტიკა ავღანეთის მიმართ შეიცვალა 1964 წელს ხელისუფლებაში ლეონიდ ბრეჟნევის მოსვლის შედეგად. როგორც „კაგებეს“ მაშინდელი შეფი ვლადიმერ სემიჩასტნი იხსენებდა: ამა წლის ბოლოს პოლიტბიუროს სხდომაზე ბრეჟნევი ასეთი ფრაზა ისროლა: “რატომ არ გვყავს კომუნისტური პარტია ავღანეთში? რა გარანტიები გვაქვს, რომ მეორე თურქეთს არ მივიღებთ ჩვენს საზღვრებთან? ჩვენ გვჭირდება, რომ ავღანეთში იყოს პროსაბჭოთა ხელისუფლება და ეს ასე რომ არ არის, ეს დიდი ხარვეზია, რომლის გამოსწორებაზე ზრუნვა უნდა დავიწყოთ. ავღანეთში კომუნიზმი უნდა დამყარდეს და სოციალისტურმა იდეოლოგიამ უნდა გაიმარჯვოს. ამისთვის პირველი რიგში, გვჭირდება ავღანური კომუნისტური პარტიის შექმნა და სამომავლოდ მის ხელისუფლებაში მოსაყვანად შესაბამისი მოქმედებების განხორციელება“ (ფეიფერი, 2010, გვ.12.). სწორედ ეს შეხვედრა გახდა კატალიზატორი იმ მოვლენებისა, რომლებიც განვითარდა შემდეგ ათწლეულებში ავღანეთში.

რეალურად სიტყვას მოქმედება მოჰყვა. 1965 წელს დაარსდა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტია (PDPA), რომელმაც თავის პოლიტიკურ იდეოლოგიად გამოაცხადა მარქსიზმ-ლენინიზმი და მიზნად დაისახა კომუნიზმის შენება ავღანეთში. ამ მიზნით საბჭოთა უშიშროებამ გამოიყენა ჟურნალისტი ნურ მუჰამედ ტარაკი, რომელიც დიდი ხანია გადმოზიარებული ჰყავდა. მან სპეციალური მომზადებაც გაიარა თურქმენეთში მე-20 საუკუნის 30-იან წლებში. მას შემდეგ იგი საბჭოთა უშიშროების სამსახურში მუშაობდა. მიუხედავად ამისა მაშინდელი სიტუაცია ავღანეთში ნამდვილად არ იყოს ისეთი მძიმე როგორც ამბობენ ხოლმე და ხატავენ მუქ ფერებში, განსაკუთრებით საბაჭოთა და შემდგომ რუსულ ისტორიოგრაფიაში, თითქოსდა ავღანელი ხალხი სიღარიბეში და ტოტალურ ტერორში ცხოვრობდა. სიტუაცია რეალურად პირიქით იყო. შაჰის რეჟიმი საკმაოდ წარმატებით მართავდა ქვეყანას, ეკონომიკური სიტუაცია სტაბილური იყო, ქვეყანაში არა რადიკალური მეთოდებით ხერხდებოდა სეკულარული პოლიტიკის გატარება, მაგ. ქალებს ქონდათ უფლება ეარათ ჩადრის გარეშე, ემუშავათ და მიეღოთ განათლება, ავღანელებს ქონდათ უფლება ემოგზაურათ და განათლება მიეღოთ ქვეყნის ფარგლებს გარეთ. შესაბამისად ასეთ ვიტარებაში სახალხო-დემოკრატიული პარტიას (PDPA) არანაირი შანსი არ ქონდა ხელისუფლებაში

მოსვლის. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე დაიგეგმა ავღანეთში სიტუაციის ტოტალური არევა, მისი ეკონომიკური მდგრადობის მოშლა და პოლიტიკური სტაბილურობის რღვევა. ამ მიზნით დაიწყო ავღანეთის სამხედრო და პოლიტიკური ელიტის იდეოლოგიური დამუშავება და ავღანეთში მიზანმიმართულად სიტუაციის არევა.

გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში „კაგებეს“ ფარულმა მოქმედებებმა შედეგი გამოიღო: ქვეყანაში დაიწყო უმძიმესი ეკონომიკური კრიზისი, გაიზარდა ინფლაცია და უმუშევრობა, დაიწყო ქვეყნიდან მოსახლეობის ტოტალური გადინება. ამ ყველფერმა თავისი შედეგი გამოიღო, მოსახლეობაში ტოტალურმა უკმაყოფილებამ იჩინა თავი და შაჰის რეიტინგი საბოლოოდ განადგურდა. ამ მზარდი უკმაყოფილების ფონზე სამხედრო ელიტამ რომელიც შაჰს უმაგრებდა ზურგს, ძალაუფლების შენარჩუმების მიზნით გადაწყვიტა არაპოპულარული შაჰის მოშორება და ძალაუფლების ხელში აღება. 1973 წელს ავღანეთში სამხედრო გადატრიალება მოხდა. ხელისუფლებაში ავღანეთის მოქმედი თავდაცვის მინისტრი მუჰამედ დაუდი მოვიდა. საბჭოთა კავშირის, გეგმის პირველი ნაწილი შესრულებული იყო. სტაბილურ ავღანეთში მოხდა სიტუაციის აფეთქება და მმართველ ელიტაში დაპირისპირების გაჩაღება. მოსკოვში გადაწყვიტეს ამ ეტაპზე დაუდისთვის მზარი დაეჭირათ, რადგან საბჭოთა აგენტურის მიერ მომზადებული სპეციალური დასკვნის შედეგად, დაუდი მიჩნეული იყო საუკეთესო კანდიდატურად მომავალში თავიანთი გეგმების განხორციელების მიზნით, მეტიც, მათ დაუყოვნებლივ აღიარეს ავღანეთის ახალი ხელისუფლება. იმავდროულად საბჭოთა ხელისუფლებამ დაუდს დახმარება შესთავაზა ხელისუფლების გამყარებაში, დაუდი დათანხმდა, რითაც დიდი შეცდომა დაუშვა. ამის შედეგად სსრკ-მ მეორე მიზანს მიაღწია, საბჭოთა გავლენის აგენტების შეღწევა ავღანეთის მართველ რგოლში როგორც გადაწყვეტილების მიმღების სუბიექტების. ამის შემდეგ ავღანეთში ჩავიდნენ საბჭოთა „მრჩეველები“, რომლებმაც ახალი გადატრიალების მზადება დაიწყეს. საბჭოთა გეგმის მიხედვით, ეს უნდა მომხდარიყო ქუჩიდანაც და შიგნიდანაც სამხედროების დახმარებით. როგორც „კაგაბეს“ რეზიდენტურის უფროსი ვასილი ხრისტოფოროვი იხსენებს, „1978 წლისთვის ყველაფერი მზად იყო. გარედან ჩანდა, რომ ჩვენ ყველაფრით კმაყოფილი ვიყავით, რეალურად კი მიდიოდა გამალელებული მზადება ტარაკის პარტიის ხელისუფლებაში მოსაყვანად“. 1978 წელს ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტია იწყებს გააქტიურებას და აგრესიულ ფორმებში ხელისუფლების კრიტიკას. სწორედ მაშინ ე.წ. მრჩეველები არწმუნებენ დაუდს, რომ მას შეუძლია სსრკ-ის იმედი ჰქონდეს, ურჩევენ წესრიგი აღადგინოს ქვეყანაში და აღკვეთოს ტარაკის პარტიის თავგასულობა. დაუდმა, რომელსაც ისედაც სისასტიკისკენ ჰქონდა მიდრეკილება, დაიწყო რეპრესიები. მისი ბრძანებით, ლიკვიდირებულ იქნა სახალხო პარტიის წონით (ავტორიტეტით) მეორე კაცი მირ აკბარ ხაიბარი და დააპატიმრეს ყველა მოქმედი ლიდერი, მათ შორის პარტიის ხელმძღვანელი ტარაკიც. ამ გაუაზრებელ ქმედებებს ძალიან მძიმე შედეგები მოყვა. 1978 წლის 19 აპრილს მირ აკბარ ხაიბარის დაკრძალვა გადაიზარდა მასობრივ არეულობაში, რომელიც ხელისუფლებამ სასტიკად დაარბია. ამას მოჰყვა მეორე მოქმედება უკვე შიგნიდან, საბჭოთა დაზვერვის მიერ ჩანერგილმა სამხედროებმა მოქმედება დაიწყეს.

27 აპრილს ქაბულში, მოულოდნელად მის შემოგარენში დისლოცირებული მე-4 სატანკო დივიზია შევიდა გენერალ ასლამ ვატანჯარის ხელმძღვანელობით „ავღანელი ხალხის ტირანიისგან დაცვის საბაბით“. გენერალმა ალყაში მოაქცია საპრეზიდენტო სასახლე. სასახლის შტურმით ალების დროს დაუდი და მისი ოჯახი გაანადგურეს. მეორე დღეს კი ხელისუფლებაში ტარაკი და მისი პარტია მოვიდა. სახელმწიფო გადატრიალების შემდგომ ავღანეთის ახალმა ხელისუფლებამ აპრილის რევოლუციის გამარჯვება და ავღანეთში სოციალიზმის მშენებლობის დაწყება გამოაცხადა. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის, პროპაგანდისტურმა საინფორმაციო სააგენტო TACC-მა იმ მიზნით, რომ ეჭვი არ გაჩენილიყო, ოფიციალურად განაცხადა, თითქოს 27 აპრილის რევოლუცია სსრკ-ისთვის ისეთივე

მოულოდნელი იყო, როგორც დანარჩენი მსოფლიოსთვის, და რომ ეს მოვლენა, ციტირებას თუ მოვიშველიებთ, იყო: «гром среди ясного неба», ანუ „ჭექა-ქუხილი მოწმენდილ ცაზე“, მაგრამ, რადგან ავღანელი ხალხის ნება ასეთია, საბჭოთა ხელისუფლება პატივს სცემს ამ გადაწყვეტილებას და დანარჩენ მსოფლიოსაც იმავეს მოუწოდებს.

27 აპრილის სახელმწიფო გადატრიალებით საბჭოთა საგარეო პოლიტიკის პირველი მიზანი განხორციელდა - ავღანეთში ბოლშევიკები მოვიდნენ ხელისუფლებაში.

პირველ ეტაპზე საბჭოთა კავშირმა, თავის მიზანს სრულიად მიაღწია. უბრალოდ ახლა უკვე ვიცით რომ ეს არ ყოფილა უბრალო მღელვარების და ხალხის უკმაყოფილების გამო მომხდარი გადატრიალება. ეს იყო უმაღლეს დონეზე დაგეგმილი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ განხორციელებული რამოდენიმე ეტაპიანი სპეცოპერაცია, რომელიც დაიწყო მოკავშირე პარტიის დაარსებით, გაგრძელდა ქვეყნის სტაბილურობის რღვევით, პოლიტიკურ და სამხედრო ელიტის გახლეჩით და დაპირისპირების გაჩაღებით, მართვადი ქაოსის შექმნით რომლის შედეგად მოხდა დასახული მიზნის მიღწევა. მაგრამ როგორ სამომავლოდ განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო ეს აღმოჩნდა მხოლოდ ხანმოკლე წარმატება და შემდგომ მართვადი ქაოსი გახდა უმართავი და გადაიზარდა ომში რომელიც უმძიმესი შედეგებით დასრულდება საბჭოთა კავშირისთვის.

ახლა კი საბჭოთა კავშირისთვის, სხვა ამოცანის განხორციელება დადგა დღის წესრიგში. ერთია მოხვიდე ხელისუფლებაში და მეორე მოხდეს ხელისუფლების შენარჩუნება, განმტკიცება და საერთაშორისო აღიარება. მოსკოვმა აქტიურად დაიწყო ამ მიმართულებით მუშაობა, შედეგად სსრკ-ის მხარდაჭერით 1978 წლის მაისის ბოლოს ახალი ხელისუფლება აღიარა სოციალისტური ბანაკის ყველა სახელმწიფომ. მალევე მათ შეუერთდა ვიეტნამი და კუბა, ხოლო ნოემბერში - ინდოეთი და მიუმხრობელი ბლოკის ქვეყნების უმრავლესობა. 1979 წლის დასაწყისში კი პირადად საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ანატოლი გრომიკოს თაოსნობით დასავლეთის სახელმწიფოები ცნობენ ახალ ხელისუფლებას. ტარაკმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, მაისში, გამოაცხადა, რომ უარს ამბობს მიუმხრობლობის პოლიტიკაზე და იწყებს ახალ საგარეო კურსს საბჭოეთთან მჭიდრო კავშირის დამყარებაზე. ავღანეთის მთავრობა მიმართავს საბჭოეთს თხოვნით, რომ დაეხმაროს მას ყველა სფეროში, რათა ქვეყანაში სოციალიზმი აშენდეს. საბჭოთა კავშირი, რა თქმა უნდა, თანხმდება ამ წინადადებას და ათასობით სპეციალისტს აგზავნის ავღანეთში. ამავე დროს, პირადად სსრკ-ის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ბრეჟნევმა შესთავაზა ტარაკს მოსკოვში ჩამოსვლა. 1978 წლის 4 დეკემბერს იგი ჩადის მოსკოვში და 5 დეკემბერს ფორმდება სამოკავშირეო ხელშეკრულება მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ სსრკ-სა და ავღანეთის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის. ხელშეკრულება ითვალისწინებდა თანამშრომლობას ყველა სფეროში. დიდწილად ეს ხელშეკრულება გამეორება იყო ასეთი სახის კლასიკური ხელშეკრულებების, გარდა მე-4 პუნქტისა, რომლის თანახმადაც საბჭოეთი იღებდა ვალდებულებას ავღანეთისთვის შემდეგი 5 წლის განმავლობაში 40 მილიარდი დოლარის ფინანსური დახმარება აღმოეჩინა. ამის სანაცვლოდ საბჭოთა სპეციალურ ორგანოებს შეეძლოთ თავიანთი შეხედულებისამებრ ემოქმედათ ავღანეთის ტერიტორიაზე იმ შემთხვევაში, თუკი საფრთხე დაემუქრებოდა სოციალიზმსა და კომუნიზმს.

საბჭოთა სპეციალისტები აქტიურად შეუდგნენ „სოციალიზმის“ აშენებას ავღანეთში. მათი თაოსნობით ავღანეთის სავაჭრო-სამრეწველო ელიტა სრულიად ჩამოაშორეს ეკონომიკას, დაიწყო მიწის რეფორმა, რომლის შედეგადაც ქვეყანაში კერძო საკუთრება უნდა გაუქმებულიყო. არმიაში დაიწყო საკადრო წმენდა, ყველა, ვისაც განათლება ჰქონდა მიღებული დასავლეთში ან პაკისტანში, არმიიდან თავისუფლდებოდა. შემოიღეს ტოტალური ცენზურა. ისლამურ-კონსერვატიულ ქვეყანაში დაიწყო აგრესიული სეკულარიზმის დამკვიდრება; იკეტებოდა მედრესეები, სკოლებიდან ამოიღეს რელიგიის სწავლება, დაიწყო სასულიერო პირების - მოღვთებისა და მუფთების - მასობრივი დაპატიმრება. ამ ყოველივემ 1979

წლის მარტში ავღანეთის აფეთქება გამოიწვია. თუ მანამდე საბჭოეთის მიმართ მოსახლეობა ლოიალურად იყო განწყობილი, ამ მოვლენების შემდეგ ეს განწყობა სავსებით გაქრა. გაისმა მოწოდებები ჯიჰადის შესახებ ურწმუნოთა წინააღმდეგ, ასევე დაიწყო სამხედრო აჯანყება სხვადასხვა პროვინციაში. ტარაკის ხელისუფლება სრულიად დისკრედიტირებული იყო, რითაც ისარგებლა ახალმა პრემიერ-მინისტრმა ჰაფიზულა ამინმა, რომლის დაცვამ 14 სექტემბერს ტარაკი საპრეზიდენტო სასახლეში მოკლა. 16 სექტემბერს კი ავღანეთის კომპარტიამ სახელმწიფოს და პარტიის ახალ ლიდერად ჰაფიზულა ამინი გამოაცხადა. მოსკოვში ეს რეალურად თავიანთი პოლიტიკის მარცხად მიიჩნიეს. თვითონ ამინი, საბჭოთა პროპაგანდის მიერ დისკრედიტირებული პიროვნება, საკმაოდ გონიერი და პრაგმატული კაცი აღმოჩნდა. შექმნილი სიტუაციის ადგილზე გასარკვევად ავღანეთში გაგზავნეს „კაგებეს“ სპეცწარმომადგენელი, გენერალი ბორის ივანოვი, რომელსაც ამინი არწუნებდა, რომ ტარაკის მოშორება აუცილებელი იყო და ამის გარეშე პარტია ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებდა. კონსერვატიულ აღმოსავლურ ქვეყანაში ერთდროულად ამდენი რადიკალური რეფორმის ჩატარება კონტრპროდუქტიულია და ეს ყველაფერი ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა განხორციელდეს, რაც რეალურად ასე იყო, რადგან რადიკალური მიდგომები ძალიან მკაცრად იდეოლოგილიზირებულ და ნაწილობრივ ისედაც რადიკალურ აღმოსავლურ ქვეყანაში მხოლოდ ქაოსსა და ანარქიას თუ მოასწავებს.

მალე ამინმა მოქმედება დაიწყო: შეამცირა რეპრესიები სასულიერო პირების მიმართ, შეაჩერა რადიკალური რეფორმები განათლების, ეკონომიკის დარგებში; ადამიანებს მიეცათ უფლება შეენარჩუნებინათ კერძო საკუთრება. იგი ცდილობდა კონტაქტი დაემყარებინა პაკისტანთან, რათა მათი დახმარებით მოლაპარაკებები დაეწყო ოპოზიციასთან კონფლიქტის დასარეგულირებლად. საბჭოთა ხელისუფლებას ეს ყველაფერი ძალიან აღიზიანებდა. ამინს ივანოვის მეშვეობით მოსკოვიდან უთვლიან, რომ ეჭვი ეპარებათ გატარებული კურსის სისწორეში. ამინი კი არწმუნებდა, რომ ის რჩება საბჭოთა კავშირის ერთგულ მეგობრად და დასთანხმდა ქაბულში 500-კაციანი „გრუს“ სპეცდანიშნულების რაზმის განთავსებას, რომლის ფუნქციაში შედიოდა საიდუმლო ოპერაციების ჩატარება კონტრრევოლუციონერთა წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირი მაინც ეჭვის თვალით უყურებდა ამინს. 8 დეკემბერს ჩატარდა ავღანეთის თაობაზე საიდუმლო თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ სახელმწიფოს მეთაური ლეონიდ ბრეჟნევი, „კაგებეს“ შეფი იური ანდროპოვი, საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი გრომიკო, საბჭოთა პროპაგანდის უფროსი მიხეილ სუსლოვი, თავდაცვის მინისტრი დიმიტრი უსტინოვი და „გრუს“ ხელმძღვანელი პეტრე ივაშუტინი. სპეციალური მოხსენებით ავღანეთის შესახებ გამოვიდა „კაგებეს“ გენერალი ვიაჩესლავ შირონინი, რომელმაც განაცხადა, რომ „ამინი 50- იან წლებში სწავლობდა ამერიკაში და, როგორც ჩვენი რეზიდენტურა იუწყება, ამერიკაში და ასევე ინდოელ დიპლომატებზე დაყრდნობით, ამინი 1957 წელს გადაბირებულ იქნა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ (CIA)“ (ბოლტუნოვი, 2017, გვ. 255).

„კაგებეს“ გენერლის მოხსენების შემდეგ გადაწყდა ჯარების შეყვანა ავღანეთში, ამინის ლიკვიდაცია და ხელისუფლებაში საბჭოთა მარიონეტის ბაბრაკ კარმალის მოყვანა. მაგრამ ამავე თათბირზე იყო მომენტი როცა შეიძლებოდა ავღანეთის ისტორია სხვაგვარად განვითარებულიყო, რადგან სრული ერთსულოვნება როგორც ამას საბჭოთა ისტორიოგრაფია ცდილობდა წარმოეჩინა ავღანეთის საკითხისადმი არ არსებობდა. უახლესი კვლევების შედეგად ცნობილი გახდა რომ მაგ თათბირზე აბსოლუტურად განსხვავებულმა პოზიციამ გაიჯღერა. ავღანეთში ჯარების შეყვანის გადაწყვეტილების წინააღმდეგ „გრუს“ მაშინდელი ხელმძღვანელი პეტრე ივაშუტინი წავიდა. მან წარმოადგინა სპეციალური ანალიტიკური დასკვნა რომელიც კარდინალურად სხვა სურათს წარმოაჩენდა ავღანეთში, სადაც ზუსტად იყო ის საფრთხეები და პრობლემები წარმოჩინებული რის წინაშეც შეიძლება საბჭოთა კავშირი, აღმოჩენილიყო ავღანეთში პირდაპირი სამხედრო ინტერვენციის შედეგად. მან განაცხადა რომ

„როგორც მისთვის ცნობილია, ეს ინფორმაცია ამინის აგენტობის შესახებ რამდენიმე ამერიკელ და ინდოელ დიპლომატთან საუბრის შედეგად არის მოპოვებული და არანაირი ფაქტით არ დასტურდება, მეორე ასეთ საექვო ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაბამისი სიტუაციის სიღრმისეული ანალიზის გარეშე, ჯარების შეყვანა ქვეყანაში, სადაც სამოქალაქო ომი მძვინვარებს და რეალურად ომში ჩაბმა შეცდომა იქნებოდა და შეიძლება ძალიან მძიმე შედეგები გამოეწვია. მესამე ის აღნიშნავდა რომ ამინი ნაწილობრივ მართალი იყო, ისეთ აღმოსავლურ ქვეყანა როგორც ავღანეთია, სოციალიზმის მშენებლობა უნდა მომხდარიყო ევოლუციური გზით და არა რადიკალური და თუ მიდგომა არ შეიცვლებოდა მაშინ კრიზისი და დაპირისპირება კიდევ უფრო გაღრმავდებოდა. ასეთ ვითარებაში კი ის მიიჩნევდა რომ ჯარების შეყვანა დაუშვებელია, ისევე როგორც ამინის ლიკვიდაცია, რადგან ეს პირდაპირ გამოიწვევს საზოგადოების გაერთიანებას სსრკ-ს წინააღმდეგ, იქიდან გამომდინარე რომ აღთქმული იქნება როგორც ქვეყნის ოკუპაცია და ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლას მიეცემა ეროვნული- განმათავისუფლებელი ბრძოლის სახე, რასაც ძლიერი რელიგიური საფუძველი და მხარდაჭერა ექნება. აქედან გამომდინარე მე მიმაჩნია რომ ამ ეტაპზე ავღანეთში ჯარების შეყვანა დაუშვებელია, რადგან ჩვენ შეიძლება ხანგრძლივ ომში აღმოვჩნდეთ ჩართული. ჩვენი მთავარი მიზანი უნდა იყოს სიმშვიდე ჩვენს საზღვრებზე და ავღანეთში რომელიმე სხვა ძლიერი ქვეყნის ჯარების არ განლაგება, თუნდაც აშშ და ჩინეთის, ამინი კი ამას გვპირდება. შესაბამისად ჩვენ ამით ვუზრუნველყოფთ ჩვენი მთავარი სტრატეგიული მიზნების მიღწევას და რადიკალური ნაბიჯების გადადგმისგან ამ ეტაპზე თავი უნდა შევიკავოთ. “თუმცა მისი აზრი არ გაითვალისწინეს, რადგან საბჭოთა კავშირის, მმართველი ელიტა მიიჩნევდა რომ კომუნიზმი მარცხდება ავღანეთში და ამის დაშვება არაფრით არ შეიძლება. შედეგად პოლიტიკურად გადაწყვიტა სამხედრო ინტერვენციის დაწყება, რაც განახორციელეს კიდევ 1979 წლის 25 დეკემბერს. ამინი მოკლეს, ხოლო ხელისუფლებაში თავიანთთვის სასურველი პიროვნება ბაბრაკ კარმალი მოიყვანეს, რასაც მოჰყვა ავღანეთის საყოველთაო ეროვნული აჯანყება; დაიწყო ავღანეთის ომი, რომელიც 10 წელი გაგრძელდა და სსრკ-ის მარცხით დასრულდა.

დასკვნა

საბჭოთა ხელისუფლების გაუაზრებელმა პოლიტიკამ გამოიწვია ავღანეთის ტრაგედია, მილიონობით ადამიანის დაღუპვა, კაგებეს საიდუმლო არქივების მიხედვით რომლებიც 2000-იანი წლების დასაწყისში გასაჯაროვდა, ავღანეთის ომმა იმსხვერპლა 3 მილიონი ავღანელის სიცოცხლე. თვითონ საბჭოთა კავშირისთვის კი ეს ლოკალური ომი აღმოჩნდა იმ ერთ- ერთი ჭრილობათაგანი და გადაუჭრელი პრობლემა, რომელმაც მისი საბოლოოდ კრაზი და დაშლა გამოიწვია.

საბჭოთა კავშირს სჭირდებოდა სიმშვიდე შუა აზიის საზღვრებზე და ამისთვის სრულიად არ იყო აუცილებელი ავღანეთში საბჭოთა მარიონეტული ხელისუფლების მოყვანა. ავღანეთი, რამდენად დაუჯერებლადაც არ უნდა ჩანდეს დღევანდელი გადმოსახედიდან, იყო მშვიდი ქვეყანა შაჰის მმართველობის ქვეშ, რომელიც მკაცრად იცავდა მიუმხრომლობის პოლიტიკას რომელიმე ბლოკის მიმართ. შესაბამისად სიტუაციის ანალიზი და შაჰის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის კვლევა აშკარად ნათელს ხდის რომ, საბჭოთა კავშირს არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა ავღანეთის მხრიდან და სტრატეგიულად მის ინტერესებში შედიოდა ასეთი პოლიტიკის გაგრძელება, ავღანური ნეიტრალიტეტის მხარდაჭერა და შენარჩუნება. სხვა რამე ინტერესი იქ მარიონეტული ხელისუფლების მოყვანის არ არსებობდა, რადგან ავღანეთი ძალიან ღარიბი ქვეყანა იყო ბუნებრივი რესურსების მხრივ, ამ რესურსების ხელში ჩაგდების მიზნით რომ ეცადათ რეჟიმის ცვლილება ავღანეთში. აქედან გამომდინარე მითია ის მოსაზრება რასაც შემდგომ საბჭოთა ხელისუფლება ავრცელებდა რომ საფრთხე

დაემუქრა საბჭოეთა კავშირის უსაფრთხოებას ცენტრალურ აზიაში შაჰის რეჟიმის მხრიდან. შესაბამისი ფაქტების, დოკუმენტების და ინფორმაციის შეგუამების და ანალიტიკური კლევის შედეგად, ნათელი ხდება რომ საბჭოეთა კავშირის მოქმედება გამომდინარეობდა მხოლოდ იდეოლოგიური მოტივებისგან და კომუნიზმის გლობალური გავრცელების დოქტრინიდან გამომდინარეობდა, რაც პირველ რიგში გულისხმობდა სსრკ-ს გარშემო მდებარე ქვეყნებში მარიონეტული კომუნისტური რეჟიმების დამყარებას. საბოლოოდ კი ამ ყველაფერმა უკუშედეგი გამოიღო. საბჭოეთა კავშირის ლიდერების უგუნურმა პოლიტიკამ გამოიწვია ის, რომ ავღანეთი საბოლოოდ აღმოჩნდა ტოტალურ ქაოსში, ხოლო შემდეგ, როცა ქაოსის გამოსწორების შესაძლებლობა გაჩნდა ჰაფიზულა ამინის მართველობის შედეგად, საბჭოეთა მთავრობამ ავღანეთში მშვიდობის დამყარების ნაცვლად კომუნიზმის მარცხის შიშით სამხედრო ოპერაცია დაიწყო. ამას სრული კატასტროფა და დიდი ომი მოჰყვა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ავღანეთი ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს მიმართ გატარებული უგუნური პოლიტიკის კარგი მაგალითია, როცა პრაგმატული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა უგულვებლყვეს და იმოქმედეს მხოლოდ დემაგოგიურ-პოპულისტური იდეოლოგიური პოსტულატებიდან გამომდინარე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Болтунов, М. (2017). Таинные операции военной разведки.
2. Кучерова, Л. (2017). КГБ в Афганистане.
3. Braithwaite, R. (2015). *Afgantsy: The Russians in Afghanistan 1979-89.*
4. Feifer, G. (2010). *The Great Gamble: The Soviet War in Afghanistan.*
5. Ichael A. Gress, Lester W. Grau (2002). *The Soviet-Afghan War: How a Superpower Fought and Lost.*

Data Gunjua

Sovet Union foreihgn policy in Afganistan 1978-1979 before military intervention

Summary

The Soviet Union has been always tried to influence the distribution of the various countries in the world, Afghanistan has been the exception, and that her territory controlled borders in Central Asia.

This article is the issue that will be discussed. The April revolution since the days of the Soviet Union's intervention in the period, which will be discussed in Soviet policy in Afghanistan, and it's what caused despite Hapizula Amine statements about Friendly Relations between the two countries stressed that the rule was what had for so many years trying to achieve in the USSR, but in spite of and all this is still carried out in a military campaign in Afghanistan, the occupation of the country and

brought the head of the puppet dictatorship regime, which eventually led to the outbreak of the Big War.

As for the research value, research value of this work lies in the fact that the Cold War, this moment will be discussed in a different perspective and analytically will be presented in a situation how can you completely irresponsible policy of aggression as a result of a potential ally, into a public enemy and be drawn into a war that will become a member of the same state beginning of the end.

მიხეილ ქართველიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოში რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატის დაარსების ისტორიიდან

მეორე მსოფლიო ომის დროს რელიგიური ორგანიზაციებისადმი სტალინის ხელისუფლების მიერ გატარებული კომპრომისული პოლიტიკა სულაც არ ნიშნავდა, რომ სახელმწიფომ უარი თქვა რელიგიის კონტროლსა და მის საქმეებში ჩარევაზე. პირიქით, ამან გაცილებით უფრო ინტენსიური ხასიათი შეიძინა, რადგან რელიგიურ ინსტიტუტებს შორის მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფო ინსტიტუტად იქცა და თუ მანამდე იგი ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების თვალში ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილ ძალად აღიქმებოდა, ამჯერად სახელმწიფო კურსის გამტარებლად მოგვევლინა.

იმ რეალობაში, როდესაც საბჭოთა კავშირში თითქმის არ არსებობდა სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიასთან თანამშრომლობის ნორმალური მიდგომა, ბუნებრივია, აუცილებელი იყო მოეძებნათ ისეთი ფორმა, რომელიც უზრუნველყოფდა მის იმგვარი სახით რეგულირებას, რომ ორივე მხარე ურთიერთთანამშრომლობით მეტ-ნაკლებად კმაყოფილი დარჩენილიყო. სწორედ ამიტომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ 1943 წელს ეკლესიაზე კონტროლის უკეთ განსახორციელებლად შექმნა ახალი ორგანო – სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭო. საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა გ. კარპოვი (Shubin 2006, გვ. 152-153; ვაჩნაძე, გურული 2008, გვ. 83; Ошищенко 2011, გვ. 133-158; ვარდოსანიძე 2014, გვ. 43-44). თავის მხრივ ეს უკანასკნელი ამ თანამდებობაზე შემთხვევით არ აურჩევიათ. იგი იყო საბჭოთა სისტემის მეტად გამოცდილი და სანდო კადრი, რომელსაც სახელმწიფო უშიშროების სისტემაში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ წინამდებარე საკითხის კვლევისას საარქივო დოკუმენტების გამოყენებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან საბჭოთა პრესაში ამ სახელმწიფო ორგანოს შესახებ თითქმის არანაირი, მხოლოდ ფრაგმენტული ხასიათის ინფორმაცია გვხვდება (Anderson 1992, გვ. 399-404).

რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს ისტორია ქართულ ისტორიოგრაფიაში ფაქტობრივად შეუსწავლელია. მასზე არსებული ფრაგმენტული სახის ინფორმაცია არსებობს, რაც ადასტურებს, რომ მისი გაანალიზება მეცნიერულ აუცილებლობას წარმოადგენს. მკვლევართა შორის არ არის ერთიანი აზრი, თუ რა უნდა გამხდარიყო საბჭოთა სახელმწიფოსთვის ამ ახალი, მანამდე უცხო სახელისუფლებლო ორგანოს წარმოშობის მიზეზი. გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს და მივიჩნევთ, რომ იოსებ სტალინის ამ გადაწყვეტილების მიზეზი იყო ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლის სურვილი და მცდელობა შეექმნა ისეთი ორგანო, რომელიც მისი ზედამხედველობის ქვეშ იქნებოდა და ამავდროულად, მაქსიმალური სიზუსტით შეძლებდა საეკლესიო იერარქების გაკონტროლებას. ის უნდა ყოფილიყო „ერთგვარი შუამავალი ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის“ (ვარდოსანიძე 2009, გვ. 85). ახლადდაარსებული ინსტიტუციის მიმართ ანალოგიური დამოკიდებულება აქვს მედია ბენდელიანს, რომელიც მიიჩნევს, რომ „მთავრობამ დააარსა ისეთი სასულიერო ორგანო, რომელიც კურირებას გაუწევდა ეროვნულ ეკლესიებს, დაუქვემდებარებდა მათ ცენტრს – რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას, რომლის ერთგულების მოპოვებისთვის თავდაუზოგავად იღვწოდა საერო ხელისუფლება. ასეთი მეთოდით სახელმწიფო ხელისუფლებას მუდმივ მეთვალყურეობაში ჰყავდა რესპუბლიკის ეკლესიები. მათ რიცხვში აღმოჩნდა საქართველოს ეკლესიაც. აღნიშნულის ნათელი გამოვლინებაა უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის 1943 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკლესიის საქმეთა გამოცალკე საბჭოს დაარსებაზე“ (ბენდელიანი 2018, გვ. 28). ვიზიარებთ რა ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, და ვძენთ, რომ ეს ორგანო სასულიერო ნამდვილად არ იყო, ის მთლიანად საერო პირებით იყო დაკომპლექტებული.

ამ ნაბიჯით ხელისუფლების მიერ, ერთი მხრივ, თავიდან აცილებული იქნებოდა საეკლესიო ელიტის დაპირისპირება სახელმწიფოს მიერ გატარებულ პოლიტიკურ კურსთან, რადგან ამას იოსებ სტალინისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა, მეორე მხრივ კი, მისი პოლიტიკური კურსისა და რეფორმების მოწინააღმდეგე ძალებთან ბრძოლაში ეკლესიის მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან, როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა, ეკლესიის დამოკიდებულება ამა თუ იმ მნიშვნელოვანი საკითხისადმი, მიუხედავად ქვეყანაში ჩატარებული ათეისტური კამპანიებისა, საზოგადოებისთვის მაინც მეტად მნიშვნელოვან ფაქტორად რჩებოდა.

ამ ვარაუდს ისიც ამყარებს, რომ, როგორც საარქივო დოკუმენტები ცხადყოფს, ასეთი, ერთგვარად მაკოორდინირებელი, ორგანოს ჩამოყალიბება იმ თავითვე გადაწყდა, როგორც კი მან შესაძლებლად ჩათვალა რუსი იერარქებისთვის პატრიარქის არჩევის უფლების მიცემა. ამავე დროს, სტალინმა იმ თავითვე გააფრთხილა კარპოვი, პირველყოვლისა, არ შეეღაზა ეკლესიის ავტონომიისა და დამოუკიდებლობის იმიჯი და მეორე, კარპოვის თანამდებობა წმინდა სინოდის თვალში არ უნდა ქვეუღიყო ახალ ობერ-პროკურორად, რომელიც საეკლესიო-სახელმწიფო საქმეებს იმპერიული ავტოკრატიით მართავდა (Одинцов 1999, გვ. 283-291, <http://istmat.info/node/34874>).

ამ ორგანოს პარალელურად 1944 წელს შეიქმნა რელიგიური კულტების საქმეთა საბჭო, რომლის მიზანიც იყო საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე რელიგიურ თემატიკაზე მიღებული საბჭოთა კანონმდებლობის ცხოვრებაში დანერგვა (Совет по делам, 1956, გვ. 523). ამ მეორე სახელისუფლებლო ორგანოს დაარსება, სავარაუდოდ, იმით იყო გამოწვეული, რომ საბჭოთა კავშირი, როგორც ცნობილია, უზარმაზარ მრავალეროვან და მრავალკონფესიურ გაერთიანებას წარმოადგენდა, ამიტომ მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობის ნორმალიზების პარალელურად უნდა მომხდარიყო სახელმწიფოს სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთანაც დამოკიდებულების ხელახლა ჩამოყალიბება.

ნიშანდობლივია ერთიც: ეს ორგანო თავდაპირველად ცენტრალიზებული სახით შეიქმნა, მაგრამ ძალიან მალევე გამოჩნდა, რომ მისი მიზნების უკეთ განსახორციელებლად აუცილებელი იყო მისი გარდაქმნა, რაც თავის მხრივ გულისხმობდა საბჭოთა კავშირში შემავალ ეკლესიებთან ინდივიდუალურ მუშაობას; ეს კი შესაძლებელი გახდებოდა იმ შემთხვევაში, თუკი მოკავშირე რესპუბლიკებში არსებულ მართლმადიდებელ ეკლესიებთან დაარსდებოდა ცალკე ორგანო. მართალია, მისი მაქსიმალური გაკონტროლება მოხდებოდა, მაგრამ ამით მთავრობის მუშაობაც გაცილებით გაადვილდებოდა, ამიტომ საჭირო იყო ცალკეულ რელიგიურ ორგანიზაციებთან უფრო შედეგიანი მუშაობა. სავსებით რეალურია ვივარაუდოთ ის ფაქტიც, რომ ამ მხრივ გარკვეულ აქტიურობას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელობაც გამოიჩინდა, რადგან ჩვენი ეკლესიისთვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო იმგვარი ორგანიზაციისადმი დაქვემდებარება, რომელიც ცალსახად რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეებს განიხილავდა. ეს, ბუნებრივია, შელახავდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიურ უფლებებს, რომლებიც თავად რუსეთის ეკლესიის მიერ იყო აღიარებული. ამასთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს კათოლიკოს-პატრიარქის წერილები, მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა ერთი წერილი, რომელიც გაგზავნილია საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვალერიან ბაქრაძისადმი. მის მნიშვნელობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ მისით დასტურდება პატრიარქ კალისტრატეს საკითხის მიმართ, ერთის მხრივ, სიღრმისეული, ხოლო, მეორეს მხრივ, პრინციპული დამოკიდებულება. იგი ჯერ სიტუაციას ხსნის და ნათელყოფს: „1943 წლის ოქტომბერში დაარსდა რა რ.ს.ფ.ს.რ-ის (ვინაიდან მართლმადიდებელი სამრევლოები მოიპოვებინა აზერბაიჯანის და თურქმენეთის რესპუბლიკებშიცკი), არამედ კავშირის სახკომსაბჭოსთან რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭო (პირობითად ვუწოდოთ: მოსკოვის საბჭო), მოსალოდნელი იყო ასეთი საბჭოს დაარსება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიის საქმეთათვისაც, მაგრამ დაარსდა მხოლოდ მოსკოვის საბჭოს რწმუნებულის თანამდებობა საქართველოს ს.ს.რ-ში. ჩვენი ეკლესიის რუსეთისათვის დაარსებული ორგანოს სფეროში მოქცევით რუსეთის ეკლესიას ენიჭება შესაძლებლობა საქართველოს ეკლესიის შინაურ საქმეებში ჩარევისა. თუმცა 1943 წლის ოქტომბრის 31 და ნოემბრის 19 აქტით საქართველოს ეკლესიაში შემავალი რუსის მოსახლეობა უფლებამოსილია შეინარჩუნოს რუსეთის ეკლესიის წესები და ჩვეულებები, მაგრამ ზოგიერთი „მორწმუნე“ დიდმაპრობელობით გაუღენთილი ამით ვერ კმაყოფილდება: მას სურს საქართველოს ეკლესიაშიც დამყარდეს რუსული „უმჯობესი“ ჩვეულება-წესები და განიდევნოს „აზიური“ ქართული“ (სეა, უიცა, ფ. 1879, ა. 1, ს. 2). წერილში პატრიარქი საუბრობს იმ საშიშროებაზე, რომელიც ამ ყველაფრის უყურადღებოდ დატოვების შემთხვევაში შეიძლება მომხდარიყო: „სხვა საცილობელ განსხვავებებზე რომ არ ვილაპარაკოთ, მაგალითისათვის, აღვნიშნავ ერთს: ჩვენი ეკლესიის პრაქტიკით, სამშაბათ-ხუთშაბათ-შაბათ საღამოს (და ზოგიერთ მარხვებში) ჯვარის დაწერა შეიძლება, რუსეთის ეკლესიის პრაქტიკით კი—არა. წეს-ჩვეულებების დოგმატისაგან ვერგამრჩევი „მორწმუნე“ წარმოვიდგინოთ შეეკითხა ორივე ეკლესიის მეთვალყურე ორგანოს—მოსკოვის საბჭოს (პატრიარქს არ მიმართავს პირდაპირ, რადგანაც იგი მოსკოვის საპატრიარქოს წევრი არ არის): რომელი პრაქტიკა უფრო სწორია, ქართული თუ რუსული, შესაძლებელი პასუხი ერთადერთია: რუსეთის ეკლესია ასეთ პრაქტიკას არ იცნობსო. ზემოხსენებული „მორწმუნე“ დაიხვევს რა ხელზე ამ პასუხს, დაიწყებს თავისებურ პროპაგანდას საქართველოს ეკლესიის არა-მართლმადიდებლობაზე და ქართველების „განათლების“ საჭიროებაზე, შეიტანს განხეთქილებას მორწმუნე რუსებში, შეეცდება ძმური განწყობილების დარღვევას ქართველთა და რუსთაშორის (როგორც ეს ხდებოდა უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში), და, როცა წყალი საკმაოდ აიძვრევა, საკითხი „შემთხვევით“ მივა მოსკოვის პატრიარქის ყურამდე, და ის „იძულებული“ შეიქმნება გამართოს მიწერ-მოწერა საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქთან, და „ძმურიჩვეების“

საშვალეობით მოხდეს ძლიერისაგან სუსტის დაჩაგვრა: ყოველთვის ხომ მოსკოვის კათედრა არ ეჭირება ისეთ ფართო მსოფმხედველობის ადამიანს, როგორც იყო განსვენებული სერგი პატრიარქი“ (სეა, უიცა, ფ. 1879, ა. 1, ს. 2). და, შესაბამისად, ამის თავიდან ასაცილებლად და სამართლიანობის დასამყარებლად მოითხოვს – „დააარსოთ საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ჩვენი ეკლესიის საქმეთათვის საკუთარი საბჭო, ან საკუთარი რწმუნებული (ჩვენი ეკლესია იმდენად პატარაა, რომ მისთვის საკმარისი იქმნება რწმუნებულიც), რომელსაც თავაშვებული „მორწმუნე“ მის მიერ ათვალისწინებულ ქართულ ჩვეულებათა შესახებ ან ვერ მიმართავს, ან, თუ მიმართა, მიიღებს მისგან, როგორც ჩვენებურ წესებ-ჩვეულებების საფუძვლიანად დაბადებიდან ვემცოდნისაგან, სათანადო განმარტებას, ან მივლინებული იქმნება მის მიერ საქართველოს ეკლესიის მეთაურთან“ (სეა, უიცა, ფ. 1879, ა. 1, ს. 2). ზემოთ მოყვანილი მასალა ადასტურებს პროფესორ ქეთევან პავლიაშვილის დასკვნას, რომლის მიხედვითაც „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა არაერთგზის აღძრა საკითხი უმაღლესი ხელისუფლების წინაშე საქართველოს რეპუბლიკის სახკომსაბჭოსთან საკუთარი საბჭოს დაარსებაზე, რომელიც გაუწევდა მეთვალყურეობას საქართველოს“ (პავლიაშვილი 2008, გვ. 555).

სავარაუდოა, რომ ქართულ სინამდვილეში სახელისუფლებლო ადგილობრივი ორგანოს დაარსება იმითაც იყო განპირობებული, რომ მისი ფუნქციონირება და კონტროლი საბჭოთა ხელისუფლებისთვის ადგილზე ბევრად უფრო მარტივი ყოფილიყო; ასევე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობას იმ ეტაპზე არ სურდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის მომდურება, რადგან (მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ეკლესიას მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა სახელმწიფოს მხარდასაჭერად არაერთი ნაბიჯი ჰქონდა გადადგმული და მომავალშიც სანდო მოკავშირედ განიხილებოდა. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ცენტრალური ხელისუფლების მიერ ერთგვარი დათმობითი პოლიტიკა, რის შედეგადაც საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 2 სექტემბერის №959 დადგენილებით საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭომ დაადგინა: „საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 22 აგვისტოს №11536 დირექტივის შესაბამისად დამტკიცდეს უფლებამოსილების (?) თანახმად დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რწმუნებულის თანამდებობა“ (სეა, უიცა, ფ. 1879, ა. 1, ს. 11). ამავე დადგენილებით მიიღეს გადაწყვეტილება, „გაუქმდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს სსრ-ის საკითხებში საბჭოს რწმუნებულის თანამდებობა“ (სეა, უიცა, ფ. 1879, ა. 1, ს. 11).

ბუნებრივია, ინტერესს მოკლებული არ არის ამ ორგანოს დებულებაც, რომელშიც ძალიან მკაფიოდ არის ასახული რწმუნებულის უფლება-მოვალეობები. ამის შესახებ მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის საარქივო დოკუმენტი, რომელიც საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივშია დაცული და წარმოადგენს საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულ დებულებას – „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა რწმუნებულის დებულების დამტკიცების შესახებ“ (სეა, უიცა, ფ. 1879, ა. 1, ს. 12).

მითითებული დებულებიდან ირკვევა, რომ საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხებში რწმუნებული საკმაოდ დიდი ფუნქციებით იყო აღჭურვილი, რაც ადასტურებს ამ თანამდებობის მნიშვნელობას. მას პრაქტიკულად უნდა მოეგვარებინა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა, წინასწარ განეხილა ყველა ის საკითხი, რომლებსაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი აღძრავდა ცენტრალური ხელისუფლების წინაშე და რომლებზეც საჭირო იყო საქართველოს სსრ-ის მთავრობის ნებართვა, თვალყური უნდა ედევნებინა საქართველოს სსრ ტერი-

ტორიაზე მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებული საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ-ის მთავრობის კანონებისა და დადგენილებების ცხოვრებაში სწორ და დროულ განხორციელებაზე; საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოში უნდა წარედგინა დასკვნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხებთან დაკავშირებით, მოეხდინა საქართველოს სსრ-ის მთავრობის დროული ინფორმირება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შესახებ. ამ მიზნით ყოველწლიურად დგებოდა ანგარიში, რომლებშიც ასახული იყო როგორც საპატრიარქოს მდგომარეობა, ასევე მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პოზიცია ქვეყნისთვის ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხზე და ცალკეული სასულიერო პირების (აქ იგულისხმება როგორც მაღალი იერარქები, ისე რიგითი მღვდლები) დამოკიდებულება მრევლისადმი, სახელმწიფოსადმი თუ სხვა საკითხებისადმი. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია ისიც, რომ სწორედ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხებში რწმუნებულის ფუნქციებში შედიოდა „ეკლესიის გახსნის განცხადების წინასწარი განხილვა და შემოწმება, მის შესახებ დასკვნის შედგენა და ასეთის წარდგენა საქართველოს სსრ მთავრობაში დასამტკიცებლად“ (სეა, უიცა, ფ. 1879, ა. 1, ს. 12). მას ასევე უნდა აღერიცხა ეკლესიების საერთო რაოდენობა და სტატისტიკური ცნობები ადგილებიდან მოწოდებული მონაცემების მიხედვით. საკმაოდ სოლიდური იყო მის იუფლებებიც, რაც პრაქტიკულად ეკლესიასთან ურთიერთობაში მის უპირატესობას და აღმატებულებას ამტკიცებდა. რწმუნებულს შეეძლო მოეთხოვა რესპუბლიკური და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოებისგან აუცილებელი საკითხების შესახებ ცნობები და მასალა, რომლებიც დაკავშირებული იყო მართლმადიდებელ ეკლესიასთან, აგრეთვე მასთან შეთანხმებით ჩაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მას მიენიჭა უფლება შეექმნა „კომისიები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებული გარკვეული საკითხების დასამუშავებლად“ (სეა, უიცა, ფ. 1879, ა. 1, ს. 12). ეს კი პრაქტიკულად ნიშნავდა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხებში რწმუნებულს ეკლესიის შიდა საქმეებში ჩარევის უფლება ჰქონდა. ინსტიტუციური თვალსაზრისით, საქართველოში ჩამოყალიბებული ახალი ორგანო მინისტრთა საბჭოს დაექვემდებარა.

საინტერესოა, როგორი იყო ქართველი სასულიერო პირების დამოკიდებულება რწმუნებულის თანამდებობასთან დაკავშირებით. კერძოდ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხებში, როგორც აღინიშნა, კათოლიკოს-პატრიარქი კატეგორიული წინააღმდეგი იყო საქართველოს ეკლესიაზე კონტროლი განხორციელებულიყო იმ ორგანიზაციის მიერ, რომელსაც რუსეთის ეკლესიის ზედამხედველობა ევალებოდა, თუმცა მას შემდეგ, რაც საქართველოში ეს ორგანო დაარსდა, პატრიარქი საეკლესიო საკითხების მოგვარებას ძირითადად კვლავ მისგან გვერდისავლით ცდილობს და ეკლესიისთვის მნიშვნელოვანი საჭირობო საკითხების მოსაგვარებლად საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასაც მიმართავდა¹. ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საქართველოს საპატრიარქო მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის

¹ აღნიშნულის დასტურს წარმოადგენს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს წერილები საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივან კანდიდ ჩარკვიანისადმი, სადაც აღმრულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მნიშვნელოვანი საკითხები (იხ. ვ. ცინცაძის განცხადება საქ. სსრ კპცკ-ის პირველი მდივნის კანდიდ ჩარკვიანის სახელზე ლოცვანის დასტამბვაზე. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის პირადი არქივი, საქმე №82, ფურც. 1. ვ. ცინცაძის განცხადება საქ. სსრ კპცკ-ის პირველი მდივნის კანდიდ ჩარკვიანის სახელზე საკათალიკოსო სახლის აშენების შესახებ. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის პირადი არქივი, საქმე №83, ფურც. 1; ვ. ცინცაძის განცხადება საქ. სსრ კპცკ-ის პირველი მდივნის კანდიდ ჩარკვიანის სახელზე სიონის

რწმუნებულს უგულვებლყოფდა. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ კათოლიკოს-პატრიარქი ხელისუფლების ორივე წარმომადგენელთან ცდილობდა ნორმალური დამოკიდებულებების შენარჩუნებას, ერთი მხრივ, იგი ცდილობდა ზომიერი და დარეგულირებული ურთიერთობა შეენარჩუნებინა ცენტრალურ ხელისუფლებასთან, მეორე მხრივ კი, ახლადდაარსებულ ინსტიტუციასთან გამოენახა საერთო ენა.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაარსებული ახალი ორგანო მიზნად ისახავდა როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის, ისე სხვა რელიგიური ორგანიზაციების სრულ კონტროლს, ამავე დროს, ნორმალური ურთიერთობა ყოფილიყო სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, რის გამოცდილებაც საბჭოთა სინამდვილეში პრაქტიკულად არ არსებობდა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელობამ სწორად და გონივრულად აუღო ალღო სამთავრობო პოლიტიკის ცვლილებას და მოითხოვა საკუთარი რწმუნებულის აპარატის ჩამოყალიბება, რადგან რუსეთის ეკლესიისთვის განკუთვნილ ორგანოსადმი დაქვემდებარება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიური უფლებების შელახვა იქნებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

ბენდელიანი, მ. (2018). ეკლესიებისა და სამლოცველოების ამოქმედების საკითხი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საქართველოში. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, №XV-XVI, თბილისი, „მერიდიანი“.

ვარდოსანიძე, ს. (2009). სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე (1932-1952 წ.წ.). თბილისი: „ნათლისმცემელი“.

ვარდოსანიძე, ს. (2014). საქართველოს ეკლესია XX საუკუნის 50-70-იან წლებში. – ისტორია შეუღამაზებლად. რედ. როინ მეტრეველი, სერგო ვარდოსანიძე, თბილისი.

ვაჩნაძე, მ. გურული, ვ. (2008). რუსეთის ეკლესიის ისტორია (სალექციო კურსი). ნაწილი მესამე (1900-2001), ნაკვეთი პირველი (1901-1945). თბილისი: „არტანუჯი“.

პავლიაშვილი, ქ. (2008). საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. I.

Anderson, J. (1992). The Archives of the Council for Religious Affairs. // Religion, State and Society. Vol. 20. Nos 3&4.

Shubin, D. (2006). A History of Russian Christianity. Vol IV. Tsar Nicholas II to Gorbachev's Edict on the Freedom of Conscience. New York: Algora Publishing.

Одинцов М. (1999). Русские Патриархи XX века: Судьбы отечества и церкви на страницах архивных документов. Москва, РАГС. об. <http://istmat.info/node/34874>.

Онищенко А. (2011). О роли и значении Совета по делам Русской Православной Церкви в 1943-1953 годах. // Церковь и время. №2 (55).

Совет по делам, 1956, Большая Советская Энциклопедия. 2-е издание. Т. 39. Москва: „Большая советская энциклопедия“.

ტაძრის შეკეთების შესახებ. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის პირადი არქივი, საქმე №84, ფურც. 1; კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს მიმართვა საქართველოს სსრ ცენტრალური კომიტეტის მდივნის კანდიდ ნესტორის ძე ჩარკვიანისადმი საყოველთაო ლოცვანის დაბეჭდვის აუცილებლობის შესახებ. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის პირადი არქივი, საქმე №274, ფურც. 1).

სეა, უიცა, ფ. 1879, ა. 1, ს. 2. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი.

სეა, უიცა, ფ. 1879, ა. 1, ს. 11. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი.

სეა, უიცა, ფ. 1879, ა. 1, ს. 12 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი.

Mikheil Kartvelishvili, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

From the History of the Establishment of the Office of the Counsel of Religious Affairs in Georgia

Summary

The compromise policy pursued by Stalin's government during World War II regarding religious organizations did not at all mean that the state refused to control religion and interfere in its affairs. On the contrary, it has become much more intense, as the Orthodox Church has become a state institution among religious institutions, and if it had previously been perceived as a force opposed by the authorities in the eyes of the local and international community, this time it would have been a state course.

In the reality that in the Soviet Union there was almost no normal approach by the state to cooperation with the Church, it is natural that it was necessary to find a form that would regulate it in such a way that both parties were more or less satisfied with their cooperation.

That is why the central government in 1943 to control better the church, created a new body - the Russian Orthodox Church Affairs Council under the USSR People's Commissar.

The new body established by the Soviet authorities during World War II, on one hand, was intended to take full control of both the Orthodox Church and other religious organizations and, on the other hand, to regulate the relationship between the state and the church, the experience of which in Soviet reality was virtually nonexistent. The leadership of the Georgian Orthodox Church has been correct in changing government policy and has demanded the establishment of its own trustee's office, because submission to the body designated for the Russian Church would amount to violating the autocephalous rights of the Georgian Church.

გიორგი ცომაია

საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლის მეთოდები უკრაინელი ნაციონალისტების წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

საბჭოთა კავშირისთვის მეორე მსოფლიო ომი გამოირჩეოდა არა მარტო უზარმაზარი ადამიანური დანაკარგითა და გიგანტური მატერიალური ზარალით, არამედ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ანტისაბჭოური ორგანიზაციებისა და ანტისაბჭოური იდეების მაღალი დონით: ტყის ძმები ბალტიისპირეთის ქვეყნებში, გენერალ ვლასოვის რუსული განმანთავისუფლებელი არმია, კაზაკური შენაერთები და უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაცია. ეს გაერთიანებები გამოირჩეოდა დანარჩენი კოლაბორაციონისტული შენაერთებისგან, რომლებიც შექმნილი იყო მესამე რაიხის მიერ. მათმა უმრავლესობამ ლოგიკური მიზეზების გამო არსებობა შეწყვიტა ომის დასრულების შემდეგ. მაგრამ დარჩა ორი ორგანიზაცია, რომლებიც მოქმედებდნენ 1945 წლის შემდეგ წლების განმავლობაში - უკრაინელი ნაციონალისტები და ტყის ძმები ბალტიისპირეთში. ვინაიდან საუბარი ტყის ძმებზე შორს წაგვიყვანს სტატიის თემიდან, ვერ ვისაუბრებ იმ ვითარებაზე, რომელიც იყო ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში.

რამდენიმე სიტყვა იმის თაობაზე, თუ რა მდგომარეობა იყო უკრაინაში 1945 წლის შემდეგ. პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ უკრაინა მთლიანად არ შედიოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. რიგის სამშვიდობო ხელშეკრულების (Белов, 1959, გვ. 619) მიხედვით, პოლონეთის შემადგენლობაში შედიოდა დასავლეთ უკრაინა და დასავლეთ ბელორუსიის ნაწილი. დასავლეთ უკრაინის მცხოვრებლები თავისთავად არ მიიჩნევდნენ თავს პოლონელებად და არ თვლიდნენ, რომ დასავლეთ უკრაინა პოლონეთის ტერიტორიაა. შესაბამისად, ანტიპოლონური მოძრაობის შექმნა მხოლოდ დროის საკითხი იყო. ამჯერად არ ვისაუბრებ იმაზე, თუ როგორი და რანაირი უკრაინული პატრიოტული ორგანიზაციები არსებობდა უკრაინაში. ვიტყვი მხოლოდ, რომ 1929 წლის 28 იანვრიდან 2 თებერვლამდე ჩატარდა უკრაინელი ნაციონალისტების დიდი ყრილობა (დოკუმენტების კრებული, 1955, გვ. 3), რომლის შედეგადაც დაარსდა უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაცია (უნო), რომელიც აიგო ზეპარტიულობის, მონოკრატუზმისა და სრულიად უკრაინელობის პრინციპებზე. თავდაპირველად მათი საქმიანობა მიმართული იყო პოლონეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. არ დავიწყებ საუბარს მათი საქმიანობის შესახებ იმ პერიოდში, უბრალოდ აღვნიშნავ, რომ უნო საკმაოდ დიდ და სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა პოლონური ხელისუფლებისთვის. მათი ყველაზე ხმამაღალი აქცია იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელძღვანელის, ბრონისლავ პერაცკის, მკვლელობა. გარდა ამისა, უამრავ პოლონელ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეზე თავდასხმა.

გასაგებია, რომ პოლონეთში უნო-ს ჰქონდა მომხრეთა დიდი ქსელი. სრულიად გასაგები მიზეზების გამო ასეთი ქსელის არსებობა შეუძლებელი იყო საბჭოთა კავშირში, კერძოდ, საბჭოთა უკრაინის ტერიტორიაზე. უკრაინელი ნაციონალისტები ამტკიცებდნენ, რომ საბჭოთა უკრაინაში ძალიან ძნელია ისეთივე მასშტაბით მოქმედება, როგორც ისინი მოქმედებენ პოლონეთში, რაც სავსებით ლოგიკურია. თუმცა, რაც უფრო უახლოვდებოდა მეორე მსოფლიო ომი საბჭოთა კავშირის ტერიტორიას, მით უფრო აქტიურდებოდნენ უკრაინელი ნაციონალისტები. მაგალითისთვის შემიძლია მოვიყვანო უნო-ის სალაშქრო ჯგუფები. ასეთი ჯგუფების (Энциклопедія, 2011, გვ. 461) მიზანი იყო საბჭოთა უკრაინის ტერიტორიაზე ყველა დასახლებულ პუნქტში შესვლა და პროუკრაინული

თვითმმართველობის ორგანოების შექმნა. ამგვარ ჯგუფებს დიდი ინტერესით უსმენდნენ უკრაინულ სოფლებსა და ქალაქებში (Мельник, Лащенко, Верига, 1985, გვ. 97), რაც, ჩემი აზრით, იმას მოასწავებდა, რომ საბჭოთა უკრაინაში კომუნიზმის იდეას არ ჰქონდა ღრმად გადმული ფესვები უკრაინულ საზოგადოებაში. და ის რომ უკრაინელი ნაციონალისტები აგრძელებდნენ თავის საქმიანობას 1945 წლის შემდეგ, სწორედ ამას ადასტურებს.

თუ როგორ მოქმედებდნენ უკრაინელი ნაციონალისტები საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, შორს არის სტატიის თემისგან და არ შევხები. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ეს იყო ძირითადად პარტიული აქტივისტების მკვლევლობები, თავდასხმა სამეურნეო ობიექტებზე - მოკლედ ყველაფერი ის, რაც აკეთებდნენ უკრაინელი ნაციონალისტები პოლონეთში. საბჭოთა კავშირში ბრძოლა ოკუპანტის წინააღმდეგ განსხვავდება იმ ბრძოლისგან, რომელსაც ახორციელებდნენ უკრაინელი ნაციონალისტები პოლონეთში. პოლონური ხელისუფლება არ ასახლებდა მასობრივად მის მიმართ კრიტიკულად განწყობილ მოქალაქეებს, არ ატარებდა მასობრივ სამხედრო აქციებს და ასე შემდეგ. საბჭოთა ხელისუფლება კი ყველაფერ აღნიშნულს იყენებდა უკრაინელი ნაციონალისტების გასანადგურებლად.

პირველ ყოვლისა, მინდა ვახსენო მასობრივი გადასახლებები. გასაგები მიზეზების გამო დასავლეთ უკრაინის მოსახლეობა მხარს უჭერდა უკრაინელ ნაციონალისტებს. სწორად აქედან იღებდნენ უნო-ის წევრები დახმარებას. დასავლეთ უკრაინის მცხოვრებნი ამარაგებდნენ მათ საკვებით, სწორად დასავლეთ უკრაინის მცხოვრებთაგან იღებდნენ ისინი თავიანთ რიგებში ახალ მებრძოლებს. რატომ? თუ გავითვალისწინებთ, რომ თავდაპირველად ეს ტერიტორია შედიოდა პოლონეთის შემადგენლობაში, რომელიც ატარებდა თავის პოლიტიკას იქ მცხოვრები უკრაინელების მიმართ და მერე ეს ტერიტორია შევიდა საბჭოთა კავშირში, სადაც ახალი დაწყებული იყო კოლექტივიზაციის პროცესი, უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს იქ უკრაინელი ნაციონალისტების მაღალი აქტივობა. ჩემი აზრით, სწორად საბჭოთა სისტემაში ყოფნის მცირე ვადამ განაპირობა (ასე გავიგე) დასავლეთ უკრაინაში ასეთი წინააღმდეგობა. საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი პასუხი იყო მასობრივი გადასახლებები.

უკრაინელების გადასახლების ინსტრუქცია პირველ აქციასთან დაკავშირებით მიიღეს 1944 წლის 5 აპრილს (Білас, 1994, გვ. 503), ამ ინსტრუქციის თანახმად, აქტიური მემობოხეები და უნო-ის წევრთა ოჯახები უნდა გადაესახლებინათ კრასნოიარსკის მხარეში, ომსკის, ნოვოსიბირსკისა და ირკუტსკის ოლქების შორეულ რაიონებში. ინსტრუქციაში ასევე ეწერა, რომ გადასახლებას ექვემდებარებოდნენ უნო-უპა-ის შემდეგ თანამდებობებზე მომუშავეები: უნო-ის უსაფრთხოების სამსახურის კომენდანტები, კომენდანტთა თანამდებობები, უნო-ის რაიონული და ზერაიონული ხელმძღვანელები, ასეულის მეთაურები, სტანიცების ხელმძღვანელები, უნო-ის კომენდანტები, კურენების მეთაურები, მეურნეები, კავშირის შეფები და რეფერენტები, ბანდების აქტიური წევრები. საბჭოთა ხელისუფლებისთვის ეს ლოგიკური გადაწყვეტილება იყო, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მოსახლეობის უმრავლესობა დასავლეთ უკრაინაში უკრაინელ ნაციონალისტებს ემხრობოდა და ყველანაირად ეხმარებოდა მათ. ამ აქციის შედეგად ვოლინის, დროგობიჩის, ლვოვის, როვენის, სტანისლავის, ტერნოპოლის ოლქებიდან 4724 ოჯახი ანუ 12762 ადამიანი გადასახლეს (Бажан, 2013, გვ. 340). 1947 წლამდე, საერთო ჯამში, განხორციელდა გადასახლებების რამდენიმე ტალღა. 1945 წელს გადასახლებული იყო 2612 ოჯახი, ანუ 6350 ადამიანი. საერთოდ, 1944-1946 წლებში გადასახლეს (Вронська, 2009, გვ. 362) 14728 ოჯახი (36608 ადამიანი), რომლის წევრები უნო-უპა-ის მონაწილეები იყვნენ.

მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ იყო საკმარისი უკრაინელი ნაციონალისტების ჩასახმობად და 1947 წელს მიიღეს გადაწყვეტილება ფართომასშტაბიანი აქციის ჩასატარებლად. გადასახლების ოპერაციას ეწოდა „დასავლეთი“ (Бажан, 2013, გვ. 343). 1947 წლის 21

ოქტომბერს, ღამით, დასავლეთ უკრაინის ქალაქებში დაიწყო ოჯახთა დაკავება და მათი გადაყვანა სარკინიგზო სადგურებზე. ლვოვის ოლქი, ვოლინის ოლქი, როვენის ოლქი, სტანისლავის ოლქი, ჩერნოვიცკის ოლქი - ასეთი იყო ოპერაციის არეალი. ოპერაციის შედეგად (Сливка, 1998, გვ. 289) გადაასახლეს 26682 ოჯახი (76192 ადამიანი), უფრო კონკრეტულად 18866 მამაკაცი, 35152 ქალი, 22174 ბავშვი. მიუხედავად ამისა, როგორც ცნობილია, უკრაინელი ნაციონალისტები არ დანებდნენ, მათი მხარდაჭერის დონე არ შემცირდა და წლების განმავლობაში უნო-უპა-ის წევრები კიდევ „აწუხებდნენ“ საბჭოთა ხელისუფლებას. რა თქმა უნდა, ოჯახების გადასახლების გარდა, საბჭოთა ხელისუფლებამ სხვა საშუალებებსაც მიმართა, რათა თავისი კონტროლი დასავლეთ უკრაინაზე უ(მ)ფრო გაემძლიერებინა.

საბჭოთა ხელისუფლება უკრაინელი ნაციონალისტების პრობლემის მოსაგვარებლად იყენებდა ეგრეთ წოდებულ სპეცჯგუფებს, რომლებიც მოქმედებდნენ 1948 წლის ივლისიდან 1949 აპრილის განმავლობაში, მათ დააკავეს და გაანადგურეს 1447 უკრაინელი ნაციონალისტი და მათი მხარდამჭერი (Кульчицкий, 2005, გვ. 427). ჩანაფიქრის მიხედვით, ასეთ ჯგუფებს უნდა შეეღწია უნო-ის შიგნით, შეექმნა ქაოსი და უნდობლობის ატმოსფერო. მაგრამ ჩანაფიქრმა ვერ გაამართლა. საქმე ის იყო, რომ ხშირ შემთხვევაში ასეთი ჯგუფები არღვევდნენ კანონებს და მორალურადაც იშლებოდნენ. შესაბამისად, ვინაიდან ასეთი ჯგუფები უფრო მეტ პრობლემას ქმნიდა, ვიდრე აგვარებდა, 1949 წლის აპრილში უკრაინის სახელმწიფო უსაფრთხოებამ აკრძალა ამგვარი ჯგუფების გამოყენება.

1946 წლის იანვრიდან აპრილამდე საბჭოთა ხელისუფლებამ ჩაატარა ოპერაცია სახელწოდებით „დიდი ბლოკადა“ (Архипрейський და სხვ. 2002, გვ. 748), რომლის შედეგადაც საბჭოთა ჯარები შევიდნენ ამიერკარპატიისა და კარპატიის მხარეს ყველა დასახლებულ პუნქტში, რის შემდეგაც უკრაინელი ნაციონალისტების რაოდენობა იქ შემცირდა 40-60 %-ით. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, იანვარში ლვოვის ოლქში მოკლეს 771 ადამიანი და ტყვედ აიყვანეს 4732 ადამიანი, იარაღი დაყარა 4335 ადამიანმა, დროგობიჩის ოლქში მოკლეს 876, ტყვედ აიყვანეს 1729 და იარაღი დაყარა 3677 ადამიანმა, სტანისლავის ოლქში 994 მოკლეს, 1323 ტყვე აიყვანეს და 1155 ადამიანმა იარაღი დაყარა, ვოლინის ოლქში ტყვედ აიყვანეს 400 ადამიანი და იარაღი დაყარა 636 ადამიანმა, ტერნოპოლის ოლქში 461 ტყვე აიყვანეს და 438 ადამიანმა იარაღი დაყარა, ჩერნოვიცკის ოლქში 198 და 604 ადამიანი შესაბამისად (Кульчицкий, 2005, გვ. 376).

გარდა ამისა, საბჭოთა ხელისუფლება ებრძოდა უკრაინელ ნაციონალისტებს ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ ეგრეთ წოდებულ წესრიგის დაცვის ჯგუფებს. 1949-52 წლებში (ცომაია, 2011, გვ. 60) უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს სხდომებზე დაცვის ჯგუფების საქმიანობისა და მათი გამოყენების საკითხი ექვსჯერ იყო განხილული. 1949 წლის 15 მარტისთვის უკრაინის დასავლეთ ტერიტორიაზე მოქმედებდა 6544 დაცვის ჯგუფი, რომელთა პირადი შემადგენლობა შეადგენდა 86640 მებრძოლს. მათი ძირითადი დანიშნულება იყო კოლმეურნეობისა და კოლმეურნეობის ქონების დაცვა ნაციონალისტების თავდასხმებისგან. 1949 წლის 1 იანვრიდან 15 მარტამდე დაცვის ჯგუფებმა მოიგერიეს 17 თავდასხმიდან 11 და 1948 წლის აგვისტოდან 1949 წლის 15 მარტამდე ამ ჯგუფების წევრებმა მოკლეს 84 და ტყვედ აიყვანეს 80 უნო-ის და უმა-ის წევრი. გარდა ამისა, მათ დააკავეს ნაციონალისტების 288 მომხრე.

თავისთავად შეიარღვებული ბრძოლა არ იყო საბჭოთა კავშირის ერთადერთი ხერხი. როგორც ვიცით, უკრაინელი გლეხები ნაციონალისტების მატერიალურ ბაზას წარმოადგენდნენ. შესაბამისად, უკრაინულ გლეხობაზე იზრდებოდა წნეხი, ვინაიდან მათი დამორჩილება უკრაინელი ნაციონალისტების დასუსტებას ნიშნავდა. რა თქმა უნდა, ვგულისხმობ კოლმეურნეობების შექმნას. 1949 წელს 25 აპრილს უკრაინის კომპარტიის

პოლიტიკურად მიიღო დადგენილება „მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ნაკლოვანებების შესახებ დასავლეთ იმიერკარპატიის ოლქში და ოლქის სოფლებში“ (Сохань, 1987, გვ. 365). დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ გლეხებთან პოლიტიკურ მუშაობაში იყო სერიოზული ხარვეზები, რაც უარყოფითად აისახებოდა კოლექტივიზაციის პროცესზე; ასევე აღნიშნული იყო სოფლებში აქტივისტების სიმცირე; ეწერა ისიც, რომ სოფელში პოლიტიკური მუშაობა არ იყო მიმართული ნაციონალისტების ქმედებების აღმოფხვრაზე და ადგილობრივი მოსახლეობა ნაკლებად იყო ამაში ჩართული. უკრაინის ლიდერები არ აპირებდნენ შუაგზაზე გაჩერებას და კოლექტივიზაციის სრულად ჩატარებას აპირებდნენ.

როგორც ზემოაღნიშნული მაგალითები გვიჩვენებს, საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა უფრო მცირერიცხოვანი ნაწილებითა და გაძლიერებული პროპაგანდით ვითარების გამოსწორებას. საბჭოთა შეიარაღებული ძალებიც ჩართული იყო უკრაინელი ნაციონალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ლვოვის ოლქებისა და კარპატიპირეთის ტერიტორიაზე შექმნილი იყო სამხედრო ოლქები, რომელთა ფარგლებში ყოველ დასახლებულ პუნქტში იდგა სამხედრო გარნიზონები და მობილური რაზმები. ისინი ჯავშანმანქანებით იყო აღჭურვილი, მათ ევალებოდა ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების დაცვა, ასევე მონაწილეობა მეამბოხეთა წინააღმდეგ ოპერაციებში. ამ მობილურმა ჯგუფებმა და სამხედრო შენაერთებმა (Кульчицкий, 2005, გვ. 385) 1945 წლის 1 ოქტომბრიდან 20 ნოემბრის ჩათვლით განახორციელა 31 ოპერაცია უკრაინელი ნაციონალისტების წინააღმდეგ. შედეგად, განადგურდა 146 ადამიანი, დაიჭრა 13 და დააკავეს 969.

გარდა ამისა, საბჭოთა ხელისუფლება დევნიდა და ანადგურებდა უკრაინელი ნაციონალისტების ხელმძღვანელობას. რა თქმა უნდა, ვგულისხმობ სტეპან ბანდერას მკვლელობას, რომელიც მოხდა 1959 წლის 15 ოქტომბერს, ლევ რებეტის მკვლელობას - 1957 წლის 12 ოქტომბერს. მაგრამ ამ ორი ადამიანის - განსაკუთრებით სტეპან ბანდერას - მკვლელობით საბჭოთა ხელისუფლება ვერ დაასუსტებდა უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციას ან მათ საქმიანობას. საქმე იმაშია, რომ მოკლულები არ იმყოფებოდნენ უშუალოდ უკრაინაში და ვერ მართავდნენ სიტუაციას, მათ არ ჰქონდათ გააწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა. სამაგიეროდ, ადამიანის, რომელსაც ყველაფერი ზემოაღნიშნული ეხება,¹ ლიკვიდაცია საბჭოთა ხელისუფლებამ მხოლოდ 1950 წელს მოახერხა, კერძოდ, 5 მარტს (Богун, Боряк, Кокін, 2007, გვ. 512).

ეს არ იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც საბჭოთა სპეცსამსახურებმა გაანადგურეს მაღალი დონის უკრაინელი ნაციონალისტები. მაგალითად, 1945 წლის პირველ ნახევარში ამ ოპერაციებს უნო-უმ-ის ბევრი მეთაური და ხელმძღვანელი შეეწირა (Кульчицкий, 2005, გვ. 377). იმ დროს ყველაზე მნიშვნელოვან და სერიოზულ დანაკარგად მიიჩნეოდა დ. კლიაჩისკის (უმ-ჩრდილოეთის მეთაური და უნო-ის ხელმძღვანელი დასავლეთ უკრაინის ჩრდილოეთში) მკვლელობა, რომელიც მოხდა 12 თებერვალს. ამასთან ერთად, უმა-ჩრდილოეთმა დაკარგა 30 ასეულის მეთაური და 6 ათეულის მეთაურები. გარდა ამისა, დახოცეს უმა-ის ჩრდილო-დასავლეთ ჯგუფის ხელმძღვანელი იუ. სტელმაშუკი, უნო-ბ (სტეპან ბანდერას მომხრეები) ცენტრალური კომიტეტის წევრი პ. დუჟი და მისი ძმა მ. დუჟი, რომელიც ჟურნალ „მეამბოხეს“ რედაქტორი და უმა-ის ქვეითი სტატუსის ავტორი იყო; მოკლეს ე. მიროსლავი, რომელიც ტიპოგრაფიის ხელმძღვანელი და უნო-ის სამეურნეო რეფერენტი იყო და ა. შ.

სტალინის სიკვდილის შემდეგ ვითარება შეიცვალა: საბჭოთა ხელისუფლებამ სცადა მეთოდების შეცვლა. 1953 წლის 5 მარტს, როდესაც გარდაიცვალა იოსებ სტალინი, უკრაინაში სერიოზული ცვლილებები დაიწყო. მარტის შუახანებში გაერთიანებული სუს-ისა და შსს-ს ხელმძღვანელმა ლ. ბერიამ საბჭოთა უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნა პ. მეშკი.

¹ საუბარია რომან შუხევიჩზე, უკრაინელი მეამბოხეთა არმიის სარდალზე.

მეშვიკმა შეცვალა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ყველა ხელმძღვანელი და 25 საოლქო ხელმძღვანელიდან - 18. მოგვიანებით სახელმწიფო უშიშროების ადგილობრივმა ორგანოებმა მიიღო ბრძანება შსს-ს ადგილობრივი ხელმძღვანელის თანხმობის გარეშე შინაგანი ჯარების გამოუყენებლობის შესახებ. აიკრძალა უნო-ის წევრების დაკავება შსს-ს სანქციის გარეშე და პრიორიტეტულად გამოცხადდა მეამბოხეების ცოცხლად აყვანა. შეჩერდა მეამბოხეებისთვის სასიკვდილო განაჩენი (Кульчицкий, 2005, გვ. 435). ყოველივე ეს ეფუძნებოდა ლ. ბერიას წინადადებებს, რომლებიც აისახა სკკპ ცკ-ის პოლიტიბუროს 1953წ. 26 მაისის დადგენილებაში დასავლეთ უკრაინის ოლქებში არსებული მდგომარეობის შესახებ (Яковлев, Наумов, Сигачев, 1999, გვ. 46-49). საბჭოთა ხელისუფლებას სურდა მეამბოხეების დარწმუნება, რომ მათ უარი ეთქვათ ტერორისტულ საქმიანობაზე და საბჭოთა ხელისუფლებასთან კომპრომისის ძებნა დაეწყოთ. ბერიას დავალებით, უკრაინის შსს-მ დაიწყო წერილის მომზადება, რათა შეეთავაზებინა ვ. კუკისთვის ტერორისტული საქმიანობის შეჩერება და ლეგალიზაცია. საბჭოთა ხელმძღვანელობა იძლეოდა სიცოცხლის შენარჩუნების, თავისუფლებისა და დასაქმების გარანტიას. შესაძლებლად იყო ჩათვლილი აღმოსავლეთში გადასახლებული ოჯახებისა და ცნობილი საეკლესიო მოღვაწეების დაბრუნება (Кульчицкий, 2005, გვ. 435.).

1953 წლის 2-4 ივნისს კიევში ჩატარდა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა სკკპ ცკ-ის პოლიტიბუროს 1953წ. 26 მაისის დადგენილება და „ამხანაგ ლ. პ. ბერიას მოხსენება სკკპ ცკ პრეზიდიუმში“. პლენუმის შედეგად მიღებულ დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სუსტმა პარტიულმა მუშაობამ და სუსტმა ხელმძღვანელობამ განაპირობა უკრაინის დასავლეთი რეგიონების მოსახლეობაში არსებული უკმაყოფილება სამეურნეო, სოციალური და პოლიტიკური ღონისძიებებით. ყურადღება მიექცა იმ გარემოებასაც, რომ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში თითქმის ყველა ხელმძღვანელი თანამდებობა ეკავათ აღმოსავლეთ უკრაინისა და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებს, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა ძირითადად მიმდინარეობდა რუსულ ენაზე. დადგენილებაში აღინიშნა ისიც, რომ ნაციონალისტურ იატაკქვეშეთთან ბრძოლაში ხშირი იყო რეპრესიები და ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციები, რომლებიც მოსახლეობის გაღიზიანებას იწვევდა და ბურჟუაზიულ ნაციონალისტებთან ბრძოლას ზიანს აყენებდა. პლენუმის გადაწყვეტილებით, უკრაინის კომუნისტური პარტიის პირველი მდივნის თანამდებობიდან გაათავისუფლეს ლ. მელნიკოვი. გარდა ამისა, დაიგეგმა ღონისძიებები ვითარების შესაცვლელად; კერძოდ, საჭიროდ მიიჩნიეს ადგილობრივი მოსახლეობისა და, პირველ ყოვლისა, ინტელიგენციის ჩართვა უკრაინაში მიმდინარე ყველა პროცესში (Кульчицкий, 2005, გვ. 436). მაგრამ ლავრენტი ბერიასა და მისი თანამოაზრეების დახვრეტვის გამო (პ. მეშვიკი დახვრეტეს) ბევრი ზემოაღნიშნული ინიციატივა არ იყო ბოლომდე (სიცოცხლეში) მიყვანილი.

რომ შევაჯამოთ თითოეული მეთოდის შედეგიანობა, მივიღებთ საკმაოდ საინტერესო სურათს. ვერც ერთმა აქციამ ვერ მიაღწია სათანადო შედეგს - უკრაინელი ნაციონალისტების საბოლოო განადგურებას. მიზნები კი, ჩემი აზრით, შემდეგი იყო:

1. ადგილობრივი კომუნისტური ხელმძღვანელობის პროფესიონალიზმის დაბალი დონე. როგორც ცნობილია, კომუნისტები არ ატარებდნენ, ან საკმარისი რაოდენობით არ ატარებდნენ აგიტაციურ ღონისძიებებს დასავლეთ უკრაინის დასახლებულ პუნქტებში. ვფიქრობ, ეს ყოველივე განაპირობა მათმა უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ საქმის მიმართ.

2. უკრაინელ ნაციონალისტ ლიდერთა განადგურება, ჩემი აზრით, არსებითად არ ცვლიდა ვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია უკრაინელ ნაციონალისტებთან ბრძოლაში, მეთაურთა მკვლელობები

მნიშვნელოვნად (არსებითათ) არ აზიანებდა თავად მოძრაობას. საქმე ისაა, რომ უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაცია და უკრაინელ მეაზობეთა არმია არ იყო ორიენტირებული (და არ იყო შექმნილი) გარკვეული პერსონის ირგვლივ, ვინაიდან ნაციონალისტებს მხოლოდ დამოუკიდებელი უკრაინის იდეა ამოძრავებდა.

3. მასობრივი გადასახლებები. ამ ოპერაციებმა ვერ გაამართლა, რადგან მაშინ საჭირო იყო საბჭოთა ხელისუფლებას დასავლეთ უკრაინის მთელი მოსახლეობა გადაესახლებინა სსრკ-ის შორეულ რაიონებში, ვინაიდან, როგორც ვიცით, უკრაინელ ნაციონალისტებს ადგილობრივი მოსახლეობა ყოველთვის მხარს უჭერდა.

4. მასობრივმა სამხედრო აქციებმა ვერ მიუტანა სათანადო შედეგი საბჭოთა ხელისუფლებას იმის გამო, რომ პარტიზანული რაზმების განადგურება, ვერ აგვარებდა ბოლომდე პრობლემას. მართალია, „დიდი ბლოკადის“ შედეგები საკმაოდ შთაბეჭდავი იყო, მაგრამ არასაკმარისი უკრაინელი ნაციონალისტების ბოლომდე გასანადგურებლად.

5. ლავრენტი ბერიას არაერთი ინიციატივა. აქ ყველაფერი მარტივია, ამ ინიციატივათა განხორციელება შეწყდა მას შემდეგ, რაც ლავრენტი ბერია და მისი მომხრეები დახვრიტეს 1953 წელს.

6. რაც შეეხება წარმატებებს. წარმატებულად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ის ოპერაციები, რომლებიც მომზადებული იყო აგენტურული მუშაობის შედეგად, მაგალითად, რომან შუხევიჩის მკვლელობა. საერთოდ, უკრაინელი ნაციონალისტების ბევრმა რაზმმა შეწყვიტა არსებობა სწორად აგენტურული მუშაობის გამო; ასევე წარმატებული ნაბიჯი იყო წესრიგის დაცვის ჯგუფების გამოყენება, ვინაიდან ისინი დაკომპლექტდა ადგილობრივი მოსახლეობით; მათ იცოდნენ ის ტერიტორია, რომელზეც მოქმედებდნენ თვითონ და უკრაინელი ნაციონალისტების რაზმები. ისინი მათგან იცავდნენ თავიანთ ტერიტორიას. მაგრამ უმთავრესი მიზეზი (მიზანი?), თუ რატომ დამარცხდა უკრაინელი ნაციონალისტების მოძრაობა, ვფიქრობ, იყო დრო. დროთა განმავლობაში ნაციონალისტები კარგავდნენ მებრძოლებს, მეთაურებს, სამალავებს; ძნელი ხდებოდა ახალი მებრძოლების, ახალი იარაღისა და ტყვია-წამლის შეძენა. ამასთან ერთად, შემცირდა მათი მხარდაჭერა სოფლებში არა მარტო კოლმეურნეობების შექმნის გამო, უბრალოდ მოსახლეობა ხვდებოდა, რომ კომუნისტების მოცილება ვერ მოხდებოდა და მათთან შერიგება-შეგუება აირჩია. ასეთ ვითარებაში უკრაინელი ნაციონალისტები მარცხისთვის განწირული იყვნენ. მაგრამ უახლესი მოვლენები უკრაინის რელობაში გვიჩვენებს, რომ მათი ისტორია არ არის დავიწყებული თანამედროვე უკრაინაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ცომაია, გ. (2011). უკრაინული ნაციონალისტური მოძრაობა (1923-1956 წწ). სამაგისტრო ნაშრომი თბილისი. თსუ.
2. Архієрейський, Д. (2002). Політичний терор і тероризм в Україні XIX–XX ст.: Історичні нариси. Інститут історії України НАН України. Київ, Наукова думка.
3. Бажан, О. (2013). Операція Захід: до 75-річчя депортації населення Західної України у віддалені райони Київ, Україна XX ст.: культура, ідеологія, політика. Київ. Наукове видання.
4. Белов, Г. 1959. Документы внешней политики СССР. Т. 3. 1 июля 1920 г. 18 марта 1921 г. Москва. Госполитиздат.
5. Білас, І. (1994). Репресивно-каральна система в Україні 1917–1953. Суспільно-політичний та історико-правовий аналіз: У 2 кн. Книга друга. Київ. Либідь.

6. Богунов, С. (2007). Роман Шухевич у документах радянських органів державної безпеки (1940–1950). Т. 2. Київ. Інститут національного державознавства.
7. (1955). Бібліотека Українського Підпільника Ч. 1. ОУН в світлі постанов Великих Зборів. Конференцій та інших документів з боротьби 1929-1955 гг.
8. Вронська, Т. (2009). Заручники тоталітарного режиму: репресії проти родин "ворогів народу" в Україні (1917-1953 рр.). Київ. Інститут історії України.
9. Смолій, В. (2011). Енциклопедія історії України: Т. 8. Па – Прик. Київ. НАН України. Інститут історії України. Наукова думка.
10. Кульчицький, С. (2005). Організація українських націоналістів і Українська повстанська армія. Історичні нариси. Київ. Наукова думка.
11. Мельник, К. (1985). На зов Києва. Український націоналізм у II світовій війні. Торонто-Нью-Йорк. Видавництво Новий Шлях.
12. Сливка, Ю. (1999). Депортації. Західні землі України кінця 30-х- початку 50-х рр. Документи, матеріали, спогади. У трьох томах. Львів. Інститут українознавства НАН України.
13. Сохань, П. (1987). Літопис УПА. Нова серія. Т. 3. Торонто. Літопис УПА.
14. Яковлев А. (1999). Россия. XX век. Документы. Лаврентий Берия. 1953. Стенограмма июльского пленума ЦК КПСС и другие документы. Москва. МФД.

Giorgi Tsomaia

Soviet government's ways of fighting against Ukrainian nationalists after the Second World War

Summary

In this article I analysed Soviet government's ways of fighting against Ukrainian nationalists, following results and Ukrainian nationalists' response.

I examined how the Soviet government was preparing for deportations, how intense those deportations from Western Ukraine were, who was subject to deportation and the total number of the deported.

I analysed large-scale military operations conducted against Ukrainian nationalists and following results.

I also examined how successfully the Soviet Union used its network of intelligence services, how effective the Soviet agents were in operations against the leaders of Ukrainian nationalists.

I looked at how actively and efficiently the resources of the Communist Party were used, how many activists were sent to the Western Ukrainian villages, how the process of collectivization and the spread of communist ideas among Ukrainian peasants was working.

I examined Ukrainian nationalists' long-time resistance to the Soviet government and why the Soviet government changed the ways of fighting, among which were punitive methods and more.

სანდრო სონღულაშვილი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რუსეთის პარტიული სისტემის პოსტსაბტოთა ტრანსფორმაცია და მისი დინამიკა

პოსტსაბტოთა პერიოდში, ბორის ელცინის მმართველობისას, რუსეთის შიდაპოლიტიკური სტრუქტურა გამოირჩეოდა პარტიული სისტემის არასტაბილურობით. იმის გამო, რომ ქვეყანა ცდილობდა საბტოთა კომუნისტური პარტიის მმართველობის შემდეგ ფაქტობრივად ახლიდან დაეწყო პოლიტიკური ცხოვრება, რამდენიმე ცდა განხორციელდა 1990-იან წლებსა თუ 2000 წლის შემდეგ, რათა ჩამოყალიბებულიყო მდგრადი პარტიული სისტემა. საბოლოო ჯამში, თუკი მდგრადობასა და სტაბილურობაში ვიგულისხმებთ იმ ფაქტს, რომ 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ბარიერის გადალახვა მხოლოდ ოთხმა ერთმა და იმავე პარტიამ მოახერხა და რუსეთის პარლამენტიც დღემდე ძირითადად სწორედ მათი წევრებით არის დაკომპლექტებული, უნდა ითქვას, რომ მიზანი მიღწეულ იქნა. საინტერესოა, ეს შედეგი რამდენად არის დემოკრატიულ პროცესებთან ახლოს.

რუსეთის პარტიული სისტემის მკვლევარი და თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული პოლიტოლოგი ვლადიმერ გელმანი განასხვავებს რუსეთში პუტინის მმართველობამდე და მისი მმართველობის შემდგომ პერიოდს პარტიული სისტემის ნაირსახეობის თვალსაზრისით. მისი აზრით, 1990-იან წლებში რუსეთის პოლიტიკური სივრცე იყო კონკურენტული, თუმცა „არაპარტიული“, 2000-იანი წლები გახდა არაკონკურენტული, თუმცა „პარტიული“ (Гельман, 2008, გვ. 137). ცნებებში „პარტიული“ და „არაპარტიული“ ავტორი გულისხმობს პარტიის უმთავრეს მნიშვნელობას, ცნებაში „პარტიული“ კი - პარტიის ზეგავლენის ხარისხს პოლიტიკურ პროცესებზე, როდესაც არჩევნებში წარმატების მიღწევის შემთხვევაში მისი წევრები ინიშნებიან აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალ თანამდებობებზე, სახელმწიფო ბიუროკრატიაზე პარტიას აქვს გავლენა და ა.შ. ხოლო ცნებაში „არაპარტიული“, გელმანის მიხედვით, იგულისხმება ის ფაქტი, რომ რეალურად როგორც ელცინის მმართველობის პირობებში პარტიებს „ჩვენი სახლი-რუსეთი“ და „რუსეთის არჩევანი“, ისე სახელისუფლო პარტიას თითქმის არანაირი ბერკეტი არ გააჩნდა სახელმწიფოს მმართველობასა და მის კურსზე ზეგავლენის მოსახდენად და მხოლოდ ფორმალური ფუნქციები ჰქონდა. გარდა ამისა, თავად იმჟამინდელი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტიც ემიჯნებოდა პარტიულ კუთვნილებას და პირიქით, ზემოაღნიშნული პარტიები ცდილობდნენ თავი წარმოეჩინათ, როგორც პროსაპრეზიდენტო.

ფაქტია, სახელისუფლო მმართველობის ტიპი გარკვეულწილად განსაზღვრავს პარტიული სისტემის ნაირგვარობას. ელცინის მმართველობის პერიოდში სხვადასხვა საინიციატივო ჯგუფს თითქმის არანაირი შეზღუდვა არ გააჩნდა, რომ პოლიტიკურ პარტიად დარეგისტრირებულიყო, ხოლო თავად პარტიებს მონაწილეობის მიღება შეეძლოთ არჩევნებში განურჩევლად იმისა, ჰქონდათ თუ არა რეგიონალური ორგანიზაციები და თავად პარტიაში რამდენი წევრი შედიოდა. შესაბამისად, მრავალმა ჯგუფმა თუ ორგანიზაციამ შეძლო არჩევნებში მონაწილეობა და არაერთი ისეთი პარტია შევიდა პარლამენტში, რომლებიც უკვე პუტინის მმართველობის შემდეგ უკვალოდ გაქრა რუსული პოლიტიკური სივრციდან.

როგორც აღინიშნა, სახელისუფლო პარტიებს არათუ არ ჰქონდათ მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერა 1990-იან წლებში, არამედ, მიუხედავად ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერისა, ისინი ვერ ახერხებდნენ საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობის მოპოვებას. თუმცა 1999 წლის მიწურულს პრეზიდენტის ცვლილებასთან ერთად რუსეთის პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდა სახელისუფლო პარტია, რომელიც წინამორბედებთან შედარებით მეტი სიმტკიცით, გავლენითა და მოსახლეობის მხრიდან მხარდაჭერით გამოირჩეოდა. ამ ნაშრომში (მოცემულ თავში) საუბარი იქნება სწორედ პროსახელისუფლო პარტიებზე, რომლებიც შეიცვალნენ სხვადასხვა პერიოდში თავიანთი სპეციფიკისა და პოლიტიკურ პროცესებზე ზეგავლენის ხარისხის მიხედვით, ასევე - ამ პარტიათა დამახასიათებელ ნიშნებზე.

რუსეთში პარტიული სისტემის წარმოქმნის პირველი ეტაპი დაიწყო 1980-იანი წლების ბოლოს, როდესაც შეიქმნა პროტოპარტიები ¹ : „დემოკრატიული პლატფორმა“, „დემოკრატიული პარტია“ და „რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია“. ისინი ძირითადად იყვნენ ლიდერზე ორიენტირებული პარტიები (Данилин, 2015, გვ. 7). ამ მახასიათებლებით გაგრძელდა 1990-იან წლებში მოქმედი პარტიების სტრუქტურული ჩამოყალიბებაც. პერსონების, კონკრეტული ადამიანების გარშემო პარტიების კონსოლიდაციას ჰქონდა თავისი მიზეზები.

პირველ ყოვლისა, საბჭოთა კავშირის 70-წლიანმა არსებობამ ძირი გამოუთხარა რუსეთსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მრავალპარტიული სისტემის არსებობას, შესაბამისად, არ დატოვა პლურალიზმის საფუძველი და აღარ დარჩა წინაპირობა, რომ სახელმწიფოებში ყოფილიყო სხვადასხვა იდეოლოგიის არსებობის სივრცე. საზოგადოებაც უფრო მეტად ერთგვაროვანი გახდა, წარმოიქმნა წინაპირობები, იმისათვის რომ ორიენტაცია ამომრჩევლის მხრიდან ყოფილიყო არა იდეოლოგიაზე, არამედ პერსონებზე. მთლიანობაში, 1980-იანი წლების ბოლოს პოლიტიკურ არენაზე გამოვიდა ცნობილი ადამიანების მთელი ჯგუფი, ისინი მოულოდნელად და საკმაოდ სწრაფად გახდნენ საზოგადოებრივი აზრის წარმმართველნი თითქმის მთელ პოსტკომუნისტურ სივრცესა და განსაკუთრებით რუსეთში (Данилин, 2015, გვ. 7).

1988–1989 წლებში თავად კომუნისტურ პარტიაში დაიწყო იდეოლოგიური პლატფორმების ფორმირება. ვინაიდან ამ გაერთიანებებში არ არსებობდა არავითარი იდეოლოგიური ერთობა, მათი უმრავლესობა საბჭოთა კავშირის დანგრევასთან ერთად დაიშალა. თუმცა, ფაქტია, ისინი უკვე იყვნენ გარკვეულწილად იმ პოლიტიკური მდგომარეობის გამომხატველნი, რომელიც არსებობდა იმდროინდელ საბჭოთა რეალობაში, ამასთანავე ქვეყანაში იყო ერთგვარი მზაობა პლურალიზმზე დამყარებული პარტიული სისტემა შექმნილიყო.

გარდა ამისა, მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი გარდამტეხ მოვლენად მიიჩნევს 1990 წლის მარტში კონსტიტუციაში შეტანილ ცვლილებებს (Данилин, 2015, გვ. 7; Коргунюк, 2007, გვ. 131). ამ შესწორებებს კონსტიტუციაში წინ უსწრებდა 1990 წლის თებერვალში 200-ათასიანი

¹ პროტოპარტიები - ტერმინი, რომელსაც იყენებს სხვადასხვა რუსი მეცნიერი პოლიტოლოგი იმ ქვე-ორგანიზაციების აღსანიშნავად, რომლებიც გაჩნდნენ 1980-იანი წლების ბოლოს კომუნისტურ პარტიაში და საფუძველი დაუდეს პარტიული სისტემის შექმნასა და ჩამოყალიბებას საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ. ამ ტერმინს იყენებს პაველ დანილინი (Данилин 2015) და ვლადიმერ გელმანი (Гельман 2008)

მიტინგი მოსკოვში, სადაც „დემოკრატიული არჩევნების“ წარმომადგენლები სწორედ კონსტიტუციაში შესწორებების ინიციატივით გამოდიოდნენ.

შედეგად, 1990 წლის 14 მარტს მოხდა შესწორებების შეტანა კონსტიტუციაში, კერძოდ, მე-6 თავის პირველ მუხლში, სადაც აღინიშნა, რომ „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, სხვა პოლიტიკურ პარტიები, ასევე პროფკავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა წევრებსაც აირჩევენ უმაღლეს საბჭოში როგორც სახალხო დეპუტატებს, მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში“ (Закон СССР 14 Март 1990г). აგრეთვე ამოიღეს კონსტიტუციის პრეამბულა - „კომუნისტური პარტიის, როგორც მმართველი სტრუქტურის ავანგარდისტული როლი“. ამ თვალსაზრისით, „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის“ მონოპოლია მოისპო, გაჩნდა შესაძლებლობა და ახალი სივრცე, რათა ახალი პოლიტიკური პარტიები შექმნილიყო.

ეს პროცესი ბორის ელცინის მმართველობის დროსაც გაგრძელდა. ის საშუალებას აძლევდა მრავალ ორგანიზაციას თუ საზოგადოებრივ გაერთიანებას, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიეღოთ. პოლიტიკურად მისთვის საკმაოდ მომგებიანი იყო მრავალი პოლიტიკური სუბიექტის გაჩენა, რომელთა უმთავრესი ამოცანაც ხმებით ვაჭრობა უფრო იქნებოდა, ვიდრე რეალური წარმატების მიღწევა. გარდა ამისა, ელცინისთვის მომგებიანი იყო პარტიების გაერთიანება პერსონების გარშემო, რადგან ასეთ შემთხვევაში მათ რეალური მომავალი არ ექნებოდათ, მისთვის უმთავრეს საფრთხეს იდეოლოგიურად შეკავშირებული და შორეულ პერსპექტივებზე გათვლილი პარტია წარმოადგენდა. როგორც მეცნიერთა ნაწილი აღნიშნავს, რუსეთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტი ღიად თითქმის არც ერთ პარტიას არ უჭერდა მხარს. ამავე დროს, მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყოფილიყო რაც შეიძლება ბევრი პარტია რუსეთის პოლიტიკურ სივრცეში (Коргунок, 2007, გვ. 35).

1993 წლიდან დაწყებული პარტიული სისტემის ფორმირება რუსეთში მოხდა ზემოდან ქვემოთ, 1990-იანი წლების შუა პერიოდში სახელმწიფო-ადმინისტრაციული აპარატი ყველანაირად ცდილობდა პროსახელისუფლებო პარტიების გაძლიერებას (Голосов, 2006, გვ. 304). მთავრობის მეთაურების მიერ ჩამოყალიბდა ისეთი პარტიები, როგორებიცაა: „რუსეთის არჩევანი“ და „ჩვენი სახლი რუსეთი“. თუმცა მათი დახასიათება გარკვეულ იდეოლოგიურ ჩარჩოში საკმაოდ რთულია, უპირველესად, იმიტომ რომ ისინი შეიქმნა, რათა ხელისუფლების ნება ყოფილიყო უზრუნველყოფილი საკანონმდებლო დონეზე და მეორე მიზეზი მათი არაიდეოლოგიური ბუნებისა, იყო ერთგვაროვანი პოლიტიკური სივრცე, რადგან სახელმწიფოს ერთპარტიული სისტემის 70-წლიანი გამოცდილება გააჩნდა, პოპულისტურ პროგრამებსა და განცხადებებს უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვიდრე იდეოლოგიას. შესაბამისად, აღნიშნული პარტიების კლასიკური განსაზღვრება და დახასიათება საკმაოდ რთულია (Епифанов, 2015, გვ. 126).

1993 წლის შემდგომ პერიოდში დაიწყო პარტიული სისტემის მნიშვნელობის ზრდა. ფაქტია, რომ არჩევნებში დარეგისტრირებული პარტიების რიცხვმა იმატა და შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ პოლიტიკური აქტორებისთვის პარტიის როლი და მისი მეშვეობით შემოსვლა პოლიტიკურ არენაზე პოლიტიკოსებისთვის მნიშვნელოვანი იყო. თუმცა, ფაქტია, საბოლოო ჯამში, ვერც სახელისუფლო პარტიებმა მიაღწიეს წარმატებას, რადგან 1993 და 1995 წლების საპარლამენტო არჩევნებში ვერ მიიღეს ხმათა სოლიდური რაოდენობა, რომლის მოლოდინიც იყო, რადგან მათი ცენტრისტულ-მემარჯვენე იდეების მიუხედავად, ამომრჩეველთა დიდი ნაწილი მაინც კომუნისტური პარტიის პოპულისტური პროგრამის ერთგული დარჩა, ხოლო ამომრჩეველთა ნაწილისთვის მისაღები გახდა ისეთი რადიკალური

პერსონიფიცირებული პოლიტიკური ორგანიზაცია, როგორც „რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია“ (Епифанов, 2015, გვ. 126).

არსებობს კიდევ სხვა მიზეზები, თუ რატომ ვერ მიაღწიეს ამ პარტიებმა წარმატებას. პირველ ყოვლისა, მიზეზი იყო ბორის ელცინის მიერ პარტიული კუთვნილებისგან გამიჯვნა, გარდა ამისა, მისი პოლიტიკის წარუმატებლობამაც საკმაოდ დიდი როლი ითამაშა. პარტია „რუსეთის არჩევანი“ რუსეთის ფედერაციის მთავრობის ხელმძღვანელის, იგორ გაიდარის, შექმნილი იყო. სწორედ ამ უკანასკნელის მიერ განხორციელდა ეკონომიკური რეფორმა „შოკური თერაპია“ (სიხარულიძე, 2014, გვ. 53).

1991 წლის 28 ოქტომბერს ხელისუფლების მხრიდან გაცხადდა ეკონომიკის სამი მიმართულება: ფინანსური სტაბილიზაცია, ფასების ლიბერალიზაცია და პრივატიზაცია. აღნიშნული კომპონენტების მეშვეობით ხელისუფლებას სურდა სწრაფი რეორგანიზაცია, რომელსაც ეწოდა „შოკური თერაპია“. აღსანიშნავია, რომ რეფორმებმა არ გაამართლა. ელცინის ხელისუფლება მოსახლეობას ჰპირდებოდა, რომ უკვე 1992 წელს იქნებოდა პოზიტიური შედეგები, თუმცა ამ რეფორმებს არათუ პოზიტიური ძვრები არ მოუტანია სახელმწიფოში, არამედ მდგომარეობა გაუარესდა. ის სფეროები, რომელთაც სახელმწიფო აფინანსებდა, შემოსავლის წყაროს გარეშე აღმოჩნდნენ. ამან გამოიწვია ადგილობრივი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გადაგვარება. სკოლები და სხვა სასწავლო დაწესებულებები შემოსავლის გარეშე დარჩნენ. სამხედრო მრეწველობა შეკვეთების არარსებობის ფონზე ჩამოიშალა. პრივატიზაციის პროცესი დაემსგავსა კორუფციული გარიგებების ნუსხას, რომლის სათავეშიც ხელისუფლება იდგა (სიხარულიძე, 2014, გვ. 53).

შესაბამისად, პროსახელისუფლებო პარტიების კრიზისის მიზეზი ბორის ელცინის მმართველობის პერიოდში იყო არა მარტო იდეოლოგიური ბაზის არქონა, კომუნისტური პარტიის პოპულისტური ლოზუნგები და სხვა წინაპირობები, რაც იმდროინდელი პარტიული სისტემის სიმყიფეზე მიუთითებდა, არამედ ეკონომიკური წარუმატებლობა და გარდა ამისა, ჩეჩნეთში წამოწყებული სამხედრო ქმედება, რომელიც რუსეთის ფედერაციის სრული კრახით დასრულდა.

რუსეთს ავტორიტარიზმისა და ტოტალიტარიზმის საუკუნოვანი გამოცდილება გააჩნია. ამავე დროს, თუკი გეოპოლიტიკურ ტერმინს მოვიშველიებთ, ის არის სახმელეთო სახელმწიფო, რაც გულისხმობს, რომ ტერიტორიის დიდი ნაწილი არის გადაჭიმული ევრაზიის კონტინენტის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში და აქვს ძალიან ბევრი საზღვარი მრავალ ქვეყანასთან, მას არაერთი მეზობელი ქვეყანა ჰყავს. ხმელეთის ანუ მიწის ელემენტი ხასიათდება ისეთი ცნებებით, როგორებიცაა: სიმყარე, მუდმივობა, ტრადიციები და კოლექტივი, ხოლო ზღვის ანუ წყლის ელემენტები - ისეთი ცნებებით, როგორებიცაა: მოძრაობა, ცვალებადობა (Дугин, 1997, გვ. 45).

„თელულოკრატია“, ანუ სახმელეთო მმართველობა დაკავშირებულია სივრცის მდგრადობასთან, მისი თვისობრივი ორიენტირებისა და მახასიათებლების სიმყარესთან. ცივილიზებულ დონეზე ეს გამოიხატება მკვიდრობით, კონსერვატიზმით, მკაცრი იურიდიული ნარატივებით, რომელთაც ემორჩილება ადამიანთა განვითარება - გვარები, ტომები, ხალხები, სახელმწიფოები, იმპერიები (Дугин, 1997, გვ. 45). შესაბამისად, რუსეთის პოლიტიკურ კულტურაში სუბიექტური და ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, მყარადაა ავტორიტარიზმისა და ერთპიროვნული მმართველობისკენ მიდრეკილება. ფაქტია, 1990-იან წლებში რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ლიბერალიზმისკენ აღებული ვექტორი და შედარებით თავისუფალი სახელმწიფოს შექმნის მცდელობა კრახით დამთავრდა, რაც

ეკონომიკურ ჩავარდნასა და ჩეჩნეთის პირველ ომში (1994-1996 წწ.) რუსეთის დამარცხებაში აისახა, ხოლო ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილის მონოპოლიზაცია ოლიგარქებმა მოახდინეს.

ვლადიმერ გელმანის მიხედვით, პუტინის მმართველობის პერიოდის დასაწყისში კრემლმა მიზნად დაისახა შეექმნა ისეთი ავტორიტარული სისტემა, რომელიც გათვლილი იქნებოდა შორეულ პერსპექტივაზე (Гельман, 2008, გვ. 138). როგორც არაერთხელ აღინიშნა, ელცინის პერიოდში პროსახელისუფლებო პარტიებმა „ჩვენი სახლი რუსეთი“ და „რუსეთის არჩევანი“ კრაზი განიცადა მრავალი მიზეზის გამო:

- ✓ ისინი იყვნენ ერთ ლიდერზე ორიენტირებული პარტიები, რომელთაც ჰქონდათ მთავრობის მეთაურების (იგორ გაიდარი, ვიქტორ ჩერნომირდინი) მხარდაჭერა, თუმცა მათ პრეზიდენტი ელცინი ღიად არ უჭერდა მხარს.
- ✓ სახელმწიფოში იყო არაერთი ეკონომიკური ჩავარდნა და ამ ფონზე კომუნისტური პარტიის მხარდაჭერა დღითი დღე იზრდებოდა.
- ✓ თავად ოფიციალური მოსკოვის პოზიცია პრეზიდენტის ხელმძღვანელობით იყო - არ დაეშვათ ქვეყანაში პარტიული დიქტატურა.

ვლადიმერ გელმანის აზრით, როდესაც სახელმწიფო ნულიდან იწყებს მშენებლობას, ავტორიტარული მმართველობა არის სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის საუკეთესო ვარიანტი, რადგან ამ შემთხვევაში დაბრკოლებების, ჩავარდნებისა და რეპრესიების მიუხედავად, ქვეყანა სწრაფი ტემპით იწყებს რეფორმების განხორციელებასა და განვითარებას (Гельман, 2008, გვ. 7). ავტორი გამოყოფს ავტორიტარიზმის სამ ფორმას: პერსონიფიცირებული ავტორიტარიზმი - მმართველობის ფორმა, რომელიც ერთ პერსონაზეა დამოკიდებული, სამხედრო ავტორიტარიზმი და პარტიული ავტორიტარიზმი. მისი აზრით, რუსეთმა პუტინის პერიოდში სწორედ მესამე ფორმა აირჩია განსხვავებით, მაგალითად, საქართველოსგან, რომელსაც ის მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში პერსონიფიცირებულ ავტორიტარიზმად აფასებს.

2000-იან წლებში კრემლმა ყველა ღონე იხმარა, რომ შეექმნა პარტიული ავტორიტარიზმი დომინანტი პარტიით; მოცემული სტრუქტურა იქნებოდა ბევრად უფრო მდგრადი და გრძელვადიანი, ვიდრე პერსონიფიცირებული ავტორიტარიზმი. საინტერესოა, თუ რატომ აირჩია ოფიციალურმა მოსკოვმა ასეთი სტრატეგია. მას ჰქონდა 1990-იანი წლების გამოცდილება, როდესაც პარტიული სისტემა იყო უკიდურესად ფრაგმენტული,¹ გარდა ამისა, ოლიგარქებსა და ცალკეულ კლანებს გააჩნდათ საკმაოდ დიდი ძალაუფლება, პოლიტიკურ არენაზე კი ქაოსი სუფევდა.

აღსანიშნავია, რომ სახელისუფლო დომინანტი პარტიის შექმნას კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა, რაც პარტია „ერთობის“² შექმნას უსწრებდა. 1998 წელს დაიწყო ერთ-ერთი

¹ პარტიული სისტემის ფრაგმენტაცია - ეს ცნება გულისხმობს მოცემულობას, როდესაც სისტემაში არსებობს მრავალი პარტია, რომელთაც აქვთ საკმაოდ დიდი გავლენა და წარმატება. აქ არ იგულისხმება, მაგალითად, საქართველოს დღევანდელი პარტიული სისტემა, ვინაიდან შესაძლოა ბევრი პარტია არის ოფიციალურად დარეგისტრირებული, თუმცა მათ არანაირი გავლენის ბერკეტი არ აქვს პოლიტიკაზე, გარდა ამისა, უახლოეს წარსულში წარმატებისთვის არც ცენტრალურ და არც რეგიონალურ დონეზე არ მიუღწევიათ

² „Единство“, „ერთობა“ - „ერთიანი რუსეთის“ წინამორბედი პარტია, რომელიც შეიქმნა 1999 წელს ვლადიმერ პუტინის ინიციატივით და რომლის ლიდერიც იყო რუსეთის ფედერაციის დღევანდელი თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ. პარტიამ 1999 წლის 19 დეკემბერს არჩევნებში ხმათა 23,3 %

უმსხვილესი პარტიის, „მამულის“ („Отечество“), შექმნის პროცესი. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ საერთო ენა ვერ გამონახა ქალაქ მოსკოვის მერ იური ლუჟკოვთან, რადგან მან ვერ მიიღო კრემლიდან პრემიერ-მინისტრის პოსტი, არც მის მომავალ პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენას ფიქრობდა ელცინის ადმინისტრაცია, შესაბამისად, იური ლუჟკოვმა გადაწყვიტა საკუთარი პარტია შეექმნა და მისი მეშვეობით დაეკმაყოფილებინა საკუთარი ამბიციები (Данилин, 2015, გვ. 28). მის პარტიაში შევიდა ყოფილი პრემიერ-მინისტრი ევგენი პრიმაკოვი და მათმა პარტიამ უკვე 1999 წელს შეძლო გაერთიანება გუბერნატორთა პოლიტიკურ მოძრაობასთან „მთელი რუსეთი“¹.

შესაბამისად, მრავალი მიზეზი არსებობდა, იმისათვის რომ შექმნილიყო ძლიერი პარტია, რომელიც იქნებოდა დომინანტი მრავალი წლის განმავლობაში. გარდა ამისა, ელცინის მმართველობის პერიოდში კრემლი ხელმძღვანელობდა „დაყავი და იბატონეს“ პრინციპით, როდესაც პარტიული სისტემა იყო ფრაგმენტული, მაგრამ გარკვეულწილად მაინც ბალანსდებოდა მემარცხენე და მემარჯვენე მიმართულებები. თუკი იდეოლოგიური თვალსაზრისით, შედარებით მარცხენა ფრთას ავიღებთ, „კომუნისტური პარტია“ და შესაბამისად მკვეთრად მარჯვნივ - „ლიბერალ-დემოკრატები“, ცენტრისტული-მემარცხენე - „აგრარული პარტია“ და ცენტრისტული მემარჯვენე „ჩვენი სახლი-რუსეთი“ (Попова, 97, გვ. 2010), ფაქტია, ელცინისთვის მნიშვნელობა ჰქონდა შედარებით დაბალანსებული და დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის არსებობას. მისი მმართველობის ბოლო წლებში კი გამოიკვეთა პარტია „Отечество – Вся Россия“, რომელიც ნაწილობრივ სახელისუფლო წრეებისგან შედგებოდა და დიდი რესურსები ჰქონდა; გარდა ამისა, დიდი პოპულარობით სარგებლობდა კომუნისტური პარტია, რომელმაც 1995 წლის არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა ხმათა 22%-ით (Выборы в думу II созыва).

ამ პრობლემის გადასაწყვეტად ოფიციალურმა მოსკოვმა დაისახა სამი ამოცანის განხორციელება: ადმინისტრაციული რესურსების მონოპოლიზაცია და პოლიტიკური დღის წესრიგის გაკონტროლება, ალტერნატიული ძალის შექმნის ყველანაირი წინაპირობის მოსპობა. მნიშვნელობა არ ჰქონდა ეს ძალა იქნებოდა პოლიტიკური პარტია, მასმედია თუ ინტერესთა ჯგუფები, საბოლოო ამოცანა იყო - კრემლს უზრუნველყო მის მიმართ ლოიალურად განწყობილი ელიტის არსებობა (Гельман, 2008, გვ. 139).

რუსეთის მმართველმა ელიტამ პუტინის პრემიერმინისტრობის პერიოდში ორი არჩევანიდან, პირველი - უფრო ხისტი სტრუქტურა, როდესაც პერსონიფიცირებულ ავტორიტარიზმზე იქნებოდა დაფუძნებული ხელისუფლება (ბელორუსიის მაგალითი), რომელიც ხასიათდება ინტენსიური რეპრესიებით და ასეთ შემთხვევაში შესაძლოა კრემლი მოქცეულიყო საერთაშორისო იზოლაციაში და მეორე გზა - პარტიული ავტორიტარიზმი, როდესაც დანახარჯები თავიდან არის ძალზე დიდი, თუმცა მთლიანი ელიტა ექცევა პარტიის შემადგენლობაში, მის ნაწილად მიიჩნევს თავს და ყველაფერს აკეთებს პარტიის წარმატების მისაღწევად, მასზე მთელი ბიუროკრატიული მანქანა მუშაობს. გარდა ამისა, როგორც ვლადიმერ გელმანი აღნიშნავს, პერსონიფიცირებული ავტორიტარიზმის პირობებში ხშირად

მოიპოვა და სათათბირო ორგანოში 81 მანდატი მიიღო. 2001 წელს მეორე მსხვილ პარტია „Отечество – Вся Россия“-სთან გაერთიანდა, რომელსაც მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი ევგენი პრიმაკოვი ხელმძღვანელობდნენ და დაერქვა სახელი „ერთიანი რუსეთი“.

¹ პოლიტიკური მოძრაობა „Вся Россия“ შეიქმნა 1999 წელს. მასში გაერთიანებული იყო რუსეთის ფედერაციის 3 ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური და 1 გუბერნატორი: თათარისტანის - მინტიმერ შაიმიევი, ბაშკირეთის - მურთაზ რახიმოვი, ინგუშეთის - რუსლან აუშევი, სანკტ-პეტერბურგის - ვლადიმერ იაკოვლევი.

რეპრესიები ხდება არა უბრალო ადამიანების, არამედ ელიტის. ფაქტია, რუსეთის იმდროინდელ ხელისუფალს საერთაშორისო იზოლაციის გარკვეულწილად ეშინოდა. აღნიშნული სახელისუფლო პარტიის „ერთობის“ სულისჩამდგმელი ვლადიმერ პუტინი იყო, თუმცა მისი დამოკიდებულება ერთგვარად შეიცვალა და თუკი დღეისათვის მისთვის იმხელა მნიშვნელობა აღარ აქვს საერთაშორისო აქტორების დამოკიდებულებას, 2000-იანი წლების დასაწყისში სიტუაცია ამ თვალსაზრისით სხვანაირად იყო (ლ. მორი 208: 66).

საბოლოო ჯამში, 1999 წლის არჩევნების შემდეგ, 2001 წელს, „ერთიანი რუსეთისა“ და „მამული - მთელი რუსეთი“ გაერთიანდა, რითაც პუტინმა ფაქტობრივად დაასრულა გეგმა ჩამოყალიბებინა პარტიული ავტორიტარიზმი. ლუჟკოვის პარტია, რომელთანაც მან შეძლო გაერთიანება, წარმოადგენდა ერთ-ერთ უმსხვილეს პოლიტიკურ ორგანიზაციას უდიდესი რესურსით, შესაბამისად, ამის შემდეგ უკვე მთელი ბიუროკრატიული რესურსი მათ ხელში მოექცა.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ელცინის პერიოდში იყო გარკვეული მონახაზი იმისკენ, რომ რუსეთი დემოკრატიის გზით წასულიყო. პარტიული სისტემა იყო ფრაგმენტული, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ორგანიზაციები იყვნენ პერსონებზე ორიენტირებულნი და ნაკლებად ეყრდნობოდნენ იდეოლოგიას, პარტიებს შორის კი მიმდინარეობდა კონკურენცია. გარდა ამისა, პრეზიდენტი ყველანაირად ერიდებოდა რომელიმე პარტიის ღია მხარდაჭერას, მიუხედავად იმისა, რომ 1990-იან წლებში ორი პარტიის: „ჩვენი სახლი - რუსეთი“ და „რუსეთის არჩევანის“ ხელმძღვანელები ერთმანეთის მოდევნო მთავრობის მეთაურები იყვნენ¹.

პროსახელისუფლებო პარტიათა წარუმატებლობა მხოლოდ იმ ფაქტს არ მიეწერება, რომ მათ ბორის ელცინის ღია მხარდაჭერა არ ჰქონდათ, პირველ ყოვლისა, ეს იყო თავად ხელისუფლების ეკონომიკური რეფორმების ჩავარდნისა და ჩეჩნეთის ომში დამარცხების მიზეზი, გარდა ამისა, თავად ელცინის რეიტინგიც 1996 წლისთვის მკვეთრად შემცირდა და რომ არა ოლიგარქების ღიად ჩარევა, რესურსების ხარჯვა მის სასარგებლოდ, მისი წარმატება კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა 1996 წლის არჩევნებში (Medvedev, 2000, გვ. 65).

ვლადიმერ პუტინმა, გელმანის აზრით, არჩევანი პარტიულ ავტორიტარიზმსა და პერსონიფიცირებულ ავტორიტარიზმს შორის პარტიულის სასარგებლოდ გააკეთა. ფაქტია, იური ლუჟკოვის მიერ პარტიის შექმნამ დიდი როლი ითამაშა რუსეთის პრეზიდენტის მიერ ამ ნაბიჯის გადადგმაში, თუმცა მას 1990-იანი წლების მაგალითიც ჰქონდა, როდესაც ერთგვარი ქაოსი სუფევდა პოლიტიკურ არენაზე, პარტიული სისტემა კი იყო კონკურენტული. ცხადია, მოსახლეობის მოთხოვნილებასა და პოლიტიკურ კულტურაზეც არის რუსეთის დღევანდელი რეალობა დამოკიდებული და „ერთიანი რუსეთის“ ავტორიტარული პარტიის ტიპის წარმატებაც. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში 2003 წლის შემდეგ საპარლამენტო ბარიერის გადალახვას მხოლოდ ოთხი ერთი და იგივე პარტია ახერხებს, რის შესახებაც უკვე აღვნიშნეთ, ფრაგმენტაციისა და პოლარიზაციის დონე ძალზე დაბალია, ხოლო პარტიები კვლავ პერსონაზე არიან დამოკიდებულნი.

კვლევის გასაანალიზებლად საჭიროა სხვადასხვა ავტორის მოსაზრების დამოწმება. რუსეთში თანამედროვე პერიოდში მრავალმა მიზეზმა განაპირობა ავტორიტარული პარტიული სისტემის ჩამოყალიბება. ეს მიზეზები რომ გავიაზროთ, აუცილებელია ისტორიული ფაქტების მოყვანა. მოცემულ თემაში საუბარია პარტია „ერთიანი რუსეთის“

¹ იგორ გაიდარი იყო რუსეთის ფედერაციის მთავრობის მეთაური 1991-1992 წლებში, ხოლო ვიქტორ ჩერნომირდინი - 1993-1998 წწ.

დომინაციის მიზეზებზე. პარტიამ საკმაოდ გრძელი გზა გაიარა ჩამოყალიბებიდან დღემდე და მიუხედავად იმისა, რომ არ აქვს კონკრეტული პოლიტიკური იდეოლოგია, რომელსაც მტკიცედ დაეყრდნობა, პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდიდან საკმაოდ სტაბილურად ინარჩუნებს წამყვან პოზიციას რუსეთის პოლიტიკურ არენაზე.

რუსეთის პარტიულ სისტემაში 1990-იან წლებში აღინიშნებოდა განსხვავება სხვა აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტურ ქვეყნებთან შედარებით. უპირველესად, ფრაგმენტაციის ხარისხი იყო ძალზე მაღალი (Гельман, 2008, გვ. 135). პოლიტიკურ არენაზე არ ფიგურირებდა ერთი კონკრეტული პარტია, რადგან არსებობდა მრავალი გავლენიანი აქტორი, რომლებშიც მოიაზრება არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიები, არამედ ოლიგარქებიც. ისინი რუსეთის ბუნებრივი რესურსების საკმაოდ სერიოზულ ნაწილს აკონტროლებდნენ და მათ მფლობელობაში შედიოდა მასმედიის გარკვეული სეგმენტებიც, მაგალითად: ბორის ბერეზოვსკის მფლობელობაში იყო ტელეარხი „OPT“, ხოლო სერგეი გუსინსკი მფლობელობაში - „НТВ“. გარდა ამისა, ბორის ელცინის გამიჯვნა პარტიული საქმიანობისგან უფრო კონკურენტულს ქმნიდა პოლიტიკურ სივრცეს.

2000-იან წლებში ტენდენცია საპირისპიროდ შეიცვალა. პარტიები გახდნენ ერთადერთი ლეგიტიმური აქტორები. 2007 წელს, პარტია „ერთიანი რუსეთის“ ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ, საბოლოოდ გაძლიერდა დომინანტი პარტიის მდგომარეობა (Голосов, 2008, გვ. 17). მრავალი ექსპერტი ფიქრობდა, რომ არჩევნები ჩატარდა უსამართლოდ. წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქება მასმედიის მხრიდან ხდებოდა ცალმხრივად, იყო ადმინისტრაციული ზეწოლა ამომრჩეველზე. საბოლოოდ, არჩევნების გაყალბება გახდა რუტინა რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მრავალი ექსპერტი მას მიიჩნევს, როგორც „ელექტორალურ ავტორიტარიზმს“ (Schedler, 2006; Голосов, 2008). მიუხედავად იმისა, რომ პოლიტოლოგთა ნაწილი პოლიტიკური პარტიის, როგორც ერთ-ერთი უმთავრესი პოლიტიკური აქტორის, არსებობას მიიჩნევს გარდაუვალ აუცილებლობად დემოკრატიის არსებობისთვის (Lipset, 2000), რუსეთის დღევანდელი პოლიტიკური რეალობა მოცემულ აქსიომას ეჭვქვეშ აყენებს (Гельман, 2008, გვ. 137)

ისმის არაერთი კითხვა: რატომ მოხდა გარდატეხა პუტინის მმართველობის პერიოდში რუსეთის პარტიულ პოლიტიკაში? რატომ გახდა პარტია მმართველი ჯგუფის პოლიტიკური იარაღი? კითხვებზე პასუხის გასაცემად აუცილებელია გაანალიზდეს პოლიტიკური ლიდერების მიერ გადადგმული ნაბიჯები და ყურადღება გამახვილდეს თანამედროვე პარტიული სისტემის ჩამოყალიბების წინაპირობებზე.

მმართველთა უმეტესობა ცდილობს სახელმწიფო მართოს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ან წინააღმდეგობები მინიმუმამდე დაიყვანოს. დემოკრატიული მმართველობის პირობებში არსებობს ძლიერი ოპოზიცია, რომელსაც დიდი გავლენა გააჩნია ქვეყნის როგორც შიდა, ისე საგარეო პოლიტიკაზე. ვლადიმერ გელმანის აზრით, როგორც აღინიშნა, როდესაც სახელმწიფო ახლიდან იწყებს მშენებლობას, ავტორიტარული რეჟიმის პირობებში უფრო მოსახერხებელია ქვეყნის თავდაპირველი განვითარება, რათა შიდა დაპირისპირებებმა ქვეყნის წინსვლა და რეფორმების გატარება არ შეაფერხოს (Гельман, 2008, გვ. 140). ავტორის მოსაზრებით, პარტიული, სამხედრო და პერსონიფიცირებული ავტორიტარული რეჟიმებიდან რუსეთმა პარტიულს მიანიჭა უპირატესობა, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. ამ გეგმის გათვლა ხდებოდა შემდეგნაირად: პარტიული ავტორიტარიზმი არ არის მმართველობის ხისტი ფორმა, როგორც პერსონაზე ორიენტირებული ავტორიტარიზმის შემთხვევა ალექსანდრე ლუკაშენკოს მაგალითზე.

გარდა ამისა, პარტია გულისხმობს ბიუროკრატias, რომელშიც პარტიულ ელიტაში შემავალი ელემენტები ერთმანეთის ქმედებებზე არიან პასუხისმგებელნი, თუ რომელიმე რგოლი ჩავარდა, ყველა ცდილობს მის გამოსწორებას, რადგან სხვა შემთხვევაში თავადაც არასახარბიელო სიტუაციაში აღმოჩნდებიან. ვლადიმერ პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდში საგარეო პრესტიჟსა და ლეგიტიმაციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ხელისუფლება ცდილობდა ისეთი ნაბიჯი არ გადაედგა, რაც საგარეო იზოლაციას მოუტანდა შედეგად. ამისათვის აუცილებელი იყო პარტიის გაძლიერება, რათა ხელისუფლების სიძლიერეს ლეგიტიმური ხასიათი მიეღო და ფორმალურად მაინც ერთ პიროვნებაზე არ ყოფილიყო ყველაფერი დამოკიდებული.

პოსტკომუნისტური ქვეყნების უმეტესობამ თავდაპირველად პერსონაზე ორიენტირებულ ავტორიტარიზმს მიანიჭა უპირატესობა, რამაც მათი ნაწილი ფერად რევოლუციებამდე მიიყვანა. გარდა ამისა, თავად რუსეთის პოლიტიკური სისტემაც 1990-იან წლებში პერსონებს ემყარებოდა. 2000-იან წლებში კრემლმა გადადგა არაერთი ნაბიჯი, იმისთვის რომ თავის კონტროლქვეშ მყოფი პარტიის ძალაუფლება გაემყარებინა. ოლიგარქების რეპრესიებიც სწორედ ამის ერთ-ერთი მაგალითია. პოლიტოლოგი პაველ დანილინი საუბრობს იმ ფაქტზე, რომ ლიბერალური პარტიების „იაბლოკოსა“ და „მემარჯვენე ძალთა გაერთიანების“ საარჩევნო სიები კომპანია „იუკოსის“ წევრებით იყო დაკომპლექტებული, ეს კომპანია კი მიხეილ ხოდორკოვსკის მფლობელობაში იყო (Данилин, 20015, გვ. 32). ხოდორკოვსკის დაკავება და მისი ქონების კონფისკაციის გვერდითი ეფექტი ლიბერალური პარტიებისთვის 2003 წლის არჩევნებში წარუმატებლობა აღმოჩნდა.

მკვლევართა აზრით, პარტიული ავტორიტარიზმი საუკეთესო ვარიანტია გრძელვადიან პერსპექტივაში ძალაუფლების შესანარჩუნებლად (Geddes, 2003, გვ. 47-88), ამიტომ ეს ვექტორი ყველაზე რაციონალური არჩევანი აღმოჩნდა კრემლისთვის.

მრავალი თანამედროვე მეცნიერის მიერ დემოკრატის თეორიების დახასიათებიდან და ახსნიდან ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილს იკავებს შუმპეტერის თეორია. ავტორის აზრით, დემოკრატია გულისხმობს არა უმრავლესობის მმართველობას, არამედ ისეთ ინსტიტუციურ მოწყობას, რომლის მიხედვითაც ინდივიდები ცდილობენ კონკურენტულ პოლიტიკურ ბრძოლაში მოიპოვონ ამომრჩევლის მხარდაჭერა. ამის შემდეგ მაინც ხალხის მიერ არჩეული უმცირესობა მართავს და არა უმრავლესობა (Шумпетер, 1995, გვ. 355). შუმპეტერის მიერ შემოთავაზებულმა მოდელმა რიგი ავტორის მხრიდან მიიღო სახელწოდება „კონკურენტული ელიტიზმი“ (Held, 1996, გვ. 157-198). თუმცა ეს თეორია გახდა კრიტიკის ობიექტი, რომლის ერთ-ერთ არგუმენტად შესაძლებელია სწორედ რუსეთის პარტიული სისტემის სპეციფიკა იქნეს მოყვანილი.

მეცნიერთა მოსაზრებით, მხოლოდ კონკურენტული არჩევნები თავისთავად არ გულისხმობს დემოკრატias, მით უმეტეს ისეთ ქვეყნებში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში არადემოკრატიული, ტოტალიტარული მმართველობის სისტემა არსებობდა (O'Donnell 1996; Karl, 2000). შუმპეტერის მიერ შემოთავაზებული მოდელი შესაძლოა აღმოჩნდეს დემოკრატის შექმნის ერთ-ერთი პირობა, თუმცა ის არასაკმარისია. შუმპეტერის მოდელის ალტერნატივა არის „არჩევანი არჩევნების გარეშე“ (Hermet, 1978, გვ. 21), მაგალითად საბჭოთა კავშირი.

რაც შეეხება რუსეთის თანამედროვე პარტიულ სისტემას, რომელიც 2000-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა, რთულია მივიჩნიოთ როგორც კონკურენტულ დემოკრატად, აგრეთვე ტოტალიტარულ სისტემად, რომელშიც არსებობს „არჩევანი არჩევნების გარეშე“,

რადგან რუსეთში რეალურად არჩევნების მიხედვით ხდება ხელისუფლების ფორმირება, თუმცა ჩნდება კითხვები: როგორი არჩევნები ტარდება რეალურად? რა წინაპირობები არსებობს არჩევნებამდე პერიოდში პარტიებისთვის?

დასმულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად აუცილებელია სიღრმისეულად გაანალიზდეს 2003 წლის არჩევნები, როგორც თანამედროვე რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების გარდამტეხი პროცესი¹. ამ არჩევნებს ვლადიმერ გელმანი მიიჩნევს სამართლიან, თუმცა არათავისუფალ პროცესად (Гельман, 2008, გვ. 18). 1993 წლის შემდეგ მოცემული არჩევნები იყო პირველი, რომელიც დახასიათდა დამკვირვებლების მხრიდან როგორც არათავისუფალი (ეუთო, 2006). „კომუნისტებმა“ და „იაბლოკომ“ გააპროტესტეს უზენაეს სასამართლოში შედეგები, თუმცა მათი ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა. მოცემულ პროცესებს, თანმდევი მოვლენები უსწრებდა წინ, როდესაც მიხეილ ხოდორკოვსკის დაკავებამ ფაქტობრივად დაფინანსების გარეშე დატოვა მემარჯვენე ლიბერალური პარტიები: „მემარჯვენე ძალთა გაერთიანება“ და „იაბლოკო“. შესაბამისად, ერთ-ერთი არგუმენტი, რომლის მიხედვითაც მიეცათ პარტიებს არჩევნებში მონაწილეობის მიღება, თუმცა „გვერდითმა ეფექტებმა“ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა მათ წარმატებაზე, არის აღნიშნული ფაქტორი. გარდა ამისა, 2004 წელს, ამერიკულმა არასამთავრობო ორგანიზაცია „Freedom House“-მა პირველად „პერესტროიკის“ შემდეგ, რუსეთში არჩევნები უარყოფითად შეაფასა. ორგანიზაციამ პირველად დაახასიათა რუსეთი როგორც არათავისუფალი ქვეყანა (Freedom House, 2004). გარდა ამისა, ეს არჩევნები დახასიათდა როგორც წინასწარ განსაზღვრული, ანუ ამომრჩევლისთვის წინასწარ იყო ცნობილი, თუ ვინ მიაღწევდა რეალურ წარმატებას.

არსებობს კიდევ ერთი უმთავრესი ფაქტორი და წინაპირობა, თუ რამ განაპირობა რუსეთის პარტიული სისტემის თანამედროვე სტრუქტურისა. იმისათვის რომ მომხდარიყო როგორც კომუნისტების, ასევე ლიბერალების განეიტრალება, აუცილებელი იყო ხელისუფლების მხრიდან კიდევ ერთი მოთამაშის შემოყვანა პოლიტიკურ არენაზე - მოთამაშის, რომელიც ფორმალურად ოპოზიციის როლს მოირგებდა. ვლადიმერ გელმანი და პაველ დანილინი მიიჩნევენ, რომ სწორედ პარტიების „როდინა“ და „სამართლიანი რუსეთის“ შექმნით მოხერხდა მთავარი მოწინააღმდეგეების განეიტრალება². პარტია „როდინა“, ერთი მხრივ, მემარცხენე იდეოლოგიაზე იყო დაფუძნებული და, შესაბამისად, კომუნისტურ პარტიას ართმევდა ამომრჩეველს, ხოლო, მეორე მხრივ, 2003 წლის წინასაარჩევნო პერიოდში მწვავედ აკრიტიკებდა ოლიგარქებს, განსაკუთრებით ხოდორკოვსკის, რითაც ირიბად, თუმცა სერიოზულ დარტყმას აყენებდა ლიბერალურ პარტიებს. მოცემულ არჩევნებში პარტიამ ხმათა 9% მოიპოვა. „როდინას“ კრემლის მხარდაჭერა ჰქონდა, რადგან მათი წინასაარჩევნო კამპანია მასმედიის მხრიდან კარგად შუქდებოდა, ხოლო 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია „როდინამ“ მხარი ვლადიმერ პუტინს დაუჭირა (Данилин, 2015, გვ. 21).

¹ 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტიამ „ერთიანი რუსეთი“ მოიპოვა ხმათა 37.57%. რუსეთის „დუმაში“, ჯამში, პროპორციული და მაჟორიტარული სისტემების შედეგებით, პარტიამ მიიღო 224 მანდატი 450-დან. თუმცა დამოუკიდებელი კანდიდატები მათ რიგებში ჩაეწერნენ და საბოლოოდ, 306 დეპუტატი მოხვდა პარტიის შემადგენლობაში (Гельман, 2008, გვ. 17).

² 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში მეოთხე ადგილი დაიკავა და ბარიერი გადალახა პარტია „Родина“-მ, 2007 წელს პარტია გაერთიანდა სხვა პარტიებთან - „რუსეთის ფედერაციის სახალხო პარტიასთან“ და „ერთიან სოციალისტურ პარტიასთან“, რის შედეგადაც პარტიას შეეცვალა სახელი და ეწოდა „სამართლიანი რუსეთი“ - „Справедливая Россия“.

საბოლოო ჯამში, ვლადიმერ გელმანის აზრით, რუსეთის პარტიული სისტემა ჩამოყალიბდა როგორც „ოთხენიანი ნამცხვარი“ (Гельман, 2007, გვ. 149). პირველ ფენას წარმოადგენს პარტია „ერთიანი რუსეთი“, მეორეს - „რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია“ და „სამართლიანი რუსეთი“ - პროსახელისუფლებო პარტიები, რომლებიც მზად არიან კრემლის მიერ წარმოდგენილ ნებისმიერ კანონს დაუჭირონ მხარი; მესამე ფენა - „რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტია“, რომელიც ფორმალური ოპოზიციაა, კრემლს ხშირად ეწინააღმდეგება, თუმცა მხარს უჭერს რუსეთში არსებული სისტემის სტრუქტურას, ხოლო მეოთხე ფენას შეადგენს არასაპარლამენტო პარტიები (Гельман, 2007).

უკვე აღინიშნა, რომ საარჩევნო სისტემა რუსეთში თანამედროვე პერიოდში არის არათავისუფალი, თუმცა სამართლიანი. სამართლიანობაში ავტორები გულისხმობენ ფაქტს, რომ რუსეთში არ ხდება არჩევნების გაყალბება, გარდა ამისა, კანდიდატებს აქვთ არჩევნებში მონაწილეობის საშუალება. პრინციპში, შესაძლოა მათი გაკრიტიკება, რადგან 2018 წლის არჩევნებში ალექსეი ნავალნის არ მისცეს მონაწილეობის უფლება, თუმცა გაყალბების ფაქტებით ნაკლებად გამოირჩევა თანამედროვე რუსეთი.

არსებობს კიდევ ერთი გარემოება, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ამომრჩეველზე, ეს არის ეკონომიკური ფაქტორი. საჭიროა გაანალიზდეს ამ ფაქტორის ზეგავლენა დღევანდელი რუსეთის პარტიული სისტემის ჩამოყალიბებაზე როგორც ამომრჩევლის თვალსაზრისით, ისე პოლიტიკური ელიტის კუთხით, ანუ როგორ შეიცვალა საფინანსო სტრუქტურა პოლიტიკოსთა ზედა ემელონებში.

დაუნსის აზრით, ამომრჩევლის ქმედებაზე ზეგავლენას ახდენს რაციონალური ფაქტორები (Dawns, 1957, გვ. 12). ხმის მიცემა ხდება საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ან მოლოდინით, რომ მატერიალური მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლება. პაველ დანილინს მაგალითად მოჰყავს 1995 წლის არჩევნებში მოსახლეობის მოსაზრებები, რომელთა მიხედვითაც აღმოჩნდა, რომ მათ, ვისაც შედარებით მაღალი შემოსავალი ჰქონდათ, ხმას აძლევდნენ პარტია „იაბლოკოს“, რადგან ეს პარტია ევროპულ სტანდარტებსა და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე აკეთებდა აქცენტს (Данилин, 2015). შესაბამისად, ამომრჩევლის პოზიტიური დამოკიდებულება პარტია „ერთიანი რუსეთის“ მიმართ სწორედ ამ თვალსაზრისით გამოიხატება, რადგან 2000-დან 2010 წლამდე რუსეთს საშუალოდ მთლიანი შიდა პროდუქტის 7-8 %-იანი ზრდა ჰქონდა, რაც თითოეული მოქალაქის მატერიალურ მდგომარეობაზე პოზიტიურად აისახა. ამომრჩევლის ქმედება ეკონომიკური თვალსაზრისით დროის მიხედვით გამოიხატება, იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს ეკონომიკური წინსვლა დამოკიდებულია წარსულში მიღწეულ წარმატებებზე, მოქალაქის გადაწყვეტილებას ეწოდება „რეტროსპექტიული არჩევანი“, ხოლო, თუ მომავალზეა დამოკიდებული - „პერსპექტიული“ (Шерняк, 2008, გვ. 198). მოცემული ტერმინებით თუ დახასიათდება დღევანდელი რუსი ამომრჩევლის ქმედება, ის „რეტროსპექტიულ არჩევანს“ გააკეთებს, რადგან 2010 წლის შემდეგ რუსეთის მთლიანი შიდაპროდუქტის ზრდა 2%-ს არ აღემატება.

მეორე და უფრო მეტად მნიშვნელოვანი გარემოება იყო ხელისუფლების მხრიდან გადადგმული ნაბიჯი რეგიონთა დაფინანსების თვალსაზრისით. 2001 წლის ფედერალურ კანონში შეტანილი ცვლილების მიხედვით, რეგიონებს შეეზღუდათ გადასახადების მიღება(?) ადგილობრივ ბიუჯეტში, ისინი დამოკიდებული გახდნენ ცენტრალურ ბიუჯეტზე, რადგან სწორედ ცენტრიდან მოხდებოდა უკვე რეგიონების დაფინანსება. თუ როგორ გადანაწილდებოდა ფინანსები ფედერალური კანონის მიხედვით, ამას განსაზღვრავდა ფედერალური საბჭო, რუსეთის სათათბიროს ზედა პალატა (Шерняк, 2008, გვ. 206).

შესაბამისად, თუ კანონმდებლობის ცვლილებამდე რეგიონალურ არჩევნებში ხშირად წარმატებას აღწევდნენ არასახელისუფლო პარტიის წარმომადგენლები, ცვლილების შემდეგ მათ უკვე აღარ ჰქონდათ ფინანსური რესურსი და ერთადერთი გზა რჩებოდათ - ხელისუფლების მხარეს გადასულიყვნენ. გარდა ამისა, რადგანაც ცენტრალური ბიუჯეტიდან ხდებოდა რეგიონების დაფინანსება, რეგიონალურ მაღალჩინოსნებზე უზარმაზარი გავლენის ბერკეტი ჩაიგდო ხელში ხელისუფლებამ.

ზემოხსენებული არგუმენტების გარდა, იმის შესახებ, თუ რა გარემოებები შექმნა ხელისუფლებამ, რათა ჩატარებინა ე.წ სამართლიანი არჩევნები, თუმცა არათავისუფალი და რატომ არის საპარლამენტო ოპოზიცია კმაყოფილი არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნებით, არსებობს კიდევ ერთი არგუმენტი. იმისათვის რომ მოხდეს ხელისუფლებისა და ოპოზიციის კონსოლიდაცია ისეთ სისტემაზე, რომლის მეშვეობითაც ტარდება არჩევნები, არსებობს ოპოზიცია, რომელსაც აქვს წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების საშუალება, თუმცა რეალურად არჩევნებში ვერ ახერხებს გამარჯვებას და 2003 წლის შემდეგ უკვე წინასწარ შეუძლია ნებისმიერი მოქალაქის შედეგის განსაზღვრა, აუცილებელია ფუნდამენტური იდეის გარშემო გაერთიანება.

მოცემულ საკითხზე შესაძლოა ორი მიმართულება გამოიყოს. პირველი არის ევრაზიის კავშირი, რომელიც გულისხმობს ძირითადად პოსტსაბჭოთა ქვეყნების გაერთიანებას და რუსეთის არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ ზეგავლენას. რუსული პოლიტიკური ელიტა ყველანაირად ცდილობს, საკუთარი გავლენის სფეროები დაიბრუნოს და მსოფლიოს მულტიპოლარული წესრიგი შესთავაზოს. მეორე მიმართულებაა კონსერვატორული იდეოლოგია, რომლის მიხედვითაც რუსეთი წარმოჩნდება როგორც ძალა, რომელიც გლობალიზაციასა და ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებს დაუპირისპირდება; ეს იქნება ძალა, რომლის გავლენის ქვეშ მყოფ ყველა ქვეყანას შეეძლება საკუთარი თვითმყოფადობა შეინარჩუნოს. ამ საკითხებზე ყურადღება გაამახვილა ვლადიმერ პუტინმა მიუნხენის კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას 2006 წელს.

ჰერბერტ კიტშელტი ნაშრომში „Post-Communist Party Systems“ ყურადღებას ამახვილებს იმ ნიშანზე, რომელიც პარტიებს თავიანთი პროგრამების თვალსაზრისით ახასიათებს, კერძოდ, იმის მიხედვით, კონკრეტული ქვეყნის პარტიათა პროგრამებში კონკრეტულად რა საკითხს ექცევა ყურადღება უმეტესწილად და რა საერთო ნიშნები იკვეთება მოცემული საკითხის გადაწყვეტაში. მოცემულ საერთო ნიშნებს ავტორი განსაზღვრავს ტერმინით - „პარტიული დიფუზია“ (Kiktschelt, 1994).

ეს მეთოდი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მოცემულ ნაშრომში. პარლამენტში შემავალი პარტიები, რომლებიც 2003 წლის შემდეგ შეუცვლელად იმყოფებიან სათათბირო ორგანოში, თავიანთ პროგრამებში ყურადღებას ამახვილებენ სწორედ „ევრაზიის კავშირზე“. კომუნისტების ლიდერმა, გენადი ზიუგანოვმა, ვალერი კვარაცხელიასთან საუბრისას აღნიშნა, რომ საქართველოსთვის კონფლიქტების დარეგულირების ერთადერთი გზა არის ევრაზიის კავშირში შესვლა, რადგან ასეთ შემთხვევაში საზღვრები მნიშვნელობას კარგავს. გარდა ამისა, „სამართლიანი რუსეთის“ პროგრამაში ხაზი აქვს გასმული „ევრაზიული კავშირის“ აუცილებლობასა და პრიორიტეტებს (Справедливая Россия, програма 2016). „ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია“ მულტიპოლარული მსოფლიო წესრიგის უპირატესობაზე საუბრობს და ამის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად „ევრაზიული კავშირის“ გაფართოება მიაჩნია (ЛДПР програма 2010).

მოცემული ფაქტი გზას უხსნის რუსეთის პოლიტიკურ ელიტას სამომავლოდ მოსახლეობის კონსოლიდაცია მოახდინოს აღნიშნულ საკითხებზე. დღევანდელი პარტიული სტატუს-კვოს ჩამოყალიბებაში უმთავრესი როლი ითამაშა:

- პოზიტიურმა ეკონომიკურმა ფაქტორებმა, რომლებიც 2010 წლამდე გაგრძელდა და შემდეგ ახალი გამაერთიანებელი იდეოლოგიის შექმნა გახდა საჭირო;
- რეგიონული დაფინანსების სისტემის ცვლილებამ.
- პოლიტიკურ არენაზე მესამე ძალის შემოყვანამ, პარტია „როდინა“, რომელმაც ორმაგი ფუნქცია შეასრულა: ერთი მხრივ, ოლიგარქების კრიტიკით ლიბერალურ პარტიებს მიაყენა დარტყმა, ხოლო, მეორე მხრივ, მემარცხენე ლოზუნგების გაჟღერებით კომუნისტურ პარტიას წაართვა ამომრჩეველი.
- საგარეო პოლიტიკურმა კურსმა, ერთი მხრივ, „ევრაზიის კავშირით“ მანიპულირებამ და მეორე მხრივ, ამერიკის გამანეიტრალებელ ძალად წარმოჩენამ, კონსერვატორულ ღირებულებებს რომ ემყარება.

დასკვნა

კვლევის შედეგად აღვწერეთ ის გარემოებები, თუ როგორ ვერ მიაღწიეს პარტიულ დომინაციას რუსეთის პოლიტიკურ სივრცეში 1990-იან წლებში ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილმა პარტიებმა „რუსეთის არჩევანი“ და „ჩვენი სახლი - რუსეთი“. ნაშრომში გაანალიზდა პირდაპირი და ირიბი მიზეზები და წინაპირობები, რომელთა მიხედვითაც ამომრჩეველი იღებს გადაწყვეტილებას და უპირატესობას ანიჭებს კონკრეტულ პარტიას.

კვლევის შედეგად გამოვლინდა ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილმა პარტიებმა ძირითადად რომელი სამი მიზეზის გამო ვერ მიაღწიეს წარმატებებს:

- ბორის ელცინის მხრიდან არ ჰქონდათ პირდაპირი მხარდაჭერა. ქვეყნის პრეზიდენტი ყველანაირად ცდილობდა თავის წარმოჩენას, როგორც არაპარტიული ლიდერი.
- „რაციონალური არჩევანის“ თეორიის მიხედვით, ამომრჩეველი ხმას აძლევს საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ ის საკუთარ წარსულ გამოცდილებას ეყრდნობა და წარსულში პოზიტიური მატერიალური მდგომარეობა ჰქონდა, საუბარია „რეტროსპექტულ არჩევანზე“ (Гельман 2007). ამ თეორიის მიხედვით, ამომრჩეველი უფრო მეტად წარსულ - საბჭოთა კავშირის დროინდელ - მატერიალურ სტაბილურობაზე ამახვილებდა ყურადღებას, შესაბამისად, ელცინის პერიოდში ეკონომიკური ჩავარდნები გახდა უმთავრესი მიზეზი, რომლის მიხედვითაც ამომრჩეველმა მთავრობის მიერ მხარდაჭერილი პარტიები არ აირჩია. ჩნდება კითხვა: თუ თავად ელცინი არ უჭერდა მხარს საკუთარი პრემიერ-მინისტრების მიერ შექმნილ პარტიებს „ჩვენი სახლი-რუსეთი“ და „რუსეთის არჩევანი“, მაშინ რატომ აიგივებდა მისი გუნდის წარუმატებლობასთან პარტიების შინაარსს ამომრჩეველი? უნდა აღინიშნოს, რომ ამომრჩეველისთვის, ელცინის პარტიისგან გამიჯნულობის მიუხედავად, პარტიების „რუსეთის არჩევანი“ და „ჩვენი სახლი - რუსეთი“ იდენტიფიკაცია მაინც ხელისუფლების პროგრამებთან და ქმედებებთან ხდებოდა, რადგან მათს ლიდერებს ქვეყნის პრემიერ-მინისტრები წარმოადგენდნენ.
- მესამე მიზეზი იყო გარემოება, რომლის მიხედვითაც ელცინის სტრატეგიის კრახის კვალდაკვალ მოსახლეობის სიმპათია მიმართული იყო, ერთი მხრივ, ვლადიმერ ჟირინოვსკის პოპულარულ ნაციონალისტურ განცხადებებთან, რომ ადამიანები, ვისაც არ ჰქონდა რუსული პასპორტები, ქვეყნიდან უნდა წასულიყვნენ; ეს ეხებოდა ძირითადად კავკასიელებს. ამგვარი განცხადებები დადებითად აღიქმებოდა მოსახლეობის მხრიდან,

ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი დონე იყო, ადამიანები კი საკუთარ უმუშევრობას იმიგრანტებს აბრალებდნენ, რადგან ისინი ართმევდნენ სამუშაო ადგილებს.

ნაშრომში გაანალიზდა ის ფაქტორები, რომლებმაც ხელი შეუწყო დღევანდელი სახელისუფლო პარტიის „ერთიანი რუსეთის“ დომინაციას პოლიტიკურ არენაზე. გელმანის აზრით, ამის პირველი მიზეზი იყო ისეთი სტრატეგიის არჩევა, როგორცაა პარტიული ავტორიტარიზმი. ხელისუფლება მოერიდა მხოლოდ ერთ პერსონაზე დამყარებულ ავტორიტარიზმს, რადგან ცდილობდა ქვეყანა არ მოქცეულიყო საგარეო იზოლაციაში. გარდა ამისა, ჩამოყალიბდა პარტიული ბიუროკრატია, რომელშიც სხვადასხვა რგოლი ერთმანეთის ქმედებაზე იყო პასუხისმგებელი და ერთმანეთის მხარდაჭერის გარდა, სხვა გზა არ ჰქონდა.

ამასთანავე, მრავალი მეცნიერი: გელმანი, გოლოსოვი, დანილინი მიიჩნევენ, რომ პარტია „როდინას“ შემოყვანა პოლიტიკურ სივრცეში იყო აგრეთვე „ერთიანი რუსეთის“ დომინაციის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი, რადგან პარტია 2003 წლის არჩევნებზე, ერთი მხრივ, მემარცხენე იდეოლოგიაზე აკეთებდა აქცენტს და „კომუნისტურ პარტიას“ ართმევდა ამომრჩეველს, მეორე მხრივ, წინასაარჩევნო კამპანია მიმართული ჰქონდა ოლიგარქების წინააღმდეგ, რითაც ირიბად დარტყმას აყენებდა ლიბერალურ პარტიებს - „იბლოკოსა“ და „მემარჯვენე ძალთა გაერთიანებას“; გარდა ამისა, პარტიას ხელისუფლების მხრიდან გააჩნდა მხარდაჭერა, მისი საარჩევნო კამპანია სრულყოფილად შუქდებოდა მასმედიის მხრიდან. პარტიის ხელისუფლებასთან კავშირი კი მაშინ გახდა ცხადი, როდესაც „როდინამ“ 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მხარი ვლადიმერ პუტინს დაუჭირა.

„რაციონალური არჩევანის“ თეორიის მიხედვით, რომელიც ამომრჩეველთა ეკონომიკურ მდგომარეობას უკავშირდება, უნდა აღინიშნოს, რომ 2000-2010 წლებში ქვეყანაში აღინიშნა სერიოზული ეკონომიკური ზრდა, რაც თავისთავად პროსახელისუფლებო პარტიის რეიტინგზე პირდაპირპროპორციულად აისახა.

კვლევის მიხედვით გამოიყო კიდევ ერთი მიზეზი, თუ რამ განაპირობა პოლიტიკური ელიტის კონსოლიდაცია და მზაობა მოცემულ სტატუს-კვოს შენარჩუნებაზე საპარლამენტო პარტიებს შორის, ეს იყო იდეოლოგია. ერთი მხრივ, ევრაზიის კავშირი, რაშიც იგულისხმება, პირველ ყოვლისა, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე გავლენის დაბრუნება და მოცემულობა, რომელშიც რუსეთი კონსერვატორული ძალების ერთგვარ დამცველად წარმოჩნდება.

ეს კვლევა ემსახურება ჰიპოთეზის - ავტორიტარული პარტიული სისტემა განსაზღვრავს პარტიული სისტემის სტაბილურობას - ერთგვარ საფუძველს; ასევე - იმ პირობებსა და მიმართულებებს, რომელთა მიხედვითაც მოხდა პარტიების კონსოლიდაცია ავტორიტარული პარტიული სისტემის ირგვლივ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სიხარულიძე, ა. (2014). რუსეთი 1991-2008 წლებში. თბილისი. „დამანი“.
2. ურუშაძე, ე. (2006). რუსული საგარეო პოლიტიკური აზროვნება პოსტსაბჭოთა პერიოდში. თბილისი.
3. ტოროშელიძე, ი. (2008). პუტინის საგარეო პოლიტიკა. თბილისი.
4. ტუკვაძე, ა. (2015). რუსეთის პოლიტიკური კულტურის თავისებურებები. თბილისი „უნივერსალი“.

5. Colton, T. (2000). *Transnational Citizens: Voters and What Influences Them in the New Russia*. Cambridge, MA: Harvard University Press.
6. Dawns, A. (1957). *An Economic Theory of Democracy*. New York: Harper and Row.
7. Freedom House (2004). *Freedom in the World 2004: The Annual Survey of Political Rights and Civil Liberties*.
8. Geddes, B. (2003). *Paradigms and Sand Castles: Theory Building and Research Design in Comparative Politics*. Ann Arbor, MI. University of Michigan Press.
9. Held, D. (1996). *Models of Democracy*. 2nd edition. Cambridge: Polity Press.
10. Hermet, G. (1978). *Elections without Choice*. London. Macmillan.
11. Kitschelt, H. (1994). *Post-Communist Party Systems*. Cambridge University Press.
12. Kitschelt, H., Smyth, R. (1997). *Issues, Identities and Programmatic Parties. The Emerging Russian Party System In Comparative Perspective*. American Political Association, Washington. D.C.
13. Mackie, G. (2003). *Schumpeter's Leadership Democracy*. San Diego. University of California.
14. Mosca, G. (2009). *Ruling Class*. *Italian Journal of Public Law*. pp (1-41)
15. O'Donnell, G., P. Schmitter (1986). *Transitions from Authoritarian Rule: Tentative Conclusions about Uncertain Democracies*. Baltimore. John Hopkins University Press
16. Tolbert, P. (2010). *Robert Michels and Iron Law of Oligarchy*. Cornell University
17. Барабанов, М. (2011). *Партии и многопартийность в современной России; возникновение, основные тенденции развития*. Мгоу
18. Гельман, В. (2002). *Эволюция электоральной политики в России: на пути к недемократической консолидации? Второй электоральный цикл в России. 1999—2000 гг.* Москва. Весь мир
19. Гельман, В. (2007). *Эволюция электоральной политики в России: на пути к недемократической консолидации?.* Санкт-Петербург. Европ.
20. Гельман В., Г. Голосов., Е. Мелешкина (მელოი). *Первый электоральный цикл в России, 1993-1996гг.* Москва. Весь мир.
21. Голосов, Г. (1999). *Идеологическое развитие партий и поля межпартийной конкуренции на думских выборах 1995 г. Мировая экономика и международные отношения*. Санкт-Петербург. Европ.
22. Голосов, Г. (2006). *Российская партийная система и региональная политика, 1993—2003*. Санкт-Петербург. Европ.
23. Данилин, П. (2015). *Партийная система современной России*. Москва. ЗАО “Издательский дом Аргументы недели”
24. Дюверже, М. (2013). *Политические партии*. Москва.
25. Закон СССР от 14 марта 1990 г. № 1360– I «Об учреждении поста президента СССР и внесении изменений и дополнений в Конституцию (Основной закон) СССР», статья 2 <http://constitution.garant.ru/history/ussr-rsfsr/1977/zakony/185465/>
26. Коргунюк, Ю., Заславский, С. (1996). *Российская многопартийность: становление, функционирование, развитие*. МГПУ
27. Попова, Е. (2007). *Програмные стратегии и модели электорального соревнования на думских и президентских выборах 1995 – 2003 года*. Санкт-Петербург. Европ.
28. Шумпетер, Й. (1995). *Капитализм, социализм, и Демократия*. Москва. Экономика.
29. Щербак, А. (2007). *Экономический рост и итоги думских выборов 2003 года*. Санкт-Петербург. Европ.

Sandro Songulashvili, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Post-Soviet transformation of the Russian party system and its dynamics

Summary

The given work concerns the development of the Russian party system in the post-Soviet period. The article underlines the reasons why the party system of the Russian federation could not evolve into a democratic structure. The historical facts presented illuminate how the Russian party system developed with time, why the ruling parties in Boris Yeltsin's period did not turn into sustainable, developed organizations that could contribute to the political life of Russia in the long term.

The work presents the insights of various English and Russian language experts who, for many years, have studied the political life of Russia in the post-Soviet period. It is explained what kind of methods Vladimir Putin pursued to strengthen his own party and what specific reforms he carried out for this purpose.

The article enables the reader to judge and make conclusions on Russia's post-Soviet party politics based on historical facts and to draw a kind of comparative analysis of the rules of Vladimir Putin and Boris Yeltsin. The insights of various geopolitical experts concerning are presented, concerning the Russian political culture and where to situate the causes of Russia's centuries old authoritarianism, whether in the specificity of its land-based empire or the frequent failed attempts at democratic transition and its origins.

This work introduces terms such as partisan and person-oriented authoritarianism, which itself is based on the publications and articles of experts working in the given field. The reader is able to examine the perspectives, considerations and the research analyses of said experts.

**ჭაბუკა მებონიძე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ეთნიკურობის გააზრების პრობლემა ანტიკურ კავკასიაში

ეთნიკური სამყაროს შესწავლის პროცესს ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს ეხება კავკასიური ეთნოსების შესწავლასაც. ბუნებრივია, ამ ეთნოსთა პოლიტიკურ-კულტურული არეალის გააზრებას უამრავი წინააღმდეგობა ახლდა, ამიტომაც სამეცნიერო ლიტერატურაში მრავლად გვხვდება განსხვავებული მოსაზრება, დამოკიდებულება და თავისებურება.

მიუხედავად მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ლიტერატურისა, დღემდე ანტიკური კავკასიის ეთნიკური თავისებურებების კომპლექსური სისტემატიზაცია მაინც არ მომხდარა. ჩვენი სტატიის მიზანია დავსვათ საკითხი, თუ რამდენად შეესაბამება ეთნიკური თავისებურებები ანტიკურ კავკასიაში თანამედროვე სამეცნიერო-კვლევით ელემენტებს და რამდენად შეგვიძლია ანტიკურ პერიოდში კავკასიური სამყაროს ეთნიკურობის მახასიათებლების გააზრება. სპეციალიზებულ არქეოლოგიურ კვლევით ლიტერატურაში, როგორც პროფესორი ო. ჯაფარიძე აღნიშნავს, გაჩნდა დამოკიდებულება, რომ „ქვის ხანის არქეოლოგიური კულტურის თავისებურება შესაძლოა ასახავდეს ეთნიკურ სხვაობას და ლოკალური თავისებურებების შესწავლის საფუძველზე შეიძლება აღდგენილ იქნეს უძველესი ეთნიკური ჯგუფების არსებობა“ (ჯაფარიძე, 1976, გვ. 7).

მკვლევარი იქვე დასძენს, რომ ამ დროისთვის ლინგვისტური მონაცემები შესაძლოა არ იყო დადგენილი. ეთნიკური სამყაროს საკითხის გასააზრებლად ამოსავალი მხოლოდ ერთიან ენათა სისტემაში თანაცხოვრება როდია, რადგან იგი სხვა მნიშვნელოვანი ელემენტებით არის გამყარებული, როგორებიცაა: სულიერი და მატერიალური კულტურის ერთფეროვნება.

საბოლოოდ, ასკვნის მეცნიერი, ამ მონაცემების კომპლექსურმა კვლევამ შესაძლოა მოგვცეს საზოგადოების ეთნოგენეზის საწყისი ეტაპების განსაზღვრის გზა და „არქეოლოგიური კულტურა განსაკუთრებით განვითარების ადრეულ საფეხურზე გარკვეულ ეთნოსს უკავშირდება“ (ჯაფარიძე, 1976, გვ. 7).

ბუნებრივია, პროფ. ო. ჯაფარიძისეული ეს მოსაზრება საინტერესო და ამავდროულად ყურადსაღებია, თუმცა ჩვენი დღევანდელი სტატიის მნიშვნელოვანი საკითხია, რამდენად ასახავს მხოლოდ მატერიალური და სულიერი კულტურის ერთიანობა ეთნოსად ჩამოყალიბების წინაპირობას.

ბოლო ხანებში პროფესორმა ლევან გორდეზიანმა სამეცნიერო ლიტერატურაში დასვა რამდენიმე საინტერესო საკითხი, რომლებშიც შეეცადა ეთნიკური სურათის ტრანსფორმირებას ლურსმული ტექსტების მიხედვით. მას საკვლევ ლიტერატურაში ვრცლად აქვს გამოყენებული ანტიკური ავტორების შეხედულებები ხალხის ეთნოსის გააზრების თავისებურებების შესახებ. ვფიქრობთ, ეს სტატიები შესაძლებელია გადაიქცეს ერთგვარ საეტაპო მნიშვნელობის საწყისად თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი ელემენტების გამოყენებით საკითხის ახლებურად გასააზრებლად. როგორც პროფ. ლ. გორდეზიანი ბრძანებს, ეთნიკური სამყაროს თავისებურებების გააზრებისას უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება:

ა) ყოველ ხალხს აქვს იდენტობის საკუთარი მეტ-ნაკლებად ორიგინალური შემეცნება და ამ შემეცნების შესაბამისი ტერმინოლოგიური სისტემა.

ბ) ერთი ენის ფარგლებში ეთნიკურობის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია განიცდიდა დროთა განმავლობაში ცვალებადობას.

გ) ტერმინოლოგიის ცვალებადობა გამომდინარეობდა სამი მიმართულებით, „საკუთარი“, კარგად ნაცნობი და „უცხო“, როდესაც წყაროებში მოცემული ცნობები საკუთარის საუკეთესოდ კარგად ნაცნობი „ეთნოსების“ გარკვეული ბუნდოვანება დასდევს, ხოლო რაც შეეხება უცხო საზოგადოების აღწერას, როგორც პროფ. ლ. გორდეზიანი აღნიშნავს, ზუსტი ინფორმაციის მატარებელი ვერ იქნება ეთნოსის აღმნიშვნელი ვერც ერთი ტერმინოლოგია.

დ) ტერმინების - „ხალხი“, „ეთნოსი“, „ერი“ - მნიშვნელობა XIX-XX საუკუნეების მონაპოვარია და ამგვარი მკვეთრი სტატუსის მისადაგება ანტიკურ სამყაროში ხელოვნურობის ეფექტის მომცემია მაშინ, როდესაც „ეს შეეხება როგორც ანტიკური ავტორების, რომელთა წარმოდგენებიც ეთნიკურობაზე განსხვავებულადაა ინტერპრეტირებული და ძველადმოსავლურ ტექსტების, რადგან იმ საზოგადოებების, რომლებიც ლურსმულ დამწერლობებს იყენებენ, სავარაუდოდ საერთოდ არ გააჩნიათ ეთნიკური იდენტობის გაგება“ (გორდეზიანი, 2019, გვ. 176-177).

ეს არ ნიშნავს, რომ ეთნიკურობის აზრი საერთოდ დაკარგულია ანტიკურ ავტორებთან, მაგრამ უფრო ვლინდება „ენობრივი მასალის კომპლექსური შესწავლის მეშვეობით“ (გორდეზიანი, 2019, გვ. 176-177).

ეთნიკურობის პარამეტრების განსაზღვრა ძველადმოსავლურ წყაროებში საინტერესოდ აქვს წარმოჩენილი პროფ. გ. მელიქიშვილს „საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. I“, პროფ. გ. გიორგაძეს „უმველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა“, პროფ. მ. წერეთელი „ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა“.

საინტერესოა ასევე აღინიშნოს, რომ ქართული და უცხოური სამეცნიერო სივრცე ვრცლად მიმოიხილავს კავკასიური მოდემის ტომთა ეთნიკურ სურათს. როგორც საბჭოურ, ისე თანამედროვე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ინტენსიურად იბეჭდებოდა სტატიები რომელთა, უმრავლესობის აზრით, ანტიკურ საზოგადოებაში აქტიურად განიხილება კავკასიურ ხალხთა ეთნიკური მახასიათებლები.

ქართველოლოგიური სკოლისთვის ამ ყველაფრის სათავე იყო აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევა „საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები“, რომელშიც საინტერესოდ არის აღწერილი ანტიკურ ავტორთა თხზულებების მოშველიებით ერთიანი კავკასიური არეალი და ეთნიკური სივრცე; აგრეთვე აღსანიშნავია ქართულ ენაზე თარგმნილი მრავალი ანტიკური ავტორის თხზულება: სტრაბონის „გეოგრაფია“, ფლავიუს არიანესა და დიონ კასიუსის თხზულებები და ა.შ.. ცალკე აღნიშვნის ღირსია აკადემიკოს თინა ყაუხჩიშვილის ღვაწლი ძველი ბერძნული წყაროების თარგმანთან დაკავშირებით და ბოლოს ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევა „ანტიკური კავკასია“, რომელიც კავკასიის ხალხთა ისტორიული წარსულის მთლიან წყაროთმცოდნეობით ბაზას ეფუძნება. ზემოაღნიშნული მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზისის მოშველიებით საკვლევი სტატიის მიზანია ვაჩვენოთ, რამდენად ასახავს ანტიკურ ავტორთა წყაროებში დაცული ცნობები ეთნიკურ მახასიათებელს და ხომ არ არის იგი ხელოვნურად გარკვეული მიზანდასახულობით წარმოჩენილი, რამდენად შეგვიძლია ანტიკურ ავტორთა თხზულებებში დავინახოთ ეთნიკურობის ის აუცილებელი ელემენტი, რომელიც ანტიკური ბერძნული სამყაროს იდენტობასთან იქნება დაკავშირებული.

საინტერესოა აგრეთვე აკად. თ. ყაუხჩიშვილის წიგნში „საქართველოს ისტორიის ძველბერძნული წყაროები“ დაცული ცნობები, რომლებშიც ძირითადად განხილულია სხვადასხვა დროს აღმოჩენილი ეპიგრაფიკული წარწერების „კოლხის“ ტოპონიმიკური გააზრების ზოგადი დინამიკა. ამ კვლევაში მოცემულია სხვადასხვა დროს აღმოჩენილი წარწერების შინაარსობრივი მხარე.

აკად. თ. ყაუხჩიშვილის დაკვირვებით, „ბოსფორის სამეფოს წარწერები, რომლებშიც ეთნიკური სახელი „კოლხი“ გამოიყენება როგორც საკუთარი სახელი“ (ყაუხჩიშვილი, 2019: გვ. 229), ჯერჯერობით ორია აღმოჩენილი. ისინი ძვ.წ. III საუკუნითაა დათარიღებული.

ამგვარი წარწერები, რომლებშიც მოხსენიებულია ტერმინი „კოლხი“, მრავლად არის წარმოდგენილი და მათში ტომი კოლხას აღმნიშვნელი ეპითეტია გამოყენებული. მიგვაჩნია, რომ აქ უფრო მეტად კოლხის ტერმინში ნაგულისხმებია არა იმდენად ეთნიკური სახე, როგორც გეოგრაფიული ტერმინის ერთგვარი მინიშნება. ასევე ნიშანდობლივია ჰეროდოტესთან დაცული კოლხთა და ეგვიპტელთა შესახებ ცნობები.

ამის საბუთად თავად ჰეროდოტეს მოჰყავს სხვადასხვა ერთნაირი ქცევა: წინადაცვეთა, დაკრძალვის რიტუალური სცენები, გარეგნობა, ხუჭუჭთმიანობა და შავგვრემანობა და ა.შ.

ეს ყველაფერი ნათელი მაგალითია ჰეროდოტესთვის კოლხური სამყარო თავისი მისტიციზმითა და იდუმალებით ეგვიპტელების მსგავს საზოგადოებად გაითავისოს, მაგრამ რამდენად არის ეს ყოველივე ეთნიკური სამყაროს მთლიანობის შემცველი, ეს ბოლომდე არ ჩანს.

ბუნებრივია, ელინები მსოფლიო ხალხების სწრაფვას საკუთარი მსოფლალქმის პრინციპებით იაზრებდნენ და სულაც არ ფიქრობდნენ მათი ეთნიკური კუთვნილებითი ღირებულებების წარმოჩენას, ისინი უცხო ხალხებთან სწორედ საკუთარის მისადაგებას ახდენდნენ, რითაც ტექსტებში დაცული ცნობების ძირითადი ხაზი დარღვეულია და მთლიანად ელინიზებული, დაკარგულია ადგილობრივი ტომების ეთნიკურობის მინიმალური სტანდარტი, თუკი ეს უკანასკნელი საერთოდ იყო, ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ანტიკურ ავტორთა წყაროებში დაცული ცნობები უმეტესწილად სწორედ ავტობთონი მოსახლეობის ძირითადი გეოგრაფიული ტერმინოლოგიით ისაზღვრება და არა მისი ეთნიკური მახასიათებლებით. ბერძნებმა კარგად შეუსაბამეს საკუთარი მითოლოგიური სამყარო კოლონიზაციის პროცესს და სამყაროს სხვადასხვა სივრცეში ერთიანი კოლექტიური სივრცის მსოფლალქმა საკუთარი ტერმინოლოგიური იდეოლოგიით სცადეს. მაგალითად, ჯერ კიდევ აკადემიკოსმა ი. ჯავახიშვილმა, შემდეგ კი პროფ. ლ. გორდეზიანმა წამოაყენეს თეზისი, რომელთა მიხედვითაც კოლხის ტერმინი შესაძლებელია უკავშირდებოდეს „კოლხას ქვეყანასთან“ არსებულ გეოგრაფიულ ადგილს (ჯავახიშვილი, 1950, გვ. 12, გორდეზიანი, 2019, გვ. 179).

ამგვარი ტერმინოლოგიური წიაღსვლები მრავლად მოგვეპოვება ანტიკურ ავტორებთან, რომელთა უმრავლესობასთან კოლხური სამყარო დაკავშირებულია მითოლოგიურ სიუჟეტებთან, ხოლო გეოგრაფიულ სახელწოდებებს იყენებენ ადგილობრივ ტომებთან მიმართებაში, რაც თანამედროვეებისთვის აღიქმება როგორც ეთნიკური სახე.

დასკვნის სახით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ანტიკურ ეპოქაში ბერძნულ-რომაული ისტორიოგრაფიიდან დანახული კავკასიური სამყარო მეტწილად უნდა გავიაზროთ, როგორც ტომობრივი საზოგადოება, რომელშიც ძირითადად გეოგრაფიულ სახელებს იყენებენ ამა თუ იმ ხალხის აღსანიშნავად, ვიდრე მისი ეთნიკური მახასიათებლების საჩვენებლად, ან თუ იყო ეთნიკური კოდი ჩადებული იმდენად მცირერიცხოვნობით, რომ მას ძირეული ცვლილების გამოწვევა ტომობრივ კავშირებში არ შეეძლო.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

გორდეზიანი, ლ (2019). სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნიკური სურათისთვის (ლურსმული ტექსტების მიხედვით). საქართველო უძველესი მეტალოგენური კერა ბათუმი.

ყაუხჩიშვილი, თ (2019). საქართველოს ისტორიის ძველბერძნული წყაროები. თბილისი. ლოგოსი.

ჯავახიშვილი, ი (1950). ქართველი ერის ისტორიის შესავალი. წ. 1. საქართველოს კავკასიის მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიული ეთნოლოგიური პრობლემები. თბილისი. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ჯაფარიძე, ო (1976). ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისთვის. თბილისი. თსუ.

Chabuka Metonidze,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The problem of Realize ethnicity in Caucasus in Antiquity

Summary

The process of studying the ethnic world has a long history. This also applies to the study of Caucasian ethnicities. Naturally, there are many contradictions in the understanding of the political and cultural areas of these ethnicities, which is why there are so many different opinions, attitudes and peculiarities in the scientific literature.

In spite of the numerous scientific literature, the complex systematization of the ethnic characteristics of the ancient Caucasus has not yet been accomplished. The purpose of our article is to raise the question of how ethnic features in the ancient Caucasus are matched by modern scientific research and how we can understand the characteristics of the Caucasian world in antiquity.

In conclusion, we believe that in the antiquity, the Caucasian world seen in Greco-Roman historiography should be largely understood as a tribal society.

**მარიამ ჩხარტიშვილი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი და
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი**

**ქართული ეროვნული იდენტობა: კვლევისათვის რელევანტური
თეორიული მიდგომის შერჩევის საკითხი**

შესავალი

„იდენტობის“ მრავალი დეფინიცია არსებობს. ჩემი აზრით, ყველაზე არსობრივია ამ სოციალური ფენომენის შემდეგი განსაზღვრა: იდენტობა ნიშნავს ამა თუ იმ ჯგუფის წევრობის ცნობიერებას.

იდენტობათა უმნიშვნელოვანესი ტიპი კოლექტიური კულტურული იდენტობაა. ნაციონალური // ეროვნული იდენტობა სწორედ ამ ტიპს განეკუთვნება.

ეროვნულ იდენტობას ეფუძნება ისეთი დიდი სოციალური ჯგუფები, როგორც ერებია. ვინაიდან თანამედროვე მსოფლიო წესრიგი ეს ერთა მსოფლიო წესრიგია, ეროვნული იდენტობის კვლევას აქვს დიდი სამეცნიერო ინტერესი. მართლაც, დღეს ეს თემა ძალიან პოპულარულია ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების წარმომადგენელთა შორის.

იმისათვის, რათა ეროვნული იდენტობის ისტორიის რეპრეზენტაცია შეძლოს, ისტორიკოსისათვის აუცილებელია მკაფიო წარმოდგენა ჰქონდეს ამ ფენომენის რაობის შესახებ. ეს კი ნიშნავს, რომ კვლევის დაწყებამდე უნდა გაირკვეს რომელია ის თეორია, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული იდენტობების ისტორიების წარმატებულ რეპრეზენტირებას.

ქართული იდენტობის ისტორიის აღსაწერად მე ეთნოსიმბოლისტური თეორია გამოვიყენე. ამ კუთხით პერსონალური გამოცდილების მკითხველისათვის გაზიარება არის ამ სტატის მიზანი.

ერის ფენომენის და ნაციონალიზმის პროცესების შესახებ არსებულ თეორიულ ნაშრომთა სიმრავლეში შეიძლება გამოვყოთ ორი ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განსხვავებული, პოზიცია: მეცნიერთა ერთი ნაწილი ერებს ოდითგანვე არსებულ, თითქმის ბიოლოგიური სახეობის მსგავს, ფენომენებად წარმოადგენს; ხოლო მეორე ნაწილი თვლის, რომ ერები ახალ დროშია შექმნილი პოლიტიკურად მოტივირებული ინტელექტუალების მიერ, რომლებიც შესაბამისი იდეებით მსჭვალავენ მასებს და ამით აღწევენ სოციალურ კოჰეზიას. პირველებს პრიმორდიალისტებს უწოდებენ, უკანასკნელთ – მოდერნისტებს. პრიმორდიალისტების მიდგომით ელიტების რაიმე როლი ერების ფორმირებაში გამორიცხებულია; კონსტრუქტივისტები, პირიქით, მიიჩნევენ, რომ ეს როლი გადამწყვეტია.

არსებობს მესამე, შუალედური, პოზიციაც. ამ პოზიციაზე მყოფთ ერები რეალურად არსებულ ფენომენებადაც წარმოუდგენიათ და, გარკვეული აზრით, სოციალურ კონსტრუქტებადაც. კულტურული ელიტა, მათი შეხედულებით, ახდენს ჩვენ-ჯგუფის ვერნაკულურ მობილიზაციას და ეროვნული იდენტობრივი მარკერების დადგენას, მაგრამ ამას აკეთებს არა ეროვნული კულტურის „გამოგონებით“, არამედ ადრე რეალურად არსებული ეთნიკური კულტურის სელექციური რეინტერპრეტაციის გზით. ასე მიღებული ეროვნული კულტურა, ცხადია, არ შეიძლება იყოს ზუსტად ის, რაც წინამოდერნული ეთნიკური კულტურაა, მაგრამ არც მისგან სრულიად განსხვავებული რამ. ერებს ეთნიკური ფესვები აქვთ. ამ პოზიციის მიმდევრებს ეთნოსიმბოლისტებად // ეთნიციისტებად მოიხსენიებენ. ამ მიდგომის მთავარი წარმომადგენელი ბრიტანელი მეცნიერი ე.დ.სმითია, რომელიც მრავალ ნაშრომში გადმოგვცემს თავის თვალსაზრისს, მათ შორის იხ. (Smith, 1986; Smith, 2000; Smith, 2003; Hutchinson, Smith, 1994).

მე ეს შუალედური მიდგომა მომეწონა, რადგან ჩავთვალე, რომ მისი საშუალებით კარგად შეიძლება ქართველთა თვითცნობიერების // იდენტობის ფორმირების მრავალსაუკუნოვანი პროცესის აღწერა. ეთნოსიმბოლიზმი არ არის პრიმორდიალისტურ მიდგომასავით ნაივური და აისტორიული, მაგრამ არც ერის სუბსტანციურობის სავსებით უარყოფელი, აღნიშნული ფენომენის მარტოოდენ თანამედროვე დისკურსის ფორმად წარმომადგენელი თეორია.

ეთნოსიმბოლისტების მიხედვით, თუმცა ერების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვით ელიტებს, ელიტები მოქმედებენ არა ვოლუნტარისტულად, არამედ წინარე არსებული ეთნიკური კულტურის ფარგლებში. ამგვარად, თანამედროვე ერების შექმნა, ერთი მხრივ, ინტელექტუალთა აქტივობის და მათ მიერ ინიცირებული დისკურსის შედეგია და, მეორე მხრივ, რეალურად არსებული კულტურისა და მასების ჩართულობის. ერები მოდერნული ფენომენებია, მაგრამ ისინი წინამოდერნული ერთობების მემკვიდრეობაზე არიან აღმოცენებულნი.

ეთნოსიმბოლისტურ მიდგომას აქვს ძალიან ბევრი სხვა საინტერესო დებულება, რის გამოც მე ის თავიდანვე ანგარიშგასაწევად მეჩვენა, მაგრამ ახლა დამატებით ერთს აღვნიშნავ მხოლოდ: ნაციონალიზმს ეთნოსიმბოლიზმი განიხილავს როგორც კულტურის შემადგენელს, ნაციონალისტურ მოძრაობებს უკავშირებს კულტურულ რენესანსებს და გამორჩეულ ნაციონალისტ ლიდერებს ერების დამფუძნებელ მამებად თვლის. თუ გავიხსენებთ როგორ ესმოდათ საბჭოთა კავშირში და კარგა ხანს მისი დაშლის შემდგომაც ნაციონალიზმი – როგორც დესტრუქციული პოლიტიკური ან რეაქციული ბურჟუაზიული იდეოლოგია – მკითხველისათვის ადვილი წარმოსადგენი იქნება, თუ რა დიდ ინსპირაცია უნდა მოეცა ჩემთვის ნაციონალიზმის კულტურული შინაარსით გააზრების შესახებ მტკიცებულებას.

ამგვარად, ეთნოსიმბოლისტური ინტერპრეტაციით, ერები მოდერნული ფენომენებია (ამით ეს მიდგომა არ განსხვავდება არც მოდერნისტებისაგან და არც, სხვათა შორის, მარქსისტების თვალსაზრისისაგან), მაგრამ თანამედროვე ერებს ეძებნებათ წინამოდერნული პრეფიგურაციები, რომელთაც ნაციის იდეალურ ტიპთან დიდი მიახლოების გამო შეიძლება ეწოდოთ ერები. თუმცა წინამოდერნული ერები იგივე არაა, რაც მოდერნული ერები: პირველები უკანასკნელთ მხოლოდ ემსგავსებიან და მოგვაგონებენ.

საქართველოს ისტორიის რეპრეზენტირებისათვის ეთნოსიმბოლისტური მიდგომის გამოყენების მაგალითები

მინდა შევჩერდე ზოგ ჩემს გამოკვლევაზე, რათა მკითხველს დავანახო ეთნოსიმბოლისტური თეორიის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლო გზები.

ჩემი პირველი გამოკვლევა, რომელშიც ეთნოსიმბოლიზმის პოზიციებიდან შევეცადე ისტორიის რეპრეზენტირებას, შეეხებოდა ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად დამკვიდრების ხანას. ძირითადი წყარო იყო „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია. ეს ქართველთა განმანათლებლის ჰაგიობიოგრაფიის ის რედაქციაა, რომელიც დღეს „მოქცევაი ქართლისაის“ მეორე ნაწილის სახით შემოგვრჩა. მე ამ ტექსტის არქექტივს IV საუკუნის შუა ხანებით ვათარილებ (ჩხარტიშვილი, 1987) და, ამდენად, მასში აღწერილი ეპოქის რეპრეზენტირებისათვის ავთენტურ წყაროდ მივიჩნევ. არც ამ ძეგლის, არც საკვლევი ეპოქის არჩევანი, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა: ა) რელიგია კოლექტიური კულტურული იდენტობის უმნიშვნელოვანესი მარკერია, ამიტომ რელიგიური მოქცევის ფაქტი იდენტობის ისტორიის კვლევის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს; ბ) აღნიშნული თხზულება, როგორც ითქვა, ავთენტური წყაროა, და ის ასახავს მოვლენის თანამედროვე ავტორის პერსპექტივას; გ) ჰაგიოგრაფია საეკლესიოდ საკითხავი ლიტერატურული ჟანრია. ანუ მისი იდეები საეკლესიო მსახურების გზით აღწევს კოლექტიურ-კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობის წევრთა მნიშვნელოვან ნაწილს: როგორც პოლიტიკურ ელიტას, ისე მის რიგით წევრებს ანუ დაბალ სოციალურ ფენებს. აქედან გამომდინარე, ჩემ მიერ წყაროდ გამოყენებული ძეგლი ასახავს არა მხოლოდ მისი ავტორის შეხედულებებს, რომელიც, უეჭველია, კულტურული ელიტის წარმომადგენელი იყო, არამედ ირიბად ამ თხზულების მსმენელი აუდიტორიის მსოფლხედვასაც; ანუ ის ასახავს კოლექტივის სხვადასხვა სოციალური ფენის მსოფლხედვას. ამიტომ იყო აღნიშნული ძეგლის წყაროდ შერჩევა ჩემი კვლევისათვის მრავალმხრივ მიზანშეწონილი.

მე ეს თხზულება ე.დ.სმითის მიერ იდენტიფიცირებული ეთნიკური მარკერების მიხედვით გავანალიზე: ენა, ტერიტორია, რელიგია, თვითსახელწოდება. ეთნიკურობასთან აღნიშნულ მარკერთა დაკავშირება არც საბჭოური სოციოლოგიისათვის იყო უცხო, მაგრამ მათი გააზრება ხდებოდა ობიექტივისტურად. ეთნოსიმბოლიზმში კი ამ მარკერთა გააზრება სუბიექტივისტურია. ამას კარგად აჩვენებს თუნდ ის დამატებითი მარკერი, რასაც ვერ ვნახავთ საკითხის მარქსისტულ მიდგომით კვლევისას. ესაა ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგია.

ზემოთ აღნიშნული სტატიის გამოქვეყნებამდეც ვსაუბრობდი ქართულ მესიანურ იდეოლოგიაზე, რომელიც აღმოცენდა ქართლის მოქცევის ეპოქაში (ჩხარტიშვილი, 1998, 1999). ახალი თეორიული მიდგომის გამოყენების შედეგად ის შეიცვალა, რომ აღნიშნული ფაქტი მე უფრო ადექვატური ტერმინით – რჩეულობის იდეოლოგია – აღვნიშნე და, რაც მთავარია, ის იდენტობრივი პერცეფციების ფართო კონტექსტში გავიაზრე.

კოლექტიური-კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებულ ეთნიკურ ჩვენ-ჯგუფებს ახასიათებთ ჯგუფური სოლიდარობის წარმოსახვითობა, რაც გულისხმობს სოციალურ შეჭიდულობას არა მარტო ჯგუფის რეალურად კონტაქტში მყოფ ან თანამედროვე წევრებს შორის, არამედ ერთმანეთისაგან გეოგრაფიულად დაცილებულ ან საერთოდ სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრებ წევრებს შორისაც: კოლექტივში მოაზრებიან ქვეყნიდან გასულნიც, გარდაცვლილნიც და ჯერ არშობილნიც. მე ამ კუთხითაც განვიხილე „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ყველა აღნიშნული მარკერის მიხედვით IV საუკუნის შუა ხანებში ქართული ერთობა ავლენდა გამოკვეთილ თვითცნობიერებას. ეს მიუთითებდა, რომ ქართული ერთობა გაქრისტიანებამდეც ეთნიკური ნიშნებით მკაფიოდ მარკირებული ჩვენ-ჯგუფი იყო. ქრისტიანობამ ქართველთა ეთნიკურობა უფრო საჩინო გახადა. საქმე ისაა, რომ ტრანსეთნიკური რელიგიის მიღების შედეგად ქართული ერთობა აღმოჩნდა ჰომოგენურ იდეოლოგიურ სივრცეში. ქრისტიანული იოკუმენის სხვა ბინადართა პირისპირ საკუთარი მეობის შესანარჩუნებლად აუცილებელი იყო იდენტობის უნიკალური მარკერების გამოკვეთა. სწორედ ამის შედეგია აღნიშნულ ვითარებაში ეთნიკურ თავისებურებებზე ხაზგასმა და ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგიის შექმნაც. ქართულ ერთობაში გლობალური მისიის მითის კულტივირება იყო კოლექტივის ერთგვარი თავდაცვითი რეაქცია, პასუხი იმ გამოწვევაზე, რომელიც მოჰქონდა ქართველთა ექსკლუზიური რელიგიის ანუ არმაზის კულტის ტრანსეთნიკური ქრისტიანობით ჩანაცვლებას.

აღნიშნულ სტატიაში აღძრული საკითხები უფრო გავრცობილად იქნა წარმოდგენილი მონოგრაფიაში „ქართული ეთნიკური რელიგიური მოქცევის ეპოქაში“, რომელიც 2009 წელს გამოიცა და რომელიც შესრულებული იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში (ჩხარტიშვილი, 2009ა).

ამის პარალელურად ცალკეულ სტატიებში მე შევეხე ქართული იდენტობის სხვადასხვა მარკერს: ქართველთა თვითსახელწოდებას (ჩხარტიშვილი, 2005, გვ.227-241; ჩხარტიშვილი, 2006ა, გვ.204-218) ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგიას (ჩხარტიშვილი, 2009ბ, გვ.376-385), ენობრივ (ჩხარტიშვილი, მანია, 2010, გვ.472-483) და რელიგიურ მარკერებს (ჩხარტიშვილი, 2007, გვ.15-24; 2008, გვ.223-227); კოლექტიურ-კულტურულ იდენტობაზე აღმოცენებული ერთობის საკრალურ ასპექტს (ჩხარტიშვილი, 2011, გვ.72-91). განვიხილე პრემოდერნულ ეპოქაში აღნიშნული პრობლემის შესწავლისათვის რელევანტური წყაროების (მაგალითად, ჰაგიოგრაფიის) საკითხი (Chkhartishvili, 2003, pp.53-57; Kadagishvili, Chkhartishvili, 2014, pp.413-421). არ შემოვიფარგლე მხოლოდ ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ხანით და ეთნიკურ მარკერთა განვითარებას დავუკვირდი სხვადასხვა საუკუნეში ანუ საკითხს ვიკვლევდი დინამიკაში. ასე მაგალითად, წინამოდერნის ეპოქის რეპრეზენტირებას მე წმინდა გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრების“ საშუალებითაც შევეცადე (ჩხარტიშვილი, 2006ბ, გვ.87-101; Chkhartishvili, 2011a, pp.312-331; Chkhartishvili, 2015, pp.401-409; Chkhartishvili, 2017, pp.73-89). წმინდა გიორგი მთაწმინდელის ეპოქისადმი ჩემს განსაკუთრებულ ინტერესს განაპირობებდა ის ფაქტი, რომ მეთერთმეტე საუკუნეს ანუ საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანის“ დასაწყისს, მე ქართული წინამოდერნული ნაციის კონსოლიდების ეპოქად მივიჩნევ. ე.დ.სმითი გარკვეული პირობითობით სხვა ხალხების მაგალითების მოშველიებით საუბრობს იმგვარ ფენომენზე,

როგორც წინამოდერნული ნაციებია. მე ჩავთვალე, რომ ეს აზრი პროდუქტიული შეიძლება ყოფილიყო ქართული შემთხვევისთვისაც.

ქართული იდენტობის ისტორიისადმი მიძღვნილი ჩემი კვლევების მეორე ნაწილი ეროვნული კონსოლიდაციის ეტაპს ეხება. ყველა ეს ნაშრომი მრავალი ფაქტის მომცველია. მე ახლა მხოლოდ სქემატურად აღვწერ მათში წარმოდგენილ ჩემს თვალსაზრისს ქართული იდენტობის ისტორიაზე.

სპეციალისტების დიდი ნაწილი თვლის, რომ ნაციების წარმოშობაში გადამწყვეტი როლი ითამაშა მოდერნიზაციამ: ერების ნაწილი უმუალოდ მოდერნიზაციის პროცესის პროდუქტია. მათგან მოხდა ერის იდეის გადაცემა სხვა კოლექტიურ-კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებულ ერთობებში. ამ ერთობების კულტურულმა ელიტებმა აიტაცეს ნაციონალური იდეა და მოახდინეს ამ იდეით თავიანთი მშობლიური ეთნიკური კოლექტივების გამსჭვალვა და მათი კონსოლიდაცია ერებად.

მე ვთვლი, რომ ქართველი ერი განეკუთვნება ერების სწორედ ამ მეორე ტიპს. მის კონსოლიდაციაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის კულტურულ ელიტას და ამ ინტელექტუალთა მიერ შექმნილ ეროვნული სოლიდარობის იდეოლოგიას ანუ ნაციონალიზმს (Chkhartishvili, Mania, Kadagishvili, 2011, pp.426-435; ჩხარტიშვილი, 2011, გვ.256-278; Chkhartishvili, 2011, pp.426-447; Chkhartishvili 2013; Chkhartishvili, 2014a, pp.290-302).

ჯგუფური სოლიდარობის იდეოლოგიები, ცხადია, წინამოდერნის ეპოქაშიც იქმნებოდა. ამის გარეშე საერთოდ წარმოუდგენელია კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობის არსებობა. ასეთი სოლიდარობის იდეოლოგია იყო თუნდაც ზემოთ აღნიშნული ქართველთა ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგია, რომელიც ახლადმოქცეული ქართული ერთობის კონსოლიდაციას ისახავდა მიზნად.

რა განასხვავებს მოდერნული ეპოქის შიდა ჯგუფური სოლიდარობის იდეოლოგიას ანუ ნაციონალიზმს წინამოდერნული ეპოქების შიდა ჯგუფური სოლიდარობის იდეოლოგიებისაგან?

ჯერ ერთი, როგორც ახალ დროში შექმნილი დისკურსი, ნაციონალისტური იდეოლოგია განუზომლად მეტი თემის მომცველია, ვიდრე მისი წინამოდერნული პრეფიგურაციები; მეორე, ნაციონალიზმის შეღწევადობა საზოგადოებრივ ფენებში გაცილებით ღრმად, ხოლო ცირკულირება – გაცილებით ინტენსიური. აღნიშნული სრულიად ლოგიკურია გამომდინარე იქიდან, რომ ახალი დროის საზოგადოება სოციალურად უფრო ჰომოგენურია, ვიდრე ძველი დროის საზოგადოება; ახალ დროში შესუსტებულია ან სრულიად წაშლილია სოციალური სტრატეფიკაცია, მაღალ კულტურაზე კოლექტივის წევრების სრულიად თანაბარი ან თითქმის თანაბარი წვდომაც უზრუნველყოფილია სხვადასხვა სოციალური მექანიზმებით. ახალი მედია საშუალებები მეტ გასაქანს აძლევს შიდა ჯგუფური სოლიდარობის იდეებით მასების ინსპირირების პროცესს, კულტურის საჯაროობა კი თითქმის ყოვლისმომცველია. ხაზი მინდა გავუსვა: როგორც მედია, ისე საჯარო კულტურული სივრცეები წინამოდერნის დროსაც არსებობდა, მაგრამ ახალ დროში ეს ყველაფერი თვისებრივად სხვაგვარი ხდება. სწორედ ეს ანუ აღნიშნული ფენომენების სხვაგვარობა ქმნის კაცობრიობის ისტორიაში გარკვეული ეპოქის „ახალ დროდ“ სახელდების საფუძველს.

ახალ დროში სოციალური ჰომოგენურობისაკენ სწრაფვის ერთ-ერთი გამოხატულებაა „ხალხის“ ახლებური კონცეპტუალიზაცია: წინამოდერნის დროს მარგინალიზებული „ხალხი“, ახალ დროში თანდათან სოციუმის ფასეულობათა შკალაზე იკავებს უმაღლეს ნიშნულს (ჩხარტიშვილი, მანია, 2011, გვ.27-29). იგი საკრალური ხდება და საბოლოოდ ხელისუფლების ლეგიტიმაციის წყაროდაც კი გაიზარება. წინამოდერნული ეთნიკური ერთობების შემთხვევა კი სულ სხვაა: ისინი ცენტრირებულნი იყვნენ მონარქის პიროვნებაზე, რომლის ხელისუფლებას საღვთო ლეგიტიმაცია ჰქონდა. ამგვარად, ცვლილება „ხალხის“

კონცეპტუალიზებაში არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი იმისა, რომ წინამოდერნის საზოგადოებიდან გადავდით მოდერნულ საზოგადოებაში.

XIX საუკუნის საქართველოში მე მოდერნული დროსათვის დამახასიათებელი ზემოთ აღწერილი ვითარება დავინახე (ჩხარტიშვილი, 2019, გვ.183-186). ამ საუკუნის დასაწყისში ანტირუსულ გამოსვლებში ხალხი მოგვევლინა ისტორიის მნიშვნელოვან აქტორად. მერე უკვე მისი ახალი დროის შესატყვისი კონცეპტუალიზებაც მოხდა. ამავე დროს იწყება ეროვნული ნარატივის შექმნის პროცესი ანუ იმის გააზრება, თუ ვინაა ქართველობა: საიდან მოდის, რას წარმოადგენს, მომავალში საით უნდა წავიდეს. ცხადია, ზოგ ამგვარ საკითხს ადრევე განიხილავდნენ ქართული კულტურული ელიტის წარმომადგენლები, მაგალითად, XVIII საუკუნეში ვახუშტი ბაგრატიონი (თარგამაძე 2018), და კიდევ უფრო ადრე ნიკოლოზ გულაბერიძე თუ წმ. გიორგი მთაწმინდელი, მაგრამ შეუძლებელია უარვყოთ, რომ იმგვარად ყოველსმომცველი განსჯა ქართველობის რაობისა და ბედისა, როგორსაც ადგილი ჰქონდა XIX საუკუნეში, მანამდე არასოდეს ყოფილა.

ქართული ნაციონალური იდეის შექმნა არის ახალი დროის შესატყვისი კულტურული თვითიდენტიფიკაციის პროცესი. ამ პროცესს წარმართავდა ქართული კულტურული ელიტა, რომლის სათავეში ამ დროს ჩვენ ვხედავთ ილია ჭავჭავაძეს. ილია ქმნიდა ქართველი ერის ნარატივს და პრაქტიკულად ახერხებდა კიდევ ქართული ერთობის მნიშვნელოვანი ნაწილის გამსჭვალვას ამ ნარატივის იდეებით. სწორედ ამიტომ ილია არის „ქართველი ერის მამა“ და ეს სახისმეტყველებითი თქმა დიდი სიმართლის დამტყვევა: მშობლიური ერთობის წევრები ილიამ შეადუღა (მისივე ტერმინი რომ გამოვიყენო, „შემსჭულა“) საზიარო ფასეულობებით, ქართული ერთობის ეთნიკურ სხეულს მან შთაბერა ეროვნული სული.

ილიასი და მისი თანამოღვაწეების მიერ შექმნილი ქართველი ერის ნარატივის შინაარსი ქართული სინამდვილის ამსახველი იყო, ხოლო ფორმა ანუ მატრიცა, რომელსაც ქართული ინტელიგენცია ამ შინაარსის რეპრეზენტირებისათვის იყენებდა – ევროპული (ჩხარტიშვილი, 2014, გვ.59-67; Chkhartishvili, 2014b, pp.202-213). საინტერესოა, რომ აღნიშნული ფაქტი ანუ ქართული ეროვნული ნარატივის ევროპული ყალიბი, ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა ამ თაობას სავსებით გაცნობიერებული ჰქონდა. აშკარად ამიტომ აღაფრთოვანებდა თავად ილიას ერის მისეული გაგების თანხვედრა ცნობილი ფრანგი ერუდიტის ერნესტ რენანის შეხედულებასთან (ჩხარტიშვილი, მანია, 2011/2012, გვ.72-89). თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე ილიას „ივერია“ იყო ეროვნული იდეების გავრცელების მთავარი საშუალება. „ივერიამ“ მისი მკითხველი საზოგადოება ჩამოაყალიბა მოდერნულ ერად (Chkhartishvili, 2012, pp.188-211).

ქართველი ერის ილიასეული კონცეფცია ორგანიცისტულად გააზრებული ერთობის ანუ ეთნო-ერის გამოხატულ ნიშნებს ატარებდა, მაგრამ ამავე დროს მას სამოქალაქო ერთობის ნიშნებიც აშკარად ჰქონდა. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო დასტურია თუნდაც ის, რომ ქართულ ერთობას ილიასეულ დისკურსში წინამოდერნული დისკურსისათვის დამახასიათებელი ტერმინი „ნათესავი“ კი არ ეწოდებოდა, არამედ „ერი“. ორივე მათგანი ანუ „ნათესავიც“ და „ერიც“, ჯგუფის აღმნიშვნელი, ოღონდაც განსხვავებული შინაარსის მქონე, სიტყვებია: „ნათესავი“ ისეთი ჯგუფია, რომლის წევრები თავიანთ საერთო წარმომავლობას აღიარებენ. ანუ იდენტიფიკაციის საფუძველი დაკონკრეტებულია, როგორც საერთო თესლი. ჯგუფის „ერად“ სახელდების შემთხვევაში კი საერთო წარმომავლობა თუმც არ გამოირიცხება („ერი“ ხომ ადამიანთა კრებულის, ჯგუფის, აღმნიშვნელი ზოგადი სიტყვაა), მაგრამ არც აუცილებლობით იგულისხმება.¹

¹ ლიტერატურაში ვხვდებით „ერის“ არამართებული გააზრების შემთხვევებს. მაგალითად, გ.მაჭარაშვილი ფიქრობს, რომ „ერი“ თანამედროვე აზრით გამოიყენებოდა წინამოდერნულ ეპოქაში. და ამისათვის ერთადერთ არგუმენტად მოჰყავს ძველ ტექსტებში „ნათესავისა“ და „ერის“

ამგვარი ანუ ნეიტრალური ტერმინის შერჩევა ერთობის სახლდებისათვის უკვე იმას მიაჩნებდა, რომ XIX საუკუნის ქართველი ეროვნული მიღვაწენი, ყოველ შემთხვევაში, ილია, ქართული ჩვენ-ჯგუფს აღარ მოაზრებოდა მხოლოდ სისხლის ერთობაზე დაფუძნებულ ექსკლუზიურ კოლექტივად, არამედ ინკლუზიურად ანუ ერთად. ამით ქართული ერთობის რაობის ილიასეული გააზრება უახლოვდება მოქალაქეობრივი ერთობის იდეას.

XX საუკუნის პირველ ათწლეულებში ინტენსიურად გრძელდებოდა ქართული ეროვნული იდენტობის წრთობა. კულტურული ნაციონალიზმის საფუძველზე მკაფიოდ გამოკვეთილი ერთობას გაუჩნდა პოლიტიკური ჯავშანიც: ეს კულტურულ-პოლიტიკური „შენადნობი“ გახლდათ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა (Chkhartishvili, Targamadze, Kadagishvili, 2015, pp.75-86). ქართულ ერ-სახელმწიფოში ქართული იდენტობა გამოკვეთილ მოქალაქეობრივ ნიშნებს იძენს.

საბჭოთა იმპერიაში ქართველთა ყოფნამ ქართული იდენტობას დიდი ზიანი მიაყენა. მას სახელმწიფოებრივი მოქალაქეობრივი ნიშნულიდან ეთნიკურობისაკენ დაახვეინა. საბჭოთა კავშირის ნანგრევებიდან ქართველობა გამოვიდა როგორც ეთნიკური ექსკლუზიურობით აღბეჭდილი ერთობა. სხვაგვარად იმპერიისაგან თავის დაღწევა შეუძლებელიც იყო. შესაბამისად, ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის ზვიად გამსახურდიას ეროვნული ნარატივი ქართველი ეთნო-ერის ნარატივია (ჩხარტიშვილი, 2019ბ, გვ.138-146). 2003 წლიდან „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ქართული იდენტობა ნელ-ნელა იბრუნებს ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის მიერ ნაგულისხმევი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს კი სრულად რეალიზებული მოქალაქეობრივი ერის მახასიათებლებს.

ასეთია, ძალიან მოკლედ, ჩემ მიერ ქართული იდენტობის ისტორიის ხედვა ერის რაობისადმი დასავლური თეორიული მიდგომის გათვალისწინების საფუძველზე. როგორც ზემოთ აღნიშნული ჩემი ნაშრომების (აქ მათი მხოლოდ ნაწილი იყო დამოწმებული) ქრონოლოგია აჩვენებს, რომ ამ მიმართულებით ინტენსიურ კვლევას მე თითქმის ორი ათეული წელი მივუძღვენი. ეთნოსიმბოლიზმმა საშუალება მომცა ქართული იდენტობის ისტორიის რეპრეზენტირებისას მომეცვა ეთნიკური განვითარების პერიოდი, ხოლო ეროვნული კონსოლიდების პროცესი წარმომედგინა, როგორც წინამოდერნული ეთნიკურობისა და კულტურის გაგრძელება და რეინტერპრეტაცია.

ამგვარად, ქართული იდენტობის ისტორიის ჩემეულ რეპრეზენტაციაში ქართული ეროვნული ერთობა არც ადრე არსებული ეთნიკური ერთობის ზუსტი ასლია, მაგრამ არც მისგან მოწყვეტილი და სრულიად განსხვავებული რამ.

ეთნოსიმბოლიზმის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული პრობლემები ქართულ სამეცნიერო სივრცეში

ახალი სოციოლოგიური თეორიის გამოყენება ისტორიული წარსულის რეპრეზენტირებისათვის საბჭოთა მენტალობითა და საბჭოთა სამეცნიერო მემკვიდრეობით იმგვარად დამძიმებულ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ცხადია, უმნიშვნელო ფაქტი არ გახლავთ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია კითხვა: როგორია ზემოთ წარმოდგენილი პრაქტიკისადმი სამეცნიერო წრეების, კონკრეტულად, ქართველი ისტორიკოსების,

სინონიმური გამოყენების ფაქტი (მაჭარაშვილი, 2012, გვ.54-55; 2014, გვ.92-97). ამ ფაქტის ამგვარი ინტერპრეტაცია მოკლებულია საფუძველს: ძველ ტექსტებში აღნიშნული სიტყვების სინონიმური გამოყენება მიუთითებს მხოლოდ იმას, რომ „ერს“, როგორც ჯგუფის აღმნიშვნელ ზოგად სიტყვას, კონკრეტული შემთხვევაში შეიძლება დაჰქონოდა საერთო წარმომავლობით მარკირებული ჯგუფის აღმნიშვნელი ტერმინის მნიშვნელობაც.

დამოკიდებულება? პასუხი მოითხოვს არაერთი ფაქტის მოხმობას და მცირე სოციოლოგიური ხასიათის ანალიზის ჩატარებასაც კი. ამგვარ კვლევას ჩემი მომავალი სამეცნიერო მუშაობის ამოცანად ვისახავ. ამჯერად კი მოკლედ ვუპასუხებ: დასავლური თეორიის ჩარჩოებში საქართველოს ისტორიის გარკვეული ფაქტების რეპრეზენტირების ჩემეული ცდისადმი საქართველოს ისტორიის დარგში მომუშავე ქართველ ისტორიკოსთა ერთი ნაწილის დამოკიდებულება ნეგატიურია. ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ჩემ მიერ დასავლური სოციალური თეორიის მისადაგება საქართველოს ისტორიის ფაქტებისადმი ხელოვნურია და, შესაბამისად, არამართებულია ამ თეორიის გამოყენება. აღნიშნული პოზიციის დამცველების ნაშრომებს ვერ დავიმოწმებ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათ აღნიშნული თვალსაზრისი სამეცნიერო მედიაში არა აქვთ გამოქვეყნებული, უბრალოდ ზეპირად აღნიშნავენ.

თუმცა აღნიშნულ სფეროში ჩემი სამეცნიერო ძიებებისადმი კრიტიკულად განწყობილ მკვლევართა შორის მაინც არის ერთი, რომლის დამოწმება შემძღობია. ესაა ისტორიის დოქტორი გ.მაჭარაშვილი. იგი ქართული იდენტობის ისტორიის საკითხებზე მოხსენებებს აკეთებს სამეცნიერო კონფერენციებზე და გამოქვეყნებული აქვს კიდევ რამდენიმე ნაშრომი. მოცულობით მთელი ეს ნაღვაწი, მართალია, ძალიან მცირეა (ჯამში არ აღემატება ოთხ ათეულ გვერდს), მაგრამ ჩემთვის მაინც ხელმოსაჭიდა: არსებობს რაღაც, რის მიმართაც პოზიციის დაფიქსირება შეიძლება. გ.მაჭარაშვილის ნაშრომები კონკრეტულად შემდეგია: ერთი სტატია ქართულ სამეცნიერო ჟურნალში (მაჭარაშვილი, 2014, გვ.92-97), Research Gate-ზე ატვირთული ერთი სტატიის პრეპრინტი (მაჭარაშვილი, 2020. სტატიის ბოლო კორექტურის გაკეთებისას შევიტყვე, რომ გ. მაჭარაშვილს ეს ნაშრომი გამოუქვეყნებია ჟურნალში "ლიტერატურული ძიებანი".) და რამდენიმე მოხსენების თეზისები (მაჭარაშვილი, 2012, გვ.54-55; Macharashvili, 2015, pp.255-256; მაჭარაშვილი, 2016ა, გვ.196-197; მაჭარაშვილი, 2016ბ, გვ.28; მაჭარაშვილი, 2017ა, გვ.18; მაჭარაშვილი, 2017ბ, გვ.27-28, მაჭარაშვილი, 2018, გვ.70-71, 151). ამის დამატებით 2016 წელს გ.მაჭარაშვილს წაკითხული აქვს მოხსენება ვარშავის უნივერსიტეტში წმინდა გრიგოლ ფერაპისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე (საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, 2016 წმ 15-16 სექტემბერი, თბილისი, საქართველო) და 2016 წმ 15-16 სექტემბერს თბილისში გამართულ კონფერენციაზე (საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, 2016 წმ 15-16 სექტემბერი, თბილისი, საქართველო), რომლის თეზისები, ჩანს, არ დაბეჭდილა, მაგრამ მისი დედააზრი ადვილი ამოსაცნობია სხვა ანალოგიური სათაურის მქონე პუბლიკაციების გათვალისწინებით.

ჩემი სამეცნიერო პრაქტიკისადმი კრიტიკულად განწყობილ დანარჩენ მეცნიერებისაგან გ.მაჭარაშვილი იმითაც განსხვავდება, რომ ის არაა წინააღმდეგი, დასავლური სამეცნიერო თეორია, კერძოდ, კი ეთნოსიმბოლიზმი, საქართველოს ისტორიის აღწერისათვის იქნეს გამოყენებული. პირიქით, ის ამას მიესალმება კიდევ, ოღონდაც მიუთითებს, რომ მ.ჩხარტიშვილი იგებს მცდარად (მისი აზრის უფრო ადექვატური გადმოცემა იქნება, თუ ვიტყვი: აყალბებს) აღნიშნულ თეორიას.

მე საჭიროდ მიმაჩნია წარმოვადგინო გ.მაჭარაშვილის კრიტიციზმთან დაკავშირებით ჩემი განმარტებანი არა იმიტომ, რომ ამ მკვლევრის პუბლიკაციები ქართული იდენტობის ისტორიის კვლევის დარგში თავისი მნიშვნელობით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. განმარტებები მე მჭირდება იმისათვის, რომ მკითხველს უკეთ დავანახო საკითხზე ჩემი შეხედულებები. ახალი სოციალური თეორიის ისტორიოგრაფიულ პრაქტიკაში გამოყენების პერსონალური გამოცდილების გაზიარება ხომ, როგორც დასაწყისშივე აღვნიშნე, ამ სტატიის მიზანია.

გ. მაჭარაშვილისათვის კატეგორიულად მიუღებელია ქართველი ერის კონსოლიდების დროდ XIX საუკუნის დასახელება. ის ამ თვალსაზრისისადმი უბრალოდ უარყოფითად კი არ არის განწყობილი, არამედ ამჟღავნებს დიდ აგრესიას იმ მკვლევართადმი, რომლებიც აღნიშნულ აზრს ავითარებენ. ეს აგრესია მომდინარეობს იქიდან, რომ მოდერნულ ეპოქაში ქართველი ერის კონსოლიდების შესახებ შეხედულებას ის საზოგადოებას წარმოუჩენს როგორც წინამოდერნულ ეპოქაში ქართული კულტურის უარყოფას! ამგვარად,

გ.მაჭარაშვილი მისთვის მიუღებელ სამეცნიერო თვალსაზრისს ქვეყნისათვის დიდი ზიანის მომტან თვალსაზრისად აცხადებს და, კიდევ მეტი: მის პროტაგონისტებს არამეცნიერულ მოტივაციების ქონაში „ამხელს“. კერძოდ, ის მნიშვნელოვან ძალისხმევას ახმარს იმას, რომ მისი მკითხველები თუ მსმენელები დაარწმუნოს: XIX საუკუნით ქართველი ერის კონსოლიდების დათარიღების თვალსაზრისის მქონე მეცნიერები საჩოთირო ანგარებიან გარიგებებში არიან გარკვეულ პოლიტიკურ წრებთან.¹

ქართველი ერის მოდერნულ დროში წარმოშობის შესახებ აზრის გამზიარებელთა შორის გ.მაჭარაშვილს განსაკუთრებით აღაშფოთებს ქართველი ეთნოსიმბოლისტები („ჩვენი ეთნოსიმბოლისტები“, როგორც ის ცინიკურად მოიხსენიებს მკვლევართა ამ ჯგუფს). მე და „ჩემი ჯგუფის წევრები“ (ეს მისეული ტერმინია ჩემი ყოფილი დოქტორანტების, აწ უკვე კოლეგების, აღსანიშნავად) ბრალდებულნი ვართ შემდეგში:

ა) ქართველობას ვართმევთ მის უძველეს ისტორიას; ბ) ამას ვაკეთებთ ეთნოსიმბოლიზმის სახელით, რომელსაც შეგნებულად ვაყალბებთ და ქართული მაგალითისათვის არ ვიყენებთ ამ თეორიის პოსტულატს პრემოდერნული ნაციების შესახებ; გ) საგანგებოდ უგულვებელვყოფთ ფოლკლორულ წყაროებს, რომლებიც ცხადს ხდიან იმას, რომ პრემოდერნული ქართული კულტურა იყო საჯარო. პირადად, მე გ.მაჭარაშვილის მითითებით, ამის დამატებითაც მაქვს „დანაშაული“: მთელი წინამოდერნის განმავლობაში ქართველთა თვითსახელწოდების არსებობის ფაქტს თურმე უარვყოფ, რათა ქართველობა საკაცობრიო ისტორიის მიღმა დავტოვო.

დავიწყებ ბოლო „დანაშაულთან“ დაკავშირებით „თავის მართლებით“.

ზემოთ უკვე დავიმოწმე ჩემი ორი ნაშრომი „ქართული იდენტობის მთავარი მარკერი“ (2005) და „თვითდასახელება როგორც ქართული იდენტობის მარკერი“ (2006). რომლებიც სპეციალურად ქართული ერთობის თვითდასახელების საკითხისადმი მიძღვნილი. ჩემ სხვა არაერთ ნაშრომშიც ვეხები ამ თემას, მაგალითად, ზემოთ ასევე უკვე დასახელებულ ქართული იდენტობის შესახებ ჩემს პირველ სტატიამში (ჩხარტიშვილი, 2002) და მონოგრაფიაშიც „ქართული ეთნიკური რელიგიური მოქცევის ეპოქაში“ (ჩხარტიშვილი, 2009ა). აღნიშნული პრობლემა ჩემამდეც იპყრობდა სპეციალისტთა ყურადღებას, მაგრამ მე მას მივუდექი იდენტობის ისტორიის რეპრეზენტირების საჭიროებიდან გამომდინარე და შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინებით. როგორც უკვე ითქვა, იდენტობა გულისხმობს ჯგუფის წევრობის განცდას. როცა ჯგუფის წევრები თავიანთ ერთად ყოფნას აცნობიერებენ და ამ მდგომარეობას გარკვეული სახელით აღნიშნავენ, ეს, ცხადია, გამოკვეთილი თვითობის მაუწყებელია. ამიტომ მე საგანგებო ყურადღებით მოვეკიდე თვითსახელწოდებას, როგორც მარკერს. ჩემი ზემოთ დასახელებული ერთ-ერთი სტატიის სათაურიც ცხადყოფს, რომ მე თვითსახელწოდება კოლექტიური-კულტურული იდენტობის მთავარ მარკერად მესახება. ამ შემთხვევაში ჩემთვის ინსპირაციის წყარო იყო ე.დ.სმითი, რომლის ნაშრომიდან ამონარიდითაც იწყება ჩემი ერთ-ერთი სტატია.

ჩემი ამოსავალი ჰიპოთეზა გახლდათ შემდეგი: რადგან ქართული იდენტობის განგრძობადი განვითარება ანუ უწყვეტი იდენტობრივი ხაზი უძველესი დროიდან დღემდე, სხვათა შორის ისეთი ძველი ეპოქიდან, როგორიც დაიან-დიოხის არსებობის ხანაა (ჩხარტიშვილი, 2013/2014, გვ.207-221), ჩემთვის ცხადი იყო, მე დავუშვი, რომ ამ ფაქტს გამოხატულება უნდა ჰქონოდა ჩვენ-ჯგუფის თვითსახელწოდებაშიც, ეს ფაქტი, მართლაც, დაფიქსირდა. ქართული იდენტობა შორეულ წარსულში იღებს სათავეს და მრავალი საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების მიუხედავად დღემდე თვითიგივე რჩება. მისი განვითარების წინამოდერნულ და მოდერნულ პერიოდებს შორის წყვეტილი არაა. ამის

¹ ამის შესახებ არაორაზროვნად მიუთითებდა გ. მაჭარაშვილი ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე, იხ. (მაჭარაშვილი, 2019).

საფუძველია კულტურული ბირთვის უცვლელი. ქართული იდენტობის ამგვარი განგრძობადობა ქართველთა თვითსახელწოდებაშიც – „ქართველი“ – აისახება: ის ცვალებადობს საუკუნეთა განმავლობაში, მაგრამ არასოდეს ისე არ იცვლება, რომ შეუძლებელი იყოს საბოლოო ფორმაში ამოვიცნოთ განვითარების წინა ეტაპი.

ამჯერად ამ საკითხზე უფრო ვრცლად ვერ მოვახერხებ საუბარს წინამდებარე ნაშრომის მოცულობისათვის დაწესებული შეზღუდვის გამო. ვფიქრობ, არცაა ამის საჭიროება. შესაბამისი გამოკვლევები გამოქვეყნებულია და მათი ელექტრონული ვერსიებიც ატვირთულია სამეცნიერო პორტალებზე. დაინტერესებულ მკითხველებს იოლად შეუძლიათ მათი მოძიება და იმაში თავად დარწმუნება, თუ რამდენად უსაფუძვლოა ბრალდება იმის თაობაზე, რომ მე ქართველებს თავიანთ თვითსახელწოდებას ვართმევ. წინამოდერნის ეპოქაში მე ქართველთა თვითსახელწოდების არსებობას კი არ უარყოფ, როგორც ამას მბრალებს გ.მაჭარაშვილი, არამედ მის ადრეულ ფორმას ვავლენ და განვითარებას ვაჩვენებ.

ახლა რაც შეეხება წინამოდერნულ ეპოქაში ზოგადად ქართული კულტურის და ქართული იდენტობის არსებობის ფაქტის ჩემ მიერ უარყოფის შესახებ ბრალდებას.

ნათელი რომ გახდეს რამდენად უსაფუძვლოა ეს ბრალდებაც, მოვიხმობ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით კონკრეტული ნაშრომებს სათანადო გვერდების მითითებით.

ნაციონალიზმის იდეოლოგიის შესახებ 2006 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ პოპულარულ სტატიაში მე ჯერ აღვნიშნავ იმას, რომ ერები თავიანთი არსით მოდერნულ ფენომენებად მიმაჩნია, მერე მკითხველს ვამცნობ იმას, რომ ზოგი მეცნიერი გამონაკლისის სახით დასაშვებად თვლის ვილაპარაკოთ ერებზე პრემოდერნულ ეპოქაშიც. ამის შემდეგ მკითხველებს ვესაუბრები იმაზე, რომ ქართული ერთობის ისტორია სათავეს უძველეს დროში იღებს და მისი განვითარება XI საუკუნეში აღწევს მაღალ ნიშნულს. მივუთითებ, რომ ამ მიზეზით ქართველოლოგები ქართველი ერის ფორმირებას უკავშირებენ XI-XII საუკუნეებს. ხაზს ვუსვამ, რომ ჩემთვის დამაჯერებელია ეს აზრი. აქვე შენიშნული მაქვს, რომ ამ დასკვნას მხარს უჭერს არა მარტო საქართველოს ისტორიის კონკრეტული მონაცემები, არამედ თანამედროვე დასავლური სოციალური თეორიაც პრეინდუსტრიალურ ეპოქაში ადრეული ნაციების არსებობის შესახებ (Чхарტიшвили, 2006, сс.29-30).

2008 წლით თარიღდება ჩემი სტატია ინგლისურ ენაზე, რომელიც ეძღვნება ქართული იდენტობის რელიგიურ მარკერს. აქ მე აღვნიშნავ, რომ ქართულ ეროვნულ იდენტობას აქვს ძალიან ღრმა ფესვები წინამოდერნულ ეპოქაში. უძველესი დროიდან დღემდე მან განვლო კოლექტიური-კულტურული იდენტობის განვითარების ყველა საფეხური, რაც ნათელ ასახვას პოულობს ქართული ერთობის თვითსახელწოდებაში. ქართული ეროვნული იდენტობა მიეკუთვნება იდენტობათა იშვიათ ტიპს იმის გამო, რომ მას აქვს განგრძობადობა და მედეგობა ათასწლეულების მანძილზე. XI საუკუნე კი არის ქართული ადრეული ნაციის კონსოლიდების ხანა (Chkhartishvili, 2008, pp.224-225).

2009 წლით თარიღდება ჩემი მონოგრაფია, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენე და რომელშიც ქართული იდენტობის განვითარება განხილულია რელიგიური მოქცევის ეპოქაში. ანუ მთლიანად ქართული იდენტობის განვითარების წინამოდერნულ ხანას განვიხილავ. აქაც საუბარი მაქვს პრემოდერნულ ქართველ ერზე (ჩხარტიშვილი 2009ა, გვ.29-30).

2011 წელს არის გამოქვეყნებული ჩემი სტატია ქართული იდენტობის საკრალური ასპექტის შესახებ. ეთნიებიც და ერებიც გაიაზრებიან საკრალურად და ამ სტატიაში აღნიშნულ ფაქტს ვუკვირდები ქართულ მაგალითზე სხვადასხვა ეპოქაში. აქაც ე.სმითის იმ დასკვნის შესახებ მივუთითებ, რომლის მიხედვითაც გარკვეული პირობითობით წინა მოდერნულ ხანაშიც ნაციების არსებობაზე შესაძლებელია საუბარი და ამასთან კავშირში აღვნიშნავ, რომ ქართული შემთხვევისათვისაც მე სავსებით მართებულად მეჩვენება ეს აზრი (ჩხარტიშვილი, 2011, გვ.80, შენ.11).

შემდეგი ნაშრომი აგრეთვე არის სტატია. ის 2012 წელს არის გამოქვეყნებული. აქ ვსაუბრობ ქართული იდენტობის ღრმა ეთნიკურ ფესვებზე, მის დასაწყისს მივუთითებ სულ მცირე ძვ.წ. XV საუკუნიდან. ვსაუბრობ კოლხეთის სამეფოს ქართულ ეთნიკურ საფუძველზე. ძვ.წ. IV–III საუკუნეებში ქართლის სამეფოს წარმოქმნას განვიხილავ არა როგორც ცვლილებას ეთნიკურ რაობაში, არამედ მივუთითებ, რომ საქმე გვაქვს იგივე ეთნიკური ერთობის პოლიტიკური ცენტრის გადმონაცვლებასთან დასავლეთიდან აღმოსავლეთში. ეს აქცენტი არაქართველი მკითხველისათვის აუცილებელია, რომელმაც შეიძლება არ იცოდეს ისტორიული კავშირი აიეტის კოლხეთის სამეფოსა და ფარნავაზის ქართლის სამეფოს შორის. ხაზს ვუსვამ, რომ მომდევნო საუკუნეებშიც პოლიტიკური რუკის ცვლილების მიუხედავად ქართული სახელმწიფოს თუ სახელმწიფოების ეთნიკური საფუძველი იგივე რჩებოდა. აღვნიშნავ XI–XII საუკუნეებში ქართველი ერის წარმოშობას, თუმც აქვე ვაზუსტებ, რომ ეს იყო ქართული პრემოდერნული ერი, ქართული მოდერნული ერი კი წარმოიშვა XIX საუკუნეში (Chkhartishvili, 2012, pp.194-195, n.4).

შემდეგი ნაშრომი 2013 წლით თარიღდება. აქ ვპასუხობ თსუ ასოცირებულ პროფესორს დ.შველიძეს, რომელმაც ყოვლად უსაფუძვლოდ გააკრიტიკა ჩემი ყოფილი დოქტორანტის, ამჟამად წარმატებული ახალგაზრდა მკვლევრის და სტუ ასოცირებული პროფესორის ნ.სონღულაშვილის სადოქტორო ნაშრომი. დ.შველიძე მეცნიერთა სწორედ იმ ჯგუფს განეკუთვნება, რომელიც ჩემი სამეცნიერო პრაქტიკისადმი ქართველი ერის კონსოლიდაციასთან დაკავშირებით აგრესიულად არის განწყობილი. ის უკიდურესად არაპოზიტიური იყო ჩემი დოქტორანტის მიმართაც. ამიტომ მას მე ვრცელი პასუხი გავეცი. აქაც ხაზგასმით აღვნიშნავ, ერთის მხრივ, იმას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ერები მოდერნული ფენომენებია საზოგადოდ და ქართული შემთხვევისთვისაც ეს აზრი მართებულია. გარკვეული პირობის დადებით შეგვიძლია საუბარი ქართულ პრემოდერნულ ერზე (ჩხარტიშვილი, 2013, გვ.54-56).

შემდეგი ნაშრომი ასევე 2013 წლით თარიღდება. ის შეეხება ქართულ ნაციონალიზმისა და მოდერნული ქართველი ერის ფორმირების საკითხს, მაგრამ აქაც საუბარი მაქვს ქართული წინამოდერნული ერის XI–XII საუკუნეებში ჩამოყალიბების შესახებ (Chkhartishvili, 2013, p.191). აქვე განვიხილავ ე.დ.სმითის აზრს იმის თაობაზე, რომ ზოგიერთ წინამოდერნულ ერთობას შეიძლება ეწოდოს ერი, რომ ისინი შეიძლება განხილულ იქნენ თანამედროვე ერების შესატყვისად. ე.დ.სმითის თვალსაზრისის გადმოცემისათვის დართული მაქვს შენიშვნა იმის შესახებ, რომ მე როგორც ისტორიკოსს, რომელსაც მაქვს წინამოდერნული პერიოდის კვლევის გამოცდილება, პრემოდერნული ერის კონცეპტი ძალიან გამოსადეგად მიმაჩნია და ვამტკიცებ, რომ არსებობდა წინამოდერნული ქართული ნაცია (Chkhartishvili, 2013, p.191, n.5).

აღნიშნული კუთხით საინტერესო შემდეგი ნაშრომი 2014 წლით თარიღდება. ეს სტატია რუსეთის იმპერიაში ქართველთა ნაციონალურ კონსოლიდაციას და ქართული ნაციონალიზმის ევროპულ მატრიცას ეხება. აქაც ხაზგასმულია XI–XII საუკუნეებში ქართული პრემოდერნული ნაციის არსებობის ფაქტი და დამოწმებულია ე.დ.სმითის თვალსაზრისი მოდერნული ნაციების ქმნადობის პროცესების თავისებურებასთან დაკავშირებით (Chkhartishvili, 2014b, pp.206-209, n.9).

შემდეგია სტატია, რომელიც თარიღდება ასევე 2014 წლით. ამ სტატიაში საუბარია ქართულ ნაციონალიზმისა და ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის კვლევისას თეორიული მიდგომის არჩევაზე. აქაც მე ვუთითებ ე.დ.სმითის აზრს იმის შესახებ, რომ კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული პრემოდერნული ერთობების ნაწილი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერები. ხაზს ვუსვამ, რომ „პრემოდერნული ერის“ ცნება ძალიან საჭირო ცნებაა ნაციათქმნადობის პროცესის ნიუანსირებული აღწერისათვის. აღვნიშნავ პრემოდერნული ქართველი ერის არსებობს ფაქტს, თუმც ამავე დროს მივუთითებ მოდერნული ქართველი ერის არსებობის ფაქტზეც (Chkhartishvili, 2014a, pp.291-292, n.5).

შემდეგი სტატია თარიღდება 2016 წლით. ეს გახლავთ საერთაშორისო ინტერნეტული ენციკლოპედიის სტატია. მოცულობით ის სულ ორ გვერდს შეადგენს: ასეთი იყო რედკოლეგიის მოთხოვნა. აქ ვეხები საქართველოს ისტორიაში ფაქტების სიუხვით გამორჩეულ ისეთ ეპოქას, როგორც „ოქროს ხანა“. და ამ პატარა მოცულობის ნაშრომშიც, რომლის ფოკუსი იდენტობრივი საკითხის კვლევა არაა, აღვნიშნავ გარკვეულ საუკუნეებში პოლიტიკური ფრაგმენტაციის მიუხედავად ქართული იდენტობის განგრძობადობას. აქვე ჩართული მაქვს ჩემი თვალსაზრისი განსახილველ ეპოქაში ქართული პრემოდერნული ერის არსებობის შესახებ (Chkhartishvili, 2016).

შემდეგი ნაშრომი ეფუძნება საერთაშორისო კონფერენციაზე, წაკითხულ მოხსენებას. ეს კონფერენცია ჩატარდა 2016 წელს რუმინეთში და მიძღვნილი გახლდათ წმ. ანთიმოზ ივერიელისადმი: The European and Caucasian Culture and Spirituality from Late 17th Century and Early 18th Century. 2018 წელს მე ის ავტორთა Research Gate-ზე პრეპრინტის სახით და ამგვარად ხელმისაწვდომი გავხადე სამეცნიერო საზოგადოებისათვის. აქ შესავალ ნაწილში მოკლედ მაქვს ქართული იდენტობის ისტორია გადმოცემული. აქაც ხაზგასმით აღვნიშნავ ქართული პრემოდერნული ერის არსებობის ფაქტს (Chkhartishvili, 2018, p.5. სტატიის ბოლო კორექტურის გაკეთებისას შევიტყვე, რომ ეს მოხსენება ჩემ მიერ პრეპრინტის დადებამდე რუმინელ კოლეგებს დაუბეჭდავთ 2017 წელს ჟურნალში Dionysiana, # 11, გვ. -237-254),).

კიდევ შემიძლია ჩემი შემოქმედებიდან მსგავსი ადგილები დავიმოწმო, მაგრამ, ვფიქრობ, საკმარისია. დარწმუნებული ვარ, ობიექტური მკითხველისათვის სრულიად ნათელია, რომ ქართული იდენტობის პრემოდერნულ პერიოდს მე მირაჟად არ მივიჩნევ და არც პრემოდერნული ქართველი ერის არსებობას უარვყოფ, როგორც ამაში ყველას დარწმუნება სურს გ.მაჭარაშვილს.

ისიც უნდა შევნიშნო: არც პრემოდერნული ერის არსებობა და არც მისი წარმოშობის დრო ერის პრესტიჟთან კავშირში არანაირად არ არის. არავითარი წინამოდერნული ერი არ ფიქსირდება, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში (ილიას სიტყვით, რომ ვთქვათ, „იქ არ არის გუმინი“) მაგრამ ეს გარემოება ამერიკელი ერის პრესტიჟს და გავლენას თანამედროვე მსოფლიოში ვერაფერს აკლებს. პრემოდერნული ერის არსებობა არის ფაქტი, რომელიც ისტორიული განვითარების თავისებურებას ასახავს და არა ის კრიტერიუმი, რომლითაც უნდა განისაზღვროს დღეს ერის შეფასება ან თვითშეფასება.

დავუბრუნდეთ პრემოდერნული ქართველი ერის შესახებ აზრს, რომელიც, ჩემ მიერ იქნა პირველად გამოთქმული ქართულ სამეცნიერო სივრცეში. შეუძლებელია გ.მაჭარაშვილს არ შეემჩნია, თუ რამდენჯერ ვიმეორებ მე ამ აზრს. მაგრამ მისთვის, ჩანს, გაუგებარია მოდერნულ და პრემოდერნულ ერთობებს შორის ტოლობის ნიშანს რომ არ ვსვამ. ერების ფორმირების შესახებ დასავლურ სოციალურ თეორიებს შორის ეთნოსიმბოლიზმის ნიუანსების დაფიქსირება ყველაზე ძნელია: უფრო ადვილი გასაგებია პრიმორდიალიზმი და მოდერნიზმი, როგორც ორი პოლუსი, მაგრამ მათ შორის პოზიციის იდენტიფიცირება უფრო ძნელი. არ მიკვირს, რომ გ. მაჭარაშვილმა ის ვერ გაიგო, უფრო ზუსტად გაიგო, როგორც მას შეეძლო ანუ პრიმორდიალისტურად. გ. მაჭარაშვილის მიერ ეთნოსიმბოლიზმის გაუგებრობიდან გამომდინარეობს მის მიერ ჩემი თვალსაზრისის გაუგებრობაც და ბრალდებაც იმასთან დაკავშირებით, რომ მე და „ჩემი ჯგუფის წევრები“ ეთნოსიმბოლიზმს ვაყალბებთ და მივაწერთ მოდერნისტულ იდეებს (მაჭარაშვილი, 2020, გვ.4). უკვე ითქვა, რომ სამეცნიერო მიმართულებას, რომელიც ცნობილია „მოდერნიზმის“ სახელით, გ. მაჭარაშვილი განიხილავს, როგორც მკვლევართა გარკვეულ პოლიტიკურ წრეებთან საჩოთირო გარიგებების შედეგს. შესაბამისად, „მოდერნისტების“ თვალსაზრისთან რომელიმე მკვლევრის თვალსაზრისის დამთხვევა მისთვის ამ მკვლევრის მაკომპრომენტირებელი ფაქტია.

წინამდებარე ნაშრომში მისი შეზღუდული მოცულობის გამო შეუძლებელია ე.დ.სმითის ნაშრომებიდან ამონარიდების მოხმობა, მაგრამ ორიოდ მათგანს მაინც

წარმოვუდგენ მკითხველს, რომ ყველასათვის ნათელი იყოს საქმის ვითარება ეთნოსიმბოლიზმის „გაყალბებასთან“ დაკავშირებით. აი, ამონარიდი ე.დ.სმითის ნაშრომიდან „ნაციების წარმოშობა“, რომელიც თავდაპირველად გამოქვეყნდა ჟურნალში Ethnic and Racial Studies (1989, v.12, n.3, pp.340-367). აქ კომპაქტურად არის გადმოცემული ე.დ.სმითის აზრი პრემოდერნული და მოდერნული ერთობების ურთიერთმიმართების შესახებ: „The nation, as we have defined it, is a modern phenomenon and its civic features can only reach full flowering in the modern era, with its specific modes of domination, production and communication. At the same time modern nations have their roots in pre-modern eras and pre-modern cultures. The origins of such nations must therefore be traced far back, since their ethnic features, though subject of considerable reconstructions, stem often distant eras and ancient traditions. Modern nations are closely, if often indirectly, related to older long-lived *ethnies* ...“ (Eley & Suny, 1996, p.124),

ახლა წარმოვადგენ ამ ამონარიდის ჩემულ თარგმანს: „ერები, ჩვენი განმარტების თანახმად, მოდერნული ფენომენებია და მათი მოქალაქეობრივი ნიშნები სრულ გაფურჩქვნას აღწევენ მხოლოდ თანამედროვე ეპოქაში, რომელიც ხასიათდება მართვის, წარმოებისა და კომუნიკაციის სპეციფიკური საშუალებებით. ამავე დროს თანამედროვე ერებს ფესვები აქვთ წინამოდერნულ ეპოქებში და წინამოდერნულ კულტურებში. შესაბამისად, ამგვარი ერების საწყისებს თვალი უკან სიღრმეში უნდა მივადევნოთ, რადგანაც მათი ეთნიკური ნიშნები, მრავალი გარდაქმნის მიუხედავად, შორეულ ეპოქებიდან და ძველი დროის ტრადიციებიდან მომდინარეობს. თანამედროვე ერები მჭიდროდ, თუმც ხშირად ირიბად, უკავშირდებიან უფრო ძველ დღეგრძელ *ეთნიებს*...“

კიდევ ერთი ამონარიდი: „All this suggests that the modernists are right to insist on importance of the differences between the type of nation found in the modern world and earlier collective cultural identities. At the same time, we should be careful not to create too great disjunction between “these premodern communities” and “modern nation”, nor too disallow in advance, as Hobsbawm does, any kind of continuity between premodern communities and modern nations“ (Smith, 2003, pp.107-108).

და აი, მისი ჩემული თარგმანი: „ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ მოდერნისტები მართალნი არიან, როცა მოდერნულ მსოფლიოში აღმოჩენილ ნაციის ტიპსა და ადრეულ კულტურულ იდენტობებს შორის განსხვავების მნიშვნელობას უსვამენ ხაზს. ამავე დროს ფრთხილად უნდა ვიყოთ, რათა მეტისმეტად არ გავმიჯნოთ „პრემოდერნული ერთობები“ და „მოდერნული ნაციები“ და არც იმთავითვე გამოვრიცხოთ (როგორც ამას ჰობსბაუმი აკეთებს) რაიმე სახის განგრძობადობა“ (ჩხარტიშვილი, 2004, გვ.155).

ამ ამონარიდებით კარგად ჩანს ეთნოსიმბოლიზმის არსი: მისი განსხვავება როგორც პრიმორდიალიზმისაგან, ისე მოდერნიზმისაგან. ამავე დროს აშკარაა გარკვეული ნიშნებით ორივე ამ მიდგომასთან მისი მსგავსებაც. სწორედ ეს შუალედურობა არის დამაბნეველი გ. მაჭარაშვილისათვის. ის ცდილობს ეთნოსიმბოლიზმის მოდერნისტული ნიშნები ჩააქროს და ეს თეორია სრულად პრიმორდიალიზმზე დაიყვანოს. ეს კი ამ თეორიის გაუმართლებელი პროფანაციაა.

დაბოლოს, ბრალდება ფოლკლორული წყაროების მიზანმიმართული უგულვებელყოფის შესახებ. ფოლკლორს, როგორც ქართული იდენტობის ისტორიის წყაროს, მე ჯერჯერობით არ შევხებივარ, მაგრამ არა იმიტომ რომ საგანგებოდ უგულვებელყოფ, არამედ უბრალოდ იმის გამო, რომ სხვა წყაროთა ინტენსიური კვლევის მიზეზით მათთვის ვერ მოვიცალე. მე არ ვფიქრობ, რომ ქართული იდენტობის ისტორიის წყაროთა ბაზა არ უნდა გამდიდრდეს ფოლკლორული წყაროებით. ისინი საინტერესოა იდენტობის მკვლევრისათვის იმიტომ, რომ ცირკულირებენ მოსახლეობის ფართო ფენებში, თანაც არაელიტური სოციალური ჯგუფების პერცეფციებს არეკლავენ. თუმც ისტორიულ რეპრეზენტაციებში ფოლკლორის ფართოდ მოხმობას პრობლემას უქმნის ძეგლების უთარილობა. შეუძლებელია

მათზე დაყრდნობით ეთნიკური ცნობიერებიდან ეროვნულზე გადასვლის დროის თუნდაც მიახლოებით მითითება. შესაბამისად, აღნიშნულ წყაროთა გზით მნიშვნელოვანი მასალის მოპოვებასთან დაკავშირებით ოპტიმიზმისათვის უფრო ნაკლები საფუძველი გვაქვს ვიდრე სხვა სახის წყაროების შემთხვევაში.

ბოლოთქმა

ქართველი ერის ჩამოყალიბების ისტორიას საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მარქსისტული სოციოლოგიის საფუძველზე წარმოდგენდნენ. მე კი ამ მიზნით XXI საუკუნის დასაწყისიდან ერთ-ერთი დასავლური თეორიის, კერძოდ, ეთნოსიმბოლიზმის გამოვიყენება დავიწყე. წინამდებარე სტატიაში ამ სფეროში ჩემს თითქმის ოცწლიან გამოცდილებას ვუზიარებ მკითხველებს, ვაჩვენებ, რომ ქართული იდენტობის ჩამოყალიბება არის მრავალსაუკუნოვანი პროცესი, რომელიც განვითარების ეთნიკურ და ნაციონალურ დონეებს მოიცავს; ვაჩვენებ, რომ ქართული იდენტობა უნიკალურად განგრძობადი ფენომენია: საუკუნეების მანძილზე ის ცვალებადობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თვითიგივეურობას ინარჩუნებს.

ამ სტატიაში ჩემი სამეცნიერო პრაქტიკისადმი გამოვლენილი აგრესიული კრიტიციზმის საკითხსაც შევხე მოკლედ.

სამომავლოდ ვაპირებ უფრო ვრცლად განვიხილო ეს ყოველივე: როგორც ეთნოსიმბოლიზმის არსი და მის ფარგლებში განხორციელებული ჩემი რეპრეზენტაციები, ისე მეთოდოლოგიური სიახლის მიუღებლობის ფაქტები. ვფიქრობ, განსჯის საგნად ვაქციო სამეცნიერო სივრცეში გამოვლენილი მეტროპოლი უმეცრების არა მარტო ცალკეული შემთხვევები, არამედ მისი ხელშემწყობი სოციალური კონტექსტიც წარმოვაჩინო სათანადოდ. ეს აუცილებელია ქართული ისტორიოგრაფიის თანამედროვე მდგომარეობის დასახასიათებლად და არსებული პრობლემების გამოვლენისა თუ წარმატებით გადაჭრისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თარგამაძე, ზ. (2018). ქართველთა თვითცნობიერება: ისტორიული ასპექტები. XVIII საუკუნე. თბილისი, მერიდიანი.
2. მაჭარაშვილი, გ. (2012). „ერისა“ და „არა ერის“ მნიშვნელობა ძველ ქართულში, *ქართველოლოგიური კვლევები: ძირითადი ტენდენციები და თანამედროვე პრობლემები*. ახალგაზრდა მკვლევართა ეროვნული ინტერდისციპლინური სამეცნიერო კონფერენცია. თეზისები. თბილისი. უნივერსალი.
3. მაჭარაშვილი, გ. (2014). „ერისა“ და „არა ერის“ მნიშვნელობა ძველ ქართულში. *ქართველოლოგია*.
4. მაჭარაშვილი, გ. (2016). ფოლკლორული წყაროების მნიშვნელობა ქართული ეროვნული იდენტობის კვლევისათვის. *ივანე ჯავახიშვილის 140 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. წარსული, აწმყო, მომავალი*. პროგრამა და თეზისები.
5. მაჭარაშვილი, გ. (2016). ხალხური სიტყვიერება და ქართული ეროვნული იდენტობის კვლევა. *მეშვიდე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები. საქართველო ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში*. თბილისი. თსუ.
6. მაჭარაშვილი, გ. (2017). ქართველი ერის კონცეპტუალიზაცია ეთნოსიმბოლისტური და მოდერნისტული პარადიგმების მიხედვით. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია*.

წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები. პროგრამა და მოხსენებათა თეზისები. თბილისი.

7. მაჭარაშვილი, გ. (2017). „ერი“ თუ „ეთნო“. *თსუ იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ქართველოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია*. პროგრამა და თეზისები. თბილისი.

8. მაჭარაშვილი, გ. (2018). ქართული ეროვნული იდენტობა ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული ტექსტების მიხედვით. *საერთაშორისო კონფერენცია „ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა“*. თეზისები. თბილისი.

9. მაჭარაშვილი, გ. (2019). საერთაშორისო კონფერენციაზე „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“. წაკითხული მოხსენების „წინამოდერნული ქართული კულტურა მირაჟი თუ სინამდვილე“ ვიდეოჩანაწერი:

<https://www.youtube.com/watch?v=BezALgsEmbs&t=19s>

<https://www.youtube.com/watch?v=ql9q1CLVEQM>

1. მაჭარაშვილი, გ. (2020). წინამოდერნული ქართული კულტურა მირაჟი თუ სინამდვილე.

https://www.researchgate.net/publication/337951621_Premodern_Georgian_Culture_Mirage_or_Reality_in_Georgian_language_tsinamodernuli_kartuli_kultura_-_mirazhi_tu_sinamdville (ატვირთულია 2019 წლის დეკემბერში. ბოლო წვდომა 2020 წლის 8 სექტემბერი).

2. ჩხარტიშვილი, მ. (1987). *ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები* („ცხოვრება წმიდისა ნინოსის“). თბილისი. მეცნიერება.

3. ჩხარტიშვილი, მ. (1998). ქართული მესიანიზმი. იდეის თაურსახე. *ი. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო სესია, მიძღვნილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მე-80 წლისთავისადმი*. მოხსენებათა თეზისები. თბილისი, მეცნიერება.

4. ჩხარტიშვილი, მ. (1999). ქართული მესიანიზმი ადრექრისტიანულ ხანაში. *გაზ. შარავანი* #, 1-2.

5. ჩხარტიშვილი, მ. (2002). ქართლის მოქცევის ისტორია ეთნიკურობის კვლევის პრობლემატიკის თვალთახედვით. *ეთნიკურობა და ნაციონალიზმი* (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ინსტიტუტთაშორისო სემინარის მასალები). #1.

6. ჩხარტიშვილი, მ. – *მთარგმნელი* (2004ა). *ე. დ. სმითი. ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია*. თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი.

7. ჩხარტიშვილი, მ. (2004ბ). ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროების პუბლიკაციის ისტორიიდან (მიხაილ საბინინის „საქართველოს სამოთხე“). *ქართული წყაროთმცოდნეობა X*.

8. ჩხარტიშვილი, მ. (2005). ქართული იდენტობის მთავარი მარკერი. *საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე*. თბილისი, არეტე.

9. ჩხარტიშვილი, მ. (2006ა). თვითდასახელება როგორც ქართული იდენტობის მარკერი. *ქართული წყაროთმცოდნეობა, XI*.

10. ჩხარტიშვილი, მ. (2006ბ). წმიდა მამა გიორგი მთაწმიდელი და ქართული იდენტობის სამანები XI საუკუნეში. *ქართული წყაროთმცოდნეობა, XI*.

11. ჩხარტიშვილი, მ. (2007). ქრისტიანობა როგორც ქართული იდენტობის მარკერი. *ლოგოსი IV*.

12. ჩხარტიშვილი, მ. (2009ა). *ქართული ეთნო რელიგიური მოქცევის ეპოქაში*. თბილისი. უნივერსალი.

13. ჩხარტიშვილი, მ. (2009ბ). ქართული იდენტობა: როგორ იწრთობოდა იგი. ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგია. *კავკასიოლოგიური ძიებანი I*.

14. ჩხარტიშვილი, მ. (2011). ქართული იდენტობის საკრალური ასპექტი. *ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალი შრომები, 1*.

15. ჩხარტიშვილი, მ. (2013). როგორი უნდა იყოს სადოქტორო დისერტაცია ისტორიაში? არაკეთილგანწყობილი რეცენზენტის პასუხად. თბილისი. ნეკერი.

16. ჩხარტიშვილი, მ. (2013/2014). დაიენ / დიაოხი: ეთნიკური სტიგმა. *ქართული წყაროთმცოდნეობა XV/XVI*.

17. ჩხარტიშვილი, მ. (2014). ქართველი ერის იდეა ნაციის ფენომენის შესახებ ევროპული დისკურსის ფონზე. *საერთაშორისო ინტერდისცილინური კონფერენციის „ევროპული ღირებულებები და იდენტობა“ მასალები*. თბილისი. თსუ.
18. ჩხარტიშვილი, მ. (2019). ქართველი ერი XIX საუკუნეში ეთნოსიმბოლისტური თვალთახედვით. *ქართული წყაროთმცოდნეობა XXI*.
19. ჩხარტიშვილი, მ. (2019). ქართველი ერის ზვიად გამსახურდიასეული ნარატივი. რეპრეზენტაცია და კომენტარები. *ქართული წყაროთმცოდნეობა XXI*, 2019.
20. ჩხარტიშვილი, მ., მანია, ქ. (2010). ქართული იდენტობის ენობრივი მარკერი პრემოდერნულ ხანაში და ნაციონალური კონსოლიდაციის ეპოქაში. I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“. *შრომები*. ქუთაისი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
21. ჩხარტიშვილი, მ., მანია, ქ. (2011). *ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში. ივერია და მისი მკითხველი საქართველო*. თბილისი. უნივერსალი.
22. ჩხარტიშვილი, მ., მანია, ქ. (2011/2012). ქართველი ერის კონცეპტუალიზაცია და ე. რენანის „რა არის ერი?“. *ქართული წყაროთმცოდნეობა XIII/XIV*.
23. ჩხარტიშვილი, მ., მანია, ქ., ქადაგიშვილი, ს. (2011). ქართული ნაციონალიზმის წარმოშობა. *ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები* 3.
24. Chkhartishvili, M. (2003). Informative value of hagiographical sources for study of ethnic identity. *Caucasica* (The Journal of Caucasian Studies) 7.
25. Chkhartishvili, M. (2008). On Georgian identity religious marker. *Studies in Medieval History of Georgia* IX.
26. Chkhartishvili, M. (2009). Georgian Identity: Stages of Development. *On Georgian identity and culture (Nine international presentations by Professor Mariam Chkhartishvili)*. Tbilisi. Universal.
27. Chkhartishvili, M. (2011a). Holy Men and Making of Georgian Identity. *Proceedings of the Institute of Georgian History at the Faculty of Humanities of the Javakhishvili Tbilisi State University* 1.
28. Chkhartishvili, M. (2011b). Molding of Nationalist Ideology and Printed Media: Georgian Case Study. *Proceedings of the Institute of Georgian History at the Faculty of Humanities of the Javakhishvili Tbilisi State University* 2.
29. Chkhartishvili, M. (2012). The Shaping of Georgian National Identity: Iveria and its Readers. *The Balkans and Caucasus: Parallel Processes on the Opposite Sides of the Black Sea*. Cambridge. Cambridge Scholars Publishing.
30. Chkhartishvili, M. (2013). Georgian Nationalism and the idea of Georgian Nation. *Codrul Cosminului Departamentul de Stiinte Umanesi Social-Politice* 19. 2. http://atlas.usv.ro/www/codru_net/page19_2e.html 191
31. Chkhartishvili, M. (2014a). Representing Georgian Past: Problem of Nation-Formation. *Proceedings of International Conference "Representing History: Theoretical Trends and Case Studies"* dedicated to 90th Anniversary of Academician Mariam Lordkipanidze's Birth held by the Institute of Georgian History. Tbilisi State University Press.
32. Chkhartishvili, M. (2014b). Conceptualizing the Georgian Nation within the Romanov Empire: Georgian Intellectuals in Search of a Matrix. *Empires and Nations from the Eighteenth Century to the Twentieth Century*. Volume I. Cambridge. Cambridge Scholars Publishing.
33. Chkhartishvili, M. (2015). Kutsallık ve Kimlik: Gürcü Olay İncelemesi. *Yeni Türkiye Kafkaslar, özel sayısı* VII. 77.
34. Chkhartishvili, M. (2016). Georgia, Kingdom of (fl. C12–13th). *The Encyclopedia of Empire*. Editor-in-Chief John M. MacKenzie. DOI: 10.1002/9781118455074.wbeoe322

<http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1002/9781118455074.wbeoe322/abstract;jsessionid=C593790E8FAFC6A2726B6E7605C79EAB.f04t04?userIsAuthenticated=false&deniedAccessCustomisedMessage>

35. Chkhartishvili, M. (2017). Saint George of Mtatsminda and the Forging of Georgian Identity in the 11th Century. *Histoire, mémoire et dévotion. Regards croisés sur la construction des identités dans le monde orthodoxe aux époques byzantine et post-byzantine*. La Pomme d'or, Seyssel.
36. Chkhartishvili, M. (2018). Deed of Anthim the Iberian Seen in the Context of Georgian Identity Forging DOI:10.13140/RG.2.2.29901.13281. <https://www.researchgate.net/publication/324363847>
37. Chkhartishvili, M., Targamadze, Z., Kadagishvili, S. (2015). Impulse of the Great War on Georgian Identity Development. The First World War. *Analysis and Interpretations*. Vol. 2. Cambridge. Cambridge Scholars Publishing.
38. Chkhartishvili, M., Kadagishvili, S. (2011). Georgian Nationalism in the Nineteenth Century: Values, Ideals, Symbols. *Proceedings of the Institute of Georgian History at the Faculty of Humanities of the Javakhishvili Tbilisi State University* 4.
39. Eley, G., Suny, R. – *Editors* (1996). *Becoming National. A reader*. Oxford, Oxford University Press.
40. Hutchinson, J., Smith, A. D. – *Editors* (1994). *Nationalism. Oxford Reader*. Oxford, Oxford University Press.
41. Kadagishvili, S., Chkhartishvili, M. (2014). Georgian Self-Determination in the Eighteenth Century (Saints and Collective Memory). *Empires and Nations from the Eighteenth Century to the Twentieth Century*: Vol. 1. Cambridge, Cambridge Scholars Publishing.
42. Macharashvili, G. (2015). Studies in Ethnicity and Nationalism (The Critical Survey). *International Congress I, Problems and Prospects of Kartvelology*. Abstracts. <https://www.researchgate.net/publication/325069209>
43. Smith, A. D. (1986). *The Ethnic Origins of Nations*. Oxford. Basil Blackwell.
44. Smith, A. D. (2000). *The Nation in History: Historiographical Debates about Ethnicity and Nationalism*. Polity Press.
45. Smith, A. D. (2003). *Nationalism. Theory, Ideology, History*. Polity Press.
46. Чхარტიშვილი, М. (2006). *Идеология национализма и его универсалии в грузинской среде. Национализм* (Популярная книга для чтения). Тбилиси.

Mariam Chkhartishvili,
Institute of Georgian History of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University and
Institute of History and Ethnology

Studying Georgian National Identity: In Search of a Theory

Summary

In Soviet historiography formation of Georgian nation was represented on a ground of Marxian sociology. From the beginning of the 21st century for study of history of Georgian identity I began using western theory, namely, ethno-symbolist approach. In the present article I share my experience accumulated in this field during two recent decades with the readers. In particular, I demonstrate my views on history of Georgian identity. Main message of my results are as follows: formation of Georgian identity is a long-term process comprising ethnic and national levels of development. Georgian identity has been formed during the centuries. It has retained self-sameness until today. The long-term uninterrupted development is a feature that makes Georgian case unique. Georgian nation belongs to a rare type of continuous nations with very deep ethnic roots in pre-modernity.

In the paper I have also concerned though very briefly the aggressive criticism which comes from certain Georgian historians in address of my views on history of Georgian identity.

In future I plan revisiting all above mentioned issues more profoundly: I mean not only my representations based on ethno-symbolist approach, but also, I am going to pay special attention to the difficulties which had faced my attempts to implement western social theory in Georgian scholarship. I intend to consider not only separate facts of the militant ignorance of some scholars, but the whole contexts so that characterize the modern state of Georgian historiography and identify the existed problems for solving them successfully in future.

თეა თვალავაძე, ესმა მანია
გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის
სახელმწიფო მუზეუმი
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი

იდენტობის კონტურები და გრიგოლ ორბელიანის პირადი საარქივო
ფონდი

მე-19 საუკუნის ქართული ყოფა - დიპლომატიური ურთიერთობებით დაწყებული, გასტრონომიით დამთავრებული - დამუხტული იყო მულტიკულტურალიზმით, რომელიც, ზოგადად, ნაციონალური კომპონენტების მარგინალიზაციას განაპირობებს. ერთგვარად მარგინალიზებული იყვნენ ის საზოგადო მოღვაწეებიც, რომლებიც რეგიონში კულტურულ და

გეოსტრატეგიულ ვარიაციებს ქმნიდნენ. ასეთი მოღვაწე იყო გრიგოლ ორბელიანიც. გარეგნული მარცნალიზაციის მიუხედავად, მის პირად არქივში შეგვიძლია მოვიძიოთ მისი იდენტობის ფენომენის კონტურები – არაცნობიერად ფორმირებული შეგრძნება ან ცნობიერად შემუშავებული კონცეფცია საკუთარი ვინაობის შესახებ.

საქვეყნოდაა ცნობილი გრიგოლ ორბელიანის, როგორც კავკასიური გეოპოლიტიკური ვარიაციების ფორმირების ეპიცენტრში მდგარი მოღვაწის, ფორმალური იმიჯი, საჯარო პორტრეტი, თუმცა მისი პირადი მიმოწერა, როგორც გენერლისეული ალტერნატიული აზროვნების ამსახველი წყარო, ჯერ კიდევ შესასწავლია. სწორედ ამ მონაცემებშია შესაძლებელი არა მხოლოდ მისეული თვითიდენტიფიკაციის კონცეფციის კონტურების მოძიება სხვადასხვა პერიოდისა და რეალიის გათვალისწინებით, არამედ ადამიანთა ჯგუფების თუ საზოგადოებების ეთნიკური და პოლიტიკური იდენტობის მარკირების მცდელობაც.

არასაკუბლიკაციო, მხოლოდ ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფუნქციის მქონე ეპისტოლური მემკვიდრეობა, რომელიც ამჯერად ჩვენი კვლევის საგანია, ხშირად ოფიციალური დოკუმენტაციისგან განსხვავებულ მონაცემებს შეიცავს. გრიგოლ ორბელიანს ინტენსიური მიმოწერა ჰქონია კავკასიის მეფისნაცვლებთანაც, რომლებისგანაც კავკასიური ომის პირობებში ინსტრუქციებს იღებდა და ნაიბებსა და იმამებთანაც, როგორც კავკასიური ომების მთავარ აქტორებთან. ამ წერილებში იკვეთება ორი ინტერესი - საკუთარი სამშობლო, როგორც გრძნობისმიერი ფენომენი და რუსეთის იმპერია, რომლის სამსახურშიც წყდება მისი კარიერის აკვარგი. პოეტისა და გენერლის საჯარო იმიჯი ამ წერილების კონტექსტური და მეტატექსტური მონაცემების გარეშე მეტად ცალმხრივია. ამ წყაროების შეჯერება კი რთულ გეოპოლიტიკურ გარემოში მოღვაწე პირის განზოგადებულ პორტრეტს გვთავაზობს. ეს არის მძიმე სტრესებით და, ამავე დროს, უნიკალური შესაძლებლობით გამორჩეული პირის პორტრეტი.

თუ გრიგოლ ორბელიანის პორტრეტის წყაროდ მისივე საზოგადოებრივი აქტივობის ამსახველ რამდენიმე ფაქტს მოვიყვანთ, მისი იდენტობის მონოლითურობა ცხადი გახდება. ამ მოსაზრების დასადატურებლად საჭიროდ მივიჩნევთ, მისი პორტრეტის რამდენიმე რაკურსს გავუსვათ ხაზი (ნიმუშად მოგვყავს თითო ან ორი ფაქტი): გრიგოლ ორბელიანი **როგორც მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის საზოგადო მოღვაწე** (სიტყვას წარმოქვამს ახლად შემოერთებულ „ოსმალის საქართველოს“ ქართველთათვის საგანგებოდ გამართულ სადილოზე დიმიტრი ყიფიანთან, ალექსანდრე ზუბალაშვილთან და აკაკი წერეთელთან ერთად, 1878 (კვსსხეც, გრიგოლ ორბელიანის პირადი არქივი, №98)); **როგორც სულიერი მემკვიდრეობის მოჭირნახულე** (ძველი ქართული წიგნების გამოცემაზე ზრუნვას იწყებს ჯერ პლატონ იოსელიანთან, შემდეგ კი პეტრე უმიკაშვილსა და გიორგი წერეთელთან ერთად, 1869 („დროება“, ბერძენოვი ნ., უმიკაშვილი პ., წერეთელი გ., „ძველის წიგნების გამოცემაზე“, 1869, N52, გვ. 1-2) თუ შესაძლებელია სტატიის ავტორი და სათაური მივუთითოთ; ხელმძღვანელობს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის პირველ სხდომას. წერილებს სწერს ოციოდე პირს, რომელთაც ხელთ აქვთ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და სთხოვს, მათი კუთვნილი ხელნაწერები დროებით ტექსტის დასადგენად დაუთმონ, 1881 („დროება“, ორბელიანი გრ., „ახალი ამბები“, 17 დეკემბერი, N266, გვ. 2); **როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი** (კითხულობს ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯას“ და იონა მეუნარგიას მიუთითებს, რომ ის „ჩინებული რამ არის“, 1881 (კვსსხეც, ალექსანდრე ყაზბეგის პირადი არქივი №221); **როგორც ენის სიწმინდისთვის მებრძოლი** (იაკინთე ალექსი-მესხიშვილს, ქართული ენის კარგ მცოდნეს, დაწვრილებით უხსნის თავის დამოკიდებულებას მიცემით ბრუნვაში -ზე და -ში თანდებულების გამოყენებისას

ფუძისეული ს ხმოვნის შენარჩუნების შესახებ, 1875 („დროება“, გრ. ორბელიანი, „მასალა ჩვენის ლიტერატურისთვის“, 1883, N176, გვ. 1,3); **როგორც კულტურის ქომაგი** (თემირხანშურაში მიხეილ ვორონცოვისგან იღებს წერილს, რომელშიც მთავარმართებელი ადფრთოვანებას გამოხატავს გიორგი ერისთავის „გაყრის“ დადგმის გამო. პასუხად გრიგოლ ორბელიანი მიხეილ ვორონცოვს მადლობას უხდის, რომ „მისი მაღალის მამობრივის მზრუნველობის წყალობით“ თბილისში დაიდგა გიორგი ერისთავის „გაყრა“, 1850 („ივერია“, 1889, N211, გვ. 2); **როგორც ძველი ქართული გალობის გადარჩენა-აღდგენის მოსურნე** (ესწრება ქართველი მგალობლების - მაქსიმე ჩხატარაშვილისა და პოლევქტოს კარბელაშვილის - გუნდების ორბელიანთ ეკლესიაში გამართულ გალობას. წირვის შემდეგ ყველა დამსწრეს ეპატიჟება ჩაიზე, 1878 („დროება“, მამათელი (ფსევდ.) 1878, N180, გვ. 3); **როგორც მძიმეწონიანი მოპაექრე** (გრიგოლ ორბელიანის „ახალ, მაგრამ ძველ კილოზე დაწერილს ლექსს“ სერგეი მესხი უგზავნის აკაკი წერეთელს მისებური „მახვილი და შხამიანი“ პასუხის გასაცემად, 1874 (კვსხეც, აკაკი წერეთლის პირადი არქივი №572); **როგორც ინფრასტრუქტურული კეთილმოწყობისთვის მეზრძოლი** (დიმიტრი ყიფიანს ატყობინებს, რომ ტელეგრაფის ხაზი გაყვანილია ფოთამდე და ახლა მარტივად დაუკავშირდებიან ქუთაისს, 1860 (კვსხეც, დიმიტრი ყიფიანის პირადი არქივი №1564); **როგორც თანამოქალაქე** („ენა და ლექსი ნაქები გრიგოლის ორბელისაო, ის არის ყველას მოწყალე, ქვრივის და ობოლისაო“, იოსებ დავითაშვილი („დროება“, დავითაშვილი ი., „ფელეტონ“, 1880, N143, გვ. 1-3.).

გრიგოლ ორბელიანის ასეთი ერთმნიშვნელოვანი პორტრეტის პარალელურად მისი პირადი მიმოწერა მარგინალიზაციის საინტერესო ვარიაციებს გვთავაზობს. თუმცა ხაზგასასმელია ისიც, რომ ამ მასალაში აქცენტი დასმულია საკუთარი თავის არა იმდენად ამა თუ იმ კულტურული სისტემისადმი მიკუთვნებაზე, არამედ საზოგადო სიმპათიებზე ცალკეული კულტურებისა თუ სუბკულტურების მიმართ. ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ გრიგოლ ორბელიანის პირად წერილებში მარგინალიზაციის ელფერი დაჰკრავს არა ეთნიკური და რელიგიური, არამედ შედარებით ნაკლებად პოლიტიკური და უფრო მეტად კი კულტურული იდენტობის განცდას.

იდენტობის შტრიხები რომ მნიშვნელოვანია გრიგოლ ორბელიანისთვის, გამოიხატება იმაშიც, რომ ის ხაზგასმისა და შეფასების საგნად აქცევს, მისი აზრით, ეთნო-კულტურული თვალსაზრისით ისეთ მონოლითურ პორტრეტებს, როგორებიც არიან: შაჰი ნასრ-ედ-დინ ყაჯარი (1848-1896), იმამი შამილი (1797-1871) და მისი შვილი ჯემალ-ედ-დინი.

ნებისმიერ მულტიკულტურულ გარემოში ეთნიკური სუბიექტები ჯერ მარგინალიზაციას განიცდიან, შემდეგ კი გარკვეული თვითმყოფადი ელემენტების დათმობის აუცილებლობის წინაშე დგებიან. საკვლევ წყაროებში ავტორი პორტრეტების მარგინალიზაციის თვალსაჩინო მაგალითებს გვთავაზობს. 1878 წელს გრიგოლ ორბელიანი ერთ-ერთ წერილში შაჰ ყიბლა-ალამის თბილისში ვიზიტზე საუბრისას ყურადღებას ამახვილებს მის „პაღონებიან“ პალატოზე, რასაც შაჰის აშკარა გარუსებად მიიჩნევს (კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის პირადი საარქივო ფონდი №196.). წერილის ეს ფრაგმენტი საინტერესოა სხვა მხრივაც – ის პალატოს ასე ახსენებს: „ჩვენებური პაღონებიანი პალატო“. საინტერესოა, რომ ავტორი სიტყვით „ჩვენებური“ უსათუოდ რუსულს გულისხმობს. ის, ვინც პროტესტის შემცველი განწყობით საუბრობს შაჰზე, რომელიც რუსულ პალატოს ატარებს, თვით რუსული იდენტობის სივრცეს ერთმნიშვნელოვნად აკუთვნებს თავს. საგულისხმოა, რომ ღირსება ძალიან ხშირად მთიელთა აზროვნებაში იდენტობის დაცვის პირდაპირპროპორციულია. ამ მსჯელობას კითხის ნიშნის ქვეშ აყენებს ერთი ფაქტორი – არსებობს შემთხვევები, როცა მარგინალური იდენტობა ღირსების ხარისხის შემცირებას კი არ გულისხმობს, არამედ – პირიქით, უფრო მაღალ სტანდარტებს უახლოებს მას, თუმცა ეს უფრო დემოკრატიული

დისკურსია. ბევრად უფრო ადრე, 1866 წელს, როდესაც გრიგოლ ორბელიანი თავად ეახლა სპარსეთის იმავე შაჰს, ხაზგასმის ღირსად მისი პორტრეტის ეს უჩვეულო შტრიხები მიიჩნია: „ყენი არის ჯერ ისევ ყმაწვილი კაცი, 37 წლისა, კარგის შეხედულობისა, განთქმული ცხენოსანი და მეთოფე, ჰსწავლობს ქრანციცულს და უკითხვენ ამ ენაზე ჟურნალებსაცა, და ამით არის თავის ქუეყანაში დიახ წინწასული გონებითა“ (კვსსხეც, გრიგოლ ორბელიანის პირადი საარქივო ფონდი №656). წინა ნიმუშისგან განსხვავებით, აქ სხვა ეთნიკური და კულტურული ნაკადების შემოტანა ავტორის შეფარული ირონიის საგანი კი არა, პროგრესის მიმანიშნებელია. განსხვავება ის არის, რომ პირველ შემთხვევაში ის შაჰის პორტრეტში შესულ რუსულ ელემენტს უსვამს ხაზს, მეორეში კი – ევროპულს.

ნაციონალური ელემენტის სიღრმისეულ რყევაზე მიგვანიშნებს ორბელიანის წერილების ის ფრაგმენტები, რომლებშიც შამილის შვილზე – ჯამალ ედ-დინზე - საუბრობს: „შამილის უბედური ვაჟი ჯამალედდინი ძალზედ ჰნადვლობს რუსეთზედ; ვერ ეჩვევა ცხოვრების ახალსა წესსა, მთიელთა მყრალს ცხოვრებასა; მას ყურანსა და ლოცვებს ასწავლიან და წინადაცვითაც კი ჩაუტარეს, რომლისგანაც ჯერაც ვერ მომჯობინებულა. ...ერთხელ შამილმა ჰკითხა მას, რის გამოა ის სულ მოწყენილი. მან უპასუხა: „ძალმიძს განა ვიყო მხიარული, ოდეს ჩემი კეთილისმყოფელი იმპერატორი ნიკოლაი გარდაიცვალა?“ შამილი ჩაფიქრდა და უთხრა: „დიახ, ჩვენ ორივემ უნდა ვსცეთ თაყვანი ამ დიდი ფადიშაჰის ხსოვნას: მან მე შვილი დამიბრუნა, შენ კი კაცად გაქცია“ (კვსსხეც, გრიგოლ ორბელიანის პირადი საარქივო ფონდი №335).

შამილის სიტყვა პირდაპირ ნათქვამად მოჰყავს გრიგოლ ორბელიანს. თუ ეს ასეა, უცნაური რეალობის წინაშე ვდგებით – აღმოსავლურ, სპარსულ კულტურულ და ისტორიულ დისკურსთან დაუფარავი დაპირისპირება, რომელსაც მიმართავდა ჯამალ ედ-დინი, მისივე მამის შეფასებით, „კაცად ქცევის“ უშუალო წინაპირობაა. ეს, ბუნებრივია, არსებითად მეტად მწვავე ნათქვამია და რუსეთის იმპერიასთან ყველაზე დაუღალავად მეზრძოლი კავკასიელის პორტრეტის უკიდურესად ამბივალენტური პორტრეტული შტრიხი. რაც შეეხება ჯამალ ედ-დინს, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ წყაროებში (ლეონტი ნიკოლაისთან მიწერილ წერილებში) ის პირდაპირ საუბრობს, „რომ არა მამა, ამ ადგილას თვით ეშმაკიც კი ვერ დამაკავებდა“. ის ამ წერილებში დაჟინებით ითხოვს, გამოუგზავნონ მსოფლიო ისტორიის წიგნი, რუსული ენის გრამატიკა, ფრანგულ-რუსული და რუსულ-ფრანგული ლექსიკონები, კრილოვის იგავ-არაკები და სხვა... ამის გამო ჩრდილოეთკავკასიელები მას რუსეთის ჯაშუშადაც მიიჩნევენ. ეს ყოველივე ეთნიკური და კულტურული იდენტობის კრიზისის მაჩვენებელი და კავკასიელი მთიელის გაუცხოების იშვიათი ნიმუშია.

თუ გრიგოლ ორბელიანის გეოსტრატეგიული და კულტურული ორიენტაციების მაიდენტიფიცირებელ ერთ-ერთ არგუმენტად 1865-1869 წლებში როგორც მეგობრებთან, ისე ოფიციალურ პირებთან მიმოწერაში ნახსენები დასავლური და აღმოსავლური ტოპონიმების გამოყენების სიხშირეს მოვიხმობთ, აღმოჩნდება, რომ გენერალს ევროპის სახელმწიფოები და ქალაქები (მაგალითად, **ფრანცია, პრუსია, ფლორენცია, ჟენევა, ვარშავა...**) ნახსენები აქვს 75-ჯერ, ხოლო სპარსეთის, დაღესტნის, სომხეთის და აზერბაიჯანისა (მაგალითად, **თავრიზი, ემიაძინი, გუნიზი, ყაითალი, ტაბასარანი...**) კი - 67-ჯერ. ეს მაშინ, როდესაც ევროპული ორიენტაციის ხაზი დეკლარირებულად საკმაოდ ჩამოუვარდება აღმოსავლურ ხაზს.

„გარესივრცე“ მე-19 საუკუნის ქართველი მოაზროვნისთვის თითქმის არასოდეს არის აღმოსავლეთის ქვეყნები, ასეთად მას ევროპა მიაჩნია. ევროპას, როგორც საკუთარი

იდენტობისგან განსხვავებულ კულტურულ სივრცეს, გრიგოლ ორბელიანი პირად წერილებში მუდმივად უსვამს ხაზს, ამას ახერხებს საყოფაცხოვრებო დეტალების ჩვენების ფონზე.

გრიგოლ ორბელიანი ევროპას აღიქვამს, როგორც „საუკეთესო ადგილს პრაქტიკული ცხოვრების გასამართად“, „ხასიათის რაციონალურად ფორმირებისთვის“, „ბავშვთა აღზრდისთვის“, „ადამიანის გონებრივი და ფიზიკური განვითარებისთვის“... მისთვის ევროპა ყოველთვის სიმყუდროვისა და მოწესრიგებულობის სიმბოლოა. ერთ-ერთ წერილში ვხვდებით ასეთ პასაჟს: „მომჭირნეობა, წესრიგი და სიფაქიზე შეადგენენ მათს (გერმანელების) ხასიათსა, ამას უნდა დაემატოს ბუტერბროდი, ყავა, კათხა ლუდი, ყალიონი, ანდა სიგარა, ჰამბურგის გაზეთები - და გერმანელი სამოთხეშია“. (კვსსხეც, გრიგოლ ორბელიანის პირადი საარქივო ფონდი №597). „გერმანული სამოთხის“ კომპონენტები მისთვის სასურველი, მაგრამ არასაოცნებოა. გრიგოლ ორბელიანი ერთმნიშვნელოვნად არ მიიჩნევს თავს ევროპული იდენტობის ნაწილად, პირიქით, ის მისგან გაყენებულობას ყოველთვის (უმეტესწილად იუმორით) უსვამს ხაზს: ერთ წერილში წერს: „ჩვენი ქალები წასულან მჟავე წყალზედ; ეჰ, რა უყოთ, ევროპიის ჩვეულება არის ესე, არ უნდა დავძრახოთ ჩვენ აზიელთა, რომელნიცა ვერ მივხვდებით მათ განათლების სიმაღლესა“ (კვსსხეც, გრიგოლ ორბელიანის პირადი საარქივო ფონდი №101). ან კიდევ: „შენი წიგნი მივიღე ჟენევიდამ, ხოლო 8-ში ჩილაევი სწერდა ბ. ნიკოლაის, რომ მან პარიჟში გიხილა. ჰმ! ესე იგი ევროპას დაიწყე ხეტიალი? ცხადი ხდება, რომ შენ რაღაცნაირად გამოდიხარ ჩემი მეურვეობიდან? მე ამას ვაპროტესტებ!“ (კვსსხეც, გრიგოლ ორბელიანის პირადი საარქივო ფონდი №101).

ზემოთ თქმულის მიუხედავად, რეგიონული იდენტიფიკაციის თვალსაზრისით, საგულისხმოა ერთი საკითხიც, გრიგოლ ორბელიანი „ზაგრანიცად“ მხოლოდ ევროპას მიიჩნევს.

ამ ორ მისთვის არა უცხო, არამედ, თუ უფრო ზუსტად ვიტყვით, არამშობლიურ გეოგრაფიულ და იდეოლოგიურ სისტემაში მას ხშირად უწევს წინააღმდეგობრივი კულტურული სტრატეგიების ესკიზებით ვარირება. ევროპული გარემოს ზემოაღწერილი მომხიბვლელობის მიუხედავად, ერთ-ერთ პირად წერილში თავის ბიძაშვილს დაჟინებით ურჩევს, შვილს უსათუოდ ასწავლოს თათრული და სპარსული (და არა რომელიმე ევროპული) ენა, რადგან ამას იმ პერიოდისთვის აუცილებელ გამოწვევად მიიჩნევს. როგორც ჩანს, ახლო ნათესავს გაუთვალისწინებია გრიგოლ ორბელიანის რჩევა.

იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით პასაჟებს, რომლებშიც მულტიკულტურალიზმი წინააღმდეგობების გარეშეა წარმოჩენილი. მაგალითად, „ზაკუსკები, სადილები ოჯახურად გაჭიმულები: ცივად მფრინველნი, კავკასიიდან ყინული, ტყიდან ნადირნი, ზღვიდან თევზნი, მოდიოდნენ და მოდიოდნენ: სუფი და ოჩი ევროპიისა, მწუადი ქართული, ფლავი ირანისა, ცივად ბატკანი ავარიისა, ნარინჯ და თურინჯ და სხუანი და სხუანი“ (კვსსხეც, გრიგოლ ორბელიანის პირადი საარქივო ფონდი №286) - ეს მრავალკულტურული გასტრონომიული გარემო 1853 წელს ზაქათალაში მთავარმართებელ მიხეილ ვორონცოვის მოგზაურობის ერთი დეტალია. მიუხედავად პერსონათა, ადგილთა, მოვლენათა დიდი მრავალფეროვნებისა, გასტრონომიულ მულტიკულტურალიზმში ყველა წინააღმდეგობა, ყველა კონფლიქტი დამძლეულია. ასე სასურველი ეკლექტიზმი და კომბინაცია, ბუნებრივია, კავკასიური თანაცხოვრების ყველა სფეროს არ ეხება.

გრიგოლ ორბელიანს სინთეზური თუ არა, კულტურული და რელიგიური ნიშნით ეკლექტური გარემოებებისადმი აქვს მისწრაფება (და ამას მის პირად წერილებში ნამდვილად ბუნებრივი, ნატურალური ელფერი აქვს). ის სწორედ ამგვარ მოცემულობაში პოულობს

პრობლემათა გადაჭრის მთავარ ხაზს. ვთქვათ, შემახიაში დიდებულებისთვის, იმპერიის წარმომადგენელთათვის, დასათვალისწინებელ კულტურულ ობიექტებს შორისაა „წმ. ნინოს ზავედენი“, ახლად ნაკურთხი მართლმადიდებლური ეკლესია, სომხური ეკლესია და მთავარი მეჩეთი... ან კიდევ, თეატრი სპარსული სიმღერებით და სხვა.

ნებისმიერი მსჯელობა ევროპაზე, კავკასიაზე, ირანზე ფართო გადასახედით თავის თავში მოიცავს საფიქრალს საქართველოზე, როგორც გეოგრაფიულად ამიერკავკასიის ნაწილზე, პოლიტიკურად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალ ქვეყანაზე, კულტურულად ორი გლობალური რეგიონის - აღმოსავლეთისა და დასავლეთის - გავლენათა გადაფარვის ობიექტზე. უმთავრესი საკითხი მაინც ამ რეგიონში საკუთარი ადგილის ძიება და ამ გზაზე მუდმივად ცვლადი გეოპოლიტიკური ნაკადების სწორად და დროულად შეფასება.

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფარგლებში (გრანტი NFR17_229 პროექტი „ახალი ტექსტოლოგიური კვლევები და გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანე (ორენოვანი გამოცემა)“).

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

ლიტერატურა:

1. ბერძენოვი, ნ., უმიკაშვილი, პ., წერეთელი, გ., (1869) „ძველის წიგნების გამოცემაზე“. *დროება*. N52.
2. გაზეთი „ივერია“, (1889), 6 ოქტომბერი, N211, გვ. 2
3. დავითაშვილი, ი. (1880). „ფელეტონ“. *დროება*. N143.
4. მამათელი (ფსევდ.) (1878). *დროება*. N180
5. ორბელიანი, გრ. (1880) „ახალი ამბები“. *დროება*. N266.
6. ორბელიანი, გრ. (1883). „მასალა ჩვენის ლიტერატურისთვის“. *დროება*. N176.

წყაროები:

1. კორნელი კეკელიძე სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გრიგოლ ორბელიანის პირადი არქივი, №98
2. კორნელი კეკელიძე სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ყაზბეგის პირადი არქივი №221
3. კორნელი კეკელიძე სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკი წერეთლის პირადი არქივი №572
4. კორნელი კეკელიძე სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დიმიტრი ყიფიანის პირადი არქივი №1564
5. კორნელი კეკელიძე სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გრიგოლ ორბელიანის პირადი საარქივო ფონდი №196
6. კორნელი კეკელიძე სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გრიგოლ ორბელიანის პირადი საარქივო ფონდი №656
7. კორნელი კეკელიძე საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გრიგოლ ორბელიანის პირადი საარქივო ფონდი №59
8. კორნელი კეკელიძე საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გრიგოლ ორბელიანის პირადი საარქივო ფონდი №101

9. კორნელი კეკელიძე საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გრიგოლ ორბელიანის პირადი საარქივო ფონდი №286

Esma mania, Tea Tvalavadze

Concepts of Identity and Grigol Orbeliani's Personal Archive

Summary

One of the main objects of Georgian thinking is the Caucasus. The issue of the Caucasus is constantly accompanied by a kind of awe, delicacy, this is the main reason it falls within the framework of strictly regulated political and cultural correctness. In Grigol Orbeliani's personal writings some important circumstances and unconscious conflicts are highlighted and this information creates a very narrow and specific, but a very important perspective for the dialogue of cultures. A combination of these sources offers a generalized portrait of a person working in difficult geopolitical environment. Additionally, we can assume, that it is a portrait of a person who was under severe pressure but at the same time he created a unique opportunity for himself.

**ეთერ ქავთარაძე,
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი**

იროდიონ სონღულაშვილი ქართული სამუზეუმო საქმის სათავეებთან

სამუზეუმო საქმიანობას საქართველოში დიდი ხნის ისტორია არა აქვს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ დავთარხანებს, პირველ ასეთ სივრცეებად უნდა მივიჩნიოთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება და საეკლესიო მუზეუმი. ამ ინსტიტუციებში ერთდროულად მიმდინარეობდა სიძველეთა მოძიება-შეძენის, პირველადი დამუშავებისა და სამუზეუმო ექსპონატად გაფორმების პროცესი. ფაქტობრივად ამ საზოგადოებათა ბაზაზე შეიქმნა პირველი სამუზეუმო სივრცეები.

ქართული სამუზეუმო საქმიანობის პირველი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, იროდიონ სონღულაშვილის, მოღვაწეობაც 1909 წლიდან საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას დაუკავშირდა.

ოდესის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა იროდიონ სონღულაშვილმა მთელი ცხოვრება ქართული ხელოვნების სამსახურში გაატარა. ჯერ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი და მდივანი იყო. სხვადასხვა დროს მუშაობდა სახელმწიფო მუზეუმის საისტორიო და საეთნოგრაფიო განყოფილების გამგედ, ძველი ქართული ხელოვნებისა და ისტორიის განყოფილების გამგის თანამშემწედ, მუზეუმ „მეტეხის“ მცირე ხელოვნების განყოფილების გამგედ, საქართველოს მუზეუმის სეიფის გამგედ. იგი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, მონაწილეობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაფუძნებაში.

იროდიონ სონღულაშვილი ძირითადად სწავლობდა მცირე და დეკორატიული ხელოვნების ნიმუშებს, კერძოდ, ტიხრულ მინანქარს. მისი შრომების მხოლოდ ნაწილია გამოქვეყნებული. ნაწილი კი დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მის პირად საარქივო ფონდში. ეს არქივი ორ ეტაპად, 1968 წლის 1 ივლისსა და 1987 წლის 23 ნოემბერს, შევიდა ხელნაწერთა ინსტიტუტში. 452 ერთეულისგან შემდგარ იროდიონ სონღულაშვილის პირად საარქივო ფონდში ინახება მისი პროზაული თხზულებებისა და სამეცნიერო ნაშრომების ავტოგრაფული ნუსხები; საქმიანი მიმოწერა ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან, მეცნიერებთან, მწერლებთან. არქივში წარმოდგენილია აგრეთვე სხვადასხვა ხასიათის მდიდარი მასალა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობის შესახებ. ამ თვალსაზრისით გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭება მისი მოგონებების წიგნს სათაურით „მოგონებანი“ (ხეც, სონღულაშვილი, ი. N68). ეს მოგონებები ხუთი მცირე მოცულობის წიგნისაგან შედგება, ავტოგრაფია, შესრულებულია სხვადასხვა ფერისა და ზომის ფურცლებზე, ნაწილი ფანქრით, ნაწილი მელნით. ხელნაწერი უთარილოა, სავარაუდოდ, შავი ვარიანტი და შეიცავს სხვადასხვა დროის ჩანაწერებს.

იროდიონ სონღულაშვილის „მოგონებანში“ დიდი ადგილი ეთმობა მის ურთიერთობას ექვთიმე თაყაიშვილთან. თავის პირველ ნაბიჯებს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში იგი ასე იგონებს: „ექვთიმეს მუქი მწვანე თვალები მოკრძალებას უნერგავდა გულში ადამიანს. მის პირველ მნახველს ეგონებოდა, ექვთიმემ მღელვარება არ იცისო. კრებებზე გამოსვლისასაც მხოლოდ აუღელვებლობას ხედავდა მასში ადამიანი. ექვთიმემ იცოდა ლაპარაკში სიმკვეთრე და არა სიცხარე. ამის მნახველს სხვა რა უნდა ეწოდებინა მისთვის, თუ არა სალი კლდე. იგი გრძნობდა, რომ უსიტყვოდ მესმოდა მისი სამართლიანი აღშფოთება. მისი ნახვა ჩემთვის აუცილებელი გახდა. ჯერ ერთი, საზოგადოების თავმჯდომარე იყო. მერმე ერთადერთს ნავთსაყუდარს წარმოადგენდა ჩემთვის მისი პიროვნება. მე ქართული საქმე გულმხურვალეობას მიკარნახებდა თავისადმი და არ ვღალატობდი მას“.

ასეთი „გულმხურვალეობით“ ჩაება იროდიონ სონღულაშვილი იმ საქმიანობაში, რომელსაც საზოგადოება ეწეოდა ექვთიმე თაყაიშვილის მოთავეობით. ეს ძირითადად შემკრებლობითი ხასიათის იყო. საზოგადოების წევრები მოიძიებდნენ და იძენდნენ ქართულ ხელნაწერებს, სიგელ-გუჯრებსა და ეთნოგრაფიულ ნივთებს, აგროვებდნენ ცნობებს ქართულ ისტორიულ ძეგლებზე. ასე რომ, იმ უნიკალური კოლექციის მოპოვებაში, რომლითაც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ქართული მუზეუმები გაამდიდრა, იროდიონ

სონღულაშვილის წვლილიც არის. ექვთიმე თაყაიშვილის გვერდით იგი სამუზეუმო საქმის დიდ სპეციალისტად ჩამოყალიბდა. მოგვიანებით კი დამოუკიდებლად აწყობდა ექსპოზიციებს და თავგამოდებით იცავდა თავის პრინციპულ მოსაზრებებს. 1932 წელს ქართული ხელსაქმის მის მიერ მოწყობილ გამოფენაზე, როგორც მისი „მოგონებანიდან“ ჩანს, შეუვალი ბრძოლა მოუხდა მანეკენების თაობაზე. იგი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ექსპონატების მანეკენებით ჩვენებას და გაიტანა კიდეც თავისი. ექსპოზიცია საინტერესო გამოსულა, რაზეც ნათლად მეტყველებს შთაბეჭდილებათა წიგნის ჩანაწერები.

იროდიონ სონღულაშვილის მიერ ტერმინ „გზამკვლევის“ შემოღება სწორედ ამ გამოფენასთან არის დაკავშირებული. პირველად ამ გამოფენის კატალოგს უწოდა მან „გზამკვლევი“. მემუარებში ვრცლადაა მოთხრობილი ამ ტერმინის შექმნის ისტორია: „მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნების განყოფილებაში გამართულს გამოფენას ჰქონდა შედგენილი ქართულსა და რუსულ ენაზედაც ქართულად-გზამკვლევი და რუსულად - путеводитель. სხვა გამოფენები საქართველოს მუზეუმისა ამას მოკლებული იყო“ (ხეც, სონღულაშვილი, ი. N68). სატერმინოლოგიო კომისიაში ტერმინს აზრთა სხვადასხვაობა გამოუწვევია. განხილვაში მონაწილეობდნენ გიორგი ჩიტაია, სოლომონ იორდანიშვილი და სატერმინოლოგიო კომისიის სხვა წევრები. იროდიონ სონღულაშვილის მიერ შექმნილი ეს ტერმინი დღეს დამკვიდრებულია ქართულ სალიტერატურო ენაში და შესულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს ვახტანგის გამოცემისა და ხელნაწერების მიხედვით გადაუწყვეტია „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა. როგორც მემუარების ავტორი იხსენებს, ტექსტი უნდა გამოეცათ „უკრიტიკოდ, მხოლოდ და მხოლოდ ვარიანტების ჩვენებით, იმ მეცნიერთათვის, რომელნიც მოისურვებდნენ პოემის კრიტიკულ გამოცემას. მუშაობაში მონაწილეობას მიიღებდნენ ამის მსურველნი საბჭოს წევრნი და საბჭოს მოწვევით საზოგადოების წევრნი“ (ხეც, სონღულაშვილი, ი. N68). ამ წამოწყების ფარგლებში პავლე ინგოროყვასთვის დაუვალეზიანათ მოხსენების წაკითხვა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების შესახებ. საბჭოს დაუდგენია: განზრახული გამოცემის დამთავრებამდე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წიგნთსაცავიდან „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები არ გაეცათ.

იროდიონ სონღულაშვილი ასე იგონებს ჟურნალ „კლდის“ დაარსებასა და თავის მონაწილეობას ამ ჟურნალის საქმიანობაში: „1912 წლის სექტემბერში ერთმა ჯგუფმა ახალგაზრდებისამ ჟურნალი „კლდე“ დააარსა და მეც ჩამითრია. უცხოურ ლიტერატურულ ნაწარმოებებთა თარგმანებს მაკეთებინებდნენ. რეზო გაბაშვილი რედაქტორობდა. რეზოს მშობლების სახლებში, ე.წ. გაბაანთ შესახვევის მხარეს მდებარე ერთ ძირა ოთახში რედაქცია მოეწყო და იქ იყრიდა თავს კლდიელთა ჯგუფი. აქ ჩაეყარა საფუძველი ჩემ ლიტერატურულ მუდმივ ამოქმედებას. „კლდის“ წიაღში მოექცა ალექსანდრე ყიფშიძის ნაწარმოებთა საგრძნობი რიცხვი. „კლდის“ წიაღშივე მოექცნენ ალექსანდრე სარაჯიშვილის ნაწარმოებნიც. რიმ-ბაბას იუმორი პირველად მაშინ ვიგემე“ (ხეც, სონღულაშვილი, ი. N68).

ეტყობა, იროდიონის თარგმანები ალექსანდრე სარაჯიშვილს მოსწონებია და მისთვის „დონ კიხოტის“ სათარგმნელად ესპანური ენის შესწავლა შეუთავაზებია.

მემუარებში ვრცლად მოგვითხრობს ავტორი ბეთანიის მონასტრის კედლის მხატვრობის პირის შექმნის ისტორიას. ამ პირების დამზადება 1913 წელს ნორვეგიელ მხატვარ კრონისთვის შეუკვეთია ექვთიმე თაყაიშვილსა და ალექსანდრე სარაჯიშვილს. საორგანიზაციო საკითხების მოგვარება იროდიონ სონღულაშვილისთვის დაუვალეზიანათ. ამის თაობაზე იგი ვრცლად ყვება: „ვიქირავე ეტლი და წავიყვანე კრონი ცოლითურთ ბეთანიას.

დავათვალერეთ მისი კედლის მხატვრობა. კრონი აღტაცებაში მოვიდა საკურთხეველის კედელზე გამოყვანილი წმინდა სახეების შესრულებით, მათი ცოცხალი გადმოცემით და წამოიძახა: ჩემ ხელს ახლა დაეტყობა ქართული კედლის მხატვრობის გავლენაცო“ (ხეც, სონდულაშვილი, ი. N68). ჩარჩოების დასამზადებლად კრონს ზომები აუღია და თბილისში გაუტანებია მისთვის. დამზადებული ჩარჩოები ისევ მას აუტანია ბეთანიაში. ეს რთული დავალება გამომდგარა მისთვის; „ვიქირავე მთიულის ბოლოთრია, დავუდე ანაბარი ზედა და საბურთალოთი გავუდექი გზას სადამოს ჟამსა. სრული 9 საათი ვიარე ბოლოთრიათი და დილით მივადექი ბეთანიას კარზე. ჩავაბარე ჩარჩოები კრონსა და ფეხით დავბრუნდი თბილისში“, იხსენებს იროდიონი.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში გატარებული წლების და ამ საზოგადოების მუზეუმში მიმდინარე მუშაობის შესახებ კიდევ ბევრ საინტერესო მასალას ინახავს მისი მემუარები. ეს მოგონებები მწყობრად მიჰყვება მუზეუმის საქმიანობას და იქ მიმდინარე პროცესებს. ავტორი ნათლად გვიჩვენებს, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში დაცული ხელნაწერი მემკვიდრეობა და ნივთიერი კულტურის ძეგლები იმთავითვე ემსახურებოდა ქართველ ფილოლოგთა და ისტორიკოსთა პირველი თაობის წარმომადგენლებს. ამდენად, მოპოვებული მასალა თავიდანვე შედიოდა სამეცნიერო მიმოქცევაში. იროდიონ სონდულაშვილის მოგონებებში ნათლად იკვეთება იმდროინდელი ქართველი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების საქმიანობის უცნობი დეტალები, რომლებიც საინტერესო შტრიხებით ავსებს მათ პორტრეტებს. იგი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით იგონებს სერგი გორგაძის დამსახურებას ქართული მეცნიერებისა და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წინაშე.

როგორც იროდიონ სონდულაშვილის „მოგონებანიდან“ ვიგებთ, იგი აქტიურად მონაწილეობდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყველა წამოწყებაში: კოლექციის ახალი მასალით შევსებასა თუ კატალოგების შედგენა-მოწესრიგებაში; გამოფენების მოწყობაში; სამუზეუმო სივრცისა თუ სამკითხველო დარბაზის შექმნაში. იროდიონ სონდულაშვილის ცხოვრება და თავდადებული მოღვაწეობა მთლიანად სამუზეუმო საქმიანობას მიეძღვნა.

გამოყენებული წყაროები:

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, სონდულაშვილი, ი. N68.

Eter Kavtaradze,
Korneli KeKelidze Georgian National Centre of Manuscripts

Irodion Songhulashvili at the Origins of Georgian Museum Sector

Summary

Society for the Spreading of Literacy among Georgians, Society of the History and Ethnography, established in 19th century, as well as the church museum should be regarded as the first museum spaces. These institutions were simultaneously engaged in seeking and procurement of the antiquities, their primary treatment and their registering as museum exhibits. Actually, the first museums were created on the basis of the above societies.

Since 1909 Irodion Songhulashvili's activities were associated with the Society of the History and Ethnography, he was the scientific secretary of the Society. His memoirs contain many interesting materials about the years spent there, as well as work performed at the museum. The memoirs are preserved at the National Center of Manuscripts, in Irodion Songhulashvili's personal archive. These memoirs consistently follow the emerging museum activities.

From the outset, the manuscript heritage and monuments of material culture preserved at the Society of History and Ethnography served to the representatives of first generation Georgian philologists and historians. Thus, the collected materials immediately were included into the scientific turnover. As we can see from his memoirs, Irodion Songhulashvili was actively engaged in the organization's activities, in particular, in adding of the new materials and developing and organizing of the catalogues, as well as in arrangement of the exhibition and creation of the museum space and reading hall.

Irodion Songhulashvili's memoirs provide clear picture of the first steps of contemporary famous Georgian scientists and public figures, unknown details of their activities.

**ლალი ოსეფაშვილი,
საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს
უნივერსიტეტი**

**თამარ მეფის სახე XIX-XX საუკუნეთა მიჯნის თბილისის ეკლესიათა კედლის
მხატვრობაში**

თამარ მეფე საუკუნეთა განმავლობაში ქართველთათვის სათაყვანებელი პიროვნება იყო და მისთვის არაერთ ქართველს შეუსხამს ხოტბა. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებიდან ჩვენამდე თამარ მეფის ოთხმა ფრესკამ მოაღწია. ესენია: ვარძიის, ბეთანიის, ყინწვისისა და ბერთუბნის მოხატულობებში. ვარძიაში თამარი გამოსახულია მამასთან გიორგი III-სთან

ერთად, ბეთანიაში მამასთან და ვაჟთან, ლაშა-გიორგისთან, ერთად, ასევე ყინწვისშიც, ხოლო ბერთუბანში მხოლოდ ლაშა-გიორგისთან ერთად. სამეფო ოჯახი ოთხივე ფრესკაზე აღბეჭდილია ჩრდილოეთ კედლის ქვედა რეგისტრზე. სავარაუდოდ, ეს მიუთითებს, რომ ლიტურგიის ჟამს ისინი მრევლთან ერთად ესწრებიან ღმრთისმსახურებას, რაც მათ „პორტრეტებს“ განსაკუთრებულ (უფრო მეტ) მნიშვნელობას ანიჭებს.

როგორც ცნობილია, 1801 წელს ცარისტულმა რუსეთმა გააუქმა ქართლში მეფობა და საქართველო გუბერნიების სახით რუსეთის განაპირა გუბერნიად აქცია. ქვეყანამ დაკარგა ეროვნული დამოუკიდებლობა, მას აღარ შეეძლო ქვეყნის საკუთარი ნებით მართვა-განვითარება და საქართველოს სახელი ამოიშალა მსოფლიო რუკიდან. თუმცა ქართველ მამულიშვილთა ბრძოლა არ დამცხრალა.

1832 წლის შეთქმულება ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო XIX საუკუნის პირველი ნახევრის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში. ეს იყო საქართველოს პროგრესული ძალების ორგანიზებული მცდელობა ქართული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად. შეთქმულებამ დამარცხების მიუხედავად, ღრმა კვალი დაამჩნია 30-40-იანი წლების საზოგადოებრივ პოლიტიკურ მოძრაობას და სათავე დაუდო იმ შეხედულებებს, რომლებიც 60-80-იან წლებში ხალხის იდეური ცხოვრების ნიშანსვეტი გახდა (საქართველოს ისტორია, 2010, ტ. IV.).

მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნეში საქართველო ცარისტული რუსეთის მიერ დაპყრობილი იყო, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა არ შეწყვეტილა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, 30-იან წლებში ჯერ შეთქმულება გაიმართა, შემდეგ - 60-იან წლებში - ახალმა მოძრაობამ იფეთქა.

XIX საუკუნის 60-იანი წლების ეროვნული მოძრაობა საუკუნის დამდეგის ეროვნული აჯანყებებისა და 1832 წლის შეთქმულების ლოგიკური გაგრძელება იყო. ამ მოძრაობის აღიარებული წინამძღოლი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელსაც გვერდში ედგნენ დიმიტრი ყიფიანი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები. ქართულ ისტორიაში მათ „თერგდალეულებს“ უწოდებენ. თერგდალეულებმა მიზნად დაისახეს ქართული ეროვნული ცნობიერების აღორძინება.

ეროვნული მოძრაობის საბოლოო მიზანი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა იყო, ქვეყნის საუკეთესო შვილები წარსულს აიდევლებდნენ და სამშობლოს უკეთესი მომავლისთვის იბრძოდნენ - ვინ კალმით, ვინ ფუნჯითა და სხვადასხვა საშუალებით, ვისაც როგორ შეეძლო.

XIX საუკუნეში, როდესაც ქვეყანა დაპყრობილი იყო ცარისტული რუსეთის იმპერიის მიერ, საქართველოში აქტუალური იყო ჩვენი წარსულისადმი ძლიერი ინტერესი, მისი გაიდევლება. ამის ნათელი მაგალითი იყო ხელოვანთა მიერ თამარ მეფის პიროვნებით დაინტერესება, იგი ხომ სიმბოლურად განასახიერებდა ერთიანი, ძლიერი, თავისუფალი საქართველოს იდეალებს. თამარ მეფეს, ვითარცა უდიდეს ქართველ მეფესა და წმიდანს, გრიგოლ ორბელიანმა ლექსიც კი მიუძღვნა. მასში მკაფიოდ გამოხატა თავისი დროის ქართველ მამულიშვილთა სულიერი შინაგანი განწყობა, დამოკიდებულება გარდასულ დროთა მიმართ. ამ ლექსს ჰქვია: „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“. მოვიტან მცირე ამონარიდს:

„შენს წმინდა სახეს,
შვენებით სავსეს,
სახიერებით განსხივებულსა,
ვუმზერ კრძალვითა,
თაყვანცემითა,
ცრემლმორეული ვემთხვევი ფერხთა!

მიხარის – გიმზერ,
 ვსწუხვარ – და გიმზერ,
 და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
 არ გამოვფხიზლდე,
 რომ აღარ ვგრძნობდე,
 ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!..“

(ორბელიანი, 1979, გვ. 14-15)

ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ სწორად XIX საუკუნეში მიზნად დაუსახავთ თბილისში თამარ მეფის სახელზე ტაძრის კურთხევა. ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის გაზეთ „სახალხო გაზეთის“ 1913 წლის N984-ში რიმ-ბაბას ფსევდონიმით გამოქვეყნებული გამოხმაურება „ნუ დავივიწყებთ“, რომელშიც ნათქვამია, რომ „გაზეთებში ერთი-ორმა წერილმა გაიელვა წმიდა თამარ მეფის სახელზე ტაძარი უნდა აშენდესო...“

კალმოსნებს არც მხატვრები ჩამორჩნენ თამარ მეფის განდიდებაში. მეტად მნიშვნელოვანია, თუ რას წერდა მხატვარი გიგო ზაზიაშვილი: „...ჩვენი ერი, რომელიც დღეს საშინელ ეროვნულ ჩაგვრასა და შევიწროებას განიცდის, წარსულში თავისუფალი, დამოუკიდებელი და ძლიერი იყო, რომელმაც კაცობრიობას მისცა დიდი თამარი და სულმნათი შოთა რუსთაველი. ჩვენი ეროვნული სულის მესაიდუმლე. თუ ჩვენ, ქართველებმა, თვითონვე არ ავსახეთ ჩვენი დიდებული ადამიანები, ვილა შეიწუხებს თავს, ვის სცხელა ჩვენთვის? ეს წარსული კი ჩვენთვის საჭიროა, როგორც მერმისის მასაზრდოებელი წყარო, როგორც იმედი ნათელი და ბრწყინვალე მომავლისა“ (ვეფხვაძე, 1958, გვ. 89).

ცარისტული რუსეთის მმართველობის პირობებში თბილისში მოხატულ ეკლესიებში თამარ მეფის გამოსახულებები გამოჩნდა. ჩვენამდე მოღწეული პირველი ნიმუშია XIX საუკუნის მიწურულს წმიდა სამების ეკლესიის მოხატულობაში ჩართული მეფე თამარის გამოსახულება, ხოლო მეორე XX საუკუნის დასაწყისში, კერძოდ, 1914 წელს შესრულებული ჩუღურეთის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში გიგო ზაზიაშვილის მიერ. წმიდა სამების ეკლესიის მომხატველი იყო იტალიელი მხატვარი ლუდვიგ ლონგო, ხოლო მოხატულობის დამკვეთი და იდეის ავტორი კი - ამავე ეკლესიის დეკანოზი ნიკოლოზ არდაზიანი.

ვიდრე კომპოზიციის განხილვაზე გადავიდოდე, მსურს მოგიყვებ, სამების ეკლესიის დეკანოზ ნიკოლოზ არდაზიანის შესახებ, რომელმაც ფასდაუდებელი ღვაწლი გასწია სამების ეკლესიის აღმშენებლასა და გამშვენებაში.

დეკანოზი ნიკოლოზი სამების ეკლესიაში მსახურებდა 1859 წლიდან 1905 წლამდე. როგორც კ. ცინცაძე წერს, ნიკოლოზმა დაბრძანების გამო თავი დაანება სამსახურს 1905 წელს. იყო ყველასგან დიდად პატივცემული მოძღვარი, „მარილიანი“ და მშვიდად მოსაუბრე, დაუზარებელი მწირველ-მლოცველი (როდესაც მწირველი არ იყო, ცისკარსა და მწუხრს მაინც ლოცულობდა ყოველდღე), ერთ დროს მთავარბუცესი, სემინარიის საპედაგოგო გამგეობის წევრი, სარევიზიო კომიტეტების თავმჯდომარე და სხვ. გარდაიცვალა 1907 წელს, დაკრძალულია სამების ტაძარში, რომელსაც ჯერ გუმბათი (და)მოადგა, შემდეგ მოახატვინა (ცინცაძე, 1994, გვ. 86).

სამების ეკლესია, მართალია, ეროვნებით იტალიელმა მხატვარმა მოხატა, მაგრამ აშკარად იგრძნობა ეროვნული სულისკვეთება, რაც გამოიხატება ეროვნული წმიდანების, სიუჟეტების ხაზგასმამში, ამაში უთუოდ დიდია დეკანოზ ნიკოლოზ არდაზიანის როლი. ვფიქრობ, ეკლესიის მთელი მოხატულობის ქარგა, საზრისი სწორად მას უნდა ეკუთვნოდეს. ყურადღებას ისიც იპყრობს, რომ კომპოზიციებს წარწერები ძველი ქართული დამწერლობით - ნუსხურით - აქვს მიწერილი, ხოლო სახელების პირველი ასოები ასომთავრულითაა, რაც საკმაოდ დიდი იშვიათობა იყო, თუ გავიხსენებთ თბილისის სიონის ტაძარს, რომლის

მხატვრობაც რუს გრაფ გაგარინს ეკუთვნის, იქ წარწერები რუსულადაა. ამითაც ჩანს სამების ეკლესიის მხატვლობაში ეროვნული სულისკვეთება.

სამების ეკლესიაში საკურთხეველის მიმდებარე კედლებზე ეროვნული მოღვაწეების პორტრეტებს ვხვდებით. სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ქვემოთ თამარ მეფეა, მის ზემოთ - წმიდა მირიან მეფე, უფრო ზემოთ კი - წმიდა ელენე დედოფალი, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ქვემოთ, შოთა რუსთაველია, მის ზემოთ - წმიდა ნანა დედოფალი, უფრო ზემოთ კი - წმიდა კონსტანტინე დიდი. მათი ფიგურები მკერდამდეა გამოსახული. გამონაკლისია თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის გამოსახულებები. ეს უკანასკნელი სწორად ისეა აღბეჭდილი, როგორც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკაზე. რასაკვირველია, აქ უფრო მასშტაბურ ზომებშია.

თქვენ წინაშეა თამარ მეფის ისტორიული პორტრეტი (სურ.1) იგი კდემამოსილი, დარბაისელი ქართველი ქალბატონია. შემოსილია ბიზანტიური ყაიდის სამეფო სამოსით. ერთი შეხედვით, ეს პორტრეტი მეფე თამარის ვარძიის ფრესკაზე გამოსახულ პორტრეტს ჰგავს, თუმცა, თუ უკეთ დავაკვირდებით, ზუსტად მისი ასლი არ უნდა იყოს, რადგან აქ მეფე თამარს კუბასტი აქვს ნიკაპქვეშ ამოტარებული. გვირგვინი შარავანდზე მაღალია. ფონი ცისფერია და სახის გასწვრივ ოქროსფერი ნათება გამოსჭვივის, რაც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს სახიდან ღმრთეებრივი(ღვთაებრივი) შუქის გამონათება, ემანაცია ხდება და მთელ კომპოზიციას ცხოველმყოფელობას ანიჭებს. სახე უშუალოდ ცისფერ ფონზე კი არ იკითხება, თითქოს საფეხურებადაა განლაგებული ფონები: ჯერ კუბასტის ფონი იკითხება, შემდეგ - შარავანდის, შემდეგ - ყვითლის, ანუ ღმრთეებრივი შუქის და შემდეგ - ცისფრის, ანუ მხოლოდ სახის გასწვრივ ფერთა საოცარი გრადაციია. გეგონება, სახე რელიეფურადაა ნამერწი ფერადოვანი ლაქებით.

ინტერესს იპყრობს მეფე თამარის პოზა; იგი სრული ტანით როდია წარმოდგენილი, ტორსამდეა; ხელში უკავია გაშლილი გრაგნილი, რომელზეც ტექსტია. ფიგურა უფრო 3/4-ში იკითხება და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ჩვენ წინაშე არა ფრესკული გამოსახულებაა, არამედ ფერწერულ ტილოზე შესრულებული პორტრეტი. მეტად მნიშვნელოვანია სამოსის დეტალების აღნიშვნაც, მართალია, იგი ისტორიულია, მაგრამ შეტანილია მცირედი კორექტივები. ლორონი თავისი ბეჭმანით, ანუ მანიაკიონით მხოლოდ მკერდს ამშვენებს, ტორსამდე არ სწვდება. მკლავებზე მოსხმული აქვს მანდილი, რომელიც ზუსტად ისეა გაფორმებული და მორთული, როგორც ბეჭმანი. ნაქარგობებში ძვირფასი პატიოსანი ქვები მოჩანს.

ანალოგიური საშემსრულებლო ხელოვნებითაა შექმნილი სხვა ისტორიულ მოღვაწეთა პორტრეტები. ისინი მეფე თამარისგან განსხვავებით წელზემოდ არიან გამოსახულნი. ერთი მხრივ, ქრისტიანობის პირველი საფეხურის მოღვაწეებს განასახიერებენ და მეორე მხრივ - ზეციურ სასუფეველის მკვიდრებს. ჩვენ თვალწინ ცოცხლდება არა მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკები, არამედ წარმოგვიდგებიან ჩვენი წმინდანებიც - წმიდა კონსტანტინე დიდი და წმიდა ელენე დედოფალი - პირველი ქრისტიანი ოფიციალური მოღვაწეები, რომელნიც სხვა ერებისთვის მისაბამ ნიმუშს წარმოადგენდნენ და წმიდა მირიან მეფე და წმიდა ნანა დედოფალი, ჩვენთვის ქრისტიანობის დამამკვიდრებლები.

საყურადღებოა მეფე თამარის გაშლილი გრაგნილის ხუთსტრიქონიანი წარწერა. მასზე სწერია ლოცვის ტექსტი: „ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო შეგვეწიე და გვაცხოვნენ ჩუენ“. ამრიგად, როგორც ცნობილია, საკურთხეველის კონქში „ღმრთისმშობლის დიდების“ გამოსახულებაა, ხოლო მის მიმართ გამოსახული მეფე-დედოფალნი ვედრების პოზაში არიან

აღბეჭდილნი და იდეურად ლოცვის ტექსტს ეხმაურებიან, შეესაბამებიან. მეფე-დედოფალნი თავიანთი მხურვალე ლოცვებითა და ვედრების ჟესტებით აღსაყდრებულ ღმრთისმშობელს განადიდებენ. ამ რიგში განსაკუთრებით გამოიყოფა მეფე თამარის გამოსახულება, რომელიც ამ ფიგურათა მთავარი ბირთვია. სწორად ისაა უმთავრესი განმადიდებელი ყოვლადწმიდა დედა ღმრთისასი.

ლუდვიგ ლონგომ მეფე-დედოფალთა პორტრეტები მართლმადიდებლური წესისამებრ რეგისტრებად განალაგა. რეგისტრების აღმნიშვნელი ზოლები ორნამენტული მოტივებით შეამკო, რაც კომპოზიციას უფრო მეტ ცხოველმყოფელობას ანიჭებს. ოქროსფერი წრეები და რომბები მუქ ლურჯ სარჩულზე უფრო მკვეთრად მოჩანს, ხოლო გამოსახულებათა ფონები, როგორც ვთქვი, ერთიანი ლოკალური ფერის როდია, სახის გასწვრივ რამდენიმე ფერის შრე გამოსჭვივის და უნებლიეთ გვახსენდება, რომ ლონგო პორტრეტის ჟანრში მომუშავე მხატვარიც იყო; მისი შესრულებული ნამუშევრებიდან ცნობილია „ქართველი ქალის“ და სხვათა პორტრეტები (ფერაძე, 1964, გვ. 131).

ჩემი აზრით, ნახსენები პორტრეტი უშუალო ანალოგიას პოვებს სამების ეკლესიის მეფე-დედოფალთა გალერეასთან.

ვფიქრობ, მეფეთა გალერეის ეს გამორჩეული ნიმუში, რომელიც სამების ეკლესიაში გვხვდება, საკმაოდ იშვიათი მაგალითია და სხვაგან არსადაა; ეს მეფე-დედოფალთა პორტრეტების ერთგვარი თეოლოგიური პროგრამა დეკანოზ ნიკოლოზ არდაზიანის შექმნილი უნდა იყოს, ოღონდ ლონგოს სახვითი ხელოვნების ენაზე; ამ პორტრეტებში თამარ მეფეს განსაკუთრებული ადგილი უკავია.

1914 წელს გიგო ზაზიაშვილმა ჩუღურეთის წმიდა ნიკოლოზის ეკლესია მოხატა (სურ.2). თამარ მეფის გამოსახულება შემორჩენილია საკურთხეველთან მდებარე გუმბათქვეშა ბურჯზე, გაჯით შელესილზე, ფრესკა ზეთის საღებავითაა შესრულებული. ფონი ორ ნაწილადაა გაყოფილი: ქვედა მიწიერების აღმნიშვნელი შედარებით თბილ ტონალობაშია გადაწყვეტილი, ხოლო ზედა, რომელიც თითქმის მთელ ვერტიკალს აუყვება, ცისფერში, სახის გასწვრივ კი ფონი მთლიანად თეთრია. თამარის ფიგურა მონუმენტური, მასშტაბური იერით წარმოგვიდგება. გიგო ზაზიაშვილი თითქოს იმეორებს ბეთანიის ფრესკაზე გამოსახულ თამარის სახეს, მაგრამ, ვფიქრობ, ამ ფრესკაზე სიძველე მხოლოდ სამოსის გადმოცემაში თუ მჟღავნდება, თორემ მხატვრული ფორმა ახლებურია. შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი სიბრტყითობა დაძლეულია. იგი უკვე აღარ გვხვდება არც ლონგოსთან და არც - გიგო ზაზიაშვილთან, ისინი ფიგურას ახლა მოცულობითად გადმოგვცემენ. როგორც ზემოთ, ლონგოსეულ თამარ მეფის პორტრეტის განხილვისას მოვიხსენიე, იგი 3/4-შია გამოსახული, რაც შუა საუკუნეების გამოსახულებებს ემიჯნება და ფიგურის ასახვის ახლებურ მიდგომას ამჟღავნებს. გიგო ზაზიაშვილთან მეფე თამარი ერთგვარ მსუბუქ კონტრაპოსტის პოზაშია. მარჯვენა ფეხზე მყარად დგას, ხოლო მარცხენა ცოტა განზე გაუდგამს. წმიდანის ამაღლებული ფიგურა ერთგვარ დისტანციასაც კი ინარჩუნებს მლოცველთან, მჭვრეტელთან დამოკიდებულებაში.

საინტერესოა წმიდანის სახის დამუშავება; სახის ირგვლივ იქმნება თბილი ნათება, ანუ, ასე ვთქვათ, ემანაცია. იგივე ტერმინი გამოვიყენე ლონგოსეული მეფე თამარის სახის განხილვისას. ეს არის ღმრთეებრივი შუქის გამონათება, ემპირიაზე, ამაო ყოფაზე ამაღლება და შინაგანი გასხივოსნება. სახე რბილად, რელიეფურადაა ნაძერწი. ჩრდილი კუბასტის გასწვრივ ეცემა სახეს და მას მოცულობას ანიჭებს. მზერა ცოცხალია, ცხოველმყოფელი.

გიგო ზაზიაშვილი ვიდრე ამ პორტრეტს დაწერდა, მუშაობდა ხატწერის ნიმუშებზე, ცოტა მოგვიანებით პორტრეტის ჟანრშიც, იგი ტილოზე ეროვნულ მოღვაწეებს გამოსახავდა, ყოველივე ამან კი მთლიანობაში ხელი შეუწყო მეფე-წმიდანის სახის პორტრეტის შექმნას.

თამარს მოსავს ბიზანტიური ყაიდის სამეფო ტანსაცმელი, რომელიც მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში იყო გავრცელებული. XIX და XX საუკუნეების მხატვრები აქტიურად მიმართავენ შუა საუკუნეების ამ სამოსს გამოსახავად და XIX საუკუნეში დამკვიდრებული ქართული კაბის ელემენტებიც შეაქვეთ. თამარის კაბა აქაც ბეჭმანით, ანუ მანიაკიონითაა გაწყობილი. ლორონის ერთი ბოლო ქობამდე ეშვება, ბოლოები ფოჩებითაა გაფორმებული, ხოლო მეორე ბოლო წელზე აქვს შემოხვეული და მარცხენა მკლავზე გადაფენილი, მისი ბოლოც ფოჩებითაა გაფორმებული და ერთადაა განასკვული. მარჯვენა ხელში დახვეული გრაგნილი უკავია. სამოსი საკმაოდ გაფუებულია და ფიგურას მასშტაბს სძენს. ამასთან, დეკორატიული გაფორმება მხოლოდ მანიაკიონზე ვრცელდება, მთელი კომპოზიცია კი სისადავით გამოირჩევა.

თუ ერთმანეთს შევადარებთ ლონგოსეულ და ზაზიაშვილისეულ თამარ მეფის სახეებს, ვფიქრობ, მეტად საინტერესო პლასტები გამოიკვეთება. თითქოს მეფის სახე-ხატის გარკვეული, ასე ვთქვათ, პირობითი იკონოგრაფიული ნორმა უნდა ყოფილიყო მათში დამკვიდრებული. ორივე მხატვარი ცდილობს იგი საკურთხეველთან ახლოს გამოსახოს, ორივესთან მეფე საკმაოდ დისტანციითაა გამოსახული მლოცველისგან, ორივესთან დამკვიდრებულია შუა საუკუნეების ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ფორმის სიბრტყითობა და იგრძნობა ტენდენცია ფორმის მოცულობიანობისკენ.

როდესაც ამ მოხატულობებზე ვსაუბრობ, აღნიშნვის ღირსია ის გარემოება, რომ საშემსრულებლო მანერაში ერთმანეთს ერწყმის როგორც ქართული, ისე ევროპული ტრადიციები. ეს განსაკუთრებით ჩანს ლონგოსთან, ალბათ აქ უფრო მეტად უნდა ვიგულისხმობთ პორტრეტის ჟანრის ევროპული მახასიათებლები. ზაზიაშვილი ცდილობს უფრო მეტად მიეჯაჭვოს ქართულ ტრადიციებს – შუასაუკუნეობრივ მიდგომებს. იგი საკუთრივ პორტრეტს როდი გვიხატავს, მეფის სახე-ხატის შუასაუკუნეობრივ დამოკიდებულებას გადმოგვცემს, ხოლო ლონგო მთლიანად ევროპულ პორტრეტზეა ორიენტირებული (მიჯაჭვული) და მის მახასიათებლებს გადმოგვცემს; ამის ნათელი მაგალითია მეფის პოზის შერჩევა. ზაზიაშვილმა მეფე სრული ტანით გამოსახა და ამით მიუსადაგა შუა საუკუნეების ქართულ რეალობას, ხოლო ლონგომ – ტორსამდე და ამით უფრო ევროპულ ტრადიციებს მიუახლოვდა, მაგრამ მთლიანობაში უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად აღნიშნული სხვაობებისა, ორივე მხატვარი რეალისტური მხატვრობის ტრადიციებს ემხრობა, რაც განსაკუთრებით ვლინდება წმიდანის სახის წერისას. ეს ორივე სახის განხილვისას უკვე აღვნიშნე.

ამრიგად, კვლევის შედეგად მივედი იმ დასკვნამდე, რომ თამარ მეფე საუკუნეების განმავლობაში ქართველთათვის სათაყვანებელი მეფე და წმიდანი იყო, რომელიც ეროვნულ იდეალებს, ძლიერ ქართულ სახელმწიფოს, ამაყ, სრულფასოვან ქართველ მოქალაქეს გამოხატავდა და განასახიერებდა და სამშობლოს სიყვარულს შთააგონებდა მტრებით გარემოცულ თანამემამულეებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რიმ-ბაბა, ნუ დავივიწყებთ, გაზ. „სახალხო გაზეთი”(1913). #984.
2. ვეფხვაძე ი. (1958). მოგონებანი და პორტრეტები. თბილისი. ხელოვნება.
3. ორბელიანი გ. (1979). XIX საუკუნის მწერლობა. თბილისი. ნაკადული.
4. ფერაძე თ. (1964). რუსი და უცხოელი მხატვრები საქართველოში (XIX საუკუნე). თბილისი. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
5. ცინცაძე კ. (1994). ქვაშვეთის წმინდის გიორგის ეკლესია ტფილისში. თბილისი. კანდელი.
6. საქართველოს ისტორია, (2010), ტ. IV. თბილისი.

Lali Osepashvili,
Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University

King Tamar's Character in the wall painting of the 19th 20th cc. Tbilisi Church

Summary

The goal of this paper is to present the results of the study how actively was pictured King Tamar's Character in the wall Painting.

At that time Georgia was outside province of Russia and Georgians were under Russians oppressing. Georgian patriots idealized the heroic past. The King Tamar was idolized person by everyone. There were painted two Church at that time in Tbilisi. The first was painted by Italian painter Ludwig Longo at the end of 19th Holy Trinity Church, the second 1914y. by Gigo Zaziashvili in Chugureti St. Nikolas Church. In both Churches were portrayed the King Tamar's image near to altar.

According to results of my research, the author of idea of painting in the Holy Trinity Church was by archpriest Nikoloz Ardaziani. In both paintings in front of us are presented historical portrait of King Tamar. She wear byzantinian royal clothe. Both painters painted in genre of portrait. Longo used European traditional skills, whereas Zaziashvili used Georgian painting of the middle age.

სურ. 1
წმიდა სამების ეკლესიის ფრესკა



სურ. 2
წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის ფრესკა

**მონაზონი იოანე (ბაბუკა) ცუხიშვილი,
საქართველოს საკათრიარქოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი
სამეცნიერო ცენტრი**

ჩიხის ყოვლადწმინდა სამების სახელობის (ახალი) ტაძარი

ამ თემაზე ვრცლად საუბარი შორს წაგვიყვანს, ფაქტი ერთია, ჩიხის საერისთავომ რამდენიმე საუკუნეს გაუძლო. მართალია, XIII საუკუნის შემდეგ იქ მომხდარი ამბები არავის აღუწერია, მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ საერისთავოს დარჩა მემკვიდრე დღევანდელი სოფელ ჩიხის სახით, რომელიც ზემო იმერეთში თავისი წარსულითა და დღევანდელით ნამდვილად გამორჩეული და დაწინაურებულია, როგორც თემის ადმინისტრაციული ცენტრი და განათლების მნიშვნელოვანი კერა, ვინაიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში სწორედ ჩიხის

საზოგადოების ინიციატივითა და ძალისხმევით დაფუძნდა საჩხერის ცენტრში პირველი ორკლასიანი სასწავლებელი. ამ სასწავლებელმა უდიდესი კვალი დატოვა მთელი რაიონის შემდგომ საგანმანათლებლო პროცესზე.

ჩიხაში დგას სამი ტაძარი: 1. ღმრთისმშობლის სახელობის (იაკობაშვილების უბნის თავზე, ტყის პირას), 2 სამების სახელობის ზედა (ჭილაძეების უბანში) და 3. სამების სახელობის ქვედა (ცუხიშვილების უბანში) და ერთი ნატაძრალ-ნაეკლესიარი სოფლის ცენტრში (ე. წ. კოკორზე).

ღმრთისმშობლის სახელობის ტაძრის შესახებ არსებობს პროფესორ ინა გომელაურის და ჩვენი წერილები, სამების სახელობის ძველი ტაძრის ისტორია კვლევის საგანია, ხოლო სამების სახელობის ახალ ტაძარზე ჩვენ მიერ მოპოვებული და მოძიებული მასალების ნაწილი ქვეყნდება პირველად.

* * *

საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი ჩიხა გაშენებულია ჩიხის მთის სამხრეთ კალთაზე, მდინარე ყვირილის (ყვირილა) მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 520 მეტრ სიმაღლეზე, საჩხერის მუნიციპალური ცენტრიდან 4 კილომეტრში. სოფელში დგას საჯარო სკოლა, საბავშვო ბაღი და სათემო (ყოფილი სოფლსაბჭო) შენობა, ასევე - მიტოვებული და გაძარცვული რამდენიმე მნიშვნელოვანი ობიექტი.

ჩვენი კონფერენციის თემა არის "არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - ტენდენციები და გამოწვევები". სწორედ საარქივო და წყაროთმცოდნეობითი მასალების, დოკუმენტებისა და საბუთების დეფიციტი კი არა, სავსებით არქონაა იმის მიზეზი, რომ სოფელ ჩიხაში (და არა მარტო სოფელში) თითქმის არავინ იცის ამ სოფლის (ოდესღაც სამთავროს) ისტორიული წარსული, გარდასულ დღეთა მაუწყებლად, რამდენიმე გაყვითლებული და დახეული ფურცლის გარდა, არაფერი არსებობს, რაც უდიდეს გულისტკივილს იწვევს.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია რუსულ ენაზე რამდენიმე დოკუმენტი, რომლებშიც ასახულია ინფორმაცია ჩიხის სამების ახალი ტაძრის შესახებ.

მაგალითად, 1895 წლის 15 ნოემბერს ალავერდელი ეპისკოპოსი ბესარიონი (დადიანი)¹ წერილით მიმართავს მღვდელ აბესალომ ჩაჩანიძეს ჩიხის ეკლესიის მშენებლობის შესახებ:

"ბლალაჩინს მღვდელს აბესალომ ჩაჩანიძეს!

მცხოვრებნი სოფელს ჩიხას, აზნაურნი მაჭავარიანები და გლეხები ცუხიშვილები და ჭილაძეები თხოულობენ, რათა ვქნა ჯეროვანი განკარგულება ახალი ეკლესიის აშენებისა. ანუ ძველი ეკლესიის გადაკეთებისა, ანუ დაკეტისა წირვა-ლოცვისათვის ზედ მიწერილი

¹ ეპისკოპოსი ბესარიონი დაიბადა ზუგდიდში 1832 წელს. სწავლა-განათლება მიიღო მარტვილის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტერთან არსებულ სასწავლებელში. 1849 წლის 6 აგვისტოს იმერეთის მიტროპოლიტმა დავითმა (წერეთელი) ბერად აღკვეცა და სახელად უწოდა ბესარიონი. 1875 წლის 12 იანვარს საქართველოს ეგზარქოსმა ევსევიმ (ილინსკი), გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე) და იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) ეპისკოპოსად აკურთხეს და დადგინდნენ იქნა იმერეთის ეპარქიაში შემავალ სამეგრელოს სავიკაროს ქორეპისკოპოსად. 1886 წლის 1 მარტიდან ალავერდის სავიკაროს მმართველია. 1995 წელს ეპისკოპოს გაბრიელის (ქიქოძე) ავადმყოფობის გამო დროებით დაინიშნა იმერეთის ეპარქიის მმართველად, ხოლო წმიდა გაბრიელის გარდაცვალების შემდეგ, სიცოცხლის ბოლომდე, ორივე ეპარქიას (ალავერდი და იმერეთი) უძღვებოდა. გარდაიცვალა 1900 წლის 3 აგვისტოს.

ეკლესიისაგ. ამისთვის წინადაგიდებთ თქვენ, მომახსენოთ საქმის გარემოება თანახმად გაბრიელ ეპისკოპოსის მოწერილობისა 1 ივლისიდან 1893 წ. 1 1898 (?) და აგრეთვე რომელ ეკლესიაში, ზედმიწერილში თუ შტატში უფრო სამართლიანია წირვა-ლოცვა იყოს და რომელი მათგანი უფრო შესაბამია ამ დანიშნულებისთვის.

დროებითი მმართველი იმერეთის ეპარქიისა ბესარიონი ეპისკოპოსი ალავერდისა.

15 ნოემბერს, 1895 წ."¹.

ეპისკოპოს ბესარიონის წერილიდან ნათლად ჩანს, რომ ჩიხელ აზნაურ მაჭავარიანებს, გლეხებს ცუხიშვილებსა და ჭილაძეებს ჯერ კიდევ 1893 წელს მიუმართავთ წმინდა ეპისკოპოს გაბრიელისთვის (ქიქოძე) წერილით, რომელშიც ითხოვდნენ ახალი ტაძრის ასაშენებლად თანხმობასა და შემწეობას.

ამ ფაქტს ადასტურებს იმავე 1895 წლის 15 დეკემბერს სოფელ ჩიხის წმიდა სამების (ძველი) ტაძრის წინამძღვრის, მღვდელ აბესალომ ჩაჩანიძისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც აღნიშნულია: "ჯერ კიდევ 1893 წ. გაბრიელ ეპისკოპოსის ბრძანებით ჩიხას ეკლესიის მშენებლობისთვის შეარჩიეს ადგილი, სახელწოდებით "ვაკე-ტყე"².

ეს კიდევ უფრო ცხადყოფს, რომ სოფელ ჩიხის ყოვლადწმიდა სამების (ძველი) და ღმრთისმშობლის შობის (ყოფილი დიდმოწამე ბარბარეს) სახელობის ტაძრები ვედარ აკმაყოფილებდა მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნებს³ და ტაძრის სასაფლაოებიც აღარ იყო საკმარისი, რის გამოც მათ აღძრეს შუამდგომლობა ეპარქიის მმართველობისადმი ახალი ტაძრის ასაშენებლად.

1905-10 წლებში მიმდინარეობდა საჩხერის წმიდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობა, რომლის შესახებ არსებობს არაერთი საბუთი, მათ შორისაა ჟურნალ "მწყემსის" პუბლიკაცია: "საჩხერლებს არა აქვსთ საზოგადო არც სკოლა და არც ეკლესია. სოფლებში კი მშვენიერი ქვიტკირის ეკლესიები და სკოლებია გამართული... "საჩხერეში 15 წლის წინათ დაიწყეს მშვენიერ გეგმაზე ეკლესია, ააშენეს რამოდენიმე საყენი კიდეც, მაგრამ განსვენებული თთ [თავადები - მ. ც.] ნესტორ, ალექსანდრე და მიხეილ წერეთლების ერთი მეორესთან უთანხმოების გამო შეჩერდა ეკლესიის შენება და დღეს ამ ეკლესიის შენებაზე არა ვინა ფიქრობს. თთ წერეთლების ახალგაზრდობაში ზოგნი უმაღლეს სასწავლებელში და ზოგნი საშუალოში სწავლა მიღებულნი არიან; ამიტომ ესენი გონებით და ზნეობით ვალდებულნი არიან, რომ მათ იქონიონ ზედ გავლენა როგორც თავიანთ ნათესავებზედ, აგრეთვე საჩხერის საზოგადოებაზედ და ააშენონ მათი გონებისა და ზნეობის ტაძარი - ეკლესია და სკოლა" (ჟურნ. „მწყემსი“, 1885, 3).

ამავე პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას კორესპონდენციის ავტორი, როდესაც აღწერს იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდეს⁴ სტუმრობას საჩხერესა და ჭიათურაში: "...დაბა საჩხერეში მათმა მეუფებამ ყურადღება მიაქცია იმ სამწუხარო მოვლენას, რომ ამ დაბაში ერთი

¹ ზომა 22X17 სმ; 1 3260 36-62/438.

² რუსულ ენაზე, ზომა 22X17,5 სმ. 1 3258 36-62/436.

³ დასტურდება, რომ XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის საეკლესიო ჩანაწერები და დავთრები სავსეა ნათელდებულთა, ჯვარდაწერილთა და მიცვალებულთა გვარ-სახელებით.

⁴ დაიბადა 1861 წლის 15/28 თებერვალს გორის მაზრის სოფელ დისევში. სწავლობდა თბილისისა და სტავროპოლის სასულიერო სემინარიებში. 1884 წელს ბიძის, წმიდა ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე) დახმარებით სწავლა განაგრძო კიევის სასულიერო აკადემიაში, რომელიც დაასრულა 1888 წელს. 1888-1918 წლებში იყო გორის, იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, თბილელი მიტროპოლიტი. 1918-21 წლებში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. გარდაიცვალა 1921 წელს ქოლერით ან წყლით მოიწამლა.

რიგიანი ეკლესია არ ჰქონებიათ სახელგანთქმულ თავად წერეთლებს“ (ჟურნ. „მწყემსი“, 1885, 3).

1913 წლის 17 მაისს იმერეთის საეპარქიო კანცელარიამ მღვდელ ვლადიმერ აბრამიშვილს¹ აცნობა, რომ 8 მაისს იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ (ალადაშვილი) ახლად აგებული ჩიხის ეკლესია აკურთხა. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ კანცელარიიდან გაგზავნილი დოკუმენტი, როგორც ჩანს, სწორედ რომ საარქივოდ იყო განკუთვნილი, თორემ უდავოა ეპისკოპოსის მიერ ტაძრის კურთხევას საჩხერის მთავარხუცესი, მღვდელი ვლადიმერ აბრამიშვილიც დაესწრებოდა.

ჩიხის სამების ტაძრის მშენებლობა რა ვითარებაში მიმდინარეობდა, უცნობია, თუმცა არსებობს 1911 წლის 14 სექტემბრით დათარიღებული ერთი საგულისხმო ცნობა, რომელშიც ვკითხულობთ: "საჩხერიდამ გვაცნობეს, რომ სოფელ ჩიხას დასასრულს უახლოვდება ტაძრის მშენებლობა, რომლის აგებაზედ ზრუნვა გასულს საუკუნის მიწურულს დაუწყია სოფლის მკვიდრთ" (ჟურნ. „შინაური საქმეები“, 1910, 25). აქვე აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ტაძარს აშენებდა მთელი სოფელი, ფიზიკურად თუ სულიერად, მორალურად თუ ფინანსურად ადამიანები იდგნენ ერთმანეთის გვერდით. ამ ყველა ღონისძიებას ძირითადად კოორდინაციას უწევდა მღვდელი აბიათარ იაკობაშვილი, რომელიც იმხანად მსახურობდა იმავე სოფლის ღმრთისმშობლის სახელობის ტაძარში. ამას მოწმობს ეს ჩანაწერი: "მღვდელი აბიათარ იაკობაშვილი ყოველს ძალ-ღონეს ახმარს ახალის ტაძრის მშენებლობას, რომელიც ნიშანია მრევლისა და ხალხის ერთსულოვნებისა და თანაზიარობისა" (ჟურნ. „შინაური საქმეები“, 1911, 4).

ტაძრის აშენება უდავოდ მას შემდეგაა დაწყებული, როდესაც დასრულდა საჩხერის საკათედრო ტაძრის მშენებლობა (სავარაუდოდ, 1908 წლის მიწურულს), რომელიც საზეიმოდ აკურთხეს 1910 წლის 4 დეკემბერს.

ჩიხის სამების ტაძარზე შემორჩენილია და ტაძარს ამშვენებს ორი ძველი ქტიტორული წარწერა და აშენების თარიღი "1910 წ."; ერთი წარწერა ასე იკითხება: "მოიხსენე უფალო ოსტატნი ამა ეკლესიისა გიორგი და აბრამ კარაიანოვი", ხოლო მეორე წარწერა გავუწყებს: "აცხონე უფალო ამას ეკლესიის აღმშენებელნი იოსებ და აბიათარ იაკობაშვილი".

რაც შეეხება ტაძრის ოსტატებს გიორგისა და აბრამს, ახალგაზრდა მეცნიერმა ვალერი კეკენაძემ საჩხერის წმიდა ნინოს სახელობის ტაძრისადმი მიძღვნილ კრებულში გამოთქვა ასეთი ვარაუდი: "...ეკლესიის მშენებლობის კომიტეტის წესდებაში იხსენიება ეკლესიის მშენებელი, ბერძენი ოსტატი გიორგი კარაიან-ოღლი. მისი გვარის ბოლოსართი გვაფიქრებინებს, რომ იგი იმ დროისათვის ოსმალეთის იმპერიის კუთვნილებაში არსებულ, ანატოლიის მხარის ბერძენთა თემიდან უნდა ყოფილიყო... "სრულიად შესაძლებელია აღნიშნული პიროვნება სომეხ ეთნიკურ მასივთან ერთად, იძულებით გადმოსახლებულთა წარმომადგენელი იყოს" (კრებული, 2017, 27-28), თუმცა ჩიხის ტაძრის ქტიტორულ წარწერაზე მითითებულია არა კარაიან-ოღლი, არამედ გვარი "კარაიანოვი".

ამ გვართან (კარაიანოვი/კარაიან-ოღლი) დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ჩანაწერებში არაფერი მოიძებნა, ხოლო გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA)² მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, "კარაიანოვი"

¹ დეკანოზი ვლადიმერ აბრამიშვილი დაიბადა 1860 წელს, ის იყო საჩხერეში ცნობილი სასულიერო ოჯახის შთამომავალი. მღვდლად აკურთხა წმიდა გაბრიელმა (ქიქოძე) და განაწესა არგვეთის ტაძრის წინამძღვრად. XX საუკუნის 10-იან წლებში იყო საჩხერის მთავარხუცესი.

² გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) არის განვითარების საერთაშორისო სააგენტო. იგი ხელს უწყობს ქალთა, მამაკაცთა და ბავშვთა უფლებების განმტკიცებას ჯანმრთელი ცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობებისთვის, ეხმარება ქვეყნებს გამოიყენონ ყველა

(და არა კარაიან-ოღლი) გვხვდება ზოგად პოპულაციებში, კერძოდ, როგორც უკრაინაში, ისე სერბეთსა და ბულგარეთში (ასევე კარაივანოვ-ები). აგრეთვე ბერძნული წარმოშობისაა გვარი "კარაიანიდი", რომლის ფუძე ძირითადად თესალონიკიდანაა (დღევანდელი სალონიკი). სავსებით დასაშვებია ისიც, რომ ტაძრების აღმშენებლები ყოფილიყვნენ საქართველოში ჩამოსახლებული ბერძნები¹, ხოლო კონკრეტულად ამ გვარის შემთხვევაში "ოვ" სუფიქსი (კარაიანიდ=კარაიან/ოვ) გასაკვირიც არაა, რადგან XIX-XX საუკუნის საქართველოს დიდგვაროვანთა უმრავლესობაც ხომ რუსულის გავლენით ამდაგვარად იწერებოდა (მაგ. ბაგრატოვ, ბარათოვ, სუმბათოვ, მაჩაბელოვ, კანდელაკოვ და სხვ.).

ტაძრის აშენების პარალელურად მის მიმდებარედ გაჩნდა ახალი საფლავები (სამარხები). თავდაპირველად სასაფლაო ღობის გარეშე იყო, რაც გარკვეულ უსიამოვნებას ქმნიდა. თუმცა 1970-იანი წლების მიწურულს ტაძრის მიმდებარე ეზო შემოღობეს მავთულის ბადით, რამაც გამოიწვია ტერიტორიის დაცვა და ფლორის გამრავალფეროვნება.

1977-78 წლებში სოფელ ჩიხის იმხანად დანგრეული ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძარი აღწერა საქართველოს სსრ-ის კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს ერთმა ჯგუფმა ინსპექტორ ვახტანგ ჯიშკარიანის ხელმძღვანელობით. აღწერის პასპორტი შედგენილია და სამმართველოსთვის გადაცემულია 1980 წლის 18 მაისს.

ვ. ჯიშკარიანი ჩიხის სამების ახალ ტაძარს (მართებული იქნება თუ ვიტყვით ტაძრის ნანგრევები) შემდეგნაირად აღწერს²: "ეკლესია მდებარეობს სოფლის ცენტრში, ახალ სასაფლაოზე. გარე ზომებია 21,0 X 10,0 მ (დანართი 2). იგი XIX საუკუნეშია აგებული და თავისი ევროპული სტილის არქიტექტურით ძირეულად განსხვავდება საქართველოში ძველთაგანვე გავრცელებული საეკლესიო შენობების ტიპებისგან.

შენობის ცენტრალური ნაწილი სწორკუთხა, წაგრძელებული გეგმარების დარბაზს უკავია, რომელსაც აღმოსავლეთიდან ეკვრის სწორკუთხა, განივი ღერძის გასწვრივ წაგრძელებული გეგმის საკურთხეველი, დასავლეთიდან კი კვადრატული გეგმის ორსართულიანი სამრეკლო. გრძივი კედლების ცენტრალურ ნაწილებში ერთმანეთის პირისპირ თითო, ნაოთხალიანი³, თაღოვანი კარია გაჭრილი, რომელთა ორივე მხარეს თითო თაღოვანი სარკმელია განლაგებული.

საკურთხეველის დარბაზი სამი ფართო თაღოვანი გასასვლელით უკავშირდება (მათგან შუათანა უფრო ფართოა). საკურთხეველის სამივე კედლის ცენტრალურ ნაწილებში თითო სარკმელია გაჭრილი. საკურთხეველი სიგრძით დარბაზის განივ კედელზე უფრო მოკლეა და

რესურსი ისეთი პოლიტიკისა და პროგრამების შესამუშავებლად, რომელიც ხელს შეუწყობს სიღარიბის დაძლევას, საზოგადოებათა ნორმალურ განვითარებას და ინტელექტუალური პოტენციალის ამაღლებას.

¹ საქართველოში ბერძნების ჩამოსახლება მიმდინარეობდა სხვადასხვა ეტაპზე მცირე ჯგუფებად. პირველი ნაკადი ერეკლე II-ის დროს, XVIII საუკუნის 60-70-იან წლებში, მაშინ მოიწვიეს ანატოლიიდან, როდესაც ქართლ-კახეთში დაიწყო ვერცხლისა და ტყვიის მოპოვება. იმავე ხანებში ახტალაში ჩამოსახლდა რამდენიმე ათეული ოჯახი. 1813-15 წლებში წინწყაროში დასახლდა თურქეთელი ბერძნების 120 ოჯახი. თრიალეთში დასახლდა ასევე თურქეთიდან მოსული რამდენიმე ასეული ბერძენი, რომლებმაც ქართველების ნამოსახლზე შექმნეს 18 სოფელი. XIX საუკუნის 80-იან წლებში ბერძნები დასახლდნენ თეთრწყაროში, ბორჯომში, აფხაზეთსა და აჭარაში.

² ქვეყნდება პირველად.

³ სამწუხაროდ, ეს სიტყვა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში არ გვხვდება. თუმცა მსგავსია "ნაოთხალი", რაც ნიშნავს "მეოთხედს" (ძვ., სულხანისეული განმარტება).

ამიტომ მისი ჩრდილო და სამხრეთი კედლები დარბაზის შესაბამის კონტაქტში თითო საფეხურს ქმნიან.

ფართო გასასვლელით იყო აგრეთვე დაკავშირებული დარბაზი სამრეკლოს პირველ სართულთან. სამრეკლოს პირველ სართულში გასასვლელიც საკმაოდ ფართო ყოფილა, მაგრამ შემდეგ დაუვიწროვებიათ. სამრეკლოს პირველი სართული კვადრატული გეგმარების სათავეს წარმოადგენს დასავლეთიდან თაღოვანი კართა და ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან თითო თაღოვანი სარკმლით, ხოლო მეორე სართული სვეტებზეა დაყრდნობილი. სამ მხარეზე თაღებით გახსნილი ფანჩატურია. სამრეკლოს ოთხფეხა სახურავს თუნუქის საბურავი აქვს მოწყობილი.

ეკლესიის ინტერიერის მხატვრულ სახეზე, ძეგლის ტექნიკური მდგომარეობის გამო, ვერაფერს ვიტყვით (სახურავი აღარ არსებობს, ბათქაში ჩამოცვენილია, იატაკი მცენარეებითაა დაფარული. დანართი 3, 4 - ფოტოები გადაღებული ბატონ ვ. ჯიმკარიანის მიერ).

ექსტერიერის მხატვრული სახის მისაღწევად უხვადაა გამოყენებული არქიტექტურული გაფორმების საშუალებები. ხაზგასმულია და გამოკვეთილია ყველა კონსტრუქციული ნაწილი. გარეგნულ სახეში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სამი მთავარი მასის ურთიერთობა: ცენტრში დარბაზისა, რომელიც ყველაზე დიდი ზომისაა და განსაკუთრებითაა გაფორმებული, აღმოსავლეთით საკურთხეველისა, მცირე ზომითა და სადა დეკორით და დასავლეთით სამრეკლოსი, რომელიც ვიწრო, მაღალი და ყველაზე უფრო დინამიურია".

ჩიხის სამების ახალი ტაძარი აგებიდან დაახლოებით 20-30 წელიწადში დაინგრა ან დაანგრეს. წყაროთა და საბუთთა არარსებობის გამო ძნელია გადაჭრით ვამტკიცოთ -ტაძარი დაანგრეს თუ არა, თუმცა მავანი მიიჩნევს, რომ ეს მოხდა ავადსახსენებელ 1930-40-იან წლებში ეკლესია-მონასტრების მასობრივი ნგრევა-გაპარტახების დროს. ჩვენი შეფასებით, დარბაზული ტაძრის სიდიდის, გადახურვის ტექნიკური მაჩვენებლების (თავხეები, კრამიტი) გათვალისწინებით და საყრდენების არარსებობის გამო სავსებით დასაშვებია უხვთოვლიანობის დროსაც დანგრეულიყო. მით უმეტეს, 1932 წლის გაზეთი „კომუნისტი“ იუწყება, რომ "9 თებერვლიდან მთელს ამიერკავკასიაში უფრო ძლიერ თოვს. განსაკუთრებით დიდი თოვლი მოვიდა შავი ზღვის სანაპიროზე, აჭარისტანში (ხულო -162 სმ.). მთელ რიგ რაიონებსა და დაბებში 6 თებერვლიდან გადაუღებლად თოვდა, განსაკუთრებით კი ზუგდიდში, ტყიბულში, აჯამეთში, ჭიათურასა¹ და სურამში" (გაზ. „კომუნისტი“, 1932, 29). იმავე თვის ნომრებში ერთგან ისიც კი წერია, რომ ამბროლაურსა და ჭიათურაში მოსული უხვთოვლიანობის გამო ზვავები ჩამოწვა, დაანგრია სახლები და გარდაცვლილთა რაოდენობა 15-ს აღემატებოდა.

დანგრეული და „ტყით“ მოსილი ტაძარი კიდევ უფრო ჩამოინგრა და ჩამოიშალა 1991 წლის 29 აპრილს მომხდარი მიწისძვრით, რომლმაც კიდევ უფრო წაშალა მანამდე შემორჩენილი ფრესკების კვალი.

როდესაც, 1998-2000 წლებში ტაძრის აღდგენაზე მიდგა ჯერი, უშუალოდ საკურთხეველსა და დარბაზში მოჭრილი ხეების წლოვანება დენდროქრონოლოგიური მეთოდით დადგინდა: გადაჭრილი 3 ხის ასაკი აღემატებოდა 50 წელს, ხოლო 4-5 ძირის ასაკი 40 წელზე ნაკლები იყო².

¹ აქვე განვმარტავთ, რომ 1928 წლამდე საჩხერის (მუნიციპალიტეტის) ტერიტორია შედიოდა ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრაში, 1928-1930 წლებში - ქუთაისის ოლქში, 1930-1939 წლებში - ჭიათურის რაიონში. 1939 წლიდან დამოუკიდებელი რაიონია.

² გადაჭრილი ხის ნიმუშები სპეციალურად შეუსწავლია საჩხერის მთავარ მეტყევეს, აწ განსვენებულ ვახტანგ ცუხიშვილს.

საჩხერის ისტორიულ-კულტურული ძეგლების მდგომარეობას გაზეთ "ახალი ცხოვრების" 1979 წლის 18 სექტემბრის ნომერში ასე აფასებს საჩხერის კულტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების მაშინდელი ხელმძღვანელი, აწ განსვენებული უშანგი ჩიკვილაძე: "...ამასთან, ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებებია რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიულ-კულტურული ძეგლების დაცვაში. მათი ერთი ნაწილი მოკლებულია მზრუნველობას, ზოგიერთი მათგანი კი ავარიულ მდგომარეობაშია (წყალი ჩამოდის სახურავიდან, დაზიანებულია გუმბათი და კედლები, ცვივა მოხატულობა, მოუვლელია მათი კარ-მიდამოც. ასეა ჩიხის "ღვთისმშობლისა" და სამების (ცუხიშვილებისა და ჭილაძეების უბანში) ტაძრების მდგომარეობაც" (გაზ. „ახალი ცხოვრება“, 1979, 3).

ქუთაისის არქივის დირექტორის, მერაბ კუხევაძის, საავტორო წიგნში ჩიხის სამების (ახალი) ტაძრის მღვდელმსახურებზე არაფერი წერია, თუმცა იმერეთის ტაძრების ჩამოთვლისას ერთგან მოკრძალებით აღუნიშნავს: "...493 - ჩიხის წმ. სამების (საჩხერის მუნიციპალიტეტი), აგებულია ქვით. ნაკურთხია 1913 წელს" (მ. კუხევაძე, 2008, 36). არსად მითითებული არ არის მღვდლების ჩამონათვალი, არც სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რაც გვაფიქრებინებს, რომ ქუთაისის არქივში სხვა დოკუმენტები არ მოიპოვება და ეს ძალზე სამწუხაროა.

საჩხერის წმიდა ნინოს სახელობის საკათედრო და ჩიხის სამების განახლებული ტაძრების მშენებლობა სრულიად დააფინანსა ჩიხელმა მეცენატმა და ქველმოქმედმა გოჩა გიორგის ძე ჭილაძემ, რასაც ადასტურებს ჩიხის სამების ტაძრის სამხრეთ აფსიდაზე მარმარილოს ქვაზე ამოკვეთილი წარწერა: "წმიდაო სამებაო მეოხ ექმენ წინაშე ღვთისა გოჩა ჭილაძეს რომლის ღვაწლითა და საფასითა ჭიათურის მიტროპოლიტის დანიელის მღვდელმთავრობისას 2005 წ. აღსდგა და მოიხატა დანგრეული წმიდა ტაძარი ესე" (ამის მიუხედავად, ტაძრის ერთ პატარა ჩუქურთმას ამშვენებს წარწერა "1910/2003").

ტაძარი მოხატეს ხატმწერებმა ნოდარ ჯოხაძემ და ნოდარ გოცაძემ. ხატწერა შესრულებულია სადად, ძირითადად გამოყენებულია რამდენიმე ფერი, მათ შორის სჭარბობს ლურჯი და ყავისფერი, სიუჟეტურად ტაძრის მოხატულობა დიდად არ განსხვავდება მახლობელი ტაძრების მოხატულობისგან. ჭერზე გამოკრულია ხის ფიცრები. გადახურულია თუნუქით. ტაძარში შეიმჩნევა ნესტი, რომელიც მკვეთრად აზიანებს ფრესკებს, განსაკუთრებით კი საკურთხევლის დაბლა ნაწილში. სავარაუდოდ, ეს გამოწვეულია წვიმისგან დამცავი (საწვიმარი) საშუალებების ("ჟოლობების") არარსებობის გამოც.

ჩიხის სამების ახალი ტაძრის მიწის კუთვნილების საკითხის გასარკვევად მივმართეთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს [იუსტიციის სახლი], რომელშიც ორთოფოტოს მოძიება გამწვანდა ერთი მიზეზის გამო: კერძოდ, ეს ტაძარი და მიმდებარე ტერიტორია დღემდე არ ირიცხება არც ერთ სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურის ბალანსზე. მასზე პასუხისმგებლობა დოკუმენტურად არ აქვს აღებული მათ, ვისაც უნდა ჩაეტარებინა აღწერა, გეგმარება, მიეღო ექსპლუატაციაში შენობა-ნაგებობა და სხვ.

ჩიხის სამების სახელობის (ახალი) ტაძარი საჩხერის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე გამორჩეული საეკლესიო და კულტურული ძეგლია მცირე ჩუქურთმებით, სიდიდითა (საერთო ფართობი შეადგენს 210 კვ. მეტრს) და განსხვავებული ევროპული სტილით, რომელიც ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში გახდა საზოგადოების ნაწილის მსჯელობის საგანი, როგორც ამას თავის აღწერაში აღნიშნავს ძეგლთა დაცვის ინსპექტორი ვ. ჯიშკარიანი.

წინამდებარე წერილის მომზადების დროს დოკუმენტების გამოთხოვის(თუ მოძიების?) მიზნით მივმართეთ საქართველოს ეროვნულ არქივს, იუსტიციის სახლს, საქართველოს საპატრიარქოს არქივს, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს, საჩხერის მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში აღმოჩნდა რამდენიმე საბუთი, ხოლო ძველი საპასპორტო მონაცემები

გადმოგვცა (დაუზარლად) სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ. სხვა შემთხვევაში ჩვენი მოუკლებელი ცდა - მეტი სიცხადით გაგვეშუქებინა ტაძრის ისტორია - უშედეგო აღმოჩნდა, რაც მიუთითებს ჯერ კიდევ იმ გადაუჭრელ პრობლემებზე, რომლებიც არსებობდა და კვლავაც არსებობს საქართველოს საარქივო, სამუზეუმო და საეკლესიო სივრცეებში. სწორედ ეს უწყებები არიან ვალდებულნი ჰქონდეთ მუდმივი განახლებადი ფონდები, იმისათვის რომ ისედაც დავიწყების პირას მისული ჩვენი წარსული მთლიანად არ წაგვეშალოს როგორც მეხსიერებიდან, ისე დოკუმენტური ჩარჩოებიდან.

იმედს ვიტოვებთ, საერთაშორისო კონფერენციაზე "არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - გამოწვევები და ტენდენციები" გაჟღერებულ პრობლემატიკას ხელისუფლება და დაინტერესებული საზოგადოება უყურადღებოდ არ დატოვებს, რამეთუ ჩვენ ვალდებულნი ვართ ჯეროვანი ყურადღება დავუთმოთ ისეთ მგრძნობიარე და უმნიშვნელოვანეს თემებს, როგორებიცაა: მუნიციპალური არქივების და მუზეუმების განვითარება, სამეცნიერო და პრაქტიკული კვლევების დაფინანსება. თუ ეს საკითხები დროულად არ მოგვარდა, კულტურულ-სახელოვნებო და საარქივო-სამუზეუმო ჩიხი გარდაუვალია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართლის ცხოვრება, მატიაზე ქართლისა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955, სახელგამი.
2. ბატონიშვილი, ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973, საბჭოთა საქართველო.
3. ბერძენიშვილი, ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები (ისტ. გეოგრაფია), თბილისი, 1964, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა.
4. ბერძენიშვილი, ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტომი III, თბილისი, 1966, მეცნიერება.
5. ბერძენიშვილი, ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი, 1990, მეცნიერება.
6. ჯავახიშვილი, ივ. თხზულებები, ტომი II, თბილისი, 1983, მეცნიერება.
7. (დამბაშიძე, დ.) (1885). *ჟ. მწყემსი*, 13. გვ. 3.
8. საჩხერის წმინდა ნინოს საკათედრო ტაძრის ისტორია, კრებული, თბილისი, 2017, სპეკალი.
9. (ილურიძე, ე.) (1932) *გაზ. კომუნისტი*,
10. (ჩიკვილაძე, უ.) (1979, 3) *გაზ. ახალი ცხოვრება*,
11. კუზევაძე, მ. ეგზარქოსობის დროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები. ქუთაისი, 2008, ხომლი ენი.

**Monk John (Mamuka) Tsukhishvili,
Head of the Scientific Center research Village History of the Georgian Patriarchate**

Holy trinity (new) church of chikha

Summary

The village of Chikha, Sachkhere municipality, is located on the southern slope of the Chikhi mountain, on the right bank of the river Kvirila (Scream), 520 meters above sea level. 4 km from Sachkhere Municipal Center. There is a public school, kindergarten and community building (former village council) in the village, as well as some important abandoned and looted buildings. As for the Trinity Temple, it was built twice, painted twice, and today functions as a 21st century spiritual oilscape.

The Trinity (new) Church of the Dead is a distinguished church and cultural monument throughout the Sachkhere municipality with its modest decorations, grandeur (total area of 210 sq. M.) And a distinct European style, which as early as the twentieth century became the subject of much public discussion. In his description he mentions a monument A. Security Inspector V. Jishkarian

**თორნიკე დიასამიძე,
შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ინგუშეთის ქრისტიანული არქიტექტურა

ქართველ და ინგუშ ხალხთა ურთიერთობა საუკუნეებს მოიცავს. ქართულ წყაროებში ისინი, ძირითადად, დურძუკებად არიან მოხსენიებულნი და ყოველთვის ქართველი ერის გვერდში იდგნენ.

პირველი ურთიერთობის შესახებ მოგვითხრობს ქართლის ცხოვრება. იბერიის მეფე ფარნავაზს ცოლად დურძუკი ქალი ჰყავდა. შემდეგი ეტაპი უკვე საურმაგის მოღვაწეობის დროს იკვეთება, როდესაც მეფეს ტახტის დასაბრუნებლად ბრძოლაში სწორედ დურძუკები ეხმარებიან (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 17).

ასე გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში. ქრისტიანობამ კიდევ უფრო დაახლოვა და შეაერთა ეს ორი ხალხი ერთმანეთთან. სამწუხაროდ, ინგუშეთში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ წერილობითი ცნობები არ გვაქვს და გვიწევს მსჯელობა იქ არსებული ქრისტიანული ეკლესიების მიხედვით; თუნდაც ის რად ღირს, რომ სწორედ ინგუშეთშია აგებული ჩრდილოეთ კავკასიაში ერთადერთი სამეკლესიანი ბაზილიკა ტყობა-

ერდი. ის შეგვიძლია მივიჩნიოთ ბაზილიკის ქართულ ვარიაციად, რომელიც საქართველოს ფარგლებგარეთ ძალიან იშვიათია. გარეგნულად თავისი პროფილით ის არ განსხვავდება ჩვეულებრივი ბაზილიკისგან, მაგრამ შიგნით ნავეები ბოძებით კი არ არის გაყოფილი, არამედ კედლებით, კერძოდ, ერთ შენობაში სამი ეკლესია არის გაერთიანებული (ბერიძე, 2014, გვ. 52).

ამჟამად ინგუშეთის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია რამდენიმე ქრისტიანული ეკლესია და სალოცავი, ესენია: ტყობა-ერდი, ალბი-ერდი, გალ-ერდი, მალ-ერდი, თარგიმის ეკლესია, დელიტეს სალოცავი, ბარკინის სალოცავი, მიატ ლამის მთაზე რამდენიმე წლის წინ აღმოჩენილი მიატ სელის სალოცავი.

პირველი ცნობები ინგუშეთის ძეგლებზე XVIII საუკუნეშია აღნიშნული, კერძოდ, ტყობა-ერდის შესახებ ცნობებს გვაწვდის რუსეთის არმიის კვარტირმეისტერი შტედერი, რომელმაც 1781 წელს აზომა და აღწერა ძეგლი. 1811 წელს იმავე ეკლესიას გაეცნო და ცნობები მის შესახებ შტედერის მასალებთან ერთად გამოაქვეყნა გერმანელმა გეოლოგმა მორიც ფონ ენგელგარტმა (Штедер, 1967, გვ. 47-53).

XIX საუკუნის ბოლოს ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე არსებული ძეგლებით ქართველი საზოგადოებაც დაინტერესდა. უნდა აღინიშნოს, დიმიტრი ბაქრაძის, მოსე ჯანაშვილისა და ზაქარია ჭიჭინაძის მოგზაურობა და მათი შრომები, ისინი იქ არსებულ ძეგლებს საქართველოს უკავშირებდნენ და იმდროინდელ ქართველ საზოგადოებას აცნობდნენ მათ შესახებ ინფორმაციას (ჯანაშვილი, 1895, გვ. 4; ჭიჭინაძე, 1905, გვ. 120).

ინგუშეთის ძეგლების შემდეგი ეტაპის სრულ აღწერას გვაძლევს მილერი, რომელმაც 1888 წელს შეისწავლა ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე არსებული ქრისტიანული ეკლესიები. განსაკუთრებულ ყურადღებას მილერი ამახვილებს ტყობა-ერდის ტაძარზე, მისი დაკვირვებით, ტაძარმა რამდენჯერმე რეკონსტრუქცია განიცადა, ტაძრის შესწავლისას მეცნიერმა აღმოაჩინა ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერები. წარწერების წაკითხვისას მილერი ეყრდნობა დიმიტრი ბაქრაძის გამოკვლევებს და ტაძრის პირველ ფენას IX საუკუნით ათარიღებს (МАК, I. 1888, გვ. 35).

მილერის მოსაზრებას ტაძრების დათარიღებასთან დაკავშირებით იმეორებს კიდევ ერთი მეცნიერი კრუპნოვი, რომელმაც გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი ტყობა-ერდის ტაძარზე (Крупнов, 1947, გვ. 67).

გასული საუკუნის 40-იან წლებში ინგუშეთის ძეგლები შეისწავლა და გამოიკვლია გიორგი ჩუბინაშვილმა, რომელმაც 1941 წელს გამოაქვეყნა სტატია ტყობა-ერდის ტაძარზე. მეცნიერი გამოყოფს მშენებლობის სამ პერიოდს: VII-IX, X-XI და XV-XVI საუკუნეებს (Чубинашвили, 2002, გვ. 23).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვადასხვა დროს ინგუშეთის ძეგლების შესწავლით დაინტერესდნენ რუსი მეცნიერებიც, რომლებიც ძირითადად მილერის გამოკვლევას მიჰყვებოდნენ. გარდა ტყობა-ერდისა, ისინი ინგუშეთის ტერიტორიაზე არსებულ სხვა ქრისტიანულ ტაძრებსაც შეისწავლიდნენ და მათ ქართული ქრისტიანული გავლენის ფარგლებში აქცევდნენ (Виноградов, 1966, გვ. 35; Марковин, 1969, გვ. 96; Мужухоев, 1977, გვ. 67).

სხვადასხვა დროს ინგუშეთის ტაძრებზე წერდნენ ასევე ქართველი მეცნიერები, რომლებმაც არაერთი ნაშრომი გამოაქვეყნეს როგორც ტყობა-ერდის, ასევე გალ-ერდის, მაგ-ერდის, ალბი-ერდის ტაძრებზე (დამბაშიძე, 1971, გვ. 107; ქალდანი და სხვა (1983). ალბი - ერდი ქრისტიანული ეკლესია ინგუშეთში, *საბჭოთა ხელოვნება*. 7. გვ. 97).

ინგუშეთში ეკლესიები განლაგებულია საქართველოს მოსაზღვრე ჯეირახის რეგიონში, უცხოელთათვის იქ მოხვედრა შესაძლებელია საშვით. ინგუში მოსახლეობა იქ არსებულ ეკლესიებს დიდი მოწიწებითა და პატივისცემით ეპყრობა, ისინი ამაყობენ თავიანთი წარსულით.

მდინარე ასას ხეობაში შესვლისას, მარცხენა სანაპიროზე, სოფელ თარგიმთან პირველად ალბი-ერდის ეკლესია გვხვდება [სურ.1]. გეგმით, იგი წაგრძელებული, დარბაზული ტიპის ნაგებობაა ნალისებური მოყვანილობის აფსიდით. აფსიდის აღმოსავლეთში ერთი სარკმელია, ცენტრალური შესასვლელი სამხრეთის მხრიდან ჰქონია, შემორჩენილია მიშენების ნანგრევი დასავლეთის მხრიდან და იქაც ფიქსირდება შესასვლელი. ეკლესიის ცენტრალური დარბაზის გასანათებლად სამხრეთის მხარეს ორი სარკმელია.

კედლებზე შემორჩენილია შელესილობა მხატვრობის მკრთალი კვალით, განსაკუთრებით დასავლეთის, ჩრდილოეთის კედლებსა და აფსიდაში ჯერ კიდევ შეიძლება რამდენიმე შარავანდის მოხაზულობის, კადრის გამყოფი ზოლებისა და ფიგურების დეტალების გარჩევა. დამახასიათებელია აგრეთვე მხატვრობის საერთო ლურჯი-მოყავისფრო შეფერილობა, რაც მას შუა საუკუნეების რიგში აყენებს. კადრის გამყოფი მკრთალი მოყავისფრო ზოლები მეტყველებს, რომ მხატვრობა კარგად იყო მორგებული შენობაზე (ქალდანი და სხვა (1983). ალბი-ერდი - ქრისტიანული ეკლესია ინგუშეთში, „საბჭოთა ხელოვნება“, 7, გვ. 109-110).

ალბი-ერდის ეკლესიის ახლოს, კომპოვან სოფელ თარგიმში, შემორჩენილია კიდევ ერთი ეკლესია, რომელიც თარგიმის ეკლესიის სახელწოდებითაა ცნობილი. დღეს ის ნანგრევების სახითაა შემორჩენილი. გეგმით, დარბაზული ტიპის ეკლესიაა აღმოსავლეთის აფსიდით. აფსიდის აღმოსავლეთით ჰქონდა სარკმელი, სარკმელი გვხვდება აგრეთვე დასავლეთის კედელში, ეკლესიას შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონდა. იქვე მთელ სიგრძეზე ფიქსირდება მინაშენი, რომელიც ნანგრევებადაა შემორჩენილი. ეკლესიაში არ ჩანს მოხატულობის კვალი. 80-იან წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა რამდენიმე სამარხი და მასში ჩატანებული ინვენტარი - ძირითადად საბრძოლო მასალა (Мужухоев, (1980). Таргимский храм. *Северный Кавказ в древности и в средние века*, გვ. 179-181).

მდინარე ასას ხეობაშივე, სოფელ ეგენტთან, მდებარეობს კიდევ ერთი ეკლესია გალ-ერდის სახელწოდებით [სურ.2]. გეგმის თანახმად, ის წაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენს, კედლის წყობაში სხვადასხვა ზომის ქვა გამოყენებული. შესასვლელი კარი სამხრეთის კედელშია გამოყვანილი, მას ნახევარწრიული მოყვანილობის თალი აგვირგვინებს. ეკლესიის ზედა ნაწილი ჩამოქცეულია, ამიტომ რთული სათქმელია, ჰქონდა თუ არა მას სარკმლები. დღეს ძეგლი თითქმის განადგურებულია. მისი პირვანდელი იერის შესახებ გარკვეულ ცნობებს გვაწვდის მილერი. ავტორის თქმით, ძეგლი როგორც გარედან, ისე შიგნიდან შელესილი ყოფილა კირის ხსნარით. სახურავი ერთქანობიანი ფიქალის ქვის ფილების ჰქონია. ა. მილერის ჩანაწერებით, აღმოსავლეთის კედელთან, ინტერიერში, ქვის საკურთხეველი ყოფილა, მას ჰქონდა ერთ ვერტიკალზე განლაგებული ორი მცირე ზომის ნიშა, რომლებშიც, მისი ვარაუდით, ადრე ხატები უნდა მდგარიყო. მილერის ცნობით, გალავნის კედლის სიმაღლე ორ არშინს შეადგენდა. კედელში ერთმანეთისგან ნახევარი არშინის დაშორებით ნიშები ყოფილა გაკეთებული, რომელთა ქვეშ საჯდომები ჰქონიათ გამართული (Миллер, 1888, გვ. 5).

გალ-ერდის შესახებ პირველი ცნობა ინგუშებსა და რუსებს შორის 1810 წელს დადებულ ხელშეკრულებაშია მოცემული. ინგუშები ხელშეკრულებას გალ-ერდზე ფიცით განამტკიცებდნენ.

გადმოცემით, სალოცავთან ინგუშები წელიწადში ორჯერ ახალ წელსა და სამების დღესასწაულზე იკრიბებოდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ. შესაწირად იქ მიჰყავდათ ძროხა ან თხა (ხუციშვილი, (1983). გალ-ერდი - ქრისტიანობის დროინდელი ძეგლი ინგუშეთში. „საბჭოთა ხელოვნება“, 64, გვ. 63-65).

სოფელ სალგის მახლობლად მდებარეობს კიდევ ერთი სალოცავი მალ-ერდი [სურ.3]. მისი სახელწოდება უკავშირდება ვინმე ბრძენ კაცს, მალს, რომელიც იქ კლდის პირას

დასახლდა და ააგო სალოცავი. შენობის სამხრეთ კედელზე შემორჩენილია გოლგოთის ჯვრის გამოსახულება.

მალ-ერდის სალოცავი განსაკუთრებით საინტერესოა იქ აღმოჩენილი X საუკუნის ფსალმუნით. XX საუკუნის დასაწყისში აბდულვაჰაპ ელჯარკიევს იქ უპოვია ფსალმუნი, რომელიც მამამის რუსი ოფიცრისთვის გადაუცია, ფსალმუნის ორი ფურცელი კი შეუნახავთ, როგორც ოჯახის რელიქვია. გივი ღამბაშიძე ფსალმუნს X საუკუნით ათარიღებს (ღამბაშიძე, (2015). ქართული ფსალმუნი მალ-ერდის ეკლესიიდან. *ქართველოლოგიის პრობლემები და პერსპექტივები*, I, გვ. 144-145).

მალ-ერდის სალოცავში აღმოჩენილი ფსალმუნი ქართველი და ინგუში ხალხის მჭიდრო ურთიერთობის დასტურია. როგორც ჩანს, იქ, ისევე როგორც ინგუშეთის სხვა ეკლესიებში, წირვა-ლოცვა სწორედ ქართულ ენაზე აღესრულებოდა.

მდინარე ასას გაყოლებაზე სოფელ ყართში გვხვდება კიდევ ერთი სალოცავი - დელიტე [სურ.4]. დელიტეს საკულტო შენობა ნაკლებად დახვეწილი და შედარებით ასიმეტრიული, მაგრამ მყარ სწორკუთხა აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე დამხრობილი ნაგებობაა, რომელიც ფიქლისსაფეხურებიანი ორფერდა სახურავით მთავრდება. აღმოსავლეთ კედელზე შიგნიდან მიშენებულია უხეში ფორმის სამნიშაიანი სვეტი - საკურთხეველი, რომლის შუა ნიშის სიღრმეში ჯვარია გამოკვეთილი. დიდი ზომის გოლგოთიანი ჯვრები გამოყვანილია აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლების გარე ფასადების წყობაში.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლების საფასადე მხარის ფრონტონებში თითო ჯვარია გამოსახული. ასეთი ჯვრები ხშირად გვხვდება ინგუშური კომპლექსების ფასადებსა და ქართული ქრისტიანული ეკლესიების ფასადებზე.

დელიტეს სალოცავთან დაკავშირებულია სხვადასხვა წარმართული რიტუალი, ზაფხულობით იქ იკრიბებოდა მოსახლეობა და მიჰყავდა ცხვრები შესაწირად.

ინგუშეთში ახალმა იდეოლოგიამ, რომელიც, როგორც ჩანს, იქ უკვე X საუკუნიდან აქტიურად იკიდებდა ფეხს, დასახა საკულტო ნაგებობების ახალი ტიპის შექმნის ამოცანა, რომელსაც უნდა უზრუნველყო ქრისტიანული რელიგიის რიტუალი. ეს ფორმები განვითარების პროცესში შეეჯახა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ხალხური სამშენებლო ხელოვნების ადგილობრივ ტრადიციებს; შედეგად ჩამოყალიბდა სწორკუთხოვანსაკურთხეველიანი ქრისტიანული საკულტო ნაგებობა, რომელმაც ძველი აღმართული სალოცავიდან მემკვიდრეობით მიიღო გარკვეული ელემენტები (ხუციშვილი და ქალდანი (1980). ქრისტიანობის დროინდელი ერთი ძეგლი ინგუშეთში. *ძეგლის მეგობარი*, 54, გვ. 32-35).

ინგუშეთის ქრისტიანულ არქიტექტურაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ტყობა-ერდის სამეკლესიან ბაზილიკას [სურ.5].

ეკლესია მდებარეობს მდინარე ასას ხეობაში, სოფელ ხაირახის მახლობლად. XVIII საუკუნიდან ძეგლი მკვლევართა ყურადღების ცენტრში მოექცა, მის შესახებ ცნობებს გვაწვდის შტედერი, ენგელგარდი, მილერი, კრუპნოვი, ბაქრაძე, ჩუბინაშვილი, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ძეგლს გივი ღამბაშიძე.

1969 წელს ძეგლს ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაო, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ქართველი მეცნიერები ლევან ხიმშიაშვილი და მ. ანთაძე, იმ დროს ძეგლი სრულად აღდგა და გამოქვეყნდა რესტავრატორების ანგარიში მისი მდგომარეობის შესახებ (ხიმშიაშვილი და ანთაძე, (1971). ტყობა-ერდის სარესტავრაციო სამუშაოების შედეგები. *ძეგლის მეგობარი*, 26, გვ. 65-75).

2004 წელს, რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დროს, ტყობა-ერდის ეკლესიას რუსული ვერტმფრენის ჭურვი მოხვდა და სახურავი დაუზიანა, რომლის აღდგენაც ადგილობრივმა მოსახლეობამ თვითონ მოახერხა.

ტყობა-ერდის ტაძრის მშენებლობას ადგილობრივი ტრადიცია თამარ მეფეს მიაწერს. ასევე მეტად საინტერესოა ხალხური ლეგენდა, რომელშიც მოთხრობილია ტაძრის აგების ერთ-ერთი ვერსია. ამ ლეგენდის მიხედვით, მუჰამედმა მოისურვა ინგუშეთში ისლამის გავრცელება, იქ მცხოვრებმა ქრისტიანებმა წინააღმდეგობა გაუწიეს მას, შემდეგ მუჰამედმა დატოვა ეს ადგილი და წავიდა, მაგრამ წასვლისას მიწაში ყურანი ჩაფლა, ადგილობრივმა მოსახლეობამ კი იმ მიდამოში ეკლესია ააგო. ეს იყო ტყობა-ერდის ეკლესია, ის ააგო ადგილობრივმა ქრისტიანმა მოსახლეობამ ქართველთა დახმარებით, მათ ქვებიც კი საქართველოდან ჩამოიტანეს (Дидебулидзе, (1972). О культурных взаимосвязях Грузии и центральново предкавказья в X-XII век. *მაცნე*, 1, გვ. 72).

ცენტრალური ეკლესია გეგმაში სწორკუთხედის ფორმისაა [სურ.6]. აღმოსავლეთის კედლის გარეთა კუთხეები მთელ სიგრძეზე კარგად გათლილი შირიმის სწორკუთხოვანი ფორმის კვადრებითაა ამოყვანილი. სამხრეთის კედლის სიგრძის დაახლოებით 3-მეტრიანი მონაკვეთი ჰგავს აღმოსავლეთ კედელს, ხოლო დანარჩენ ნაწილში გამოყენებულია მცირე ზომის უწესრიგო ფორმის ბლოკები. ჩრდილოეთ კედლის აღმოსავლეთი ნაწილიც დაახლოებით 2 მეტრამდე აღმოსავლეთის კედლის იდენტურია, დარჩენილ ნაწილში კი ჭარბობს ფიქალი. დასავლეთის კედლის წყობაში ძირითადად ფიქალია გამოყენებული, შირიმის გამოთლილი კვადრები კი - კუთხეებში.

შირიმის ქვის სხვადასხვა ზომის ბლოკებზე ამოკვეთილია ადამიანებისა და ცხოველების მრავალრიცხოვანი რელიეფური გამოსახულებები.

ცენტრალური ეკლესიის შიდა სივრცე გრძივი კედლებიდან საკმაოდ გამოწეული ქვითკირის მძლავრი ბურჯების სამი რიგით ოთხ ნაწილადაა დაყოფილი. ბურჯებზე შენობის კამარების საბჯენი შეისრული თაღებია გადაყვანილი.

შედარებით ვიწრო, შეღრმავებული, გეგმაში ნალისებური მოხაზულობის აფსიდა დარბაზის იატაკს ორი საფეხურითაა დაშორებული. ტრიუმფალური თაღი ნახევარწრიული ფორმისაა, ხოლო კონქი დამრეცი მრუდითაა წარმოდგენილი. დარბაზი ორქანობიანი სახურავით იყო გადახურული, სახურავად კრამიტი ყოფილა გამოყენებული.

დარბაზის შესასვლელი დასავლეთ კედელშია გაკეთებული, ერთი კარია სამხრეთის კედელშიც. სამხრეთის კედელშივე ოთხი სარკმელია, რომელთაც ფასადის მხარეს შეისრული თაღების ფორმა აქვს. აღმოსავლეთის კედლის ცენტრში შეწყვილებული სარკმელია გაკეთებული, სარკმლის გამყოფი სვეტის კაპიტელზე მცენარეული დეკორი შეიმჩნევა. არქივოლტსა და თავსართს შორის მოქცეულ სიბრტყეზე ამოკვეთილია ორი სიუჟეტისგან შემდგარი სკულპტურული კომპოზიცია. მარჯვენა გამოსახავს მამაკაცის ბრძოლას ლომთან, მარცხენაზე სამი ფიგურაა, რომელთაგან ერთ-ერთი ალბათ ქტიტორი ეკლესიის მოდელს მიაერთმევს ქრისტეს [სურ.7].

დასავლეთის ფასადის ცენტრალურ ნაწილში მრავალფიგურიანი სკულპტურული კომპოზიციაა განლაგებული [სურ.8]. კომპოზიციის ცენტრში ჯვრის მოხაზულობის ქვის ბლოკზე ამოკვეთილია ტახტზე მჯდომი ქრისტეს ფიგურა. მის თავზე, ზემოთ, მცენარეული ორნამენტით შემკული გამოწეული სარტყელია, რომელზეც ენგელჰარტის მიხედვით, გუმბათიანი ტაძრის მოდელი მდგარა. ქრისტეს მარცხნივ ფეხზე მდგომი ადამიანის გამოსახულებაა, რომელსაც მარჯვენა ხელი ხმლის ვადაზე უდევს, მარცხენაში კი ჯვარი უჭირავს. ქრისტესგან მარჯვნივ კიდევ ერთი ადამიანის ფიგურა ყოფილა გამოსახული, რომლის ქვედა ნაწილია დარჩენილი; კომპოზიციის ზედა ნაწილში იდაყვი ოდნავ მოხრილი ხელია, რომელსაც გონიო უკავია [სურ.9]. იმავე კედელზე, არქივოლტის თავსა და გვერდებზე, მისგან ოდნავ დაცილებით სამი ანგელოზის რელიეფური გამოსახულება ყოფილა (ქალდანი, (1988). ქართული წარმომავლობის ქრისტიანული ძეგლები ინგუშეთში. *ძეგლის მეგობარი*, 79, გვ. 37-39).

წარმოდგენილ რელიეფურ კომპოზიციაში საინტერესოა საქტიტოროს (თემის) არატრადიციული გადაწყვეტა ქართულ ხუროთმოძღვრულ სკულპტურაში მრავლად შემორჩენილ საქტიტორო რელიეფებზე. ეკლესიის მოდელები უმეტესწილად მაშენებლებს უჭირავთ ხელში, იქ კი დიდი ზომის რელიეფური მოდელი მაცხოვრის თავზეა აღმართული. საინტერესოა ისიც, რომ ტრადიციულად საქტიტორო კომპოზიციებში გამოსახული ეკლესიის მოდელი ზოგად ფორმებში გადმოსცემს თავად ტაძრის არქიტექტურულ ტიპს, ტყობა-ერდში კი ბაზილიკის ნაცვლად ჯვარგუმბათოვანი ეკლესიის მოდელებს ვხვდებით.

კომპოზიციის ამგვარი გადაწყვეტის პარალელურია XI საუკუნის შიო მღვიმის კანკელის ერთ-ერთი ფილა, რომელზეც ქრისტეს ფიგურის თავზე ეკლესიის გამოსახულებაა წარმოდგენილი. შეიძლება ეს იდეა XI საუკუნის პირველ ნახევარში იყო გავრცელებული. საინტერესოა თავად ტაძრის მოდელის ჯვარგუმბათოვნებაც, რაც, ერთი შეხედვით, მარტივად აიხსნება, კერძოდ, შუა საუკუნეების ქართულ არქიტექტურაში ჯვარგუმბათოვანი ტაძრის ტიპი წამყვანია.

თუმცა ტყობა-ერდის შემთხვევაში შესაძლებელია სხვა ვერსია იკვეთებოდეს. როგორც ცნობილია, ქართველთა ცნობიერებაში ქრისტიანული ეკლესიის ზოგადი ხატი, უფლის საფლავის ეკლესიის მსგავსად, უფლის კვართზე აგებულ სალოცავს - სვეტიცხოველს - უკავშირდება. ტყობა-ერდის კომპოზიციაში ქრისტეს ორნამენტისა და ტაძრის მოდელის ერთ ვერტიკალურ ღერძზე განაწილება ზოგადქრისტიანულ კონცეფციასთან ერთად შესაძლოა უშუალოდ სვეტიცხოვლის ტაძრის, როგორც უფლის კვართზე დაფუძნებული ეკლესიის, ხატებას წარმოადგენდეს (ხუნდაძე და შანშიაშვილი (2012). სვეტიცხოვლის სიმბოლური სახე ტყობა-ერდის ეკლესიის ფასადის მორთულობაში. *საქართველოს სიძველენი*, 80, გვ. 159-160).

ამ მოსაზრებას ამყარებს ტყობა-ერდის ეკლესიასთან დაკავშირებული ორი უმნიშვნელოვანესი დეტალი: პირველი არის წარწერა, რომელიც ჩართული იყო დასავლეთ ფასადის კომპოზიციაში - „ქრისტე ადიდე აღმოსავლეთისა პატრიარქი მელქისედეკ, ამინ“. აღნიშნულ წარწერაში მოხსენიებული მელქისედეკი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკ I უნდა იყოს (Гамбашидзе (2014). Надпись <<Патриарха Востока Мелкизедека>> из грузино-ингушского христианского храма Ткобня-Ерда (Ингушетия). *შრომათა კრებული*, 7, გვ. 186-187). სწორედ მელქისედეკის სახელს უკავშირდება საქართველოს უმნიშვნელოვანესი სიწმინდის - მცხეთის სვეტიცხოვლის - საკათედრო ტაძრის აღმშენებლობაც.

სვეტიცხოვლისა და ტყობა-ერდის ტაძრის კავშირზე მიუთითებს არანაკლებ მნიშვნელოვანი მეორე დეტალიც - ტყობა-ერდის დასავლეთი ფასადის კომპოზიციაში ჩართული საკმაოდ დიდი ზომის ფილა ოსტატის გონიოიანი მკლავის გამოსახულებით, რომელიც მცხეთის საკათედრო ტაძრის მაშენებელი ხუროთმოძღვრის - არსაკიმის - მარჯვენის ცნობილი გამოსახულების თითქმის ზუსტი ანალოგიაა. საქართველოში ამგვარი გამოსახულება, ამ ორი ტაძრის გარდა, ჩვენთვის ცნობილი არ არის (ხუნდაძე და შანშიაშვილი (2012). სვეტიცხოვლის სიმბოლური სახე ტყობა-ერდის ეკლესიის ფასადის მორთულობაში. *საქართველოს სიძველენი*, 80, გვ. 161).

ტყობა-ერდის ტაძრის სახელწოდებასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გივი ღამბაშიძეს, ის ტყობა-ერდის სახელს ასე განმარტავს: „ერდი ითარგმნება, როგორც ღმერთი, სულიწმინდა, ხოლო ტყობა (თობა) დაკავშირებულია წმინდა თომა მოციქულის სახელთან, ანუ თომაწმინდა, რომელმაც შემდეგ პერიოდში სახეცვლილება განიცადა, საქართველოში მრავლად არის წმინდანთან დაკავშირებული ტოპონიმები გიორგიწმინდა, ელიაწმინდა, ნინოწმინდა და სხვა“. გივი ღამბაშიძის განმარტებით, ტყობა-ერდი უნდა ყოფილიყო ძველი თომა-ერდი, ანუ იგივე წმინდა თომას ეკლესია (Гамбашидзе (1974). К объяснению названия храма ткобня-ерда. *მაცნე*, 2, გვ. 123-125).

ამრიგად, როგორც ვნახეთ, ტყობა-ერდი მართლაც მარგალიტია ინგუშეთში არსებულ ქრისტიანულ ეკლესიებს შორის. როგორც მისი სამშენებლო არქიტექტურით ირკვევა, ეს

მეგლი არა მხოლოდ ინგუშების, არამედ მთელ ჩრდილოკავკასიელ ხალხთა საქრისტიანოს ცენტრი უნდა ყოფილიყო, სწორედ ის იყო ადგილი, საიდანაც აქტიურად ვრცელდებოდა ქრისტიანობა ჩრდილოკავკასიელ ხალხებში.

ქრისტიანობასთან ერთად ინგუშეთში და მთელ ჩრდილოკავკასიელ ხალხებში აქტიურად ვრცელდებოდა ქართული, როგორც საქრისტიანო ენა. თეიმურაზ ბატონიშვილი წერდა, რომ თემურ-ლენგის შემოსევებამდე ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა ქართულ ენაზე ლაპარაკობდა. საქართველოს ჩრდილოეთით მართლაც მრავლად არის შემორჩენილი ქართული წარწერები - დაღესტანი, ინგუშეთი, ჩრდილოეთ ოსეთი (დვალეთი). ყველა ამ ხალხებში საქრისტიანო ენა სწორედ ქართული უნდა ყოფილიყო. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ინგუშები ქართულ დამწერლობას იყენებდნენ, მაგრამ მან ფართო გავრცელება ვერ პოვა და ამიტომ მხოლოდ სასულიერო საქმიანობაში დამკვიდრდა (შავხელიშვილი, 1980, გვ. 77).

ტყობა-ერდის ტაძრის არქეოლოგიური შესწავლისას აღმოჩნდა კიდევ ერთი საინტერესო წარწერა, რომელზეც არსენ კათალიკოსია მოხსენიებული, თავად წარწერა კი ასევე X საუკუნის II ნახევრით თარიღდება.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ტყობა-ერდში აღმოჩნდა სიცოცხლის ხის არტეფაქტი, რომელიც დღესდღეობით დაკარგულად ითვლება [სურ.10]. ის შესრულებული იყო თიხის ფირფიტაზე და მასზე ცენტრში გამოსახულია სიცოცხლის ხე, რომელსაც აქეთ-იქით ირმის გამოსახულება აქვს, ხოლო მათ თავზე ასომთავრული წარწერაა **ⴌⴓⴑⴞ ⴒⴓⴓⴓ ⴒⴓⴓⴓ** - ეგ ან ეო და ორენ. სავარაუდოდ, ამ წარწერაზე უნდა იყოს მოხსენიებული ეგრემ კათალიკოსი (დიასამიძე (2018). სიცოცხლის ხის დაკარგული არტეფაქტი ინგუშეთის ტყობა-ერდის ტაძრიდან და მისი კავშირი ქართულ შუა საუკუნეების ხელოვნებასთან. *მაგნე*, 2, გვ. 125-134).

ინგუშეთის ტერიტორიაზე ბოლო წლებში კიდევ ორი ქრისტიანული ეკლესიაა აღმოჩენილი - ბარკინისა [სურ.11] და მიატ ლამის სალოცავი [სურ.12], თუმცა ჯერ მათი სამეცნიერო შესწავლა არ მომხდარა, რაც სამომავლო კვლევის საქმეა.

საქართველოსა და ინგუშეთს შორის არსებული მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა ბევრ რამეში გახდა შესამჩნევი, მრავალი ქართული სიტყვა დამკვიდრდა ინგუშურ ენაში, ასევე ამ მხარეში საკმაოდ ფართოდ გავრცელდა ქართული დამწერლობა, ეს კი განსაკუთრებით ღვთისმსახურების სფეროში შეინიშნებოდა. მნიშვნელოვანია აგრეთვე ქართული არქიტექტურული ტაძრები, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს საქართველოსა და ინგუშეთის კულტურულ-რელიგიურ ურთიერთობებზე. თუმცა ეს ურთიერთობა მხოლოდ კულტურულ ხასიათს არ ატარებდა, X-XV საუკუნეების განმავლობაში საქართველოს მათთან ჰქონდა აქტიური პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა. საქართველო უზრუნველყოფდა კავკასიელთა დაცვას გარეშე მტრისგან. საქართველოს მთიანეთთან მათ დღესაც განსაკუთრებული ურთიერთობა აქვთ, არსებობს ოცდაათამდე გზა-ბილიკი, რომლებითაც საქართველოს მთის მოსახლეობა უკავშირდება ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერიძე, ვ. (2014). ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია ტ. I. თბილისი.
2. დიასამიძე, თ. (2018). სიცოცხლის ხის დაკარგული არტეფაქტი ინგუშეთის ტყობა-ერდის ტაძრიდან და მისი კავშირი ქართულ შუა საუკუნეების ხელოვნებასთან. *მაგნე*, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია 2. თბილისი.
3. ქალდანი, ა. ხუციშვილი, ლ. ხუციშვილი, გ. (1983). ალბი - ერდი ქრისტიანული ეკლესია ინგუშეთში, *საბჭოთა ხელოვნება*. 7. თბილისი.

4. ქალდანი, ა. (1988). ქართული წარმომავლობის ქრისტიანული ძეგლები ინგუშეთში. *ძეგლის მეგობარი*, 79. თბილისი.
5. ქართლის ცხოვრება, (1955). თბილისი.
6. ღამბაშიძე, გ. (1971). ინგუშეთის ქრისტიანულ ეკლესიებში („თხაბა-ერდი“ და „ალბი-ერდი“) ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიში, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს. თბილისი.
7. ღამბაშიძე, გ. (2015). ქართული ფსალმუნი მაღი-ერდას ეკლესიიდან. *ქართველოლოგიის პრობლემები და პერსპექტივები*, I. თბილისი.
8. შავხელიშვილი, ა. (1980). საქართველო ჩეჩნეთ-ინგუშეთის ურთიერთობა XV-XVIII ს. თბილისი.
9. ჭიჭინაძე, ზ. (1905). კათოლიკეთა ეკლესია, სამცხე - საათაბაგო. ტფილისი.
10. ხიმშიაშვილი, ლ. ანთაძე, მ. (1971). ტყობა ერდის სარესტავრაციო სამუშაოების შედეგები. *ძეგლის მეგობარი*, 26. თბილისი.
11. ხუნდაძე, თ. შანშიაშვილი, ა. (2012). სვეტიცხოვლის სიმბოლური სახე ტყობა-ერდის ეკლესიის ფასადის მორთულობაში. *საქართველოს სიძველენი*, 80. თბილისი.
12. ხუციშვილი, ლ. ქალდანი, ა. (1980). ქრისტიანობის დროინდელი ერთი ძეგლი ინგუშეთში. *ძეგლის მეგობარი*, 54. თბილისი.
13. ხუციშვილი, ლ. (1983). გალ-ერდი - ქრისტიანობის დროინდელი ძეგლი ინგუშეთში. *საბჭოთა ხელოვნება*, 64. თბილისი.
14. ჯანაშვილი, მ. (1895). შესანიშნავი ნაშთი. 132. თბილისი.
15. Виноградов, В. Б. (1983). Новое о периодизации и характере Грузино-Северокавказских историко-культурных связей (до начала XX в), ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმი. თბილისი.
16. Гамбашидзе, Г. (1974). К объяснению названия храма ткоба-ерда. *მაცნე*, 2. თბილისი.
17. Гамбашидзе, Г. (2014). Надпись <<Патриарха Востока Мелкизедека>> из грузино-ингушского христианского храма Ткоба-Ерда (Ингушетия). *შრომათა კრებული*, 7. თბილისი.
18. Дидебулидзе, З. (1972). О культурных взаимосвязях Грузии и центральново предкавказья в X-XII век. *მაცნე*, 1. თბილისი.
19. Крупнов, Е. И. (1947). Грузинский храм Тхаба-Ерды на Северном Кавказе, Краткие сообщения Института истории материальной культуры им. Н.Я.Марра, XV. Москваю
20. Марковин, В. И. (1969). В стране Вайнахов. Москваю
21. Материалы по археологии кавказа, выпуск I, (1888). москва,
22. Мужухоев, М. Б. (1977). Средневековая Материальная культура горной ингушетии (XIII-XVII вв.). Москва.
23. Мужухоев, М. Б. (1980). Таргимский храм. *Северный Кавказ в древности и в средние века*. Москва.
24. Чубинашвили, Г. (2002). Ткоба - იერდი: (К вопросу о культурных связях Ингушетии и Грузии), Вопросы истории искусства: Исследования и заметки, Т.2. Тбилиси.
25. Штедер, Л. Ф. (1967). Дневник путешествия, из пограничной крепости Моздок во внутренние местности Кавказа, предпринятого в 1781 году, Текст воспроизведен по изданию: Осетины глазами русских и иностранных путешественников (XIII - XIX вв.). Орджоникидзе.

**Tornike Diasamidze,
Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University**

Christian architecture of Ingushetia

Summary

In Ingushetia, the Christian religion was established in the 10th century. Georgia-Ingushetian Christian Religion, Georgian Culture and the Relationship between Countries is expressed by the Tkhyaba-Yerdy Temple, located in the beautiful valley of the River Asa in the mountains of Ingushetia, Jeirakhi District.

The least studied temple of the Ingushetia is the Albi-Yerdy Church, which was first described by Miller. There nearby are the beautiful Targim towers of Ingushetia. Along the river Asa lies another monument called Delite, which means the path to god in the Ingush language, near Delite there was often held various delights, which were mostly derivative in nature.

The next two monuments are still on offshore of the Asa River, the first church is Gal-Yerdy and the second one is "Mag-Yerdy". The plan of the Gal-Yerdy building is an elongated rectangle. The first mention of the monument is given in the treaty of 1810 between the Ingush and the Russians. Ingushs used to affirm treaties with the oath on the Gal-Yerdy.

The name of Magh-Yerdy is related to one legend. according to it, a wise man, called Maghi, came to these places 600 years ago and became one of the ancestors of the Caucasians. The name of the shrine is related to the Georgian Psalm, which was discovered in the 1970s.

Thus, the Christian chapels on the territory of Ingushetia clearly indicate the close connection with the region of Georgia, which has been established and developed for centuries.



ალბი - ერდი. [სურ.1]



გალ - ერდი [სურ.2]




მალ - ერდი [სურ.3]



დელიტე [სურ.4]




ტყობა - ერდი [სურ.5]




ტყობა - ერდი, გეგმა [სურ.6]



ტყობა - ერდი, აღმოსავლეთ ფასადის სარკმლის რელიეფი [სურ.7]



ტყობა - ერდი, დასავლეთ ფასადის კომპოზიცია [სურ.8]



ტყობა - ერდი, დასავლეთ ფასადის კომპოზიცია [სურ.9]



ტყობა - ერდი, სიცოცხლის ხის კომპოზიცია [სურ.10]



ბარკინის სალოცავი [სურ.11]



მიატ - ლამი [სურ.12]

მერაბ კეზევაძე, ქუთაისის ცენტრალური არქივი

გოგნის ღვთისმშობლის მიძინების მონასტრის ისტორიიდან

გოგნი ისტორიული სოფელია იმერეთში, თერჯოლის მუნიციპალიტეტში. წყაროებში პირველად 1187 წელსაა მოხსენიებული თამარ მეფის გელათისადმი შეწირულობის სიგელში, რომელშიც გოგნის ციხე და ციხისთავი ჩანს (ქართული ... 1984, გვ. 79). მდებარეობს იმერეთ-არგვეთის სერზე, მდინარე ქვერუნის ხეობაში, ზღვის დონიდან 500 მეტრზე, თერჯოლიდან 12 კმ-ის დაშორებით. სოფელში, რომელიც ქართულ ქრისტიანულ სამყაროში ცნობილია სასწაულმოქმედი გოგნის წმ. გიორგის („კარუგდებელის“) სალოცავით, სხვა ისტორიული ძეგლებიცაა, მათ შორის მონასტრის ნაშთები, იგი ზოგ დოკუმენტში გოგნის უდაბნოს სახელით მოიხსენიება. ამ მონასტრის ისტორიაში, რომელიც ფაქტობრივად დღემდე შეუსწავლელია, შეიძლება პირობითად სამი ეტაპი გამოვყოთ: პირველი დაარსებიდან, ანუ 1778 წლიდან დროებით გაუქმებამდე - ოფიციალურად 1837 წლამდე, ფაქტობრივად 1839 წლამდე, მეორე 1842 წლიდან 1852 წლამდე - პირველი განახლების პერიოდი და მესამე, მეორე განახლების პერიოდი - 1855 წლიდან საბოლოო გაუქმებამდე - 1861 წლამდე.

გოგნის მონასტრის დაარსება უკავშირდება იმერეთის მეფე სოლომონ I-ის მეუღლეს - მარიამ დედოფალს. 1778 წლის 1 თებერვლით დათარიღებულ მარიამ დედოფლის შეწირულობის წიგნში, როგორც საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის სარეგისტრაციო ჩანაწერიდან ჩანს, მან თავისი მეუღლის, მეფე სოლომონ პირველის ნებართვითა და თანხმობით კათალიკოსისა და მღვდელთმთავართა „ადგილი გოგნისა შექმნა მონასტრად და აღაშენა ეკლესია ქვითკირისა სახელსა ზედა ყქ წმს მიძინებისა, და დაადგინა მას ზედა წინამძღვარი და ძმები და გამოსაზრდელად მათდა შესწირა ამ მონასტერსა ყმანი და მამულნი“ (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.3101)¹. საბუთის შინაარსს უფრო დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ, მანამდე კი აღვნიშნავთ - მასში მოთხრობილი ამბები უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საბუთის შედგენისას - 1778 წლის 1 თებერვლისთვის - მონასტერი უკვე მოქმედია და ეკლესიაც ნაკურთხია, ანუ ამ დოკუმენტით არსებული ფაქტი ოფიციალურად გაფორმდა, რასაც წინ, სავარაუდოდ, სააღმშენებლო (მოსამზადებელი) რამდენიმე წელი უძღოდა.

გოგნის მონასტრის ისტორიის შესასწავლად ამ სიგელთან ერთად მნიშვნელოვანია სხვადასხვა პერიოდის კიდევ 10 სიგელ-გუჯარი, რომლებიც გოგნის მონასტერს ეკუთვნოდა და 1845 წლის მდგომარეობით ზემოთ ნახსენებ საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის რეესტრშია შეტანილი, მათი ნაწილი ჩვენამდე მხოლოდ ამ სახით არის მოღწეული და შემდეგი შინაარსისაა:

1. იმერეთის მეფის, სოლომონ I-ის მეუღლის, მარიამ დედოფლის, შეწირულობის წიგნი გოგნის მონასტრისადმი - დათარიღებულია 1778 წლის 1 თებერვლით; დოკუმენტში წერია, „რომ მან ნებართვითა მისის მეუღლის მეფის სოლომონ პირველისათა და დამოწმებითა მაშინ მყოფის კათალიკოზის და მღვდელთმთავართათა ადგილი გოგნისა შექმნა მონასტრად და აღაშენა ეკლესია ქვითკირისა სახელსა ზედა ყქ წმს მიძინებისა, და დაადგინა მას ზედა წინამძღვარი და ძმები და გამოსაზრდელად მათდა შესწირა ამ მონასტერსა ყმანი და მამულნი ქუემორე აღნიშნულნი და სახელდობრ ესენი: ქუთაისის უჩასტკის სოფელსა დაბაძველს გოჩია გელაძის შვილები, იანუარა ცირეკიძე, ტოფაძეები; მამისთვალა ტოფაძე ბაჭუა კუპატაძე და კაცია გელაძე; სოფელსა სოჩხეთს ზაქარია და გოგიტელა არსენიძეები; დათუნიკა და მამუკა

¹ ქცა - ქუთაისის ცენტრალური არქივი.

შარვაძენი და დავითელა ბემკენაძე, სოფელსა ახალსოფელს თამაზიკა ქათამაძე ნაჟმურ რიჟამაძე ხოხონიკა რიჟამაძე და თამაზიკა რიჟამაძე; სოფელსა ტყიბულს დარჩია და მამუკელა ბოჭორიშვილები სოფელს საზანოს მხიარულა წიქარიძე თამაზა რაჭველი მისის შვილებიანად მოჯალაზედ გოგნს საპარტახო სასახლედ ტყიბულს წყალი სათევზოდ, გოგნის სასახლის ზეით რაც მიწა არის თავის წყლით, სოფელსა ჩიხორს ვაჭარი ბეჟანიკა ბაჩუკაშვილი, ებრაელი კაკია შავაბრამაშვილი დავითია ცალთვალის მომასშვილი; აქა აღნიშნულნი ყმანი და მამულნი ყოვლის მათის ქონებითა შესწირა მან გოგნის მონასტერსა¹. საბუთი დამოწმებული ყოფილა 6 ბეჭდით: იმერეთის მეფის სოლომონ I-ის, მარიამ დედოფლის, მეფის ძის ალექსანდრეს, მაქსიმე კათალიკოსის, სამეგრელოს მიტროპოლიტ გრიგოლის და გენათელი მიტროპოლიტ ექვთიმეს ბეჭდებით. საბუთს წინა პირზე ჰქონია 3 ბეჭედი: იმერეთის მეფე დავითის, მისი მეუღლის ანა დედოფლის და სოლომონ II-ის მეუღლის მარიამ დედოფლის. საბუთი დამოწმებული არ ყოფილა სასამართლოში (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.3101).

2. იმერეთის მეფის, სოლომონ I-ის მეუღლის, გულქან დედოფლის შეწირულობის წიგნი გოგნის მონასტრისადმი, დათარიღებულია 1782 წლის 16 მაისით; დედოფალმა ამ მონასტერს სამუდამოდ უბოძა ქალაქ ქუთაისში ერთის დუქნის გამოსავალი თორმეტი მარჩილი სანთელ-საკმეველის ფასად. საბუთი დამოწმებულია გულქან დედოფლის ბეჭდით და დამოწმებულია იმერეთის დროებით სასამართლოში 1823 წელს N9763 (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.3101) (ამჟამად დაცულია სეა, სცა-ში, ფ.1448, ან.1, ს.1057¹).

3. აზნაურის, გიორგი ჩიკვაიძისა და მისი შვილების საუდეო წიგნი გოგნის მონასტრის წინამძღვარ მოსესადმი (მხეიძე), დათარიღებულია 1789 წლის 14 იანვრით; დოკუმენტის თანახმად, გიორგი ჩიკვაიძეს უდაბნოსთვის მიუყიდა თავისი საკუთარი ყმა ბერიკი ისაკაძე. საბუთი დამოწმებულია იმერეთის დროებით სასამართლოში 1823 წელს N1705 (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.3101,) (ამჟამად დაცულია სეა, სცა-ში, ფ.1448, ან.1, ს.2258).

4. იმერეთის მეფის სოლომონ II-ის მიერ გოგნის მონასტრისადმი შეწირულობის წიგნის განახლების სიგელი, დათარიღებულია 1794 წლის 25 ივლისით; დოკუმენტში წერია, რომ „იმან განუახლა სიგელი ამ მონასტერს და შესწირა ქუთაისის უჩასტკის სოფელსა ძიროვანს მდებარე ტოფადის ნაქონი პარტახი; სოფელსა სოჩხეთს წყალწითელას გაღმა დიდ ნაქცევს დაბლა, ლაფრანას სერს ზეით, ხარტის ქვას აქეთ სრულობით“. საბუთი დამოწმებულია მეფე სოლომონ II-ის ბეჭდით და ასეთივე ბეჭდით წინა პირზე, რომლის შემდეგ წარწერაა: „ტოფადისეული პარტახი, ამ დავთარში რომ წერია, ეს არის შავხუცვის, კიტარა ბურგალაშვილის და ნინია ჩიტორელიძისეული ადგილები, ამათი საზღუარი ბოლოს გელადის საზღუარს ზეით, ბერიკელა სოფრომადის საზღუარს აქეთ, მთავარანგელოზის საყდარს და სადარაჯოს და ნასხითს შუა ამ დავთრის არის და ამას გარეშე საყანეებიც აქუს ჩუენი შეწირული“. დამოწმებულია იმერეთის დროებით სასამართლოში 1823 წელს N9765 (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.3101).

5. იმერეთის მეფის სოლომონ II-ის მეუღლის, მარიამ დედოფლის, შეწირულობის წიგნი გოგნის მონასტრისადმი, დათარიღებულია 1795 წლის 19 ივნისით; დოკუმენტში წერია, რომ „იმან შესწირა ამ მონასტერს სახნავ სათესად და სახმარათ ადგილი ბზიაური, ნაშენებ ღელეს და შავ წყალს შუა, ტყიბულს წყალს ზეით საძებრით და უძებრით“. საბუთი დამოწმებულია მარიამ დედოფლის ერთი ბეჭდით და დამოწმებულია იმერეთის დროებით სასამართლოში 1823 წელს N9770 (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.3101).

6. აზნაურის დავით ყიფიანის ნასყიდობის წიგნი გოგნის მონასტრისადმი, დათარიღებულია 1796 წლის 15 აგვისტოთი; დოკუმენტში წერია, რომ იმან მიჰყიდა ამ წინამძღვარს სამონასტროდ თავისი კუთვნილი ერთი კომლი ყმა, სოფელს სოჩხეთში მცხოვრები დავითელა არსენიძე ცოლ-შვილ-ქონებიანად. საბუთი დამოწმებულია წინა პირზე

¹ სცა. - საისტორიო ცენტრალური არქივი.

იმერეთის მეფის სოლომონ II-ის ბეჭდით და დამოწმებულია იმერეთის დროებით სასამართლოში 1823 წელს N9768 (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.3101) (ამჟამად დაცულია სეა, სცა-ში, ფ.1448, ან.1, ს.2257).

7. გოგნის მონასტრის წინამძღვრის, მოსეს, წყალობის წიგნი ამავე მონასტრის ყმის კაცია მგელაძისადმი, დათარიღებულია 1802 წლის 22 ნოემბრით. დოკუმენტში წერია, რომ „იმ წინამძღვარმა უბოძა ამ ყმას სასარგებლოდ და სარჩოდ მისვე მონასტრის სახასო მიწა-ადგილი და სახელდობ ესე: მდინარეს ქვერუნას თავს ბუხაიძის ზღუარს ზეით; ივანე ჯიბლაძის საზღუარს აქეთ, სათიბს დაბლა გამოღმა და გაღმა, სათიბის წყალი რომ უარს, იმას დაბლა, გაღმა დიდ ქუას ზეით, მის სერს გამოღმა, წყალს გამოღმა, ბუხაიძის წყალს ზეით იქ ჩემს ნასადგომარს ზეით თავში ზღუარი ასვია და იმ ალაგზე გზები როგორც ყოფილა, ისე უნდა იქნეს მოუშლელად, გარდა ამისა მთაში საყანე და სახმარი არ დაეშალოს და არც მოდი ეთხოვებოდეს ამისთვის რომ ამ ყმამ სხუას საეკლესიოდ გამოსაღების ბეგარს გარდა შეიწერა ყოველწლივ ერთი ჩარეკი წმიდა სანთელი საეკლესიოდ“. საბუთი დამოწმებულია წინამძღვარ მოსეს ბეჭდით, იმერეთის დროებით სასამართლოში დამოწმებული არ არის (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.3101).

8. თავადების ზაალ და ბეჟან მხეიძეების შეწირულობის წიგნი გოგნის მონასტრისადმი, დათარიღებულია 1805 წლით თვისა და რიცხვის გარეშე; დოკუმენტში წერია, რომ „იმათ მათი საკუთნელი მიწა-ადგილები მდებარე სოფელსა გოგნს ამ მონასტერს შემოსწირეს საუკუნოდ“. საბუთი დამოწმებულია თავად მხეიძის ბეჭდით და ერთი ჯვრის გამოსახულებით, ასევე - იმერეთის დროებით სასამართლოში 1823 წელს N9764 (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.3101).

9. თავად მელქისედეკ ენდრონიკაშვილის (არჩილ ბატონიშვილის სიძის - მალხაზ ანდრონიკაშვილის - მ.კ.) შეწირულობის წიგნი გოგნის უდაბნოსადმი, დათარიღებულია 1808 წლის 7 თებერვლით; დოკუმენტში წერია, რომ მან ამ მონასტერს სამარადისოდ შესწირა ყოველწლიურად სასეფისკვეროდ თორმეტი კოდი პური. საბუთი დამოწმებულია 2 ბეჭდით: თავად მელქისედეკ ენდრონიკოვისა და მისი მეუღლის მარიამ ბატონიშვილის, დამოწმებულია იმერეთის დროებით სასამართლოში 1823 წელს N9776 (სეა, ქცა, ფ.21, ან.1 ს.3101) (ამჟამად დაცულია სეა, სცა-ში, ფ.1448, ან.1, ს.907).

10. მღვდელ-მონაზვნის მიხაელ (მიქაელი) მეჯავიძის შეწირულობის წიგნი გოგნის მონასტრისადმი, დათარიღებულია 1817 წლის 12 ივნისით. დოკუმენტში წერია, რომ „იმ მღვდელ-მონაზონმა თავის მამა-პაპისეული მიწა-მამული ქუთაისის უჩასტკის სოფელსა გურნას მდებარენი ამ მონასტერს შემოსწირა ყოველივე“. საბუთი დამოწმებულია იმერეთის დროებით სასამართლოში 1823 წელს N9769 (სეა, ქცა, ფ.21 ან.1, ს.3101).

11. საეკლესიო ყმის, იესე (იესიკა) გაბადაძის, ხელშეკრულება „გოგნის უდაბნოს ღვთისმშობლის მონასტრის“ წინამძღვარ იოანესადმი, დათარიღებულია 1818 წლის 21 ოქტომბრით. დოკუმენტში წერია, რომ იესე გაბადაძე დასახლებულა მონასტრისადმი შეწირულ ადგილზე (შესწირა ბერმა მიქელ მეჯავიძემ - მ.კ.) და ადგილის ბეგრად უნდა აძლიოს ამ მონასტერს ყოველწლიურად „თითო ჩარეკი წმინდა სანთელი“. საბუთი დამოწმებულია გაენათელ მიტროპოლიტ ექვთიმეს ბეჭდით და დამოწმებულია იმერეთის დროებით სასამართლოში 1823 წელს N9771 (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.3101) (ამჟამად დაცულია სეა, სცა-ში, ფ.1448, ან.1, ს.6865).

როგორც ვხედავთ, წარმოდგენილ დოკუმენტებში, რომლებიც მოიცავს 1778 წლის 1 თებერვლიდან - მონასტრის დაარსებიდან 1818 წლის 21 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდს, ძირითადად გოგნის მონასტრისთვის მამულებისა და ყმების შეწირულობაზეა საუბარი, რაც მონასტრის საერთო ქონებრივი მდგომარეობის აღდგენის საშუალებას იძლევა, ისევე როგორც შემდგომი პერიოდის დოკუმენტები მონასტრის ზოგადი ისტორიის აღწერისას. ამის შემდგომი პერიოდის დოკუმენტებიც საკმაოდაა დაცული, რაც საშუალებას გვაძლევს ზოგად ხაზებში აღვადგინოთ მონასტრის ისტორია მონასტრის თითოეული წინამძღვრის

მოღვაწეობის ფონზე. აღვნიშნავთ, რომ წინამძღვართა ქრონოლოგიური რიგი ჩვენი კვლევით ასეთია:

1778-1780-იანი წლები - დანიელი (მაჭავარიანი - ჩვენთვის ცნობილ დოკუმენტებში უკანასკნელად იხსენიება 1782 წლის მაისში - სეა, სცა, ფ.1448, ან.1 ს.1057).

1780-იანი წლები - 1814 წელი - ილუმენი მოსე (მხეიძე - ჩვენთვის ცნობილ დოკუმენტებში პირველად იხსენიება 1789 წლის იანვარში - სეა, სცა, ფ.1448, ან.1, ს.2258).

1814-19.02.1831 წწ. - ილუმენი იოანე (მხეიძე).

3.05.1831 - 6.12.1838 წწ. - მღვდელ-მონაზონი იოსები (ბაქრაძე).

1838-1856 წწ. - წინამძღვარი არ დასტურდება.

10.05.1856 - 7.02.1862 წწ. - მღვდელ-მონაზონი ანტონი (ჯიხვაშვილი).

დოკუმენტებით დასტურდება, რომ გოგნის მონასტრის პირველი წინამძღვარი გახლდათ დანიელ მაჭავარიანი, 1778 წლიდან 1780-იანი წლების შუა პერიოდამდე (სეა, სცა, ფ.1448, ს.1057). ის შეუცვლია ილუმენ მოსე მხეიძეს, რომელიც, სავარაუდოდ, 1814 წელს ჩანს გარდაცვლილი. ილუმენი იოანე (მხეიძე) 1830 წლის მაისით დათარიღებულ წერილში იმერეთის მმართველ კარლ გესეს სწერს, რომ მეფე სოლომონის დროს მისი მამა, მოსე, ყოფილა გოგნის უდაბნოს ილუმენი, რომელსაც საკუთარი ფულით მონასტრისთვის შეუძენია სოფელ სოჩხეთში მცხოვრები გლეხი გრიგოლა არსენიძე ლოსიანთხევში მცხოვრებ დავით ყიფიანისგან, მეორე გლეხი მღვდელი იოანე ჯიბლაძე როსტომ გურიის ერისთავისგან დაუხსნია და გოგნში დაუსახლებია, მესამე გლეხი, გოგნში მცხოვრები, ბერიკა ისაკაძე კი - რაჭველ ჩიკვაძისგან და მონასტრისთვის შეუწირავს. გარდა ამისა, მეფე სოლომონისგან „ქრთამით დაუხსნია“ ადგილი ბზიაური, ტოფამისეული პარტახები და საყანეები წყალწითელაში (სეა, ქცა, ფ.21, ან. 1, ს.628). როგორც ილუმენ მოსეს ვაჟი ასევე ილუმენი იოანე (მხეიძე) წერს, მამის გარდაცვალების შემდეგ ის დაუდგენია წინამძღვრად გენათელ მიტროპოლიტ ექვთიმეს (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.628), სადაც მან გარდაცვალებამდე, 1831 წლის 19 თებერვლამდე, იღვაწა. იოანე მხეიძე დაიბადა 1770 წელს საეკლესიო აზნაურის ოჯახში. წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი გელათის მონასტერში ისწავლა. 1784 წელს გენათელმა მიტროპოლიტმა ექვთიმემ (შარვაშიძე) დიაკვნად აკურთხა. 1787 წელს, მანვე მღვდლად დაასხა ხელი. დაქვრივების შემდეგ ბერად აღკვეცის სურვილით მოწამეთას, წმ. დავით და კონსტანტინეს მონასტერში დამკვიდრდა. 1803 წელს მოწამეთას მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა გერასიმემ (ლორთქიფანიძე) ბერად აღკვეცა და სახელად იოანე უწოდა. 1814 წელს გენათელმა მიტროპოლიტმა ექვთიმემ ილუმენის წოდება მიანიჭა და გოგნის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრად დანიშნა. ილუმენი იოანე, როგორც აღვნიშნეთ, 1831 წლის 19 თებერვალს გარდაიცვალა (სეა, სცა, ფ.488, ან.1, ს.2413; ფ.489, ან.1, ს.3290). სწორედ მისი წინამძღვრობისას, 1828 წელს, ხელფასი დაუნიშნავთ კრებულისთვის, კერძოდ: წინამძღვარს ეძლეოდა 50 მანეთი, მღვდელ-მონაზონს და დიაკონს - 40-40 მანეთი. ამ თანხით მათ უხდებოდათ როგორც პირადი საჭიროების დაკმაყოფილება, ასევე მონასტრის უზრუნველყოფა, რაც მათ ეკონომიკურ მდგომარეობას ამძიმებდა (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.628). ამიტომაც ცდილობდა ილუმენი იოანე, რომელიც ერთგული წინამძღვარი აღმოჩნდა, მონასტრისთვის ახალი შემოსავალი გაეჩინა. მას საკუთარი ფულით დაუხსნია თავად ბეჟან მხეიძისგან სოფელ სოჩხეთში მცხოვრები გლეხი, ანდრია შარვაძე, რომელიც მონასტრისთვის შეუწირავს.

XIX საუკუნის 20-იანი წლების გოგნის მონასტრის (უდაბნო) შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული 1826 წელს მოსკოვში გამოცემულ წიგნში „საქართველოს ეკლესიის იერარქია“, რომელშიც აღნიშნულია, რომ გოგნის უდაბნო გელათის მონასტერზეა მიწერილი (ე.ი. იმ დროსაც, 1825 წელს, გელათის მონასტერს ექვემდებარებოდა, როგორც ჩანს გათვალისწინებული იყო გელათის მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ ნიკოლოზის 1821 წლის 1 იანვრით დათარიღებული თხოვნა საქართველოს ეგზარქოსის, მიტროპოლიტ

თეოფილაქტესადმი გოგნის უდაბნოს გელათის მონასტრისადმი მიწერაზე - მ.კ. (სეა, სცა, ფ.489, ან.1, ს.2018; ფ.488, ან.1, ს.357)). უდაბნოს ტერიტორია გალავნით იყო შემოზღუდული, რომელშიც 2 (!) ქვითვირის ეკლესია იდგა ღვთისმშობლის მიძინების სახელზე, ასევე წინამძღვრის ხის სახლი და ხის 7 სენაკი ბერებისთვის. იმ დროს უდაბნოში ცხოვრობდა წინამძღვარი იოანე, 3 მღვდელ-მონაზონი და 1 ბერ-დიაკონი. უდაბნო ნივთ-სამკაულით ღარიბი იყო, თუმცა საკმაო რაოდენობით ჰქონდა სახნავ-სათესი მიწა და ტყის ნაკვეთი (История ... 1826, გვ.56).

როგორც აღვნიშნეთ, 1831 წლის 19 თებერვალს გარდაიცვალა გოგნის მონასტრის ილუმენი იოანე (მხეიძე). კრებულში დარჩა: მღვდელ-მონაზონი მიქაელი (მეჯავიძე), ბერ-დიაკონი ანტონი (ავალიანი) და შტატგარეშე მღვდელ-მონაზონი იოსები (ბაქრაძე). ეს უკანასკნელი სულ მალე წინამძღვრად გამოარჩიეს. იოსები (იესე იოანეს ძე ბაქრაძე), სავარაუდოდ, 1793-1796 წლებს შორის დაიბადა აზნაურის ოჯახში. ქართულ ენაზე წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი ისწავლა ჯრუჭის წმ. გიორგის მონასტერში, სადაც საბერო მორჩილება გაატარა. 1819 წლის 7 აპრილს მიტროპოლიტმა დავითმა (წერეთელი) ბერად აღკვეცა და სახელად იოსები უწოდა. იმავე წლის 7 აგვისტოს დიაკვნად აკურთხა. 1825 წლის 4 სექტემბერს მიტროპოლიტმა დავითმა საქართველოს ეგზარქოს იონას (ვასილევსკი) მისი მღვდლად ხელდასხმა სთხოვა. იმავე თხოვნით მიმართა მას იმავე წლის 2 ოქტომბერს იმერეთის არქიეპისკოპოსმა სოფრონმა (წულუკიძე). სინოდალურმა კანტორამ განიხილა ეს საკითხი და გასცა შესაბამისი ნებართვა, რის საფუძველზეც მღვდელმთავარმა 1826 წლის 20 აპრილს მღვდლად დაასხა ხელი და ჯრუჭის მონასტრის საძმოში გააძწესა. 1831 წლის 3 მაისს (მეორე ვერსიით - 1832 წელს 3 მაისს - სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.3651) დაინიშნა გოგნის მონასტრის წინამძღვრად, იქიდან 1838 წლის 6 დეკემბერს, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ბრძანებით, გელათის ღვთისმშობლის შობის მონასტერში გადაიყვანეს. 1850 წლის 31 მაისს ილუმენის წოდება მიენიჭა. 1853 წლის 26 მარტს (მეორე ვერსიით - 1852 წლის 11 დეკემბერს) კაცხის მაცხოვრის ამალეების მონასტრის წინამძღვრად გადაიყვანეს და დაევალა იმ კომისიის ხელმძღვანელობა, რომელსაც კაცხის უძველესი ტაძარი უნდა შეეკეთებინა. 1860 წლის 31 ივნისს ჭელიშის ღვთისმშობლის მიძინების მონასტრის წინამძღვრად დაადგინეს და რაჭის მაზრის საეკლესიო მამულების მართვა-გამგეობა დაევალა. 1863 წლის 27 აგვისტოს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო; ასევე დაჯილდოებული იყო ყირიმის ომის (1853-1856 წ.წ.) სამახსოვრო წმ. ვლადიმერის ლენტეანი ბრინჯაოს ჯვრით. ილუმენი იოსები 1867 წლის 12 იანვარს გარდაიცვალა, დაკრძალულია ჭელიშის მონასტრის ეზოში (სეა, სცა, ფ.488, ან.1, ს.1334 ; ფ.489, ან.1, ს.14857; ს.17704; ს.18936; ს.23720) (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.10502). სწორედ მღვდელ-მონაზონ იოსების მონასტრის წინამძღვრად დანიშვნისას გამოთქვა პირველად იმერეთის არქიეპისკოპოსმა სოფრონმა გოგნის მონასტრის გაუქმების სურვილი 1832 წლის 22 იანვარს საქართველოს ეგზარქოს მიტროპოლიტ იოანესადმი მიწერილ წერილში, რომელშიც აღნიშნავდა მონასტრის მცირე შემოსავალზე - 160 მანეთი ვერცხლით წელიწადში, ეს თანხა ხელფასად მღვდელს ყოფნიდა კრებულს, ასევე მონასტრის მოუხერხებელ მდებარეობაზე საუბრობდა (სეა, სცა, ფ.489, ან.1 ს.3290). არქიეპისკოპოსის ეს წინადადება იმჟამად არ გაითვალისწინეს.

ილუმენი იოსები რაჭიდან იყო და ხშირად იქ იმყოფებოდა, რადგან უდაბნოში ხელფასი არ ეძლეოდა ისე, როგორც მიქაელსა და ანტონს, რომლებიც ძირითადად ტყიბულში იყვნენ. ამის გამო 1837 წელს აქ ფაქტობრივად წირვა-ლოცვა არ ტარდებოდა, როგორც ამას გელათის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ნიკოლოზი აღნიშნავდა, ამიტომაც საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის 1837 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით დადგინდა: „გოგნის უდაბნო გაუქმებული იქნას და მიეწეროს გაენათის მონასტერსა ყოველი ქონებითა მისისათა ვითარცა აწ მასთან იქონვის, გარდაყვანითა მონაზონთასა მას უდაბნოსა შ[]

მდგომარეთა“ (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.771). თუმცა გოგნის უდაბნოს გაუქმების საკითხი, როგორც ითქვა, ჯერ კიდევ 1832 წელს დააყენა იმერეთის არქიეპისკოპოსმა სოფრონმა, 1835 წელს კი - საქართველოს ეგზარქოსმა ევგენიოსმა (იმ დროს სხვა მონასტრებისა და უდაბნოების არსებობის საკითხიც განიხილებოდა), თანაც ორჯერ - 29 მარტსა და 8 აგვისტოს. საპასუხო წერილში იმერეთის არქიეპისკოპოსმა სოფრონმა აცნობა, რომ დაადგინა გოგნის და ტაბაკინის უდაბნოების გაუქმება და მათი კრებულის გელათის მონასტერზე მიწერა. მაშინ გოგნის უდაბნოში სამი ბერი და ერთი მორჩილი მოღვაწეობდა (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.1139), წინა - 1834 - წელს კი ერთი მღვდელ-მონაზონი, ერთი ბერ-დიაკონი და ერთი მწირი ბერი (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.965).

1838 წელს გოგნის უდაბნოში მსახურობდნენ: მღვდელ-მონაზვნები, იოსები 70 მანეთი ხელფასით, მიქაელი 40 მანეთი ხელფასითა და ბერ-დიაკონი ანტონი 30 მანეთი ხელფასით (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.1576).

1839 წლის 20 აპრილს დაკეტეს და დალუქეს ჯერ კიდევ ორი წლის წინ ოფიციალურად გაუქმებული გოგნის უდაბნო. უდაბნო დალუქა გელათის მონასტრის წინამძღვრის მოვალეობის შემსრულებელმა ვანის მონასტრის ილუმენმა, სიმეონმა. მას აღუწერია მონასტრის ქონება და გადაუტანია გელათის მონასტერში. იქვე იყვნენ გადაყვანილი უდაბნოს მღვდელ-მონაზვნები: იოსები (ბაქრამე) და მიქაელი (მეჯავიძე) (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.1465). საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის 1837 წლის 17 სექტემბრის N1629 გადაწყვეტილებით, გაუქმდა გოგნის უდაბნო და მთელი მისი ქონება გადაეცა გელათის მონასტერს. მონასტერი უნდა დაეღუპათ და იქ წირვა-ლოცვა აღესრულებოდა მხოლოდ ტრადიციულ დღესასწაულებზე (ქიმ, ფ.6466, ს.1¹).

1839 წელს გოგნის უდაბნოს გაუქმების გამო გელათის მონასტერში გადაიტანეს შემდეგი ნივთ-სამკაული (აღწერილია 1839 წლის 20 აპრილს):

„ა. ბარძიმი ფეშხუმი, კამარა, კოვზი და პატარა თეფში, სირმისანი.

ბ. ბარძიმ ფეშხუმი კალისა, და ერთი ხის ჯვარი.

გ. ძველი ნაკერი დაფარნები და სირმის საცეცხური.

დ. სპილენძის სააიაზმე თავსახურიანი და უსუპი.

ე. ერთი თუჯის შანდალი.

შესამოსელი

ვ. ერთი ხელი შესამოსელი, ფილონი, ოლარი, ენქერი, სარტყელი, საბუხრები, სტიხარი, და მეორე ხელი კიდევ არა კარგი და ძველი

ზ. ერთი გარდამოხსნა ნაკერი რუსული

საეკლესიო წიგნები

წ. ორი სახარება, ორი სამოციქულო, დიდი სადღესასწაულო, ორი სამთვიანი ვახტანგის პარაკლიტონი ორი დავითნი ორი მარხვანი, ზადიკი, სამი კურთხევანი, ერთი დაბადება, ნეტაპრასი და ერთი დახატული დავითნი, ორი კონდაკი, ერთი ხელთნაწერი თვენი და ხელნაწერი სახარება, ერთი იოანე დამასკელის წიგნი და ერთი ვნების სახარება.

თ. ერთი ოდიკი

ი. სპილენძის იარაღი, ხუთი ქვაბი დიდი და პატარა ზოგნი დატეხილი და ზოგნი მრთელნი

ია. სამნი თუნგი და ერთი ტაშტი და ერთი გატეხილი ტაფა

იბ. ერთი ცული

იგ. ერთი ზარა

იდ. ათი ჭური ერთმანეთზე მიკირული, რომლისა წაღება არსად არა შეიძლება მათი და არცა მსურველი აღმოჩნდა ვინმე, რომ გაიყიდოს.

¹ ქიმ. - ქუთაისის ისტორიული მუზეუმი.

გაენათის მონასტრის გამგებლობის აღმასრულებელი ვანის ილუმენი სიმეონი“ (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.1465).

მონასტრის გაუქმებას მისი ყოფილი კრებული ვერ ეგუებოდა, 1842 წლის 19 ნოემბერს გოგნის მონასტრის გახსნას და წირვის ნებართვას ითხოვდნენ იქ აღკვეცილი, ჩხარში მცხოვრები მღვდელ-მონაზონი სვიმონ ჭანტურიძე და მწირ-მონაზონი პეტრე შენგელია, აგრეთვე მღვდელ-მონაზონი სიმონ აბულაძე, ბერ-დიაკონი ანტონ ავალიანი, რომლებიც მონასტრის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.2245). როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, იმერეთის ეპარქიის დროებითმა მმართველმა ეპისკოპოსმა ნიკიფორემ მათი თხოვნა მალე დააკმაყოფილა, ასე რომ, 1842 წლის ნამსახურების სიაში მღვდელ-მონაზვნები სიმონი (აბულაძე) და სვიმონი (ჭანტურიძე) გოგნის მონასტრის კრებულში ჩანან (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.2163), ხოლო 1843 წელს იმავე ეპისკოპოსმა გოგნის უდაბნოში უჯამაგიროდ მცხოვრებ ბერებს: მღვდელ-მონაზვნებს - სვიმონ აბულაძეს, სვიმონ ჭანტურიძეს, ბერ-დიაკონ ანტონ ავალიანს, მწირ-ბერ პეტრე შენგელიას საარსებოდ მისცა მამულები უდაბნოს კუთვნილ ადგილ ბზიაურში (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.2323) და უდაბნოს ნივთ-სამკაულიც უკან დაუბრუნა (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.6470). მონასტრის ეს განახლება არ აღმოჩნდა ხანგრძლივი - 1852 წლის 15 იანვარს ისევ გაუქმდა (სეა, სცა, ფ.488, ან.1, ს.21118; ქიმ, ფ.6861, ს.6).

1853 წელს იმერეთის ეპისკოპოს ექვთიმეს გოგნში გაუგზავნია გელათის მონასტრიდან მღვდელ-მონაზონი ანტონი, რომელმაც „რაოდენ შესაძლო იყო გამართა ახალი მოსახლეობა“ (სეა, ქცა, ფ.21, დამ.აღ. ს.367), თუმცა შემდეგ, 1861 წლის აპრილში, გაბრიელ ეპისკოპოსმა გადაწყვიტა მღვდელ-მონაზონი ანტონის ისევ გელათში გადმოყვანა, რადგანაც „არ იქცევა შესაფერად თავისის ხარისხისაო“ (სეა, ქცა, ფ.21, დამ.აღ. ს.367). სანამ ამ გადმოყვანაზე ვისაუბრებდეთ, აღვნიშნავთ, რომ ანტონი (ჯიხვაშვილი) დაიბადა 1803 წელს სოფელ გოგნში გლეხის ოჯახში. ქართულ ენაზე წერა-კითხვა, წმინდა წერილი, საეკლესიო გალობა და ტიბიკონი მარტვილის ღვთისმშობლის მიძინების მონასტერში შეისწავლა. 1820 წლის 10 თებერვალს ქველობანის მაცხოვრის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. 1822 წლის 25 მაისს იმერეთის არქიეპისკოპოსმა სოფრონმა (წულუკიძე) დიაკვნად აკურთხა. 1824 წლის 20 ნოემბერს მარტვილის მონასტერში ბერად აღიკვეცა და სახელად ანტონი ეწოდა. 1828 წლის 15 დეკემბერს მღვდლად დაასხეს ხელი და იმავე მონასტერში დაადგინეს. 1838 წელს გოგნის წმ. იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში გადაიყვანეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1852 წლის 15 იანვარს გოგნის უდაბნო გაუქმდა და მღვდელ-მონაზონი ანტონი გელათის ღვთისმშობლის შობის მონასტერში გაამწესეს. 1856 წლის 10 მაისს გოგნის უდაბნოს მმართველად დაინიშნა. 1862 წლის 7 თებერვალს აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა და დავით გარეჯის მონასტერში ბერ-დიაკვნის შტატში გაამწესეს. 1863 წლის 18 აპრილს მღვდელ-მონაზვნის შტატში ჩასვეს. 1863 წლის 18 აპრილიდან 1868 წლის 18 ნოემბრამდე და 1872 წლის 19 ივნისიდან გარდაცვალებამდე მონასტრის ხაზინადარი იყო. 1867 წლის 22 ნოემბრიდან 1868 წლის 25 აპრილამდე საეკლესიო წესების დარღვევის გამო დროებით აკრძალული ჰქონდა მღვდელმსახურება. დაჯილდოებული იყო: 1867 წლის 16 აპრილს - საგვერდულით; 1875 წლის 12 აპრილს - სამკერდე ოქროს ჯვრით. მღვდელ-მონაზონი ანტონი 1877 წლის 26 აპრილს გარდაიცვალა (სეა, სცა, ფ.488, ან.1, ს.21118; ქიმ, ფ.6861, ს.6).

მღვდელ-მონაზონ ანტონის 1857 წლის 13 აგვისტოს წერილით იმერეთის ეპისკოპოს გერმანესადმი ჩანს, რომ ის ეპისკოპოს ექვთიმეს დროს გელათის მონასტრიდან საკუთარი ხელფასით გადაუყვანიათ გოგნის უდაბნოს განსახლებლად, სადაც საკმაოდ უღვაწია, საკუთარი ძალისხმევით აუგია 4 სახლი, ბეღელი, ხულა და ოთხი წისქვილი (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.6470).

ეს ფაქტი - გოგნის მონასტრის განახლება - ასევე დასტურდება იმერეთის ეპისკოპოს ექვთიმეს 1855 წლის წერილით გელათის მონასტრის არქიმანდრიტ გაბრიელისადმი,

წერილში მონასტრის განახლების ისტორია აღწერილი. მასში ვკითხულობთ: „განვიღოს ჩემგა“ (1843) წელსა ყოფილმა მმართველად იმერეთის ეპარხიისა გორის ეპისკოპოსმა ნიკიფორემ განაახლა რა გაუქმებული წინეთ მისსა გოგნის უდაბნო განაწესა მას შინა რაოდენიმე მღვდელ მონაზვნები დააბრუნა მუნ ისინი საეკლესიონი სამკაულნი, რომელნიცა იყვნენ გარდმოტანილ დასაცველად აწ თქუენდამი გაენათის მონასტერსა შინების მიცემითა იმა მღვდელ მონაზვნებთადმი სარგებლობად შემოსავლითა შემოსასვლელითა ტყეთა და მიწებთაგან აღნიშნულის უდაბნოისა; გარნა გარდაცვალებათა გამო დაწესებულთა მუნ მღვდელ მონაზვნებთა უდაბნოი იგი ისევ გაუქმდა. ვსთვლი რა საჭიროდ არსებობასა იმა უდაბნოისასა რაოდენ მოსახსენებლად აღმაშენებელ არს იმისა დედუფლის მარიამისა რომელმანცა შესწირა მას ყმანიცა და კმა საყოფნელიცა მამულ ადგილნი მისთვის რათამცა მას შინ მარადის ყოფილიყო და იქმნესცა აღსრულებულ ღვთის მსახურება ეგოდენ განუდრეკელისა სურვილისამებრ ყმათა იმა უდაბნოისათა რათამცა მამულ ადგილი იმა უდაბნოისა არ იქმნეს მითვისებულ კერძო პირებთა მიერ მე თანახმად სურვილისა თქვენდამო მონასტრის მღვდელ-მონაზონის ანტონისა, რომლისაცა მუნ განწესებაი თვით თქვენ გსურთ წინადავდებთ თქვენს მაღალ ღირსებასა ხსენებულს მღვდელ-მონაზონს ანტონს გარდასცეთ ყოველნი საეკლესიონი სამკაულნი საეკლესიონი წიგნნი შესამოსელნი და სხვანი ნივთნი ვითარნიცა გარდამოტანილ არიან გოგნის უდაბნოიად და იქმნებიან აწ გაენათის მონასტერსა შინ რომლისაცა სია ვითარც უწინდელ ჩემგა წლისა, ეგრეთვე უკანასკნელიცა უსათოდ იქნებიან საქმეთა შინა წინამოადგილისა თქუენისა, წარგზავნოთ მუნ სანიადაგო სამყოფელად და აღსასრულებლად ღვთისმსახურებათა იმა უდაბნოსა შინ წარმოებითა მისდამი ძლეულისა აწ მისდამი ჯამაგირისა მისცეთ რა მას თანავე სიმართლე სარგებლობისა შესანახავად თვისთანა მორჩილისა და შავთა მოსილთა უკეთუ ვინმე ისურვებს შემოდგომისათვის შესვლასა მუნ შემოსავლითა იმა ადგილ მამულთაგან რომელნიცა ეკუთვნიან უდაბნოს და რომელნიცა განკარგულებისამებრ ნიკიფორე ეპისკოპოსისა შევიდნენ წინეთცა სასარგებლოდ ბერებთა იმა უდაბნოისათა შეავნოთ რა მას ანტონის რაითამცა იგი იმყოფებოდეს სრულსა დამოკიდებულებასა და ქვეშევრდომობასა ქვეშე თქვენსა, არა გაბედვიდეს გაცემასა რაიმე ქონებისაგან უდაბნოისა არამედ იპყრობდეს რა მას სიმართელით მეცადინეობდეს შენახვისა და განშვენებისა საუდაბნო ეკლესიისა და შეკეთებისა თვით სიძველეთა მისთა რომლისადმი ძალუბთ აღმოჩენად შემწეობისა, შეძლებისადაგვარად ყმათაც ეგოდენ გულითადი მსურველთა, რათამცა უდაბნო ესე არ იქმნეს გაუქმებულ პირველ დასაწყისისა უკვე შემწეობისათვის წარმოგზავნებიან ამასთან ათი მანეთი ვერცხლია ამოგებულნი ფასად გასყიდულისა დაშთენილისა უდაბნოშიდ სახლისა, რომელიცა სიძველისა გამო ჩემისა განკარგულებითა ბლალოჩინის მღვდლის გრიგოლ მესხის მიერ გასყიდულ იქმნა და ყოვლისა ამის აღსრულებისათვის მომახსენეთ მე რაპორტითა“ (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.6470). ამრიგად, უდაბნო აღდგენილი ჩანს 1855 წელს (ქიმ, ფ.6466 ს.109).

1861 წლის ივლისში მღვდელ-მონაზონი ანტონი გელათის მონასტერში დააბრუნეს და ნივთ-სამკაულიც აქვე გადმოიტანეს (ქიმ, ფ.6466, ს.112, 113). გოგნის მონასტერი საბოლოოდ გააუქმეს.

გოგნის მონასტერი ეკონომიკურად ღარიბი იყო როგორც ყმა-გლეხებით, ასევე შემოსავლით, ეს მის კუთვნილ ისტორიულ სიგელ-გუჯრებშიაც კარგად ჩანს. რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, 1820-იან წლებში, გოგნის უდაბნოს ჰყავდა 18 კომლი ყმა, რომელთაგან წელიწადში 105 მანეთი ვერცხლის ფული შემოდიოდა, სოჩხეთში 8 კომლისგან - 33 მანეთი, გოგნში 3-საგან - 21 მანეთი, საწირეში 4 -საგან - 27 მანეთი, ტყიბულში 2-საგან - 16 მანეთი, საზანოში 1-ისაგან - 8 მანეთი (სეა, სცა, ფ.1448, ან.1, ს.6724). 1830-იან წლებში კი მონასტრის მთელი შემოსავალი 160 მანეთს შედგენდა, რაც კრებულის ხელფასს ძლივს ყოფნიდა. ხშირად მონასტრის ეს მცირე ქონებაც სადავო იყო, უმეტესწილად იერუსალიმის მაცხოვრის საფლავის მონასტერთან, კერძოდ, ამ მონასტრის ყმებს ცქიფურიშვილებს მდინარე ტყიბულის

წყალგალმა მითვისებული ჰქონდათ გოგნის მონასტრის კუთვნილი 80 ქცევა მიწა ისე, როგორც სოხასტრის დედათა მონასტრის 20 ქცევა (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.6589). ამ მიწებზე დავა 1861 წელსაც გრძელდებოდა, რასაც მალე მათი ხაზინის საკუთრებაში გადაცემა მოჰყვა (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.6589). გოგნის მონასტრის ყველაზე დიდი საკუთრება გოგნის მთა იყო, რომელიც, როგორც გელათის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ონიფანტე აღნიშნავს 1860 წლის 16 დეკემბრის პატაკში გაბრიელ ეპისკოპოსისადმი: „მთა გოგნის უდაბნოსა მდებარეობს საზღვრებთა შორის აღმოსავლეთით სოფლის მუხურის საზღვრამდის, დასავლეთის სოფელს გოგნის საზღვრითა, ჩრდილოეთით მდინარე ტყიბულას შუა და სამხრეთით ჩხარის და თხილთაწყაროს სოფლის საზღვრებს შუა, თვით ამ მთაშიდ მდგომარეობს თავად მონასტერი გოგნისა, მფლობელობა სოფელსა აღნიშნულს მთაშიდ არასოდეს არა ქონებია და თუ იქაურის წინამძღვრისაგან შევიდოდა რამდენიმე პირი საყანედ მოდი მოჰქონდა წინამძღვრსა და რამოდენიმე შემოსავალი სარგებლობა ხაზინაშიდაც სჩანს, იმა დროისა როდესაც აღნიშნული მონასტერი გაუქმებული იყო და ჩყნო^ს წლიდან არა სურთ გარდაიხადონ მოდი მათ მთხოვნელთა“ (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.7546).

1857 წელს მონასტრის ყმათა რიცხვი 67 კომლს შეადგენდა არსენიძეების, შარვაძეების, ბეშქენაძეების, წიქრიძეების, კუპატაძეების, ტოფაძეების, გელაძეების, ცირეკიძეების, რიჭამაძეების, ქათამაძეების, ისაკაძეების, ჯიშიაშვილებისა და რობაქიძეების გვარიდან. ისინი ერთ-ერთ წერილში იმერეთის ეპისკოპოს გერმანეს სთხოვდნენ, რომ არ განხილულიყო ახლად განახლებული გოგნის მონასტრის გაუქმების საკითხი, რაზეც შესაბამისი დასაბუთებული მსჯელობაც აქვთ მონასტრის ისტორიის ფონზე, კერძოდ, აღნიშნავენ, რომ გელათის მონასტრის ყოფილ წინამძღვრებს, არქიმანდრიტებს - ნიკოლოზსა და სიმონს - მოუხერხებიათ და გოგნის მონასტერი მიუწერიათ თავისი მდიდარი ადგილ-მამულიანად და ჩინებული საეკლესიო ნივთ-სამკაულით გელათის მონასტრისთვის. სულ მალე კი საერთოდ გაუქმებიათ. იმერეთის ეპარქიის დროებით მმართველ ეპისკოპოს ნიკიფორეს დროს მონასტერი განუახლებიათ და მასში კრებულაც დაუყენებიათ, მაგრამ სულ მალე ისევ გაუქმებულა. შემდეგ ეპისკოპოს ექვთიმეს განუახლებია, რისთვისაც გელათის მონასტრიდან მღვდელ-მონაზონი ანტონი საკუთარი ხელფასით გადაუყვანია, რომელსაც იქ ბევრი უღვაწია, რის შედეგადაც იქ მყოფ ძმებს შეეძლოთ შედარებით თავისუფალი და უზრუნველი ცხოვრება ჰქონოდათ, მაგრამ შემდგომ მისთვის ხელფასი გაუუქმებიათ, რასაც, სავარაუდოდ, მონასტრის გაუქმებაც მოჰყვებოდა. სთხოვენ ეპისკოპოსს, რომ ეს არ მოხდეს და აღუთქვამენ, რომ ყოველ ღონისძიებას იხმარდნენ კრებულის შესანახად (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.6470). გოგნის უდაბნოს კუთვნილ გლეხთა თხოვნას - კერძოდ, აღედგინათ გოგნის მონასტერი შტატების დაწესებით - საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ უარით უპასუხა, რის მიზეზადაც მონაზონთა სიმცირე და შესაბამისად, ადგილობრივი ეპარქიის ხელმძღვანელთა სწორი კურსი დაასახელა მონასტრების შემცირებაზე (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.6470). მართალია, მონასტერში შტატები არ დაუდგენიათ, მაგრამ იქ 1859 წელს მღვიმის უდაბნოდან გადმოიყვანეს მღვდელ-მონაზონი არსენი (ჯიბლაძე) (სეა, ქცა, ფ.21, ან.1, ს.7016), რომელმაც მონასტერში ცოტა ხანს იღვაწა. 1861 წელს გოგნის მონასტერი საბოლოოდ გაუქმდა და მისი ქონება და ნივთ-სამკაული ისევ გელათის მონასტერში გადაიტანეს დასაცავად. ამ გაუქმების შედეგად მონასტრის ნაგებობები, რომლებიც სოფლისგან დაშორებით მდებარეობდა, ფაქტობრივად უყურადღებოდ დარჩა, რამაც რამდენიმე წელიწადში მათი დანგრევა განაპირობა. ამ პროცესს იმანაც შეუწყო ხელი, რომ იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა „გოგნის უდაბნოს გაციებული ეკლესიის“ მეორად სამშენებლო მასალად გამოყენების ნება მისცა 1874 წელს სოფელ გოგნის მრევლს, რომელიც ახალ ეკლესიას აგებდა (სეა, ქცა, ფ.21, ან. 1, ს.12771). მონასტრის შენობების ნაშთები დღემდეა მოღწეული.

გოგნის მონასტერს, მიუხედავად ხანმოკლე არსებობისა (1778-1861 წ.წ.) და რამდენჯერმე დახურვა-განახლებისა, თავისი მოკრძალებული ადგილი უჭირავს საქართველოს ეკლესიის სამონასტრო ცხოვრებაში.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

ლიტერატურა:

1. მჭედლიძე, გ., კეზევაძე, მ. (2008). ქუთაის-გაენათის ეპარქია (ისტორია და თანამედროვეობა). ქუთაისი.
2. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი (1984). ტ.1. თბილისი.
3. История Грузинской Иерархии (1826). Москва.

წყაროები:

4. სეა, ქუთაისის ცენტრალური არქივი. ფ.21 ან.1 ს.628; ს.771; ს.965; ს.1139; ს.1465; ს.1576; ს.2163; ს.2245; ს.2323; ს.3101; ს.3651; ს.6470; ს.6589; ს.7016; ს.7546; ს.10502; ს.12771.
5. სეა, ქუთაისის ცენტრალური არქივი. ფ.21 დამ. აღ. ს.367;
6. სეა, საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ.488 ან.1 ს.357; ს.1334; ს.2413; ს.21118.
7. სეა, საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ.489 ან.1 ს.2018; ს.3290; ს.14857; ს.17704; ს.18936; ს.23720;
8. სეა, საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ.1448 ან.1 ს.907; ს.1057; ს.2257; ს.2258; ს.6724; ს.6865.
9. ქუთაისის ისტორიული მუზეუმი. ფ.6466 ს.1; ს.109; ს.112; 113;
10. ქუთაისის ისტორიული მუზეუმი. ფ.6861 ს.6.

Merab Kezevadze, Kutaisi Central Archive

From the history of the Gogni monastery of the Dormition of the Virgin Mary

Summary

Based on archival documents, the article mainly tells us the general history of the Gogni monastery of the dormition of the Virgin Mary from its establishment to its abolition (from 1778 to 1861). The monastery located in the village Gogni in Terjola municipality. The establishment of the monastery, its abolition and restoration twice has been studied. The members of the monastery /the identity of the brotherhood/ is also known. Here is the list in sequence of the monastery heads who were in charge:

From 1778 to 1780th – The heguman Daniel /Machavariani/,

From 1780th to 1814 – The heguman Mose /Mkheidze/,

From 1814 to 1831 – The heguman Ioane /Mkheidze/,

From 1831 to 1838 – The hieromonk Joseph /Bakradze/,

In 1838-1856 – The monastery had no head in charge,

From 1856 to 1861– The hieromonk Anton /Jikhvashvili/.

The monastery property, its land, peasants, rural economy and historical documents has been studied. Nowadays only the ruins are left from the monastery buildings.

**ნიკოლოზ ჟღენტი,
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული
ცენტრი**

**მთის წმ. გიორგის მონასტრის მიწათმფლობელობისა და საეკლესიო
სინწინდებების ისტორიიდან - სოფ. შაორი
და შაორის მთავარმოწამის ხატი**

მთის წმ. გიორგის მონასტერი, რომელიც დღეს ლეკნარის, ასევე მთასაყდრის სახელწოდებებითაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, ქვემო რაჭაში, რაჭის ქედის უკიდურეს სამხრეთ კალთაზე, მაღალ კლდეზეა აღმართული და თავზე დაჰყურებს ოკრიბას. თარიღდება დაახლოებით IX ს-ის II ნახევრისა და X ს-ის I ნახევრით, მთავარი ნაგვის ჩრდილოეთ მინაშენი X ს-ის დასასრულით ან XI ს-ის პირველი მესამედით, დასავლეთ მინაშენი კი უფრო მოგვიანო პერიოდით (ბოჭორიძე, 1995, გვ. 85-90; დვალი(1968). ლეკნარის წმ. გიორგის ეკლესია. *მაცნე*. 4, გვ. 155-165). მონასტრის კოორდინატებია — 42°26'10.45"; 42°58'32.15".

მთის წმ. გიორგის მონასტრის ისტორიის კვლევისას გამოიკვეთა ამ მონასტრის კუთვნილი დასახლებები და მასთან დაკავშირებული ძალზე საინტერესო საეკლესიო-რიტუალური დანიშნულების სიძველეები. ეს სიძველეები მნიშვნელოვანი ძეგლები აღმოჩნდა როგორც უშუალოდ მონასტრის ისტორიისთვის, ისე შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური, საეკლესიო და ქართული ხელოვნების ისტორიისთვის (ბოჭორიძე, 1995, გვ. 85-96, 99-102; ჟღენტი, 2014, გვ. 44-46; (2019ა), მთის წმ. გიორგის მონასტრის სინწინდებების ისტორიიდან – აგარის წმ. გიორგის ხატი და მისი წარმომავლობა. *სპეკალი*. 13 <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/13/202>; 2019ბ, გვ. 47-48).

წინამდებარე გამოკვლევა ეძღვნება რაჭის სოფ. შაორსა და შაორის მთავარმოწამის ხატს.

წერილობითი წყაროები სოფ. შაორისა და შაორის მთავარმონაშის შესახებ

ბაგრატ VI-ის 1465-1467 წწ-ის შეწირულობის საბუთი მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი

ჩვენამდე შემორჩენილ წერილობით წყაროებს შორის სოფ. შაორი პირველად იხსენიება 1465-1467 წლების ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI-ის (1465-1478 წწ.) შეწირულობის საბუთში მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი. ბაგრატმა მონასტერს განუახლა დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის მიცემული შეწირულობები და თავადაც შესწირა სხვა უძრავ-მოძრავი ქონება, რომლებიც შესაბამისი იურიდიული აქტით გაფორმდა (ქლენტი (2011ა), მთის წმ. გიორგის საბუთი 1465-1467 წლებისა. *შრომები*. IV, გვ. 204-216)¹. 1465-1467 წწ-ის საბუთის ტექსტის მიხედვით, ზუსტად ვერ დგინდება, თუ რასთან გვაქვს საქმე: დავით IV აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის საერთო სახელით გაცემულ ერთ შეწირულობის საბუთთან თუ ორ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გაცემულ საბუთთან. სავარაუდოდ, საქმე უნდა გვქონდეს მეფისა და მისი ძის სახელით გაცემულ საერთო საბუთთან, რადგან 1465-1467 წწ-ის საბუთში ბაგრატ VI წერს, რომ შეწირულობა გაცემული იყო დავით აღმაშენებლისა და მისი ძის – დიმიტრის მიერ. არც მამა და არც შვილი არ იწოდება მეფედ, თუმცა დავითის მეფის ტიტულის გარეშე მოხსენიებას შეიძლება ის ახსნა მოვუძებნოთ, რომ XV ს-ში დავით IV-ს მთავარ ზედწოდებად უკვე დამკვიდრებული იყო ტერმინი „აღმაშენებელი“ (ქლენტი (2015-2016)). მეფე დავით IV-ის „აღმაშენებლად“ მოხსენიების პირველი ოფიციალური პრეცედენტები (შევსებული გამოცემა). *მოამბე*. 1, გვ. 46-60) და საბუთის დამწერმა არ ჩათვალა საჭიროდ მისი სამეფო ტიტულატურით მოხსენიება. ხოლო დემეტრეს შემთხვევაში მსგავსი ან სხვა ახსნა არ გამოდგება. ბუნებრივია, ვერ გამოვრიცხავთ, რომ ორივე პირის მეფის ტიტულის გარეშე მოხსენიება ბაგრატ VI-ის საბუთის ტექსტის შემდგენელს ეკუთვნის, თუმცა არსებული მწირი მოცემულობითა და საბუთის ამ ნაწილის თავისებურების გათვალისწინებით (ერთი მონარქის მხოლოდ ზედწოდებით მოხსენიება, ხოლო მეორის მხოლოდ მისი ძეობისა და სახელით მოხსენიება), ვფიქრობ, სწორი იქნება ვარაუდი შეწირულობის საერთო საბუთის გაცემის შესახებ იმ პერიოდში, როდესაც დემეტრე ჯერ კიდევ უფლისწული იყო და არ ატარებდა მეფის ტიტულს.

საბუთის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად დავით აღმაშენებლის გარდაცვალების თარიღი – 1125 წ. ავიღე, ხოლო ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად თავდაპირველად დემეტრე I-ის დაბადების თარიღი, რომელიც, სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, 1093 წ-ა (სტეფანაძე, 1990, გვ. 5-7). ბუნებრივია, ნაკლებად სავარაუდოა, რომ დავითს ძესთან ერთად შეწირულობის საბუთი 1093 წ-სვე ან ამ თარიღის ახლო ხანებში გაეცა, როდესაც დემეტრე ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო. თუმცა თეორიულად ჩვენამდე შემორჩენილი მწირი ინფორმაციის მიხედვით, ეს აზრიც დასაშვებია². მითუმეტეს, ჩვენ არ გვაქვს სხვა პრეცედენტი, რომლის

¹საბუთის თარიღის შესახებ რამდენიმე მოსაზრება არსებობს (სურგულაძე და სხვ., 2014, გვ. 155-158). ჩემი აზრით, საბუთი 1465-1467 წწ-ით უნდა დათარიღდეს (ქლენტი (2010)). მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი გაცემული XV საუკუნის საბუთის თარიღის დაზუსტებისათვის. *ქართული წყაროთმცოდნეობა*. XII, გვ. 144-154).

²მითუმეტეს, ამის მაგალითი ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლისა და გიორგი II-ის შემთხვევაში გვხვდება. ცნობილია, რომ 1089 წ-ს ტახტზე ასვლისას დავითი 16 წლისა იყო, ლოგიკურად ის 1073 წ-ისთვის უნდა დაბადებულიყო. 1073 წ-სვე მღვიმისადმი გაცემულ სიგელში გიორგი II დავითს არა მხოლოდ მის ძედ იხსენიებს, არამედ ახსენებს მის კურაპალატის ტიტულსაც (ენუქიძე და სხვ., 1984, გვ. 46). ლოგიკურად დავითი ამ საბუთის გაცემისას თვეების ან ერთი წლის მაინც იქნებოდა. ისევე როგორც კურაპალატის ტიტული, საბუთში მის მოხსენიებას მხოლოდ ფორმალური სახე ექნებოდა და ის ვერ ჩაითვლებოდა ამ აქტის სრულფასოვან იურიდიულ მხარედ (?).

მიხედვითაც გვეცოდინებოდა, თუ რა ასაკში იწყება უფლისწულ დემეტრეს მოხსენიება საბუთებში, როგორც იურიდიული აქტების ერთ-ერთი მონაწილისა¹. მოგვიანებით, დავაკვირდი რა საბუთში მოხსენიებული მთის წმ. გიორგის მონასტრის სპეციალური მოხელის/მოურავის „მეზართლომეს“ საკითხს (ვრცლად იხ.: ჟღენტი (2011ბ), კიდევ ერთხელ მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი გაცემულ 1465-1467 წლების საბუთში მოხსენიებული სამოხელეო წოდების „მეზართლომეს“ შესახებ. *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*. X-XI, გვ. 244-260), აღმოჩნდა, რომ ეს წოდება კიდევ ერთ – 1510-1529 წწ-ის გელათურ – საბუთში იხსენიება, როგორც გელათის მონასტრის სამმოს წევრი, ამის შემდეგ ვივარაუდებ, რომ დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის შეწირულობის საბუთით მთის წმ. გიორგის მონასტერი გარკვეული სახით დაექვემდებარა გელათის მონასტერს. ცნობილია, რომ გელათის მშენებლობა დავითმა 1106 წ-ს დაიწყო, რის გამოც დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი შეწირულობის საბუთის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი 1106 წ-ით განვსაზღვრე (ჟღენტი, 2019გ, გვ. 38-39). იმ დროისთვის დემეტრე 12-13 წ-ის იქნებოდა და იურიდიულ აქტში მისი სრულფასოვანი მონაწილეობა გაცილებით ლოგიკურია, ვიდრე 1093 წ-ს, 1 წლის ასაკში.

როგორც აღინიშნა, 1106-1125 წწ-ის საბუთის დედანი და პირი არ შემორჩენილა, რის გამოც საბუთის ზუსტი ტექსტის დადგენა ამ ეტაპზე შეუძლებელია. თუმცა 1465-1467 წწ-ის საბუთის ტექსტის არაერთი ფორმულირება (წარსულ დროში) საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ შინაარსობრივად უფრო ძველი ფენა, რომელიც ამ მოგვიანო საბუთში 1106-1125 წწ-ის შეწირულობის საბუთიდან დაილექა. 1465-1467 წწ-ის საბუთის ტექსტის კონკრეტული ციტატების მიხედვით შესაძლებლობა გვაქვს მიახლოებით მაინც დავადგინოთ 1106-1125 წწ-ის საბუთის შინაარსის ნაწილი: თუ კონკრეტულად რა შეწირულობები გასცეს დავით აღმაშენებელმა და დემეტრემ მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი.

ქვემოთ მოყვანილია უძრავი ქონების სია, რომელიც 1465-1467 წწ-მდე, ბაგრატ VI-მდე, საბუთის მიხედვით სწორედ დავით აღმაშენებელსა და დემეტრეს უნდა შეეწირათ მონასტრისთვის. სწორედ ეს სია უნდა იყოს 1106-1125 წწ-ის საბუთისძირითადი შინაარსი. ესენია:

1. სოფ. აგარა, ნიკორწმინდის მიდამოებში, რომელსაც ადრე სახადი ეწოდებოდა (ბერძნიშვილი(1962). ნიკორწმინდის „დაწერილი“ (ტექსტი გამოცემისათვის). *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*. 34, გვ. 29-30): „...ახლად დაუმტკიცენ და შემო²¹ვსწირენ მამულნი და გლეხნი: სახადს |²² აგარა...“.

2. სოფ. შაორი: „...შაორი, ვითა ძველთაგან |²⁸ შაორისა მთავარმოწამე იქ სვენებუ²⁹ლიყო. დიდი სოფელი ყოფილიყო შაო³⁰რი და აოხრებულიყო ჟამისა გამოსრ³¹ულობისათვის...“.

3. სოფ. თხმორი: „...თხმორი, ვითა ძვე³⁰ლთაგანც ყოფილა, მისითა მიმდგომითა მ³¹ზღვრითა სამართლიანითა...“.

4. სოფ. ძმუისი და მის თავზე მდებარე მთა სახელწოდებით „ცხრათავი“ (ბაკურაძე, (2000), ვახუშტი ბატონიშვილთან დადასტურებული ტოპონიმები დღევანდელი მონაცემების მიხედვით. *ქართველური მეზკვიდრეობა*. IV, გვ. 64): „...ძმუისი ცხრათავით[ა] |³²ძველთაგან ყოფილიყო მისითა მიმდგომითა |³³ მზღვრითა სამართლიანითა...“.

¹ეს რომ ვიცოდეთ, საჭირო იქნებოდა დავით აღმაშენებლის კანცელარიიდან გასულ საბუთებზე დაკვირება. ასეთი კი მხოლოდ სამი შემორჩა ჩვენამდე. ესენია: 1. 1104-1118 წწ-ის სიგელი დავით მეფისა ნიანია ნიანასძისადმი; 2. 1123-1124 წწ-ის ანდერძი დავით მეფისა მღვიმისადმი; 3. 1125 წ-ის ანდერძი დავით მეფისა. ამ საბუთთაგან დემეტრე იხსენიება მე-2 და მე-3 საბუთებში, როცა ის უკვე 20-22 წლის იქნებოდა (ენუქიძე და სხვ., 1984, გვ. 56, 62-63). შესაბამისად, ეს მონაცემები არაა საკმარისი ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად.

5. აგარა (უბანი) სოფ. წყნორში: „...და აგარა, რომე სასახლედ ქონება მეზარ⁶⁴თლომესი...“ (ქლენტი (2011ა), მთის წმ. გიორგის საბუთი 1465-1467 წლებისა. *შრომები*.IV, გვ. 205-206).

აღსანიშნავია, რომ 1465-1467 წწ-ის საბუთში, ძველი და ახალი შეწირულობების ჩამონათვალში, შაორის შესახებ არსებული ტექსტი ყველაზე ვრცელია.

მომყავს ამ საბუთიდან ნაწყვეტები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია წინამდებარე ნაშრომის მთავარ თემასთან:

„თქუენ წმიდაო გ(იორ)გი მ[თისა] მთავარ მოწა²მეო! რაგუარაც დავით აღმაშენებლისა ³ და მისა მისისა დიმიტრისგან შემოწირული ⁴ ყოფილიყო და [ი]ყო, ჩუენ მეფეთ-მეფემა⁵ნ, ორთავე საჯელმწიფოთა, ლიხთ-იმერისა და ⁶ ლიხთ-ამერისა თვთ ფლობით მპყრ⁷ობელმან, პირმშომან ბაგრატ და თანა⁸მეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთა⁹-დედოფალმან ელენე და ძეთა ჩუენთა ¹⁰ გ(იორ)გი და ალექსანდრე... ახლად დაუმტკიცენ და შემო²¹ვსწირენ მამულნი და გლეხნი:...

...შაორი, ვითა ძველთაგან ²⁸ შაორისა მთავარმოწამე იქ სვენებუ²⁹ლიყო. დიდი სოფელი ყოფილიყო შაო³⁰რი და აოხრებულიყო ჟამისა გამოსრ³¹ულობისათუის და აწ ახლად კელუყაუი³²თ აღშენებად და კაცის დასახლებად და სო³³ფელი შევჰქმენი.

აწ ახლად შემოგწირეთ და ³⁴ დაგიმკუიდრეთ დვალთ სამარხსა და შარეუ³⁵ლას შუ[ა] წყალსა გამოღმა და გაღმა და სა³⁶წალიკეს აქეთი, ასრე რომე თუ არა მეფემან ³⁷ და მეზართლომემან, ვერავინ იკადროს ნად³⁸ირობად ჭალათა და ვერცა სათიბთა თიბუ³⁹ა და ვერცა წყლისა და თევზთა ნადირობა.

ას⁴⁰რე მკუიდრად და უსარჩლავად დაგუიმტკი⁴¹ცებია [შაორს მსხდომნი] კაცნი სა[მნი] ს⁴²ულაძე, გუენცაძე და ფაქიოტიძენი, ყუ⁴³ელანი მ[ა]თითა მზღურითა სამართლიანითა ⁴⁴ საჯლკარითა, ეკლესიითა, სასაფლაოთა, წისქუი⁴⁵ლითა, ჭალითა, სა[თ]იბითა, ტყითა და ველი[თა], ⁴⁶ მზღურითა სამართლიანითა ყოველთა. ასე და ⁴⁷ ამა პირსა ზედან, რომე გარაყანიძისა გუა⁴⁸რსა კაცსა არავისრა ჯელი შეუვიდოდ⁴⁹ეს, არცარა საქმე დაიდვას...

...ესე წმიდისა გ(იორ)გი მ⁷⁸თისა მთავარ მოწამეო, ჩუენ მეფეთა-მე⁷⁹ფემან ბაგრატ, ვითარ პირველთაგა⁸⁰ნ პაპათა ჩუენთაგან შემოწირული და ⁸¹ განჩენილი იყო, აწ ჩუენ ახლად დაგიმ⁸²ტკიცეთ და შემოგწირეთ ჩუენად სადიდებ⁸³ლად და ჩუენისა მეფობისა წარსამა[რ]თებე⁸⁴ლად“ (ქლენტი (2011ა), მთის წმ. გიორგის საბუთი 1465-1467 წლებისა. *შრომები*.IV, გვ. 205-207).

საბუთის დასაწყისში ბაგრატ VI განმარტავს ამ იურიდიული აქტის შინაარსს (Arenga), რომლის მთავარი საფუძველი ძველი მეფეების შეწირულობის განახლებაა (ქლენტი (2011ა), მთის წმ. გიორგის საბუთი 1465-1467 წლებისა. *შრომები*.IV, გვ. 210-211). ტექსტის მიხედვით, შაორიოდესლაც დიდი სოფელი ყოფილა, სადაც ძველი დროიდანვე „შაორის მთავარმოწამის“ ხატი ესვენა. დროთა განმავლობაში სოფელი აოხრებულა, რის გამოც მეფე ბაგრატსეს სოფელი თავიდან აუშენებია, ხალხიც დაუსახლებია და კვლავ მონასტრისთვის შეუწირავს. თხრობის ამგვარი მანერა („შაორი, ვითა ძველითგანვე შაორისა მთავარმოწამე იქ სვენებულიყო...“) გვაფიქრებინებს, რომ საბუთში აღწერილია 1465-1467 წწ-ზე გაცილებით უფრო ძველი ამბები, ხოლო, როგორც თავშივე ვნახეთ, იგივე 1465-1467 წწ-ის საბუთი წარმოადგენს დავით აღმაშენებლისა და მისი ძის ძველი შეწირულობების განახლებას. ამგვარად, შაორის ძველი ამბების აღწერისას უნდა იგულისხმებოდეს დავით აღმაშენებლის დროინდელი ამბები, რა დროსაც შაორი დიდი სოფელი იყო და იქ უკვე ესვენა მთავარმოწამის ხატი. ეს ხატი, როგორც 1465-1467 წწ-ის საბუთიდანაც ჩანს, XV ს-შიც კი ცნობილი სიწმინდე ყოფილა. ბაგრატმა ასევე განუახლა მონასტრის ძველი შეწირული ტერიტორია დვალების სამარხს, მდ. შარეულას შუა წყლისა (დინების შუა წელის?) და საწალიკეს მთის შორის, სადაც სათიბი, სანადირო და სათევზაო ადგილებით სარგებლობის უფლება მხოლოდ მეფესა და მეზართლომეს (მთის წმ. გიორგის მონასტრის მიწათმფლობელობის ზედამხედველი მოხელე/საეკლესიო მოურავი)

ჰქონდათ¹. ბაგრატ VI-მ მონასტერს შესწირა შაორში მცხოვრები სამი გვარი: სულაძეები, გვენცაძეები და ფაქიოტიძეები. ეს გვარები ბაგრატ VI-ის მიერ აღდგენილ სოფ. შაორში მისივე დასახლებულები უნდა ყოფილიყვნენ². ამ სამ გვარს იმავე ბაგრატმა დაუდგინა იმუნიტეტი გარაყანიძის ფეოდალური სახლისგან. როგორც ჩანს, სოფ. შაორი სწორედ მათ მიწაზე მდებარეობდა³. საბუთის ბოლოს ბაგრატ VI კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ მან თავისი პაპების

¹ აღსანიშნავია, რომ სოფ. შაორთან მიმართებაში მეფისა და მებართლომეს სანადირო, სათევზაო და სათიბი ტერიტორიის ერთ-ერთ საზღვრად დასახლებულია დღეისათვის დაკარგული ტოპონიმი „დვალეების სამარხი“. ეს შეიძლება ჩავთვალოთ ირიბ მინიშნებად, რომ ოდესღაც, სანამ დიდი სოფ. შაორი აოხრდებოდა, სოფლის ძირითადი მოსახლეობა გვარით დვალეები ან წარმოშობით დვალეები იყვნენ. ამაზე შეიძლება მიუთითებდეს ისიც, რომ ისტორიულ საბუთებში დვალეები დაახლ. ერთი საუკუნის შემდეგ ჩანან მდ. შარეულას ხეობაში მდებარე სოფ. შავრაში. 1544 წ-ს იმერთა მეფე ბაგრატ III-მ შავრას მცხოვრები დვალაძე, რაც გვარი „დვალის“ ერთ-ერთი ფორმა უნდა იყოს, შესწირა ნიკორწმინდის ეკლესიას (კლდიაშვილი და სურგულაძე, 1993, გვ. 74). ხოლო XVII ს-ის II ნახევარში ნიკორწმინდელმა სვიმონ წულუკიძემ შავრაში მცხოვრები ნასხიდა დვალი, რომელიც თავის დროზე ლაშხიშვილს ეკუთვნოდა, შემდეგ რაჭის ერისთავ ლომინს, გამოისყიდა და მთის წმ. გიორგის მონასტერს შესწირა. ამ საბუთების მიხედვით, გეოგრაფიული წარმოშობის სახელი „დვალი“ უკვე გვარადაა ქცეული. ამგვარად, ვარაუდის დონეზე დასაშვებია, რომ ტოპონიმი დვალეების სამარხი სწორედ ძველი სოფ. შაორის ერთ-ერთ საგვარეულოზე მიუთითებდეს. თუმცა ეს ტოპონიმი შეიძლება საერთოდ სოფლის გარეთაც მდებარეობდა (ვრცლად ქვემოთ). სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, დვალეების დვალეთიდან გამოდევნა მოსული ოსური ელემენტის მიერ ძირითადად XVI ს-ში მოხდა (თოფჩიშვილი, 2016, გვ. 99). საბუთის ამ მონაკვეთის ბუნდოვანი კონტექსტის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 1106-1125 წწ-ში თუ არა, 1465-1467 წწ-ის წინარე პერიოდში სოფ. შაორში ან შაორის მიდამოებში უკვე ცხოვრობდნენ დვალეთიდან გადმოსული მოსახლეების ჯგუფი ან საგვარეულო. საინტერესოა, რომ მთის წმ. გიორგის მონასტრის ამ საბუთის სახით გვაქვს ერთ-ერთი პირველი თუ არა უადრესი ცნობა დვალეების კომპაქტური დასახლების შესახებ საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში (ქვემო რაჭაში). აქვე წინსწრებით აღვნიშნავ, რომ კვლევის ბოლოს განვიხილავ სოფ. შაორისა და სოფ. შავრას ურთიერთმიმართებას.

² აღსანიშნავია, რომ 1465-1467 წწ-ის საბუთის დაკარგული დედნის აღწერილობაშივე გვარები უბრალოდ სამ კომლად იხსენიებიან, ხოლო საბუთის უძველეს პირში, რომელიც 1484-1491 წწ-ს შორის უნდა იყოს შექმნილი (ქლენტი, 2011გ, გვ. 102), აზნაურიშვილებად. როგორც ჩანს, იმ პერიოდისთვის ეს სამი გვარი აღზევდა და მთის წმ. გიორგის მონასტრის აზნაურებად იყვნენ დადგენილები. თუ საიდან გადმოასახლა ბაგრატ VI-მ ეს სამი გვარი ახლად აღდგენილ შაორში – მოსაზღვრე თუ შორეული სოფლებიდან – უცნობია. გუენცაძეები და სულაძეების პირველი ხსენება ამ საბუთში გვხვდება. 1544 წ-ის საბუთით, გვენცაძეები ჩანან სოფ. ზნაკვაში (კლდიაშვილი და სხვ., 1991, გვ. 632). სულაძეები კი მხოლოდ XVI-XVII სს-ის ისტორიულ საბუთებში გვხვდებიან ოღონდ დღევანდელი თერჯოლის რაიონის სოფ. ნავენახევში (სურგულაძე და სხვ., 2007, გვ. 202-203). რაც შეეხება ფაქიოტიძეებს, მთის წმ. გიორგის 1465-1467 წწ-ის საბუთი ერთადერთი დოკუმენტია, რომელშიც ეს გვარი გვხვდება. აღსანიშნავია, რომ ამ სამი გვარიდან ორი XX საუკუნის შუა პერიოდშიც კი გვხვდება რაჭის სხვადასხვა სოფელში, კერძოდ, სულაძეები – კლდისუბანში, სხვაგვარი, შხივანაში; ხოლო გვენცაძეები – აბანოეთში, ბარეულში, გორისუბანში, თლულში, დადიშში, ჩორჯოში და ხონჭიორში (ალავიძე, (1957) ქვემოთაქული ტოპონიმიკური ლექსიკონი. *შრომები*. XVII, გვ. 503-507). ამათგან, თლულში მცხოვრები გვენცაძეები ბაგრატ მეფის მიერ აღდგენილ სოფ. შაორში დასახლებულ გუენცაძეებთან ყველაზე ახლოს უნდა იყვნენ, რადგან, როგორც ქვემოთაც ვიხილავთ, სოფ. თლული სოფ. შაორს უშუალოდ ემეზობლებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.

³ გარაყანიძეები რაჭის ერთ-ერთი უძველესი ფეოდალური საგვარეულო იყო. მათი უფლებები ვრცელდებოდა როგორც ზემო და ქვემო რაჭაში, ასევე ლეჩხუმშიც. ამას ადასტურებს XIII ს-ის ონისა და ღების მთავარანგელოზთა ხატების წარწერები, რომლებშიც იხსენიებიან ძმები მიქელ, ფორთოხ და ივანე გარაყანისძეები (ბოჭორიძე, 1994, გვ. 245, 265; ნიკოლეიშვილი, (2001), ქუთაისის მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლები. *ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის შრომები*. XIII, გვ. 20-21). ლეჩხუმში

მათ უფლებებზე მიუთითებს ცაგერის თაბორის ეკლესიის ჯვარცმისა და მთავარანგელოზის XIII ს-ის ხატები, რომელთა წარწერები იხსენიებენ გიორგი გარაყანიძეს, მის ძმას მიქელსა და მეუღლე რუსუდანს. ჯვარცმის ხატის წარწერა ასევე გვაუწყებს, რომ თაბორის ეკლესია სწორედ მათი აშენებული ყოფილა (ბოჭორიძე, 1994, გვ. 277-279; ნიკოლეიშვილი, (2001), ქუთაისის მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლები. *ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის შრომები*. XIII, გვ. 21-23). ქვემო რაჭაში, რაც ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გარაყანიძეები ჩანან მდ. შარულას ხეობაში. კერძოდ, სოფ. ხონჭიორის ეკლესიის XIII ს-ის ღმრთისმშობლის ხატის წარწერაში იხსენიებიან მიქელ და გიორგი/გრიგოლ (ან საერთოდაც გოგნია - ნ. ჟ.) გარაყანიძეები (ბოჭორიძე, 1994, გვ. 82-83; ნიკოლეიშვილი, (2001), ქუთაისის მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლები. *ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის შრომები*. XIII, გვ. 23). 1260-1267 წწ-ის ერთ საბუთში იხსენიება ასევე ცოტნე გარაყანიძე, რომლისგანაც დავით ნარინის თანამეცხედრე თამარს შეუძენია „მისგანაც ნასყიდი და ნასისხლი“ სოფ. ჯიქეფონი და შესწირა გელათის ხახულის ღმრთისმშობელს (ენუქიძე და სხვ., 1984, გვ. 163-164). დღესდღეობით სოფ. ჯიქეფონის ლოკალიზება ვერ ხერხდება. XIII-XIV სს-ში იერუსალიმურ აღაპებში გვხვდებიან ასევე გარეყან, ფურთოხ, მაკარე, მარუშიან, ფილიპე და ფორთოხ გარეყანიძეები. ე. მეტრეველი აღაპში მოხსენიებულ გარეყანს გვარის ფუძემდებლად მიიჩნევდა (მეტრეველი, 1962, გვ. 134-135) (დასადგენია აღაპში მოხსენიებული ფორთოხ/ფურთოხისა და ონის და ღების ხატის წარწერებში მოხსენიებული ფორთოხის ურთიერთმიმართება). მომდევნო გარაყანიძე, რომელიც წერილობით წყაროებში იხსენიება, უნდა იყოს ჭელიშის ოთხთავზე (ქსიმ 2137) შესრულებული მინაწერი საბუთის ავტორი გოგნია გარაყანიძე, რომელმაც ონში თავისი გოდელიაური მამული შესწირა ჭელიშის მონასტერს. საბუთს გ. ბოჭორიძე პალეოგრაფიულად XIV-XV სს-ით ათარიღებდა (ბოჭორიძე, 1994, გვ. 87-88). გარაყანიძეები განსაკუთრებით დაწინაურებული და სამეფო კართან დაახლოებული ჩანან სწორედ XV ს-ში. 1432 წ-ის კოტრიძეთა და ჭარელიძეთა სასისხლო საქმის გარდაწყვეტილების სიგელში, რომლის გამცემიც ვახტანგ მეფეა, იხსენიება მოლარეთუხუცესი გიორგი გარაყანიძე (არახამია (2010). ქართული დიპლომატიკის შესწავლისათვის. *ქართული წყაროთმცოდნეობა*. XII. გვ. 45-46). 1465-1478 წწ-ის საბუთში სამეფო (?) დარბაისლებში ასევე მოხსენიებულია გარაყანიძე გიორგი (სურგულაძე და სხვ., 2014, გვ. 265-266; თარიღის შესახებ იხ.: ჟღენტი (2019დ), საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლისა და XV საუკუნის ბოლო მეოთხედის საქართველოს ისტორიის საკითხებიდან: მეფე კოსტანტინე II-ის მიერ იმერეთის მეოთხედ შემოერთება. *საისტორიო კრებული*. VII, გვ. 62-63). ამ ეტაპზე რთულია ითქვას იყვნენ თუ არა ეს უკანასკნელი და 1432 წ-ის საბუთის მოლარეთუხუცესი ერთი და იგივე პიროვნება. 1488 წ-ის ფალავანდიშვილთა სასისხლო სიგელის ბოლოს მოწმეებად ჩამოთვლილნი არიან დასავლეთ საქართველოს საერო და საეკლესიო დიდებულები, მათ შორის იხსენიება ხელა გარაყანიძე (სურგულაძე და სხვ., 2014, გვ. 277). სავარაუდოდ, იგივე ხელა გარაყანიძე იხსენიება ხონჭიორის მაცხოვრის ხატის წარწერაში. იმავე წარწერიდან ვიგებთ, რომ ხელას მეუღლე ყოფილა გულზადი, რომელიც შემონახვებულა ირინეს სახელით. თუ გ. ბოჭორიძის წაკითხვა სწორია, მათ ჰყავდათ ძე სახელად ულუვპია (ბოჭორიძე, 1994, გვ. 81). 1503 წ-ს სვანებსა და ჯაფარიძეებს შორის დატრიალებულ სისხლიან კონფლიქტში გარაყანიძეები ჯაფარიძეებს ემხრობიან (სილოგავა, 1986, გვ. 114). XVI საუკუნეში გარაყანიძეები, სავარაუდოდ, დაემცრნენ. 1544 წ-ს საბუთში უსახელოდ მოხსენიებული გარაყანიძე გარდაცვლილა. ანდერძით მას საკუთარი მამული დაუტოვებია ბაგრატ III-ისთვის, რომელმაც ეს მამული ნიკორწმინდას შესწირა (კლდიაშვილი და სხვ., 1991, გვ. 599). 1591 წ-ს იმერეთის მეფე ლეონმა რაჭაში მცხოვრები ესტატე გარეყანიძის შვილები თავიანთი მამულებით ნიკორწმინდას შესწირა (სცა 1448-3323). ამგვარად, გარაყანიძეთა საგვარეულო ძალზე საინტერესო საკითხია და მოითხოვს დეტალურ შესწავლას. მაგალითად, ვინმე გარაყანიძე ყოფილა XII ს-ის პარაკლიტონის შემმოსველ-შემკაზმველი. ეს პარაკლიტონი ამჟამად მესტიის მუზეუმშია დაცული შიფრით 1750 (კ-76) (გლოველი და სხვ., 2015, გვ. 282). თუმცა გამოსარკვევია მისი მოღვაწეობის პერიოდი და გეოგრაფიული არეალი. მანამდე კი აღვნიშნავ, რომ არსებული წერილობითი წყაროების მიხედვით კარგად ჩანს მათი მიწათმფლობელობის არეალი ზემო რაჭაში (ღები, ონი), ქვემო რაჭაში (მდ. შარულას ხეობა, სოფ. ხონჭიორი, ჭელიშის მონასტერი) და ლეჩხუმში (ცაგერი). სოფ. შაორის ლოკალიზება უფრო მეტ ინფორმაციას მოგვცემს მათი გავლენის სფეროების შესახებ.

საბუთი განაახლა. აქ ბაგრატ VI უნდა გულისხმობდეს არა უშუალოდ თავის პაპებს¹, არამედ სწორედ დავით IV აღმაშენებელსა და მის ძეს – მეფე დემეტრე I-ს. ეს ლოგიკურიცაა, რადგან ბაგრატ VI ე.წ. „პროვინციის მეფე“ იყო და დავით აღმაშენებლისა და დემეტრეს თავის უშუალო წინაპრებად (პაპებად) მოხსენიება მათ მემკვიდრეობაზე პრეტენზიას და მისი გამეფების ლეგიტიმიზაციას ემსახურებოდა.

ამგვარად, ეს საბუთი არის ერთადერთი წყარო, რომელიც ცნობას გვაწვდის უშუალოდ სოფ. შაორის ისტორიისა და შაორის მთავარმოწამის ხატის შესახებ.

დღესდღეობით ეს ხატი არაა იდენტიფიცირებული არც ერთ შემორჩენილ ხატთან. დიდი ალბათობით ეს სიძველე არც შემორჩენილა ჩვენამდე².

ვისი სახელობის იყო ხატი?

ქრისტიანული ეკლესიის წიაღში სულ რამდენიმე წმინდანს ეწოდება „მთავარმოწამე“. თუმცა უმეტესწილად ეს ეპითეტი გამოიყენებოდა წმ. დიდმოწამე გიორგის († 303) მიმართ

¹ბაგრატის VI-ის ნამდვილი პაპა მამის მხრიდან იქნებოდა მეფე კოსტანტინე I (1407-1412 წწ.), რადგან, ე. მეტრეველის გამოკვლევის მიხედვით, ბაგრატი იყო მეფე ალექსანდრე I დიდის (1412-1442 წწ.) ძმის – გიორგის ძე (მეტრეველი, 2007, გვ. 186-188). ბაგრატის პაპა დედის მხრიდან უცნობია, რადგან ვერ დგინდება ბაგრატის დედის ვინაობა.

² რაჭის სოფ. აგარსა და თლულს შორის არის ერთი მინდორი, რომელსაც უწოდებენ „ხატიმინდორას“. ხალხური გადმოცემით, ამ ადგილზე სოფ. აგარისა და სოფ. უყემის მოსახლეობა პერიოდულად იკრიბებოდა ხატებით და ერთობლივ ლოცვას ატარებდა, მაგალითად, გვალვის დროს (საინტერესოა, რომ გვალვის დროსვე აგარის წმ. გიორგის ხატს მიახვეწებდნენ მთის წმ. გიორგის მონასტერში, საიდანაც ხატი იყო წამოსვენებული აგარაში და იქ ლოცულობდნენ წვიმისთვის (ყლენტი (2019ა), მთის წმ. გიორგის მონასტრის სიწმინდეების ისტორიიდან – აგარის წმ. გიორგის ხატი და მისი წარმომავლობა. *სპეკალი*. 13, <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/13/202>). სხვა ხალხური გადმოცემის მიხედვით, ამ ადგილზე 1923 წ-ს ხატები დაწვეს. „რამდენიმე კომუნისტს მღვდელ ივანე ჭიჭინაძისათვის აუკიდებიათ რაც ეკლესიაში ხატები იყო და თავს ზემოთ შემართული წმინდა გიორგის ხატით სოფლის განაპირას მდებარე მინდვრისკენ წაუყვანიათ. შემდეგ ფიჩხი მოუზიდავთ და კოცონი დაუთთაით“. იქვე ხატები ცეცხლში მასობრივად გაუნადგურებიათ (ცაგურიშვილი (2016). თლულის ქრონიკა. *რაჭველები*. 2, გვ. 7-8). სამწუხაროდ, გადმოცემაში არაა დაზუსტებული, თუ რომელი ეკლესიის ხატები იგულისხმება. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ მღვდელ ივანე ჭიჭინაძეს თავზემოდ ჰქონია აღმართული წმ. გიორგის ხატი, როგორც ჩანს, ეკლესიის მთავარი სიწმინდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხატი ვერ იქნებოდა სოფ. აგარის ეკლესიის მთავარი სიწმინდე – აგარის წმ. გიორგის ხატი. მიუხედავად იმისა, რომ ხატი 1920-იანი წლების ანტირელიგიური მოძრაობის დროს ძალზე დაზიანდა, ის მაინც გადარჩა (გ. ბოჭორიძის წყალობით) და დღეს ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში ინახება. ამასთანავე, ხატს არ აღენიშნება დამწვრობის ნიშნები (ყლენტი (2019ა), მთის წმ. გიორგის მონასტრის სიწმინდეების ისტორიიდან – აგარის წმ. გიორგის ხატი და მისი წარმომავლობა. *სპეკალი*. 13, <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/13/202>). მღვდელი ივანე ჭიჭინაძე, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში სოფ. თლულში მოღვაწეობდა (კეზევაძე, 2005, გვ. 19). ამგვარად, დიდი ალბათობით გადმოცემაში მოხსენიებული წმ. გიორგის ხატი იყო სოფ. თლულის ტეხისის წმ. გიორგის ეკლესიის წმ. გიორგის ხატი. როგორც ზემოთ ვახსენე, ეს ხალხური გადმოცემა არ აზუსტებს სხვა განადგურებული ხატების რაობას და წარმომავლობას. ჩვენთვის ასევე უცნობია შაორის მთავარმოწამის ხატისა და შაორის იმ ეკლესიის ბედი, რომელშიც ეს სიწმინდე იყო დასვენებული. ამ მოცემულობით, კვლევის ამ ეტაპზე თეორიულ დონეზე დასაშვებად მიმაჩნია, რომ შაორის მთავარმოწამის ხატი სწორედ ხატიმინდორაზე განადგურებული იყო; მითუმეტეს, როგორც სტატიის ბოლო ნაწილშიც ვნახავთ, შაორის წმ. გიორგის ეკლესია უნდა გაიგვიდეს შაორის ნასაჯვარევის ნაეკლესიართან, რომელიც სოფ. სალხინოს, ანუ ჭიჭინაძეების უბანს (შეად. მღვდელ ივანე ჭიჭინაძეს) ეკუთვნოდა.

(გაბიძაშვილი და სხვ., 2007, გვ. 588). შესაბამისად, შაორის მთავარმოწამის ხატის შემთხვევაშიც საქმე უნდა გვექონდეს წმ. გიორგის ხატთან.

სად ესვენა ხატი?

დიდი ალბათობით შაორის მთავარმოწამისხატი მისივე სახელობის შაორის წმ. გიორგის ეკლესიაში უნდა ყოფილიყო დასვენებული. ამჟამად სოფ. შაორი აღარ არსებობს.

წინამდებარე ნაშრომის ყველაზე რთული გამოწვევა სოფ. შაორისა და ამ სოფლის იმ ეკლესიის ზუსტი ლოკალიზებაა, რომელშიც შაორის წმ. გიორგის ხატი ესვენა. ამისათვის კი საჭიროა იმ წყაროებისა და ცნობების მიმოხილვა, რომლებშიც იხსენიება სოფ. შაორი.

მივყვეთ ქრონოლოგიურად.

წყალობის წიგნი ერისთავ მირიან ჭარელიძისა გიორგი და აღსართანშერაზადიშვილებისადმი, 1465-1488 წწ¹.

შაორი იხსენიება კიდევ ერთ XV ს-ის II ნახევრის წყალობის წიგნში, რომელიც გაცემულია რაჭის ერისთავ მირიან ჭარელიძის მიერ გიორგი და აღსართანშერაზადიშვილებისადმი. მომყავს ჩვენთვის საინტერესო ნაწყვეტი:

...მას ჟამსა, როდეს *შაორს* უნაჭე (sic) მარიამობასა დღესა |⁵დამიღალატა კახაბერიძემან გიორგი, პერანგის [მთ]ასა [...] |⁶და ორისარი დამაცილა, გიორგი და ახსართანშერაზანასში⁷ლი მიეგებესდა დაუშინეს იმა კახაბერიძესა გიორგის. და მო⁸[კლეს] თულაშვილიივანე და წულუკიძე ნასყიდა, მერმე გა⁹შომოქცა ის<ი> კახაბერიძედა ნიკოლწმიდას საყდარშიგან შემეჭრა. |¹⁰და საყდრითგამოვიყვანე,წავიყვანე და ჩემს ცოლთანა ტ¹¹[ყვედ] |¹¹მოვიყვანე...(სურგულაძე და სხვ., 2014, გვ. 267-268).

ამ საბუთში აღწერილია შეთქმულებარაჭის ერისთავის წინააღმდეგ. მარიამობას ერისთავი მირიან ჭარელიძე შაორში ყოფილა, როდესაც მას უღალატა გიორგი კახაბერისძემ და ორი ისარი ესროლა. მირიანს ასცდენია ეს ისრები. ამ დროს ერისთავს წამოეშველნენ თავისი აზნაურები – გიორგი და აღსართანშერაზადიშვილები, რომლებმაც მოკლეს შეთქმულების სხვა ორი მონაწილე – ივანე თულაშვილი და ნასყიდა წულუკიძე. გაქცეულმა გიორგი კახაბერისძემ თავიშეაფარანიკორწმინდის ტაძარს, სადაც იგი მირიანმა შეაპყრობინა და თავის ცოლთან² მიიყვანა ტყვედ. ამ სამსახურის გამო ერისთავმა მირიან ჭარელიძემ უხვად დააჯილდოვა შერაზადიშვილები³.

საბუთში, შაორის გარდა, დასახელებულია კიდევ ორი გეოგრაფიული ადგილი: პერანგას მთა (?)⁴ და ნიკორწმინდა. როგორც ჩანს, პერანგას მთა, შაორში მდებარეობდა. ის ფაქტი, რომ ბრძოლაში დამარცხებული გიორგი კახაბერისძე მირიან ჭარელიძემ, შეიძლება

¹ საბუთი უთარილა და გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება ამასთან დაკავშირებით, თუმცა, ვფიქრობ, საბუთი 1465-1488 წწ-ს შორის უნდა იყოს გაცემული. საბუთის შინაარსის მიხედვით, მოქმედება ხდება შაორში, რომლის აღდგენაც, მთის წმ. გიორგის მონასტრის საბუთის მიხედვით, 1465-1467 წწ-ში მოხდა (ნაკლებად სავარაუდოა, თუმცა არც ისაა გამოსარიცხი, რომ მოქმედება ხდება ჯერ კიდევ აოხრებული სოფ. შაორის ეკლესიასთან). 1488 წ-ს კი რაჭის ერისთავად უკვე ივანე ჩხეტიძე იხსენიება (ვრცლად საბუთის თარიღისა და საბუთში აღწერილი მოვლენების შესახებ იხ. ქლენტი (2019დ), საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლისა და XV საუკუნის ბოლო მეოთხედის საქართველოს ისტორიის საკითხებიდან: მეფე კოსტანტინე II-ის მიერ იმერეთის მეოთხედ შემოერთება. *საისტორიო კრებული*. VII, გვ. 62-63).

² საბუთში ერისთავ მირიან ჭარელიძის უსახელოდ მოხსენიებულ ცოლს უნდა ერქვას ნათელა. ეს ჩანს სორის (ჭარელიძეთა კარის ეკლესიის) ჯვარცმის კარედი ხატის წარწერიდან (ნიკოლეიშვილი, (2001), ქუთაისის მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლები. *ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის შრომები*. XIII, გვ. 31).

³ საინტერესოა, რომ საბუთში მოყოლილ ამბებში არ ფიგურირებენ გარაყანიძეები, რომლებსაც 1465-1467 წწ-ის საბუთის მიხედვით შაორზე მიუწვდებოდათ ხელი.

⁴ ეს ადგილი საბუთში ძალზე ფერმკრთალია და მისი წაკითხვა ბოლომდე ეჭვმიუტანელი არაა.

ითქვას, ცხელ კვალზე ნიკორწმინდის ტაძარში შეიპყრო, უნდა მიუთითებდეს, რომ შაორი ძალზე ახლოს მდებარეობდა ნიკორწმინდასთან, რადგან გიორგი კახაბერიძემ, იცოდა რა, რომ ვერ შეძლებდა შორს გაქცევას და განწირულიყო, სიცოცხლის გადასარჩენად ნიკორწმინდის ტაძარს შეაფარა თავი. როგორც ჩანს, ეს იყო ერთადერთი გზა, რომ ამ ღალატისთვის არ დაესაჯათ სიკვდილით. ასეც მოხდა. ამგვარად, სოფ. შაორი ნიკორწმინდასთან საკმაოდ ახლოს მდებარეობდა.

აღსანიშნავია, რომ მირიან ჭარელიძე შაორში იმყოფებოდა ერთ-ერთ მთავარ რელიგიურ და სახალხო დღესასწაულზე – მარიამობაზე. წინამდებარე კვლევისთვის ეს მეტად საყურადღებო საკითხია.

მთის წმ. გიორგის მონასტრის მთავარი დღესასწაული, მიუხედავად მონასტრის სახელობისა, მარიამობას, 28 აგვისტოს (ძვ. სტილით 15 აგვისტოს) აღინიშნებოდა. მინიშნებები, რომ ეს ტრადიცია ძველი დროიდანვე მომდინარეობს, გვხვდება მთის წმ. გიორგის მონასტრის თითქმის ყველა შემორჩენილ საისტორიო საბუთში¹.

როგორც ჩანს, ეს წესი ვრცელდებოდა ასევე მონასტრის კუთვნილ სოფ. შაორის წმ. გიორგის ეკლესიაზეც. მართალია, საბუთი პირდაპირ ცნობას არ გვაწვდის, თუ ზუსტად სად იმყოფებოდა ერისთავი მირიან ჭარელიძე შაორში, თუმცა დიდი ალბათობით ის სწორედ შაორის წმ. გიორგის ეკლესიაში უნდა ყოფილიყო მის მიერ გაცემულ საბუთში მოთხრობილი ამბების დროს².

ალექსი იევლევის იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა 1650-1652 წწ-ში

მომდევნო წყარო, რომელშიც იხსენიება პუნქტი შაორი, არის ალექსი იევლევის იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა 1650-1652 წწ-ში. იმერეთის ციხე-ქალაქების სიაში იხსენიება Шарии, რაც შაორს უნდა აღნიშნავდეს (ცინცაძე, 1969, გვ. 86, 166). ეს სია ქაოსურია, არაა დალაგებული არც ადმინისტრაციული, არც გეოგრაფიული და არც რაიმე სხვა პრინციპით. ამგვარად, ამ წყაროდან მხოლოდ იმას ვიგებთ, რომ 1650-1652 წწ-ში პუნქტი შაორი კვლავ არსებობდა.

ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 1742-1745 წწ.

შემდეგი წყაროს ავტორი, რომელშიც იხსენიება შაორი, ვახუშტი ბატონიშვილია. აღწერს რა 1709 წ-ის მოვლენებს, როდესაც იმერთა მეფე გიორგი VI ებრძოდა აჯანყებულ ფეოდალებს, და მათ შორის რაჭის ერისთავს, ნათქვამია:

¹ მთის წმ. გიორგის მონასტერი არაა გამონაკლისი. მარი ამობას, როგორც წმ. გიორგის სალოცავის მთავარ დღესასწაულს, აღნიშნავენ ასევე კახეთის სოფ. აწყურის თეთრი გიორგის ეკლესიაში; ასევე ხდება ქართლის სოფ. არბოში. ივ. ჯავახიშვილი ამ ტრადიციას უკავშირებს უძველეს ქართულ წარმართულ პანთეონში არსებულ მთვარის კულტს (ჯავახიშვილი, 1979, გვ. 88-99). როგორც ჩანს, მთის წმ. გიორგის მონასტრის ადგილას წარმართობის დროსაც არსებობდა მთვარის ძლიერი სალოცავი, რომელიც რეგიონის გაქრისტიანებისას წმ. გიორგის სალოცავმა ჩაანაცვლა, ხოლო მთვარის მთავარი დღესასწაული – 15 აგვისტო – მარიამობის სახით შეუნარჩუნეს სალოცავს, როგორც მთავარი დღეობა. ამის შესახებ მოხსენება სათაურით „მარიამობა, როგორც მთის წმ. გიორგის მონასტრის მთავარი დღეობა (წარმართული ძირი, ქრისტიანული ტრანსფორმაცია, ისტორიული ტრადიცია)“ წავიკითხე 2017 წლის 21 ნოემბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებულ ახალგაზრდა მეცნიერთა I საერთაშორისო სიმპოზიუმზე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (თბილისი, 20-23 ნოემბერი).

² თუ გამოცემაში ამოკითხული ტოპონიმი (პერანგას მთა) სწორია, ეს ადგილი იყო ურჩ ფეოდალებთან ბრძოლის და არა მარიამობის ლოცვის ჩასატარებელი ადგილი.

„შემდგომად შემოიკრიბნა იმერნი და წარვიდა მეფე რაჭას, ანუ დაიპყრას, ანუ დაიმორჩილოს; გარდავლო ნაჯიხურევი და დადგა შაორს“ (ყაუხჩიშვილი, 1973, გვ. 869).

ნაჯიხურევის მთა რაჭის ქედის ნაწილია და შაორის ქვაბულს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან დაჰყურებს (ყაუხჩიშვილი, 1973, გვ. 769; ბაგრატიონი, 1997, გვ. 48-53, 63). იმერეთიდან რაჭაში გიორგი VI სწორედ ნაჯიხურევის უღელტეხილით გადასულა და შაორში დაბანაკებულა. იქიდან კი ხოტევის ციხეს შეუტია. ეს წყაროც მიუთითებს, რომ გეოგრაფიული პუნქტი შაორი ნიკორწმინდის მიდამოებშია საძიებელი.

რაჭის აღწერისას ვახუშტი კიდევ ერთხელ ახსენებს შაორს და მეტიც, მის ადგილმდებარეობასაც აზუსტებს:

„ხოტევისზეით, ამისწყალსვე, ერთვის აგარის ჳევი. ამ ხევზედ არს ნიკოლა წმიდა ეკლესია გუმბათიანი... ამ ჳევის შესართავს ჳეით არს შაორი. აქა ყოფილა საზაფხულო სასახლე აწინდელთა მეფეთა, ადგილის შუენიერობისათვის, კეთილ-აგარაკოვანი“ (ყაუხჩიშვილი, 1973, გვ. 764).

ამ ცნობიდან ირკვევა, რომ ვახუშტის დროს ნიკორწმინდა მდებარეობდა აგარის ხევზე, ხოლო ამ ხევის შესართავის ჳეით ყოფილა შაორი, სადაც ძველად მეფეებს ჰქონიათ საზაფხულო რეზიდენცია. ეს კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი პუნქტი იყო შაორი. დიდი ალბათობით, ვახუშტის წინა ცნობაში ნასახენები იმერთა მეფე გიორგი VI რაჭაში ნაჯიხურევის გადავლით სწორედ ამიტომ დადგა შაორს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნობაში თითქოს დაწვრილებითაა ლოკალიზებული პუნქტი შაორი, დღეს მაინც ვერ ხერხდება მისი ჳუსტი ადგილმდებარეობის განსაზღვრა, რადგან შაორის მეფეთა სასახლის ნაშთები ჯერჯერობით არაა გამოვლენილი.

ამგვარად, ამ ცნობიდანაც ჩანს, რომ შაორი უშუალოდ ნიკორწმინდის მიდამოებში მდებარეობდა.

ვახუშტი ბაგრატიონის 1745 წ-ის რუკები

დაბა შაორი აღნიშნული აქვს ვახუშტი ბაგრატიონს თავის შექმნილ 1745 წ-ის ოთხ რუკაზე, რომლებზეც ჩვენთვის საინტერესო პუნქტი მდებარეობს უშუალოდ რაჭის ქედთან, მის ჩრდილოეთ კალთაზე, შაორის ქვაბულის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში (ბაგრატიონი, 1997, გვ. 48-53, 63). თუმცა შაორის ჳუსტი ლოკალიზებისთვის არც ვახუშტის რუკა გამოდგება, რადგან გეოგრაფიული პუნქტების ორიენტაცია ერთმანეთის მიმართ ხშირად არეულია. თუნდაც იმავე რუკებზე ნიკორწმინდა დაფიქსირებულია სოფ. აგარის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფ. სხარტალი კი - აგარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სოფ. თლული საერთოდ ხოტევის სამხრეთ-დასავლეთითაა მონიშნული და ა.შ.

ამგვარად, ჩვენს ხელთ არსებულ წერილობით წყაროებსა და კარტოგრაფიულ მასალაში სოფ. შაორი იხსენიება სულ რვაჯერ:

1. 1465-1467 წწ-ის მთის წმ. გიორგის მონასტრის შეწირულობის საბუთში.
2. 1465-1488 წწ-ის ერისთავ მირიან ჭარელიძის წყალობის საბუთში შერაზადიშვილებისადმი.
3. 1650-1652 წწ-ში ალექსი იევლევის ელჩობის ანგარიშში იმერეთის ციხე-ქალაქებს შორის.
4. ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“.
- 5-8. ვახუშტი ბაგრატიონის 1745 წ-ის 4 რუკაზე.

წყაროების მიხედვით ვერ ხერხდება შაორის ჳუსტი ლოკალიზება, თუმცა ყველა წყარო მიუთითებს, რომ შაორი ნიკორწმინდის სიახლოვეს მდებარე პუნქტი იყო. ვახუშტის მიხედვით კი შაორი ნიკორწმინდის სამხრეთით ან სამხრეთ-აღმოსავლეთითაა საძებნი.

სხვადასხვა მკვლევარი შაორის შესახებ

ი. პანტიუხოვი, 1900 წ.

1900 წ-ს გამოვიდა ი. პანტიუხოვის წიგნი „Шаорская котловина и ея окрестности“ (შაორის ქვაბული და მისი მიდამოები). მკვლევარი დაწვრილებით აღწერს შაორის ქვაბულს. მიუხედავად იმისა, რომ პანტიუხოვი არსად ახსენებს სოფელ ან ნასოფლარ შაორს, მისი ცნობები ძალზე მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ჩვენი კვლევისთვის. კერძოდ, პუნქტ შაორის ლოკალიზებისთვის დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმავე სახელის მატარებელ მდ. შაორს. პანტიუხოვი ხშირად იმოწმებს ამ ჰიდრონიმს სხვადასხვა ადგილას. მაგალითად, ის რაჭაში ტყიბულიდან ასულა და სანამ შაორის ქვაბულის ფსკერამდე ჩასულა, მას რამდენჯერმე მოუწია მდ. შაორისა და მისი შენაკადების გადაღახვა. ეს მდინარე მრავალი შენაკადის შეერთების შედეგად ქვაბულის სამხრეთ ნაწილში „გამორბოდა“. ნიკორწმინდის სიმაღლეებთან მისვლისას კი მიწაში იკარგებოდა და გარკვეული მანძილის შემდეგ უკვეშარეულას სახელით დიდი გამოქვაბულიდან გამოედინებოდა (Пантюхов, 1900, გვ. 11-12, 17). ამ ცნობის მიხედვით, მდ. შაორი სათავეს ნაქერალას ქედის ჩრდ. მხარეს იღებდა და ჩრდილოეთით, ტაფობის ფსკერამდე, მიედინებოდა. ბუნებრივია, ჰიდრონიმი შაორი უშუალო კავშირში იქნებოდა იმავე სახელწოდების დასახლებულ პუნქტთან და მდ. შაორის ადგილმდებარეობისა თუ კალაპოტის დადგენა ასევე უფრო მეტ მინიშნებას მოგვცემდა სოფ. შაორის ზუსტი ლოკალიზებისთვის. ამ ჰიდრონიმს კვლავ მივუბრუნდები კვლევის ბოლოს.

პანტიუხოვის ცნობები უშუალოდ ქვაბულის გეოგრაფიული თავისებურებების შესახებ ძალზე გამოსადეგი ინფორმაციაა ჩვენი კვლევისთვის. მკვლევარმა დეტალურად შეისწავლა ქვაბული და დაასკვნა, რომ უშუალოდ ქვაბულის ტერიტორია საცხოვრებლად გამოუსადეგარი იყო. ამის მიზეზები კი მრავალი ყოფილა. ქვაბული ძლიერი წვიმების დროს წყლით ივსებოდა და დიდი ტბა წარმოიქმნებოდა. ზამთარში კი თოვლის სქელი ფენით იფარებოდა. ქვაბულში გამოგნებლად ღარიბი ყოფილა როგორც ფლორა, ისევე ფაუნა. იქაურ ჩალას თურმე ცხენებიც კი არ ჭამდნენ (Пантюхов, 1900 გვ. 18, 23, 58-59). ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ქვაბულში არქეოლოგიური კვლევა არ განხორციელებულა, პანტიუხოვის დაკვირვებით, ქვაბულის ტერიტორიაზე არანაირი დასახლების თუ ნაგებობის კვალი არ მდებარეობდა. ხოლო ქვაბულთან ყველაზე ახლოს მდებარე ნაგებობა იყო წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ნაეკლესიარი, რომელიც არა უშუალოდ ტაფობის ტერიტორიაზე, არამედ მის აღმოსავლეთ საზღვარზე, ბორცვის თხემზე, მდებარეობდა (Пантюхов, 1900, გვ. 58). ამგვარად, პანტიუხოვის მონაცემები ცხადყოფს, რომ სოფ. შაორი არა უშუალოდ შაორის ქვაბულის ტერიტორიაზე, არამედ მის საზღვრებთანაა სამდებნი.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ სოფ. შაორი მდებარეობდა რაჭის ქედზე, ნაქერალას მთის ჩრდილო ნაწილში, როგორც ეს ვახუშტი ბატონიშვილის რუკებზეა მონიშნული, ამაზევე შეიძლებოდა მიენიშნებინა პანტიუხოვის ცნობას, რომლითაც ასევე ამ ადგილას იწყებოდა მდ. შაორი, თუმცა, იოჰან გიულდენშტედტის მიხედვით, რომელმაც რაჭაში 1771 წ-ს იმოგზაურა, ნაქერალას ქედის თხემი დაუსახლებელი იყო, ხოლო მდინარეს, რომელიც ნიკორწმინდასთან მიწაში იკარგებოდა ერქვა არა შაორი, არამედ ხერგა¹ (გელაშვილი, 1962, გვ. 132). ამგვარად, ეს მოსაზრება მხოლოდ თეორიულ დონეზეა შესაძლებელი.

პანტიუხოვის წიგნს ერთვის მისივე შედგენილი ოკრიბის, რაჭისა და ლეჩხუმის რუკა. ეს რუკა საკმაოდ მნიშვნელოვანია წინამდებარე კვლევისთვის, რადგან მასზე გამოსახულია შაორის ქვაბული მის დატბორვამდე. რუკის ამ ნაწილზე კარგად ჩანს, რომ შაორის ქვაბულის

¹საინტერესოა, რომ სახელი „ხერგა“ წარმომდგარი უნდა იყოს იმ მოვლენიდან, რომ ეს მდინარე ხშირად იხერგებოდა და ქვაბული იტბორებოდა, ხოლო ადგილობრივებს უწევდათ ჩახერგილი ადგილის საერთო ძალებით გამოთავისუფლება.

ტერიტორია დაუსახლებელია, ხოლო დასახლებული პუნქტები (ნიკორწმინდა, აგარა, უყეში, სხარტალი, თლული) ერთ ზოლზე იწყება შაორის ქვაბულის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთსაზღვრებთან არსებულ მცირე ქედზე¹. რუკაზევა მონიშნული წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ნანგრევები².

ამბროსი ხელაია, 1902-1903 წწ.

კათალიკოსმა ამბროსი ხელაიამ ჭელიშის მონასტრის არქიმანდრიტობისას, 1902-1903 წწ-ში, დაგვიტოვა ძვირფასი დღიურები რაჭის შესახებ. ერთგან იგი აღნიშნავს, რომ „ნიკორწმინდის ტაძრის ახლო, იქ, საიდანაც იწყება მდინარე „აგარის ხევი“, ვახუშტი უჩვენებს ეკლესიას შაორის სახელით“ (ხელაია, 2012, გვ. 18). შენიშვნაში ამბროსი ხელაია ამბობს: „აქ ვახუშტი ცდება, რადგან შაორის მდინარე აგარის ხევიდან აქვს მიღებული და პირველს სულაც არ იხსენიებს“ (ხელაია, 2012, გვ. 498). როგორც აღვნიშნე, ვახუშტის რუკები ასეთ მცირე მასშტაბზე სანდო არ არის. ამასთანავე, ის ნიშანი, რაც ა. ხელაიას ეკლესიის ნიშნად მიაჩნია, ვახუშტის რუკის ლეგენდის მიხედვით, დაბის აღმნიშვნელია. ა. ხელაია განაგრძობს: „ამ ეკლესიის ნანგრევები, როგორც ამბობენ, ახლაც არის, მაგრამ, სამწუხაროდ, მე არ მომიხდა მისი ნახვა. პანტიუხოვიც უჩვენებს ნიკორწმინდის ახალი ეკლესიის ნანგრევებს, რომელიც ყოფილა შენებული წმ. გიორგის სახელზე“ (ხელაია, 2012, გვ. 18). აქედან ვხედავთ, რომ ა. ხელაია აერთიანებდა მის მიერ განხილული მკვლევრების წერილობით და კარტოგრაფიულ ცნობებს და ისე განსაზღვრავდა შაორის წმ. გიორგის ეკლესიის მდებარეობას. უცნობია, რას უწოდებდა ნიკორწმინდის წმ. გიორგის სახელობის ახალი ეკლესიის ნანგრევებს, რომელიც პანტიუხოვს ჰქონია მონიშნული, რადგან, როგორც ვახსენეთ, პანტიუხოვს მხოლოდ შაორის ქვაბულის აღმოსავლეთ საზღვართან მდებარე ნანგრევები აქვს მონიშნული და ნახსენები, ეკლესიას კი პანტიუხოვი არც ახალს უწოდებს და არც ნიკორწმინდას აკუთვნებს. ალბათ ა. ხელაია სწორედ ამ წერტილს გულისხმობს.

გიორგი ბოჭორიძე, 1920-იანი წწ.

გ. ბოჭორიძემ, რომელმაც 1920-იან წლებში იმოგზაურა რაჭაში სხვა ძვირფას ცნობებთან ერთად შემოგვინახა ამ ნაშრომისთვის უმნიშვნელოვანესი ცნობა შაორის შესახებ, რომელიც სრულად მომყავს ქვემოთ:

„სალხინოს (ჭიჭინაძიანთ უბანი) ნასაჯვარევი მდებარეობს მდ.შაორის მარჯვენა მხარეს, უბნიდან 1 ვერსის დაშორებით. ძველად აქ ეკლესია ყოფილა. ადგილი მშვენიერია და შესაძლებელია ამ ადგილას იყო ვახუშტის მიერ მოხსენიებული სასახლე მეფეთა, რომლის შესახებ იგი წერს თავის გეოგრაფიაში: "აგარის... ჳევის შესართავს ზეით არს შაორი: აქა ყოფილა საზაფხულო სასახლე აწინდელთა მეფეთა, ადგილის მშვენიერებისა-თვის, კეთილ-აგარაკოვანი"-ო. ეკლესიას ჩვენამდე არ მოუღწევია: იგი დანგრეული და მიწაგადაფარებული ყოფილა. ეს ნანგრევი 1925-1926 წლებში გაუთხრია ადგილობრივ მცხოვრებ ანტონ ივანეს ძე ჭიჭინაძეს, მისი მასალა (ქვა) წაუღია და თავისი საცხოვრებელი სახლი აუშენებია. დღეს აღნიშნულ ადგილას პატარა ქვებისა და კირის მეტი აღარაფერი ყრია. ხსენებული პირის ეზოში 1927 წელს ვნახე კანკელის შესანიშნავი ჩუქურთმიანი ქვები, რომლებიც ჯერ შენობაში დადებული არ იყო. მიუხედავად ორგზის გაფრთხილებისა, რომ ქვები დაცული უნდა ყოფილიყო და რომ საბოლოოდ დასაცავად ისინი გადატანილი იქნებოდენ ნიკორწმინდას, მას ერთი ფიქალი ბუხრის თავზე დაედვა „კალმის ქვა“-დ ("კალმის ქვა" ეწოდება ბუხარზე

¹არის შედარებით უფრო ადრინდელი, 1869 წ-ის რუკა, რომელზეც შაორის ქვაბული გვხვდება. ამ რუკის მონაცემები პანტიუხოვის რუკის მსგავსია (Карта Кавкаского Края, 1869, С3).

² ეს ეკლესია მდებარეობს ქვემო თლულის სამხრეთით. ეკუთვნოდა ნასოფლარ ოლანს. მისი კოორდინატებია 42°26'10.02"N 43° 8'38.86"E.

"ფიტოხის" (გამოწეული ქვის) ზევით მდებარე ქვას), ხოლო მეორე ფიქალი კი კალატოზ ბიჭია ივანეს ძე ქემოკლიძეს გაეტეხა და ერთ სვეტთან ერთად თავის სახლში წაეღო სოფ.თლულს. 1930 წელს ადგილობრივ დამხვდა მარტო ორი სვეტი და ერთი სვეტის ნატეხი, რომელიც გადავიტანე ნიკორწმინდას და მოვათავსე ეკლესიაში. დანარჩენი ქვების იქვე გადატანა დაევალა ნიკორწმინდის სიძველეთა დაცვის რწმუნებულს ნ.კანდელაკს და ადგილობრივ ხელისუფლებას. ეს ქვებია: კანკელის ფიქალი და სვეტი აღწერილი არიან მარჯვნიდან მარცხნივ: ჯერ ფიქალები, მერმე სვეტები:

1. ფიქალი, ქვედა მარცხენა კუთხეატეხილი, 89 (91,5 სმ.)
2. ფიქალი, ძლიერ დაზიანებული, 64X63
3. სვეტი, 104X15,5 სმ.
4. სვეტი დაზიანებული, 64X13,5 სმ.
5. სვეტის ნატეხი, 43X14 სმ.
6. სვეტი დაზიანებული, 84X14 სმ.

ჩუქურთმა შესანიშნავი ნამუშევარია და ეკუთვნის XIV-XV სს.“ (ბოჭორიძე, 1994, გვ. 146-147).

ამგვარად, ნასაჯვარევისმიმდებარე ტერიტორიისა და ვახუშტისთან მოხსენიებული შაორის იგივეობა პირველად გ. ბოჭორიძემ ივარაუდა.

1987 წ-ს ნაეკლესიარი „ნასაჯვარევი“ და იქ აღმოჩენილი ტაძრის ჩუქურთმიანი ქვები უნახავს დევი ბერძენიშვილს და მათთვის ფოტოებიც გადაუღია. ფოტოს უკანა მხარეს შესრულებული წარწერების მიხედვით დ. ბერძენიშვილიც ფიქრობდა, რომ ეს ეკლესია შაორს ეკუთვნოდა.

(<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/260776>;

<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/260853>; <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/260848>)².

ნასაჯვარევის, დიდი ალბათობით გ. ბოჭორიძეზე დაყრდნობით, შაორთან აიგივებენ ასევე ვ. გობეჯიშვილი და თ. ცაგურიშვილი (ცაგურიშვილი (2016). თლულის ქრონიკა. რაჭველები. 2, გვ. 7; გობეჯიშვილი, 2017, გვ. 619).

2012 წლის აგვისტოში ნასაჯვარევი მეც მოვინახულე. როგორც გ. ბოჭორიძეც აღნიშნავს, ნაეკლესიარი მდ. შაორის მარჯვენა მხარეს მდებარეობს. მისი კოორდინატებია: 42°25'44.80"N 43° 7'0.53"E. ეს ადგილი ოდნავ შემალღებულია. ნაგებობა საფუძვლამდეა დანგრეული და ტერიტორიის დიდი ნაწილი დაფარულია ხეებით. შემორჩენილი ნაშთების მიხედვით, კომპლექსი შედგებოდა ეკლესიისა და მის გარშემო არსებული მართხკუთხა (?) გეგმის გალავნისგან. ნაგებობის შიდა ნაწილში, აღმოსავლეთ მხარეს, განირჩევა ეკლესიის საკურთხევისკონქის მომრგვალებული ძირი. არსებული ნაშთების მიხედვით ეკლესია დარბაზული ტიპის ერთნავიანი ნაგებობაუნდაყოფილიყო. ამ ნაგებობების ჩრდილოეთით, სულ რამდენიმე მეტრში, განირჩევა კიდევ ერთი მართხკუთხა ნაგებობის კვალი. გ. ბოჭორიძის ჩანაწერები დიდი სიზუსტით დაადასტურა სოფ. თლულის სკოლის ისტორიის მასწავლებელმა მალხაზ გურაბანიძემ. გარდა ამისა, მას მონაწილეობა მიუღია ნასაჯვარევის

¹ ეს ჩუქურთმიანი ქვები ამჟამად მოთავსებულია ნიკორწმინდის საკათედრო ტაძრის სამხრეთ ეკვდერის დასავლეთ კედელთან. კანკელის სხვა ფრაგმენტები კი ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმსა და ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (რეხვიაშვილი, ა. (2015). X საუკუნის რაჭის ქვაზე კვეთის სახელოსნოების კლასიფიკაცია. საქართველოს სიძველენი. 18. თბილისი. გვ. 172).

² ეს ჩუქურთმიანი ქვები ამჟამად მოთავსებულია ნიკორწმინდის საკათედრო ტაძრის სამხრეთ ეკვდერის დასავლეთ კედელთან. კანკელის სხვა ფრაგმენტები კი ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმსა და ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (რეხვიაშვილი, ა. (2015). X საუკუნის რაჭის ქვაზე კვეთის სახელოსნოების კლასიფიკაცია. საქართველოს სიძველენი. 18. თბილისი. გვ. 172).

ჩუქურთმიანი ქვების დაცვის საქმეშიდა ისინი ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში გადაუტანიათ. მანვე მიგვითითანა ეკლესიარის ჩრდილოეთით, მთის ფერდობზე, არსებული ნასახლარი (მ. გურაბანიძე, პირადი კომუნიკაცია, 25 აგვისტო 2012 წ.). თუ შაორის ნასაჯვარევის ნაეკლესიარს გავაიგივებთ შაორის წმ. გიორგის ეკლესიასთან, სავარაუდოდ, მის ჩრდილოეთით, მთის ფერდობზე, არსებული ნასახლარი სწორედ ნასოფლარი შაორი უნდა იყოს. უფრო ზუსტად ამას მომავალი კვლევა აჩვენებს. მანამდე კი არსებული ისტორიულ-გეოგრაფიული მონაცემები¹ სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ნასაჯვარევი ძველი სოფ. შაორის ეკლესია იყო.

ნასაჯვარევი, იგივე შაორის წმ. გიორგის ეკლესია?

გ. ბოჭორიძის ნაწილი კანკელის ქვები შეისწავლა და X ს-ის მიწურულით დაათარილა ხელოვნებათმცოდნე რ. შმერლინგმა (Шмерлинг, 1962, გვ. 99-101)². შესაბამისად, X ს-ის ბოლოს ნასაჯვარევის ეკლესია უკვე არსებობდა. ეს კარგად მიესადაგება 1465-1467 წწ-ის საბუთის მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც შაორის მთავარმოწამის ხატი დავით აღმაშენებლის დროს უკვე არსებობდა და შაორში იყო დასვენებული³.

ჰიდრონიმი შაორი

როგორც აღინიშნა, პუნქტ შაორის ლოკალიზებისთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმავე სახელის მდ. შაორს.

პანტიუხოვი მდ. შაორს უწოდებდა მდინარეს, რომელიც ნაქერალას ქედის ჩრდილო ფერდობიდან მიედინებოდა შაორის ქვაბულში, ნიკორწმინდის სიმაღლეებთან ტბორდებოდა და მიწაში იკარგებოდა (იხ. ზემოთ). იმავე მდინარეს უფრო ადრე გიულდენშტედტი ხერგას უწოდებდა (იხ. ზემოთ). შაორის წყალსაცავის დაგუბებამდე, რომელიც დაიწყო 1954 წ-ს, ამ მდინარეს ეწოდებოდა დიდიჭალა, იგი ნაქერალას ქედიდან გამომდინარე მდ. პერევისასა და მდ. ხვრელიეთის შეერთებით წარმოიქმნებოდა. ხოლო ხერგას სახელწოდებით ამ დროს ჰიდროლოგიური სადგური ყოფილა (მეტრეველი (1973). შაორის წყალსაცავის წყლის რეჟიმის ძირითადი ელემენტების დახასიათება. *საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოების შრომები*. XII, გვ. 107). შაორის ქვაბულში ასევე ჩაედინებოდა მდინარეები: თეთრიწყალი, ოლანი, ფრიოლი, ცივწყალა და მაჭავარიანის დელე (მეტრეველი (1973). შაორის წყალსაცავის წყლის რეჟიმის ძირითადი ელემენტების დახასიათება. *საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოების შრომები*. XII, გვ. 104). ოლანი ეწოდება ასევე ნასოფლარს ქვემო თლულის სამხრეთით (ცაგურიშვილი (2016). თლულის ქრონიკა. *რაჭველები*. 2, გვ. 6-7; გობეჯიშვილი, 2017, გვ. 616). გ. ბოჭორიძის მიერ დამოწმებულ მდ. შაორს, რომლის მარჯვენა მხარესაც მდებარეობს ნასაჯვარევის ნაეკლესიარი, უწოდებენ ასევე ჩოლაგას (ცხადაია და ჯოჯუა, 2010, გვ. 327, 339). ა. ხელაიას აზრით კი, მდ. შაორი იყო ვახუშტისთან ნახსენები აგარისხევი (ხელაია, 2012, გვ. 498).

¹ ნასაჯვარევი მდებარეობს შაორის ქვაბულის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში და არსებული მონაცემებით, რიგით პირველი ისტორიული ნაგებობაა, რომელიც გვხვდება სხვა ისტორიულ ნაგებობებამდე და დასახლებამდე.

² გამოთმულია მოსაზრება, რომ სალხინოს კანკელი, ზემო კრიხის, უყეშისა და პატარა ონის რელიეფური ნაწარმოებები რაჭაში X ს-ის ბოლო მეოთხედში მოქმედ ქვაზე კვეთის ერთ სახელოსნოს ეკუთვნის (რეხვიაშვილი, ა. (2015). X საუკუნის რაჭის ქვაზე კვეთის სახელოსნოების კლასიფიკაცია. *საქართველოს სიძველენი*. 18. თბილისი. გვ. 176).

³ მეორე მხრივ, როგორც ზემოთაც ვნახეთ, გ. ბოჭორიძე თავის მიერ ნაწილი ნასაჯვარევის სხვა ჩუქურთმიანი ქვებს (რომელთა მერმინდელი ბედი ჩემთვის უცნობია) XIV-XV სს-ით ათარიღებდა. თუ მისი დაკვირვება სწორია, გამორიცხული არაა, ბაგრატ VI-ს სოფ. შაორთან ერთად შაორის წმ. გიორგის ეკლესიაც აღედგინა და კანკელი შეეკეთებინა.

ამგვარად, არსებული მონაცემების მიხედვით, შაორის ქვაბულში ჩამდინარე მდინარეებიდან რთულია რომელიმე გამოიყოს „შაორის“ კონკრეტული ჰიდრონიმით.

შაორი თუ შავრა?¹

ბოლოს, მინდაშევეხო ერთ საკითხს, რომელიც შეიძლება ზემოთ მოყვანილმა ფაქტებმა წარმოშვა: ხომ არ იყო მთის წმ. გიორგის 1465-1467 წწ-ის საბუთში მოხსენიებული სოფ. შაორი იგივე სხვა საბუთებით ცნობილი სოფ. შავრა?

სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოთქმულია მოსაზრება, რომ სოფ. შაორი იგივე სოფ. შავრა იყო (ბერძენიშვილი და სხვ., 2010, გვ. 330).

გარდა ამისა, ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიურ ლექსიკონში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ვახუშტისთან ნახსენები შაორი მდებარეობდა სოფ. ხონჭიორსა და სოფ. პატარა ონს შორის (გამყრელიძე და სხვ., 2013, გვ. 566). უცნობია, რის საფუძველზე მოათავსეს გამოცემის ავტორებმა შაორი ამ ორ სოფელს შორის. შეიძლება გვეფიქრა, რომ ამის მიზეზი სოფ. ზედა შავრას სახელთან მსგავსებაა, მითუმეტეს, ეს სოფელი მართლაც ხონჭიორსა და პატარა ონს შორის მდებარეობს, თუმცა იმავე გამოცემაში აღნიშნულია, რომ სოფელი დღეს აღარ არსებობს, რის გამოც გაურკვეველია, როგორ მოხდა შაორის ლოკალიზება ამ კონკრეტულ ადგილზე.

შაორისა და შავრას იდენტურობის თეორიის სასარგებლოდ შეიძლება მეტყველებდეს შემდეგი მსგავსი გარემოებები:

1. სახელების მსგავსება – შაორი - შავრა;
2. უშუალოდ მდ. შარეულას ხეობაში (შუაწელთან) მდებარეობა, როგორც მეფისა და მებართლომეს სანადირო, სათევზაო და სათიბი ტერიტორიის ერთ საზღვრად დასახელებული „შარეულას შუა წყალსა გამოღმა და გაღმა...“;
3. იმავე ტერიტორიის კიდევ ერთ საზღვრად დასახელებული „დვალეების სამარხი“ და შავრაში დაფიქსირებული დვალეები XVI-XVII სს-ში;
4. გარაყანიძეების ფეოდალური სახლის მიწათმფლობელობა მდ. შარეულას ხეობაში;
5. სხვა მოგვიანო პერიოდის ისტორიული საბუთები, რომელთა მიხედვითაც შავრელი გლეხები - სეხნია და მამისთვალ რაზმაძეები- 1661 წ-ს (სცა 1448-2150), ნასყიდა დვალი 1682-XVIII ს-ის 10-იან წწ-ში (სცა 1448-1533) ასევე მთის წმ. გიორგის მონასტერს შესწირეს.
6. 1784 წ-ს გიორგი და ბერი წულუკიძეებმა ნიკორწმინდას განუახლეს შავრელი გვენცაძეების შეწირულობა. საბუთში აღნიშნულია, რომ ეს გლეხები, ნიკორწმინდის ძველი გუჯრების მიხედვით, მეფეების მიერ იყო შეწირული „დიდის აღთქმითა და წყევით“. მოგვიანებით „უწესო“ კაცებს ეს გლეხები გამოუწირავთ და კვლავ საერო გლეხებად უქცევიათ. წულუკიძეებმა კი ადადგინეს ძველი შეწირულობის იურიდიული ნორმები (კაკაბაძე, 1914, გვ. 24-25). იკვეთება მსგავსებები მთის წმ. გიორგის მონასტრის 1465-1467 წწ-ის საბუთთან.

ამგვარად, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები შეიძლება სწორედ იმაზე მინიშნებად ჩაითვალოს, რომ მთის წმ. გიორგის მონასტრის 1465-1467 წწ-ის საბუთში ნახსენები სოფ. შაორი იყო სოფ. შავრა, ხოლო შაორის მთავარმოწამის ხატი უნდა გაიგივდეს შავრის წმ.

¹ არსებობს ორი დასახელებული პუნქტი მსგავსი სახელით: ზედა შავრა და ქვედა შავრა. ზედა შავრა მდებარეობს მდ. შარეულას ხეობაში, მის მარჯვენა მხარეს (ქსე, 1979, გვ. 498), ხოლო ქვედა შავრა მისგან ჩრდილოეთითაა დაშორებული საკმაოდ შორი მანძილით და მდ. რიონის ხეობაში, მის მარცხენა მხარეს მდებარეობს (ქსე, 1986, გვ. 510). მიუხედავად იმისა, რომ სოფ. ქვედა შავრაში მოსახლე გვარებს შორის დღემდე ვხვდებით სულაძეებს, გვენცაძეებს და ფაქიოტიძეებს (გობეჯიშვილი, 2017, გვ. 508), სოფლის გეოგრაფიული მდებარეობა სრულიადაა ამოვარდნილი საკვლევს საკითხის ისტორიულ-გეოგრაფიული თემატიკიდან და კვლევის ამ ნაწილში განხილული იქნება მხოლოდ სოფ. ზედა შავრა, რომელიც ზემომოყვანილ ისტორიულ საბუთებში უბრალოდ შავრას სახელითაა ცნობილი (იხ. ზემოთ).

გიორგის ხატთან. შესაბამისად, მის სავარაუდო დასაბრძანებელ სალოცავად ჩაითვლებოდა ე.წ. კვერთის წმ. გიორგის ეკლესია (გობეჯიშვილი, 2017, გვ. 386).

დამთხვევა მართლაც საინტერესოა, თუმცა ეს რომ მხოლოდ დამთხვევაა, ამაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტები:

1. მართალია 1465-1467 წწ-ის საბუთის უძველეს პირში, რომელიც 1484-1491 წწ-ს შორის უნდა იყოს შექმნილი (ჟღენტი, 2011გ, გვ. 104-105), სოფლის სახელის მოხსენიების სამი შემთხვევიდან ორჯერ იხსენიება „შავორი“, ხოლო ერთხელ „შაორი“; საბუთის დაკარგული დედნის აღწერილობაში გარკვევით წერია „შაორი“ და სოფლების სახელების მსგავსება მხოლოდ ჰიდრონიმ შაორი/შარეულადან ნაწარმოები სახელების მსგავსება უნდა იყოს;

2. მეფისა და მებართლომეს სანადირო, სათევზაო და სათიბი ტერიტორიის მესამე და ბოლო საზღვრად დასახელებულია მთა საწალიკე, რომელიც შაორის ქვაბულის აღმოსავლეთაა აღმართული და წარმოადგენს რაჭის ამ ნაწილის აღმოსავლეთ საზღვარს საჩხერესთან (ნემანიშვილი, 1985, გვ. 218), შესაბამისად, სოფ. შავრადან მისი სიშორე ასევე უარყოფს შაორისა და შავრას იგივეობას. როგორც ჩანს, საბუთში დასახელებული ტერიტორია სამი ტოპონიმით („დვალთ სამარხსა და შარეულას შუა წყალსა გამოღმა და გაღმა და საწალიკეს აქეთი...“) ქმნიდა არა სამკუთხედს, არამედ წაგრძელებულ ტერიტორიას, რომელიც გადაჭიმულია დასავლეთიდან (დვალების სამარხიდან, სავარაუდოდ, მდ. შარეულას ხეობიდან შუაწყლის ჩათვლით) აღმოსავლეთამდე (საწალიკის მთამდე);

3. ვახუშტის ისტორიაში მოხსენიებული და რუკებზე დაფიქსირებული შაორი ისტორიულ-გეოგრაფიული ასპექტით ვერანაირად ვერ მიესადაგება მდ. შარეულას ხეობაში სოფ. შავრას მდებარეობას.

4. რთულია ასევე ზუსტად განისაზღვროს შარეულას „შუაწყლის“ მნიშვნელობა, რადგან ადრე (წყალსაცავის დაგუბებამდე) მდ. შაორი შაორის ქვაბულში, ნიკორწმინდის სიმაღლეებთან, ტბორდებოდა და მიწაში, კარსტულ ძაბრში იკარგებოდა, ხოლო შემდეგ გამოდიოდა ჭელიშთან ახლოს მდებარე მღვიმიდან (Пантюхов, 1900, გვ. 12).

5. შაორი-შავრას იდენტურობის თეორიის ყველაზე მტკიცე არგუმენტად 1784 წ-ის საბუთი მესახება. განსაკუთრებით საინტერესოა გვარი გვენცაძის დამთხვევა, ძველი მეფეების გუჯრების დამოწმება და „დიდის აღთქმითა და წყევით“ მსგავსება 1465-1467 წწ-ის საბუთის შესაბამის მონაკვეთთან. თუმცა საბუთში ნათქვამია, რომ ეს გლეხები (და არა აზნაურები, როგორც ეს მთის წმ. გიორგის მონასტრის საბუთშია) ძველი დროიდანვე ნიკორწმინდას იყვნენ შეწირული და არა მთის წმ. გიორგის მონასტერს.

ამგვარად, ჩემი დაკვირვებით, მთის წმ. გიორგის მონასტრის 1465-1467 წწ-ის შეწირულობის საბუთში, 1465-1488 წწ-ის ერისთავ მირიან ჭარელიძის წყალობის საბუთში და სხვა ზემოჩამოთვლილ წყაროებში მოხსენიებული შაორი არ უნდა გაიგივდეს მდ. შარეულას ხეობაში არსებულ სოფ. ზედა შავრასთან.

დასკვნები და დაკვირვებები

ჩატარებული კვლევის შედეგად პირველად მოხდა რაჭის ისტორიულსოფ. შაორთან დაკავშირებული მასალების თავმოყრა და კრიტიკული ანალიზი, პრობლემატური საკითხების დასმა და მათი გადაწყვეტის ცდა; ასევე პირველად მოხდა შაორის მთავარმოწამის (წმ. გიორგის) ხატის ცალკე გამოვლენა და მისი ისტორიის რეკონსტრუქციის მცდელობა. შედეგად, სოფ. შაორისა და შაორის მთავარმოწამის ხატის ისტორია შემდეგი სახით აღდგა:

რაჭის სოფ. შაორი Xს-ის ბოლოს უკვე არსებობდა. დავით აღმაშენებელმა და დემეტრე I-მა 1106-1125 წწ-ში სოფ. შაორი მთის წმ. გიორგის მონასტერს შესწირეს. დიდი ალბათობით, ეს ემსახურებოდა რაჭაში სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას. ამავე დროს, სოფ. შაორში, სავარაუდოდ წმ. გიორგის ეკლესიაში, ესვენა ცნობილი სიწმინდე – შაორის მთავარმოწამის ხატი, რომლის წარმომავლობა შეიძლება სწორედ მთის წმ. გიორგის მონასტერს

უკავშირდებოდეს (შეად. აგარის ხატის წარმომავლობას - ჟღენტი(2019ა), მთის წმ. გიორგის მონასტრის სიწმინდეების ისტორიიდან- აგარის წმ. გიორგის ხატი და მისი წარმომავლობა. *სპეკალი*. 13 <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/13/202>).

მოგვიანებით, 1465-1467 წწ-მდე, სოფ. შაორი აოხრებულა და გაუკაცრიელებულა, თუმცა შაორის წმ. გიორგის ხატი კვლავ ცნობილი სიწმინდე ყოფილა. იმავე პერიოდში ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI-მ დაქცეული სოფელი აღადგინა, თავიდან დაასახლა და განაახლა სოფლის შეწირულობა მთის წმ. გიორგის მონასტრისთვის. ახალ შეწირულობებს შორის იყო ასევე სოფ. შაორის სამი აზნაურული გვარი: სულაძეები, გვენცაძეები და ფაქიოტიძეები. მათზე მოქმედებდა ხელშეუვალობა გარაყანიძეების ფეოდალური სახლისგან, რომელთა მიწაზეც უნდა ყოფილიყო სოფ. შაორი. სოფ. შაორთანვე, მოზრდილ ტერიტორიაზე, სანადირო, სათევზაო და სათიბი ადგილებით სარგებლობის უფლება მხოლოდ მეფესა და მებართლომეს ჰქონდათ.

მომდევნო პერიოდში შაორის წმ. გიორგის ხატის შესახებ ცნობები აღარ გავაჩნია და მისი კვალი იკარგება. თუმცა სოფ. შაორი კიდევ რამდენიმე წყაროში იხსენიება.

დაახლ. იმავე პერიოდში, ახლად აღდგენილ (?) შაორში საინტერესო მოვლენები განვითარდა რაჭის ერისთავისა და ადგილობრივი ფეოდალების მონაწილეობით. ამ ამბიდან კვლევების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცნობებია, რომ მარიამობას რაჭის ერისთავი სწორედ ნიკორწმინდასთან ძალზე ახლოს მდებარე სოფელ შაორში, სავარაუდოდ, მოსალოცად იმყოფებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ მთის წმ. გიორგის მონასტრთან დაკავშირებული ანალოგიების მიხედვით მირიან ჭარელიძე შაორში სწორედ წმ. გიორგის ეკლესიაში იქნებოდა.

განსაკუთრებით ძვირფასია ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები, რომელთა მიხედვითაც ხერხდება სოფ. შაორის მიახლოებითი ლოკალიზება ნიკორწმინდის სამხრეთ-აღმოსავლეთით. მემატიაწეს მიხედვით, შაორში ძველ მეფეებს სასახლე ჰქონდათ. ეს კი შეიძლება მინიშნება იყოს 1465-1467 წწ-ის საბუთის იმ მონაკვეთთან, რომლითაც სოფ. შაორის მიდამოებში მოზრდილი სანადირო, სათევზაო და სათიბი ადგილებით სარგებლობის უფლება მხოლოდ მეფესა (!) და მებართლომეს ჰქონდათ.

კვლევის შედეგად უფრო გამყარდა უკვე გამოთქმული მოსაზრება (გ. ბოჭორიძე), რომ შაორის წყალსაცავთან მდებარე ნაეკლესიარი ნასაჯვარევი სწორედ ვახუშტისთან დაფიქსირებული სოფ. შაორის ეკლესია უნდა იყოს. ხოლო მთის წმ. გიორგის მონასტრის 1465-1467 წწ-ის მონაცემების გათვალისწინებით, აღდგა სოფ. შაორისა და შაორის წმ. გიორგის ხატის ძველი ისტორია, ამასთანავე, ნასაჯვარევის ეკლესიის, როგორც შაორის მთავარმოწამის ხატის სამყოფელი ეკლესიის, იდენტიფიკაციის¹ საკითხი დაისვა.

წინამდებარე კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და გამოთქმული მოსაზრებები სამომავლოდ დიდ დახმარებას გაუწევს სპეციალისტებს რაჭის ამ უძველესი და მნიშვნელოვანი ისტორიული პუნქტის - შაორის - უფრო ზუსტ ლოკალიზებაში, რაც თავის მხრივ დიდიგამოწვევა იქნება შაორში მდებარე მეფეთა სასახლის დასადგენად.

¹ ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ხელნაწერი Ath-28, რომელიც გადაწერილია 1003 წ-ს შაორში, „საყოფელსა ღმრთისშობელისასა“ (ვრცლად იხ.: სილოგავა, ვ. (2001). ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის ბრძოლის ქრონოლოგიიდან (კახეთის შემოერთება 1003 წ.). *მრავალთავი*. XIX, გვ. 351-357). თუმცა, ამ შემთხვევაში საუბარი უნდა იყოს ჯავახეთის შაორზე (ხელაია, 2012, გვ. 18).

გამოყენებული ლიტერატურა:

ალავიძე, მ. (1957). ქვემოთაჭული ტოპონიმიკური ლექსიკონი. აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. XVII. ქუთაისი. ინსტიტუტის გამომცემლობა.

არახაშია, გ. (2010). ქართული დიპლომატიკის შესწავლისათვის. ქართული წყაროთმცოდნეობა. XII. თბილისი. უნივერსალი.

აფხაზავა, ი. (1986). ქვედა შავრა. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. X. თბილისი. მეცნიერება.

ბაგრატიონი, ვ. (1997). ბაგრატიონი ვახუშტი. საქართველოს ატლასი (XVIII ს.). რედაქტორები: ზურაბ ტატაშიძე და სხვები. თბილისი. საქართველოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტის თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკა.

ბაკურაძე, დ. (2000). ვახუშტი ბატონიშვილთან დადასტურებული ტოპონიმები დღევანდელი მონაცემების მიხედვით. ქართველური მემკვიდრეობა. IV. ქუთაისი. ა. წერეთლის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ბახტაძე, მ. (2003). ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბილისი. არტანუჯი.

ბერძენიშვილი და სხვ. (2010). საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში (საქართველოს ისტორიული ტოპონიმების კორპუსი). II. შემდგენლები: დ. ბერძენიშვილი, მ. კანდელაკი, დ. მუსხელიშვილი, მ. სურგულაძე, ნ. შიოლაშვილი, გ. ჭეიშვილი. თბილისი. უნივერსალი.

ბერძენიშვილი, მ. (1962). ნიკორწმინდის „დაწერილი“ (ტექსტი გამოცემისათვის). მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. 34. თბილისი. მეცნიერება.

ბოჭორიძე, გ. (1994). რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები. თბილისი. მეცნიერება.

ბოჭორიძე, გ. (1995). იმერეთის ისტორიული ძეგლები. თბილისი. მეცნიერება.

გაბიძაშვილი და სხვ. (2007). საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი. ავტორ-შემდგენლები: ე. გაბიძაშვილი, მ. მამაცაშვილი, ა. ღამბაშიძე. თბილისი.

გამყრელიძე და სხვ. (2013). ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი. შემდგენლები: გ. გამყრელიძე, დ. მინდორაშვილი, ზ. ბრაგვაძე, მ. კვაჭაძე და სხვ. თბილისი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

გელაშვილი, გ. (1962). გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. I. გერმანული ტექსტი, ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბილისი. მეცნიერება.

გლოველი და სხვ. (2015). საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერები. კატალოგი. შემდგენლები: გრიგოლ გაგნიძე, შალვა გლოველი, დარეჯან გოგაშვილი, მაია კარანაძე, თამარ ოთხმეზური, ნესტან ჩხიკვაძე. თბილისი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

გობეჯიშვილი, ვ. (2017). ჩემი თვალთ დანახული რაჭა. თბილისი.

დვალი, მ. (1968). ლევნარის წმ. გიორგის ეკლესია. ჟურნ.: „მაცნე“, №4. თბილისი. მეცნიერება.

დვალი, მ. (1979). ზედა შავრა. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. IV. თბილისი. მეცნიერება.

ენუქიძე და სხვ. (1984). ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I. ქართული ისტორიული საბუთები. IX-XIII საუკუნეები. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა. თბილისი. მეცნიერება.

თოფჩიშვილი, რ. (2016). დვალეთი და დვალეები. თბილისი. უნივერსალი.

კაკაბაძე, ს. (1914). წვრილი შტუდიები საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ. I. ტფილისი.

კეზევაძე, მ. (2005). ეგზარქოსობის დროინდელი რაჭის ეკლესიები და მღვდლები. ქუთაისი. საგამომცემლო ცენტრი.

კლდიაშვილი და სხვ. (1991). პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. ტომი I. გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა და გ. ჯანდიერმა. თბილისი. მეცნიერება.

კლდიაშვილი და სურგულაძე (1993). პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. ტომი II. გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა და მ. სურგულაძემ. თბილისი. მეცნიერება.

მეტრეველი, გ. (1973). შაორის წყალსაცავის წყლის რეჟიმის ძირითადი ელემენტების დახასიათება. საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოების შრომები. XII. თბილისი. მეცნიერება.

მეტრეველი, ე. (1962). მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.). თბილისი. მეცნიერება.

მეტრეველი, ე. (2007). იერუსალიმის რამდენიმე ქართული მონასტრის დათარიღების ცდა. ფილოლოგიურ-ისტორიული მივანი. I. თბილისი. არტანუჯი.

ნემანიშვილი, ს. (1985). საწალიკე. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. IX. თბილისი. მეცნიერება.

ნიკოლეიშვილი, მ. (2001). ქუთაისის მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლები. ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის შრომები. XIII. ქუთაისი. მეცნიერება.

ჟღენტი, ნ. (2010). მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი გაცემული XV საუკუნის საბუთის თარიღის დაზუსტებისათვის. ქართული წყაროთმცოდნეობა. XII. თბილისი. უნივერსალი.

ჟღენტი, ნ. (2011ა). მთის წმ. გიორგის საბუთი 1465-1467 წლებისა (დადგენილი ტექსტი და კლასიფიკაცია). ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IV. თბილისი. მერიდიანი.

ჟღენტი, ნ. (2011ბ). კიდევ ერთხელ მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი გაცემულ 1465-1467 წლების საბუთში მოხსენიებული სამოხელეო წოდების „მებართლომე“-ს შესახებ“. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, №X-XI. თბილისი. უნივერსალი.

ჟღენტი, ნ. (2011გ). მთის წმ. გიორგის მონასტრის 1465-1467 წწ-ის საბუთის დედნისა და პირების ურთიერთმიმართებისათვის (საბუთის შემორჩენილი პირები, სამეცნიერო გამოცემები და დაკარგული დედნის XIX ს-ის უცნობი ანოტაცია). კრებ.: საქართველო და ქრისტიანობა. თბილისი. უნივერსალი.

ჟღენტი, ნ. (2014). ძმუისის წმ. გიორგის ხატის წარწერაში მოხსენიებული მელქისედეკ იმხნელის იდენტიფიკაციისათვის: მელქისედეკ საყვარელიძე - უცნობი იმხნელი ეპისკოპოსი? ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული III საერთაშორისო კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი“ (თეზისები). თბილისი. არტანუჯი.

ჟღენტი, ნ. (2015-2016). მეფე დავით IV-ის (1089-1125 წწ.) „აღმაშენებლად“ მოხსენიების პირველი ოფიციალური პრეცედენტები (შევსებული გამოცემა). წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის აკადემიის მოამბე, №1. თბილისი-მარტვილი. ინტელექტი.

ჟღენტი, ნ. (2019ა). მთის წმ. გიორგის მონასტრის სიწმინდეების ისტორიიდან – აგარის წმ. გიორგის ხატი და მისი წარმომავლობა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი „სპეკალი“. 13. თბილისი.

<http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/13/202>

ჟენტი, ნ. (2019ბ). მთის წმ. გიორგის მონასტრის საეკლესიო სიძველეები. ახალგაზრდა მეცნიერთა III საერთაშორისო სიმპოზიუმი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (თეზისები ქართულ და ინგლისურ ენებზე). თბილისი. თსუ.

ჟენტი, ნ. (2019გ). დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სენიორიების ისტორიიდან - გელათი და მთის წმ. გიორგის მონასტერი (ისტორიული კავშირები). წმიდა გრიგოლ ფერაძის I საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია“ (მოხსენებათა თეზისები). თბილისი. უნივერსალი.

ჟენტი, ნ. (2019დ). საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლისა და XV საუკუნის ბოლო მეოთხედის საქართველოს ისტორიის საკითხებიდან: მეფე კოსტანტინე II-ის მიერ იმერეთის მეოთხედ შემოერთება (მთის წმ. გიორგის მონასტრის 1491 წლის საბუთის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი). საისტორიო კრებული. VII. თბილისი. მხედარი.

რეხვიაშვილი, ა. (2015). X საუკუნის რაჭის ქვაზე კვეთის სახელოსნოების კლასიფიკაცია. საქართველოს სიძველენი. 18. თბილისი.

სილოგავა, ვ. (1986). სვანეთის წერილობითი ძეგლები. I. ისტორიული საბუთები და სულთა მატრიანეები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ. თბილისი. მეცნიერება.

სილოგავა, ვ. (2001). ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის ბრძოლის ქრონოლოგიიდან (კახეთის შემოერთება 1003 წ.). მრავალთავი. XIX. თბილისი.

სტეფანაძე, ჯ. (1990). დემეტრე პირველი. თბილისი. მეცნიერება.

სურგულაძე და კლდიაშვილი. (2007). პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. ტომი IV. გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა და მ. სურგულაძემ. თბილისი. მეცნიერება.

სურგულაძე და სხვ. (2014). ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. III. ქართული ისტორიული საბუთები. XV საუკუნის მეორე ნახევარი. შეადგინეს თინათინ ენუქიძემ, დარეჯან კლდიაშვილმა, მზია სურგულაძემ. თბილისი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ხელაია, ა. (2011). მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში. მწიგნობრობა ქართული. სასულიერო მწერლობა. 12. თბილისი. ციციანათელა.

ყაუხჩიშვილი, ს. (1973). ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. IV. თბილისი. მეცნიერება.

ცაგურიშვილი, თ. (2016). თლულის ქრონიკა. ჟურნ.: რაჭველები. 2. თბილისი.

ცინცაძე, ი. (1969). ალექსი იეველევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა („მუხლობრივი აღწერილობა“). რუსული ტექსტი, ხელნაწერების მიმოხილვით და ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ. თბილისი. მეცნიერება.

ცხადაია და ჯოჯუა (2010). რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი. III. თბილისი. უნივერსალი.

ჯავახიშვილი, ი. (1979). თხზულებანი თორმეტ ტომად. I. თბილისი. მეცნიერება.

Карта Кавказского Края (1869). Карта Кавказского Края, составленная при военно-топографическомъ отделе Кавказского Военного Округа. Тифлисъ.

Пантюховъ, И. (1900). Шаорская котловина и ея окрестности. Тифлисъ. Типографія К. П. Козловскаго.

Шмерлинг, Р. (1962). Малые формы в архитектуре Средневековой Грузии. Тбилиси. Мецниереба.


Nikoloz Zhgenti

From the history of Mtis St. George Monastery's landowning and church halidoms – village Shaori and Shaori Mtavarmotsame (Archmartyr) icon**Summary**


Settlement Shaori, which was located in Lower Racha (Western Georgia province) is mentioned in several historic documents and narrative sources. According to these sources, Shaori was a big and important settlement already in the reign of the King David the Builder (1089-1125). Shaori had its own relict – The Icon St. George called “the Arch martyr of Shaori”, supposedly placed in the St. George church of the village. Because of its outstanding climate and surrounding nature the summer residence of the king was also located in Shaori. From about 1106-1125 years (and maybe before) the whole village was donated to Mtis St. George Monastery, located on the Racha Ridge nearby Shaori. From that on only a King and the supervisor of the Monastery's landownership (“Mebartlome”) could hunt, go fishing and use the hayfields of the large areas around Shaori.

Nowadays this very important settlement had not been localized. The Icon of the Arch martyr of Shaori is also thought to be lost. Neither the St. George church of Shaori, nor the King's palace are identified with the historic ruins of the area.

As a result of my research: 1. Texts mentioning Shaori from the sources and scientific literature have been collected and analyzed; 2. The location of the settlement has been placed more exactly than it was before; 3. The ruins of the church known as “Nasajvarevi” has been supposedly identified as the St. George's church of Shaori, where the Icon of the Arch martyr of Shaori was placed.



შაორის ნასაჯვარევის ნაეკლესიარი



რუკა

**ირმა დოლიძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი ჯანელიძის სახელობის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი**

**XIX საუკუნის სათეატრო არქიტექტურის ისტორიიდან
(სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრი)**

პირველი ევროპული ტიპის სათეატრო ნაგებობები საქართველოში, თბილისში, XIX საუკუნის შუახანებიდან იგება. სათეატრო შენობებად დაპროექტებულ და აგებულ თეატრებთან ერთად გვხვდება სათეატრო სივრცეებად გადაკეთებული შენობებიც. არქიტექტურული სტრუქტურით ისინი დახურული ტიპის სათეატრო ნაგებობებია პერსპექტიული სცენა-კოლოფითა და იარუსული დარბაზით (ევროპაში შექმნილი სათეატრო არქიტექტურის ეს კომპოზიცია დღემდე უცვლელია). მისი ფორმირება მიმდინარეობდა XIX საუკუნის განმავლობაში და გასული საუკუნის დასაწყისში დასრულდა.

სათეატრო შენობების პროექტირებასა და მშენებლობაზე საქართველოში მოწვეული ევროპელი არქიტექტორები მუშაობდნენ. ისინი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქში მოღვაწეობდნენ, მათ შორის თბილისშიც. სათეატრო შენობებზე დაპროექტებულ-აგებული თეატრებია: თბილისის თეატრი ე.წ. ქარვასლის თეატრი, 1847-1851 წწ., არქ. ჯ. სკუდიერი; საზაფხულო თეატრი, 1869-1870 წწ./1872-1876 წწ., არქ. ა. ზალცმანი; სახაზინო (ოპერის) თეატრი, 1880-1896 წწ., არქ. ვ. შრეტერი; „არტისტული საზოგადოების“ თეატრი, 1898-1901 წწ., არქ.: ა. შიშკევიჩი, კ. ტატიშჩევი; კ. ზუბალაშვილის სახ. საქალაქო სახალხო სახლი, 1901-1909 წწ., არქ. ს. კრიჩინსკი. სათეატრო სივრცეებზე გადაკეთებული შენობები იყო: მანეჟის თეატრი, 1845 წ., არქ. ი. ივანოვი; სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრი, 1878 წ. არქ. ა. ფონ სკოიანი/1887-1888 წწ. არქ. პ. შტერნი /1901 წ./1906-1908 წწ. ქრ. ტერ-სარქისოვი (სატუნცი).

XIX საუკუნის შუა ხანებიდან XX საუკუნის დასაწყისის ჩათვლით თბილისში შვიდი სათეატრო შენობაა, განსხვავებულია მათი ფუნქციონირების პერიოდი, არქიტექტურული გადაწყვეტა, არსებობის დრო. შვიდი თეატრიდან ექვსი თავმოყრილია თბილისის ახალ უბანში - გარეთუბანში, რომლის განაშენიანებაც ინტენსიურად მიმდინარეობდა XIX საუკუნეში და უმთავრესი ადგილი იმდროინდელი ადმინისტრაციის დაწესებულებებს ეკავა. გრაფ პასკევიჩ-ერევნელის (ერევნის, დღეს თავისუფლების)¹ მოედნიდან გოლოვინის (დღეს რუსთაველის) პროსპექტის მიმართულებით ნახევარი საუკუნის განმავლობაში რამდენიმე სათეატრო ნაგებობა აშენდა. მათგან ორი - მანეჟის და სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრები - გადაკეთებულია, დანარჩენი - ქარვასლის თეატრი, საზაფხულო თეატრი, სახაზინო და არტისტული საზოგადოების თეატრები - თავიდანვე ამ ფუნქციით იყო აშენებული. სათეატრო არქიტექტურის კონცენტრაცია ქალაქის ამ ნაწილში მისი განაშენიანების სპეციფიკაზე დაგვაფიქრებს. XXI საუკუნის გადასახედიდან კი ეს თავისებური გარემოება მეტ ინტერესს აღძრავს. გარდა ამისა, ზემოაღნიშნულ სათეატრო შენობათაგან ორი ქარვასლის სტრუქტურაშია ჩართული. ასეთია ერევნის მოედანზე თბილისის თეატრი იგივე ქარვასლის თეატრი, რომელიც თავიდანვე ამ ორმაგი ფუნქციური დატვირთვით იყო ჩაფიქრებული და სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრი, რომელიც უკვე არსებულ ქარვასლის შენობაში მისი გადაკეთების შემდეგ ინტეგრირდა და დროთა განმავლობაში არაერთი რეკონსტრუქცია განიცადა.

სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრი დღევანდელი ალ. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის ადგილას (რუსთაველის გამზირი, #2/4) იდგა. ამ მონაკვეთს თავისუფლების მოედნიდან მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლემდე XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან სასახლის ქუჩა ერქვა.

ქარვასლა-თეატრების გაჩენა XIX საუკუნის II ნახევრის თბილისში არ უნდა იყოს შემთხვევითი მოვლენა. ამ ტენდენციის საფუძველი, სავარაუდოდ, ადგილობრივ ტრადიციებშია საძიებელი.

ქარვასლები გავრცელებული იყო შუა საუკუნეების საქართველოს საერო არქიტექტურაში. ეს სასტუმრო და სავაჭრო დანიშნულების ნაგებობები, იგივე „ფუნდუკები“, „უკვე IX-XII სს. წერილობით ძეგლებში ხშირად იხსენიება... გვიანფეოდალურ ხანაში სახელწოდება ფუნდუკს ირანიდან შემოსული ქარავანსარაი, შემდეგ კი ქარვასლა ცვლის... XVII-XVIII საუკუნეებში თბილისში რამდენიმე ქარვასლა ჩანს - შარდენის (1671წ.) თანახმად,

¹ მოედნისთვის გრაფ პასკევიჩ-ერევნელის სახელის მინიჭება დაკავშირებულია 1829 წელს რუსეთის ჯარის მიერ ერევანთან მოპოვებულ გამარჯვებასთან, რომლის აღსანიშნავადაც ჯარის სარდალს - ი. პასკევიჩს - ერევნელი გრაფის (Граф Ериванский) წოდება მიენიჭა, თბილისის მთავარ მოედანს კი ეწოდა "პასკევიჩ-ერევანსკის" ან შემოკლებით "ერევანსკი". დროთა განმავლობაში შემოკლებული ფორმა "ერევანსკი" ტრანსფორმირდა და „ერევნის“ მოედნად იწოდებოდა.

„თბილისში არის საუცხოო საზოგადოებრივი შენობები; ბაზრები, ე.ი. სავაჭრო ადგილები, აგებულია ქვისგან და ფრიად მოვლილი, იგივე შეიძლება ითქვას ქარვასლებზე, იმ სადგომებზე, რომლებშიც უცხოელები ჩერდებიან... 1836 წელს თბილისში უკვე 7 ქარვასლა იყო, 50-იანი წლების დასაწყისში კი 13 (ყველა კერძო პირს ეკუთვნოდა)... ახალი ქარვასლების მშენებლობა გრძელდებოდა საუკუნის მეორე ნახევარშიც...“ (ბერიძე, 1963, გვ. 10-12).

1847 წლის 2 აგვისტოს გაზეთი „Кавказ“/„კავკასია“/ (#31) აქვეყნებს ამიერკავკასიის სავაჭრო დეპოს მთავარი კანტორისა და მანუფაქტურული საქონლის მაღაზიის მოკლე განცხადებას, რითაც ატყობინებს თბილისის საზოგადოებას, რომ 31 ივლისს გოლოვინის პროსპექტზე არწრუნის სახლში იხსნება მაღაზია. 1850-იან წლებში შენობა ფართოვდება, ემატება გვერდითი ფლიგელები (არქიტექტორი გ. ივანოვი) და დიდ სავაჭრო კომპლექსად ყალიბდება. „ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ნიმუში „პასაჟის“ ტიპის სავაჭრო ნაგებობისა არა მარტო თბილისში, არამედ მთელი რუსეთის იმპერიაში“. არწრუნისეულ ქარვასლას მოგვიანებით მიუშენეს ეზოს კორპუსი, რითაც ცენტრალური სივრცის (ეზოს) გარშემო სწორკუთხედი შეიკრა (ბერიძე, 1963, გვ. 20). სწორედ ამ ნაგებობაში მისი ინტერიერის სათეატრო სივრცედ გადაკეთების შემდეგ თბილისში თეატრალური ხელოვნების ახალი კერა ჩნდება და აქედან მოყოლებული გრ. არწრუნის¹ ქარვასლასთანაა დაკავშირებული სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრის ისტორიაც (1878-1914 წწ.).

რატომ გრ. არწრუნის ქარვასლა?

ქარვასლის თეატრის, რომელიც პირველი ევროპული ტიპის სათეატრო ნაგებობაა საქართველოში, დაწვის (1874 წ., არქ. ჯ. სკუდიერი) შემდეგ იგი მხოლოდ ქარვასლად თეატრის გარეშე აღადგინეს. ძირითადი დატვირთვა საზაფხულო თეატრზე გადავიდა. ზამთრისთვისაც რომ გამოსადეგი ყოფილიყო, შენობას რეკონსტრუქცია ჩაუტარეს – კედლები ამოუშენეს, ღუმლები გამართეს. მიუხედავად ამისა, სიცივის პრობლემა ვერ დაძლიეს და ზამთარში თეატრის ფუნქციონირება შეუძლებელი აღმოჩნდა. გ. ერისთავის თეატრი იმ დროისთვის უკვე აღარ არსებობს. ქართული დასი ჯერ კიდევ 1854 წელს გამოდევნეს ქარვასლის თეატრიდან. „გენერალმა მურავიოვმა ყველა საშუალება გამოიყენა, რომ უხმაუროდ მომხდარიყო ქართული თეატრის დახურვა. საბაზად ნიკოლოზ პირველის გარდაცვალება გამოიყენეს. ექვსი თვით გამოცხადდა გლოვა. შეწყდა სანახაობითი დაწესებულებების საქმიანობა... შემდეგ მეფის ბრძანებით გლოვის დღეები შემცირდა, მაგრამ თბილისში თეატრები დახურული დარჩა... მურავიოვმა მხოლოდ რუსული თეატრი აღადგინა. ოპერისა და ბალეტის თეატრის აღდგენაზეც თავი შეიკავა, რათა უფრო მწვავედ არ წარმოჩენილიყო ქართული თეატრის დახურვა... 1854-1855 წლების სეზონიდან გიორგი ერისთავი თეატრიდან წავიდა... თეატრს სათავეში ჩაუდგა გ. ერისთავის თეატრის რეჟისორი, დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე ივანე კერესელიძე. სწორედ მას მოუწია თეატრის არსებობისთვის ბრძოლა. ქართულ დასს თეატრის შენობაში აღარ უშვებდნენ... ივ. კერესელიძემ დაიქირავა ერეკლე მეორის დროს აშენებული დარბაზი, ისესხა ფული ორასი

¹ გრიგორ არწრუნი (1845-1892) - საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი. თბილისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მოსკოვისა და პეტერბურგის, მოგვიანებით ციურხის, ჟენევისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში სწავლობდა. ჰაიდელბერგში მიიღო ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის დოქტორის ხარისხი. პუბლიცისტური მოღვაწეობა 1865 დაიწყო. 1872 წელს თბილისში დააარსა სომხურენოვანი ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი „მშაკ“ („მუშა“), რომელიც 1920 წლამდე გამოდიოდა <http://nateba.websail.net/biographies/249-arcrun>.

თუმანი, გაუკეთა იარუსები, ლოჟები, დადგა სკამები, მოაწყო სცენა, დაახატინა დეკორაციები“ (კიკნაძე, 2001, გვ.167-168).

ამდენად თბილისის თეატრში მხოლოდ რუსული დასი დარჩა, ქარვასლის თეატრის შენობის დაწვის შემდეგ საზაფხულო თეატრშიც მხოლოდ რუსული დასი გადავიდა. ამ უკანასკნელმაც არ გაამართლა და თბილისში კვლავ დადგა სპეციალური სათეატრო შენობის საჭიროება.

1856 წელს გ. ერისთავის დახურული თეატრის შემდეგ სათეატრო ცხოვრება თანდათან მიწეწა. ათიოდე წლის განმავლობაში თბილისში სულ რაღაც 15 წარმოდგენა გამართულა, მაგრამ 70-იან წლებში ნ. ავალიშვილის მცდელობით სცენისმოყვარეთა დასი თანდათან მუდმივმოქმედი გახდა. წარმოდგენები იმართებოდა კერძო სახლებში, გერმანელთა კლუბში, სამუსიკო დარბაზში, ზოგჯერ საზაფხულო თეატრში და საკმაოდ იშვიათად ქარვასლის თეატრში. ასე მაგალითად, 1873 წლის თებერვალში სცენისმოყვარეთა წრემ ნიკო ავალიშვილის თაოსნობით მოახერხა თბილისის დიდ თეატრში ეჩვენებინა ზ. ანტონოვის კომედია „მზის დაბნელება საქართველოში“. სპექტაკლს დიდძალი მაყურებელი დასწრებია. ქართველ სცენისმოყვარეთა რეგულარული წარმოდგენები რეალურ საფუძველს ქმნიდა პროფესიული თეატრის აღსადგენად. „ქართული სპექტაკლების გასამართად მუდმივი შენობის უქონლობა გადამწყვეტი თუ არა, მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი მიზეზი მაინც იყო პროფესიული თეატრის აღდგენის საქმეში. პრესაში გამოქვეყნებული სათეატრო შენობების მრავალი პროექტი განუხორციელებელი დარჩა უსახსრობის გამო. სათეატრო შენობის საკითხი და სხვა საკითხები, რომლებიც მუდმივი თეატრის შექმნასთან იყო დაკავშირებული, დეტალურად იქნა განხილული 1870 წლის დამლევს ნიკო ავალიშვილის მიერ მოწვეულ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ფართო თათბირზე. თათბირს ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე. შედეგად არჩეულ იქნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა გამოენახა საშუალებანი მუდმივი პროფესიული თეატრის აღსადგენად“ (ბუხნიკაშვილი, 1950, გვ.28). ილიასა და აკაკის უშუალო ძალისხმევით 1879 წელს აღდგა პროფესიული ქართული თეატრი. სცენისმოყვარეთაგან დასში გაერთიანდნენ: ბაბო ავალიშვილი, ბაბო კორინთელი, მაკო საფაროვა, ნატო გაბუნია, მარიამ ყიფიანი, ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, ზაალ მაჩაბელი, ავქსენტი ცაგარელი და სხვ.

თეატრს საკუთარი ჭერი და სივრცე სჭირდებოდა. 1874 წელს გაჩენილი ხანძრის გამო ქარვასლის თეატრი აღარ ფუნქციონირებდა. საზაფხულო თეატრმა, გადაკეთებათა მიუხედავად, ვერ გაამართლა, თეატრის იერსახეც დაკარგა და ყველა სეზონისთვის ვარგის სათეატრო შენობადაც ვერ იქცა. საჭირო იყო ახალი გზების ძიება, ახლის აშენება, რის საშუალებაც იმ დროისთვის არ არსებობდა ან უკვე არსებული ნაგებობის თეატრად გადაკეთება. ასეთი შენობაც მოიძებნა - სასახლის ქუჩაზე მდებარე გრ. არწრუნის ქარვასლა, რომელიც სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკმა შეიძინა. იმის გამო, რომ შენობა თავიდანვე არ იყო სათეატრო ნაგებობად ჩაფიქრებული, მისი თეატრად რეკონსტრუქცია-ადაპტაციის პროცესი ათწლეულების განმავლობაში გაგრძელდა. სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრის პროექტირებას თბილისში მოღვაწე არაერთი ცნობილი არქიტექტორისა და თეატრალური მოღვაწის სახელი უკავშირდება. ოთხი ათეული წლის განმავლობაში თეატრი ოთხჯერ გადააკეთეს, ოთხჯერ შეიცვალა მისი არქიტექტურული სახე, მაყურებელთა დარბაზის სტრუქტურა, ტევადობა და ა.შ. XIX საუკუნის II ნახევარში დაწყებული პროცესი XX საუკუნეში გადმოიდა და ბოლო რეკონსტრუქცია სწორედ გასული საუკუნის დასაწყისში მიმდინარეობს. სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრმა თბილისის ქარვასლის თეატრის სამწუხარო ბედი გაიზიარა. იგი 1914 წელს დაიწვა.

„არწრუნის თეატრი“ - 1878 წ., არქ. ა.ფონ სკოიანი

სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრის ისტორია 1878 წელს იწყება, როდესაც არქიტექტორ ა. ფონ სკოიანის პროექტით სათეატრო დარბაზად გადააკეთეს ქარვასლის ერთი ნაწილი და მასში პირველი კერძო თეატრი გახსნეს (1879 წ.). შენობა სათავადაზნაურო ბანკმა შეიძინა, რის გამოც მას „საბანკო თეატრსაც“ უწოდებდნენ. აქედან მოყოლებული შეგვიძლია თვალი გავადევნოთ სათეატრო შენობის ისტორიასაც, რის შესახებაც იმდროინდელი პრესა, სხვადასხვა საცნობარო ხასიათის პერიოდული გამოცემა, ფაქტობრივ მასალას გვაწვდის. ამ თვალსაზრისით საგანგებოდ გამოვეყოფთ ყოველწლიურ გამოცემას „Кавказский Календарь“ / „კავკასიის კალენდარი“ (გამოდიოდა 1845–1917 წლებში), რომელიც მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ზოგადად კავკასიის ისტორიასა და ყოფაზე, მათ შორის ფასეულ ინფორმაციას – თბილისის თეატრებზე. ამ კრებულებში იბეჭდებოდა სათეატრო შენობათა მაყურებელთა დარბაზების გეგმები სტანდარტული ინფორმაციით: თეატრის სახელწოდება, მისამართი, ადგილების რაოდენობა, ფასები, სერვისები და ა.შ. ეს, ერთი შეხედვით, საბაზისო მონაცემები, მნიშვნელოვანი მასალაა სათეატრო ნაგებობათა ისტორიისთვის როგორც ქრონოლოგიური, ასევე არქიტექტურული თვალსაზრისითაც. ამიტომ მას არაერთგზის მივმართავთ სათავადაზნაურო ბანკის თეატრის ისტორიის რეკონსტრუქციისთვის.

1879 წელს გამოცემულ კრებულში „Кавказский Календарь на 1880 годъ“ საზოგადოებრივ დაწესებულებათა ჩამონათვალში, რომელშიც საუბარია თეატრებზე, კლუბებზე, სასტუმროებზე, საზაფხულო თეატრთან ერთად („თბილისის საზაფხულო თეატრი, საინჟინრო ქუჩაზე, საინჟინრო ბაღში“) ფიგურირებს „არწრუნის თეატრი მოყვარულთა წარმოდგ. (სთვის) სასახლის ქუჩაზე“ (გვ.161). უდავოა, რომ ეს ა. ფონ სკოიანის პროექტით გადაკეთებული სათეატრო სივრცეა, რომელიც 1879 წელს უკვე ნამდვილად ფუნქციონირებს.

როგორია „არწრუნის თეატრი“, ქარვასლაში „ჩაწერილი“ თეატრის არქიტექტურული „სხეული“?

ადოლფ ფონ სკოიანის პროექტით თეატრი მოიცავს ორდონიან ნახევარწრიული ფორმის თეატრალურ დარბაზს 250 ადგილზე გათვლილი პარტერიით, იარუსის ლოჟებით (11 ლოჟა) და 100-ადგილიანი ქანდარით (ილ. 1). ასე გამოიყურება მაყურებელთა დარბაზი 1881 წლის „Кавказский Календарь“-ის ფურცლებზე, დარბაზის გეგმასთან ერთად მოცემულია ინფორმაცია: „თეატრი სხვადასხვა ფასად ქირავდება სპექტაკლებისთვის, კონცერტებისთვის, საჯარო ლექციებისთვის. ადგილების ფასები არ არის მუდმივი და დამოკიდებულია დამქირავებელზე“ (*Кавказский Календарь на 1882 годъ* (1881), XXXVII, გვ. 237). 1885 და 1886 წლების „კავკასიის კალენდრის“ გამოცემებში უკვე დარბაზის გეგმაზე თანდართული ინფორმაცია იცვლება: „არწრუნის ყოფილი თეატრი, რომელსაც აქირავებს სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი“ (*Кавказский Календарь на 1886 годъ*. (1885). XLI. გვ. 197). აქედან გამომდინარე, უკვე გასაგებია, თუ რატომ მიმართა 1880 წელს დასახმარებლად უბინაოდ დარჩენილმა ქართულმა დრამატულმა დასმა ქარვასლის მეპატრონე გრ. არწრუნს.

საინტერესოა, რომ მომდევნო წლების „Кавказский Календарь“-ის გამოცემებში ინფორმაცია თეატრების შესახებ წინარე კრებულების მსგავსად კვლავ სტანდარტულია, მაგრამ მაყურებელთა დარბაზის გეგმა მხოლოდ საზაფხულო თეატრისაა. ეს ვითარება არ არის შემთხვევითი და მიგვანიშნებს სათავადაზნაურო ბანკის თეატრის ახალ ეტაპზე, რომელიც დაკავშირებულია არქიტექტორ პაულ შტერნთან და ანტრეპრენიორ ვიქტორ ფორკატთან.

სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრი - 1887 წ., არქ. პ. შტერნი

1887 წელს სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი პ. შტერნს უკვეთავს თეატრის ახალ პროექტს. ამ პროცესში უშუალოდ ჩართულია ვ. ფორკატი¹, რომელმაც დაიქირავა არწრუნისეული თეატრი. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში იგი აქტიურად მოღვაწეობდა საქართველოში, განსაკუთრებით თბილისში. წარმართავდა თბილისის სხვადასხვა თეატრის საქმიანობას, იწვევდა დასებს, ცნობილ შემსრულებლებს, იჯარით იღებდა სათეატრო შენობებს, უტარებდა რეკონსტრუქციებს. მას „პროვინციის გრძნეულ ჯადოქრად“ მოიხსენიებენ და თავისი დროის ერთ-ერთ შესანიშნავ ანტრეპრენიორად მიიჩნევენ (კაშმაძე, 2015, გვ.2019).

ფორკატი წარმოდგენებს (საოპერო და დრამატული, ოპერეტა, ბალეტი) მართავდა არა მარტო თბილისის თეატრებში, არამედ რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქში - კისლოვოდსკში, ოდესაში... მან არქიტექტორ მასის პროექტით ააშენა საზაფხულო თეატრი ოდესაში და მონაწილეობა მიიღო ბორჯომის საზაფხულო თეატრის მშენებლობაში, რომლის პროექტიც ასევე პაულ შტერნთანაა დაკავშირებული.

არქიტექტორი პ. შტერნი, როგორც თბილისის სახაზინო (ოპერის) თეატრის არქიტექტორის – ვიქტორ შრეტერის - თანაშემწე და საქმეთა მწარმოებელი, XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს პეტერბურგიდან თბილისში ჩამოდის. მოგვიანებით პ. შტერნი ოპერის თეატრის მშენებლობას კურირებს (1882 წლამდე) (ბერიძე, 1963, გვ. 183). მის მიერაა ხელმოწერილი ოპერის თეატრის საბოლოო გენგეგმაც (ოპერის თეატრის პროექტი რამდენჯერმე შეიცვალა). (დოლიძე, 2005, გვ.188). ცნობილია პ. შტერნის ავტორობით შესრულებული თეატრის კიდევ ერთი პროექტი - ბორჯომის საზაფხულო თეატრი, რომელიც დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის დაკვეთით 1895 წელს დააპროექტა. XIX საუკუნის მიწურულს თბილისში „არტისტული საზოგადოების“ თეატრის პროექტის ავტორებს შორის ფიგურირებს შტერნის სახელიც. 1898 წლის 31 ივლისს (#163) გაზეთი „ივერია“ წერდა: „ტფილისის არტისტთა საზოგადოების“ საბჭოს განსახილველად წარედგინა სამი პროექტი იმ შენობისა, რომელიც უნდა აგებულ იქმნას გენერალ-მაიორისგან ნ. ი. რეიტერისაგან შეძენილ მამულზედ. პროექტი წარდგენილია ბ-ნთ შიმკვეიჩისა, შტერნისა და ტატიშჩევის მიერ. საუკეთესო პროექტის შემდგენელს ჯილდოთ მიეცემა 1000 მან.“. მიუხედავად იმისა, რომ „არტისტული საზოგადოების თეატრი“ (რუსთაველის თეატრი) 1898-1901 წლებში ალ. შიმკვეიჩისა და ვ. ტატიშჩევის პროექტით განხორციელდა, პ. შტერნის მიერ ამ პროექტზე მუშაობის ფაქტი მნიშვნელოვანია, რამდენადაც მის სახელს საქართველოში რამდენიმე თეატრის პროექტირება-მშენებლობა უკავშირდება. ამ თვალსაზრისით ის ერთადერთი თუ არა, უიშვიათესი გამონაკლისია საქართველოს სათეატრო არქიტექტურის ისტორიაში (ოპერა - 1880-1882 წწ., სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრი - 1887-1888 წწ., ბორჯომის თეატრი - 1895 წ., „არტისტული საზოგადოების თეატრი“ - 1898 წ.).

1887-1888 წლების სეზონში ვ. ფორკატი თავისი დასით გასტროლზე ჩამოვიდა თბილისში და დაიქირავა „არწრუნისეული თეატრი“. პ. შტერნის პროექტით, შენობა სრულიად გადაკეთდა: პირველ ყოვლისა, გაიზარდა ტევადობა და 400 მაყურებელზე გათვლილი დარბაზი თითქმის 800-ადგილიან სათეატრო სივრცედ გარდაიქმნა. მაყურებელთა დარბაზის ნახევარწრიული ფორმა შეიცვალა წაგრძელებული სწორკუთხა ფორმის დარბაზით, გაკეთდა მანამდე არარსებული გრძივი გასასვლელები, თეატრალურ დარბაზში გაჩნდა ბენუარის ლოჟები, ბელეტაჟის ლოჟები. პარტერის გარდა, იგი მოიცავდა

¹ ანტრეპრენიორი, რეჟისორი, ადმინისტრატორი, მსახიობი. გარდაიცვალა 1906 წელს.

ამფითეატრულად გადაწყვეტილ გალერეასაც (ილ. 2). რეკონსტრუქცია შეეხო ექსტერიერსაც და შენობამ სათეატრო ნაგებობისთვის დამახასიათებელი გამორჩეული იერსახეც მიიღო.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია პ. შტერნის მიერ 1887 წლის 31 მაისით დათარიღებული და ხელმოწერილი სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრის პროექტი (გენერალური გეგმა, სივრცითი ჭრილი, ფასადები (ეზოს ფასადი, ბაღის ფასადი), პარტერის, ბელეტაჟის, გალერეის გეგმები). თეატრის პ. შტერნისეული პროექტი თბილისის გუბერნატორმა მალევე, 1887 წლის 4 ივნისს, დაამტკიცა. „პროექტის მიხედვით, ქარვასლა-თეატრმა სასახლის და ერეკლე მეორის (შემდგომ ფრეილინის, დღევანდელი სულხან-საბა ორბელიანის) ქუჩებს შორის მოქცეული ვეებერთელა კვარტალი დაიკავა და იგი საზაფხულო თეატრსაც მოიცავდა... პ. შტერნის პროექტის მიხედვით, თეატრის არქიტექტურა ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა სტილის ნაზავია... მთავარი ფასადის მკაცრ კლასიციკლურ ფორმებს... საზაფხულო თეატრისკენ მიქცეული ბაღისპირა, ფასადის როპეტის სტილის შეუღლესავი ფასადი ენაცვლება... სხვადასხვა სტილით ნასაზრდოები ორივე ფასადი თითქოს ამზადებს მნახველს შენობის ინტერიერის აღსაქმელად, სადაც ისლამურ ყაიდაზე დეკორირებული ფოიე... ფარანით დაგვირგვინებული დარბაზის ბაროკულ ინტერიერს ენაცვლება. შტერნისეული თეატრის შენობის სტილისტური მრავალფეროვნების ნაწილია ინტერიერში ვესტიბიულის განაპირა მხარეების კედლების ძველი ქართული ხუროთმოძღვრული დეკორით ინსპირირებული ნაძერწობა... გრებილი ლილვებით და ნაძერწი გირჩებით არის მორთულ-მოჩარჩოებული სცენაც“ (მანია (2017), არქიტექტორი პაულ შტერნი და XIX საუკუნის ბოლო მეოთხედის თბილისი, „ხელოვნება დღეს“, 8, გვ. 5-7).

სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრის შენობაში, სპექტაკლების გარდა, იმართებოდა სხვადასხვა საღამო-ღონისძიებაც. 1890 წელს სწორედ ამ შენობაში ჩატარდა ედისონის ფონოგრაფის მოსმენის პირველი საჯარო სეანსი. ამავე წლის 29 ივნისის გაზეთი „Кавказ“ წერდა: „გუშინ, 28 ივნისს, სასტუმრო „ლონდონში“ მხოლოდ პრესის წარმომადგენლებისთვის შედგა ცნობილი ედისონის ფონოგრაფის სეანსი... პირველი საჯარო სეანსი დანიშნულია დღეს საადგილმამულო ბანკის თეატრში“ (Кавказ (1890), #169).

1897 წელს სათავადაზნაურო ბანკის თეატრში ეწყობა ლუმიერის სინემატოგრაფის პირველი დემონსტრაცია¹. სამეფო ოჯახის ამსახველ ეპიზოდებთან ერთად პროგრამაში წარმოდგენილი იყო სცენები სამხედროთა ყოფიდან, ბავშვების ცხოვრებიდან, შავი ზღვის ხედები და სხვ. უზარმაზარი რეზონანსი მოჰყა „მოდრავი ცოცხალი ფოტოგრაფის“ ხილვას საზოგადოებაში, ამიტომაც წერს კორესპონდენტი: „როგორც ჩანს, მთელი თბილისი სინემატოგრაფის სეანსებზეა და არც ნანობს ამას“ (Кавказ (1897), #85).

„საბანკო თეატრის“ ნაგებობის სახეცვლის პარალელურად იცვლება მისი სახელწოდებაც: 1879-1883 წწ. – „არწრუნის თეატრი მოყვარულთა წარმოდგ. (სთვის) სასახლის ქუჩაზე“; 1884– 1886 წწ. – „ყოფილი არწრუნის თეატრი“; 1887 წლიდან - „თეატრი სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის სახლში, სასახლის ქუჩაზე“. 1893 წლიდან - „სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრი“.

„სათავადაზნაურო ბანკის თეატრის შენობაც, რომელშიც დროებით დაიდო ბინა ქართულმა დრამამ, რამდენჯერმე დახურვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. კომისიამ, რომელიც სათეატრო შენობას განაგებდა, 1901 წელს შეიტანა წინადადება, რათა თეატრის შენობა მომგებიან დუქნებად გადაეკეთებინათ. მხოლოდ ქართველი საზოგადოებრიობის კატეგორიულმა პროტესტმა და ილია ჭავჭავაძის პირადმა გამოსარჩლებამ გადაარჩინა ქართული თეატრის შენობა და ქართული თეატრი გაუქმებას, რადგან წარმოდგენებისათვის

¹ მძებმა ოგიუსტ და ლუი ლუმიერებმა პირველი კინოსეანსი 1895 წლის 28 დეკემბერს პარიზში, გრანდ კაფეში, გამართეს.

თბილისში სხვა შენობა არ იყო“ (ყაჯრიშვილი (1987), საქართველოს თეატრალურ ნაგებობათა ისტორიისთვის“, „*თეატრალური მოამბე*“, 6, გვ.63).

სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრი - 1901 წ.

მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრი გასული საუკუნის დასაწყისშიც (1901). „კავკასიის კალენდრის“ 1901 წლის გამოცემაში თეატრის მაცურებელთა დარბაზის გეგმა და სტრუქტურა შეცვლილია (*Кавказский Календарь на 1902 годъ* (1901), LVII, გვ. 661). კუთხეებწაკვეთილი წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის მაცურებელთა დარბაზი კვადრატს მიახლოებულ ფორმას იძენს. პარტერში სავარძელების განლაგება უფრო მეტადაა დანაწევრებული, მათ შორის, გასასვლელების ხარჯზეც, რაც ევაკუაციის მხრივ უფრო მოქნილ სქემას იძლევა. შემცირებულია მაცურებელთა რაოდენობაც. 1898 წლის „კავკასიის კალენდრის“ მიხედვით თეატრში 800-მდე ადგილია, თეატრის მაცურებელთა დარბაზის ეს გეგმარება უნდა ასახავდეს შტერნისეულ სათეატრო სივრცეს (*Кавказский Календарь на 1899 годъ* (1898), LIV, გვ. 611), მაგრამ, მისი პროექტით, სათავადაზნაურო ბანკის თეატრის ტევადობა ბევრად ნაკლებია, რაც მიუთითებს, რომ ცვლილებები თეატრში მუდმივად მიმდინარეობდა. 1901 წლის „კავკასიის კალენდრის“ გამოცემაში გამოქვეყნებული თეატრალური დარბაზის გეგმით თუ ვიმსჯელებთ, მაცურებელთა რაოდენობა იქ უკვე 700-მდეა. ცხადია, ეს ცვლილებები არ იფარგლება მხოლოდ მაცურებელთა განსხვავებული ტევადობით. გეგმარებითი სქემა შემდეგია: თეატრის მაცურებელთა დარბაზი სწორკუთხედის ფორმისაა, ნაწევრდება პარტერის, ბელეტაჟისა და გალერეის სართულებად (ილ. 3). უფრო დეტალურად კი: შტერნის პროექტით (1887 წ.), პარტერი დანაწევრებულია 17 უწყვეტი თხუთმეტსკამიანი რიგით, გასასვლელები ბენუარის ლოჟების გასწვრივაა მოწყობილი; ბენუარის სამ-სამი, ბელეტაჟის 18 და ლიტერის ოთხი ლოჟით, გალერეაში ამფითეატრულად განლაგებული ექვსი რიგით (სცენის მოპირდაპირე მხარეს) და ორ-ორი რიგით გვერდებში.

„კავკასიის კალენდრის“ გამოცემებში გამოქვეყნებული მაცურებელთა დარბაზის გეგმების მიხედვით (1892 -1899 წლების ყველა გამოცემაში გეგმა უცვლელია) პარტერი დაყოფილია 20 უწყვეტი თხუთმეტსკამიანი რიგით, გასასვლელები კი ბენუარის ლოჟების გასწვრივაა; ბენუარის სამ-სამი, ბელეტაჟის 18 და ლიტერის ოთხი ლოჟა გალერეაში ამფითეატრულად განლაგებულია ცხრა რიგად (სცენის მოპირდაპირე მხარეს) და სამ-სამი რიგად გვერდებში.

სურათი იცვლება 1901 წლიდან, კერძოდ, იმ წლის „Кавказский Календарь“-ში გამოქვეყნებული გეგმის თანახმად, მაცურებელთა დარბაზი კუთხეებმომრგვალებული სწორკუთხედის ფორმისაა. პარტერში 17 რიგია (განსხვავებული სიგრძისა და სკამების რაოდენობით), გვერდითი გასასვლელების გარდა, ბენუარის ლოჟების გასწვრივ ორი გასასვლელია დარბაზის რიგებს შორის. დარბაზში ბენუარის ოთხ-ოთხი, ბელეტაჟის 18 და ლიტერის ორი ლოჟაა, გალერეაში ამფითეატრულად განლაგებულ 180 ადგილზე გათვლილი ცხრა რიგით (სცენის მოპირდაპირე მხარეს), ასევე ორ-ორი (ოთხადგილიანი) და სამ-სამი (ჯამში, 72 ადგილი) რიგით გვერდებში.

ამდენად სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრის რეკონსტრუქციათა ქრონოლოგია „Кавказский Календарь“-ის მიხედვით ასე გამოიყურება:

1881 წლიდან – ა. ფონ სკოიანის პროექტით, ნახევარწრიული ფორმის მაცურებელთა დარბაზი (400 მაცურებელი);

1892 წლიდან – პ. შტერნის პროექტით, კუთხეებწაკვეთილი სწორკუთხედის ფორმის მაცურებელთა დარბაზი (800-მდე მაცურებელი);

1901 წლიდან – კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედის ფორმის მაყურებელთა დარბაზი (700-მდე მაყურებელი);

1908 წლიდან – ქრ. ტერ-სარქისოვ-სატუნცის პროექტით, ელიფსის ფორმის მაყურებელთა დარბაზი (700-ზე მეტი მაყურებელი).

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ პ. შტერნის პროექტით განხორციელებული რეკონსტრუქციის შემდეგ თეატრის მაყურებელთა დარბაზის ტევადობა მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანია (არაუმეტეს 700 ადგილისა).

სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრი - 1906-1908 წწ., არქ. ქრ. ტერ-სარქისოვი (სატუნცი).

სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს 1906-1908 წლებშიც, ეს უკვე ამპირის სტილში გადაწყვეტილი სათეატრო ნაგებობაა.

ჩვენს ხელთ არსებული სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრის ამსახველი საარქივო ფოტომასალა სწორედ ამ ბოლო ცვლილებებს ასახავს. შენობის კლასიციტური ფასადები, ნახევარწრიული ფორმის დარბაზი ორნამენტით მოხატული კედლებით - ამ ცვლილებების ამსახველი პირველი შტრიხებია.

სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრის რეკონსტრუქციის ავტორთან დაკავშირებით იმდროინდელი პრესა არაერთგვაროვან ინფორმაციას გვაწვდის. როგორც ჩანს, თეატრის პროექტზე სხვადასხვა არქიტექტორი მუშაობდა. ეს პროექტები თავად-აზნაურთა კრებებზე იყო წარმოდგენილი და მათზე აქტიურად მსჯელობდნენ. ამას ნათელყოფს პრესაში გამოქვეყნებული არაერთი პუბლიკაცია. მაგალითად, 1906 წლის 4 თებერვლის გაზეთ „Кавказ“-ის (Кавказ (1906), #28) მიხედვით, „ქართველ თავადაზნაურთა თეატრის რეკონსტრუქცია გადადებულია ამა წლის გაზაფხულამდე. არქიტექტორ კლდიაშვილისთვის შეთავაზებულია დეტალურად დაამუშაოს სათეატრო ნაგებობის რეკონსტრუქციის პროექტი სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის უფლებამოსილ პირთათვის საგაზაფხულო შეკრებაზე წარმოსადგენად. თავდაპირველი გათვლით ამ შენობის გადაკეთება ჯდება 57 000 რუბლი“. აქედან გამომდინარე, 1905 წელს დაიწყო თეატრის რეკონსტრუქციის პროექტზე მუშაობა, რომლის ავტორიც ს. კლდიაშვილი იყო. 1906 წლის თებერვლის დასაწყისში პროექტი შემდგომ დამუშავებას საჭიროებს და პირველადი ხარჯთაღრიცხვაც მზადაა. პირველი აკადემური განათლების მქონე ქართველი არქიტექტორი სიმონ კლდიაშვილიც პირველად ჩნდება სათეატრო არქიტექტურასთან კავშირში. როგორც ჩანს, პროექტზე მუშაობა ს. კლდიაშვილს აღარ გაუგრძელებია.

პარალელურად იკვეთება თეატრის პროექტის მოსამზადებლად საერთაშორისო კონკურსის გამოცხადების იდეა. აქ კვლავ თავს იჩენს თეატრის ქარვასლის შენობაში ინტეგრირების სირთულე. თუკი მანამდე მხოლოდ თეატრის რეკონსტრუქცია იდგა დღის წესრიგში, საერთაშორისო კონკურსის საგანი უკვე მთლიანად ქარვასლის შენობის პროექტის მომზადებაა და თეატრი, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი, ამ ერთიან პროექტშია მოაზრებული. მიუხედავად ამისა, ინტენსიურად განიხილება თეატრის გადაკეთების ცალკეული პროექტი. ზემოყვანილი კორესპონდენციიდან 4 თვის თავზე საკითხი კვლავ ღია დისკუსიის რეჟიმშია. ამის დასტურად გვევლინება 1906 წლის 4 ივნისის გაზეთ „Кавказ“-ში (Кавказ (1906), #128) გამოქვეყნებული სტატია, სათაურით „თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მორიგი თავყრილობა“, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი არქიტექტორ სარქისოვის მიერ წარმოდგენილი სათავადაზნაურო ბანკის გადაკეთების პროექტის განხილვა. „3 ივნისის კრება გადადის ქართველ თავადაზნაურთა თეატრის გადაკეთების პროექტის საკითხზე, რომელიც წარმოადგინა არქიტექტორმა სარქისოვმა. ი.ზ. ანდრონიკოვი კრებას

მოახსენებს, რომ ის გაეცნო გადაკეთების პროექტს და თვლის, რომ შედგენილია საკმაოდ კარგად - გონივრულადაა გამოყენებული არსებული თეატრალური ნაგებობის ადგილი სრულად, მაგრამ რასაც მანამდე ამბობდა და ეხლაც იმავე აზრისაა, რომ უნდა დაინგრეს არა მარტო თეატრის ნაწილი, არამედ მთლიანად შენობა და შედგეს ერთი კაპიტალური ნაგებობის პროექტი. ის ვარაუდობს გამოცხადდეს საერთაშორისო კონკურსი ერთიან პროექტზე, მანამდე კი ხელი მიჰყონ შენობის ერთი ნაწილის, კერძოდ, თეატრის რეკონსტრუქციას. ეს იმისთვის, რომ პირველ რიგში შედგეს საზოგადოებრივი მნიშვნელობის აქტი, რითაც ემველება უზინაოდ დარჩენილ ქართულ დრამატულ დასს. შემდეგ გაზარდონ შენობის შემოსავლიანობა, რომელიც ყოველწლიურად, მისი გათვლით, 8 ათასი მანეთის ზარალს ნახულობს. რეკონსტრუქციის ხარჯთაღრიცხვა შედგენილია 80 ათას მანეთზე და შეიძლება ამ ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება.

თავ. ამირეჯიბი. ამ თეატრის გადაკეთება არაერთხელ მომხდარა. არც თუ ისე დიდი ხნის წინ გადაგდებულია 30 ათასამდე მანეთი რაღაც უაზრო მინაშენისთვის, რომელიც ახალი პროექტის მიხედვით მთლიანად უნდა აიღონ. თავ. ანდრონიკოვი საკითხს, პირველ ყოვლისა, საზოგადოებრივი თვალსაზრისით მიუდგა. ის აცხადებს, რომ ქართულ დასს არ აქვს თავშესაფარი. თუკი ამ გარემოებიდან გამოვალთ, იქნებ უფრო სასარგებლო რამ მოვიფიქროთ, ვიდრე შენობის ერთი ნაწილის გადაკეთება, რომელიც შემდგომ შეიძლება არც შევიდეს ერთიანი კაპიტალური შენობის საერთო საკონკურსო გეგმაში და ამგვარად, ჩვენი 80 000 მანეთი ქუჩაში იქნება გადაყრილი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ საქმის კომერციულ მხარეს, მე შევთავაზებდი თავადაზნაურობას პატარა სახალხო თეატრის ასიგნებას 200 ათასი მანეთით, მაგრამ ეს არ მოგვცემს დიდ შემოსავალს, სამაგიეროდ ექნება დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა. მინდა შევნიშნო, რომ არ მესმის, რატომ უნდა დაიხარჯოს გადაკეთებაზე 80 ათასი და არა 180 ათასი მანეთი...

ბევრი ორატორი გამოდის კონკურსის გამოცხადების მომხრედ და მხარს უჭერს არწრუნის ყოფილი ქარვასლის მთლიანი შენობის თანდათან გადაკეთებას ამა თუ იმ არქიტექტორის მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით...

დისკუსია გრძელდება, და თეატრის გადაკეთების საკითხი კი კვლავ ღიად რჩება“.

განსხვავებული პოზიციების მიუხედავად, რამდენიმე თვეში სათავადაზნაურო ბანკის თეატრის პროექტი დამტკიცდა და მშენებლობაც დაიწყო. 1907 წლის 21 თებერვლის გაზეთი „Кавказ“ (Кавказ (1907), #31) საზოგადოებას აუწყებდა, რომ „კვირას, 18 თებერვალს, გაიმართა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო შეკრება გუბერნიის თავადაზნაურთა თავკაცის თავად ბაგრატიონ-დავიდოვის თავმჯდომარეობით. პირველ დღეს განიხილეს ქართველ თავადაზნაურთა თეატრის რეკონსტრუქციისთვის 11,000 რუბლით დამატებითი დაფინანსების საკითხი. მოხსენებამ მიმდინარე სამუშაოებზე დიდი გამოცოცხლება და კამათი გამოიწვია, რამდენადაც გაირკვა, რომ თეატრის ახლადამოშებულ კედლებს უკვე ბზარები გაუჩნდა. გადადო რა დაფინანსების საკითხი, სამშენებლო კომიტეტს და დეკუტატთა საკრებულოს სპეციალისტებთან ერთად დაევაალათ თეატრის ფუნდამენტის და როგორც ახლამოყვანილი, ისე ძველი კედლების შემოწმება“. როგორც ჩანს, სამშენებლო სამუშაოებთან ერთად პროექტი ცვლილებებს განიცდიდა, ამიტომაც ქართული სათავადაზნაურო ბანკის თეატრის ცვლილებების პროექტი საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტაციის საფუძველზე 1907 წლის 21 ივნისის მტკიცდება, თეატრის ელექტროგანათების პროექტი კი - 1908 წლის 11/22 აგვისტოს.

ქრისტოფორე ბოგდანის ძე ტერ-სარქისოვ-სატუნცი (1875-1917) - სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრის მომდევნო რეკონსტრუქციის ავტორია. უმაღლესი საინჟინრო-არქიტექტურული განათლება მან რუსეთში მიიღო. სათავადაზნაურო ბანკის თეატრი სატუნცის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პირველი სერიოზული პროექტი იყო (ტერ-

სარქისოვ-სატუნცის პროექტით თბილისში არაერთი საცხოვრებელი და შემოსავლიანი სახლი აიგო).

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრის შენობის 1907 წლით დათარიღებული პროექტის რამდენიმე ფურცელი, კერძოდ, ნაგებობის სიგრძივი ჭრილი და გალერეის გეგმა. ეს ნახაზები ინახება 1908 წლის პროექტთან ერთად, რომელიც თეატრის შენობის ელექტროგანათებისთვის განხორციელდა (სეა, სცა, ფ. 204 ა.1 ს. 4188). განსხვავებული მიზნის მიუხედავად, მასზე კარგად იკითხება ნაგებობის არქიტექტურული გადაწყვეტა. იქ წარმოდგენილია სარდაფის სართული, პარტერის, ბელეტაჟისა და გალერეის სართულები, ასევე - სიგრძივი ჭრილი. ეს პროექტი ჩვენთვის საინტერესოა იმ მხრივაც, რომ იგი განსხვავდება 1907 წლის ნახაზებისგან და სათეატრო შენობის შეცვლილ ინტერიერს გვიჩვენებს. 1914 წლის ხანძრამდე გადაღებული ფოტომასალა ზემოაღნიშნულ საპროექტო ნახაზებთან ერთად სასახლის ქუჩაზე მდებარე ქართული სათავადაზნაურო თეატრის შენობის მეტ-ნაკლებად სრულ სურათს წარმოაჩენს. შენობამ ფოტოზე ასახული სახე სწორედ 1906-1908 წლების რეკონსტრუქციის შემდეგ მიიღო. ახალი თეატრი 1908 წლის 27 (14) დეკემბერს აკურთხეს.

ამპირის სტილით ნაგები სათეატრო ნაგებობა რთული დანაწევრების ორსართულიანი შენობაა. მისი პირველი სართული შედარებით დაბალი და რუსტირებულია, მეორე კი - შებათქაშებული, ამით პირველი სართული მხატვრული თვალსაზრისით მეორისთვის ერთგვარი პოსტამენტის მნიშვნელობას იძენს. თეატრის ეზოსკენ მიმართული ფასადის ცენტრალური ნაწილი საერთო სიბრტყისგან მკვეთრად გამოყოფილი პორტიკია. იგი ნაგებობის ყველაზე მეტად გამორჩეული და დეკორატიულად შემკული ნაწილია. მეორე სართულზე დიდი მოცულობის თაღისებრი ფორმის სამი სარკმელი ერთმანეთს კორინთული ორდერის ოთხი სვეტით ემიჯნება. სარკმელთა თავზე კარნიზით დასრულებული კედელი ატიკით გრძელდება, იგი ოდნავ სიღრმეში იწევს და ოთხი სკულპტურული ფიგურითაა დამშვენებული. პორტიკის უკან ფრონტონით დასრულებული, აზიდული და ასევე გამოყოფილი საფასადო კედელი მორთულია ფრონტონის კიდეებზე სიმეტრიულად განლაგებული გრიფონების გამოსახულებებით. ამპირის სტილისთვის დამახასიათებელი მითოლოგიური, ასევე ანტიკური ხელოვნების რეპერტუარიდან აღებული მხატვრული სახეები სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრის შენობის ფასადზე უხვადაა წარმოდგენილი. ფასადის დანარჩენი (მარჯვენა და მარცხენა) ფრთები მოკლებულია შემკულობას, სადაა და ვერტიკალურ ხაზებთან მკვეთრად დაპირისპირებული ჰორიზონტალებითაა (ატიკები, კარნიზები, მოაჯირები) დამუშავებული. საზოგადოდ, მკაცრად გაწონასწორებულ საფასადო სისტემაში განსხვავებულადაა მოცემული საკუთრივ ფასადის კედლები და მათი სიმაღლე. ასე რომ, თავშეკავებული მკაცრი კომპოზიცია არ გადადის სტატიკაში და დეკორატიული სამკაულის გარდა, თავად კედლის სიბრტყეთა დანაწევრებით, მათი დონეების სხვადასხვაგვარობით უფრო აქტიური და ცოცხალია, ვიდრე კლასიციზმის ტიპური ფასადები.

სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრი მაყურებელთა დარბაზის ორიარუსიანი (პარტერი, ბელეტაჟი და ქანდარა) სტრუქტურითა და ღრმა სცენა-კოლოფით XIX საუკუნის რანგული თეატრების გავრცელებული ნიმუშია. იგი შემდეგ პრინციპზეა აგებული: ელიფსის ფორმის თეატრალურ დარბაზში პარტერის სართულზე ორსავ მხარეს ბენუარის ლოჟებია, ბელეტაჟის სართულზე ლოჟებია დარბაზის მთელ პერიმეტრზე. ქანდარის სართულზე, სცენის პირდაპირ, ამფითეატრულად გადაწყვეტილი გალერეაა. სცენის მომიჯნავე ნაწილებში სამიარუსად წარმოდგენილია ლოჟები. სცენასა და მაყურებელთა სივრცეს შორის კი არცთუ მცირე მოცულობის საორკესტრო ორმოა.

მაყურებელთა დარბაზი სათეატრო ნაგებობის მეორე სართულზეა წარმოდგენილი. მთავარი შესასვლელი თეატრში საზეიმოდ მორთული პორტიკიდანაა, საიდანაც მაყურებელი

ვესტიბიულში გადადის. ვესტიბიულის უკან გარდერობი და მუსიკოსებისთვის განკუთვნილი ოთახებია, მის გვერდით მთავარი კიბე, რომლითაც თეატრალური დარბაზის სართულზე ავდივართ.

მთავარი შესასვლელის თავზე (პორტიკის ნაწილში), მეორე სართულის დონეზე, გამართულია ვრცელი ფოიე, რომლიდანაც შეიძლება უკვე მაყურებელთა დარბაზში მოხვედრა. ეს ე.წ. პარტერის სართულია. გეგმაზე მის ორივე მხარეს სიმეტრიულად განლაგებული ლოჟებია. დარბაზის მარჯვნივ სასადილო, ბუფეტი და სცენის მხარეს, სიღრმეში, საბუტაფორიო განყოფილებაა, მარცხენა ფრთაში კი მოსაწევი ოთახი და მსახიობთათვის განკუთვნილი სივრცეები.

ბელეტაჟის სართულზე ყურადღებას იპყრობს დარბაზის მთელ პერიმეტრზე თითქმის ერთნაირი ზომის ლოჟები (22 ლოჟა), სცენის გვერდით სადეკორაციო განყოფილებაა, ხოლო მეორე მხარეს - მსახიობთა საპირფარეშოები. გალერეის სართულზე საკუთრივ გალერეის ბუფეტი, გარდერობი და სხვა დამხმარე სათავსოებია განლაგებული.

განსაკუთრებით საინტერესოა ინტერიერის სიგრძივი ჭრილი, იქიდან კარგად ჩანს სათეატრო სივრცის მთლიანი სტრუქტურა, მაგრამ აქ ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ 1907 და 1908 წლების პროექტები.

განსხვავებულადაა წარმოდგენილი მაყურებელთა დარბაზის გადახურვა. 1907 წლის ნახაზში ის სამკუთხა სეგმენტებით შეკრული ფორმისაა, ცენტრში ჭაღით, 1908 წლის პროექტში ოვალური ე.წ. გუმბათისებრი. 1907 წლის ნახაზზე მაყურებელთა დარბაზში საერთოდ არ არის ნაჩვენები სვეტები. 1908 წლის პროექტში კი ისინი პარტერისა და ბელეტაჟის სართულებზეა და არ არის მხოლოდ გალერეაში. 1907 წლის ნახაზზე გალერეის ცენტრალური ნაწილის ამფითეატრი შვიდრიგიანია, 1908 წლის პროექტში კი - ცხრა. თუ 1907 წლის ნახაზში გალერეის ამ ნაწილს აქვს სწორკუთხოვანი ბრტყელი გადახურვა, 1908 წლის პროექტში იგი ოვალურია და ამფითეატრის ზრდის შესაბამისად გაზრდილია მისი სიმაღლეც.

1907 წლის ნახაზზე პარტერის სართულში ოთხ-ოთხი ლოჟაა, 1908 წლის პროექტში - უკვე ხუთ-ხუთი. ასევე საინტერესოა 1907 წლის ნახაზზე ფოიეში ნაჩვენები იონური ორდერის სვეტები, ფასადზე კი - კორინთული. 1908 წლის პროექტში ფასადის კორინთული სვეტებია მოცემული, მაგრამ სრულებით სადაა ფოიეს ინტერიერი. ეს გეგმები, ვფიქრობთ, ასახავს პროექტზე მუშაობის პროცესს, მის სხვადასხვა ვერსიას, საბოლოო ვარიანტად კი უნდა მივიჩნიოთ „სათავადაზნაურო ბანკის თეატრის ელექტროობის პროექტი“ და „კავკასიის კალენდარში“ გამოქვეყნებული მაყურებელთა დარბაზის გეგმა (*Кавказский Календарь на 1909 год* (1908). LXIV. გვ.197).

როგორც ვხედავთ, თეატრის რეკონსტრუქციის პროექტი ცვლილებებს განიცდიდა და მუშავდებოდა. დოკუმენტურად დასტურდება, რომ ქართული სათავადაზნაურო თეატრის შენობის გადაკეთების და მასთან საკლუბო შენობის პროექტები განიხილეს და დაამტკიცეს 1906 წლის 5 აგვისტოს, მაგრამ თითქმის ერთი წლის შემდეგ (1907 წლის 21 ივნისს) შეტანილი ცვლილებების გამო მტკიცდება ქართული სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრის კორექტირებული პროექტი.

საქართველოს ეროვნულ არქივში სათავადაზნაურო თეატრთან დაკავშირებით დაცული საქმეების (სეა, სცა, ფ. 204 ა1, ს. 1473; ფ. 204 ა. 1 ს.1488) მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრის გადაკეთების პროექტი მომზადდა 1906-1908 წლებში. კერძოდ:

- 1906 წლის 5 აგვისტო - დამტკიცდა ქართული სათავადაზნაურო თეატრის შენობის გადაკეთების და მასთან საკლუბო შენობის პროექტები;

- 1907 წლის 21 ივნისი - ტიფლისის საგუბერნიო მმართველობის ტექნიკოსებმა განიხილეს ქართული სათავადაზნაურო თეატრის ცვლილებების პროექტი და დაამტკიცეს;

- 1908 წლის 11/22 აგვისტო - თეატრის ელექტროგანათების პროექტი განხილულია და მოწონებულია თბილისის საგუბერნიო მმართველობის სამშენებლო განყოფილების მიერ;
- 1908 წლის 25 ნოემბერი - თეატრის რეკონსტრუქცია დასრულებულია და ტექნიკურ შემოწმებას ითხოვენ;
- 1908 წლის 14 დეკემბერი - დაგეგმილია თეატრის გახსნა.

სათავდაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრის შემორჩენილი ფოტომასლა (ილ. 5) წარმოდგენას გვიქმნის თეატრის ექსტერიერზე. ერთი შეხედვით, ის პეტერბურგის ალექსანდრეს თეატრის ფასადებს მოგვაგონებს რუსტირებული, შედარებით დაბალი პირველი სართულით, კორინთული სვეტებით, პორტიკის ქანდაკებებით შემკული ცენტრალური ფრონტონით. კ. როსის მიერ XIX საუკუნის 30-იან წლებში ამპირის სტილში გადაწყვეტილი ფასადები მკაცრი და ლაკონიურია. იგი მთლიანად თავისი ეპოქის სტილითაა გაჯერებული. სათავდაზნაურო თეატრის ფასადი XX საუკუნის დასაწყისშია გადაკეთებული, ამიტომ კლასიციზმის სახასიათო ნიშნების გვერდით იქ ახალი, მოდერნის სტილისთვის ნიშანდობლივი ელემენტებიც ჩნდება: სარკმელთა გაღუნული ოვალეები, კედლის სიბრტყეთა დანაწევრებული ჰორიზონტები და ა.შ. საუკუნის წინანდელი სტილისტიკის გახსენება უფრო ალექსანდრეს თეატრის ფასადებით უნდა იყოს შთაგონებული, ვიდრე ეპოქის ეკლექტიკურ ტენდენციათა პოპულარობით. რაც შეეხება ინტერიერის საერთო-მხატვრულ გააზრებას და მის კავშირს ფასადებთან, ამ მხრივ ინტერიერ-ექსტერიერის სტილური ერთიანობისკენ ლტოლვა სათეატრო ნაგებობის არქიტექტურაში აშკარადაა გამოხატული.

1908 წლის 14 დეკემბერს სათავდაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრი საზეიმოდ აკურთხეს. „...დღეს, დღის 1 საათზე შედგება კურთხევა, სადამოს კი ქართული სპექტაკლების სეზონის გახსნა. ამ გახსნისთვის დადგამენ დრამას „სამშობლო“, თარგმანი თავად დ. ერისთავის. თეატრი გათვლილია 700 ადგილზე“, - წერდა გაზეთი „Кавказ“ (Кавказ (1908), #286).

თეატრის გახსნა დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო და მას ფართო რეზონანსი მოჰყვა. იმდროინდელი პრესა დიდ ადგილს უთმობდა სათავდაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრის საზეიმო გახსნის ღონისძიებათა აღწერას და საკმაოდ დეტალურად ასახავდა მას. თბილისის მაღალი საზოგადოების გარდა, „თეატრის კურთხევას ესწრებოდნენ: მისი უდიდებულესობა კავკასიის მეფისნაცვლის მეუღლე სტატს-დამა გრაფინია ე. ა. ვორონცოვა-დაშკოვა, მეფისნაცვლის თანაშემწეები ...ინფანტერიის გენერალი ნ.ნ. შატილოვი და ...ლ.დ. მიცკევიჩი, მეფისნაცვლის საბჭოს წევრები, მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორი გოფმესტერის თანამდებობაზე ნ.ლ. პეტერსონი, მეფისნაცვლის ამალა, გენერალიტეტი, კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი გ.ე. ბერხმანი, ტფილისის გუბერნატორი მ.ა. ლოზინა-ლოზინსკი, კომენდანტი გენერალ-მაიორი ჩირკოვი, მაღალი საზოგადოების ქალბატონები და დიდი რაოდენობა მოწვეულების. ხალხით გადავსებული თეატრის კურთხევის შემდეგ ქართული დრამატული დასის რეჟისორმა ა.ი. ყანჩელმა მოხსენება წაიკითხა რუსულად თბილისში ქართული თეატრის აღმოცენების ისტორიაზე. მცირე ანტრაქტის შემდეგ ქართულ ენაზე წარმოადგინეს ქართული დასის მიერ გათამაშებული ცაგარელის ერთაქტიანი პიესა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“.

პიესის დასრულების შემდეგ, მოწვეულ სტუმრებს შესთავაზეს ჩაი, შემდეგ ქართული ფილარმონიული საზოგადოების გუნდის მიერ შესრულდა რამდენიმე ვოკალური ნომერი. დასკვნით ნაწილში კი იყო ქართული თეატრისადმი მიძღვნილი აპოთეოზი კანტანტის შესრულებით. თეატრი არ არის დიდი, მაგრამ ძალიან მყუდრო და დახვეწილია, გათვლილია 700 ადამიანზე. მაყურებლისა და არტისტების კომფორტისთვის ბევრია გაკეთებული“ (Кавказ (1908), #287).

თეატრის გახსნას არაერთი პერიოდული გამოცემა გამოეხმაურა. „დროის დიდი შუალედის შემდეგ, თავიდან მოპირკეთებული და რეკონსტრუირებული ქართველ თავადაზნაურთა თეატრი დღეს იხსნება. გახსნისთვის ქართული დასი დგამს პიესას „სამშობლო“.

თეატრის რეკონსტრუქციისთვის თავადაზნაურობამ მსხვილი თანხა გაიღო. ძველი, მოუხერხებელი, ოთხკუთხა მაყურებელთა დარბაზი გადაიქცა თეთრად შეფერილ დახვეწილ ნახევარწრედ. ლოჟებში მოწყობილია დრაპირება მუქი მწვანე ხავერდისგან, ამავე ქსოვილითაა პარტერის მთელი ავეჯიც. სავარძლები ისეთია, როგორც სახაზინო თეატრში ასაწევი დასაჯდომებით.

დარბაზის იატაკს დიდი დახრა აქვს, რომელიც უფრო ძლიერდება უკანა რიგებში. არაპროპორციულად დიდია საორკესტრო ორმო, რომელსაც დარბაზის თითქმის მესამედი უკავია... სამაგიეროდ დადებით მხარეებს უნდა განეკუთვნოს დიდი, თავისუფალი დერეფნები და ორი ნათელი, ტევადი ფოიე შემკული დახვეწილი ავეჯით. ერთი ფოიე პირდაპირ უერთდება დარბაზს.

გაუმჯობესებულია თეატრის სცენაც... ვუსურვოთ ხელოვნების განახლებულ ტაძარს წარმატებები თავის სამხატვრო ასპარეზზე“, - წერდა გაზეთი “Тифლისкий Листок” (Тифლისкий Листок (1908), #263).

თეატრის გახსნის საზეიმო ღონისძიებებს გაზეთი მომდევნო ნომერში კვლავ უბრუნდება (Тифლისкий Листок (1908), #264). სტატიიდან „ქართული სპექტაკლების გახსნა“ თვალსაჩინოდ იკვეთება თეატრის გახსნის მნიშვნელობა, საზოგადოების დიდი ინტერესი და თავად გახსნის ცერემონიის მასშტაბი. ცერემონია მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და ორ - დილის და საღამოს - ნაწილად იყოფოდა. „კვირას შედგა ქართველ თავადაზნაურთა თეატრის შენობის გახსნა. საგანგებო მოსაწვევი ბილეთებით მოწვეულმა პუბლიკამ... იმდენად დიდი რაოდენობით მოიყარა თავი, რომ თეატრი ძლივს იტევდა საზეიმო გახსნაზე დასწრების ყველა მსურველს. ლოცვის შემდეგ, რომელიც დახვეწილ ფოიეში შედგა, სცენაზე გამოვიდა ქართული დრამატული დასის რეჟისორი ალ. ყანჩელი და მშრალად ანგარიში ჩააბარა საზოგადოებას ქართული სცენის ისტორიაზე. ამ მოხსენებიდან ჩვენ გაცვებულნი დავრჩით, თუ რაოდენ თვალსაჩინო როლი შეასრულა ქართული თეატრის ისტორიაში ფოტოგრაფმა როინაშვილმა, რომ დ. ერისთავის, ა. ცაგარელის გვერდით, რომელთაც გაამდიდრეს რეპერტუარი, არის ვალ. გუნიაც. კითხვის პროცესს თან სდევდა თეატრის პირველ მოღვაწეთა ცოცხალი პორტრეტების დემონსტრირება.. ილია ჭავჭავაძემ რატომღაც გადაწყვიტა კოლია ერისთავის გრიმი გაეკეთებინა, რაც მას კარგად გამოუვიდა. რუსული და სომხური პუბლიკისთვის ჩვენი რეპერტუარისა და ცხოვრების გაცნობის მიზნით წარმოადგინეს ნაწყვეტი ცაგარელის პიესიდან „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, რომელშიც გადმოცემულია ტფილისელი კინტოების ცხოვრება... ხანგრძლივი შესვენების შემდეგ დაიწყო საკონცერტო განყოფილება რამდენიმე დახვეწილი ნომრით, რომელიც შესანიშნავად შეასრულა ფილარმონიული საზოგადოების გუნდმა...

II. საღამოს მიდიოდა „სამშობლო“. ახალი დეკორაციებითა და ახალი კოსტიუმებით... ლევ. ხიმშიაშვილის როლში პირველად გამოვიდა გ. იშხნელი... თეატრალური დარბაზი მაისივით ნათელი და სიხარულით სასვია. ნამერწი მორთულობის მომცინარე ამურებს კი სიხარული შემოაქვთ გულში“.

როგორც ვხედავთ, განახლებული სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრის ამოქმედება დიდ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. გასათვალისწინებელია, რომ იმ დროისთვის თბილისში ფუნქციონირებს „არტიტული საზოგადოების თეატრი“, „სახაზინო თეატრი“ (ოპერა), ზუბალაშვილების სახელობის საქალაქო სახალხო სახლი. თბილისის ამ თეატრების რიგში დგება სათავადაზნაურო-

საადგილმამულო ბანკის თეატრიც. მათგან განსხვავებით საბანკო თეატრმა მხოლოდ 6 წელი, 1914 წლამდე, იარსება.

სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრმა ქარვასლის თეატრის ტრაგიკული ბედი გაიზიარა. 1914 წლის 25 სექტემბერს „დღის 5 საათზე, ქართველ თავადაზნაურთა ქარვასლაში სასახლის ქუჩაზე, გაჩნდა ხანძარი. როგორც ამბობენ, ცეცხლი თავდაპირველად გამოჩნდა შენობის სამხრეთ ფრთის (ერთი მხრიდან ემიჯნება ქართულ თეატრს) მეორე სართულის სახელოსნოებიდან, მეორე ვერსიით, ხანძარი გაჩნდა ქარვასლის ეზოში ქვედა სართულზე მდებარე რესტორან „კაფე პარიზის“ სამზარეულოდან. ცეცხლმა მოიცვა სახურავი და სწრაფად გავრცელდა გალერეის გადახურვაზე... სულ რაღაც 10-15 წუთში სამხრეთ კორპუსის თითქმის მთელი სახურავი, რამდენიმე მაღაზია, საწყობები, დუქნები და სახელოსნოები გალერეის სამხრეთ მხრიდან როგორც პირველ, ისე მეორე სართულზე გახვეული იყო ალში. მალე ხანძარმა მოიცვა „ახალი კლუბის“ ბანქოს პავილიონი მის საზაფხულო შენობაში, მსახიობთა საგრიმიოროები და თეატრის გარდერობი. საღამოს 7 საათზე ცეცხლმა მთელი თეატრი და „ახალი კლუბის“ შენობა მოიცვა... ქარვასლის უზარმაზარ შენობაში პანიკა გაჩნდა. ძლივს მოასწრეს შენობიდან ქონების გამოტანა, რომ თეატრის სახურავი ჩამოიქცა. ცოტა ხანში კი სამხრეთ ფლიგელის სახურავი. „ახალი კლუბის“ ბაღი ფრეილინის ქუჩის მხრიდან და ქარვასლის ეზო სავსე იყო თეატრალური ავეჯით, დეკორაციებით კლუბის, ქონებით, რესტორნის ბილიარდებით, სხვადასხვა საქონლითა და ა.შ.

საღამოს 8 საათზე ხანძარი ჯერ კიდევ მძვინვარებდა. ხანძარზე მოვიდა მეფისნაცვლის თანაშემწე სამხედრო ნაწილში ინჟანტერიის გენერალი ა.ზ. მიშლავესკი, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი, ვიცე-გუბერნატორი, პოლიცემისტერი და სხვ. სასახლის ქუჩის მიმდებარედ და ერივანსკის მოედანი გადავსებული იყო ხალხის მასით. მაყურებელთაგან მრავალი, სახანძრო რაზმთან და გამოძახებულ სამხედრო ჯგუფებთან ერთად, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ხანძრის ჩაქრობასა და ცეცხლმოკიდებული შენობიდან ნივთების გამოტანაში. ყველგან სანიმუშო წესრიგი იყო“, - წერს 1914 წლის 26 სექტემბრის გაზეთი „Кавказ“ (Кавказ (1914), #218) და იმავე ნომერში ბოდიშს უხდის მკითხველს, ვინაიდან „ქართველ თავადაზნაურთა ქარვასლაში გაჩენილმა ხანძრმა გამოიწვია დანადგარების გაჩერება, რომლებიც ენერგიას თავადაზნაურთა სადგურიდან იღებდნენ, ამიტომ „კავკასიის“ ეს ნომერი გამოვიდა ბოლო კორექტურის გარეშე“.

თითქმის 35 წლის განმავლობაში სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრის შენობა ქართული დრამატული დასის მუდმივი კერა იყო; თეატრისა, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა XIX-XX საუკუნეების თბილისისა და, ზოგადად, ქართული კულტურის ისტორიაში.

XX საუკუნის 30-იან წლებში, საბანკო თეატრის შენობის რეაბილიტაციის (არქიტექტორები: ნ. ნეპრინცევი, მ. პოპოვი) შემდეგ, სათეატრო ცხოვრება კვლავ გრძელდება და იგი უკვე რუსული დრამატული თეატრის ისტორიასთანაა წილნაყარი. 1930-იანი წლებიდან მოყოლებული სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრის ისტორიული შენობა ა.ს. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის სივრცეა. საუკუნოვანი სათეატრო შენობის ადგილას აგებულ ახალ თეატრშიც (არქიტექტორები: დ. მორზედამე, ლ. მეძმარიაშვილი), რომელიც 1977 წელს გაიხსნა, კვლავ რუსული დრამატული თეატრი დაბრუნდა და დღემდე მოქმედი ეს სათეატრო ნაგებობა თბილისის ა.ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური რუსული დრამატული თეატრის მუდმივი სამყოფელია.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:


ლიტერატურა:

1. ბერიძე, ვ. (1963). თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები. II. თბილისი. საბჭოთა საქართველო.
2. ბუხნიკაშვილი, გ. (1950). ქართული თეატრი ასი წლის მანძილზე. თბილისი. სახელგამი.
3. დოლიძე, ი. (2005). სათეატრო არქიტექტურა საქართველოში. თბილისი. პოლიგრაფი.
4. „ივერია“, #163, 31.07.1898
5. კაშმაძე, შ. (2015). თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, 1851-1921. I. თბილისი. ფავორიტი სტილი.
6. კიკნაძე, ვ. (2001). ქართული დრამატული თეატრის ისტორია. I. თბილისი. საარი.
7. მანია, მ. (2017). არქიტექტორი პაულ შტერნი და XIX საუკუნის ბოლო მეოთხედის თბილისი. *ხელოვნება დღეს*. 8.
8. ყაჯრიშვილი, გ. (1987). საქართველოს თეატრალურ ნაგებობათა ისტორიისთვის. *თეატრალური მოამბე*. 6.
9. „Кавказ“, #31, 02.08.1847
10. „Кавказ“, #169, 29.06.1890.
11. „Кавказ“, #128, 04.06.1906
12. „Кавказ“, #28, 04.02.1906
13. „Кавказ“, #31, 21.02.1907
14. „Кавказ“, #286, 14.12.1908.
15. „Кавказ“, #287, 16.12.1908.
16. „Кавказ“, #218, 26.09.1914
17. „Кавказ“, #218, 26.12.1914
18. „Кавказский Календарь на 1880 годъ“. (1879). XXXV. Тифлисъ.
19. „Кавказский Календарь на 1882 годъ“. (1881). XXXVII. Тифлисъ.
20. „Кавказский Календарь на 1886 годъ“. (1885). XLI. Тифлисъ.
21. „Кавказский Календарь на 1899 годъ“. (1898). LIV. Тифлисъ.
22. „Кавказский Календарь на 1902 годъ“. (1901). LVII. Тифлисъ.
23. „Кавказский Календарь на 1909 годъ“, (1908). LXIV. Тифлисъ,
24. „Тифлиский Листок“, #263, 14.12. 1908.
25. „Тифлиский Листок“, #264, 16.12.1908.


წყაროები:

1. სეა, საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. 204 ა.1 ს. 4188
2. სეა, საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. 204 ა1, ს. 1473
3. სეა, საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. 204 ა. 1 ს.1488


ილუსტრაციები:



1. არწრუნის თეატრის გეგმა.
Кавказский Календарь на 1882 годъ. XXXVII, Тифлисъ, 1881.



2. სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრი.
„Кавказский Календарь на 1899 годъ“, LIV, Тифлисъ, 1898.



3. სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრი.
„Кавказский Календарь на 1902 годъ“, LVII, Тифлисъ, 1901.



4. სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრი.
„Кавказский Календарь на 1910 годъ“, LXIV, Тифлисъ, 1909.



5. სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრი.
არქ. ქრ. ტერ-სარქისოვი (სატუნცი).

**Irma Dolidze,
Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University Dimitri Janelidze
Scientific-Research Institution**

From the History of Theatrical Architecture of the 19th century (Theatre of Nobles' Bank)

Summary

In Georgia the first European closed theatrical buildings were built in Tbilisi since mid-period of 19th century. Together with the buildings particularly constructed for theatres (Tbilisi Theatre, the so-called Caravanseraï Theatre; Summer Theatre; Theatre of "Artistic Society"; Treasury (Opera) Theatre) there can be met the ones which were reconstructed for theatrical function (Manezh Theatre; Theatre of Nobles' Bank). According to the architectural structure, these theatres of 19th century . were closed buildings with a stage-box developed in perspective and a tiered hall (such kind of a structure is still typical for theatre buildings in Europe).

Quite a unique type of the theatre buildings of 19th century is presented by the Georgian caravanserais that integrate the theatres. These are: Tbilisi Theatre (Caravanseraï Theatre) and the Theatre of Nobles' Bank in Tbilisi. The history of the latter starts in 1878, when the first private theatre

was opened in the space of G. Artsruni's caravanserai, reconstructed as a theatre (architect A. von Skoyan). The building was purchased by the Nobles' Bank, that's why it was called the "Theatre of Bank". According to the design of von Skoyan, the theatre hall for 400 spectators had a semi-circular shape and was two-tiered. The next reconstruction of the theatre was related to the name of an entrepreneur V. Forcati. As a result of the reconstruction, the capacity of the hall increased up to 800 seats (architect P. Schtern).

The building of the Theatre of Nobles' Bank had significant changes in 1901 and 1906-1908 (architect Christ. Ter-Sarkisov). For that time, it was already a building of the Empire style.

The building of the Theatre of Nobles' Bank, located in Tbilisi, Sasakhle (Palace) Street, was burnt in the fire in 1914. For 35 years, this theatre was a permanent center for the Georgian theatrical troupe, and it had significant role for the history of culture of Tbilisi, and Georgia, in general.

**თაშთა შონვაძე,
საქართველოს ეროვნული არქივი**

თბილისის კულტურული დაწესებულებები XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში

თუ თბილისის XIX საუკუნის არქიტექტურას გადავხედავთ, ნათლად დავინახავთ, რაოდენ დიდი ადგილი ეკავა დედაქალაქის განაშენიანებაში საზოგადოებრივ დაწესებულებებს.

ჩემი თემა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში, თბილისში, კერძოდ კი რუსთაველისა (გოლოვინი) და დავით აღმაშენებლის (მიხეილის) პროსპექტებზე და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ კულტურულ დაწესებულებათა ნაგებობებს ეხება. ესენია: თეატრების, მუზეუმების და სინემატოგრაფის შენობები. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, შემოვიფარგლე საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალით, რომლის განხილვითაც გვსურს საზოგადოებას დავანახოთ დედაქალაქის ამ ორი მნიშვნელოვანი პროსპექტის განაშენიანება, თუ რა შენობა-ნაგებობები და დაწესებულებები არსებობდა აქ, რომელთა ნაწილი დღეს სამწუხაროდ აღარ შემორჩა. ნაშრომი საინფორმაციო ხასიათისაა და ეს არის პრეზენტაცია იმ თემისა, რასაც ეროვნულ არქივში ეხლა ვამუშავებთ. ეს არის პროექტები, ნახაზები, ფოტო თუ დოკუმენტური მასალა, რომელიც მეტნაკლებად მთლიან და უწყვეტ სურათს გვიქმნის ამ პერიოდის თბილისში არსებულ კულტურულ დაწესებულებებზე.

ჩემს მიერ განსახილველი შენობა-ნაგებობები, ქვემოთ მოყვანილი იქნება ნომრების მიხედვით: შალვა ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი #1; გაბრიელ

თამამშვევის ქარვასლა-ოპერა #2; ქართული სათავადაზნაურო თეატრი #3; კავკასიის მუზეუმი #4; კავკასიის სამხედრო-ისტორიული მუზეუმი #5; საზაფხულო თეატრი #6; საარტისტო საზოგადოების თეატრი #7; სინემატოგრაფი „არფასტო #8; ზაქარია ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობა, სახაზინო თეატრი #9; სინემატოგრაფი „პიკადილი“ #10; ალექსანდრე მელიქ-აზარიანცის სახლი #11; სოფია ივანიცკას ხის სინემატოგრაფი #12; ნიკოლოზ ლუკატოს სინემატოგრაფი #13; ერიციანის თეატრი და სინემატოგრაფი #14; ფრიდრიხ ვეტცელის სასტუმრო #15; თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი #16; კინოთეატრი „აპოლო“ #17; სინემატოგრაფის შენობები #18-#20; კოტე მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრი #21.

შენობა #1, რომელშიც 1950-იანი წლებიდან შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმმა დაიდო ბინა შვეიცარიელ არქიტექტორს, ჯუზეპე ბერნარდაცის (1788-1840) ეკუთვნის. კლასიციზტური სტილით გამორჩეული შენობა 1830-იან წლების მიწურულშია აგებული (ბერიძე, 1860 წ. გვ. 54, 56-57) და იმ დროისათვის ის ერთადერთ ყველაზე დიდ კერძო ნაგებობას წარმოადგენდა გარეთუბანში (ხომტარია, 2011 წ. გვ. 78-80).

შენობა #2, გაბრიელ თამამშვევის ქარვასლა-ოპერის შენობა, პასკევიჩ-ერევნელის (დღევანდელი თავისუფლების) მოედანზე მდგარა. თბილისის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ნაგებობა იტალიელ არქიტექტორს, ჯოვანი სკუდიერის (1816-1851) ეკუთვნის („театр в тифлисе“ 1845-1856. 1888; ბერიძე, 1860, გვ. 58-63, 142; დოლიძე, 2015, გვ. 75-80), რომელიც 1851 წლის 12 აპრილს საზეიმოდ გაიხსნა (სურ. #1). ეროვნულ არქივში დაცული კორესპონდენცია და ოფიციალური ანგარიშები დაწვრილებით წარმოდგენას გვიქმნის თბილისის თეატრზე, იქ გამართულ სპექტაკლებზე, იტალიური ოპერის (სეა სცა ფ. 416, ან. 3, ს. 592) და რუსული თეატრალური დასის ფორმირებაზე (სეა სცა ფ. 416, ან. 3 ს. 593). კონტრაქტის პირობების თანახმად გაბრიელ თამამშვეს უნდა შეენახა შენობა და შეენარჩუნებინა მისი იერსახე, ფუნქცია და ხასიათი, რომელიც გათვალისწინებული იყო დამტკიცებულ ნახაზებსა და გეგმებში. როგორც ჩანს, არც გაბრიელ თამამშვევის შთამომავლებს ჰქონიათ შენობის იერსახის ცვლილების უფლება. ამაზე მეტყველებს იმ ნებართვების არსებობა, რომელსაც ისინი ქალაქის გამგეობისგან ითხოვდნენ შენობის სარემონტო და შიდა სამუშაოების შესასრულებად (სეა სცა ფ.192, ან.8ა, ს.9742).

შენობა #3, ქართული სათავადაზნაურო თეატრი, სხვადასხვა არქიტექტურული სტილის ნაზავს წარმოადგენს და სასახლისა და ერეკლე მეორის ქუჩებს (შემდგომში ფრეილინის (სეა სცა ფ.204, ან. 1, ს. 719), დღეს კი სულხან-საბა ორბელიანისა და შოთა რუსთაველის გამზირს) შორის მდებარეობდა. იგი თავისი არსებობის მანძილზე რამდენიმეჯერ იქნა საფუძვლიანად გადაკეთებული და აქედან გამომდინარე რამდენიმე ცნობილი არქიტექტორის სახელთანაა დაკავშირებული. არქიტექტორმა ადოლფ ფონ სკოიანმა, 1878 წელს, გენერალ-მაიორ გრიგოლ არწრუნის კუთვნილ ქარვასლის რეკონსტრუქციის შედეგად ააგო თეატრის შენობა. ეს იყო პირველი კერძო თეატრი თბილისში, რომელიც 1879 წელს გაიხსნა. იგი 1884-86 წელს სათავადაზნაურო ბანკს შეუძენია, რის გამოც მას სათეატრო ბანკადაც მოიხსენიებენ (მანია, 2018, გვ.192; 2017. 8, გვ. 3-19; დოლიძე, 2005, გვ. 98-104; გერსამია, 1984, ანოტაცია 133).

შენობას, სერიოზული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 1887-88 წლებში. შესაძლოა სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული, 1887 წლის 2-4 ივნისის თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის ქარვასლის თეატრის გადაკეთებისა და რემონტის პროექტი (სეა სცა ფ. 204, ან. 1, ს. 719), რომლის ავტორიც არქიტექტრი პაულ შტერნი გახლდათ (სურ. #2). 1904 წლის აქტებში აღნიშნულია, რომ სათავადაზნაურო თეატრის შენობა საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით გამოუსადეგარია (სეა სცა ფ.204, ან.1,

ს.1393). მას მნიშვნელოვანი გადაკეთებები ჩაუტარდა 1906-1908 წლებში (სეა სცა ფ.204, ან.1, ს.1473). ამ მხრივ საინტერესოა არქიტექტორ ხრისტოფორე ტერ-სარქისოვის 1907 წლის ნახაზები (სურ. #3) და 1908 წლის საზოგადოება უნიონის მიერ შესრულებული თეატრის ელექტროფიკაციის პროექტი (სურ. #4). ეს ნახაზები და პროექტი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის შენობის ინტერიერისა თუ საფასადო არქიტექტურის ცვლილებებსა თუ თავისებურებებზე (სეა სცა ფ.204, ან.1, ს.4188; დოლიძე, 2005, გვ. 101-104).

შენობა #4, კავკასიის მუზეუმი გახლდათ პირველი სპეციალური შენობა, რომელიც თავიდანვე მუზეუმისთვის იყო განკუთვნილი და სპეციალურად მისთვის აიგო (ჟორდანიას, 1951). იგი, დღევანდელი სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ადგილას, გოლოვინის პროსპექტის, ბარონისა და გრაფის ქუჩების და ნიკოლოზის შესახვევს შორის (დღევანდელი შოთა რუსთაველის გამზირის, ა. ფურცელაძის, ლ. გუდიაშვილის ქუჩების და გუდიაშვილის შესახვევი) მდებარეობდა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მთელი კომპლექსის ნაწილს წარმოადგენდა.

უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის მუზეუმმა ბინა ჯერ პოდპოლკოვნიკა ლიპინსკაიას სახლში დაიდო 1854 წელს, რომელიც ჭავჭავაძისა და კომენდანტის (დღევანდელი გრიბოედოვის) ქუჩების გადაკვეთაზე მდებარეობდა. ხოლო 1858 წლის აგვისტო-სექტემბრიდან მუზეუმი გადატანილ იქნა იმავე ჭავჭავაძის ქუჩაზე, ივანე ზუბალოვის სახლში. 1868 წელს, კოხტა პროპორციებით გამორჩეული, სადა და კლასიციზტურ-რენესანსულ სტილში გადაწყვეტილი კავკასიის მუზეუმის შენობა, თბილისში მოღვაწე გერმანელი არქიტექტორის და არაერთი მნიშვნელოვანი შენობის ავტორის, ალბერტ ზალცმანის პროექტით შენდება (მანია, 2018, გვ.96)¹. ზალცმანის სახელთანაა დაკავშირებული, მუზეუმის ირგვლივ არსებული ცალკეული ნაგებობების პროექტებიც: ქალთა გიმნაზიის², საჯარო ბიბლიოთეკის (სურ. #5), კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს სტამბის, სამხატვრო სკოლის შენობები (სეა სცა ფ.203, ან.1, ს.66), მუზეუმსა და ბიბლიოთეკის შენობებს შორის მოწყობილი თაღოვანი გალერეა და სამეცნიერო შეკრებების დარბაზი (რომელიც არ განხორციელებულა). დაბოლოს, თლილი ქვის ცოკოლზე მდგარი კედელი მუზეუმსა და ბიბლიოთეკას შორის, რომლის რკინის ლამაზი აჟურული ცხაური მექანიკოს რუქსს შეუსრულებია (სეა სცა ფ.203, ან.1, ს.373).

1911 წელს კავკასიის მუზეუმი დაიხურა შენობის ავარიულობის გამო და იმავე ადგილას დაიწყო ახალი მუზეუმის მშენებლობა - ეს გახლდათ დღევანდელი სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.

ალბერტ ზალცმანის სახელთანაა დაკავშირებული, გოლოვინის პროსპექტზე, ალექსანდრეს ბაღში მდგარი შენობა #5-ის პროექტიც. ეს არის ბაროკოს სტილის ნიშნებით გამორჩეული, 1888-1892 წლებით დათარიღებული კავკასიის სამხედრო-ისტორიული მუზეუმი, იგივე „დიდების ტაძარი“ (ბერიძე, 1963, გვ. 74). სამხედრო მუზეუმის არსებობას ჯერ კიდევ 1884 წელს დონდუკოვ - კორსაკოვი ითხოვდა. სამხედრო მუზეუმზე არსებული ვრცელი დოკუმენტური მასალა წარმოდგენას გვიქმნის მუზეუმის დაარსების მნიშვნელობაზე, მის ფუნქცია-მოვალეობებზე, განყოფილებებსა და მუზეუმის ინვენტარზე (სეა სცა ფ.1087, ან.1, ს.51; სეა სცა ფ.1087, ან.1, ს.97; ფ.1087, ან.1, ს.123).

შენობა #6 საზაფხულო თეატრი. სამხედრო მუზეუმის ქვემოთ, საინჟინრო უწყების ბაღში, მდებარეობდა თბილისის ქრონოლოგიურად მეორე თეატრის შენობა, სადაც გაბრიელ

¹ „მოგვიანებით მუზეუმისთვის მეორე სართული დაუმატებიათ. კავკასიის მუზეუმის ერთ-ერთი დამფუძნებლის გუსტავ რადეს ბიოგრაფის თანახმად მისი ავტორი გახლდათ ლეოპოლდ ბილფელდი“.

² ქალთა პირველი გიმნაზიის შენობა, აგებული 1874 წელს, ერთადერთია, რომელიც ზემოთხსენებული კომპლექსიდან დღემდე შემორჩა.

თამაშვევის ქარვასლა-ოპერაში მომხდარი ხანძრის შემდეგ ეწყობოდა სპექტაკლები. მისთვის ადგილი სპეციალურად, ქალაქის ცენტრში, საინჟინრო ბაღში აირჩა, დღევანდელი ს. ვირსალაძის ქუჩისა და ალექსანდრეს ბაღის მიმდებარედ (მანია (1998). თბილისის ერთი უცნობი ჩანახატი. *ლიტერატურა და ხელოვნება*, #2, გვ.84-85.¹). თეატრის და მასთან არსებული სხვა ნაგებობების მშენებლობა და სარემონტო სამუშაოები, ალბერტ ზალცმანის სახელთანაა დაკავშირებული. საზაფხულო თეატრის მშენებლობა დაიწყო 1869 წლის 11 ოქტომბერს. ეროვნულ არქივში სხვადასხვა ფონდი გვაწვდის საზაფხულო თეატრის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას. აქედან საინტერესოა ერთი მომენტი, 1869-71 წლის დოკუმენტში საუბარია, რომ ალბერტ ზალცმანს დაევალა თეატრის ხის შენობის დაგეგმარება და მშენებლობა, მაშინ როცა 1874 წლის დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ შენობა იყო ქვისგან ნაგები (სეა უიცა ლიტ. და ხელ. განყ. ფ.5, ან.1, ს.1094; სეა უიცა ლიტ. და ხელ. განყ. ფ.55, ან.1, ს.45), რაც შენობაზე ჩატარებულ შესაძლო რეკონსტრუქციაზე ან პროექტის ცვლილებაზე მეტყველებს. ამას ამტკიცებს ალბერტ ზალცმანის მიერ 1873-79 წწ. წარდგენილი შენობაზე ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა და ანგარიშები დამხარე ქვის შენობა-ნაგებობების (სურ. #6), ორანჟერიისა და საწყობის აგებაზე (სეა სცა ფ.203, ან.1, ს.302; სეა უიცა ლიტ. და ხელ. განყ. ფ.55, ან.1, ს.49). თეატრის შენობის ადგილმდებარეობასა და მის მიმდებარე შენობა - ნაგებობებზე, ყველაზე ნათელ და ვრცელ სურათს 1878 წლის გენგემა გვიქმნის (სეა უიცა ლიტ. და ხელ. განყ. ფ.55, ან.1, ს.56), რომელზედაც 1874 წლის ნახაზისგან განსხვავებით: გაზრდილია ორანჟერია, შეცვლილი და დამატებულია დახმარე ნაგებობები და თავად თეატრის შენობაზეც განხორციელებულია მცირე მიშენება.

შენობა #7. პროსპექტის საერთო განაშენიანებაში, რენესანსულ-ბაროკულ სტილში გადაწყვეტილი საარტისტო საზოგადოების თეატრის შენობა (1901წ.) გამოირჩევა. 1898 წელს თეატრის მშენებლობისთვის, გენერალ-მაიორ ნ. რეიტერის კუთვნილი მამული შეირჩა, საიდანაც, ახალი შენობის ასაგებად, ძველი ნაგებობები აიღეს (ბეჟანიშვილი, 1967, გვ 45-46). არქიტექტორები გახლდნენ: ალექსანდრე შიმკევიჩი და კორნელი ტატიშჩევი. მართალია საარტისტო საზოგადოების თეატრზე, სხვა შენობებისგან განსხვავებით, დოკუმენტური მასალა შედარებით მცირეაა წარმოდგენილი, მაგრამ აღნიშვნის ღირსია ჩვენთან დაცული შენობის ფასადის ორი 1899 წლის 20 მაისის და 1900 წლის 28 მარტის პროექტი (სეა სცა ფ.204, ან.1, ს.4133; სეა სცა ფ.192, ან.8ა, ს.5838) და მდიდარი ფოტო მასალა. ფასადის პროექტებს შორის განსხვავება, შენობაზე გადახურული პორტიკის მიშენებით განისაზღვრება, რომელიც მას 1900 წელს მიაშენეს.

შენობა #8, სინემატოგრაფი „არფასტო“, მიხეილ არამიანცის სახლში, რუსთაველის გამზირის #23-ში (დღევანდელი თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის შენობა) მდებარეობდა (სეა სცა ფ.192, ან.8ა, ს.10361). სინემატოგრაფის პროექტი თბილისის ქალაქის ხუროთმოძღვართა საბჭომ 1920 წლის 10 ნოემბერს განიხილა და დაამტკიცა. შენობა აღსანიშნავია იმითაც, რომ გადმოცემის თანახმად აქ 1905 წელს პირველი საზამთრო კინოთეატრი „ელექტრული პროექტორი“ გაიხსნა. ჩვენთან დაცული საბუთების მიხედვით სინემატოგრაფ „არფასტოს“ დირექტორი გახლდათ მეჩესლავ ტრეტნოვი.

შენობა #9. ფსევდომაჯრულ სტილით გამორჩეული სახაზინო, იგივე ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობა გაიხსნა 1896 წლის 3 ნოემბერს. მას მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თბილისის, კერძოდ კი რუსთაველის გამზირის განაშენიანებასა და მის მხატვრულ-არქიტექტურული სახის ჩამოყალიბებაში. ახალი თეატრის მშენებლობის იდეა გაბრიელ თამაშვევის ქარვასლა-ოპერის დაწვისთანავე გაჩნდა. შენობა უნდა აგებულიყო არქიტექტორ ვიქტორ შრეტერის საკონკურსო პროექტის „ნე

¹ (ყოფილი ბარიატინსკის (გიორგი ჭანტურიას), საპიორნაიას (რეზო ლადიძის) ინჟინერნაიას (სოლიკო ვირსალაძის) ქუჩებისა და ვოდოვოზნაიას ქუჩის შესახვევის რკალში იყო მოქცეული)

ვპერვი“–ს მიხედვით (1880წ.) (ბერიძე, 1963, გვ. 69-72; დოლიძე, 2015, 116-144). მშენებლობისთვის გოლოვინის პროსპექტზე არსებული, გ. ზუბალოვის და ჩითახოვის მიწის ნაკვეთი შეირჩა. მშენებლობის დაწყებამდე, მოსუფთავდა ტერიტორია და აღებულ იქნა რამდენიმე ნაგებობა (სეა უიცა ლიტ. და ხელ. განყ. ფ.146, ან.1, ს.5). ეროვნულ არქივში დაცულ მდიდარ დოკუმენტურ მასალასთან ერთად, უნდა აღინიშნოს სახაზინო თეატრის 1879 წლის არქიტექტორ ვიქტორ შრეტერისა (სეა უიცა ლიტ. და ხელ. განყ. ფ.55, ან.1, ს.60) და 1880 წლის, საქმეთა მწარმოებლის, სამოქალაქო ინჟინრის პაულ შტერნის (სეა უიცა ლიტ. და ხელ. განყ. ფ.146, ან.1, ს.12) გენგემა (სურ. #7)¹ და ელექტროგაყვანილობის პროექტის ნახაზები, შესრულებული სანქტ პეტერბურგის ფირმის „სიმენს და გალსკეს“ მიერ (1895-96წწ.) (სეა სცა ფ. 204, ან. 1, ს. 932). მნიშვნელოვანი წვლილი სახაზინო თეატრის მშენებლობაში მიუძღვით არქიტექტორებს: ოტო სიმონსონს, პაულ შტერნს და ალბერტ ზალცმანს, რომელიც 1896 წლამდე, შენობის დასრულებამდე ხელმძღვანელობდა მშენებლობას (მანია, 2018, გვ. 188). აქვე აღსანიშნავია თბილისში მოღვაწე ანჯელო ანდრიოლეტის და ვინჩენცო რიცის მარმარილოსა და მოზაიკის მხატვრული დამუშავების სახელოსნო, სადაც შესრულებული იქნა ოპერის შენობისთვის განკუთვნილი თეთრი მარმარილოს კიბე.

შენობა #10 სინემატოგრაფი „პიკადილი“ (სეა სცა ფ.204, ან.1, ს.2446). 1918 წელს, გოლოვინის პროსპექტის #36 აგებული, საზაფხულო ხის, დროებითი შენობა, თავისი შვიდი მაღაზიით მიუყვებოდა გოლოვინის პროსპექტს (სურ. #8). პროექტი ეკუთვნის სამოქალაქო ინჟინერ - ახვერდოვს. ძალზე შთამბეჭდავია სინემატოგრაფის მონაცემები, რომელიც 904 მაყურებელზე იყო გათვალისწინებული. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით სინემატოგრაფი „პიკადილი“, იმ დროისათვის ყველაზე დიდი და მოცულობითი იყო დროებითი შენობებიდან.

თბილისში პროფესიული თეატრალური შენობების გარდა, იყო ნაგებობები, რომელშიც მოწყობილი იყო დროებითი თეატრები და სინემატოგრაფები. სწორედ ამგვარი ნაგებობების მაგალითს წარმოადგენს შენობა #11, ალექსანდრე მელიქ-აზარიანცის სახლი. იგი მეოცე საუკუნის 10-იან წლებში აიგო (მანია, 2006, გვ. 115-116). ეს იყო მოდერნის სტილის მრავალფუნქციური ნაგებობა, რომელიც თავის თავში საცხოვრებელთან ერთად თეატრს, მოგვიანებით კი ორ სინემატოგრაფს აერთიანებდა. ეროვნულ არქივში დაცული მასალების თანახმად 1915 წელს აქ მოწყობილი ყოფილა 550 მაყურებელზე გათვლილი სინემატოგრაფი (სეა სცა ფ.204, ან.1, ს.1939), 1917 წელს უნდა მოეწყობოთ მინიატურების თეატრი (სეა სცა ფ.204, ან.1, ს.1995), ხოლო 1918 წელს მის ეზოში სინემატოგრაფი „ამირანი“ (სურ. #9; სეა სცა ფ.204, ან.1, ს.2444), რომლის მფლობელები ყოფილან კრაუზე და გეგელი.

როგორც დავინახეთ პირველი თეატრი, ქალთა თუ ვაჟთა გიმნაზია, მუზეუმი, პირველი სამხატვრო სკოლა და ერთ-ერთი პირველი სინემატოგრაფი მდებარეობდა გოლოვინის, იგივე რუსთაველის გამზირზე. აქ, ამ ძირითადი კულტურული ნაგებობების თავმოყრა, პროსპექტის და მისი მიმდებარე ტერიტორიის მნიშვნელოვანებასა და ქალაქის მომავალ განვითარებაზე, მის გეზზე მეტყველებს, რასაც საფუძველი, 1830-იან წლებში ჩაეყარა. ქალაქმშენებლობისთვის, არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მტკვრის მარცხენა სანაპიროს, მიხეილის გამზირსაც, სადაც სხვადასხვა საზოგადოებრივ ნაგებობებთან და სასწავლებლებთან ერთად დიდ ადგილს იკავებს კულტურული დაწესებულებები.

თუ მუზეუმების და თეატრების შენობების ძირითადი ნაწილი კონცენტრირებული იყო გოლოვინის პროსპექტზე, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავდა პერიოდს 1830 - 1920 წწ., მიხეილის გამზირზე მხოლოდ რამდენიმე თეატრი გვხვდება, სინემატოგრაფის შენობებისგან განსხვავებით, რომელთა უმრავლესობა სწორედ აქ იყო წარმოდგენილი.

¹ ამგვარად არის მოხსენიებული არქიტექტორი პაულ შტერნი აღნიშნულ გენგემაზე.

როგორც ცნობილია თავდაპირველად სენსებიტივის სხვადასხვა შენობა-ნაგებობებს ქირობდნენ, როგორც იყო გადახურული ბაზრები, საცირკო შაპიტოები, სასტუმროები თუ სხვა. ნელნელა კი გამოიკვეთა კინოარქიტექტურის თავისებურებები და მისი მოთხოვნები. ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, თბილისში სინემატოგრაფის შენობების დაპროექტება 1905 წლიდან იწყება. ამ დროისთვის დედაქალაქში რამდენიმე სინემატოგრაფი არსებობდა, მათ შორის ძირითადად იყო დროებითი ხის შენობები, რომლებიც ერთი ან რამდენიმე სეზონით იდგმებოდა. ჩვენთან დაცული მასალის მიხედვით, სინემატოგრაფის ყველაზე ადრეული ნაგებობა მუშტაიდის ბაღში მდებარეობდა და 1905 წლით თარიღდება (სეა სცა ფ.204, ან.1, ს.1433). ეს არის შენობა #12, სოფია ივანიცკას ხის სინემატოგრაფი, გათვლილი 150 მაყურებელზე. საქმეში დაცულია მისი თხოვნა, სადაც იგი საგუბერნიო მმართველობისგან ითხოვს, მუშტაიდის ბაღში მდგარი, შენობის საერთო მდგომარეობის შესწავლას, რათა მას აღნიშნულ შენობაში სინემატოგრაფის მოწყობის უფლება მიეცეს. მუშტაიდის ბაღის განვითარება და დატვირთვა კულტურული დაწესებულებებით, ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იან წლებში, ხდება, რაზეც იქ არსებული სხვადასხვა კულტურული დაწესებულების არსებობა მეტყველებს, იქნება ეს საზაფხულო თეატრი თუ ცირკი.

შენობა #13. მიხეილის¹ ქუჩის #17-ში (ძველი ნუმერაციით), პეტრე არგუტინსკის მიწაზე მდებარე, ნიკოლოზ ლუკატოს, ხის დროებითი სინემატოგრაფის შენობა (სეა სცა ფ. 192, ან. 8ა, ს. 8257), რომელიც 1907 წლის 16 აპრილით თარიღდება, გამოირჩევა მთავარი ფასადის მხატვრული გადაწყვეტით. არქიტექტორი გახლდათ ა. კარაპეტოვი.

შენობა #14. პლენანოვის პროსპექტზე (დღევანდელი დავით აღმაშენებლის გამზ.) 91 ნომერში მდებარე ერიციანის თეატრი. იგი სინემატოგრაფისა და თეატრის ერთ შენობაში მოწყობის, ზემოთ უკვე აღნიშნულ, მაგალითს წარმოადგენს. 1917-1918 წლებში აქ მოწყობილი იყო სინემატოგრაფი „არსი“ (სეა სცა ფ.204, ან.1, ს.2417), 1919 წელს სინემატოგრაფი „ალკრე“ (სეა სცა ფ.192, ან.8ა, ს.10289). ხოლო შუალედში კი ამ მისამართზე ფიქსირდება დროებითი თეატრიც. ამ ორი დაწესებულების თანაარსებობა ერთ სივრცეში, არ გამორიცხავდა ერთიმეორეს, რადგან შენობების ტექნიკური თუ უსაფრთხოების ნორმები, ერთმანეთის მსგავსი იყო.

შენობა #15. ლეოპოლდ ბილფელდის მიერ, ნეო-ბაროკულ სტილში, 1897-1900 წწ.-ში აგებული ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია. ეს გახლდათ, მიხეილის (დღევანდელი დავით აღმაშენებლის #103) პროსპექტისა და ვეტცელის (დღევანდელი ზურაბ ჭავჭავაძის) ქუჩის გადაკვეთაზე მდგარი მეორე გილდიის ვაჭრის იაკობ ფრიდრიხ ვეტცელის სასტუმრო (ჭანიშვილი (2009). სასტუმრო “ვეტცელი“ ისტორია და არქიტექტურა. *საქართველოს სიძველენი*. 13. გვ. 213-223; მანია, 2018, გვ. 136; ხოშტარია, 2011, გვ. 85-88), რომელშიც განთავსებული იყო მცირე თეატრიც. ეროვნულმა არქივმა შემოგვინახა სახლის პროექტი, გეგმები და შენობის ჭრილები (სეა სცა ფ.192, ან.8ა, ს.3219).

შენობა #16. XIX საუკუნის მიწურულს, 1895 წელს აგებული თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის შენობა, თავდაპირველად საცხოვრებელ სახლს წარმოადგენდა (სეა სცა ფ.192, ან.8ა, ს.4547). მისი პროექტი ცნობილ არქიტექტორს, პაულ შტერნს ეკუთვნის (მანია (2017). არქიტექტორი პაულ შტერნი და XIX ს-ის ბოლო მეოთხედის თბილისი. *ძველი ხელოვნება დღეს*. 8. გვ. 3-19; გერსამია, 2019, <http://www.georgianart.ge/index.php/ka/2010-12-03-16-25-41/244-2020-01-25-11-16-20.html>).

¹ მიხეილის, დღევანდელი დავით აღმაშენებლის გამზირი, წარმოდგენილ დოკუმენტებში მოხსენიებულია სხვადასხვაგვარად: მიხეილის, ქუჩა, მიხეილის პროსპექტი, პლენანოვის პროსპექტი. ამიტომ ტექსტში, პროექტში მითითებული მისამართით, უცვლელად არის მოყვანილი.

შენობა #17. საქართველოში ერთ-ერთი უძველესი კინოთეატრი „აპოლო“, მოდერნის სტილის არქიტექტურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს, რომელსაც მიხეილის პროსპექტის განაშენიანებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი 1909 წლის 12 აპრილს გაიხსნა. სამწუხაროა, რომ მასზე მხოლოდ ფოტომასალის მოძიება შევძელით ამ ეტაპისთვის. კინოთეატრ „აპოლო“-ს გარდა, მიხეილის პროსპექტზე, 1909-1918 წლებში არა ერთი დროებითი ხის სინემატოგრაფია ჩვენთვის ცნობილი. ესენია შენობა #18-#20: გრიგოლ რამენდიკის (სეა სცსა ფ.204, ან.1, ს.4142), მოსე ჟივეს (სეა სცსა ფ.204, ან.1, ს.4143) და ანდრეევსკისა და ფეიერვერსკის (დღევანდელი კონსტიტუციისა და გ. ჩუბინაშვილის) ქუჩების კუთხეში ახალი საზაფხულო „სახალხო“ სინემატოგრაფის შენობები (სეა სცსა ფ. 204, ან.1, ს.2418).

მიხეილის პროსპექტის განაშენიანების სურათს დავასრულებთ შენობა #21. მოდერნის სტილის, კოტე მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრი, იგივე ზუბალაშვილების სახალხო სახლი 1909 წლის 24 მარტს გაიხსნა. მე-20 საუკუნის შენობა მდებარეობდა კირკისა და დიდი მთავრის ქუჩების კუთხეში. ჩვენთან დაცული დოკუმენტური მასალა წარმოადგენს გვიქმნის სახალხო სახლის მუშაობაზე, იქ გამართული ღონისძიებების, სპექტაკლების, გამოფენების და ლექციების შესახებ. სახალხო სახლში მუშაობდა 12 სექცია, რომლებიც 11 ენაზე დგამდნენ სპექტაკლებს (სეა სცა ფ.192, ან.6, ს.1899). არქიტექტორი გახლდათ მოსკოვის სამოქალაქო ინჟინერი ს. კრიჩინსკი, სამუშაოს ასრულებდნენ ქალაქის ტექნიკოსი ა. მელიკ-ბეგლაროვი და ხუროთმოძღვარი მ. ოჰანჯანოვი. შენობა აგებული იყო რკინა-ბეტონის კონსტრუქციით. დიუსელდორფში გამანის ფირმის მიერ იყო შესრულებული გეგმები, სცენის დეკორაციები, პარტერის მოძრავი იატაკი. ყურადღების ღირსია ჩვენთან არსებული ფოტო მასალა და 1910 წელს სახალხო სახლზე განხორციელებული მიშენების პროექტიც (სეა სცა ფ. 204, ან.1, ს.4189; სეა სცა ფ. 192, ან. 8ა, ს. 8630).

მე შევეცადე, ამ მოკლე ექსკურსით, შეძლებისდაგვარად სრული სურათი წარმოგვედგინა იმ კულტურული დაწესებულებების პროექტებზე, რომლებიც XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე შენდებოდა თბილისში და ძირითადად თავმოყრილი იყო შოთა რუსთაველისა და დავით აღმაშენებლის გამზირსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე.

ჩემს მიერ მოყვანილი დოკუმენტური თუ ფოტო მასალა საინტერესო ცნობებს გვაწვდის, არა მარტო კონკრეტულ შენობა-ნაგებობებსა და მათ არქიტექტორებზე, არამედ ქალაქმშენებლობის ზოგიერთ საკითხზე და დედაქალაქში მიმდინარე კულტურულ ცხოვრებაზე. ეს თემა საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ქალაქის ამ მთავარი უბნების განაშენიანების სტრუქტურა, მხატვრული სახე, მისი მასშტაბი. დაბოლოს, დავადგინოთ დღეს უკვე არ არსებული შენობა-ნაგებობების ადგილი მთლიან სურათში.

ზემოთ მოყვანილი თითოეული შენობა-ნაგებობის სიღრმისეული შესწავლა და მათი ანალიზი, ჩემი მომავალი კვლევის საგანია, რადგან ამ ეტაპზე სრული მასალის დაწვრილებითი განხილვა ძალზე შორს წავგიყვანდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბეჟანიშვილი, გ. (1967). რუსთაველის პროსპექტი და მოედანი. თბილისი. განათლება

ბერიძე, ვ. (1960). თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წწ. ტ. I. თბილისი. საბჭოთა საქართველო

ბერიძე, ვ. (1963). თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917, ტ. II. თბილისი. საბჭოთა საქართველო

გერსამია, თ. (1984). ძველი თბილისი. თბილისი. საბჭოთა საქართველო

გერსამია, თ. (2019) <http://www.georgianart.ge/index.php/ka/2010-12-03-16-25-41/244-2020-01-25-11-16-20.html>.

დოლიძე, ი. (2005). სათეატრო არქიტექტურა საქართველოში. თბილისი. საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

მანია, მ. (2017). არქიტექტორი პაულ შტერნი და XIX ს-ის ბოლო მეოთხედის თბილისი. ძველი ხელოვნება დღეს. 8

მანია, მ. (2018). გერმანელი არქიტექტორები თბილისში. თბილისი

მანია, მ. (2006). ევროპელი არქიტექტორები თბილისში. თბილისი

მანია, მ. (1998). თბილისის ერთი უცნობი ჩანახატი. ლიტერატურა და ხელოვნება. 2

ჟორდანიას, გ. (1951). კავკასიის მუზეუმის დაარსება. თბილისი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ჭანიშვილი, ნ. (2009). სასტუმრო “ვეტელი“ ისტორია და არქიტექტურა. საქართველოს სიძველენი. 13

ხოშტარია, დ. (2011). თბილისის ძველი სასტუმროები. თბილისი. არტანუჯი

Квирквелия, Т. (1982). Архитектура Тбилиси. Тбилиси. Сабчота Сакартвело

Театр в Тифлисъ съ 1845-1856. (1888). Тифлисъ

Tamta Shonvadze, National Archives of Georgia

Tbilisi Cultural Institutions in the Second Half of the 19th Century and the Turn of the 20th Century

Summary

Our topic concerns the public buildings of Tbilisi, in particular, the buildings of cultural institutions, built on Rustaveli and Davit Aghmashenebeli Avenues in the second half of the 19th century and the turn of the 20th century, namely: buildings of theatres, museums and cinematography. The documents or the photo material, preserved in the National Archives of Georgia and displayed here, provides us with interesting data not only about specific buildings and their architects, but also about some issues of urban development and the cultural life of the capital city.

სურათების ანოტაციები:

ფოტო #1 - თბილისის ხედი სოლოლაკის მხრიდან, 1890იანი წწ.

დიმიტრი ერმაკოვის კოლექცია [1870-1901]

ფოტო #2 - თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის ქარვასლის თეატრის გადაკეთებისა და რემონტის პროექტი. არქიტექტორი პაულ შტერნი. 1887 წელი

ფოტო #3 - არქიტექტორ ხრისტოფორე ტერ-სარქისოვის ნახაზი. 1907 წელი

ფოტო #4 - საზოგადოება უნიონის მიერ შესრულებული თეატრის ელექტროფიკაციის პროექტი. 1908 წელი


ფოტო #5 - საჯარო ბილიოთეკა, გოლოვინის პროსპექტი. 1890იანი წწ. დიმიტრი ერმაკოვის კოლექცია [1870-1901]

ფოტო #6 - თბილისის საზაფხულო თეატრის ეზოში ნავარაუდები სადეკორაციოს პროექტი. არქიტექტორი ალბერტ ზალცმანი. 1875-1876 წწ.


ფოტო #7 - სახაზინო თეატრის გენგეგმა. ავტორი საქმეთა მწარმოებლის, სამოქალაქო ინჟინერი პაულ შტერნი. 1880 წელი

ფოტო #8 - სინემატოგრაფი პიკადილი. გოლოვინის პროსპექტი. 1918 წელი


ფოტო #9 - სინემატოგრაფი ამირანი. გოლოვინის პროსპექტისა და ვერის დაღმართის კუთხეში. 1918 წელი

სურ.1


სურ. 2



სურ. 3



სურ. 4




სურ.5




სურ. 6




სურ. 7



სურ. 8



სურ. 9



**თამარ ცაგარელი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის მერიის მუზეუმების
გაერთიანების ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური ბინა-მუზეუმი**

„ლაურენსია“ - თავისუფლების სიმბოლო

1922 წლის 25 ნოემბერს რუსთაველის თეატრში ისტორიული პრემიერა გაიმართა. კოტე მარჯანიშვილის რეჟისორობით მაყურებელმა ლოპე დე ვეგას „ფუენტე ოვებუნა“ („ცხვრის წყარო“) იხილა.

თბილისელ მაყურებელს მანამდე არასოდეს ენახა ამგვარი წარმოდგენა-თეატრი-დღესასწაული „ცხვრის წყარო“. ეს იყო პირველი ჭეშმარიტად ევროპული სპექტაკლი ქართულ სცენაზე. როგორც კოტე მარჯანიშვილის მოწაფესთან, დოდო ანთაძესთან, ვკითხულობთ მარჯანიშვილი მსახიობებს მიმართავდა: „ვის რად აინტერესებს ის, რომ ესპანეთის „კეთილმა“ მეფეებმა იზაბელმა და ფერდინანდმა არ დასაჯეს და შეიწყალეს ერთი მიყრუებული სოფლის მცხოვრებლები, რომლებმაც ვერ აიტანეს კალატრავას ორდენის კომანდორის ტირანია და მოკლეს იგი? მაგრამ თუ „ცხვრის წყაროს“ დადგმისას აქცენტს გავუკეთებთ იმ ფაქტს, რომ კომანდორის ჩაგვრამ ხალხში გააღვიძა მთვლემარე გრძნობა ადამიანური ღირსებისა, დარაზმა იგი დესპოტის წინააღმდეგ, გააერთიანა ერთი ნება-სურვილით, მაშინ ლოპე დე ვეგას ეს უკვდავი ქმნილება სულ სხვაგვარად აჟღერდება სცენაზე, აივსება რელიგიური პათოსით და მღელვარე ემოციით, მაყურებელიც სპექტაკლში ჩვენი თანამედროვე რევოლუციური ეპოქის გამოსახულებას დაინახავს“ (ანთაძე, 1962; გვ.60.). სწორედ ამგვარი პათოსითა და მღელვარე ემოციით გამოხატავხტანგ ჭაბუკიანმა ბალეტ „ლაურენსიას“ დადგმის სურვილი და იდეა.

ჭაბუკიანი წერდა: „მე მიტაცებს აზრი ვიმუშავო ახალი ესპანეთის ცხოვრების ამსახველ პიესაზე. მინდა ვაჩვენო ჩვენს მაყურებელს ესპანეთის ხალხის ბრძოლა თავისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. ასეთ ბალეტში მე მიტაცებს არა მარტო მდიდარი ესპანური კოლორიტი, რაც შეიძლება ბრწყინვალედ გამოვიყენო სპექტაკლში, არამედ თანამედროვე ესპანეთის ხალხის განცდები, მისი ფიქრები, ზრახვები, სასოება, იმედები, გმირული ბრძოლა და თავდადება სამშობლოსათვის“ (იუნესკოს წიგნი-ალბომი, 2013, გვ.34).

ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფიით განხორციელებული სინთეზური ბალეტი (კომპოზიტორ ალ. კრეინის სამმოქმედებიანი ბალეტის ლიბრეტო ეკუთვნის ე.მანდელბერგს, ლოპე დე ვეგას დრამის - „ფუენტე ოვებუნა“ („ცხვრის წყარო“) - მიხედვით. მხატვარი - სოლომონ ვირსალაძე. პრემიერა შედგა 1939 წლის 22 მარტს ლენინგრადის (სანქტ-პეტერბურგის) ს.კიროვის სახ. (ამჟამად მარინის) ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე, სადაც ყველაფერი ამოქმედებული და ჰარმონიაში იყო მოყვანილი - ბალერინებისა და ბალეტის მოცეკვავეების ცეკვა, მასობრივი სცენები, მოძრაობა და მუსიკა, მხატვრობა, წარმოდგენის რიტმი, ტონალობა, შუქ-ჩრდილები, ტრაგიკულისათუ კომიკურის

მონაცვლეობა; საბალეტო სპექტაკლის მაყურებელთა და მონაწილეთა გადმოცემით, ყველაფერს მსჭვალავდა ემოციური და აზრობრივი სისასვე, სანახაობის დღესასწაულებრივი ხასიათი, ფერადოვნება.

„ლაურენსიას“ შესახებ ვკითხულობთ: „ფრონდოსოს პარტიაში შეუდარებელი იყო ვახტანგ ჭაბუკიანის ცეკვა, მაყურებელი მასთან ერთად ღელავდა, განიცდიდა, ფიქრობდა, იმპროვიზირებდა...“. ხოლო თავად ლაურენსიას პირველი შემსრულებელი, ნატალია დუდინსკაია, „გამოირჩეოდა სიმსუბუქით, განუმეორებელი ნახტომითა და საშემსრულებლო ტექნიკის მაღალი დონით“ (იუნესკოს წიგნი-ალბომი, 2013, გვ.37). მან შეძლო ეჩვენებინა გმირის უदारდებლობა, კვლევობა, მხიარულება და ამავე დროს, ბალეტის ფინალში გაბედულება, მიზანდასახულობა და მრისხანება. ჭაბუკიანმა სრულიად განსხვავებული სამყარო შექმნა, რომელშიც კლასიკურ ბალეტს ხალხური ცეკვის ელემენტები ერწყმოდა. თავად მხატვრის მიერ წარმოდგენილი სცენოგრაფიული და სასცენო კოსტიუმების ელემენტები ნათლად გვაგრძნობინებს გარემოს, წარმოაჩენს პერსონაჟთა სახეებს, მოცეკვავეებს კი ეხმარება გმირთა გაცოცხლებაში და მათი შინაგანი თუ გარეგანი სამყაროს შექმნაში. მხატვარ სოლომონ ვირსალაძის ფერთა გამა ლიბრეტოს იდეის, არსისა და ჟანრის მატარებელია, რომელიც ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცა სხვადასხვა დროს აღდგენილ ბალეტ „ლაურენსიასთვის“.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ჭაბუკიანმა ბალეტი „ლაურენსია“ 1948 წლის 14 ნოემბერს დადგა (თუმცა მანამდეც, 1946 წელს, ევაკუაციიდან დაბრუნების შემდეგ აღადგინეს ბალეტი „ლაურენსია“ ლენინგრადის (პეტერბურგი) ს.კიროვის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრში. ბალეტმეისტერი – ვახტანგ ჭაბუკიანი, მხატვარი – სოლიკო ვირსალაძე, ლაურენსია- ა.შელესტი, ფრონდოსო - ა.პისარევი და მას შემდეგაც არაერთხელ აღადგინეს და სხვადასხვა შემსრულებლის მიერ არაერთხელ გააცოცხლეს ბალეტი „ლაურენსია“). ბალეტში ლაურენსიას პარტიის შემსრულებელი პრიმა-ბალერინა ვერა წიგნაძე იყო. ის გადაიღეს კინოფილმადაც, რომელმაც შემოგვინახა ვახტანგ ჭაბუკიანისა და ვერა წიგნაძის, ასევე იმდროინდელი ქართული ბალეტის მოცეკვავეების განუმეორებელი შესრულება.

რიტმის, დროის, სივრცისა და ფერის კატეგორიები ვახტანგ ჭაბუკიანის შემოქმედების განხილვისას მნიშვნელოვანია, რადგანაც სწორედ ამ ელემენტებზეა აგებული მისი ხელოვნება, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ჭაბუკიანის ქორეოგრაფია. ხელოვნებისთვის ეს ბუნებრივი მოთხოვნილებაა და ხშირად უფრო ქვეცნობიერია და არ არის წარმოდგენილი თეორიებით. დროისა და სივრცის კატეგორიების შესახებ წარმოდგენების ცვლილება ყოველთვის დაკავშირებულია შემეცნების თეორიასთან, რომელიც ხელოვნებაში განაპირობებსახალი ფორმების შექმნას. სწორედ ეს მკაფიოდ იკვეთება ჭაბუკიანის შემოქმედებაში, რომლის თავისებურება აიხსნება რიტმის, დროის, სივრცისა და ფერის ერთიანობის გამოხატვით.

ფერი, როგორც ქორეოგრაფიული საშუალება, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. ძირითადად მისი რეალიზაცია ხდება ტექნიკური საშუალებებით, მხატვრული

განათებით და ჭაბუკიანის ქორეოგრაფიაა ამის დასტური. რობერტ შუმანი წერდა: „ერთი ხელოვნების ესთეტიკა - ეს არის აგრეთვე მეორე ხელოვნების ესთეტიკაც, მხოლოდ გამოხატვის საშუალებები და მასალა განსხვავებული“ (ქაჭავაძე 1985, 56). მართლაც, მუსიკა, მაგალითად, განეკუთვნება დროის ხელოვნებას, მაგრამ სივრცობრივი წარმოდგენა იქმნებაჟღერადობის დინამიკით. მხატვრობას შეუძლია გამოხატოს ბგერითი მყუდროება. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გოგენის მოსაზრება, რომელიც მან მის წერილში - „მხატვრობაში მუსიკისა და ფერის სივრცობრივი ხელოვნების ანალოგი“ - დაწერა: როდესაც მატისის პანოს - „მუსიკა“ - ვუყურებთ, ჩვენ გვაოცებს არა ის, თუ როგორ უკრავენ, არამედ გამოსახულების მუსიკალური ატმოსფეროს დამაბულობა, გამოხატული რიტმში, სივრცობრივად განლაგებული ადამიანების ფიგურებითა და ფერების კონტრასტებით. მატისის ზედმიწევნით ღრმად გრძნობდა რა ურთიერთკავშირს მუსიკასა და მხატვრობაში, მხატვრულ გამოსახულებას მიახლოებდა ჰარმონიულ ჟღერადობას. ამავე პრინციპითაა გრძნობითი ორგანოების საყოველთაო კავშირი დაფუძნებული საბოლოო ჩანაფიქრის შესაძლებლობაზე, გათვლილი მუსიკის საშუალებით სივრცობრივი წარმოდგენის გამოწვევაზე. სივრცისა და დროის კავშირი გარდაიქმნება როგორც ხელოვნების ნაწარმოებების შექმნისას, ასევე მათ აღქმაში. იგივე შეიძლება ითქვას რიტმზე, თუ გავითვალისწინებთ, რომ ის არის შემოქმედების ერთ-ერთი სტრუქტურული ფორმის შემქმნელი.“ (The Musical Phase of Modern Painting, 1969, P. 126.

https://ir.canterbury.ac.nz/bitstream/handle/10092/10155/mane_thesis.pdf?sequence=1&isAllowed=y)
საინტერესოა რიტმის, დროისა და სივრცის ასახვა ხელოვნების - ჩვენს შემთხვევაში ჭაბუკიანის მიერ. მოცეკვავისა და ქორეოგრაფის მიერ სამყაროს აღქმა შეფერილია ინდივიდუალური თავისებურებით, ამიტომ საინტერესოა ბალეტის მოცეკვავის დამახასიათებელი რიტმი. საყურადღებოა შელინგის აზრი რიტმზე. ის მიიჩნევს, რომ რიტმი ბუნებისა და ხელოვნების განსაცვიფრებელი საიდუმლოებაა. რიტმი ემსახურება მრავალ მიზანს: ნაწარმოების კომპოზიციურ სტრუქტურასა და ემოციური და სახვითი ეფექტის გაძლიერებას.

მოგეხსენებათ, ჭაბუკიანს შემოქმედების რეალიზაცია ცენზურის ხანაში უწევდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან შეძლო ხელოვნებაში, ამ შემთხვევაში საბალეტო სპექტაკლებში, სივრცისა და დროის მძაფრი განცდა გადმოეცა, რომლის საუკეთესო მაგალითი საბალეტო სპექტაკლი „ლაურენსია“.

დროისა და სივრცის მხატვრული შეგრძნება ხელოვნებაში ქმნის სახეების მთელ სამყაროს. ლესინგმა ზუსტად შენიშნა, რომ სხეული და მოძრაობა, ანუ სივრცობრივი (იქნებ - სივრცისა) და დროის ურთიერთდამოკიდებულება მკაფიოდ გამოიხატება. სივრცისა და დროის უწყვეტი ერთობა დამახასიათებელია სასცენო ხელოვნებისთვის.

ერთი და იგივე ელემენტის გამეორება ხელოვნებაში, ახალ სტრუქტურულ პოზიციაში და სხვადასხვა ელემენტის ანალოგიურ სტრუქტურულ პოზიციებში, იძლევა აზრის ახალ შეფერილობას, ამდიდრებს რა მას.

გასაგებია, რომ ყველა დიდ ხელოვანს დროისა და სივრცის საკუთარი გაგება აქვს, რომელსაც ერთიანობაში შესაძლებელია ვუწოდოთ სტილი. როგორია ჭაბუკიანის სტილი?

Tamar Tsagareli,
 Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University, Vakhtang Chabukiani
 Memorial House-Museum of the Union of Tbilisi Municipal Museums

“Laurencia” - a Symbol of Freedom

Summary

It's not often you go to a ballet to watch a history lesson unfold, but „*Laurencia*“, the 1939 Georgian ballet choreographed by Vakhtang Chabukiani, gives us exactly that, and a gripping one under the froth and fun. It shows off a style of Classical ballet on the eve of the Second World War, with broad style, folk-influenced dances for the ensemble and virtuoso steps for the leads.

Chabukiani attempted to unite the elements of virtuosic classical dance – think plenty of divertissements – with drama and meaning, thus creating a choreodrama. He was deeply influenced by his Georgian roots, so he brought folklore elements in the form of various character dances.

Laurencia premiered at the Kirov Theatre, 22 March 1939. The lead roles were danced by Natalia Dudinskaya (*Laurencia*) and by Chabukiani himself (*Fronoso*). *Laurencia* continued to be a great success wherever it was staged: In 1948 the production was acquired by the Tbilisi State Theatre where Vera Tsignadze danced the title role.

The ballet was a tremendous success and highly praised for its perfect mixture of classical and character dance, its realism and the beauty of sets and costumes.

This ballet belongs to a specific part of the Georgian choreographic heritage — luxurious, spectacular, theatrical in the most sublime and the most simple sense of the word. This is our common cultural heritage.

ეკა კიკნაძე, ნინო ტაბუცაძე, საქართველოს ეროვნული მუზეუმი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხელოვნების კოლექციის საწყისებთან

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცული დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხელოვნების კოლექცია ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და მნიშვნელოვანია როგორც საქართველოში, ასევე კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. კოლექცია მოიცავს სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი

ხელოვნების ნიმუშებს XIV საუკუნიდან - XX საუკუნის დასაწყისის ჩათვლით. მასში წარმოდგენილია იტალიური, გერმანული, ჰოლანდიური, ფრანგული, ესპანური, ბელგიური, ავსტრიული თუ სხვა ევროპული სამხატვრო სკოლების ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკებისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები. კოლექციის მნიშვნელობის წარმოჩენისთვის საკმარისია დავასახელოთ მასში დაცული ავტორები: ბერნარდო დადი, პაოლო ვენეციანო, ლუკას კრანახი, გვიდო რენი, იან სტენი, იაკობ ვან რეისდალი და სხვები.

2019 წლიდან შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „საქართველოს ეროვნული მუზეუმის დასავლეთ ევროპული ხელოვნების კოლექციების ინტეგრირებული კვლევები“ [FR-18-739] ფარგლებში ხელოვნებათმცოდნეების და რესტავრატორების ჯგუფის მიერ წარმოებს ექსპონატების სახელოვნებათმცოდნეო ანალიზი, კოლექციის წარმომავლობის და მისი დაცულობის კვლევა.

სამუზეუმო კოლექციის წარმომავლობის გამჭვირვალობა სამუზეუმო საქმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია და გულისხმობს ექსპონატების მონაცემთა სრულყოფილი ბაზის არსებობას. ბაზის სრულყოფისათვის, კვლევის ფარგლებში, საჭირო გახდა სხვადასხვა საარქივო მასალის მოძიება და დამუშავება. ამ ეტაპზე უკვე შესაძლებელია კოლექციის ძირითადი ნაკადების სისტემატიზება, ცალკეულ პირთა დონაციებზე საუბარი თუ რიგი უზუსტობების ჩასწორება.

განვლილი ათწლეულების განმავლობაში როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხელოვნების, ისე სხვა სამუზეუმო კოლექციების ფორმირებაზე, უშუალო გავლენას ახდენდა საქართველოში არსებული ისტორიულ-პოლიტიკური გარემო. დასავლეთ ევროპული ხელოვნების სამუზეუმო კოლექციის ისტორია პირველი რესპუბლიკის პერიოდში იწყება. 1920 წლის 30 მარტს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მეთაურისა და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილეს მიერ ხელმოწერილი დეკრეტით, ყოფილი სამხედრო-ისტორიული მუზეუმის (სამხედრო დიდების ტაძარი) შენობაში, სურათების ეროვნული სამხატვრო გალერეა დაარსდა (კანონთა კრებული. ნაწ. I. ტფ. 1920 წ. გვ. 225-226.). გალერეის დირექტორად დაინიშნა მხატვარი და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი შევარდნაძე. ხელოვნების მუზეუმის საინფორმაციო კოლექციებში დაცული დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია გალერეის საქმიანობის სრული სურათის აღდგენა. მათ შორის, კოლექციების შექმნის პროცესისა.

ეროვნული გალერეის დირექტორად დანიშნისას დიმიტრი შევარდნაძემ პრაქტიკულად ცარიელი შენობა ჩაიბარა, ვინაიდან, 1916 წელს სამხედრო-ისტორიული მუზეუმის კოლექციები სრულად გაიხიზნა რუსეთში. 1926 წელს შედგენილ საანგარიშო წერილში იგი წერდა: „როდესაც მე თანამდებობას შევუდექი, გალერეაში არ მოიპოვებოდა არცერთი სურათი და არ ჰქონდა არავითარი მოწყობილობა“ (სემ, ხმ, ს.კ, ფ. 2, ა. 2, ს. 27). თუმცა, განვითარების უაღრესად ეფექტური და რაციონალური კონცეფციის წყალობით, დიმიტრი შევარდნაძემ რამდენიმე წელიწადში ეროვნული გალერეა კულტურის უმნიშვნელოვანეს კერად აქცია. მან გალერეაში განავითარა სამუზეუმო საქმის ყველა სეგმენტი: აქტიური საგამოფენო საქმიანობა, სამუზეუმო კოლექციების შექმნა, რესტავრაცია-კონსერვაციისა და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებები. შედეგად, შემდგომი 13 წლის (1920-1933 წწ.) განმავლობაში, ეროვნულ გალერეაში თავი მოიყარა საქართველოში არსებული ქართული,

აღმოსავლური და ევროპული ხელოვნების ნიმუშებისგან შემდგარმა უმნიშვნელოვანესმა კოლექციებმა¹.

სამუზეუმო ფასეულობების შენარჩუნებისა და მათი სახელმწიფო მუზეუმების კოლექციებში თავმოყრისათვის მნიშვნელოვანი იყო 1920 წლის მაისში რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოცემული დეკრეტი „საისტორიო, საარქეოლოგიო, სამხატვრო და სხვა საკულტურო ნივთების საქართველოს რესპუბლიკიდან გატანის აკრძალვის შესახებ“ ((1920). დეკრეტი. საქართველოს რესპუბლიკა. N124, გვ. 1). დეკრეტის მიხედვით აკრძალვა ვრცელდებოდა პრაქტიკულად ყველა ტიპის არტეფაქტზე ფოტოგრაფიისა და თანამედროვე მხატვრების ნამუშევრების გარდა. თუ გავითვალისწინებთ ხელოვნების ნიმუშთა ქვეყნიდან გადინების პროცესს, რომელსაც წინა ათწლეულებში მასობრივი ხასიათი ჰქონდა, მსგავსი დეკრეტის მიღება აქტუალური გადაწყვეტილება იყო. მან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ახალი სამუზეუმო კოლექციების შექმნას და არსებულთა გამდიდრებას, რადგან აკრძალვის შედეგად კერძო კოლექციებში არსებული არტეფაქტების პრაქტიკულად უკონკურენტო შემსყიდველები ქართული მუზეუმები გახდნენ.

ეროვნული გალერეის კოლექციების შექმნას საფუძვლად დაედო 1920 წლის შემოდგომაზე მოწყობილი „ძველი მხატვრობის სურათების გამოფენა“. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს მუზეუმში, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში, ლიკანის სასახლეში დაცული ქართული და აღმოსავლური ხელოვნების ნიმუშები. ამავე დროს, ქართული პრესის საშუალებით გავრცელდა შემდეგი შინაარსის მიმართვა მოსახლეობისადმი: „გალერეის ადმინისტრაცია სთხოვს უმორჩილესად ყველას (როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში), ვისაც კი რაიმე სურათი აქვს ძველი ქართული, სპარსული ან ევროპული მხატვრობისა, აგრეთვე მინიატურები და გრაფიურები, კეთილ ინებონ

და წარმოადგინონ ეროვნული სამხატვრო გალერეის შენობაში. გალერეა გარანტიას იძლევა სურათების დაცვის და ხელშეუხებლობისთვის...; ...თუ რომელიმე სურათი ამორჩეული, მოწონებული და შეფასებული იქნება სპეციალური მხატვრულ კომისიის მიერ ეროვნულ გალერეისთვის, შეძენილ იქნება გალერეის მიერ მხოლოდ პატრონთან შეთანხმებით.“ ((1920). საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეია, *მხედარი*, N16. გვ.7-8.). ამგვარი მიმართვის მიზანი იყო კერძო მფლობელობაში არსებული არტეფაქტების მაქსიმალური გამოვლენა და მათი გალერეის კოლექციისთვის შესყიდვა. „ამ გამოფენის მოწყობამ პირდაპირ მოულოდნელი შედეგი მოგვცა“ - წერდა დიმიტრი შევარდნაძე (სემ, ხმ, ს.კ, ფ. 2, ა. 2, ს. 27). გამოფენის შედეგად ცნობილი გახდა კერძო კოლექციებში დაცული ირანული მხატვრობის, XVIII-XIX საუკუნის ქართული მხატვრობის და ევროპული მხატვრობის უნიკალური ნიმუშების შესახებ.

გამოფენაზე წარმოდგენილი სამუზეუმო ფასეულობის მქონე არტეფაქტების შესაძენად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გალერეის კოლექციისთვის საკმაოდ დიდი თანხა - 4. 683. 833 მანეთი გამოყო, რაც 1920 წლის კურსით 5.204 გირვანქა სტერლინგის უტოლდებოდა (სემ, ხმ, ს.კ, ფ. 2, ა. 2, ს. 27). თუ გავითვალისწინებთ იმ პერიოდის რთულ პოლიტიკურ ვითარებას და მძიმე სოციალურ ფონს, ასეთი თანხის გაღება ხელოვნების ნიმუშების შესაძენად დასტურია, რომ დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობისთვის კულტურა პრიორიტეტად იყო მიჩნეული.

¹ ეროვნული გალერეის კოლექციებმა 1933 წლიდან 1952 წლამდე გადაინაცვლა ხელოვნების მუზეუმ „მეტეხში“, ხოლო 1952 წლიდან ხელოვნების მუზეუმის საკუთრებას წარმოადგენს (დღეს - საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი).

1920 წლის გამოფენაზე ევროპული მხატვრობის სხვა ნიმუშებთან ერთად წარმოდგენილი იყო ლუკას კრანახი უფროსის „მაჭანკალი“. სურათი ეკუთვნოდა თბილისელ მუსიკისმცოდნე ვასილ ყორღანოვს (Чубинашвили, 1957, Ст. 22). ვასილ ყორღანოვი სისტემატურად აქვეყნებდა შრომებს ევროპელი კომპოზიტორების შესახებ, გამოცემული აქვს სტატიათა კრებული „კავკასიური მუსიკა“. 1900 წელს მან დააარსა ამიერკავკასიაში პირველი სამეცნიერო-ლიტერატურული ჟურნალი „Кавказский вестник“. 1902-1904 წლებში ვასილ ყორღანოვი ცხოვრობდა ბერლინში. 1925 წელს საცხოვრებლად ერევანში გადავიდა, სადაც გარდაიცვალა 1934 წელს (ქართული, 2015, გვ. 508.). როგორ მოხვდა ლუკას კრანახი უფროსის „მაჭანკალი“ თბილისში, ვასილ ყორღანოვის კოლექციაში, ამის დადგენა ჯერ-ჯერობით არ ხერხდება. 1920 წლის 18 ნოემბერს სურათი ეროვნულმა გალერეამ შეისყიდა. გამომდინარე მნიშვნელობიდან, რომელიც ლუკას კრანახის შემოქმედებას აქვს ევროპული მხატვრობის ისტორიაში, „მაჭანკალი“ ეროვნული გალერეის უმნიშვნელოვანესი შენაძენი და ზოგადად, ქართული სამუზეუმო კოლექციების ერთ-ერთი მთავარი არტეფაქტია.

იმავე 1920 წლის ნოემბერში ეროვნული გალერეის ევროპული ქვეყნების ხელოვნების კოლექციას შეემატა თელავში, სოფელ წინანდალში მცხოვრები ევგენია ჭავჭავაძისგან შეძენილი 25 სურათი. მათ შორის ჰოლანდიელი იორის ვან სონის (1623-1667) „ნატურმორტი“ (ტილო, ზეთი. 85X119 სმ.), XVII საუკუნის უცნობი ჰოლანდიელი ავტორების 2 ნიმუში („პეიზაჟი“. ხე, ზეთი. 47X84 სმ; „იაკობის დაბრუნება“. ტილო, ზეთი. 27X36 სმ.), უცნობი ფლანდრიელი მხატვრის „სოფლის დღესასწაული“ (ტილო, ზეთი. 100X139 სმ.), ქრისტიან ვილჰელმ ერნსტ დიტრიჰის „მოხუცი ქალის პორტრეტი“ (ტილო, ზეთი. 38X29) და „მოხუცი მამაკაცის პორტრეტი“ (ტილო, ზეთი. 38X29) და სხვ. ეროვნულმა გალერეამ კოლექციისთვის მფლობელს განათლების სახალხო კომისარიატიდან მიღებული 3 მილიონი მანეთი (ქართული ბონით) გადაუხადა (სემ, ხმ, ს.კ. ფ. 2, ა. 2, ს. 3). ევგენია ჭავჭავაძის წარმომადგენელთან მოლაპარაკებას დიმიტრი შევარდნაძე პირადად აწარმოებდა. ევროპული მხატვრობის 25 ნიმუშის ერთდროულად შეძენა მნიშვნელოვანი ბაზისი იყო ევროპული მხატვრობის სამუზეუმო კოლექციისთვის. ევგენია ჭავჭავაძის კოლექცია, ისევე როგორც ყორღანოვის კუთვნილი კრანახის ნამუშევარი, წარმოდგენილი იყო 1920 წლის გამოფენაზე და გამოფენის დასრულების შემდეგ გადავიდა გალერეის კუთვნილებაში.

„ძველი მხატვრობის სურათების გამოფენაზე“ იყო წარმოდგენილი ლიკანის სასახლიდან ეროვნულ გალერეაში გადმოტანილი ევროპული ფერწერისა და გრაფიკის კოლექცია. ეს კოლექციაც გალერეის კუთვნილება გახდა. ფრანგული, ინგლისური, გერმანული სამხატვრო სკოლის ნიმუშებს შორის აღსანიშნავია ჯორჯ დოუს „მამაკაცის პორტრეტი“ (ტილო, ზეთი. 80X60), პიერ პოლ პრიუდონის „ტალიერანის პორტრეტი“ (ტილო, ზეთი. 25X17), ჟაკ ლუი დავიდის (?) „პირველი კონსული ხევს ამიენის ტრაქტატს“ (ტილო, ზეთი. 29X24) და სხვ. საარქივო ჩანაწერის მიხედვით 1919-1920 წლებში ლიკანის სასახლიდან ეროვნულ გალერეას 50 სურათი გადმოეცა (სემ, ხმ, ს.კ. ფ. 2, ა. 1, ს. 32). ამავე ჩანაწერის მიხედვით ეროვნული გალერეის კოლექცია 1920 წელს ევროპული მხატვრობის 84 ნიმუშს ფლობდა.

ევროპული ხელოვნების კოლექციის პარალელურად ეროვნულ გალერეაში თავი მოიყარა კერძო პირთაგან შეძენილმა, საქართველოს მუზეუმისა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისაგან გადმოცემულმა XIX საუკუნის ქართული პორტრეტული მხატვრობის და აღმოსავლური ხელოვნების იშვიათმა ნიმუშებმა, რარიტეტულმა ბიბლიოთეკამ. დაარსებიდან 1 წლის თავზე ეროვნული გალერეის საგამოფენო დარბაზები დამთვალაიერებელს ფართო გეოგრაფიული და ქრონოლოგიური დიაპაზონის მომცველი გამოფენით ხვდებოდა.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ კოლექციის ზრდა მკვეთრად შენედა. 1921 წელს შედგენილ ანგარიშში ეროვნული გალერეის შესახებ დიმიტრი შევარდნაძე წერდა: „შეიძლება დღეს საქართველო მძიმე პირობებს განიცდის და ხელოვნებისთვის არ სცალიან, მაგრამ დაყოვნებითაც საქმე ძალიან შავდება. აუარებელი განძი საზღვარგარეთ მიდის და თუ ჩვენ დროზე არ მივხედავთ, საქართველოდან წასულ ნივთებს ვეღარ დავაბრუნებთ“ (სემ, ხმ, ს.კ, ფ. 2, ა. 2, ს. 9).

ეროვნული გალერეის დაარსების პირველი წლის განმავლობაში გალერეის კოლექციების შექმნის სწრაფად მზარდი დინამიკა პირველი რესპუბლიკის მთავრობის კულტურის პოლიტიკის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ქვეყანაში კულტურის პრიორიტეტად დასახვა გამოიხატა როგორც სფეროს განვითარებისთვის საჭირო არაერთი ინსტიტუციის დაარსებაში, ისე მათი განვითარებისთვის აქტიურ ხელშეწყობაში.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

ეკრეტი. გაზ. საქართველოს რესპუბლიკა. 1920 წ. N124. გვ. 1.

კანონთა კრებული. ნაწ. I. ტფ. 1920 წ. გვ. 225-226.

საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეია. გაზ. მხედარი. 1920. N16. გვ.7-8.

სემ, ხმ, ს.კ, ფ. 2, ა. 2, ს. 27

სემ, ხმ, ს.კ, ფ. 2, ა. 2, ს. 3

სემ, ხმ, ს.კ, ფ. 2, ა. 1, ს. 32

სემ, ხმ, ს.კ, ფ. 2, ა. 2, ს. 9

ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბ. 2015. გვ. 508.

Корганов В. Д. (1908). Кавказская музыка. Тифлис. Скоропечатня М. Мартиросянца (2).

Чубинашвили Г. (1957). Лука Кранах. Тб. Издательство Академии Наук Грузинской ССР.

Eka Kiknadze, Nino Tabutsadze, Georgian National Museum

At the Beginnings of the Collections of Western European Art of Georgian National Museum Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts

Resume

The article deals with study of the origin of the collections of Western European art housed in Georgian National Museum Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts, as well as of the basic principles and methods of their formation. This research has been carried out since 2019 within the framework of the project *The Integrated Study of the Western European Fine Art Collections of the Georgian National Museum*, [FR-18-739], supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.

The Museum collections of Western European art are one of the most outstanding and significant collections in both Georgia and the Caucasus, as well as in the Near East.

Since there did not exist the separate museum collections of Western European art in the country, it was especially interesting to study the first stage of their formation, which coincides with the period of the First Republic of Georgia.

In the process of the studying the principles and methods of formation of the collections, based on the new archival material identified during the research, the origin of a number of museum exhibits that were previously unknown or obscure was specified.

The research of the museum policy, the process of creating the Gallery collections and its dynamics during the first years of establishment of The National Gallery, has revealed that cultural policy pursued by the government of the independent Georgia - the field of culture, including museum collections, was a priority for the government of the Independent Republic.



ქრისტიან ვილჰელმ ერნსტ დიტრიჰის „მოხუცი ქალის პორტრეტი“
საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექცია



ლუკას კრანახი უფროსის „მაჯანკალი“
საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექცია



ეროვნული გალერეა



დიმიტრი შევარდნაძე



ქრისტიან ვილჰელმ ერნსტ დიტრიჰის „მოხუცი მამაკაცის პორტრეტი“

საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექცია

დარეჯან აბულაძე, გიორგი მუხომიძე, საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ეთნოკულტურული მემკვიდრეობის უცნობი მასალებიდან (საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციები)

კავკასიაში რუსეთის მეფისნაცვლის, თავად ვორონცოვის, მმართველობის დროს (1845-1854 წწ.) თბილისში დაარსდა კავკასიის მუზეუმი, რომელიც შემდგომში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრი გახდა. მუზეუმის სამეცნიერო არეალი სამხრეთ, ჩრდილოეთ კავკასიისა და მის მომიჯნავე ტერიტორიებს მოიცავდა. კავკასიის მუზეუმმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა როგორც კავკასიის რეგიონის ბუნების ისტორიის შესწავლაში, ასევე ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალის მოძიებაში. მუზეუმში მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ექსპონატთა განსაზღვრის, მათი კომპლემენტაციისა და მეცნიერული შესწავლის საქმეში (ჩხაიძე, 2003, გვ. 29.). კავკასიის მუზეუმის პირველი დირექტორის, გუსტავ რადეს, ინიციატივით მიმდინარეობდა აქტიური საქმიანობა მატერიალური კულტურის ნიმუშების შეძენის, ფიქსაციისა და დაუნჯებისთვის. კავკასიის მუზეუმში შექმნადათ სხვადასხვა ტიპის კოლექციები (როგორც კავკასიის, ასევე ახლო აღმოსავლეთის ხალხთა კულტურული მემკვიდრეობიდან).

1871 წლის დეკემბერში იმპერატორმა ალექსანდრე II-მ დაათვალიერა კავკასიის მუზეუმი და მისი ძმის, იმჟამად კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილის რჩევით, გადაწყვიტა კავკასიის მუზეუმს მონაწილეობა მიეღო მოსკოვის 1872 წლის საერთაშორისო გამოფენაში. დამატებითი მასალების მოსამიებლად იმპერატორის ხაზინამ მომავალი გამოფენისთვის გამოყო საკმაოდ სოლიდური თანხა - 26 000 (ოცდაექვსი ათასი) მანეთი. მუზეუმის დირექტორმა გუსტავ რადემ შეადგინა კომპლექსური ექსპედიცია, რომელსაც დავალებული ჰქონდა, მთელი კავკასიის მასშტაბით მიეკვლია და შეეძინა ექსპონატები. ექსპედიციას ახლდა მხატვართა ჯგუფი, რომელიც ადგილზე იხატავდა მასალას და მისი ძირითადი მოვალეობა მატერიალური კულტურისა და სოციალური ყოფის ამსახველი სიუჟეტების ფიქსაცია იყო. საგულისხმოა, რომ ეთნოგრაფიული მასალის ასახვის ასეთი ფორმა სავალდებულო გახდა თითქმის ყველა შემდგომი ექსპედიციისთვის. მოწვეული მხატვრები ახდენდნენ ამ სფეროსთვის დამახასიათებელი მასალის მხატვრულ დოკუმენტირებასა და ტიპაჟების ჩახატვას.

1873 წლის ნოემბერში, მოსკოვში წარმატებული გამოფენის შემდეგ, კავკასიური მასალა გამოიფინა ვენის საერთაშორისო ექსპოზიციასზე. პარალელურად, გუსტავ რადე კავკასიის ეთნოკულტურისა და მისი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების ამსახველი ლექციებით გამოდიოდა ვენისა და გერმანიის ქალაქებში, ხოლო საილუსტრაციო მასალად იყენებდა კავკასიაში მომუშავე ზ. შეფერის, ფ. ზიმისა და სხვათა მხატვრულ ტილოებს, რომლებზეც ასახული იყო როგორც ეთნოსთა ჩაცმულობის ტიპები და სახეები, ასევე ისტორიულ-მითოლოგიურ თემებზე შექმნილი სიუჟეტები. ამ ნამუშევრებმა შემდგომ კავკასიის მუზეუმში დაიდო ბინა. მატერიალური კულტურის ჩახატვა-ფიქსაციის თვალსაზრისით, საეტაპო მნიშვნელობის იყო მუზეუმის შემდეგი დირექტორის, ალექსანდრე კაზნაკოვის მიერ 1909 წელს კავკასიის მეფისნაცვლის ი. ვორონცოვ-დაშკოვისადმი მიწერილი წერილი, რომელშიც გამახვილებული იყო ყურადღება ეროვნული კოსტიუმების ისტორიულ მნიშვნელობასა და მათ შემდგომ შენარჩუნებაზე, რისთვისაც იგი მეფისნაცვალს სთხოვდა კავკასიის

გუბერნიებისა და ოლქების ხელმძღვანელთათვის დაევალებინა, მათ დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ეროვნულ კოსტიუმთა ნიმუშების შეგროვებაში დახმარება გაეწიათ (Мелкадзе და Гогичаიშვილი, 2003, გვ. 372.). კაზნაკოვის მიმართვას დადებითად გამოეხმაურა მეფისნაცვალი, რასაც შედეგად მოჰყვა კოლექციების შესავსებად კავკასიის სხვადასხვა კუთხეში სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა. შეგროვებული მასალის საფუძველზე 1910 წელს დაიგეგმა კავკასიის ხალხთა კოსტიუმების ატლასის გამოცემა. სწორედ ამ ფაქტს უკავშირდება 1912 წელს მსოფლიო კოსტიუმების ცნობილი გერმანელი მხატვრისა და მსოფლიო ხალხთა კოსტიუმების ისტორიის მკვლევარ მაქს ტილკეს (1869-1942) მოწვევა. მ. ტილკესთან ერთად კავკასიის ხალხთა კოსტიუმების ატლასზე მუშაობდნენ ალექსანდრე მატიასევიჩი, ნ. დრახენფელდსი და ნ. კელჩევსკი (გელაძე და ნადირაძე (2010), კავკასიის ხალხთა კოსტიუმების შესწავლის ისტორიიდან (უცნობი კოლექცია. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, ტ. I, (46-B), გვ. 330-342). მხატვართა ჯგუფი ექსპედიციებში უშუალოდ მონაწილეობდა, ასე ველზე მუშაობა შემოქმედებითად საინტერესოს ხდიდა პროცესს, თუმცა პრაქტიკულად რთული იყო ჩახატვის თვალსაზრისით; მუშაობის გასაადვილებლად ექსპედიციაში ყოველ მოდელს ფოტოსურათს უღებდნენ, შემდგომ მუზეუმი კოსტიუმებს იძენდა და კამერულ პირობებში, უკვე მუზეუმის სახელოსნოში, მხატვრები ტიპაჟებს სრული სახით გადაიტანდნენ ნახატზე. ასეთი ხასიათის ექსპედიციები თავისთავად ამდიდრებდა მუზეუმის კოლექციებს და ამასთან ერთად, ხდებოდა ამა თუ იმ კოსტიუმთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის შეკრება ადგილობრივ ენასა თუ დიალექტზე. მიუხედავად აქტიური სამუშაო პროცესისა, კავკასიის ხალხთა კოსტიუმების ატლასის შექმნას პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ შეუშალა ხელი. ა. კაზნაკოვი ფრონტზე წავიდა, ხოლო მაქს ტილკე გერმანიაში დაბრუნდა. მ. ტილკეს ეთნოსთა ჩაცმულობის ამსახველი ნამუშევრების გარკვეული ნაწილი, 84 (ოთხმოცდაოთხი) ერთეული, საქართველოს ეროვნულ მუზეუმს დარჩა, ნაწილი კი თან წაიღო, ისინი შემდეგ, 1923 წელს, ბერლინში მის მიერ გამოქვეყნებულ წიგნში შევიდა. საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციაში არსებულ მ. ტილკეს ნამუშევრებში წარმოდგენილი არიან: ქართველები (საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტიპაჟები: ქართლელი, ხევსური, მესხი, ჯავახი, სვანი, აჭარელი, ინგილო), დაღესტნელები, სომხები, უდები, თათრები, შემახელები, ნუხის მცხოვრებნი, ყალმუხები, ნოღაელები, თურქმენები, სპარსელები (სურ.1. სურ. 2. სურ. 3. სურ. 4. სურ. 5.).

მხატვრის ნამუშევრებში ვხვდებით როგორც ცალკეულ ეთნოსთა და ეთნოგრაფიულ ჯგუფთა კოსტიუმების დამახასიათებელ ელემენტებს, ასევე მხატვარი გვიქმნის თითქმის სრულ სურათს XX საუკუნის კავკასიელ ხალხთა ჩაცმის სტილის რეკონსტრუქციისთვის. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის ხალხთა კოსტიუმების ატლასის შექმნა კაზნაკოვის პერიოდში ვერ მოხერხდა, ამ მიმართულებით სამუშაო არ შეჩერებულა, რასაც მოწმობს იმ პერიოდში შექმნილი და მუზეუმის კოლექციებში შესული კავკასიის ხალხთა ეთნოკულტურის ამსახველი სიუჟეტები. ამ კუთხით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რუსეთის იმპერიაში მოღვაწე ებრაელი მხატვრის, ალექსეი ეისნერის (1872-1945) მიერ შესრულებულ ნამუშევართა ციკლი დაწყებული 1891 წლიდან 1930-იან წლებამდე; ციკლში წარმოდგენილია მხატვრის საქართველოში ყოფნისას ჩახატული სხვადასხვა ხასიათის სიუჟეტი, ჩაცმულობის ტიპები, საყოფაცხოვრებო თუ სამეურნეო ნაგებობები, პეიზაჟები და სხვადასხვა ელემენტი, რომლებიც ქართველთა იმდროინდელი ყოფისთვის იყო დამახასიათებელი. მხატვრის აზრით, რადგან კავკასიის კულტურა სწრაფად იცვლებოდა, ამგვარი ჩანახატები ემსახურებოდა დიდ მიზანს - მომხდარიყო რეალური ეთნოგრაფიული სურათის ფიქსაცია (Селинєнкова, 2008, გვ. 382). მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება ქართული ეროვნული ჩაცმულობის მიმართ კარგად ჩანს როგორც მის მიერ შემორჩენილ ჩანახატებში, ასევე იმდროინდელ ერთ-ერთ პრესტიჟულ გაზეთში გამოქვეყნებულ მის სტატიაშიც, რომელშიც ა. ეისნერი ამბობს: „ფრესკული მხატვრობა, რომელიც, გარდა

ისტორიულისა, ეთნოგრაფიული კუთხითაც დიდ ინტერესს იწვევს (აქ ხომ არაფერი აკლია ციტირებას? ან „რომელიც“ ზედმეტია). მაგალითად, საინტერესოა დროთა განმავლობაში, თუ როგორ იცვლებოდა ჩაცმულობის ელემენტები როგორც საერო, ასევე სასულიერო წრეებში“ (Миснер, 1899. გვ. 212.). ა. ეისნერის მიერ შესრულებული ჩანახატები იმდენად მრავლადაა, რომ შესაძლებელია მისი ნამუშევრების მიხედვით XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს კუთხეების ყოფის გაცოცხლება. ნახატები ძირითადად ფანქრით, აკვარელითა და ტუშითაა შესრულებული. როგორც ჩანს, სავსე პირობებში შესრულებული ნატურების შექმნისას მხატვარი მუშაობდა მის ხელთ არსებულ ნებისმიერ მასალაზე, იქნებოდა ეს უბის წიგნაკი თუ გამოყენებული ბლანკები; მათზე განსაკუთრებული ოსტატობით წარმოგვიდგენდა ნატურის ხასიათსა და განმასხვავებელ კულტურულ მახასიათებლებს, რაც მთლიანობაში ქმნიდა მაშინდელი ყოფისთვის დამახასიათებელ უაღრესად ზუსტ სურათს.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდში დაცული მრავალფეროვანი მასალიდან ეთნოკულტურული თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს წარმომოხილველ ფრანგი ვაჭრის, მოგზაურის, დიპლომატის, მწერალისა და საფრანგეთის კონსულის თბილისში, ჟაკ ფრანსუა გამბას (1763-1833), ამიერკავკასიაში მოგზაურობის შედეგად შექმნილი ატლასის თემატიკაზე შესრულებული ტიპაჟების ჩანახატები.

„დრო ჯერ კიდევ შეუვალი საფარველით ფარავს ბედ-იღბალს იმ ქვეყნებისა, რომელთა მიმართაც შევეცადე საჯაროდ გამემახვილებინა ყურადღება. როგორც არ უნდა იყოს მათდამი განგების განაჩენი, ჩემს მიმართ ისინი ალბათ მადლიერნი დარჩებიან, რადგანაც შევძელი ზოგიერთი ზუსტი ცნობის მიწოდება აზიის ამ ნაწილზე“, – წერდა გამბა. მისი ნაშრომი XIX საუკუნის დასაწყისის საქართველოს მხარეების, ქალაქების, არქიტექტურული ნაგებობებისა თუ მოსახლეობის შესახებ უმნიშვნელოვანეს აღწერას გვაწვდის. 1826 წელს პარიზში გამოიცა გამბას ატლასი სახელწოდებით „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“. ატლასის ეს პირველი გამოცემა შეიცავს აფხაზეთის, სამეგრელოსა და იმერეთის ერთიან რუკას, ყვირილისა და ფას(ზ)ისის, კახეთის რუკას, ასევე საუკეთესო გრაფიურებს ხედებით, ხუროთმოძღვრული ძეგლებისა და ციხეების გამოსახულებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ბევრი იქ ასახული ძეგლებისა და შენობების ნაწილი განადგურებულია.

ამასთანავე, ეთნოკულტურის მკვლევართათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ეთნოგრაფიული ხასიათის ჩანახატებს, რომლებზეც წარმოდგენილია იმ დროის სამეურნეო, საყოფაცხოვრებო და საბრძოლო იარაღები, აგრეთვე - სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფისა და სოციალური ფენის წარმომადგენლები. გამბას ატლასის შექმნაზე ბევრი ცნობილი ადამიანი მუშაობდა, საბოლოოდ ის ბარონ კლოდ-ჟოზეფ ტრუვეს გამომცემლობაში დაიბეჭდა. ატლასი მოიცავს 60 ლითოგრაფიასა და გრაფიურას, აქედან 3 რუკაა, 34 - ხელით გაფერადებული ლითოგრაფია. რუკები შეადგინა კარტოგრაფმა და გრავიორმა ჯ. მ. დარმეტმა. საქართველოს შესახებ ჩანახატების უმეტესობა, სავარაუდოდ, ჟან-მარი შოპენისაა, არქიტექტურული ძეგლების ესკიზები კი - არქიტექტორის, მხატვრისა და გრავიორის შარლ ნორმანის. გრაფიურები დაიბეჭდა პარიზში გ. ენგელმანის, მ. ლანგლიუმეს და ბერნარდის ლითოგრაფიებში. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდსაცავში დაცულია გამბას ატლასის, ამ რარიტეტული გამოცემის, გრაფიურები. ამას გარდა, ყურადღებას იპყრობს ქაღალდზე აკვარელითა და ტუშით შესრულებული კავკასიაში მცხოვრებ ეთნოსთა წარმომადგენლების ჩანახატები, რომლებიც უცნობი ავტორის მიერაა შექმნილი. თავისი შესრულების ტექნიკით ჩანახატები განსხვავდება გამბას ატლასში წარმოდგენილი გრაფიურებისგან, თუმცა მათი შექმნის ისტორია ამ ეტაპზე უცნობია. რაც შეეხება შესრულების ტექნიკას, ესკიზები მოხაზული უნდა იყოს ტუშით, ხოლო სამოსი, სახე და ხელი აკვარელის საღებავითაა შევსებული. ამასთანავე ტუშითვეა გამოკვეთილი სხეულის ფორმები, სამოსის დრაპირება და ორნამენტები, სახის ნაკვთები და სხვა ცალკეული დეტალი. თითოეულ

მათგანს ქვედა მარცხენა კუთხეში აქვს შავი მელნით ფრანგული წარწერა, რომელზეც იკითხება 1826 წელი და ინფორმაცია, რომ ეთნოსები წარმოდგენილია გამბას ატლასიდან; ასევე წარწერის მიხედვით შესაძლებელია ეთნოსთა წარმომადგენლების იდენტიფიცირება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კავკასიაში უცხოელ და ქართველ მხატვრთა და მოგზაურთა მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა. მათ მიერ გაწეულმა შრომამ საფუძველი ჩაუყარა სამუზეუმო საქმის განვითარებას, ასევე საგანმანათლებლო და სამეცნიერო კერების წარმოშობას, ფაქტობრივად ეს იყო კავკასიაში პირველი სამეცნიერო ექსპედიციების პრეცედენტი, რომელიც თავისი შესრულების ხარისხით ახლოს იყო ევროპულთან, ხოლო - შედეგებით უნიკალური. ნამუშევრები საინტერესოა როგორც შესრულების მანერის, ხარისხის, ტექნიკის, ოსტატობისა და ზოგადად შემოქმედებითი მოღვაწეობის შესაფასებლად, ასევე კავკასიის ხალხთა იმდროინდელი ყოფის სარეკონსტრუქციოდ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამბა, ჟ.(1887). მოგზაურობა ამიერკავკასიაში. თბილისი. განთიადი.
2. გელაძე, თ.(2013). სამეცნიერო დამხმარე ფონდი. თბილისი. მერიდიანი.
3. გელაძე, თ., ნადირაძე, თ. (2010). კავკასიის ხალხთა კოსტუმების შესწავლის ისტორიიდან (უცნობი კოლექცია). *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე*. ტ. I. თბილისი
4. კვანტიძე, გ. (2019). ქართული ჩაცმულობა. თბილისი. სამშობლო.
5. ლომთათიძე, გ. (1990). ქართული კულტურის მემკვიდრეობა ე. თაყაიშვილი. თბილისი. საბჭოთა საქართველო.
6. მეტრეველი, რ. (1982). საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. თბილისი.
7. მუზეუმის შემოსულობათა წიგნი. (1928). საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ისტორიისა და ეთნოლოგიური განყოფილების შემოსულობათა წიგნის მონაცემები.
8. ნადირაძე, ე., გელაძე, თ., ბონი ნ.(2005). მაქს ტილკე კავკასიის ხალხთა კოსტიუმები. თბილისი.
9. ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. (2013). თბილისი. მერიდიანი.
10. ჩხაიძე, გ. (2003). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.
11. ძველი საქართველოს მონუმენტური მხატვრობა და მისი მოამაგენი. (2017). თბილისი.
12. Кондаков, Н. (1876). Древняя архитектура Грузии –VI. Москва. Труды Московского Археологического общества.
13. Мелкадзе, Н. Гогичаишвили, А. (2003). Александр Казнаков-директор Кавкаского музея и Тифлисской публичной библиотеки (1903-1917).
14. Памятники старины Юго-западного Закавказья. (1911-1913) . Труды Всероссийского съезда Художников.
15. Селиненкова, Е. (2019). ХУДОЖНИК А.П. ЭЙСНЕР И ЕГО КОЛЛЕКЦИЯ АКВАРЕЛЬНЫХ КОПИЙ ЦЕРКОВНОГО ИСКУССТВА ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ.
16. Эйснер, А. (1899). Забытая сокровища Закавказья. Искусство и художественная промышленность N 7.

Darejan Abuladze, Giorgi Meurmishvili, Georgian national museum

**From Unknown ethnocultural materials
(Georgian national museum collections)**

Summary

The Georgian National Museum holds works depicting ethnocultural heritage of peoples of Caucasus and the Middle East done by foreign and Georgian artists, researchers and travelers. The largest part of these works is unknown to scientific circles and general public. In this article will scientifically researched and popularized an unknown ethnocultural collection, which are preserved at Georgian National Museums storages of the history and ethnology. Exponents which is represented in these unknown collections is unique in some cases and documented the realities of the past, which is of special importance in current global processes and represents the only act to preserve historical memory. These are materials that were being created by artists, researchers and travelers either directly in the field or at the studios of the Caucasus Museum and then at the National Museum during one and a half century. These works might enter the scientific currency which may bring important changes in the reconstruction of historical and ethnological processes of ethnocultural heritage of the peoples of the Caucasus and the Middle East. These research works represent an excellent illustrative material for exposition, for conducting educational programs for students, thematic lectures and so on. Several generations of Georgian and overseas foreign scientists studied these examples of art and material culture of extreme diversity. Despite the fact that the period of these studies spans more than a century and a half, there still remain in the museum archives important artifacts that have not been studied or are partially researched.

It is noteworthy that the works of Foreign and Georgian artists, researchers and travelers in Caucasus had important consequences. Their works became the basis for the development of museums, educational and scientific works. Actually, this was a precedent of scientific expedition in Caucasus which with its quality of execution was close to European standards and turned out unique considering its results.

ილუსტრაციების აღწერა:

1. ხევსური ქალი (ქალალდი, აკვარელი)
2. ვაჭრის ჩოხა (ქალალდი, აკვარელი)
3. ქურთი მამაკაცი (ქალალდი, აკვარელი)
4. მესხი მამაკაცი (ქალალდი, აკვარელი)
5. ნოღაელი ქალი და ბავშვი (ქალალდი, აკვარელი)
6. აჭარელი ბიჭი (ქალალდი, აკვარელი)
7. ნავი აჭარიდან (ქალალდი, ფანქარი)

8. ბათუმის საკრებულო (ქალაქი, აკვარელი)
9. თბილისური ქუჩა (ქალაქი, აკვარელი)
10. თბილისური ეტლი (ქალაქი, ფანქარი)
11. ქართველი ქალი (ქალაქი, აკვარელი)
12. თათარი მამაკაცი (ქალაქი, ტუში, აკვარელი)
13. თათარი მამაკაცი (ქალაქი, ტუში, აკვარელი)
14. სომეხი მამაკაცი (ქალაქი, ტუში, აკვარელი)
15. სპარსელი კნენა (ქალაქი, ტუში, აკვარელი)
16. სპარსელი ქალი (ქალაქი, ტუში, აკვარელი)

ილუსტრაციები :




სურ 1. Imag.



სურ 2. Imag.



სურ 3. Imag.



სურ 4. Imag.




სურ 5. Imag.



სურ 6. Imag.



სურ 7. Imag.



სურ 8. Imag.



სურ 9. Imag.



სურ 10. Imag.



სურ 11. Imag.



სურ 12. Imag.



სურ 13. Imag.



სურ 14. Imag.



სურ 15. Imag.



სურ 16. Imag.

ნინო დათუნაშვილი, მამუკა ქაფიანიძე, საქართველოს ეროვნული მუზეუმი

სამკაულის ფუნქციური ცვლილება საკინძის მაგალითზე

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ისტორიისა და ეთნოლოგიური კოლექციების, ძვირფასი ლითონებისა და აღმოსავლური ნაკეთობების ფონდებში დღემდე შეუსწავლელი თმის საყოფი ჩხირების კოლექციაა დაცული, რომელთა რაოდენობა 19 ერთეულია.

მათი ნაწილი კავკასიის მუზეუმში 1912-1916 წლებშია შემოსული, თბილისში შემთხვევით შესყიდული ნივთების სახით (სურ. 1, 2).

ვერცხლის¹ თმის საყოფი ჩხირები შედგება ღეროსა და თავსართისაგან, რომლებიც ფორმისა და მათზე არსებული გამოსახულებების მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყოფა. მათგან უდიდესის სიგრძე 22,5 სმ-ია, უმცირესისა კი 12,5 სმ.

თავსართი გამოსახულებების მიხედვით ოთხი ჯგუფი იკვეთება. უმეტეს ნაწილს სტილიზებული ფრინველების - მტრედების და მამლების გამოსახულება ამკობს. მათ შორის გამოიყოფა ერთი და ორ ჩიტოანი თმის საყოფები. 19 ერთეულიდან 6 ერთჩიტოანია (სურ. 3-8), 10 ორჩიტოანი (სურ. 9-18). ასევე გვხვდება თითო ნიმუში ირმისა (სურ. 19) და სტილიზებული ცხენის გამოსახულებით (სურ. 20) და ერთი ბურთულთავიანი ჩხირი, ჯაჭვზე დაკიდებული საკიდიით (სურ. 21).

ღეროები უმეტესწილად ორი ნაწილისაგან შედგება. ქვედა სადა ზედაპირიან ვიწრო არეს, ზემოთ თანაბარი სისქის ორნამენტირებული არე ენაცვლება. ორნამენტული არე ორი

¹ ერთი ცალია სპილენძის

სახისა - მრგვალგანიკვეთიანი და ოთხკუთხედგანიკვეთიანი. მათ შორის უკანასკნელი ჭარბობს.

ფორმით თმის საყოფი ჩხირები საკინძებთან ჰპოვებს მსგავსებას, რომელთაც უძველეს დროში ტანსაცმლის შესაკრავ სამკაულად იყენებდნენ. ადრე შუა საუკუნეებში მათ თმისა და თავსაბურავის სამაგრ-სამკაულის ფუნქციაც შეიძინეს (ჩიხლაძე ვ. 2005. 195), XVII ს-დან კი თმის გასაყოფადაც მოიხმარდნენ.

სამუზეუმო კოლექციაში წარმოდგენილი ნიმუშები დიდგვაროვანთა კუთვნილი უნდა ყოფილიყო. მათი ქრონოლოგია XVIII-XIX სს-ით განისაზღვრება.

საინვენტარო წიგნებში არსებული აღწერილობების მიხედვით ორი ცალი საქორწილო დანიშნულებისაა ¹, რამდენიმე ერთეულთან კი სიტვა „საქორწილო“ მოგვიანებით გადაშლილია.

თმას უძველესი დროიდან საკრალური მნიშვნელობა გააჩნდა. ძველი რწმენა-წარმოდგენების მიხედვით ადამიანის თმაში ხდებოდა ზეციური და ცხოვრებისეული ძალისა და ენერჯის კონცენტრირება. თმა იყო სამი სკნელის დამაკავშირებელი და ასევე ნაყოფიერების სიმბოლოც. თმას ცეცხლის სტიქიასთანაც აიგივებდნენ (Белосова и Габуния, 2017, გვ. 118). წმინდა წერილის თანახმად სამსონის, ლეგენდარული ბიბლიური გმირის, ისრაელის ერის მსაჯულის ძალის საიდუმლოც სწორედ თმაში იყო. მის თმას, როგორც სულიერი ძალის შემატებისა და მისი სათნოების ზრდის სიმბოლოს დაბადებიდან სამართებელი არ უნდა შეხებოდა „რადგან დედის მუცლიდან ღვთის მოწმიდარი ვარ. თავი რომ გადამპარსონ, ძალა გამომეცლება, დავძაბუნდები და სხვათა მსგავსი შევიქმნები (მსაჯ. 16).

თმის საკრალური მნიშვნელობა აისახა ვაზის ჯვარში, რომელიც წმინდა ნინომ თავისი ქალწულებრივი თმით შეკრა.

მართლმადიდებელ ეკლესიაში უფლისადმი მორჩილებისა და მისი ნების აღსრულების ნიშნად თმის მოკვეცის წესი აღსრულება ნათლისღებისა და მონაზვნად აღკვეთის რიტუალში.

თმების მოკვეცა ძველი აღთქმის წესი იყო, რომელსაც ამ ეკლესიაში მყოფი ნაზარეველებზე აღსრულებდნენ ქრისტესადმი მონური მსახურების ნიშნად (მსაჯ. 13:5; საქმ. 18:18).

ხალხურ ყოფაში თმის მოკვეცის წესი სამგლოვიარო რიტუალში დასტურდება. ძველად, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში (გარდა აჭარისა) ჭირისუფალი ქალი თმას იჭრიდა მიცვალებულისათვის გასატანებლად, ან ნიშანზე დასადებად. თმას იკვეცდა ცოლი ქმარზე, დედა შვილზე, და ძმაზე. თმის მოკვეცა სიმბოლური გამოხატულება იყო გარდაცვლილი ქმრის გვერდით მისი ცოცხლად დარჩენილი ცოლის დამარხვის უძველესი წესისა (სახოკია, 1956, გვ. 131).

ქვემო ქართლში, ცოლი მოჭრილ თმას ქმარს გულზე დააყრიდა (ხოსიტაშვილი, 1983, გვ. 98). თუშეთში, მგლოვიარე კვინოს შეიჭრიდა და კოწლებს მანდილით დამალავდა. თუ გაუთხოვარი იყო ქალი და ძმაზე მგლოვიარე ის კოწლებს დამალავდა მხოლოდ, გათხოვილი კი კვინოებსაც შეიჭრიდა (მაკალათია, 1933, გვ. 170).

ხევსურეთში თმის შეჭრის წესი უფროსი ძმის სიკვდილის შემთხვევაში სრულდებოდა. მოჭრილ თმას და, ძმის სარტყელში „ამოატანებდა“ (ჩაუდებდა) და თან დაიტირებდა: „ძმაო უთმოუძმოთაში ჩამაყენე“. ამავე დროს თუ ყვითელი თმა ქონდა, შავად შეიღებავდა (ბალიაური და მაკალათია, 1940, გვ. 17).

ქართლში მოწმდება მოჭრილი თმის სახლში შენახვის ტრადიცია (ოჩიაური, 1987, გვ. 12), რომელიც XX ს-ის 50-იანი წლებისთვის ფაქტიურად აღარ არსებობდა.

¹ GNM 1-84-1916/1; GNM 1-122-1913/7

თმის მოკვეცის მსგავსი ტრადიცია მსოფლიოს არაერთ კუთხეში დასტურდება, ჩვენს მეზობლად მაგ., დაღესტანსა და ოსეთში.

საფლავში ჩატანებული ქვრივი ქალის თმა, როგორც მაგიური ძალის მქონე საშუალება, ქმართან უწყვეტი კავშირის სიმბოლური გამოხატულება უნდა ყოფილიყო.

გარკვეულ წესს ექვემდებარებოდა მგლოვიარე ქალის თავდახურვაც. სამეგრელოსა და სვანეთში, მიცვალებულის დატირების დღეებში და დაკრძალვისას, ჭირისუფალი ქალები ლეჩაქმოხდილები და თმებჩამოშლილები იყვნენ. თმას მხოლოდ შუბლთან, შავი შუბლსაკრავის ფორმაზე დაკეცილი თავსაკრავი უმაგრებდა (სახოკია, 1956, გვ. 122; ბეზარაშვილი, 1970, გვ. 168). ქვემო ქართლში კი გაშლილი თმით დატირება სირცხვილად ითვლებოდა. თმას საერთოდ არ გამოაჩენდნენ (ხოსიტაშვილი, 1983, გვ. 98).

ქსნის ხეზაში, ჩიხტის ხმარების იშვიათი შემთხვევის დროს, სადა თავსაკრავს გაიკეთებდნენ და არც კავებს გამოიჩენდნენ (ბეზარაშვილი, 1975, გვ. 128).

მგლოვიარე ქალებისათვის ჩიხტი-კოპის თავდახურვა არ შეიძლებოდა. ქვემო ქართლში არათუ თმის გაშლა, მისი გამოჩენაც კი არ შეიძლებოდა (ხოსიტაშვილი, 1983, გვ. 98).

ძველად, ვარცხნილობა მანდილოსნის სოციალური მდგომარეობის განმსაზღვრელიც იყო. ქართველი ქალის თმის დაყენების წესის შესახებ საუბრის საშუალება XI ს-დან არის შესაძლებელი. თავსაბურავი, რომელიც ქალის კოსტიუმის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იყო, ისტორიულ პირთა პორტრეტებზე მხოლოდ ნაწილობრივ აჩენს ვარცხნილობის სახეს. ამ გამოსახულებების მიხედვით თმის დაყენების ძირითადი ფორმა უძველესი დროიდან ნაწნავი იყო, რომელსაც რიგ შემთხვევაში კავები ემატებოდა.

XI-XIV სს-ში ნ. ჩოფიკაშვილი ვარცხნილობის სამ ტიპს ასახელებს - 1) სახის ორივე მხარეს რკალებად ჩახვეულ თმებს, 2) კავებსა¹ და 3) ნაწნავებს (ჩოფიკაშვილი, 1961, გვ. 38).

XV-XVI სს-ის ძეგლებზე სახის აქეთ-იქით, მხრამდე სიგრძის თითო ნაწნავს ატარებდნენ (სურ. 22), კავებს კი ძალზე იშვიათად. მხოლოდ ბუგეულის საქტიტორო პორტრეტებზე გვხვდება, შუბლის აქეთ-იქით, საფეთქლების გასწვრივ მიდევნებული, მცირე ზომის რკალისებრი მონასმები, რომელთა რაოდენობა ხუთიდან ათამდე მერყეობს (სურ. 23).

XVII ს-დან ნაწნავების სიგრძე იცვლება, რაოდენობა მატულობს. გვხვდება, როგორც წელამდე (სურ. 24), ასევე წელს ქვემოთ (სურ. 25), შუა წვივამდე (სურ. 26) და კოჭებამდე სიგრძის ნაწნავებიც (სურ. 27). მათი რაოდენობა ორიდან რვამდე მერყეობს (სურ. 28). ნაწნავები ძირითადად სხეულის წინ, სახის აქეთ-იქით ეშვება. იშვიათად ვხვდებით სხეულის უკან დაშვებული ნაწნავების ნიმუშებს.

XVII ს-ში კავები თითქმის ყველა გამოსახულებაზე გვხვდება. მათი რაოდენობა თითოეულ დაწვზე, ერთიდან სამამდე მერყეობს.

წერილობით წყაროებში თმის დაყენების წესთან დაკავშირებულ ინფორმაციას XVII-XVIII სს-ში ვხვდებით.

XVII საუკუნეში საქართველოში მყოფი ორი მოგზაური ჟან შარდენი და არქანჯელო ლამბერტი ქართველი ქალების ვარცხნილობას სხვადასხვაგვარად აღწერენ. ჟან შარდენის მიხედვით „თმის დავარცხნა და დახვევა ევროპელი ქალების მსგავსად იცინაო“ (შარდენი, 1975, გვ. 110).

არქანჯელო ლამბერტის გადმოცემით, ოდიშში ქალები „თმას სხვადასხვანაირად იწნავენ... გრძელ თმას დაჰყოფენ ოთხ ნაწნავად, ორს ყურებზე შემოიხვევენ და ორს, რომლებიც უფრო გრძელია, ზოგი მხრებზე გადაიდებებს და ზოგი გულ-მკერდზე. ამ ორ

¹ ნ. ჩოფიკაშვილი კავებს კისერთან დაშვებული ხვეული თმის წყებას უწოდებს, ჩვენ შემთხვევაში კავებს შუბლისა და საფეთქლების გასწვრივ მიდევნებულ, თმის მცირე ზომის რკალისებრ ფორმას ვუწოდებთ.

უკანასკნელს ნაწნავს წვერებში აქვს შავი აბრეშუმის ფოჩები, შემკული ოქროთი, ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებით. დანარჩენ თმასაც აგრეთვე შემკობილს გადაისკვნან ყელთან და ნიკაპიდან აიტანებენ თავის კინკრიხთან, სადაც შეიკრავენო“ (ლამბერტი, 1938, გვ. 46).

ჟან შარდენის აღწერილობის ილუსტრირებას არქანჯელო ლამბერტისაგან განსხვავებით ქტიტორთა გამოსახულებებზე ვერ ვხვდებით.

ჩვენი დაკვირვებით, უმეტესად ლამბერტისეული აღწერილობის - თმის ოთხ ნაწნავად დაყოფის წესი ჩანს გავრცელებული. ასევე ხშირია თმის ორ ნაწნავად ტარების მაგალითიც. შედარებით იშვიათად გვხვდება ექვსი და რვა ნაწნავის ტარების ნიმუში.

მანდილოსანთა ვარცხნილობას ეხება ვახუშტი ბატონიშვილიც. მისი გადმოცემით „თავი ქალწულთა კავნი თვისისავე თმისა დაწვთა ზედა და ქუდი ანუ ლეჩაქი. არამედ ქმროსანთა კავსა ზედა დაწვს აქვთ თმა შეწული მსხვილი იმიერ და ამიერ“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1892, გვ. 40-41).

XVIII-XIX სს-ში ნაწნავთა სიმრავლე განასხვავებდა გასათხოვარსა და გაუთხოვარ ქალს. გათხოვილი ქალები ნაწნავების მრავალრიცხოვნებას აღარ მისდევდნენ. მაგ., აჭარაში ნაწნავთა რაოდენობა ორიდან ექვსამდე აღწევდა. გათხოვილი ქალი ორ ნაწნავს ატარებდა. მხოლოდ, გათხოვებიდან 1-2 თვის მანძილზე შეეძლო ოთხი ან ექვსი ნაწნავის ტარება. განსხვავებით საქართველოს სხვა რაიონებისაგან აჭარაში კულულებს მხოლოდ გასათხოვარი და ახლად გათხოვილი ქალები ატარებდნენ (სამსონია, 2005, გვ. 103, 120). სვანეთში, ნაწნავთა რაოდენობა ორიდან ცხრამდე მერყეობდა (ბეზარაშვილი, 1970, გვ. 29). რაჭაში თმას შუაზე იყოფდნენ და ორ დაპაჭუნულ ნაწნავს ყურებთან სპირალურად იხვევდნენ. ამ ვარცხნილობას „კოპენებს“ უწოდებდნენ (ბეზარაშვილი და ჯალაბაძე, 1988, გვ. 9).

თუშეთში ნაწნავთა სიმრავლე, თმების სიხშირეზე იყო დამოკიდებული. ადრე გულისპირზე „ჩამოიწყოფდნენ“, მოგვიანებით კი ზურგს უკან ატარებდნენ. გათხოვილი ქალი წინა მხარეს კიკინოებს იკეთებდა, უკან კი ნაწნავებს (ბეზარაშვილი, 1974, გვ. 65). ხევსურეთში რაც უფრო მეტი ნაწნავი ქონდა ქალს, მით უფრო „სახელი იყო მისთვის... ზოგს შვიდი ნაჭაპნიცა ჰქონდა“ (მაკალათია, 1935, გვ. 142, 143). ხევსური ძმიანი ქალები კი „თმა დახვეულებ“ ყოფილან. თმას რვა-ათ ნაჭაპნად დაიწნავდნენ, ორ ჯგუფად გაყოფილ ნაწნავებს შუბლზე ჯვარედინად გადაიტარებდნენ და მათ ბოლოებს თავზე მიიმაგრებდნენ, ანუ შუბლიან თმებს „ხატად დაიკეთებინ“ (სურ. 29) (ბოჭორიშვილი, 1951, გვ. 77).

ქართული თავდახურვისას წინ ორ კავს, ხოლო უკან ორ ნაწნავს იკეთებდნენ. კავებს საკუთარი თმიდან ამზადებდნენ, ან გამზადებულ კავებს ხმარობდნენ (სურ. 30). XIX ს-ის 70-80-იან წლებამდე შედარებით მოკლე კავებს ატარებდნენ, შემდეგ კი გრძელი კავები შემოდის ხმარებაში. XIX ს-ის II ნახევრიდან ორ ნაწნავს ატარებდნენ (გვათუა, 1967, გვ. 31).

ვარცხნილობის ამგვარმა სახემ, თმის თანაბრად გადანაწილების საჭიროებამ, გამოიწვია როგორც ჩანს საკინძის ფუნქციური ცვლილება და მისი თმის საყოფად გამოყენების წესი.

ოქროსა და ვერცხლის თმის საყოფები დიდგვაროვან მანდილოსანთა მზითვის წიგნებში XVII ს-დან - XIX ს-ის შუა წლებამდე სახელდება. მაგ., ქართლის მეფის როსტომის მეუღლის (1634 წ.), შაჰნავაზ მეფის ასულის (1667 წ.), ანა ქსნის ერისთავისთვის (1692-1703 სს.), ანუკა ბატონიშვილის (1712 წ.), ელისაბედ ბატონიშვილის (1765-66 წწ.), ელისაბედ თუმანიშვილის (1807 წ.), როსტომ ბაგრატიონის ასულ ნინოსი (1826 წ.) და სხვ. მზითვის სიაში (იაშვილი, 1974, გვ. 11, 20, 49, 84, 126, 180). ყველა შემთხვევაში მათი რაოდენობა თითო ცალით განისაზღვრება. ზოგიერთი მათგანი ძვირფასი თვლებითაც იყო შემკული.

ჩვენ მიერ შესწავლილი კოლექციის ძირითადი ნაწილი ვერცხლისაა, ზოომორფული ფიგურებითა და გეომეტრიული ორნამენტებით შემკული. მათ უმეტესწილად ფრინველთა - მტრედისა და მამლის გამოსახულებები ამკობს.

მტრედი ოდითგანვე მშვიდობის, უმანკოების, თვინიერებისა და სიწმინდის სიმბოლოდ იყო მიჩნეული (დაბ. 8:11; მათ. 10:16). ნოეს მტრედმა ზეთისხილის რტოს მოტანით ახარა წარღვნის დასრულება (დაბ. 8:12). მტრედი სული წმიდის სიმბოლოა. მტრედის სახით სულიწმიდის გამოცხადება იესო ქრისტეს ნათლისღებისას მოხდა. „და ნათელ-ილო იესუ, და მეყვსეულად აღმოვიდა რაჲ წყლისა მისგან, და აჰა განეხუნეს მას ცანი, და იხილა სული ღმრთისაჲ, გარდამომავალი, ვითარცა ტრედი, მოვიდა და დაადგა მას ზედა“ (მათ. 3:16; მარკ. 1:10; ლუკ. 3:22; იოან. 1:32).

სჯულისმიერი წესის მიხედვით, პირმშოს სახელზე 40 დღის შემდეგ ოჯახს სამადლობელი და განსაწმენდელი მსხვერპლი უნდა შეეწირა უფლისათვის. „ორნი გურიტნი ანუ ორნი მართუენი ტრედისანი“ (ლუკ. 2:24).

მტრედის გამოსახულებებს ვხვდებით ადრექრისტიანულ სიმბოლოთა შორის, მაგ., რომის კატაკომბურ მხატვრობაში. მტრედი ნისკარტში ტოტით არის გამოსახული III ს-ის წმ. პრისკილას კატაკომბში, მოგვთა თაყვანისცემის სცენაში წმ. პრეკესტასის კატაკომბში, ქრისტეს მონოგრამაში ჯვრის მკლავებზე მჯდომარე სახით და სხვა.

საქართველოში მისი ადრეული გამოსახულება ბიჭვინთის ტაძრის სანათლავის იატაკის მოზაიკაზეა მოცემული „მადრევანი წყლისა ცხოველისას“ კომპოზიციაში (ჩიხლაძე და სხვ. 2017, გვ. 44, 46).

მტრედთან მიმართებაში საინტერესოა მითი „ეკლესიის მამულებელი მტრედის“ შესახებ. მეფე-პატარძლის დალოცვის ერთ ტექსტში ჩართულია სტრიქონები, რომლებიც პირველი ქრისტიანული საიდუმლოს სიმბოლიკას შეიცავს: „მტრედმა თავის სინდისითა ელუსამელ კოშკში დადგაო, ზედ საყდარი ააშენა, შიგ მირონი გუბედ ჩადგაო“ (კიკნაძე, 1996, გვ. 53).

მამალი მსოფლიო ხალხთა მითოლოგიაში სინათლის, ნაყოფიერების, მზის იპოსტასია. სიბრძნის, განწმენდის, სოლარული გმირების ემბლემაა, აქტივობის, ბრძოლის, აღდგომის, განთიადის სიმბოლოა. მძიმე ავადმყოფთა მკურნალი, ბოროტ, ავსულთა დამთრგუნველია (ღამბაშიძე, 2004, გვ. 70).

განთიადისას მამალი პირველი მიესალმება აღმოსავლეთიდან მზის ამოსვლას, რომელიც განდევნის ბოროტებისა და ბნელეთის ძალებს.

სახარებაში მამლის ყივილთან არის დაკავშირებული მაცხოვრის ჯვარცმამდე პეტრე მოციქულის მიერ მისი უარყოფა (მათ. 26: 69-75; მარკ. 14: 66-72; ლუკ. 22: 55-61; იოან. 18:17-27). ქრისტეს ვნებებთან შეხამებული მამალი აღდგომას განასახიერებს. ის სიფხიზლისა და გულმოდგინების სიმბოლოა. მამალი ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამს სამყაროს უკანასკნელი სამსჯავროს შესახებ ამცნობს.

ადრექრისტიანულ სიმბოლოთა შორის მაგ., კატაკომბურ მხატვრობაში გვხვდება მამლის, როგორც აღდგომის სიმბოლური გამოსახულება. მითოლოგიურად ის პირველი ფრიბველი იყო ვინც ქრისტეს დაბადება გვამცნო და მას მერე მთელი შობა ყიოდა. ძველად, ხალხურ ყოფაში მამალი აღდგომისა და სააღდგომო ციკლის დღეობებთან იყო დაკავშირებული. საქართველოში აღდგომასა და ბზობას გამომცხვარი კვერის ან თივისაგან გაკეთებული მამლები დაქონდათ. გაზაფხულზე ხარების ხვნაში პირველად გასვლის დღეს საშობაოდ შესაწირ მამალს ნიშანს დაადებდნენ (ღამბაშიძე, 2004, გვ. 71,72).

როგორც აღვნიშნეთ, თმის საყოფი ჩხირების ერთ ნაწილს ერთმანეთის პირისპირ გამოსახული ფრინველების ფიგურები ამკობს, ნაწილს კი თითო ჩიტისა.

ფრინველების სიმეტრიული, ჰერალდიკური კომპოზიცია როგორც თავისი ფორმით, ასევე შინაარსით, შეიძლება დავუკავშიროთ კომპოზიციათა იმ ფართო წრეს, რომელიც კარგადაა ცნობილი მცირე და წინა აზიის ხელოვნებაში და წარმოადგენს „სიცოცხლის ხის“ ან ცხოველთ მფარველი ქალღვთაების ორივე მხარეს განლაგებულ ცხოველებს (ხიდაშელი, 1982, გვ. 81).

ქართულ სამკაულზე ფრინველთა გამოსახულებებს უძველესი დროიდან ვხვდებით. კერძოდ, საკინძებზე ძვ. წ. XIV-XIII სს-ში (სურ. 31, 32), როგორც ერთეული, ასევე შეწყვილებული სახითაც (ლორთქიფანიძე, 2015, გვ. 94, 95). ფრინველთა გამოსახულებები, უძველესი დროიდან მრავლად გვხვდება ცენტრალური აზიისა და მახლობელი აღმოსავლეთის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ძეგლებზე. ჩიტები მიაჩნდათ კეთილდღეობის, ნაყოფიერების, ხვავის, ოჯახური კეთილდღეობის და სხვ. სიმბოლოდ. მმართველები კი ფრინველებს ყოველთვის ძალაუფლებისა და მათი მფარველობის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ.

ცენტრალურ აზიაში ადრემუსლიმურ პერიოდში ქალთა შუბლსაკრავებსა და საკიდებს მაგიური ძალის მისანიჭებლად ფრინველთა ბუმბულითა და კლანჭებითაც ამკობდნენ.

სელჯუკების პერიოდში ირანში (XI-XIII სს) ქალები ატარებდნენ ოქროს საკინძებს ფრინველთა გამოსახულებებით, თუმცა მათი ნიმუშები ფაქტიურად არ არის შემორჩენილი. სტილიზებული ფრინველების გამოსახულება ხშირად გვხვდება თურქმენტა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებზე (Islamic Art at the Musee du Louvre, 2012, p. 93,193). ადრე ისლამურ პერიოდში ძალზე გავრცელებულია ნისკარტში ყურძნის მტევნითა და მცენარის ტოტებით გამოსახული ჩიტების გამოსახულებები. მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმში ინახება XIX-XX სს-ის დასაწყისით დათარიღებული საინტერესო ნიმუში თავსამკაულისა (სურ. 33), რომელიც ცენტრალური აზიის ან ირანული სამყაროს კუთვნილება უნდა ყოფილიყო (Diba, 2011, 40).

სამუზეუმო კოლექციაში დაცულ ერთ-ერთ თმის საყოფ ჩხირს ირმის ფიგურა ამკობს (სურ. 19).

ირემი საქართველოს უძველესი მოსახლეობის რწმენებსა და რიტუალებში უკვე ენეოლოთის ხანიდან გვხვდება (სურგულაძე, 1993, გვ. 117). ამავე პერიოდს ეკუთვნის მისი გამოსახულების ერთეული ნიმუშებიც. ირმის სახე საგრძნობლად მატულობს მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკულ დეკორში. შემდგომ, კი ბრინჯაოსგან დამზადებულ საკულტო დანიშნულების ძეგლებზე განაგრძობს არსებობას. მაგ., ბრინჯაოს გრავირებულ სარტყლებსა და კოლხურ ცულებზე, ასევე ბალთებზე. მ. ხიდაშელის მიხედვით „ირმის სიმბოლო კარგად გამოხატულ კონცეპტუალურ სახეს იძენს...წარმოაჩენს კოსმოგონიის, როგორც სიკვდილიდან ახალი სიცოცხლისა და აღორძინებისათვის აუცილებელ მოქმედების არსს“ (ხიდაშელი, 2010, გვ. 419).

საქართველოში ირმის გამოსახულებები აქტიურად ჩანს მთელი ანტიკური ხანის მანძილზეც. ადრექრისტიანულ იკონოგრაფიაში ირემი გამოისახება შადრევანთან, ხესთან ან ჯვართან სიახლოვეს, როგორც სარწმუნოებას დაწაფებული მორწმუნე ადამიანის სიმბოლური გამოხატულება. მაგ., V-VI სს-ის ბიჭვინთის ტაძრის იატაკის მოზაიკა (ციციშვილი, 1995, გვ. 71), ატენის სიონის ჩრდილოეთი შესასვლელის ტიმპანისა და დასავლეთ ფასადის რელიეფები (V ს) (დადიანი და სხვ. 2017, გვ. 42) და სხვ.

ქართულ ქრისტიანულ კულტურაში ირემი სხვადასხვა სასწაულებთან არის დაკავშირებული. მაგ., ირემები ასაზრდოებდნენ უდაბნოში საკვების გარეშე დარჩენილ წმ. დავით გარეჯელსა და წმ. ლუკიანეს. ასევე, მისი სახე აქტიურად ჩნდება ქრისტეს რჯულზე მოქცევისა და კერპთაყვანისცემისაგან განთავისუფლების ეპიზოდებში. მაგ., წმ. ევსტატე პლაკიდას ირემზე ნადირობისას, მის რქებს შორის გამოეცხადა უფალი, რის შემდგომაც მან მიიღო ქრისტიანული სარწმუნოება. ამ სიუჟეტის ამსახველი სცენები მრავლად გვხვდება როგორც ქვის პლასტიკაში, ასევე კედლის მხატვრობაში.

ირმის მითოსური სახე მრავლად ჩნდება ქართულ ხალხურ კულტურაში, მითებში და ზღაპრებში. ასევე, ქართულ ხალხურ ორნამენტში, რომელიც ხასიათდება არქაული და ტრადიციული ხატოვანი სისტემით.

საქართველოში გავრცელებულ კოსმოგონიურ გადმოცემებში ირემი ხშირად ღვთაების ან ღვთისშვილის სიმბოლოს წარმოადგენდა და ახლად შექმნილი, უკვე საკრალიზებული კოსმოსის დაფუძნებას აუწყებდა ხალხს (ხიდაშელი, 2010, გვ. 423).

ძველად ირმის რქებსაც საკრალური მნიშვნელობა ქონდა, ვინაიდან „მისი წვერი ცას უწევს და ღმერთთან მისასვლელ კიბედ გამოიყენება“ (სურგულაძე, 1993, გვ. 113).

ი. სურგულაძის აღნიშვნით, ირემი აქტიურად მოქმედებდა საქორწილო რიტუალებშიც ე.წ. მეფის// ნეფის განადირების წესში. მისი აზრით ნეფის განადირება იმ რეალური ნადირობის იმიტაცია წარმოადგენდა, სადაც აღწერილი იყო მითოსური „მეფის“ ნადირობა. ამ მითოსურ ნადირობას სდევდა თან საქორწილო ურთიერთობები, სასიყვარულო კავშირები მონადირესა და ქალღვთაებას შორის, რომლებიც გარკვეული ნიშნით მოკვდავსა და აღდგენად ღვთაებათა რანგს განეკუთვნებიან (სურგულაძე, 2003, 118).

სამუზეუმო კოლექციაში დაცულ ერთ-ერთ თმის საყოფ ჩხირს ცხენის ფიგურა ამკობს (სურ. 20).

ცხენის გამოსახულებები ჯერ კიდევ გამოქვაბულთა მხატვრობაში გვხვდება. მას იმთავითვე წმინდა ცხოველად და ნაყოფიერების სიმბოლოდ მიიჩნევდნენ.

საქართველოში ცხენის გამოსახულება არქეოლოგიური მასალის მიხედვით ადრეული რკინის ხანაში ჩნდება.

ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფასა და ზნე-ჩვეულებებში ცხენის კულტი მკრთალად არის წარმოდგენილი. მაგრამ მას გარკვეული ადგილი უნდა სჭეროდა ცხოველთა მფარველი ნაყოფიერების ღვთაების სამყაროში. იგი უმეტესად მხედართან კონტექსტში განიხილება.

ცხენს საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში. რაში ქართული ზღაპრისა, ისევე როგორც ირემი ავლენს კავშირს სამივე სკნელთან - ზღვასთან, ცასთან, ხმელეთთან (ოქროშიძე (1968). რაში ქართული ზღაპრისა. *მნათობი*. #12. გვ. 155-157.). მსგავსია რაშის, ირმისა და ფასკუნჯის ფუნქციებიც. ზღაპრებში რაში ზოგჯერ ფასკუნჯს ცვლის. გმირს ხან ზესკნელში აიყვანს, ხან ქვესკნელში მოახვედრებს (ხიდაშელი, 1982, გვ. 80,81).

ცხენთან მიმართებაში საინტერესოა სააღდგომო დღეობათა ციკლში შემავალი, დიდმარხვის პირველი კვირის, ე.წ. თედორობის კვირის შაბათი დღის დღესასწაული „თედორობა“. საეკლესიო კალენდრით ამ დღეს წმ. თეოდორე ტირონის ხსენება აღესრულება, რომელიც ქრისტიანულ იკონოგრაფიაში ცხენოსანია. „თედორობა“ დღეს შესასრულებელ წეს-ჩვეულებათა ერთი წყება ცხენისადმია მიძღვნილი. სრულდება ცხენის ლოცვა, ცხვება მისი გამოსახულების რიტუალური კვერები, რომელსაც ჭიხვინ-ხვიხვინითა და ტლინკაობით იღებენ კბილებითა და ისე შეექცევიან და ა.შ. ნ. ბრეგვადის აზრით „თედორობა“ ფართო აგრარული დღესასწაულის ხასიათის მატარებელია. გამიზნულია როგორც საქონლის გამრავლებისათვის, ასევე სამიწათმოქმედო კულტურათა ბარაქიანობა-უხვმოსავლიანობისა და ოჯახის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად (ბრეგაძე, 2001, გვ. 122-123).

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ცხენს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მიცვალებულთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად საქართველოში გვიანი ბრინჯაოს ხანის დასაწყისიდან დასტურდება მიცვალებულთან ცხენის თანადაკრძალვის უძველესი ტრადიცია. ამას მოწმობს მაგ., ძვ. წ. IV-III სს-ის ახალგორის განძი, სადაც სხვადასხვა ძვირფას ნივთებს შორის აღმოჩნა ცხენის რახტის შესამკობი ოქროსა და ვერცხლის სხვადასხვანაირი ფირფიტები, ბრინჯაოს რგოლები და ლაგმები (Лордкипаниძე, 1989, с. 323, 353, 354). ამავე განძში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ოქროს სასაფეთქლეები, შეწყვილებული ცხენის ფიგურებით.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთმა საქართველოს სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით ყველაზე დიდხანს შემოინახა დაკრძალვის რიტუალში მიცვალებულისათვის

ცხენის შეწირვის//დაკურთხების წესი. ძველი წარმოდგენების მიხედვით მიცვალებულს საიქიოში მის სახელზე დაკურთხებული ცხენი ემსახურებოდა, რომელსაც „სულის ცხენი“ ეწოდებოდა. ამ წესს ძირითადად მამაკაცის გარდაცვალებისას აღსრულებდნენ, მაგრამ ზოგჯერ საპატივცემულო ქალის დასაფლავების დროსაც. ამისათვის საუკეთესო ცხენს შეარჩევდნენ. მიცვალებულის დაკრძალვის დღისთვის საგანგებოდ გაამზადებდნენ - გაბანდნენ, კარგად აჭმევდნენ, ქალები ფაფარს, ქოჩორსა და ძუას დაუწნავდნენ. კისრის სიგრძედ მძივ-ღილით მორთულ ფარჩის „საფაფრეს“ გაუკეთებდნენ, შუბლზე „საშუბლურს“ შემოაკრავდნენ, მკერდზე მძივისაგან მოქარგულ „ყელსადებს“, ძუაზე ბოლოში ფერად ნაჭრებს შეაბამდნენ, კარგ უნაგირს დაადგამდნენ, ზედ სანთელს დააკრავდნენ და მათრახს ჩამოჰკიდებდნენ. უნაგირზე „მკვდრის საგზლიან“ ხურჯინს, მიცვალებულის ტანსაცმელსა და იარაღს გადაჰკიდებდნენ. ასე შეკაზმულ ცხენს დასაფლავების დღეს მიცვალებულის თავთან დააყენებდნენ და ხელზე თოკით გამოაბამდნენ, აღვირს კი ცოლი, დედა ან და დაიჭერდა. ცხენს სულის ხუცობის მცოდნე უფროსი დააკურთხებდა შემდეგი სიტყვებით: „შენი სახმარი არის ეს შეკაზმული ცხენი, შენი საფერხე იყოს, სადაც გაჭირდეს გამაიყენე და აჯირითე, უცხენომც ნუ იქნები, ეს უნაგირი, ხურჯინ-საგზალი შენამც გეხმარების“. შემდეგ ლუდს ან არაყს დაასხამდა ცხენის ფაფარს, უნაგირს და მათრახს სამჯერ მსუბუქად დაარტყამდა ცხენს, თან იტყოდა: „შენივე სახმარი, შენამც გეხმარების, სწორებსამც ნუ ჩამორჩებიო“. დაკურთხებულ ცხენს განსაკუთრებულად უვლიდნენ, საჯდომად და ტვირთის საზიდად არ გამოიყენებდნენ. წლისთავზე გამართული დოღის შემდეგ კი გააჩუქებდნენ (გიორგაძე, 1987, გვ. 11, 12).

სვანეთში დასაფლავების დღეს საუკეთესოდ მორთულ ცხენს პატრონის ცხედართან ახლოს დააყენებდნენ, გასვენებისას კი პროცესიის წინ იმდენხანს აჭენებდნენ, სანამ არ მოკვდებოდა. სამეგრელოში კი ცხენის მოჭრილ ძუას ატანდნენ მიცვალებულს (გიორგაძე, 1987, გვ. 13,14).

თმის საყოფ ჩხირთაგან ერთი მრგვალთავიანია, მასზე დაკიდებული საშუალო ზომის ჯაჭვით (სურ. 21). წრე უძველესი მისტიური სიმბოლოა ღვთიური საწყისის, სამყაროს, მარადიულობის და სრულყოფილების. ჯაჭვი/შიბი კი ძველი რწმენა-წარმოდგენების მიხედვით იყო მიწიერ და ზეციურ სამყაროთა შორის დამაკავშირებელი საშუალება, ერთგვარი კიბე. ორ საკულტო ადგილს შორის გაბმული შიბის შესახებ უწყებულება იალღრის მითში. ციდან დაშვებული შიბის შესახებ საუბარია ყამარის კომპის აღწერაში, სადაც უკარო კომპი ცასთან შეერთებულია ჯაჭვის საშუალებით (სურგულაძე, 1993, გვ. 180, 181).

თმის საყოფი ჩხირების ღეროს ზედა ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ გეომეტრული ორმანამენტით არის შემკული. ორნამენტის სახეს ძირითადად ერთიმეორისაგან შტრიხებით გამოყოფილი ოთხკუთხედეები ქმნის, რომელთა შიდა არე დიაგონალურად გავლებული ხაზებით, სამკუთხა არეებად ნაწილდება. რიგ შემთხვევაში გადაკვეთის ადგილებს ჯვრული შტრიხები ამკობს. რომბისებური ბადე კი ოთხყურა ყვავილებითაა გამშვენებული (სურ. 34-39).

ძველ სამყაროში ოთხკუთხედი სამყაროს განასახიერებდა. იგი ქმნიდა ჰორიზონტალურად განფენილი სამყაროს სტატისტიკურ მოდელს, რომელშიც სამყარო წარმოდგებოდა, როგორც მოწესრიგებული, იდეალური სტრუქტურის მქონე განუყოფელი მთლიანობა.

სამკუთხედი განასახიერებდა სამყაროს ვერტიკალური აგებულების სქემას, სადაც სამი მთავარი განზომილების, ზესკნელის, შუასკნელისა და ქვესკნელის არსებობა იყო დაფიქსირებული. სამკუთხედი და რომბიც ქალურ საწყისსაც უკავშირდებოდა და სამოს აღმნიშვნელ ნიშნად გაიაზრებოდა.

აზრობრივად განსაკუთრებულად იყო დატვირთული სიმბოლო, რომელიც წარმოადგენს ოთხკუთხედ ჩარჩოში ჩასმულ საერთო წვერის მქონე ორ სამკუთხედს. ამ ნიშანში ერთდროულად იყო დაფიქსირებული სამყაროს ცენტრი. ეს სიმბოლო წარმოადგენდა

სამყაროს, როგორც ჰორიზონტალურად გაშლილ, სტატიკურ მთლიანობას, ასევე მის ვერტიკალურ აგებულებასა და დინამიურ ხასიათს (ხიდაშელი, 2005, გვ. 144-145).

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილული ყველა გამოსახულება - გეომეტრიული თუ ზომომორფული, სიწმინდესთან, მარადიულობასთან, ნაყოფიერებასთან, ხვავთან, ბარაქასთან და ა. შ. კონტექსტში განიხილება.

როგორც აღვნიშნეთ თმის საყოფის ორი ერთეული მუზეუმის საინვენტარი წიგნებში საქორწილო დანიშნულების ნივთად მოიხსენიება. ეს გახლავთ ორჩიტანი და ცხენის

თავსართიანი ჩხირები. ფაქტიურად, პირველი ნიმუშის ანალოგიურია ჩვენს კოლექციაში შემავალი სხვა ნიმუშებიც, როგორც ვიზუალური ასევე სიმბოლური მნიშველოვნებითაც. ამ თვალსაზრისით ასევე საინტერესოა მუზეუმის ძვირფასი ლითონების ფონდში დაცული საქორწილო დანიშნულების თვლებით შემკული მოოქრული ვერცხლის ქინძისთავი, რომელსაც ასევე ერთმანეთის პირისპირ გამოსახული ჩიტებს ამკობს (სურ. 40).

ქორწილი ქალის ერთი მდგომარეობიდან, მეორეში გადასვლას, ახალი ცხოვრების საწყისს განასახიერებდა. იცვლებოდა თმის დაყენების წესიც. სრულიად შესაძლებელია, სამუზეუმო კოლექციაში დაცული, სიმბოლური გამოსახულებებით დატვირთული თმის საყოფი ჩხირები, პირველად საპატარძლოს ვარცხნილობის შესასრულებლად გამოეყენებინათ, რომელსაც შემდგომ გარკვეულ დღესასწაულებზე ან ყოველდღიურ ცხოვრებაშიც მოიხმარდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები: ლიტრატურა:

1. ბალიური, მ., მაკალათია, ნ. (1940). მიცვალებულის კულტი არხოტის თემში. *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის*. თბილისი. მეცნიერება.
2. ბეზარაშვილი, ც. (1970). სვანი ქალის სამოსი. სვანეთის ეთნოგრაფიის შესწავლისათვის. თბილისი. მეცნიერება.
3. ბეზარაშვილი, ც. (1974). ტყავის სამოსელი ხევსურეთში (საქ. სახ. მუზეუმის კოლექცია). *ძეგლის მეგობარი*. #36, თბილისი. საბჭოთა საქართველო.
4. ბეზარაშვილი, ც. (1975). რიტუალური სამოსელი. მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. თბილისი. მეცნიერება.
5. ბეზარაშვილი, ც., ჯალაბაძე, გ. (1988). ქართული ხალხური ტანსაცმელი. თბილისი. მეცნიერება.
6. ბრეგაძე, ნ. (2001). *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის*. XXIV. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი მემატინი.
7. გვათუა, ნ. (1967). ჩაცმულობის ისტორიიდან, ქალის ქართული ჩაცმულობა XIX ს- XX ს-ის დასაწყისში. თბილისი. ლიტერატურა და ხელოვნება.
8. გიორგაძე, დ. (1987). დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში (თუმ-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). თბილისი. მეცნიერება.
9. დადიანი, თ., კვაჭატაძე, ე., ხუნდაძე, თ. (2017). შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება. თბილისი. სეზანი.
10. ვახუშტი ბატონიშვილი (1892). საქართველოს გეოგრაფია. გამოცემა მოსე ჯანაშვილისა. ტფილისი. სტამბა მაქსიმე შარაძისა.
11. იაშვილი, მ. (1974). მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები). თბილისი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

12. კიკნაძე, ზ. (1996). ქართული მოთოლოგია. I. ჯვარი და სამყარო. გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ფოლკლორისა და მითოლოგიის სერია #1. ქუთაისი.
13. ლამბერტი, ა. (1938). სამეგრელოს აღწერა. ა. ჭყონიას თარგმანი. თბილისი.
14. ლორთქიფანიძე ნ. (2015). ძველი ქართული სამკაული. თბილისი. ქარჩხაძის გამომცემლობა.
15. მაკალათია, ს. (1933). თუშეთი. თბილისი. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება.
16. მაკალათია, ს. (1935). ხევსურეთი. თბილისი. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება
17. ოქროშიძე, თ. (1968). რაში ქართული ზღაპრისა. *მნათობი*. #12.
18. ოჩიაური, თ. (1987). დაკრძალვის წესები ქართლში ძველად და ახლა. თბილისი. მეცნიერება
19. სამსონია, ი. (2005). ხალხური ტანსაცმელი აჭარაში. ბათუმი. აჭარა.
20. სახოკია, თ. (1956). საქორწინო ჩვეულებანი სამეგრელოში. თბილისი.
21. სურგულაძე, ი. (1994). ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა. თბილისი. სამშობლო.
22. სურგულაძე, ი. (2003). მეფე მონადირე (ერთი საქორწილო წესის სოციალური ბუნებისათვის). მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში. თბილისი.
23. შარდენი, ჟ. (1975). ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). თბილისი. მეცნიერება
24. ჩიხლაძე, ვ. (1993). ქართველი ქალის თავსამკაული და ვარცხნილობა ადრემუასაუკუნეებში (ჟინვალის სამაროვნის არქეოლოგიური მასალების მიხედვით). თბილისი. საქართველოს მეცნიერებთა აკადემია.
25. ჩიხლაძე, ნ., დათუნაშვილი, ნ., გველესიანი, მ. (2017). ძველი საქართველოს მონუმენტური მხატვრობა და მისი მოამაგენი. თბილისი.
26. ჩოფიკაშვილი, ნ. (1964). ქართული კოსტუმის ისტორია (VI-XIV სს). თბილისი. საქართველოს მეცნიერებთა აკადემია.
27. ციციშვილი, ი. (1995). ბიჭვინთის მოზაიკა. ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი.
28. ხიდაშელი, მ. (1982). ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეული რკინის ხანაში (ბრინჯაოს გრაფირებული სარტყლები). თბილისი. მეცნიერება.
29. ხიდაშელი, მ. (2005). რიტუალი და სიმბოლო არქაულ კულტურაში. თბილისი. მემატია.
30. ხიდაშელი, მ. (2010). ირმის ხატი ქართულ კულტურაში. საქართველოს ძველი კულტურის საკითხები. თბილისი. სსიპ ივანე ჯავახიშვილია და ეთნოლოგიის ინსტიტუტი.
31. ხოსიტაშვილი, ს. (1983). ქორწინებისა და მიცვალებულის დაკრძალვის წესი სამცხე-ჯავახეთში. თბილისი. საბჭოთა საქართველო.
32. Diba, Layla S. (2011). Turkmen Jewelry. Silver Ornaments from the Marshall and Marilyn Wolf Collection.
33. Islamic Art at the Musee du Louvre (2012). Paris, Musee du Louvre.
34. Белосова, Е. Б. Габуния, З. М. (2017). О знаковой функции и культурной семантике волос. Известия соигси 23 (62). Владикавказ.
35. Лордкипანიძე, О. (1989). Наследие древней Грузии. Тбилиси. Мецნიერება.

Nino Datunashvili, Mamuka Kapianidze, The Georgian National Museum

Functional change of the Jewel on the example of a clasp

Summary

There is a collection of separating hair sticks in the ethnographical depositories of the Georgian National Museum, the Simon Janashia Georgian Museum. This collection has not been studied until today. A part of objects from this collection, according to the museum registry books, was purchased by the Gaucasian Museum during 1912-1916 years by chance.

Silver sticks for separating hair consist of a spindle and attachment which are divided into several groups according to their forms and existed on them images.

There are four groups of attachments that are grouped according to depictions on them. Most of them are adorned with birds-doves and cocks-images. There are also samples with stylized representation of a horse and a deer. One of them has a globule head with hung on a chain hook. Several samples are decorated with stones.

Spindles are of two types: flay-diametrical and round-transversal. The first types are numerically superior.

Hair separating sticks according to their forms which were resemble clasps used as fastening decorations of garments in ancient times.

In the early Middle Ages they had the function of hairclips and headdress pins as well. From the 17th century they became hair separating objects.

The presented in our collection hair separating samples should have belonged to gently born women.

A part of this exhibits, according to existing in the museum inventory books description is of a marital assignment and dates back to the 18th -19th centuries.

Hair had a sacral meaning from the oldest times. A woman's hair style, its decoration and objects connected with its grooming were discussed and examined, precisely in this context.

ილუსტრაციების სია:

სურ. 1. კავკასიის მუზეუმის 1916 წლის საინვენტარო დავთარი, თმის საყოფი ჩხირის ჩანახატი

სურ. 2. კავკასიის მუზეუმის 1916 წლის საინვენტარო დავთარში ჩახატული თმის საყოფი ჩხირი.

სურ. 3-8. ერთჩტიანი თმის საყოფი ჩხირები.

სურ. 9-18. ორჩტიანი თმის საყოფი ჩხირები.

სურ. 19. თმის საყოფი ჩხირი ირმის გამოსახულებით.

სურ. 20. თმის საყოფი ჩხირი სტილიზებული ცხენის გამოსახულებით.

სურ. 21. თმის საყოფი ჩხირი მრგვალთავიანი, ჯაჭვიანი საკიდით.

სურ. 22-28. ქალის ვარცხნილობის ნიმუშები XV-XVII სს-ის საქართველოში.

სურ. 29. ხევსური ქალის ვარცხნილობა.

- სურ. 30. ქართული თავდახურვა და თმის დაყენების წესი XIX ს-ში.
 სურ. 31. 32. საკინძები ფრინველთა გამოსახულებებით ძვ. წ. XIV-XIII სს.
 სურ. 33. თავსამკაული. XIX-XX ს-ის დასაწყისი. მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმი.
 სურ. 34-39. თმის საყოფი ჩხირების ღეროს ორნამენტის ნიმუშები.
 სურ. 40. საქორწილო ქინძისთავი XVIII-XIX სს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

ილუსტრაციები:



1.



2.



3.



4.



5.



6.



7.



8.



9.



10.



11.



12.



13.



14.



15.



16.



17.



18.



19.



20.



21.



22.




23.



24.



25.



26.



27.



28.



29.



30.




31.



32.

33.





34.



35.



36.



37.



38.



39.



40.

ნიწო დათუნაშვილი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი

სამკაულის ტიპოლოგია XV-XIX სს-ის საქართველოში

საქართველოში სამკაულის მოხმარების წესი უძველესი დროიდან - ქვის ხანიდან დასტურდება. დროთა განმავლობაში სამკაული, ქალთა თუ მამაკაცთა შემთხვევაში, ქართული კოსტიუმის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილი ხდება. ის, სამოსის მსგავსად, ადამიანის ეთნიკური და სოციალური მდგომარეობის განმსაზღვრელი იყო და საუკუნეთა მანძილზე მოდის ტენდენციების შესაბამისად განიცდიდა ცვლილებას.

ამჯერად, ყურადღებას XV-XIX სს-ის სხეულის სამკაულზე შევაჩერებთ. აღნიშნული პერიოდი დღემდე ნაკლებად არის შესწავლილი, რაც შესაძლოა XV-XVIII სს-ის ფაქტიური მასალის განსაკუთრებული სიმცირით იყოს განპირობებული. აღნიშნულ პერიოდში ქვეყანაში არსებულმა უმძიმესმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ - ირან-ოსმალეთის ბატონობამ, თავის მხრივ, ზეგავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე. შესაბამისად, ყოველივე ამან ასახვა ჰპოვა ქვეყნის მატერიალურ კულტურაზეც. არქეოლოგიური გათხრების შედეგად XV-XVIII სს-ის სამკაულის მხოლოდ რამდენიმე ერთეული იქნა გამოვლენილი. არც წერილობით წყაროებშია დაცული სათანადო ინფორმაცია. ძირითად წყაროს ამ შემთხვევაში ისტორიულ პირთა პორტრეტები შეადგენს, რომელთა უმეტესი ნაწილი ფრესკული მხატვრობის ძეგლებზეა შემორჩენილი.

მამაკაცთა შემკულობა ქალთაგან განსხვავებით მწირია და ძირითადად საყურეებითა და ბეჭდებით არის წარმოდგენილი. განსაკუთრებით აქტიურად სამკაულს მამაკაცები XVII ს-დან მოიხმარდნენ.

XV-XVII სს-ის მანძილზე *საყურის* სამი ტიპი იკვეთება: 1) გრძელ საკიდეზე დაკიდებული, თვალ-მარგალიტით გასრულებული, თითქმის მხრამდე სიგრძისა (სურ. 1); 2) მცირე ზომის რკალისებრი ფორმისა (სურ. 2) და 3) ყურის ბიბილოზე მიბჯენილი, საშუალო ზომის, თვალ-მარგალიტით გამშვენებული ოქროს წრიული ფირფიტა (სურ. 3).

პირველი ტიპის საყურით არის გამოსახული ნაბახტევის ღმრთისმშობლის ტაძრის XV ს-ის მხატვრობაში ქუცნა ამირეჯიბის ვაჟი რამინი. გრძელი ოქროსფერი საკიდი მსხვილი მარგალიტითაა გასრულებული (ჩიხლაძე და სხვ. 2017, გვ. 226).

ამის მსგავსია წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიის ლევან I და ლევან II დადიანის ეგვიტერებში, XVI-XVII სს-ის მხატვრობაში წარმოდგენილ პირთა საყურეები. მაგ., ლევან II დადიანის ძე ალექსანდრესი, გიორგი I ლიპარტიანის, ერეკლე მანუჩარის ძე დადიანის, ლევან II და მისი ძის და სვეტიცხოვლის XVII ს-ის მხატვრობაში ოტია გურიელის სამკაულიც (ჩიხლაძე და სხვ. 2017, გვ. 267-269, 293). სხვა შემთხვევაში, საშუალო ზომის რგოლზე ჩამოკიდებული გრძელი ვიწრო საკიდი ყვავილისებრ გამლილი სამი ოვალური ფორმის თვალითა და მის წვერებთან დასმული მცირე მარგალიტებით არის გასრულებული. მაგ., წალენჯიხაში, XV-XVI სს-თა მიჯნის მხატვრობაში მზარეულთუხუცესი ქვაბალია ქველისა და მის სიახლოვეს გამოსახული უცნობი ახალგაზრდა ქტიტორის საყურე (ჩიხლაძე და სხვ. 2017, გვ. 267-268) და სხვ.

გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძარში, ჩრდილოეთ კედელზე წარმოდგენილ სამეფო ოჯახის წევრთა შორის, საყურით, მხოლოდ გიორგი II-ის ძე ბაგრატია გამოსახული. უფლისწულს გამორჩეულად სადღესასწაულო იერის მქონე, ჯვრის ფორმის თვალმარგალიტისაგან შემდგარი საყურე ამშვენებს (სურ. 4).

მეორე ტიპის - საშუალო ზომის მრგვალი, რკალისებრი საყურე XV- XVII სს-ში ჩანს გავრცელებული. ამის ნათელი მაგალითია ბეთლევის ეკლესიაში (1493 წ.) ქტიტორი ისპანის, ჭალის წმ. გიორგის ეკლესიაში (XV-XVI სს- თა მიჯნა) ქაიხოსრო აბაშიძის, ნაკურალეშის ტაძარში (XVII ს-ის ბოლო) კაცია ჩიქვანის, ნიკორწმინდის წმ. ნიკოლოზის ტაძარში (1660-1670 წწ.) წულიკიძეებისა (ჩიხლაძე და სხვ. 2017, გვ. 233, 237, 297) და სხვ. გამოსახულებები.

მესამე ტიპის - ყურის ბიბილოზე მიბჯენილი, საშუალო ზომის, თვალ-მარგალიტით გამშვენებული ოქროს წრიული ფირფიტით არიან გამოსახულნი ზარათში წმ. კვირიკესა და ივლიტას ეკლესიის (XVII ს-ის I-ლი ნახევარი) ქტიტორები (ჩიხლაძე და სხვ. 2017, გვ. 311).

XVIII-XIX ს-ის მეფე-დიდებულთა პორტრეტებზე საყურის ტარების წესი აღარ შეინიშნება.

საკვლევი პერიოდის განმავლობაში სასაფეთქლებით წარმოგვიდგება გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძარში იმერეთის მეფე ბაგრატ III და ძე მისი გიორგი II (სურ. 5, 6), წმ. გიორგის ეკლესიაში ბაგრატ III (გელათი, 2007, გვ. 50, 205).

ხელის სამკაულთაგან *ბეჭედი*, მამაკაცთა XVII ს-ის პორტრეტებზე იჩენს თავს. უმეტესად, დიდი ზომის თვლიან ბეჭედებს მოიხმარდნენ (სურ. 7, 8). გავრცელებული ჩანს რამდენიმე ბეჭდის ერთდროულად ტარების წესი. უმეტესად კი მას ნეკა თითზე იკეთებდნენ. მაგ., ორივე ხელის ნეკა თითს უმშვენებს ნაკურალეშის წმ. გიორგის სახელობის ტაძარში წარმოდგენილ ჩიქვანთა საგვარეულოს პირებსა და მარტვილის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მხატვრობაში (XVII ს-ის 70-ნი წწ.) გიორგი II ლიპარტიანს (ჩიხლაძე და სხვ. 2017, გვ. 296, 304). ფერადი თვლიანი ბეჭდის ტარების ტრადიცია, საყურისაგან განსხვავებით XIX ს-შიც გრძელდება. ამას მოწმობს დაზგური ფერწერის პორტრეტებზე წარმოდგენილ დიდებულთა გამოსახულებები. ნეკა თითის გარდა მას ხშირად საჩვენებელ თითზეც იკეთებდნენ, ან ერთდროულად ორივეზე. მაგ., ფარნაოზ ბატონიშვილის (XIX ს-ის დასაწყისი) (სურ. 9), თავად ივანე ჯანდიერის (XIX ს-ის შუა წწ.) (სურ. 10), უცნობი ყმაწვილის პორტრეტი (XIX ს-ის შუა წწ.) (ციციშვილი და ჭოლოშვილი, 2013, გვ. 17, 31, 40) და სხვ.

სამკაულის საინტერესო ნიმუშს ვხვდებით მარტვილის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში გამოსახულ გიორგი II ლიპარტიანის პორტრეტზე. ოქროსფერი ვიწრო ერთგვარი ჯაჭვი სხეულის წინ გულმკერდზე გადაჯვარენებული სახით წელამდე ეშვება და შემდეგ, სავარაუდოდ სხეულის უკან იკვრება (სურ. 11). მსგავსი შემკულობა გვხვდება ხვარაშან ლიპარტიანის გამოსახულებაზეც. მხოლოდ, მისი ძეწკვი თეთრი თვლებით არის გამშვენებული (სურ. 12).

მასთან ერთგვარ მსგავსებას ავლენს V-VI სს-ის სტელის ფრაგმენტზე შემორჩენილი ე.წ. პიტიახშის გამოსახულებაზე არსებული სამკაული, რომელიც ერთიმეორის მიჯრით განთავსებული მცირე ზომის წრეებით არის გადმოცემული. საფარის წმ. საბას ეკლესიის კანკელის ფილაზე წმ. დანიელის გამოსახულებასაც ასეთივე სამკაული ამშვენებს, რომელსაც ცენტრსა და ზედა ნაწილში ხვეულები ემატება (დადიანი და სხვ. 2017, გვ. 82. სურ. 109; გვ. 285, სურ. 521). მსგავს სამშვენისს ვხედავთ XVII ს-ის II ნახევრისა და შემდგომი დროის ირანის შაჰთა, მაგ., ნადირ-შაჰის გამოსახულებაზეც (სურ. 13). ასევე, მაქს ტილკეს მიერ შესრულებულ კუბაჩაელი ქალის პორტრეტზეც (გელაძე და სხვ. 2005, გვ. 57).

ამ სამკაულთან მიმართებაში საინტერესოა, შანავაზ მეფის ასულის 1667 წლის მზითვის წიგნში, სამკაულთა შორის დასახელებული „მხარსაკიდი დაწნული ოქროს ჯაჭვი ერთი“ (იაშვილი, 1974, გვ. 18). XIX ს-ის ხალხურ ყოფაში, მაგ., სვანეთში მხრიდან წელამდე ირიბად დაშვებულ სამკაულს ხარაილას ატარებდნენ, რომელიც ერთი

ვერცხლის ძაფისაგან იქსოვებოდა. მას თავდაპირველად მამაკაცები იკეთებდნენ, შემდგომ კი ქალესაც დაუწყიათ მისი მოხმარება (სურ. 14).

ვფიქრობ, გიორგი II-ისა და ხვარაშან ლიპარტიანების ოქროს ძეწკვიც, სწორედ ამ ტიპის სამკაულთა რიცხვს განეკუთვნება.

მანდილოსანთა სამკაული, მამაკაცთაგან განსხვავებით, შედარებით მრავალფეროვანია. თავსამკაულიდან ატარებდნენ საყბურს, სასაფეთქლეებს, დიადემასა (შემდგომში გვირგვინს) და თმისართავეს, ყურის სამკაულთაგან საყურეს, ყელის სამკაულთაგან მძივებს, ყელსაბამებსა და გულსაკიდებს, ხელის სამკაულთაგან კი ბეჭედებსა და სამაჯურებს. მათ შორის ყველაზე ფართოდ გავრცელებული საყურე და ბეჭედი იყო, რომელთა მოხმარებაც უწყვეტად გვხვდება საკვლევი პერიოდის მანძილზე.

თავდაპირველად საყბურს ანუ პირის მარგალიტს განვიხილავთ, რომელიც ძველ დროში ქართველი ქალის სოციალური მდგომარეობის განმსაზღვრელი იყო. მას დაოჯახებული მანდილოსნები ატარებდნენ. ამ წესს ვახუშტი ბატონიშვილიც აღწერს. „ქმროსანთა კავსა ზედა დაწვს აძესთ თმა შეწნული, მსხვილი იმიერ და ამიერ, და ყბას ქვეშ მარგალიტით შემზადებულს ამოიდებენ და თხემსა ზედა შეიკვრნენ, და ჰბურავთ მასზედ ლეჩაქი“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1892, გვ. 46). საყბურს, რომელსაც სხვაგვარად „ყამჩა“-საც უწოდებდნენ, წარმოადგენდა მარგალიტის მძივის ასხმას ერთ ან რამდენიმე ძაფად, რომელსაც ქართულად თავდახურული ქალი ნიკაპ ქვეშ გაატარებდა და სასაფეთქლეებთან კავებს ქვეშ დაამაგრებდა.

საინტერესოა, რომ საყბურის მოხმარების წესი ფრესკულ მხატვრობაში ძირითადად XVII ს-ის ძეგლებზე იჩენს თავს. დაოჯახებული მანდილოსნები ყოველთვის არ გამოისახებიან საყბურით. მაგ., მის გარეშე არიან წარმოდგენილნი ჭალის წმ. გიორგის ეკლესიაში (XV-XVI სს-თა მიჯნა) აბაშ და ლომინ აბაშიძეთა თანამეცხედრენი, ელისქედის წმ. ელიას ეკლესიაში (XVI ს) ივანე დიდებულის მეუღლე გულდამი, წალენჯიხაში, მაცხოვრის ტაძრის ეგვიპტელებში (XVII ს-ის 40-იანი წწ.) გამოსახულ მანდილოსნთა ნაწილი, მარტვილის ღვისმშობლის მიძინების ტაძარში ჩიქვანთა თანამეცხედრენი, მარიამ დადიანი (ჩიხლაძე და სხვ. 2017, გვ. 235, 236, 242, 267-269, 301, 302, 305) და სხვ.

საყბურით გამოსახულ მანდილოსნებთან, ძირითადად ერთ ძაფად ასხმულ მარგალიტებს ვხედავთ (სურ. 15). ზარათის წმ. კვირიკეს და ივლიტას ეკლესიაში (XVII ს-ის I ნახევარი) უცნობ ქტიტორთა გამოსახულებაზე კი მარგალიტების სამ რიგად ასხმულ წყებას (სურ. 16).

საყბურის შესახებ ინფორმაციას ვხვდებით მზითვის წიგნებში. მაგ., 1692-1703 წლების ქსნის ერისთავის ასულის ანას მზითვის სიაში ვკითხულობთ - „პირის მარგალიტი კარგი და პატიოსანი ორმოცდასამი მარცვალი“ (იაშვილი, 1974, გვ. 36). ანუკა ბატონიშვილის 1712 წლის მზითვის ჩამონათვალში კი „ყამჩი ერთი კარგი და პატიოსანი, მრავლის პატიოსნის თვალითა, მარგალიტითა, ოქროს ქულიჩითა და სინსილითა შემკული“ (იაშვილი, 1974, გვ. 48) და სხვ.

თავსამკაულთა შორის განვიხილავთ ასევე დიადემას, ძვირფასი ქვებით შემკულ თავსაკრავს, რომელსაც შუბლზე იკეთებდნენ და უკან იკრავდნენ. დიადემა გვირგვინის ერთგვარ ნაირსახეობას წარმოადგენდა, თუმცა თავისი ფორმითა და შემკულობით, ის ვფიქრობ სამკაულის ფუნქციასაც ითავსებდა.

დიადემებს ძირითადად XV-XVI სს-ის ძეგლებზე ვხედავთ. ბუგეულის თავარანგელოზთა ეკლესიაში ლაშხიშვილებს (XV-XVI სს-თა მიჯნა), ჭალის წმ. გიორგის ეკლესიაში (XV-XVI სს-თა მიჯნა) ლომინ და აბაშ აბაშიძეების მეუღლეებს, ელისქედია წმ. ელიას ეკლესიაში ივანე დიდებულის მეუღლე გულდამს (XVI ს.) ერთნაირი,

მარგალიტებით მოღვილი და ძვირფასი თვლებით შემკული ოქროსფერი დიადემები ამშვენებთ. ყველა შემთხვევაში დიადემა ლეჩაქს ზემოთ აქვთ შემოვლებული (სურ. 17).

განსხვავებულია ლეხთაგში, ლამარიას ეკლესიაში (XV ს.) გამოსახულ მჯაფარასძეთა ოჯახის ქალთა დიადემები, რომლებიც რკალებისაგან შემდგება. ცენტრში განთავსებული სამი რკალი ზემოთ არის მიმართული, მის აქეთ-იქით ოთხ-ოთხი რკალი, კი ქვემოთ. მათ ზედაპირზე კი პატარა მუქი უნაზისფერი ბურთულები აღინიშნება (სურ. 18).

მომდევნო პერიოდში დიადემას გვირგვინი ენაცვლება.

შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცულია ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის კუთვნილი მინანქრითა და ფირუზებით შემკული ოქროს დიადემა (სურ. 19).

სასაფეთქლეების გამოსახულებას ფრესკულ მხატვრობაში დიდგვაროვანთა პორტრეტებზე ვერ ვხვდებით. XIX ს-ის ხალხურ ყოფაში იგი როგორც ჩანს კვლავ შემოდის ხმარებაში და სვანი, ხევსური თუ ჯავახი ქალის სამკაულის კომპლექტის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი ხდება.

სვანეთსა და ახალციხეში გვხვდება ვოლუტისებური ფირფიტის ფორმის სასაფეთქლე, შემკული ზედნადები გრეხილითა და ფერადი თვლებით. ფირფიტას ქვემოთ, ხუთ ან მეტი რაოდენობის ძეწკვზე დაკიდებული საკიდი ამშვენებს. სვანეთში ვოლუტისებურ ფირფიტას რიგ შემთხვევაში ვერცხლის მასიური რკალი ენაცვლება (სურ. 20).

რამდენადმე განსხვავებულია ხევსურული სასაფეთქლე. ვერტიკალური ღერძის ძირითადი არე სამი მასიური ბურთულისაგან შედგება, ქვემოთ კი ჰორიზონტალურად მიმართული ნახევარმთვარისებრი ფორმა ასრულებს. მისი ქვედა კიდე სამკუთხედისებრ არის დაჭრილი, ზემოთ კი შუაში რომბისებრი შვერილი აქვს. რიგ შემთხვევაში ქვედა კიდეცა, სხვადასხვა ფორმის საკიდები ამშვენებს (სურ. 21).

თავსამკაულთა რიცხვს განეკუთვნება ასევე *თმისატანი*. არქანჯელო ლამბერტის გადმოცემით „ნაწნავს წვერებში აქვს შავი აბრეშუმის ფოჩები, შემკული ოქროთი, ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებით“ (ლამბერტი, 1938, 46). ამ აღწერილობას ესადაგება წალენჯიხაში, ლევან II დადიანის მეუღლის (XVII ს. 30-იანი წწ.), მარიამ მანუჩარის ასული დადიანისა (ლევან II დადიანის ეგვიპტური, მაცხოვრის ეკლესია. 1614-1621 წწ.) და ალექსანდრე დადიანის მეუღლის (ლევან I დადიანის ეგვიპტური, მაცხოვრის ეკლესია. XVII ს-ის 40-იანი წწ.) გრძელი ნაწნავების ბოლოში არსებული შემკულობა (ჩიხლაძე და სხვ. 2017, გვ. 269, 267) (სურ. 22).

თმისატანით არის გამშვენებული კაცია ჩიქვანის მეუღლის სეუდიას (მარტვილი, ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია. XVII ს-ის 70-იანი წწ.) ექვსი ნაწნავიც. მხოლოდ ამ შემთხვევაში მარგალიტებიანი თმისატანი, ნაწნავების თავში, ნიკაპის მიმდებარე არეზეა განთავსებული (სურ. 23).

თმისატანის აღწერილობა გვხვდება შაჰნავაზ მეფის ასულის 1667 წლის მზითვის წიგნში - „მძიმე მომარგალიტული თმისატანი სამი, არის მას ზედა ხოშორი მარგალიტი ათას ოთხას სამოცი (იაშვილი, 1974, გვ. 18). „ერთი თმისატანი მურასა კარგი და პატოსანი, ორი ათასის ხოშორის მარგალიტია, სამოცის ოქროს მილებითა“ მზითვად გაყოლია ანა ქსნის ერისთავის ასულს (1692-1703 წწ.) (იაშვილი, 1974, გვ. 37).

მისი მოხმარების წესი XIX ს-ის ხალხურ ყოფაშიც დასტურდება. მაგ., აჭარაში სრულწლოვანი გასათხოვარი და გათხოვილი ქალები ნაწნავში ზოგჯერ ჭრელ შინნაქსოვ თორსა და ძეწკვზე ასხმულ მონეტებს ჩაიტანდა (სამსონია, 2005, გვ. 103, 120). თუმცა წითელი თმისატანის ჩატანება იცოდნენ, რაც ავი თვალისაგან დაცვას ემსახურებოდა (ბეზარაშვილი, 1970, გვ. 181).

თავსამკაულთა შორის მოიხსენიება ასევე *სარაღუჯი*. დავით ფანასკერტელ-ციციშვილის მიხედვით დიდებულები ხმარობდნენ „სპეკალთა და ოქროითა ქმნილს“ (დავით ფანასკერტელ-ციციშვილი, გვ. 7).

როგორც აღვნიშნეთ, ქალის სამკაულთა შორის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ელემენტებად საყურე და ბეჭედი გვევლინება.

საყურეს ძველად საყური ეწოდებოდა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ის - „ყურის სამკაულია“.

საყურე XV ს-დან მოყოლებული განუწყვეტლივ გვხვდება საქტიტორო პორტრეტებზე. მამაკაცთაგან განსხვავებით, ქალთა საყურე შედარებით დიდი ზომისაა და უმეტესწილად მხრამდე სიგრძისა. ძირითადად სამი ტიპი იკვეთება: 1) მხრამდე სიგრძის საყურეები განეკუთვნება. ოქროსფერი რგოლიდან ჩამომავალ გრძელ საკიდს ან მცირე ზომის მარგალიტებით გამშვენებული ოვალური ფორმის წითელი თვალი ან ყვავილისებური ფორმის თვლიანი ნაწილი ასრულებს. რგოლიდან ჩამომავალი გრძელი, ვიწრო საკიდი რიგ შემთხვევაში გრეხილია ან მარგალიტებით შემკული (სურ. 24). 2) მხრამდე სიგრძის საყურეები, სხვადასხვა ფერისა და ზომის ბურთულების მონაცვლეობისაგან არის შემდგარი. რიგ შემთხვევაში მრგვალ ფორმას ოვალურიც ენაცვლება (სურ. 25). 3) საშუალო ზომის საყურე მიეკუთვნება. გვხვდება ოქროსფერ რგოლზე დაკიდებული მოზრდილი ზომის რომბისებრი ფორმა. ასევე, საკიდისა და სხვადასხვა ფორმის თვლების მონაცვლეობით შემდგარი საყურე და რგოლიდან სამ სხივად გაშლილი მარგალიტის საკიდზე დაკიდებული მოზრდილი, სხვადასხვა ფერის თვლებით (სურ. 26).

პირველი ტიპის საყურის ნიმუში გვხვდება XV-XVI სს-ის ძეგლებზე, მაგ. ბუგეულის მთავარანგელოზთა ეკლესიაში (XV-XVI სს-ის მიჯნა) ლანდუზ ლაშჩიშვილისა და ჭალის ტაძარში წარმოდგენილი მანდილოსნების შემთხვევაში (ჩიხლაძე და სხვ. 2017, გვ. 244, 234, 235).

მეორე ტიპის საყურე XV და XVII სს-ში ჩანს გავრცელებული. მაგ. XV ს-ის ლეხთაგის ლამარიას ეკლესიაში, ფერადი ბურთულებისაგან შემდგარი საყურე ამშვენებს ჯიშადში და ჟურჟუი მჯაფარასძენს, XVII ს-ის მარტვილის ტაძრის მხატვრობაში მარიამ დადიანსა და სხვ. (ჩიხლაძე და სხვ. 2017, გვ. 250, 305).

მესამე ტიპისას კი XV და XVI სს-ის ძეგლებზე. მაგ., ლამარიას ეკლესიაში, ცაიშის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში და სხვ.

რაც შეეხება აღნიშნული პერიოდის ნივთიერ მასალას, ის ძალზე მწირია.

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიური კოლექციების კახეთის ფონდში, ინახება გრემის ნაქალაქარზე სავაჭრო უბნის აბანოს გათხრების დროს აღმოჩენილი XVI-XVII სს-ის ორი ცალი, მცირე ზომის საყურე (სურ. 27). შედარებით მეტი რაოდენობისაა XVIII-XIX სს-ის მასალა, რომელთა ნაწილი მემორიალურია. მაგ., ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის ფირუზებით შემკული საყურე (სურ. 28), ასევე მარიამ დედოფლის ოქროს მომინანქრებული და მარგალიტებით გამშვენებული საყურე (სურ. 29), ივანე რატიშვილის მეუღლის ვერცხლის მარჯნის თვლიანი საყურე და სხვ. (შარიქაძე, 2015, გვ. 403, 404).

მზითვის წიგნებში ძვირფასი ან ნახევრადძვირფასი თვალ-მარგალიტით შემკული ოქროს საყურეები მრავალგზის სახელდება. მაგ., როსტომ მეფის მეუღლის 1634 წლის მზითვის სიაში - „ერთი ოქროს საყური ოთხის დიდროანის ობოლის მარგალიტითა და ოთხის ნიშაურის ფირუზითა და ორის დიდის ბადახშანის ლალის ბოლოთა და ორის დიდის პატოსნის იაგუნდითა. კიდევ მეორე ოქროს მოკლე საყური, ორის დიდის იაგუნდითა, ორის დიდროანის ობოლის მარგალიტითა და ორის ბადახშანის ლალითა. მეორე კიდევ მოკლე ხარა საყური დიდროანის ოთხის მარგალიტითა და ორის ფირუზითა

და ორის ბადახმანის ლალის ბოლოთა“ (იაშვილი, 1974, გვ. 11). შანავაზ მეფის ასულის 1667 წლის წიგნში - „დიდი საყური ბადახმოვანის ლალისა ჯუფთი ერთი, იმაზედ არის დიდი მარგალიტი ორი, ნიშაბური ფირუზა ორი, საყურის, ფრანგ ფასანდი იაგუნდი ოცდათორმეტი, ნიშაბური ფირუზი ოცდათორმეტი“ (იაშვილი, 1974, გვ. 18). ანა ქსნის ერისთავის ასულის მზითვის სიაში - „ერთი პატიოსანი საყური ბადახმანის ლალისა, მისის ორის მარგალიტითა, მისის ორის ნიშაბურის ფირუზითა, მისის პატიოსანის ჯინჯილითა, ორმოცისა ფრანგი ფარსანგის იაგუნდითა, მისის ფირუზ-ქართითა, ოთხის კავითა, მისის ოთხის ნიშაბურის ფირუზითა“ (იაშვილი, 1974, გვ. 36) და სხვ.

მზითვის წიგნებში საყურეთა აღწერილობას ესადაგება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის შუა საუკუნეების ძვირფასი ლითონების ფონდში დაცული, თვალმარგალიტით შემკული ოქროს საყურის ნიმუშები (სურ. 30, 31) და XIX ს-ის დაზგური ფერწერის პორტრეტებზე წარმოდგენილ მანდილოსანთა საყურეებიც.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფიულ კოლექციებში კი დაცულია საქართველოს ცალკეული კუთხისთვის დამახასიათებელი XIX სს-ის მასალა, რომელთა შორისაც მრავლადაა მთიელი ხალხის ვერცხლის სადა, ან სევადით შემკული სამკაული (სურ. 32, 33). მაგ., სვანური საყურეები თავისი ფორმით ხშირ შემთხვევაში გულსამკაულის - კეზარის ფორმას შეესატყვისება და მასთან ერთად სამკაულის ერთ კომპლექტს ქმნის (სურ. 32). გვხვდება როგორც საშუალო ზომის, ასევე გრძელი, დიდ რგოლზე დაკიდებული ძეწკვები, სხვადასხვა ფორმის საკიდებით გასრულებული.

აჭარაში ეთნოგრაფიული მასალის მხივ საყურეების სამი ჯგუფი იკვეთება: 1) მსხვილი ვერცხლის მავრთულისაგან დამზადებული დაღარული ელიფსის მქონე საყურე. 2) ძეწკვის საკიდიანი საყურეები და 3) ვერცხლის რგოლსაკიდიანი საყურეები (სამსონია, 2005, გვ. 84, 85).

ხელის სამკაულთაგან მანდილოსნები ძირითადად *ბეჭედს* იყენებდნენ. მისი ნიმუშები საკვლევი პერიოდის საწყის ეტაპზევე გვხვდება. მამაკაცთაგან განსხვავებით, მათი ტარების წესი შედარებით მრავალფეროვანი იყო. იკეთებდნენ ორივე ხელზე, ყველა თითზე, სხვადასხვა ფალანგზე. ერთდროულად ატარებდნენ რამდენიმე ბეჭედს, რომელთა რიცხვი ათი და შესაძლოა მეტიც ყოფილიყო. განსაკუთრებით გავრცელებული ჩანს სანეკე ბეჭდები. ფორმის მიხედვით სამი ტიპისა - რგოლისებრი, ფარაკიანი და თვალბუდიანი.

ბეჭედთა მრავალრიცხოვნებით გამოირჩევიან ლეხთაგში, XV ს-ის ლამარიას ტაძარში გამოსახული ქტიტორები. მაგ., ჯიმადში და ჟურჟი მჯაფარასძეებს რგოლისებრი და თვლიანი ბეჭდები თითქმის ყველა თითს უმშვენებს და ამავე დროს, თითის სხვადასხვა ფალანგზეა განთავსებული (სურ. 34).

მომდევნო პერიოდში, ქტიტორთა პორტრეტების მიხედვით ძირითადად ერთი ან ორ ბეჭედს ატარებდნენ, ცერა და ნეკა თითზე ან მხოლოდ ნეკაზე. მაგ., მარტვილში, მარიამ დადიანსა (1625-1634 წწ) (სურ. 35) და წალენჯიხაში (XVII ს-ის 40-იანი წწ.) ლევან II დადიანის მეუღლეს ოვალური და მრგვაფარაკიანი ბეჭდები მარჯვენა ხელის ცერა და შუა თითის ქვედა ფალანგზე უკეთიათ, მეორე ხელზე კი, ცერასა და ნეკაზე. ნეკა თითის ბეჭდებით არიან გამოსახულნი მაგ., მარტვილში, კაცია ჩიქუანის მეუღლე (XVII ს-ის 40-იანი წწ.), ხვარაშან ლიპარტიანს (1658-1673 წწ.) კი, ბეჭედი მარჯვენა ხელის საჩვენებელ და ნეკა თითს უმშვენებს (სურ. 12) და სხვ.

რაც შეეხება აღნიშნული პერიოდის ნივთიერ მასალას, ის ამ შემთხვევაშიც ძალზე მწირია. კახეთში, სოფ. მატანის მიდამოებში (ახმეტის რ-ნი) აღმოჩნდა XVI- XVII სს-ის ერთი ოქროსა და ორი ვერცხლის ბეჭედი (სურ. 36): 1) ბეჭედი ოქროსი, წრიული რკალით, გულის მოყვანილობის თვალბუდით, ფირუზის მაღალი თვალით; 2) ვერცხლის, რვაწახნაგა ბრტყელი თვალბუდითა და მასში ჩასმული თხელი თვალით; 3) ბეჭედი,

ვერცხლის ოვალური მოყვანილობის ფარაკით და და მასზე მირჩილული თვალბუდით, რომელშიც მინის თვალი ზის (რამიშვილი, 1974, გვ. 149).

ჭაქვინჯაში, ციტადელის სამხრეთის კედელთან ცენტრალურ მონაკვეთზე მდებარე პალატის ნანგრევებში აღმოჩნდა XVII-XVIII სს-ის ვერცხლის ბეჭდის თვალი მხედრული წარწერით - „ასათიანი...“ (ზაქარაია, 1980, გვ. 35, 36).

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფიულ კოლექციებში XVIII-XIX სს-ის, საქართველოს ცალკეულ კუთხისთვის დამახასიათებელ ბეჭედთა არაერთი ნიმუში ინახება. მაგ., სვანური და ხევსურული ვერცხლის, რიგ შემთხვევებში სევადით გამშვენებული რკალისებრი ბეჭედები და სხვ. (სოსელია, 1967, გვ. 214, 216; 1972: 35; 1981: 87).

ზემო აჭარის მოსახლეობაში გავრცელებული იყო სპილენძისა და ვერცხლის თვლიანი და უთვლო რკალისებრი ბეჭედები. ოვალური ან ოთხკუთხა ფორმის ზედაპირი გამშვენებული იყო გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტით, არაბული წარწერით ან მფლობელის ინიციალი იყო ამოკვეთილი. აჭარაში ბეჭედს ყველა თითზე იკეთებდნენ გარდა ნეკა და ცერა თითისა (სამსონია, 2005, გვ. 89).

ბეჭედთა მრავალრიცხოვან ჩამონათვალს ვხვდებით მზითვის წიგნებში. მაგ., ქართლის მეფის როსტომის მეუღლის მარიამის, 1634 წლის მზითვის სიაში დასახელებულია „ცხრა ოქროს ბეჭედი, იაგუნდისა და ლალის თვლებითა...ბეჭედი ოქროსი ორი: ერთი იაგუნდისა, ერთი ფირუზისა“ (იაშვილი, 1974, გვ. 12, 15). შაჰნავაზ მეფის ასულის 1667 წლის მზითვაში „ხასა და პატიოსანი ათიყი აღმასის ბეჭედი ორი. ხასას ფრანგფასანდის ყირმიზის იაგუნდის ბეჭედი ხუთი. ბადახშოვანის ლალის ბეჭედი ერთი. ოზოლის მარგალიტის ბეჭედი სამი. ნიშაბური ფირუზის ბეჭედი ორი...საცერე გათლილის დურნაჯაბისა ერთი, არის მასზედა ფრაგსაფანდი იაგუნდი ოთხი, ნისაბური ფირუზა სამოცი“ (იაშვილი, 1974, გვ. 19). 1692-1703 წწ. ანა ქსნის ერისთავის ასულის მზვის წიგნი „ერთი კარგი და პატიოსანი ბეჭედი აღმასისა. ოთხი ფრანგი-ფარსანგის ყირმიზი იაგუნდის ბეჭედი. კარგი ბეჭედი გრანგის ლურჯი იაგუნდისა. ერთი ბეჭედი კარგი და პატიოსანი, ბადახშანის ლალისა. ბეჭედი სამი ზურმუხტითა. ბეჭედი უმრუხულის მარგალიტისა. ბეჭედი დურნ(ა)ჯ(ა)ბისა ყვითლის იაგუნდისა“ (იაშვილი 1974: 36). ანუკა ბატონიშვილის მზითვის სიაში სახელდება „თოთხმეტი ბეჭედი კარგი და პატიოსანი“ (იაშვილი, 1974, გვ. 49) და სხვ.

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში ინახება თეკლა ბატონიშვილის (1776-1846) კუთვნილი ფირუზისთვლიანი ოქროს ბეჭედი (სურ. 37) (შარიქაძე, 2014, გვ. 487). უცნობი მხატვრის მიერ შესრულებულ მის ფერწერულ პორტრეტზე მარჯვენა ხელის ნეკა თითს კი მასიური, თვლიანი ოქროს ბეჭედი უმშვენებს (სურ. 41).

XVIII-XIX სს-ში დაზგური ფერწერის ნიმუშებზე წარმოდგენილ დიდგვაროვანთა პორტრეტების მიხედვით, ბეჭედებს მანდილოსნები უმეტესწილად იკეთებდნენ ნეკა და საჩვენებელ თითზე. მაგ., დარეჯან დედოფალს თვლიანი ბეჭედები ორივე ხელის ნეკა თითს უმშვენებს (XVIII ს-ის II ნახევარი). ასევე გვხვდება ბეჭდის ყველა თითზე ტარების ტრადიციაც. მაგ., თინათინ ჩოლოყაშვილი (XIX ს-ის დასაწყისი), სალომე ორბელიანი (XIX ს-ის შუა წწ.), თავად მელიქიშვილის მეუღლე (ციციშვილი და ჭოლოშვილი, 2013, გვ. 15, 28, 32, 44) და სხვ.

ხელის სამკაულს განეკუთვნება ასევე *სამაჯური*. სულხან-საბა ორბელიანი ქალთა მაჯათა სამკაულს „სალტედ“ მოიხსენიებს (სულხან-საბა ორბელიანი, 1993, გვ. 36).

სამაჯურის ნიმუშები, ჩვენთვის ცნობილ ისტორიულ პირთა პორტრეტებზე ფრესკულ მხატვრობაში არ გვხვდება. XVIII-XIX სს-ში საქართველოს ცალკეულ კუთხეში უმეტესად ვერცხლისას მოიხმარდნენ. ი. სამსონია აჭარაში სამი ტიპის სამაჯურს გამოყოფს: 1. სადად დამზადებული ვერცხლის მლიანი რგოლი მომრგვალებული

ბოლოებით და მეწვევის საკიდით. 2. ხელზე მჭიდროდ მორგებული მასიური რგოლისა გახსნილი ბოლოებით. 3. საგანგებო გრეხილზე აცმული ფერადი მძივების ნაერთი (სამსონია, 2005, გვ. 90). ასევე გვხვდება ფილიგრანული ტექნიკით ორნამენტირებული ვიწრო ვერცხლის სამაჯურებიც (სურ. 38).

ხევსური ქალები მაჯაზე ორნამენტირებულ ვერცხლის ზალტეებს იკეთებდნენ (სურ. 39).

ქტიტორთა პორტრეტებზე შედარებით ნაკლებად ვხვდებით *ყელსაბამებითა და გულსაკიდებით* წარმოდგენილ ფიგურებს.

წითელი, თეთრი და ლურჯი ქვებისაგან შემდგარი მძივი ამშვენებს მარიამ დადიანს მარტვილის ტაძარში. მასვე უკეთია ორ წყებად ჩამოკიდებული ოქროს გრეხილი ჯაჭვი, თვალმარგალიტით შემკული გულისებრი ფორმის საკიდით (სურ. 40).

მსგავსი სამკაულები ამშვენებს წალენჯიხაში, ალექსანდრე დადიანის მეუღლესაც (1533-1550 წწ.), მხოლოდ ამ შემთხვევაში მარგალიტების ყელსაბამი ორ წყებად უკეთია (სურ. 22), ოქროს ჯაჭვი კი შედარებით მოკლეა და თვალმარგალიტით შემკული საკიდი ერთგვარი ყვავილისებრი ფორმისაა. ამის ანალოგიურია წალენჯიხაში ლევან II დადიანის მეუღლის გულსაკიდიც. განსხვავებული, ვერტიკალურად მიმართული თეთრი და წითელი თვლებისაგან შედგენილი ყელსაბამი უკეთია ლევან I დადიანის საქტიტორო კომპოზიციაში წარმოდგენილ მანდილოსნის ფიგურას (ჩიხლაძე და სხვ. 2017, გვ. 266).

XVIII-XIX სს-ში დიდგვაროვანთა მორთულობაში გულსამკაულს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. მზითვის წიგნთა ჩამონათვალში მრავლად ვხვდებით სხვადასხვა სახის გულსაკიდებს. მაგ., ქართლის მეფის როსტომის მეუღლის, 1634 წლის მზითვის სიაში - „ერთი ყელსაბამი ოცის დიდრონის ობოლის მარგალიტითა და ოთხი ნიშაურის ფირუხითა და ხუთის ბადახშანის ლალითა“ (იაშვილი, 1974, გვ. 11). ანაქსნის ერისთავის ასულის 1692-1703 წლის მზითვის წიგნში - „ერთი ყელსაბამი კარგი და პატიოსანი, ას ორმოცის მსხვილის მარგალიტითა, თორმეტის ფრანგი ფარსანგის იაგუნდითა, ცხრამეტის ზურმუხტითა, თოთხმეტის ნიშაბურის ფირუხითა, მისის ხუთის ფირუხქარის თითრიმითა, მისის ხუთის იაგუნდიტა მისის ოცის ოქროს თითრიმიტა. ერთი მურასა მარგალიტის ყელის ჯაჭვი, ოცდათუთხმეტის ნიშაბურის ფირუხითა და თვალითა, სამოცის მსხვილის მარგალიტითა, მისის მუშაბახის ოქროს ამბარჩითა და მისის პატიოსანის თვალებითა. ოქროს ყელის ჯაჭვი, მისის მურასას მინაქირს ამბარჩიტა, სამის პატიოსანის დიდროვანის ყუითლის ფრანგი ფარსანგის იაგუნდითა, კიდევ ერთის პატიოსანის ფრანგი-ფარსანგის ტეთრის იაგუნდითა, ერთის პატიოსნის ბადახშანის ლალითა. ყელის ჯაჭვი ოქროსი, მისის ფირუხქარის ამბარჩითა, ცამეტის ბადაღშანის ლალითა, თერთმეტის ზურმუხტითა“ (იაშვილი, 1974, გვ. 36) და სხვ.

ვფიქრობ, ამ აღწერილობებს ესადაგება ფერწერულ პორტრეტებზე გამოსახული დიდგვაროვანი ქალბატონების შემკულობაც. მარგალიტების ან ფერადი ქვებისგან შემდგარ მძივებთან ერთად იკეთებდნენ სხვადასხვა ზომის ოქროს მეწვევებსა და ჯაჭვებზე დაკიდებულ თვალმარგალიტით შემკულ ოქროს ჯვრებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა დაზგურ ფერწერულ პორტრეტზე ასახული დარეჯან დედოფლის შემკულობა (სურ. 41) და ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში დაცული XVIII-XIX სს-ის ნივთიერი მასალა - თვალმარგალიტით გამშვენებული ოქროს ჯვრები (სურ. 42-44).

გულსამკაულთა შორის აღსანიშნავია ბრიტანეთის მუზეუმში ინახება XVII ს-ის ყელსაბამი (სურ. 45), 2014 წელს სოთხის აუქციონზე გაყიდული სოფიო ნაკაშიძე-დადიანის კუთვნილი, ძვირფასი თვლებითა და მინაქრით შემკული (სურ. 46) და ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში დაცული ანასტასია ბატონიშვილის (სურ. 47) XVIII-XIX სს-ის ოქროს მომინაქრებული ყელსაბამები (შარიქაძე, 2014, გვ. 481).

XVIII-XIX სს-ის ხალხურ ყოფაშიც გულსამკაულს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფიულ კოლექციებში მრავლად არის დაცული ამ პერიოდის საქართველოს ცალკეული კუთხისთვის დამახასიათებელი სამკაული. მაგ., სვანური „კებზარის“ ნიმუშები - ვერცხლის ძეწკვზე ასხმული ტოლმკლავა ჯვრებითა ან გეომეტრიული სხმული ფიგურებით. ხევსურული გულსამკაული - რამდენიმე წყებად ასხმული ვერცხლის ძეწკვები, მასზე დაკიდებული ჯვრებით, მონეტებითა და სხვადასხვა სამშვენისებით (სურ. 48). აჭარასა და მესხეთში წარსულში ფართოდ იყო გავრცელებული ყელის სამკაული „ჯიღ-ჯიღა“, რომელსაც ხშირად მკერდის დამამშვენებლადაც იყენებდნენ. მზადდებოდა ვერცხლის ან უბრალო ლითონისაგან. იგი ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი ვიწრო და მოკლე მიკალებისაგან შედგებოდა, რომელზეც ორ წყებად დაკიდებულ სხვადასხვა ზომის საკიდები ეკიდა. ცენტრში ფერადი თვლებით შემკული სხვადასხვა ფორმის ფირფიტები მაგრდებოდა (სურ. 49) (სამსონია, 2005, 85, 86).

ყელის სამკაულად აჭარასა და მესხეთში ასევე იყენებდნენ მძივებად ასხმულ თურქულ მონეტებს, რომელთა რიცხვიც ცამეტზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. იგი გათხოვილი ქალის შემკობის ძირითად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა. მონეტ-სამკაულს მესხეთში „ბოლბანდს“ უწოდებდნენ (სამსონია, 2005, გვ. 86-87).

აჭარაში საქორწილო სამკაულის ერთ-ერთ აუცილებელ შემადგენელ ნაწილს ვერცხლის მასიური, ორ მეტრამდე სიგრძის ძეწკვი წარმოადგენდა, მასზე წამოცმული ვერცხლის პატარა, ორნამენტირებული სახოხილათი (სამსონია, 2005, გვ. 87) (სურ. 50).

XIX ს-ის I ნახევარში ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისად, სამოქალაქო ცხოვრების განვითარებასთან ერთად ნელ-ნელა ცვლილება განიცადა ქართულმა სამოსმაც. დაიწყო ევროპული ელემენტების შემოჭრა და XIX ს-ის ბოლოს ევროპული მოდა მოსახლეობის თითქმის ყველა სოციალურ ფენაში შევიდა. ცხადია, ტრადიციულ სამოსთან ერთად თანდათან გაქრა და თვალს მიეფარა ქართულ ჩაცმულობისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი, ძვირფასი თვლებით შემკული სამკაულ-მოსართველები და ახალი მოდის შესაბამისი გახდა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

ლიტერატურა:

1. ბეზარაშვილი, ც. (1970). სვანი ქალის სამოსი. სვანეთის ეთნოგრაფიის შესწავლისათვის. თბილისი. მეცნიერება
2. გელათი. (2007). თბილისი
3. გელაძე, თ., სმითი, ბ, ნადირაძე, ე. (2005). მაქს ტილკე. კავკასიის ხალხთა კოსტიუმები. თბილისი.
4. დადიანი, თ., კავაჭატაძე, ე., ხუნდაძე, თ. (2017). შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება. თბილისი. სეზანი.
5. ვახუშტი ბატონიშვილი. (1892). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბილისი. ჯანაშვილის გამოცემა.
6. ზაქარაია, პ. (1980). ჭაქვინჯა. თბილისი. მეცნიერება.
7. იაშვილი, მ. (1974). მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები). თბილისი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.
8. იაშვილი, მ. (1976). საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიიდან (XVII-XIX სს). თბილისი

9. ლამბერტი, ა. (1938). სამეგრელოს აღწერა, თბილისი.
10. რამიშვილი, რ. (1974). იაღსარის ნამოსახლარი და მლაშეების გორის მარანი. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. II. თბილისი. მეცნიერება.
11. სამსონია, ი. (2005). ხალხური ტანსაცმელი აჭარაში. ბათუმი.
12. სოსელია, ლ. (1972). ოქრომდლობის შესწავლისათვის მესხეთში. მასალები მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. თბილისი. მეცნიერება.
13. შარიქაძე, თ. (2014). მემორიალური ექსპონატების კვლევისათვის (მეორე ნაწილი). სემ V(50-B). გვ. 469-493. თბილისი.
14. შარიქაძე, თ. (2015). მემორიალური ექსპონატების კვლევისათვის (მესამე ნაწილი). სემ VI (51-B). გვ. 380-408. თბილისი.
15. სულხან-საბა ორბელიანი (1993). ლექსიკონი ქართული. თბილისი. მერანი.
16. ჩიხლაძე, ნ., დათუნაშვილი, ნ., გველესიანი, მ. (2017). ძველი საქართველოს მონუმენტური მხატვრობა და მისი მოამაგენი. თბილისი.
17. ციციშვილი, მ., ჭოლოშვილი, ნ. (2013). ქართული მხატვრობა - განვითარების ისტორია XVIII-XX საუკუნეები. თბილისი. ფავორიტი სტილი.

წყაროები:

18. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დავით ფანასკერტელ-ციციშვილი. ქვევანი და ჩვევანი საქართველოსანი. ფონდი S-1489

Summary

In Georgia use of adornments was confirmed from the very old times – the Stone Epoch. Adornments, during various periods of time, became one of the necessary women's and men's clothes. They, like garments, determined a person's ethnical and social status and were changed, correspondingly, during centuries according to fashion tendencies.

The object of my research is the 15th-19th cc. Georgian adornments which have been studied the least of all until today. The work deals with body adornments and represents their typology with regard to the information preserved in written sources, in portraits of historical persons and in material culture evidences that are kept in the Georgian museums.

In the 15th -16th cc usage of adornments was relatively less by men. In the 17th c. adornments in the form of ear-rings and rings were actively in use. Ear-rings were worn on both ears. They were of different forms: long, small-sized, bowl-shaped and ear-rings that were set on ear-lobes.

Rings appeared on the 17th c. portraits. Custom of wearing of several rings at the same time was revealed. More often rings were worn on little fingers.


Ladies adornments, unlike men's, were more diverse. ``Sakbeuri``, a diadem, ``Sasapetkle`` (a temporal ribbon), hair decorations, ear-rings were used as well as necklaces, beads, rings and bracelets. Ear-rings and rings were the most spread adornments, which were worn right along the whole research period.

Material evidences, which are kept in depositories of the Georgian National Museum help in illustrating of prominently, certain samples of adornments.


ილუსტრაციების აღწერილობა:

- სურ. 1-4. XV-XVII ს-ში გავრცელებული საყურის ნიმუშები
 სურ. 5, 6. სასაფეთქლეების ნიმუშები
 სურ. 7, 8. ბეჭდების ნიმუშები
 სურ. 9. ფარნაოზ ბატონიშვილის პორტრეტი. უცნობი მხატვარი. XIX ს-ის დასაწყისი
 სურ. 10. თავად ივანე ჯანდიერის პორტრეტი. ანდრონიკაშვილი (მხატვარი). XIX ს-ის შუა წწ.
 სურ. 11. გიორგი II ლიპარტიანი. ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია. მარტვილი. 1658-1673 წწ.
 სურ. 12. ხვარაშან ლიპარტიანი. ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია. მარტვილი. 1658-1673 წწ.
 სურ. 13. ნადირ-შაჰის პორტრეტი ორ შვილთან ერთად. XVIII ს.
 სურ. 14. სამკაული „ხარაილა“. XIX ს.
 სურ. 15, 16. საყბურის ნიმუშები
 სურ. 17-18. დიადემის ნიმუშები
 სურ. 19. ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის კუთვნილი დიადემა
 სურ. 20. სვანური სასაფეთქლე
 სურ. 21. ხევსურული სასაფეთქლე
 სურ. 22, 23. თმისატანის ნიმუშები
 სურ. 24-27. XV-XVII სს-ში გავრცელებული საყურის ნიმუშები
 სურ. 28. ეკატერინე დადიანის კუთვნილი საყურე
 სურ. 29. მარიამ დედოფლის კუთვნილი საყურე
 სურ. 30-31. XVIII-XIX სს-ის საყურის ნიმუშები. საქართველოს ეროვნული მუზეუმი
 სურ. 32-33. სვანური და თუმური საყურის ნიმუშები
 სურ. 34-35. ბეჭდების ნიმუშები და მათი ტარების წესი
 სურ. 36. კახეთში, სოფ. მატანის მიდამოებში აღმოჩენილი XVI- XVII სს-ის ბეჭდები
 სურ. 37. თეკლა ბატონიშვილის კუთვნილი ბეჭედი
 სურ. 38. აჭარული სამაჯური. საქართველოს ეროვნული მუზეუმი
 სურ. 39. ხევსურული სამაჯურები. ჩანახატი
 სურ. 40. მარიამ დადიანი. ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია. მარტვილი. 1625-1634 წწ.
 სურ. 41. დარეჯან დედოფალი. უცნობი მხატვარი. XVIII ს-ის II ნახევარი
 სურ. 42-44. XVIII-XIX სს-ის ჯვრების ნიმუშები. საქართველოს ეროვნული მუზეუმი
 სურ. 45. ყელსაბამი ჯვრით. ბრიტანეთის მუზეუმი
 სურ. 46. სოფიო ნაკაშიძე-დადიანის კუთვნილი ყელსაბამი ჯვრით
 სურ. 47. ანასტასია ბატონიშვილის კუთვნილი ყელსაბამი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი
 სურ. 48. სვანური ყელსაბამი „კეზარი“. საქართველოს ეროვნული მუზეუმი
 სურ. 49. აჭარული ყელსაბამი „ჯიღჯიღა“. საქართველოს ეროვნული მუზეუმი
 სურ. 50. აჭარული საქორწილო ძეწკვი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ილუსტრაციები:




1.




2.




3.



4.



5.



6.




7.



8.



9.



10.



11.




12.




13.




14.



15.



16.



17.



18.



19.




20.



21.



22.



23.



24.



25.



26.



27.





28.



29.



30.



31.



32.



33.



34.



35.



36.



37.



38.



39.



40.



41.



42.



43.



44.



45.



46.



47.



48.



49.



50.

მარიამ ხინთიბიძე, საქართველოს ეროვნული მუზეუმი

შენიშნული სამკაულის სიმბოლური მნიშვნელობა აღმოსავლეთ საქართველოს ტრადიციულ ყოფაში (თეთრი გიორგი)

ძღვენისა და შესაწირავის წმინდა ადგილას მიტანის პრაქტიკა უძველესი დროიდან არსებობს ადამიანის ცნობიერებაში და გრძელდება ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც.

ქრისტიანობის გავრცელებამ მტკიცედ დაამკვიდრა მონოთეისტური რელიგია, თუმცა სარიტუალო პრაქტიკამ, რომელიც არსებობდა მრავალმერტიანობის „პირობებში“, გარკვეული სახესხვაობით განაგრძო არსებობა და იმდენად შეეზარდა ქრისტიანულ კულტურას, რომ ხანდახან რთულია მათი ერთმანეთისგან გამიჯნვა. მაგალითისთვის საკმარისია დავასახელოთ წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი დღესასწაულთა ციკლი, რომელიც უძველეს წარსულში იღებს სათავეს. ალბათ ყველაზე მეტი სალოცავიც სწორედ წმინდა გიორგის სახელზეა აგებული. ხალხურ ცნობიერებაში იგი სხვადასხვაგვარი ეპითეტით არის შემკული და მისი შესაძლებლობებიც მრავალმხრივი და უნივერსალურია -

იგი არის მომრიგებელიც, უხვი მოსავლის გარანტიც, შვილის მომცემიც, მთავარი მსაჯულიც სამედიატორო სასამართლოში და უღმობელი მსაჯულიც (აბაკელია, 1985, გვ. 153).

სტრაზონის ცნობით, ქრისტიანობის გავრცელებამდე იბერიელები და ალბანელები მთავარს ღვთაებას სცემდნენ თაყვანს (ყაუხჩიშვილი, 1957, გვ. 134-135). მის მიერ დასახელებული იბერიისა და ალბანეთის საზღვარზე მდებარე მთავარს ტაძარს ივანე ჯავახიშვილი თეთრი გიორგის მონასტერთან აიგივებს, ხოლო აღწერილი მთავარის თაყვანისცემის რიტუალს თეთრი გიორგის დღესასწაულად მიიჩნევს, რომ წმინდა გიორგიმ ძველი წარმართობის დროინდელი მთავარის ღვთაების ადგილი დაიკავა (ჯავახიშვილი, 1979, გვ. 91).

თეთრი გიორგის მონასტერი კახეთში, დღევანდელი აწყურის მახლობლად, მდებარეობს. კომპლექსში შედის ეკლესია, სამრეკლო, გალავანი და დამხმარე ნაგებობები. ეკლესია და გალავანი X-XIII სს. განეკუთვნება, სამრეკლო - XIV ს-ს, დამხმარე ნაგებობები - XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისს.

თეთრი გიორგისადმი მიძღვნილი დღესასწაული 28 აგვისტოს (ძვ.სტ. 14 აგვისტო) იმართება. ამ დღეს „ხატობა“ საღამოს იწყება და მთელი ღამე გრძელდება. ხალხი რამდენჯერმე შემოუვლის ტაძარს გალობით. ზოგი ხატის უღლითა და მძიმე ჯაჭვით დატვირთული ჩოქვით უვლის ტაძარს და კედლებზე ანთებულ სანთლებს აკრავს. წარსულში იყო შემთხვევები, როდესაც მოსულ მლოცველთაგან ქადაგად დაეცემოდნენ და ხალხს ხატის ნებას გამოუცხადებდნენ. კარის ზღურბლზე კი წვებოდა „ხატის მონა“, რომელსაც ყველა შემსვლელი ფეხს ადგამდა (დვალი, 2008, გვ. 57). ამ რიტუალს ცნობილი რუსი მკვლევარი გიორგი ჩურსინიც შესწრებია 1905 წელს. *„ღვთისმოსავი კახელი თეთრი გიორგის დღესასწაულზე პირველ რიგში ყიდულობდა ერთ ან რამდენიმე ცვილის სანთელს და სამჯერ შემოუვლიდა ეკლესიას (მზის მოძრაობის საწინააღმდეგოდ). ამის შემდეგ აკოცებდა ეკლესიის ოთხ მხარეს. ზოგიერთები უვლიდნენ ფეხშიშველი ან ეკლესიამდე ფეხშიშველები მოდიან (უფრო ხშირად ამას ქალები აკეთებენ). ისეთი მორწმუნეები, რომლებიც თვლიდნენ, რომ დამნაშავენი და ცოდვილნი იყვნენ თეთრი გიორგის წინაშე, დაჩოქილი უვლიდა ტაძარს. ცოდვების მონანიების ფორმაა აგრეთვე მორწმუნეების მიერ ქედზე მძიმე ჯაჭვის დადება და ტაძრის გარსშემოვლა. თეთრი გიორგის ტაძარში შესასვლელიდან მარჯვენა მხარეს დევს საგანგებოდ ასეთი შემთხვევებისათვის განკუთვნილი რკინის ორი ჯაჭვი, ერთი დაახლოებით ერთნახევარი ფუტის სიგრძის და მეორე 7-8 ფუტი. ეს ჯაჭვი მოტანილია რომელიღაც მორწმუნის მიერ, მაგრამ როდის არავინ იცის“* (Чурсин, 1906, გვ. 15). ტაძარში დასრულებული ცერემონიის შემდეგ მლოცველები (მამაკაცებიც და ქალებიც) გარეთ გამოდიოდნენ და ზურნითა და დუდუკით უვლიდნენ ეკლესიას და ასრულებდნენ ცეკვებსა და სიმღერებს, ძირითადად იავნანებს და იმართებოდა პურობა, რომელიც თითქმის მთელი კვირა გრძელდებოდა (Чурсин, 1906, გვ. 16).

სამკაულს, როგორც სამშვენისს, უძველესი დროიდან ატარებენ, რაზეც მეტყველებს საქართველოს ტერიტორიაზე ქალისა და მამაკაცის სამარხებში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური არტეფაქტები. სამკაული ქართული მატერიალური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელშიც გადმოცემულია როგორც ესთეტიკური, ასევე საზოგადოების მატერიალური შესაძლებლობა.

მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულების გარდა, სამკაულებს სარწმუნოებრივი დატვირთვაცქონდა. მათ იყენებდნენ ამულეტებად, ატანდნენ მიცვალებულებს. სვანეთში არსებობდა ჩვეულება: გარდაცვლილ გათხოვილ ქალს, რომელსაც ყური გახვრეტილი ჰქონდა, საყურის გარეშე არ დაკრძალავდნენ - გველი გაუძვრება ყურში და შეაწუხებსო (ხიზანიშვილი, 2010, გვ. 346).

განსაკუთრებულად ამზადებდნენ და ამკობდნენ საქართველოს მთიან რეგიონებში სალოცავისთვის შესაწირ, აგრეთვე საწინამძღვრო კვერთხისთვის საჭირო სამკაულებს.

სამკაულების ტარების ტრადიცია, როგორც ბოროტი ძალისგან თავის დაცვის ერთ-ერთი საშუალება, მთელ მსოფლიოში იყო გავრცელებული და უძველეს რელიგიურ წარმოდგენებს უკავშირდება. ასეთ სამკაულ-თილისმებად ძირითადად გამოიყენებოდა ძვირფასი ან ნახევრად ძვირფასი ქვები, სხვადასხვაგვარი ლითონის სამშვენისები, ამა თუ იმ სოციუმის წმინდა ადგილთან დაკავშირებული ნივთები და ა.შ., რომელთაც მაგიურ-რელიგიურ დანიშნულებას მიაწერდნენ და მთელი ცხოვრების განმავლობაში ან გარკვეული პერიოდი ატარებდნენ.

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში, აღმოსავლურ ნაკეთობათა და რკინის ფონდში, წმინდა ადგილებისთვის შეწირული სამკაულების, ამულეტებისა და თილისმების მეტად საინტერესო კოლექციაა დაცული. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გასული საუკუნის 10-იან წლებშია შემოსული (ამ პერიოდში ალექსანდრე კაზნაკოვის, გიორგი ჩურსინის, ვლადიმერ შელკოვნიკოვის და სხვათა ძალისხმევით მუზეუმში ბევრი მნიშვნელოვანი საკულტო-სარიტუალო ნივთი შევიდა). ფონდში დაცული ეს ნივთები მრავალფეროვანია როგორც მასალის, ისე ფუნქცია-დანიშნულებისა და წარმომავლობის მიხედვით. იქ დაცულია არა მარტო ქართული, არამედ ჩრდილოკავკასიური, სომხური, აზერბაიჯანული და ებრაული ამულეტები და თილისმები (ხიზანიშვილი, 2007, გვ. 335).

ამ ნაშრომში მინდა ყურადღება გავამახვილო ერთ საინტერესო კოლექციაზე, რომელიც ნახსენებ ფონდში ინახება და მოიცავს სხვადასხვა ზომის ბეჭდებს, შანებსა და სხეულის ფორმის გამოსახულებებს. მათი დიდი ნაწილი თეთრი გიორგის მონასტრისადმი შეწირული საკრალური დანიშნულების მქონე ნივთებია.

ბეჭდების დიდი ნაწილი დაბალი ხარისხის ლითონისგანაა დამზადებული და ამოტვიფრულია ინიციალები თ. გ. ან წ. გ. რაც, სავარაუდოდ, თეთრი გიორგის, წმინდა გიორგის უნდა ნიშნავდეს და ამ მონასტრის კუთვნილების ერთგვარი დოკუმენტია (სურ. 2). ზოგიერთ მათგანს მთლიანად აწერია თეთრი ან წმინდა გიორგი (სურ. 3), გვხვდება ბეჭდები, რომლებსაც შემწირველის ინიციალებიც აწერია (სურ. 1). ეს კოლექცია განთავსებული იყო 1937 წელს ნორაშენის ეკლესიაში გახსნილ ანტირელიგიურ მუზეუმში, მისი გაუქმების შემდეგ კი გადაეცა ამჟამად საქართველოს ეროვნულ მუზეუმს. სამწუხაროდ, ცნობილი არ არის, თუ როგორ (რა პირობებში) აღმოჩნდა ეს კოლექცია ანტირელიგიურ მუზეუმში. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ კახეთში მოწყობილი ერთ-ერთი ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს მონასტრის მთელი ინვენტარი შეისყიდეს და აღნიშნულ მუზეუმში განათავსეს.

აგრეთვე უცნობია ბეჭდის შემწირველთა სახელები და მოტივაცია, ვფიქრობთ, ეს ბეჭდები რაიმე სახის თხოვნის საფასურს ან სამადლობელს წარმოადგენდა: შეთქმულ საჩუქარს, რომელიც მლოცველი შეჰპირდა წმინდა გიორგის. ადამიანური, მიწიერი გააზრებით, ნებისმიერი განსაცდელი, ავადმყოფობა თუ უბედური შემთხვევა მიაჩნდათ ცოდვების გამო ღვთისგან გამოგზავნილ სასჯელად, რომელსაც მონანიება, გამოსყიდვა, სჭირდება. მთიელთა საზოგადოებაში სხვადასხვა დანაშაულს სხვადასხვაგვარი სასჯელი მოსდევდა და დამნაშავე ვალდებული იყო შეესრულებინა ხატის ნებისმიერი მოთხოვნა, რომელსაც ქადაგის პირით შეიტყობდა. უმეტეს შემთხვევაში იგი მოითხოვდა სანთლის დანთებას, ღამის თევას, საკლავის, სპილენძის, ვერცხლის, ზოგჯერ მამულის შეწირვასაც და სხვა (მინდაძე, 1981, გვ. 91).

ბეჭდის, როგორც საკრალური დანიშნულების მქონე ნივთის, ტარებისა და სალოცავისთვის შეწირვის ტრადიცია არსებობდა აღმოსავლეთ საქართველოს მთაშიც. მლოცველები ხატებს სწირავდნენ არა მხოლოდ საკლავს (ცხვარი, ხარი და ა.შ.), არამედ ძვირფასი ლითონებისგან დამზადებულ სამკაულებსა და ვერცხლის ფულებს. ამ ფაქტს ადასტურებენ ქართველი ეთნოგრაფები, სერგი მაკალათია და ვერა ბარდაველიძე. როდესაც სერგი მაკალათიამ ხევში იმოგზაურა, მოინახულა სპარსანგელოზის სალოცავი, რომლის ნიშაშიც მრავლად ეწყო ხატისთვის შეწირული ნივთები: ბეჭდები, საყურეები, ზანზალაკები,

ხატის უღლები და ა.შ. (მაკალათია, 1934, გვ. 251); აგრეთვე ხახმატის ჯვრის ინვენტარის აღწერისას ვერა ბარდაველიძე აღნიშნავს, რომ შეწირულ ვერცხლის თასებს ამკობდა ჯვრები, ქალის საყურეები, მონეტები და ბეჭდები (ბარდაველიძე, 1982, გვ. 70).

ავად გახდომის შემთხვევაში ავადმყოფს ან მისი ოჯახის წევრს განკურნების ყველაზე ეფექტურ საშუალებად რომელიმე ძლიერი სალოცავისთვის სისხლიანი ან უსისხლო მსხვერპლის შეწრა მიაჩნდა (მინდაძე, 1981, გვ. 91). არსებობდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ადამიანი წინასწარ, ასე ვთქვათ, თავის დაზღვევის მიზნითაც შესწირავდა სალოცავს, რომ მომავალში არაფერი დამართნოდა, არც მას და არც მის რომელიმე ოჯახის წევრს.

ამ მხრივ საინტერესოა კახეთში დაფიქსირებული ერთი ჩვეულება, რომელიც აწყურის თეთრი გიორგის მონასტერს უკავშირდება. კახელებს, თუ სხეულის რომელიმე ნაწილი ასტკივდებოდათ, ამზადებდნენ იმ ორგანოს მცირე გამოსახულებას და გარკვეული დროის განმავლობაში გულზე ჩამოკიდებულს ატარებდნენ (სურ. 4), შემდეგ კი მონასტერს სწირავდნენ, რომ ავადმყოფმა გამქრალიყო (ხიზანიშვილი, 2007, გვ. 341). ამ რიტუალს ცნობილი რუსი მკვლევარი გიორგი ჩურსინიც შესწრებია 1905 წელს. მლოცველებს მოჰქონდათ მონასტერში სხეულის სხვადასხვა ნაწილის, ხელის, ფეხის, გულის, თავის ტკივილის შემთხვევაში პატარა რგოლების გამოსახულებები (სურ. 6-7) და სწირავდნენ მონასტერს (ამჟამად ეს კოლექციაც საქართველოს ეროვნული მუზეუმის აღმოსავლურ ნაკეთობათა და რკინის ფონდში ინახება). ავტორის აზრით, ეს ტრადიცია უკავშირდება ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობის უძველეს რწმენა-წარმოდგენებს და ერთგვარ უსისხლო მსხვერპლშეწირვას წარმოადგენს. მსგავსი რიტუალები დამახასიათებელია მსოფლიოს უძველესი ხალხების კულტურებისთვისაც (Чурсин, 1906, გვ. 15). ამ კოლექციაში დაცულია აგრეთვე ყურის ფორმის გამოსახულებები, რომლებსაც, როგორც ჩანს, მსგავსი დანიშნულებით იყენებდნენ, ან ყურის ტკივილის შემთხვევაში მონასტერს სწირავდნენ, ან როგორც ამუღეტს ამზადებდნენ ბავშვებისთვის, რომ უფრო ყურადღებიანი, გამგონე და დამჯერე ყოფილიყვნენ (Яшвили, 1904, გვ. 61).

ბეჭდები, ისევე როგორც კვანძი, ითვლებოდა სულის ხელბორკილად. აქედან მომდინარეობდა შეხედულება, რომ ბეჭდის ხელზე ტარება იცავდა ადამიანს ავი სულებისგან (Юшкин, 1929, გვ. 25).

აღმოსავლურ ზღაპრებსა და მითოლოგიურ გადმოცემებში ჯადოსნური თვისებების მატარებელი ნებისმიერი ნივთი შეიძლება შეგვხვდეს, მაგ: ქვა, ხმალი, ბეჭედი, ქუდი, ხალიჩა და ა.შ. მათი მფლობელები სასწაულ საგმირო საქმეებს სჩადიან (ხიზანიშვილი, 2007, გვ. 338). როგორც კოპალას აქვს ჯადოსნური ძალის მქონე ლახტი, რომლითაც ამარცხებს ბოროტებას და იახსარი მათრახიამის მსგავსად ბეჭედიც შეიძლება მოიაზრებოდეს მაგიური ძალის მქონე ნივთად, რომლის მეშვეობითაც ადამიანები თავს იცავდნენ ან ებრძოდნენ ბოროტ ძალებს.

ბეჭდის, როგორც მაგიური დანიშნულების მქონე ატრიბუტის, რწმენა გავრცელებული იყო კავკასიელ ხალხებში და არა მხოლოდ ესთეტიკურ, არამედ გარკვეულ საკრალურ მნიშვნელობასაც ატარებდა, ავი სულებისგან თავის დაცვის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა (Юшкин, 1929, გვ. 26), აგრეთვე იცავდა და კურნავდა ადამიანებს ავადმყოფობებისა და ფიზიკური ტკივილისგან. კახეთში დედა, რომელსაც შვილი უკვდებოდა, ვნების კვირის ოთხშაბათს შეუკვეთდა რკინის ბეჭედს და შემდეგ მუდმივად თან ატარებდა მას, რომ მისი ავადმყოფი შვილი განკურნებულიყო და მომავალშიც მუდამ ჯანმრთელად ყოფილიყო (Юшкин, 1929, გვ. 26).

სომხური მოსახლეობის ნაწილში ვნების კვირაში (წითელ პარასკევს) იცოდნენ რკინის ბეჭდების დამზადება, რომელსაც მამაკაცები ატარებდნენ ავი სულებისგან თავის დასაცავად (Кавказ, 1888, გვ. 2).

დაღესტანში კბილის ტკივილის მკურნალობის ერთ-ერთი მეთოდი იყო ლურსმნის იმ ხეში ჩარჭობა, რომელიც რომელიმე მათი წინაპრის საფლავზე იზრდებოდა. თუ ამ ზომების მიღების შემდეგ კბილის ტკივილი არ გაქრებოდა, ხეში ჩარჭობილი ლურსმნისგან ავადმყოფს უნდა დაემზადებინა ბეჭედი და ეტარებინა, რის შემდეგაც, მათი რწმენით, ყველანაირი ტკივილი გაუქრებოდა (Вучетич, 1864, გვ. 3).

რკინის ბეჭდით კბილის ტკივილის მკურნალობის მეთოდები დასტურდება აგრეთვე ქალაქ მაიკოპის მცხოვრებლებშიც (კრასნოდარის მხარე?). კბილის ტკივილის თავიდან ასაცილებლად ისინი წინასწარ იმზადდებდნენ რკინის ბეჭდებს და სულ ატარებდნენ მას (Юшкин, 1929, გვ. 26). ჩრდილოკავკასიელი მუსლიმები ბეჭდის ტარებას რელიგიურ მნიშვნელობასაც ანიჭებდნენ. შარიათის კანონების თანახმად, მუსლიმებს ისეთი ნივთები, რომლებიც ნამაზისთვის აუცილებელი იყო, მუდამ უნდა ეტარებინათ; ასეთ ნივთად ითვლებოდა ბეჭედიც, რომელიც მორწმუნე მუსლიმს მუდამ უნდა ჰქონოდა, რადგან, მათი რწმენით, ბეჭდიანი ხელით შესრულებული ერთი ნამაზი მის გარეშე შესრულებულ სამოც ნამაზს უდრიდა. მაშინ, როცა ჩალმით (ტურბანით) შესრულებული ნამაზი მის გარეშე შესრულებული ოცდახუთი ნამაზის ტოლი იყო. პაველ პრჟეცლავსკის აზრით, რომელმაც ფელეტონები მიუძღვნა კავკასიელი მუსლიმების აღწერას გაზეთ „კავკაზში“, „ფანატისკოსი მუსლიმის ამოცნობა მარტივად შეიძლება, ის მუდამ თან ატარებს რამდენიმე ნივთს, მათ შორის ბეჭედს მარჯვენა ხელის პატარა თითზე“ (ეს ტრადიცია სათავეს იღებს გადმოცემიდან, რომლის თანახმადაც წინასწარმეტყველი მუჰამედი მთელი ცხოვრება ატარებდა ბეჭედს პატარა თითზე) (Пржецлавский, 1862, გვ. 2).

ჩვენს ხელთ არსებული მწირი ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბეჭედის, როგორც საკრალური დანიშნულების მქონე ნივთის, ტარებისა და შეწირვის ტრადიცია არსებობდა კავკასიელ ხალხებში. ის იყო ბოროტი ძალებისგან თავდაცვის ერთ-ერთი საშუალება, აგრეთვე ღირებული ნივთი, რომლის შეწირვაც შესაძლებელი იქნებოდა სიწმინდისთვის. სწირავდნენ, სავარაუდოდ, ცოდვების გამოსასყიდად ან რაიმე ავადმყოფობისგან გადასარჩენად, ან წინასწარ შეუთქვამდნენ ხატს, რომ მათთვის განსაცდელი აერიდებინათ თავიდან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაკელია ნ. (1985). ქრისტიანული წმინდანები დასავლურ-ქართულ რწმენა-წარმოდგენებში (წმინდა გიორგი). ჟურნ. *მაცნე*. N 3. თბილისი.
2. ბარდაველიძე ვ. (1982). აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ხევისურეთი. II. თბილისი.
3. მაკალათია ს. (1934). ხევი. თბილისი.
4. მინდაძე ნ. (1981). ხალხური მედიცინა. თბილისი.
5. ყაუხჩიშვილი თ. (1957). სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ, წიგნი XI. თბილისი.
6. ხიზანიშვილი მ. (2007). ამულეტების კოლექცია საქართველოს მუზეუმის აღმოსავლური ფონდიდან. კრ. *ეთნოლოგიური ძიებანი*. III. თბილისი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი.
7. ხიზანიშვილი მ. (2010). სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის (უშგული) ეთნოგრაფიული კოლექციების შესწავლისათვის. *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე*. I. თბილისი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი.
8. ჯავახიშვილი, ი. (1979). თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II. თბილისი.

9. Вучетич Н. (1864). 4 месяца в дагестан, *Кавказ* N77. Тбилиси.
10. Кавказ (1888). Страстная Неделя у Армян и у грузин. N107. Тбилиси.
11. Пржецлавский П. (1862). Кольцо как атрибут фанатизма мусульман. *Кавказ* N93. Тбилиси.
12. Юшкин Е. М. (1929). Кавказ. Геологический очерк. Тбилиси.
13. Чурсин Г. Ф. (1906). Народные обычаи и верования Кахети, Записки кавказского отдела императорского русского географического общества. Кн. 25. Тифлис.

Mariam Khintibidze, Georgian National Museum

The Symbolic Loading of Sacrificial Jewelry in Traditional Existence of Eastern Georgia (Tetri Giorgi)

Summary

The article mainly focuses on the collection of *jewelry donated for worship in Oriental handicrafts and iron fund at Simon Janashia National Museum of Georgia*, which was first housed in the antireligious museum in the 1930s and as a result of its abolition the whole collection was given to existing Georgian National museum.

Obviously, jewelry used to have not only the loading of external adornments but also it had ritual purpose. Jewelry was worn to avoid evil eye and protect oneself from black magic and negative energy. The jewelry donated for worship in the mountainous regions of Georgia as well as jewelry needed for the embellishment of the verger's wand was peculiar and unique.

The traditions of wearing a ring as a sacramental item and different kinds of offerings in Eastern Georgia are interesting. Congregation sacrificed not only sheep, oxen etc. but also valuable jewellery made of precious metals and silvery coins. Sergi Makalatia also confirms this fact. While travelling through the ravine, he visited the main chapel of Sparsangelozi (Angel of Persia) with lots of denoted items in each niche such as rings, earrings, bells, icon adornment etc.

The belief of the ring as a magical attribute was also widespread among Caucasian peoples. It had not only aesthetical but also sacral loading. It was the only way to protect oneself from evil spirits. It was also believed to cure people from illness and physical pain.



სურ.1




სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7

**სოფიო ჩიტორელიძე,
გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების
ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი**

კერამიკოსი ნიკოლოზ გომელაური (1918-1961)

ნიკოლოზ (კოლია) გომელაური XX საუკუნის 40-იანი წლების კერამიკოსთა თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ხელოვანი თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულ მხატვრებთან ერთად სათავეში ედგა დარგის განვითარების საქმეს და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თანამედროვე პროფესიული კერამიკის ჩამოყალიბების ისტორიაში.

კერამიკოსი 1918 წლის 18 ნოემბერს დაიბადა ქალაქ სიღნაღში. მამა ვლადიმერ ნიკოლოზის ძე გომელაური სპეციალობით ბუღალტერი იყო, დედა ეპრაქსია სოფრომის ასული შონვაძე – დიასახლისი. საშუალო განათლება მხატვარმა ქ. სიღნაღის სკოლაში მიიღო. 1936 წელს იგი ჩაირიცხა თბილისის სამხატვრო აკადემიის კერამიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1942 წელს დაამთავრა. მისი სადიპლომო ნამუშევარი – დეკორატიული ლარნაკი „საქართველო“ – საგამოცდო კომისიამ ფრიადზე შეაფასა. სწავლის დასრულების შემდეგ ხელოვანმა ქ. სიღნაღის სახელმწიფო თეატრის მთავარ მხატვრად დაიწყო მუშაობა. ორი წლის შემდეგ კვლავ დაბრუნდა თბილისში და სამხატვრო აკადემიის კერამიკის ფაკულტეტზე ასპირანტურაში გააგრძელა სწავლა. ასპირანტურა 1948 წელს მხატვრული კერამიკის სპეციალიზაციით დაამთავრა¹.

ნიკოლოზ გომელაური შემოქმედებით საქმიანობასთან ერთად წლების განმავლობაში პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა და პროფესიული კადრების აღზრდის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. 1948-1951 წლებში იგი კერამიკის კათედრაზე ასისტენტ-პედაგოგად მუშაობდა, ხოლო 1951 წლიდან კერამიკის განყოფილების უფროსი პედაგოგი იყო. ხელმძღვანელობდა საგნებს – კომპოზიციასა და მასალაში მუშაობას. 1957 წელს ნ. გომელაური თბილისის სამხატვრო აკადემიაში დოცენტის თანამდებობაზე დაინიშნა და სიცოცხლის ბოლომდე ამ სტატუსით მოღვაწეობდა.

ნიკოლოზ (კოლია) გომელაურის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ჩვენთვის თითქმის უცნობია. საარქივო დოკუმენტებში მათი ჩამონათვალი არცთუ მცირეა, თუმცა მათგან ძალზე ცოტა რაოდენობაა წარმოდგენილი საქართველოს სამუზეუმო ფონდებში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კერამიკოსის კერძო კოლექციებში დაცული ნიმუშების მოძიება. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე ხელოვნის კერძო კოლექციებში დაცულ სამ ნაკეთობას მივაკვლიე², რაც, ვფიქრობ, ცნობილი მხატვრის მცირერიცხოვანი მემკვიდრეობისთვის მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

ქართული კერამიკის ისტორიისთვის მნიშვნელოვანია ნ. გომელაურის წვლილი კერამიკული ხელოვნების ტექნოლოგიის შესწავლის თვალსაზრისით. თავისი არაერთი მიგნება მხატვარმა პრაქტიკულად საკუთარ ნამუშევრებზე განახორციელა. კერამიკოსს ძირითადად მცირე ზომის დეკორატიული ქანდაკებები და დეკორატიული ლარნაკები აქვს შესრულებული, ასევე ფიალები, ჭინჭილები, დოქები და სხვა ყოფითი დანიშნულების ნიმუშები.

¹ ხელმძღვანელები: დოცენტი ა. ფიცხელაური, დოცენტი დ. ციციშვილი.

² ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა მხატვრის მემკვიდრეობთან დაკავშირება.

პერიოდი, როდესაც მხატვარი შემოქმედებით ასპარეზზე გამოდის, აქტიური ტექნოლოგიური თუ მხატვრულ-შინაარსობრივი ძიებების ხანაა ახლად ჩამოყალიბებულ ქართულ პროფესიულ კერამიკულ ხელოვნებაში. მხატვრულ-გამომსახველობითი შესაძლებლობების გამოსავლენად კერამიკოსებმა ტრადიციულ მასალასთან – ტერაკოტასთან (წითელი თიხა) - ერთად შემოქმედებითი ძიება ქართული გამოყენებითი ხელოვნებისთვის ახალ - ფაიფურის - დარგშიც სცადეს. 1930-40-იან წლებში საქართველოში არ არსებობდა ფაიფურის მასალით სამუშაო, საწარმოო ბაზა. შესაბამისად, ესკიზის მასალით შესრულება შეუძლებელი იყო. მხატვრები ხშირად სარგებლობდნენ რუსეთის ქარხნებიდან შემოტანილი „თეთრულით“ (მოუხატავი ფაიფურის ნაწარმი) და მზა ფორმას საკუთარ კომპოზიციას „არგებდნენ“. ნიმუშის ფორმაზე მუშაობის შესაძლებლობა მხოლოდ ერთთვისანი სასწავლო პრაქტიკის დროს იყო შესაძლებელი რუსეთის, უკრაინისა და რიგის ფაიფურის ქარხნებში. სტუდენტები იქ საკურსო ან სადიპლომო ნაშრომს ასრულებდნენ.

ქართული კერამიკის ისტორიაში ფაიფურის მასალით პირველად მუშაობდნენ: მიხეილ გიორგაძე, ნიკოლოზ გომელაური, გიორგი (გოგი) ქართველიშვილი, ეკატერინე ბაბლიძე, ევგენია ხაჩიძე, ივანე ბუზარიაშვილი, ირინე გაჩეჩილაძე, სულხან სულხანიშვილი და სხვა კერამიკოსი მხატვრები. მათი ამოცანა იყო ეროვნული კულტურის ათვისებით ახალი მასალისთვის საკუთარი განსხვავებული ფორმის მინიჭება.

ამ პერიოდის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს სტუდენტების მიერ შექმნილი ქართული ფაიფურის რეცეპტურა და დამუშავების ორიგინალური ხერხები. მათ შორის: 1937 წელს კურსდამთავრებულმა კერამიკოსმა მიხეილ გიორგაძემ გურის სოფელ ასკანის კაოლინისგან პირველი ქართული ფაიფურის მასა შექმნა. ამ მასალით მან (რუსეთში) სადიპლომო ნამუშევარი - სასადილო სერვიზი - შეასრულა (ამჟამად არ იძებნება). ფაიფურ-ფაიანსის ტექნოლოგიის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი მხატვარ-კერამიკოს ნიკოლოზ გომელაურს. იგი სტუდენტობის პერიოდშივე, 1936-1942 წლებში, მუშაობდა ფაიფურზე, რაც საარქივო მასალითა და ჩემ მიერ მოძიებული ნაკეთობითაც დასტურდება. 1944-1948 წლებში კი, როდესაც მხატვარი ასპირანტურის სტუდენტია, რამდენადმე აღრმავებს ამ მიმართულებით კვლევასა და პრაქტიკულ ძიებას, რასაც მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური აღმოჩენებიც მოჰყვა.

კერამიკოსის ზემოდასახელებული ნაკეთობა - მცირე ზომის თასი - მხატვრის ერთ-ერთი ადრეული ნამუშევარია (სურ.1). ნიმუში საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი დღემდე შემორჩენილ ფაიფურის მასალით შესრულებულ ადრეულ ნამუშევართა მცირერიცხოვან ჯგუფს განეკუთვნება. ნაკეთობა 1940 წლითაა დათარიღებული. თასი რელიეფური ორნამენტით შემკულ დაბალ ძირზე დგას. ნაკეთობის თხელი გამჭვირვალე კეცი ღია მწვანე საღებავითაა დაფერილი. მწვანე ფონზე იმ პერიოდისთვის სახასიათო ყვავილოვანი დეკორია წარმოდგენილი. ნაკეთობის წინა მხარეს, მცენარეული ორნამენტით მოჩარჩოებულ მედალიონში, მხატვრის მონოგრამა – „კ“ და „გ“ ინიციალებია ჩაწერილი. თასის ძირზე ქართული ორნამენტული მოტივები და ამ მოტივების თანხვედრა ფერწერულ დეკორთან გვაფიქრებინებს, რომ მხატვარმა ნიმუშის ფორმაც და მოხატულობაც ერთ-ერთი სასწავლო პრაქტიკის დროს თავადვე შეასრულა. მცირე ზომის ნიმუშის შესამკობად გამოყენებული რელიეფური და ფერწერული მეთოდების შერწყმა ერთგვარად გადატვირთულობის განცდას ბადებს, თუმცა აშკარად იგრძნობა სტუდენტი ხელოვნის შესრულების სიფაქიზეც და ოსტატობაც. ნახატი მკაფიოა, ჩანს ფერადოვანი ზომიერებაც.

როგორც აღვნიშნე, კერამიკოსმა მომდევნო წლებშიც გააგრძელა ფაიფურ-ფაიანსის მხატვრული შემკობის მეთოდებზე მუშაობა და კვლევის შედეგად ფაიფურის ჭიქურქვედა მოხატვის ახალი ხერხიც შეიმუშავა. ტექნოლოგიური მიგნება მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო. ხელოვანი თავად წერდა: „სიახლე, რომელიც შევითქვანე ჩემს ნამუშევარში გახლავთ ის, რომ დღემდე არც ერთი ფაიფურის ქარხანა არ აწარმოებს ფაიფურის

გლაზურქვედა კობალტით მოხატვას ისეთი ტექნიკით, როგორც ჩემს მიერ შედგენილი საღებავია. იგი პრინციპით იმეორებს ანგობის საღებავების შედგენის მეთოდს, რომელიც უნდა ვიხმაროთ ფაიფურის მასაზე ნედლ მდგომარეობაში. ნედლ მდგომარეობაში მოხატული ნაწარმი საღებავთან ერთად შრება და საღებავთან ერთად გივლის გამოწვას, რის შემდეგ საღებავი შეაცხვება ნაწარმს და კობალტის გაჟონვა ქალაში თავიდან აცილებული იქნება“ (სეა, უიცა, ფ. 87, ა.3, ს. 77). ამ ტექნიკით მხატვარმა ოთხი ობიექტი - ორი დეკორატიული ლარნაკი (მიძღვნილი საბჭოთა სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავისადმი) და ორი ქართული სტილის სურა - შეასრულა. ჩამოთვლილი ნამუშევრებიდან ერთ-ერთი ლარნაკი თბილისის სამხატვრო აკადემიის მუზეუმშია დაცული. ჭურჭელზე საავტორო წარწერა არაა. მისი იდენტიფიკაცია საარქივო ფოტოზე მინაწერთა და მხატვრულ-სტილისტური ანალიზის მიხედვით მოხდა¹.

სადღესასწაულო ფორმის ლარნაკებს 1940-50-იანი წლების ქართულ კერამიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ჭურჭლის ზომა და მათი საზეიმო „წარდგენითი ხასიათი“ კარგად „მოერგო“ სოცრეალისტური ხელოვნების მხატვრულ მოთხოვნებს. შესაბამისად, იმ პერიოდში ქართული ფაიფურით მხატვრული ლარნაკის ბევრი ნიმუში შეიქმნა. მსგავსი ტიპის დეკორატიული ნიმუშები გვხვდება ივანე ბუზარიაშვილის, ევგენია ხაჩიძის, შოთა ციციშვილის, თენგიზ ღვინიაშვილის, ირაკლი ყანდაშვილისა და სხვათა შემოქმედებაში. დასახელებული ნაკეთობებისგან განსხვავებით, რომლებშიც ფერწერული, სკულპტურული, რელიეფური და ჭვირული ორნამენტების შერწყმას ვხედავთ, რაც მათ მხატვრულ შემკულობას ეკლექტურ ხასიათს სძენს, ნ. გომელაურის ლარნაკი გაცილებით სადა და მხატვრულად გაწონასწორებულია. ჭურჭელს გამოკვეთილი სილუეტი და პროპორციული არქიტექტონიკა გამოარჩევს. ნიმუში სამი სეგმენტისგან შედგება: დგას მყარ გამოყვანილ ქუსლზე, რომლიდანაც თანდათანაა ამოზრდილი მხრებისკენ გაფართოებული ტანი (ლარნაკის ძირითადი კორპუსი) და დასრულებულია მაღალი ამოყვანილი, გადაშლილი ყელით. ფორმას მორგებული ნახატი სიზუსტითა და შესრულების მაღალი ოსტატობით ხასიათდება.

ამ ლარნაკს ასე ახასიათებს მხატვარი-კერამიკოსი ზაქრო მაისურაძე: „დეკორატიული ვაზა, რომელიც მიძღვნილია საბჭოთა კავშირის 30 წლისთავისადმი, თავის როგორც კომპოზიციური, ისე ტექნოლოგიური სისრულით ასახავს იმ მიღწევებს, რომელიც აქვს თბილისის სამხატვრო აკადემიის კერამიკულ ფაკულტეტს და კერძოდ, მის აღზრდილ ახალგაზრდა სპეციალისტს, მხატვარ-კერამიკოსს ნ. გომელაურს“ (სეა, უიცა, ფ. 87, ა.3, ს. 77).

კერამიკოსის ფაიფურის მასალით შესრულებული ნიმუშებიდან აღსანიშნავია სემ-ში, ასევე შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცული შვიდი მცირე პლასტიკის ნიმუში. მხატვარი პირველთაგანია იმ თაობის კერამიკოსებთან² ერთად, ვინც ფაიფურისა და ფაიფურის მასალით მცირე ზომის კერამიკული ქანდაკების დამუშავება დაიწყო. ნაკეთობებიდან ერთს ნაძვისხის ფორმა აქვს, ორს - ცხოველისა და დანარჩენი ფრინველების გამოსახულებებია. ფორმის ზომიერი დეტალიზაციით მიღწეულია მეტ-ნაკლები ანატომიური სიზუსტე. ამასთან, მხატვარი ზოგ შემთხვევაში მიმართავს გამოსახვის ობიექტის ბუნებრივ შეფერილობას, რაც მეტ რეალისტრობას სძენს ნაკეთობებს. ფიგურებში დაჭერილია სახასიათო მოძრაობების მანერა, გადმოცემულია ხასიათი.

მხატვრის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტრადიციული მასალის, წითელი თიხის - ტერაკოტას - ტექნოლოგიისა და მხატვრულად შემკობის ხერხების აღდგენასა და ახალი მეთოდების დანერგვას. ამ მიმართულებით მან იმუშავა თეორიულ

¹ ფოტო დაცულია კერამიკოს ნანა კიკნაძის პირად არქივში.

² ნელი ალექსიძე, გიორგი (გოგი) ქართველიშვილი, იოსებ მელაშვილი, სულხან სულხანიშვილი და სხვ.

ნაშრომზე „ქართული მხატვრული კერამიკული ნაწარმის გაფორმების ტენდენციები“. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მატერიალური მასალების შესწავლის შედეგად კერამიკოსმა დაადგინა ზოგიერთი ისეთი მეთოდიც, რომლებიც მანამდე უცნობი იყო ქართული მხატვრული კერამიკის ისტორიისთვის. ამით მან განავითარა და შეავსო ქართული მხატვრული კერამიკა იმ ახალი ტექნოლოგიური ხერხებითა და მეთოდებით, რომლებიც მანამდე არ გააჩნდა; მან ასევე შექმნა კერამიკული კეცის მოსახატი საღებავის რეცეპტები, რითაც გაამდიდრა კერამიკული შემდეგავი მასალების პალიტრა. კერამიკული მემკვიდრეობის შესწავლისას ხელოვნის კვლევითი სფერო არ შემოფარგლულა ვიწრო კონკრეტული თემით. ბრინჯაოსა და რკინის ხანის კერამიკული ნაწარმიდან მოყოლებული მან იმუშავა XX საუკუნეში არსებული მხატვრული შემკობის მეთოდებზეც. არქეოლოგიური მასალის შესწავლისას შეეხო ისეთი ტექნიკური ხერხების დამუშავებას, როგორებიცაა: დაშტამპვა, ჩაღრმავებული-გრავირებული, სგრაფიტო, გაკრიალება და სხვა მეთოდები. თანამედროვე ქართული კერამიკის ისტორიისთვის მნიშვნელოვანია ნ. გომელაურის მიერ ანგობის (იგივე წერნაქის) ტექნიკის შესწავლა, რასაც ხელოვანმა დიდი ადგილი დაუთმო საკუთარ ტექნოლოგიურ და თეორიულ კვლევებში. „მას შეუსწავლია თეთრი ანგობის ხმარებისა და გამოყენების წესი, მასზე სგრაფიტოს თუ ფუნჯის საშუალებით მოხატვისა და შემდეგ, როგორც ფერადი (ერთფერი), ისე უფერო ჭიქურებით მოჭიქვის ხერხები. მას გაუმდიდრებია ფერადი ანგობის პალიტრა და ამით უფრო მეტყველი და მაღალხარისხოვანი შეუქმნია ანგობის ხმარების ტექნიკა მხატვრულ კერამიკაში“ (სეა, უიცა, ფ. 87, ა.3, ს. 77), წერს კერამიკოსი ზაქრო მაისურაძე ნ. გომელაურის საასპირანტო ნაშრომის სარეცენზიო წერილში. ანგობის ტექნიკის შესწავლისას კერამიკოსმა განსაკუთრებული ყურადღება ქ. დმანისის გათხრებიდან მოპოვებულ მასალას დაუთმო. ხანგრძლივი მუშაობითა და მრავალი საკვლევ-ლაბორატორიული დაკვირვების შემდეგ დმანისის ანგობირებული კერამიკის ტექნიკა შემდეგნაირად შეცვალა. მხატვარი მოხატვას ახდენდა არა შეღებილი ჭიქურებით, როგორც ეს დმანისის კერამიკულ ნაწარმზე გვხვდება, არამედ იყენებდა თვით შეღებილ მასალებს, რის შედეგადაც მან შემლო ფერების გაცილებით მდიდარი პალიტრის შექმნა, ვიდრე ეს ძველი ქართული მხატვრული კერამიკის წარმოების ტექნიკაში მოგვეპოვება.

მხატვრის მიერ დამუშავებულ ანგობის საღებავებში თავისი თვისებებით განსაკუთრებით შავი საღებავი გამოირჩეოდა. ამის შესახებ ხელოვანი წერდა: „ცდებმა დაადასტურა, რომ ეს შავი ფერის ანგობის საღებავი შეიძლება ვიხმაროთ არა მარტო ნედლ-გამოუწვავ ქალაზედ, როგორც ეს საერთოდ ანგობის ტექნიკაშია ცნობილი, არამედ შეიძლება ვიხმაროთ აგრეთვე გამომწვარ ნაწარმზედაც. ამ ფერით შესრულებული მხატვრული ნაწარმი მაღალმხატვრული ეფექტურობის მატარებელია“ (სეა, უიცა, ფ. 87, ა.3, ს. 77). შავი ანგობის გამოყენებითაა შექმნილი მხატვარ სერგო ქობულაძის სახელოსნოში დაცული ნიკოლოზ გომელაურის ლარნაკი (სურ. 2). სადა შავზედაპირიანი ნაკეთობა მარტივი სილუეტით ხასიათდება. ძირზე, კეცში ჩაკვეთილი, მხატვრის სახელის და გვარის ინიციალები იკითხება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კერამიკოსის სამუზეუმო ფონდებში დაცულ ნამუშევრებში დასახელებული ტექნოლოგიით შესრულებული ნაკეთობა ჯერჯერობით არ დასტურდება.

მეორე ფერი, რომელიც კერამიკოსმა მიიღო, ჭიქურქვედა შინდისფერი საღებავი იყო. ეს საღებავი მანამდე საქართველოში არც ანგობირებულ და არც სხვა რომელიმე ტექნიკაში გამოყენებულ ფერთა შორის არ იყო ცნობილი.

განსხვავებული ტექნოლოგიური ძიება ჩანს 1950–იანი წლების ბოლოს შესრულებულ ნამუშევრებში. წინა პერიოდის ნიმუშებისგან განსხვავებით, რომლებშიც ორნამენტულ-დეკორატიული მოხატულობაა წამყვანი, ბოლო ნამუშევრებში მეტად გამძაფრებულია ფორმის გამომსახველობითი ნიუანსების წარმოჩენა. ნაკეთობებს ლაკონიური, მეტყველი, სილუეტური ხაზი გამოარჩევს. ნიმუშები უმეტეს შემთხვევაში დაფერილია ერთი საღებავით ან შემკულია სადა ასევე ერთგვაროვანი ფერის გეომეტრიული ხასიათის ორნამენტული

სახეებით. მსგავსი მიდგომითაა შესრულებული საყვავილე ლარნაკი და ფიალა (თიხა, ანგობი – 1958 წ.) (სურ. 3), ლიქიორის დოქები (თიხა, ანგობი – 1958 წ.) (სურ. 4), ჭინჭილა და დეკორატიული ჭურჭელი (თიხა, ფერადი ჭიქურები – 1960 წ.). აღდგენითი ჭიქურთაა დაფარული ბოლო პერიოდის ნამუშევრების ჯგუფი – დოქი, ფიალა, დეკორატიული ლარნაკი (1959 წ.).

1950-იანი წლების მიწურულს აღდგენითი შებოღვის ტექნიკითაა შესრულებული ორი ანალოგიური ფორმისა და დეკორის ფიალა. ერთ-ერთი მათგანი სემ ეროვნული გალერეის ფონდებშია დაცული, ხოლო მეორეს მხატვარ ს. ქობულაძის სახელოსნოში მივაკვლიე (სურ. 5). მოძიებული მასალიდან დასახელებული ნიმუშები შებოღვის ტექნოლოგიით შესრულებული ერთადერთი მაგალითია და მხატვრის შემოქმედების ბოლო პერიოდს განეკუთვნება. ფიალების ფორმები ჭურჭლის სტანდარტულ მოყვანილობას იმეორებს. შავად შებოლილი ნაკეთობების შიდა მხარე მუქი აღდგენითი ჭიქურითაა დაფერილი. ფიალებს პირთან ამკობს ფაქიზი ჩაკვეთილი ხაზით შესრულებული გეომეტრიული, ორნამენტული სარტყელი, რომლის ნახატის დეტალები შიდაპირზე გამოყენებული ჭიქურის საღებავითაა აქცენტირებული.

1960-იანი წლების პროფესიული კერამიკა განვითარების ახალ გზას დაადგა. 1950-იანი წლების ბოლოს აღდგენილმა შებოღვის ტექნოლოგიამ ფაქტობრივად განსაზღვრა მომავალი ათწლეულის კერამიკული ნაწარმის მხატვრული სახე. შესაბამისად, კერამიკოს ნიკოლოზ გომელაურის მიერ ანგობის ტექნოლოგიის მიმართულებით ჩატარებულმა კვლევამ სათანადო განვითარება ვერ პოვა. ისტორიული მასალის - წითელი თიხის - ახალი გამომსახველობითი საშუალებებით გამდიდრება, რაც კერამიკოსის მრავალწლიანი კვლევითა და პრაქტიკულ-შემოქმედებითი ძიებით იქნა მიღწეული, უდავოდ გამრავალფეროვნებდა თანამედროვე კერამიკას. ვფიქრობ, მათი სათანადო შესწავლა დღესაც აქტუალურია.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

ლიტერატურა:

Какабадзе, А. (1984). Современная Грузинская керамика. Москва «Советский художник».

წყაროები:

სეა, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი (უიცი), ფ. 87, ა. 3, ს. 77

**Sopio Chitorelidze,
Georg Chubinashvili National Research Centre for Georgian
Art History and Heritage Preservation**

**Ceramist Nikoloz Gomelauri (1918-1961)
Summary**

Nikoloz Gomelauri is one of the distinguished representatives of the generation of ceramists of 1940s. The ceramist was at the head of a sphere of ceramic branch, together with the artists, the first graduates of Tbilisi Art Academy and as a master and pedagogue played definite role in the history of forming modern, professional ceramic.

Technical-technological searches and discoveries of N.Gomelauri are urgent for the history of modern Georgian ceramics. Based on the study of materials Georgian cultural heritage, he developed and practically implemented some technical methods of decoration of artistic ceramics, which were unknown for Georgian artistic ceramic before. Besides, he determined recipes of paints for painting ceramic clay, thus enriching specter of painting materials.

Research sphere of the artist was not limited to the narrow, concrete theme. He worked on the methods of artistic decoration of porcelain-faience, the materials just inculcated in Georgia then. Alongside with it, he paid specific attention to the study of technology of engobe coating of terracotte materials.

Technological searches of N.Gomelauri were mirrored in his activity. The artist-ceramist made mainly small size decorative monuments and vases, as well as cups, jugs and other objects.

In 1960 the professional ceramic started to pace on the new path. By the end of 1950s technology of fuming factually determined artistic form of ceramic ware of future decades. But researches implemented by the ceramist, were not followed by due inculcation and progress, which would undoubtedly diversify modern ceramic. I consider that their adequate study is most urgent today.

**ნინო ბეგაშვილი,
შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი**

„ქართული ფილმის“ საქმე

საბჭოთა ხელისუფლების მმართველობის 70-წლიანი ისტორიის განმავლობაში კინოსტუდია „ქართული ფილმი“ იყო სახელმწიფო დოტაციაზე მყოფი ორგანიზაცია, რომელიც ყოველწლიურად საშუალოდ 12-14 სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმს უშვებდა. ამ

ფილმების წარმოების, გაქირავებისა და კინოინდუსტრიასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს კი მთლიანად სახელმწიფო ფარავდა.

საბჭოთა კავშირის დაშლამ და კერძო საკუთრების ოფიციალურად გამოცხადებამ ათწლეულების განმავლობაში გამართულად მომუშავე სისტემა თავდაყირა დააყენა. ახალ საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი ეპოქის სირთულეებს იმ პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლისა და სამოქალაქო დაპირისპირების მძიმე შედეგებიც დაერთო. ტოტალურმა გაჭირვებამ ქვეყნის ყველა სფერო და მათ შორის, კინოც მოიცვა.

ამ რთულ ვითარებაში ქვეყნის პრიორიტეტების ნუსხაში კინოს აღორძინებაზე ზრუნვა ან საერთოდ არ იყო, ან ბოლო ადგილზე განიხილებოდა, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში რამე გამოსავალი უნდა მოძებნილიყო და ეს გამოსავალი „ქართული ფილმის“ სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა აღმოჩნდა.

1994 წელს სახელმწიფომ „ქართული ფილმი“ დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებად გამოაცხადა და საზოგადოებას თავისი აქციების საფასურად 3,3 მილიონ დოლარად შეფასებული კინოკონცერნი „ქართული ფილმი“ საკუთრებაში გადასცა. საზოგადოების ბალანსზე სტუდიის კუთვნილ სხვა ქონებასთან ერთად ქვეყნის მასშტაბით არსებული 95 კინოთეატრიც მოხვდა.

სხვადასხვა მიზეზის გამო ს/ს-ის კუთვნილი ქონება წლების განმავლობაში ეტაპობრივად იყიდებოდა. საზოგადოებამ ვერც მის ბალანსზე რიცხული კინოთეატრების შენარჩუნება შეძლო. მათი უდიდესი ნაწილი დღეს ან აღარ არსებობს, ან გასხვისებული და ფუნქციაშეცვლილია.

300-გვერდიანი საარქივო მასალა, რომელიც სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ დაარსებიდან 2009 წლამდე პერიოდის დადგენილებებს, ოქმებსა და სანოტარო აქტებს მოიცავს, არაერთ კითხვას ბადებს. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შევჩერდებით:

სააქციო საზოგადოების 1994 წელს მიღებულ წესდებაში ვკითხულობთ: „საზოგადოების საქმიანობის საგანია ფილმის წარმოება, ასევე ფილმებისა და მათზე არსებული უფლებების მართვა და რეალიზაცია ...“. კინოინდუსტრიასთან დაკავშირებული საკითხების ჩამონათვალი ბოლოვდება ფრაზით: „საზოგადოება უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზნებს“ (საარქივო მასალა, საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, მთელი-ისტორია-2020541 96-2-WinDjView, გვ.236).

ეს უკანასკნელი, სავარაუდოდ, მიუთითებს, რომ სააქციო საზოგადოება არ გამორიცხავს საქმიანობას, რომელიც შესაძლოა არ იყოს დაკავშირებული კინოინდუსტრიასთან.

წესდების ახალ რედაქციაში, რომელიც 2001 წლით თარიღდება, ეს საკითხი უკვე ცალკე პუნქტადაა გამოტანილი, უფრო დაზუსტებულია და ასე ჟღერს: „საზოგადოება ეწევა სხვა

ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით და რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზნებს“ (იქვე, გვ.138).

აწუ ის, რომ სააქციო საზოგადოება, კინოს გარდა, სხვა საქმიანობა დაკავდებოდა, წესდების თანახმად, თავიდანვე იყო განსაზღვრული და შესაბამისად, არაფერი უკანონო არ იყო, მაგალითად, იმაში, რომ 1999 წელს სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ კუთვნილი სატრანსპორტო საამქროს ბაზაზე ს/ს-ის ფილიალი „ავტოსატრანსპორტო საწარმო“ დაარსდა. ფილიალის დაარსების მიზნად საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაში გარკვეული წვლილის შეტანა დასახელდა.

დოკუმენტში ასევე ვკითხულობთ, რომ საწარმოს დაარსების მთავარი მიზანია „ს/ს „ქართული ფილმის“ კინოგადამღები ჯგუფების ტრანსპორტით მომსახურება“ (იქვე, გვ.193). თუმცა, რადგან კინოგადამღები იმ პერიოდში არც ისე ინტენსიურად მიმდინარეობდა, საწარმოს საქმიანობის ძირითად საგნად იქცა კერძო პირებისა და გარეშე ორგანიზაციების კუთვნილი ავტოსატრანსპორტის ტექნიკური მომსახურება; სადღეღამისო სადგომის ფუნქციონირება; სატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის გარე ორგანიზაციებსა და კერძო პირებზე გაქირავება; სამგზავრო გადაზიდვების შესრულება როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე მის ფარგლებგარეთ; გარდა ამისა, ავტოსათადარიგო ნაწილების მაღაზიის და სასადილოს ფუნქციონირება და ყოველგვარი საქმიანობა, რომლებიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით არ იყო აკრძალული.

კიდევ უფრო მეტი საფრთხის შემცველი იყო 2000 წელს „მეწარმეობის შესახებ კანონთან“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით/ს „ქართული ფილმის“ წესდებაში შეტანილი ცვლილებები. კერძოდ, პუნქტი (5.5-ის მ/ ქვეპუნქტი), რომელიც არ გამორიცხავს და დასაშვებად მიიჩნევს „ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყებას ან საქმიანობის არსებული სახის შეწყვეტას“ (იქვე, გვ. 208).

საგულისხმოა ასევე ის ფაქტი, რომ საზოგადოების წესდების ახალ რედაქციაში (2001 წ.) სრულიად გარკვევით და არაორაზროვნად წერია, თუ რა საზოგადოების მიზანი - მოგების მიღება. საგულისხმოა, ერთი მხრივ, იმის გამო, რომ კინოსტუდიის არსებობის მთავარ მიზნად ამ დოკუმენტით სახელდება არა ფილმების წარმოება, არამედ მატერიალური სარგებელი, მეორე მხრივ - ამგვარი მიზანი წესდების ძველ რედაქციაში, რომელიც 1994 წელსაა მიღებული, გაცხადებული არ არის და მხოლოდ შემდეგ დაემატა.

ერთი მხრივ, შეიძლება ვთქვათ, რომ კინოც ჩვეულებრივი პროდუქტია და არაფერია გასაკვირი, რომ საწარმო, რომელიც ამ პროდუქტს აწარმოებს, მოგებაზე იყოს ორიენტირებული, თუმცა აქ საინტერესოა გავიხსენოთ ფრანგი კინოექსპერტის, ჟოელ შაპრონის, გამონათქვამი, რომელშიც კარგად ჩანს საფრანგეთში ხელისუფლების კინოსადმი დამოკიდებულება: „ვინც უნდა იყოს ხელისუფლებაში, კინო ყოველთვის რჩება ხელშეუხებელი. მემარჯვენეებიც, მემარცხენეებიც ყოველთვის სისტემის შენარჩუნებას უჭერდნენ მხარს. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ჩვენთვის კულტურა არ არის ეკონომიკის ისეთივე პროდუქტი, როგორცაა, მაგალითად, მაცივარი. გაჩნდა ცნება „კულტურული გამონაკლისი“ და როცა მოლაპარაკებები მიმდინარეობს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დონეზე, ისინი

განიხილავენ საწვავს, იგივე მაცივრებს, მაგრამ არა კინოს“ (Ж. Шапрон, 2014, <https://mediananny.com/intervju/2305065/>).

პუნქტი „უძრავი ქონების შეძენა, საზოგადოების უძრავი ქონების გასხვისება და დატვირთვა“ (საარქივო მასალა, საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, მთელი-ისტორია-202054196-2-WinDjView, გვ. 245) ჯერ კიდევ 1994 წლის წესდებაში ფიგურირებს, თუმცა ს/ს „ქართული ფილმის“ ქონების გასხვისება-რეალიზაციაზე საუბარი უფრო აქტიურად 2002 წლიდან, ს/ს-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ აკაკი ჩარგეიშვილის დანიშვნასთან ერთად იწყება.

აქციონერთა საერთო კრებაზე (2002 წლის 3 ივლისი - 23 ივლისი) ახალარჩეული თავმჯდომარე საკითხს კატეგორიულად აყენებს: „დაგროვდა უამრავი საკითხი, რომელიც გაჩერებულია სამინისტროში და საჭიროებენ აუცილებელი და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებას. ეს შეეხება ს/ს „ქართული ფილმის“ შემადგენლობაში შემავალი შვილობილი საწარმოს, შპს „უძრავი ქონების“ ბალანსზე რიცხული ქონების დროებით, იჯარის, სასყიდლიან საკუთრებაში გადაცემას და ამ ქონების რეალიზაციას (დატვირთვა, გასხვისება), რის შესახებაც სამინისტროში წარმოდგენილია სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმები და შეეხება იჯარა-გასხვისებას, რომლითაც შპს „უძრავი ქონება“ ითხოვს თანხმობას საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსგან“ (იქვე, გვ. 113).

ქონების მართვის სამინისტროს წარმომადგენელი, გიორგი შარკოვი, მას პასუხობს: „ქონების რეალიზაციაზე მინისტრთან შეხვედრის დროს უარი ითქვა“ (იქვე, გვ. 116). ქონების მართვის მინისტრის მოადგილე ზურაბ გარაყანიძე კი ამბობს: „7-8 თვის განმავლობაში, რაც მინისტრის მოადგილედ ვმუშაობ, უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობების) რეალიზაციაზე საერთოდ ნებართვა არ მიგვიცია. აქ ლაპარაკია მხოლოდ მთლიან პრივატიზაციაზე, ხოლო რეალიზაციაზე, როგორც მინისტრის მოადგილე, წინააღმდეგი ვარ. ესაა ჩვენი პოლიტიკა, ამას არ დავუშვებთ. პრივატიზაცია გაკეთდეს პროფილის შენარჩუნებით“ (იქვე, გვ. 116).

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქონების გასხვისებით განსაკუთრებით ს/ს „ქართული ფილმის“ ხელმძღვანელობაა დაინტერესებული. რეზო ჩხეიძე (ს/ს-ის დირექტორი): „შენობები ძველია, კედლები სკდება, ზიანდება ძვირად ღირებული აპარატურა. თუ ასეთნაირად არ მოვიქცით, ჩვენ სხვა სახსრები არ გაგვაჩნია“ (იქვე, გვ. 114).

2005 წელს აქციონერთა კრება შპს „ქართული ფილმი - უძრავი ქონების“ (შპს „უძრავი ქონება“ დაფუძნდა 1995 წელს საქართველოს მასშტაბით საზოგადოების კუთვნილი მთელი უძრავი ქონების ბაზაზე) საწესდებო კაპიტალიდან ყველა კინოთეატრის ამოღებისა და ამ კინოთეატრების (შესაბამისი მიწის ნაკვეთებითა და მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობებითურთ) ს/ს „ქართული ფილმისთვის“ გადაცემის გადაწყვეტილებას იღებს.

ამ პერიოდიდან იწყება საქართველოს კინოთეატრების აუქციონის წესით მასობრივი გაყიდვა. 2007 წელს აქციონერთა საერთო კრებაზე რეალიზაციის მიზნით წარმოდგინეს შემდეგი კინოთეატრები:

1. ქ. გორის კინოთეატრი „ივერია“ - მიწის ფართი 2180 კვ.მ. მასზე მდგომი შენობა-ნაგებობა 1085,6 კვ.მ. საწყისი გასაყიდი ფასი 72 000 ლარი, „ბე“ საწყისი გასაყიდი ფასის 10%;
2. ქ. აბაშის კინოთეატრი - მიწის ფართი 655,6 კვ.მ. მასზე მდგომი შენობა-ნაგებობა 596,9 კვ.მ. საწყისი გასაყიდი ფასი 20 000 ლარი, „ბე“ საწყისი გასაყიდი ფასის 10%;
3. ქ. სენაკის კინოთეატრი - მიწის ფართი 1440 კვ.მ. მასზე მდგომი შენობა-ნაგებობა 1239 კვ.მ. საწყისი გასაყიდი ფასი 72 000 ლარი, „ბე“ საწყისი გასაყიდი ფასის 10%;
4. ქ. საგარეჯოს კინოთეატრი „გარეჯი“ - მიწის ფართი 1993 კვ.მ. მასზე მდგომი შენობა-ნაგებობა 1368,5 კვ.მ. საწყისი გასაყიდი ფასი 72 000 ლარი, „ბე“ საწყისი გასაყიდი ფასის 10%;
5. ქ. ჭიათურის კინოთეატრი „მადაროელი“ - მიწის ფართი 2159,9 კვ.მ. მასზე მდგომი შენობა-ნაგებობა 1155,26 კვ.მ.

იმავე 2007 წლის აქციონერთა საერთო კრების ოქმში ვკითხულობთ, რომ დირექტორმა, დავით ნაცვლიშვილმა, „საწარმოთა მართვის სააგენტოში“ სარეალიზაციოდ წარადგინა ს/ს „ქართული ფილმის“ ბალანსზე რიცხული შემდეგი კინოთეატრები:

1. ქ. ფოთის კინოთეატრი „რუსთაველი“ - მიწის ფართი 5400 კვ. მ. მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით. საწყისი გასაყიდი ფასი 800 000 ლარი, „ბე“ საწყისი გასაყიდი ფასის 10%, „ბიჯი“ - 10 000 ლარი;

მყიდველი ვალდებულია: -

შეინარჩუნოს პროფილი, სულ მცირე, 5 წლის განმავლობაში;

- ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში მოაწყოს, საერთო ჯამში, 150 მაყურებელზე გათვლილი ერთი ან რამდენიმე კინოდარბაზი;

2. სიღნაღის კინოთეატრი - მიწის ფართი 390 კვ.მ. მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობით 354 კვ.მ. საწყისი გასაყიდი ფასი 20 000 ლარი, „ბე“ საწყისი გასაყიდი ფასის 10%, „ბიჯი“ - 1000 ლარი;

მყიდველი ვალდებულია: -

შეინარჩუნოს პროფილი, სულ მცირე, 5 წლის განმავლობაში;

- მოაწყოს კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობი ცენტრი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის ვადაში;

3. ქ. რუსთავის კინოთეატრი „ივერია“ - მიწის ფართი 4479 კვ.მ. მასზე განლაგებული 1900 კვ.მ. შენობა-ნაგებობით. საწყისი გასაყიდი ფასი 300 000 ლარი, „ბე“ საწყისი გასაყიდი ფასის 10%, „ბიჯი“ - 6 000 ლარი;

მყიდველი ვალდებულია: -

- ჩაენაცვლოს გამყიდველს გასაყიდ ქონებაზე არსებულ საიჯარო ურთიერთობაში;

4. ქ. რუსთავის კინოთეატრი „რუსთაველი“ - მიწის ფართი 2426 კვ.მ. მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობით. საწყისი გასაყიდი ფასი 75 000 ლარი, „ბე“ საწყისი გასაყიდი ფასის 10%, „ბიჯი“ – 2 500 ლარი;

მყიდველი ვალდებულია:

- შეინარჩუნოს პროფილი, სულ მცირე, 5 წლის განმავლობაში;
- მოაწყოს კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობი ცენტრი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის ვადაში;

5. ქ. გორის კინოთეატრი „გამარჯვება“ - მიწის ფართი 3 600 კვ.მ. მასზე განლაგებული 1842,9 კვ.მ. შენობა-ნაგებობით. საწყისი გასაყიდი ფასი 340 000 ლარი. „ბე“ საწყისი გასაყიდი ფასის 10%, „ბიჯი“ – 6 500 ლარი;

მყიდველი ვალდებულია:

- შეინარჩუნოს პროფილი, სულ მცირე, 5 წლის განმავლობაში;
- მოაწყოს კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობი ცენტრი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის ვადაში;
- ჩაენაცვლოს გამყიდველს გასაყიდ ქონებაზე არსებულ საიჯარო ურთიერთობაში;

-

6. ახალქალაქის კინოთეატრი - შენობა-ნაგებობა 629 კვ.მ. მასზე დამაგრებული მიწის ფართით 973 კვ.მ. საწყისი გასაყიდი ფასი 70 000 ლარი, „ბე“ საწყისი გასაყიდი ფასის 10%, „ბიჯი“ – 2 200 ლარი;

მყიდველი ვალდებულია:

- შეინარჩუნოს პროფილი, სულ მცირე, 5 წლის განმავლობაში;

7. ტყიბულის კინოთეატრი - მიწის ფართი 1473 კვ.მ. მასზე განლაგებული 1268,2 კვ.მ. შენობა-ნაგებობით. საწყისი გასაყიდი ფასი 30 000 ლარი, „ბე“ საწყისი გასაყიდი ფასის 10%, „ბიჯი“ – 1500 ლარი;

მყიდველი ვალდებულია:

- შეინარჩუნოს პროფილი, სულ მცირე, 5 წლის განმავლობაში;
- მოაწყოს კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობი ცენტრი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში;

8. ქარელის კინოთეატრი - მიწის ფართი 726,3 კვ.მ. მასზე განლაგებული 370,6 კვ.მ. შენობა-ნაგებობით. საწყისი გასაყიდი ფასი 22 000 ლარი, „ბე“ საწყისი გასაყიდი ფასის 10%, „ბიჯი“ – 1 200 ლარი;

მყიდველი ვალდებულია:

- შეინარჩუნოს პროფილი, სულ მცირე, 5 წლის განმავლობაში;

- მოაწყოს კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობი ცენტრი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში;

9. ჩხოროწყუს კინოთეატრი - მიწის ფართი 1473 კვ.მ. მასზე განლაგებული 1268,2 კვ.მ. შენობა-ნაგებობით. საწყისი გასაყიდი ფასი 34 000 ლარი, „ბე“ საწყისი გასაყიდი ფასის 10%, „ბიჯი“ – 1 600 ლარი;

მყიდველი ვალდებულია:

- შეინარჩუნოს პროფილი, სულ მცირე, 5 წლის განმავლობაში;
- მოაწყოს კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობი ცენტრი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში;

10. გარდაბნის კინოთეატრი - მიწის ფართი 1000 კვ.მ. მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობით. საწყისი გასაყიდი ფასი 40 000 ლარი, „ბე“ საწყისი გასაყიდი ფასის 10%, „ბიჯი“ – 1 700 ლარი;

მყიდველი ვალდებულია:

- შეინარჩუნოს პროფილი, სულ მცირე, 5 წლის განმავლობაში;
- მოაწყოს კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობი ცენტრი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში;

11. ქ. თბილისის კინოთეატრი „ამირანი“ - შენობა-ნაგებობა 1947 კვ.მ. საერთო სარგებლობის მიწის ფართით, საწყისი გასაყიდი ფასი 1 700 000 ლარი, „ბე“ საწყისი გასაყიდი ფასის 10%, „ბიჯი“ – 20 000 ლარი;

მყიდველი ვალდებულია:

- შეინარჩუნოს პროფილი, სულ მცირე, 5 წლის განმავლობაში;
- ჩაენაცვლოს გამყიდველს გასაყიდ ქონებაზე არსებულ საიჯარო ურთიერთობაში;

12. ქ. თბილისის კინოთეატრი „ახმეტელი“ - მიწის ფართი 1745 კვ.მ. მასზე განლაგებული 1404 კვ.მ. შენობა-ნაგებობით. საწყისი გასაყიდი ფასი 300 000 ლარი, „ბე“ საწყისი გასაყიდი ფასის 10%, „ბიჯი“ – 6 000 ლარი;

მყიდველი ვალდებულია:

- შეინარჩუნოს პროფილი, სულ მცირე, 5 წლის განმავლობაში;
- მოაწყოს კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობი ცენტრი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში;
- ჩაენაცვლოს გამყიდველს გასაყიდ ქონებაზე არსებულ საიჯარო ურთიერთობაში;

13. სიღნაღის საზაფხულო კინოთეატრი - მიწის ფართი 1311 კვ.მ. მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობით. საწყისი გასაყიდი ფასი 20 000 ლარი, „ბე“ საწყისი გასაყიდი ფასის 10%, „ბიჯი“ – 1000 ლარი;

მყიდველი ვალდებულია:

- მოაწყოს საზაფხულო კინოთეატრი;
- მოაწყოს კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობი ცენტრი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში;

14. ქ. თბილისის კინოთეატრი „საქართველო“ - შენობა-ნაგებობა 2 000 კვ.მ. მასზე დამაგრებული მიწის ფართი 2470 კვ.მ. საწყისი გასაყიდი ფასი 1 000 000 ლარი, „ბე“ საწყისი გასაყიდი ფასის 10%, „ბიჯი“ – 14 000 ლარი.

რეალიზაციის გადაწყვეტილება ერთხმად მიიღეს, თუმცა რეალიზაციის შემდეგ რამდენად კონტროლდებოდა მყიდველის ვალდებულებები, რომ შეენარჩუნებინა პროფილი, სულ მცირე, 5 წლის განმავლობაში ან მოეწყო კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობი ცენტრი ერთი წლის ვადაში, უცნობია. ასეთ მონაცემებს ჩვენ ვერ მივაკვლიეთ.

მასალაში ასევე მოცემულია 2009 წლის აქციონერთა საერთო კრების ოქმი, რომელიც მოიცავს დადგენილებას ს/ს „ქართული ფილმის“ საკუთრებაში არსებული კიდევ თორმეტი კინოთეატრის აუქციონის წესით რეალიზაციის შესახებ. კერძოდ, ეს კინოთეატრებია:

1. ჩოხატაურის კინოთეატრი - მიწის ფართი 2788 კვ.მ. მასზე განთავსებული 627,3 კვ.მ. შენობა-ნაგებობით. საწყისი სარეალიზაციო ფასი 43 372 ლარი;
2. ლანჩხუთის კინოთეატრი - მიწის ფართი 894,6 კვ.მ. მასზე განლაგებული 442,3 კვ.მ. შენობა-ნაგებობით. საწყისი სარეალიზაციო ფასი 23 278, 80 ლარი;
3. კულაშის კინოთეატრი - მიწის ფართი 525 კვ.მ. მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობით. საწყისი სარეალიზაციო ფასი 9962 ლარი;
4. ხობის კინოთეატრი - მიწის ფართი 2998,2 კვ.მ. მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობით. საწყისი სარეალიზაციო ფასი 175 199, 7 ლარი;
5. წალენჯიხის კინოთეატრი - მიწის ფართი 1103 კვ.მ. მასზე განლაგებული 554,63 კვ.მ. შენობა-ნაგებობით. საწყისი სარეალიზაციო ფასი 17 744,6 ლარი;
6. ახმეტის კინოთეატრი - მიწის ფართი 700 კვ.მ. მასზე განლაგებული 589 კვ.მ. შენობა-ნაგებობით. საწყისი სარეალიზაციო ფასი 9775 ლარი;
7. წალკის კინოთეატრი - მიწის ფართი 536 კვ.მ. მასზე განლაგებული 492 კვ.მ. შენობა-ნაგებობით. საწყისი სარეალიზაციო ფასი 6 456,9 ლარი;
8. ხარაგაულის კინოთეატრი - მიწის ფართი 689 კვ.მ. მასზე განლაგებული 516 კვ.მ. შენობა-ნაგებობით. საწყისი სარეალიზაციო ფასი 16 207, 9 ლარი;
9. ბოლნისის კინოთეატრი - მიწის ფართი 1600 კვ.მ. მასზე განლაგებული 700 კვ.მ. შენობა-ნაგებობით. საწყისი სარეალიზაციო ფასი 72 309 ლარი;
10. ოზურგეთის კინოთეატრი - მიწის ფართი 2 000 კვ.მ. მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობით. საწყისი სარეალიზაციო ფასი 103 384 ლარი;

11. მარნეულის კინოთეატრი - მიწის ფართი 517 კვ.მ. მასზე განლაგებული 517 კვ.მ. შენობა-ნაგებობით. საწყისი სარეალიზაციო ფასი 17 588 ლარი;

12. სამტრედიის კინოთეატრი - მიწის ფართი 876 კვ.მ. მასზე განლაგებული 783,4 კვ.მ. შენობა-ნაგებობით. საწყისი სარეალიზაციო ფასი 26 538 ლარი.

ჩვენ დავინტერესდით, რამდენად შეესაბამება სიმართლეს გავრცელებული მოსაზრება, რომ ს/ს-ის კუთვნილი უძრავი ქონების, მათ შორის, კინოთეატრების გასხვისება-რეალიზაცია იმ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალი იყო.

ს/ს-ის სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი თავმჯდომარე (2001-2002 წწ.), ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი და წარსულში საქართველოს ეკონომიკის მინისტრი, დავით ონოფრიშვილი, ჩვენთან ინტერვიუში ამბობს, რომ ეს გარდაუვალი იყო:

„რომ არ გაყიდულიყო იმ ქონებიდან, რომელსაც მაშინ ჯერ კიდევ ჰქონდა ფასი, რამდენიმე ხანში აღარაფერი დარჩებოდა, იმიტომ რომ შენობების დიდი ნაწილი ამორტიზებული იყო, თუ ვინმე მათში ფულს არ ჩადებდა, შენობები ნელ-ნელა ჩამოინგრეოდა და გასაყიდიც აღარაფერი იქნებოდა ... ახალ მეპატრონეს კი, აუქციონის პირობების თანახმად, კონკრეტული ვალდებულებები ეკისრებოდა - უნდა მოეწყო კინოდარბაზი და პროფილი შეენარჩუნებინა მინიმუმ 5 წლის მანძილზე, თუმცა უკეთესი იქნებოდა, თუ ამ პუნქტში 5-ის ნაცვლად 10 ან მეტი წელი ჩაიწერებოდა, იმიტომ რომ 5 წლის შემდეგ, როცა ისედაც დაძველებული აპარატურა კიდევ უფრო გამოვიდოდა მწყობრიდან, დიდი იყო რისკი და ალბათობა, რომ მფლობელი კინოს სხვა ბიზნესით ჩაანაცვლებოდა, რაც ხდებოდა კიდევ, რადგან თანამედროვე კინოაპარატურის შეძენას და დამონტაჟებას სერიოზული ინვესტიცია სჭირდება, რისი შესაძლებლობაც ახალ მეპატრონეებს არ ჰქონდათ“ (ი. ონოფრიშვილი, პირადი კომუნიკაცია, 15 დეკემბერი, 2018).

აკაკი ჩარგეიშვილი, რომელიც ს/ს „ქართული ფილმის“ სამეთვალყურეო საბჭოს ონოფრიშვილის შემდეგ, 2002 წლიდან, თავმჯდომარეობდა, ჩვენთან საუბარში ასევე ადასტურებს, რომ საზოგადოების უძრავი ქონების გაყიდვა გარდაუვალი იყო.

„კინოსტუდიაში მისვლისთანავე მიზნად დავისახე ს/ს-ის კუთვნილი ქონების აღრიცხვა, მაგრამ პირველივე დღიდან სრულ განუკითხაობას და ქაოსს წავაწყდი - ქონებას დაუფლებული იყვნენ ცალკეული ადამიანები, იურიდიულად არავისი არაფერი არ იყო, მაგრამ ფაქტობრივად ყველგან ვიღაცის ინტერესი იყო, ყველაფერი იყო ვიღაცის - „ადამ და ევა“ იყო ბაბლუანის, კინოსტუდიის ტერიტორია - ჯაჭვლიანის. კინოთეატრების დირექტორები ფიქრობდნენ, რომ ისინი იყვნენ ქონების მეპატრონეები - კინოთეატრებში მოწყობილი ჰქონდათ სასტუმროები, საროსკიპოები, კლუბები, არ იხდიდნენ არანაირ იჯარას. აი, ამ ტიპის ქაოსი დამხვდა. ამიტომ დავიწყე ე.წ. გასვლითი სხდომები. წავედით სამტრედიაში, გორში, ხაშურში, თელავში ... ყველგან, იმ მიზნით, რომ ენახათ, რომ ამ ქონებას ჰყავს პატრონი. ზოგან კატასტროფული მდგომარეობა დაგვხვდა, ჩამოინგრეული ქერები, ნახევრად დანგრეული შენობები ... როცა რაღაცა თავზე გენგრევა, უნდა გაყიდო. შენ თუ არ შეგიძლია, სხვა მიხედავს, მით უმეტეს, რომ მისი შენახვა დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ჩვენ კი ფული საერთოდ არ გვქონდა“ (ა. ჩარგეიშვილი, პირადი კომუნიკაცია, 15 დეკემბერი, 2018).

თუმცა აქ ჩნდება ერთი კითხვა.

თუკი საზოგადოების ბალანსზე რიცხული ქონების გასხვისება ს/ს „ქართული ფილმის“ არსებობისა და გადარჩენის ერთადერთი გამოსავალი იყო, მაშინ რატომ გადასცემდა ს/ს „ქართული ფილმი“ საზოგადოების ქონებას სხვადასხვა უწყებას უსასყიდლოდ?

მაგალითად, ხელშეკრულებაში, რომელიც 2007 წლის 26 აპრილით თარიღდება, ვკითხულობთ: „დავით ნაცვლიშვილმა, როგორც ს/ს „ქართული ფილმის“ დირექტორმა და ამ საზოგადოების წარმომადგენლობით უფლებამოსილმა პირმა, განაცხადა, რომ სურს საზოგადოების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქალაქ ბორჯომში, დაბა ბაკურიანის საკრებულოში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, უსასყიდლოდ გადასცეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს“ (საარქივო მასალა, საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, მთელი-ისტორია-2020541 96-2-WinDjView, გვ. 44).

საუბარია 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე - ორსართულიან კინოთეატრზე - საერთო ფართობით 393 კვ.მ., რაც განხორციელდა კიდევ.

ასევე 2007 წლის 23 აგვისტოს აქციონერთა საერთო კრებაზე იმსჯელეს საზოგადოების კუთვნილი ქონების, ქუთაისის კინოთეატრ „ქუთაისის“ 1220, 16 კვ.მ. შენობისა და მასზე დამაგრებული 1235 კვ.მ. მიწის ფართის, სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ - ჩუქების ფორმით - გადაცემაზე.

მთავარი კითხვა კი, რომელიც დღემდე პასუხგაუცემელია, ასეთია: 90-იან წლებში რამდენად სწორი იყო გადაწყვეტილება კინოსტუდიის პრივატიზაციის შესახებ და არსებობდა თუ არა სხვა გზა საერთო ეროვნული სიმდიდრის - კინოსტუდია „ქართული ფილმის“ - გადასარჩენად? პრივატიზაციის პერიოდში ან შემდეგ, როცა ნაბიჯ-ნაბიჯ იყიდებოდა ს/ს „ქართული ფილმის“ კუთვნილი ქონება, ფიქრობდა თუ არა ვინმე, რომ ეს დაანგრევდა და დაშლიდა კინოსტუდიას, მთლიანად მოშლიდა ქვეყნის მასშტაბით მოქმედ კინოგაქირავების ქსელს, რომლის აღდგენა დღევანდელი მდგომარეობით ჯერ ისევ სამომავლო პერსპექტივაში რჩება?

Nino Begashvili

Cinematography PhD Candidate the Georgian

Shota Rustaveli State University of Theater and Cinema

The case of Georgian cinema

During the seventy years of soviet government's rule, the "Georgian film" movie studio was dependent on government and created 12-14 full-length films every year. Producing, selling and all kinds of other expenses was covered by the government. The collapse of the Soviet Union and the establishment of private property ruined the smooth-running system that had run for decades. The difficulties that were the effects of transition to new, market economy were not the only one. Meanwhile, the country was in the middle of civil unrest and fighting for its territories. Poverty affected every sphere, including cinema. But in this kind of environment,

cinema was not one of the country's priorities, or at best, it was the last one on the list. Regardless, a solution had to be found and this solution became transforming the "Georgian film" into a company that would have stocks. In 1994, the government made "Georgian film" into "closed" type of company and in exchange to stocks, sold for 3.3 million dollars. On the balance of shareholders, there were now also 95 movie theaters, from which 77 were in the regions and 18 – in Tbilisi. In the following years, this property was gradually sold. Neither were the shareholders able to retain the movie cinemas that were on their balance. Most of them either no longer exist today or have acquired a different function. And the most important questions, that have not been answered so far, are the following: in the 90's, how correct was the decision to privatize the movie studio and was there another way to save the cultural treasure that was the "Georgian film" cinema studio? In the period of privatization, or afterwards, when its property was gradually diminishing, was anybody thinking that this would lead to the collapse of the cinema studio and the system of movie distribution that yet has to be restored? How true is the prevalent view that privatization was the only feasible solution? 300 pages of archives, which cover the timeframe of between the founding of the studio to 2009, inspire a lot of important questions. We will only dwell on a few.

**მანია არჩვაძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი**

სპორტი ქართულ კინოქრონიკაში

სპორტის ასახვა ეკრანზე საქართველოში 1910 წლიდან იწყება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს ქვეყანაში სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობა ოდითგანვე ცხენბურთი იყო, რაშიც დაგვემოწმება (რასაც ადასტურებს) თუნდაც დონ კრისტოფორო დე კასტელის „ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ“, ცხადია, პირველი სპორტული სიუჟეტი დოღს ასახავდა და ის ალექსანდრე დიდმელოვმა გადაიღო. ამჟამად, სამწუხაროდ, ფირი დაკარგულია.

1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი წლისთავის აღსანიშნავად ვაკის სტადიონზე მოწყობილ ზეიმზე, რომელსაც უამრავი მაყურებელი და უცხოელი სტუმარი ესწრებოდა, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ტანმოვარჯიშეთა მასობრივ გამოსვლას, რასაც ადასტურებს იმდროინდელი ქრონიკა. ზეიმი საფეხბურთო მატჩით დამთავრდა. „ზეიმს მოჰყვა ინგლისელებთან ერთად ბურთაობა, რომელმაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა“ - გვამცნობს კინოქრონიკის ტიტრი. ქართველი ფეხბურთელები ბაქოს ნავთობსარეწზე მომუშავე ბრიტანელების გუნდს დაუპირისპირდა. მიგვაჩნია, რომ საფეხბურთო მატჩიც იქნებოდა აღბეჭდილი ფირზე, მაგრამ თამაშის ამსახველი ფირი დღემდე აღმოჩენილი არ არის.

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვისა და რუსეთის მიერ მისი ოკუპაციის შემდეგ, ბოლშევიკები სპორტის ჩვენებას ეკრანზე პროპაგანდისტის იყენებდნენ, ამის დამადასტურებელია იმდროინდელი კინოქრონიკა: „პროლეტარული სპორტული საზოგადოება „დინამო“ (1931 წ.), „საქართველოს „დინამო“ № 2“ (1932 წ.), „წითელარმიელთა ოლიმპიადა“ (1934 წ.).

30-იანი წლებიდან ფირზე ხშირად ასახავდნენ ქართველ მთამსვლელებს, როგორც დაბრკოლების გადალახვის, მიზნის მიღწევის, სიმბოლოს. ალპინისტთა მიერ მწვერვალთა დალაშქვრას, რომელიც საბჭოთა სიმბოლიკის (დროშა) აღმართვით მთავრდებოდა, ასევე პროპაგანდისტული დატვირთვა ჰქონდა. ამ ლაშქრობების ასახვად შეიქმნა ფილმები: „კავკასიონის ქედზე“ (1935 წ.), რეჟისორი ბორის მიტროფანოვი; „ჭიმარაი-ჰოხი“ (1939 წ.), რეჟისორი ვალიშვილი; „თეთნულდი“ (1937 წ.), ავტორ-ოპერატორი ნ. ლისიციანი; „თელავის რაიონული ოლიმპიადა“ (1938 წ.), ავტორ-ოპერატორი ლევან არზუმანოვი, მუსიკალური გაფორმება ალ. შავერზაშვილი (ფირზე ასახულია თუშეთის მწვერვალ „ქამიტოს“ დაპყრობა თელაველი ახალგაზრდების მიერ).

მნიშვნელოვანია ბოლშევიკური აღლუმების და ოლიმპიადების თემა: „ფიზკულტურელთა პარადი“ (1933 წ.); „ახალგაზრდა ფიზკულტურელთა პარადი“ (1938 წ.); „ჩვენი ახალგაზრდობა“ (1938 წ.), რეჟისორი შ. ჩაგუნავა, ოპერატორები: ლევან არზუმანოვი, გიორგი უსეინაშვილი; „ბედნიერთა პარადი“ (1939 წ.); „ძალისა და ახალგაზრდობის პარადი“ (1941 წ.), რეჟისორები: შ. მარტაშვილი, ალ. შატროვი, მუსიკალური გაფორმება ალ. ბუკია; „სიმხნევის პარადი“ (1938 წ.), რეჟისორი გიორგი მიტროფანოვი, ოპერატორები: ლევან არზუმანოვი, ნიკოლოზ ნაგორნი; „ოლიმპიადა“ (1934 წ.), რეჟისორი შ. ხომერიკი; „საქართველოს 1938 წლის ოლიმპიადა“, ავტორ-ოპერატორი გიორგი უსეინაშვილი; „წითელრაზმელთა მე-5 საოლქო ოლიმპიადა“, რეჟისორი დ. მამულაშვილი; „მებრძოლთა ოლიმპიადა თბილისში“, რეჟისორი ა. დანიელიანი, ოპერატორები: ნ. ნაგორნი, ი. რიჟკოვი. აღლუმების და ოლიმპიადების ფირზე ასახვა არა მარტო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი საქართველოსთვის არის დამახასიათებელი, არამედ ყველა ტოტალიტარული რეჟიმის სახელმწიფოსთვის.

1937 წელს ბასკების ტურნე საბჭოთა კავშირში მოიაზრებოდა, როგორც იმპერიალისტური ძალების წინააღმდეგ მებრძოლთა სპორტული ურთიერთობა. ცხადია, ეს აუცილებლად უნდა ენახა „ფართო მასებს“, ამიტომ ფირზე უნდა ასახულიყო და ასეც მოხდა. 1937 წელს გადაიღეს „ბასკები თბილისში“ ერთნაწილიანი შავ-თეთრი ფილმი, რეჟისორი ა. დანიელიანი, ოპერატორები: ნ. ნაგორნი, ბ. სიმონოვი, ბ. კრეპსი. ფილმის ავტორებმა მაღალი პროფესიული ოსტატობის წყალობით, დოკუმენტურ ფილმში მხატვრული კინოს ელემენტების გამოყენებით შთამბეჭდავი ნამუშევარი შექმნეს. მიგვაჩნია, რომ „ბასკები თბილისში“ ქართული სპორტული კინოს დასაწყისად უნდა ჩაითვალოს.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, როდესაც ვერმახტის ჯარები კავკასიონს მიუახლოვდა (1941-1942 წწ.), ბუნებრივია, საქართველოში სპორტული თემატიკის ასახვა ფირზე აღარ ხდებოდა. 1944 წელს, როდესაც ომის ბედი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო, ქართველი კინემატოგრაფისტები ქართველ ფეხბურთელებთან ერთად ქალაქ თეირანში ჩაფრინდნენ, რათა ფირზე აღებეჭდათ ქართველი და ირანელი ფეხბურთელების დაპირისპირება. რეჟისორმა შ. ხომერიკმა გადაიღო ერთნაწილიანი, შავ-თეთრი ფილმი „მატჩი თეირანში“, რომელშიც ასახულია ქართველ ფეხბურთელთა ბრწყინვალე გამარჯვება. 1946 წელს საფეხბურთო მატჩი ჩატარდა ქ. ბუქარესტში, რომელიც ასევე ქართველი

ფეხბურთელების გამარჯვებით დასრულდა. ამ მოვლენაზე შეიქმნა ორნაწილიანი, შავ-თეთრი ფილმი „თბილისის „დინამო“ რუმინეთში“.

ომის დამთავრების შემდეგ სპორტული თემატიკა ისევ იმკვიდრებს ადგილს ეკრანზე და მრავალფეროვანი ხდება: „მოტოგადარბენა ამიერკავკასიაში“ (1945 წ.); „ბაკურიანის თოვლიან ფერდობებზე“ (1946 წ.); „უშბა“ (1946 წ.), რეჟისორი ვალიშვილი; „სპორტის ნაციონალური სახეები“ (1948 წ.); „ლელო“ (1948 წ.), რეჟისორი შ. ხომერიკი; „საცხენოსნო შეჯიბრი“ (1950 წ.), რეჟისორი შ. ხომერიკი; „საქართველოს სპორტსმენები“ (1953 წ.), რეჟისორი შ. მანაგაძე; „პამირის მთებში“, ავტორები: დეკანოიძე, ბ. კრეპსი; „ტიან-შანის მთებში“ (1959 წ.), ავტორი ბ. კრეპსი.

1958 წელს შეიქმნა საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია, რომელიც ყოველ თვე აწარმოებდა კინოჟურნალს „საბჭოთა საქართველო“. კინოჟურნალი რესპუბლიკაში მიმდინარე უმთავრეს მოვლენებსა და მიღწევებს ასახავდა. კინოპერიოდიკის თითქმის ყველა გამოშვება სპორტული სიუჟეტით მთავრდებოდა: „ჩვენი ნონა“ (1962 წ.) (მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილის შესახებ), „ფეხბურთის ოლიმპიზე“ (1964 წ.) (თბილისის „დინამოს“ მიერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში გამარჯვების შესახებ), „გაიცანი ცხენბურთი“ (1966 წ.) (ქართული ხალხური თამაშის შესახებ).

ქართული სპორტული კინოჟრონიკა ასახავს მრავალ სპორტულ მოვლენას, საფეხბურთო და საკალათბურთო მატჩებს, ჭიდაობის ტურნირებს, საჭადრაკო შეჯიბრებებს, შეხვედრებს სხვადასხვა სპორტსმენთან, საქართველოს საფეხბურთო ეროვნული ჩემპიონატის გახსნის ცერემონიას.

ერთი და იმავე ფაქტის ქრონიკალური ასახვა სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვაგვარია (გადაღების ადგილი, რაკურსი, ხედი, შემდგომი დამუშავება, მონტაჟი, ხმოვანი რიგი). კინოჟრონიკა მნიშვნელოვანია, როგორც ფაქტის ამსახველი დოკუმენტი, მაგრამ ის შეიძლება იქცეს ხელოვნებად რეჟისორის ხელში.

როგორ ხდება კინოჟრონიკის გამოყენება სპორტულ დოკუმენტურ კინოში, როგორ ხდება კინოჟრონიკის მხატვრული რეფლექსია რეჟისორის მიერ განვიხილოთ ალექსანდრე ჟღენტის ფილმი „სტადიონის“ მაგალითზე.

ალექსანდრე ჟღენტის პენტალოგიის „ქართული ფეხბურთი 110 წლისა“ პირველი ფილმია „სტადიონი“ (1980 წ.)

ერთ-ერთი გამოსვლისას საბჭოთა კინოს ცნობილმა რეჟისორმა მიხეილ რომმა თქვა: „მიკროსკოპი და ტელესკოპი, ფაქტიურად, ერთი და იგივე ხელსაწყოა - გამადიდებელი მინების სისტემაა. მაგრამ არის არსებითი სხვაობა წყლის წვეთში მიმდინარე ცხოვრებაზე დაკვირვებასა და დედამიწის ხელოვნური თანამგზავრისათვის თვალისდევნებას შორის. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, მაგრამ ჩვენი ხელოვნება შემოქმედისაგან მოითხოვს ამ ორი ხელსაწყოს ერთდროულ ფლობას: ცხოვრების უწვრილმანეს გამოვლინებებზე დაკვირვებისას, მას უნდა შესწევდეს უნარი მოიცვას უზარმაზარი დროითი და სივრცითი კატეგორიები, უნდა ხედავდეს ეპოქას, ქვეყანას, ხალხს“. „ორივე ხელსაწყოს ერთდროული ფლობის“ საინტერესო მაგალითია დოკუმენტური ფილმი „სტადიონი“ (კერესელიძე (1984). „უბურთო ფეხბურთიდან“ - „სტადიონამდე“. „საბჭოთა ხელოვნება“, 1, გვ. 37)

სტადიონი ყველაზე დემოკრატიული ნაგებობაა მსოფლიოში, თანამოაზრეთა შეკრების ადგილი. ბევრი რამის თქმა შეიძლება ერზე, როცა სტადიონზე შეკრებილ გულშემატკვირების:

„ფანების“, „ტიფოზების“, „ტორსედორების“, „ინჩასების“ ემოციების გამოვლენას ვაკვირდებით. კინემატოგრაფიულად სტადიონი საინტერესოა არა მარტო ვიზუალურად, არამედ ხმოვანებითაც, ამის გათვალისწინებით თუ ვიმსჯელებთ, ცხადია, ფილმის ავტორს ეს სპორტული ნაგებობა შემთხვევით არ აურჩევია ფილმის „გმირად“. სტადიონი ერის სავიზიტო ბარათია.

„ალექსანდრე ჟღენტის ფილმი „სტადიონი“, თბილისის სტადიონის ისტორია, ეს არის თბილისის ისტორია 30-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე. ყველაფერი რაც კი მნიშვნელოვანი ხდება ქალაქში, სტადიონის პრიზმაში გაივლის, სტადიონი, ხომ ემოციათა ეპიცენტრია... რეჟისორს ვერც ფერთა სიღარიბეს უსაყვედურებ და ვერც გახმოვანების სიმდიდრეს, თუმცა ერთიცა და მეორეც ფონის შესაქმნელად სჭირდება მხოლოდ, დანარჩენს კი უშუალოდ სტადიონზე და სტადიონის გარეთ მომხდარი ამბები და შექმნილი სიტუაციები ამბობენ“ (ბერიშვილი (1980), ემოციათა ეპიცენტრი - სტადიონი, „ლელო“, 162, გვ 2)

ფილმი იწყება კინოქრონიკის კადრებით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მთავარი სტადიონების კალეიდოსკოპი: „უემბლი“, „ბერლინის ოლიმპიური სტადიონი“, „მარაკანა“, „აცტეკა“, „ლუჟნიკი“, „ესტადიო ნაციონალი“ და საქართველოს მთავარი სპორტული არენა, თბილისის „დინამოს“ სტადიონი. ფილმის ექსპოზიციაში სპორტული ქრონიკის ამსახველი კადრების საშუალებით რეჟისორი გვიჩვენებს სხვადასხვა ერის ემოციების გამოვლენას. პელეს გაცილება „მარაკანას“ სტადიონზე, ბრაზილიელთა ხასიათის მკაფიო გამოვლინებაა, რაც ანტიკური წარმოდგენის ტოლფასია. „უენბლის“ სტადიონზე მსოფლიო ნაკრებისა და ინგლისის საფეხბურთო ეროვნული ნაკრები გუნდების შეხვედრა, ინგლისისთვის, როგორც ფეხბურთის სამშობლოსთვის, განსაკუთრებით საამაყო მოვლენა. 1936 წლის „ბერლინის ოლიმპიური სტადიონი“ - ნაცისტური პროპაგანდის აპოგეა. ჩილეს „ესტადიო ნაციონალი“ - საერთო ხედზე ტყვეები ტრიბუნაზე, ჯარისკაცები, ისმის ავტომატის ჯერის ხმა. საერთო ხედს ენაცვლება ახლო ხედი - დისკობოლის დამსხვრეული ფიგურა. ამ ორი კადრის დაპირისპირებით რეჟისორი თავის დამოკიდებულებას გამოხატავს. „სტადიონს ავტომატის ჯერი გადაუვლის, ეკრანს კი ავსებს დისკობოლის თავწაცლილი და ხელებწართმეული ფიგურა, როგორც ერთგვარი მეტაფორა, რომელიც სულ სხვა კუთხით დაგვანახებს მსოფლიოს სტადიონებზე მიმდინარე მოვლენებს“ (კერესელიძე (1984), „უბურთო ფეხბურთიდან - სტადიონამდე“, „საბჭოთა ხელოვნება“, # 1, გვ. 38).

სტადიონების კალეიდოსკოპს ასრულებს თბილისის „დინამოს“ სტადიონი. თბილისის „დინამოს“ სტადიონის ისტორიას რეჟისორი გვიჩვენებს როგორც საარქივო, ასევე საგანგებოდ გადაღებული ეპიზოდების, ფოტოების, სხვადასხვა ფილმის ფრაგმენტების საშუალებით. „საარქივო კინოდოკუმენტებიდან შერჩეული ეპიზოდების (სტადიონის მშენებლობა, მატჩი ბასკებთან, სტადიონი ომის წლებში, თბილისის 1500 წლისთავის ზეიმი, ჭადრაკი, მატჩი ამერიკელ კალათბურთელებთან, ახალი სტადიონის გახსნა) ერთობლიობაში ყალიბდება სახე სტადიონისა, როგორც ცხოვრების ასპარეზისა, რომლის ტრიბუნებსაც ჩვენ თვალწინ თაობები ჩაუვლიან... ფილმის ემოციური წყობა ეროვნულ საწყის ემყარება“ (კერესელიძე (1984), „უბურთო ფეხბურთიდან - „სტადიონამდე“, „საბჭოთა ხელოვნება“, # 1, გვ. 38).

ფილმი „სტადიონი“ პირველი კადრებიდან თბილისის „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქციის ეპიზოდის დამთავრებამდე შავ-თეთრია, მომდევნო ეპიზოდები ფილმის დასრულებამდე - ფერადი. ფილმში ფერის შემოტანა რეჟისორის მიერ არ არის შემთხვევითი. ფერს ალ. ჟღენტი იყენებს, როგორც მხატვრული ჩანაფიქრის განხორციელების საშუალებას. ეპიზოდი სტადიონის საღაროებთან - გულშემატკივართა ნაირფერი პერანგები, მეეზოვე ქალები, ინგლისელი ფანი წითელი შარფით ხაზს უსვამს სტადიონთან შექმნილ ატმოსფეროს.

ეს ერთგვარი მზადებაა გამარჯვებისთვის, ზეიმისთვის. როგორც დრამატურგი ლევან ჭელიძე ამ ფილმისთვის მიძღვნილ რეცენზიაში წერს: „სტადიონი არის ზეიმი“ (ჭელიძე (1981), *Стадион и все вокруг, „Вечерний Тбилиси“*, 258, გვ.2), ზეიმი კი ფერთა პალიტრის გარეშე წარმოუდგენელია. ფილმში სტადიონს რეჟისორი აჩვენებს წელიწადის სხვადასხვა დროს, ვფიქრობთ, ეს სტადიონის მარადიულობის ერთგვარი მეტაფორაა. „მაყურებელთა თვალწინ გაიღვებ სტადიონი წელიწადის სხვადასხვა დროს, დარსა თუ ავდარში. თავისებური პოეზია აქვს გაჭედული ტრიბუნებიდან თოვლის ფიფქებივით მოფარფატე ბილეთებსა თუ სტადიონის თავზე დაკიდებულ მთვარეს, დათოვლილ ტრიბუნებსაც აქვს თავისი სილამაზე“ (კერესელიძე (1984), „უბურთო ფეხბურთიდან“ - „სტადიონამდე“, *„საბჭოთა ხელოვნება“*, # 1, გვ. 38-39).

ფილმში სტადიონი დანახულია ფეხბურთელების, არქიტექტორის, მწვრთნელის, ტელეკომენტატორის, ბალახის მკრეჭავის, ექიმის, მაისურების მრეცხავის, გულშემატკივრის თვალთ. დასამახსოვრებელია მათი ფრაზები „ვინც სტადიონზე არ დადის, კარგი კაცი არ უნდა იყოს“, „სარეცხი მანქანით რატომ არ რეცხავთ? - ცუდათ მაქვს დაცდილი“, „ბალახს ვკრეჭ - ცუდ მინდორზე კარგი თამაში არ შეიძლება“, მაგრამ არსად არ საუბრობს ტრიბუნაზე მსხდომი მაყურებელი. ფილმში გაჟღერებული შთამბეჭდავი დიალოგები უტყუარი დასტურია იმისა, რომ ფილმის ავტორს არ გაუჭირდებოდა მაყურებლის საინტერესოდ ალაპარაკება, მაგრამ რეჟისორი უარს ამბობს ამ ხერხზე, ის არ ირჩევს მაყურებელთაგან არც ერთ სახეს, არ გამოჰყავს წინა პლანზე. „რეჟისორმა განგებ აარიდა თავი კონკრეტული მაყურებლის წინა პლანზე წამოწევას და ამით გაუსვა ხაზი, რომ ფილმში თითოეული გულშემატკივარი თავისებური გმირია, გმირი, რომელიც არ შორდება ავანსცენას და უშუალოდ ტრიბუნიდან ამბობს სათქმელს“ (ბერიშვილი (1980), ემოციათა ეპიცენტრი - სტადიონი, *„ლელო“*, # 162, გვ. 2)

გარდა მონტაჟური პარალელებისა, ვიზუალურ რიგში, როგორცაა „ესტადიონაციონალის“ სტადიონზე - ტყვეები ტრიბუნაზე, ჯარისკაცები და შემდეგ დისკობოლის დამსხვრეული ფიგურა, მაისურების მრეცხავის ფრაზით - „ცუდათ მაქვს დაცდილი“ და კადრი - დავით ყიფიანის მძიმე ტრავმა (ქრონიკა). ასევე საგულისხმოა მონტაჟური პარალელები ხმოვან რიგში: სტადიონის არქიტექტორ ა. ქურდიანის ეპიზოდს, რომელშიც ის საუბრისას აღნიშნავს, რომ მისთვის ძველი სტადიონის დანგრევა ისეთივე მტკივნეულია, როგორც შვილის დაკარგვა მოსდევს ეპიზოდი ფილმიდან „გიორგი სააკაძე“ - პაატა სააკაძე მღერის „ლალე, ლალე... ჩემო ლამაზო სამშობლო...“, ეს მელოდია ერთგვარი ლაიტმოტივია ფილმისა „სტადიონი“ და ფინალურ სიმღერაში „ლელო, ლელო საქართველო“ გადადის. „ლელო, ლელო, სა-ქარ-თვე-ლო“ - გუგუნებენ თითქოს სიმღერას აყოლილი ტრიბუნები (აღსანიშნავია, რომ საგანგებოდ ფილმისთვის პოეტ მ. ფოცხიშვილისა და კომპოზიტორ რ. კაჟილოტის მიერ დაწერილი სიმღერის ეს სტრიქონები სულ მალე დამკვიდრდა საქართველოს სტადიონებზე და ქართველ გულშემატკივართა ეროვნულ შეძახილად იქცა. ეს ფაქტი კი ნებისმიერ საფესტივალო პრიზზე მაღალი ჯილდოა ფილმის ავტორებისთვის)“ (კერესელიძე (1984), „უბურთო ფეხბურთიდან“ - „სტადიონამდე“, *„საბჭოთა ხელოვნება“*, # 1, გვ. 39).

განსაკუთრებით შთამბეჭდავია ფილმის კულმინაცია, რომელიც ფინალს ემთხვევა. თბილისელთა ისტორიული გამარჯვების დროს საფეხბურთო კლუბ „ლივერპულთან“, რომელიც მოედანზე შეჭრილმა ოპერატორმა გ. ჩირაძემ ცენტრიდან გადაიღო, მკაფიოდ ჩანს აჟიოტაჟი ტრიბუნებსა და უშუალოდ მოედანზე. გამოსახულება ალისფერი ხდება (გაჩირადნებული ტრიბუნების გამო), ალისფერი კი ფერთა სიმბოლიკაში ბრძოლაში გამარჯვების სიმბოლოა. „ფილმის ავტორთა ოსტატობის წყალობით „სტადიონის“ ფინალური კადრები აღიქმება არა, როგორც „ლივერპულთან“ მოპოვებული კონკრეტული გამარჯვება,

არამედ, როგორც გამარჯვება საერთოდ. კონკრეტულის სწორედ ამ ფართო განზოგადებამ არ დააკარგვინა ფილმს (პირიქით-შემატა კიდევ) ემოციური ზემოქმედების ძალა“ (კერესელიძე (1984), „უბურთო ფეხბურთიდან“ - „სტადიონამდე“, „საბჭოთა ხელოვნება“, #1, გვ. 40).

ფილმის ფინალში რეჟისორი ახლო ხედით აჩვენებს გაჩირადნებული ტრიბუნების ფონზე სიხარულისგან თვალეზგაბრწყინებულ ხანდაზმულ მამაკაცს ზეადმართული ხელებით და შემდეგ ეს კადრი ხდება ე.წ. სტოპ-კადრი. ფილმი მთავრდება „სტოპ-კადრით“, რომლიდანაც ჩანს საყოველთაო აღფრთოვანება. ხანდაზმული მამაკაცი არის გამარჯვებული ქართველი გულშემატკივრის სახე. რეჟისორი „სტოპ-კადრით“ გამარჯვებას მარადიულს ხდის. „ალბათ ღირდა საპატიო ასაკამდე მიღწევა, თუნდაც ამ სიხარულის განსაცდელად, ვინაიდან, ფილმის ავტორთა აზრით, სტადიონი დღესასწაულია მათთვის, ვისაც სიცოცხლე უყვარს“ (ჭელიძე (1981), Стадион и все вокруг, „Вечерний Тбилиси“, #258, გვ. 2).

„სტადიონი“ თავისი დრამატურგიითა და დოკუმენტური მასალის ორგანიზების ხერხებით უფრო ახლოს დგას მხატვრული კინოს სტრუქტურასთან. ფილმის პოეტიკას კოლაჟური ესთეტიკა უდევს საფუძვლად. თავისი ჩანაფიქრის ხორცშესახმელად რეჟისორი მიმართავს ნაირგვაროვან ფაქტურებს - ფოტოს, კინოქრონიკას, ტელეგადაცემისა თუ მხატვრული ფილმის ფრაგმენტებს, ორგანულად ათავსებს მათ უშუალოდ ფილმზე მუშაობისას გადაღებული მასალის მხატვრულ ქსოვილში, მოულოდნელი კუთხით დაგვანახებს სხვა დოკუმენტური ფილმებიდან კარგად ნაცნობ კადრებსა თუ ეპიზოდებს, მონტაჟური დაპირისპირებებით სრულიად ახალ აზრს სძენს მათ“ (კერესელიძე (1984), „უბურთო ფეხბურთიდან“ - „სტადიონამდე“, „საბჭოთა ხელოვნება“, #1, გვ. 37).

რეჟისორმა ფილმში ფეხბურთი მხატვრულად გაიაზრა და კინემატოგრაფიული ენის საშუალებით მოიტანა მაყურებელთან. მაყურებელთან, რომელმაც მხოლოდ ფეხბურთი არ ნახა ამ ფილმით. „ის რასაც ჩვენი ფეხბურთელები ზოგჯერ მთელი 90 წუთის მანძილზე ვერ ახერხებენ, ა. ჟღენტმა 40 წუთში შეძლო. ბევრი ღრმა, აზროვანი „კომბინაცია“ გვიჩვენა და ლამაზი „გოლებიც“ გაიტანა“ (ბერიშვილი (1980), ემოციათა ეპიცენტრი - სტადიონი, „ლელო“, #162, გვ. 2).

როგორ გაიტანა რეჟისორმა „კინემატოგრაფიული გოლი“, თუ ასე შეიძლება ითქვას, ვუპასუხებდით - სწორედ სპორტისა და კინოს მეშვეობით აღაფრთოვანა მაყურებელი და ეს ტერმინიც ამიტომ გამოვიყენეთ. სწორედ ეს არის ძირითადი ასპექტი, რომელსაც შესანიშნავად ხსნის ფილმის ქვემოთ წარმოდგენილი სამონტაჟო რიგი:

მექსიკის სტადიონი - მაყურებლის ხელის მოძრაობის კადრს მოსდევს სპრინტერები გარბენის დროს. ლუჟნიკები - ვერტმფრენით მიაქვთ რაკეტა, რომელიც ძალიან გვაგონებს ბომბს. ბერლინის სტადიონი 1936 წელს - სვასტიკა (ფილმიდან „ოლიმპია“), შტანდარტი, ბომბდამშენის ხმა. ოლიმპიური დროშა მონტაჟდება საბრძოლო შტანდარტთან (ფილმიდან „ოლიმპია“). კასტელის ნახატები იტალიური მადრიგალის თანხლებით. არქიტექტორი ა. ქურდიანი და სტადიონის მშენებლობის კადრები (ქრონიკა - სტადიონის გახსნა, ბასკების ჩამოსვლა, ახლო ხედზე ქალი ლოყაზე ხელს იდებს და ცარიელი სტადიონი, ლევიტანის ხმა). სტადიონზე ფილმის „გიორგი სააკაძე“ გადაღების კადრები: ა. დიდმელოვი, მ. ჭიაურელი, გრიმიორი, მხატვრები (ქრონიკა) და ფარზე წარწერა (ფილმიდან „გიორგი სააკაძე“), სტადიონზე წვიმს, ძრავის ხმა, გამარჯვების ბათქი. ომის დამთავრება და ზეიმი თბილისში (ქრონიკა) სტადიონი - ამერიკელი კალათბურთელები (სტადიონმა ცხოვრება დაიწყო). თბილისის ხედი, თბილისობა, შოუ სტადიონზე (ქრონიკა). საფეხბურთო მატჩი - თბილისის „დინამო“ - ლენინგრადის „ზენიტი“, მაყურებელი (ეპოქის ხასიათი) (ქრონიკა). არქიტექტორი

ა. ქურდიანი - სტადიონის რეკონსტრუქცია (ქრონიკა). სტადიონის თალი (ა. კოტორაშვილის ფოტო) ხმა - „ლალე, ლალე...“ (სიმღერა ფილმიდან „გიორგი სააკაძე“) სტადიონი ზედა ხედით, ვერტმფრენის ხმა. რუსი ჯარისკაცების მარში (რომელიც ნაცისტურ მარშს გვაგონებს 1936 წლის ბერლინის სტადიონიდან). საბჭოთა საქართველოს დროშა, ანსამბლი „მზიური“ (სიმღერა), ფეხბურთელები. დაღუპული ფეხბურთელების ფოტოები. მეტრონომის ხმა და ქალი ლოყაზე ხელით (ფილმიდან „ბასკები თბილისში“) ცარიელი სტადიონი, ბალახის მკრეჭავი (ახლო ხედით), მოედნის დახაზვა, ბალახის ტკეპნა ხის ჩაქურით, მოედნის საფარის გასწორება (დეტალები). ქუჩა სტადიონთან - ფერადმაისურიანი ბიჭები, მეეზოვეები, ინგლისელი ფანი, გულშემატკივარი მამაკაცი, ტელერეჟისორი. სტადიონის შევსება მაყურებლით - სხვადასხვა რაკურსით გადაღებული მაყურებელი. ხმა - ლირიკული იტალიური სიმღერა, რომელსაც ფეხბურთთან არაფერი აქვს საერთო. ჩამქრალი პროექტორების ფონზე მთვარე. რუსი სამხედროები, როგორც საბჭოთა ეპოქის სიმბოლო. კომენტატორი კ. მახარაძე (მზადება მატჩის წასაყვანად), მაყურებლის სიჭრელე, რომელიც ამდაფრებს მოლოდინს. მაყურებელი, გოლი, კ. მახარაძე. მაყურებელი, კ. მახარაძე (უკვე მსახიობის ამპლუაში), ხმა - ოვაცია, რომ ვერ გაიგებ სპექტაკლის მაყურებლიდან მოდის თუ სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრიდან (სპორტი და ხელოვნება ერთ პლანში), გაჩირადნებული სტადიონი, თბილისის პანორამა, სტადიონი ზამთარში, თითქოს შემფასებელი ყველაფრისა, საფეხბურთო კარი თოვლში (შთამბეჭდავი გრაფიკა - კარის ხაზები იმეორებს ტრიბუნის სკამების ხაზებს), ცარიელი ტრიბუნები.

ხმა - „ლელო, ლელო, საქართველო“ (სიმღერა), აეროპორტში გამარჯვებული ფეხბურთელების დახვედრა. მრეცხავი ქალი, დ. ყიფიანის ტრავმა, შეწუხებული მაყურებელი. ფეხბურთის გერმანელი მწვრთნელი, საფეხბურთო მატჩის ფრაგმენტი, იტალიელი კორესპონდენტი, სტადიონის კარნიზზე დაკიდებული მაყურებელი, ექიმი, დ. ყიფიანის ფრაზა - „ვთამაშობთ, თუ ამ ომს თამაში ჰქვია“. დ. ყიფიანის დედის ფრაზა - „რომ არ ყოფილიყო დათო ფეხბურთელი რა...“ დ. ყიფიანი ტრიბუნაზე მაყურებლის ამპლუაში. ბალახის მკრეჭავის ფრაზა - „ხალხი სტადიონზე გასართობად დადის“ დ. ყიფიანის ფრაზა - „სტადიონი ჩემთვის ყველაფერია“, ხანდაზმული მამაკაცი ზეადმართული ხელებით გაჩირადნებული ტრიბუნების ფონზე.

სამონტაჟო რიგის ილუსტრაციით, ვფიქრობთ, უფრო ნათელი ხდება, თანდათან როგორ იზადება ფილმი, როგორ ხდება ქრონიკის, სხვადასხვა ფილმის ფრაგმენტების, გადაღებული კადრების, ფოტოების, საფეხბურთო მატჩების საშუალებით, მონტაჟური დაპირისპირებით, ვიზუალურ და ხმოვან რიგში ზუსტად მოძებნილი ლაკონიური ფრაზებით, ხმოვანი რიგის დრამატურგიით, ხმაურით, მუსიკალური ასოციაციებით ფილმის მხატვრული ქსოვილის შექმნა. როგორ ხდება სპორტული თემის გააზრება რეჟისორის მიერ. როგორ შეიძლება 42 წუთში მაყურებელს შენი ქალაქის ისტორიის 50-წლიანი მონაკვეთი აჩვენო ისე, რომ ეკრანზე მხოლოდ სპორტს და მის გარშემო განვითარებულ მოვლენებს ხედავდეს.

ფილმმა „სტადიონი“ 2003 წელს, გადაღებიდან 23 წლის შემდეგ, მილანის 21-ე სპორტული ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალზე მიიღო პრიზი „ებერჰარდი“ ყველა ნომინაციაში საუკეთესო ფილმისთვის. „სტადიონი“ ემოციათა ეპიცენტრია ასეთია ავტორის დევიზი. ეს ფილმი წარმოგვიდგენს ქართველების ეროვნულ სტადიონს, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ სპორტული არენის ისტორია, ეს ფილმი გადაღებულია 1980 წელს, როცა საქართველო ჯერ კიდევ სსრკ-ის შემადგენლობაში იყო“ (Stadium, 2003, 84).

„პროფესორი იან ფლეიშერი (სცენარისტი) თვლის, რომ მხატვრული კინოსთვის სცენარის დასაწერად არ არსებობს კანონები, წესები, მამ რა ითქმის დოკუმენტურის შესახებ? აქ მით უმეტეს არ არსებობს არანაირი წესი და საერთოდ არავინ იცის, რა არის სცენარი, ის

თოვლის კაცივითაა, ყველა მასზე ლაპარაკობს, მაგრამ არავის უნახავს ის და მიუხედავად ამისა, ჩვენ ფილმებს ვიწყებთ რაღაც ნაწერიდან“ (ფრანკი, 2004, <https://old.kinoart.ru/archive/2004/03/n3-article20>)

რა „ნაწერიდან“ იწყება რეჟისორ ალ. ჟღენტის ფილმი? რა არის ის უხილავი, რასაც ეყრდნობა რეჟისორი და ასე ოსტატურად გვიყვება ამბავს? ფილმის ხანგრძლივობა 42 წუთია, 10 წუთს კინოქრონიკის კადრები შეადგენს. მიგვაჩნია, რომ სწორედ კინოქრონიკა გახდა ფილმის საფუძველი. რეჟისორმა კინოქრონიკისა და გადაღებული ეპიზოდების შესანიშნავი მონტაჟით შექმნა ფილმი, რომელიც ქართული სპორტული კინოს კლასიკად იქცა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბერიშვილი, ე. (1980) ლელო. თბილისი. სამშობლო.
- ბერტიერი, კ. აზირაგი, უ. (1988) Filmario dello Sport. Palermo. Rassegna di Palermo
- ბერტიერი, კ. აზირაგი, უ. (1989) Filmario dello Sport. Palermo. Rassegna di Palermo
- ბერტიერი, კ. აზირაგი, უ. (1990) Filmario dello Sport. Palermo. Rassegna di Palermo
- ბერტიერი, კ. აზირაგი, უ. (1991) Filmario dello Sport. Palermo. Rassegna di Palermo
- კერესელიძე, მ. (1984) საბჭოთა ხელოვნება. თბილისი. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.
- კერესელიძე, მ. (2011) ქართული კინო 1996-2011. თბილისი.
- ჟვანია, გ. (1990) ქართული დოკუმენტური კინო 1910-1970. თბილისი. ხელოვნება.
- ფრანკი, გ. (2004) Искусство Кино. <https://old.kinoart.ru/archive/2004/03/n3-article20>
- ჭელიძე, ლ. (1981) Вечерний Тбилиси. თბილისი. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.
- 21-ე მილანის სპორტული ფილმების საეთაშორისო კინოფესტივალის კატალოგი. (2003) მილანი. Tipolitografia Ctespi – Corbetta.
- Bertieri, C. Casiraghi, U. (1988) Filmario dello Sport. Palermo. Rassegna di Palermo
- Bertieri, C. Casiraghi, U. (1989) Filmario dello Sport. Palermo. Rassegna di Palermo
- Bertieri, C. Casiraghi, U. (1990) Filmario dello Sport. Palermo. Rassegna di Palermo
- Bertieri, C. Casiraghi, U. (1991) Filmario dello Sport. Palermo. Rassegna di Palermo
- ბერიშვილი, ე. (1980) ლელო თბილისი სამშობლო
- ბერტიერი, კ. აზირაგი, უ. (1988) Filmario dello Sport. Palermo. Rassegna di Palermo
- ბერტიერი, კ. აზირაგი, უ. (1989) Filmario dello Sport. Palermo. Rassegna di Palermo
- ბერტიერი, კ. აზირაგი, უ. (1990) Filmario dello Sport. Palermo. Rassegna di Palermo
- ბერტიერი, კ. აზირაგი, უ. (1991) Filmario dello Sport. Palermo. Rassegna di Palermo
- ბერიშვილი, ე. (1980) ლელო თბილისი სამშობლო
- ბერიშვილი, ე. (1981) ლელო თბილისი სამშობლო
- ბერიშვილი, ე. (1981) Вечерний Тбилиси. თბილისი. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.
- ბერიშვილი, ე. (2011) ქართული კინო 1996-2011. თბილისი.
- ბერიშვილი, ე. (2004) Искусство Кино. <https://old.kinoart.ru/archive/2004/03/n3-article20>
- ბერიშვილი, ე. (1984) საქართველოს ხელოვნება. თბილისი. ხელოვნება.
- ბერიშვილი, ე. (1981) Вечерний Тбилиси. თბილისი. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.
- ბერიშვილი, ე. (2011) ქართული კინო 1996-2011. თბილისი.
- ბერიშვილი, ე. (1990) ქართული დოკუმენტური კინო 1910-1970. თბილისი. ხელოვნება.
- ბერიშვილი, ე. (2004) Искусство Кино. <https://old.kinoart.ru/archive/2004/03/n3-article20>
- ბერიშვილი, ე. (1981) Вечерний Тбилиси. თბილისი. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.
- ბერიშვილი, ე. (2003) 21-ე მილანის სპორტული ფილმების საეთაშორისო კინოფესტივალის კატალოგი. მილანი. Tipolitografia Ctespi – Corbetta.
- ბერიშვილი, ე. (1988) Filmario dello Sport. Palermo. Rassegna di Palermo
- ბერიშვილი, ე. (1989) Filmario dello Sport. Palermo. Rassegna di Palermo
- ბერიშვილი, ე. (1990) Filmario dello Sport. Palermo. Rassegna di Palermo
- ბერიშვილი, ე. (1991) Filmario dello Sport. Palermo. Rassegna di Palermo
- ბერიშვილი, ე. (1980) ლელო თბილისი სამშობლო
- ბერიშვილი, ე. (1981) Вечерний Тбилиси. თბილისი. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.
- ბერიშვილი, ე. (2011) ქართული კინო 1996-2011. თბილისი.
- ბერიშვილი, ე. (1990) ქართული დოკუმენტური კინო 1910-1970. თბილისი. ხელოვნება.
- ბერიშვილი, ე. (2004) Искусство Кино. <https://old.kinoart.ru/archive/2004/03/n3-article20>
- ბერიშვილი, ე. (1984) საქართველოს ხელოვნება. თბილისი. ხელოვნება.
- ბერიშვილი, ე. (1981) Вечерний Тбилиси. თბილისი. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.
- ბერიშვილი, ე. (2003) 21-ე მილანის სპორტული ფილმების საეთაშორისო კინოფესტივალის კატალოგი. მილანი. Tipolitografia Ctespi – Corbetta.

**Maia Archvadze,
Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University Sports in Georgian
newsreels**

Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University

In Georgia, from 1910 to the cinemas began to show sporting events. in 1919 they celebrated the anniversary of the declaration of independence of Georgia. Festive events took place at the stadium, where present Georgians and foreign guests. The ceremonial event was opened by representatives of the gymnastic society “Shevardeni”, these frames have been preserved in the newsreels. After the occupation of Georgia by Soviet Russia, the Soviet government used sports for propaganda purposes. Beginning in the 1930s, many documentaries were filmed about Soviet, Georgian athletes. During the Second World War, not so much filming sports events. After the end of the war, sports stories became relevant again. 1958 opened a studio of educational, scientific and documentary film in Georgia. This studio released a newsreel at the end of each month. In each of these newsreels, a sports story was necessarily present.

Based on archival materials, the author makes an analysis of sports stories in newsreels.

მაია კიკნაძე,

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი

**40-იანი წლების ქართული საბჭოთა თეატრის მუშაობის პერსპექტივები
ცენტრალური კომიტეტის დებულების კონტექსტში**

საბჭოთა პერიოდის არსებობის სხვადასხვა ეტაპზე, კომუნისტური პარტია და მისი ხელმძღვანელობა, თავის იდეოლოგიაში მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა ხელოვანთა მუშაკების საქმიანობას და მათ შემოქმედებას სოციალისტური მშენებლობის განვითარებაში წარმატებით იყენებდა.

მე-20 საუკუნის 40-იანი წლების საბჭოთა კავშირში, იდეოლოგიურ სფეროში გაძლიერდა კონტროლის მექანიზმები. შემოღებულ იქნა გარკვეული ღონისძიებები. ერთ მონოლითურ ძალად შეკრული კომუნისტური პარტია, განსაკუთრებულ სიმკაცრეს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში იჩენდა. სახელოვნებო წრეებისთვის გარკვეულ შეზღუდვებს აწესებდა და ამ „წესებს“ დოკუმენტის სახით გადმოსცემდა. 1946 წელს, თითქმის ერთი თვის მანძილზე საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა,

სახელოვნებო წრეებისთვის 3 დოკუმენტი გამოაქვეყნა: 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილება ჟურნალების „ზვეზდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ, 4 სექტემბრის დადგენილება კინოფილმ „დიდი ცხოვრების“ შესახებ“ და 26 აგვისტოს დადგენილება „დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების შესახებ.“

იდეოლოგიურ სფეროს გაჯანსაღების პროცესში, მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია თეატრს, როგორც საბჭოთა პროპაგანდის მნიშვნელოვან იარაღს. პარტიამ ზუსტად იცოდა ქვეყანაში რამდენი თეატრის არსებობა იყო საჭირო (დრამატული, საოპერო, საბავშვო თუ სახალხო), ვინ უნდა ყოფილიყვნენ მათი ხელმძღვანელები, როგორი სპექტაკლები უნდა დაედგათ, რა სჭირდებოდა საბჭოთა მაყურებელს. იცნობდა ხალხის გემოვნებას, მათ სულისკვეთებას. ხალხის სულიერი აღზრდა კი მათი პირდაპირი მოვალეობა იყო. ერთი სიტყვით, სახელმწიფო წყვეტდა ყველაფერს და თეატრებს იდეოლოგიურ ჩარჩოებში აქცევდა. ამასთან დაკავშირებით, ცენტრალურმა კომიტეტმა 1946 წელს შეიმუშავა 26 აგვისტოს დადგენილება „დრამატული თეატრის რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც ჟურნალ „ბოლშევიკში“ (1946, N16) გამოაქვეყნა.

დოკუმენტის მიხედვით, საბჭოეთის წამყვანი თეატრები (მაგ. მოსკოვის სამხატვრო თეატრი, მცირე თეატრი, ვახტანგოვის თეატრი, კიევის ფრანკოს სახ. თეატრი და სხვა) ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ აქტუალურ თემაზე დაწერილი პიესების დადგმას და არ იყვნენ ჩართულნი საბჭოთა პროპაგანდაში.

პარტიის მითითებით, თეატრებს ევალებოდათ თანამედროვე თემაზე დაწერილი ისეთი პიესები დაედგათ, რომლებშიც კარგად ჩანდა მთავრობის მზრუნველი ხელი, ქვეყნის წინსვლა, ადამიანის ბედნიერი მომავალი. მათი აზრით, მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ საბჭოთა თემაზე დაწერილ ზოგიერთ პიესაში, ავტორს საბჭოთა ადამიანები გამოყვანილი ჰყავდა „მახინჯ-კარიკატორული ფორმით, პრიმიტიულად და ობივატელური გემოვნების ადამიანებათ“, ხოლო მათ ფონზე უარყოფითი პერსონაჟები ნაჩვენები იყვნენ ძლიერი ნებისყოფის ადამიანებად. ზოგიერთ შემთხვევებში კი მოვლენები წარმოდგენილი იყო „არარეალურად და ყალბად“, რაც საბოლოოდ ქმნიდა დამახინჯებულ წარმოდგენას საბჭოთა კავშირზე. დებულებაში დიდი ადგილი ეთმობოდა თეატრების რეპერტუარში ბურჟუაზიული პიესების (მაგ. მორისონის „მისტერ პარკერის მკვლელობა, პინერესოს „სახიფათო ასაკი“, ლაბინისა და დელაკრუას „ბაქი ბუქი“ და სხვა) შეტანის საკითხსაც. ასეთი პიესების დადგმა მთავრობის მხრიდან აღიქმებოდა, როგორც ბურჟუაზიული იდეოლოგიის პროპაგანდა, საბჭოთა ადამიანის შეგნების მოწამვლის მცდელობა. დებულებაში ყურადღება მიექცა საბჭოთა დრამატურგების საქმიანობას, რომლებსაც უნდა აესახათ საბჭოთა ადამიანის საუკეთესო მხარეები, აღეზარდათ მშრომელთა მასები. ისინი უნდა ყოფილიყვნენ აქტიური პროპაგანდისტები საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკისა. აღნიშნული დებულება, ეხებოდა საბჭოეთში შემავალი რესპუბლიკების ყველა თეატრს, მათ შორის ქართულ თეატრსაც, რომლის გამოქვეყნებასაც თბილისში ხელოვანთა წრეებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ, 26 აგვისტოს საკავშირო დებულების გათვალისწინებით, 1946 წლის 4 ოქტომბერს გამოსცა ახალი ბრძანება (N470) „დრამატული თეატრებისა და მისი გაუმჯობესების შესახებ“. ბრძანებაში, ნათლად იყო წარმოჩენილი საქართველოს თეატრებში არსებული „შეცდომები“ და მისი მოგვარების გზები. აღნიშნული ბრძანების გამოქვეყნებამდე, რეპერტუარის განახლების მოთხოვნით, უკვე არსებობდა სხვა დადგენილებებიც, რომლებიც განსაზღვრავდნენ საქართველოს სათეატრო პოლიტიკას, ვალდებულებებს, სამოქმედო გეგმას. დადგენილება სტრუქტურულად მარტივად იყო შედგენილი. ჯერ შენიშვნები იყო ჩამოთვლილი, შემდეგ მითითებები. მაგალითად, 5

სექტემბრის დადგენილება „თბილისის თეატრების რეპერტუარის შესახებ“, მიუთითებდა თბილისის თეატრებს სარეპერტუარო პოლიტიკის ხარვეზებსა და მის არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე. არადამაკმაყოფილებელ მუშაობაში იგულისხმებოდა რეპერტუარში სუსტად წარმოჩენილი „მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის აქტუალური პრობლემები.“ რეპერტუარის გაჯანსაღების აუცილებლობით იქნა მიღებული შემდეგი 27 სექტემბრის დადგენილებაც (N875) „თანამედროვე საბჭოურ თემებზე დრამატული ნაწარმოებების შექმნის ღონისძიებათა შესახებ.“(1946, მინისტრთა საბჭოს დადგენილებები. /IX, გვ.237-238). დადგენილება ავალეზდა პირველი ჯგუფის თეატრებს თანამედროვე საბჭოთა თემებზე დაწერილი შემდეგი პიესების დადგმას: ბ.ჩირსიკოვის „გამარჯვებულნი“, ბ.ლავრენიევის „მეზღვაურები“, ვ.გაბისკირიას „მარტოხელა“, მ.გოგიაშვილისა და შ.მანაგაძის „ერთხელ გაზაფხულზე“, ვ.სოლოვიოვის „გამარჯვების საიდუმლოება“, ლ.მალიუგინის „ძველი მეგობრები“, ა.სუროვის „შორს სტალინგრადიდან“, ვ.დარასელის „კიკვიძე“, პ.კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, გ.შატერაშვილის „ფიქრის გორა“, კ.სიმოვის „ასეც იქნება“, ა.აფიგენოვის „მაშენკა“ (ამ პიესებიდან 1946/47 წლების სეზონში რუსთაველის თეატრმა დადგა: „გამარჯვებულნი“ რეჟ.ს.ჭელიძე (1946, 24/XII), „მეზღვაურები“ რეჟ.დ.ალექსიძე (1946წ. 30 /XII). მარჯანიშვილის თეატრმა დადგა „მარტოხელა“ რეჟ.კ.ანდრონიკაშვილი (1946წ.24 /XII).

სარეკომენდაციო პიესების გარდა, დადგენილება მოითხოვდა, თეატრებს რეპერტუარიდან ამოეღოთ იდეურად და მხატვრულად სუსტი პიესები გ.ბერძენიშვილის „დასასრულის დასაწყისი“, „ტირიფქვემ“, გ.ქელბაქიანის „ღირსეული ჯილდო“ და კ.კალაძის „ერთი ღამის კომედია.“ დაევაღათ გაზეთებს: „კომუნისტსა“ და „ზარია ვოსტოკას“ დაეებქდათ კრიტიკული სტატიები ჩამოთვლილი პიესებისა და სპექტაკლების შესახებ. როგორც ვხედავთ, ხელოვნების საქმეთა სამმართველო თავის მოთხოვნებს სარეპერტუარო პოლიტიკის ცვლილებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ბრძანებებსა და დადგენილებებში იმეორებდა. 27 სექტემბერს, ჯერ გამოიცა დადგენილება, 4 სექტემბერს კი იგივე თემაზე ბრძანება. აღნიშნული ბრძანება ითვალისწინებდა რეპერტუარის გადახედვას და მასში ცვლილებების შეტანას. ცხადია, რომ ცვლილებებს თავად სამმართველო განსაზღვრავდა.

თეატრებს რეპერტუარის შედგენისას, ძირითადი ყურადღება უნდა მიექციათ თანამედროვე თემაზე შექმნილი ნაწარმოებებისათვის, რომლებიც ასახავდნენ საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და გმირულ ბრძოლას კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად. ქართულ თეატრში გასული სეზონის განმავლობაში დადგმული 98 პიესიდან, მხოლოდ 32 ეხებოდა თანამედროვე საბჭოთა ცხოვრებას. ე. ი 66 პიესა სხვადასხვა თემებს ასახავდა. მათ შორის იყო ისტორიული პიესებიც, რომლის შესახებაც პარტიული ხელმძღვანელობა საყვედურს გამოთქვამდა: „თეატრების ხელმძღვანელები ისტორიული პიესების დადგმას უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე თანამედროვე შინაარსის“(1946, კრებული დადგენილებებისა და განკარგულებებისა, N1, გვ.4)

ასეთი მიდგომა ისტორიული სიუჟეტების მიმართ, გამოწვეული იყო პირველ რიგში საკავშირო ცვ-ის 26 აგვისტოს დადგენილებით, რომლის მიხედვით ისტორიული პიესებისადმი თეატრების მოჭარბებული ინტერესი მიიჩნეოდა საბჭოთა თეატრების ნაკლად, ვინაიდან ამ პიესებს „არავითარი აღმზრდელობითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან მასში მხოლოდ გაიდიალებული ჰყავდათ მეფეების, ხანების, კარისკაცთა ცხოვრება.“(1956. კრებული სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებების, ტპ გვ. 683)

მიუხედავად ასეთი შეფასებისა, ჯერ საკავშირო და შემდეგ ადგილობრივი პარტიული მუშაკების მხრიდან, თბილისის წამყვანი თეატრები და მათი ხელმძღვანელები გარკვეულ ადგილს უთმობდნენ რეპერტუარში ისტორიული ხასიათის პიესებს. რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელი აკაკი ვასაძე აღნიშნავდა, რომ თეატრს დიდი გამოცდილება ჰქონდა ისტორიული პიესების დადგმის და შემდეგ 1946/47 წლების სეზონშიც ფიქრობდნენ დაედათ ი.ვაკელის „თამარ მეფე.“ მარჯანიშვილის თეატრის ხელმძღვანელი შალვა ღამბაშიძე კი აღნიშნავდა, რომ რეპერტუარში საქართველოს წარსული ისტორიის ამსახველი პიესები უნდა ყოფილიყო. ამგვარად, ქართულ თეატრში ისტორიული პიესებისადმი დადგმის ტრადიცია გრძელდებოდა, რაც პირველ რიგში მაყურებლის ინტერესით იყო გამოწვეული. დოკუმენტის მიხედვით, ისტორიული პიესების დადგმა, არ იყო აკრძალული, მაგრამ ის დრამატურგები, რომლებიც ისტორიულ პიესებს დაწერდნენ, მატერიალურად არ წახალისდებოდნენ. ამის შესახებ ღიად და საჯაროდ აცხადებდა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი რ.შადური. წერილში „საბჭოთა საქართველოს ხელოვნების ამოცანები,” სათეატრო ხელოვნებაზე საუბრისას, შადური აღნიშნავდა: “უნდა აღინიშნოს, რომ ახალ ისტორიულ თემაზე აგებულ პიესებს ვეღარ წავახალისებთ, ვინაიდან ქართული თეატრის რეპერტუარი გადაიტვირთა ასეთი პიესებით. დღეისათვის დრამატურგიის მთავარი და შეიძლება ითქვას ერთადერთი ამოცანაა ღირსეულად ასახოს საბჭოთა ადამიანის ბრძოლა და გამარჯვება მისი ყოველდღიური საქმიანობა”. (შადური), (1946). საბჭოთა საქართველოს ხელოვნების ამოცანები. გაზ. *ლიტერატურა და ხელოვნება*, N23, გვ2)

საბჭოთა ადამიანის ბრძოლისა და გამარჯვების წარმოჩენის მიზნით, იყო გამოცემული თბილისში 4 ოქტომბრის ბრძანებაც, რომლის დანიშნულება იყო საკავშირო ცენტრალური კომიტეტის 26 აგვისტოს დადგენილების შესრულება. საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველო, იმეორებდა საკავშირო დებულების მოთხოვნებს, იზიარებდა იქ გამოთქმულ შენიშვნებს და მითითებებს. საკავშირო დებულებისაგან განსხვავებით, თბილისის 4 ოქტომბრის ბრძანება უფრო კონკრეტული იყო, მაგრამ ამავე დროს სრულად ასახავდა ქართულ თეატრში მიმდინარე სათეატრო პროცესებს, რომელშიც კარგად იკითხებოდა პარტიის სათეატრო პოლიტიკა, მისი მოთხოვნები, ეპოქის სულიკვეთება და ამ ეპოქაში ქართული თეატრის ბედი.

4 ოქტომბრის ბრძანებით, ისევე როგორც თბილისის 27 ოქტომბრის დადგენილებით, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი შადური მიუთითებდა თეატრებს, რეპერტუარიდან ამოეღოთ “იდეურად და მხატვრულად შეუფერებელი პიესები: კ.კალაძის “ერთი ღამის კომედია”, გ.ქელბაქიანის “შესაფერი ჯილდო,” გ.ბერძენიშვილის “ტირიფის ქვეშ,” “დასასრულის დაწყისი”, ნ.რიბაკისა და სავჩენკოს “თვითმფრინავი იგვიანებს”, ბრაიტონის “სრულ შუადამეს”, ლ.ხელმანის “მელიები,” ბენეტის “რატომ სდუმდა,” პინეროსის “სახიფათო ასაკი,” ბარსელიანის “სომეხი ქალი,” მიქაელიანის “ვარაზდატი.” (1946, კრებული დადგენილებებისა და განკარგულებებისა, N1, გვ4)

ჩამოთვლილი პიესებიდან, მხოლოდ ქართული პიესები იდგმებოდა წამყვანი თეატრების 1945/46 სეზონში. წარმოდგენილი სპექტაკლები არ იყო საეტაპო და მათი სადადგმო ხარისხიც არ იყო საუკეთესო, მაგრამ მათ მაყურებელი ჰყავდა. ზოგიერთი

მათგანი, მაგ. „ერთი ღამის კომედია,“ ტირიფის ქვეშ“ 50-ჯერ მაინც იყო უკვე ნათამაშები. რუსთაველის თეატრის მუზეუმში დაცული სარეპეტიციო ჩანაწერებიდან ვიცით, რომ აღნიშნული სპექტაკლების შესახებ არ ყოფილა გამოთქმული შენიშვნა ან მოთხოვნა რომელიმე ეპიზოდის შეცვლის თაობაზე. წარმოდგენა როგორც მხატვრულად ისე ტექნიკურად ჩატარდა სრულიად უნაკლოდ (დასასრულის დასაწყისი). ჩანაწერებში გვხვდება შენიშვნაც, რომელიც მხოლოდ ტექნიკურ მხარეს ეხებოდა და მისი გამოსწორება ადვილი შესაძლებელი იყო. მაგ. „ტირიფის“ ხე და „ატმის“ ხეების სცენაზე ამ სახით გამოტანა აღარ შეიძლება.“ სპექტაკლ „ერთი ღამის კომედიის“ I მოქმედებაში, სუსტი ყოფილა სინათლე და სხვა.

სპექტაკლები დადგმიდან დიდი ხნის შემდეგ მოიხსნა. ხელოვნების საქმეთა სამმართველო არა მარტო თვალყურს ადევნებდა თეატრების ცხოვრებას, არამედ უშუალოდ შემოქმედებით პროცესში ერეოდა. სპექტაკლები, ვიდრე მაყურებლამდე მიაღწევდა რამდენიმე ეტაპი უკვე ჰქონდა გავლილი. პიესის განხილვა, რეპერტუარის დამტკიცება, სპექტაკლის ჩაბარება. ყველა ამ პროცესს მკაცრი ცენზორო ჰყავდა. ამ დროისთვის, პარტიულ მუშაკებს არაფერი გამორჩებოდათ. თავდაპირველად, სპექტაკლებს არავინ დამუქრებია, მაგრამ მოგვიანებით ვითარება შეიცვალა, რასაც თავისი მიზეზები გააჩნდა. პარტიამ წესები გაამკაცრა, დაიწყო თანამედროვე თემაზე დადგმული სპექტაკლების რევიზია, რამაც გამოიწვია მათი აკრძალვა ამ აკრძალვას 4 სპექტაკლი შეეწირა: კ.კალაძის „ერთი ღამის კომედია“, გ.ქელბაქიანის „შესაფერი ჯილდო,“ გ.ბერძენიშვილის „ტირიფის ქვეშ,“ „დასასრულის დაწყისი.“

კარლო კალაძის პიესა „ერთი ღამის კომედია,“ 1945 წლის 29 მაისს რუსთაველის თეატრში დაიდგა (რეჟ.დ.ალექსიძე, მხატვარი-ე. ახვლედიანი) ცნობილი მსახიობების თამარ ჭავჭავაძისა (სულიკო) და აკაკი ვასაძის (დათუნა) მონაწილეობით. სპექტაკლს დადებითი გამოხმაურება ჰქონდა. „კომუნისტის“ ფურლებზე გამოქვეყნებულ სტატიაში რეცენზენტი, აქებდა მსახიობთა შესრულებას, თამარ ჭავჭავაძის ბუნებრივ თამაშს, აკ.ვასაძის ვირტუოზობას, „გმირის თვისებათა ყოველ დეტალს, ფსიქოლოგიურ ნიუანს მსახიობი სრულყოფილ დახვეწამდე ამუშავებს. ვასაძე როლის გახსნით დიდ დამაჯერებლობას აღწევს. განსაკუთრებით ძლიერია მსახიობი დივერსანტების შეპყრობის სცენაში და ფინალში“ (ზახტურიძე) (1945). რუსთაველის თეატრის დადგმა.გაზ. *კომუნისტი*, N119, გვ.3 სტატიის ავტორი, არც სხვა მსახიობებს აკლებდა ქებას (აკობალაძე-არჩილი, მ. ჩიხლაძე-ბაადური, რომელმაც მიმზიდველად გადმოგვიშალა დარბაისელი ქართველის გულღია პატიოსანი ადამიანის ბუნება,“ ს.ჯაფარიძე- მეტყევე ბუხუტი ახვლედიანი, გ.გეგეჭკორი-ჩიტირეკია, ფ.ჭანტურია-ჟუჟუნა, ლ.ფოჩხუა-ია, ბერიძე-ჩიტოლია, ვ.კინწურაშვილი-ლევანი). ბესო ჟღენტის გამოქვეყნებულ წერილშიც, აღინიშნა მხატვარ ელენე ახვლედიანის, მუსიკოს ტორაძის, მსახიობ ვასაძის ნამუშევარი. პიესის სიუჟეტს რაც შეეხება, ერთი შეხედვით, შეეფერებოდა კიდევ საბჭოთა თემატიკას. მოქმედება 1942 წელს ერთერთ სოფელში ვითარდებოდა. მართალია, პიესის სიუჟეტი სოფლის ცხოვრების საყოფაცხოვრებო ამბებს ასახავდა, მაგრამ ჩანდა რომ საბჭოთა ჯარები კავკასიაში გამირულად უტევდნენ, სოფლიდან წასული ორი ახალგაზრდა ფრონტზე იბრძოდა...

1946 წლის 9 ივლისს, როცა თეატრალური საზოგადოების მეორე პლენუმი (მეორე სხდომა) ჩატარდა, აღნიშნული პიესები სხდომის განხილვის საგანი გახდა. პლენუმი

1945/46 წლების ქართულ დრამატურგიაში მიმდინარე პროცესებს მიეძღვნა. გამომსვლელებმა (ს.მთვარაძე, კ.კატარიანი, კ.კალაძე, აკ.ფაღავა, აკ.ხორავა და სხვები) დიდი ყურადღება დაუთმეს ქართულ დრამატურგიაში არსებულ პრობლემებსა და ნაკლოვანებებზე მსჯელობას. განიხილეს ის ოთხი ქართული პიესაც, რომელიც იმ დროისთვის ჯერ კიდევ არ იყო აკრძალული. პლენუმზე საანგარიშო მოხსენებით “დრამატურგია განვლილ სეზონში” გამოვიდა კრიტიკოსი ბესო ჟღენტი. მან თავის მიმოხილვაში, სხვა პიესებთან (მატბერაშვილის “ფიქრის გორა”, ს.კლდიაშვილის “ირმის ხევი,” ს.მთვარაძის “სახსოვარი,” ვ.გაბისკირიას “მარტოსული” და სხვა) ერთად ისაუბრა აკრძალული პიესების დადებით და უარყოფით მხარეებზე. კარლო კალაძის პიესაზე “ერთი ღამის კომედია” ბესო ჟღენტმა აღნიშნა: “პიესაში ასახული მოვლენები ემსახურება ჩვენი დიდი სინამდვილის ასახვას, თუმცა მთელ რიგ შემთხვევაში ვერ გამოგვცემს სწორად სოფლის ცხოვრებას, უფრო მეტად პირადული განწყობა იქმნება, ვიდრე ის რაც უნდა იყოს ომის წლებში.” კრიტიკოსმა, შენიშვნაში იგულისხმა პიესის სიუჟეტში ომის თემის, სოფლის საბრძოლო სულისკვეთების და საომარი განწყობის ზედაპირული ჩვენება, მაგრამ მიუხედავად ამისა ბ.ჟღენტი აღნიშნავდა: “რამდენიმე პერსონაჟის კოლორიტი უფლებას აძლევს იყოს რეპერტუარშიო“ (სეა) 21, 1, 9 სპექტაკლი ერთი წლის შემდეგ მოხსნეს. მოხსნის მიზეზი არავის დაუკონკრეტებია, არც მხატვრულ ღირებულებაზე იყო რაიმე მინიშნება. ბრძანებაში მხოლოდ ზოგადი განმარტება იყო: “მორალურად და მხატვრულად მიუღებელი.” ვერავინ იფიქრებდა, რომ ოფიციალური ნებართვით დადგმული სპექტაკლი, იმავე ოფიციალური ბრძანებით მოიხსნებოდა. M

მოხსნის მიზეზი კი, როგორც ჩანს, თეატრის რეპერტუარზე გამკაცრებული კონტროლი იყო. ვინაიდან საკავშირო 26 აგვისტოს დადგენილება “დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების შესახებ” ახალი გამოქვეყნებული იყო. თბილისში ძალიან ფრთხილობდნენ, ეშინოდათ, რომ საბჭოთა თემატიკაზე დადგმული სპექტაკლი ვერ ახდენდა დიდ შთაბეჭდილებას მაყურებელზე. ის რომ მოქმედება პიესაში 1942 წელს ვითარდებოდა და არ იყო მასში ასახული ომის სცენები და მეტი ყურადღება ეთმობოდა სოფლის ცხოვრების ამბავს, ვფიქრობ, ამას მიაქციეს შემდეგ ყურადღება. ამის თქმის საფუძველს თავად ხელოვნების სამმართველოს უფროსის მოხსენება გვაძლევს. 3 ოქტომბერს ჩატარებულ ხელოვნების სამმართველოს კრებაზე შეადურმა გააკრიტიკა კარლო კალაძის პიესა “ამ პიესაში ყალბად არიან დანახულნი საბჭოთა ადამიანები. პიესა ეხება სამამულო ომის პერიოდს, მიუხედავად ამისა, არ არის ნაჩვენები გმირობა და პატრიოტიზმი, ფანდურისა და ღრეობის ხმები ისმის“ (1946). საქართველოს თეატრების, ხელმძღვანელი მუშაკების და კრიტიკოსთა რესპუბლიკური თათბირი. გაზ. *ლიტერატურა და ხელოვნება*, N40, გვ1.

“ერთი ღამის კომედია” სულ მალე მოჰყვა მეორე პრემიერა. გ.ბერძენიშვილის პიესა “ტირიფის ქვეშ” (რეჟ.ს.ჭელიძე, მხატვარი- კ.სანაძე, კომპ.- ი.ტუსკია) 1945 წლის 27 ივნისს დაიდგა. ეს სპექტაკლიც აკრძალულთა კატეგორიაში მოხვდა. სპექტაკლის შესახებ, რუსთაველის თეატრის მუზეუმში არ არის შემორჩენილი რაიმე დოკუმენტი, ან ჩანაწერი, მაგრამ საბედნიეროდ არსებობს ეროვნულ არქივში დაცული თეატრალური საზოგადოების პლენუმის სტენოგრაფიული ჩანაწერი, რაც გარკვეულად ნათელს ფენს სპექტაკლის აკრძალვის მიზეზსაც.

პიესა “ტირიფის ქვეშ,” როგორც ჩანს საკმაოდ პოპულარული პიესა იყო, ვინაიდან საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში (ჭიათურა, ხარაგაული, ყვარელი, ფოთი და სხვა) იდგმებოდა. კრიტიკოსმა ბესო ჟღენტმა პიესა შეაფასა, როგორც “საბჭოთა დრამატურგიის დაბალი დონე, ვინაიდან მთავარი გმირები სიყვარულის, მეგობრობის საკითხში იქცევიან ისე, როგორც არ შეეფერება საბჭოთა ადამიანის მორალურ შეგრძნებებს.. გაუმართლებელია საქციელი მეგობრის, რომელიც სარგებლობს შემთხვევით და მის საცოლეს ეპატრონება იმ დროს როდესაც მეგობარი ფრონტზეა და სამშობლოს იცავს.. ესეთი საქციელი არ შეეფერება საბჭოთა ადამიანის მორალურ შეგნებას.. ჩვენი მაყურებელი ვერ შეეგუება მორალური შეგნების გაყალბებას“ (სეა), ფ-21, ა-1, საქმე N 9. მოყვანილი მაგალითი- მეგობრის არამეგობრული დამოკიდებულება მეორე მეგობრის მიმართ, არ იწვევს სიმპატიას, მაგრამ მეგობრის საქციელი ზოგადადამიანური ღირებულებებით კი არ შეფასდა, არამედ გამოთქმული კრიტიკა საბჭოთა პარტიული ხედვიდან იყო ნაკარნახევი. საბჭოთა ადამიანის მორალური სახე, მაყურებელს ყოველთვის სპექტაკი უნდა ენახა, მისაბამი რომ ყოფილიყო საზოგადოებისათვის. ამ შემთხვევაში, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ პერსონაჟის მორალური მხარე იყო, სპექტაკლის მოხსნის მთავარი არგუმენტი.

ბერძენიშვილის მეორე პიესაც ვერ ასცდა ცენზურის მარწმუნებს. სპექტაკლი “დასასრულის დასაწყისი,” 1946 წლის 10 ივლისს რუსთაველი თეატრში დაიდგა (რეჟ. აკ. ვასაძე, ს ჭელიძე, მხატვ-დ. თავაძე). რამდენიმე თვეში რეპერტუარიდან ამოიღეს. (რუსთაველის თეატრის მუზეუმში შემორჩენილია მხოლოდ სპექტაკლის ჩაცმულობის, რეკვიზიტის, ფეხსაცმლის აღწერილობის ჩანაწერი). სპექტაკლის სიუჟეტი 1942 წლის აფხაზეთის სოფელში ხდება. ამ დროს სტალინმა ბერია გააგზავნა კავკასიის ფრონტზე. მართალია ბერია არ ჩანს პიესაში, მარამ იგულისხმება. პიესა მთავრდება წითელი არმიის იერიშზე გადასვლით. პიესა თავისი მხატვრული ღირებულებით ვერ შეესაბამება ავტორის მიერ არჩეულ თემას. სპექტაკლს, როგორც ჩანს აკლდა სიმწვავე, საბრძოლო სულისკვეთება.

აკრძალული ქართული პიესებიდან, სამი რუსთაველის თეატრში დაიდგა, ერთი მარჯანიშვილის თეატრში. ქელბაქიანის პიესამ “შესაფერი ჯილდო” (დაიდგა 1945 წლის 30 დეკემბერს. რეჟ.-პ. კობახიძე, მხატვ-ი. იაკაშვილი, კომპ-ა. კერესელიძე) ყველაზე დიდი კამათი გამოიწვია თეატრალური საზოგადოების სხდომაზე. პიესაც დაიწუნეს და ავტორის გამოსვლაც გააკრიტიკეს (ქელბაქიანის გამოსვლა სტენოგრაფიაში ფიქსირდება, ხოლო ტექსტი არ არის). პიესის შესახებ ითქვა: ამ პიესას არც მორალი და არც აზრი არ გააჩნიაო, პიესა უაზრო შეკოწიწებულ მელოდრამასა და ვოდევილის ნარევს წარმოადგენსო, ამ პიესაზე დიდი დრო დაიხარჯა, ის დადგა მარჯანიშვილის თეატრმაო და სხვა. პიესის დაწუნების ძირითადი არგუმენტი აქაც საბჭოთა მორალის არასწორად ჩვენება იყო, მაგრამ საქმე აქ უფრო რთულდებოდა, ვინაიდან ეხებოდა ომის გმირს. მთავარი გმირი ვალიკო ნებაძე ცოლ-შვილს ჰღალატობს, სხვა ქარაბშუტა ქალს ირთავს და მასთან ერთად უდარდელად ცხოვრობს. როდესაც ომი დაიწყება, სამშობლოს დაცვას გადაწყვიტავს. ფრონტზე წასული ვალიკო წერილს არ იწერება. მეორე ცოლმა-ლამარამ ჩათვალა, რომ ვალიკო მოკვდა და კვლავ საქმრო ძიებაშია. ყოფილი ცოლი-ელენე კი მისი ერთგულია და ხელახალ გათხოვებაზე უარს ამბობს. ერთ დღეს ლამარა ვალიკოსგან იღებს წერილს, რომ ის თბილისშია, დაჭრილი, ორივე ფეხი მოაჭრეს და შველა უნდა. ვალიკოს

დაჭრის ამბავს იგებს მისი ყოფილი ცოლიც და შვილთან ერთად მიდის ელენესთან, რათა გაიგოს ვალიკოს ამბავი. ლამარას არაფერში სჭირდება ხეივანი ვალიკო, ამიტომ უთმობს ელენეს მოსავლელად. ამ დროს ჩნდება ვალიკო, რომელმაც გაიგო ლამარას გათხოვების სურვილი და მისთვის გამოსაცდელი წერილი დაწერა. სინამდვილეში, ის ჯანმრთელია და უფრო მეტიც ომში გამოჩენილი ვაჟკაცობისთვისაც ბევრი მედალიც მიუღია. საბოლოოდ, ვალიკო ხვდება თავის შეცდომას, მოხვევს ცოლ-შვილს ხელს და სახლში წაიყვანს. პიესის დაწუნების საბაზი ვალიკოს პერსონაჟთან იყო დაკავშირებული. კამათი გამოიწვია, ვალიკოს გადაწყვეტილებამ, სამშობლოს დასაცავად ფრონტზე წასულიყო, ვინაიდან საბჭოთა იდეოლოგიიდან გამომდინარე, ვალიკოს გმირობა შეუსაბამო იყო ცოლ-შვილის მოღალატე კაცის ბუნებასთან. მიუხედავად იმისა, რომ ვალიკომ ბოლოს თავისი საქციელი ინანა და ცოლ-შვილს შეურიგდა, მაინც მისი პერსონაჟი მორალურად მიუღებელი დარჩა პარტიისთვის. იმ შემთხვევაში, თუ ვალიკო ცოლ-შვილს არ უღალატებდა და ომის გმირიც გახდებოდა, მაშინ პარტის შექებასაც დაიმსახურებდა.

პერსონაჟის ხასიათი უნდა ყოფილიყო დამაჯერებელი და თანმიმდევრული, ვინაიდან საქმე ეხებოდა არა უბრალოდ საბჭოთა ადამიანს, არამედ სამამულო ომის საბჭოთა გმირს, რომელიც ზნეობრივად მისაბაძი უნდა ყოფილიყო. ქელბაქიანის პიესის მიხედვით ისე გამოვიდა, თითქოს “სამამულო ომის გმირობა არც თუ ისე დიდი საქმე ყოფილა არც დიდი ზნეობა, არც დიდი გონიერება და ნებისყოფა ყოფილა საჭირო. იქნებ ავტორს უნდოდა ეჩვენებინა, რომ გარდაიქმნა ომში გმირად მდაბალი ადამიანი...არა არც ბოლო სცენა ვარგა მისი ლამარასთან. თუ უყვარდა იქნებ იმისგანაც მოესმინა ახსნა. არა, საბჭოთა ადამიანები ასე იოლად არ სწყვეტენ ოჯახურ ურთიერთობას, სიყვარულის საკითხს. საბჭოთა თეატრს არ უნდა ეცალოს “შესაფერი ჯილდოს” მსგავსი პიესებისთვის.“ (ჟღენტი) (1946).შესაფერი ჯილდო მარჯანიშვილის თეატრში .გაზ ლიტერატურა და ხელოვნება, N18,გვ.2

სპექტაკლი დადგმიდან, რამდენიმე თვეში მოიხსნა, არც ამ შემთხვევაში იყო რაიმე განმარტება გაკეთებული. მაგრამ ცხადია მოხსნის მოტივაცია. სპექტაკლში არ იყო ნაჩვენები საბჭოთა გმირის წესიერი სახე. მისი უზნეო ცხოვრება და შემდეგ გმირად გახდომა, არ იყო დამაჯერებელი, რაც მიუღებელი იყო საბჭოთა მაყურებლისთვის. ამ პერიოდის ქართულ თეატრში ბევრი სუსტი სპექტაკლი იდგმებოდა, მაგრამ რეპერტუარიდან არ ხსნიდნენ. ამ შემთხვევაში კი საქმე გვექონდა თანამედროვე საბჭოთა პიესებთან, რომლის მიმართაც ცკ-ს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა. A პიესაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საბჭოთა ადამიანის ცხოვრების წესს, მორალურ მხარეს. გასათვალისწინებელი იყო საბჭოთა მთავრობის გემოვნება, მისი მართვის წესი, ერთი სიტყვით თეატრებს ბევრ რამეზე უწევდათ ფიქრი.

4 ოქტომბრის ბრძანების მიხედვით, პარტია მოითხოვდა, რომ თანამედროვე ცხოვრების ამსახველ სპექტაკლებზე საუკეთესო რეჟისორებს, მხატვრებს, მსახიობებს ემუშავათ. მომავალი 1947 წლისთვის კი, დრამატურგებს უნდა შეექმნათ იდეურად და მხატვრულად მაღალი ღირებულების 6-7 ქართული ორიგინალური პიესა. შეკვეთილი პიესებს კი ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ შედგენილ კომისია (სათეატრო განყოფილების უფროსი-გ.ბუხნიკაშვილი (თავჯდომარე) რეპერტუომის უფროსი-დ.ბენაშვილი და მწერალთა კავშირის დრამ. სექციის ხელმძღვანელი-ი.ვაკელი)

გაკონტროლებდა. ბრძანების მოთხოვნით, საბჭოთა შინაარსის პიესებზე მუშაობა, ძირითადად უნდა ეწარმოებიათ რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებში, ე.ი. წამყვან თეატრებში. აქედან გამომდინარე რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს აკაკი ვასაძეს და მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს შალვა ღამბაშიძეს უნდა ემუშავათ იმ დრამატურგებთან, რომლებსაც დადებული ჰქონდათ ხელშეკრულება ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან, რათა დაეწერად თანამედროვე შინაარსის პიესები. აკ.ვასაძეს დრამატურგებთან: ა.სამსონიასთან, კ.კალაძესთან, ს.კლდიაშვილთან, ვ.დარასელთან, დ.კასრაძესთან. შალვა ღამბაშიძეს კი პ.კაკაბაძესთან, ვ.გაბისკირიასთან, გ.შატბერაშვილთან, ვ.პატარაიასთან და დ.აღლაძესთან. ეს მეტად საპასუხისმგებლო საქმე იყო, ვინაიდან პიესების ხარისხსა და იდეოლოგიურ მხარეზე სამხატვრო ხელმძღვანელები აგებდნენ პასუხს. სამხატვრო ხელმძღვანელების ასეთი აქტიური ჩართვა პიესის წერის პროცესში გამოწვეული იყო პარტიის მხრიდან „სწორი იდეოლოგიური“ ხაზის გატარების მოთხოვნით. მხოლოდ საბჭოთა თემატიკაზე დაწერილი პიესა იყო განსაკუთრებული დაკვირვების ქვეშ. მოთხოვნა მოთხოვნად რომ არ დარჩენილიყო და სასურველი შედეგიც მიეღოთ, გაკონტროლების კიდეც ერთი მექანიზმი შემუშავდა. სამხატვრო ხელმძღვანელებს ყოველი თვის 15 რიცხვში სამმართველოსათვის უნდა მოეხსენებიათ თუ როგორ მიდიოდა პიესებზე მუშაობა. თეატრის დირექტორებს კი ეკრძალებოდათ სარეპერტუარო გეგმით გაუთვალისწინებელი პიესების დადგმა და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ნებადაურთველად ცვლილებების შეტანა რეპერტუარში. ეს იყო სამმართველოს მკაცრი მოთხოვნა და ვინც ამ წესს დაარღვევდა “დაედებოდათ დისციპლინარული სასჯელი თანამდებობიდან მოხსნამდე, როგორც ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკის დამშვებთ.”

თბილისის თეატრების გარდა, ყურადღება მიექცა რაიონულ თეატრებსაც. რაიონულ თეატრებშიც უნდა მომხდარიყო რეპერტუარის გაწმენდა. თანამედროვე შინაარსის საბჭოთა პიესების შექმნა მათთვისაც სავალდებულო იყო. ე. წ. მეორე ჯგუფის თეატრებს - მოზარდ მაყურებელთა, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, გორის თეატრებს უნდა წარედგინათ ანგარიში, თუ რომელ დრამატურგებთან რა თემებზე იმუშავებდნენ. საბჭოთა თემაზე დაწერილი პიესების შექმნა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მწერალთა კავშირის წინაშე უნდა დაესვათ საკითხი, თანამედროვე პიესების შექმნაში აქტიური მონაწილეობა მიიღოთ, არა მარტო დრამატურგებს, არამედ სხვა ჟანრის მწერლებსაც. თეატრების მუშაობისთვის, თვალყური უნდა ედევნებინა სათეატრო განყოფილების უფროსს ბუხნიკაშვილს, რომელიც შემდეგ ამ მუშაობის შესახებ წერილობით მოახსენებდა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსს რ. შადურს.

აღნიშნული ბრძანებები და დებულებები ქმდნენ მნიშვნელოვან დოკუმენტს 40-იანი წლების ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიაში, რომლის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ვიმსჯელოთ ამ პერიოდის ქართული თეატრისა და საზოგადო ქართული კულტურისა და ხელოვნების განვითარებაზეც.

P.S

სამწუხაროდ, თეატრის ისტორიაში დღემდე არა არის შესწავლილი საბჭოთა განკარგულებებისა და დადგენილებების როლი და ფუნქცია საბჭოთა პერიოდის

ქართული თეატრალური ხელოვნების პროცესების მართვაში, არ არსებობს შესაბამისი კვლევები და მნიშვნელოვანი შრომები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მინისტრთა საბჭოს დადგენილებები. თბ 1946 /IX;
2. კრ. დადგენილებები და განკარგულებები. თბ 1946, N1
3. (სეა), ფ-21, ა-1, საქმე N 9
4. გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1946, N40).საქართველოს თეატრების, ხელმძღვანელი მუშაკების და კრიტიკოსთა რესპუბლიკური თათბირი.
- 5ბ. ჟღენტი შესაფერი ჯილდო მარჯანიშვილის თეატრში. გაზ.ლიტერატურა და ხელოვნება, 1946, 26 აპრილი;
6. რ. შადური საბჭოთა საქართველოს ხელოვნების ამოცანები. გაზ.ლიტერატურა და ხელოვნება, 1946, 1 ივნისი;
7. პ. ბახტურიძე რუსთაველის თეატრის დადგმა გაზ.კომუნისტი 1945, 17 ივნისი
8. 1956. კრებული სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებების, თბ.ტპ გვ. 683)

Maia Kiknadze,

Shota Rustaveli Theatre and Film University

Opportunities of 40th Georgian Soviet Theaters' Activity According to the resolution of Central Committee

Summary

On various stages of Soviet era, Communist Party and its management used to pay great attention to the activities of artists based on its ideology and successfully applied their work in the development of socialist construction.

In 40s Soviet Union in the field of ideology were intensified control mechanisms. There were established certain measures. In order to have improved soviet ideological field the Communist Party paid great attention to theater as one of the important means of promotion. For this reason Central Committee in Moscow issued a special decree titled “on repertoire of drama theaters and its improvement”

Purpose of decree was improvement of existed deficiencies and change of “ideally unorganized” repertoire policy. At the same time based on the resolution it was possible for theaters to rectify mistakes and draw up future plans. The resolution related to all theaters acting in soviet republics,

including Georgian theater. Aforesaid resolution caused great talks in Tbilisi that made publication of many documents from the part of Georgian Government (for example: in October 4, 1946 was issued a new order (#470) “on drama theaters and their improvement) that itself is based on the resolution issued by Soviet Union.

Special attention was played to the works of Georgian dramatists and Georgian plays reflecting modern soviet life in the management of repertoire policy of Georgian theaters. Dramatists had to deliver performance of happier future of person living in soviet era and social-economic progress of the country.

Both Art Directors of Theater, Theater Society and Chairmen of Dramatic Section of Writers' Union that in future would be controlled by special office such as “Administration of Art Affairs” should participate in staging Georgian plays reflecting soviet life and the list of plays to be staged in theaters were selected by participating officials employed at aforesaid administration. Afterwards the performances staged according to these plays used to be controlled as to how acceptable were certain performances for soviet spectators. They had a right to prohibit staging performances.

Aforesaid orders and resolutions played significant role in the development of the history of Georgian theater.

ქეთევან კატარაია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თაროზე შემოდებული დებიუტი _ ოთარ იოსელიანისა და ერლომ ახვლედიანის „აპრილი“

მე-20 საუკუნის სამოციანი წლებიდან საბჭოთა საქართველოში დაიწყო კულტურული აღორძინების ეტაპი, რომელსაც ხელი შეუწყო ბევრმა ობიექტურმა თუ სუბიექტურმა მიზეზმა: უკან დარჩა დიდი რეპრესიების ხანა და მეორე მსოფლიო ომი, ქვეყანამ მეტ-ნაკლებად გადალახა ეკონომიკური პრობლემები, დაიწყო ე.წ. დათბობის პერიოდი, საბჭოთა ადამიანი კოსმოსში გაფრინდა, ამერიკელმა - მთვარეზე ფეხი დადგა, რკინის ფარდიდან შემოაღწია ინფორმაციამ სექსუალური რევოლუციის, როკვესტივალეზის, მინიკაბების თუ მერილინ მონროს, კენედის, მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობების, გულის გადანერგვის ოპერაციის შესახებ... ამ პერიოდს ეკუთვნის კარიბის კრიზისი, როდესაც სამყარო იდგა მესამე მსოფლიო ომის ზღვარზე. ბევრი რამ შეიცვალა და შეიცვალა საბჭოთა ადამიანიც. ასპარეზზე გამოვიდა ახალი თაობა ახალი სათქმელით, რასაც ახლებური ფორმა სჭირდებოდა.

„მინდა გავიხსენო, რა იყო შემოქმედებითი თვალსაზრისით საქართველო სამოციანი წლების დასაწყისში“, - იგონებს მწერალი თამაზ ჭილაძე, - „თუმცა ჩვენ მომწყდარნი ვიყავით იმ დიდ გოლფსტრიმის დინებას, კულტურულ ტალღას, რომელიც გარს ერტყა ევროპას, ჩვენი გემოვნება, აზრი, მისწრაფება მაინც საოცრად ემთხვეოდა ფრანგულსა თუ ინგლისურს.“

მსოფლიოსგან რკინის ფარდით გამოყოფილ საბჭოეთსა და საქართველოში ისევე ვაზროვნებდით, როგორც იქ, ევროპასა თუ ამერიკაში. ეს რაღაც იდუმალი მოვლენაა. არავინ იცის, რა გზებით, როგორ ხდება? ზოგი პედანტი ამას ეპიგონობას ეძახის. არა, ეს მიმზადველობა არ არის, ეს ერთსა და იმავე ტალღაზე აწყობილი ხალხის შემოქმედებაა და, როგორც ჭადრის ყვავილობა, გადადის ერთი ქვეყნიდან მეორეში და მას ვერც საზღვარი უშლის ხელს და ვერც კედელი, ასევე ქვეყნიდან ქვეყანაში გადადის შემოქმედებითი იდეები, განწყობა, მხატვრული სახეები. ერთ ტალღაზე აწყობა - სწორედ ეს არის შემოქმედებითი თაობისათვის დამახასიათებელი და სამოციანი წლები ამ თვალსაზრისით არის გამორჩეული“ (ჭილაძე, 2014, გვ.181).

კრიტიკოსი აკაკი ბაქრაძე ამ პერიოდს ასე იხსენებს: „ძვრა იგრძნობოდა ყველა სფეროში, ცოტა უფრო გვიან მთელ საბჭოთა კავშირში, მაგრამ საყურადღებოა, რომ ეს ყველაფერი საქართველოდან დაიწყო. ეს კარგია იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ სტანდარტული აზროვნება არა გვაქვს, ეს იმას მოწმობს, რომ განახლების სიო მუდამ ტრიალებს საქართველოში. 1957 წელს გამოვიდა ჟურნალი „ცისკარი“, რომელშიც ლიტერატურულმა თაობამ მოიყარა თავი და განაცხადა, რომ განახლების მაუწყებელია. მწერლობაში მოვიდა ნოდარ დუმბაძის, თამაზ და ოთარ ჭილაძეების თაობა, მაშინ გამოჩნდა რეზო ჯაფარიძე. მხატვრობაში ელგუჯა და მერაბ ბერძენიშვილები, ედმუნდ კალანდაძე, ირაკლი და გოგი ოჩიაურები, ჯიბსონ ხუნდაძე, დიმა ერისთავი. ყველაფერი ეს ერთმანეთს დაემთხვა და დროის ნიშანია“ (ბაქრაძე, 2014, გვ.53).

რაც შეეხება კინოსტუდიას, „სტუდია წელიწადში ორ ფილმს იღებდა და ისიც „ბობოლებს“ ეკუთვნოდათ. 1957 წელს კინოწარმოება გაზარდეს და „ქართულმა ფილმმაც“ შვიდი ფილმის გადაღების დაკვეთა მიიღო. ამით საშუალება იმათაც მიეცათ, ვინც მანამდე ფილმს ვერ იღებდა, მაგრამ მათ არანაირი სიახლე არ მოუტანიათ, ისევე ძველ ტრადიციას მისდევდნენ. სიახლე, რომელიც „მაგდანას ლურჯამ“ მოიტანა, მათთან არ გაგრძელებულა (საუბარია რეზო ჩხეიძისა და თენგიზ აბულაძის ფილმზე „მაგდანას ლურჯა“). ეს გზა გააგრძელა ახალმა თაობამ“ (ბაქრაძე, 2014, გვ. 49)

ამ ახალი თაობის კინემატოგრაფისტების წარმომადგენელი, კინორეჟისორი ელდარ შენგელაია, იგონებს: „როგორც კი სტალინის პერიოდის იდეოლოგიური მარწუხები მოიხსნა, გაცოცხლდა ქართული კინო. ჩვენზე ერთი ნაბიჯით წინ იყვნენ თენგიზ აბულაძე და რეზო ჩხეიძე. მათმა „მაგდანას ლურჯამ“ ახალი ესთეტიკა მოიტანა, დიდი ნიშანი გახდა, საით უნდა გვევლო. ჩვენ, როგორც გვემახიან, 60-იანელები, ერთ თაობად ჩამოვყალიბდით. თაობას მხოლოდ ბიოლოგიური ასაკი არ ქმნის, აუცილებელია, ახალგაზრდების ჯგუფმა ახალი ესთეტიკა მოიტანოს, ახალი სათქმელი, მაგრამ არც ფესვებს უნდა მოსწყდეს. ჩვენც - ოთარ იოსელიანს, მერაბ კოკოჩაშვილს, ლანა ღოდობერიძეს, თამაზ მელიავას, გიორგი შენგელაიას, საშა რეხვიაშვილს, მიშა კობახიძეს - სამეტყველო ენა სხვადასხვა გვქონდა, მაგრამ მიზანი ერთი. ვეძებდით სიმართლეს, ინდივიდუალურ შემოქმედებით ხელწერას, ვითვალისწინებდით საუკეთესო ეროვნულ ტრადიციებს. ასევე მოხდა მწერლობაში, მხატვრობაში, მუსიკაში.“

ჩვენი თაობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი იყო ერთმანეთზე ზრუნვა, სხვისი წარმატებით გახარება და სხვისი ტკივილის გულთან მიტანა. ისიც უნდა ითქვას, რომ უფროს თაობასთან დაპირისპირებულები არ ვყოფილვართ. საერთოდაც, კინემატოგრაფისტები ერთ ოჯახად მოვიაზრებოდით“ (შენგელაია, 2013, გვ. 110-111).

კინოასპარეზოზე გამოსულ ახალ თაობას ახალი სათქმელის ახლებური ფორმით გამოხატვაში კინოდრამატურგია უნდა დახმარებოდა, რაც კარგად ესმოდა კინოსტუდიის იმდროინდელ დირექტორ მიხეილ კვესელავას. სწორედ მისი ინიციატივით მიიწვიეს ახალგაზრდა მწერლები ქართულ კინოში. ესენი იყვნენ: რეზო ინანიშვილი, რეზო ჭეიშვილი, მერაბ ელიოზიშვილი, ნოდარ დუმბაძე, ოტია იოსელიანი, არჩილ სულაკაური, ანზორ სალუქვაძე, რეზო თაბუკაშვილი, გურამ ასათიანი. მათ გარდა, იყვნენ ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლები, რომლებიც სასცენარო განათლების მისაღებად მოსკოვში გაგზავნეს და იქიდან პროფესიონალი კინოსცენარისტები დაბრუნდნენ: სულიკო ჟღენტი (1954 წელს დაამთავრა მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სასცენარო ფაკულტეტი), ერლომ ახვლედიანი (1964 წელს დაამთავრა მოსკოვის უმაღლესი სასცენარო კურსები), ამირან ჭიჭინაძე (1964 წელს დაამთავრა მოსკოვის უმაღლესი სასცენარო კურსები) და რეზო გაბრიაძე (1967 წელს დაამთავრა მოსკოვის უმაღლესი სარეჟისორო და სასცენარო კურსები).

„ასე ნაბიჯ-ნაბიჯ, კენჭ-კენჭ რაღაც ახალი შენდებოდა და ერთხელაც გავიღვიძეთ სრულიად ახალმა შემოქმედებმა და ვიგრძენით, რომ სხვა რამ უნდა გაგვეკეთებინა. ჩვენ პროგრამა არ დაგვიწერია, მანიფესტი არ გამოგვიქვეყნებია, უნებურად დავიწყეთ ახალი ცხოვრების შექმნა“ (ჭილაძე, 2014, გვ.182).

1961 წლის დასაწყისში რეჟისორმა გიორგი შენგელაიამ მწერალ ერლომ ახვლედიანს მოსკოვიდან ახალჩამოსული რეჟისორი, ალექსანდრე დოვჟენკოსა და მიხეილ ჭიაურელის მოწაფე, ოთარ იოსელიანი გააცნო. იგი სადებიუტო ფილმის გადაღებას აპირებდა და სცენარისტობა ერლომ ახვლედიანს შესთავაზა. მოგვიანებით ერლომი წერდა: „მაშინ კინოზე საერთოდ არაფერი ვიცოდი, არც მის სიმწიფეზე და არც მის შესაძლებლობებზე“.

1962 წელს გამოვიდა მათი ფილმი „აპრილი“. ამ დროისთვის ერლომ ახვლედიანს, როგორც მწერალს, უკვე იცნობდნენ ლიტერატურულ წრეებში. მან უნივერსიტეტის მეგობრებთან ზეპირად მოყოლილი ამბები ორი გმირის - ვანოსა და ნიკოს - შესახებ ისევ მეგობრების რჩევით ჩაწერა და კრებულად აქცია. ეს არ იყო ჩვეული თხრობა და „დაკვირვებული თვალი“ ამჩნევდა „სხვაგვარად აზროვნების“ ნიშნებს (მოგვიანებით, 1961 წელს, „ვანოსა და ნიკოს“ დაბეჭდვა მხოლოდ გამომცემლობა „ნაკადულის“ იმდროინდელმა დირექტორმა ხუტა ბერულავამ გაბედა და ისიც ახალგაზრდული აღმანახის იუმორის განყოფილებაში).

არც „აპრილი“ საუბრობდა ჩვეული თხრობითი ენით. ერლომ ახვლედიანის მხატვრული ნაწარმოებების იგავური ენა ფილმში გარკვეული კინემატოგრაფიული ფორმით გადავიდა. აქაც დაინახა ცენზურამ ისეთი რამ, რაც კინოსურათის დიდი ხნით თაროზე შემოდების საფუძველი გახდა. „აპრილი“ მაშინ ეკრანებზე არ გამოსულა. დებიუტანტმა რეჟისორმა კი მის გადაკეთებაზე უარი თქვა. ფილმი მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 30 წლის დაგვიანებით, შეხვდა მაყურებელს.

საქართველოს ეროვნულ არქივში, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ფონდში, ნომრით 3133 ინახება მოკლემეტრაჟიანი ფილმი „აპრილის“ ლიბრეტო. რუსულად ნაბეჭდ დოკუმენტს ერთვის სატიტულო ხელნაწერი გვერდი, რომელიც ამგვარადაა დასათაურებული: „Рассказ о вещах“ (Либретто короткометражного фильма) г. Тбилиси, 1961. (მოთხრობა ნივთების შესახებ, მოკლემეტრაჟიანი ფილმის ლიბრეტო, ქ. თბილისი, 1961). 23-გვერდიანი ლიბრეტო მთავრდება მეღნიშნით შესრულებული ხელმოწერით: Э. Ахвледиანი და О. Иоселиани. მეორე გვარი О. Иоселиანი გადაშლილია და თუმცა რთულად, მაგრამ მაინც

იკითხება. ქვემოთ მითითებულია თარიღი: 20. 2. 61. პირველ გვერდზე კი, ზედა მარცხენა კუთხეში, ქართულად აწერია: ლიბრეტოს ვამტკიცებ. მ. კვესელავა. 8 III- 61.

აღსანიშნავია, რომ ავტორები ხმარობენ სიტყვას „ლიბრეტო“ (იტალ. Libretto – წიგნაკი), რომელიც ნიშნავს მუსიკალურ-სცენური თხზულების (ოპერა, ბალეტი, თეატრი) სიტყვიერ ტექსტს. არქივის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ფონდში კიდევ ბევრი მასალაა შენახული ამ სათაურით. მათი გაცნობისას ნათელი ხდება, რომ სახელწოდებით „ლიბრეტო“ თითქმის 70-იანი წლების ბოლომდე აღინიშნებოდა ფილმის განაცხადი, ანუ ის, რასაც დღეს დავარქმევდით გაფართოებულ სინოპსის ან თრითმენტს (ფილმის თეორიული შესავალი და დეტალური შინაარსი დიალოგების გარეშე). აქვე დავძენ, რომ, როგორც ჩანს, ლიბრეტოს ფორმატი არ იყო მორგებული რკინის ჩარჩოებს და ყოველი კონკრეტული ფილმისთვის იცვლიდა ფორმას. თუმცა ეს სხვა საუბრის თემაა. რაც შეეხება „აპრილს“, ამ ფილმში ტექსტი საერთოდ არაა, ამიტომაც ეს ლიბრეტო ფაქტობრივად მისი ლიტერატურული სცენარია.

არქივში შენახული გადასაღებად დამტკიცებული ლიტერატურული სცენარი (ამ შემთხვევაში ლიბრეტო) ნაწილობრივ განსხვავებულია ფილმისგან და დღეს მისი გაცნობა საინტერესოა იმ შემოქმედებითი გზის აღსაქმელად, რომელიც ავტორებმა ფილმის შექმნისას გაიარეს და კიდევ იმის გასარკვევად, რა გახდა კინოსურათის აკრძალვის მიზეზი.

კინომცოდნე გიორგი გვახარია წერს: „აპრილის“ ისტორია გარკვეულწილად ანგრევს მითს, რომლის თანახმადაც ქართულ საბჭოთა კინოში ცენზურა არ არსებობდა და არც ერთი ქართული ფილმი არ „შემოუდვიათ თაროზე“ (გვახარია, 2002, <https://www.radiotavisupleba.ge/a/1525446.html>).

ჰალიფაქსის დალჰაუსის უნივერსიტეტის პროფესორი, ჯერი უაიტი, „აპრილს“ ტკბილ და ბუნდოვან, მაგრამ კრიტიკულ ფილმს უწოდებს და ამბობს: „დისიდენტი რეჟისორის საუკეთესო მაგალითია ოთარ იოსელიანი, რომლის ნამუშევრებშიც შესანიშნავადაა ასახული ყოველდღიური ცხოვრების უაზრობა სოციალისტური რეჟიმის პირობებში“ (უაიტი, 2015, გვ. 25).

თუმცა ოთარ იოსელიანს და ერლომ ახვლედიანს არ მიაჩნდათ თავი დისიდენტებად.

დავიწყით სცენარით. სატიტულო გვერდის შემდეგ, პირველივე გვერდი იწყება ასე: „ჩვენ გვინდა, გადავიღოთ ფილმი იმაზე, რომ ვერავითარი ფასეულობით ვერ იყიდი ბედნიერებას, არავითარი სიმდიდრე არ ცვლის სიყვარულს და სიხარული მიდის იმათგან, ვინც თავის სულს ახურდავებს კეთილდღეობის წვრილ ხურდაზე“ (ტექსტი რუსულ ენაზე).

ერთი შეხედვით, ამ შესავალში არაფერია ისეთი, რაც საბჭოთა ცენზურას არ უნდა მოსწონებოდა. უფრო პირიქით - საბჭოთა იდეოლოგია წლების განმავლობაში უჩიჩინებდა ადამიანებს, რომ კეთილდღეობა არ არის მთავარი. ის მოვა მაშინ, როდესაც საყოველთაო თანასწორობა - კომუნიზმი - დამყარდება ყველგან, მანამდე კი ბრძოლაა საჭირო.

შესავლის შემდეგ მოქმედ გმირთა ჩამონათვალია მცირე დახასიათებით: „ახალგაზრდა ცოლ-ქმარი; ძალიან მოხუცი ცოლ-ქმარი, რომელიც ოთხ ხელში უკრავს ფორტეპიანოზე ძველებურ პიესას; სპორტსმენი, რომელიც მოპირდაპირე სახლში ცარიელ ოთახში ცხოვრობს და მთელი დღეები გირებით ვარჯიშობს, ხტუნაობს და ხელებზე დადის“. გარდა ამისა, მოქმედ გმირებად ჩამოთვლილია: კარადები, სკამები, დივანი, ტრელაჟი, სერვანტი, გარდერობი, მაცივარი, ტელევიზორი, მტვერსასრუტი და „სხვა, ჩვენს მიმართ მტრულად განწყობილი ნივთები“.

ფილმში მონაწილეობენ მუსიკოსები, რომლებიც „დროდადრო უკრავენ გამებს, ეტიუდებს, ხმას ავარჯიშებენ რომანსებისათვის, ასევე სევდიანი და მხიარული სიმღერებისათვის, იმის მიხედვით, თუ რას გააკეთებენ ჩვენი გმირები....ახლა მიდის ტიტრები. უკრავს ვალტორნა, ყვირის საყვირი, ბარაბანი რიტმს კარნახობს და თეფშები ეხმაურებიან“.

მოქმედება იწყება ჯერ დაუსახლებელი ახალი უბნიდან, სადაც ყველა სახლი ერთნაირია. „ისინი ჯერ არ გავსებულა არავის აზრებით და განცდებით. ამ კედლებს ჯერ არ გაუგიათ მუსიკა, არც სიცილი, არც ყვირილი და კამათი. არ უნახავთ სიყვარული, სიხარული, ტანჯვა. გარშემო სიჩუმეა“.

ამ სიჩუმესა და სიცარიელეში ხმაურით შედიან ადამიანები თავიანთი ავეჯით, ნივთებით, შედიან ბინებში და კეტავენ კარებს, რაზავენ საკეტებს, ურდულებს.

ამ უბანში შემოდის საცხოვრებლად ახალგაზრდა ცოლ-ქმარი - ვაჟა და მზია.

ასე იწყება სცენარი. ფილმი კი უფრო შორიდან - ქალაქის ძველი უბნიდან - იწყება. ქვით მოკირწყლულ ლაბირინთებში ადამიანები დადიან, სახლებში ავეჯი შეაქვთ, ნივთებით ავსებენ. მათგან განსხვავდებიან შეყვარებულები - ვაჟა და მზია, რომლებსაც ადგილი ვერ უპოვიათ განმარტობისთვის - ყველა სადარბაზოში, სადაც კი ახალგაზრდები შეირბენენ, იქ მცხოვრებთ რაღაც მიაქვთ - თითქოს, მათ გარდა, ყველას ნივთების შეძენის სენი შეჰყრია. შეყვარებულებმა მხოლოდ ქალაქის განაპირას, დიდ მდელზე მდგარ მუხასთან, შეძლეს ეკოცნათ ერთმანეთისთვის. ამის შემდეგ გადავინაცვლებთ ახალ უბანში, სადაც (როგორც სცენარშია) ახალმოსახლებებს შორის უკვე დაქორწინებული ვაჟა და მზია არიან. მათ ახლა ადგილის ძებნა აღარ უწევთ, ნივთებისგან ცარიელი, მაგრამ სიყვარულით სავსე თავიანთი ბინა აქვთ და არც არაფერი სჭირდებათ: აკოცებენ ერთმანეთს - ნათურა ინთება, კიდევ აკოცებენ - ონკანში წყალი მოდის, კიდევ - გახეხურა ინთება.

ფილმში არაფერია დაკონკრეტებული - არც მოქმედების ადგილი, არც გმირების ეროვნება, არც დიალოგები. ავტორები ცდილობენ, აზრი ალეგორიის გზით განავითარონ. ამ ხერხს იყენებდა ერლომ ახვლედიანი ყველა მანამდე შექმნილ ლიტერატურულ ნაწარმოებშიც.

ფილმში სიტყვები არაა, გმირები ერთმანეთს უსიტყვოდაც აგებინებენ, ისევე, როგორც ავტორები ჩვენ, მაყურებელს (ფილმში მუსიკას, რომლის კომპოზიტორია სულხან ნასიძე, გამორჩეული როლი აკისრია). ამ 45-წუთიან ფილმ-ზღაპარში (ასე აწერია ფილმს), ყველაფერი მოქმედებითა და მუსიკით გადმოიცემა. ამდაგვარი მოკლემეტრაჟიანი კინოსურათები ქართველი მაყურებლისთვის ახლა უცხო არ არის, თუმცა მაშინ 1961 წელი იდგა და მიხეილ კობახიძეს „ქორწილი“ ჯერ არ გადაეღო, ალბერ ლამორისის ყველაზე ცნობილ ფილმ „წითელ ბუშტს“ კი უკვე აღებული ჰქონდა ოქროს პალმის რტო კანის ფესტივალზე და „ოსკარი“ საუკეთესო სცენარისთვის.

ვფიქრობ, ეს სწორედ ის შემთხვევაა, რაზეც თამაზ ჭილაძე ამბობს: „ქვეყნიდან ქვეყანაში გადადის შემოქმედებითი იდეები, განწყობა, მხატვრული სახეები“. და მაინც, „აპრილის“ ქართულ წინამორბედად უფრო მეტად 1929 წელს გადაღებული კოტე მიქაბერიძის „ჩემი ბებია“ მიმაჩნია. მართალია, პირველი ხმოვანი ქართული ფილმი მხოლოდ 1932 წელს გადაიღეს და „ჩემი ბებია“ უხმო ფილმია, მაგრამ თავისი ფორმით ის ტექსტს, სიტყვებს საერთოდ არ საჭიროებს.

„მაშინ უხმო კინო გახლდათ სრულყოფილი ხელოვნება. ხმას შეიძლება ჰქონოდა მხოლოდ დაქვემდებარებული და მეორადი როლი, როგორც გამოსახულების კოტრაპუნქტს. მაგრამ ამ შესაძლო გამდიდრებასაც კი - ნაკლებ მნიშვნელოვანს - არ ჰქონდა არანაირი შანსი დაჰპირისპირებოდა რეალობის იმხელა მასშტაბებს, რომელიც ხმოვანი ფილმის გაჩენამ მოიტანა“ (ბაზენი, http://gennariello1927.blogspot.com/2017/09/blog-post_25.html), - წერდა კინომცოდნე ანდრე ბაზენი.

თუმცა უხმო (უფრო სწორად, უტექსტო) კინოს მოგვიანებით, ხმოვანი კინოს პერიოდშიც მიუბრუნდნენ რეჟისორები და არაერთი შესანიშნავი ფილმი შექმნეს. რაც შეეხება „ჩემ ბებია“, იგი გამოსვლის შემდეგ აიკრძალა, რადგან მიქაბერიძეს ბრალი დასდეს ფორმალიზმში, რაც მაშინ სერიოზული ბრალდება იყო ხელოვანებისთვის. რეჟისორს ანტისაბჭოთა განწყობაშიც ადანაშაულებდნენ.

„ჩემი ბებია“ უფრო მეტად ანტიბიუროკრატიული ფილმია, ვიდრე ანტისაბჭოთა... მან აღწერა ის სიტუაცია, რომელიც ჩათვალა, რომ იყო პრობლემური. უბრალოდ პრობლემა ის იყო, რომ პრობლემებზე საუბარი საბჭოთა კავშირში და ხელისუფლების ღიად კრიტიკა აკრძალული იყო და არ შეიძლებოდა“ (მანძავა, 2017, <https://netgazeti.ge/culture/224668/>).

დაახლოებით ასეთივე ბედი ერგო „აპრილს“. ფილმის ფორმაც და შინაარსიც მიუღებელი გახდა იმ პერიოდის კინომესვეურთათვის. მაშინ კინოსტუდიაში რედაქტორად მუშაობდა აკაკი ბაქრაძე. „ვინ აგებს დღეს პასუხს "აპრილზე"? არავინ. არადა, ფილმოთეკიდან ვინმემ ფირის ერთი მეტრიც რომ მოიპაროს, ციხეში ამოჰყოფს თავს. აქ კი მთელი ფილმი გაქრა და ვითომც არაფერი“, წერდა იგი 1974 წელს (ბაქრაძე, <http://www.opentext.org.ge/index.php?m=28&y=2001&art=504>, ბოლოს ნანახია: 01.04.2019).

ექსპოზიციის შემდეგ სცენარში მოქმედება ასე ვითარდება: ვაჟამ ახალდაკრეფილი იები მიუტანა მზიას. ყვავილები ვერსად ჩადეს და ვაჟამ ახლა ლარნაკი იყიდა, ლარნაკს მისი დასადგმელი პატარა მაგიდა მოაყოლა, მაგიდას - სკამი, სკამს - ფარდაგი და ასე დაიწყო ნივთებით სახლის გავსება. ამაში ვაჟას მეზობელი - გამხდარი, შავგვრემანი, კეპიანი მამაკაცი უწყობს ხელს. მზია და ვაჟა ახლა ერთმანეთს ვერ კოცნიან - ნივთები უშლით ხელს და მხოლოდ ჰაეროვან კოცნას უგზავნიან. ადრე თუ მზია ქმარს ეფერებოდა, ახლა ავეჯს ეფერება მტვრის გადასაწმენდით; ადრე ისინი მტრედებივით ღულუნებდნენ, ტელეფონით საუბრისას კი ყურმილს იდებდნენ გულზე და ერთმანეთის გულისცემას ისმენდნენ. ახლა გარკვევით ლაპარაკობენ და წამოიძახებენ: კარადას ნუ ადებ ხელს! აილე მაგიდიდან შენი ფურცლები! მაგიდის ქვეშ ფეხსაცმელებს ნუ დებ! რამდენი მტვერია!

ფილმში იოსელიანმა უარი თქვა გმირების ბოლომდე ამეტყველებაზე. ისინი გაურკვეველ სიტყვებს ისვრიან ჩხუბისას, რომლებიც შეგვიძლია მხოლოდ მივამსგავსოთ ზემოჩამოთვლილ ფრაზებს.

ფილმში მეტადაა გამოკვეთილი უარყოფითი გმირის, ანტაგონისტის, სახე - ეს ის შავებში ჩაცმული მეზობელი კაცია, რომელიც ყველა კარის გასაღების ჭუჭრუტანაში იყურება, რათა დარწმუნდეს, რომ ყველანი ისე ცხოვრობენ, როგორც საჭიროა - ნივთების გარემოცვაში: იძენენ, უვლიან და უფრთხილდებიან, თავს დაჰკანკალებენ მათ. მოთვალთვალე კაცი, შესაძლოა, 60-იანი წლების დასაწყისში ისეთი აქტუალური სახე აღარაა, როგორც 30-იან წლებში, მაგრამ საბჭოთა მაცურებლისთვის კარგად ნაცნობია. კაცი ხედავს, რომ ვაჟა და მზია სხვებივით არ ცხოვრობენ და ცდილობს ეს შეცვალოს. როცა მათთან საუბრით არაფერი

გამოუვა, ბინაში ჩუმად სავარძელს შეუდგამს. სავარძელი გახდება პირველი ნივთი, რომლის გარშემოც იწყებენ ისინი სხვა ნივთების დაწყობას. ბოლოს მეზობელი კლიტესაც აჩუქებს გასაღებით და ახალგაზრდების ბინის კარიც ისეთივე ხმაურით ჩაირაზება, როგორც მათი მეზობლების. მოთვალთვალე კაცი თითქოს განსაკუთრებულად ცუდს არაფერს აკეთებს, მაგრამ მისი შემოსვლისას მზიასა და ვაჟას ბინაში შუქი მიდის, წყალი წყდება, ცეცხლი ქრება. ახალგაზრდები ისეთივენი ხდებიან, როგორც სხვები. ისინი აღარ კოცნიან ერთმანეთს, აღარ არის სიყვარული და ჩხუბს იწყებენ. ამიტომ აღარ უკრავენ დადარდიანებული მუსიკოსები, აღარ ცეკვავს ბალერინა.

სცენარის მიხედვით, ცოლ-ქმარმა ჩხუბისას დაამტვრია მთელი ავეჯი, შემდეგ კი სატვირთო მანქანამ გადაყარა მდინარეში, სადაც დინებას მიაქვს. გმირები თვითონ ყრიან ფანჯრიდან ავეჯს, რომელიც ნაწილებად იმსხვრევა. შემდეგ მუსიკოსები კვლავ იწყებენ დაკვრას, ცოლ-ქმარი ისევ კოცნის ერთმანეთს, დადარდიანებული მხოლოდ შავტანსაცმლიანი მეზობელია. საფინალო კადრში ვაჟა და მზია ქალაქგარეთ იმ ხესთან მიდიან, რომელთანაც პირველად აკოცეს ერთმანეთს. ხე მოჭრილია.

სცენარის ფინალში მოპირდაპირე სახლში მცხოვრები ახალგაზრდა სპორტსმენი, იების კონით ხელში, ჩაფიქრებული დგას ჭურჭლის მაღაზიასთან. ქუჩის კუთხეში კი მისი გოგონა იცდის.

აკაკი ბაქრაძე ყვება: „ეს სურათი ერთ დიდად პასუხისმგებელ პირს უჩვენეს. მან სევდიანი სახითა და დარდიანი თვალებით უყურა ფილმს და თქვა: ამ კინოსურათის ჩვენება არ შეიძლება. იგი მიმართულია ავეჯის შეძენის წინააღმდეგ. ეს კი დაუშვებელია. როგორ შეიძლება გადავყაროთ სკამები, მაშინ რაზე უნდა დავსხდეთ? როგორ შეიძლება დავამტვრიოთ კარადები, მაშინ სად შევაწყოთ ჯამ-ჭურჭელი, ტანსაცმელი? თუ ავეჯი გადასაყრელია, მაშინ რატომ ვაშენებთ ავეჯის ფაბრიკებს? რატომ გვაქვს ავეჯის მაღაზიები? თუ ადამიანები ბევრ ავეჯს ყიდულობენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი კარგად ცხოვრობენ, კარგ ცხოვრებას კი რა სჯობს! ამისთვის ვიბრძვით ჩვენ.“

შევეცადეთ დაგვემტკიცებინა, რომ აქ ავეჯი არაფერ შუაშია. ფილმი აკრიტიკებს ობივატელობას, ფილისტერობას, მეშჩანობას. ადამიანმა ზომიერების გრძნობა არ უნდა დაკარგოს და არ უნდა იქცეს ნივთების მონად, ნივთი ადამიანს უნდა აშვენებდეს და არა ადამიანი ნივთს.

ყურადღებით მოგვისმინა, მაგრამ პასუხად გვითხრა: - ფილმში მე მხოლოდ ის დავინახე, რომ ავეჯს ყრიან. ეს კი ანტისაზოგადოებრივი საქციელია, რადგან ამით გამოხატულია ავეჯის ფაბრიკის მუშაკების შრომისადმი უპატივცემულობა. ჩვენ არავის მივცემთ უფლებას პატივი არ სცეს შრომას.

ამით საუბარი დამთავრდა და „აპრილი“ მაყურებელს აღარ უნახავს. სამწუხაროდ, მაშინ ვერ გავხედეთ გვეკითხა, განა „აპრილი“ შრომის ნაყოფი არ იყო“ (ბაქრაძე, <http://www.opentext.org.ge/index.php?m=28&y=2001&art=504>,

„რატომ ხდება ასე? რატომ განსაზღვრავს ხშირად ხელოვნების ამა თუ იმ ნაწარმოების ბედს ამ საქმის უმეცარი ადამიანების აზრი?“ - კითხულობს აკაკი ბაქრაძე.

ამ ადამიანებმა ვერ დაინახეს, რომ ფილმი იყო იმ მოჩვენებითი ფასეულობების წინააღმდეგ ამბოხი, რომლებიც ავსებს და იპყრობს ადამიანის სულს. ეს იყო გაფრთხილება მეშხანური მომხვეჭელობის, მაძლარი კეთილდღეობის საშიშროებაზე, რომელიც ადამიანში კლავს გრძნობებსაც და აზრებსაც. თუმცა ამბოხი, როგორც ჩანს, მაინც დაინახეს.

„ქართული კინოს ცენზორებს, რაღა თქმა უნდა, იმის არ შეშინებიათ, რომ „აპრილი“ ვინმეს, შეიძლება, „ავეჯის შეძენის წინააღმდეგ“ მიმართულ ფილმად აღექვა. იმხანად კარგი ავეჯი საბჭოთა კავშირში ისედაც არ იშოვებოდა და, წესით და რიგით, ხელისუფლებას უნდა მოსწონებოდა კიდევ ახალგაზრდა რეჟისორის პოზიცია ...საბჭოთა კინოჩინოვნიკები უფრო თავისუფლების იმ სახემ შეაშინა, რომელიც იოსელიანის ფილმის ფინალში დამკვიდრდა, შეაშინა იმ ბუნტმა, რომელსაც ფინალში მიმართავენ სურათის გმირები“ (გვახარია, 2002, <https://www.radiotavisupleba.ge/a/1525446.html>).

მე-20 საუკუნის 60-იანი წლები მართლაც იყო ე.წ. კულტურული ამბოხის პერიოდი, რომლის დასაწყისში „აპრილიც“ იდგა.

კინომცოდნე კორა წერეთელი ამბობს, რომ ოთარ იოსელიანისთვის „აპრილი“ იყო თეზისი, ჩანახატი, საცდელი კალამი, მაგრამ, ამავე დროს, ეს იყო დეკლარაცია“ (Церетели, 1981, стр. 146), რომელიც მან შემდეგ გაშალა, სხვადასხვა მხატვრული ხერხით შეავსო და ამან მთელი მისი შემოქმედებითი გზა განსაზღვრა.

ასევე საინტერესოა, რომ ერლომ ახვლედიანისთვის, რომელიც ფილმის გადაღების შემდეგ კინოსცენარისტის პროფესიას მოსკოვის თეატრისა და კინოს საკავშირო ინსტიტუტში დაეუფლა და მრავალი მნიშვნელოვანი ფილმის სცენარის ავტორი გახდა, „აპრილის“ მხატვრული ენა ყველაზე მეტად ჰგავს მისი ლიტერატურული ნაწარმოებების ალეგორიულ-იგავურ ენას.

მოკლედ, ფილმში ცენზორებმა ამბოხი დაინახეს, რადგანაც გმირები მართლაც ისვრიან ავეჯს ფანჯრიდან, მაგრამ, ვფიქრობ, მათ ეს ბუნტი არატრადიციულ მხატვრულ ფორმაშიც შენიშნეს, რამაც არაცნობიერად შეაშინა, როგორც ოდესღაც „ჩემმა ბებია“.

დასასრულ, მოვიტან ოთარ იოსელიანის ერთ ციტატას: „აზრი, რომელსაც ხმამაღლა გამოთქვამ, ბევრს კარგავს. ის ქვეცნობიერად გადის ინერციულ ფსიქოლოგიურ ბარიერებს და მისი თავისუფალი მდინარეობა სახეს იცვლის. ყოველთვის ჯობია ცოტ-ცოტა იცინო საკუთარ თავზე, გაიღიმო - აი, ისტორიაც, რომელიც ხდება ხოლმე ცხოვრებაში, გინდ დაიჯერეთ, გინდ - არა“ (Церетели, 1981, стр. 149).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე, თ. (2014), „ანარეკლები“. თბილისი.
2. „აპრილი“. კინოფილმი. <https://net.adjara.com/Movie/main?id=14533>
3. ბაზენი, ა. „კინოენის ევოლუცია“http://gennariello1927.blogspot.com/2017/09/blog-post_25.html
4. ბაქრაძე, ა. „რატომ ხდება ასე?“
<http://www.opentext.org.ge/index.php?m=28&y=2001&art=504>, ბოლოს ნანახია: 01.04.2019
5. გვახარია, გ. (2002). <https://www.radiotavisupleba.ge/a/1525446.html>
6. საქართველოს ეროვნული არქივი. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ფონდი.

7. უაიტი, ჯ. (2015). „აღმოაჩინე ქართული კინო“. „თბილისიდან თეირანში და უკან“. კალიფორნიის უნივერსიტეტი.
8. შენგელაია, ე. (2013). „...მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა!“. თბილისი.
9. „ჩემი ბებია“. კინოფილმი. <https://www.youtube.com/watch?v=nGQihU2HHJs>;
10. ძანძავა, ნ. (2017), „პირველი მონოგრაფია კოტე მიქაბერიძის შესახებ“. <https://netgazeti.ge/culture/224668/>;
11. Церетели, К. (1981). „Трилогия Отара Иоселиани“. Алманах „Кино панорама“. Москва. Искусство.

**Ketevan Patariaia,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University Shelved debut**

Otar Ioseliani's and Erlom Akhvlediani's "April"

Summary


In the beginning of 1961, film director Giorgi Shengelaia introduced to young writer Erlom Akhvlediani disciple of Alexander Dovzhenko and Mikheil Chiaureli, Otar Ioseliani, that had arrived from Moscow. He was planning to make his debut film, and was offered a script by Erlom Akhvlediani.

The libretto of the short film "April" is stored in the Fund of the Georgian Film Studio, at the National Archives of Georgia, as file number 3133. Its authors are Erlom Akhvlediani and Otar Ioseliani. The work is dated February 20, 1961. The libretto was approved for filming by then director of the film studio, Mikheil Kveselava.


Otar Ioseliani made the movie called "April" that didn't make it through censorship that identified something inappropriate about it, which became the reason of the film going to the shelf for a long time. Debut director gave up the idea of making it. Therefore, the film only reached the audience 30 years later, after the breakup of the Soviet Union.

The libretto stored in the archives that was approved for filming is partly different from the movie. It's interesting to study this document today to better understand the creative process the authors went through, and to learn about the true reason why the movie was banned.

ფოტოები:



ერლომ ახვლედიანი



აფიშა ფილმისა „აპრილი“



გიორგი შენგელაია და ერლომ ახვლედიანი





ოთარ იოსელიანი

**ლაშა ჩხარტიშვილი,
საქართველოს შოთა რუსთველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**დრამატურგ რეზო კლდიაშვილის პირადი არქივი თანამედროვე ქართული
თეატრის ისტორიისთვის**

საოჯახო არქივში დაცული მასალა ეპოქის, პიროვნების თუ გარკვეული პრობლემური საკითხების კვლევის პროცესში მნიშვნელოვანი წყაროა ისტორიკოსებისა და მკვლევარებისთვის ყველა ეპოქაში. საოჯახო არქივში შესაძლოა ინახებოდეს ის, რაც არ არის ხელმისაწვდომი ფართო აუდიტორიისთვის, რაც ხელოვნის ან საზოგადო მოღვაწის პირადი საკუთრებაა, რომელიც შესაძლოა მნიშვნელოვანი წყარო იყოს ეპოქის ან კონკრეტულად ამ ხელოვნის, ან მისი თანამედროვეების შემოქმედების კვლევის პროცესში. საოჯახო არქივში დაცული პირადი საკუთრების ნებისმიერი ნივთი სავსებით შესაძლებელია იყოს

საზოგადოებრივი, ზოგჯერ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტი ან ერთგვარი გასაღები ხელოვნის ბიოგრაფიის ან მისი შემოქმედების უკეთ შესასწავლად.

ერთ-ერთი ასეთია ქიმიკოსისა და დრამატურგის რეზო კლდიაშვილის საოჯახო არქივი, რომელიც არა მხოლოდ ამ დრამატურგის ბიოგრაფიის მნიშვნელოვან დეტალებს და ფაქტებს ინახავს, არამედ ნათელს ჰფენს გასული საუკუნის 90-იანი წლების ქართული თეატრის სურათს და ავსებს ისტორიას ახალი წყაროებით.

დრამატურგ რეზო კლდიაშვილის პირადი არქივი მნიშვნელოვანი მასალაა უახლესი პერიოდის ქართული თეატრის ისტორიის შესასწავლად, განსაკუთრებით 1990-იანი წლებიდან დღემდე.

საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან (1991წ.) არაერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური ქარტეხილი გამოიარა. ქვეყანაში ბევრი სფერო კრიზისს განიცდიდა, მათ შორის, თეატრიც. ომების, ეკონომიკის მკვეთრი დაცემისა და სოციალური სიდუხჭირის პირობებში ქართული თეატრი ცდილობდა გადარჩენას. ქვეყანაში დაისადგურა ნიჰილიზმმა, რომელმაც საზოგადოებრივი ინსტიტუტებიც შეასუსტა. თეატრი არ იყო გამონაკლისი. შეწყდა სახელმწიფო თეატრების თანმიმდევრული და სტაბილური ფუნქციონირება, თუმცა მაინც იდგმებოდა სპექტაკლები, რომელთაც მაყურებელი არ მოკლებია. სწორედ იმ პერიოდში (XX საუკუნის 90-იან წლებში) სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის პროზაიკოსი (1990 წელს გამოიცა მწერლის მოთხრობების პირველი კრებული) და დრამატურგი (1995 წელს მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა მისი პიესა „საპოვნელა“) რეზო კლდიაშვილი, რომელმაც თავისი შემოქმედებით იმთავითვე მიიქცია (აღიარებული და) გამოჩენილი მწერლებისა თუ თეატრის მოღვაწეების ყურადღება. საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი ავტორი მალე მოექცა თეატრის მოღვაწეთა ინტერესის სფეროში.

რეზო კლდიაშვილი დაიბადა ქუთაისში (24.09.1947.), დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-ქიმიკოსის სპეციალობით. არის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი და კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კონსერვაციისა და რესტავრაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელი. ქიმიის დარგში ავტორია არაერთი სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის და სამეცნიერო შრომის. ის საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრია, ასევე აშშ-ის მეცნიერთა საპატიო საზოგადოების „Sigma XI“-ის ნამდვილი წევრი, სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიების დეპარტამენტის სადისერტაციო საბჭოს წევრი, პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის მრჩეველთა საბჭოს წევრი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი.

ქიმიკოსმა რეზო კლდიაშვილმა ლიტერატურული საქმიანობა 1981 წელს დაიწყო (ლიტერატურული დებიუტი შედგა ჟურნალებში „ცისკარი“ და „ლიტერატურული საქართველო“). 1990 წელს გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა მოთხრობების პირველი კრებული. 1998 წელს კი მისი მოთხრობების მეორე კრებული „მეც ჩემი ბავშვობიდან მოვდივარ“ გამოვიდა. 2002 წელს დაიბეჭდა მისი პიესების კრებული „იადონას თეატრი“, 2005

წელს - „ზარატუსტრას ჟამი“ (ქართულ, გერმანულ და რუსულ ენებზე). 2018 წელს მისი ახალი მოთხრობების კრებული „საფიჩხიელი პაგანი“ გამომცემლობა „პალიტრა L“-მა გამოსცა.

რეზო კლდიაშვილი ავტორია პიესების: „საპოვნელა“ (1995, მარჯანიშვილის თეატრი, რეჟისორი - მედეა კუჭუხიძე), „იადონას თეატრი“ (1997, მარჯანიშვილის თეატრი, რეჟისორი - გოგი თოდუაძე, იმავე წელს მესხეთის თეატრში, რეჟისორი - ავთანდილ ვარსიმაშვილი; 2001, მესხიშვილის თეატრი, რეჟისორი - ნუგზარ ლორთქიფანიძე; 2007, ზუგდიდის თეატრი, რეჟისორი - ირაკლი გოგია), „შორაპნელი ქალბატონები“ (1998, რუსთაველის თეატრი, რეჟისორი - მედეა კუჭუხიძე), „როსტომ მანველიძე“ (ეს მისია? ალბათ სცენარი) (2001, მეტეხის თეატრი, რეჟისორი - სანდრო მრევლიშვილი; 2010, ზესტაფონის თეატრი, რეჟისორი - მამუკა ცერცვაძე), „მარტოობის ბინადარი“ (2001, ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო“, რეჟისორი - ნანა მჭედლიძე), „სუფრა“ (2003, ამსტერდამი, ბერლინი, რეჟისორები: ფერი დე გუესი და ნოორტ ბიჯვოეტსი), „ზარატუსტრას ჟამი“ (2004, თეატრალიზებული ავტორისეული კითხვა ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო“ და სამეფო უბნის თეატრი; 2009, ზუგდიდის თეატრი, რეჟისორი ირაკლი გოგია), „პილონი“ (2007, ფოთის თეატრი, რეჟისორი - ირაკლი გოგია), „იმერული რეკვიემი“ (2014, ახმეტელის თეატრი, რეჟისორი - ირაკლი გოგია). 2017 წელს ნიუ-იორკში (აშშ), მანჰეტენზე შედგა რეზო კლდიაშვილის პიესა „პილონის“ თეატრალიზებული კითხვა (ცხრა ქართველ დრამატურგს შორის). ავტორია ორი ისტორიული ჟანრის პიესის: „პატრონი“ (1998) და „ბიზანტიის დედოფალი“ (1999). (კლდიაშვილი, 2012, გვ.6).

დრამატურგი დაჯილდოებულია შემდეგი პრემიებით: დავით კლდიაშვილის სახელობის პრემია (2000), საქართველოს სახელმწიფო პრემია (2002), „წლის საუკეთესო სპექტაკლი“ (საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის პრემია, 2010), „ხელოვნების ქურუმი“ (2017). არის ქუთაისის საპატიო მოქალაქე (2018).

რეზო კლდიაშვილის არქივში ინახება ქართული თეატრის მოღვაწეების: რეჟისორების, დრამატურგების, მსახიობების, თეატრმცოდნეების, ასევე სხვა პროფესიების გამოჩენილ ხელოვანთა თუ მეცნიერთა მოგონებები, შთაბეჭდილებები, შეფასებები ამა თუ იმ თეატრის (მათ შორის, სახელმწიფო, სახალხო, მოყვარული და კერძო) სპექტაკლზე, რომლებიც დადგმულა დრამატურგ რეზო კლდიაშვილის პიესების მიხედვით და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დამოუკიდებელი საქართველოს ქართულ თეატრში.

რეზო კლდიაშვილის პირადი საოჯახო არქივი შედგება 8 ერთეული ასგვერდიანი საქაღალდისგან, რომლებშიც დაცულია: ხელნაწერი და ფოტოფონდი, სპექტაკლების აფიშები, პროგრამები, პრესა, გამომხაურება ელექტრონულ პრესასა და სოციალურ ქსელში. არქივი მოიცავს მნიშვნელოვან აუდიო და ვიდეოფონდს (სულ 37 ერთეული). აუდიო და ვიდეომასალებში არა მხოლოდ დადგმული სპექტაკლების სრული ჩანაწერებია, არამედ სხვადასხვა სატელევიზო გადაცემები, შეხვედრები და საუბრები გამოჩენილ მეცნიერეთა და ხელოვანთა მონაწილეობით მწერლის სახლსა და თეატრ „ვერიკოში“. ვიდეოარქივი ამავდროულად მოიცავს ინტერვიუებს გამოჩენილ ქართველ ხელოვანებთან, საკუთრივ დრამატურგთან, ასევე შეფასებებსა და მოგონებებს დრამატურგზე, ეპოქაზე, ქართულ თეატრზე, თეატრის გამოჩენილ მოღვაწეებზე. ამავე არქივში დაცულია მწერლისა და

დრამატურგის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფია, მიღებული პრემიებისა და ჯილდოების ორიგინალები, კრიტიკოსთა, მეცნიერთა და გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა შეფასებები დრამატურგის ამა თუ იმ ნაწარმოებზე და სპექტაკლზე ხელნაწერებისა და პრესაში დაბეჭდილი ინტერვიუების სახით. არქივში ამავდროულად წარმოდგენილია პიესების ორიგინალი ხელნაწერები და უკვე გამოცემული ნაწარმოებების სრული ვერსიები. საოჯახო არქივში დაცულია არა მხოლოდ სპექტაკლების ქართული პროგრამები, არამედ სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალსა და კონკურსში მონაწილე სპექტაკლების პროგრამები და ამ ფესტივალების კატალოგები, აფიშები, პოსტერები, ფოტო და სხვა ბეჭდური მასალა. მასალების დიდი ნაწილი ქართულ ენაზეა, თუმცა არქივში შეხვდებით წყაროებს რუსულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე.

არქივი დალაგებულია ქრონოლოგიურად და კლასიფიცირებული სხვადასხვა ქართული თეატრის სცენაზე დადგმული სპექტაკლების მიხედვით. რეზო კლდიაშვილის საოჯახო არქივში მასალა 1995 წლიდანაა (მარჯანიშვილის თეატრში მისი პიესის „საპოვნელადან“ დღემდე (2019 წლამდე) პერიოდი).

რეზო კლდიაშვილის საოჯახო არქივში არა მხოლოდ ხელნაწერი ფონდებია, არამედ ფოტოფონდიც, რომელშიც დაცულ მასალებს არ აქვს ანალოგი. რეზო კლდიაშვილის არქივში დაცულია 100-ზე მეტი ფოტო, რომლებიც ასახავს არა მხოლოდ დრამატურგის შემოქმედებას (საქართველოს სხვადასხვა სცენაზე), არამედ დრამატურგის პირად და საქმიან ურთიერთობას ცნობილ ხელოვანებთან.

გაგაცნობთ რამდენიმე მოგონებას, რომლებიც დაცულია არქივში:

- **რეჟისორი მედეა კუჭუხიძე**

- „ბატონი რეზო კლდიაშვილი მოვიდა თეატრში და გამაცნო გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები, მთავარი ჩაფიქრებული პიესის იდეა, მე მომეწონა ეს იდეა და მან დაწერა პიესა. „საპოვნელა“ „დაბრუნების მუდმივი მოძრაობის“ იდეაზეა აგებული. „საპოვნელა“ ფაქტიურად არის „დარისპანის გასაჭირი“ - ოლონდ დღეს. ძველ ჩინელებს სულ 64 სიტუაცია ჰქონდათ აღნუსხული ადამიანების მოქმედებისათვის. ცხადია, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში ადამიანების გარკვეულ ჯგუფში იცვლება ნიუანსები, მაგრამ, რომ დაუკვირდეთ - შუაგული იგივე რჩება სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაშიც. „დარისპანის გასაჭირის“ ეპოქაში, დღესაც ჩვენთან (ე.წ. გარდამავალ ეპოქაში ანუ ანარქიის ზონაში), როცა ასპარეზზე ჯიქურ მოიწვევს ახალი სოციალური ფენა და ცდილობს დაიკავოს ადგილი, სამწუხაროდ, ვიღაცამ უნდა გაანთავისუფლოს ეს „მოედანი“, არადა, მომხდურებმა „მდიდარ სუფრიდან“ უნდა გაამევიონ დამხვდურები... ერთი სიტყვით, გადარჩევისა და გადარჩენის პროცესი მიმდინარეობს, სადაც „ძლიერი ჭამს სუსტს“ (როგორც ჯუნგლებში), და თუ საუკუნის წინ იყო დარისპანის გასაჭირი, ახალი საუკუნის ბოლოს შეიცვალა მხოლოდ სახელი დარისპანი, გასაჭირი ისეთივეა (კუჭუხიძე, ციტირებული კლდიაშვილთან, 2006, გვ. 4).

ბატონი რეზო კლდიაშვილის, როგორც დრამატურგის, მთავარი ღირსება ის არის, რომ გარედან არ უყურებს მოვლენას, იგი კაცთმოყვარეობით არის დაჯილდოებული და იცავს მცნებას: „ნუ განსჯით განუკითხავად“. ჩვენი ავტორი პროფესიით ქიმიკოსია, ეს ფაქტიც განაპირობებს მის ალღოს (ამჯერად როგორც დრამატურგის), რომ ეპიზოდები, ქცევები, თითოეული ფრაზა შინაგანი აუცილებლობით იყოს გამოწვეული და არა ავტორის ნებასურვილით. ბატონი რეზო პიესაზე მუშაობისას გავიცანი, მიხარია, რომ ის აღმოჩნდა არაჩვეულებრივად კეთილი, გულისხმიერი, ენერგიული, მშრომელი ადამიანი და ამავე დროს, მოკრძალებული პიროვნება. თავდაუზოგავი კაცია და რაც მთავარია, ენერგია მხოლოდ პირადი კეთილდღეობის მოსაწყობად არა აქვს შემონახული, არ ენანება -სხვებისთვისაც. სამწუხაროდ, იშვიათია ჩვენს სინამდვილეში ასეთი ადამიანები. მე საერთოდ მიყვარს ახალბედა ავტორებთან მუშაობა. „საპოვნელა“, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებულ და წარმოუდგენელ პირობებში დავდგით. პირადად ჩემთვის მუშაობის პროცესი, რეპეტიციები იყო პროტესტის ფორმა, რომლითაც მე და მთელმა დამდგმელმა კოლექტივმა მთავრობისგან თეატრების ფაქტიური განწირვის აქტს ვუპასუხეთ. ბედნიერი ვარ, რომ თბილისელმა მაყურებელმა უპრეცედენტო ენთუზიაზმით აღმოგვიჩინა თანადგომა. ახლა ქუთაისელების განაჩენს ველით“.

ამავე არქივში ვხდებით გამოჩენილი ქართველი რეჟისორის, მანესტრო **მიხეილ თუმანიშვილის** შეფასებას:

• „სპექტაკლში მიმდინარე მოქმედებებს ბევრი საერთო აქვს ჩვენს ყოფასთან და დიდი საქმეა, რომ დღევანდებლობაზე შეიქმნა სპექტაკლი და იგი დაიდგა... ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მაყურებელთა დარბაზმა დატოვა. ვუყურებდი გადაჭედილ დარბაზს და თეატრისადმი უზარმაზარ სიყვარულს ვხედავდი. ყველას სურდა, რომ სპექტაკლი კარგი გამოსულიყო. ეს იყო დღესასწაული და ეს არის მთავარი“. (თუმანიშვილი, ციტირებული კლდიაშვილთან, 1995, გვ. 12)

არქივში ინახება ცნობილი მსახიობის **სოფიკო ჭიაურელის** სატელევიზო გადაცემა „ალიონის“ სტენოგრაფიული ჩანაწერი.

• „ძალიან თავისებური მადლობა იყო ჩემთვის. ცრემლიც კი მომადგა, იმდენად დიდი სურვილი ჰქონდა თქმის, იმდენად დაგროვილი აქვს, იმდენად სავსეა მადლიერებით, იმდენად დიდი ენერგია აქვს ამ კაცს, ვერ დააოკა და გადმოაფრქვია რაც დაგროვილი ჰქონდა და ყველაფერი გვითხრა. საღამო ნამდვილად შედგა“ (ჭიაურელი, ციტირებული კლდიაშვილთან, 1997, გვ.21).

არქივში შეხვდებით ედუარდ შევარდნაძისა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის შეფასებას მის სპექტაკლებზე (და სხვა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა შეფასებებს იმ სპექტაკლებზე, რომელიც დაიდგა რეზო კლდიაშვილის ნაწარმოებების მიხედვით. მასში ასევე დაცულია ცნობილი მწერლების, ლიტერატორების და ინტელექტუალური საზოგადოების გამორჩეული წარმომადგენლების - ეთერ ავსაჯანიშვილის, თამაზ ჭილაძის, რევაზ ჯაფარიძის, ზაალ სამადაშვილის, ბელა წიფურიას, მათა ჯავახიშვილის, მარიამ ლორთქიფანიძის, ლაშა თაბუკაშვილის, დალი ფანჯიკიძის,

ქეთევან იგნატოვას, რეზო სირაძის, რამაზ ჭილაიას, ირინა კალანდაძის, ეთერ სოსელიას, რეზო კორინთელის და სხვათა - მოგონებები, შეფასებები რეზო კლდიაშვილის შემოქმედებასთან დაკავშირებით. საოჯახო არქივშია თეატრის ცნობილი მოღვაწეების - გივი ბერიკაშვილის, გოგი გეგეჭკორის, გოჩა კაპანაძის, ზაზა ლებანიძის, გიგა ლორთქიფანიძის, სოფიკო ჭიაურელის, სანდრო მრეველიშვილის და სხვათა - შთაბეჭდილებები. რეზო კლდიაშვილი იმითაც არის გამორჩეული, რომ ფაქტობრივად არ არსებობს ქართველი კრიტიკოსი, რომელიც არ შეხებია მის შემოქმედებას და საგანგებოდ არ გაუანალიზებია მისი დრამატურგია, მათ შორის არიან: ნათელა ურუშაძე, ვასილ კიკნაძე, ნადია შალუტაშვილი, დალი მუმლაძე, ლელა ოჩიაური, ვაჟა ძიგუა, დავით ბუხრიკიძე, ლევან ხეთაგური, ფიქრია ყუშიტაშვილი, ნინო მაჭავარიანი, გუბაზ მეგრელიძე, თამარ კიკნაველიძე, თამარ ცაგარელი და სხვა.

გარდა ამისა, პირად არქივში დაცულია პერიოდული პრესა, რომელიც ასახავს 90-იანი წლების ქართულ თეატრს, რაც ასევე მნიშვნელოვანი მასალაა უახლესი პერიოდის თეატრის შესასწავლად.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

ლიტერატურა:

1. თუმანიშვილი, მ. (1995). ღვინეფაძე ნ., პრემიერა მარჯანიშვილის თეატრში. *საქართველოს რესპუბლიკა*.
2. კლდიაშვილი, რ. (2012). (შემდგ. - რედაქტ. ჩხარტიშვილი ლ.). თბილისი. თქთვე
3. კუჭუხიძე, მ. (2006). „საპოვნელა“ მაყურებელთან შეხვედრამდე და შეხვედრის შემდეგ. *საქართველოს რესპუბლიკა*.

წყაროები:

4. რეზო კლდიაშვილის პირადი არქივი, (საოჯახო არქივი). ჭიაურელი, ს. (1997). ხელნაწერი. თბილისი.

Lasha Chkhartishvili,
Shota Rustaveli Georgian Theatre and Film State University

**Playwright Rezo Kldiashvili's Personal Archive for Contemporary
Georgian Theatre History
Summary**

Rezo Kldiashvili's personal archive is rich for Georgian theater. Rezo Kldiashvili is a playwright and scientist who maintains a personal archive in the family. His archive preserves the history of the Georgian theater of the last century. The importance of the 90s archive is great. There is very little material on Georgian theater during this period. Much has been destroyed, and the playwright has preserved all that has to do with her work.

Rezo Kldiashvili's personal family archive contains his works, articles about him, photos, videos. They are unique. This article describes what is stored in the playwright's archive and gives you a few. One author's personal archive actually tells and revives Georgian theater in the 90s of last century

**ქეთევან ციხინძია,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ერთი საგვარეულო დღეობის სოციალური პრაქტიკა

ხალხურ დღეობებს დიდი ადგილი უკავია ერის სულიერ კულტურაში. საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში, კანონიკური ქრისტიანული დღესასწაულების გარდა, აღინიშნებოდა და დღესაც აღინიშნება ხალხური დღეობები. ამასთანავე, ბევრი ქრისტიანული დღეობის აღნიშვნის ფორმა და რიტუალი გახალხურებულია.

ქართული ხალხური დღესასწაულები, „როგორც ისტორიისა და კულტურის ძეგლები, ეროვნული ენერჯისა და ხალხის შემოქმედებითი უნარის გამოხატულება“ (რუხაძე, 1980, გვ. 3), ამიტომაც მათი შესწავლა მნიშვნელოვანია. ეთნოლოგიური კვლევა-ძიებით ვლინდება ეთნოსის კულტურული ღირებულებები.

სამეგრელოში, საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში, აღინიშნება ხალხური დღეობები. ამ შემთხვევაში განვიხილავთ საგვარეულო დღეობას,

რომელსაც წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუჟავაში იხდიან არქანიებისა და კაკუბავების გვარების წარმომადგენლები.

სამეგრელოში საგვარეულო დღეობები ძირითადად ტაძრებთან აღნიშნებოდა. მას ერთი ან რამდენიმე გვარი ერთად იხდიდა. ასეთ საჯარო საზოგადო დღეობას მეგრელები „ჯარალას“, „ჯარალუს“ ეძახდნენ. „დღეობა – ჯარობა ერთ „განსაზღვრულ ადგილას“, უფრო რომელიმე ხატის (სალოცავის) კარზე იმართებოდა, სადაც თავს იყრიდნენ აღნიშნულ სალოცავთან ტრადიციით, წეს-ჩვეულებითა და რწმენა-შეხედულებით დაკავშირებული ერთი ან რამდენიმე „გვარის“ კაცები, მათი მიმდგამი ნათესავები, მოკეთენი, სტუმრები და ყველა მოსურნენი“ (რეხვიაშვილი, 1969, გვ. 116). საგვარეულო ლოცვები სოციუმის ერთიანობის გამოხატულება იყო და მას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ ერთობის შეკვრად დაახლოებისთვის.

საგვარეულო ლოცვა/„ხვამა“ „დუნაპირის“/დაპირებულის ლოცვაა. „ნებისმიერი რიტუალი, რომელიც უფლისადმი, ღვთაებისადმი გარკვეული სათხოვრით მიმართვასთანაა დაკავშირებული და სრულდება წესების დაცვით, არის „ხვამა“/ლოცვა. მეგრული ლოცვის ერთ-ერთი სახეა „დუნაპირი“/დაპირებული. „დუნაპირი“ არის რიტუალი, რომელიც დაკავშირებულია წინასწარ დათქმულის, შეპირებულის შესრულებასთან. „დუნაპირი“ შეიძლება შეესრულებინა როგორც ერთ ადამიანს, ასევე გვარს და მთელ სოფელსაც“ (ფიფია და ციმიტია, 2017, გვ. 429).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუჟავაში დაფიქსირებული დღეობა „დუნაპირის“ (დაპირებულის) დღეობათა რიცხვში შედის. მას ორი გვარის, კაკუბავების და არქანიების, წარმომადგენლები ერთად იხდიან. ბოლო წლებამდე დღეობაში მონაწილეობდნენ ჯობავების საგვარეულოს წარმომადგენლებიც. ამდენად, ლოცვა საგვარეულოა.

გვარ-სახელის სოციალური მნიშვნელობა ფართოა და გულისხმობს კულტურულ-რელიგიურ, საადათწესო და სხვა სახის ურთიერთობებს. გარდა ოფიციალური მემკვიდრეობითი სახელისა, ადამიანებს ჰქონდათ და დღესაც აქვთ შტო-გვარის, არაფორმალური გვარის დანაყოფის სახელი. შტო-გვარის აღმნიშვნელი ტერმინები საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში სხვადასხვა იყო: „მამანი“, „მამიშვილობა“, „მამის სახლი“, „ბუდობა“, „კომობა“, „ბაბუაშვილობა“, „ბუნე“, „სახიჯარი“, „თოხუმი“, „ნარყი“, „მეტსახელი“, „გვარზე მეტი“, „განაყრობა“, „სამხუმი“, „ლამხუმი“, „თური“, „დინო“, „გამნარყი“, „შერქმეული სახელი“, „გასახელებული სახელი“, „საგინებელი გვარი“, „მოკლე გვარი“ (თოფჩიშვილი, 2010, გვ. 255). სამეგრელოში მას „გამნარყს“, „თურს“, „დინოს“ უწოდებენ. „გამნარყ-ი, გამუნარყ-ი შთამომავლობას, ნაშიერს ნიშნავს“ (ქაჯაია, 2001, გვ. 284).

მთის სამეგრელოში, სოფელ მუჟავაში, დაფიქსირებული დღეობა სწორედ გვარის „გამნარყის“ (შტო-გვარის) დღეობაა. მას მხოლოდ აქაური ბებელია¹ არქანიას შთამომავლები აღნიშნავენ სამურზაყანოელ კაკუბავებთან ერთად. ლოცვა კაკუბავების მხრიდან მუჟავაში მცხოვრები ბებელია არქანიას „გამნარყის“/შთამომავლობის მიმართ მადლობის ნიშნადაა დადგენილი და საუკუნეების განმავლობაში უწყვეტად სრულდება.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუჟავაში ცხოვრობენ არქანიები. მათ გვარში გამოიყოფა რამდენიმე „გამნარყი“ (სქვამკოჩის, ლეჯკოჩის, ბებელიას, ქვაცას, ტვეფეს,

¹ ბებელია მამაკაცის სახელი იყო სამეგრელოში. აღნიშნული აქვს აკაკი ჭანტურიასაც „მეგრულ სახელებსა და გვარებში“, გვ.19.

ბოროლიას). ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ბებელიას შთამომავლების სამ სოციალურ წრეზე: ქირსემიას, ბალირიასა და ქიჩოლიას „გამნარყზე“, ანუ დანაყოფზე. ბებელიას ეს სამი შტო აფხაზეთში, გალის რაიონის სოფელ ღუმურიში, მცხოვრებ კაკუბავებთან¹ ერთად ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ იხდის დღეობას (წინათ დღეობაში გალის რაიონის სოფელ რეჩხში მცხოვრები ჯობავებიც მონაწილეობდნენ. ბოლო დროს მათ გარკვეული მიზეზების გამო თავი გაითავისუფლეს ამ დღესასწაულში მონაწილეობის ვალდებულებისგან).

აფხაზეთიდან კაკუბავებს ხარი მიჰყავდათ მუჟავაში (ამჟამად ენგურისპირას არსებული სირთულეების გამო ისინი ხარს ზუგდიდში იძენენ). ბებელიას შთამომავალ არქანიებსა და ოქუმელ კაკუბავებს ჯვარის წმინდა გიორგის (ჯგეგე)² ეკლესიის ნანგრევებთან მიაქვთ შესაწირავი (ხარის გულ-ღვიძლი, ზედაშე, სალოცავი პურები), შემდეგ კი ბრუნდებიან მუჟავაში და აღნიშნავენ დღესასწაულს დიდი სუფრით.

თქმულების მიხედვით, მუჟავაში მცხოვრებმა ბებელია არქანიამ დაღუპვას გადაარჩინა სამურზაყანოელი კაკუბავებისა (სოფელი ღუმურიში) და ჯობავების (სოფელი რეჩხი) წინაპრები. ტყვეთა სყიდვის დროს გაუტაცნიათ ორი ძმა კაკუბავა და ერთი ჯობავა. გამტაცებლებს ისინი გადაუმალავთ ჯვარის წმინდა გიორგის ეკლესიაში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში მშიერ-მწყურვალნი ყოფილან.

მუჟავადან სოფელ ჩქვალერში დასთან მიმავალ ბებელია არქანიას ჯვარის წმინდა გიორგის ეკლესიასთან („ჯგეგე“) არსებულ წყაროსთან შეუსვენია. უცებ მას დატყვევებულთა ყვირილის ხმა გაუგია: ისინი დახმარებას ითხოვდნენ. ბებელიას წმინდა გიორგისთვის შემწეობა უთხოვია, სასწაულებრივად ტაძრის კარი გაუღია და სამივე სამურზაყანოელი გადაურჩენია.

თქმულების მიხედვით, ტყვეობიდან განთავისუფლებულთ დიდი ხნის ტყვედ ყოფნის გამო გრძელი წვერი ჰქონიათ და ფიზიკურად დაუძლურებულნი ყოფილან. ბებელია არქანიას ისინი ჯვარის ერთ-ერთ უბანში – ნაკაში (ლექარდე) არსებულ გამოქვაბულში გადაუმალავს, ნათესავის დახმარებით მოუსულიერებია, შემდეგ კი სოფელ მუჟავაში, თავის სახლში, წაუყვანია; სრულად გამოჯანმრთელების შემდეგ ბებელიას სამივე გალში წაუყვანია.

დაღუპვას გადარჩენილი კაკუბავები, ჯობავები და მათი შთამომავლები დაჰპირდნენ ჯვარის „ჯგეგეს“ - ჯვარის წმინდა გიორგის სალოცავს, რომ მადლიერების ნიშნად ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ შესწირავდნენ ხარს და წმინდა გიორგის შემწეობით მათ გადამრჩენელ ბებელია არქანიას „გამნარყთან“/შთამომავლებთან ერთად ამ დღეს იდღესასწაულებდნენ: საგანგებო „ხვამას“ - ლოცვას - ჩატარებდნენ. ამის შემდეგ კაკუბავებისა და არქანიების გვარი დღემდე იხდის სამადლობელ ლოცვას „დუნაპირს“.

ლოცვის რიტუალის ჩატარების დღე არც ერთ ქრისტიანულ დღესასწაულს არ ემთხვევა. ამჟამად კაკუბავები არქანიებთან შეთანხმებით თვითონ წყვეტენ, როდის

¹ პროფესორ პაატა ცხადაიას მიერ ველზე ჩაწერილი და გამოქვეყნებული მასალის მიხედვით, ღუმურიში მცხოვრები კაკუბავები თურქეთიდან გამოქცეული სამი ძმის - მეგრელების - შთამომავლები ყოფილან (ცხადაია, 2003, გვ. 246).

² წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარში არის წმინდა გიორგის „ჯგეგეს“ ეკლესიის ნანგრევები. ტაძარი XX ს.-ის 20-30-იანი წლების საბჭოთა ანტირელიგიური „ლაშქრობის“ დროს დაუნგრევიათ. „ჯგეგე ითვლებოდა ძლიერ ხატად, რომელიც არქანიებს მოუტაციათ სვანეთიდან (მესტიიდან). იმ ადგილს, სადაც ეკლესია იყო აგებული, ეწოდება „ჯვარზენი“ (მაკალათია, 2006, გვ. 435).

ჩამოიყვანენ შესაწირავ ხარს სოფელ მუჟავაში. სავარაუდოდ, ამ დღეობას ლოცვის გადახდის პირობის დათქმის დროიდან არ ჰქონია მკაცრად დადგენილი სალოცავი დღე. გვარის ლოცვასთან დაკავშირებული შესაწირავები და დღესასწაულის აღნიშვნის ფორმა სახლში ან საყდრის ეზოში ხალხურია.

ხალხურ დღეობებზე რიტუალის შესრულებისას შესაწირავად ხშირად იმ პროდუქტებს იყენებდნენ, რომელთა გამრავლებასაც ამა თუ იმ წმინდანს სთხოვდნენ და უმნიშვნელოვანესი იყო ადამიანის არსებობისთვის. ღვთაებას, წმინდანს სწირავდნენ ყველაზე ძვირფასს. საწესო-სარიტუალო პურები, სამსხვერპლო ცხოველი, ზედაშე ხშირად მიესადაგება მეურნეობის იმ ფორმას, რომელიც განვითარებული იყო ამა თუ იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში. სოფელ მუჟავაში არსებული არქანიებისა და კაკუბავების ლოცვისთვის დადგენილი სამსხვერპლო ცხოველია ხარი.

სამეგრელოში ხარის სიმბოლოს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. არსებობდა მთავარანგელოზის სახელზე წმინდა ფურის – „პატენიას“ „დაყენების“ წესი. წმინდა ხარები სამეგრელოში ფიგურირებს წმინდა გიორგისთან დაკავშირებულ რიტუალებში (აბაკელია, 1997, გვ. 18).

დღეობისთვის განკუთვნილი სასმელი არის ღვინო, თუმცა საზედაშე ქვევრი არ აქვთ. ლოცვისას ბებელია არქანიას შტო-გვარის უხუცესი წარმომადგენელი, როგორც წმინდა გიორგის შემწეობით კაკუბავების გადამრჩენელი, ანთებულ სანთელს ხარის რქაზე მიამაგრებს და დალოცავს კაკუბავების გვარის წარმომადგენლებს. არქანიების სახლში სამსხვერპლო ცხოველის დაკვლისა და დალოცვის შემდეგ ხარის გულ-ღვიძლთან ერთად ჯვარზენის წმინდა გიორგის ეკლესიაში მიაქვთ ღვინო, ხაჭაპურები და სანთლები.

კაკუბავებს ჯვარის წმინდა გიორგის ეკლესიაში მიაქვთ სანთლები დღესასწაულში მონაწილე თავიანთი გვარიშვილების და იმათი სახელითაც, ვინც ვერ დაესწრო ამ კონკრეტულ დღესასწაულს.

მთხრობელთა თქმით, კაკუბავები დღეობის დასრულების შემდეგ ბრუნდებოდნენ აფხაზეთში. ისინი შეიძენდნენ ხბოს მომავალი დღეობისთვის. სამსხვერპლოდ მიჩნეულ ხარს „თავისუფლად“ ზრდიდნენ. არ შეიძლება მისი დაკოდვა, მის მიმართ უდიერი მოქცევა. საბალახოდ გაშვებულ ცხოველს, მთხრობელთა აღნიშვნით, არ ეკარებოდა ნადირი.

დღესდღეობით სოფელ ღუმურიშში მცხოვრები კაკუბავები თბილისში მცხოვრებ კაკუბავებთან ერთად სამსხვერპლო ცხოველს ზუგდიდში იძენენ, რადგან საოკუპაციო ეგრეთ წოდებული საზღვრის გადალახვა და სამსხვერპლო ცხოველის – ხარის სამეგრელოში გადმოყვანა რთულია.

თანამედროვე ყოფაში შეინიშნება დღეობის გაფართოებისკენ სწრაფვა. თუკი ადრე გალის რაიონიდან რამდენიმე კაცი ჩამოდიოდა არქანიებთან გვარის დალოცვის მიზნით, დღეს გაცილებით მეტი კაკუბავა სტუმრობს მათ. არქანიებისა და კაკუბავების გვარების წარმომადგენლებს სურთ ერთმანეთთან დაახლოება, ამიტომ ბოლო ხანებში დღეობას უფრო მასშტაბურად აღნიშნავენ.

საუკუნეების წინ დაწესებული სამადლობელი ლოცვა დღემდე აღესრულება¹. საგვარეულოს წარმომადგენლები, რომელთაც ნათესაობა არ აკავშირებთ, ამ დღესასწაულმა ერთმანეთს დააკავშირა, დაახლოვა და დაამოყვრა. მათ შორის კავშირი იმდენად დიდია, რომ ამ გვარებს შორის ქორწინება აკრძალულია, „ვამინერს“ - ტაბუირებულია. კაკუბავებისა და არქანიების ასეთ ურთიერთობას ხელი ვერ შეუშალა XX ს-ის 90-იან წლებში საქართველოში, აფხაზეთში, მომხდარმა ტრაგედიამ, ათასობით ადამიანის დაღუპვამ და აფხაზეთიდან ათიათასობით ქართველისა და არაქართველის განდევნამ, რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლების სამხედრო ძალების მხრიდან აფხაზეთ-სამურზაყანოსა და დანარჩენ საქართველოს შორის შექმნილმა „კედელმა“, რომელსაც საოკუპაციო სამხედრო ძალები იცავენ.

გვართა მიერ დამკვიდრებული ტრადიცია ამ „კედლებზე“ უფრო მტკიცე აღმოჩნდა.

ჯვარის „ჯგეგეს“ - წმინდა გიორგის - სახელზე შესრულებული დღეობა სამურზაყანოელი და წალენჯიხელი გვარიშვილების მიერ საუკუნეების წინ დამკვიდრებული დღემდე დაცული წმინდა ჩვეულება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთიანობის ერთი მტკიცე ძაფია, რომელსაც უნდა გაუფრთხილდეთ.

ამ დღეობის მაგალითზე თვალსაჩინოა, თანამედროვე მძიმე ვითარების მიუხედავად, სოციუმისთვის წინაპრების მიერ დადგენილი ჩვეულების გაგრძელების მნიშვნელობა და ტრადიციაში განმტკიცებული სოციალური პრაქტიკის ღირებულება. წმინდა გიორგი ამ სოციუმის ერთიანობის სიმბოლოა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაკელია, ნ. (1997), სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბილისი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი.
2. თოფჩიშვილი, რ. (2010), სახელების ეთნოლოგია და ისტორია. თბილისი. უნივერსალი.
3. მაკალათია, ს. (2006), სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბილისი. საარი.
4. რეხვიაშვილი, ნ. (1969), ჯარობა სამეგრელოში. კრებული თედო სახოკია. თბილისი. მეცნიერება.
5. რუხაძე, ჯ. (1980), ხალხური დღესასწაულები და თანამედროვეობა. თბილისი. მეცნიერება.
6. საველე-ეთნოგრაფიული დღიური წალენჯიხის რაიონში (2016, 2019).
7. ფიფია, ნ., ციმინტია, ქ. (2017), რწმენა წარმოდგენებთან დაკავშირებული ზოგიერთი პრაქტიკის შესახებ სამეგრელოში („ხვამა“: „ოხვამერი“ და „დუნაპირი“). საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XII. თბილისი.
8. ქაჯაია, ო. (2001), მეგრულ-ქართული ლექსიკონი. ტ. I. თბილისი. ნეკერი.
9. ცხადაია, პ. (2003), სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. თბილისი.
10. ცხადაია, პ. (2004), სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. I (წალენჯიხის რაიონი). თბილისი. უნივერსალი.

¹ მთხრობელთა თქმით, ერთ-ერთი არქანიას ოჯახში ინახებოდა წერილი, რომელშიც ეწერა ამ ლოცვის დაწესების მიზეზები. თუმცა ამ წერილს ჩვენ ვერ მივაკვლიეთ.

11. ჭანტურია, ა. (2006), მეგრული სახელები და გვარები. თბილისი. არტანუჯი.

Ketevan Tsimitia, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Social Practice of One Holiday Celebrated by a Kin

Summary

Folk holidays are celebrated in Samegrelo, as well as in all historical-ethnographic regions of Georgia. Example of the folk holidays celebrated till today is the one which we recorded in village Mujava, Tsalenjikha municipality. Ritual is performed by Arkania and Kakubava kin. Kin is defined as different branches of people with the same surname.

Holiday which is we encountered in Mountainous Samegrelo, specifically in Mujava is a holiday about the kin (Gamnarki). Only descendants of Bebelia kin of the people with Arkania surname, celebrate it with the people of Kakubava surname from Samurzakano, Abkhazia, Georgia. The blessing is dedicated to Saint George and to Bebelia kin of the people with the surname Arkania by Kakubava kin.

People with the surname Kakubava bring the bull of donation to Mujava. One of the oldest man from Bebelia kin of the people with Arkania surname bless Kakubava kin and perform ritual, then all prayers go to Saint George Church in Jvari (near village Mujava) to take some donations with themselves to Saint George.

This celebration is a one type of Megrelian blessing – “Dunapiri” (ritual which is conducted by people who “give the word” to god, icon or saint). Centuries-old thanksgiving blessing is fulfilled even today. The connection between these family names is so big that marriage is forbidden and is tabooed (“Vashiners”).

This is an example of blessing which proves importance and value of social practice established as a tradition despite modern conditions. Saint George is the symbol of the unity of society.

**ირმა კვაშილავა,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი**

**„ცა-ღრუბლის“- ციური ცეცხლის ღვთაების მისტიკური ფუნქციის
გაგებისათვის**

კავკასიელთა სარიტუალო პრაქტიკაში „ცა-ღრუბლის“ ღვთაების მრისხანე ზეციური ძალის თაყვანისცემა საყოველთაო იყო, რაც ცხადყოფს, რომ კავკასიელთა რელიგიური სისტემის არსებობის რომელიღაც ეტაპზე ატმოსფერული მოვლენების მბრძანებელი უმაღლეს ღვთაებას წარმოადგენდა (სიხარულიძე, 2006, გვ.243). ჭექა-ქუხილის ღვთაების სახელზე კარგი ამინდის გამოსათხოვად ყოველწლიურად, დანიშნულ დროს, სარიტუალო მსხვერპლშეწირვა იმართებოდა. ამინდის გამგებლების მომადლიერება უხსოვარი დროიდან ადამიანის საზრუნავი იყო. ისიც თავს არ ზოგავდა და სხვადასხვა რიტუალით ცდილობდა მათზე ზეგავლენის მოხდენას, ხშირად შედეგსაც იღებდა: გვალვისას გაწვიმდებოდა ან ავდრის დროს გამოიდარებდა. სეტყვის ასაცილებელი საშუალება კი - კოხიჯვრობა, სამეგრელოში „კოხინჯრობა“, ნაკრძალი დღე იყო და 13 მაისს უქმობდნენ. ამ დღეს არავინ მუშაობდა, რომ კოხსა და ავდარს ნათესი არ გაეფუჭებინა (მაკალათია, 1941, გვ.331). მაგრამ სულ სხვაა მეხი, რომლის ასარიდებელ საშუალებას არქაული ჟამის ადამიანი არ იცნობდა და თუ მეხთამრიდებს არ ჩავთვლით, ამ მხრივ არც თანამედროვეები დაწინაურებულან.

რა არის მეხი, რატომაა ის უმართავი? სულხან-საბას ლექსიკონში მისი ვრცელი განმარტება გვხვდება. სახელდობრ, „რა მზის სიციხე ქვეყნიდამ ორთქლს აიღებს, აღიტაცებს ჰაერთა შინა, განცეცხლდება და გვამად-გვამად შეიქმნების. რა ქარი და ღრუბელი შეიცავს, ურთიერთს კვეთებითა განსქელდება და გამოვლენ ჳმანი ქუხილისანი; უკეთუ ერთსა კიდისაგან ეცა ქარი, განით ვერ განვალს და ქვეყნად ჩამოიჭრების და იგი არს მეხი და რასაცა ეცემა, შესწავს“ (ორბელიანი, 1991, გვ.470). ცნობილი ლექსიკოლოგის ფრიად გასაგები განმარტება, ქართულ ლექსიკაში გავრცელებულ წყევლის ფორმულებს მოგვაგონებს, როგორებიცაა: მეხი შენ დაგეცა და შენს გაკეთებულ საქმესაცო ან კიდევ, „ომშით გამოქცეულსა, მეხი დაეცეს მედგარიო“ (ვაჟა-ფშაველა, 1969, გვ.177). მეხდაცემული არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ გადატანითი მნიშვნელობითაც მოულოდნელ დიდ უბედურებას მოასწავებს [ქართული, 1958:232]. საერთოდ, მეხი, მზის და მთვარის დაბნელება, კუდიანი ვარსკვლავის გამოჩენა, ძველად მოსალოდნელ უბედურებებს უკავშირდებოდა, ეს დამოკიდებულება დღესაც ზოგან ძალაშია.

ამრიგად, მეხი არის დედამიწაზე ატმოსფერული ელექტრონის განმუხტვა. კიდევ უფრო ზუსტად არისტოტელე იტყვის: „რა ფრიადი სიწმო ნისლისა დაადგების ქვეყანასა, აღიღებს ქვეყანასა მიერ მტვერსა ბრჰენისასა, რვალისა (კალისა), სპილენძისა, ქვისა, ოქროსა და ვეცხლისასა, რამეთუ ესე ყოველნივე ოთხთა კავშირთა (ნივთთა) მიერ არიან, ხოლო ნისლსა მას შინა თითოეული თავით თვისით ვერ დაადგრებიან, არამედ ვიდრე ჰაერთა შერთვამდე შეერთდებიან და ერთ ფიცხელ გვამ იქმნებიან და რა ჰაერი ვერღარა იტვირთავს, განსქდების და ჩამოიჭრების. მეხსა მზისა მიერ ესეთი სიმხურვალე აქვს, რასაც დაეცემის, უფრორე ცეცხლისგან შესწავს“ (ორბელიანი, 1991, გვ.471). ამ ციური ცეცხლისგან დაზარალებული ადამიანი კავკასიაში წმიდანად ითვლებოდა, „რადგან იგი ღვთაებამ აირჩია და წმიდა ცეცხლის ღირსი გახადა... მისი დატირება არ შეიძლება, ღმერთი გაწყრებოდა. ასევე წმიდანად ითვლებოდა მეხით მოკლული ცხოველი, პირუტყვი. როგორც ადამიანის, ისე

ცხოველის გარშემო ასრულებდნენ ფერხულს ცეკვა-სიმღერით - „ანცვა რიშვა“ (ზვანბა, 1982, გვ.33). თუ სახლს მეხი დაეცემოდა, ცეცხლის ჩაქრობა არ შეიძლებოდა (გატიევა, 1876, გვ.30). ის ბოლომდე უნდა დამწვარიყო, როგორც ღმერთისთვის სასურველი მსხვერპლი. მიაჩნდათ, რომ ღმერთი ეწვია სახლს და ეს დიდი წყალობა იყო (სიხარულიძე, 2006, გვ.243). ე.ი. მეხნაკრავი ადამიანი თუ საქონელი, მცენარეც მაგიურ ძალას იძენდა, მაგალითად, პირუტყვის იქვე, მეხის დაცემის ადგილზე, მარხავდნენ, რადგან ეს წმიდა ადგილი იყო. ოსები მეხის დაცემას ზებუნებრივი ძალის რისხვას, სახელდობრ, ვაცილას, იმავე ილია//ელიას მიაწერდნენ. მეხდაცემული ადამიანი ღვთის რჩეულად მიაჩნდათ და არ ენანებოდათ, რადგანაც, მათი რწმენით, ვაცილა ზევამი წაიყვანდა. დატირების ნაცვლად შესაბამის სიმღერას ასრულებდნენ სარიტუალო ცეკვა „ცოპაის“ სახელწოდებით [კავკასიის,(?) 1960:333]. ასეთი ადამიანის საერთო სასაფლაოზე დაკრძალვა არ შეიძლებოდა. მეხით მოკლული ადამიანის გლოვას, დატირებას აფხაზების, ადიღების, ოსებისა და სხვათა რელიგიურ პრაქტიკაში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს. მაგალითად, (აფხაზური ხალხური წარმოდგენა,) ბზიფის აფხაზები ჭექა-ქუხილის ღვთაებას აფის უწოდებენ, ხოლო მის ტყვიებს იმ მეტეორულ წარმონაქმნებს, რომლებიც სხვადასხვა ზომის ქვის, რკინის, თუჯის ან სხვა მასალისაა და მეხის დაცემის ადგილებში გვხვდება. ამ ტყვიებს აფი თავის მტრებს ან იმ ურჩებს უშენს, ვისი დასჯაც სურს (ანთელავა, 2011, გვ.136).

ამჯერად, დაწვრილებით ვეღარ შევჩერდებით იმ შეხედულებებზე, რომლებიც მეხნაკრავზე მოვიძიეთ, ვინაიდან მითოსური და ქრისტიანული მსოფლმხედველობის განსხვავება-მსგავსება უფრო მნიშვნელოვანია. საქმე ისაა, რომ, ყველანაირი გააზრებით, მეხი არის სადამსჯელო მოვლენა, რომელიც გაკადნიერებულ ადამიანს ზეციური ცეცხლის სახით ევლინება. მაგალითად, მთავარანგელოზ მიქაელისადმი მიძღვნილ საგალობელში თვალში გვეცა ფრაზა - „გიხაროდენ, რისხვის ელვისა, დამცემელო, დასასჯელად უგუნურად განმკიცხველთა საიდუმლოთა სარწმუნოებისათა“ [დაუჯდომელი, 2002, გვ.??23]. გავიხსენოთ ისიც, რომ უფლის მეორედ მოსვლა ელვასაა შედარებული - „რამეთუ ვითარცა ელვაა რა ელავნ ქუემე ცისადთგან, ვიდრე ქუემე ცისამდე ბრწყინავნ, ესრეთ იყოს მე კაცისად დღეთა მისთა [ახალი, 2005:140; ლუკა, 17, 24]. პავლე მოციქულის დამოდღვრაში წერია: „რამეთუ გამოჩინებად არს რისხვად ღმრთისად ზეცით ყოველისა ზედა უღმრთობასა და სიცრუევსა კაცთასა, რომელთა ჭემმარიტებად სიცრუვით აქუნდა“ [ახალი, 2005:298].

ამრიგად, მეხი ღმერთმა ბოროტების მსახურთა წინააღმდეგ განაწესა. მისი ცეცხლოვანი ისარი იქ ვარდებოდა, სადაც ბოროტება ისადგურებდა. ამიტომ არქაული დროის ადამიანმა მას ე.წ. სინანულის რიტუალი დაახვედრა. მაგალითად, აფხაზის წარმოდგენით, „ცა-ღრუბლის“ ღვთაება - აფი - მის საქონელს მეხს იმიტომ ჰკრავდა, რომ მან (ე.ი. პატრონს) ღვთის წინაშე რაღაც დანაშაული ჩაიდინა და სასჯელიც დაიმსახურა. „დამნაშავე“ ოჯახის უფროსი ხალხისა და მეხნაკრავი პირუტყვის წინ აღთქმას დებდა, რომ დანაშაულის გამოსასყიდად მამა-პაპათა ჩვეულებას აღასრულებდა. თან სთხოვდა ზენას - ზეცას, რომ მის ოჯახს ამიერიდან წყალობა არ მოჰკლებოდა (ჯანაშია, 1897, გვ. 69). ასე იყო სამეგრელოში. XIX საუკუნის დასასრულსაც კი ზეციური ბრალისადმი, ანუ ზენა დიდებულისადმი ყოველწლიურად დანიშნულ დროს ზოგიერთ სამრევლოში ლოცვა აღევლინებოდა. ამის გამო სამწყსოს აგონიერებდნენ, რომ ქუხილი, ელვა და მეხი ბუნების მოვლენებია და მათი თავყანისცემა, მსხვერპლის შეწირვა ღვთის მცნებას ეწინააღმდეგებაო [მწყემსი 1886:10]. საქმე ისაა, რომ რიტუალი საკრალურთან შეხების ერთ-ერთ უძლიერეს საშუალებას წარმოადგენდა. რიტუალის შესრულების დროს ადამიანის მოქმედება სიმბოლურ დატვირთვას იძენდა. ადამიანი აღადგენდა საკრალური მნიშვნელობის მქონე წარსულს, „დაბადების“ სიწმინდეს თავისი ცხოვრების კონკრეტულ მომენტს უთანაბრებდა, რაც გარემოზე კეთილი ზეგავლენის უძლიერეს საშუალებად გაიაზრებოდა (ხიდაშელი, 2005, გვ.127). გარდა ამისა, რიტუალი ადამიანებს ამა თუ იმ პრობლემის მოსაგვარებლად აერთიანებდა, რაც დღესაც სანიშნოა.

ქართულ სინამდვილეში არაერთი მაგალითი გვაქვს საკვლევი საკითხის უკეთ გასააზრებლად. მაგალითად, ქართლის ცხოვრების ის მონაკვეთი, როდესაც წმინდა ნინომ ითხოვა კერპების შემუსვრა და ხალხისთვის ქრისტეს ნათლის მოფენა, თვალის დახამხამებაში დასავლეთიდან ქარიშხალი ამოვარდა და ხმა გამოსცა ქუხილმა საზარელი. გამოჩნდნენ საშინელების მომასწავებელი რისხვის ღრუბლები, რომლებმაც მხოლოდ კერპების ადგილი გაანადგურა ლიტრის ოდენა სეტყვით (დაახლოებით გირვანქის ზომის), დაანაწევრა, შემუსრა ისინი და ჩაყარა კლდეებში, ხოლო წმინდა ნინო გადარჩა უვნებელი მშვიდობით (ქართლის ცხოვრება, 2012, გვ.74). ახლა „მატიანე ქართლისაჲ“ გავიხსენოთ, ქართლის მეფე დემეტრეს მის, დავითის დროს, ყაენის უკითხავად გამოაგზავნეს უკეთური კაცი, რომელსაც ჯერ უნდა მოეხრებინა ვარძიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საყდარი და შემდეგ საქართველოში, რაც სიმდიდრეს ნახავდა, წაეღო. მაგრამ მოაწია მასზე ყოვლადწმიდა ვარძიის ღვთისმშობლის რისხვა, ვინაიდან იგი მიდიოდა მის მოსაოხრებლად და პატიოსანი ჯვრის დასამხობად, ამიტომ დაეცა მეხი, რომელმაც სრულიად გააცამტვერა და დაწვა ძვლიანად. ასეთი საკვირველებით დაიცვა თავისი სამყოფელი ვარძიის ღვთისმშობელმა (ქართლის... 2012:239). კიდევ ერთი საგულისხმო მაგალითი, რომელიც აჭარის გამაჰმადიანებიდან მოგვცემა. იგი ტბეთის ეკლესიას შეეხება. თურმე ძველებს (წინაპრებს) დაუბარებიათ, (ძველებიდან სიტყვა ჰქონიათ დარჩენილი,) ამ ეკლესიას ხელი არ ახლოთ, ერთი ქვაც არ დააკლოთ, ვინაიდან იქ ჩვენი თამარ დედოფალი მარხიაო. ამიტომ ოსმალებს სთხოვეს, როგორც არის, ისე დარჩეს, დაკეტილი იყოს მისი კარი, ჯამედ არ გადააკეთოთ, გადაკეთებით იქნებ ჩვენ ღმერთი განვარისხოთო. მაგრამ დროთა განმავლობაში ხალხს მაჰმადიანობა მოახვიეს თავს (გამოუცხადეს) და ჯამეს კეთება დაიწყეს, თუმცა გაუძნელდათ, ამიტომ ეკლესიის კარი გააღეს, მაჰმადიანურად მოაწყვეს და ლოცვა დაიწყეს. მინარეთად პატარა ეკლესია გადააკეთეს. ცოტა ხნის შემდეგ ამ ეკლესიას გუმბათზე მეხი დაეცა. ჩვენ შევშინდით, ჯამე სხვაგან გავაკეთეთ, ამ ეკლესიას ხელი არ ვახლეთ. ამის მინარა(მინარეთია?) დავაქციეთ მხოლოდ და ქვები იმ ჯამეში გამოვიყენეთ (ჭიჭინაძე, 2018, გვ.35-36).

მიაქციეთ ყურადღება, მეხის დაცემის მერე ახალმოწყობილი მინარაც დააქციეს, ჯამე სხვაგან გააკეთეს, ტბეთის ეკლესიას ხელი არ ახლეს. სინანული საქმით აღასრულეს. სავარაუდოდ, ასეთ შედეგს იძლეოდა ის რიტუალებიც, რომელთაც ქრისტეს ნათლის მიღებამდე ჩვენი წინაპრები მიმართავდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, წმიდა პეტრე მოციქულის შეგონებისამებრ უღმერთოებ და მტარვალეები, რომლებმაც ჭეშმარიტებას გადაუხვიეს, რისხვის სამიზნედ იქცნენ. ასეთები მრავლად იყვნენ, სახელდობრ, წმიდა ბარბარეს ღვიძლმა მამამ დიოსკორემ, როგორც კი ასულს მახვილი დასცა, იმავე წამს ზევიდან გარდმომხდარი საშინელი ელვა დაატყდა თავს და ერთიანად დაწვა, ფერფლი კი ამოვარდნილმა ქარმა გაფანტა. ასევე დაისაჯა მმართველი მარტინეც, რომლის ბრძანებითაც წმიდა ბარბარეს თავის მოკვება მიესაჯა. მას სასახლეში შესვლისას მეხი დაეცა და მისგან მტვერიც კი აღარ დარჩა.

ღვთის სამართლიანი სამსჯავრო ხშირად მეხისტეხით აღსრულდებოდა ხოლმე. მაგალითად, მე-4 საუკუნის წმინდანების - მოწამეების ადრიანესა და ნატალიას - ცხედრების დაწვა როცა მოინდომეს, საშინელი ჭექა-ქუხილი ატყდა და ღუმელში ცეცხლი ჩაქრა. ბევრი ჯალათი ემსხვერპლა მეხისტეხას [წმიდათა, 2006, გვ.?? 180; გვ.??500]. იგივე მოხდა მცირეაზიელი წმიდა დების - მინადორას, მიტრადორას, ნიმფადორას - ცხედრების დაწვისას. დანთებული კოცონის თავზე უეცრად საშინელი ქუხილი გაისმა და მეხმა მთავარი და მისი მსახურები „დაწუნა და განანქრინა“. შემდეგ კი წვიმამ ცეცხლი ჩააქრო. წმიდანთა უვნებლად დარჩენილი ნეშტი ქრისტიანებმა პატივით მიაბარეს მიწას.

მაგალითები წმიდანთა სანიმუშო ცხოვრების შესახებ შორს წაგვიყვანს. ქუხილი, ელჭექი, მეხი, ქარიშხალი - საიდუმლო მოვლენებია, რომლებიც ქრისტეს მეორედ მოსვლამდე ჩვენი ცხოვრების თანამდევნი იქნება, ამიტომაც მივმართავთ „მეუწველი მაყვლის“

ღვთისმშობლის ხატს ვედრებით: „რაჟამს ცეცხლითა დაიწვებინა სახლნი ჩუენნი და ელვისა ქუხილისა შიშითა დაცემულ ვიქნებით, გამოაჩინე მოწყალე შუამდგომლობა და ყოვლადმღიერი შემწეობა შენი, რათა გვიხსნას და განგვარიდოს სასჯელებს - მძვინვარე ჭირთა, ცეცხლსა და ქუხილსა [ლოცვები 2001, გვ. 94-95].

როგორც ვიცით, ზოგი რელიგიური წეს-ჩვეულება გასაოცარი მდგრადობით გამოირჩევა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში უცვლელი რჩება მათი ფორმა და შინაარსი [ეთნოლოგიის 1995:236]. საბოლოოდ იმ აზრამდე მივდივართ, რომ ქართველი ხალხის მიერ შექმნილ უმდიდრეს ზეპირსიტყვიერებაში, ცოცხალ ყოფაში დაცულ რიტუალებსა თუ წეს-ჩვეულებებში ერთმანეთის გვერდით თანაარსებობს როგორც უაღრესად არქაული, ისე მაღალგანვითარებული ფორმები და თითქმის შეუზღუდავად მოქმედებს აზროვნების ერთიანი ხატოვანი სისტემა (ხიდაშელი, 2005, გვ.168), რომელსაც ბიბლიური, ანუ მისტიკური აზროვნება ასაზრდოებდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანთელავა, ნ. (2011). აფხაზური მითები და რიტუალები. თბილისი.
2. ახალი აღთქმა (2002). თბილისი
3. დაუჯდომელი (2002). გალობა წმიდისა მთავარანგელოზისა მიქაელისა. თბილისი.
4. ვაჟა-ფშაველა (1969). მცირე ლექსიკონი. თბილისი.
5. ეთნოლოგიის ქრესტომათია (1997). თბილისი.
6. ლოცვები ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის 45 სასწაულმოქმედი ხატისადმი (2001). თბილისი.
7. მაკალათია, ს. (1941). სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბილისი.
8. ორბელიანი, ს. (1991). ლექსიკონი ქართული. ტ. 1, თბილისი.
9. სიხარულიძე, ქ. (2006). კავკასიური მოთოლოგია. თბილისი.
10. ქართლის ცხოვრება (2012). ტ. 1. თბილისი.
11. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (1958). ტ. 5. თბილისი.
12. ხიდაშელი, მ. (2005). რიტუალი და სიმბოლო არქაულ კულტურაში. თბილისი.
13. წმიდათა ცხოვრება (2006), ტ. 2. თბილისი.
14. ჭიჭინაძე, ზ. (2018). ყარსის მიდამოების გამაჰმადიანება. ბათუმი.
15. ჯანაშია, ნ. (1897). აფხაზები. „მოამბე“, №2.
16. „მწყემსი“, №32. (1886). თბილისი.
17. Гатиева, Б. (1876). Суеверия и предрасудки у Осетин, сборник сведения о Кавказской горцах. IX. Тиф.
18. Званба, С. (1982). Абхазские этнографические этюды. Сух.

Irma Kvashilava

**For understanding of mystical function of celestial
idol of fire – idol of “Sky-Cloud”**
Summary

Worship of ferocious celestial powers of idol of “Sky-cloud” was universal in ritual practice of Caucasians. People tried to win weather governor’s favor since ancient times and they often got results. Thunder is completely different, that’s why Mythical and Christian understandings of its function is depicted in the work. It was established that thunder is punitive phenomenon. Insolent person is met by it as a celestial fire. That’s why damaged person prepared her so called ritual of regret because ritual was only one way for touching with sacred thing. Christian aspects of research issue is illustrated in the work.

**ნათია კალანდაძე,
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი**

**საკვებისა და სამკურნალო მცენარეთა შენახვის ტრადიცია ზემო გურიაში
(XX საუკუნეში)**

ზემო გურია მოიცავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მთლიან ტერიტორიას, რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, ის გამოირჩევა ხანგრძლივი უხვთოვლიანი ზამთრით. თოვლის საფარის სიდიდე არამცთუ დაბლობში, ან ახლომდებარე სოფლებთან, არამედ ხშირად, ახლო მეზობელთან მისასვლელ გზასაც კეტავდა. მაღალი მთის ფერდობებზე მდებარე სოფლებში, ოდითგანვე არსებობდა მძიმე ზამთრისთვის თადარიგის დაჭერის ტრადიცია. ადგილობრივი მოსახლეობა ცდილობს, რაც შეიძლება მეტი პროდუქტი შეაგროვოს, შეევსოს საკვების მარაგი, როგორც ადამიანისთვის, ასევე საქონლისთვის. სათბობად დაამზადოს შეშა, სამკურნალოდ გაახმოს მცენარეთა ფოთლები და ბალახები. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი დიდ ცოდნა--გამოცდილებას მოითხოვს, რომელიც თაობიდან თაობას წინაპრებისაგან გადაეცემა და დღესაც გრძელდება. ზამთრის მარაგი,

რომელიც ოჯახს სულ მცირე გაზაფხულის შუამდე მაინც რომ მიყოლოდა, ბოსტნეული, ხილი თუ მარცვლეული კულტურა, მწიფე, სადი და უნაკლო უნდა ყოფილიყო.

შესანახი პროდუქტების გადარჩევა-დახარისხება, საკვების მომზადების თადარიგის დაჭერა ოჯახის ქალს ეკისრებოდა, მამაკაცები გარე სამუშაოებს აგვარებდნენ. ქალი, ძირითადად, საოჯახო საქმით იყო დაკავებული, რაც საქართველოს ბარისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო. ქალთა საოჯახო და ზოგჯერ უბნის საერთო საქმესაც ხელმძღვანელობდა თავი-ქალი, რომელიც დიდი ოჯახის არსებობის დროს, ქალთა საოჯახო საქმიანობის განმგებელი უნდა ყოფილიყო (ცეცხლაძე, 1991, გვ. 73).

უპირველესი საკვები სიმინდი, ლობიო და კარტოფილი იყო, ასევე ნიგოზი, თხილი, წიწიბო, წაბლი, კვახი (ხაპი). განსაკუთრებით ყურძნის კრეფა დაწურვას, ზადაგის (ტკბილის), ღვინოს დაყენებას, არყის გამოხდა შენახვას, რომ დაამთავრებდა გლეხი დამშვიდებული „სულმოთქმული“ იყო. ხილის მოკრეფა და შენახვა მოსავლის დაბინავების ბოლო საქმე იყო. შესანახი ჭურჭელი არ იყო „ჭირდა“, საწნახელს მხოლოდ ღვინის დასაყენებლად არ იყენებდნენ. ღვინოს ჭურჭელში გადიტანდნენ. საწნახელს კარგად გააშრობდნენ, ფსკერზე თხელ ფენად დაფენილ სიმინდის ქურჩენაში (ფუჩეჩში) ალაგებდნენ გადარჩეულ ვაშლს, ნაცარა ვაშლი (შავი ვაშლი, ჟანგის ვაშლი) ქვემოთ უნდა ყოფილიყო, გამძლეობა ჰქონდა, თითქმის გაზაფხულის ბოლომდე ინახებოდა. ასე ფენა-ფენად ლობიოს ქურჩენაში ეწყობოდა ვაშლი ჯიშებისა და შენახვის ხანგრძლივობის მიხედვით (საწნახლის ძირზე ეწყობოდა, მხოლოდ სიმინდის ფუჩეჩი, შემდეგ ფენებში ლობიოსი). ბოლოს დაწეწილ სიმინდის ქურჩენას დააყრიდნენ, თავი რომ არ ჩამძვრალიყო ფიცრებით მჭიდროდ დახურავდნენ. ოჯახს, რომელსაც ოდა სახლი ედგა, სხვენზე ინახავდა ხილს, ნიგოზს, თხილს. საწნახელს ზოგი ოჯახი აღდგომის მარხვის დადგომამდე არ გახსნიდა. ახლო მეზობლებმა ერთმანეთის ოჯახის ამბები იცოდნენ, აღდგომა დღეს „ბათმანიანი“ კალათით მოუკითხავდნენ ერთმანეთს ხილს (რ. ბერიშვილის ნაამბობი).

სახლის სხვენში დიდი რაოდენობით ინახებოდა ტყის ვაშლი (პანტა), კვიჭიჭე (ტყის მსხალი), ეს ზომით პატარა ხილი მაისის ბოლომდე ინახებოდა (ტყის პანტა ზომით საკმაოდ პატარაა მცნობით მიღებულ ხილის ჯიშებთან შედარებით). „ხაჭეჭურე“ მსხალი ყველაზე გვიან იკრიფება, ძველად ინახავდნენ ჭურში, რომელშიც ფენა-ფენა ჩაწყობილი იყო ხილი თივასთან ერთად. ხილის შესანახად გაზარულ ჭურს იყენებდნენ, (რომელიც ღვინოს არ იკავებდა). გადარჩეული ხილისგან ე.ი ცოტათი ნაკლები ხარისხის, რომ იყო, დიდი რაოდენობით კეთდებოდა ჩილე (ჩირი) (ვაშლი, მსხალი, კარალოკი). ჩირისგან ზამთარში კომპოტებს ხარშავდნენ. შენახვის ეს მეთოდები თანდათან დავიწყებას მიეცა, გადაჯიშდა უნიკალური ხეხილი, მოსახლეობა შუშის ქილებში, კომპოტებად ინახავს ხილს, სხვადასხვა წესით ხარშავს მურაბებს. სპეციალური წვენსაწურების დახმარებით ამუშავებს ხილს, წვენს ინახავს, ნარჩენს საარყე ჭურში ყრის.

ოჯახის დიასახლისი პირველი ხილის დამწიფებისთანავე იწყებს ტკბილი ალკოჰოლური სასმელის „საშობაოს“ გაკეთებას, იგი მზადდება შუშის ქილაში სხვადასხვა ხილზე შაქრისა და არყის დამატებით. ზნელ და მშრალ ადგილას დგას ქილა, რომელსაც პერიოდულად ემატება სეზონურად ხილი, შაქარი და არაყი. სასმელი იხსნება ქრისტეშობა დღეს და სახელიც „საშობაო“ ქვია.

ხაპი დიდი მნიშვნელობის პროდუქტია საერთოდ და განსაკუთრებით ზემო გურიის მთიანი სოფლებისთვის. მას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მთის მოსახლეობისათვის, გაუთავებელი თავდასხმების თუ ომიანობის დროს. ხაპი, მსხალი და ცოტაოდენი ფქვილი არეული იზილებოდა, რომელსაც აცხობდნენ კეცზე. ჩირად აშრობდნენ და უხარშავდნენ ბავშვებს რძესთან ერთად. ხაპის სქელ კანს ამუშავებდნენ და სითხის შესანახ ჭურჭლადაც იყენებდნენ.

ხაპი ახორის (ძროხის სადგომი ბინა) თავზე ინახებოდა. ჭერზე დაგებულ ჩალაზე დააწყობდნენ ხაპს, დააყრიდნენ ქურჩენას ასე ფენა-ფენად. სათესური ხაპი (სათესლედ არჩეული ხაპი უნდა ყოფილიყო კარგი მწიფე და უნაკლო შესახედაობის) განსაკუთრებით ინახებოდა და კალანდა დღეს იჭრებოდა. თესლს ოჯინჯალაზე გააშრობდნენ. ხაპის მარცვლებს წამლად ინახავდნენ, ჭიების საწინააღმდეგოდ. ყვავილს ჯიბლიბოს, ასევე ჩირქოვანი წყლულების მოსარჩენად იყენებდნენ. ყვავილს აგვისტოს ბოლოს ახმობდნენ და ზამთარში საჭიროების შემთხვევაში ამზადებდნენ (რ. ბერიშვილი, პირადი კომუნიკაცია, აგვისტო, 2018).

მთიან გურიაში კარტოფილიც ხშირად ჭადისა (მჭადი) და პურის ჩამნაცვლებელი საკვები იყო. განსაკუთრებით წითელი ფერის კარტოფილი. მზადდებოდა კარტოფილის ფქვილი, გახეხილ კარტოფილს ხის გობზე გაშლიან და დაასხამენ წყალს, მეორე დღეს გადაწურავენ ნარჩენს გაშლიან მზეზე, გააშრობენ და მიიღებენ ფქვილს. კარტოფილის ფქვილს იყენებენ კულინარიაში და წამლადაც კუჭ-ნაწლავის ანთების სამკურნალოდ. აღნიშნული დაავადების დროს იყენებდნენ ანწლისა და მოცვის ნაყოფის წვენს, რომელიც მზადდება მცენარის მწიფე ნაყოფისა და შაქრის ბუნებრივი დადურებით, ქილაში ფენა-ფენა ჩაყრილი ნაყოფი და შაქარი თავისთავად დულს. ინახება წლების განმავლობაში, იყენებენ საჭიროების შემთხვევაში.

კარტოფილი ძირითადად ინახებოდა ორმოში. მშრალ ადგილას ამოთხრიდნენ დიდ ორმოს, ფსკერში ჩააწყობენ წიფლის ხმელ ტოტებს. ფიჩხით უნდა დაიმალოს ორმოს ძირი მერე დააყრიან გადარჩეულ კარტოფილს ისევე ფიჩხებს და ფენა-ფენად ამოჰყავთ ორმოს თავამდე ორი მტკაველის დაკლებით, აქ უკვე დააყრიან ტომრებში შენახული წიფლის გამხმარ ფოთლებსა და მშრალი მიწის სქელ ფენას და ბეკნიან (ტკეპნიან). ყავრით ან ისლით უკეთებენ სახურავს, წყალი რომ არ ჩავიდეს. ამ საქმის შესრულება ცოდნას მოითხოვდა და ყველას არ ანდობდნენ. იყო შემთხვევები, როცა რამოდენიმე მეზობელი ერთ ორმოში ინახავდა კარტოფილს, ჩაყრის დროს ნიშანს ადებდნენ რომელ ფენაში ვისი კარტოფილი იყო.

მცირე ზომის ორმოს აკეთებდნენ საცხოვრებელი სახლის მიწურ, საკმაოდ ბნელ ოთახშიც, სადაც ზამთრობით თოვლის დიდ რაოდენობას ტკეპნიდნენ. კარგად დატკეპნილ თოვლს მაისის თვემდე ნარჩუნდებოდა (გაჰქონდა თავი). ასე ინახებოდა თოვლში სურსათი სანოვაგე.

გურიაში ფართოდ იყო გავრცელებული შრომითი ურთიერთდახმარების ფორმა, რომლის დროსაც მეზობლები ეხმარებოდნენ ერთ ოჯახს. შრომის ეს ფორმა გურიაში ცნობლია ნადისა და ხარნადის სახელწოდებით. ურთიერთდახმარების ამ ფორმას მიმართავენ მემინდვრეობის თითქმის ყველა სამუშაოს დროს (გელაძე, 1980, გვ. 40).

დიდი საქმე იყო სიმინდის ყანის აღება, ტაროების გარჩევა და შემდგომ გადარჩევა. სიმინდის ყანას ოჯახი მარტო ვერ აიღებდა, ამიტომ ერთმანეთს ეხმარებოდნენ, ნადს შეიწევდნენ (მეზობლები ადგენდნენ გრაფიკს ვინ როდის მოტეხდა (აიღებდა) ყანას). სიმინდის ყანაში ითესებოდა ლობიო, სოიო, ხაპი. ნადის შეწევამდე ლობიოს წინასწარ მოკრეფდნენ, ხაპს შეაგროვებდნენ დამხმარეებს ყანის აღებაში ხელი რომ არ შეშლოდათ, სოიოს კი ბოლოს აიღებდნენ კარგი იყო მისი მზეზე გახმობა. ყანის ირგვლივ იზრდება სარეველა მცენარე ორკბილა, რომელსაც ჭრიან, ახმობენ და ნახარშის აბაზანებს იკეთებენ ტანზე გამონაყარის დროს. ორკბილას ზემო გურიაში „ხოზიკას“ ეძახიან. სახლში მოტანილ სიმინდს კალოდ მოახვავებდნენ, ტაროსა და ფუჩქს ერთმანეთისაგან გამოაცალკევებდნენ (სიმინდის გაქურჩნა). სიმინდის „ულვაშებს“ ფოჩვეებს აგროვებენ, ახმობენ და ინახავენ, შემდეგ იყენებენ წამლის დასამზადებლად, მხოლოდ 6 თვის განმავლობაში, რადგან მერე სამკურნალო თვისებებს კარგავს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, სიმინდის ფუჩქის ნაწილს ხმარობენ ხილისა და ბოსტნეულის შესანახად, ნაწილს საქონლის საკვებად. სიმინდის „ქურჩენს“ საქონელს უფრო საღმოს ჩაუყრიან ბაგაში. „ქურჩენის“ ჭამასა და გადამუშავებას

საქონელი დიდ დროს ანდომებს, რაც საქონლის ტემპერატურის მომატებას იწვევს და თბილად არის.

სოიოს ღობეზე კონებად ჩამოკიდებენ გასახმობად. კარგად გამხმარი პარკებიდან მარცვლები ჯოხის ერთი დარტყმით ცვივდება, ცარიელ კონებს ყინვაში უყრიან საქონელს უფრო დედა ძროხას კარგი წველადობისთვის. მარცვლებს ფქვავენ, ფქვილი გამოიყენება კულინარიაში და უფრო მსხვილად დაფქული საქონლისთვის.

სიმინდს ნალიაში შეტანამდე ახარისხებენ სათესლე სიმინდს შეარჩევენ, სათესლე ტაროს, რომელსაც სწორად აქვს ჩალაგებული ბრტყელი მარცვლები 12 მწკრივად, ნალიის ერთ კუთხეში ყრიდნენ. საქონლისა და ფრინველისთვის მეორე კუთხეში, მჭადად დასაფქველს განსაკუთრებულად ამუშავებდნენ თავებს წააჭრიდნენ, ამ საქმეს აკეთებდა ოჯახის უფროსი მამაკაცი, რომელსაც სხვა სიმინდის საქმის შესრულება არ შეეძლო და მზის „ყურში“ დამჯდარი არჩევდა სიმინდს, ახარისხებდა, ახალგაზრდებს ნალიაში აჰქონდათ, მითითებულ ადგილას ყრიდნენ.

გურიაში ოდითგანვე მეურნეობის წამყვანი დარგი იყო მიწათმოქმედება, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნოდა მემინდვრობას. სიმინდის კულტურა აქ დღესაც საკმაოდ გავრცელებულია, მაგრამ მისი დამუშავება მაინც არ არის გურული მეურნის მთავარი საქმიანობა და აღარც სიმინდია ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო. საკარმიდამო ნაკვეთების მცირე ნაწილი უჭირავს სიმინდს და მიღებული მოსავალი უმეტესად ოჯახის მოთხოვნებს აკმაყოფილებს (ცეცხლაძე, 1988, გვ. 140).

გურიის მთიანეთში ლობიოს სხვადასხვა ჯიშები არსებობს, ყანის ლობიო სიმინდის დერს მიყვება, მისი გამხმარი მარცვლები სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა. მზეზე გამხმარ ლობიოს გაარჩევდნენ პარკებიდან მარცვლებს გამოყრიან, ქურჩენას, როგორც აღვნიშნე ხილის შესანახად იყენებდნენ. მარცვლებს თავიდანვე გადაარჩევდნენ სათესლე მარცვლებს, რომელსაც ნაცარში არეულს ინახავდნენ, ჭიები რომ არ გასჩენოდა. ლობიოს ნედლ პარკებს თოვზე აცმევდნენ და ახმობდნენ, ამავე წესით (პრინციპით) ახმობდნენ ბადრიჯანს, რომელსაც გამოყენების წინ ალბობენ და ისე ხარშავენ. მაფზე აცმულს ინახავენ წიწკას და ყვითელ ყვავილს. ლობიოს ნედლ პარკებს კონსერვებად ინახავენ შუშის ქილებში. ლობიოს ზეთში და სხვა ბოსტნეულთან ერთად არეულს ინახავენ მოხმარების წინ კარგად აადულებენ.

მწნილები მზადდება ძირითადად კიტრისაგან და მკვახე პომიდვრისაგან, კეჟერა ფხალს ყინვა, რომ მოხვდებოდა მერე მოჭრიდნენ და ამჟავებდნენ დერგებში ან პატარა ზომის ქვევრებში. მწნილად ინახება აკაციის გაუმლელი ყვავილი. აკაციის ყვავილს წამლად ინახავენ მშრალდ ბნელ ადგილას ახმობენ და გაციების დროს ჩაის აყენებენ ისევე, როგორც სხვა მცენარეების: ცაცხვის ყვავილის, ასკილის, კომშის, მალინის გამხმარი ფოთლის ნახარშით.

მწიფე პომიდვრისაგან სხვადასხვა სახის საწებელი მზადდება. საწებლად ტყემლის შენახვა ერთი დიდი რიტუალი იყო, ხარშვის დროს ტყემალს წვენი მოადგება თავზე იღებენ და ცალკე ჭურჭელში ინახავენ. მოხარშულ ტყემალს ცეხლიდან გადმოდგამენ გასაციებლად, ცეცხლზე კი წვენს შემოდგამენ და ამზადებენ კვანარახად, ხარშავენ გასქელებამდე. კვანარახი სხვადასხვა დანიშნულებისთვის გამოიყენება: მიაჩნიათ გაციების წინააღმდეგ პირველ წამლად. კერძებში საკაზმადაც ხმარობენ, კვანარახის შესანახ ჭურჭელში ჩასხმის დროს კურკა გამოცლილ კორკიმელს (ხილი ქლიავის მსგავსი ზომით პატარა) ჩააყოლებენ. ამ შემთხვევაში ბავშვებს უხაროდათ კვანარახის ჭამა, რადგან იცოდნენ კორკიმელი შეხვდებოდათ. კარგ ამინდებში მოხარშული ტყემლისაგან ტყლაპებს ამზადებდნენ.

ზამთრის მოსვლას ყველა მეოჯახე მზად უნდა დახვედროდა. მამაკაცები შეშას და ჩალას იმარაგებდნენ, საქონლის ბინას გვიმრით ან ღომის ჩალით „ფუთავდნენ“, „კონახში“ საქონლისთვის პირის ბაგას აკეთებდნენ (წულაძე, 1971, გვ. 63).

დიასახლისები გაზაფხულის დადგომისთანავე იწყებენ მზადებას ზამთრის შესახვედრად, შეიძენდნენ და ზრდიდნენ გოჭებს, შინაურ ფრინველებს წინასწარ არჩევენ,

რომელი რომელ დღესასწაულზე დაიკვლება. შემოდგომის ბოლოს იხვებსა და ბატებს გადაარჩევენ მსუქნებს დაკლავენ და დაამარილებენ, შემდეგ შებოლავენ. ბატის „ხორხს“ (საყლაპავ მილს) წამლად ინახვენ, ძაფს გაუყრიან და ახმობდნენ „ხველა ბატონების“ დროს ბავშვს ისე შეაბამენ კისერზე, რომ ეხებოდეს.

აგვისტოში ყველს ცალკე წათხში აწყობენ, დერგს კარგად მოუკრავენ თავს, დიასახლისი ხშირად დახედავს მშრალად რომ არ იყოს ყველი, დერგს მხოლოდ ქრისტესშობას გახსნიან. აგვისტოს ყველს კარგი გემო აქვს და კარგად ინახება.

ღორის კლავენ ქრისტესშობის მოახლოებასთან ერთად იწყება. შობის დღესასწაული მიუხედავად ასაკისა, ოჯახის ყველა წევრს ახარებს და თითქმის ყოველ საღამოს ანგარიშობენ, თუ რამდენი დღე დარჩა ბედნიერი დღის გათენებამდე (წულაძე, 1971, გვ. 69). ღორის ხორცს ამარილებენ, ნაწლავებისაგან კუპატებს ამზადებენ, შემდეგ შუაცეცხლზე ბოლავენ. თებერვლის თვის ბოლოს ხორცს მარილიანი წყლიდან ამოიღებენ კარგად გარეცხავენ, გააშრობენ და ბოლავენ შუაცეცხლზე, სასურველია შებოლვის დროს ცეცხლში იწვოდეს: დაფნის, რწყავის, ან მანდარინის შეშა ამ მცენარეთა კვამლი კარგ არომატს აძლევს შესაბოლო პროდუქტს.

მეტად მნიშვნელოვანია ნანადირევი ხორცის შენახვის ტრადიცია, როგორც ფრინველის, ასევე ცხოველის. ქრისტესშობამდე ხორცს არავინ ჭამდა, რამაც განაპირობა ნანადირევის ხორცის დამუშავებისა და შენახვის აუცილებლობა. ხორცს ინახავენ, ტყავს ამუშავებენ, ქონს ადნობენ და ინახავენ. შემოდგომის სტუმარი ფრინველები: ბოლოშავეები და ჩიჩხინაკი მწიფე ხურმას და მსხლის „მადას“ (ფითრს) ხარბად შეექცევიან. ჩიტებზე ნადირობა უფრო „ხვავრიელი“ მაშინ იყო, როცა თოვდა, მეტადრე თუ ბარდნიდა (წულაძე, 1971, გვ. 71). რაც შეხება თევზის შენახვას, რომელსაც მარილში კარგად დაამუშავებენ, ხშირ შემთხვევაში ბოლავენ. ცნობილია, რომ ნადირი ზიანს აყენებს მოსახლეობას, უკვე დამწიფებულ ყანას მაჩვი და დათვი ძლიერ ეტანებოდა. მოსახლეობა იძულებული იყო ყანაში ხაფანგები მოეწყო ნადირის დასაჭერად. ერთი მხრივ ნადირს იგერიებდნენ, მეორე მხრივ, მის ხორცს ინახავდნენ, მაჩვის ხორცი სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა, ფილტვების სისუსტის დროს აჭმევენ ავადმყოფს, სოფელში ყველამ იცოდა ერთმანეთის ოჯახის ამზავი, მიუხედავად იმისა კომუნიკაციის საშუალება, მხოლოდ სოფლის ცენტრში თავშეყრის ადგილებში მოსმენილი ამბები იყო, თუ ვინმე მაჩვს დაიჭერდა უგზავნიდა-მოუკითხავდა ავადმყოფს. ქონს ადნობენ, ინახავენ. საკვების გარდა სხვა მინარევებთან ერთად საპონის დასამზადებლადაც იყენებენ.

არანაკლებ საშური საქმე იყო საქონლის საკვების შენახვა. სიმინდის ჩალის დაბინავების შემდეგ, ბავშვები ყანაში ერთ ფოთოლსაც არ ტოვებდნენ ხბოებისთვის პატარა ზვინებს თავად აკეთებდნენ. ნაყანებში შემორჩენილ კვახებს აგროვებდნენ. მშობლებთან ერთად ბალახებს თივად ახმობდნენ და აწყობდნენ საძროხის სხვენზე. ხის გამხმარი სოკო საგულდაგულოდ ინახებოდა ძროხის ბინაში, მეწველ ძროხას ცურებში რძის გამაგრების დროს ქვევიდან ნაკვერჩხალზე დაყრილ სოკოს შეუდგამდნენ, ცურებს უმარილო ღორის ქონით გაპოხილი ჩვრით ამუშავებდნენ, არბილებდნენ.

ოჯახის უფროსი ქალბატონი, რომელსაც საოჯახო საქმის შესრულება უჭირდა. საჯანჯუხე (ჩურჩხელა) თხილს არჩევდა და ამზადებდა. ჯანჯუხებს ძირითადად წვიმიან დღეს ავლებდნენ, სხვა დღეს არ მოცდებოდნენ. ეს დღე განსაკუთრებით ბავშვებს უხაროდა (ახალისებდა). ჯანჯუხებს, გარდა იმისა, რომ საკმაოდ მსუყე პროდუქტისა, სარიტუალო დანიშნულება ჰქონდა. დასაქორწინებელ სტუმარს, ოჯახის უფროსი დიასახლისი ყურზე ჩამოკიდებდა, იმ წელიწადში დაწყვილებას უსურვებდა. ასევე სიმსუყის, ბარაქისა და დოვლათის სიმბოლოდ მეკვლეს მიართმევდნენ.

უკვე გადარჩეულ პროდუქტს შესანახად გამზადებულს დაბინავება სჭირდებოდა, ეს საქმეც ქალს ევალებოდა, ხულას გაასუფთავებდა, დაცლიდა ზედმეტებისაგან, ასევე - ნალისა, რომელშიც სიმინდი უნდა შეეტანათ. ხულაში თაროებზე შემოაწყობდნენ ზომის მიხედვით

ქილებს, ლობიოსა და სხვადასხვა მარცვლეულისთვის ჭურჭელი სხვადასხვა ფორმისა და ზომის არის.

ხულაში თაროზე შემოდებულ ბოთლში, გველი ინახებოდა. ქვეწარმავალს ბოთლში ცოცხლად ჩასვამდნენ და პირველ ნახად არაყს დაასხამდნენ. თვლიდნენ ერთი წლის შემდეგ არაყი სამკურნალო თვისებებს იღებდა. შინაურ ცხოველებისა და ფრინველებისთვის ჭირის დროს მათ საკვებში ურევდნენ.

საოჯახო ყოფაზე დიდ გავლენას ახდენს მოდერნიზაციის პროცესი. ოჯახში სხვადასხვა ტექნიკური სიახლე აუმჯობესებს ადამიანის ყოფას, ქალს საოჯახო საქმეს უმსუბუქებს. საცხოვრებელი სახლის სრულყოფაც მოდერნიზაციის პროცესის ერთ-ერთი ნაწილია. კომუნიკაციის საშუალების განვითარება კი აფართოებს ოჯახის თვალსაწიერის (ცეცხლაძე, 1988, გვ. 140).

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

ლიტერატურა:

1. გელაძე, თ. (1980). გურია. თბილისი. მეცნიერება.
2. ცეცხლაძე, გ. (1991). გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა. თბილისი.
3. ცეცხლაძე, გ. (1988). ქართველი ხალხის თანამედროვე ყოფა და ტრადიციები. თბილისი.
4. წულაძე, ა. (1971). ეთნოგრაფიული გურია. თბილისი. საბჭოთა საქართველო

წყაროები:

5. ბერიშვილი, რ. პირადი კომუნიკაცია, აგვისტო, 2018.

**Natia Kalandadze,
Chokhatauri Municipality Museum for Study of Local History**

Food and Medicinal Plants Preservation Tradition in Upper Guria (XX Century)

Summary

1. Natural climate conditions, specifically the circumstance that winter in upper Guria is exceptionally cold and snowy, have led to developing certain traditions of food and household storage that required much knowledge and experience, which were passed from generation to generation.

2. Various canned foods were made from vegetables - for example: beans and eggplant. Peppers were put on a thread. Everything was put in warm water before cooking. Pumpkins, beets and carrots were kept in hay.

3. Population kept fruits in the natural form, as well as in the form of dried fruits and natural juices.

4. There was an interesting and diverse tradition of keeping meat of domestic and wild animals for winter. Care for meat storage would start with selecting cattle shortly after beginning of spring. Meat was kept in marinated form in different vessels. It was fumigated with fire in order to keep the quality.

5. There was an interesting and diverse tradition of preserving medical plants, which is still evidenced in Upper Guria. It was important both for human beings and cattle.

ნაწილი აზიკური

ბუნების დაცვის ხალხური ტრადიციები და თანამედროვეობა (თუშეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ადამიანი მჭიდროდაა დაკავშირებული საარსებო გარემოსთან და ეს კავშირი ღრმად ცნობიერია. ტრადიციულ საზოგადოებაში ადამიანმა კარგად იცის გარემომცველი სამყარო – თავისი გარემოს ტყე და ველი, წყალ-ჭალა და მდინარეები, მცენარეული საფარი და მათით სულდგმულობს; იგი ცდილობს, ნაკლები ზიანი მიაყენოს საკუთარ საარსებო წყაროს – ბუნებას, რასაც ათასნაირი აკრძალვითა და მის მიმართ საკრალური დამოკიდებულებით მუდამ ახერხებდა.

ადამიანს სამეურნეო საქმიანობა მჭიდროდ ჰქონდა დაკავშირებული ბუნების თავისებურებებთან, კარგად იცნობდა თავისი გარემომცველის ნიადაგის საფარს, რომელიც, მისი დაკვირვებით, მრავალგვარი იყო. იცოდა როგორ მიწაზე, რა მცენარე უფრო კარგად ხარობდა, რომელი მცენარისთვის როგორი ნიადაგი ჯობდა და ამის მიხედვით ყველაფერს გონივრულად ანაწილებდა. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს აკვირდებოდა ამინდს, დროს, მთვარის ფაზებს. თავის საცხოვრებელ გარემოზე დაკვირვებითა და ემპირიული გზით მიღებული ცოდნა-გამოცდილებით ამინდის პროგნოზი კარგად იცოდნენ ადამიანებმა. მთაში თითოეული სოფლის მცხოვრებლებმა კარგად იცოდნენ თავიანთი მიკროგარემო, ქარის, ნიავის თუ ღრუბლების მიმართულებით, აგრეთვე ამა თუ იმ ახლომდებარე მთაზე უცებ გაჩენილი თუნდაც უმცირესი ღრუბლის ფთილის მიხედვით უზუსტესად საზღვრავდნენ ამინდს.

ტრადიციულად მიწა გადანაწილებული იყო შემდეგნაირად: მაღალმთაში, ქუჩკვირვიანში აბალახებდნენ ცხენის ჯოგსა და ჯაროვანს. მის ქვედა ზოლში ძოვდა ცხვარი და უფრო დაბლა კი – ძროხის ნახირი. სოფლის მისადგომებს სახნავად იყენებდნენ. მოჰყავდათ ქერი, სვილი, კარტოფილი, ბოლოკი... სახნავ მიწას მუდმივად ხელს აძლევდნენ,

უვლიდნენ, რომ არ დამეწყრილიყო, სადაც საჭირო იყო, ატერასებდნენ კიდევაც. მსხვილფეხა პირუტყვს სამოვრებისკენ ოდითგანვე გამოყოფილი მხოლოდ ერთი ბილიკით მიერეკებოდნენ. რა თქმა უნდა, ყანაში ნახირს არავინ უშვებდა.

ცხვარი მთლიანად მოცილებული იყო სოფელს და სოფლის სანახებში მისი გამოჩენა მიუღებელი იყო. ასეთი რამ თუ მოხდებოდა, ანუ სოფლის სათვალთვალში ფარა თუ გამოჩნდებოდა, მწყემსს აუცილებლად დასჯიდნენ – ერთ ცხვარს მოსტაცებდნენ და სასოფლოდ დაკლავდნენ, თანაც დასცინებდნენ – „გარმონის ხმაზე ცხვარს აძოვებსო“. საუკუნეობით დადგენილ ამ წეს-რიგს თუმეტი მაშინაც იცავდნენ, როცა ორგან დაიწყეს ბინადრობა – ზამთარში ბარში, კახეთის ველზე და ზაფხულში თუშეთში. 1930-იან წლებში მთაშიც დაიწყო საკოლმეურნეო ცხოვრება და უფრო დიდი სოფლები საკოლმეურნეო საქმიანობას ეწეოდნენ, პატარ-პატარა სოფლების მცხოვრებლები კი, რომელთა მოსახლეობაც მხოლოდ ზაფხულობით ადიოდა მამაპაპულ სამკვიდროში, ბარში ჩართეს ამ ახალ წესრიგში. თუშეთის ეს სოფლები ზაფხულშიც დაიცალა და კოლმეურნეობაში ჩართულ მოსახლეობას მთაში აღარ უშვებდნენ. სახელმწიფომ კი მოსახლეობისგან დაცლილ ნაძრავ-ნახნავ მიწებზე სოფლებში და სოფლის სავარგულებში ცხვარი ჩააყენა. ცხვრის ყბის აპარატი ისეა მოწყობილი, რომ ბალახს ფესვამდე კვნეტს, ბალახი დათესლიანებას ვერ ასწრებს და ნიადაგის საფარიც ადვილად ირღვევა. სოფლის გარშემო ნახნავი, ნაძრავი მიწები ცხვრის ფეხმა გაანადგურა, მიწა დაიძრა, დაიწყო მიწის ეროზია და დამეწყერება. სოფლები ნასოფლარებად იქცა. უპატრონობით სახლებმა ნგრევა იწყო. ცხვარი სოფლებში თავისუფლად იდგა და ეს იყო სრული კატასტროფა. ტრადიციულად მოქმედი მიწით სარგებლობის ვერტიკალური ზონალობა დაირღვა. საკოლმეურნეო მოძრაობამ სამოვრებისა და ნიადაგის საფარის ექსპლუატაციის ძველი მამაპაპური წესრიგის მთლიანობა დაარღვია. როცა მიწას ამუშავებდნენ, ადამიანები ნიადაგს უფრთხილდებოდნენ – ღობავდნენ, ატერასებდნენ, ქვებისგან ასუფთავებდნენ და შიგ საქონელს არ უშვებდნენ. ნაძრავ და მიტოვებულ მიწას ძალიან დიდი დრო სჭირდება, რომ გაყამირდეს და გაძლიერდეს. საქონლის და მით უმეტეს, ცხვრის ფეხი ძალიან ადვილად აფუჭებს ბალახის საფარს.

ტრადიციულ საზოგადოებაში ადამიანი ბუნებას შეჰყურებდა როგორც ხელშეუხებელსა და წმინდას. ცდილობდა, მასთან ჰარმონიულ კავშირში ყოფილიყო. ბუნების მოვლენებს აკვირდებოდა – ხვნა-თესვის, ხის მოჭრის, საქონლის გამრავლების დროს მთვარის ფაზებს ითვალისწინებდა და სხვა სამეურნეო საქმიანობასაც ბუნებას უკავშირებდა, ცდილობდა ბუნებრივ მოვლენებს გონივრულად მორგებოდა. ადამიანის უშუალო ჩარევითა და ბუნებასთან მისადაგებით სამოვრების რენტაბელურად ათვისების მიზნით ადამიანმა ცხვრის გამრავლების ბიორიტმი მისთვის ხელსაყრელ პირობებს ხელოვნურად მოარგო, ისე, რომ ბუნებაში არაფერი დააზიანა. ცხოველებისა და მცენარეების ხალხური სელექცია ყოველთვის ბუნებაზე დაკვირვებითა და ბუნებასთან ჰარმონიული თანხმობით ხდებოდა. ბუნებისგან იმაზე მეტი არასოდეს უნდოდა, ვიდრე ეძლეოდა. მეტისმეტი გვალვისგან ან გადაუღებელი წვიმებისგან შეწუხებული მაგიური ქმედებებითა და თხოვნით ერთადერთს ცდილობდა ბუნების კეთილგანწყობა დაემსახურებინა. ამისი მაგალითია ლაზარობა-გონჯაობა, რომელიც მთელ საქართველოში იყო გავრცელებული და კარგადაა შესწავლილი საქართველოს ეთნოლოგიაში (ბარდაველიძე, 2013, გვ. 3-35; სურგულაძე, 2003, გვ. 226-231). ბუნების მიმართ აგრესიული დამოკიდებულების კვალი საქართველოს არც ერთ კუთხეში არ ჩანს, ყველგან თხოვნა და მოწიწებაა.

ტრადიციულ საზოგადოებაში ადამიანს ბუნებაში ყველაფერი გასულიერებულად ჰყავდა წარმოდგენილი, მას ესაუბრებოდა, ემადლიერებოდა, სთხოვდა. ყანის მკას რომ ამთავრებდა, მიწას მადლობას უხდიდა. დაჯდებოდა მომკელი ყანის პირში, ნამგალს ზურგს უკან გადააგდებდა და ყანას მიმართავდა: „ყანაო, დადებულაიდ' დასვენებულიმც ხარბ, ძნას

კაბიწ, ულოს გვერდ ბავ-ბარაქიანიმც ხარ, სამხლო, საქორწილო, საჯვარისკროიმც ხარ“ (ცოცანიძე, 1987, გვ. 153).

ამგვარ საზოგადოებაში საკრალური იყო ტყისადმი დამოკიდებულებაც. ტყე არავის საკუთრებას არ წარმოადგენდა, ტყე ყველასი იყო. თუშეთში ყველა სოფელი თავისი ტყით სარგებლობდა. იყო ტყით სარგებლობის ძველთაგანვე დადგენილი წესი, რომელსაც არავინ არღვევდა. სასოფლო ტყეები დაყოფილი იყო გვარებზე, გვარებს შიგნით კომლებზე და ყველა თავისი ტყით სარგებლობდა (გასიტაშვილი, 1967, გვ. 87, 88). საკუთრებაში მხოლოდ ხატის ტყეები იყო. ყველა სოფლის ხატს ჰქონდა თავისი „ხატის ტყე“, საიდანაც საკუთარი თავისთვის ხეს არავინ გამოიტანდა. ეს მკაცრად იყო ტაბუირებული. ხატის ტყიდან გამოტანილი შეშა მხოლოდ ხატის სადღეობოდ მოსახარშ ლუდს და საკლავს ხმარდებოდა. დღემდე ასეა, ტრადიციის ძალით „ხატის ტყე“ ხელშეუხებელია. საყურადღებოა ის, რომ ხატის ტყეები ძირითადად საზვავე ადგილებშია. თუ სასოფლო ტყეში ხეს ადვილად ჭრიდნენ, ხატის ტყიდან ხატის საჭიროებისთვის მხოლოდ ნაზვავარი, დალეწილი ან სიბერისგან გამხმარი ხეები გამოჰქონდათ. ხატის ტყის არსებობითა და ხელშეუხებლობით მოსახლეობა კარგად იცავდა თავს ზვავისგან.

ასევე არ შეიძლებოდა სხვის ტყეში შესვლა და მით უმეტეს, იქიდან ხის გამოტანა, ეს დიდი სირცხვილი იყო, არც სხვის „დასერილ“-დანშიშულ ხეს არ გაიტანდა. სერს მხოლოდ წაქეუულ ხეს ადებდნენ. ზემდგომი ხის დასერვაც არ შეიძლებოდა (გასიტაშვილი, 1967, გვ. 87). მოჭრილი და წასაღებად გამზადებული ხის მოპარვა კი დიდ ცოდვად მიაჩნდათ; ასევე ცოდვად ითვლებოდა „მარნა'ნაყარსა“ (ახალგაზრდა ტყე) და „ჟინა'იან“ (ახალგაზრდა ფიჭვნარი) კორომებში ცულის მოქნევა კი არა, ცულის შეტანაც კი. ეს უდიდესი ცოდვა იყო და ამ ტაბუს მკაცრად იცავდნენ. ხალხში როცა ითქმება, რომ ესა თუ ის ქმედება ცოდვაა, იქვე შიშიც ჩნდება, რადგან, ხალხური შეხედულებითა და ღრმა რწმენით, ცოდვის ჩადენა არავის შერჩება, ცოდვა დაუსჯელი არ დარჩება და მას აუცილებლად ცუდი რამ, ზოგჯერ ფატალური შედეგიც კი შეიძლება მოჰყვეს. აკი ხალხი დაჯერებით ამბობდა – „ცოდვა უვნებელიდ' მაღლ ურგებელ არ არსებობსავ“ (war: „მაღლ ურგებელიოდ' ცოდვა უვნებელ არაავ იციან“) და იქვე ჩნდებოდა ის გაფრთხილოებაც „ცოდვა ცოცავსავ“, რაც ნიშნავდა, რომ შენ თუ არა, შენს შთამომავალს მაინც მოეკითხება აუცილებლად, რადგან „ცოდვა ნელა დადისო“. ამ ბოლო გამონათქვამს თან მაგალითსაც მიაყოლებდნენ: „დართლოს წინ გომეწრისკენ მიდენილიყო დართლოელი კაცი, იდიძეთა გვარიდან. ქალთავაკეზე რომ ავიდა, ძალიან პატარა კაცი ნახა. ნახა, რომ თითქოს იძვროდა, თითქოს არაო. თითისტოლა თოფიც ეკიდა და ხანჯალიც. ასე მოძვრებოდა ეს კაცი ქალთავაკეზეო. მისალმების შემდეგ უკითხავს – სად უნდა წახვიდე ასეთი, ან რა გჭირს, რატომ ასე ვერ იარებო? – მე იდიზეთ ცოდვა ვარო – უთქვამს. – იდიზეთ ცოდვა რასა ჰქვიაო და მანაც უპასუხა – შვიდი წლის შემდეგ გაიგებო. მე ასეთი პატარა ვარ და დართლოს მივდივარ, იდიზეთ ბაქას დასაღვეადო... გამბულა'ივ იცოდეს, დართლოს ნაშალები იყო სახლისა ზედ მიწადქეული, იმ იდიძეთა ნასახლარი. ის ბაქა ძალიან დიდი ცხვარ-ბინის პატრონი ყოფილიყო და თურმე მწყემსებს ამომშილებს... გავიდა შვიდი წელი და შვიდი წლის თავზე იმ კაცს ჯერ ცოლ-შვილი ამოეხოცა და მერე სახლ-კარიც გამოიხურა. ამ ამბავზე ლექსის ფრაგმენტიცაა შემორჩენილი:

„ოჯრად, ტიალად დარჩება
იდიზეთ ბაქას ცხვარიო,
მწყემსებს არ აქვის სადილი,
მუქლებს აღარ აქვ ჯანიო“.

(აზიკური, 1974, გვ. 36-37)

ცოდვაზე საუბრისას მეტი დამაჯერებლობისთვის ამ ანდაზასაც მოიშველიებდნენ – „ქათამძავ წყალ დალიაოდ' ღმერთს შეხედავ, ცოდვას ხო არ ვშჩადივ“ (ხომ არ ვცოდავო).

ასე რომ, სხვა მრავალნაირი აკრძალვა, რომლებიც ძირითადად ადამიანთა შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებსა და გარემოს მიმართ ადამიანების ქცევას არეგულირებდა, ცოდვის შიშითაც იყო გამყარებული, ასე წონასწორდებოდა ადამიანის გარე სამყაროსთან ურთიერთობაც. შეიძლება ითქვას, რომ ტყით სარგებლობის ოდითგანვე დადგენილი ხალხური წესრიგი ტყესაც უნარჩუნებდა სიცოცხლეს და ადამიანთა მოდგმის მომავალიც გარანტირებული იყო.

ტყეს მეტად უფროთხილდებოდნენ, განსაკუთრებით ხის ისეთ ჯიშებს, რომლებიც ცოტა და იშვიათი იყო. ასეთ ხეებს მაგიურ ძალას მიაწოდნენ. მაგალითად, თურსა'ის (ურძანი, უზანი) ხეს დიდი ძალა აქვს, ის ავთვალს იცილებს, ის მაგიური ძალის მქონე ხედ ითვლება, ოღონდ თურსას ეს ძალა მაშინ აქვს, თუ ხარებობის დღეს, დილით ადრე, ტყეში უბრად წასულები მოჭრიდნენ. მართლაც, ყოველ წელს ქალები მიდიოდნენ, მოჭკონდათ თურსა'ის ტოტები, პატარ-პატარა მიძივებად ჭრიდნენ, შუაგულს გამოაცლიდნენ და წითელი ფერის ძაფზე აკინძულს შეაბამდნენ ყველაფერს, რისი დაცვაც კი უნდოდათ – „ზე-წველის“ ჭურჭელს, სათესლე გუდას, ხარებს, მოხნავეს, საქონელს კუდეებზე. ქალები, გოგონები და ბავშვები თმებში იწნავდნენ წითელი ფერის ძაფთან ერთად (აზიკური, 1971, გვ. 81). ავი თვალის აცილების გარდა, ის ბარაქიანობის სიმბოლოც არის. თურსას ტოტები ახლაც მოაქვთ ტყიდან ხარებობის დღეს, ვინც ზამთარში თუშეთში რჩება. ეს იმდენად ძლიერი ძალის მქონე ხედ მიაჩნდათ, რომ ხარებს არყის ხისგან გამოთლილ უღელზე ტაბიკები თურსა'ის ტოტებისგან უკეთდებოდა. ამაზე თუშეთში ჩაწერილი ამბავი მოგვითხრობს: „ორი კაცი მიდის ომალოდან პირიქითისაკენ. გოგორა'თიდან დაინახეს „კარ-მოჯნავი“, ხარებით ხნავენ ჩილოს ჯაგირში. ერთმა კაცმა უთხრა მეორეს – ვერა ის ხარები დავაყენო? – როგორაო? – მე ისეთი თვალი მაქვს, ეგენი ვეღარ მოხნავენო. ხედავენ და მართლაც, ერთი ხარი ხნულში ჩაიკეცა, მეორე ისევ ფეხზეა. – ეე, მაგ დალოცვილს, ეტყობა თურსა'ის ხის ტაბიკები აქვსო. ნახეს და მართლაც, რომელიც ფეხზე და უვნებლად დარჩა, იმ ხარის ტაბიკები თურსა'ის ხისგან იყო გამოთლილი“ (აზიკური, 1975, გვ. 15).

ლეკის ხეც ცოტაა თუშეთში და მასაც უფროთხილდებიან, მოჭრას ერიდებიან. მხოლოდ ბებერსა და დამტვრეულ ხეს შეშად იყენებენ.

ასევე მოსაფროთხილებელია მაჯატ□(გრაკლა). ის ბუჩქოვანი მცენარეა, ცოტაა. აქვს წვრილი და სუფთა ტოტები. მისი გასხეპილ-გასუფთავებული ტოტებისგან ცოცხებს – „მაჯტის ქოჯოს“ ჰკრავენ. დიდი ზომის ცოცხებით ხის დიდ სარძევე ჭურჭელს რეცხავენ. პატარა ზომის მაჯტის ქოჯოებს კი სამზარეულოში იყენებენ სამაჭკატე მასისა და გარფას მოსამზადებლად – ფქვილს ქნიან წყალში ან რძეში. ასევე იყენებენ რძის საწურავად. მაჯტის ქოჯოები მრავალჯერადი მოხმარებისაა და მათი დამზადებით ბუჩქს ზიანი არ ადგება.

ცირცელიც ცოტაა და მასაც უფროთხილდებიან. არც სამასალედ და არც საშემედ მას არ მოიხმარენ. ძველად არ შეიძლებოდა ეზო-კარში ცირცელის ხის დგომა. ახლა მას დეკორატიულ მცენარედაც იყენებენ და ეზოებშიც უდგათ, განსაკუთრებით მათ, ვისაც სასტუმროები აქვთ.

საკულტო დანიშნულების იყო ასკილის ბუჩქიც. ახალი წლის დილით მოჭკონდათ მისი ტოტები და ქერიფქლას ღეროები. მათ კარ-სარკმლისა და ბოსლის შესასვლელში არჭობდნენ. ისინი ბარაქიანობის სიმბოლო იყო და ამასთან ერთად ავი თვალისგან იცავდა ოჯახს, მის წევრებსა და საქონელს.

საარსებო გარემო ადამიანს თავის მხსნელად და მცველად ეგულებოდა, ენდობოდა, ეიმედებოდა, გასაჭირს უზიარებდა და ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ასეთი ნდობა გაამართლებდა. განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ხეებთან, რადგან, ხალხური რწმენით, ხისა და ადამიანის სიცოცხლეს ერთმანეთთან ჰქონდა კავშირი. ადამიანს ეგონა, რომ თავისი ტკივილის ხისთვის გადაცემა შეიძლებოდა. თავის ტკივილის დროს ხეს მიმართავდნენ. ტკივილებით გაბეზრებული ადამიანი ჯიბით წითელ ბაწარს დაატარებდა და

რომ ეტყოდნენ, ახალი მთვარე გამოვიდაო, ვიდრე მთვარეს შეხედავდა, ბაწარს თავზე შემოიკრავდა და ტყეში ისეთ ადგილას წავიდოდა, სადაც სამი წელი აღარ მოხვდებოდა. მივიდოდა რომელიმე ხესთან, სამჯერ შემოუვლიდა გარს, ბაწარს შეიხსნიდა, ხეს შეაბამდა და ეტყოდა – „აქამდის მე მქონდა თავის ტკივილი, ახლა შენი იყოსო“. ხალხის რწმენით, ავადმყოფს თავის ტკივილი გაუვლის, ხე კი გახმება (აზიკური, 1995, გვ. 121). როგორც ცნობილია, ხალხის უძველესი რელიგიური აზროვნების მიხედვით, ადამიანის სიცოცხლეს იღუმალი კავშირი აქვს ხის სიცოცხლესთან (ზარდაველიძე, 1949, გვ. 127). ამით აიხსნება ხისადმი საკრალური დამოკიდებულება და ხის კულტი საქართველოში. ზემოთ მოყვანილი მაგალითიც ამ უძველესი რწმენის – ადამიანისა და ხის სიცოცხლის ურთიერთკავშირის – ანარეკლია. ხისა და ადამიანის სიცოცხლის კავშირის შესახებ საყურადღებოა იმერეთში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალაც – როცა ოჯახში ერთი წლის განმავლობაში ოჯახის ორი წევრი გარდაიცვლებოდა, რომ არ გასამებულიყო, ამისათვის ყველაზე კარგ, საჭირო და მსხმოიარე ხეს მოჭრიდნენ (აზიკური, 2019 პირადი კომუნიკაცია).

ტყე და გარემო ბევრნაირად იცავდა ადამიანებს: არაბუნებრივი ფორმით, მედიცინაში მიღებული ტერმინი რომ ვიხმაროთ, „ჯდომით დაბადებულ“ ბავშვზე იცოდნენ ხოლმე თქმა: „წყევლით მავნე იქნებაო“, ე.ი. მისი წყევლა ასრულდებაო. ასეთ შემთხვევაშიც ბუნება იყო ადამიანის მხსნელი. უფროსი ქალები ახალშობილის დედას ასწავლიდნენ, რა უნდა გაეკეთებინა: წავიდოდა ახლად მოლოგინებული ქალი ტყეში, უკაცრიელ ადგილას დადგებოდა და დაიძახებდა – „ხენოვ, ტყენოვ, კლდენოვ, წყალნოვ, ქვანოვ... ყველა'თ იცოდეთავ, შვილივ უკულმ გავაჩინეოდ' წყევნით მავნე ნუ იქნებავ“. ასევე იტყოდნენ რუდიმენტით დაბადებული ბავშვის შემთხვევაშიც, რადგან მასაც მავნე ძალის მქონედ მიიჩნევდა ხალხი. ტყეში განმარტობისა და ამ რიტუალის ჩატარების შემდეგ სჯეროდათ, რომ ახალშობილი ამ „თანდაყოლილ“ ნეგატიურ ძალას დაჰკარგავდა. იტყოდნენ ხოლმე – „უკულმდაბადებულებივ კმოიც არო ვარგავ“ და ასე დაბადებულ ბოჩოლებს არ ზრდიდნენ (აზიკური, 1985, გვ. 28).

ბუნება – ტყე, წყალ-ჭალა, კლდე-ღრე... ასევე იყო მხსნელი და მფარველი განსაკუთრებული და განსხვავებული ნიშნით დაბადებული ახალშობილისა. დაბადების უმალ პირველად დედა ათვალიერებდა ამქვეყნად მოვლენილი ბავშვის სხეულს – რაიმე განსხვავებული ნიშანი ხომ არ ჰქონდა. ეს განსხვავებულობა სხვაზე ადრე დედას უნდა შეენიშნა. თუ სხვა დაასწრებდა, იყო რწმენა, რომ ბავშვი არ გაიზრდებოდა. ბავშვი თუ ან „ბითაო“ (ერთიან ძვლად შეკრული ნეკნებით) დაიბადებოდა, ან სხვა რაიმე ნიშანი ექნებოდა სხეულზე, მაგალითად, ბეჭებზე მზის ან მთვარის გამოსახულება, ორივე ეს ნაწილიანობის ნიშანი იყო და ვიდრე სხვა შენიშნავდა, დანახვისთანავე დედა მარტო წავიდოდა ადამიანებისგან შორს, ბუნების წიაღში და ამ საიდუმლოს გაახშიანებდა, ამ დროსაც იტყოდა: „ტყენო, კლდენო, ღრენო, ქვანო წყალნო, ბალახნო... გაიგეთ, მე ნაწილიანი შვილი გავაჩინე და ნურა ევნოსო“. ამის შემდეგ, დედის ღრმა რწმენით, ბავშვი თავისი ნაწილის მშვიდობიანად მატარებელი ხდებოდა, სხვას რომც შეენიშნა ის, მისი ზებუნებრივი სასიკეთო ძალა უკვე ბუნებისგან იყო დაცული. ბითაო ძალ-ღონით და სიკეთით გამორჩეული იყო, ნაწილიანი კი – ჭკუა-გონებით, გამჭირახობითა და ვაჟკაცობით. ორივე ნიშნის მატარებლები იღბლიანებად, უფლის რჩეულებად ითვლებოდნენ და ადამიანთა კეთილდღეობაზე იყვნენ ორიენტირებულნი.

ხალხური რწმენით, ხეებსაც ესმით ერთმანეთის, მათაც შეუძლიათ ერთმანეთთან საუბარი, გადამახილ-გადმომახილი. ისინი ერთიმეორეს ამბებს ატყობინებენ, ფესვებით და ფოთლებით ესაუბრებიან ერთმანეთს, ერთუროს შესჩივიან თავის ჭირ-ვარამს, ასევე სიხარულს, ამინდსა და სხვადასხვა ამბავს ატყობინებენ; ოღონდ მათი ენა იშვიათ ადამიანს ესმის. ხალხური რწმენით, იყვნენ განსაკუთრებული უნარით გამორჩეული ადამიანები, რომელთაც ხეების ენა ესმოდათ. ამისათვის რამდენიმე პირობა იყო საჭირო: ხეების ენა ესმოდა

ოჯახში და-ძმას შორის კენტად დაბადებულს, ზნეკეთილი უნდა ყოფილიყო, არასოდეს უნდა ეცრუა და არასოდეს მკბენარი (ტილი) არ უნდა ჰყოლოდა, არც ნანახი არ უნდა ჰყოლოდა. ამ უნარს ასეთი ადამიანები მანამდე ფლობდნენ, სანამ მკბენარი გაუჩნდებოდა. ამაზე საინტერესო ამბებს ჰყვებიან: „ხეს რო სჭრიანავ ხე მეორე ხეს გასმახისავ – ვამდე მუჭლებივ, ვამდე მუჭლებივ, ვამდე მუჭლებივ; ვამდე მჭრებივ, ვამდე მჭრებივ, ვამდე მჭრებივ, ვამდე თავივ, ვამდე თავივ, ვამდე თავივ; ვამდე ჯელივ, ვამდე ჯელივ, ვამდე ჯელივ... ვამდე, ნუ მომჭრივ, ვამდე ჯელივ, ვამდე ჯელივ, ვამდე ჯელივ... ვამდე, ნუ მომჭრივ, ვამდე ჯელივ, ვამდე ჯელივ, ვამდე ჯელივ... ვამდე, ნუ მომჭრივ, ვამდე ჯელივ, ვამდე ჯელივ, ვამდე ჯელივ...“ (სონა გაბროს ას. იდოიძე-აფთარაული, 69 წლის, სოფ. ბუხურთა) (აზიკური, 1987, გვ. 87).

სხვა ჩანაწერის მიხედვითაც იგივე აზრია გადმოცემული: „ტილისგნივ ვართავ ყრუებიოდ' ხეების საობარ არ მოგვდისავ. თუ თავის დღეშიავ ტილ არ უნახავისავ კაცსავ, არც ხევანიაოდ' არც უნახავავ, იმას ხეების საობარ მიზდისავ – თქვიან. ერთ კაცსავ არც ხევანიყოვ ტილივ, არც ენახავავ თავის დღეშიავ. ერთხენავ ტყეში წასულიყოდ' ხეს ეთქვავ – მე ნუ მომჭრივ, ა'ის მომჭერივ. იმ ცხვა ხესავ' აგრევ ეთქვ – მე ნუ მომჭრივ, ა'ის მომჭერიოდ'... იმ კაცსავ ხე ვერ მეჭრავ. – ეგ ჩემ ბაღლობას გამგონი. ხეებივ სუ ამბობენაოდ' ჩვენ არ მოგვდისავ, თქვიან, თვარ სრულ ამბობენავ“ (მარიხო ფორეს ას. ალიაიძე-ცოცანიძე, 70 წლის, სოფ. ქვემო ალვანი) (აზიკური, 1988, გვ. 18).

ხალხს სჯეროდა, რომ ხეებსაც ესმით ადამიანების მათდამი დამოკიდებულება და საუბარი. ამის მაგალითია უნაყოფო ხესთან ჩატარებული რიტუალი: ხე, რომელიც ორ წელს ზედიზედ ნაყოფს არ მოისხამდა, უვარგისად ითვლებოდა, მოჭრაც ენახებოდათ. ასეთ შემთხვევაში მიმართავდნენ მაგიურ ქმედებას: ხარებობის დილით უბრად სახლიდან გასული ოჯახის უფროსი ცულით ხელში ხეს მიადგებოდა. ოჯახის დიასახლისი „შენიშნავდა“. მივიდოდა და ხის ძირისკენ ცულმოღერებულ კაცს ჰკითხავდა – „რას შვრები, ხეს რატომ ჰჭრიო? – აბა, რატომ არ უნდა მოვჭრა, ეს ხე ნაყოფს აღარ ისხამსო. – ნუ, ნუ მოჭრი, შენს გახარებას, ამის შემდეგ ყოველ წელს აუცილებლად დაისხამსო“ (აზიკური, 1987, გვ. 25). ასე გადაარჩენდა დიასახლისი ხეს. ხალხის ღრმა რწმენით, ამ დროს ხეს ესმოდა მათი დიალოგი, იგებდა მათ მიზანს. ამ რიტუალის ჩატარების შემდეგ სწამდათ, რომ „შემინებული“ ხე ნაყოფს აუცილებლად გამოიღებდა.

ადამიანები სულიერ არსებებად აღიქვამდნენ გარემომცველ სამყაროში ყველაფერს. ეთნოგრაფიული ჩანაწერების თანახმად, ქვაც სულიერია, მასაც თავისებურად ესმის. თუშეთში ჩაწერილი მასალის მიხედვით – „ყველაფერს თავის ენაიდ' აზრ აქვ – სულიერსაცად უსულოსაც, გან ქვებს არ ესმის ერთკვადის, აბა, შეხედე კდეს რო ქვა მოსწყდებოდ' ხევისავ დეშვებ ხმაურით, რამდენ მიჰყვების თან, თავადას არ სწირავენ, ხრიალ-გრიალით მიექანებიან უმსკრულისავ, ეს იმათ გლოვაი“ (აზიკური, 1978, გვ. 20). ასე ფაქიზად აღიქვამდნენ ადამიანები თავიანთ გარემოცვას. ეს იდეა ლამაზად წარმოაჩინა ვაჟა-ფშაველამ:

„რაც კი რამ დაუბადია,
უფალს სულიერ-უსულო, –
ყველასაც თურმე ენა აქვს,
არა ყოფილა ურჯულო“ (ვაჟა-ფშაველა, 1979, გვ. 688).

ადამიანებს ცხოველების ენაც ესმოდათ: თუშური ლეგენდით, არსებობს ბალახი, რომელთან შეხების შედეგადაც ადამიანს ცხოველების ენა ესმის. გადმოცემის მიხედვით – მწყემსს შემთხვევით ცხვირიდან სისხლი წასკდა. მან რაღაც ბალახით სისხლდენა შეიჩერა. სანამ ბალახი ცხვირში ეკეთა, მას მგლების ყმუილსა და ძაღლების საპასუხო ყეფაში ესმოდა მათი ურთიერთსამუქარო „დიალოგი“. მგელი ძაღლებს „ემუქრება“ – „სად წამიხვალთ, სადამოზე თქვენ და თქვენი ცხვარიო“. ძაღლებმა „უპასუხეს“ – „თუ პატრონმა სადამოზე გაგვადლო, შენ ჩვენიდან ვერაფერს ვერ გაიტანო. თუ მშვირები დავრჩენით, მაშინ იღბალი შენიაო“. მწყემსმა არ იცის, რა ხდება, – საიდან ესმის, როგორ იგებს ამ საუბარს, სისხლდენა

რომ შეუჩერდა, ცხვირიდან ბალახი გამოიღო და მათი „საუბარიც“ ვეღარ გაიგონა. მიხვდა, რომ ბალახისგან ჰქონდა ეს უნარი. ბინაში მისულმა მწყემსმა „ხაზეინის“ ცხვარი დაკლა, ნახევარი ერთ ძალს შეაჭამა და ნახევარი – მეორეს. მართლაც, ღამე მოვიდა ორი მგელი. ძაღლებმა თითო-თითო დაიჭირეს და დაახრჩვეს. ბინის პატრონი რომ მოვიდა, დაუწყო მწყემსს ჯავრობა, ჩემი ფარის გადარჩენისთვის შენი ცხვარი რატომ დაკალიო. უნდა, რომ დაკლული ცხვარი მწყემსის იყოს. მწყემსმა წაიყვანა, მოძებნა ის ბალახი, რომლითაც სისხლდენა შეიჩერა. გაუკეთა ცხვირში ბინის პატრონს ბალახი და მან ძაღლების ყეფისას ყველაფერი გაიგო. ამის შემდეგ მწყემსი გაამართლა და აღიარა, რომ დაკლული ცხვარი, მისი იყო (ბოჭორიძე, 1993, გვ. 426).

თავისებური სიფრთხილით უდგებოდნენ ადამიანები ტრადიციულ საზოგადოებაში ცხოველებსაც და ფრინველებსაც. ვერ ვიტყვით, რომ ადამიანები ერთნაირად გულმოწყალები არიან მათ მიმართ, რა თქმა უნდა, არც ძველად და მით უმეტეს, არც თანამედროვე ყოფაში, მაგრამ, როგორც ჩანს, სიკეთე მაინც სჭარბობდა, სხვაგვარად სამყარო ვერ იარსებებდა და არც აკრძალვები გაჩნდებოდა. აკრძალვას შავ-ბნელი საქმის გამოვლენა აჩენს.

ხალხში გავრცელებული რწმენის მიხედვით, მერცხლის მოკვლა დიდ ცოდვად ითვლება და არ შეიძლება, რადგან თავისი არსებობით მერცხალი ოჯახის კეთილდღეობასთანაა დაკავშირებული. ბავშვები მერცხალს ქვას თუ ესვრიან, მერცხალი ასე იტყვისო იცოდნენ უფროსებმა – „ბერი ცხონდა, ბერი ცხონდა, ყმაწვილების ჟლიტო“. ამის გამო ბავშვებს ძალიან ეშინოდათ. ბავშვები თუ როგორმე მერცხალს დაიჭერდნენ, უფროსები ერბოთი გააპოხინებდნენ და გაუშვებდნენ. ოჯახის, სახლის სიმყუდროვეს მერცხლის ბუდე აგვირგვინებდა. როცა რომელიმე სახლში მერცხალი ბუდეს არ იკეთებდა, ესეც ცუდად ენიშნებოდათ. მიაჩნდათ, რომ სადაც მერცხლები ბუდობენ, ის ოჯახი გაიხარებს და გამრავლდებაო. ეს აზრია გახშიანებული გიორგი ლეონიძის ერთ ლექსშიც.

„მომწონს მე ფიცხი მერცხალი,

მისი ქროლვა და ფეთება,

თუ სახლზე ბუდეს მიაკრავს,

სახლს ლხინი დაებუდება“ (ლეონიძე, 1962, გვ. 160).

მერცხლებთან ურთიერთობაზე საინტერესო ეპიზოდებია ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილი. ერთი გადმოცემით, მერცხლები რომ გაფრინდნენ, თუშეთში დარჩა ერთი ფრთადაზიანებული მერცხალი. ოჯახმა უპატრონა, მოარჩინა, გამოაზამთრა. კერის სიახლოვეს გაატარა მთელი ზამთარი მერცხალმა. გაზაფხულზე მოფრინდნენ მისი თანამომძმენი, მასაც მოაკითხეს. ჯერ გუნდ-გუნდად ყავრეზე (ხეების ღობე) ჩამომსხდარი რაღაცას დიდხანს „ესაუბრებოდნენ“, ბოლოს მარტო ერთი მოფრინდა, დიდხანს იჭიკჭიკეს, იამბეს, იამბეს... ნეტა რა ამბავი მოუტანა იმ მერცხალმა, ის რომ გაფრინდა, ნაზამთრალმა მერცხალმა მწკალები ჩაიყარა ყელში და ბრაგვანით მიწაზე დაენარცხა, თავი მოიკლაო – ყვებოდნენ უფროსები.

ავბედიტად უბრუნდებოდათ ადამიანებს ცხოველებისა და ფრინველებისადმი უდიერი მოპყრობა, ამიტომ მეტისმეტად ფრთხილობდნენ. აქაც ისევ და ისევ ცოდვის ფენომენი მოქმედებდა. წმინდა ნადირის ხროში არ შეიძლებოდა სილამაზით, სიჯანსაღით, ფერით ან სხვა რაიმე ნიშნით გამორჩეული ნადირის მოკვლა. ასეთ შემთხვევაში მკვლელი დაუსჯელი არ დარჩებოდა. ამაზე ხალხში ასეთ შემთხვევას იგონებენ: „ირმის ჯოგში თეთრი ფერის გამორჩეული ირემი მოკლა მონადირემ. ირმის დაცემის უმაღლეს ხმა შემოესმა – „ეს რა ჰქენი, რად მომიკალი, ეს ჩემი რჩეული იყო“. შინ დაბრუნებულ მონადირეს შვილი დახვდა გარდაცვლილი. მონადირის რწმენით, მან ნადირთ მწყემსის რჩეული მოკლა და ამისთვის დაისაჯა.

კიდევ ერთი მაგალითი: სოფელ დოჭუმში ერთმა ოჯახმა ქათამი დაკარგა. კარგა ხანი რომ გავიდა, წიწილებიანი ქათამი ოჯახში დაბრუნდა. ეზოში რომ შევიდა, დედალმა

ქათმისთვის შეუფერებელი ხმით შეჰყვილა ეზო-კარს. ოჯახის წევრებს ეს ცუდად ენიშნათ და სასწრაფოდ დაკლეს დედალი. ამის შემდეგ ოჯახის საქმე ცუდად წავიდა. შეწუხდნენ, ლოცვად დადგნენ, მკითხავენსაც მიმართეს. ერთმა მკითხავმა ვითომ კრუხის სათქმელი გაახშირანა შემდეგი სიტყვებით – „წიწილები დავჩეკე, მოვედი ჩვენს ეზოში, გახარებულმა შემოგმახეთ, თქვენ კი დამკალითო“. ოჯახი შეშინდა, დაიზაფრა და თავისი წარუმატებლობა ამ შემთხვევას დაუკავშირეს, ჩათვალეს რა, რომ ცოდვა ჩაიდინეს.

იყო ერთგვარი ჭია „აჯანჯღულსავით რა'გვევრემ“, იმასაც არ მოკლავდნენ, ცოდვაა და თუ მოკლავთ, ძროხა მოგიკვდებათო – უფროსები აფრთხილებდნენ ბავშვებს. ასევე ავის მომასწავებელი იყო და დიდ ცოდვად ითვლებოდა „ჩიტის შვილა'ის“ (ბარტყის) მოკვლა (აზიკური, 1987, გვ. 66).

არ შეიძლება არწივის მოკვლა, რადგან მას წმინდა ფრინველად მიიჩნევენ. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, „კაცი თუ სადმე გადავარდა, მონადირე ან მეცხვარე, ის იცოდნენ – ყაფ, ყაფ, ყაფაოდ' თურმე ასეთი ყეფით აუვლის და ჩაუვლის არწივი. ის ხპატრონობს, სვავს და ყორანს ახლოს არ გააკარებსო. სანამ არ წაიღებენ, ასე ხპატრონობსო, უფროსების გადმოცემიდან ვიცი“ (აზიკური, 1975, გვ. 70). ზოგი გადმოცემით, არწივი მხოლოდ სამი დღე დარაჯობს მთა-კლდეზე გადავარდნილს, მტრისგან მოკლულს ან ზვავისგან „დალეულს“. სამი დღის შემდეგ უკვე ყორნები აირევიან, ეს კი თავისებური ნიშანი იყო მიცვალებულის მისაგნებად (მგოსანნი, 1986, გვ. 26, 76; მჭედლიშვილი, 2019, გვ. 79).

ტრადიციულ საზოგადოებაში ფრინველებთან დაკავშირებით (მიმართებაში) მიმბაძველობითი მაგიის მაგალითებიც გვხვდება. ადამიანები თავიანთ ჯანმრთელობას ფრინველებს უკავშირებდნენ: გაზაფხულზე, როცა გუგული მოფრინდებოდა და მის ხმას პირველად გაიგებდნენ, გუგულს მიმართავდნენ – „დაგძლიევ, გუგუტა'ოვ, შენ სიბუქა'ობა მეავ, ჩემ უძილობა შენავ, ჩემ უღონობა შენავ“. როცა პირველად დაინახავდნენ, მაშინვე დაუძახებდნენ – „დაგძლი გუგუტა'ოვ“, ოღონდ ნაჭამი უნდა ყოფილიყვნენ. მარტი, აპრილი და მაისი „მძლევარა'ობის თვეები“ იყო. ამ თვეებში სახლიდან მშვიერი გასვლა არ შეიძლება და ლოგინიდან ადგომის უმაღლესი ლუკმა მაინც უნდა აეღოთ. დედები საგანგებოდ აფრთხილებდნენ შვილებს – „ლოგინითებ რო აზდგებით, თითო ლუკმა მაინც უნდ შეშქამოთ, რო გუგუტა'მ არ დაგძლიოსთავ“ (აზიკური, 1987, გვ. 40). ამ სამი თვის შემდეგ გუგული „იკარგებოდა“ და გაზაფხულიც უკვე გასულად ითვლებოდა, „მძლევარა'ობა“ კი – დამთავრებულად.

სიყვარულით შეჰყურებდნენ და არას ვნებდნენ წყლისძირა'ებსაც (ბოლოქანქარა), რომლებიც ხვნის დროს ხარ-მოხნავს მიჰყვებოდნენ და ნახნავიდან მწერებს იღებდნენ.

ღამით მიკიოტების ეშინოდათ, მათი კვილი აფრთხობდა ადამიანებს და ძაღლის ყმუილის დარად ვინმეს სიკვდილის მომასწავებელ ნიშნად აღიქვამდნენ. თუ მოიხელ-თებდნენ, კლავდნენ და ამით ავ წინასწარმეტყველებას „აქრობდნენ“.

ეცოდებოდათ და თანაუგრძნობდნენ ოლოლებს – ორი ობოლი, ოდესღაც დედინა-ცვალმა რომ გაყარა სახლიდან დაკარგული ძროხების საძებნელად, ვერ იპოვეს და შინდაბრუნების შიშით ოლოლებად ანუ ჩიტებად იქცნენ. ეძებენ, სულ ეძებენ. შელამებულზე იციან ახმინება. ერთი გასძახებს – იპოვე? – არა, არაო – მეორე და შემდეგ მოისმის ხმაშეწყობილი ჩამოქვითინება ორივე ჩიტისა. ეს ამბავი ცნობილი სიუჟეტია ქართულ მწერლობაში.

ბუნების, ცხოველთა სამყაროსა და ადამიანის მთლიანობის მანიშნებელია ცხოველებისადმი დამოკიდებულება. არ ჯავრობდნენ, მგელს რომ ფარიდან ერთი ცხვარი გაეტაცნა. მწყემსები იტყოდნენ – „თავისი წილი წაილო“, სადაც ცხვარი ბალახობს, ის არე-მარე ხომ მგლისაც არის. „სადაც არაფერია, რას წაიღებს“. ამ ლოგიკით, ასეთი ანდაზაც გაჩნდა – „ნურც მგელი მშვიერი და ნურც ბაკი ცარიელიო“ (აზიკური, 1995, გვ. 113).

ბუნებაში ადამიანისა და ცხოველთა სამყაროს ერთიანობის, მშვიდობიანი თანაცხოვრების კიდევ ერთი მაგალითი: არის ერთი ასეთი თუშური გადმოცემა, რომელსაც, როგორც ნამდვილად მომხდარ ამბავს, ისე ყვებოდნენ ჩემს ბავშვობაში უფროსი ქალები. „ერთი მეძუძური ქალი ტყეში კბილმტკივან და ბელეზიან დათვს გადაეყარა. ამ დროს დათვი მძვინვარე და ორმაგად საშიშია – შემხვედრზე იცის თავდასხმა, ჯავრის ამოყრა. დათვი ქალისკენ გაემართა და დაეტია. ქალმა მოიფიქრა, მოასწრო, მკერდი გადაიხსნა და დათვს აჩვენა, თან უთხრა – „აი, დათვო, მეაც შენსავით დედა ვარივ“. შეხებაზე ძუძუდან წვრილ შადრევნებად რძე წამოვიდა. უყურა, უყურა დათვმა, – მმმუუო, შეხეშეულა, დაიკვნესა, ტორი გადაიქნია, კბილზე აიფარა და ქალს გაერიდა“.

მონადირე რომ „აზარს აათავებდა“ და 100 სული ნადირის მოკვლის შემდეგ თოფს მიწაში მარხავდა გარკვეული დროით, ესეც შეიძლება ცხოველთა დაცვისკენ მიმართულ ქმედებად ჩაითვალოს. როგორც ჩანს, ეს „შესვენებაც“ ხალხმა განსაზღვრა.

ადამიანი ბუნების ნაწილია, მასაც მოფრთხილება სჭირდება, მაგრამ მას მეტი მოეთხოვება, როგორც „Homo sapiens“-ს. თუმცა მან ბევრი რამ დააშავა, ბევრი დაარღვია, მეტისმეტად ჩაერია ბუნების კანონზომიერებაში და სავალალო შედეგიც აშკარაა. თუმცა იყო დრო, როცა თვით მტერსაც კი ზღვარდადებულად ექცეოდა. ამისიც არაერთი მაგალითია შემორჩენილი. გადარჩენის ერთ-ერთი ფორმა იყო ის, რომ მტერს ბოლომდე არ უღებდნენ ბოლოს. ამას მეზრძოლის კეთილშობილება კი არ განაპირობებდა, არამედ „უფლის ნიშანს იღებდნენ“: უკუქცეული მტრის ჟღერისას თუ მტრის თავმოჭრილი ტანი ყირაზე დადგებოდა – ეს ზეციდან მოსული ნიშანი იყო და მყისვე ბრძოლას წყვეტდნენ. მტრის მოკვლა ცოდვად არ ითვლებოდა, ეს მინიშნება კი იმას ადასტურებდა, რომ ბრძოლა უკვე ცოდვაში გადავიდა. თუშეთის მაგალითზე ეს ორგან მოხდა – ხისოს ლა'ში ერთი, ხოლო ფარსმისთავში მტრის სამი ტანი ყირაზე დადგა. ორივე ეს ბრძოლა მტრის დიდი მარცხით დასრულდა. ფარსმისთავში ისეთი ჟღერა ყოფილა, რომ თუშურ დიალექტურ სიტყვახმარებაში გაჩნდა ტერმინი ფარსმისთაობაჲ. „ჩამოვიღის ფარსმისთაობაო“ – დიდ მუქარაზე მიანიშნებდა.

როგორც ვიცით, ხისოს ლა'ში ისე გაიმარჯვეს თუშებმა, რომ დამხვედურთაგან არავინ მოუკლავთ; ფარსმისთავში თუშებთან ერთად ქართველი მთიელებიც (ფშავ-ხევსურები იბრძოდნენ) დაიხოცნენ. ეს ამბავი კარგად შემოინახა გადმოცემებსა და ხალხურ პოეზიაში¹, შემორჩენილია ფშაურ ხმით ნატირალშიც².

აღმოსავლეთ საქართველოს ტრადიციულ საზოგადოებაში მიწის სიმცირის, საარსებო გარემოს სიმწირის გამო მოსახლეობა ლიმიტირებული იყო და ადამიანი თვითონვე აკონტროლებდა თავის გამრავლებას, ესეც ბუნების ღრმა ცოდნის, ბუნებრივ რესურსებთან მიმართებაში არსებობისთვის გონივრული მიდგომის შედეგი იყო - მოცემული მიკროგარემოს შესაძლებლობების მოზომვა.

¹ თუშურ ხალხურ პოეზიაში შემორჩენილია ამ ბრძოლისდროინდელი ლექსის ფრაგმენტი:

„გაიქცა ქისტის ლაშქარი,
ფარსმისთავ გადადისაო,
უკვენ გადახყენეს თუშები
წკეპა ამოდის ხმლისაო,
თუშნი ხმლით, ქისტნი ხანჯრითა
მკლავთ სისხლი გადასდისაო“.

² ფშაური ხმით ნატირალის ფრაგმენტი:

„აგეთასამც კი ნუვინ იკდის,
მე რომ ვიკადე ფარსმის თავსა
მმას მოვეყუდე ნატყვიარსა!..“ (გოგოლაური, 1981, გვ. 27)

დღეს ადამიანი დაუზოგავად, გაუფრთხილებლად და ველურად ექცევა ბუნებას, ბუნებრივ რესურსებს. კაცობრიობა, რომელმაც ამხელა სულიერი და მატერიალური კულტურა შექმნა, შიშის მომგვრელად მიექანება თვითგანადგურებისკენ.

რა ხდება ახლა? ქიმიური და ერთჯერადი ნაწარმის ნარჩენებით გაივსო დედამიწა. უმოწყალოდ ხდება ბუნების რესურსების ხარჯვა. მხოლოდ და მხოლოდ მომხმარებლობაზე გადასული ქმედებები, რომელთაც ზღვარდაუდებელი სიხარბე სდევს თან, თანდათან უფრო და უფრო საშიში ხდება.

სამყაროს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების ძალისხმევით დღეს მთელ სამყაროში, მათ შორის საქართველოშიც, გამოიყო, ნაკრძალები, დაცული, აღკვეთილი უბნები, რომლებშიც უფრთხილდებიან ბუნებას. დღევანდელი ნაკრძალების ტრადიციულ სახედ საქართველოში ხატის ტყეები და მიწა-მამულების არსებობა შეიძლება ჩაითვალოს.

მიუხედავად იმისა, რომ თუშეთი ამჟამად „დაცული ლანდშაფტის“ სახელითაა წარმოდგენილი და სურათი საგრძნობლად შეცვლილი და გაუმჯობესებულია, ხალხი მაინც აგრძელებს ბოლო ათწლეულებში დამკვიდრებულ (არა მარტო საქართველოში) ტენდენციას – მხოლოდ მომხმარებლობაზე ორიენტირებულ მიდგომას ბუნებრივი რესურსებისადმი. ამის კატასტროფული შედეგია მიწის დამეწყრილი საფარი, ეროზირებული საძოვრები და ცხვრის საძოვრებზე უპატრონოდ დაყრილი მატყლი.

ამ ბოლო წლებში ბაზარზე მატყლის ფასების დაცემამ განაპირობა მეცხვარეების მიერ მატყლის ადგილზე დატოვება, ღია ცის ქვეშ დაყრა და მისი ღპობა, ეს კი გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ბუნებას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სასურველია სახელმწიფომ გაიღოს ტრანსპორტირების ხარჯი და ჩამოტანილი მატყლი გადასცენ უპოვართ, რომლებიც ასე მრავლად არიან საქართველოში. ამით, გარდა იმისა, რომ ბუნებას ზიანს ავაცვილებთ, ეს ძვირფასი მასალაც ამაოდ არ დაიკარგება. ვიღაცისთვის კი შეიძლება სასიცოცხლოდ საჭიროც აღმოჩნდეს.

ძველად, როცა თუშეთში ტრადიციული წესით ცხოვრობდნენ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანები თვითონ არეგულირებდნენ ბუნებასთან, გარემომცველ სამყაროსთან გონივრულ მიდგომას. საკვებად, სამკურნალოდ თუ სამღებროდ ვარგისი ველურად მზარდი მცენარეების მოგროვებასაც კი მოზომილად და პრაქტიკულად უდგებოდნენ. ერთი და იმავე ადგილიდან მცენარის ერთი სახეობის მთლიანად მოთხრა და მოსპობა არ შეიძლებოდა, ნაწილი მაინც უნდა დაეტოვებინათ. აგროვებდნენ იმდენს, რაც მათ საოჯახო მოთხოვნას ეყოფოდა. მოსახლეობას შეგნებული და კარგად გაცნობიერებული ჰქონდა, რომ მომავალ წელს და შემდგომაც ყველანაირი მცენარე მათი და მათი საქონლის, ასევე შთამომავლობის არსებობის გარანტია იყო. ხალხში არსებობდა გარემომცველ სამყაროსთან გაწონასწორებული ურთიერთობისთვის ბევრნაირი აკრძალვა და რწმენა-წარმოდგენა, რომელთაც ადამიანები მკაცრად იცავდნენ. დღეს ეს ყველაფერი წაშლილი და დავიწყებულია. სოკოებივით ამოიზარდნენ კერძო „მრეწველები“, ისინი ბუნებაში ველურად მზარდი მცენარეებისგან ჩაის ამზადებენ, ხარშავენ მურაბებს ფიჭვის გირჩისა და სხვა კენკროვანი ხილისგან, რომლებიც თუშეთში არც ისე ბევრია, რომ რეწვას გაუძლოს. წარმოება ყოველთვის ხიფათის შემცველია, მოგების მიზნით სურთ, რაც შეიძლება, მეტის დამზადება. არაა გათვალისწინებული, რამდენს გაყიდნიან. მოგროვილი მცენარეების ნახევარზე მეტი ვერ ეყიდებათ, მაინც ბევრს, ახალ-ახალს ამზადებენ. სასურველია გაიცეს მითითება, როგორ მოაგროვონ საჩაიე მცენარეები და რამდენი, რომ ამით ბუნებას ზიანი არ მიადგეს. საჭიროა განსაკუთრებული ზომები, რათა მრეწველი დასჯერდეს მხოლოდ გამოყოფილ მიწის ფართობს და არ დაიწყოს მთელი გარემოს ექსპლუატაცია. ეს განსაკუთრებით საშიშია მაშინ, როცა მწარმოებელს ხელთ აქვს ნებართვა აწარმოოს ველურად მზარდი მცენარეების ჩაი. ამას ემატება ისიც, რომ, მრეწველთა გარდა, მცენარეებს მასობრივად აგროვებს ყველა, ვინც მთაში ადის.

ნასოფლარებს დრო სჭირდება, რათა გამყარდეს, აღდგეს, გაყამირდეს მათ გარშემო არსებული ნიადაგის საფარი. გუთნით ნაძრავი მიწები რომ ადვილად არ ჩამოშალოს საქონლის ფეხმა, ეს დასვენების პერიოდი, სულ ცოტა, 50 წელი მაინც უნდა იყოს. დღეს ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეს საძოვარი და ეს ნაყანობარი ადგილები ამ ბოლო ზაფხულსა სჭირდება ადამიანებს. თითქოს ყველანი მოსწრებაზე არიან. „ჩემს შემდეგ ქვა ქვაზე ნულარ დარჩენილაო“ – ოდესღაც ძალიან ბოროტად ნათქვამი ეს სიტყვები დღეს უმრავლესობამ გაითავისა და საქმედ აქცია.

ბუნებრივი რესურსებისადმი დაუდევარ დამოკიდებულებას „შეზღუდული წვდომა“ და „შეზღუდული მიზნებისკენ მიმართული ქმედება“ უწოდა გერმანელმა ფილოსოფოსმა რუდოლფ ბარომ და იქვე დასძინა, ასეთი „ქმედებით მუდამ დავარღვევთ ბუნებრივ წონასწორობას“ (ბარო, 2016, გვ. 344). ბუნებრივი წონასწორობის დარღვევას და ბუნებრივი რესურსების მასშტაბურ, უკონტროლო ექსპლუატაციას კანონზომიერად თვითგანადგურების ლოგიკა მოსდევს, რაზეც არაერთი შემამფოთებელი პროგნოზი უკვე კეთდება (ბარო, 2016? იქვე, გვ. 345).

სამყაროში ბევრი უფრო გლობალური მასშტაბის ეკოლოგიური პრობლემა არსებობს, ეს, ბუნებრივია, ჩვენზეც აისახება, ჩვენც სამყაროს ნაწილი ვართ. ჩვენ, რა თქმა უნდა, ჩვენი მიკროსამყაროდან უნდა განვიხილოთ ჩვენი პრობლემები. „კუს ბაკანი გაუტყდეს ჭირადაც ეყოფა და ლხინადაცო“, ნათქვამია ხალხურ ანდაზაში და კუს ფატალურ აღსასრულზე მიანიშნებს. ჩვენი ქვეყნის „კუს ბაკანი“ მისი ბუნებაა ტყე-მცენარეებითა და წყალ-ჭალებით, რომელთაც მეტისმეტი მოფრთხილება სჭირდება. ულვეი და ამოუწურავი ამ სამყაროში არაფერია. „ზღვა კოვზით დაილევას“ – ესეც ჩვენი ბრძენი წინაპრების ნათქვამია. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, გასაქანი და წასავლელი არსაითა გვაქვს. ჩვენ ვალდებულნი ვართ ამ ჩვენს „ცოტას, პატარას“ განსაკუთრებით გავუფრთხილდეთ. სასურველია თანამედროვე ყოფამ ტრადიციული საზოგადოების ბუნებასთან ქცევის ნორმებიდან ბევრი რამ გაითვალისწინოს, რაც მხოლოდ და მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება გარემოსაც და ადამიანსაც.

შემორჩენილ გადმოცემათა მცირე ფრაგმენტები იმ შორეული წარსულის ანარეკლია, როცა ადამიანები ბუნებასთან მჭიდრო კავშირში ცხოვრობდნენ, როცა ადამიანი ბუნების ჭეშმარიტი ნაწილი იყო, მასზე იყო მთლიანად დამოკიდებული და ბუნებასთან ერთად ჰარმონიულად ვითარდებოდა. ერთი სიტყვით, მის მთლიანობას წარმოადგენდა. როგორც აღვნიშნე, ადამიანი თავისი ცხოვრების წესით იმდენად ახლოს იყო ბუნებასთან, რომ მას თითქოს „ესმოდა“ ხე-მცენარეთა და მთა-კლდეთა ენა. მასზე იყო მთლიანად დამოკიდებული. მიდიოდა, განმარტოვდებოდა ბუნების წიაღში, თავის გასაჭირს და ტკივილს შესჩიოდა, ისიც „შველოდა“ – იქიდან დამშვიდებული ბრუნდებოდა. მას უვნებელი სიცოცხლე უკვე „გარანტირებული“ ჰქონდა. მთვარეც მისი გზის მასწავლებელი და წინამძღოლი იყო – მისი ფაზების მიხედვით საქმიანობდა. მზეს – უზენაეს მნათობს – შეჰხაროდა, მზე იყო მისი მშველელი... დღეს ადამიანებს ბუნების – ხე-მცენარეების, წყალ-ჭალისა და მთა-კლდეების – უკვე აღარ ესმით. რატომ? ჩანს, თავისი ტექნიკური მიღწევებით გაამპარტავებული ადამიანი ისე დასცილდა ბუნებას – მიწას, ცას – ღმერთს, რომ იქნებ ბუნებასთან სიახლოვის ღირსი აღარაა. ნელ-ნელა ბუნება ზურგს აქცევს ადამიანებს. უმკბენარო ადამიანებს ესმოდათ ხეებისაო, გადმოცემა გვამცნობს. ეს ხომ პირდაპირი მინიშნებაა, რომ სანამ ადამიანი სუფთა იყო თავისი არსებით, ის ბუნებასთანაც უშუალო კავშირში და მისი ნაწილი იყო. მკბენარი აქ ჭუჭყის, სიბინძურის, გაუცხოვებისა და ვერაგობის სიმბოლოდ გვესახება. ყველა გადმოცემაში მინიშნებაა, რომ თუ ადამიანი ბუნების წინააღმდეგ წავა, სავალალო შედეგიც არ დააყოვნებს. უწინ ადამიანი ყოველთვის ბუნების ნაწილად აღიქვამდა თავს. ტრადიციულ საზოგადოებაში ადამიანის შეგნებაში იმდენად ხელშეუხებელი და გასულიერებული იყო ბუნება, რომ მასში, მის მოვლენებში ჩარევაზე არც კი ფიქრობდა, თვითონ ცდილობდა ბუნების მოვლენებს მორგებოდა – იცოდა ზვავისგან თავის დასაცავად საცხოვრებელი ნაგებობებისთვის ადგილის

შერჩევა. დიდი გვალვისა თუ უამინდობის დროსაც თხოვნით მიმართავდა ზებუნებრივ ძალებს – ამინდის შეცვლას ევედრებოდა. ბუნებასთან სხვა არანაირ მანიპულაციას არ მიმართავდა. ეს იმდენად წარმოუდგენელი იყო, რომ ქართულ მეტყველებაში არსებობს ასეთი გამოთქმა: „როგორც ეს წყალი აღმა არ აბრუნდება“... მათთვის ყოვლად დაუშვებელი იყო წყლის კალაპოტთან რამე შეხება. და როცა ეს წონასწორობა დავარღვიეთ, ამის სავალალო შედეგი ყველამ კარგად დავინახეთ სულ ცოტა ხნის წინ მდ. ვერეს ხეობის მაგალითზე.

ტრადიციული ცხოვრების წესის მოშლამ, მთიელების თავისი სამკვიდროდან ძალით აყრამ (ხევსურების, ფშავლების) და ბარში ჩასახლებამ ბევრი სასიკეთო ჩვევა დაავიწყა ხალხს. ამას დავმატა მასობრივი ურბანიზაცია და დღეს ადამიანი (მთიელიც და ბარელიც) საკმაოდ გაუუცხოვდა ბუნებას. ტექნიკურმა პროგრესმა ადამიანი საბოლოოდ დააშორა მას და ამპარტავნების გრძნობა, უძლეველობის რწმენა გაუჩინა. ტექნიკური პროგრესის კეთილდღეობა კი თანდათან მოჩვენებითი და დამლუპველი ხდება. ტექნიკურ პროგრესთან დიდი სიფრთხილე და გონივრული მიდგომაა საჭირო.

წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, თუ რა კარგად იცნობდნენ ადამიანები ტრადიციულ საზოგადოებაში თავიანთ გარემომცველ სამყაროს და როგორ იყენებდნენ მას ისე, რომ ეკოლოგიური ბალანსი არ დარღვეულიყო. ადამიანს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ მისი გარემომცველი ბუნება მისი არსებობის საფუძველი და მოსაფრთხილებელი სიმდიდრე იყო. მოფრთხილებას კი ემსახურებოდა:

საცხოვრებელი გარემოსა და ბუნების თავისებურებათა ღრმა ცოდნა;

ბუნებრივ გარემოსთან კარგად მისადაგებული სამეურნეო კალენდარი;

ცოდვის ფენომენის წინ წამოწევა;

ბუნებაში ცოტა ოდენობით წარმოდგენილ ხე-მცენარეთა და ნადირ-ფრინველთა მოფრთხილება;

თავისი საარსებო გარემოდან მხოლოდ იმ მინიმალური სარგებლის მიღება, ოჯახს წლიდან წლამდე რომ გასწვდებოდა, ანუ ბუნებრივი რესურსების დაზოგვა და ზომიერად გამოყენება.

ხატის ტყეები და ხატის მამულები, რომელთაც აღმოსავლეთ საქართველოს მთაში დღესაც მოწიწებით იცავენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აზიკური, კ. (1995). თუშური ჩანაწერები. თბილისი. მერანი.
2. ბარდაველიძე, ვ. (1949). ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია). მიმომხილველი. I. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.
3. ბარდაველიძე, ვ. (2013). გონჯაობა/ლაზარობა, ძველი ქართული წეს-ჩვეულება. თბილისი. საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი.
4. ბარო, რ. (2016). გადარჩენის გზის აქსიომები/მწვანე ანთოლოგია. თბილისი. კავკასიური სახლი.
5. ბოჭორიძე, გ. (1993). თუშეთი. თბილისი. მეცნიერება.
6. გასიტაშვილი, გ. (1967). ხის დამუშავების ხალხური წესები თუშეთში/თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. თბილისი. მეცნიერება.
7. გოგოლაური, ი. (1981). ხმით ნატირლები. შადგინა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ი. გოგოლაურმა. თბილისი. საბჭოთა საქართველო.

8. ვაჟა-ფშაველა (1979). თხზულებანი ორ ტომად, ტ. I. თბილისი. საბჭოთა საქართველო.
9. ლეონიძე, გ. (1962). თხზულებათა კრებული ექვს ტომად. ტ. I. თბილისი. საბჭოთა საქართველო.
10. მგოსანნი (1986). მგოსანნი გლოვისანნი. თბილისი. მეცნიერება.
11. მჭედლიშვილი, ე. (2019). ზამთარი დიკლოში. თბილისი. თსუ
12. სურგულაძე, ი. (2003). მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში. თბილისი. თსუ
13. ცოცანიძე, გ. (1987). გიორგობიდან გიორგობამდე. თბილისი. საბჭოთა საქართველო.

წყაროები:

ხელნაწერი:

1. აზიკური, ნ. (1971, 1974, 1975, 1978, 1985, 1987, 1988) თუშეთში ჩაწერილი საველე ეთნოგრაფიული მასალები.
2. აზიკური (2019) (აზიკური, პირადი კომუნიკაცია, ქუთაისი, 25 აგვისტო, 2019).

Folk Traditions of the Nature Protection and Modernity (According to the Ethnographic Materials of Tusheti)

Summary

Folk traditions of nature protection are studied in the work based on ethnographic materials, deep understanding of the essential qualities of habitat and nature is herewith demonstrated; The calendar of agriculture activities is shown to be well adapted to the cyclic dynamics within the natural environment; Sparing use and moderation in exploitation of natural resources is revealed.

It is highlighted how well the people in traditional societies knew the natural world surrounding them; How, the existence of various prohibitions and reverential attitudes toward nature ensured that these resources were used so as not to disturb the ecological balance.

Since the beginning of the 20th century, the resettling of mountaineers to lowlands, the disruption of the traditional ways of life, and the mass urbanization, have led to the distancing and alienation of men from nature. As clear from the example of the Tusheti region, we have obtained as a result – eroded and wasted land prone to landslides while useful vegetation is depleted due to the proliferation of weeds. The present work also discusses the effects of technical progress that has eventually driven men away from nature and instilled in them the sense of arrogance and belief in their invincibility. However, the prosperity brought along by the technical progress is gradually becoming illusionary and disastrous, requiring hence an extremely careful and prudent approach.

ნინო ლამბაშიძე, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

ქვათა თაყვანისცემა მესხეთში

მესხეთში ხალხური სარწმუნოებისა და ოფიციალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობის საკითხების შესწავლისას 2017 წელს მოვიპოვეთ მასალა, რომელიც მივლინების თვითდაფინანსების გამო ვერ შეგროვდა ჩვენთვის სასურველი რაოდენობით. ამ, არცთუ უხვი, მასალის ფონზეც კი თავისთავად გამოიკვეთა და წინა პლანზე წამოიწია ქვათა თაყვანისცემის ტრადიციამ, რომელიც, ჩვენთვის ცნობილი მასალების მიხედვით, საქართველოს სხვა კუთხეში ასე ერთიანი სახით არ ჩანს და არც ასეთი პოპულარობით სარგებლობს. ამასთანავე, ჩვენი მონაცემებით, ეთნოლოგებს სპეციალური განმაზოგადებელი ნაშრომი საქართველოში ქვათა თაყვანისცემის შესახებ არ დაუწერიათ. არსებობს ცალკეული ნაშრომები ფალოსის კულტთან დაკავშირებით, გვალვის საწინააღმდეგო რიტუალების შესახებ, რა დროსაც ქვა გამოიყენება რიტუალური მიზნით და სხვ. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია ირაკლი სურგულაძის მნიშვნელოვანი ნაშრომი “მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში”. ჩვენს სტატიაში “კლდის, ქვის და წყლის სიმბოლიკა წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების მიხედვით” შევეცადეთ გვეჩვენებინა, როგორ არის ქრისტიანობაში ქვისა და წყლის სიმბოლიკა გააზრებული, რაგვარად აისახა იგი ჩვენში წმ. მამებთან, სამონასტრო ცხოვრებასთან და გარკვეულწილად, როგორ უკავშირდება ამ საკითხს ხალხური რწმენა-წარმოდგენები.

როგორც ცნობილია, პრეისტორიულ მეგალითურ კულტურაში თაყვანისცემის ობიექტები იყვნენ: მენჰირები, დოლმენები, ქვის წრეები და სხვ. ისინი ნაყოფიერების კულტთან იყო დაკავშირებული და მამაკაცისა და ქალის სასქესო ორგანოებს განასახიერებდნენ. თუმცა ფიქრობენ, რომ სემიტურ წმინდა ქვებს არ ჰქონდა ფალიკური სიმბოლიკა არც ფორმით და არც შინაარსით. ჰენრი სტრიტი აღნიშნავს (Stockton, 1974-75, გვ. 1-27), რომ სფეროს ფორმა დედამიწის, მზის, მთვარის სიმბოლო იყო. გლობუსის ფორმა იმედისა და ბედის სიმბოლოს განასახიერებდა. წრიული ფორმის მქონე საგნები უკავშირდებოდა მარადისობას, ცათა მოძრაობას, პირამიდული ფორმები და ობელისკები – ცეცხლს და შესაბამისად, ოლიმპოელ ღმერთებს; კონუსი – მზეს, ცილინდრი – დედამიწას, ფალოსი – გამრავლებასა და შობას (Stockton, 1974-75, გვ. 2-3). წმინდა ქვები სატაძრო კულტმსახურებასაც უკავშირდებოდა. ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს თქმით, სირიაში, ემესოში იყო ძვ. წ. აღ. III ს-ში აგებული მზის ღმერთის ტაძარი, რომელსაც ელაგაბალუსი (ბერძ. ჰელიოგაბალუსი) ერქვა. იგი ფინიკიურად ღმერთ-მთას ნიშნავს. ამ ტაძრის მთავარი სიწმინდე ხელთუქმნელი, წაწვეტებულთავიანი შავი ქვა, მეტეორიტი იყო, რომელიც კონუსის ფორმის ბაზისში იყო ჩამაგრებული. იგი მზის გამოუძერწავ ხატად, ზევსის ზეციურ საჩუქრად მიიჩნეოდა. მოგვიანებით ეს საკულტო ქვა რომში გადაიტანეს (Stockton, 1974-75, გვ. 4-5). ჩვენი აზრით, ელაგაბალუსი, იგივე ჰელიოგაბალუსი მზგავსებას ავლენს შავ ქვასთან, რომელიც მუსლიმთა უდიდესი სიწმინდეა და ქაბას, მუსლიმთა წმინდა ტაძრის, შემადგენელი ნაწილია. ვფიქრობთ, ორივე მათგანის მეტეორიტულმა წარმოშობამ მსგავსი რწმენა-წარმოდგენები გააჩინა. როგორც ცნობილია, გადმოცემის მიხედვით, შავი ქვა უფალმა სამოთხიდან გამოძევებულ ადამს ზეციდან მოუვლინა (ენციკლოპედიური ცნობარი, 1999, გვ. 192).

განიხილავს რა წმ. ქვებს, იუჯინ სტოკტონი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ წმ. ქვები ღმერთის მყოფობისა და თეოფანიის გამომხატველია (Stockton, 1974-75, გვ. 18-19).

მოცემული საკითხის განხილვისას მირჩე ელიადე გამოყოფს ქვათა თაყვანისცემის შემდეგ ფორმებს:

1. საფლავის ქვები, რომლებიც მიზნად ისახავს გარდაცვლილი სულის გარკვეულ ადგილზე დამაგრებას და მისი ამქვეყნიური სამყოფლის შექმნას, მის დამშვიდებას. ითვლება, რომ ქვა წინაპრის გაქვავებული სულია.
2. გამანაყოფიერებელი ძალისა და ფუნქციის მქონე ქვები.
3. ნახვრეტებიანი ქვები, რომლებიც მკურნალ ქვებად მიიჩნეოდა. ზოგიერთ ქვეყანაში ბავშვს ამ ნახვრეტში აძვრენდნენ, რომ გამოჯანმრთელებულიყო.
4. მეტეორიტები. ისინი საკრალურებად ითვლებოდა, ვინაიდან კოსმოსური წარმოშობის იყო და ზოგან მათ “ქექა-ქუხილის ქვებს” უწოდებდნენ. ხალხური წარმოდგენით, მათ ელვა მოსდევდა, რის გამოც წვიმის გამოწვევის უნარი ჰქონდათ. ამდენად მათ ნაყოფიერების მინიჭების უნარი მიეწერებოდა.
5. დამცავი ფუნქციის მქონე ქვები, ამულეტები.
6. ქვები, როგორც ღმერთების, სულებისა და წინაპრების საცხოვრისი.
7. ქვები, რომელთა ქვეშ პოულობენ ბავშვებს ან განძს (Элиаде, 1999, <http://www.ecoethics.ru/old/b11/12.html>)

ქრისტიანობაში ქვის სიმბოლიკა სხვა მნიშვნელობას იძენს. როგორც ცნობილია, ადრეული სამონასტრო ცხოვრებისთვის ძირითადად სწორედ კლდეში ნაკვეთ სენაკებში მოსაგრეობა ყოფილა დამახასიათებელი. ამგვარი სენაკები წარმოადგენდა ბუნებრივ მღვიმეებს, პრეისტორიული ხანის გამოქვაბულებს, რეკონსტრუირებულ მღვიმეებს, ხელოვნურ, ძირითადად რეოკუპირებულ ძველ გამოქვაბულებს. თუმცა ადრეული ხანის კლდოვანი სამონასტრო ცხოვრების გვერდით სხვა სახის თუ ფორმის მოსაგრეობაც ყოფილა გავრცელებული¹. ქართველი მკვლევრები ფიქრობენ, რომ ამ მხრივ არც საქართველო უნდა ყოფილიყო გამონაკლისი (ბახტაძე, 2001, გვ. 25). უდაბნოს, კლდისა და ქვის სიმბოლური მნიშვნელობა ღრმა და მრავლისმთქმელი იყო ქრისტიანისთვის. უმძიმესი ყოფითი თუ გეოგრაფიულ-კლიმატური პირობები უდაბნოსა და კლდოვანი რელიეფის სახით არა მარტო თრგუნავდა, კლავდა ხორცს და აძლიერებდა სულს, არამედ ღრმა მისტიკური აზრის გამომხატველიც იყო.

ადრეულ ეპოქაში უდაბნო შიშთან ასოცირდებოდა. ადრეულ ბერმონაზვნურ ცხოვრებაში იგი მისტიკურად განასახიერებდა იმ ადგილს, სადაც ადამიანი ღიად უპირისპირდებოდა ბოროტ ძალებს. ამავე დროს, ითვლებოდა, რომ სწორედ უდაბნოშია ყველაზე ახლო ადამიანი ღმერთთან (Сидоров, 2002, გვ. 16-17). იგივე მნიშვნელობა ენიჭებოდა კლდეებსა თუ მთაგორიან ადგილებში ნაკვეთ სენაკებსა თუ ლავრებს. “საყურადღებოა, რომ პალესტინის ყველაზე ადრეულ ლავრებს გამიზნულად კვეთდნენ მთაგორიან მიუდგომელ ადგილებში, რომლებიც ადამიანს ღმერთთან სიახლოვის შეგრძნებას აღუძრავდნენ და საკრალური სიმბოლურობით გამოირჩეოდნენ”, - წერს დანიცა პოპოვიჩი (პოპოვიჩი, 2001, გვ.

¹ საკითხთან დაკავშირებით ლიტერატურაში იხ.: ა. სიდოროვი, ნ. ბახტაძე.

130). ქვაბიც მთის მსგავსად სულიერი ცენტრია, ადამიანისა და ღმერთის შეხვედრის ადგილი (გენონი, ციტირებული ჩხარტიშვილთან, 2001, გვ. 144). წმ. პავლე კლდეს აიგივებს იესოსთან და ამით აერთიანებს მანამდე განცალკევებულ ორ თემას: ღმერთი „ისრაელის კლდეა“ (მეფ. 23:3) და კლდიდან, რომელიც გვალვის ნიშანია, ღმერთმა, ქრისტემ, მაცხოვრებელი, სიცოცხლის მიმნიჭებელი წყალი გადმოადინა (Словарь, 1974, გვ.1034). მხოლოდ უფალია მარადიული კლდე, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ეკლესია. ქრისტე ქვაკუთხედაა, მტკიცე საფუძველი, რომელსაც ეყრდნობიან ქრისტიანები, როგორც „ლოდნი ცხოველნი“ (I პეტ. 2:5), რომლებიც ერთვებიან სულიერი სახლის (I პეტ. 2:5) მშენებლობაში (Словарь, 1974, გვ. 194). ამ შენობის თავკიდური ქვა ქრისტეა, ხოლო მასზე აგებული შენობა - ეკლესია. მამენებელთაგან არად მიჩნეული ქვა ქრისტეს ჯვარცმის წინასახედ გაიაზრება (მარკ. 12:10; ფს. 117: 22), ისევე, როგორც ეზეკიელის სიტყვები შიშველ კლდეზე დაღვრილი სისხლის შესახებ (ეზ. 24:7) წინასწარმეტყველებაა გოლგოთაზე (Толковая библия, т. 2, 1908-1910, 1913, стр. 365).

ამგვარად, კლდე (ლოდი) უდაბნოში არის ქრისტე და როდესაც მონაზონი კლდოვან ხრიოკ ადგილს ეტანება და იქ იწყებს მოღვაწეობას, იგი ფაქტობრივად ღმერთთან ერთობას ეძებს; ეძებს ერთობას ძლიერი ფიზიკური და სულიერი ბრძოლების გზით, რაც პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით შიშველ კლდეზე დაღვრილი სისხლი ანუ ჯვარცმაა, რომლის გარდაუვალი ჯილდო ღმერთთან მარადიული სიცოცხლეა (Сидоров, 2002, გვ. 37).

სავარაუდოდ, უდაბურ და კლდოვან გარემოში მოღვაწეობა სამონასტრო ცხოვრების ადრეულ პერიოდში ზემოხსენებული მისტიკური აზრით იყო ავსილი და მონაზონთა და განდევილთა რეალურ ყოველდღიურობასაც მსჭვალავდა.

აღსანიშნავი და ნიშანდობლივია, რომ მესხეთი ქვის კულტურის მხარეა. ეს ალბათ არცაა გასაკვირი. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავდა, ეს მხარე არის „მთიანი, გორიანი, ღრანტოიანი, ხევანი-კლდიანი, მაგარი მთა-ბართა სიახლოვითა...“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973, გვ. 659). რეგიონი საქართველოს სამხრეთ მთიანეთის უმეტეს ნაწილზე მდებარეობს. დასავლეთით მას არსიანის ქედის განივი განშტოება ესაზღვრება, ჩრდილოეთით - აჭარა-იმერეთისა და თრიალეთის ქედები, აღმოსავლეთით - ჯავახეთის ქედი, სამხრეთის საზღვარი კი ძირითადად ერუშეთის მთიანეთზე და ნიალისყურის ქედზეა განფენილი. მესხეთი სამი მსხვილი გეომორფოლოგიური ელემენტის ზონაშია მოქცეული: „ახალციხის მთიანი ქვაბული, აჭარა-იმერეთისა (მესხეთის) და თრიალეთის ქედების თხემური ზონა და სამხრეთი მთისწინეთები, ჯავახეთის მთიანეთი“. ახალციხის მთიანი ქვაბული მთათაშუა ქვაბულების ტიპისაა (გაფრინდაშვილი, გვ. 13, 21, https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_zust_sabunebismetk/phd%20giorgi%20gafrindaSvili.pdf).

სწორედ ისტორიულ ქვემო ქართლში, ანუ მესხეთში, იქ, სადაც ქვა უხვად მოიპოვება, ვხვდებით მეგალითურ ანუ ციკლოპურ ციხეებს (ზაქარაია, ციტირებული იოსელიანთან, 2002, გვ. 12, 14; იოსელიანი, 2010, გვ. 584-585). საქართველოში არსებულ კლდეში გამოკვეთილ მცირერიცხოვან ქალაქებს შორის, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი გამორჩეულია ვარძია. სერგი მაკალათია თავის ნაშრომში „მესხეთ-ჯავახეთი“ აღნიშნავს, რომ მესხეთის ყველაზე დიდ სალოცავად ვარძიის ღვთისმშობელი ითვლებოდა სულით ავადმყოფების, დახუთულებისა და სხვათა მკურნალად. უშიშრო ქალები შვილიერებას ან ვაჟის მიცემას ვარძიის ღვთისმშობელს სთხოვდნენ. მთხოვნელები სალოცავში საკლავითა და ღამისთევით მიდიოდნენ (მაკალათია, 1928, გვ. 112-113). რა თქმა უნდა, ვარძიის ღვთისმშობლის წინაშე ალბათ სხვა სათხოვარიც ჰქონდა ხალხს. ყოველივე ზემოთქმულიდან, ვფიქრობთ, სავსებით ბუნებრივია, რეგიონისთვის გამორჩეულად იყოს დამახასიათებელი ქვის თაყვანისცემა.

რეგიონში, ჩვენ მიერ შეგროვილი მასალის მიხედვით, შემდეგი სახის ქვათა თაყვანისცემა გამოვყავით:

1. *ქვის თაყვანისცემა განაყოფიერებისა და გამრავლების მიზნით.* კერძოდ, გაქვავებული ადამიანის თაყვანისცემა, როგორც გავთავებრივება საპირისპიროდ იმისა, რომ ადამიანის გაქვავება ღმერთისადმი ურჩობის გამო სასჯელია; ასევე ჩვეულებრივი ქვის გამრავლება-ნაყოფიერების მიზნით თაყვანისცემა.

მიგვაჩნია, რომ ქვის თაყვანისცემის ამ ფორმას მიეკუთვნება ახალციხის აზის ეკლესიის საკურთხევლის გარეთა მხრიდან, კედელთან მდებარე შავი ფერის მომცრო ქვა. იქ ადგილობრივი მოსახლეობა გარკვეული თხოვნით მიდის, ადებს ქვას მომცრო კენჭებს და სჯერა, რომ, თუ კენჭი ქვას მიეკრა, სურვილი აუსრულდებათ. ქვის ზემოთ ეკლესიის კედელი გაშვებულია, რამაც გვაფიქრებინა, რომ იქ სანთლებსაც ანთებენ. ამ ქვასთან სომხებთან ერთად ქართველებიც მიდიან (ლამბაშიძე, 2013). ვფიქრობთ, ეს წესი აშკარა პარალელს პოულობს თბილისის მამადავითობის ერთ-ერთ ტრადიციასთან. წმ. დავითს შველას შესთხოვდნენ უშვილო ქალებიც და ქალიშვილებიც, რომლებიც დედებს მთაწმინდაზე საგანგებოდ აჰყავდათ. თხოვნა-ვედრებაზე პასუხის გასაგებად გასათხოვარი გოგონები ტაძრის კედლებში კენჭებს ამაგრებდნენ. თუ მათი კენჭი მაგრდებოდა და მთაში რაღაც ხმაური გაისმებოდა (ლოდის დაგორების, ქვების ჩამოცვენის), ეს გოგონებისთვის ნიშანი იყო, რომ მალე დაოჯახდებოდნენ (...ხ..., (1854). Монастырь св. Давида. „Кавказ“, N7, გვ. 25-26; (1846). N125, გვ. 2). ჩვენი აზრით, თავდაპირველად ამ ქვასთანაც მლოცველი ნაყოფიერება-გამრავლებას ითხოვდა. როგორც ჩანს, ქვის თაყვანისცემა სამცხე-ჯავახეთში ნაყოფიერების მოსაპოვებლად გავრცელებული წესი უნდა ყოფილიყო.

სოფ. ბარალეთიდან 3 კმ. დაშორებით, ნასოფლარ სირგვში (ჯავახეთი), ამალეების ჯვარია. ეს არის მაღალი ქვის სვეტი ქვისვე ჯვრით, რომელსაც ქვის გალავანი ჰქონდა შემოვლელი. მოსახლეობა იქ ადღგომიდან მეორმოცე დღეს ამალეებას აღნიშნავდა და მოსავლის სიუხვესა და ოჯახის სიმრთელე-გამრავლებას შესთხოვდა. სომხები მას სურფოვანეს, ანუ წმ. იოანეს ეძახდნენ; ასევე - კათნაპურს ანუ რძის შეჭამანდს. ხალხის გადმოცემით, ჯვარი სირგვის მიდამოს ყარაული იყო და მას სეტყვისგან იცავდა. ამ მიდამოს ყანა მუდამ დათესილი უნდა ყოფილიყო. ხალხური რწმენით, მთელ ქვეყანაზე მოსავალი რომ აღარ ყოფილიყო, იქ მაინც იქნებოდა. ხალხის თქმით, ამალეების ჯვართან თამარ მეფეს ჩაუვლია, ჯვარი გადაუსახავს და უთქვამს: ამის პური ულევია იყოსო. ამიტომააო, რომ აქაური დიკა სხვებისგან განსხვავებით ერთი-ორ მოსავალზე მეტს იძლევაო.

ხალხური გადმოცემის მიხედვით, ამ სვეტს ოქროს ჯვარი ჰქონია, რომელიც შვიდ ჯავახელ ძმას წალკაში მოუპარავს და აქ მოუტანიათ. უფრო სწორად, ხსენებულ ადგილას დაუსვენებიათ და ჩასძინებიათ. გაღვიძებულთ, გზის გაგრძელება რომ მოსდომებიათ, სვეტი ვეღარ დაუძრავთ. ძმებს უთქვამთ, ეტყობა დაღლილები ვართ და იმიტომ ვეღარ მიგვაქვს და ისევ დავიძინოთო. მართლაც, დაუძინიათ და ძილში ანგელოზი ზმანებიათ. ანგელოზს უთქვამს: სვეტის ბინა აქ არის და აქვე აღმართეთო. ძმებიც ასე მოქცეულან და სვეტი აქვე აღუმართავთ. გარკვეული ხნის შედეგ სვეტი ქარს წაუქცევია და ოქროს ჯვარი ქურდებს მოუპარავთ. მოსულა სეტყვა და დამდგარა საშინელი გვალვა. სამი წელი ხალხი შიმშილობდაო. ბოლოს ადგილობრივებს ისევ აღუმართავთ სვეტი და ქვის ჯვარი დაუდგამთ მისთვის. სვეტისა და ჯვრის აღმართვას კარგი მოსავალიც მოჰყოლია.

სერგი მაკალათია თავის ნაშრომში სოფ. მურჯახეთის ძიქვაზე (რძის ქვა) ანუ ძუმუს ქვაზეც საუბრობს. სოფ. მურჯახეთი, რომლის ხალხური ეტიმოლოგია მაკალათიას მასალების

მიხედვით, ლურჯი ხევიდან მომდინარეობს, ახალქალაქიდან 4 კმ-ის დაშორებით მდებარეობდა. სოფელს დილიფის წყალი უვლიდა, რომელშიც ლურჯი თევზი ბინადრობდა. 3. 20 მ-ის ქვა სოფლის ბოლოში იყო აღმართული და შორიდანაც კარგად ჩანდა თურმე. მასთან ახლოს სხვა, 2. 60 მ-ის ქვაც ყოფილა, რომელიც წაქცეული იყო. მას ლალიას (ბლუს) უწოდებდნენ. გადმოცემის მიხედვით, ლალია ძიქვას ძმა ყოფილა და ორივენი ქართველები ყოფილან. სერგი მაკალათიას თქმით, თავიანთი მოყვანილობით ისინი ფალოსის ქვებია. „ძიქვაზე გამოსახულია მამაკაცის და დედაკაცის სასქესო ორგანოები (ფალოსი და კტეისი) განაყოფიერების მომენტში და ეს მოცემულია პრიმიტიულ ნახაზებში და ამიტომ მნახველი ერთის შეხედვით უფრო ქალის ძუძუს ამსგავსებს, და ხალხიც ამ ქვას ძუძუს ქვას უწოდებს. ძიქვაზე ფალოსის გამოსახულებას პირი დასავლეთისკენ აქვს მიმართული. ლალიას ერთ გვერდზე ორი მრგვალი ნაჩვრეტი აქვს. შეიძლება მას წაქცეულ მხარზეც ჰქონდეს რაიმე გამოსახულება, მაგრამ ამ დიდ სვეტის გადაბრუნება და მისი გასინჯვა ძნელია“ - წერს სერგი მაკალათია (მაკალათია, 1928, გვ. 114–115). გადმოცემის მიხედვით, ერთხელაც, როდესაც დას მძისთვის სადილი მიჰქონდა ყანაში, მურჯახეთს ლეკები (თათრები) შესევიან. გზაზე მიმავალ ქალს ლეკები გამოდგომიან. ძიქვას ღმერთისთვის უთხოვია, მე და ჩემი ძმა გაგვაქვავე, რომ მტერს ხელში არ ჩავუვარდეთო. ლეკებს ქალისთვის თოფი უსვრიათ. ტყვია მას თავში მოხვედრია და ქვას ამიტომ აქვს ნახვრეტიო. ამასობაში, ძმა იქვე ცხვარს მწყემსავდა თურმე. დაუნახავს ყოველივე და შიშისგან დალაღავებულა (ენაჩავარდნია და გაქვავებულა). თუ მეძუძური ქალი სტრესისგან შეშინებული ან შემკრთალი იყო და ამის გამო რძე ჰქონდა დაკარგული, მიჰყავდათ ძიქვასთან. ეს ხუთშაბათობით ან კვირაობით ხდებოდა, სხვა დღეს არ შეიძლებოდა. „თათრის ქალები“ (ალბათ მაკალათია მუსლიმებს გულისხმობს - ნ.დ.) პარასკევს მიდიოდნენ. ქალს შავი ფერის საღმრთო (მტრედი, ქათამი, ბატკანი და სხვ.) უნდა შეეწირა. ძიქვასთან ურძეო ქალი ძმას უნდა მიეყვანა. ქალს ბავშვიც უნდა წაეყვანა და მას იქ უნდა ეტირა, რათა ძიქვას გული მოლბობოდა და ბავშვის დედისთვის რძე მიეცა. ანთებდნენ სანთლებს, რომლებსაც ძიქვაზე აკრავდნენ. ამის შემდეგ ქალი, რომელსაც არ ჰქონდა რძე, ორი თითით კარაქს აიღებდა და ძიქვას ძუძუზე ანუ ქვის ფალოსურ გამოსახულებაზე, როგორც სერგი მაკალათია აღნიშნავს, წაუსვამდა, თავის ძუძუზეც მოისვამდა და ბავშვსაც გამოუსვამდა პირში. მერე ქალი „ქვის პატარა ნატებს“ აიღებდა და ძიქვას მიაკრავდა. თუ ნატები ქვას მიეკვრებოდა, დედის თხოვნა შესმენილი იყო, თუ ჩამოვარდებოდა, არა. მიგვაჩნია, რომ თბილისის მამადავითობის ერთ-ერთი წესი, რომელზეც ვისაუბრეთ, როდესაც წმ. დავითს შველას უშვილო ქალები, ასევე ქალიშვილებიც შესთხოვდნენ და ტაძრის კედელზე კენჭს ამაგრებდნენ, იგივე ტრადიციაა. ვერ გამოვრიცხავთ, რომ მსგავსი წესი ყოფილიყო საქართველოს სხვა კუთხეებშიც, თუმცა ჩვენი ველზე ხანგრძლივი მუშაობის შედეგად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, ასეთი რამ არ შეგვხვედრია. მაგრამ ერთი რამის აღნიშვნა კი ალბათ შეიძლება: ისტორიული ქართლის ტერიტორიაზე (ზემო ქართლი-მესხეთი) (თოფჩიშვილი, 2017, გვ. 312) ეს წესი იმდენად გავრცელებული იყო, რომ ჩვენამდეც მოაღწია. ვფიქრობთ ეს წესი ერთგვარი მაგიური რიტუალი იყო, როდესაც პატარა კენჭი დიდი ქვის ან ტაძრის ქვის კედელზე თავსდება, თითქოს ბავშვი დედის საშოს ეკვრის და იქ, ასე ვთქვათ, ჭიპლარის გზით მაგრდება.

სერგი მაკალათიას თქმით, ზემოხსენებული ძიქვა ცხიმისგან სველი და გაჟღენთილი იყო. ბავშვი თუ იტირებდა, დედა ეტყოდა, ძიქვა რძეს მომცემს და გაჰმევი და ძუძუს პირში ჩაუდებდა. ძიქვასთან ლოცვის შემდეგ ქალები ლალიასთან მივიდიოდნენ და ეტყოდნენ: მადლიანი ხარ, იმისი ძმა ხარ და რძე მოგვეციო. დაუნთებდნენ სანთლებს და მუხლის ჩოქვით გარს შემოუვლიდნენ. წასვლისას მათ ძიქვას მიწა მიჰქონდათ თან და ისე უნდა გასცდნოდნენ სოფ. მურჯახეთის საზღვარს, რომ უკან არ მოეხედათ. ვინც მოიხედავდა, მას სურვილი არ აუსრულდებოდა. სახლში მისულები სალოცავიდან წამოღებულ მიწას წყალში გახსნიდნენ და

მასში დედა-შვილი იბანავებდა. სწამდათ, რომ ამგვარად დედას რძე მოუვიდოდა. ითვლებოდა, რომ 40 დღის განმავლობაში ურძეო ქალს ქმართან ურთიერთობა არ უნდა ჰქონოდა, „რძე გაუბრუნდებაო“. სერგი მაკალათიას თქმით, ლალიასთან უფრო მამაკაცები მიდიოდნენ სათხოვნელად და სალოცავად - ისინი, ვისაც ან შვილი არ უჩნდებოდა, ან არ შერჩებოდათ ხოლმე. იქ, ორივე ქვასთან, უშვილო ქალებიც მიდიოდნენ და სურვილის შესრულებას სთხოვდნენ მიქვასა და ლალიას. ხშირად საკლავი და შესაწირიც მიჰქონდათ (მაკალათია, 1928, გვ. 115–116). საინტერესოა, რომ გაქვავებული ქალქვები ზოგჯერ შვილებითურთ, რომლებსაც ზემოაღნიშნულის მსგავსი მითოლოგიური ფონი აქვთ (ლეკებისგან გაქვავების გზით თავის დახსნა), სხვა ფორმის ნაყოფიერებას, კერძოდ წვიმის გამოთხოვას ემსახურებიან; ასევე – ძირითადად მოსავლის ნაყოფიერებას, მის გვალვისგან დახსნას. ასეთ ქალქვებს წყალს ასხამდნენ და გადააბრუნებდნენ ხოლმე. ირაკლი სურგულაძის თქმით, ამგვარი ქალქვები ძირითადად კახეთში გვხვდებოდნენ (სურგულაძე, 2003, გვ. 223). ალბათ ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან ამ რეგიონში გვალვა ხშირად იცის.

ადამიანის გაქვავების როგორც გადარჩენის და შემდგომ გაღვთაებრივებით დაჯილდოების საპირისპიროა ქრისტეს მიერ უქმის დამრღვევი, ანუ დასჯის მიზნით ღვთის კანონის დამრღვევის ქვად ქცევა. ამგვარი გადმოცემა საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია გავრცელებული.

2. *ქვის თაყვანისცემა ჯანმრთელობის მოსაპოვებლად*

ჯანმრთელობის მოსაპოვებლად, ჩვენი მასალების მიხედვით, ქვის თაყვანისცემის მაგალითია არალში, ირმის ეკლესიის სახელით ცნობილ ადგილზე, სადაც ქვა-სვეტია აღმართული. ამ ქვაში გასაძრომია. იქ ძირითადად ავადმყოფებს აძვრენდნენ, განსაკუთრებით ბავშვებს (ღამბაშიძე, 2013).

ურავლის თემში არის ახდილას ნაეკლესიარი (ბოჭორიძე, 1992, გვ. 11). გადმოცემის მიხედვით, იქ თურქების ერთ-ერთი შემოსევისას მოსახლეობა იმალებოდა. თურქების ჯარი, ვერავინ რომ ნახა, წავიდა. გახარებული ხალხი სამალავიდან გამოსულა და ცეკვა-სიმღერა დაუწყია. თურქები უკან მობრუნებულან და ხალხი დაუხოცავთ. ახ, რა დილა გაგვითენდაო, იმახდა ხალხი და სოფლის სახელიც აქედან მოდისო. ხალხის თქმით, იქ ქვებში წყალი რომ დგება, მოსახლეობა სამკურნალოდ მიიჩნევს და თვალეზზე ისვამს, ვინაიდან მხედველობისთვის სასარგებლოაო. ამ წყალს მტკივან ადგილებზეც ისვამენ (ღამბაშიძე, 2013).

ურავლის თემის ახდილას ნაეკლესიარის ქვებში ჩამდგარი წყლის სამკურნალოდ გამოყენება ალბათ წმინდა ქვების სამკურნალოდ გამოყენების კუთხითაც შეიძლება იყოს განხილული. მართალია, ამ შემთხვევაში ზეციდან წამოსული წყალი - წვიმა - სამკურნალო ძალის მქონეა და ალბათ წმინდაც, მაგრამ იგი წმ. ქვებს ეხება და ვფიქრობთ, სწორედ ამ გზით იღებს კურნების ძალას.

3. *ქვის თაყვანისცემა სასურველი ამინდის გამოსაწვევად*

სასურველი ამინდის გამოწვევა ქვების მოშველიებით, მათი გადაბრუნებით ცნობილი და გავრცელებული წესია. როგორც ირაკლი სურგულაძე აღნიშნავს, წვიმის გამოსაწვევად ქვების მოშველიება ჩვენში ძველი და საკმაოდ გავრცელებული წესი ყოფილა. მაგალითად, გადააბრუნებდნენ დიდ ლოდს და მის ქვედა სველ ნაწილს ზეცას უშვერდნენ. მისივე თქმით, „ამით დასველებული ქვეყნის ილუზიას ქმნიდნენ, რასაც წვიმა უნდა გამოეწვია“. ამასთანავე,

ხალხი წვიმის გამოსაწვევად მრავალფეროვანი საშუალებებიდან ერთ-ერთს ასე იყენებდა: ბანაობდა, იწუწებოდა და ერთმანეთსაც წუწავდა. ამ წესის მაგალითად ირაკლი სურგულაძეს მოჰყავს წვიმის გამოწვევის ჭობარეთული ჩვეულება, რომლის მიხედვითაც სამი მოხუცი ქალი ჯდებოდა ქვებში, ერთმანეთისგან ზურგმუქცევით და მღეროდა. მათთან მიდიოდნენ სხვები და ქალებს წყალს ასხამდნენ, გაავდრდაო (სურგულაძე, 2003, გვ. 222–223).

ახალციხიდან 6 კმ-ის დაშორებით, სოფ. წყრუთში, პატარა ქვაა, რომელთანაც სომხები ვართევიორზე, ანუ ვარდობაზე, მიდიან და ცხვრებს სწირავენ. ვარდავარს მესხეთელი სომხები ვართევიორს ეძახიან. ვართევიორი ნიშნავს, რომ ვარდები რომ ყვავიან, ფერიცვალებას ემთხვევაო, - აღნიშნა მთხრობელმა; როგორც ჩანს, სომხებისთვის ვარდობა ფერიცვალებაა. ვარდავარს, წვიმა რომ მოვიდეს, ყველა ერთმანეთს წუწავს. ასევე ახალციხიდან 5 კმ-ის დაშორებით არის დიდი ქვა, რომელზეც პატარა ხის სახლია აშენებული. იქ ახალციხელი სომხები სუფსარქისზე მიდიან. ანთებენ სანთლებს (კეკელიძე, 1940. ქართული ერა და ეორტოლოგიური წელიწადი. „მოამბე“, V-VI, გვ. 98; კლარჯული მრავალთავი, 1991, გვ. 135-139). უნდა აღინიშნოს, რომ წვიმის გამომწვევი ქვები შესაძლოა ზემოხსენებულ მეტეორიტებს ე.წ. ჭექა-ქუხილის ქვებსაც უკავშირდებოდეს, რაც შესაძლოა სამომავლო კვლევამ გვიჩვენოს.

4. *ქვის თაყვანისცემა, როგორც ყოფილი სიწმინდის, ნაეკლესიარის, ასე ვთქვათ, „ნიშის“ თაყვანისცემა*

ახალციხის გუბერნიის ქვის გალავანი დღემდე წმინდა ადგილად მიიჩნევა. ფაქტობრივად ადგილობრივი სომხები ამ ადგილს თაყვანს სცემენ. ჩემი აზრით, ეს თაყვანისცემა რეგიონის ყველაზე დიდ სიწმინდეს, ამენაფერგიჩს, ანუ მათ ამ მხარეში დასახლებას, მათი დიდი მამების, წინაპრების სახელს და პირველ ეკლესიას უკავშირდება; წინაპრების, რომლებმაც დიდ განსაცდელს გამოარიდეს თურქეთში მცხოვრები სომხების გარკვეული ნაწილი და საქართველოში მოუპოვეს მყუდრო თავშესაფარი. დღესაც გუბერნიის ქვის გალავანზე ზოგიერთი ახალციხელი სომეხი სანთლებს ანთებს და ლოცულობს.

ჩვენი მასალების მიხედვით, ყოფილი სიწმინდის თაყვანისცემის მეორე მაგალითი, რომელიც სხვადასხვა აღმსარებლობის მლოცველისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია, არის ახალციხის ციხის მეჩეთი. 1757 წელს აშენებული მეჩეთი რეგიონის მუსლიმების ყველაზე დიდი სიწმინდე და სალოცავი იყო, რომელიც ნიკოლოზ II-მ 1828 წელს ღვთისმშობლის სახელობის მართლმადიდებლურ ტაძრად გადააკეთა. ვფიქრობთ, ვინაიდან მეჩეთი რეგიონის ყველაზე მთავარი მაჰმადიანური სალოცავი იყო, ნიკოლოზ II-მ ამ ქმედებით, ასე ვთქვათ, სიმბოლურად „გააქრისტიანა“ მაჰმადიანები და რეგიონი, რითაც, იმავდროულად, რეგიონში რუსეთის გაბატონება დაადასტურა. დღეს ხსენებული მეჩეთი უმოქმედოა, მაგრამ იმ ადგილს ქრისტიანების მიერ ნაწილობრივ ფარული თაყვანისცემის კვალი ატყვია. იქ ერთ-ერთი ქვის უკან, მოფარებულში, აწყვია სანთლები და ასანთი და ყოველ მსურველს შეუძლია ქრისტიანული წესით ილოცოს.

5. *ქვად ქვევა, როგორც სასჯელი*

სოფ. არალისგან 3-4 კმ-ის დაშორებით ადგილია, რომელსაც ურიაქოლას ეძახიან. ხალხში დაცული გადმოცემით, ამ ადგილას ჩამოუვლია იესო ქრისტეს. გზაზე მიმავალ ქრისტეს დაუნახავს ქალი, რომელიც სარეცხს რეცხავდა და უთქვამს: დღეს ხარებაა და სარეცხის რეცხვა არ შეიძლებაო. „ხარება და არხარება, ჩემ ქმარ-შვილსა გახარება“ - უპასუხია ქალს. „ხარება და არხარება, შენ ქმარ-შვილსა გაქვავებო“ - მიუგია ქალისთვის იესო ქრისტეს და ყველა გაუქვავებია.

ჩვენი აზრით, ქვები, რომლებიც რელიგიური ნორმების დამრღვევთა გაქვავებით დასჯას უკავშირდება, ერთგვარად სამანის ფუნქციას ასრულებს. ანუ მათ უკან ამბავია, რომელიც საზოგადოებას ასწავლის დადგენილ კანონს, წესს. ეს არის ტრადიციის გადაცემის, რელიგიური ნორმების ქადაგების ერთგვარი საყოველთაო ფორმა. იმავდროულად, ერთგვარი წმინდა ადგილია, სადაც ღვთის ნება განხორციელდა, მოხდა თეოფანია.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ იმ არცთუ უხვ მასალაშიც კი, რომელიც ჩვენ შევავროვეთ მესხეთში, გამოიკვეთა ქვათა თაყვანისცემის ტრადიცია. ჩვენთვის ცნობილი მასალების მიხედვით, ქვათა თაყვანისცემა საქართველოს სხვა კუთხეებში ასეთი ნაირგვარობით არ ჩანს და არც ამგვარი პოპულარობით სარგებლობს. აღსანიშნავია ქვათა თაყვანისცემის შემდეგი ფორმები: ქვის თაყვანისცემა განაყოფიერებისა და გამრავლების მიზნით, ქვის თაყვანისცემა ჯანმრთელობის მოსაპოვებლად, ქვის თაყვანისცემა სასურველი ამინდის გამოსაწვევად, ქვის თაყვანისცემა, როგორც ყოფილი სიწმინდის, ნაეკლესიარის, ასე ვთქვათ, „ნიშის“ თაყვანისცემა, ქვად ქცევა, როგორც სასჯელი, რაც ფაქტობრივად თეოფანიის ადგილია.

მიგვაჩნია, რომ რეგიონისთვის დამახასიათებელი თაყვანისცემის ამ ფორმას მისმა ლანდშაფტმა შეუწყო ხელი, რადგან მესხეთი ქვის კულტურის რეგიონადაა მიჩნეული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაფრინდაშვილი, გ. (2016). საქართველოს სამხრეთ მთიანეთის გეოდინამიკური პროცესები და მოსალოდნელი გეოეკოლოგიური გართულებები. თბილისი. თსუ.
http://press.tsu.ge/data/image_db_innova/zustadasabunebismety/giorgi_gafrindashvili.pdf
2. ენციკლოპედიური ცნობარი. (1999). ისლამი. თბილისი. ნეკერი.
3. ვახუშტი ბატონიშვილი. (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. თბილისი. საბჭოთ საქართველო.
4. ზაქარაია, პ. (2002). ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია. თბილისი. ციტირებული იოსელიანთან. იოსელიანი, ხ. (2010). საქართველოს ეთნოგრაფია/ ეთნოლოგია, რ. თოფჩიშვილის საერთო რედაქციით. გვ. 584-585. თამთ, ეს გვერდები ტექსტში ციტირებულია.
5. თოფჩიშვილი, რ. (2017). საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები. თბილისი. საჩინო.
6. იოსელიანი, ხ. (2010). თავდაცვითი ნაგებობები. კრ. საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია. თბილისი. უნივერსალი.
7. კეკელიძე, კ. (1940). ქართული ერა და ეორტოლოგიური წელიწადი. *მოამბე*. V-VI.
8. კლარჯული მრავალთავი. (1991). თბილისი. მეცნიერება.
9. მაკალათია, ს. (1928). მესხეთ-ჯავახეთი. თბილისი. ფედერაცია.

10. სურგულაძე, ი. (2003). მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში. თბილისი. თსუ.
11. ღამბაშიძე, ნ. (2013). ახალციხე-ადიგენის რაიონის ექსპედიციის მასალები, ხელნაწერი.
12. ჩხარტიშვილი მ. (2001). დავითგარეჯის ქვაბოვანი მონასტრის ისტორიის ჰაგიოგრაფიული წყაროები. ANALECTA IBERICA. I.
13. Сидоров, А. (2002). У истоков культуры святости. Москва. «Паломник».
14. Словарь библейского богословия. (1974) Брюссель. «Жизнь с Богом».
15. Толковая библия (1908-1910, 1913). т. 2. Петербург.
16. Элиаде. М. (1999). **Священные камни**, Трактат по истории религий. Т. 2. Спб. Алетейя. <http://www.ecoethics.ru/old/b11/12.html>
17. ...ზ., Монастырь св. Давида, Кавказ, N7, 1846; N125, 1854.
18. Stockton E. D.(1974-75) Phoenician Cult Stones in Australian. *Journal of Biblical Archeology*, 2.3.

**Nino Ghambashidze,
Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire**

Veneration of Stones in Meskheti

Summary

The study of the veneration of stones in Georgia is a novelty as the special, systematic research to the issue was not dedicated before. In different works of Georgian ethnologists we can only find examples and different aspects of the stone worship and single statements. The paper is the first attempt to investigate the issue.

During my field works in Meskheti, South Georgia, collected materials obviously revealed and displayed the tradition of the veneration of stones. It also became apparent that this form of veneration was peculiar for this region. According to the materials I know, there is no any other place in Georgia where such various forms of the veneration of stones existed together in one region and the worship of stones was so popular.

I identified following forms of stone veneration: worship for obtaining fertility and reproduction, health, for causing the desired weather; worship of stones as remnants of church or holy place, holy stones which had a legend of turning human beings into stones on their background. In fact, these places, where such kind of holy stones are placed, are the sites of theophany.

I believe that this form of veneration, which is peculiar to the region, was determined by its landscape. As it is well known, Meskheta is a region of so called stone culture.

ირმა ოქრუაშვილი, ნუნუ ხრაიშვილი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი

სვანური ჩანგის სარიტუალო დანიშნულება მიცვალებულის კულტის ამსახველ დღესასწაულებში

ქართულ ინსტრუმენტარიუმში ჩანგი ქორდოფონების (სიმებიანი) ჯგუფში კუთხოვანი არფის ტიპის საკრავია. იგი გავრცელებულია აზიაში, აფრიკაში, ევროპაში, სამხრეთ ამერიკაში, ჩრდილოეთ და ცენტრალურ კავკასიაში. ტერმინი „ჩანგი“ შუმერულ–ბაბილონური ძირის სიტყვაა. ივანე ჯავახიშვილის განმარტებით, ქართულ წერილობით წყაროებში საკრავი მე-10–11 საუკუნეებში ჩნდება და იგი ამ ტერმინის გავრცელებას საქართველოში სპარსეთიდან ვარაუდობს. ცოცხალ ეთნოგრაფიულ ყოფაში ჩანგი დღემდე მხოლოდ სვანეთშია შემორჩენილი. შემორჩენილია აგრეთვე მისი დამზადების ხალხური ტრადიციები და საკრალური როლი მიცვალებულთა კულტის ამსახველ რიტუალებში. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ხის ფონდში დაცულია სვანური და ჩრდილოკავკასიური არფის კოლექციები, ხოლო საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილია 1910 წელს კაზნაკოვის მიერ სვანეთიდან ჩამოტანილი ჩანგი №50–10. (სურ.1, სურ.2) სვანური ჩანგი (შიმეკვშე) ტრადიციულად 6–7 ან 11–12-სიმიანია. იგი შედგება ჰორიზონტალური კორპუსისა (კოლეფ) და ვერტიკალური ნაწილისგან (კინი), მასზე მიმაგრებულია სიმების მოსამართი მოქლონები (ჭკვა), ყელი, კორპუსის ერთობლიობა კი ქმნის მართ კუთხეს. სვანური ჩანგის ყელი ორნამენტირებულია გეომეტრიული (ხაზოვანი, ჯვარედინი, ტეხილი ხაზები) მოტივებით, ხოლო კორპუსზე ორნამენტი იშვიათად იკითხება. ჩანგზე სრულდება სამხმიანი სიმღერები და მას ძირითადად მამაკაცები ასრულებენ. კუთხოვანი არფის ქართულ სახელწოდებად ჩანგთან ერთად გვხვდება შიმეკვშე, როგორც ზემოთ მითითებული გვაქვს. იგი საკრავის ადგილობრივი სვანური სახელწოდებაა, ნიშნავს „მოტეხილ ხელს“ და დაკავშირებულია საკრავის წარმოშობის შესახებ კავკასიაში გავრცელებულ ლეგენდასთან. ცნობილია სვანური და კახური მითები. სვანური მითის მიხედვით, ჩანგი შექმნა შვილმკვდარმა მოხუცმა მამამ. არფის კუთხოვანი კორპუსი ვაჟის მოხრილ ხელს განასახიერებს, სიმები – მის თმას, ხოლო ჩანგის მწუხარე ხმა – მოხუცის გოდებას.

მკვდრის სხეულიდან საკრავის გაკეთების მოტივი აისახა ქართულ და კავკასიურ ფოლკლორში და უკავშირდება მიცვალებულის კულტის წეს-ჩვეულებებს.

სვანური ჩანგის იდენტურია აფხაზური აიუმა (ორხელა), ყაზარდოული ფშინა-დეყაყუა (XII სს.), ყარაჩაული (ფშედეგაყაყუა), ბალყარული ყანირ-ყოზეუ და ოსური დუადასტანონ ფანდურ. ზემოჩამოთვლილ საკრავთაგან დღესდღეობით ყოფაში არც ერთი აღარ გამოიყენება. რაც შეეხება ლიტერატურულ წყაროებს, შუა საუკუნეების ფეოდალურ საქართველოში ჩანგი

დასამღერებელ და ლხინის საკრავად დასტურდება, მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ, „ავთანდილ ჯდა მარტო საწოლს, იმღერდა და იხარებდა, წინა ედვა ერთი ჩანგი“. არსებობდა დასადგმელი დიდი და ხელში დასაჭერი პატარა ჩანგები.

საყურადღებოა, რომ ძველად ჩანგზე დამკვრელი ქალები – მეჩანგენი - უმთავრესად ასრულებდნენ სამიჯნურო ჰანგებს, რასაც „მგოსნობა“ ეწოდებოდა. დავით მაჩაბლის ცნობით, „მგოსნობა არის ძველთაგან დარჩენილი სამიჯნურო საერო სიმღერა ქალთა მეჩანგეთა და ითქმის ერთ საკუთარ ხმაზედ“. „ოდესღაც იმერეთში ამ დიდად გავრცელებულ სიმღერებს წინანდებურად აღმსრულებელნი ახლა უკვე აღარა ჰყავთ, რადგან აღარ არიან საქართველოში ქალნი „მეჩანგენი“ და ამჟამად მათ მაგიერ უკვე მღერიან საზანდარნი, კაცნი ერის შემაქცევარნი, თვით ერიცა უმეტესად მაღალის საზოგადოებისა, თვით ჰანგების ხმა გადაქცეულა სპარსელთა სიმღერათა სახელითქმება“. XVII-XVIII სს.-ის ძეგლებში ავალიშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებაში წარმოდგენილი ჩანგის ტიპები სვანურ ყოფაში გავრცელებული საკრავის ანალოგიურია. საქართველოში არფის ტიპის საკრავთა უძველეს ტრადიციას ადასტურებს სტეფანწმინდის არქეოლოგიურ გათხრებში აღმოჩენილი ძვ.წ.-ის VII-VI სს.-ით დათარიღებული ცნობილი ბრინჯაოს ქანდაკება ე.წ. ყაზბეგის განძიდან. ზარის ყუნწზე მოძრავი რგოლებით გამობმულ ვერძის თავზე, კერძოდ, მის რქებზე, მოთავსებულია მამაკაცის 2 ფიგურა, ერთ მამაკაცს ხელში წინწილა უჭირავს, ხოლო მეორეს - სიმებიანი საკრავი (სურ.3). ალავიძისა და რეხვიაშვილის აზრით, ქანდაკებაზე წარმოდგენილია საწესო სიუჟეტი, სარიტუალო ცერემონიალი, კერძოდ, ზვარაკის შეწირვის სცენა. ქანდაკებას ბერძნული გავლენა ეტყობა, თუმცა მიჩნეულია ადგილობრივ ნაწარმად. ალავიძეს მიაჩნია, რომ ეს საკრავი XIII ს-ის ხელნაწერი მინიატურის ქართული ჩანგის იდენტურია. მეცნიერთა ერთი ნაწილის მოსაზრებით, ეს საკრავი ჩანგია, ხოლო მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ ქნარია (ლირა). მიუხედავად იმისა, რომ გვიანფეოდალურ საქართველოში ტერმინი „ჩანგი“ და „ქნარი“ გაიგივდა, ეს ორი საკრავი მრავალსიმიან საკრავთა ოჯახს მიეკუთვნება და გარეგნული მსგავსების მიუხედავად, მათი ერთმანეთში არევა არ არის მართებული. ჩანგის (არფის) მისათითებელი ნიშანი სხვადასხვა ზომის სიმებია, ხოლო ქნარის (ლირა) ერთი ზომისაა.

მ. შილაკაძე მსჯელობს ხევისა და სვანური მუსიკალური კულტურის უძველესი დროიდან ერთიანობის შესახებ. ყაზბეგური ქანდაკებების ტრადიციები ცოცხლობდა და შემდგომში მკვეთრად აისახა სვანურ ყოფაში, კერძოდ, მესაკრავის გამოსახულებაზე ცალკეული მოძრავი რგოლი (ჯაჭვი) რელიქტის სახით შენარჩუნებულია სვანური ჩანგის დეკორზე და დღევანდელ ყოფაში მხოლოდ ესთეტიკური ღირებულებისაა. ყაზბეგელი მესაკრავის ბრინჯაოს ზარი, ჯაჭვი და ჩანგის ერთობლიობა ხომ სვანური ყოფისთვის დამახასიათებელი მიცვალებულთა კულტის ამსახველი რიტუალის აუცილებელი ატრიბუტია; თუნდაც ზარით დატირება ხომ მიცვალებულთა კულტის რიტუალში ამჟამად მხოლოდ სვანეთის ყოფაში დასტურდება. უცხოელ და ქართველ მკვლევართა აზრით, მესოპოტამიური ცივილიზაციის, კერძოდ, ურში აღმოჩენილი ძვ. წ-ის 2700 წლით დათარიღებული არფები სვანური ჩანგის ანალოგიურია (შუმერული არფა ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში). მ. შილაკაძის მოსაზრებით, შუმერული არფის მსგავსია კავკასიაში აღმოჩენილი საკრავი ორი ცხენისა და ხარის ფიგურებით, რომლებიც ზარის მეშვეობით მოძრაობაში მოდიოდა. ეს საკრავი მოსკოვის მუზეუმშია დაცული. მეცნიერთა ერთი ნაწილი (დ.არაყიშვილი) მას ქართულ საკრავად მიიჩნევს, მეცნიერთა მეორე ნაწილი კი - ოსურ დუადასტანონ ფანდურად მასზე ამოკვეთილი წარწერის მიხედვით: „ესე ფანდური ფუცუნა ბეგის, ვინც მოიპაროს, მას რისხუამდის მადლი ღვთისა, ამინ“. ცნობილია, რომ ოსები საკუთარ არფისებრ საკრავს მოიხსენიებენ სახელწოდებით ფანდური. ზემოაღნიშნული

საკრავი იმითაცაა საინტერესო, რომ მასზე წარმოდგენილია ძველი ქართული ხალხური გართობების ამსახველი ტრადიცია - „ცხოველთა სახიობა“, ანუ ბერიკაობა-ყეენობის ამსახველი სიუჟეტი მროკავ ქანდაკებათა სახით. დ. არაყიშვილის შეხედულებით, ეს ტრადიცია შებანების გაძლიერებას ემსახურებოდა.

საქართველოში დასტურდება ლირისებური საკრავიც, თიხის ფიგურა ანტიკური ხანის ნამოსახლარიდან, უფლისციხიდან. ესაა ძვ. წ-ის VII-VIII სს-ების ნილიბოსან-მეჩანგის ქანდაკება, რომელიც მისტერიულ ქმედებას ასახავს. მეტად საინტერესოა 2007 წელს ვანის გათხრების შედეგად აღმოჩენილი ჭრაქი, რომელიც ძვ. წ-ის III საუკუნითაა დათარიღებული და მასზე დამაგრებულია მამაკაცის ოთხი ფიგურა (სურ.4). ერთ-ერთს ხელში უჭირავს ზუსტად ისეთი ტიპის არფა, როგორც „ყაზბეგის განძის“ ქანდაკებაზე გამოსახული საკრავით. სვანურ ყოფაში წინაპრისა და მიცვალებულის კულტი ძველ რწმენა-წარმოდგენებსა და რელიგიურ რიტუალებს უკავშირდებოდა. სვანური არფა და ჭუნირი ინარჩუნებდა ამ რიტუალებში საკრალურ მნიშვნელობას. განსაკუთრებით დიდია ჩანგისა და ჭუნირის გამოყენება მიცვალებულის კულტის ამსახველ რიტუალებში. კერძოდ: 1) სვანეთში საკრავზე დაკვრის წესი მიცვალებულის დაკრძალვის წინა ღამეს; 2) ახალი წლის ციკლის ერთ-ერთი დღესასწაულის - ლიფანალის - დროს და 3) „სულის დაჭერის“, ანუ „სულის გამოხსნის“ დროს.

1) დასაფლავების წინა ღამეს ერთ-ერთი ნათესავი მიცვალებულის (მამაკაცი) ჩანგზე ან ჭუნირზე მღეროდა „ასლამაზას“, იგონებდა მიცვალებულს და ამ გვარის დანარჩენ მიცვალებულებს; 2) სვანური არფისა და ჭუნირის გამოყენება ლიფანალის დღეობაში. ლიფანალი ეს არის ე.წ. ახალი წლის ციკლის დღესასწაული, რომელიც დღემდე მხოლოდ სვანურ ყოფაში დასტურდება. ზემო სვანეთში იმართება ახალი წლის დღეებში - 5 იანვარს, ხოლო ქვემო სვანეთში - გაზაფხულზე და უკავშირდება ბუნების ძალთა აღორძინებას. დღეობა რამდენიმე დღეს გრძელდება და მისი ერთ-ერთი ელემენტი სულების გართობისთვის საკრავებზე დაკვრაა. ლიფანალის დროს ყველა ღამეს სულების გართობა ჩანგზე და ჭიანურზე დაკვრით ხდებოდა. ვ. ბარდაველიძის ვერსიის თანახმად, ლიფანალის დროს სვანური გომურის ტიხარზე საწესო არქაული ჭრელები ზუსტად სულების გასართობად სრულდებოდა. „სულებს ართობდნენ ჩანგზე და ჭუნირზე დაკვრით, სულების გართობა ყოველ საღამოს ხდებოდა ლიფანალის განმავლობაში“ (ბარდაველიძე, 2006, გვ. 87-88). ტრადიციულად მომდერალ და საკრავებზე დაკვრელ ოჯახებს განსაკუთრებულ პატივს სცემდა მთელი სოფელი. იმის მიუხედავად, იცოდნენ თუ არა დაკვრა, ოჯახებში მაინც ჰქონდათ და აქვთ საკრავები, ინახავენ მათთვის საგანგებოდ შერჩეულ ადგილას და ძალიან უფრთხილდებიან. სვანურ ტრადიციაში ჩანგი ჭუნირთან ერთად ანსამბლში ერთიანდება. ლიფანალის ფოტო დაცულია კოჟერნიკოვის პირად არქივში (სურ.5). 3) სვანურ არფას უდიდესი საკრალური დატვირთვა აქვს სულის მოყვანის რიტუალში, რომელიც ტარდებოდა არაბუნებრივი სიკვდილით დაღუპული (წყალში დამხვრჩალი, ზვავით გატანილი და სხვ.) სულებისთვის, რადგან, მათი რწმენით, სული ეშმაკს რჩებოდა და ცდილობდნენ მისი სულის გამოხსნას. ეს ჩვეულება მთელ საქართველოში იყო გავრცელებული. სვანური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, სახლის გარეთ ადამიანის სიკვდილის შემთხვევაში სხეულს დაშორებული სული ოჯახს ვეღარ მიაგნებდა და სამუდამოდ დაიკარგებოდა. ამიტომ ჭირისუფლები ნემტის შინ გადმოსვენების პარალელურად გარდაცვლილის სულის სახლში დაბრუნებაზე, სულის მოყვანაზე ზრუნავდნენ. სულის მოყვანის (ქვიანი ლიტხე) რიტუალი ასე სრულდებოდა: შემთხვევის ადგილას ჭირისუფლებიდან მიდიოდა ორი კაცი, ერთი ჩანგით, ხოლო მეორე მამლით ხელში. სული მამალში უნდა შესულიყო და გაჰყოლოდა მათ, რაც მამლის ყვილს უნდა ეცნობებინა. ადგილზე მისულნი ტირილს იწყებდნენ და სულს შინ დაბრუნებას

სთხოვდნენ. უკან ნელა ბრუნდებოდნენ და წინ ჩანგზე დამკვრელი მიუძღოდათ. თუ სიმები კარგად აჟღერდებოდა და მამალიც დაიცივლებდა, ეს ნიშანი იყო, რომ სული ნაპოვნია და ახლობლებს შინ მიჰყვებოდა. „სულის გამოხსნის“ რიტუალში აუცილებელი ელემენტია ხმაური; მამლის დაცივლება არა მარტო სიგნალია იმის დასტურად, რომ სული მათ მიჰყვება, არამედ აუცილებელია ხმაურის შემქმნელიც. „სულის მოყვანის“ რიტუალის ფოტომასალა დაცულია ევდოკია კოჭერნიკოვას პირად არქივში(სურ. 6).

ამგვარად, დიდია ჩანგის სპეციფიკური როლი სვანურ ტრადიციულ წეს-ჩვეულებებსა და მიცვალებულთა კულტის ამსახველ რიტუალებში. ის დღემდეც ინარჩუნებს საკრალურ მნიშვნელობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალავეიძე, დ. (1978). ქართული და საქართველოში გავრცელებული ხალხური მუსიკალური საკრავები. თბილისი.
2. ბარდაველიძე, ვ. (1953). ქართული (სვანური) საწესო-გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბილისი.
3. ბარდაველიძე, ვ. (1941). ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან: ღვთაება ბარბარ-ბაბარ. თბილისი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.
4. შილაკაძე, მ. (2007). ტრადიციული სამუსიკო საკრავები და ქართულ-ჩრდილოკავკასიური ეთნოკულტურული ურთიერთობანი. თბილისი. კავკასიური სახლი.
5. ჩართოლანი, მ. (1961). ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბილისი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.
6. ჩიტაია, გ. (2000). ლიფანალის მხატვრობის შესახებ. თბილისი. მეცნიერება.

Irma Okruashvili, Nunu Kharaisvili,
Georgian National Museum

The ritual purpose of the Svanetian Changi in celebrations of the cult of the deceased

Summary

The Article - 'Ritual Meaning of Svanetian Changi (lyre) in the Events related to the Cult of the Deceased' covers the following topics, such as: angular musical instrument similar to the lyre with chordophones (strings) in the Georgian musical instruments – Changi, its structure, its area of distribution, legend about its Svanetian name, archeological parallels and national traditions of its presence in modern ethnographic existence.


The term 'Changi' originates from Sumer – Babylon. It is observed in the Georgian written sources back in the X-XI centuries and according to the Georgian scientists' opinion the term comes from Persia.

In living ethnographic existence the Changi, as well as the national traditions of its making and sacral role in the rituals of cult of the deceased, is preserved only in Svaneti up today. According to the legend the lyre was created by a father mourning his child. The motive for creation the Changi from the dead body was reflected in the Georgian folklore, traditions related to the cult of the deceased and rituals. It keeps its sacral meaning even nowadays.


ილუსტრაციები:



სურათი N1




სურათი N2



სურათი N3

ბრინჯაოს ქანდაკება ყაზბეგის განძიდან (ძვ.წ VII-VI სს.)



სურათი N4.

ჭრაქი, ბრინჯაო, ვანი(ძვ.წ.III-II სს)



სურათი N5

ლიფანალის ფოტო



სურათი N6

„სულის მოყვანის რიტუალი“

**თინათინ მშვილობაძე,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

არქივების ავტომატიზაცია და ელექტრონული დოკუმენტების ფორმირების პროცესები

ელექტრონული არქივაციის უპირატესობები

ელექტრონული არქივის (EA) დანერგვა წინაპირობაა საარქივო დოკუმენტების გრძელვადიანი შენახვისათვის. იგი საშუალებას იძლევა ინფორმაციის ძიების, კლასიფიკაციისა და ანალიზისათვის, ერთიან ფორმატში სხვადასხვა ტიპის დოკუმენტების გაერთიანების, ინფორმაციის კარგვის აღმოფხვრისათვის და ა.შ. კომპანიის IT-ინფრასტრუქტურის ოპტიმალური ორგანიზაციისას დოკუმენტების ელექტრონული არქივის ანალიზის საფუძველზე კომპეტენტური კომპანიის განვითარების სტრატეგიის შერჩევა კომპანიის დიდი ოდენობით ფულადი სახსრის დაზოგვის საშუალებას იძლევა.

ელექტრონული არქივის ავტომატიზაცია ხელს უწყობს დოკუმენტების ფორმირებისა და შენახვის პროცესს, რაც ზრდის საწარმოს თანამშრომლების მუშაობის ეფექტიანობასა და ინფორმაციის ძიების სიჩქარეს.


ელექტრონული არქივის დანერგვა კომპლექსური პროცესია, რომელიც სერიოზულ განხილვას საჭიროებს. ამ პროცესის მიზანი არა მხოლოდ ქაღალდისა და დროის შემცირებაა, არამედ არქივის თანამშრომელთა დოკუმენტებთან მუშაობის ორგანიზება.

ელექტრონული დოკუმენტის არქივის უპირატესობებია:

- ახალი თანამშრომლის მიღების, დროისა და ფინანსური ხარჯების შემცირება.
- საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ დიდი რაოდენობის ინფორმაციის კარგვა.
- ელექტრონულ არქივში გამოყენებული სისტემა იწვევს ქაღალდისა და საღებავის, ასევე სხვა სავალდებულო ხარჯების შემცირებას.

გარდა ამისა, ელექტრონული არქივი შეიძლება გამოვიყენოთ ისეთი დოკუმენტების შესანახად, როგორებიცაა: აუდიოფაილები, ვიდეოფაილები, ფოტოები და სხვა სურათები (პარადნევა კ.ა., ნაზაროვა ო.ბ., 2014,2).

განვიხილოთ კონტექსტურ მონაცემთა საანგარიშო გადაადგილების (ნაკადების) დიაგრამა (DFD) საწარმოს ანალიზის საფუძველზე, იხილეთ სურათი 1-ლი.



სურათი 1. კონტექსტურ მონაცემთა გადაადგილების (ნაკადების) დიაგრამა ცხრილ 1-სა და ცხრილ მე-2-ში მოცემულია საწარმოო პროცესების მონაცემთა ანგარიში.

ცხრილი 1-ლი - პროცესები

პროცესი	აღწერა
არქივის ფორმირება საექსპერტო მოსაზრებების შეფასების ანგარიშების საფუძველზე	საწარმოს ექსპერტული მოსაზრებებისა და შეფასების ანგარიშის არქივის შედგენა.
კლიენტის განაცხადის დამუშავება	მომსახურების გასაწევად კლიენტის მიერ წარდგენილი განაცხადის განხილვა.
საჭირო მომსახურების ტიპის განსაზღვრა	მომსახურების საცავიდან საჭირო სერვისის შერჩევა
შეთანხმების დასკვნა	კლიენტსა და კომპანიას შორის საჭირო მომსახურების მიწოდების ოფიციალური დოკუმენტის დასკვნა
საექსპერტო მოსაზრებების ფორმირებისა და შეფასების ანგარიშების მომსახურების გაწევა	საჭირო მომსახურების შესრულება ხელშეკრულების შესაბამისად
საექსპერტო მოსაზრებებისა და შეფასების ანგარიშების არქივში რეგისტრაცია	საექსპერტო მოსაზრებებისა და შეფასების ანგარიშების არქივირება
ანგარიშგება	შიდაკომპანიის ანგარიშების შედგენა

ცხრილი მე-2 - მონაცემთა გადაადგილება (ნაკადები)

ნაკადები	აღწერა
ექსპერტის აზრი (1-ლი ასლი, მე-2 ასლი)	კვლევის პროგრესისა და შედეგების წერილობითი შეტყობინება და ექსპერტიზის დასკვნები (მასზე) დასმულ კითხვებზე. პირველი ასლი საწარმოს რჩება. მეორე ასლი გადაეცემა კლიენტს.
ანგარიში (1-ლი ასლი, მე-2 ასლი)	აქტი, რომელიც მოიცავს ქონების შეფასების ღირებულებასთან დაკავშირებული შეფასების პროფესიულ გადაწყვეტილებას.
განცხადება	კლიენტის მიერ წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა აუცილებელი მომსახურების უზრუნველსაყოფად
დამუშავებული განაცხადი	დამუშავებული წერილობითი განაცხადება კლიენტის მიერ მოთხოვნილი მომსახურებისთვის
ინფორმაცია საჭირო მომსახურების შესახებ	ინფორმაცია სამსახურებრივი საცავიდან საჭირო სერვისის შესახებ.

ინფორმაცია ხელშეკრულების შესახებ	აუცილებელი ინფორმაცია ხელშეკრულების დასასრულებლად
მომხმარებელთა ინფორმაცია	კლიენტის შესახებ ხელშეკრულების დადების შესახებ აუცილებელი ინფორმაცია
კონტრაქტი	დამკვეთსა და კომპანიას შორის საჭირო მომსახურების შესახებ ოფიციალური დოკუმენტი
ინფორმაცია მომსახურების ხელშეკრულებიდან	აუცილებელი ინფორმაცია ხელშეკრულებიდან მოთხოვნილი მომსახურების შესახებ
ინფორმაცია წლიური ანგარიშისთვის	კომპანიის მიერ წლიური ანგარიშის მომზადების საჭირო ინფორმაცია
წლიური ანგარიში	შიდადოკუმენტი, რომელიც ასახავს საწარმოს საქმიანობას წლის განმავლობაში.

კონტექსტურ მონაცემთა გადაადგილების (ნაკადების) მოდელის ანალიზზე დაყრდნობით გამოვლინდა შემდეგი:

- დიდი რაოდენობის ქალაქის საარქივო მასალები;
- მოთხოვნა დოკუმენტის შესახებ საჭირო ინფორმაციის დაუყოვნებლად მიღებასთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება - საწარმოს ელექტრონული არქივის დანერგვის ტექნიკური სპეციფიკაციის განვითარებაზე (ГОСТ 34.201-89 Информационная технология).

დოკუმენტების ელექტრონული არქივის შექმნა

ელექტრონული არქივი წარმოადგენს ელექტრონული ფორმით დოკუმენტების შენახვის სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს მათი შენახვის საიმედოობას, კონფიდენციალურობასა და ხელმისაწვდომობის დიფერენცირებას, დოკუმენტის გამოყენების თვალსაზრისს, ძიების მოხერხებულობასა და სისწრაფეს. როგორც წესი, ელექტრონულ არქივი მუშაობს არასტრუქტურულ დოკუმენტებთან (ტექსტური დოკუმენტები, ცხრილები, გრაფიკული ფაილები და ა.შ.).

დოკუმენტების არქივი და მასთან დაკავშირებული სამუშაო ნებისმიერი ორგანიზაციის სწორი დოკუმენტბრუნვის წინაპირობაა. დოკუმენტების ელექტრონული არქივის ორგანიზაციასთან დაკავშირებული ამოცანების ფართო სპექტრს წყვეტს ელექტრონული დოკუმენტაციისა და ინტერაქტიური მენეჯმენტის სისტემა DIRECTUM Direction-ი.

სისტემაში დოკუმენტების ელექტრონული არქივის ორგანიზების ფუნქციები და უპირატესობებია:

- მონაცემთა ელექტრონული არქივი მონაცემთა ბაზისა და ფაილის შენახვის ერთიანი სივრცეა;
- დოკუმენტების სწრაფი ძიება ხდება მითითებულ რეკვიზიტებზე (ტექსტური შინაარსის) სრულ ტექსტში საძიებო სიტყვების მეშვეობით;
- ელექტრონულ არქივში შენახული ელექტრონული დოკუმენტების (Microsoft Word, Microsoft Excel, AutoCAD, CorelDraw, Visio და ა.შ.) შექმნისა და რედაქტირების ნებისმიერი პროგრამის გამოყენების უნარი;

- დოკუმენტების არქივის შესაბამისობის უნარი ხარისხის მიხედვით (განვითარება, მოქმედი დოკუმენტი, მოძველებული დოკუმენტი) და თითოეული კატეგორიის ვიზუალური ჩვენება;

- დოკუმენტებთან მუშაობის მხარდაჭერა სხვადასხვა რეჟიმში;

- დოკუმენტების ელექტრონულ არქივში მართვის სისტემის (მექანიზმის) ხელმისაწვდომობა, რომელიც ხელს უშლის რამდენიმე მომხმარებლის ერთდროულად (ხელმისაწვდომობას) წვდომას ერთ დოკუმენტზე;

- ელექტრონული დოკუმენტების დაყადაღება, ყველა მომხმარებლისთვის ელექტრონული ციფრული ხელმოწერის ხელმისაწვდომობა (EDS), რომელიც საშუალებას აძლევს მათ მუშაობდნენ სხვადასხვა საინფორმაციო კრიპტოგრაფიულ სისტემასთან (Электронные архивы - http://www.doc-online.ru/a_id/315/).

ელექტრონული დოკუმენტების შენახვის მიდგომები

არსებობს დოკუმენტების შენახვის ორი მიდგომა: SQL Server მონაცემთა ბაზაში და პირდაპირ ფაილებში. არსებობს კომბინირებული ვარიანტიც, რომელიც აერთიანებს ორივე მიდგომის უპირატესობას: SQL Server-ის შენახვის გამარტივებას და პრაქტიკულად შეუზღუდავი რაოდენობის მონაცემთა შენახვას, დოკუმენტების ნაკადის მონაცემთა შენახვას დაბალი ღირებულებით.

სისტემაში ელექტრონული საბუთი, რომელიც ფუნქციონირებს მიმოქცევაში, შეიძლება განთავსდეს SQL-სერვერის განაწილებულ ფაილებში. ამავდროულად მომხმარებელს შეუძლია ერთი დოკუმენტის საშუალებით ყველა დოკუმენტთან მუშაობა.

ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფა ინფორმაციული მართვის ყველა სისტემის მნიშვნელოვანი ამოცანაა. სხვადასხვა ტიპის საცავის გამოყენებით ირიბი და პირდაპირი ხარჯის ალბათობა მკვეთრად მცირდება. პირდაპირი ხარჯი მცირდება, პირველ ყოვლისა, საარქივო მონაცემებისთვის იაფი აღჭურვილობის გამოყენების გამო. არაპირდაპირი ხარჯის შემცირება ხდება ხანმოკლე სისტემური აღდგენის დროის შემდეგ SQL Server- ის შენახვის საარქივო მონაცემების ამოღების გამო.

ელექტრონული არქივის ორგანიზების სქემები

ძირითადი სქემა. ძირითადი შენახვის სქემის უპირატესობა სიმარტივეა. ძირითადი სქემა ითვალისწინებს SQL Server- ზე ყველა დოკუმენტის შენახვას და კრიტიკული მოცულობის შემუშავებას.

კლასიკური სქემა. ეს სქემა ითვალისწინებს სისტემის ორ ობიექტს: ოპერაციული SQL-სერვერისა და არქივის ფაილის შენახვას. იგი 100 მბ-მდე სტანდარტული დოკუმენტების შენახვის საშუალებას იძლევა და უზრუნველყოფს მაღალი სიჩქარით მუშაობას.

მულტიმედიური სქემა. დიდი მოცულობის დოკუმენტებზე (ვიდეო, გრაფიკა, რუკები, ნახაზები და ა.შ.) მუშაობის საჭიროება არაერთ მოთხოვნას ავალდებულებს დოკუმენტების საცავს. ელექტრონულ დოკუმენტებზე შენახვის მულტიმედიური სქემა მოიცავს ონლაინ რეჟიმში საარქივო ფაილის საცავეს, როგორც მცირე ზომის დოკუმენტებთან მუშაობისა და განთავსებისათვის, ასევე 100 მბ-ზე მეტი მოცულობის დოკუმენტებისთვის.

განაწილებული სქემა. დიდი რაოდენობით მონაცემისა და მომხმარებელთა რიცხვის გამო ერთი სერვერის მოცულობა არ შეიძლება იყოს საკმარისი. ამ შემთხვევაში დატვირთვა შეიძლება გადანაწილდეს რამდენიმე ფაილურ სერვერს შორის და მონაცემთა ბაზის სერვერზე. მრავალრიცხოვან საცავეებში არსებული დოკუმენტების გავრცელება ხელს უწყობს სერვერებისა და ქსელის დატვირთვის დაბალანსებას, მონაცემთა მაქსიმალური რაოდენობის შენახვას, სისტემის გაუმჯობესებასა და ხარჯების შემცირებას.

სისტემის მიგრაციის პოლიტიკა

დოკუმენტაციისთვის არსებობს კონფიგურირებული მოქნილი ჯვარედინი საცავის მიგრაციის სქემა. დოკუმენტის შექმნისას იგი მოთავსებულია ამ ტიპის დოკუმენტების სტანდარტულ საცავებში (მაგალითად, ანგარიშები განთავსებულია ფაილებში, მედიამონაცემები SQL-სერვერზე და სხვა). დოკუმენტის სხვადასხვა ტიპისთვის ასევე არის კონფიგურირებული დოკუმენტის ონლაინ რეჟიმში შესვლა; თუ დოკუმენტი არ შეიცვალა გარკვეულიპერიოდში, იგი გადაეცემა არქივს.

სასიცოცხლო ციკლის დროს დოკუმენტი შეიძლება გადანაწილდეს სხვა საცავში ან ონლაინში, ან არქივში. ავტომატური ხელსაწყოების ჩამონტაჟებული სისტემის გამოყენება ამ პროცესის დარეგულირების საშუალებას იძლევა (მაგალითად, კოორდინაციისა და ხელმოწერის შემდეგ დასაქმებულთა განცხადების განთავსება არქივში).

სისტემაში ელექტრონული დოკუმენტების შენახვის მიდგომის უპირატესობა

სისტემაში ელექტრონული დოკუმენტის შენახვის სერვის(ებ)ი საშუალებას გაძლევთ მართოთ შინაარსი, რომელიც განსხვავებულია სხვადასხვა ინტერფეისის მოთხოვნისთვის. ეს გამორიცხავს დოკუმენტების საარქივო შენახვის დამატებითი სახსრების გამოყენებას დიდი მოცულობის დოკუმენტების შესანახად და ა.შ. შედეგად, სისტემის საერთო ღირებულება მცირდება, რაც მნიშვნელოვანია ნებისმიერი მასშტაბის ორგანიზაციისთვის.

სისტემაში ელექტრონული დოკუმენტების საცავების გამოყენების ძირითადი შედეგებია:

- კორპორაციული ინფორმაციის დინამიკური დაგროვება და ეფექტური მართვა;
- მუდმივად მზარდი რაოდენობის მომხმარებელთა კომფორტული მუშაობა;
- სისტემაში შენახული მონაცემების თითქმის შეუზღუდავი რაოდენობა;
- სისტემაში შეცდომების აცილების მაღალი შესაძლებლობა;
- დიდი რაოდენობით გამოყენებული ამოცანების ავტომატიზაცია;
- მარეგულირებელი და საორგანიზაციო დოკუმენტაციის ოპერატიული მიღება;
- მედიის მონაცემების ეფექტურად შენახვა (ვიდეო, ფოტოარქივები, სარეკლამო და კარტოგრაფიული მასალები და ა.შ.);
- საარქივო დოკუმენტების თარგმნა ელექტრონული არქივის დოკუმენტების ხელმისაწვდომობით;
- SQL Server-ზე დატვირთვის შემცირებით სისტემის სიჩქარის გაუმჯობესება;
- მონაცემთა შენახვის ხარჯების მინიმიზაცია;
- ყველა დოკუმენტის ერთდროულად კარგვის ალბათობის მინიმუმი (საცავის მწყობრიდან გამოსვლა);
- კონფიდენციალური მონაცემების სპეციფიკურად დაცულ საცავებში განთავსება მათთან ხელმისაწვდომობის შეზღუდვით ადმინისტრაციისთვისაც კი;
- ოპერაციული სისტემის საშუალებით კონფიდენციალური მონაცემების შენახვის დაშიფვრის უნარი;
- დიდი მოცულობის დოკუმენტების შესანახად საჭირო პროცესების ავტომატიზებისთვის საჭირო ხელსაწყოების ხელმისაწვდომობა.

ამგვარად, ელექტრონული არქივი ელექტრონული დოკუმენტების საიმედო შენახვის სისტემაა, რომელიც ხელს უწყობს ინფორმაციის კონფიდენციალურობასა და მასზე დაშვების კონტროლს, მოხერხებულობისა და ძიების სიჩქარის უზრუნველყოფას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.Параднева К.А., Назарова О.Б. Обоснование актуальности внедрения электронного архива на предприятие // Экономика и менеджмент инновационных технологий. 2014. № 1 .

2.ГОСТ 34.201-89 Информационная технология. Комплекс стандартов на автоматизированные системы. Виды, комплектность и обозначение документов при создании автоматизированных систем.

3.Электронные архивы: автоматизация и процессы [Электронный ресурс]. – 2011. – Режим доступа: http://www.doc-online.ru/a_id/315/

Tinatin Mshvidobadze,
Gori State University Assoc. Professor

Automation of archives and electronic document formation processes

Summary

Abstract: Introducing an electronic archive is a complex process that requires serious consideration. The paper deals with the contextual diagram of organizing data flow (DFD) based on the analysis of the organization's activities. Schemes for organizing the electronic archive are discussed. It is shown The functions of organizing the electronic archive in the system and the advantages of the document storage approach. The main results of using electronic document repositories in the system are given.

მარია ჯანშიძე,
იაკობ გომეზაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი და ტრანსკრიპტის შექმნის
სირთულეები

თხზულებათა ტექსტოლოგიური კვლევისა და აკადემიურად გამოცემისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საარქივო მასალების ანალიზს. ეს დოკუმენტები უმეტეს შემთხვევაში ყველაზე სარწმუნო წყაროებია როგორც ტექსტის დასადგენად, ისე მისი ისტორიის შესასწავლად. საგანგებო აღნიშვნის ღირსია საარქივო მასალების გაციფრულობის მნიშვნელობა. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმმა

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების მკვლევრებს არაჩვეულებრივი წინაპირობა შეუქმნა მწერლის არქივის დიგიტალიზაციით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მასალების გაციფრულება, რომლებიც არა სახელმწიფო, არამედ კერძო არქივებშია დაცული. ამ მხრივ აღსანიშნავია „ტექსტოლოგიის, გამოცემათმცოდნეობის და ციფრული ჰუმანიტარიის ასოციაციის“ (რომელიც „ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის“ სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეიქმნა) წამოწყება, რომელიც მიზნად ისახავს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ოჯახებში დაცული არქივების გაციფრულებას (ჯანგიძე, 2017, გვ. 47).

გურამ რჩეულიშვილის არქივი მრავალი წლის განმავლობაში ინახებოდა დის, მარინე რჩეულიშვილის, ოჯახში. მწერლის მემკვიდრეთა თანხმობითა და მხარდაჭერით ასოციაციამ 2018 წელს დაასრულა მწერლის არქივის დიგიტალიზაცია და კატალოგიზაცია, მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეზე მუშაობის პარალელურად მიმდინარეობს როგორც მხატვრული, ისე დოკუმენტური ტექსტების თითოეული ფურცლის ტრანსკრიპტის შექმნა, რაც საშუალებას გვაძლევს ფუნდამენტურად შევისწავლოთ გურამ რჩეულიშვილის როგორც მხატვრული, ისე დოკუმენტური ნაწერები, ამოვიკითხოთ გაურკვეველი სიტყვები, პასაჟები, გადახაზული მონაკვეთები და დავაზუსტოთ ტექსტები.





მეცნიერები ხელნაწერის ამოსაკითხად სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ. მაგრამ უკანასკნელ წლებში ციფრულმა ტექნოლოგიებმა ბევრად უფრო გააფართოვა ხელნაწერთა ამოკითხვისა და ზუსტი ტრანსკრიპტის შექმნის შესაძლებლობები.

გურამ რჩეულიშვილის ავტოგრაფების ტრანსკრიპტის შექმნისას გამოვიყენეთ ეტაპობრივ-შრეობრივი მეთოდი, რომლის არსი სხვადასხვა მიკრომეთოდის (გრაფიკული შედარების, იდენტიფიკაციის, კონტექსტური ანალიზის, გარეტექსტური კვლევისა და გამორიცხვის) კომპლექსური გამოყენებაა (ნინიძე და გიგაშვილი, 2018, გვ. 76-80) .

გურამ რჩეულიშვილს ძალზე სპეციფიკური, საგანგებოდ შემუშავებული ხელწერა აქვს. მწერლის 1956-57 წლების ავტოგრაფები შემდეგი წლების ნაწერებისგან განსხვავდება მომხზო, მოგრძო, დიდი ზომის გრაფემებით. მომდევნო წლების ხელნაწერების წაკითხვა კი ხშირად ჭირს. მწერალი ბოლომდე ავსებს საწერ გვერდებს და ზოგჯერ რვეულის გარეკანსაც კი. მისი ნაწერები ფურცელზე სრულად არის განფენილი და გრაფემების თანმიმდევრობა წარმოსახვით საწერ ხაზს ზუსტად არ მიჰყვება, რაც მათ აღქმას ართულებს.

გურამ რჩეულიშვილი თავადაც ხვდებოდა, რომ მისი ნაწერები რთული ამოსაკითხი იყო. 1958 წლის 2 მარტს მოსკოვიდან ერლომ ახვლედიანს სწერს: „დავიწყე ჩემი წერილის გადაკითხვა, ოღონდ ისეთი ხელითაა დაწერილი, მთელი ნახევარი საათი წამართვა ნახევრამდე ჩაკითხვამ. გადავწყვიტე თავი დავანებო და სხვა ახალი დავწერო. მართლა: წაკითხვის თარჯიმნად შეგიძლია მარინე გამოიყენო, ის გაცილებით ჩემზე უკეთ არჩევს ჩემს ხელს“ (რჩეულიშვილი, 2007ბ, გვ. 57).


საგანგებოდ შევადგინეთ მწერლის კალიგრაფიისთვის დამახასიათებელი ტიპური და ატიპური გრაფიკული ცხრილები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ცალკეული ადგილების ამოკითხვისას მაინც ვაწყდებოდით სირთულეებს. ყველაზე დიდი დაბრკოლება, რომელსაც ვხვდებოდით ტექსტის ამოკითხვისას, უკავშირდება გაკრული ხელით წერისას გრაფემების ერთმანეთთან მიმსგავსებას, შერწყმას ან მაიდენტიფიცირებელი ნიშნების დაკარგვას.


უცნაური გადაბმების გამო ძალზე გაგვიჭირდა გრაფემების „ყვ“  ამოკითხვა სიტყვაში „ყველა“, „უფ“-ის -  სიტყვაში „უფრო“, „სუ“-ს -  სიტყვაში „სულ“, „სო“-ს -  სიტყვაში „სოფელი“ და სხვ.

ზოგჯერ სიტყვის ამოკითხვაში გვეხმარებოდა ის, რომ იგივე სიტყვა იქვე ახლოს უფრო გარკვევით ეწერა. ასე ამოვიკითხეთ, მაგალითად, ფრაზის: „ვისაც უნდა და არ უნდა“ ბოლოში გაურკვეველი ხელით დაწერილი სიტყვა „უნდა.“



ზოგჯერ ერთი და იგივე გრაფემა ერთი სიტყვის ფარგლებშიც კი სრულიად განსხვავებულად წერია და რომელიმე მათგანს დაკარგული აქვს მაიდენტიფიცირებელი ნიშნები. ლექსიკური ერთეულების იდენტიფიცირებაში დიდ დახმარებას გვიწევდა კონტექსტი. მაგალითად, სიტყვის გარემომცველი სხვა ლექსიკური ერთეულების გარეშე ვერ ამოვიცნობდით გრაფემას

„ძ“ სიტყვაში „გვერძე“, რადგან ის „ძ“-ს უფრო ჰგავს , გრაფემა „გ“-ს სიტყვაში „შემდეგ“




, რადგან ის იმავე სიმაღლეზე წერია, როგორზეც „შ“ და „მ“და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ გამომცემლობა „საარის“ მიერ გამოცემულ გურამ რჩეულიშვილის ექვსტომეულში შედის მისი ყველა ნაწარმოები და ზოგიერთი ვარიანტიც, ცალკეული ტექსტები ბოლომდე ამოკითხული არ არის. უახლესი ციფრული ტექნოლოგიების დახმარებით შესაძლებელი გახდა ცალკეული ადგილების დაზუსტება და კორექტირება. უმრავლეს შემთხვევაში გასწორდა მართლწერა და წვრილმანი უზუსტობები, მაგრამ იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ხელნაწერის სირთულის გამო ტექსტში გვხვდებოდა არასწორი ან არარსებული სიტყვა. მაგ.: მწერლის თხზულებათა გამოცემის სრული კრებულის ერთ პასაჟში: „წავიკითხე „მაიორ ვატრენის“ პირველი ნაწილი“ (რჩეულიშვილი, 2007ბ, გვ. 49), არასწორად იყო ამოკითხული ნაწარმოების დასახელება. ავტოგრაფის ამ ადგილას გრაფემა „ვ“ მართლაც „კ“-ს იდენტურია და გასაკვირი არ არის, რომ ტექსტი ასე იქნა ამოკითხული, მაგრამ, როდესაც ამ დასახელების ნაწარმოების ძებნა დავიწყეთ, ვერაფერს მივაკვლიეთ და ბოლოს, სამიუბო სისტემისა და ციფრული კატალოგების მეშვეობით მივაგენით ფრანგი მწერლის, არმან ლანუს, რომანის სათაურს „მაიორი ვატრენი“ (Лану, 1957, стр. 75)(რამაც დაგვარწმუნა, რომ ტექსტი ასე უნდა ამოკითხულიყო.

ციფრული ტექნოლოგია ძალზე დაგვეხმარა იმ ტექსტების ამოკითხვაშიც, რომლებიც საკმაოდ წვრილი ასოებით არის ნაწერი, რადგან გამოსახულების გადიდებისას მისი სიმკვეთრე არ მცირდება. უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიის გამოყენებით შესაძლებელი გახდა გურამ რჩეულიშვილის ტექსტების ისეთი პასაჟების იდენტიფიცირებაც, რომლებიც მწერლის თხზულებათა გამოცემებში ამოუკითხაობის გამო ფრჩხილებში ჩასმული მრავალწერტილით ან ტირეთი არის მინიშნებული.


მწერლის თხზულებათა ექვსტომეულის მესამე ტომში, რომელშიც „შაშას რევოლუცია“ არის დაბეჭდილი, შავი ავტოგრაფის გადახაზული პასაჟიდან არასრულად და ნაწილობრივ არასწორად არის ამოკითხული ერთი ეპიზოდი: „იასონა ძველი მოქეიფე კაცია და მაგანიამ იცის, რომ თუ მან სიმღერა დაიწყო, არ გაათავებს. ორიოკოდილა [] უერთდება ხალხი. ორიოკოდილა ოდილა დილა ია მაგანია, მაგანია, მაგანია ისე უკრავს იასონა, რომ ხალხმა ვერ გაიგოს“ (რჩეულიშვილი, 2004, გვ. 302). გურამ რჩეულიშვილის ხელნაწერებში და კონკრეტულად ამ ავტოგრაფშიც „ვ“ გრაფემის „კ“-სთან საოცარი მსგავსების გამო ორივეგან არასწორად იქნა ამოკითხული სიტყვა „ორიოკოდილა“. რაც შეეხება ამოუკითხავ ლექსიკურ ერთეულს, რომლის ნაცვლადაც ტექსტში კვადრატული ფრჩხილებია ჩასმული, გამოსახულების გაზრდის საშუალებით (გრცა, N981, 2v.) შევძელით მისი ამოკითხვაც. ეს არის

„რანუნი“. სიტყვის „უკრავს“ ნაცვლად კი უნდა იყოს „ურთავს“. საბოლოოდ ტექსტმა ასეთი სახე მიიღო:




„იასონა ძველი მოქეიფე კაცია და მაგანიამ იცის, რომ თუ სიმღერა დაიწყო, არ გაათავებს. ორიოვდილა რანუნი უერთდება ხალხი. ორიოვდილა ოვდილა დილა ია მაგანია, მაგანია, მაგანია, ისე ურთავს იასონა, რომ ხალხმა ვერ გაიგოს“.

მწერლის მიერ ოჯახისთვის 1958 წლის თებერვალში მიწერილი ბარათის (გრცა, N 69, 1v) პუბლიკაციაში ბოლოდან გამოტოვებულია ფრაზა (რჩეულიშვილი, 2007 ბ, გვ. 47), რომელიც ასე იკითხება:



„ზოგჯერ კომკავშირის არასიმპატიური მდივანი მეტს იძლევა, ვიდრე პატიოსანი უპარტიო და უსაქმო“.

სირთულეებს იწვევს ისიც, რომ გურამ რჩეულიშვილი შავ ავტოგრაფებში იშვიათად იყენებს პუნქტუაციის ნიშნებს ან, როგორც წესი, მათ წერს არა სიტყვის ბოლოს, არამედ მომდევნო სიტყვის წინ. დაუმთავრებელი მოთხრობის „ბატონო ტელემხედველებო“ ერთ-ერთი პასაჟი ხელნაწერში (გრცა, N 314, 2) ასე გამოიყურება:



ლექსიკური ერთეულის „სიტყვები“ წინა სიტყვის ამოკითხვა იმიტომ გაგვიჭირდა, რომ ვერ ამოვიცანით მძიმე, რომელიც მეორე სიტყვის დასაწყისში ეწერა და არა პირველის ბოლოს, სინტაგმა „ბუტილკა სიტყვები“ კი ალოგიკურად მოგვეჩვენა. საბოლოოდ ტექსტმა (რჩეულიშვილი, 2004, გვ. 289) ასეთი სახე მიიღო: „ნუ იქნებით სტილნი ბიჭები, რომლებმაც ისწავლეს ბუტილკა, სიტყვები როკ ენდ როლი და ცეკვა კი არ იციან“.

თანამედროვე ტექსტოლოგიაში ტრანსკრიპტის შექმნისას აისახება გადახაზული სიტყვები და მონაკვეთებიც. ასეთი მონაკვეთები ხშირად გვხვდება გურამ რჩეულიშვილის ავტოგრაფებში. მოთხრობა „შურისძიებაში“ მწერალს აღწერილი აქვს, როგორ გულდაგულ შლის პროტაგონისტი თავის მიერვე დაწერილ სიტყვას. სწორედ ასეთი მეთოდით შლიდა სიტყვებს თავადაც, როდესაც მთლიანად სურდა მათი დაფარვა. ასეთი „მანსიანად“ გადაშლილი ადგილების ამოკითხვაში განსაკუთრებით გვეხმარებოდა მაღალრეზოლუციანი ციფრული ასლები, რომლებშიც გამოსახულების გადიდებისას მისი სიმკვეთრე არ მცირდება.

ეს საშუალებას გვაძლევდა ერთმანეთისგან გაგვემიჯნა ნაწერის ორი შრე და ამოგვეკითხა გადახაზული ქვედა ფენა.

ამრიგად, კვლევამ გვაჩვენა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ციფრული ტექნოლოგიის როლი საარქივო მასალების ტექსტოლოგიური კვლევის საქმეში და დაგვარწმუნა, რომ სამეცნიერო დაწესებულებათა მხრიდან მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს (ნინიძე, ჯანგიძე 2018, გვ. 187).

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

ლიტერატურა:

1. ნინიძე, მ., და გიგაშვილი, ქ. (2018). ტექსტოლოგია (სახელმძღვანელო სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისათვის). თბილისი. პრინტჯეო.
2. ნინიძე, მ., და ჯანგიძე, მ. (2019). საარქივო მასალების ტექსტოლოგიური კვლევა ციფრულ ეპოქაში. ქართული წყაროთმცოდნეობა XIX-XX. თბილისი.
3. რჩელიშვილი, გ. (2002ა). თხზულებათა სრული კრებული 6 ტომად. (I ტ). თბილისი. საარი.
4. რჩელიშვილი, გ. (2004). თხზულებათა სრული კრებული 6 ტომად. (II ტ). თბილისი. საარი.
5. რჩელიშვილი, გ. (2007ბ). თხზულებათა სრული კრებული 6 ტომად. (V ტ). თბილისი. საარი.
6. ჯანგიძე, მ. (2017). კვლევები გურამ რჩელიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანისათვის. ახალგაზრდა მეცნიერთა I საერთაშორისო სიმპოზიუმი. თსუ.
7. Jangidze, M. (2018). Personal Archives and Life and work Chronologies of Writers. Georgian Electronik Journal of Literature – Litinfo. vol.12.
8. Лану, А. (1957). Майор Ватрен. Москва. Гослитиздат.

წყაროები:

1. გიორგი ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, გურამ რჩელიშვილის ციფრული არქივი (გრცა), N 69, 1
2. გიორგი ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, გურამ რჩელიშვილის ციფრული არქივი (გრცა), N 314, 2
3. გიორგი ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, გურამ რჩელიშვილის ციფრული არქივი (გრცა), N 981, 2

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი#DP2016-18, პროექტი „ტექსტოლოგია და გამოცემათმცოდნეობა“).

Maia Jangidze,
Iakob Gogebashvili Telavi State University

Guram Rcheulishvili's digital archive and the difficulties in creating the transcript

Summary

In 2018, the association of Textology, Editorial Studies and Digital Humanities completed the digitalization and cataloging of Guram Rcheulishvili's archive. The creation of the writer's archive, the chronology of writer's life and creative work was being carried out along with the creation of the transcript of each page of both fiction and documentary texts. During the research we used a stage-by-stage and stratal method consisting of graphical comparison, identification, contextual analysis, external textual research and exclusion methods.

Due to the fact that Guram Rcheulishvili had a very specific handwriting, we made typical and atypical graphical tables specially designed for his calligraphy. Nonetheless, while reading out certain places, we still encountered the difficulties as a result of both a specific handwriting of the writer and crossed out sections, as well as an extraordinary attitude towards punctuation symbols.

In reading out the autograph, the role of high-resolution digital copies, which preserve the sharpness of the enlarged image, is immensely significant. This allowed us to separate the two layers of writing and to examine the crossed-out bottom layer.

ლია სიხარულიძე
საქართველოს ეროვნული არქივი

X-XI სს. ლახუშტისა და 2004 წლის თბილისის სამების საკათედრო
ტაძრის სახარებების შესახებ

ლახუშტის სახარება

წინა საუკუნეებიდან ჩვენამდე მოღწეული ქართული ხელნაწერების შესწავლა დიდ ინტერესს იწვევს. ამ მხრივ ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია სვანეთს, რომელმაც ძველი ქართული ხელოვნების დიდი საგანძური შემოგვინახა - კედლის მხატვრობა, ჭედური ხელოვნება, უძვირფასესი ხელნაწერები, მრავალი ფერწერული ხატი და სხვ.

ხელნაწერის რესტავრაციის პროცესი იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას ჩავიხედოთ ნებისმიერ ხელნაწერის „ორგანიზმში“, გავცნოთ მისი შექმნის ისტორიას, კერძოდ: ეტრატის დამუშავებას, ტექსტის გადაწერას, მის მხატვრულად გაფორმებას, აკინძვას შუასაუკუნეების მეთოდით, ფერადი კაპტალების დაწნა-დაგრეხას, ხის ყდის დამზადებას: ფირფიტების შემზადება, შესამოსი ტყავის დამუშავება ყდისთვის, მისი მხატვრულად მოტვიფრა, შესაკრავი თასმების დამზადება, ორნამენტული ვერცხლის ყდების მოჭედვა. ბევრია ისეთი ხელნაწერი, რომლებიც ნათლად გვიჩვენებენ ხელნაწერი წიგნის მთელ სტრუქტურას და მის მთელ ისტორიას.

მინდა შევხო X-XI საუკუნეების „ლახუმტის სახარებას“, რომელიც დაწერილია 110 უხეშ, სხვადასხვა სისქის, მუქი ყვითელი ფერის ეტრატზე. წინა ფურცლები ნაკლულია. ხელნაწერი მოხატული არ არის. სათაურები და აზნაულები შესრულებულია სინგურით. ტექსტი დაწერილია შავი მელნით მკვეთრი და ლამაზი ნუსხურით, რომელიც კარგად არის შემონახული. ეტრატის ფურცლებზე ტექსტი განლაგებულია ერთ სვეტად. ეტრატის ზოგიერთ ფურცელს მკვეთრად ეტყობა, რომ ის პალიმფსესტია. მეორადი ტექსტის შესასრულებლად ეტრატის ფურცლებს გავლებული აქვს ჩაღრმავებული უფერული ხაზები ტექსტის სისწორისათვის.

ეტრატის ფურცლებს ბევრ ადგილას ახლავს ბუნებრივი (53) ნაჩვრეტები, რომლებიც წარმოიშვება ხოლმე ეტრატის დამუშავების დროს. ხელნაწერის თავსართი ასოების გადაბმა ორიგინალური მოხაზულობისაა, რომლებიც შესრულებულია იმავე შავი მელნით, რომლითაც შესრულებულია ხელნაწერის ტექსტი.

39 ეტრატის ფურცელს ჩავუტარე რესტავრაცია.

ძველი მუხის ყდა (29,8X22,3 სმ.) კარგადაა შემონახული: მკვრივია, საუკუნეების მანძილზე არ განუცდია დეფორმაცია. ხის ყდის სისქე 8 მმ-ია, მთლიანი ხელნაწერის სიმაღლე 7,5 სმ-ია. ყდის ფიცრებს ფერადი კაპტალი და ყდის ტყავი არ შემორჩა. აკინძული რვეულები ნახევრად დაშლილი იყო. ნახვრეტების მიხედვით ყდას ეტყობა, რომ ხელნაწერს ახლდა ორი შესაკრავი თასმა. ეტრატის ფურცლები აკინძული იყო სამ თოკზე, რომლებიც ჩამაგრებული იყო ხის ყდაში. ახალი კაპტალი დაიგრინა ფერადი აბრეშუმის ძაფებისაგან. ეტრატის ფურცლები აკინძე ძველი ნაჩვრეტების გამოყენებით, სამ თოკზე და ორ კაპტალზე.

ხელნაწერის ფორზაცის მხარეს ძველ ყდას შიგნითა მხრიდან შემორჩა ძველი ყავისფერი ტყავის პატარა ნაწილები, რის მიხედვითაც შერჩეულ იქნა ახალი ტყავი ხის ყდის შესამოსად, რომელიც დავამუშავე და გადავაკარი მუხის ყდის ძველ ფიცრებზე. ახალი ტყავისაგან დამზადდა ორი შესაკრავი თასმა, ჩავამონტაჟე ქვედა ყდაში თავის ძველ ადგილას. ხელნაწერის ყდა შეკრულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს ეტრატის სისწორეს. აკინძული ხელნაწერი ჩავსვი განახლებულ ყდაში.

უნიკალური სვანური ხელნაწერები ღირსეულ მეტოქეობას უწევს კონსტანტინოპოლისა და ათონის საუკეთესო ქმნილებებს. ეს უნიკალური ხელნაწერი საუკუნეებს გაუძლებს და კიდევ მრავალჯერ წარმოაჩენს ქართული მხატვრული ხელოვნების ხასიათს, მის თვითმყოფობასა და ჩვენი ქვეყნის კულტურის მაღალ დონეს.

„ლახუმტის სახარებაზე“ ვმუშაობდი სვანეთში 2005 წელს სოფელ ლახუმტში.

ხელნაწერის აღსადგენად წაღებული მქონდა ყველანაირი საჭირო მასალა და სამუშაო იარაღები. ხელნაწერი დაცული იყო ლახუმტის სოფლის ეკლესიაში.

დიდი სამების სახარება

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 1987 წლიდან სამირკველი ჩაეყარა თბილისის ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარს. პარალელურად ამ ტაძრისათვის იქმნებოდა დიდი ზომის წმიდა სახარება, რომელიც იწერებოდა, იკაზმებოდა, იმოსებოდა და იჭედებოდა 2004 წლის 23 ნოემბრამდე.

საპატრიარქოს სპეციალური შეკვეთით, სახარების გადასაწერად და მოსახატად დამზადდა და მაღალხარისხოვნად დამუშავდა დიდი რაოდენობის ხბოს ტყავი, რომელიც დაიჭრა ზომაზე 88X67 სმ. მხატვრებისა და გადამწერების ურთიერთშეთანხმებით მოიხატა და გადაიწერა ეტრატის ცალ-ცალკე ფურცლები.

მამა ტარიელ სიკინჭალაშვილმა („ჯვარის მამის“ ტაძრის მოძღვარი) 2003 წლის დასაწყისში სახარება ჩემს სახელოსნოში მოაბრძანა, რათა შემესრულებინა შემდეგი სამუშაოები, კერძოდ: ფერწერულად მომეხატა ეტრატის რამდენიმე ფურცელი, ამეკინძა სახარება შუა საუკუნეების მეთოდით, გამემზადებინა ხის ტყავგადაკრული ყდა და აკინძული სახარება ამ ყდაში შემემოსა.

სახარება რომ აკინძულიყო, ჩატარდა სხვადასხვა მოსამზადებელი სამუშაო: ცალ-ცალკე ფურცლებისაგან ტექსტის დასალაგებლად დაგვეხმარა ძველი ქართულის ბრწყინვალე მცოდნე „ჯვარის მამის“ ტაძრის მრევლი, პროფესიით ექიმი - დავით კვერნაძე.

გადაბმისას ფურცლები იწნებოდა დიდ წნეხში, ზოგი თავსდებოდა სიმძიმეების ქვეშ. თითოეული ფურცლის წონა განისაზღვრებოდა მისი ხარისხის მიხედვით, ზოგი ტყავი სქელი იყო, ზოგი თხელი და ელასტიური.

1. სახარება რომ აკინძულიყო, საჭირო გახდა ცალ-ცალკე ფურცლების გადაბმა დაჭრილი ტყავის გრძელი ვიწრო ნაჭრებით. ტყავის ფურცლების გადასაბმელად საჭირო იყო სპეციალური წებო.
2. გადაბმული ტყავის ფურცლებისაგან შეიქმნა რვეულები, რომლებიც დახარისხდა და მომზადდა ასაკინძად. თითო რვეული შედგებოდა ოთხი ფურცლისაგან.
3. სახარების გადაბმული რვეულების ასაკინძად საჭირო გახდა დიდი ზომის დაზგა (1,30X75 სმ-ზე), რომელიც დაამზადეს ხელმარჯვე ოსტატებმა მერაბ მენაშიშვილმა და კახაბერ კოროშინაძემ.
4. სახარების შესაკერად, სპეციალურ ასაკინძ დაზგაზე შუაში დაიჭიმა 1,8 სმ სისქის 8 ცალი თოკი და კიდევზე ორი ე.წ. „კაპტალი“, ანუ 12 ფერისაგან დაგრეხილი 1,5 სმ სისქის თასმა, რომლებზეც თავსა და ბოლოში უნდა აკინძულიყო სახარების რვეულები. ეს ფერადი „კაპტალები“ წარმოადგენენ აკინძვის, სიმყარისა და სილამაზის ერთ-ერთ მთავარ დეტალს.
5. სახარების აკინძვის კონსტრუქციულ სისტემაში დაცული იყო X-XII საუკუნეების ქართული ორიგინალური კერვის მეთოდი, რომელიც ხორციელდებოდა შუა საუკუნეების ბიზანტიურ ხელნაწერთა შექმნის ტექნიკით. სახარება აკინძა ორ „კაპტალზე“ და რვა თოკზე.
6. სახარების ყდისათვის გამოყენებული იყო მკვრივი ხის 2სმ სისქის მასალა, რომლის ორივე ყდა სათანადოდ დამუშავდა: ყუასთან კიდევებში და შიგნითა კურთხეებში გაუკეთდა ნაჩვრეტები თოკების გასაყრელად. შემდგომი ეტაპი იყო სახარების დაზგიდან მოხსნა, მისი თოკების და ორი კაპტალის ხის ორივე ყდაში ჩამონტაჟება. ამისათვის წინასწარ დამზადდა 20 ნაჩვრეტი.

7. ხის ყდაში ჩამაგრებულ სახარებას სჭირდებოდა ტყავით შემოსვა. მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ (თარგის აზომვა, ტყავის გამოჭრა და ზოგან მისი გათხელება) საბოლოოდ სახარება შეიმოსა სქელ, რბილ, შავ ქრომის ტყავში.

ჩემს სახელოსნოში ერთი წლის განმავლობაში ხალხმრავლობა იყო, ყველას სურდა მცირედით მაინც მიეღო მონაწილეობა და გაეწია დახმარება სახარების შექმნაში. „ჯვარის მამის“ ტაძრის მონაზონი ლია მიქიანი, ყველაფერში ძალიან მეხმარებოდა.

მან ამ სახარებისათვის მოჭედა ვერცხლის ყდის დიდი ნაწილი. უბედნიერესი იყო, რომ სახარების შექმნისას ყველა საქმეში აქტიურად მონაწილეობდა.

ტექსტის გადაწერაზე მუშაობდა სამი გადამწერი: მიტროპოლიტი დავით მახარაძე, რაფაელ გოგიტიძე და თამარ თეთრაშვილი, რომლებმაც ნუსხური და ასომთავრული დამწერლობით შეამკეს სახარების გვერდები. არაჩვეულებრივად და შერწყმულად ჩააქსოვეს ტექსტი მხატვრობაში, რომელზეც მუშაობდა 22 მხატვარი.

სახარება აიკინმა, ჩაისვა ტყავგადაკრულ ხის ყდაში. ტყავი დამუშავდა სპეციალური საცხით. დადგა მისი გადაბრძანების დრო საპატრიარქოსთან არსებულ სპეციალურ სამეცნიერო ქიმიურ ლაბორატორიაში, სადაც უნდა ჩატარებულიყო მოჭედილი ვერცხლის ყდის მოოქროვება და შემდგომ სახარებაზე მორგება.

ამ ყველაფრის ორგანიზატორი იყო მამა ტარიელი. სახარების ზომებიდან გამომდინარე იგი საპატრიარქოში ჩემი სახელოსნოდან სატვირთო მანქანით გადაბრძანეს. ლია მიქიანი აქაც აქტიურად მონაწილეობდა.

საპატრიარქოს ქიმიურ ლაბორატორიაში დავდიოდით რამდენიმე დღე. აქ მამა ტარიელი მუშაობდა და ხელმძღვანელობდა სახარების ვერცხლის ყდაში ჩასმას.

ჩვენი იქ მუშაობის პერიოდში მოდიოდნენ სიონის ტაძრის მგალობლები და გალობდნენ. ეს იყო არაჩვეულებრივი განცდა.

პატრიარქი ყოველ დღე ჩამობრძანდებოდა ჩვენთან ლაბორატორიაში და დიდი ცნობიერებით და კმაყოფილებით აკვირდებოდა ყოველდღიურ ჩვენს საქმიანობას. ისიც კი აღნიშნა: „ეს რა ძველი წესით აუკინმიაო!“.

სახარებაზე მუშაობის ბოლო ეტაპი ჩატარდა საპატრიარქოში, სადაც ყდის რვა საკეტის ორმაგი თასმა რომ არ გაწელილიყო, ღორის სქელი და უხეში ტყავისაგან დავამზადე. ტყავის თასმებისათვის ვერცხლის ბუნიკები ლია მიქიანის მიერ ქართული ორნამენტით მოიჭედა, რომელიც მამა ტარიელმა ჩამონტაჟა ქვედა ყდის კიდეზე. ხოლო ზედა ყდის კიდეზე საკეტებისათვის ჩამაგრა მრგვალი მოოქროვილი ვერცხლის ჩამოსაცმელი ბალთის თავები.

სახარების შემადგენელი ნაწილებია: სახარების ფურცლების რაოდენობა - 140ფ; ტყავის ერთი ფურცლის წონა - 470-650 გრ-მდე; ორივე ხის ყდის წონა - 9კგ; ყდის ტყავის წონა - 3კგ750 გრ; ვერცხლის საერთო რაოდენობა - 13 კილოგრამამდე; ოქროს საერთო რაოდენობა - 120 გრ; შესამკობი თვლები - 815 გრ; ფურცლებზე მხატვრული ჩარჩოების რაოდენობა - 240 ერთეული; მინიატიურების რაოდენობა - 264 ერთეული; ფილიგრანული კამარების რაოდენობა - 114 ერთეული; თავსართი ასოების რაოდენობა - 598 ერთეული; ფრინველების გამოსახულების რაოდენობა - 479 ერთეული; თევზების გამოსახულების რაოდენობა - 287 ერთეული; წმინდანების სახეების გამოსახულება - 2.510 ერთეული. სახარების მთლიანი წონა აღემატება 100კგ-ს.

სახარების შექმნის ყველა იმ მონაწილეს, რომლებთანაც მქონდა შეხება, იმდენად დიდი, საინტერესო და დასაფასებელი შრომა ჰქონდათ გაწეული, რომ გადავწყვიტე ინფორმაცია მისაწვდომი გამეხადა დაინტერესებულ პირთათვის.

სახარებაზე მომუშავე ყველა პიროვნება მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი იყო. მათ თავიანთი გამოცდილება, სიყვარული და რუდუნება ჩააქსოვეს ამ ბრწყინვალე ქმნილებაში.

**Lia Sikharulidze,
National Archives of Georgia**

About the Gospels of Lakhushti (9th-11th cc.) and Tbilisi Trinity Cathedral (2004)


Summary

The goal of this article is to make our readers learn, how the Hilly Gospel of Tbilisi Patriarchate Trinity Temple was created, together with Trinity Temple; How this unique handwriting was bound and how many specialists used to participate in its creation.

ილუსტრაციები:

ლახუშტის სახარება





ღღი სამების სახარება



თამარ დვალისხილი,
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული
ცენტრი

სამეცნიერო და პრაქტიკული რესტავრაციის ტერმინთა განმარტების
შესახებ

კონსერვაცია-რესტავრაცია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, ადამიანის მიერ დაგროვილი საუკუნოვანი გამოცდილების, ცოდნისა და ინფორმაციის საფუძველზე ჩამოყალიბდა, თუმცა ტერმინების განმარტებასა და სარესტავრაციო დარგების საქმიანობის დაზუსტებაზე მსჯელობა მრავალი ათწლეულია მიმდინარეობს.

ულტურული მემკვიდრეობის შექმნის ისტორიაში არსებობს ხელოვნებისა და ისტორიული ნიმუშების მოვლა-აღდგენის სხვადასხვა მიდგომა და ეტაპი. ადრეულ დროში ნივთების და ძეგლების აღდგენა-განახლება უფრო გამოყენებითი ხასიათის იყო და არ ისახავდა მიზნად ობიექტის ავთენტური სახის შენარჩუნებას, ამიტომ ეს პროცესი უფრო პრაგმატიზმით ხასიათდებოდა. კერძოდ, მიმდინარეობდა ძველი ნიმუშების უტილიზაცია, გადაკეთება, განახლება და არსებულ ვითარებაზე მისი საჭიროებისამებრ მორგება. ასეთი „რესტავრაციის“ წყალობით ხშირად ხდებოდა ფრესკების და ხატების გადაწერა, ნაგებობების გადაკეთება, ხელნაწერების გადაფხევა და მათზე ახალი ტექსტების დატანა, კოდექსებისთვის გაცვეთილი ყდების ახლით შეცვლა. დროთა განმავლობაში, როდესაც გააცნობიერეს ძეგლებისა თუ ნივთების ისტორიული და კულტურული მნიშვნელობა, სწორედ ამ მომენტიდან დაიწყო მათი პირვანდელი სახით შენარჩუნებაზე ზრუნვა.

რესტავრაცია, როგორც დარგი, ყალიბდება მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში. მეოცე საუკუნის შუა წლებიდან კი მისი სამეცნიერო მიმართულებით განვითარება იწყება, რაც ვლინდება ობიექტების მდგომარეობის უფრო სიღრმისეულ კვლევებსა და ახალი სარესტავრაციო მასალების შექმნაში.

დღესდღეობით პრიორიტეტი ენიჭება კონსერვაციასა და ერთეულის ავთენტურობის შენარჩუნებას, რაც უმეტესწილად გულისხმობს მინიმალურ ჩარევას და ნებისმიერი უმცირესი დეტალის შენახვას.

ობიექტების აღდგენით სამუშაოებში ერთიანდება ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა: პრევენციული კონსერვაცია, კონსერვაცია, რესტავრაცია, ადაპტაცია და რეკონსტრუქცია. თუმცა ეს მიმართულებები ვრცელდება კონკრეტულად, მოძრავი ან უძრავი ძეგლის აღდგენით სამუშაოებში. თუ უძრავი ძეგლის სარესტავრაციო სამუშაო ხშირად ითვალისწინებს ძეგლის ნაწილობრივ რეკონსტრუქციას, მოძრავი ძეგლისთვის ეს ყოველთვის მისაღები არაა. კერძოდ, არქეოლოგიური ნივთების ფრაგმენტის აღმოჩენისას ხშირად ხდება მისი მეშვეობით მთელი ნივთის რეკონსტრუქცია, თუკი მოიპოვება წყარო ან მსგავსი ნივთი, ხოლო სახვითი ხელოვნების ან ხელნაწერი მემკვიდრეობის შემთხვევაში რეკონსტრუქცია მხოლოდ გარდაუვალი აუცილებლობით შეიძლება ჩატარდეს. რეკონსტრუქცია დაუშვებელია ძეგლის სტატუსის მქონე ერთეულებზე.

განვიხილოთ ტერმინები, რომლებიც აღნიშნავს ობიექტის აღდგენითი სამუშაოების ამა თუ იმ ტიპს და განსხვავებები, რომლებიც ამ სამუშაოებს კონკრეტულ სპეციფიკას სძენს:

კონსერვაცია - გულისხმობს ობიექტის შენახვისა და დაცვის მიზნით მის სპეციალურ დამუშავებას ამა თუ იმ საშუალებით; მისთვის სტაბილური გარემოს შესაქმნელად უსაფრთხო სივრცის მოწყობას, უსაფრთხეობის დასაცავად სპეციალურ შესანახ ჭურჭელში მოთავსებას ან

რაიმე სხვა მანიპულაციას მისი პირვანდელი სახის შეცვლის გარეშე (ჭაბაშვილი, 1989, გვ. 338.)¹.

პრევენცია - პრევენციული კონსერვაცია და ზოგადად პრევენციული სამუშაოები ითვალისწინებს წინასწარ, თავის დაზღვევის მიზნით, ისეთი სამუშაოების ჩატარებას, რომლებიც მომავალში დაცვის ობიექტს თავიდან აარიდებს დაზიანების რისკს².

ობიექტის დაცვისა და შენახვის პროცესში, რა თქმა უნდა, შედის მისი რესტავრაცია. რესტავრაცია და რესტავრირება განიმარტება, როგორც დროთა განმავლობაში და სხვადასხვა ვითარებაში დაზიანებული ობიექტის აღდგენა, განახლება, შეკეთება პირვანდელი სახის და ერთიანობის დასაბრუნებლად³.

არის შემთხვევები, როდესაც რესტავრაციას ჩაანაცვლებენ დაზიანებული ობიექტის რეკონსტრუქციით⁴. ეს მანიპულაცია დაუშვებელია ძეგლის სტატუსის ობიექტებზე, ხელნაწერი მემკვიდრეობისა და სახვითი ხელოვნების ნიმუშებზე, გარდა უკიდურესი შემთხვევებისა და ისიც მაშინ, თუ ყველა საჭირო დოკუმენტაცია არსებობს. რეკონსტრუქციას მიმართავენ ძირითადად არქიტექტურის ან იშვიათად არქეოლოგიური ნივთების ერთიანი სურათის აღსადგენად. არის შემთხვევები, როდესაც რაიმე კატასტროფის ან გამიზნული დანაშაულის ჩადენის დროს სახვითი ხელოვნების ნიმუში 50%-ზე მეტად დაზიანდა, ასეთ დროს რესტავრატორებისა და მუზეუმის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ხორციელდება ძეგლის რეკონსტრუქცია, მაგრამ ეს იშვიათად ხდება და ფაქტი საჯაროვდება.

ახლა ვნახოთ (რას გვეუბნება) საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, რომელშიც შემდეგი ჩანაწერია მოძრავი ძეგლების დაცვასთან დაკავშირებით:

კარი IV. მოძრავი ძეგლის დაცვა

თავი VII. მოძრავი ძეგლის კლასიფიკაცია, აღრიცხვა, რეგისტრაცია და მისთვის სტატუსის მინიჭება

მუხლი 43. მოძრავი ძეგლის კლასიფიკაცია

¹ კონსერვაცია

L. conservatio

1. გაფუჭებისგან, დაშლისგან დაცვა სპეციალური დამუშავებით, სპეციალური პირობების შექმნით, მაგ., სამუზეუმო ექსპონატების.

Source: უცხო სიტყვათა ლექსიკონი

² პრევენცია

Lit.-Book.

L. praeventio

წინასწარი ზომების მიღება რისამე თავიდან ასაცილებლად.

Source: უცხო სიტყვათა ლექსიკონი

³ რესტავრაცია და რესტავრირება

L. restauratio

ჟამთა ვითარებაში დაზიანებული არქიტექტურული ძეგლის, ხელოვნების ნაწარმოების, არქეოლოგიური ნივთებისა და სხვ. აღდგენა პირვანდელი სახით.

Source: უცხო სიტყვათა ლექსიკონი

⁴ რეკონსტრუქცია და რეკონსტრუირება

L. re კვლავ, ხელახლა და construo - ვაგებ, ვაშენებ.

1. ძირფესვიანი გადაკეთება, გარდაქმნა გაუმჯობესების მიზნით.

2. რისამე აღდგენა, ახლად აგება შემორჩენილი გადმონაშთების აღწერის მიხედვით.

Source: უცხო სიტყვათა ლექსიკონი

2. მოძრავი ძეგლის სახეობებია:

გ) ისტორიულ მოვლენებთან ან ისტორიულ პირთა მოღვაწეობასთან დაკავშირებული ნივთები;

ე) ნებისმიერი მასალითა და ტექნიკით შესრულებული საკულტო დანიშნულების ნივთი;

ვ) ხელნაწერები, ინკუნაბულები, სიგელები, გუჯრები და ბეჭდვითი გამოცემები, რომელთაც აქვთ ისტორიული, მხატვრული და სამეცნიერო ღირებულება;

ზ) ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტები, მათ შორის, ფოტო-, ფონო-, კინო-, ვიდეომასალები;

ლ) სხვა გადაადგილებადი ნივთები, რომლებსაც აქვთ ისტორიული, მხატვრული, სამეცნიერო ან სხვა ღირებულება, მათ შორის, ისტორიული მნიშვნელობის მქონე არქიტექტურული ნახაზები, სახვითი ხელოვნების ნიმუშების ასლები.

თავი IX. მოძრავი ძეგლის დაცვა**მუხლი 58. მოძრავი ძეგლის დაცვის ძირითადი პრინციპი**

მოძრავი ძეგლის დაცვის ძირითადი პრინციპია მისთვის იმ თვისებებისა და მდგომარეობის შენარჩუნება, რომელიც შეადგენს მის ისტორიულ, მხატვრულ, ესთეტიკურ და სულიერ ფასეულობას და რისთვისაც ძეგლს მიენიჭა მოძრავი ძეგლის სტატუსი.

ასევე:

მუხლი 59. მოძრავი ძეგლის თვითნებური გადაკეთებისა და დანაწევრების აკრძალვა

1. აკრძალულია მოძრავი ძეგლის თვითნებური გადაკეთება, დანაწევრება ან მისი სახის რამენაირი შეცვლა.

2. მოძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის გადაკეთება, ან დანაწევრება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს:

ა) მოძრავი ძეგლის გადარჩენა;

ბ) გადაუდებელი აუცილებლობის მდგომარეობა.

3. მოძრავი ძეგლის ნებადართული გადაკეთების ან დანაწევრების შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაცია შეიტანება მოძრავ ძეგლთა სააღრიცხვო დოკუმენტაციაში.

გარდა ამ დებულებებისა, არსებობს საერთაშორისო დოკუმენტები - ვენეციის ქარტია, რესტავრატორთა ეთიკის კოდექსი, საერთაშორისო კონვენციები და სხვა, რომლებითაც ხელმძღვანელობენ პროფესიონალი რესტავრატორები მუშაობის პროცესში.

ძირითადი დებულებებია:

- კონსერვაციის პრიორიტეტი
- რესტავრაციის აუცილებლობა
- რეკონსტრუქციის შემთხვევები
- კონსერვაციისა და რესტავრაციის როლი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებში

- რეკონსტრუქცია, როგორც აუცილებლობა

- რეკონსტრუქციის დაუშვებლობა ხელნაწერი მემკვიდრეობის დაცვის პროცესში

მიუხედავად იმისა, რომ კანონით და დოკუმენტურად თითქოს ეს პროცესები დარეგულირებულია (მოგვარებულია), ხშირად გვაქვს ამა თუ იმ ძეგლის, ობიექტის ან ნივთის არასათანადო მოვლის შედეგი. ზოგჯერ ეს განპირობებულია საქმის მიმართ ზერელე დამოკიდებულებით ან სპეციალისტის არასაკმარისი გამოცდილებით, ან დილეტანტური

მიდგომით. ამ საკითხებზე კამათი მუდმივად მიმდინარეობს რესტავრატორთა წრეებში, თუმცა ყველა თანხმდება ერთ რამეზე - რესტავრაციის მთავარ პრინციპზე - არ დააზიანო.

ხშირად რესტავრატორი ორიენტირებულია არა ობიექტის ავთენტურობის შენარჩუნებაზე, არამედ გარეგნულ სილამაზეზე, ეს ყოველად დაუშვებელია. რა თქმა უნდა, ესთეტიკური მხარე გასათვალისწინებელია, მაგრამ არა ძეგლის პირვანდელი იერსახის შეცვლის ხარჯზე. ბოლო ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოს რესტავრატორები ცდილობენ რესტავრაციის აუცილებლობა ჩაანაცვლონ კონსერვაციით და ტერმინოლოგიაშიც უფრო ხშირად ჟღერს სიტყვა კონსერვაცია-კონსერვატორი და არა რესტავრაცია.

გარდა ძირეული ტერმინების განმარტებისა, რაც კონსერვაცია-რესტავრაციის არსის განმარტებას გულისხმობს, მიმდინარეობს დარგის პროფესიული ტერმინების განმარტებითი ლექსიკონის შედგენა-მომზადება. ლექსიკონზე მუშაობა გადაწყვეტიტეთ იმ საჭიროებებიდან გამომდინარე, რომლებიც გამოვლინდა ჩვენი პროფესიული მუშაობის გამოცდილებიდან. არსებობს უცხოენოვანი ტერმინები, რომლებსაც ხშირად ვერ იყენებენ სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობისას და ხდება მათი არაზუსტი, არასწორი ქართული სიტყვებით ჩანაცვლება. ამის გამო გადაწყდა შეგვედგინა ისეთი ლექსიკონი, რომელშიც დაზუსტებული და სწორად შედგენილი ტერმინები მოიყრიდა თავს.

სამუშაო საკმაოდ დიდია და მისი დასრულება გარკვეულ დროს საჭიროებს. ამ პროექტზე ვმუშაობთ მე და ჩემი კოლეგა ლელა გოცირიძე. პირველ ეტაპზე ჩვენ ვამუშავებთ არსებულ უცხოენოვან გამოცემებს. შემდგომ ეტაპებზე ვვგეგმავთ ტერმინების კლასიფიცირებასა და დალაგებას, ბოლო ეტაპზე კი ქართული შესატყვისებისა და განმარტებების შექმნას ან უკვე არსებული ტერმინების შემოღებას და ლექსიკონის სტრუქტურაზე მორგებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ევროპელი კონსერვატორ-რესტავრატორების ორგანიზაციების კონფედერაციის E.C.O.C პროფესიული სახელმძღვანელო. 1993.
2. ისტორიული და ხელოვნების მემკვიდრეობის კონსერვაციის ამერიკული ინსტიტუტი -AIC-ის დებულება, ეთიკური კოდექსი. 1994.
3. საქართველოს პარლამენტი (1999). საქართველოს კანონი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/11932?publication=5>
4. ჭაბაშვილი, მ. (1989), უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი. განათლება.
5. ჰოლანდიელ პროფესიონალ რესტავრატორთა ასოციაციის ეთიკური კოდექსი VeRes, 1992.

**Tamar Dvalishvili,
Korneli Kekelidze Georgian National Centre of manuscripts**

About scientific and practical restoration terms and definitions

Summary

The main principle of restoration is – Do not damage what you are working on.

Often restorers are focused not on preserving authenticity of the object, but rather on its visual appeal, which is an unacceptable mistake. Of course, aesthetics is an important factor that needs to be considered, but not at the cost of losing the original appearance of the monument.


Throughout the last decade, restorers around the globe were attempting to prioritize conservation over restoration and the terminology: conservation, conservator is more commonly used.

Apart from defining the base terms, which implies the definition of conservation-restoration, a dictionary of professional terms and their definitions is in the process of development.

We have decided to work on this dictionary out of the necessity that has emerged throughout our professional experience in this field.

Often it is impossible to describe terms presented in the foreign language when working on a scientific document, and often the said terms are replaced with inaccurate and incorrect Georgian words. Therefore, it has been decided to compile a dictionary of scientifically appropriate terms with their accurate definitions.

The process is quite extensive, and hence it requires certain amount of time to finish it. This project is being worked on by me and my colleague Leila Gotsiridze.



Q902, მოქვის სახარება, 1330წ.

ბრმის განკურნება, მინიატურა. დაზიანებული მინიატურა კონსერვაციამდე და მის შემდეგ.



Q920, ოთხთავი, 1504 წ.
ყდის ფრთები-სანაწილები. რესტავრაციამდე და რესტავრაციის შემდეგ.



თბილისი, შალვა დადიანის ქ.32. ისტორიული შენობის რეკონსტრუქცია

ია ბახტაძე, ლელა გოცირიძე, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ტყავის ყდების დამუშავება - ისტორია და თანამედროვე გამოწვევები

ყდა წიგნის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. იგი იცავს ფურცლებს/ბლოკს გარემო ფაქტორებისგან და ამით ახანგრძლივებს ხელნაწერი თუ დაბეჭდილი წიგნის სიცოცხლეს. მას ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით, რადგანაც მისი დამუშავების სპეციფიკა, გამოყენებული მასალა და გაფორმება მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს წიგნის შექმნის დროსა და ადგილის, ასევე შესაძლო მფლობელის სტატუსის შესახებ. ხელნაწერი წიგნის შექმნა საკმაოდ საინტერესო და ხანგრძლივი პროცესია, ვინაიდან სხვადასხვა სამუშაო საჭირო მის შესამოსად. ტერმინი „შემოსვა“ ქართული ხელნაწერებში არსებული ანდერძ-მინაწერებით გულისხმობს ფურცლების ყდაში ჩასმას ანუ წიგნისთვის ყდის გაკეთებას; დაწყებული ტყავის დამუშავებით, ხის დაფების მომზადებითა და შემდეგ ამავე ტყავის დეკორირებით, რომელიც ცალკე აღებული ხელოვნების ნიმუშს (კარანაძე, 2002) წარმოადგენს. თუ კულტურულ და ისტორიულ ასპექტებს დავაკვირდებით, კარგად დავინახავთ, რომ საქართველოში სამწერლობო კულტურა საკმაოდ განვითარებული იყო. ამის დასტურია უამრავი ქართული ხელნაწერი თუ ნაბეჭდი წიგნი. პრაქტიკული დანიშნულების გარდა, რომელიც სათუთი ფურცლების დაცვას გულისხმობს, მას

ხელნაწერისთვის მხატვრული მნიშვნელობაც ენიჭება, რადგან (ცალკე აღებული) ძვირფასი ლითონითა და ქვებით მორთული, ამოტვიფრული თუ ოქროთი მოვარაყებულნი ყდა თითოეულ წიგნს უნიკალურობას ანიჭებს.

წინამდებარე თემაში საუბარი შეეხება ტყავის ყდების დამუშავების საკითხებს. განვიხილავთ თანამედროვე მიდგომებს და ამასთან ყურადღებას გავამახვილებთ (რაც ყველაზე მთავარია, აქცენტი გაკეთდება) მასალაზე, რომელსაც გადამწყვეტი როლი ენიჭება კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის საკითხში.

ტყავი ცილოვანი შემადგენლობისაა და მთავარი კომპონენტი არის ცილა-კოლაგენი. იგი ჰიგროსკოპული ნივთიერებაა, შეიცავს წყალს, რომელიც უწყვეტ კავშირშია ატმოსფერულ ტენიანობასთან. დაუმუშავებელ ტყავში არჩევენ სამ ფენას: 1. გარეგანი ფენა, რომელიც ბეწვითაა დაფარული ანუ ეპიდერმისი, 2. შიდა ფენა, რომელიც კუნთოვან ქსოვილთანაა შეხებაში და 3. კანქვეშაუჯრედის შორის არსებული ნაწილი - დერმა. ტყავში წყლის შემადგენლობა 64 % -ია, ცილები - 33%, ცხიმი - 2%, მინერალური მარილები - 0.5% და სხვა ნივთიერებები (მაგ: პიგმენტები) - 0,5%.

33%, რომელიც ცილაა, ნაწილდება შემდეგნაირად:

1. სტრუქტურული ცილები ანუ ყვითელი ფერის ბოჭკოვანი ცილები - 0,3%
2. კოლაგენი - 29%
3. კერატინი (თმისა და ეპიდერმისის ცილა) - 2%
4. არასტრუქტურული ცილები - 1%
5. მუკოიდები და მუკოციდები - 7%

იმისათვის რომ ტყავი რბილი და ელასტიკური ყოფილიყო, ნედლ ტყავს სხვადასხვა გზით ამუშავებდნენ. ეს ხორციელდებოდა სპეციალური ქიმიური ნივთიერებების, ბიოლოგიური პროცესების ან ცხიმოვანი ნივთიერებების გამოყენებით. დამუშავების ყველა ამ ხერხს თრიმვლა ეწოდება.

თრიმვლა - ტყავის დამუშავების ერთ-ერთი უძველესი და ძირითადი ტექნოლოგიური პროცესია, რომლის შედეგადაც ტყავი ხდება უფრო მოქნილი და გამძლე. თრიმვლის სახეები განსხვავებულია: მინერალური, ცხიმოვანი, ფორმალდეჰიდის, ტანინისა და კომბინირებული.

მოთრიმვლა ტყავის დამუშავების ერთი ეტაპია. მოთრიმვლა ნივთიერებათა აღმოჩენამდე დაბლები¹ ტყავს ამუშავებდნენ გოგირდოვან წყაროებში. სწორედ ამის გამო თბილისი ითვლებოდა ამიერკავკასიის ქალაქთა შორის მედაბლეთა ცენტრად. თრიმვლის გამოყენებამ უფრო ეფექტიანი გახდა ტყავის დამუშავება, ტყავის თრიმვლა ხდებოდა დაბახანაში². თბილისის ერთ-ერთი დაბახანა 1957 წლამდე მუშაობდა ძველი წესებით. დაბახანაში სამი განყოფილება იყო: პირველში ტყავს პირველად და ამუშავებდნენ, მეორეში ტყავს ბეწვს აცლიდნენ, მესამე განყოფილებაში კი ტყავების დათრიმვლა მიმდინარეობდა. საქონლის ერთ ტყავს კირნარევ წყალთან ერთად დაფუჭულ თრიმილს (მცენარე - განვმარტოთ)

¹ დაბალი - ტყავის გამომყვანი მუშა ა/ჩიქობავა, ქეგლ, გვ.164, თბილისი, 1986.

² დაბახანა - ტყავის დასამუშავებელი ქარხანა. ქეგლ, გვ.164, თბილისი, 1986.

აყრიდნენ. სამუშაოს გასაადვილებლად თაღრის¹ კედელზე, ორივე მხარეს, ამაგრებდნენ ორ გრძელ ხეს, მათზე დაყრდნობით ფეხებით ზელდნენ შიგ ჩაწყობილ ტყავებს. შემდეგ ერთი ღამე ტოვებდნენ თაღრში, დილით კვლავ დაამუშავებდნენ დემურით - დაბლის იარაღი, ტყავის საფხეკი, ნამგლივით ოდნავ მოხრილი, აქვს რკინის პირი და ხის ტარი. აქეთ-იქით წაავლებდნენ ორივე ხელს და ისე ფხეკდნენ ტყავს. გასუფთავების შემდეგ გასაწურად კეტებზე გადაკიდებდნენ. ტყავს წყალს მიაპკურებდნენ და შემდეგ ერთი დღე-ღამე აშრობდნენ. გამშრალ ტყავს ჯაგრისით წმენდნენ. ბრტყელპირა ჩაქუჩით ტყავის ნაპირებს ასწორებდნენ. დროთა განმავლობაში ტყავის გასწორების მეთოდის გაუმჯობესების მიზნით ეთილი გამოუყენებიათ. ის ტყავს უფრო კარგად ასწორებდა და ლესავდა კიდეც, გარდა ამისა, ტყავი დიდდებოდა. ეთილი ტყავს სინესტეს აცლიდა და გამძლეობას მატებდა.

ცნობილია, რომ ხანგრძლივი თრიმვლით დამუშავებული ტყავი საკმაოდ მდგრადობას იჩენს ატმოსფერული აგენტების მიმართ. მთრიმლავედ გამოდგება მცენარეული, მინერალური და სინთეზური ნივთიერებები. დღესდღეობით უმეტესად კომბინირებული მთრიმლავეები იხმარება. წიგნის ყდები უმეტესწილად მცენარეული თრიმვლით მიღებული ტყავისგან მზადდებოდა. ამგვარი მასალა იმიტომ გამოიყენებოდა, რომ იგი კარგად რბილდება, გამოირჩევა ფიზიკურ-ქიმიური მდგრადობით, ექვემდებარება სველი მეთოდით დამუშავებას და აადვილდება მის დეკორირებას. თუმცა ამავედროულად ამგვარი დამუშავება მოიცავს რისკ-ფაქტორებს, რომ მცენარეული დაავადებები გადავიდეს ტყავში, მოგვიანებით იჩინოს თავი და გახდეს ობიექტის დაზიანების მიზეზი. აქედან გამომდინარე, რესტავრაცია-კონსერვაციის პროცესში აქტიურად იყენებენ პროდუქტებს, რომლებიც ანტიესპეტიკური და ფუნგიციდური მოქმედებისაა. მცენარეულ მთრიმლავეებში უძველესი დროიდან გამოირჩევა მუხის, ნამვისა და რთხმელის ქერქის, აკაციის გამბირის, თუთუბოსა და ტირიფის ექსტრაქტები. ეს კომპონენტები ქიმიურად ურთიერთქმედებს ტყავის ცილოვან მოლეკულებთან, რის შემდეგაც ტყავი ხდება მტკიცე და წყალგამძლე.

ტყავი თრიმვლის შემდეგ გაცხიმოვნების პროცესს გადის. ეს აუცილებელია მისთვის ელასტიკურობის მისანიჭებლად. საპოხი მასალა შესაძლოა იყოს ცხოველური ცხიმები და ზეთები (სტეარინი, ძვლის ფლოქვის(?) ზეთი, სპერმაცეტი), მცენარეული ზეთები (სიმინდი, აბულსალათინი, კედარი, ბამბა), მინერალური ზეთები. ადრეულ პერიოდში ტყავის გაცხიმოვნება ხდებოდა სველი ტყავის ზედაპირზე ცხიმისა და ზეთის ნაზავის წასმით (დატანებით). ამჟამად ტყავის გაცხიმოვნება ხდება სხვადასხვა თანამედროვე მასალით: SC6000, Klucel G, რენესანსის ცვილი, სილიკონის ტყავის ცვილი, თიმოლი (ფუნგიციდი), ჟელატინი, გლიცერინი, ცხოველური წებოები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მიდგომებში ძალიან აქტიურად გამოიყენება მშრალი წმენდა სპეციალური ჯაგრისებით, ღრუბლებითა და მტვერსასრუტით.

ბუნებრივია, ტყავი და მასში შემავალი ნივთიერებები დამუშავებისას დაბერება-დამველების პროცესს გადის. იწყება მისი სიმტკიცის, წონის, ფართობის, მოცულობის კლება და მჟავიანობის მომატება. განსაკუთრებით დამანგრეველ მოქმედებას ახდენს ტყავზე გოგირდმჟავა, რომელიც წარმოიქმნება და გროვდება გარემოდან შთანთქმული გოგირდოვანი აირის შედეგად. გოგირდოვანი აირი მუდამ არის ატმოსფეროში, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, სადაც ყველაზე მაღალია გამონაბოლქვის ხარისხი. ამის შედეგად ტყავში მიმდინარეობს სტრუქტურული დაშლის პროცესი.

¹ დიდი ზომის პირფართო თიხის ჭურჭელი, სხვადასხვა გამოყენების. ქველ, გვ. 238, თბილისი, 1986.

ტყავის დაბერება-დაძველების პროცესში არჩევენ ორ ტიპს: ქიმიურსა და ფიზიკურს. ქიმიური გამოწვეულია ჰაერში ჟანგბადის ჟანგვითა და ტყავში გოგირდმჟავის მუდმივი დაგროვებით, რაც ეს აჩქარებს სტრუქტურის რღვევას. არსებული პრობლემის მთლიანად აღმოფხვრა შეუძლებელია, თუმცა თანამედროვე მასალით შესაძლებელია ამ პროცესის შეწყვეტა. ქიმიურისგან განსხვავებით ფიზიკური დაზიანების აღმოფხვრა/თავიდან აცილება შედარებით მართვადი პროცესია. იგი გულისხმობს გაცხიმოვნების მეთოდს - საპოხისა და ზეთების შეყვანას ტყავში. ეს კი ძირითადად უზრუნველყოფს მის კონსერვაციას. ფიზიკურ-ქიმიური დაზიანება არა მხოლოდ დამოკიდებულია ტყავის ბუნებაზე და/ან მის დამუშავებაზე, არამედ პირდაპირ კავშირშია შენახვის პირობებთან.

ტყავზე ზეგავლენას ახდენს სინათლე, სითბო, ტენიანობა, პარაზიტები, მექანიკური დაზიანება, ასევე რესტავრაცია-კონსერვაციის პროცესში შერჩეული არასახარბიელო მასალა. ეს ჯაჭვური პროცესია, რომელიც აზიანებს ტყავს.

სინათლე - ულტრაიისფერი სხივები - პირდაპირი განათება, რომელიც გარდაიქმნება სითბოდ, იწვევს ტყავში არსებული სითხის აორთქლებას და იწყება გამოშრობა. ამის შედეგად ირღვევა მისი ფიზიკური აგებულება, ელასტიკურობა, ხდება მყიფე და მსხვრევადი. შეღებილი ტყავის შემთხვევაში სინათლე შლის პიგმენტს და ცვლის მის შეფერილობას.

სითბო - მაღალი ტემპერატურის პირობებში ტყავის ბოჭკო წებოვან ნივთიერებად გარდაიქმნება, რაც იწვევს მის დეფორმაციას.

ტენიანობა - მომატებული ტენიანობის დროს ტყავის სტრუქტურაში იზრდება სითხის ოდენობა და იწყება ლპობის პროცესი. ამას თან ემატება დაბინძურებული ჰაერი, რის გამოც ტყავის ზედაპირზე ხვდება მიკროორგანიზმები, რომლებიც წარმოქმნის ენტიმოლოგიურ დაზიანებას. გარდა ამისა, თავად ტყავი მიკროორგანიზმების კვებისა და გამრავლებისთვის კარგი ნიადაგია.

მექანიკური დაზიანება - გამოყენების შედეგად მიღებული დაზიანებები, როგორებიცაა: გახევა, ზედაპირიდან ტყავის ნაწილის ამოგლეჯა, მიზანმიმართული დაზიანება, გაჭრა, შემოცვეთა, ყდაზე არსებული ნაკლული უბნების არსებობა.

ტყავის გარდა, ყდის შემადგენელ ნაწილს ხის დაფები წარმოადგენს. მათი დამზადება უძველესი დროიდან იწყება. იყენებდნენ სხვადასხვა მცენარეს. შერჩევა თავად ხე-მცენარის გამძლეობაზე იყო დამოკიდებული.

გელანი (კელკოგელი),

გელანი ან გელან გამი, რომელიც ცნობილია სავაჭრო სახელწოდებით „კელკოგელი“, არის ბლანტი ხსნადი ბოჭკო, ხელოვნურად წარმოებული არაპათოგენური ბაქტერიით *Sphingomonas elodea* ლაქტოზიდან (ყველის შრატის) ან გლუკოზიდან (სიმინდის სახამებელი). ის მოუნელებელი ნახშირწყლებია, გლუკოზის, რამნოსისა და გლუკურონის მჟავისგან შემდგარი პოლისაქარიდების ნაზავი.

კელკოგელი გამწმენდი, ძველი წებოს და სხვა ნარჩენების მოსახსნელი ნივთიერებაა. ამავდროულად საუკეთესო საშუალებაა ტყავისა და ხის/მუყაოს ზედაპირიდან ერთმანეთის განსაცალკევებლად, ტყავის ზედაპირის გასასუფთავებლად უხეში ჩარევის გარეშე. დამუშავების პროცესში ტყავი ინარჩუნებს მდგრადობას, არ იცვლის ფორმას, ხოლო

კელკოგელის პასტაში არსებული წყალი ეხმარება ტყავს დატენიანებაში. გამრობის შემდეგ ნარჩენი ნივთიერება ადვილად სცილდება ზედაპირს და საფრთხეს არ წარმოადგენს.

თიმოლი

თიმოლი სპეციფიკური სუნის მქონე უფერული კრისტალებია, რომლებიც თითქმის არ იხსნება წყალში, მხოლოდ - ორგანულ გამხსნელებში. თიმოლის სახელი მოდის ბეგქონდარიდან (*Thymus Vulgaris*), რადგან ბეგქონდარის ეთერზეთი შეიცავს თიმოლს. იგი გამოიყენება სამკურნალოდ, როგორც ეფექტური სადეზინფექციო საშუალება. ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების რესტავრაცია/კონსერვაციის სფეროში თიმოლს აქტიურად იყენებენ ტყავის ყდებისა და ეტრატის ფურცლების სადეზინფექციოდ.

გლიცერინი

გლიცერინი მუდმივად წარმოიქმნება ორგანიზმში ცხიმების ფერმენტული დაშლის დროს. როგორც ენდო, ასევე ეგზოგენური გლიცერინი განიცდის ჟანგვას ნახშირმჟავად წყლის წარმოქმნით. დარბილების მიზნით გლიცერინს იყენებენ ეთილის სპირტთან ერთად. იგი ხელს უწყობს ტყავის ფორების გახსნას, რაც ეხმარება ნივთიერების შეწოვას და აჩქარებს დარბილების პროცესს. მიღებულ მასას ტყავის ზედაპირზე უსვამენ რამდენიმე ეტაპად. ეს დამოკიდებულია ტყავის საერთო მდგომარეობაზე. რაც უფრო მეტად გამომშრალია და მყიფე ტყავი, მით მეტ ეტაპს მოითხოვს ეს პროცედურა და მეორდება იქამდე, სანამ ტყავი არ მივა სასურველ კონდიციამდე.

რესტავრაციისა და კონსერვაციის საქმეში ერთ-ერთი წამყვანი ინსტიტუტია ბრიტანეთის ეროვნული მუზეუმი, რომელსაც შემუშავებული აქვს მასალები - მათ შორის ტყავის ნაკეთობების, ტყავის ყდების ჩათვლით - მოვლის, კონსერვაციისა და რესტავრაციისთვის. განსაკუთრებულ მოხსენიებას იმსახურებს ე.წ. რენესანსის ცვილი, ასევე კონსოლიდანტები და დრესინგები, მაგალითად, ბრიტანული მუზეუმის ტყავის დრესინგი (*British Museum Leather Dressing*), ცნობილი სავაჭრო სახელით *Pliantine*, ასევე ამ ნივთიერების კრემისებური ფორმა, რომელიც ცნობილია სახელით *Pliancreme*. იგი დამატებით შეიცავს ფუნგიციდს და კონსოლიდანტი სავაჭრო სახელით *Pliantex*.

წმენდისას საპნის გამოყენება ტყავის რესტავრაცია-კონსერვაციის პროცესში არ არის რეკომენდებული, თუმცა აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია ნეიტრალური საპნის ხმარება, როგორცაა, მაგალითად, სავაჭრო სახელით ცნობილი საპონი *Vulpex*. იგი წარმოადგენს კალიუმის ოლეატს და არის წყალში, ისევე როგორც უაიტ-სპირიტში(?) (გამხსნელი) ხსნადი.

რენესანსის ცვილი

რენესანსის ცვილი არის მიკროკრისტალური ცვილის გასაპრიალებელი საშუალების ბრენდი, რომელსაც ხმარობენ სიძველეების აღდგენასა და სამუზეუმო კონსერვაციაში. მას იყენებენ ლითონისა და ტყავის საგნების დასამუშავებლად და შესანარჩუნებლად, ასევე - ძვირფას ქვებზე და ისეთ ორგანულ მასალებზე, როგორებიცაა: ხე, სპილოს ძვალი და კუს ბაკანი. რენესანსის ცვილი შეიცავს პოლიეთილენის ცვილებს, რომლებიც განკუთვნილია საკონსერვაციო სამუშაოსთვის. ცვილს უფრო მეტი გამძლეობა ახასიათებს და უფრო მეტად იცავს, ვიდრე ზეთი, განსაკუთრებით ისეთ ნივთებს, რომლებსაც ხელით ხშირად ეხებიან.

რენესანსის ცვილს მიიჩნევენ ერთ-ერთ საუკეთესო დამცავ მასალად. მას აქვს თვისება, რომელიც ტყავის ზედაპირს გარემო ფაქტორებისგან იცავს, ახდენს მის იზოლაციას. თანამედროვე მიდგომებს თუ გავითვალისწინებთ, ეს პრეპარატი საუკეთესო საშუალებაა პრეზერვაციისთვის. იგი ქმნის დამცავ ფენას ტყავის ზედაპირზე, ხელს უშლის დამაბინძურებელი ელემენტების შეღწევას და უზრუნველყოფს კოროზიის საწინააღმდეგო გარემოს შექმნას.

რენესანსის ცვილი შექმნა ბრიტანეთის მუზეუმის კვლევით ლაბორატორიაში დოქტორმა ჯ. პრეპარატი 1950-იანი წლების ბოლოს. ამჟამად მას ამზადებს შპს -ი.

ადრე ცვილის საპრიალებლები ეფუძნებოდა ფუტკრის ცვილსა და კარნაუბულ (ბრაზილიური პალმის) ცვილს, რომელიც შეიცავდა მჟავას ან დროთა განმავლობაში ემატებოდა მჟავიანობა. რენესანსის ცვილი მზადდება უფრო სტაბილური მიკროკრისტალური ცვილების საფუძველზე ნედლი ნავთობისგან რაფინირებით.

უცელ

საშუალო სიბლანტის არაიონური წყალში ხსნადი ცელულოზის ეთერი, რომელიც იხსნება ორგანულ გამხსნელებში: მაგ., ეთანოლში, იზოპროპანოლში, აცეტონში H₂O-თი (9:1) და ასევე წყალში.

მშრალი კლუცელფილმი მოქნილია. თუნდაც მაღალი ტენიანობის დროს კლუცელი არ არის წებოვანი. კლუცელი მხოლოდ ცივ წყალშია ხსნადი (38° C- მდე), ასე რომ, მისი გამოყენება შეიძლება საღებავების დასაფიქსირებლად.

გამხსნელებში გახსნილი სახით კლუცელი შეიძლება გამოვიყენოთ წყლის მიმართ მგრძობიარე ობიექტებზე: ეთანოლში (2%) გაფხვიერებული საღებავის პიგმენტის დასაფიქსირებლად ზამშის პერგამენტზე, ასევე წყლის მიმართ მგრძობიარე ტყავის გასამაგრებლად და გასაჟღერებლად, გასაწვრივებლად, წყლის მიმართ მგრძობიარე ფურცლების შესაწებებლად (ამ შემთხვევაში 30%-მდე).

SC6000

SC6000 არის ცვილებისა და აკრილის ფისოვანი ნაზავი ემულსირებულ წყლოვან იზოპროპილის სპირტში. იგი თავდაპირველად შეიქმნა როგორც ზედაპირის საფარი კომერციულად წარმოებული ფეხსაცმლის ტყავისთვის. მოგვიანებით მისი გამოყენება დაიწყო პოლიგრაფიაში, კერძოდ, კინძვისთვის საჭირო ტყავის დასამუშავებლად. ეს პირველად სცადეს (იგი პირველად შესთავაზეს) 1980-იანი წლების დასაწყისში. მას შემდეგ მას ფართოდ იყენებენ ტყავის დასამუშავებლად და საკონსერვაციოდ.

ტყავის კონსერვაციის ცენტრმა შეიმუშავა მჟავით დაზიანებული ტყავის დამუშავების ახალი მეთოდი¹⁰. ტერმინით წითელი ლპობა აღინიშნება ტყავში მომატებული მჟავიანობა და მისგან გამოწვეული დაზიანებები. პროდუქტი, რომელიც მკაცრად გამოსცადეს, ხასიათდება (მუშაობს) ტყავის მჟავიანობის შემცირებითა (რაც დადასტურებულია pH-ის მომატებული დონით) და კოლაგენური ბოჭკოს სტაბილიზაციით.

ტყავის ამ ახალ საკონსერვაციო „მკურნალობას“ მხოლოდ ტყავის საკონსერვაციო ცენტრი გვთავაზობს.

Cellugel

Cellugel-ი იყენებს ცელულოზის ეთერებს (კერძოდ, ჰიდროქსიპროპილცელულოზას) და იზოპროპანოლს ტყავში წითელი ლპობის სამკურნალოდ. ის ახდენს ტყავის სუბსტრატის კონსოლიდაციას, ტოვებს თხელ ფირს და ქმნის ატმოსფერული პირობების მიმართ მედეგ პირობებს, ამასთან არ ამუქებს ან აუფერულებს ტყავის ზედაპირს; არ ტოვებს ლაქებს სხვა ზედაპირებზე, რომლებიც მასთან კონტაქტშია. Cellugel-ი სწრაფად შრება და შესაძლებელია წიგნის ყდის შემდგომი უსაფრთხო დამუშავება. მეორე ფენის დადება მხოლოდ მაშინაა საჭირო, თუ მასალა ძალიან სქელია ან მძიმედ დაზიანებული. ის იდეალური პროდუქტია საკონსერვაციო სამუშაოების წინ გაფხვიერებული ტყავის ზედაპირის კონსოლიდაციისთვის. მასთან ერთად, არ უნდა მოხდეს წყლის გამოყენება, რადგან ეს გამოიწვევს ტყავის ზედაპირზე ლაქების გაჩენასა და მის გამუქებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კარანაძე, მ. (2002). ქართული წიგნის ყდის ისტორია. თბილისი.
2. Kite, M., Thomson, R. (2005). Conservation of Leather and Related Materials. Elsevier Publishing.
3. https://en.wikipedia.org/wiki/Gellan_gum
4. <https://gmw-shop.de/puffernwaessernreinigen/38/gellan-gum-kelcogel-cg-la>
5. <https://en.wikipedia.org/wiki/Thymol>
6. <https://en.wikipedia.org/wiki/Glycerol>
7. https://en.wikipedia.org/wiki/Renaissance_Wax
8. <https://gmw-shop.de/klebstoffe/132/klucel-g>
9. <https://www.talasonline.com/SC6000-Leather-Conditioner>
10. <https://www.leatherconservation.org/treatment-for-acid-deteriorated-leather-red-rot/>
11. <https://restorationproduct.com/shop/vulpex-liquid-soap/>
12. <https://restorationproduct.com/shop/renaissance-wax/>
13. <https://www.conservationresources.com/cellugel.html>

დამატებითი ინფორმაცია:

<https://web.archive.org/web/20071029193809/http://archive.amol.org.au/recollections/2/2/16.htm>

თ. გაგნიძე, სადოქტორო დისერტაციის კოლოქვიუმი II
 ”ქალაქდსაფუძვლიანი დოკუმენტების ნეიტრალიზაციის პროცესის ქიმიური კვლევა”

Ia Bakhtadze, Lela Gotsiridze,
Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts

Processing of the Leather Book Covers – History and Contemporary Challenges

Summary

Book cover is one of the most important part of the book. It secures pages of the book / book block from the environmental influences. Also book cover, as the decoration of the book, has a major role representing the culture and social standing of the owner(s) and period and location where it was made.

Book cover consists of the wooden boards (later also from the cardboards), which were covered mainly with goat, sheep or cow skin.

In the modern world genuine leather is rare and mostly in the book covers a patent leather is used. Yet up to 19th century book covers made from genuine leather were quite popular. Reason for being so popular and widely spread was its excellent securing characteristics and various possibilities of its processing.

In the article we will discuss in the details the history of the book cover preparation, decoration aspects, main reasons of damage and their eradication. In the article are discussed the challenges the restorers face while working on the leather book and modern means and approaches.

1. დაზიანებული ტყავის ყდა



2. დეჰიდრირებული ტყავი



3. დაზიანებული ტყავი და ფიცარი



4. ტყავის ენთემოლოგიური დაზიანება



5. ტყავისა და ფიცრის ერთმანეთისგან განცალკევების პროცესი



6. ყდის ფიცრის ენტომოლოგიური დაზიანება



7. რესტავრირებული და დამუშავებული ტყავი



8. რესტავრირებული და დამუშავებული ტყავი



**ასმათ გვაბავა,
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული
ცენტრი**

**ეტრატზე შესრულებული ხელნაწერების რესტავრაცია-კონსერვაციის
სპეციფიკა**

ეტრატი საწერ მასალად უძველესი დროიდან გამოიყენებოდა. ჯერ კიდევ ჰეროდოტეს ცნობებიდან ჩანს, რომ აღმოსავლეთში და მეტადრე აზიაში საწერ მასალად იყენებდნენ საქონლის „ტყავეულობას“, რომელსაც იმავე დანიშნულებით იონელი ბერძნებიც ხმარობდნენ. ბერძენთა ისტორიკოსი ამ საწერ მასალას, ტყავს, (διδυμάρια) „დიფთერას“ უწოდებს. ტყავის საწერი მასალა ფართოდ გავრცელებული ყოფილა რომშიც, რომაელები მას აღნიშნავდნენ ტერმინით (membrana) „მემბრანა“. მოგვიანებით შემოდის ტერმინი membrana pergamena ანუ

„პერგამული ტყავი“, რომელიც შემდგომში მარტივად περιყამონ „პერგამენონ“ pergamena „პერგამენად“ იწოდებოდა. საწერ ტყავს ეს სახელი ქალაქ პერგამონისგან მიენიჭა. სწორედ ამ ტერმინიდან წარმოიშვა ფრანგული le parchemin და გერმანული pergament.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტყავს საწერ მასალად ციცირონიც იხსენიებს, მაგრამ მისი სიძვირე ტყავის გავრცელებას ამნელებდა, რაც განპირობებული იყო დამუშავების ტექნოლოგიასთან და დროსთან, და მხოლოდ II-III ს. ქ. შ უწევდა იგი ჭილს მეტოქეობას. ამ შედარებით ახალი საწერი მასალის მთავარ ღირსებად უნდა ჩაითვალოს დიდი გამძლეობა და მოქნილობა, რის გამოც შესაძლებელი გახდა მისი წიგნად შეკვრაც. სწორედ ამის გამო IV ს-ში, როდესაც membrana pergamena ანუ პერგამული ტყავი შემოდის ტერმინად, იგი ჭილს ანუ პაპირუსს სჯობნის იმდენად, რომ უკვე IV-V საუკუნეებში ჭილის გრაგნილების წიგნად აკინძულ ტყავზე გადაწერა დაიწყო. უფრო მოგვიანებით კი, დაახლოებით VII-VIII საუკუნეებში, გავრცელდა ტყავის საწერ მასალად გამოყენება საბუთებისთვის. VIII-XIII სს.-ები ეტრატის განსაკუთრებული ბატონობის ხანად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

აქვე უნდა ითქვას, რომ საბერძნეთისა და რომის ანტიკური პერგამენტი უმაღლესი ხარისხის იყო, თუმცა V-VIII საუკუნეებში პერგამენტის დამზადების ხელობა რომის ტერიტორიაზე დაკნინდა, ჩრდილოეთ და შუა ევროპაში კი მისი გაკეთების ტექნოლოგია ჯერ კიდევ არ იცოდნენ. ამიტომ VI-X საუკუნეებში ხელნაწერები ყვითელი ფერის უხეშ პერგამენტზეა შესრულებული და იგი, ერთი შეხედვით, სქელ პრიალა ქაღალდს მოგვაგონებს. უკვე XIV-XV საუკუნეებში საერო ლიტერატურის გაჩენასთან ერთად ეტრატის დამზადებამ სამონასტრო კერებიდან ქალაქის სახელოსნოებში გადაინაცვლა.

გაჩნდა ეტრატის სხვადასხვა სახეობა, მათ შორის თხელი ხავერდოვანი, რომელიც საუკეთესო ხარისხის პერგამენტად მიიჩნეოდა.

ეტრატის დამზადების პროცესი საკმაოდ რთული, შრომატევადი და ხანგრძლივი იყო. ჩვენთვის ცნობილია, რომ პერგამენტს ძირითადად ამზადებდნენ ცხვრის, ციკნის, თხისა და ხბოს ტყავისგან, აქედან ყველაზე თხელი ტყავი მკვდრადნაშობი ხბოსა და ბატკნის ტყავისგან გამოდიოდა. ტყავს სხვადასხვაგვარად ამუშავებდნენ: ჯერ ამორებდნენ ბეწვისა და კანის ზედა ფენას, ეპიდერმისს, შემდეგ - ცხიმოვან ფენას და მასთან მდებარე კანქვეშა უჯრედისის უბნებს, ამის მერე ტყავს ამუშავებდნენ სხვადასხვა აგენტის გამოყენებით და ასწორებდნენ მის ზედაპირს. ხშირ შემთხვევაში პერგამენტის ზედაპირს უსვამდნენ ცარცს, რაც დამუშავების პროცესში დარჩენილი ცხიმის შეწოვას უწყობდა ხელს.

როგორც აღვნიშნეთ, ეტრატი, როგორც საწერი მასალა, უძველესი დროიდან არსებობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მისი გამოქნის (დამუშავების) საშუალებები, ცხოველის სახეობა, დამუშავების ხარისხი, დრო, დამზადების რეგიონი და შენახვის პირობები განსაზღვრავდა რესტავრაცია-კონსერვაციის მეთოდების სპეციფიკას. უნდა ითქვას, რომ ეტრატი, როგორც საწერი მასალა, საკმაოდ მყარი და გამძლეა, თუმცა მაინც არსებობს მისთვის დამახასიათებელი დაზიანების ტიპები, რაც ძირითადად ვლინდება პერგამენტის დეფორმაციასა და მექანიკურ დაზიანებაში, თერმოდაზიანებაში, როდესაც ის მოცულობაში იკლებს და მყიფე ხდება, ასევე ხშირია მიკროორგანიზმების სიცოცხლისუნარიანობით გამოწვეული დაზიანებები, რომლებიც უმეტესწილად ამორფული ნაწილის დაკარგვასა და კოლაგენური ბოჭკოს რღვევას განაპირობებს. პერგამენტზე ხელნაწერების მდგომარეობა და დაცულობა განისაზღვრება ბუნებრივობით, ასევე გამორჩეული ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით. ეტრატი განსაკუთრებულად გამოქნილი გათრიმლული ტყავია, მას, როგორც წესი, ცხოველის დერმისგან ამზადებდნენ, ამიტომ მისი ძირითადი კომპონენტი კოლაგენის

ცილაა, რომლის შემადგენლობა დერმის მშრალი ნივთიერების წონის დაახლოებით 90%-ია. კოლაგენის მოლეკულები ფორმირებული ფიბრილის სახით ქმნის ბოჭკოს, რომელთა შორის სიცარიელეა. პერგამენტის ზედაპირის რელიეფი როგორც ბეწვიანი, ასევე გლემურდის ხორცის მხრიდან წარმოქმნილია კოლაგენის ბოჭკოსა და ფიბრილისგან, რომლებიც ორიენტირებულია სხვადასხვა მიმართულებაში. სწორედ ეს განაპირობებს მასალეების სხვადასხვაობას და საჭიროებს პერგამენტზე რესტავრაცია-კონსერვაციისადმი მეთოდურ მიდგომას. გარდა ამისა, ეტრატისთვის დამახასიათებელია ტუტეანობა, რაც უზრუნველყოფს მის სიმტკიცეს ჰაერის მჟავე კომპონენტების მიმართ, აგრეთვე იცავს მას მიკროორგანიზმებისგან, რომელთაც მსუბუქად მჟავე სუბტრატი გააჩნიათ. პერგამენტს ასევე ახასიათებს მაღალი ჰიდროსკოპულობა, რომელიც არსებითად ამცირებს მასალის სტაბილურობას და ხშირად ხელნაწერებისა და ისტორიული საბუთების - დაზიანების ძირითადი მიზეზია; პერგამენტის უფრო გავრცელებული დაზიანებები სხვადასხვა სახის დეფორმაციას იწვევს, მაგალითად, პერგამენტისთვის დამლუპველია როგორც ჭარბი, ასევე ჰაერის დაბალი ტენიანობა, ამ უკანასკნელის შემთხვევაში (40%-ზე ნაკლები) წყლის დაკარგვის შედეგად მასალა მნიშვნელოვნად იცვლება (პატარავდება), რის შედეგადაც ხელნაწერის ფურცლები დეფორმირდება, ამას კი, როგორც წესი, მელნისა და საღებავის ფენის ჩამოყრამდე მივყავართ. ეტრატის ხელნაწერების შემთხვევაში განსაკუთრებით სავალალო შედეგს იწვევს ჰიდრატულ წყალთან დაკავშირებული შეუქცევადი დანაკარგები. ჩვეულებრივ ტენიანობის შემცველობა პერგამენტში შეიძლება მერყეობდეს 10-დან 40%-მდე, ხოლო გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობის ცვლილებების დროს 40-დან 80%-მდე. ხელნაწერების შენახვისას 40% და უფრო დაბალი ფარდობითი ტენიანობის დროს ეტრატი კარგავს ელასტიკურობას, ხდება უფრო მაგარი და განიცდის დეფორმაციას. მისი მოცულობა შესამჩნევად მცირდება და შესაძლოა პერგამენტის ზედაპირიდან მელანი და საღებავის ფენაც ჩამოცვივდეს.

ეტრატის დასაცავად არც მომატებული ტენიანობაა დასაშვები, რადგან ჭარბი ტენის პირობებში ის უფრო მეტ დეფორმაციას განიცდის და იწვევს ფურცლების დაჭმუჭნას, ვინაიდან პერგამენტი ანიზოტროპული მასალაა და ადსორბირებული წყალი არათანაბრად ნაწილდება მის ზედაპირსა და მოცულობაში. მომატებული ტენიანობის პირობებში შენახვისას განსაკუთრებით ზიანდება ყდაში ჩასმული ეტრატის ხელნაწერები, რადგან, პირველ ყოვლისა, ფურცლების კიდეები ისრუტავს ატმოსფერულ ტენს, რის გამოც ის იმდენად დეფორმირდება, რომ მნიშვნელოვნად ზრდის ჩამონაჭრის მოცულობას და წიგნი არ იხურება; რადგან საუკუნეებგამოვლილი ხელნაწერის ყდის ტყავი ელასტიკურობით არ გამოირჩევა, მოცულობაში გაზრდილ ეტრატის ფურცლებს ვეღარ იტევს და ზიანდება.

ამრიგად, როგორც ვთქვით, პერგამენტის უფრო გავრცელებული დაზიანებები სხვადასხვა სახის დეფორმაციას იწვევს. ამიტომ რესტავრაციის პრაქტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მის დარბილებასა და გასწორებას, ანუ ფაქტობრივად დეფორმაციის აღმოფხვრას.

როდესაც დაზიანებებზე ვსაუბრობთ, საყურადღებოა ისეთი ფაქტებიც, როგორებიცაა: ტყავის ზედაპირის დაზინძურება, ჭუჭყის, ხელის ცხიმის, ცვილის ნაღვენთებისა და მწერების სკორის კვალი. მიუხედავად იმის, რომ ეს შემთხვევები მნიშვნელოვანია, თუ შევძლებთ მათ დროულად აღმოჩენასა და გაწმენდას, შესაძლოა ექსპონატისთვის ნაკლებად საზიანოც კი გახდეს სხვა დამაზიანებელი ფაქტორებისგან განსხვავებით. თავად პროცესი, ანუ მათი მოცილება ეტრატის ზედაპირის დაუზიანებლად, საკმაოდ რთულია და ზოგჯერ სრულიად გასუფთავება ვერც ხერხდება, განსაკუთრებით ტექსტის მიდამოებში ან ყდაზე ტვიფარის ჩაღმავებულ ადგილებში; ამიტომ გაწმენდის ყველაზე აპრობირებული და უსაფრთხო

საშუალებაა დისტილატით გაჟღენთილი ბამბის ტამპონი, ამ დროს მასალის ზედაპირს მსუბუქად ვეხებით, თუ მხოლოდ ჭუჭყის ფენას ვაცილებთ ზედაპირულად, მაგრამ ისე, რომ ტყავის შრეები არ დაზიანდეს.

დაზიანებული ეტრატის ხანგრძლივად შენახვისთვის აუცილებელია მისი კონსერვაცია-რესტავრაცია, თუმცა ამ უკანასკნელის შემთხვევაში ფორმატის აღდგენა-გამაგრებამდე მნიშვნელოვანია მისი დარბილება-გასწორების პროცესი, რაც ოდითგანვე იყო და არის რესტავრატორისთვის საკმაოდ რთული ამოცანა. ამ ამოცანის გადაწყვეტას ბევრმა მეცნიერმა და რესტავრატორმა არაერთი კვლევა და სტატია მიუძღვნა. პერგამენტის დარბილება ხანგრძლივი პროცესია და ის ძირითადად დამოკიდებულია ტყავის სისქეზე, გამოშრობის ხარისხსა და დეფორმაციის სირთულეზე, ამიტომ წლების განმავლობაში ეტრატის დასარბილებლად რეკომენდებული იყო სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა ემულსიების - სპერმაცევტის, სტეარინის, აბუსალათინის, ლანოლინის, სპერმაცევტ-ლანოლინის, კვერცხისა და სხვა - გამოყენება. ემულსიის ხარისხიანი და რაოდენობრივი შემაღელობა მნიშვნელოვნად ვარირებდა, თუმცა მათი გამოყენების ტექნიკა პრაქტიკულად ყოველთვის ერთი და იგივე იყო, მაგალითად, ემულსიას უსვამდნენ ტამპონით ან სპეციალური ფუნჯით პერგამენტის მცირე ნაწილზე და ეს უბანი შეძლებისდაგვარად სწორდებოდა. ზედმეტი ემულსიის მოცილება ეტრატის ზედაპირიდან შესაძლებელია დოლბანდის ტამპონითა და ფილტრის ქაღალდით, შემდეგ (45 – 50 C⁰) თერმულად ამუშავებენ. ემულსიების გამოყენება პერგამენტზე გარკვეულწილად ცხიმოვანი ნივთიერებების გაქრობის კომპენსირებას ახდენდა ეტრატის ბუნებრივი დამკვლავების პროცესში და შენახვის არასასურველ პირობებში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ემულსია შეზღუდულად გამოიყენებოდა, ვინაიდან მას ყოველთვის არ აქვს დარბილების ეფექტი და იშვიათად, მაგრამ მაინც დოზირების გადაჭარბების შემთხვევაში შესაძლოა პერგამენტის გაწეზოვნება და გამჭვირვალობა გამოეწვიოს.

რესტავრაციის პრაქტიკამ და კვლევებმა აჩვენეს, რომ დარბილება და გასწორება მიზანშეწონილია ჩატარდეს წყლისა და ზოგიერთი წყალშემცველი სისტემების გამოყენებით. მათი ეფექტურობის მოქმედება, როგორც ჩანს, განპირობებულია პერგამენტზე სინოტივის ოპტიმალური შემცველობის აღდგენითა და მისი თანაბარი განაწილებით. ზემოქამოთვლილ ემულსიებთან ერთად წყალშემცველ სისტემებს შორის ცნობილია გლიცერინის წყლის გამხსნელები, კალიუმის აცეტატი და ჟელატინი სპერმაცევტის გამხსნელში მცირე რაოდენობის დამატებით. თუმცა უფრო ფართოდ გავრცელდა შარდოვანას წყალ-სპირტის გამხსნელები და წყლით დარბილება.

შარდოვანას გამოყენებისას პერგამენტი ან კარგად იჟღინთებოდა, ან თავსდებოდა ამ ხსნარში გარკვეული დროის განმავლობაში, რის შემდეგაც მას აშრობდნენ პარაფინირებულ ქაღალდზე. ნაწილობრივი გაშრობის შემდეგ რეკომენდებული იყო მისი დამუშავება 1-2%-იან სპირტხსნარში სპერმაცევტის სუსპენზიით. დეფორმირებული ფურცლის გაჟღენთვის შემთხვევაში აჩერებდნენ მას თერმოსტატში ოთახის ტემპერატურაზე 90-98% ტენიანობის პირობებში რამდენიმე საათი. დარბილების შემდეგ იღებდნენ თერმოსტატიდან, ფრთხილად ასწორებდნენ და ათავსებდნენ წნეხში. იგივე შედეგი უფრო სწრაფად მიიღწევა პერგამენტის ფილტრის ქაღალდის სველ ფურცლებში მოთავსებით. ფურცელი იჟღინთებოდა დასველებული ნაჭრით ან 50%-იანი ეთილის სპირტით. დატენიანებული პერგამენტის გაშრობა ასევე ხდებოდა წნეხში. დარბილების პროცესში გამოიყენებოდა ფილტრის ქაღალდი, რომელიც პერიოდულად იცვლებოდა. ზოგ შემთხვევაში ამ მეთოდების გამოყენებას ეტრატის დარბილების პროცესში უარყოფითი შედეგი მოჰქონდა, რადგან პერგამენტის

დასარბილებლად გამოყენებული საპოხი მასალები იწვევდა ეტრატის გამჭვირვალობას, რაც თავისთავად საზიანოა ხელნაწერისთვის და ცვლის მის ვიზუალურ მხარეს.

ამიტომ ეტრატის დასარბილებლად ყველაზე უვნებელ და გავრცელებულ ფორმად დისტილატით მისი შორეული დატენიანების მეთოდი მიიჩნეოდა. ეს პროცესი ხორციელდება მინის აბაზანაში, რომელშიც პერგამენტს სპეციალურად მისთვის განკუთვნილ ბადეზე ოპტიმალური დროით ათავსებენ. ნესტიან გარემოში ეტრატის ბოჭკოები ტენით იჟღინთებოდა, ხდებოდა უფრო დამყოლი და ელასტიკური, რაც მის დარბილებას და შემდგომ გასწორებას უწყობდა ხელს. რესტავრაცია-კონსერვაციის დროს ეს მეთოდი დღემდე ეფექტურად გამოიყენება გამომშრალი და გაუხეშებული პერგამენტის დასარბილებლად. თუმცა რესტავრატორები ხშირად ასეთი უვნებელი მეთოდის გამოყენების დროსაც ვაწყდებით სირთულეებს, მაგალითად, თუ დეფორმირებულია ბლოკად შეკრული ხელნაწერის ფურცლები, რომელთა დაშლაც რეკომენდებული არ არის, პერგამენტის დარბილების ხანგრძლივობა ერთიორად იზრდება და პროცესიც უფრო რთული ხდება. გასათვალისწინებელია ასევე ხელნაწერის ყდა და ხის დაფები, რომლებიც ისევე ადვილად შეიწოვს ნესტს, როგორც პერგამენტის ფურცლები; ეს კი შემდგომში აუცილებლად გამოიწვევს ტყავისა და ხის დაფებს შორის კავშირის დაკარგვას, ხის მასალის დეფორმაციას და ფურცლებისა და ბლოკის მოცულობაში გაზრდას. ამიტომ მსგავს შემთხვევებში პერგამენტის ფურცლების დარბილება ხდება ყდისგან იზოლირებულად: დაახლოებით პროცესი რომ წარმოვიდგინოთ, ასეთი იქნება - ეტრატის ფურცელი ექცევა ბანდერას, დანამულ ფილტრის ქაღალდებსა და მუყაოებს შორის, იგი ფიქსირდება მსუბუქი სიმძიმეების დალაგებით და ჩერდება იმ დროით, რომელიც საჭიროა ტყავის დატენიანებისა და შემდეგ შრობისთვის. ეს პროცესი შესაძლებელია განმეორდეს რამდენჯერმე, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ღრმად დეფორმაცია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთ დროს მნიშვნელოვანია ხელნაწერის ყუა და აკინძვის ტექნიკა, რადგან, თუ ბლოკი მყარად არის შეკრული, მუყაოს ფენებმა შეიძლება დამატებითი დეფორმაცია გამოიწვიოს უკვე ყუაში; ამის გამო ერთ ბლოკად შეკრული ხელნაწერის ფურცლების გასწორება შესაძლოა ისეთი შედეგით ვერ დასრულდეს, როგორც ეს დოკუმენტის ან გრაგნილის შემთხვევაშია შესაძლებელი.

ერთი მხრივ, ეს უნივერსალური მეთოდი კარგად მუშაობს პერგამენტის ფურცლების გასასწორებლად, მაგრამ მაინც არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, მაგალითად, თუ ხელნაწერის მელანი არამდგრადია (ხშირ შემთხვევაში სინგური მელანი), ან ხელნაწერის მოხატულობა შესრულებულია წყალში ხსნადი საღებავებით. ასეთ დროს რესტავრატორი ხშირად მიმართავს მეთოდს, რომლითაც მცირდება ეტრატის გაჟღინთვა-დატენიანება. ამ დროს მხოლოდ იმ დეფორმაციას ასწორებენ, რომელიც ნამდვილად უქმნის საფრთხეს ფერწერულ ფენას. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, გამოიყენება მხოლოდ მსუბუქი წნეხი ოთახის ტემპერატურის მკვეთრი ცვლებადობის გარეშე, ტენიანობის დარეგულირებაც მხოლოდ ჰაერში ხდება და არც ერთ შემთხვევაში პერგამენტზე ან ფერწერაზე უშუალო კონტაქტით. ყველა ზემოჩამოთვლილი მეთოდი საკმარისია იმისათვის, რომ ხელნაწერი დაცული იყოს დეფორმაციის გავრცობისა და მელნის ჩამოშლისგან, რის ხელშემწყობი ფაქტორიც, რა თქმა უნდა, ხელნაწერისთვის შენახვის ოპტიმალური პირობები უნდა იყოს.

უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ პერგამენტის დარბილება-გასწორება მნიშვნელოვანი და ხშირად გარდაუვალი პროცესია წიგნის კონსერვაცია-რესტავრაციის დარგში, თუმცა ის სრულყოფილად ვერ ჩაითვლება დაზიანებული ერთეულის აღდგენის, ნაკლები ფორმატის შევსების, მტვრისა და ზედაპირული ჭუჭყის მოცილებისა და ბიოლოგიური დაზიანებების აღმოფხვრის გარეშე. ეტრატის რესტავრაციის პროცესი

გამორჩევა მასალისა და მეთოდების მრავალფეროვნებით, რაც დამოკიდებულია ტყავის სისქეზე, დაზიანების ხარისხსა და სხვა უამრავ ფაქტორზე.

დღესდღეობით დაზიანებული (გამომშრალი, დეფორმირებული) ტყავის ერთეულის კონსერვაცია-რესტავრაციას წინ უძღვის დარბილება-გასწორების პროცესი, თუმცა ყოველთვის ასე არ ყოფილა. ეტრატი დამზადების სპეციფიკიდან გამომდინარე დამუშავების პროცესშიც ზიანდებოდა და ჯერ კიდევ მაშინ აღადგენდნენ მის მთლიანობას, სანამ საწერ მასალად გამოიქნებოდა. დროთა განმავლობაში დარბილება-გასწორების მეთოდებისა და მასალების მსგავსად ცვლილებები განიცადა კონსერვაცია-რესტავრაციის მეთოდებმაც. თუ საუკუნეების განმავლობაში დაზიანებული ტყავის აღსადგენად გამოიყენებოდა მხოლოდ ბამბის ძაფი, რომელიც მოგვიანებით ტყავის ფრაგმენტებმა, არასწორად შერჩეულმა ქაღალდმა და პერგამენტის წებომ ჩაანაცვლეს, დღეს უკვე ვხვართ სპეციალური წარმოების მასალებსა და კომბინირებულ წებოებს, ნელ-ნელა მკვიდრდება მხოლოდ კონსერვაცია, რომელიც გულისხმობს ერთეულის ჩვენამდე მოღწეული მდგომარეობის შენარჩუნებას ზედმეტი მასალისა და მეთოდების გარეშე, თუმცა ეს ცალკე სასაუბრო თემა, რასაც მომავალში კიდევ არაერთხელ შევეხებით.

ამრიგად, ყველა ზემოჩამოთვლილი საკითხი: ეტრატის შენახვის ოპტიმალური პირობების დაცვა, მისი დაზიანებისა და დარბილება-გასწორების შემთხვევები თუ კონსერვაცია-რესტავრაცია, ერთი მხრივ, შეიძლება ყველაზე გავრცელებულ და უნივერსალურ მეთოდებად ჩაითვალოს, თუმცა მასალის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე საკითხი ამოუწურავი და სპეციფიკურია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თეორიულ ცოდნას ყოველთვის რესტავრატორის პრაქტიკული გამოცდილება ამყარებს, რაც ამ რთულ და საპასუხისმგებლო საქმეში სწორი და ადეკვატური გადაწყვეტილების მიღებაში გვეხმარება.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. გოგაშვილი, დ. (2004). მასალის დამზადების ისტორია ქართულ ხელნაწერებში დაცული ცნობების მიხედვით. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებელი ნაშრომი. თბილისი.
2. სურგულაძე, მ. (1978). ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები. თბილისი. მეცნიერება.
3. ჯავახიშვილი, ი. (1926). ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. ქართული წიგნი. თბილისი.
4. გვაზავა, ა. (2015). ეტრატის რესტავრაციის ნიშნები შუა საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში (ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მასალების მიხედვით). მრავალთავი: 24. თბილისი.
5. გვაზავა, ა. (2017) ეტრატის რესტავრაციის ნიშნები შუა საუკუნეების უცხოენოვან ხელნაწერებში (შედარებითი ანალიზი). კონფერენციის მასალები. თბილისი.
6. Галфаян, Х. (1975). Технология Изготовления Пергамента Армянских Мастеров. Художественное Наследие -Хранение, Исследование, Реставрация. 1(31). Москва. ГОСНИИР.

**Asmat Gvazava,
Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscript**

Restoration- conservation specifics of the manuscripts written on parchment

Summary


The report featured conservation specification of Parchment and Leather covers, because, as you know, Parchment as a writing material and processed leather as used mainly for manuscript covers have existed since ancient times in various countries around the world.

Although the basis for the two before processing was one, that is, both the parchment and the leather cover were made of animal dermis, the finished material is fundamentally different from one another. It is these and other factors - the means of drainage, the quality of processing, and the conditions of storage that determine the specificity of their restoration and conservation methods. In the report, based on the theoretical knowledge and practical experience, we have more or less accurately demonstrated the specifics of the conservation-restoration of the parchment and the leather cover, using their distinctive and different methods













სოფიო ცერცვაძე,**კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი****ხელნაწერებსა და დოკუმენტებზე სხვადასხვა წებოთი გამოწვეული დაზიანებები**

მსოფლიოში მიმდინარე ბუნებრივი კატაკლიზმებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის ფონზე მნიშვნელოვნად წამოიწია კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის დაცვის, შენარჩუნებისა და უსაფრთხოების საკითხებმა. პრიორიტეტული გახდა კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის არა მხოლოდ რესტავრაციის და კონსერვაციის მეთოდები, არამედ მისი შენარჩუნების სხვა მიდგომების შემუშავება. რესტავრაცია-კონსერვაციის ძირითადი ამოცანაა შეანელოს და შეაჩეროს ხელოვნების ნიმუშში მიმდინარე პროცესი, რომელიც იწვევს მის დაზიანებას გარემო პირობების ან მასზე ჩატარებული სამუშაოების დროს გამოყენებული მასალის გამო. ამ პროცესში მნიშვნელოვანია შევინარჩუნოთ ძეგლის გარეგნული სახე და მასალა, რომლითაც შექმნილია ექსპონატი, რათა ინფორმაცია და ტექნოლოგია, რითაც თავდაპირველად დამზადდა ობიექტი, არ დაიკარგოს და შენარჩუნდეს, როგორც კულტურული არტეფაქტი. სწორედ ამ პრინციპებშია გაერთიანებული რესტავრატორების, ქიმიკოსების, ბიოლოგების ფიზიკოსების, ეკოლოგებისა და სხვა მრავალი სამეცნიერო დარგის წარმომადგენლის ცოდნა და გამოცდილება. მოგესხენებათ, ხელნაწერისა და დოკუმენტების დაზიანების გამომწვევი უამრავი მიზეზი არსებობს, იქნება ეს ქიმიური, ბიოლოგიური, ენტომოლოგიური, მექანიკური თუ ძველი სარესტავრაციო მასალით გამოწვეული დაზიანება. სარესტავრაციო პროცესის სხვადასხვა საფეხურზე გარკვეული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით იქმნება რესტავრაცია-კონსერვაციის სამუშაოთა მიმდინარეობის სქემა, რომელიც ემსახურება კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების, დაცვისა და მომავალი თაობებისთვის პირვანდელი სახით გადაცემის საქმეს. ამჯერად ვისაუბრებთ რესტავრაცია-კონსერვაციის პროცესში გამოყენებულ წებოებზე, მათ თვისებებსა და მნიშვნელობაზე სამუშაო პროცესში.

განვიხილავთ, ამ წებოთა თვისებებს, მათი საჭიროებისამებრ გამოყენების მეთოდებს და ექსპონატზე ძველი რესტავრაციის შემთხვევაში წებოს ხელნაწერის და დოკუმენტის დაუზიანებლად მოხსნის გზებს, რის საშუალებასაც თანამედროვე სარესტავრაციო მასალები და ხსნარები გვაძლევს და უფრო უსაფრთხოს ხდის რესტავრაციის პროცესს.

რესტავრაცია-კონსერვაციის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადგეზივებს, მათ სახეობებსა და გამოყენების გზებს. ხშირად გვხვდება ტერმინები - წებო და ადგეზივი, რომელსაც ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს და ძირითადად სინონიმად გამოიყენება, უბრალოდ წებო. ეს არის ადგეზივების ტიპი, წებოვანი და ტრადიციულად დამზადებული ორგანული ნივთიერებისგან, ხოლო „ადგეზივი“ - ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც მასალების ზედაპირს ერთმანეთთან აკავშირებს და წინააღმდეგობას უწევს მათ განცალკევებას. სამწუხაროდ, რესტავრაცია-კონსერვაციის პროცესში არის შემთხვევები, როდესაც არასწორად შერჩეულ წებოს ან მისი გადაჭარბებული რაოდენობით გამოყენებას ხელნაწერის ან დოკუმენტის დაზიანებამდეც მივყავართ. ასეთ დროს რესტავრატორისთვის პრიორიტეტია დამაზიანებელი წებოს მოხსნა და ქალაქის ზედაპირის მისგან გასუფთავება. რესტავრატორები რთული და საპასუხისმგებლო სამუშაოს წინაშე დგანან, როცა საქმე ეხება ძველი რესტავრაციის შედეგად გამოყენებულ წებოებს და მათგან წარმოქმნილ დაზიანებებს.

რადგან ადრეულ პირობებში სხვადასხვა მიზეზის გამო ყოველთვის ვერ ხერხდებოდა გათვალისწინება, რომ მასალა შექცევადი და თავისი თვისებებით ნაკლებად დამაზიანებელი ყოფილიყო ერთეულისთვის. წებოვან მასალებს შორის გავრცელებულია ცხოველური, მცენარეული და იშვიათ შემთხვევაში სინთეტიკური წებოები. ცხოველური წარმოშობის წებო მიიღება კოლაგენის შემცველი ცხოველური ქსოვილებისგან და თავისი თვისობრიობიდან გამომდინარე დროთა განმავლობაში შეიძლება კრისტალებად გადაიქცეს, დაკარგოს წებოვნობის უნარი და ერთ-ერთ დამაზიანებელ ფაქტორად იქცეს ხელნაწერისთვის ან დოკუმენტისთვის. წებოვან მასალებს შორის ყველაზე გავრცელებულია ცხოველური წარმოშობის ცილოვანი წებოები, კერძოდ, გლემურძის, ტყავის, ძვლის ჟელატინის, თევზის წებოები. ისინი მიიღება კოლაგენის შემცველი ცხოველური ქსოვილებისგან. კოლაგენის მისაღებად გამოიყენება კარგად ცხიმგაცლილი ძვლები, რომლებსაც ამუშავებენ მარილმჟავას ხსნარით ან კირხსნარით, ან ტუტეებით. კოლაგენის ხარისხი დამოკიდებულია წყლით ძვლების საგულდაგულოდ გარეცხვაზე ზემოაღნიშნული დამუშავების შემდეგ. ცხელი წყლით დამუშავებული კოლაგენი ხარშვის შედეგად გარდაიქმნება გლუტინად. მისგან განსხვავდება მცენარეული წებოები, რომლებიც სახამებლისა და ფქვილისგან მზადდება, ადვილად შექცევადია და მისი მოხსნის პროცესი ნაკლებდამაზიანებელი. რაც შეეხება სინთეტიკურ წებოს, მისი გამოყენება მინიმუმამდეა შემცირებული ქაღალდის რესტავრაციის პროცესში.

რესტავრაციის პროცესში ერთ-ერთ ადგეზივად გამოიყენება PVA (სინთეტიკური წებო) - იგი მზადდება პოლივინილაცეტატის ემულსიის საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგ შემთხვევაში PVA მისაღებ ვარიანტად ითვლება ყდის რესტავრაციის პროცესში სხვა წებოებთან შედარებით, მისი გამოყენება მინიმუმამდე არის დაყვანილი რადგან დროთა განმავლობაში იწვევს ტყავის დაზიანებას და მსხვრევას. რა თქმა უნდა, რესტავრაციის პროცესში ადგეზივების არჩევისას ძირითადად ვეყრდნობით საკუთარ და წამყვან სარესტავრაციო ცენტრებში მიღებულ მეთოდებსა და გამოცდილებებს. ადგეზივების შერჩევა ყოველთვის ხდება ობიექტის ძირფესვიანი გამოკვლევის, დაკვირვების და კონკრეტულად მისთვის შესაფერისი მასალის შერჩევისას, რადგან წებო არ უნდა იყოს ისეთი, რომ, პირიქით, ზიანი მიაყენოს სარესტავრაციო ერთეულს.

როდესაც ადგეზივები ხელნაწერების და დოკუმენტებისთვის დამაზიანებელ ფაქტორად იქცევა, რესტავრატორი მისი ზედაპირიდან მოშორების სხვადასხვა გზას იყენებს - ხშირ შემთხვევაში დამუშავება ხორციელდება წყლის და ორგანული გამხსნელების მეშვეობით მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქაღალდის მდგრადობა შემოწმდება. ზედაპირის დამუშავება შეიძლება, თუ ბამბის სველი ტამპონით ან ფუნჯით წებოს ნარჩენებზე წაუსვამთ. ზოგ შემთხვევაში იყენებენ ორგანულ გამხსნელებს (ესენია: ბუნებრივი პოლიმერები - ხორბლის სახამებელი, ჟელატინი; შეცვლილი ბუნებრივი წყალში ხსნადი პოლიმერები - ცელულოზის ეთერები, როგორებიცაა: პოლიმერების დისპერსიები (ლატექსები); შედარებით იშვიათია პოლიმერები ხსნადი ორგანული მეთილის, ჰიდროქსიეთილის, ჰიდროქსიპროპილის, მეთოქსიპროპილ ცელულოზის და ნატრიუმის კარბოქსიმეთილ ცელულოზის (Na-CMC); სინთეზური პოლიმერები - PVA, გლიცერინით პლასტიზირებული ვინილის გამხსნელებში).

გლუტინის წებოს მოსახსნელად და ხელნაწერის ან დოკუმენტის ზედაპირის გასასუფთავებლად და დაზიანების კერის შესაჩერებლად საკმაოდ ფართოდ გამოიყენება 2% კონცენტრაციის MC-ზე დაფუძნებული წებოები (სურ.1). მეთილცელულოზა - არატოქსიკური ქიმიური ნაერთი, რომელიც მიიღება ცელულოზით (მცენარეული ბოჭკოებით). მას აქვს ნეიტრალური მჟავიანობა. წიგნის რესტავრაციის პროცესში მეთილცელულოზას მრავალი დანიშნულება და გამოყენება აქვს. მართალია, მეთილცელულოზა შექცევადია (სურ. 2), მაგრამ მაინც აქვს ნაკლი - არ არის ძლიერი წებოვნების მქონე. მისი გამოყენების დროს ჯერ ზედაპირი იწმინდება მექანიკურად, შემდეგ ცხოველური წებოს ზემოქმედებით მყიფე

დეფორმირებული ქალაქი მუშავდება მეთილცელოლოზის MC პასტით საფენებად დადების პრინციპით (სურ. 3-4). გარდა ამისა, დღესდღეობით თანამედროვე მასალებს იყენებენ და არის შემთხვევები, როცა მეთილცელოლოზის ნაცვლად გამოიყენება გერმანული წარმოების „კელკო გელი“ - გელანის გუმფისი, რომელიც წყალში ხსნადი მრავალჯერადი გამოყენების გელის წარმომქმნელი საშუალებაა. იგი გრძელი ბმის ნახშირწყალია, რომელიც მიიღება ბუნებრივი გზით - ბაქტერია *Pseudomonas elodea* შაქრის ფერმენტაციისას. ამ ფხვნილს იღებენ ფერმენტების კრისტალიზაციით, იგი ადვილად იხსნება წყალში და წარმოქმნის გელს, რომელიც ჟელატინის შემცვლელადაც გამოიყენება ფარმაცევტიკასა და კვების წარმოებაში. მისგან დამზადებული პასტა უსვამენ ზედაპირს (სურ.5) რაღაც დროის შემდეგ ის ადგილი გასუფთავდება და გელთან ერთად წებოს ნარჩენები (სურ.6) და ჭუჭყიც სცილდება ზედაპირს; ასევე დამაზიანებელ ფაქტორად შეიძლება იქცეს ხელნაწერის ყდაზე მუშაობის პროცესში ზედმეტი წებოს გამოყენება, (სურ. 7), რაც ქალაქისა და ხის დაფის შეკავშირებისას ისედაც მყარ ზედაპირზე კიდევ უფრო მოუქნელ ფენას ქმნის, ამის შედეგად წარმოქმნილი დაჭიმულობა კი ხელს უშლის წიგნის ადვილად გადაშლას. ეს მომავალში ყუის მექანიკური დაზიანების მიზეზი შეიძლება გახდეს (სურ.8). ასეთ შემთხვევაშიც ყველაზე უსაფრთხო გამხსნელად კელკო გელი მიიჩნევა (სურ. 9). რაც შეეხება მცენარეულ წებოს, რადგან ძირითადად ხორბლის ან ბრინჯის სახამებელს იყენებენ, როდესაც საშიშროება არსებობს დამაზიანებლად იქცეს ადგეზივი, მისი მოხსნა ზედაპირიდან დისტილატის ხსნარით ან სველი ტამპონით ხდება.

ამრიგად, ხელოვნების ნიმუშების კონსერვაციისთვის საჭირო მასალები და მეთოდები წინასწარი დიაგნოზის საფუძველზე უნდა შეირჩეს, რაც ობიექტის შემადგენელი მასალების ქიმიური და სტრუქტურული თვისებების შესწავლასა და დეფორმაციის ან მექანიკური დაზიანების გამომწვევი მიზეზების დადგენას საჭიროებს. ეს ეხმარება რესტავრატორს მუშაობის პროცესში მოულოდნელ სირთულეებს გაუმკლავდეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა რესტავრაციის პროცესში ძველ ან არასწორად შერჩეულ მასალებთან გვაქვს საქმე.

გამოყენებული ლიტერატურა:

გიორგიძე, გ. კარტოზია, გ. (1974). საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონი. თბილისი. მეცნიერება.

ნადირაშვილი, ზ. (2002). ძველი და თანამედროვე მხატვრობის ტექნოლოგია. თბილისი. კავკასიური სახლი.

**Sopio Tsertsvadze,
Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscript**

Damages on Manuscripts and Documents, Caused by the Glue

Summary

In the report, we discussed one of the many causes of damage to the manuscripts and documents, namely the glues used in the restoration-conservation process, their properties and importance during work. Nowadays, prior to the restoration-conservation process, restoration materials and methods to use are chosen through very careful preliminary research, earlier, for various reasons, it was not always possible to make the material reversible and less damaging to the unit.

In the report, we talked in detail about the properties of glues in restoration, methods of their use and the exhibit on the restoration of the old case and ways to remove the glue without damage to manuscripts and documents.



(სურ. 1)



(სურ. 2)



(სურ. 3)



(სურ. 4)



(სურ. 5)



(სურ. 6)



(სურ. 7)



(სურ.8)



(სურ.9)